


საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

# ივანე ჯავახიშვილი



ტ მ გ ე



თბილისი 1996

9(c41)  
9(47.922)+90(47.922)  
№ 145

ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა 12-ტომეულის  
მთავარი სარედაქციო კოლეგია

მ. ლორთქიფანიძე (მთავარი რედაქტორი), ზ. ალექსიძე, ა. აფაქიძე,  
ვ. ბერიძე, თ. გამყრელიძე, ქ. ლომთათიძე, გ. მელიქიშვილი,  
ე. მეტრეველი, რ. მეტრეველი, ა. ჯავახიშვილი.

მთავარი სარედაქციო კოლეგიის მდივანი მ. ინასარიძე

ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა წინამდებარე IV ტომი შეიცავს „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ I ტომს, რომელიც პირველად გამოიცა 1907 წელს. თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან 1927 წლამდე აქ ივ. ჯავახიშვილი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ კურსსაც კითხულობდა, რამაც აუცილებელი გახადა, როგორც თვითონ აცხადებს, „ძველი საქართველოს ეკონომიური ისტორიის მთელი თავისი სიღრმით და სივრცით წარმოდგენა“.


„საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველი ტომის მეორე, 1930 წლის, გამოცემა უკვე ბევრად ვრცელი და ახლად დაწერილი წიგნია. წინამდებარე ტომი დაიბეჭდა მეორე გამოცემის მიხედვით – ზოგიერთი აუცილებელი შესწორებით.

ტომი გამოსაცემად მოამზადეს  
პ. გუგუშვილმა და ვ. ჩანტლაძემ

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1996

0505040000  
№ 608(06)-96

ISBN 5-511-00690-4



## რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა ბ ა ნ

ივანე ჭავჭავაძის დიდი მეცნიერული დიაპაზონი მოიცავდა ისტორიის თვით წყაროების გამოვლინებისა და გამოცემის და, ქართული თუ უცხოური ისტორიული მწერლობის, ენათმეცნიერული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვ. სახის მასალათა საფუძველზე ქართველი ხალხის ისტორიის ახალ, მაღალ, თანამედროვე მეცნიერების შესაბამის დონეზე გაშუქების ამოცანათა გადაჭრას.

ივანე ჭავჭავაძის ქართველი ერის ისტორიის პრობლემებს აშუქებდა და წარმოაჩენდა არა მხოლოდ როგორც სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების პროცესებს, არამედ ამასთანავე, იკვლევდა ქართული კულტურისა და საერთოდ ცივილიზაციის სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ, იდეოლოგიურ, მორალურ ასპექტებს. აქ საკმარისია დავასახელოთ მისი ნაშრომები ისეთ საკითხებზე, როგორცაა მუსიკის, ხუროთმოძღვრების, დამწერლობათმცოდნეობის, სიგელთამცოდნეობის, ტანისამოსის, შრომის იარაღებისა და ორგანიზაციის, ადამიანის პიროვნების და სხვ. პრობლემათა შესახებ.

მაგრამ ივანე ჭავჭავაძის დიდი და რთული მუშაობა უნდა გაეწია ქართული ლექსიკონისა და კერძოდ მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებისათვის.

ივ. ჭავჭავაძის 1930-იანი წლების შუაში საესეებით ახალი თაოსნობა წამოიწყო და დიდი შრომა გასწია საქართველოში წერილი მრეწველობის (საოჯახო მრეწველობის, ხელოსნობის, შინამრეწველობის, საერთოდ წერილ სარეწავთა) ფორმებისა და სოფლის მეურნეობის (მეგვინარეობისა და მეცხოველეობის) დარგების, მ. შ. რიგი უკვე გადავარდნამდე მისული სახეების (ნივთების, საგნების) წარმოების საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში აღწერის ორგანიზაციის სახით. იგი აღფრთოვანებული იყო ამ სახით მოპოვებულ ცნობათა სიუხვითა და შინაარსიანობით და ოცნებობდა მათი სისტემატიზაციისათვის (რაზედაც დიდხანს დაუღალავად იმუშავა კიდევაც), რათა მერმე ამ მდიდარი მასალის მეცნიერულ ანალიზსა და გაშუქებას შესდგომოდა, მაგრამ... არ დასცალდა.

მის მიერ შედგენილი გეგმის (პროგრამის) შესაბამისად თავმოყრილი (აღვილებზე, 1935 წ. მივლინებულ აღმწერთა მიერ აღნუსხული) ეს ფრიად ფასეული და დიდი მოცულობის (6000 გვ.) მასალა, რასაც უეჭველად პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მატერიალური კულტურის (წარმოების სასიათის, შრომის ორგანიზაციის, ნედლეულის შერჩევის, პროდუქციის ნაირსახეობათა, ნაკეთობის ხარისხისა და სხვ.) და ძულიერი ცხოვრების (ენის,

ტერმინოლოგიის, თქმულებათა) შესწავლისათვის, ამეამად მზადდება გამო-საცემად — ხუთ ტომად<sup>1</sup>.

ივ. ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის ფუძემდებლური გამოკვლევები საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საკითხებზე, რომელთა შორის მთავარია „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, რომლის ორი დიდტანიანი ტომი გამოქვეყნდა 1930 და 1934 წწ.. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თხზულების პირველი წიგნი პირველად დაისტამბა ჯერ კიდევ 1907 წ.

1907 წლის გამოცემას თავისი მნიშვნელობა მერმეც არ დაუკარგავს, როგორც ამას თვით ავტორი 1930 წელს გამოცემულ წიგნში აღნიშნავს სწორედ იმის გამო, რომ იმ მასშტაბით შესწავლა საქართველოს ეკონომიკური ისტორიისა, როგორც ეს მოცემულია 1930 წლის გამოცემაში და აქედან აღსვლა იმ საკითხებამდე, რომლებიც განხილულია 1907 წლის გამოცემაში, მოითხოვდა „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის“ მრავალტომიანი ნაშრომის შექმნას, ივ. ჭავჭავაძილმა ამ მრავალტომიანი ნაშრომიდან მოასწრო მხოლოდ ორი ფუნდამენტური ტომის დაწერა. ამიტომ 1907 წლის გამოცემა<sup>2</sup> თემატურად და შინაარსით 1930 წლის გამოცემის შეგავსებელია. ასეთივე მნიშვნელობა ენიჭება ივ. ჭავჭავაძის ნაშრომს — „ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს“.

როგორც ცნობილია, ივანე ჭავჭავაძის მოღვაწეობით ახალი პერიოდი იწყება საქართველოს ისტორიის შესწავლასა და საერთოდ მთელ ქართველოლოგიაში. კერძოდ, საქართველოს მეურნეობრივი ცხოვრების ისტორია ისედაც ნაკლებად შესწავლილ სოციალურ და პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და მოქალაქეობრივ ისტორიასთან შედარებით კიდევ უფრო ნაკლებად იყო გამოკვლეული. შეიძლება ითქვას, საქართველოს ადრინდელი ისტორიკოსები არსებითად უყურადღებოდ სტოვებდნენ ქვეყნის სახალხო მეურნეობრივი განვითარების ისტორიას და ასე იჭრძელდებოდა თვით მე-19 ს. ბოლომდე.

ეკონომიკური ცხოვრების შესწავლის აუცილებლობას, ყველგან და ყოველთვის კარნახობს პოლიტიკური ცხოვრების აქტივიზაცია, პოლიტიკურ ბრძოლებში მომავლის განსაკრებტის საქროება, რაც მით უფრო მეტ რეზონანსს იწვევს, რაც უფრო ღრმა და ფართო ხასიათს ღებულობს შინაგანი თუ საერთაშორისო ხასიათის სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა.

საქართველოში ჯერ ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებულმა ღონისძიებებმა, რაც უპირატესად სახელმწიფოებრივი აპარატის საქმიანობის სფეროებით ისაზღვრებოდა, ხოლო მერმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აღორძინებამ და თვით პოლიტიკური პარტიების გაჩენამ ეკონომიკური ყოფიერების შესწავლა ერთ-ერთ პირველხარისხოვან პრობლემად გადააქცია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მიმდინარეობებს, მე-19 ს. საქართველოში პოლიტიკური პარტიები გაჩნდნენ მხოლოდ 70-იანი წლებიდან.

<sup>1</sup> უკვე გამოცა: მასალები საქართველოს შინაგარეულობისა და ხელოსნობის ისტორია-სათვის, ტ. I, თბ., 1976 და II ტომის I ნაწილი, თბ., 1979.

<sup>2</sup> ეს ნაშრომი შეტანილია თხზულებათა მე-12 ტომში.

ამიტომ ისე მოხდა, რომ სწორედ ამ დროიდან ვაიზარდა ინტერესი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ისტორიის შესწავლისადმი.

ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვა აქაც ეკუთვნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საყოველთაოდ აღიარებულ მეთაურს ილია ჭავჭავაძეს, რომელიც 1880 წ. აქვეყნებს სპეციალურ სტატიას „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, სადაც იგი მთელი სიმკაცრით დღის წესრიგზე აყენებს საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლის გადაუდებელ ამოცანას.

ილია ჭავჭავაძე წერს: „ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხდელია და უცნობი ჩვენგან... ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისი ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა... და იმისთანა ხანა ისტორიისა, არ დასდგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედმიყოლებით და განუწყვეტლივ ასი წელიწადი მაინც ერთად... ორი ათასი წელიწადი იბრძოდა, ომობდა, სისხლს ღვრიდა... და ჩვენს ქვეყანას არავისი ვალი და ვახში დასდებია... ესთქვათ მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა. საკვირველი ეს არის — რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძლებებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა?...“

— „პასუხი ჩვენს ეკონომიურ აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდან ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძლიოდა ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა, ამოდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ღირსშესანიშნავი და შეტად მაინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალწინა ჰქონდეს ეხლანდელს მენისტორიეს, ამ საგანზეც რომ უეჭველი პასუხი მოგვეცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰქვინდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა“<sup>1</sup>.

მაგრამ შენდგომ ათეულ წლებშიაც, თვით მარქსისტული იდეოლოგიის გაძლიერების ციხარებაშიც ამ მხრივ საქმე არსებითად დეკლარაციების იქით არ წასულა და უკეთეს შემთხვევაში იგი მე-19 ს. ეკონომიკური განვითარების შესახებ ცალკეულ საგანზეთ და საეურნალო ნარკვევების გამოქვეყნებით თავდებოდა და ყოველივე ამით ისღა ვლინდებოდა, რომ საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების საკითხების მონოგრაფიული შესწავლის საჭიროება საყოველთაოდ იყო აღიარებული.

საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ნამდვილად მეცნიერული, მონოგრაფიული შესწავლის პირობები მხოლოდ მე-20 ს. დამდეგიდან შეიქმნა და მას მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ივანე ჯავახიშვილმა, და იგი ამ მხრივაც დიდებული ილია ჭავჭავაძის ანდერძის გამახორციელებლის როლში გამოვიდა.

იმის გასაგებად, თუ რაოდენი საფუძვლიანობითა და მასშტაბურობით ხასიათდება მისი ეს წამოწყებაც საკმარისია კაცმა წაიკითხოს „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველი წიგნის მეორე გამოცემის წინასიტყვაობა და პირველი კარი.

ივ. ჯავახიშვილს თავისი მკითხველი იმთავითვე შეეყავს დიდ მეცნიერულ

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, 1955, გვ. 175—176.

ლაბორატორიაში: „ეკონომიური ისტორიის შესასწავლად და დასაწერად მკვლევარს, ზოგად ისტორიულ წყაროებს გარდა... უმთავრესად ეკონომიური და ფინანსური შინაარსის ძეგლები სჭირდება... მაგრამ წარსულის ამგვარი ძეგლები სხვა წყაროებზე უფრო ნაკლებად არის ხოლმე დაცული... ამის გამო ეკონომიური ისტორიის აღსადგენად მკვლევარი იძულებულია და ვალდებულიც საჭირო ცნობები ყველგან ეძიოს და ყოველგვარი წყაროები გამოიყენოს“.

მაინც „იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რომელიც ეკონომიური ფინანსური თვისების წყაროებს აქვთ ეკონომისტ-ისტორიკოსისათვის“, იგი სწორედ აქედან იწყებს ღრმა და შინაარსიან კვლევა-ძიებას. მთელი ეს მასალა მას ცალკე ჩგუფებად აქვს დაყოფილი: I. დემოგრაფიული წყაროები... ძველი სტატისტიკური ცნობები მოსახლეობის შესახებ; II. საფინანსო უწყების ძეგლები, გადასახადების სისტემისა და ბიუჯეტის შესახებ საბუთები; III. საკორპორაციო და კერძო მეურნეობის შემოსავალ-გასავლის დოკუმენტები და IV. აღწერილობითი წყაროები, გეოგრაფიული ნაშრომები, უცხოელ მოგზაურთა და ელჩების ჩანაწერები.

ივ. ჭავჭავიძე იღვწის დაწვრილებით იხილავს მოსახლეობის აღწერას ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებს. იკვლევს მოსახლეობის აღწერის პერიოდულობასა და ორგანიზაციას, აღწერის პროგრამის დემოგრაფიულ რაობას და ამის საფუძველზე საზოგადოების წოდებრივ სტრუქტურას, აღწერების სამხედრო და ფისკალურ მიზნებსა და სხვ.

პირველი კარი სახელდობრ იწყება დემოგრაფიული ძეგლების სისტემატური კრიტიკული განხილვა-შეფასებით და ამ დარგის შესაბამისი ქართული ტერმინოლოგიის გამოკვლევით და დადგენით. აქ ივ. ჭავჭავიძე იღვწის გამოკვლევული აქვს, თუ რა ერაქვა წინათ ხალხის აღწერის საბუთებს. შესწავლილია აგრეთვე აღწერის დებულება და წესები საქართველოში.

ივ. ჭავჭავიძე იღვწის წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით შეისწავლა ზემოქართლის სადროშოს მე-17 ს. მეორე ნახევრის ხალხის აღწერის დავთარი, სამროვლოს 1715 წ. დავთარი, მე-17 ს. დამღვეგის ზემო-ქართლის დავთარი, კახეთის ხალხის აღწერის დავთარი, 1721 წ. ხალხის აღწერის დავთრები, ხალხის აღწერის დავთრები მე-18 ს. ნახევრიდან მოყოლებული მე-18 ს. დამღვეამდე, ლახურის ხეობის მე-18 ს. შუა წლების დავთრის ნაწყვეტი, 1774 და 1781 წ.წ. აღწერის დავთრები, ხალხის აღწერა მე-18 ს. უკანასკნელ ათეულებში, ქალაქის აღწერის დავთრები და დიდძალი სტატისტიკური ამონაკრებები აღწერის დავთრებიდან.

მან მოგვცა ამ დავთრების ზოგადი შეფასება და მათი მნიშვნელობის დახასიათება; განიხილა აღწერის დავთრების დაკვირვების არეალი და ცნობათა აუთენტურობის საკითხი.

პირველი კარი მეორე ნაწილი ეხება საფინანსო უწყებისა და თვისების ძეგლებს. ამ მხრივ ივ. ჭავჭავიძე იღვწის კრიტიკულად შეისწავლა ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა — „გარიგების წიგნები“, რომელთაც მე-17 საუკუნიდან ეწოდა „დასტურლამალი“. მან აღნიშნული თვალსაზრისით შეისწავლა მე-14

საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლი „გარიგება ხელმწიფის კარისა“, აგრეთვე ვახტანგ VI „დასტურლამალი“, „მეწინავე სადროშოს ძღვენისა და სამასპინძლოს გარიგების წიგნების ნაწყვეტი“, „კახეთ-ქიზიყის მე-18 ს. შუა წლების გამოსაღების გარიგების წიგნი“, „ქალაქის მოურავის გარიგების წიგნი“, „საეკლესიო სარგოს გარიგების წიგნები“, შემოსავლის დაეთრები — „დაეთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა 1578 წ.“, „დიდი საკათალიკოზო დაეთარი“, ე. წ. „საცაგერლოს დაეთარი“ და სხვ. ასევე ფულდამით ივანიხილა საკორპორაციო და კერძო მეურნეობის შემოსავალ-გასავლის საბუთები, სამონასტრო მეურნეობის ისეთი წყაროები, როგორც არიან სახსენებლები და აღაპები („სულთა მატეანეები“) და სხვ.

საბუთების სიმცირისა და ნაკლოვანების მიუხედავად ივ. ჭავჭავიძე იღმა შესძლო ზოგად იხაზებში წარმოედგინა საქართველოს შუა საუკუნეების სახელმწიფოებრივი ფინანსების, ეკლესიისა და კორპორაციების ფინანსებისა და ფინანსური ორგანიზაციების განვითარების ისტორია.

ამ პირველ წიგნში ივ. ჭავჭავიძე იღმა მიერ ეს საკითხი მეცნიერულად შესწავლილია უმთავრესად წყარომცოდნეობის თვალსაზრისით. რაც შეეხება ფულის, კრედიტის და საერთოდ ფინანსების არსებით მხარეებს იგი მას იკვლევს თავის ნაშრომებში: „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, 1907 წ., „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი II, ნაკვ. II, 1929 წ.; „ქართველი ერის ისტორია“ წ. I, III, IV; „ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა“; „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“, 1946 წ. და სხვ.

ივ. ჭავჭავიძე იღმა ქართული საფასე შესწავლა ნუმისმატიკის თვალსაზრისით, რაც რასაკვირველია მოითხოვდა რიგი მეცნიერული დისციპლინის: პოლიტიკური ეკონომიის, ფინანსური მეცნიერების, სამართლის, ისტორიის, არქეოლოგიის, მეტროლოგიის, ისტორიული გეოგრაფიისა და სხვ. საფუძვლიან ცოდნას.

ივ. ჭავჭავიძე იღმა პირველადი მასალების, ძირითადი ქართული წყაროების საფუძვლზე გააკრევა სხვადასხვა დროს აქ მიმოქცევაში მყოფი ფულის აღმნიშვნელი ტერმინები, ფულის ქართული და უცხოური სახელწოდებანი. მან შესწავლა ფულის მასალა, სამონეტო საქმის ტექნიკური საკითხები, ფულის ლითონური შინაარსი, სინჯი, ლიგატურა, რემედიუმი, ორენოვანი მონეტები, მონეტის ერთეული, მონეტური ფილა, მონეტის რეგალია, სამონეტო შემოსავალი, მონეტის პარიტეტი, ამა თუ იმ ლითონის მონომეტალიზმი ეპოქების მიხედვით და ფულის კურსი.

ივ. ჭავჭავიძე იღმა გამოიკვლია საკრედიტო ურთიერთობათა ქართული ტერმინოლოგია: — სარგებლის საკითხი და სარგებლის კანონიერი სიდიდე საქართველოში, თამასუქი, წინდი და სააღებ-შიცემო კრედიტი; ქართული ფინანსური აპარატი, შესავალისა და შეუვალობის საკითხი, სახელმწიფო ხარჯები — სახელმწიფო მმართველობის, მეფისა და მისი სახლობის, სამხედრო, მშენებლობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა; შესწავლა აგრეთვე სახელმწიფოებრივი შემოსავალი, — სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადა-

სახადები, გადასახადის ობიექტი და სუბიექტი, გადასახადის განაკვეთი, საგანგებო გადასახადები, არაპირდაპირი გადასახადები, გადასახადების სიმძიმე, სამხედრო ალავი და ხარაჯა.

გეოგრაფიული და საერთოდ აღწერილობითი წყაროების მნიშვნელობის გაშუქებას ივ. ჯავახიშვილი იწყებს საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების შესწავლის მხრივ, თავისი დიდი წინამორბედის ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის — „ლეოლრაფიული აღწერა საქართველომას“ განხილვითა და შეფასებით.

საქმე ისაა, რომ „არსად ჩვენი ქვეყნის ბუნება, თვისებები, მოსახლეობა და ეკონომიური მდგომარეობა ისეთი სივრცე-სიღრმით არ არის განხილული და დახასიათებული“, როგორც ვახუშტის ამ ნაშრომშია. „წერილობითი ძეგლების, რუკებისა და დემოგრაფიული წყაროების მიხედვით დაწერილ და ავტორისაგან საქართველოს ადგილობრივს, ყოველმხრივს პირად შესწავლაზე დამყარებული ვახუშტის თხზულება... აუცილებელი საქირო წყარო იქნება“ ყველასათვის, ვინც ამ ქვეყნის წარსულისა და აწმყოს კვლევას აწარმოებს. კიდევ მეტიც. „ცნობათა სიუხვისა და განმაცვიფრებელი მრავალფეროვნების წყალობით ვახუშტის გეოგრაფიის არას დროს მეცნიერებისათვის მნიშვნელობა არ დაეკარგება“ (გვ. 113).

ივ. ჯავახიშვილი სპეციალურად იხილავს, უძველესი ანტიკური მწერლებიდან მოყოლებული უცხოურ ავტორთა თხზულებებს, როგორც საქართველოს ეკონომიკური ისტორიის წყაროებს; იგი ცხადია, შესაბამის ყურადღებას უთმობს ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ მასალას.

მერმე იწყება თვით მეურნეობის ისტორიის კვლევა. მაგრამ ახლა საკითხავია, სახალხო მეურნეობის რომელი დარგებიდან და როგორი თანმიმდევრობით უნდა ყოფილიყო ეს პრობლემა შესწავლილი და გაშუქებული?

რა თქმა უნდა, აგრარული ქვეყნის მატერიალური წარმოების ქვაკუთხედს მიწათმოქმედებისა და მიწათმფლობელობის ვითარება განსაზღვრავდა. ივ. ჯავახიშვილმა სწორედ ეს ყველაზე მართებული გზი აიღო. ამისათვის რამდენადმე გადაუხვია 1907 წ. გამოქვეყნებული პირველი წიგნის სტრუქტურას და 1930 წ. გამოცემული ახლად დაწერილი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველი წიგნის დიდი ნაწილი და მეორეც (1934) მთლიანად მოუძღვნა სოფლის მეურნეობის ისეთ საკითხებს, როგორცაა მიწათმოქმედება—მემინდვრეობა, მიწათმოქმედების ტექნიკა, შრომის ორგანიზაცია და სხვა. შემდეგ მოდის ფრიად ვრცელი, დეტალური და დოკუმენტირებული კვლევა—ძიება მემცენარეობის საკითხებზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მარცვლეულ კულტურებს და მრავალწლიან ნარგავთა შორის კი — მევენახეობას.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მეორე გამოცემისათვის საკითხების სტრუქტურისა და თხზულების მოცულობის წინასწარი ვარაუდები შესამჩნევად შეიცვალა. მერე წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ამ წიგნის მაქარბებელი სიდიდე იმ გარემოებით არის გამოწვეული, რომ ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკის დასახასიათებლად აუცილებლად საქირო წინასწარი გამოკვლევები თითქმის არ არსებობს. არც ბოტანიკურად და არც აგრონომიის ისტორიის თვალსაზრისით ჩვენი სასოფლო



მეურნეობის წარსული მარაგი შესწავლილი არ ყოფილა. უამისოდ კი სასოფლო მეურნეობის ეკონომიკაზე მსჯელობა დაუსაბუთებელი დებულებათა ცარიელი გროვა გამოვიდოდა... ამისათვის იძულებული ვიყავ აუარებელი დრო და ენერგია შეგმელია ისეთი საკითხების გამოკვლევისათვის, რომელიც ბოტანიკოს-აგრონომის მოვალეობას შეადგენს. ამიტომაც არის, რომ ამ წიგნში ბევრი რამეა, რაც უფრო აგრონომიის ისტორიას შეკმევის, ვიდრე წმინდა ეკონომიურ ისტორიას“!

ივ. ჭავჭავაძის მიუთითებს: „ვითარცა ენისა და ისტორიის მკვლევარი, ყველგან, ენათმეცნიერული და ისტორიული მეთოდების გამოყენებით, ვცდილობდი ისეთი საკითხები გამომერკვია, რომელთა სხვა საშუალებით გუმორკვევა შეუძლებელი იყო“. ამასთანავე ივ. ჭავჭავაძის მოითხოვს, რათა ამიერიდან მაინც ჩვენმა არქეოლოგებმა ძველი სამარხების გათხრის დროს ყურადღება მიაქციონ მიწათმოქმედების კულტურის ნაშთებსაც, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის კონკრეტულ განხილვას იგი იწყებს მიწა-წყლის ზოგადი დანაწილების პრინციპების და მიწისმოქმედების დარგების გარჩევით; მიწისა და ნიადაგის ეკონომიკური შეფასებით და საქართველოს ბუნებისა და მიწა-წყლის თვისებათა ზოგადი დახასიათებით. შემდეგ განხილულია წარმოების იარაღები — სახნავი და მიწის დასამუშავებელი სხვა ინვენტარი. ყველა ეს საკითხი შესწავლილია შესაბამისი ტერმინების დადგენითა და განმარტებითურთ. ფართოდ და დასაბუთებულად არის წარმოდგენილი ქართულ სახვნელთა სხვა ქვეყნების სახვნელეთან შედარებითი ანალიზი.

შემდეგ გაშუქებულია მცენარეთმცოდნეობის საკითხები, მცენარეთმცოდნეობის შესახებ ზოგადი მოძღვრება და სოფლისმეურნეობრივი არეები და ზონალობა ძველ საქართველოში.

ამის შემდეგ ივ. ჭავჭავაძის იხილავს მემინდვრეობის კულტურებს, მის შემადგენლობას, რაობასა და სივრცეს. გამოკვლეული აქვს საკვები კულტურების სხვადასხვა ჯიშები: ხორბლეული, ქრთილეული, ბრინჯი, შვრია, სვილი, ჭვავი, სიმინდი, ფეტვნიანი. შესწავლილია აგრეთვე მიწის ნაყოფიერება და მოსავლიანობა ძველ საქართველოში, მემინდვრეობის კულტურის დონე, მისი წარმომავლობის საკითხი, ხორბლეულისა და ქრთილეულის ჯიშების გაჩენის ქრონოლოგიური ჩარჩოები და ძალიან საინტერესოდ განხილულია საკვებ მცენარეთა არეების არსებობის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკისა და სახელმწიფოებრიობისათვის.

მთავარი იდეა, რაც ივ. ჭავჭავაძის ამოძრავებდა, რათა ქართული მიწათმოქმედების კულტურის ისტორია ესოდენ ვრცლად და დეტალურად გაეშუქებინა, იყო ჩვენება იმისა, „...რომ ქართველი ერის მოღვაწეობა მართო პოლიტიკური, სოციალური და კულტურის ასპარეზით არ განისაზღვრებოდა, არამედ მეურნეობაშიც მას დაუცხრომელი მუშაობა უწარმოებია და.. მისი საქმიანობა ამ დარგში საკმაოდ ნაყოფიერი ყოფილა. თუ აქამდის ჩვენ უცხოელებთან ჟმთავრეს ბრძოლის ამბები ვიცოდით, ახლა უკვე ვრწმუნდებით, რომ ამას გარდა მეურნეობის სფეროში მათთან ურთიერთობაც ყოფილა და პოლი-

ტიკურ ბრძოლისდა მიუხედავად, მარტო მეზობელთა კი არა, არამედ მოწინააღმდეგეთა ქვეყნებითგანაც მეურნეობის სფეროში გამოსადეგი მონაპოვარი და მნიშვნელოვანი გამოცდილებაც გამოუყენებია, ისევე, როგორც ქართულ სასოფლო მეურნეობასაც სხვათა მეურნეობაში თავისი წვლილი შეუტანია“ (ტ. II, გვ. VI).

უნდა ითქვას, რომ ამ დებულების საილუსტრაციო მასალაც ბლომად არის მოყვანილი და ობიექტურად გაშუქებული...

თხზულებათა მეოთხე ტომს დამატების სახით ერთვის ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი „ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII სს“, რომელიც გამოქვეყნდა ეურნალ „პრომეთეში“, 1918 წ. №1. თვით ავტორისავე განცხადებით ეს ნაშრომი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის ჯერ დაუბეჭდავ უკანასკნელი წიგნითგან არის ამოღებული“.

ივ. ჯავახიშვილის ხსენებულ ნაშრომში გაშუქებულია საქართველოში საქალაქო წყობილების, მოსახლეობის რაოდენობის, ქალაქის მმართველობის, სასამართლო საქმის, ფაცვლის, ადგილობრივი ფინანსური მეურნეობის, ხელოსნობის, მრეწველობისა და სხვ. საკითხები.

სამწუხაროდ, ივ. ჯავახიშვილმა „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ დამთავრება ვეღარ მოასწრო, მიუხედავად იმისა, რომ 1920-იანი წლებიდან იგი სისტემატურად მუშაობდა სხვა მრავალთა შორის ამ პრობლემებზედაც და ამასთანავე უნივერსიტეტშიც კითხულობდა უალრესად საინტერესო კურსს ამ დისციპლინისა.

მას, როგორც თვითონ აცხადებს (ტ. I, გვ. IV), ყოველივე იმის ჩაწერაც კი ვერ მოუხსწრია, რასაც ლექციების სახით სტუდენტებს უკითხავდა. მის არქივში დაცულია მასალა მომდევნო მესამე და მეოთხე წიგნებისათვის, რაც, ცხადია, გათვალისწინებული იქნება ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემისას. აქვე შეიძლება ისიც ითქვას, რომ გარდაცვალების შემდეგ უკვე გამოქვეყნდა მისი არქივის რიგი მასალა სახალხო მეურნეობრივი და საერთოდ მატერიალური კულტურის ისტორიის საკითხებზე.

თხზულებათა IV და V ტომში აღმოსავლური (არაბული, თურქული, სპარსული და სხვა) და ბიზანტიური (ბერძნული) წყაროებისა და ტერმინთა დაწერილობა შემოწმებულია აკად. ს. ჯიქიას, პროფ. ნ. ლომოურის, პროფ. კ. კუციას, უფრ. მეც. თანამშრ. ნ. მახარაძის, თ. მესხისა და ნანა წაქაძის მიერ, რომელთაც მადლობას მოვახსენებთ.

რედაქციამ შეასწორა კორექტურული შეცდომები, წერითი ლაპსუსები, დააზუსტა ზოგიერთი გამოყენებული ლიტერატურის (წიგნის) სახელწოდება და გამოცემის თარიღები და სხვ.

ივ. ჯავახიშვილი

საქართველოს  
ეკონომიური ისტორია

წიგნი პირველი



## მეორე გამოცემის წინასიტყვაობა

„საქართველოს ეკონომიური ისტორია“ პირველად 1907 წელს გამოქვეყნდა. იმ დროს ჯერ არც „ქართული საისტორიო წყაროების მიმოხილვა“ და არც „ქართველი ერის ისტორია“ დაბეჭდილი არ მქონდა. ზემოდასახელებულ თხზულებათათვის ბევრი საკირო წინასწარი კვლევა-ძიება დაწერილიც-კი არ იყო. მაშინ „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნის გეგმის გარდა არა მომეპოვებოდა რა. ამიტომ იმ დროს და იმ პირობებში „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ დაწერის განზრახვა ეხლა ქაბუკურ გამბედაობად მეჩვენება. მაინც სიფრთხილემ მიკარნახა, რომ ეკონომიური ისტორიის განხილვა მხოლოდ მე-IX ს-ითგან დამეწყო ქ. შ. და სასოფლო მეურნეობის ეკონომიკითგან მარტო ერთი საკითხის ფარგლებით შემომეზღუდა („მიწისმფლობელნი და მიწისმოქმედნი“) და სხვას არაფერს შეეხებოდი.

ამ სიფრთხილეს ვუმაღლო ეხლა, რომ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველი გამოცემის 23 წლის შემდგომაც იქ გამოთქმულ აზრებისა და დებულებათაგან ბევრი არაფერი მაქვს შესაცვლელი და უარსაყოფელი. სამაგიეროდ ხელახლად დასაწერი და შესავსებელი-კი აუარებელი მომეპოვება.

„საქართ. ეკონ. ისტ.“-ის პირველი გამოცემის შემდგომ მოესწრო „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ (V—XVIII ს. ს., იხ. „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა“, წიგნი I), „ქართველი ერის ისტორიის“ სამი წიგნის (I, II და IV), „ქართული საფას-საზომთა-მცოდნეობის ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგიისა“, „ქართული დამწერლობათა-მცოდნეობის, ანუ პალეოგრაფიისა“, „ქართული სიგელთა-მცოდნეობის ანუ დიპლომატიკისა“ და სულ ბოლოს აგრეთვე „ქართული სამართლის ისტორიის“ სამი წიგნის გამოქვეყნება. ამ 10 წიგნის დაბეჭდვის შემდგომ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ დასაწერადაც ნიადაგი საკმაოდ მომზადებული იყო.

1923 წ. ხანშეტი პალიმპსესტების აღმოჩენამ და ამასთან დაკავშირებით დაბადებისა და ოთხთავის ქართული თარგმანების ხნირების გამოკვევამ საშუალება მოგვცა იქ ნახმარ ტერმინოლოგიას დავერდნობოდით და ბერძნულ-ლათინურ - ქართულ შესატყვისობათა გათვალისწინებით კლასიკური მწერლების საქართველოს აღწერილობაში მოყვანილი ცნობების შინაარსიც რეალური სისწორით გამოგვერკვია. ამასთანავე 1923 წლითგან მოყოლებული ჩვენებურ კულტურულ მცენარეთა მონოგრაფიული შესწავლაც გაცხოველდა აგრონომების მხრით და ამის წყალობით ვემინდერეობის კულტურის თანამედროვე რაობაც უფრო მკაფიოდ წარმოგვიდგა. ყველა ზემოდასახელებული გარემოება „საქ. ეკონ. ისტორიის“ უძველესი ხანის სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის შესწავლასაც შესაძლებლად ჰხდოდა.

როდესაც 1918 წ. ჩვენი ტფილისის უნივერსიტეტი დაარსდა, საქ. ეკონ. ისტორიის საბოლოო დამუშავება კვლავ მორიგ აუცილებელ ამოცანად წარმო-  
მიდგა, რათავან ამ კურსის წაკითხვა მიხდებოდა და 1927 წლამდე ეს საგანი ჩემ  
ხელში იყო. მაგრამ უნივერსიტეტის საქმეებით დატვირთულს იმდენი მოცალეობა  
არ მქონდა, რომ ყველაფერი ის მაინც ჩამეწერა, რასაც ლექციების სახით სტუ-  
დენტებს ვუკითხავდი. მხოლოდ მე - II, III ნაწილობრივ და მთლიანად IV წიგნის  
დაწერა მოვასწარ. პირველი წიგნისათვის მართო წყაროებითგან ამოკრებილი  
მასალები შემრჩა.

ქართველი ერის ისტორიის\* I წიგნის მესამე გამოცემისა და „ქარ. სა-  
მართლის ისტორიის“ ბექდვის გამო მარტო 1929 წ. გაზაფხულითგან მოყოლებუ-  
ლი შემეძლო „საქ. ეკონ. ისტორიის“ I წიგნის საბოლოო დამუშავებასა და  
წერას შევდგომოდი. ამ პირველი წიგნის უდიდესი ნაწილი, წყაროების მი-  
მოხილვის გარდა, თითქმის მთლად სწორედ ამ უკანასკნელი წლის განმავლობა-  
შია დაწერილი.

„საქ. ეკონ. ისტორიის“ დაწერის დროსაც უპირველესად წყაროების  
განხილვისათვის უნდა მიმექცია ყურადღება, რომ ერთი მხრით შემდეგში ამ  
საკითხზე სხვადასხვა ალაგას მსჯელობა აუცილებელი არ გამხდარიყო, მეორე  
მხრით რომ ყველას, ვინც ამ საგნის საფუძვლიანად შესწავლას მოისურვებდა,  
წყაროებით სარგებლობა გაადვილებული ჰქონოდა.

უნდა აგრეთვე თვით ეკონომიური ისტორიის ასპარეზის სასურველი  
სახელები გამომერკვია: რა უნდა ყოფილიყო განხილული, რომ ძველი სა-  
ქართველოს ეკონომიური ისტორია მთელი თავისი სიღრმითა და სივრცით  
წარმოგვედგინა? ამ საკითხზე მსჯელობის დროს ჩემთვის ცხადი შეიქმნა, რომ  
სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის გარდა, სამეურნეო ტენზიკისა და ცოდნის  
განვითარება და ღონეც უეჭველად უნდა ყოფილიყო გამორკვეული, რომ მეურნეო-  
ბის ვითარება, მისი დროთა განმავლობაში წარმატება, თუ დაქვეითება ადა-  
მიანს უფრო მკაფიოდ წარმოსდგომოდა. ბოტანიკურ-აგრონომიული ცოდნის  
დახასიათება იმიტომაც იყო აუცილებელი, რომ შემდეგში, სასოფლო მეურნეო-  
ბაზე მსჯელობის დროს ნახშირი ქართული ტერმინებით გასაგები გამხდარიყო.

სწორედ ამ მოსაზრებამ გვაიძულა, რომ სასოფლო-სამეურნეო იარაღების  
განვითარების ისტორიისა და მცენარეთამცოდნეობის განხილვისათვის განსა-  
კუთრებული ყურადღება მიგვექცია. ორივე სასოფლო მეურნეობისათვის ძირი-  
თად საკითხს წარმოადგენს და მკითხველი, წიგნის ამ ნაწილის გაცნობის  
შემდგომ, ზომდევნო ნაწილებისა და წიგნების გადაკითხვას რომ შეუდგება,  
თითონაც დააწმუნდება, რომ მცენარეთამცოდნეობის დონის გაუთვალისწი-  
ნებლივ ბევრი რამე სრულებით გაუგებარი იქმნებოდა და არა ერთ დებულებას  
სათანადო დამაჯერებელი ძალაც მოაკლდებოდა.

„საქ. ეკონ. ისტორიის“ ამ I წიგნში მხოლოდ პირველი კარია, რომელიც  
წყაროებს ეხება, და მეორე კარის, „სასოფლო მეურნეობის“ ზოგადი ნაწილი და  
მემინდვრეობის დარგია განხილული. დანარჩენი დარგები ისევე, როგორც მოსახ-  
ლერბაზე, სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობასა, საქალაქო წესწყობილებასა და

ვაქრობა-მრეწველობაზე, კერძო, საკორპორაციო და სახელმწიფო მეურნეობის წარმოების წესებსა და ფინანსებზე შემდეგ წიგნებშია საუბარი. პირველი სამი წიგნის ქრონოლოგიური საზღვარი მე-XIII ს. დამდეგს არ სცილდება ქ. შ. და მე-XIII - XVI სს. ვითარების განხილვა მხოლოდ მე-IV წიგნითგან იწყება.

რაკი სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის განხილვა მხოლოდ მეორე წიგნში იქმნება დამთავრებული, ამიტომ ამ პირველი წიგნის ყველა საძიებლებიც მეორე წიგნშივე დაიბეჭდება.

ამ წიგნის წერის დროს არა ერთხელ ჩვენ წიგნსაცავებში სპეციალური უახლესი მწერლობის უქონლობა მამბკოლებდა. ამიტომ დროგამოშვებით სხვადასხვა სპეციალისტების შეწუხება მიხდებოდა, რომ მათი წიგნსაცავით მესარკებოლა ან და მათი აზრი გამეგო. ამის გამო ჩემ სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია გულითადი მადლობა მოეახსენო ყველა ქვემოჩამოთვლილ პირთ: პროფ. ილ. ჯანდიერს, დოც. იულონ ლომაურს, დოც. სოლ. ჩოლაყაშვილს, პროფ. აკ. შანიძეს, დოც. არ. ჩიქობავას და ვარ. თოფურიას, პროფ. ლეონ შელიქსეთბეგს, ლექ. გ. ჩიტაიას, ასისტენტებს ნ. კეცხოველს, კ. მენაბდეს და ვალ. სუპატაშვილისას. განსაკუთრებით დავალებული ვარ პროფ. ს. ყაუხჩიშვილისა, პ. ინგოროყვას, დოც. ს. ჯანაშიას, დოც. ვ. ყანჩაველისა და დოც. იულონ ლომაურისაგან, რომელთაც ამ წიგნის კორექტურის გადაკთხვით საქმე გამიადვილეს. მოვალედ ვრაცხ მადლობა მოეახსენო დოც. შალვა ამირანაშვილსაც ხელთნაწერებითგანა და წიგნებითგან ჩემთვის სურათების გადაღებისა და ლექტ. გ. ჩიტაიას მე-5, 6, 8 და 10 ნახატების კლიშეების დათმობისათვის, ხოლო ტპოგრაფ ევსევი ბარამიძეს რუკის დახატვისათვის.

დასასრულ უდიდესი მადლობა გამომცემლობა „ქართული წიგნის“-ს მესვეურთ, რომელთაც დიდი მზრუნველობა გააწიეს ამ წიგნის სათანადოდ გამოცემისათვის.

ივ. ჯავახიშვილი

ტფილისს

1930 წელს ივნისის 10-ს.

## ქარაზმიანი სიტყვებისა და უწოდებულ სათაურების განმარტება.

ათ. აღ. = ათონის ქართ. მონასტრის აღაპები.

არხ. მოგზ. = ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი I, 1907 წ.

Арх. Экс. = Е. Такайшвили. Археологические экскурсии, разыскания и заметки.

გგრ. ფა. = გეოგრაფია.

დასტურ. = დასტურლამალი მეფე ვახტანგ VI-ის, პ. უმიკაშვილის გამოც.

დ. კარიკ. = დ. კარიკაშვილის გამოც.

ისტ. რნი და აზ. შნი = ისტორიანი და აზმანი შარავენდელდანი, იხ. მარიამ დედოფ. ქ. ცა, ე. თაყაიშვილის გამოც.

ИАН = Известия Российской Академии Наук.

ისტ. საბ. = ისტორიული საბუთები, გამ. ს. კაკაბაძის მიერ.

Keimena = Monumenta Hagiographica Georgica, Pars prima Keimena Tom. I...  
eddit Prof. Kornelius Kekelidze, Tiflis, 1918.

Kpf. und Ht. = Kulturflanzen und Haustiere 8. Auflage, 1911 წ.

ლ. ტიშევ. ან ლ. SC = Латышев, Scythica et Caucasia.

მ. გ. = მეგრული გრამატიკა, პროფ. იოს. ყიფშიძის.

Мгхзлак. Вост. Грузин = Материалы по изучению географии хлебных злаков  
Восточной Грузии в связи с их зональностью, В. Менабде.

МИЭБГКЗК = Материалы по изучению экономического быта госуд. крестьян  
Закавказского края.

მქ. ე. ქ. ე. = მოქცევა ქართლისაჲ.

Опис. = Описание рукописей „Общества распространения грамотности среди  
грузинского населения“, შედგ. ე. თაყაიშვილის მიერ.

Reisen = D. Johann Anton Gldenstdt, Reisen durch Russland und  
im Caucasischen Gebrge, 1787 და 1791 წ. გამოცემა.

R.-E. = Paulys Real-Encyclopdie.

საქ. სამ. = საქართველოს სამოთხე, მ. საბინინის გამოც.

ს. ქს ს. ჯლნი = საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტ. გამო-  
ცემული.



TP = Тексты и разыскания по Армяно-Груз. Филологии.

ქ<sup>ე</sup>ბი = ქრონიკები, გამ. თ. ქორდანიას მიერ.

ქ<sup>ე</sup>სა = ქრონიკონსა.

ქ<sup>ე</sup>ა = ქართლის ცხოვრება.

შიომღ. საბ. = შიომღვიმის მონასტ. ისტორიული საბუთები, გამოც. თ. ქორდანიას მიერ.

ც<sup>ა</sup> მ<sup>ე</sup>ფსა ვბ<sup>ე</sup>ტნგსი, ან ვბ<sup>ე</sup>ტნგ გრ<sup>ე</sup>გსლსა = ჯუანშურ, ცხოვრება მეფისა ვახტანგ გორგასლისაჲ. იხ. მარიამ დედოფ. ქ<sup>ე</sup>ა, ე. თაყაიშვილის გამოც.

ც<sup>ა</sup> გ<sup>ე</sup>ი მთ<sup>ე</sup>წმდლსა = ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისაჲ, იხ. ათონის კრებული, საეკლესიო მუშ. გამოც.

ც<sup>ა</sup> გგ<sup>ე</sup>ლ ხანძ<sup>ე</sup>თლსა = ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისაჲ, ნ. მარჩის გამოც.

ც<sup>ა</sup> დ<sup>ე</sup>თ გრგ<sup>ე</sup>ლსა = ცხოვრება დავით გარეჯელისაჲ.

ც<sup>ა</sup> ი<sup>ე</sup> ზედაზნ. = ცხოვრება იოანე ზედაზნელისაჲ,

ც<sup>ა</sup> ი<sup>ე</sup>სი და ეფთ<sup>ე</sup>მსი = ცხოვრება იოანესი და ეფთჳმესი, იხ. ათონის კრებული.

ც<sup>ა</sup> მეფეთა — ლეონტი მროველი. ცხოვრება მეფეთა, იხ. მარიამ დედოფ. ქ<sup>ე</sup>ა.

ც<sup>ა</sup> მფ<sup>ე</sup>სა დ<sup>ე</sup>თსი = ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, იხ. მარიამ დედოფ. ქ<sup>ე</sup>ა.

ც<sup>ა</sup> სრპ<sup>ე</sup>ნს ზრზ<sup>ე</sup>მლსა = ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისაჲ, მ. ჯანაშვილის გამოც.

Voyage: - Voyage au Mont Caucase et en Géorgie par M. Jules Klaproth, Paris, 1823 წ. გამოც.

ქ. გ. — ქანური გრამატიკა, ნ. მარჩისა.

რიცხვის წინ დასმული \* ხელთნაწერის გვერდს აღნიშნავს.



კარი ჰიგველი

საქართველოს ეკონომიური ისტორიის  
წყაროები



## საქართველოს ეკონომიური ისტორიის წყაროები

ეკონომიური ისტორიის შესასწავლად და დასაწერად მკვლევარს, ზოგად ისტორიულ წყაროებს გარდა, რომელთა შესახებ განსაკუთრებული მონოგრაფია არსებობს (იხ. ჩემი „ისტორიის წყაროები, მიზანი და მეთოდები“ 1) და სიგელ-გუჯრებისა, რომელთა შედგენისა და სარგებლობის ძირითადი საკითხები ცალკე გამოკვლევაშია განხილული (იხ. ჩემი „ქართული სიგელოა-მკოდნეობა, ანუ დიპლომატიკა“), უმთავრესად ეკონომიური და ფინანსური შინაარსის ძეგლები სკირდება. მის მთავარ წყაროს სწორედ ასეთი თვისების ძეგლები უნდა შეადგენდენ. მაგრამ წარსულის ამგვარი ძეგლები სხვა წყაროებზე უფრო ნაკლებადაც არის ხოლმე დაცული და შედარებით უფრო მერმინდელი ხანისადაც არის ხოლმე შერჩენილი. ამის გამო ეკონომიური ისტორიის აღსადგენად მკვლევარი იძულებულია და ვალდებულიც საჭირო ცნობები ყველგან ეძიოს და ყოველგვარი წყაროები გამოიყენოს.

იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რომელიც ეკონომიურ-ფინანსური თვისების წყაროებს აქვთ ეკონომისტ-ისტორიკოსისათვის, პირველად სწორედ ამ დარგის წყაროების შესახებ უნდა იყოს საუბარი. ეს წყაროები რამდენიმე ჯგუფად უნდა დაიყოს. პირველ ჯგუფს დემოგრაფიული წყაროები შეადგენენ, ძველი სტატისტიკური ცნობები მოსახლეობის შესახებ, სახელდობრ ხალხის აღწერის წიგნები. მეორე ჯგუფს საფინანსო უწყების ძეგლები, გადასახადების სისტემისა და ბიუჯეტის შესახები საბუთები ეკუთვნიან. მესამე ჯგუფს საკორპორაციო და აერძო მეურნეობის შემოსავალ-გასავლის ყოველნაირი საბუთები შეადგენენ.

ამ წყაროების ქვემოთყვანილი განხილვა სწორედ ამ რიგად იქმნება დალაგებული. ყველა ასეთი წყაროების განხილვის დროს მთავარი ყურადღება მათ ქრონოლოგიურ განსაზღვრას, შედგენის ტექნიკურ წესებსა და შინაარსის ზოგად დახასიათებას ექმნება მიქცეული.

## ქ. დ ე მ ო ზ რ ა ფ ი უ ლ ი ქ ე ზ ლ ე ბ ი

თავი პირველი. ხალხის აღწერა

### § 1. ხალხის აღწერის პირობების შესახებ საქართველოში

პირველად როდის შემოიღეს საქართველოში ხალხის აღწერა, ჯერ არა ვიცით რა. უძველესი ქართული საისტორიო წყაროების დალუპვა ასეთი საკითხების გამორკვევის საშუალებას მკვლევარს არ აძლევს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ რიცხვთა 1, და 1<sup>ა</sup>-ში, რომელშიაც ებრაელთა შორის პირველად განხორციელებული ხალხის აღწერის ამბავი და გარემოება არის მოთხრობილი, ტერმინად „ალრიცხვა“ არის ნახმარი: „იწყე შენ აღრიცხვად ყოველთა... ძეთა ისრაელისთა, ნათესავთა მათთა... რიცხვ სახლთა მათთაჲ თავად-თავადისა მათისა“... „ყოველი ქაბუკი ოცი თ წლითგან და უზეშთაესი... აღრიცხნეთ იგინი“-ო.

„აღრიცხვაჲ“, ანუ „აღრიცხვა“ უდრის ბერძნულს *ἀριθμός*-ს, ლათინურ *numerus*-ს და *numero*-ს.

მაგრამ ამავე ცნების აღსანიშნავად ლუკას 2<sup>ა</sup>-ში ნახმარია „აღწერაჲ“, რომელიც ლათინურს *descriptio*-ს უდრის.

ეს ტერმინები შემდეგში, ქართული საისტორიო თხზულებებშიაც გვხვდებიან ამავე ცნების გადმოსაცემად. მაგ., ჯუან შეერს ნათქვამი აქვს, რომ ბიზანტიელებმა არაბთა შემოსევის დროს კავკასიისა და საქართველოს დატოვების წინ „დაფლენეს განძნი იგი მათნი... და შეიტანნეს ყოვლისა საგანძურისა გუჯარანი და აღწერეს ნათესავი თვისი და ქუეყანა და დადვეს, რათა ოდეს მოვიდეს ბერძენნი, მით გუჯრითა მოიქინნენ ნათესავნი მათნი და თვთოეულად განუყონ განძი და ქუეყანა“ (ც<sup>ა</sup> მ<sup>ა</sup>ფსა ებტნ<sup>ა</sup>გსი \*418, გვ. 199).

ქართ. ეამთა აღმწერელსაც მოთხრობილი აქვს, რომ მონღოლთა ყაენის განკარგულებით არღუნი „მოიწია საქართველოსა“ და „დიდსა ქირსა მიეცნეს ყოველნი მკვდრნი სამეფოსა და ვითისანი“, რათგან „იწყეს აღწერად ქაცთაგან და პირუტყვთამდე, ყანით ვენაკთამდე; [და] წაღკოტი თ ბოსტანამდე“ (\*819, გვ. 664).

ცნობა საქართველოში ხალხის აღწერის წესის არსებობის შესახებ მე-XII ს-მდე ჯერ არ მოგვეპოვება, მაგრამ, უეჭველია, ეს გარემოება შემთხვევითი მიზეზით, მრავალი უძველესი ძეგლების დალუპვით აიხსნება. საყურადღებოა, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს აღნიშნული აქვს (ც<sup>ა</sup> მ<sup>ა</sup>ფსა დ<sup>ა</sup>ვთსი \*542; გვ. 309), რომ შარვანში შემოსეული სულტნის წინააღმდეგ გალაშქრების წინ ბრძანებისა-

მებრ „შოვიდეს ყოველნი წინაშე მისსა სამეფოსა მისისანი“ (იგულისხმება: სპანი) ღ როცა დაეთ აღმაშენებელი „წარმოემართა“ სულტანსა ზედა, ყივჩაყნი ოდენ აღთუალულ იყუნეს მაშინ და იპოვა შიჩ-ხი (ე. ი. 50.000-იო). „მაშინ“ მხოლოდ ყივჩაყნი ყოფილან „აღთვალული“; უმეველია, გალაშქრების სისწრაფის აუცილებლობის გამო, ჩვეულებრივ-კი, როგორც ირკვევა, მთელი სპის აღთვალვა ყოფილა წესად მიღებული. თუ ჯარშია-კი შემართა აღთვალვა-აღწერა მიღებული ყოფილა, მით უმეტეს ხალხის აღწერა წესად უნდა ყოფილიყო.

რა ეწოდებოდა ძველად იმ წიგნსა და საბუთს, რომელშიაც ხალხის აღწერა შექმნდათ ხოლმე, ჯერ არ ჩანს, მაგრამ სტ. ორბელიანის ერთი ცნობითგან ცხადი ხდება, რომ მე-XIII ს. მეორე ნახევარში მაინც „ღავთარი“ პრკმეცია (იხ. ჩემი „ქართული სიგელთა-მცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა“ 1926, 39), ე. ი. იგივე სახელი, რომელიც ასეთ ძეგლებს შემდეგში ჩვეულებრივ ეწოდებოდათ ხოლმე.

ერეკლე I-ისაგან 1689 წ. ბოძებული საბუთითგან ჩანს, რომ თვითოეული ოთხი სადროშოს სათავეში მდგომი სარდარი ვალდებული იყო შეიდ წელიწადში ერთხელ თავის ხელქვეშეთი სადროშოს მოსახლეობა აეწერიებინა და ხალხის აღწერის დავთარი ჰქონოდა (იხ. დ. ფურცელაძის, Гр. яз. д. в. р. г. р. а. м., გვ. 10, 11).

თუმცა ვახტანგ მე-VI-ის მეფობის-დროინდელი ხალხის აღწერის თარიღიანი სრული დავთარი მხოლოდ 1721 წლისა არის დაცული, მაგრამ ასეთი დავთარები რომ ამაზე უწინარესად არსებობდა და მთავრობასა და მის ორგანოებს ხელთ ჰქონდათ, რომ მათი ცნობებით ხელმძღვანელობდენ და სხვადასხვა საკითხის გამოსარკვევად სარგებლობდენ ხოლმე, ამას 1704 — 11 წ. შედგენილი „დასტურლამალი“-ც ხად-ჰყოფს. სახელმწიფო შემოსავლის საყარაუდო აღრიცხვის შესადგენად, შემოსავლის რაოდენობის წინასწარ დაახლოევებით გამოსაანგარიშებლად ამ საკანონმდებლო ძეგლში საფუძველად სწორედ მოსახლეობის რაოდენობის შესახები ცნობებია აღებული, რომელიც, უმეველია, ხალხის აღწერის დავთარებითგან უნდა იყოს ამოღებული. დასტურლამალში, მაგ., ნათქვამია: „ყო დის ჰურიისა (სახელმწიფო გადასახადის სახელია) თუ აწერამდინ რამდენი გამოვია: არის ზემო-ქართლი, ბოგანოს გარდა, თარხანი და გამომღები საკომლო ჰა (601). ამისგან თარხანი არის ნე (56), გამომღები ფმე (545). ამ გამომღებს სძეს“ ამდენი და ამდენი გადასახადიო (დასტურ., 44 და 141). მოსახლეობის შესახები ასეთივე სტატისტიკური ცნობები მაშინდელი ქართლის სამეფოს დანარჩენი ნაწილების შესახებაც არის ამავე ძეგლში მოყვანილი (იხ. გვ. 60, 74, 85 და 149).

კახეთშიც ძველადაც ხალხის აღწერის დავთარების არსებობას ერთი 1778 წ. მორიგების წიგნის ცნობაც დასტურებს. ამ საბუთში აღნიშნულია, რომ სასამართლოში გასარჩევი სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის დასადებლად და მიმძღვრებულის წოდებრივი ღირსების გამოსარკვევად „მოსამართლეთ ძველი და პირველი კახეთის დავთარები მოიკითხეს და გაშინჯეს“-ო (სქს სძეწნი, 1, 420).

## § 2. ხალხის აღწერის შესახები დებულება და წესები საქართველოში

ხალხის აღწერის გარკვეული წესები არსებობდა, რომელიც, ვითარცა წარსულით ნაანდერძევი დებულება, ვახტანგ მე-VI-ესაც აქვს თავის „დასტურლამალ“-ში შეტანილი. „როდესაც ქართლი (იგულისხმება ქართლის სამეფო) აღწერილა და ან აღიწერების, ამ წესით უნდა აღიწერებოდეს“-ო (დასტ. 13). ამ წინადადების უკანასკნელი ნაწილი პირველი ნაწილის შინაარსის მიხედვით უნდა შესწორდეს, რათგან თავდაპირველად მეორე ნაწილში უნდა წერებულყო, „ამ წესით აღწერილა და უნდა აღიწერებოდეს“-ო.

აღწერის წესი სამეფოს ოთხ სადროშოდ, ან სასარდლოდ დაყოფის პრინციპზე იყო დამყარებული და ხალხის, ან „ქვეყნის აღწერა“-აც ოთხ სააღმწერლო ერთეულად იყო გაყოფილი და მთელი სამეფოს მოსახლეობის აღწერა ოთხ დავთარში უნდა ყოფილიყო მოთავსებული.

მეწინავე სადროშოდ ქართლის სამხრეთი ნაწილი, საბარათიანო და სომხითი, ყაიყული, ტაშირი და ყაიყულის თრიალეთი ითვლებოდა.

შემდეგ ზემო-ქართლის სადროშო მისდევდა, რომელიც ნეძვის, კორტანეთის და ტაშისკარიტგან მოყოლებული მთელ ზემო-ქართლსა და საამილახვროს შეიცავდა. ამ სადროშოს სათავეში „ზემო-ქართლის სარდარი“ იდგა. მტკვრის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალი სადგერიტგან მოყოლებული მეწინავე სადროშოს საზღვრამდის მეფის სადროშოდ ითვლებოდა და ამიტომ „ბატონის სადროშო“ ეწოდებოდა.

მუხრანისა და ქსნისა და არაგვის საერისთაოს მიწა-წყალი სამუხრანბატონის და მეოთხე სადროშოს შეადგენდა (დასტურ. 13—14). სათავეში მას მუხრან-ბატონი ედგა.

აღწერის წესის თანახმად, მეწინავე სადროშოში, იმგვარადვე, როგორც დანარჩენ სადროშოებში, თავ-თავისი სარდალი უნდა წასულყო და ერთი მდივანი წაეყვანა თან. მეფის სადროშოს აღწერის დროს, „ეისაც ბატონი (ე. ი. მეფე) უბრძანებს, ის წავა“ სარდლის მაგიერო. სარდალი, რასაკვირველია, მიდიოდა მხოლოდ ვითარცა სადროშოს მეთაური და ქვეყნის გამგე. მდივანი-კი სწორედ ხალხის აღწერი უნდა ყოფილიყო და დავთარიც ნას უნდა ჰქონოდა: „მდივანი წავა აღწერის და დავთარს დაიჭერს“-ო (დასტურ. 13). მეწინავე, მეფისა და მუხრან-ბატონის სადროშოებში უნდა მეფის მდივნები წასულიყვნენ, ზემო-ქართლის სადროშოში-კი დედოფლის მდივანი (დასტურ. 13—14).

ხალხის აღსაწერად მიმავალ სარდალს, რასაკვირველია, თან ამაღა და მხლებლები მისდევდენ: „სარდარს... ბევრი კაცი ახლდების“-ო. მდივანს-კი მხოლოდ ერთი კაცი შეიძლება ჰყოლოდა (დასტურ. 13). აღმწერელ მდივანს ხალხის აღსაწერად უნდა სოფელ-სოფელ ჩამოეცლო. ზოგან, სადაც მოსახლეობა პლომად იყო, აღმწერელნი აღწერის დროს უნდა ჩამომეტარიყვნენ, — პატარა-პატარა სოფლებში-კი თავიანთი მოვალეობის ასრულება უაზნისოდაც შეეძლოთ.

აღწერისათვის წასულ მოხელეებს ამ სამუშაოსთვის განსაკუთრებული „ხარგო“ ეკუთვნოდათ, რომელსაც „აღსამწერლო“:



ან „ახამწერლო“ ეწოდებოდა, და ამას გარდა ქამა-სმაც ეძლეოდათ, რომელსაც „ულუფა“-ს ეძახდენ.

აღსამწერლოც და ულუფაც ასაწერ მოსახლეობას უნდა გამოეღო. კანონით ისე იყო დაწესებული, რომ, რომელ სოფელშიაც აღსაწერად მოსულნი „ჩადგებოდენ, იმ სოფელმა საკომლომ ორი შაური და ბოგანომ ერთი შაური აღსამწერლო უნდა გამოიღონ“ და ამას გარდა „დახდომითაც (ი. ი. ქმევით) ის სოფელი უნდა დახუდეს“-ო. ხოლო „რომელსაც სოფელში არ ჩაუდგებიან და ისრე აღწერდენ“ სარდალ-მდივანი და ჩუდგომლობის გამო მათი გამასპინძლებაც არ მოუხდებოდათ, „იმ სოფლის საკომლომ აბასი და ბოგანომ ორი შაური უნდა გამოიღოს“-ო (დასტურ. 13).

ქალაქების მოსახლეობის აღწერა ქვეყნის სასოფლო მოსახლეობის აღწერისაგან გამოყოფილი იყო. რასაკვირველია, აქ უმთავრესად დიდ ქალაქებზეა საუბარი. დებულებით ქალაქშიაც აღწერა „შვდს წელიწადში ერთხელ მოხდების“. აღმწერელის დანიშვნა მეფეზე იყო დამოკიდებული. ასამწერლო აქაც იყო დაწესებული, სახელობრ „კომლზედ ორი შაური“. ულუფა-კი, რასაკვირველია, ქალაქის აღმწერელს არ ეძლეოდა (დასტურ. 86).

უბინადრო მოსახლეობისათვის, რომელიც მესაქონლეობას მისდევდა და, თურქთა ტომებისაგან შემდგარი, „ელი“-ს სახელით იყო ცნობილი, რასაკვირველია, აღწერა უფრო ხშირად იყო საჭირო, რათგან მათი მდგომარეობა უფრო ცვალებადი იყო. ამიტომაც იყო დაწესებული, რომელი „სამს წელიწადში ერთხელ აიწერების“-ო (დასტურ. 75).

**თავი მხორა. ხალხის აღწერის დაგეგმვა მე-XVII ს. — მე-XVIII ს. ოცდაათიან წლებამდე**

## **§ 1. ზემო-ქართლის სადროშოს მე-XVIII ს. მეორე ნახევრის ხალხის აღწერის დაგეგმვა**

ქართლის ჯერ ხანად ცნობილ ხალხის აღწერის დაგეგმვას უძველესად უნდა ზემო-ქართლის აღწერის დაგეგმვის 4 ნაწყვეტი იქმნეს ცნობილი. ყველა ნაწყვეტი ქალაქის გარეუბრეებზე დაწერილი და ბოქაულთ-ხუცესის დავითის ქართულითა, — „ბოქაულთ ხუცესი: დავით“, — დასაარსული, — აჲა აჲა აჲა ბექდებით არის დაბეჭდილი. ზოგ ნაწყვეტს სახლთ-უხუცესის ოთარ რიკაძის ხელრთვა და ბეჭდებიც ახლავს.

აღწერა სოფლობრივ და სოციალური მდგომარეობისა და მიხედვით არის დალაგებული. მაგრამ ცნობები თვითოეული მეკომურისა, თუ ბოგანოს შესახებ ცალ-ცალკე-კი არ არის და ახალი სტრიქონით-კი არ იწყება, არამედ მოსახლეობის აღწერა გაბმულია და ერ-

თმანეთს გამოუყოფლივ მისდევს. ამ თავისი თვისებით ხალხის აღწერის ეს ნაწყვეტები ყველა სხვა მერმინდელი დაეთრებისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდებიან. აღწერილობის ტექსტში სიტყვას სიტყვისაგან მხოლოდ განკეთილობის ნიშანი სამწერტილი ჰყოფს: მეკომურის შესახებ ცნობას რომ ყოველთვის ქ. არ მიუძღვოდეს, მეკომურ-ბოგანოთა გამოყოფა გაძნელებოდა.

აღწერის ტექსტში მხოლოდ თვითოეული სოფლის გარკვეული სოციალური ჯგუფებია ერთი მეორისაგან გასწერივი ხაზებით გამოყოფილი და ყოველ სოფელში „მოყალნე მსახლობელი“, ან „მოყალნე კაცი“ და „ბოგანო“, „მსახური და გლეხი“, ან „მეულუფე და მეხეფე“ და სხვაც ცალ-ცალკე ჯგუფებად არიან მოთავსებულნი.

აღწერა მეკომურის მხოლოდ მამრობითს სქესს ეხება, ვიდრეობითი სქესი არსად იხსენიება. მამრობითი სქესის შემადგენლობა-კი თვითოეულ კომლში, მოყალნე იყო იგი. თუ ბოგანო, მსახური თუ გლეხი, ან მეულუფე და მეხეფე, გინდა სხვა რომელიმე ჯგუფის წარმომადგენელი, დაწვრილებით არის აღნუსხული. მაგ.:

„სატივეს მოყალნე მსახლობელი: ქ. ქიტუნაშვილი პატა კუამლი ერთი, მისი ძმა სოხია, ძმისწული მისი ორი. იმათი ნაშენი ოთხი ვაჟი“.

ან სატივესე „წიწაკაშვილი ბოგანო გოგია კუამლი ერთი, შვილი იმისი ოთხი სალაშქრო ვაჟი, იმათი ნაშენი ერთი ვაჟი“, ან კიდევ ს. წაბლოვანს „პატარაძე სეხნია კუამლი ერთი, ძმა მისი გოგია ერთი, ბეჟუი ერთი, იმათი ნაშენი რვა ვაჟი“.

ადგილ-ადგილ გრაგნილის მარცხენა კიდეზე ორ გასწერივ ხაზში მოთავსებულთა ხოლმე რიცხვნიშნები. რომელნიც საერთო რიცხვს აღმნიშნენი უნდა იყოს. მაგრამ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, თუ სახელდობრ რის ჯამი უნდა იყოს ეს რიცხვნიშნები, რათგან სოფლის მთელი მოსახლეობის, არც მოყალნის, ან ბოგანის ჯამს ეს ცნობები არ უდგება.

ერთ ნაწყვეტ გრაგნილს, რომელსაც მარჯვენა კიდის დაზიანებულობის გამო აღწერის ტექსტი მთლად დაცული არა აქვს, მარცხენა კიდეზე ტექსტისაგან განსხვავებულნი ხელით აქა-იქ წწერია: „ბოგანო: ვი“, „იქნა ჯამი: თ“, „ქ. იქნა: ჯამი: ვ“, „ბოგანო: ქა“, „ქ. იქნა: ჯამი: ვ“. ეს ჯამები დაეთრის შემდგენელს არ ეკუთვნის.

გრაგნილის ერთ-ერთი ნაწყვეტთაგანის ზურგზე აღწერის ტექსტისაგან განსხვავებულნი ხელით წწერია: „ქ. იქნა: ჯამი: კეამლი (sic) |რმკით (sic) ას: სამოცდა: ცხრამეტი“. დაეთრის დაწერის დროინდელია ეს ცნობა, თუ არა, ან მოყალნეთა, თუ ბოგანოთა ჯამს, თუ ორთავეს საერთო რიცხვს წარმოადგენს, გრაგნილის დასაწყისის დაზიანებულობის გამო, ძნელი სათქმელია.

ერთი გრაგნილის ზურგზე კიდევ ტექსტისაგან განსხვავებულნი, მაგრამ, იმავე ხელით, რომლითაც მარცხენა კიდეებზე ჯამების რიცხვნიშნები და ცნობებია დაწერილი, სწერია: „ქ. იქნა ჯამი კომლი სამოცდა თორმეტი მკცქ“.

ყველა ზემოაღნიშნულითგან ცხადი ხდება, რომ ამ ხალხის აღწერის შემდგენელს საერთო ჯამების გამოანგარიშება მიზნად არ ჰქონია და საერთო რიცხვები ვილაც სხვა პირის გამოანგარიშებული და დაწერილია.

გრაგნილი დაეთრის ყველა ნაწყვეტში შემდეგი სოფლების შესახები ცნობები დატული:... სატივეს, წაბლოვანის, ქინძათის, კლდის წყაროს, ბროწლეთის. მეორე ნაწყვეტში:... ნულის, ღვერთეთის, თორმანეულის, რუისის, კულბითის, ტკოცასი, ფცის და აბანოსი.

მესამე ნაწყვეტში: ქვემო ძვიმლეთის, ზემო ძვიმლეთის, თორმანეულის, სურნისის, ღვერთეთის... — დანარჩენი აკლია.

მეოთხე ნაწყვეტში:... ფცის, ტკოცასი... — დანარჩენი მოგლეჯილია.

მარტო სოფლების სახელებითგანაც ჩანს, რომ ეს ნაწყვეტები ერთიერთმანეთის გაგრძელებას და ზემო-ქართლის სადროშოს აღწერის ერთ პატარა ნაწილს წარმოადგენენ.

რაკი დაზიანებულობის გამო ამ გრაგნილების დაწერილობის თარიღი არ არის დატული, ამიტომ დრო დაახლოებით მიიწკ უნდა იქმნეს გამორკვეული. სამწუხაროდ ამ საკითხის გადასაწყვეტად ვერც ბოქაულთ-ხუცესი დავითისა და სახლთ-უხუცესი ოთარ რიკაძის გეარისა და სახელების გამოყენება შეიძლება, რათგან მათი დროც გამოურკვეველია. ამ ჯამად ერთადერთ საყრდნობს მხოლოდ მებატონეთა სახელ-გეარი და რუისის სამწყსოს 1715 წ. დაეთრის ცნობები გვაწვდიან. ამ ძეგლთან შედარებითგან ცხადი ხდება, რომ ზემო-ქართლის სადროშოს დავთარი სამროველოს 1715 წლის დავთარზე ერთი თაობით აღრინდელი უნდა იყოს. მაგ. სადროშოს დავთარში აბანოში იხსენიება „ბეეიტასშვილი პაატა კუამლი ერთი, ძმა იმისი გურგენა, დათუნა, ივანა, იმათი ნაშენი ოთხი ვაეი“. სამროველოს 1715 წ. დავთარში-კი ბეეიტაშვილი პაატა აღარ ჩანს, ივანე-კი უკვე ცალკე მეკომურად არის აღნიშნული და მისი შვილის-შვილიც ივანე „ივანაშვილი ივანე“-ს სახელით ცალკე მეკომურად არის მოხსენებული (იხ. ე. თაყაშვილი, არხ. მოგზ. გვ. 171).

ამგვარადვე ზემო-ქართლის დავთარში ს. ქინძათში ქოჩორაძე მხოლოდ ერთი კომლია, პაპუნა ხუთი შვილითა და ძმისწულით, სამროველოს 1715 წ. დავთარში-კი უკვე ქოჩორაძე სამ საკომლოდ ცხოვრობს (არხ. მოგზ., 177).

ს. ნულის აღნიშნულია როინაშვილი ბერუა და 1715 წ. სამრ. დავთარშიაც როინიშვილი ბერია (არხ. მოგზ., 139).

მაგრამ აღსანიშნავია, რომ, სამროველოს 1715 წ. დავთართან შედარებით, ზემო-ქართლის სადროშოს დავთრის ამ 4 ნაწყვეტს ბევრი, ხშირად მთლიანად, სრულებით განსხვავებული ცნობები აქვს. ასეთი ცვლილება ერთი თაობის განმავლობაში, რასაკვირველია, ვერ მოხდებოდა. ამიტომ ამ გარემოებას უნდა სათანადო ადგილას და დროს რაიმე საფუძვლიანი განმარტება მოეძებნოს.

მესამე ნაწყვეტში ზემო და ქვემო ძვიმლეთს, სურნისს, ღვერთეთს მსახლობელად აღნიშნული არიან სხვათა შორის პაპუა ტატის შვილის ყმა. ეს

გარემოებაც ამ ნაწყვეტების დაახლოვებით დათარიღებას გვშეველის, რათგან ამ პაპუა ტატისშვილის ერთმა, დავითისშვილის ელიზბარისშვილის ბატონ დავითისადმი მიცემულმა საფიცრის წიგნმა, რომელიც გიორგი XI და მისი ძის ბაგრატის დროს, ანუ 1675 — 1692 წ. არის დაწერილი, ჩვენამდის მოაღწია (იხ. სქს სძვლნი, II, 293 — 296). არსებობს აგრეთვე პაპუა და ხოსია ტატისშვილის გაყრილობის წიგნიც (იქვე, II, 240).

დავთარის მე-3 ნაწყვეტშივე ქვემო-ძვიმლეთს იხსენიება სეხნია ტატისშვილის ყმა და ამ სეხნია ტატისშვილის 1602 წ. წყალობის წიგნი არსებობს, რომელშიაც ის ქვემო-ძვიმლეთს თავის ყმას მიქელაშვილს სითარხნეს აძლევს (სქს სძვლნი, II, 161 — 162).

ყველა ზემონათქვამის შემდგომ საფიქრებელია, რომ ზემო-ქართლის დავთარის 4 ნაწყვეტი დაახლოვებით მე-XVII ს. მეორე ნახევრისა უნდა იყოს. ამგვარად ეს 4 ნაწყვეტი ჯერ-ჯერობით უძველეს დაცულ ქართულ ხალხის აღწერის დავთრად უნდა იყვეს ცნობილი. ამის გამოც და მათი შინაარსის მრავალი საყურადღებო ცნობის წყალობით ამ ძეგლს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

## § 2. სამროვლოს 1715 წ. დავთარი.

1715 წ. 1 პარილს მროველი ეპისკოპოსის ორბელის-ძის ნიკოლოზის ბრძანებით შედგენილი იყო მროველის სამწყსოს დავთარი. თვით მროველი ამ ძეგლს ხან „დავთარს“ უწოდებს, — „ამ სამწყსოს დავთარს მეფის მოსაქმეს ნურავის უჩვენებთ“-ო, — ხან „მატიანეს“, — „ამ სამწყსოს მათიანეს ნურას მეფის მოსაქმეს ნუ უჩვენებთ“-ო (არხ. მოკ., I, 128). ეს დავთარი ე. თაყიაშვილმა გამოცა 1907 წელს თავის „არხ. მოგზაურობათა“ I წიგნში (გვ. 126 — 207).

დავთარი განსაკუთრებული მიზნით ყოფილა შედგენილი. ნიკოლოზი ამბობს: „მე დრამისთვის ავწერე“-ო, რომ „საყდარს მოსავალი არ დაეკარგოს“-ო (იქვე). დავთარის წინასიტყვაობაში, ანუ შესავალში ნიკოლოზ ორბელის-ძეს ნათქვამი აქვს აგრეთვე: „ამას გარდა ამ საყდრის მამული და ყმა სულ დამიწერია, — თარხანი ვინ არის და თარხნობით რა სამსახური აქვს, და მობეგრე ვინ არის და რა ბეგარა აქვს“-ო (იქვე 128 — 129). ამ ძეგლის გამო-მცემელს ე. თაყიაშვილს შენიშვნაში ამის გამო დაბეჭდილი აქვს: „სია თარხანთა და მობეგრეთა განცალკევებით არ მოიპოვება ჩვენამდის მოღწეულს წიგნში. შესაძლებელია, რომ ამგვარი სიაც დართული ჰქონდა ბოლოს ჩვენს წიგნს, მაგრამ აღარ შენახულა“-ო (იქვე 120 შენ. 3).

ეს აზრი ე. თაყიაშვილს ალბათ იმიტომ უნდა მოსელოდეს, რომ ზემომოყვანილ სიტყვებში აღნიშნულა: „ამას გარდა... დამიწერია“-ო. მართლაც თითქოს ისე გამოდის, რომ დავთარში, მთავარ ცნობას გარდა, კიდევ ზედმეტი ცნობები უნდა ყოფილიყო შეტანილი მამულებისა და ყმების შესახებ. უძველესია, ხშირად ასეც უნდა იყოს. მაგრამ ამ წინადადებაში ნიკოლოზ მროველი არ ამბობს, რომ მას საამისოდ „სია“ შეედგინოს და ეს ცნობები „განცალკევებით“ წერებულ იყოს. ამიტომ გამომცემლის ამგვარი დასკვნა ეგონებ

სწორე არ უნდა იყოს, მაინცადამიანც თვით დაეთრის შემდგენელის სიტყვებს აღემატება.

მაშ რატომ აქვს ნიკოლოზ მროველის ნათქვამი „ამას გარდა“-ო და როგორ უნდა გავიგოთ ეს ორი სიტყვა? ცალი თვალითაც რომ გადაათვალიეროს ადამიანმა ეს ძეგლი, მიხვდება, რომ იგი ხალხის აღწერის დაეთარია. მაგრამ ამასთანავე, მცხოვრებთა შესახებს ცნობებს გარდა, სწორედ „ამას გარდა“, რაკი ნიკოლოზ მროველის მიზანი ის ყოფილა, რომ „საყდარს მოსაელის ანგარიში არ დაეკარგოს“, ამიტომ ჩვეულებრივი ცნობებისათვის მას ისიც მიუმატებია, თუ თარხანსა და მობეგრეს რა ედვა. ამ ცნობების დამატებით ამ დაეთარს შემოსავლის დაეთრის, ან უფრო გამოსავლის გარიგების წიგნის ზოგიერთი თვისებებიც მიენიქა.

დაეთარში ნათქვამია, „ხაწირავი“, ან „მოხახხენებელი აძეს“-ო და „ღრამას ბოგანო“ რამდენსა და „სხვა“ კიდევ რამდენს „იღებენ“. მაშასადამე, სწორედ ამ დაეთრის შენახულ ნაწილში მოიპოვება ის ცნობები, თუ ვის „რა სამსახური აძეს“ და ვის „რა ბეგარა აძეს“, ესე იგი ის, რაზედაც ნიკოლოზ მროველი ამბობდა, „ამას გარდა... დამიწერია“-ო.

მაგრამ ერთი დაბაკოლებია მაინც. ნიკოლოზს ნათქვამი აქვს: „ამ საყდრის მამული და ყმა სულ დამიწერია“-ო. მთელი დაეთარი-კი მცხოვრებთა შესახები ცნობებისაგან შედგება. მამულების შესახები ცნობა სადღა? საფიქრებელია, რომ მამულების აღმნუსხველ ცნობებად ის უნდა იგულისხმებოდეს, სადაც მეკომურზე სწერია: „ამოფარდნილია“ (გვ. 160), ან არადა „აჟრილა“-ო (174, 205 ს. სატიეეს).

თუმცა საკითხის საბოლოოდ და უთუოდ გადასაწყვეტად დედნის უფრო გარკვეული და მკაფიო ცნობებია საჭირო, მაგრამ მაინც აუცილებლად საჭირო აო არის დაეასკენათ, რომ დაეთარს ყმებისა და მამულების განსაკუთრებული სიაც ჰქონოდეს დართული.

ერთი საყურადღებო საკითხია კიდევ გამოსარკვევი. შესავალში ნიკოლოზ მროველი გვამცნებს: „ამ საყდრის ნამული და ყმა სულ დამიწერია“-ო. რის თქმა უნდოდა მროველს, იმის, რომ ან დაეთარში მხოლოდ მროველის საეკლესიო ყმები არიან შეტანილნი? არა. ეს დაეთარი მთელი რუისის საეპისკოპოსოს დაეთარია. თვით შემდგენელი პირდაპირ ამბობს და ან ძეგლს „ხამწყსოს დავთარ“-ს ეძახის. მაშასადამე, აქ მთელი სამწყსოს მცხოვრებნი უნდა იყვნენ შეტანილნი. ხოლო როდესაც იგი ამბობს: „მე დრამისათვის აწერე: საყდარს მოსაელის ანგარიში არ დაეკარგოს“-ო, ამით მას იმის თქმა უნდოდა, რომ მისი მთავარი მიზანი ის იყო, რომ რუისის საეპისკოპოსო ტახტს (საყდარს) დანამდვილებით სცოდნოდა, სამწყსოსგან რა შემოსავალი ერგებოდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ „ამ საყდრის... ყმა“ აქ საეკლესიო. ან საეპისკოპოსო პირად ყმობას-კი არ ჰგულისხმობს, არამედ სამწყსოს კუთვნილებას იმ გვარადვე, როგორც, მაგ., ქნისა და არაგვის ზეობათა მცხოვრებნი ქნისა და არაგვის ერისთავების ყმებად იწოდებოდენ ხოლმე. მაინცადამიანც. რომ ამ დაეთარში სამწყსოა აღწერილი და არა პირდად საეკლესიო საყმომ, იქითგანაც ჩანს, რომ ერთგან პირდაპირ დასახელებუ-

ლია კიდევ, რომ მეკომური „ჩიკვაიძის ყმა“ (იქვე, 199) იყო. ეს დაეთარი რომ მხოლოდ საკუთარი ყმების ნუსხა ყოფილიყო, იქ ამგვარი ცნობა არ შეგვხვდებოდა.

ამავე აზრს ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ სოფლები ერთი მეორეს ჰისდევნენ გაბმით და ძნელი დასაჯერებელია, შეუძლებელიც არის, მროველს ამოდენი საკუთარი საეკლესიო ყმა ჰყოლოდეს და 84 სოფელში სულ მხოლოდ მის ყმებს ეცხოვრათ.

ერთი რამე მაინც უცნაურია, რომ ამ მრავალრიცხოვან მოსახლეთა აღწერილობაში ცნობები თავად-აზნაურთა შესახებ ძალიან იშვიათია: სულ სამი მეკომური თავადია რამაზაშვილების ფლევში (გვ. 176) და აქა-იქ იხსენებიან აზნაურიშვილებიც. საკვირველი ის არის, რომ ს. ფრცაში, სადაც თავად დავითოშვილებს ჰქონდათ მოსახლეობა, ერთი მათგანიც არ არის დასახლებული (გვ. 167—169), ს. თამარაშენშიც არც ერთი ფალავანდაშვილი არ არის მოხსენებული (გვ. 167), თუმცა ამ საგვარეულოს წევრნი აქა ცხოვრობდნენ ხოლმე. არც ს. აულევში არის მოხსენებული ერთი ამირეჯიბი მაინც (გვ. 165—166) იმისდა მიუხედავად, რომ ამ საგვარეულოს სახლის კაცებს უმეტესად იქა ჰქონდათ ბინა. ძნელი სათქმელია, რით უნდა აიხსნებოდეს ეს უცნაური გარემოება? შესაძლებელია იმით, რომ თავად-აზნაურობას დრამისა და სანასაურის მაგიერ სხვა გამოსაღები ედოთ.

ზევით უკვე ნიკოლოზ მროველის ცნობა იყო მოყვანილი, რომ დასაბუღი მიზნისდა თანახმად „ამას გარდა“, რაც ამგვარ ძეგლში ცნობები მოიპოვება სოლმე, მე „ამ საყდრის მამული და ემა სულ დამიწერიო: თარხანი ვინ არის, და თარხნობით რა სამსახური აქვს, და მობეგრე ვინ არის და რა ბეგარა აქვს“-ო (იქვე 128—129).

მაშასადამე, მცხოვრებნი ვალდებულებიან და უფლებრივი მდგომარეობის მხრივ ორ ჯგუფად იყოფებოდნენ: თარხნებ-ად და მობეგრე-დ. ცნობებიც მცხოვრებთა შესახებ დავთარში ამის გამო ორგვარი ხასიათისა უნდა იყოს: უნდა აღნიშნული იყოს, ვინ არის მობეგრე და ვინ თარხანია. ნამდვილად-კი არაფერი ამის მსგავსი ამ ძეგლში არ არის: იქ მხოლოდ ზოგ მოსახლეს შესახებ ზოგან ნათქვამია „ნაწირავი აქვს“-ო, ზოგან-კი „მოსახსენებელი აქვს“-ო, დანარჩენ და ამა-სთანავე მოსახლეთა მომეტებულ ნაწილს გვერდით არა უწერია რა და ნათქვამი არ არის, თუ რა ვალდებულება აწევს. ამისდა მიუხედავად ამ ორივე საკითხის გამორკვევა, თუ მკითხველი ძეგლის შინაარსს გულმოდგინედ ჩაუყვირდება, მაინც შეიძლება.

მთელ დავთარში წესად არის მიღებული, რომ თვითთელი სოფლის მცხოვრებთა სიის ბოლოს მეკომურთა საერთო რიცხვია ასომთავრულად აღნიშნული. ჯამი სწორედ მეკომურთ რაოდენობის აღმნიშვნელი უნდა იყოს იმიტომ, რომ თვით დავთარი საქართველოში ჩვეულებრივ კომლობრივ აღწერილობას წარმოადგენდა. ამას გარდა თვით ძეგლში ორგან პირდაპირ აღნიშნულია კიდევცა, რომ გადასახადი „დრამა... კვამლზედა ხქვს“ (იქვე, 135 ს. ფრინვეი და 139 ს. არქნითი), „დრამის მაგიერად კვამლზე თითო შაური, ან კანაფი, ან ტილო“-ო (იქვე, 177 ს. დაწყველილი

კლი), „კომლად მთელი კოდი დრამა პური აძესთ“-ო (იქვე, 157, ს. ზურ-მისკელი), „დრამა ნახევარი კოდი აძეს კომლზე“-ო (იქვე, 173, ს. ბერძენული).

მცხოვრებ მეკომურთა ჯამს გარდა, თვითოეული სოფლის შესახებ ცნობების ბოლოს თითქმის ყოველთვის ნათქვამია ხოლმე „დრამას ბოგანო ... იღებენ“ ამდენსა და ამდენსაო.

სწორედ ეს ორგვარი ცნობა, — მეკომურთა გვერდით მიწერილი და ერთი თვითოეული სოფლის აღწერის ბოლოს მოთავსებული, — საშუალებას გვაძლევს ვამოკვარკვიოთ, რომელი მეკომურთაგანი თვითოეულ სოფელში მობეგრედ უნდა ყოფილიყო და რომელი თარხანი. როდესაც ეს გვეცოდინება, მაშინ მობეგრეთა და თარხანთა ერთობლივი რიცხვის გამოანგარიშება სოფელ-სოფლად და შემდეგ პროცენტის მთელ საეპისკოპოსო სამწყსოშიაღ ძალიან ადვილი იქმნება.

თუ ნიკოლოზ პროცენტის იმ სიტყვებს ჩავუკვირდით, და ყურადღებას მივაქცევთ, რომ მას დაეთარში ჩაუწერია, „თარხანი ვინ არის და თარხნობით რა სამსახური აქვს და მობეგრე ვინ არის და რა ბეგარა აქვს“, მაშინ ცხადი შეიქმნება, რომ საქართველოში არსებული გადასახადთა სისტემით, თარხანს სამსახური სდებია, მობეგრებს კი სამსახურის მაგიერ ბეგარა. მაშასადამე, ცხადია, რომ მეკომური, რომლის გვერდითაც აღნიშნულია „საწირავი აძეს“-ო, თარხანი უნდა იყოს, ხოლო დანარჩენი მეკომურნი კი, რომელთა შესახებ გვერდით ნათქვამი არ არის, რომ რაზე აქედეთ, ყველანი მობეგრენი უნდა იყვნენ და სწორედ მათ უნდა შეეხებოდეს თვითოეული სოფლის ბოლოში მოქცეული ცნობა, „დრამას ბოგანო ნახევარ კოდსა და სხვა მთელს კოდს იღებენ“-ო.

ზემომოყვანილი წინადადება ამტკიცებს, რომ მობეგრენი ორ ჯგუფად იყოფებოდენ: ბოგანოდ და „სხვად“. თუ ვინ უნდა ყოფილიყვნენ ეს „სხვები“, იმის წყალობით შეიძლება მივხვდეთ, რომ ამ „სხვებს“ ბოგანოებზე ერთი ორად მეტი გადასახადი სდებიათ: თუ ბოგანო  $\frac{1}{2}$  კოდს იხდიდა, „სხვანი“ მთელს კოდს იხდიდნენ. ცხადია, მაშასადამე, რომ ეს „სხვები“ ქონებრივად, მამულით, ბოგანოებზე უფრო მალა უნდა მდგარიყვნენ, უფრო შეძლებულნი ყოფილან. ჩვენ კი ვიცით, რომ ბოგანოზე მალა ამ მხრივ მხოლოდ ე. წ. „მემკვიდრე“ მეკომური იღვა და „სხვებად“ სწორედ ისინი უნდა იგულისხმებოდნენ. რაკი მათ მეტი მამული და შეძლება ჰქონდათ, ამიტომ სრულებით ბუნებრივია, რომ დრამაც, ბეგარაც მეტი სდებოდათ. ამგვარად ირკვევა, რომ მცხოვრებნი ორად ყოფილან დაყოფილნი, — მემკვიდრე მეკომურად და ბოგანოდ.

მაგრამ, თუ თარხანსა და მობეგრეს შორის გასარჩევად, როგორც აღნიშნული იყო, გარკვეული საზომი მოიპოვება, თვით დავთრითგან არა ჩანს, როგორ უნდა გაარჩიოს ადამიანმა, რომელი მეკომურთაგანი ბოგანოა, რომელი კი დევ „სხვად“, ანუ „მემკვიდრედ“ ითვლებოდა. მართალია, თვითოეული სოფლის აღწერის ბოლოში ჩვეულებრივ აღნიშნულია ხოლმე; „ბოგანო ნახევარ კოდსა და სხვა მთელს კოდს იღებენ“-ო, ან ასეა, „დრამა: ბოგანო ნახევარს კოდს იღებს,

სხვა მთელს კოდსა"-ო. მაგრამ რაკი ეს ძეგლი ხალხის აღწერის დაეთარია, თვითოეულ მეკომურს ამის გამო გვერდით გადასახადის რაოდენობა არ უწერია, როგორც ეს შემოსავლის დაეთარებშია ხოლმე.

ნიკოლოზ მროველს ორბელიშვილს თავის სამწყსოს ხალხის აღწერის დაეთარის შესავალში შემდეგი ფრიად დამახასიათებელი ვედრება ჩაურთავს: „ამასაც ვიხვეწები, ამ სამწყსოს დაეთარს მეფის მოსაქმეს ნურავის აჩვენებთ, კოდის პურსა და საურზე ქვეყანას გარჯიან და მე არ მიჯობს: მე დრამისთვის ავწერე, საყდარს მოსავლის ანგარიში არ დაეკარგოს. ღთის სიყვარულისათვის ამ სამწყსოს მატრიანეს ნურას მეფის მოსაქმეს ნუ აჩვენებთ, თუ ქრისტე გწამსთ“-ო (არხ. შოგბ., 128). იქნებ ამითვე აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ მისი ბრძანებით შედგენილი დაეთარი მცხოვრებთა მდგომარეობის შესახებ ასე ცოტა ცნობებს შეიცავს?

### § 3. მე-XVIII ს. დამდეგის ზემო-ქართლის დაეთარი

ზემო-ქართლის სადროშოს ზემოგანხილული მე-XVII ს. მეორე ნახევრის დაეთარის 4 ნაწივეტის გარდა, არსებობს ამავე სადროშოს ამავე სოფლების აღწერის დაეთარის გრაგნილი ნაწივეტი, რომელიც შინაარსით, 1715 წ. სამროვლოს დაეთარის მსგავსად, ზემო-ქართლის XVII ს. მეორე ნახევრის დაეთარის 4 ნაწივეტისაგან ძალიან განსხვავდება, მაგრამ სამაგიეროდ ბევრგან 1715 წ. სამროვლოს დაეთარს კარგად უდგება, მაგ. ლვერთეთისა, თორმანულის, აბანოს და წაბლოანის შესახებებს ცნობებში. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ეს ნაწივეტი 1715 წ. ახლად დროის დაეთარის ნაწილი უნდა იყოს.

ამ ნაწივეტის ხალხის აღწერის წესი და დაწერილობაც ზემოგანხილული 4 ნაწივეტისაგან ძალიან განსხვავდება და გამარტივებულია: აქ თვითოეულ საკომლოში მხოლოდ თითო პირის, ალბათ, სახლის უფროსის, სახელია აღნიშნული და არც ძმები, არც შვილები და არც ძმისწულები არსად დასახელებული არ არიან, თავების რაოდენობაც - კი მარტო რიცხვნიშნითაც აღნიშნული არ არის. ამ თავისი თვისებით იმდენადვე არსებითად განსხვავდება მე-XVII ს. მეორე ნახევრის 4 ნაწივეტისაგან, რამდენადც სამროვლოს 1715 წ. დაეთარს მიაგავს.

აღსანიშნავია, რომ ეს გამარტივებული შინაარსის ზემო-ქართლის სადროშოს აღწერის დაეთარი უვიცად და ზედმეტი ასობით არის დაწერილი. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ეს გრაგნილი თვით დაეთარის დედანი-კი არ უნდა იყოს, არამედ ერთ-ერთი დაბალი მოხელის გარდანიწერის უნდა წარმოადგენდეს და დედნის შინაარსიც შესაძლებელი იყოს პრაქტიკული მიზნით გამარტივებული.

### § 4. კახეთის ხალხის აღწერის დაეთარი

1920 წ.-მდე კახეთის ხალხის აღწერის დაეთარები არსად ჩანდა. ამ წელს პროფ. ე. თაყაიშვილმა კახეთში ერთ ოჯახში კახეთის ხალხის აღ-



წერის დაეთრის სხვადასხვა ზომის ექვსი ნაწყვეტი აღმოაჩინა. დღემდე ეს ნაწყვეტები არც გამოქვეყნებული ყოფილა და არც შესწავლილი.

თაყიაშვილისაგან აღმოჩენილი კახეთის ხალხის აღწერის დავთრები ყველა ქალაქის გრაგნილებად არის დაცული და ექვსი ნაწყვეტისაგან შედგება. სამწუხაროდ არც ერთ მათგანს თავი და ბოლო დაცული არა აქვს. ამის წყალობით არც ერთი მათგანი სრული არ არის და არც ერთს დაწერილობის და შედგენის თარიღისა და გარემოების შესახები ცნობა აღარა შერჩენია.

ამ აღწერის დავთრის ყველა ნაწყვეტების დამახასიათებელ თვისებას ის გარემოება შეადგენს, რომ ჯერ მეკომურის სახელია აღნიშნული, მერმე გვარი და თავების რიცხვს ჩვეულებისამებრ მათი სახელები არ ახლავს და სამაგიეროდ თავის რიცხვის შესახებ ცნობას უშულოდ მისდევს ხოლმე ცნობა თოფის რაოდენობის შესახებ, ასე მაგ.:

- ჩქ: ბერი გოგილასშვილი : კვამლი : ა თავი ა თოფი ა.  
 სქ: ოთარ გოგილასშვილი : კვამლი : ა თავი ბ თოფი ბ.  
 სქ: ზურაბ გოგილასშვილი : კვამლი : ა თავი ა თოფი ა.  
 სქ: ოსია გოგილასშვილი : კვამლი : ა თავი ბ თოფი ბ.  
 და ასე ამგვარადე.

დავთრის ყველა ნაწყვეტებში აღნიშნულია: მეკომურთა თანამდებობა, — თუ მოხელენი, ან მღვდელმსახურნი იყვნენ (მაგ. მოკელე, სალთხუცესი, გზირი და სხვა), — წოდებრივობა (აზნაური და სხვა), ოჯახური მდგომარეობა (ობოლი, ახალ გაყრილი), უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა (განაყოფი, აზადი, ბოგანო, აყრილი, ამოწყვეტილი) და ხელობა (მოლაშქრე, ხაბაზი, მკედელი და სხვა).

ყოველი მებატონის საყმოს შესახები ცნობის ბოლოში მარცხენა კიდეზე ყოველთვის რიცხვნიშანი ზის ხოლმე, მაგ. : რკზ: , : რკ: . , : ვ: და სხვაც ამგვარადე. ეს რიცხვნიშნები მთელი საყმოს ჯამს-კი არ გამოჰხატავენ, არამედ მხოლოდ ყმათა გარკვეულ კატეგორიისას.

უდიდესი ამ ნაწყვეტი გრაგნილთაგანის პირველი გრაგნილის სრულად დაცული აღწერა ასეთი სათაურით იწყება: ჩქ: კოტორს: და: აღის: კევს და: ჯერველანში ბატონის ყმა. ამ საბატონო საყმოს შემდეგ სხვა მებატონეთა საყმოა ასევე ცალ-ცალკე აღწერილი.

ამ პირველ ნაწყვეტში შემდეგ სოფლების შესახები ცნობები მოიპოვება: საცხენისის, უჯარმის, სამების და ხაშმის, სართიქალის, პატარძელის, ბერთუბანის, თვალივის, ჯიჯეთის, ტუშურის, თანგართ-კარის, აჯავვის, კაკაბეთის, ლიშოს (?), არხალის, სახასოს, ქაშოსა და ბოდავის და ამით თავდება.

რაკი ამ გრაგნილის ზურგზე მოთავსებული ბოდავის შესახები ცნობის შემდგომ ბევრი თავისუფალი, დაუზიანებელი ადგილია, ამიტომ ცხადი ხდება, რომ

აღწერის დაუთარის ბოლო ამ გრაგნილში უნდა სრულად იყოს დატული.

კახეთის ხალხის აღწერის დაუთარის ქალაქის მეორე გრაგნილი, რომელსაც თავი და ბოლო დაზიანებული აქვს და აკლია, შემდეგი სოფლების შესახებ ცნობას შეიცავს: ... ფიჩხოვანის, მალნარის, ნაპანკისევის, პანკისის, წინუბანის, კუწახტის; ქორეთის; მარილისის, მატანის, ქორდის, ბახტრიონის, უტოს, სურკელის, აწყვერის, მერეს, თიანეთის, კონდოლის, კისხევის (sic), ნასომზარის და ქისტაურების. გრაგნილის ზურგზე-ეი მოთავსებულია: მთიულის, ხოდაშნის, ახაშანის, იყალთოს, არტოხანის, გულგულას, ვარდისუბანის, თელავის, შალაურის, კისისხევის, კონდოლის. დანარჩენი მოხეულია და გრაგნილს თავთან ერთად ბოლოც აკლია.

გრაგნილი დაუთარის ეს ნაწყვეტიც ტეხნიკურად პირველი ნაწყვეტის მსგავსად არის და იმავე ხელითვეა შედგენილ-დაწერილი.

კახეთის ხალხის აღწერის დაუთარის მესამე ნაწყვეტიც ქალაქის გრაგნილზეა დაწერილი. მასაც თავი და ბოლო, დაზიანებულობის გამო, აკლია. ამიტომ ისიც უთარილოა. ტეხნიკურად ეს აღწერაც ისევეა შედგენილი, როგორც ზემოაღნიშნული ნაწყვეტები.

გრაგნილის ეს მესამე ნაწყვეტი შემდეგი სოფლების შესახებ ცნობებს შეიცავს: ... წიაბეთის, ახალკალოს, ბორტაძების, აცლეთის (?), ვაგრანეთის, თრანის, ერწოს, გორანას, ჩეკურის, ახატანის, ძაგნაკორას, კვერნაულის. ხოლო გრაგნილის მეორე მხარეზე: თვალის, ანთოქის (sic), მარიგმჯვარის, თოლიაურის (sic), ჩაილურის, მანაეის, კაკაბეთის, შიბლიანის, ჯიშნის, ბეჟან-ბალის, კაქრეთისა და ზიარის. დანარჩენი აკლია.

კახეთის ხალხის აღწერის დაუთარის მეოთხე ნაწყვეტიც ქალაქის გრაგნილს წარმოადგენს. მასაც თავი და ბოლო მოგლეჯილი და დაზიანებული აქვს. ამის გამო ეს ნაწყვეტიც უთარილოა. ტეხნიკურად ეს დაუთარიც იმავე წესით არის შედგენილი, როგორც ზემოაღნიშნული ნაწყვეტები.

ამ მეოთხე ნაწყვეტში შემდეგი სოფლების შესახებ ცნობებია დატული: ... ვეძისკევის, საბუვეის, გრემის, იულთას, ართანასი, ფშაველისა... მერმე ზურგზე: თიანეთის, საცხაოტლოს, ალაქანის, წინანდალის, ხოდაშენის, ვანთას, აკურასი და კალაურისა.

კახეთის ხალხის აღწერის მეხუთე ნაწყვეტის ქალაქის გრაგნილი აგრეთვე დაზიანებულობის გამო უთავბოლო და უთარილოა. მაგრამ იმავე წესით არის შედგენილი, როგორც დანარჩენი ნაწყვეტები. გადარჩენილ ნაწილში შემდეგი სოფლების შესახები ცნობები მოიპოვება: ... საცხენისის, მარტყოს (sic), ნორიას... დანარჩენი აკლია.

კახეთის ხალხის აღწერის მეექვსე ნაწყვეტიც ქალაქის გრაგნილს წარმოადგენს, რომელსაც აგრეთვე თავი და ბოლო აკლია და ამიტომ თარიღი არა აქვს. დაუთარი იმავე წესით არის შედგენილი და იმა-

ვე ხელით არის დაწერილი, როგორც და როგორითაც წინა ნაწილებია.

ამ მეექვსე ნაწილებში შერჩენილია შემდეგი სოფლების შესახებ ცნობები: ... კალურის, ურიათუბნის, მუკუზნის, ზეგანის, კოშკის, ახალშენის..., მერმე ზურგზე: ... შილდასი ..., დანარჩენი დაკული არ არის.

როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ამ დავთრის არც ერთი ნაწილები-განი მთლიანად დაკული არ არის და ამის გამო არც ერთს მათგანს თარიღი არა აქვს. ამიტომ ამ დავთრის შედგენილობის თარიღი უნდა დაახლოებით მაინც იყოს განსაზღვრული, რომ იქ მოთავსებული ცნობებით სარგებლობა შესაძლებელი შეიქმნეს.

ამ ნაწილებების შედგენილობის ერთი-და-იგივე წესი და ერთი-და-იგივე ხელი მათი დაწერილობის ერთდროულობას ამტკიცებს. ეს გარემოება ამ ექვსსავე ნაწილებს ერთი-და-იმავე აღწერის დავთრის ნაწილებად გვაფიქრებინებს.

ამ ნაწილებების დაახლოებითი დათარიღებისათვის შიგ მოხსენებულ პირთა ხანის გამოყენება შეიძლება.

კახეთის ხალხის აღწერის დავთრის პირველ გრაგნილში იხსენიებიან: უჯარმას გარსევეან მეთრის ყმა, ბერიშვილი სულხან მოკელე, საცხენისს ესიტაშვილის დათუნას ყმა და დათუნა სალთხუცესი აზნაურიშვილი, უჯარმას სალთხუცესის საზვერელის ყმა ბაინდურა აზნაურიშვილი მოლაშქრე, სამებას ნანიკელაშვილი რამაზ მოკელე და ბერი ნანიკელაშვილი სალთხუცესი.

დავთრის მეორე გრაგნილში მოხსენებულ პირთა შორის აღსანიშნავია: „მალრანს: ბატონის: შეილის: თეიმურაზის ყმა“, „არის ქორეთს სალთხუცესის საზვერელის ყმა“, „აქავე: მარილის ფარსადანის: მეთრის: ყმა:“, „სალთხუცესის სულხანის ყმა“, „არის რევაზის მაყაშვილის ყმა იყალთოს“, „არის: ვარდისუბანს: მდივანბეგის: პატას: ყმა:“, „აქავე: ბაზიერთ: ხუცის: დავითის: ყმა: და კახისა“, — „თელავს: ბაზიერთ: ხუცის: დავითის: ყმა“, — „აქავე: თელავს: მდივანბეგის: დემეტრეს: ყმა“, „არის: თელავს: გიორგი: ყორჩიბაშიშვილის: ყმა“, — „კონდოლს: მდივინს: გორჯასპის: ყმა:“.

ხოლო მესამე ნაწილებში სხვათა შორის იხსენიებიან: მანავს შიომ მდივინის ყმა, შიბლიანში გიორგი ეშიკალასბაშის ყმა, შიბლიანში ენდრონიკაშვილის ქაიხოსროს ყმა, გარსევეან მეთრის ყმა, ბეჟან-ბაღს გორჯასპის ენდრონიკაშვილის ყმა.

დავთრის მეოთხე ნაწილებში-კი შემდეგი პირები არიან მოხსენებულნი: ბაალი სუფრაჩი, გრემს მოურავის ზაალის ყმა, გივი საგინაშვილის ყმა, ყორჩიბაშის შვილი დემეტრე, გარსევეან ტუსისშვილი, პატა მდივანბეგი.

დასასრულ, მეექვსე ნაწილებში მოხსენებულთა პაპუა ქავექავედ.

ამ პირთაგან ყველას დროის შესახებ ჯერ ცნობები არ მოგვეპოვება. მაგრამ სალთხუცესი საზვერელი იხსენიება რუსთაველის სადროშ-ის სპათა 1722 წ. კანწესებაში (ისტ. საბ., I, 43). ამავე საბუთს აზის ბეჟედი ბატონიშვილის თეიმურაზისა (იქვე, 45), რომლის ყმაც დავთარში აღწერილია. ფარსადან მეთარა-კი 1719 წ. საბუთში გვხვდება (იხ. თ. ჟორდანი, ქართლ-კახეთის ისტ. საბ., 41).

ხოლო შიომ მდივანმწიგნობარს თუმანიშვილს დაწერილი აქვს არა ერთი საბუთი, მაგ. 1714 წ. სიგ. (ქართლ-კახ. ისტ. საბ., 73, 251). პაატა მდივანბეგი 1711 წ. ახლო დროის საბუთში იხსენიება (იქვე, 44).

ერთის მხრით თეიმურაზის ბატონიშვილად მოხსენებულობა ამ დავთარს მის გამეფებამდე და ოსმალთა საქართველოში შემოჭრამდე შედგენილად გვაფიქრებინებს. ამასვე მეორეს მხრით ზემოაღნიშნულ პირთა საბუთებში მოხსენებულობის დროც უღვება. ყველა ამ მოსაზრებათა გამო კახეთის ხალხის აღწერის დავთრის ექვსივე ნაწყვეტი დაახლოვებით მე - XVIII ს. პირველი მეოთხედისა უნდა იყვეს.

ამგვარად, ძველი საქმაოდ ძველია და რაკი კახეთის ხალხის აღწერის დავთარი სხვა, ჯერ მაინც, არ არის აღმოჩენილი, ამიტომ ამ ექვსსავე ნაწყვეტს საქართველოს ამ კუთხის დემოგრაფიული შესწავლისა და ეკონომიური ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

### § 5. 1721 წ. ხალხის აღწერის დავთრები.

ვახტანგ VI-ის 1721 წელს მთელი ქართლის სამეფოს ოთხივე სადროშოს ხალხის აღწერა უბრძანებია. ეს განკარგულება განუხორციელებია კიდეცა, მაგრამ ამათგან ჯერჯერობით მხოლოდ ერთი, სახელდობრ, მეწინავე სადროშოს აღწერის დავთარია აღმოჩენილი და გამოცემული (იხ. „მასალები საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში“, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი 1907 წ., გვ. 1—406).

მეწინავე სადროშოს აღწერის დავთარი სრულად არის დაცული და ამის წყალობით ამ დავთრის შედგენის გარემოებისა და დროის შესახებ ყველა საჭირო ცნობები მოგვეპოვება.

აღწერა ორ მთავარ ნაწილად არის დაყოფილი და ორსავე ნაწილს შესავალი უძღვის წინ.

პირველ შესავალში სხვათა შორის ნათქვამია: „შენ მიერ აღმატებით დამყარებულმან და ზეციით გვირგვინოსანმან... საქართველოს ტახტისა და სამეფოსა ფლობით მპყრობელ-მკონებელმან, ძლევამოსილმან, თვით-კულმწიფემან მეფეთმეფემან პატრონმან ვახტანგ, რაჟამს განაგებდა ქვეყანასა ამას მართლ-მსაჯულობითა და სასწორთა სამართლისათა გარდაუწყვე რა მოსამართლეობითა, მაშინ ყოვლისა კიდიით და ქვეყანით მოვიდოდიან და მოისწრაფოდიან. ვითარცა რა ანდამატმან და მალნიტმან მიიზიდის რკინა თვისთა თანა, გინა თუ ფუტკარი სიმრავლითა სიტკბოსათიან ეხვეოდიან გოლეულსა თაფლისასა, ეგრეთვე სიტკბომან და სამართალმან მეფისმან მოზიდის ყოვლისა ქვეყანით თავადთა, აზნაურთა და გლეხთა. უტყეებდენ სამკვიდროთა და იავარ ჰყოფდეს და მკვიდრობდეს ქართლსა შინა. ესრეთ აღივსო სიმრავლითა საბრძანებელი მეფისა, რომელ ვერ იტყეოდეს მთა და ბარნი. ბრძანა აღწერა თვითოვეულად, თვინიერ კაცასთა, ოვსთა და დევალთა, და უჩინნა სხვათა კიდეთა სხვანი სარდალნი და მწიგნობარნი. ხოლო აღწერა მეწინავე დროშის, საბარათაშვილოსა და სომხითისა, უბრძანა ძესა თვისსა ბა-

ტონიშვილს სარდალს ვახუშტის და თანახლეობა ჩვენ უნარ-ჩვევისისა მონისა მდივან-მწიგნობრის თუმანიშვილის გივი-სა“ (იხ. გვ. 2—3).

აღწერის დაეთარი ზედმიწევნით არის დათარიღებული და შედგენილი ყოფილა: „ქქსა უთ, თვესა ივნისსა იბ, დღესა ხუთშაბათსა, ეამსა მერვესა, მოქცევისა მზისასა ა, მთოჯარესა იწ, ინდიკტიონსა მეუობისა მეფისასა მეოთხესა“ (გვ. 3).

დაეთრის მეორე ნაწილსაც თავისი საკუთარი შესავალი აქვს, რომელშიაც სხვათა შორის შემდეგია ნათქვამი: „ოდეს ინება შენ-მიერთა ამა ქვეყანათა დედოფლად დამყარებულმან და მავედრებელმან შენმან... ჩერქეზთ ბატონის ასულმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან რუსულად აღწერა სადედოფლოსა თვისისა საბარათა შვილოსა და სომხითისა თავადთა, აზნაურთა და გლეხთა, და წარაველინა ძე თვისი ქვეყანათა ამათ ამირ-სპასალარად ჩენილი და უვნებლად მკედათა მისთა მოწინავედ მიმძლოლ-შააკებელი ვახუშტი, და ამათ სამსახურსა შინა ხლებულ-მყო მდივან-მწიგნობრად მეფეთა წოდებული თუმანიშვილი. გივი და აღწერეთ. ვითარცა ჯერ-იყო, ეგრეთ მართებით და წესისაებრ“ (გვ. 99).

მეწინავე სადროშოს აღწერის მიზანი ცხადი ხდება შესავლის შემდეგი საგულისხმო ცნობითგან. მის შემდგენელ მდივან-მწიგნობარს ნათქვამი აქვს: „ქველპყაყით და ვიწყეთ წერა რიტყე-შეუგებელთა. აღწერეთ ამ დაეთართა შინა რომელთა ძალ-ედვა აბჯართა და ცხენთა კმარებანი, გინა სამეფოთა. ხარკთა და ბეგარათა გამოღებანი. ხოლო რომელთა არ ძალედვის ყოვლისა რასამესი ქმნა და გამოღება, განუტყვეთ და არა აღწერეთ წიგნსა ამას შინა, რათა არა მუშახარე იქნნეს, მადლობდენ ღმერთსა და აქებდენ და ლოცვიდენ მეფესა ჩემსა შრაულ-ეამიერ დღეთა სიგრძეთა მეტყველებითა“-ო (გვ. 3).

მეწინავე სადროშოს ხალხის აღწერის ამ დაეთრის გამოცემელი ამბობს, რომ ხელთნაწერი „წარმოადგენს ავტოგრაფს; გივი თუმანიშვილის ხელით ნაწერს“. ამასთანავე ე. თაყაიშვილს ეს ხელთნაწერი იმ ნუსხა-დედნად მიაჩნია, რომელიც „ჩვეულებრივ ინახებოდა დაბეჭდილი მეფის ბეჭდით სამეფო მდივანხანაში“: მისივე სიტყვით „ჩვენი დედანიც, როგორც ეტყობა, მეფის დივანხანაში დებულა არა ერთხელ დაბეჭდილი ლუქით და მეფის ბეჭდის ზედ დასმით“. ამ ხელთნაწერს „ეხლაც შეიდ ადგილას ეტყობა ბეჭედი ლუქისა“-ო (გვ. III).

ყველა ამისდა მიუხედავად საეჭვოა, ვგონებ შეუძლებელიც, რომ ეს ხელთნაწერი თავდაპირველი ნუსხა-დედანი ყოფილიყო. იგი 450 გვერდს შეიცავს, რომელთაგან „ზოგი დაუწერელია“ (გვ. III). ეს ხელთნაწერი რომ სწორედ ის ნუსხა-დედანი ყოფილიყო, რომლითაც ყოველ საცილობელ შემთხვევაში უნდა ესარგებლათ სიმართლის გამოსარკვევად და სასამართლოშიც დავის გადაწყვეტისათვის ეხელმძღვანელოთ, მაშინ დაუწერელი ფურცლები იქ რათ

უნდა ყოფილიყო? პირიქით, აღწერა იქ სრული იქმნებოდა და თავისუფალი ადგილის დატოვება გივი თუმანიშვილს არ დასჭირდებოდა.

მეორე გარემოებაც უნდა იყოს გათვალისწინებული: ე. თაყაიშვილის სიტყვებიდან ნათლად არა ჩანს, რომ შვიდ ადგილას ლუქის ბექტის ნაალაგევი ისე იყოს შენახული, რომ მათი სადაურობა და მეფეთა ბექტობა უდავო ფაქტად მივიჩნიოთ. იმავე დროს, თუ არ ვცდები, ჩვენში, რუსების საქართველოში გაბატონებამდე, ლუქით არ ჰბექტადედენ და მეფეთა ბექტებიც მურით იბექტებოდა. ამიტომ, რაკი ეს დაეთარი 7 ლუქის ბექტით ყოფილა დაბექტდელი, საფიქრებელი ხდება, რომ ეს მეფეთა ბექტები-კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ საქართველოში მყოფი რუსეთის მე-XIX ს. დამდეგის მოხელეებისა.

აღწერა ორ მთავარ ნაწილად იყოფება: პირველი ნაწილი ჯერ „ბატონის მეფის სახასო“-ს შეიცავს (გვ. 1—11), შემდეგ საუფლისწულოს და მერმე მებატონების ყმანი არიან აღნუსხილი. ასე მიმდინარეობს დაეთარი დაბექტდელი ტექსტის 98 გვერდამდე. აქეთგან მოყოლებული უკვე თითქოს მეორე ნაწილი იწყება, სახელდობრ სადედოფლოს თავად-აზნაურთა და გლეხთა საბარათიანოსა და სომხითში. აქ რომ წართლაც ახალი ნაწილი იწყება, ამის წინაშეაღილილი ზემოთყვანილი შესავლის მთელი შინაარსიც ამტკიცებს. აქეთგან ბოლომდე თითქოს მხოლოდ სადედოფლოს უწყების შესახები ცნობები უნდა ყოფილიყო, მაგრამ, წვრილმანებსაც რომ თავი დაეანებოთ, 232 გვერდზე ისევე სამეფოს შესახები ცნობები იწყება და ნათქვამია: „არის ქვეყანასა სომხითისასა მსახლობარი თავადნი, აზნაურნი და გლეხნი სამეფონი სახასონი“-ო. ამგვარადვე 288 გვერდზე სწერია: „არის ტაშირზედ აიდარბეგის კეობაზედ ბატონის მეფის სახასო“-ო. აღწერის უწყებრივი წესრიგი, მაშასადამე, დარღვეულია.

ამას გარდა, თემობრივ გაყოფილი აღწერილობა დალაგებულა საბატონოებისდა მიხედვით და აღნიშნულია ყოველ მებატონეს რომელ სოფლებში ვინ ჰყავდა ყმებად. ყოველი მებატონის სხვადასხვა ალაგას მყოფი ყმების ჩამოთვლის შემდგომ და ბოლოში ამ მებატონის ყმათა საერთო რიცხვი, ჯამიცაა ხოლმე მოყვანილი. მაგრამ იშვიათი შემთხვევა არ არის, რომ ჯამი გამოტოვებული იყოს. თანაც ხშირად, რომ ამ ჯამთა ცნობებში რიცხვითი ოდენობა სწორე არ იყოს და თვალწინ ცხადი შეცდომა გვეჩინდეს. ოფიცირულ ნუსხა-დედანში ასეთი რამე არ უნდა ყოფილიყო, გარდანაწერში-კი ადვილი წარმოსადგენელია. ამიტომ საფიქრებელია, რომ 1721 წ. მეწინაევე სადროშოს ხალხის აღწერის დაეთარი ნუსხა-დედანი-კი არა, არამედ გარდანაწერი უნდა იყოს.

აღწერაში თვითოეულ კომლთან „თავი“-ს რიცხვია ხოლმე აღნიშნული, მაგრამ სახელი მხოლოდ ერთისა არის ხოლმე დასახელებული, თუნდაც საკომლოში 2, 3, ან მეტი თავი იყოს. საფიქრებელია, რომ ის ერთი, რომლის სახელიც იხანენიება, საკომლოს უფროსი მამაკაცი უნდა იყოს.

დაეთარში აღნიშნულია წოდებრივი, სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა. მოხელეობა და ხელობა.

ამა-თუ-იმ თემის სრული აღწერილობის ბოლოს მოყვანილია ხოლმე საერთო ჯამიც; ამნაირად, მაგ.:

„იქმნა სრული ამის ჯამი: მსახლობარი სოფელი კ<sup>ბ</sup> (22), ოკერი სოფელი ა<sup>ნ</sup>.

სახასო მსახლობარი კომლი რ<sup>ნი</sup> (110), ბოგანო ი (10).

სახასო აყრილი კომლი იზ (17) <sup>1</sup>).

აზნაურშვილის ყმა მსახლობარი ი<sup>ნ</sup>ე (15).

აზნაურშვილის ყმა აყრილი გ<sup>ნ</sup> (3), ბოგანო დ<sup>ნ</sup> (4).

იქნა ერთპირად: მოსახლე კომლი ას ოცდა თოთხმეტი, ბოგანო ი<sup>ნ</sup>დ (14), აყრილი ოთხმოცი<sup>ა</sup>.

### თავი მესამე. ხალხის აღწერის დავთრები 18-XVIII ს. ნახევრიდან მოკალაღებული 18-XVIII ს. დამლევამდე

1721 წ. რომ რუსეთის მეფის პეტრე დიდისაგან სპარსეთზე ასამხედრობლად შეცდენილი და მერმე მოულოდნელად სპარსეთის განრისხებული შაჰის შუარისძიების მსხვერპლად უშფოოდ განწირული ვახტანგ მე-VI იძულებული შეიქმნა საქართველოთგან გაბიზნულიყო და სამეფო მიეტოვებია. ამის შემდგომ ჯერ მოკავშირედ მოწვეულ 1721 წ. ოსმალთა გაბატონებამ, შემდეგ სპარსთაგან დაპყრობამ, აღმ. საქართველოს სახ. წესწყობილება და დანაწესები გაანადგურა. ამ დროითგან მოყოლებული შეწყდა, რასაკვირველია, კანონით შვიდ წელიწადში ერთხელ მოსახდენი ხალხის აღწერაც. ამ ხნის განმავლობაში ჯერ ოსმალებს, ხოლო მერმე სპარსელებსაც აუწერიათ საქართველო და გადასახადის დავთრებიც შეუდგენიათ. საქართველოს იმდროინდელი ოსმალური დავთრები უნდა სტამბოლში, სახელმწიფო დავთარხანაში, აღმოჩნდეს, სპარსეთს-კი თავისი სახელმწიფო საბუთები, მრავალგვარი პოლიტიკური ცვლილების გამო, დაკული არა აქვს. მაგრამ თვით საქართველოში გადარჩენილია სპარსული გადასახადის წიგნებისა და დავთრების პატარა-პატარა ნაწყვეტები. როგორც ოსმალური, ისევე სპარსული იმდროინდელი დავთრების მოძებნა-შესწავლა და გამოქვეყნება მომავლის ამოცანასა და საქმეს წარმოადგენს.

აღმ. საქართველოში სპარსეთის უშუალო ბატონობის მოსპობისა და მეფობის აღდგენა-მომაგრებისთანავე ქართლ-კახეთში ხალხის აღწერა წინანდებურად უნდა განახლებულიყო. მართლაც, ჩვენამდის მოაღწია მე-XVIII ს. მეორე ნახევრის პირველი ათეულების ერთმა ძეგლმა, რომლის შესახებაც ქვევით, თავის ადგილას გვექმნება საუბარი და რომელშიაც იმდროინდელი აღმ. საქართველოს შესახებ ზედმიწევნითი, უეჭველია, ხალხის აღწერის დავთრებითგან ამოკრეფილი, სტატისტიკური ცნობებია მოთავსებული. მაგრამ ამ ხანის ხალხის აღწერის თვით დავთრები, ერთი პატარა ნაწყვეტის გარდა, ჯერ აღმოჩენილი არ არის.

<sup>1</sup> შეცდომა: უნდა „იზ“ (77) იყოს.

## § 1. ლიახურას ხეობის მე-XVIII ს. შუა წლების დავთრის ნაწყვეტი.

მე-XVIII ს. შუა წლებისა და მეორე ნახევრის აღწერათა უძველეს დავთრად უნდა მიჩნეულ იქმნეს ლიახურას ხეობის მცხოვრებთა აღწერის უთარილო დავთრის ნაწყვეტი, რომელიც ს. გარეჯვარის, იქით გარეჯვარისა, გორის ახალდაბისა და ხელთუბნის შესახებ ცნობებს შეიცავს.

დავთარი მხოლოდ კომლთა შესახებ გვაწვდის ცნობებს, მაგრამ არსად ტერმინი „კომლი“ ნახმარი არ არის. ამგვარადვე „თავი“-ც არსად იხსენიება და ყოველი გვარის ცნობას უშუალოდ მისდევს ხოლმე ერთი სახელი, რომელიც, ალბათ, ოჯახის უფროსის სახელი უნდა იყოს.

დავთარში ყოველი მოსახლის შესახებ აღნიშნულია სოციალური, წოდებრივი, ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობა, მაგ. აზნაური, ყმა, მეკომლე, ბოგანო, უმამულო, ხიზანი. ამ აღწერას თავისებური თვისებები აქვს, რომლითაც იგი ყველა სხვა დავთრებისაგან განსხვავდება. სხვათა შორის აქ ტერმინად ყოველთვის „მეკომლე“ იხმარება.

ყოველი სოფლის აღწერას ბოლოში ჯამი აქვს ხოლმე დართული. მაგ.:

აქ. მეკომლის ჯამი |თ|

ქ. ბოგანოს ჯამი |უ| უმამულო სა.

ქ. ხიზნის ჯამი |ი|.

დავთრის უთარილობის გამო აღწერა შეიძლება მხოლოდ დაახლოვებით იქმნეს დათარიღებული. აღწერაში იხსენიება „გორჯასპი მდინის ყმა“ მაგრამ მისი შვილის მანუჩარის, რომელმაც არაგვის ხეობის 1774 წ. დავთარი შეადგინა, იქ ხსენება არ არის. თვით გორჯასპი თუმანიშვილი მდივან-მწიგნობარა, როგორც საბუთებითგან ჩანს, 1749 წელს 27 მარიაშვილის თეიმურაზ II-ის სიგლის დამწერი ყოფილა (სქს სტენი, I, 262). გვხვდება იგი 1751 წ. სიგლისა (იქვე, II, 547) და 1755 წ. სიგელშიაც (იქვე, I, 262).

ამავე დავთარში მოხსენებული „სარდალი რევაზი“ უნდა სარდალი რევაზ ორბელიანი იყოს, რომელიც 1751 წ. საბუთში ჩანს (იქვე, II, 546).

ერთის მხრით, გორჯასპი მდივნის შვილის მანუჩარ თუმანიშვილის დავთარში მოუხსენებლობა ამ აღწერას 1774 წ. უწინარესად გვაგულისხმობინებს. მეორეს მხრით, მდივანი გორჯასპისა და რევაზ სარდალის ზეობა ამ დავთარს მე-XVIII ს. შუა წლებისად გვაფიქრებინებს.

## § 2. 1774 და 1781 წ.წ. აღწერის დავთრები.

ჯერჯერობით პირველი გარკვეული ცნობა ამ ხანის ხალხის აღწერის შესახებ 1775 წლის ერთ საბუთშია დაცული, რომლის ჯერ მხოლოდ რუსული თარგმანია გამოქვეყნებული. იქ სხვათა შორის ნათქვამია: ჩვენ მსაჯულებს ორთავე მხრის მოწმეთაგანმა თავ-თავისი ჩვენება მოგვახსენა. ავაქის მოწმენი ცხადად ტყუოდენ: როდესაც მეფის ბრძანებით ქ. ტფილი-



სის მცხოვრებნი აღეწერეთ, მაშინ ავაქ ფეიქარი ორბელიანის ყმად ჩაეწერა და მისმა მოწმებმა ამის უარყოფა ვერ გაბედეს. ცხადია, ავაქი რომ ორბელიანის ყმა არ ყოფილიყო, მის ყმად არ ჩაეწერებოდა“-ო. (დ. ფურცელაძე Крест. грам., გვ. 27). ამ ცნობითგან ჩანს, რომ 1775 წ. უწინარეს და ახლო ხანში მეფის ბრძანებით ქ. ტფილისის ხალხის აღწერა შეუდგენიათ. ქ. ტფილისის ამ დავთარს ჩვენამდის არ მოუღწევია. ჯერ-ჯერობით მაინც აღმოჩენილი არ არის.

თუ საქართველოში ხალხის აღწერის შესახებ არსებულ წესებს გავითვალისწინებთ, ცხადი ვახდება, რომ იმავე დროს, როდესაც მეფეს ქ. ტფილისის აღწერის ბრძანება გაუტია, უეჭველია, სამეფოს სოფლის მთელი მოსახლეობის, „ქვეყნის“ ოთხივე სადროშოს აღწერის ბრძანებაც უნდა ყოფილიყო გაცემული. მაგრამ ამაზე მეტის თქმაც შეიძლება. 1774 წლის გამოცემულს მორიგე ჯარის გარიგების წიგნში ეჩვენება 11-ე ალნიშნული აქეს, რომ ამ წელს მთელი სამეფო, ქართლ-კახეთი მთლიანად აღწერილი იყო. ამ საკანონმდებლო ძეგლში ნათქვამია სახელდობრ: მორიგე ჯარის დანაწესების საუკეთესოდ განხორციელების „საქმისათვის წელს ქართლი და კახეთი... აღესწერეთ“-ო. (სქს სძელი, I, 194).

ამ ცნობის სისწორეს არაგვის ხეობის 1774 წ. ხალხის აღწერის დავთარიც ამტკიცებს, რომლის ტექსტი ე. თაყაიშვილმა აღმოაჩინა და გამოსცა კიდევ (იხ. „მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა“, გვ. 407 -- 486).

ამ დავთარს წინ პატარა შესავალი უძღვის, რომელშიაც ნათქვამია: „ქ: ჰქ დიდნეს ღთმან მეფობა მათის უმაღლესობის მეფის მეორის ირაკლისა! ეკებძანეს ჩვენ მათ მიერ მონათა მათთა მაყაშვილს ლუარსაბს და თუმანიშვილს, მდიენის გორჯასპის შვილს, მანუჩარს აღწერად არაგვისა. აღესწერეთ ბრძანებისაებრ მათის უმაღლესობისა. აღიწერა თვესა იანვარსა: ა: წელსა ჟბა.“ (გვ. 407). ამნაირად ირკვევა, რომ არაგვის ხეობა ერეკლე II-ის ბრძანებით 1774 წელს ლუარსაბ მაყაშვილსა და მანუჩარ თუმანიშვილს, მდიენის გორჯასპის შვილს, აუწერიათ.

უეჭველია, რომ 1775 წ. ბემომოყვანილ საბუთში მოხსენებულ ქ. ტფილისის აღწერაც ამავე 1774 წ. უნდა ყოფილიყო მოხდენილი.

არაგვის ხეობის 1774 წლის ხალხის აღწერის დავთარი ხეობებებად და სოფლებად არის დალაგებული. სოფლებში ჯერ აღნიშნულია ხოლმე შეკომურის გვარი, მისი მამის შვილობა, მერმე კომლის რიცხვი, შემდეგ თავის რაოდენობა და სულ ბოლოს თავების სახელებია მოყვანილი ხოლმე. მაგ., გერგეტში:

„სუჯასვილი ქიათავი გ სეხნია, მათია და გიორგი.

სუჯაშვილი ქიათავი გ მღვდელი იაკობ, ხახუა და ბერი“.

ამას გარდა აღნიშნულია მოსახლის თანამდებობა, -- თუ მოხელეა, ან მღვდელმსახური, -- ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა ხელობა და სხვა.

თეთოეული სოფლის შესახები ცნობის ბოლოს საერთო რიცხვია დართული ამ სახით: მაგ., გერგეტის:

იქმნა ჯამი მემკვიდრისა კი კ (28) თავი ნე (55).

იქმნა ჯამი მემკვიდრის ობლისა თავი გ" (გვ. 409).

ან კიდევ ს. სნოს:

იქმნა ჯამი მემკვიდრისა კი ლე (36) თავი ომ (78)

იქმნა ჯამი ბოგანოსი კი გ (3) თავი დ (4)

იქმნა ჯამი მემკვიდრის ობლისა თავი ა" (გვ. 415).

ან კიდევ ზემო-მღეთის:

იქმნა ჯამი მემკვიდრისა კი კ (20) თავი ნ (50)

იქმნა ჯამი მემკვიდრის ობლისა თავი ე

იქმნა ჯამი ხიზნისა კი ა თავი ა" (გვ. 430).

1780-1781 წ. ერეკლე II-ის ბრძანებით აღმოს. საქართველო კვლავ აუწერიათ. ამ დროის დაეთართაგან ჯერ-ჯერობით ქსნის ხეობისა და არაგვის ხეობის ბარის აღწერაა აღმოჩენილი, ამას გარდა ქ. ტფილისის აღწერის ნაწყვეტი ტფილისის მიდამოების აღწერის ნაწყვეტიც არსებობს.

დასასრულ, როგორც თავის ადგილას დაერწმუნდებით, ჩვენამდის მოაღწია არაგვის ხეობის მთისა და ბარის, ქსნის ხეობისა და „ნაპირის სოფლებისა“ და ქ. ტფილისის სრული აღწერის დაეთრების მიხედვით შედგენილმა ზოგადმა სტატისტიკურმა ამონაკრებმაც.

1781 წ. ქსნის ხეობის აღწერის ორმა, ერთი მეორისაგან განსხვავებულმა, დაეთარმა მოაღწია. ორივე ერეკლე II-ის ბრძანებით მოხდენილად არის აღნიშნული. მაგრამ ერთი გრაგნილის შესავალში ნათქვამია: „გებრძანეს ჩვენ მათ მიერ მონათა მათთა, გარსევეანის შვილს მგალობელს დიმიტრის და თუმანიშვილს ლაშქარნივისს მანუჩარს აღწერად ქსნისა, რომელთაცა აღესწერეთ ბრძანებისაგებრ მათის უმაღლესობისა. აღიწერა ენკენისთვის ე (5), ქორონიკონს უფთ (469) ქართულსა“.

მეორე გრაგნილის შესავალში-კი ნათქვამია: „გებრძანეს ჩვენ მათ მიერ, მონათა მათთა, თუმანიშვილს, მდივნის გორჯასპის შვილს, მდივან-ლაშქარნივის მანუჩარს და გარსევეანაშვილს მგალობელს ტეტისა აღწერად ქსნისა. აღესწერეთ ბრძანებისაგებრ მათის უმაღლესობისა. აღიწერა თვესა ენკენისთვის ე (5) წელსა უფთ“ (469). ამ დაეთრის დასაწყისი კეთი, რომელზედაც ეს შესავალი სწერია, მოელი დაეთრის ტექსტიდან განსხვავებული ხელითა და მელნით არის დაწერილი.

ამნაირად ისე გამოდის, თითქოს ქსნის ხეობის 1781 წლის 5 ენკენისთვის ხალხის აღწერის დაეთრის ორი ტექსტი გვექონდეს. ორისვე აღმწერი თუმანიშვილი მანუჩარი და გარსევეანაშვილი მგალობელი ყოფილან. მაგრამ ერთ გრაგნილში გარსევეანაშვილის სახელად დიმიტრია აღნიშნული, მეორეში-კი ტეტია. შესაძლებელია გვეფიქრა, რომ ტეტია დიმიტრის მეტი სახელი უნდა ყოფილიყო და აქ ერთსა-და-იმავე პირთანა გვაქვს საქმე, მაგრამ მაინც ცხა-

დია, რომ ასეთი განსხვავება აღწერის დავთრის შესავალის ტექსტში, თუ ერთი მათგანი დედანია, მეორე გარდანაწერი, ან ორივე ერთი-და-იმავე დროისა და ერთი-და-იმავე დედნის გარდმონაწერებს წარმოადგენენ, არ უნდა ყოფილიყო.

ეს დამაფიქრებელი გარემოება სრულ ექვად იქცევა, თუ გვეცოდინება, რომ ამ ორი გრაგნილის ქსნის ხეობის 1781 წ. დავთრის ტექსტიც ერთიმეოროსაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება შინაარსის დალაგებითაც, თვით აღწერილობის წესითაც და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ცნობებითაც. ამ ორი გრაგნილის შინაარსის შედარება ცხად-ჰყოფს, რომ მათ შორის ისეთი განსხვავებაა, რომ არამცთუ შეუძლებელია მათ საერთო დედანი ჰქონოდათ, მეკომურთა მდგომარეობისა და რიცხვის შესახებ ცნობები იმდენად არსებითად განსხვავდებიან, რომ შეუძლებელია ამ ორი გრაგნილის ტექსტებ ერთი-და-იმავე აღწერის დავთრები იყოს: ისინი ორი სხვადასხვა დროის აღწერის დავთრების შთაბეჭდილებას ახდენენ.

მართლაც და, საკმარისია ადამიანმა ამ ორი ვითომც-და ერთი-და-იმავე მწიგნობართა და ერთი-და-იმავე დროის დავთრის აღწერის რიგს დაჰხედოს. რომ საქმის ნაპღელი ვითარება ცხადი შეიქმნეს. ამ ორი გრაგნილის ერთიმეოროსაგან გასარჩევად გარსევანაშვილის განსხვავებულ სახელს გამოვიყენებთ. აი როგორ არის აღწერა დალაგებული და რომელი სოფლების აღწერა ორსავე დავთარში:

1781 წ.

გარსევანაშვილის ტეტის:

1. ილურთ-კარი
2. ბუჯიანთ-კარი
3. დორეულთ-კარი
4. შველიეთი
5. გავაზი
6. მოქალიათი
7. საქორეთი
8. სარბალი
9. ქარხობი-ქენქათ-კარი
10. ხოზოეთი
11. შიდელაანთ-კარი
12. კვერიეთი
13. ვაკე
14. თინიკაანთ-კარი
15. პავლიანთ-კარი
16. შატაკთ-კარი
17. კორკოხი
18. კორინთა
19. ცხრაზმა-ყველდაბა

1781 წ.

გარსევანაშვილის დიმიტრის:

1. ისროლის ხევს ატენი
2. ისროლის ხევს ჯავახთა
3. კურთის ხევი ილურთ-კარი
4. კურთა
5. დორეულთ-კარი
6. გავაზი
7. მოქალიეთი
8. საქორეთი
9. ხარბალი
10. შველიეთი
11. კორკოხი
12. ახალდაბა
13. შატაკთ-კარი
14. პავლეთ-კარი
15. თინიკაანთ-კარი
16. ვაკე
17. კვერიეთი
18. შიდელაანთ-კარი
19. ხოზოეთი

- |                         |                     |
|-------------------------|---------------------|
| 20. წინუბანი            | 20. ქენქიანთ-კარი   |
| 21. უკან-მხარი          | 21. გოლგოლეთი       |
| 22. უკან უბანი          | 22. კორინთა         |
| 23. დაბაკნეთი           | 23. დადიანეთი       |
| 24. მახიარეთი           | 24. ზოდები          |
| 25. თოხთა               | 25. აბუთ-კარი       |
| 26. აბუთ-კარი           | 26. თოხთა           |
| 27. ზოდები              | 27. მახიარეთი       |
| 28. დადიანეთი           | 28. დაბაკნეთი       |
| 29. ლარგვისის მონასტერი | 29. უკან უბანი      |
| 30. ცხაოტი              | 30. უკანა შკარი     |
| 31. საძეგური            | 31. ჩიტიანთ-კარი    |
| 32. გეზერეთი            | 32. ძეგნაანთ-კარი   |
| 33. ალევე               | 33. ყვილდაბა        |
| 34. ნახიდი              | 34. წინუბანი        |
| 35. ქურთა               | 35. უფუყეოი         |
| 36. წირქოლი             | 36. მონასტერი       |
| 37. იკოთი               | 37. ცხაოტი          |
| 38. ახალგორი-ოძელები    | 38. საძეგური        |
| 39. ლამისყანა           | 39. ალევე           |
| 40. ახალგორა            | 40. ნახიდი          |
|                         | 41. ქურთა           |
|                         | 42. წირქოლი         |
|                         | 43. იკოთა (-იკოთს?) |
|                         | 44. ახალგორი        |
|                         | 45. ძეგლევე         |
|                         | 46. ოძისი           |
|                         | 47. ლამის ყანა      |
|                         | 48. მეჯერის ხევი    |

ამ ორი სიის შედარება ცხად-ჰყოფს, რომ ტეტია გარსევანაშვილის დაეთარს აკლია 11 სოფლის (ატენის, ჯაეაბთას, ქურთას, ახალდაბის, გოლგოლეთის, ჩიტიანთ-კარის, ძეგნაანთ-კარის, უფუყეთის, იკორთის(?), ძეგლევის და მეჯერის ხევის) შესახები ცნობა. მაგრამ სამაგიეროდ მას დიმიტრი გარსევანაშვილის დაეთართან შედარებით 3, ან 4 ისეთი სოფლის (ბუჯიანთ-კარის, დორიანთ-კარის, გეზერეთის და იკოთის, თუ ამას შორე დაეთრის „იკოთა“ არ უდრის) შესახებ აქვს ცნობები, რომელთა ხსენებაც-კი დიმიტრი გარსევანაშვილის დაეთარში არსადა ჩანს.

ამასთანავე ის მნიშვნელოვანი გარემოებაც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ტეტია გარსევანაშვილისა და დიმიტრი გარსევანაშვილის დაეთ-

რებში მცხოვრებთა რაოდენობის შესახებაც ასეთი განსხვავებული ცნობები მოგვეპოვება, როგორც, მაგ.:

	ტეტისა:	დიმიტრის:
ილურთ-კარში . . . . .	14 კ <sup>ი</sup>	16 კ <sup>ი</sup>
შველიეთში . . . . .	11 „	11 „
გაეაზში . . . . .	9 „	9 „
საქორეთში . . . . .	3 „	5 „
ხოზოეთში . . . . .	5 „	7 „
ქენქათ-კარში . . . . .	16 „	6 „
მიდელაანთ-კარში . . . . .	11 „	9 „
ვაკეში . . . . .	9 „	5 „
დადიანეთში . . . . .	11 „	17 „

ცნობათა ასეთი განსხვავება, რასაკვირველია, შეუძლებელია ერთის-და-იმავე დროის დაეთარში ყოფილიყო. ამიტომ, ყველა ზემო მოყვანილი მიზეზის გამო, იმისდა მიუხედავად, რომ ორსავე ძეგლს დაწერილობის ერთი-და-იგივე თარიღი აზის, მაინც ორ სხვადასხვა დროის აღწერის დაეთრად უნდა მივიჩნიოთ.

რაკი ტეტია გარსევანაშვილის სახელის მქონებული შესავალი, როგორც უკვე აღნიშნული გეჰონდა, დაეთრის მთელი დანარჩენი ტექსტისაგან განსხვავებული ხელითა და მელნით არის დაწერილი, დიმიტრი გარსევანაშვილის სახელის მქონებული დაეთრის შესავალი-კი დაეთრის დანარჩენი ტექსტისაგან ხელითაც და მელნითაც არაფრით განსხვავდება, ამიტომ ეს დაეთარი, ვითარცა დაუზიანებელივ დაცული, მართლაც 469 ქორონიკონის, ანუ 1781 წლის ქსნის ხეობის ხალხის აღწერის დაეთრად უნდა იქმნეს მიჩნეული.

ტეტია გარსევანაშვილის სახელის მქონებული დაეთარი-კი სხვა დროის თავ-დაზიანებული და შემდეგ განახლებული დაეთარი უნდა იყოს. რათგან მას თავი მოგლეჯილი ჰქონია, მისი დაწერილობის თარიღი გამოურკვეველი იქმნებოდა და განახლების დროს ახლად დაწერილი შესავალი მიუწებოვებიათ. 469 წლის ქორონიკონი ამ დაეთრის შედგენილობის თარიღად საფიქრებელია სწორედ ამ განახლების დროს უნდა იყოს შეცთომით დადებული. ამიტომ მისი თავდაპირველი, ნამდვილი თარიღის გამორკვევა საჭირო.

ტეტია გარსევანაშვილისეული დაეთრის დაწერილობის ხნიერების გამოკვეთა 1781 წ. დაეთრის ცნობებთან შედარებით, მისი თვისებების გამოკვლევებით შეიძლება. სახელდობრ, ამ თვისებათა შედარებითი სიძველე თარიღის მიგნებას შეგვაძლებინებს.

ცნობათა ასეთი შედარება ერთ ფრიად საგულისხმოსა და მნიშვნელოვან გარემოებას ააშკარავებს. სახელდობრ, 1781 წ. დაეთრის ცნობები მოსახლეობის გვაროვნობითი კუთვნილებების შესახებ ტეტია გარსევანაშვილისეულ დაეთართან შედარებით გამარტივე-

ბულია: ამ უკანასკნელი ძეგლის აღწერაში თუ მოსახლის გვარი ჩვეულებრივ აღნიშნულია ხოლმე და თანაც თვითთვეული მეკომურის მამისშვილობაც არის დასახელებული, 1781 წ. დავთარში, პირიქით, გვარი ხშირად უკვე ჩაწერილი არ არის და მხოლოდ მამისშვილობაა აღნიშნული ისე, რომ ეს მამისშვილობის სახელი უკვე გვარად არის ქცეული.

ორიოდე ქვემოთყვანილი მაგალითი ამ ყოველმხრივ საყურადღებო მოვლენისა და გარემოების ვითარებას ადვილად გააგებინებს ადამიანს; მაგ.:

### ტ ე ტ ი ა გ ა რ ს ე ვ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა შ ი :

#### ი ლ უ რ თ - კ ა რ შ ი :

1. ი ლ უ რ ი ძ ე ბიბილას შვილი კ ი ა თ ა ვ ი ა გ ი ო რ გ ი .
2. ი ლ უ რ ი ძ ე ქ ი ტ ი ა ს შ ვ ი ლ ი კ ი ა თ ა ვ ი ა გ ი ო რ გ ი .
3. ი ლ უ რ ი ძ ე ნ ი კ ო ლ ო ზ ის შ ვ ი ლ ი კ ი ა თ ა ვ ი გ მ ლ ე დ ე ლ ი გ ი ვ ი , კ ი -  
კ ო ლ ა და ი ო ს ე ბ .

#### 1781 წლისაში:

#### ი ლ უ რ თ - კ ა რ შ ი :

1. ბიბილასშვილი კ ი ა თ ა ვ ი ბ გ ი ო რ გ ი და ბ ე რ ი .
2. ქიტიასშვილი კ ი ა თ ა ვ ი ა გ ი ო რ გ ი .
3. ნაკოლოზის შვილი კ ი ა თ ა ვ ი ა ი ვ ა ნ ე .

#### ტ ე ტ ი ა ს :

#### ქ ა რ ჩ ო ხ ს ქ ე ნ ქ ა ნ თ - კ ა რ ს :

1. ქ ე ნ ქ ა ძ ე ხ ა დ ი ლ ა ს შ ვ ი ლ ი კ ი ა თ ა ვ ი ა ა ბ რ ა მ ს .
2. ქ ე ნ ქ ა ძ ე ფ ო ც ხ ე რ ის შ ვ ი ლ ი კ ი ა თ ა ვ ი ა გ ი ო რ გ ი .
3. ქ ე ნ ქ ა ძ ე ბ ე რ ის შ ვ ი ლ ი კ ი ა თ ა ვ ი გ გ ი ო რ გ ი , გ ო ვ ი ა და მ ა -  
ბ ა რ ე ბ ე ლ ი , და ს ხ ე ა ც ბ ე ვ რ ი ა ა მ გ ე ა რ ი .

#### 1781 წლისაში:

#### ქ ა რ ჩ ო ხ ს ქ ე ნ ქ ა ნ თ - კ ა რ ს ა და გ ო ლ გ ო ლ ე თ ს :

1. ხ ა დ ი ლ ა ს შ ვ ი ლ ი კ ი ა თ ა ვ ი ა გ ი ო რ გ ი .
  2. ფ ო ც ხ ე რ ის შ ვ ი ლ ი კ ი ა თ ა ვ ი ა გ ი ო რ გ ი .
  3. ბ ე რ ის შ ვ ი ლ ი კ ი ა თ ა ვ ი ა მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ი .
- ბერის შვილი კ ი ა თ ა ვ ი ბ გ ი ო რ გ ი და ბ ე რ ი .

ამას გარდა ამ ორი დავთრის შედარება კიდევ მეორე მნიშვნელოვან გარემოებასაც ამჟღავნებს: ტეტია გარსევანაშვილისეულში ერთ კომლად ჩაწერილი, 1781 წ. დავთარში უკვე 2 და მეტ კომლად არის გაყრილი და ქცეული. მაგ.:

ტეტიასეულ დავთარში ილურთ-კარში ილურიძე აბრამის შვილი 1 კომლად არის აღნიშნული, რომელშიაც 4 თავი იყო, —ივანე, სოსო, სიხარული და ოქროპირი, —1781 წლისაში ილურიძე აბრამისშვილი 1 კომლად ირიცხება და 2 თავი ჰყავს, —ივანე და ოქროპირი. სოსო ილურიძე-კი უკვე ცალკე კომლად არის გამოყოფილი. ხოლო სიხარული აღარა ჩანს.

ამგვარადვე ყველდაბს ჩიტასშვილი კი 1 ორ თავს, შერმაზანსა და თამაზს, შეიცავდა, 1781 წელს-კი შერმაზანი უკვე მკვდარი ჩანს, რათგან იქ „შერმაზანის ობლები“ იხსენიებიან, ჩიტაშვილი თამაზა-კი ცალკე კომლად არის აღნიშნული. ასეთი მაგალითების მოყვანა შრავლად შეიძლება.

უიკველია. მეკომურის გვარის აღმნიშვნელი ხალხის აღწერის დავთარი უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე მამისშვილობის გვარად გამსაღებელი დავთარი. ერთი საკომლოს ორად გაყრილობაც ტეტია გარსევანაშვილისეღ დავთარს 1781 წლისაზე უწინარესად გვაფიქრებინებს. ყველა ამ ფაქტების გამო, ტეტია გარსევანაშვილისეული აღწერა 1781 წელზე ადრე შედგენილად უნდა ვიცნათ და დასაწყისი კეთი მართლაც შემდეგში შეცთომით უნდა იყოს ამ აღრიღდელ, ეტყობა იმ დროისათვის უკვე თავმოგლეჯილ, დავთართან დაკავშირებული.

ახლა რომ ამ დავთრის თავდაპირველი შედგენილობის თარიღის გამოკვევას შეუღდგეთ, უნდა ითქვას, რომ მისი და 1781 წ. დავთრის შინაარსი მოსახლეობაში მომხდარ თვალსაჩინო ცვლილებას გვიშლის თვალწინ, რაც ზათ შორის საკმაო ქრონოლოგიურ მანძილს გვაფიქრებინებს. რაკი არაგვის ხეობის 1774 წლის აღწერის დავთარი არსებობს და ამას გარდა 1781 წ. არაგვის ხეობის ბარის აღწერამაც ჩვენამდის შოაღწია, ამიტომ 1781 წლისაზე უწინარესი ქსნის ხეობის ეს ხალხის აღწერა შესაძლებელია მხოლოდ, ან 1774 წლისა, ან ეგების უფრო აღრიღდელიც იყოს.

ქსნის ხეობის კიდევ ერთი შვიდ ცალ-ცალკე გრაგნილ კვებზე დაწერილი, უთარიღო აღწერის დავთარიც არსებობს. ამ დავთრისა და 1781 წ. დავთრის შეღარება ცხად-ჰყოფს, რომ ეს უთარიღო ხალხის აღწერა 1781 წ. დავთარს კვალ-და-კვალ მისდევს და მის ტექსტს იმეორებს. მას მხოლოდ საერთოდ გამარტივებისადმი მიღრეკილება ახასიათებს, რომელიც უფრო თვალსაჩინოდ სოფლის მოსახლეობის ჯამების უქონლობით გამოიხატება: არც ერთი სოფლის შესახებ ცნობას საერთო ჯამი დართული არა აქვს. იშუიათად თუ, აქა-იქ, ტექსტს დაღაგებულობის რიგია შეცვლილი. ყველა ეს გარემოება სრულ უუღლებას გვაქღევს და ვასკენათ, რომ ქსნის ხეობის ეს უთარიღო, ოღნავ გამარტივებული ხალხის აღწერა 1781 წ. დავთრის პირსა და გარღანაწერს წარმოადგენს.

1781 წელს არაგვის ხეობის ბარის სოფლებიც აუწერიათ. ეს გარემოება დავთრის ბოლო ფურცლის დასასრულშია აღნიშნული. წინ-ღუშეთის შესახები ცნობის ბოლოს, სახელღობრ, ნათქვამია:

„ქკს: უათ: ამ წელს, ენკენისთვის ე (5) არაგვის საერისთვოს ბარის სოფლების აღწერის დავთარია, ამისი პირი გადმოწერილია“-ო.

მაშასღამე, არაგვის საერისთვოს ბარის სოფლები 1781 წ. 5 ენკენისთვის აუწერიათ. ჩვენამდის ამ დავთრის დეღანს არ მოუღწევია, არამედ ჯერ ჯერობით ხელთ მხოლოდ მისი პირი და გარღმონაწერი გვაქვს.

არაგვის ხეობის ბარის 1781 წ. აღწერის ეს პირი 7 ცალ-ცალკე ქალაქის ფურცელზე არის მოთავსებული. არც ერთს ამ ფურცელნათაგანს კეფის სათვალავი არ ახის თავში და მათი ერთმანერთთან კავშირი ერთის მხრით ყველა მათგანის ერთი-და-იმავე ხელით დაწერილობით მტკიცდება, მეორეს მხრით იმ გარემოებით, რომ შეიძლება ფურცელზე არაგვის ხეობის მართლაც ბარის სოფლების აღწერაა, და შესამე მხრით იმითაც, რომ მეორე და შესამე და მეექვსე და მეშვიდე ფურცლებად მიჩნეულ ფურცლებზე ერთი სოფლის აღწერის დასაწყისის გაგრძელება და დასასრულია. ამის წყალობითა და გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით ამ ფურცლების რიგზე დალაგება შესაძლებელი შეიქმნა.

დავთარი ჩვეულებრივი წესით არის დაწერილი იმ განსხვავებით, რომ თავების რიცხვი, იშვიათ გამონაკლისს გარდა, აღნიშნული არ არის, თუმცა რიცხვნიშნისათვის ადგილი განზრახ არის დატოვებული, მაგრამ თავების სახელები ყოველგან სწავია ამ სახით მაგ.: ანანურს „ბრაქული დეკანოზის შვილი კომლი ა თავი დეკანოზი დავით, ზაქარია, პილიპე (sic) და შიო“.

აღსანიშნავია, რომ მთელ დავთარში არსად, არც ერთი სოფლის ბლოს, მცხოვრებთა საერთო ჯამი გამოანგარიშებული და დაწერილი არ არის.

თავების რიცხვისა და ჯამების აღუნიშვნელობის გამო არაგვის ხეობის ეს აღწერა ტექნიკურად დაუმთავრებელი დავთრის შთაბეჭდილებას ახდენს.

არაგვის საერისთვის ბარის სოფლების 1781 წლის ამ დავთარში შემდეგი 26 სოფელია აღწერილი: პველური, ციხის-ძირი, ავენისი, ანანური, ჟინვანი, ქასისხევი, არანისი, ეთვალისი, უნდილაანთ-კარი, არაგვის-პირი, იორი, ყვავილი, აში, აუხავი, იწრისი, ბოდორნა, საშაბურო, ბაზალი, ტონჩა, გრემის ხევი, მთიულთ-კარი, არლუნი, ზენ-დუშეთი, ჩილურტი, დუშეთი, სასახლის დუშეთი და წინ-დუშეთი.

ქსნის ხეობის შემოგანხილული უთარილო დავთრის (იხ. აქვე, გვ. 49) 1781 წ. აღწერის პირად მიჩნევა და დადასტურება არაგვის ხეობის ერთი აგრეთვე უთარილო დავთრის თავდაპირველი დაწერილობის გამორკვევის საშუალებას გვაძლევს:

არაგვის ხეობის ამ უთარილო დავთრის 1774 წლის ხალხის აღწერის დავთართან შედარება იმავე სურათს გვიშლის თვალწინ, როგორც ქსნის ხეობის 1774 წლისად გამორკვეულისა და 1781 წლის დავთრების შედარებამ გადაგვიშალა. აქაც არაგვის ხეობის 1774 წლის დავთარში აღნიშნული მემკომურთა გეარები ხშირად გამოტოვებულია და მხოლოდ მამის შვილობა-დაა ჩაწერილი გეარის მაგიერ. მაგ.:

1774 წ. დავთრით ს. სნოში მოხსენებული არიან:

აღუდუშაური გივისშვილი კი ი თავი ალომნია.

ღუდუშაური გელისშვილი კი ა თავი გ შიო, პაპუა და იასე.

ღუდუშაური ზაქარისშვილი კი ა თავი ა ბერი.

ღუდუშაური ატასშვილი კი ა თავი ბ გელია და ატა.

ღუდუშაური ცულუტასშვილი კი ა თავი ბ ზალია და ბეიან, --და სხვანიც.



ხოლო არაგვის ხეობის უთარილო დაეთარში ს. სნოში ზემომოყვანილის მაგიერ სწერია:

„გივისშვილი კი ა თავი ა ლომნია  
 გელიაშვილი კი ა თავი ე შო, პაპუა, ისე, ბიძია, გელია.  
 ზაქარის შვილი კი ა თავი ა ბერი.  
 ატას შვილი კი ა თავი ა (sic) გელია, ატა.  
 ტულუტასშვილი კი ა თავი ა ბეენ.“

ამნაირი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ უთარილო დაეთრის აღწერის ამ დამახასიათებელი თვისების გასათვალისწინებლად ეს ერთი მაგალითიც საკმარისია.

არაგვის ხეობის ამ უთარილო დაეთრის აღწერას 1774 წ. დაეთართან შედარებით მეორე საყურადღებო თვისებაც ახასიათებს: 1774 წლის აღწერაში ერთ კომლად მოხსენებელი მკვიდრი უთარილო დაეთარში უკვე გაყრილად და 2 ან მეტ კომლად არიან აღნიშნულნი. ორიოდე მაგალითის მოყვანა ამ შემთხვევაშიაც საკმარისი იქმნება.

მაგ.: 1774 წ. აღწერაში ს. თარგმარში შეტანილია: „ბულასშვილი კი ა თავი ბ ვეფხია და ისე“, -- უთარილო დაეთარში-კი ნათქვამია: „ბულაშვილი კი ა თავი ბ ისე, დაეთ“ და „ბულასშვილი კი ა თავი ვეფხია“.

ამგვარადე ს. სნოში 1774 წ. დას. ხელებულია: „ლუდუშაური პაპასშვილი კი ა თავი გ იასე. ჯულურა და ბიძია“ უთარილო დაეთარში-კი უკვე სწერია: „პაპასშვილი კი ა თავი ბ იასე. კურდღელა“ და კიდევ მეორე „პაპასშვილი კი ა თავი ბ. ბიძია, ჯილურა“.

მერმე 1774 წ. დაეთარში აღნიშნული „ლუდუშაური თემურასშვილი კი ა, თავი ა ჯარია“ შემდეგ გარდაცვლილა და უთარილო დაეთარში უკვე ნათქვამია: „ლუდუშაურის ჯარიას ობოლი ბ თემურა, ბიკი“. ასეთი მაგალითების მოყვანა ბლომად შეიძლებოდა.

ზემოაღნიშნული ორი მთავარი გარემოების შემდგომ უეჭველი უნდა იყოს, რომ ეს უთარილო დაეთარი არაგვის ხეობის 1774 წ. დაეთარზე უფრო მერმინდელია.

ხოლო რაკი 1774 წლის შენდგომი ხალხის აღწერა მარტო 1781 წელს იყო მოხდენილი, ამიტომ საფიქრებელია, რომ არაგვის ხეობის ეს უთარილო დაეთარიც 1781 წლის აღწერის გამარტივებულ გარდაუნაწერს უნდა წარმოადგენდეს. ამ გარდანაწერს ქსნის ხეობის უთარილო, მაგრამ 1781 წლის დაეთრის პირად მისაჩნვე გარდანაწერთან, ზემოაღნიშნულს გარდა, ის საერთო თვისებაც აქვს, რომ მასაც სოფლების მცხოვრებთა ჯამი არსად მოეპოვება.

ამგვარად ირკვევა, რომ 1774 წელს მართლაც მარტო ქ. ტფილისი და არაგვის ხეობა-კი არ აღუწერიათ, არამედ ქსნის ხეობაც და, რასაკვირველია, აღმ. საქართველოს სადროშოების სხვა ნაწილებიც. ამიტომ 1774 წლის დანარჩენი დაეთრები, თუ სამუდამოდ განადგურებული არ არის, ჯერ კიდევ მოსაძებნია.

მაგრამ ზემოთ გამოიკვავ აგრეთვე, რომ 1781 წელსაც, ქსნის ხეობას გარდა, არაგვის ხეობაც ყოფილა აღწერილი (იხ. გვ. 29). საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაშიაც, 1781 წელსაც, წესისამებრ და 1774 წლის მსგავსად, მთელი სამეფო იქმნებოდა აღწერილი. მართლაც, როგორც თავის ალაგას დავრწმუნდებით 1781 წ. ქ. ტფილისიც აუწერიათ და აღწერის ერთმა ნაწყვეტმა და სრული დაეთითგან ამოკრებილმა ზოგადმა ცნობებმა ჩვენამდისაც-კი შოაღწიეს.

არსებობს ამავე დროის ტფილისის მიდამოების სოფლების აღწერის დაეთარი, რომელსაც თარიღად 1780 წ. აქვს აღნიშნული. ეს დაეთარი სხვებივით ქალაღდის გრაგნილზეა დაწერილი, რომლის კეთები ერთი ზომისა არ არიან. დამწერელთა ხელიც განსხვავებულია ამისდა მიხედვით. ყველა ნიშნით ეს გრაგნილი აღწერის დედანი არ უნდა იყოს, არამედ გარდანაწერი.

დაეთრის თავში ნათქვამია: „ქკს უჰმ. ამ წლის თიბათვის. თორმეტს. ბატონის ბძანებით ერეკლეს ციხე ავწერეთ. მე ომან ლაშქარნივისმა. და ყორიასულბაშის ნაიბმა ფაღლენიშიელმა გლახამ“. შემდეგ უკვე აღწერის ტექსტი იწყება: „ქ. ერეკლეს ციხიღამ აზატი ყოველის ფერში: საღეკოშიაც და საქვეყნოშიაც. თოფჩი. ბერუა. ამისი ძმა თორაზა (sic). და გოგია. კომლი. ა. თავი კ.“

აღწერიღობაში შეტანიღია მეკომურის გვარი და თავთარი ცხვი და მათი სახეღები, რომელნიც ყოვეღთვის უშუაღლოდ გვარს მისდევენ ხოღმე, ამნაირად, მაგ.: „ქ. აქავ. აზატი. ბატონის ოქმით. დედოფლის ჯიღადარი. იმნაძე. ბერი. და ამისი ძმისწული. მღღელი. ქრისტეფორე. კომლი, ა. თავი. ბ.“

აღწერა საბატონოებისა და სოციღალური მდგომარეობისღა მიხედვით ცაღ-ცაღკე ჯგუფებღად არის დაღღაგებული და თვითოეული ჯგუფის შესახებ ცნობას ბოღოში ჯამი მოეპოვებღა ამ სახით, მაგ.: „ქ. იქნა. აზატის კომლის ჯამი მ. თავი. იბ.“

მაგრამ ბევრგან ადგიღია დატოვებული, ჯამი-კი გამოთვლიღი და აღნიშნული არ არის.

დაეთრის შესავღლში ნათქვამია, თითქოს აღმწერთ მხოღლოდ ერეკლეს ციხის აღწერა ჰქონოღდეთ ნაბრძანები. ამ განცხადების თანახმად დაეთარში პარტო ამ ადგიღის აღწერა იყო მოსაღღონელი, მაგრამ დაეთრის შინაარსი გაციღებით უფრო ვრცელია. სახეღდობრ, გრაგნიღლში დაცღლია ერეკლეს ციხის. კუკის, დღღომის, მუენეთის, წავკისის, შინღდისის, ტაბახმღლის, ვაშღოვანის, ერტისის, ბორბაღლოს, დღრნუკის, მარაბღდას, ეკღესიას, მარნეუღლის, ნაზარკანთის. კოღდასი, მუხათის, კუშისის, წაღასყურის, თეღეთის, ხატის თეღეთისღა და სონღლუღლის მცხოვრებთა აღწერა. მაშასღაღმე, ამ დაეთარში ტფიღლისის მახღობღღად მღღებარე 22 სოფღლის მოსახღეობის აღწერაც მოიპოვებღა. ამიტომ საფიქრებულია, რომ დაეთარის შესავღლში გაღღმომწერელს დღღნის ცნობა სისწორით არ უნდა ჰქონღდეს დაცული, არამედ ტექსტი დამახიჯებული უნდა იყოს.

საეკეკოა აგრეთვე, რომ შესავალში აღნიშნული აღწერის შედგენილობის თარიღიც სისწორით იყოს დაკული. გამოდის, რომ ტფილისის მიდამოები 468 ქრონიკონს, ანუ 1780 წ. აუწერიათ. მაგრამ უკვე დაერწმუნდით, რომ არაგვის ხეობის მთისა და ბარის სოფლები იმგვარადვე, როგორც ქსნის ხეობა, მეფის ბრძანებით 1781 წ. აუწერიათ. ქ. ტფილისიც 1781 წ. 5 თებერვალსა და 1782 წ. 3 იანვარს შუა შეიძლება მხოლოდ იყოს აღწერილი (იხ. აქვე, გვ. 60). ამის გამო ძნელი დასაჯერებელია, რომ ტფილისის მახლობლად მდებარე სოფლების აღწერა მეფეს ცალკე ებრძანებინა და 1780 წელს მხოლოდ ეს მიდამოები აეწერათ. უფრო ბუნებრივია ვითიქროთ, რომ ეს დაეთარიც დანარჩენებთან ერთად 1781 წელს უნდა ყოფილიყო შედგენილი და თარიღი გადმოწერის დროს შეცდომით უნდა იყოს აღნიშნული.

ჩვენამდის მეფის სადროშოს ხალხის აღწერის დავთრის კიდევ ერთმა ნაწყვეტმა მოაღწია, რომელიც უწინა ხელით ქალაქის გრაგნილზეა დაწერილი. გრაგნილს თავიკა და ბოლოც აკლია, ამის გამო უთარიღია.

აღწერა სოფლებრივ და საყმობად არის დალაგებული. ყოველი მეკომურის შესახებ ნათქვამია, თუ კომლში რამდენი თავი იყო, და რიცხვის შემდგომ თვითოეულის სახელიც არის სოლმე მოყვანილი, მაგ.:

„ქ. აზნაურშილი კლიმიაშვილი კომლი ქაი თავი გ; დავითი, სახლის კაცი ლედელი იოსები და შვილი ქაქუცა“.

თვითოეული სოფლისა და საყმოს ბოლოს საერთო ჯამია სოლმე მოთავსებული, მაგ.:

„ქ. ედიას ობლის ყმის ჯამი თავი ქც.“

ქ მთლათ ქარელის კაცის ჯამი თავი სია,“.

აღსანიშნავია, რომ ამ ჯამებში მეკომურთა საერთო რიცხვი - კი არა, არამედ თავების რიცხვია მხოლოდ გამოანგარიშებული.

დავთრის გრაგნილის ამ გადაჩენილ ნაწილში შემდეგი 10 სოფლის შესახებ ცნობებია მოთავსებული: ქარელის, რუისის, თეალაუზნის, ხეხრელის (sic), დოესის, ხოელეს, ყარალაჯის, გრაკალის, სასი-რეთის, ხანდაგის... აქეთვან ჩანს, რომ ეს ნაწყვეტი მხოლოდ საციციანო-საჯავახოს მოსახლეობის აღწერას შეიცავს. ამასთანავე ცხადია, რომ ეს გრაგნილი დავთრის გარდანაწერს წარმოადგენს.

რაკი გრაგნილი უთარიღია, მისი თავდაპირველი შედგენის დროის განსაზღვრა იქ დასახელებულ პირთა ზეობით შეიძლება მხოლოდ. აღწერაში - კი შემდეგი პირები არიან მოხსენებულნი: ზაქარია ციციშვილი სალთხუცესი, სარდალ-მოურავი დავით (ციციშვილი), მზეკაბუჯ ჯავახიშვილი, თეიმურაზ ჯავახიშვილი, ვახუშტ ჯავახიშვილი, მოლარეთხუცესი ელისბარი და სხვები.

ამათვან მზეკაბუჯ ჯავახიშვილი უკვე 1738 წ. ნასყიდობის წიგნში გვხვდება (ქსქ სძვლნი, II, 394). ხოლო ზაქარია ციციშვილის სალთხუცესის 1786 წ. ვალის წიგნი მოგვეპოვება (იქვე, III, 522).

მაგრამ ზემოდანახელებულ პირთაგან მხოლოდ დავით ციციშვილის შესახებ ცნობა გვაძლევს დათარიღების მტკიცე საფუძველს.

თვითვე დავით ციციშვილი 1773 წ. თავისთავს მხოლოდ ქალაქის მოურავად იხსენიებს (ს<sup>ქ</sup>ს სძ<sup>ქ</sup>ლნი, III, 9). ასევე უწოდებს თავისთავს იგი 1780 წ. არზაშიც (იქვე, III, 10) და მარტო 1783 წ. გიორგობის 25-ს დაწერილ საბუთში დავით ციციშვილი თავისთავს უკვე „სარადა-მოურავად“ იხსენიებს (იქვე, III, 11). რაკი დავთრის ამ ნაწყვეტში დავით ციციშვილი სარადა-მოურავად არის აღნიშნული, ცხადია, აღწერა შეუძლებელია 1780 წ-ზე აღრინდელი იყოს. მეორის მხრით მზეკაბუჯ ჯავახიშვილის მოხსენებულობის გამო, რომელიც უკვე 1738 წ. ნასყიდობის წიგნში ჩანს, ამ დავთრის 1780 წლის ბევრად შემდგომად მიჩნევა ცნელია. ხოლო რათგან ამ ათეულში აღწერა მარტო 1781 წ. მოხდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ძეგლი მეფის სადროშოს 1781 წ. აღწერის დავთრის ნაწყვეტი უნდა იყოს.

არსებობს აგრეთვე ზემო-ქართლის სადროშოს დავთრის ერთი ნაწილიც, რომელიც თუმცა უთარილოა, მაგრამ, როგორც ეტყობა, ამავე ხანეს უნდა ეკუთვნოდეს. ჯერ-ჯერობით ამ დავთრის ორი გრაგნილია აღმოჩენილი, რომელნიც ორივე ერთმანეთთან უნდა იყენენ დაკავშირებული.

ზემო-ქართლის ხალხის აღწერის ამ დავთრის ერთი ნაწყვეტი ქალაქის გრაგნილზეა შრიანი ხელით დაწერილი. თავი ამ გრაგნილს მოგლეჯილი აქვს, ამის გამო დავთრის თარიღი არ არის დაცული. ხალხის აღწერას სოფლებრივ და საყმობების და მიხედვით დალაგებულ ცნობებს შეიცავს მოსახლეობის შესახებ.

აღნიშნულია თვითოეულ კომლში რამდენი თავი იყო და თვითოეული თავის სახელიც უშუალოდ გვარის შემდგომ არის ხოლმე მოყვანილი. ამგვარად, მაგ.:

ქ. ქვემო ხეთის. თავთაქიშვილი იოანე კომლი. ა. თავი. ა.

ქ. აქვე ამისივე ყმა ნარიმაშვილი ნინია და გლახა. კომლი. ა. თავი. ბ.

ამ უკანასკნელი თვისებით, თავების სახელების უშუალოდ გვარის შემდგომ მოთავსებით, ეს დავთარი ტფილისის მიდამოების სოფლების 1781 წლის-დავთარს მიაგავს.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ ნაწყვეტში არსად მეკომურთა არც სოფლებრივი და არც საყმობების საერთო რიცხვი და ჯამი მოყვანილი არ არის. ეს გარემოება ამ ნაწყვეტს დავთრის გამარტივებულ სახეობად ჰხდის. რაკი კვებებს რიგობითი რიცხვი არსად აღნიშნული არა აქვთ, ამიტომ იმის განსაზღვრა, თუ გრაგნილს თავში რამდენი უნდა აკლდეს, შეუძლებელია. აღწერის ამ პირველი ნაწყვეტის გრაგნილში-კი შემდეგი 24 სოფლის შესახები ცნობებია დაცული: ... არადეთის, სალოლა-შენის, ბრეთის, წვერის, ქვემო-ხეთის, ფხვენისის, ზემო-ხეთის, ზემო-ნიქოზის, ქვემო-ნიქოზის, კეხინალის, კეხვის, თირის მონასტრის, აჩაბეთის, მდგვრის, კარბის, თამარაშენის, ქურთის, სვერის, ქემერტის, ძარწემის, რუსთავის, ხეთის, მელვრეკისის და ერგნეთის.

ზემო-ქართლის ხალხის აღწერის დაეთრის მეორე ნაწყვეტიც ქალაქის გრაგნილზეა დაწერილი შრიანი ხელით. მასაც დასაწყისი და ბოლო არა აქვს და ამის გამო ამ ნაწყვეტის დაწერილობის თარიღიც გამოსარკვევია.

აქაც აღწერა სოფლებრივ და საყმობებად არის დალაგებული და კომლისა და თავების რიცხვს გარდა თავების სახელებიც არის აღნიშნული მეკომურის გვარის შემდგომ უშუალოდ, მაგ., ამნიირად:

ჩქ. აქავ. ამისივ ყმა. აზნაურშვილი. სავანელი. გიორგი და გრიგოლ. კომლი. ა. თავი. ბ

ქ. აქავ. სავანელი. ბეცის. ყმა. ცხვარაშვილი ზურაბა. და ამისი შვილი გლაბა. კომლი. ა. თავი. ბ.<sup>4</sup>

დაეთრის მთელ ამ მეორე ნაწყვეტშიც არსად მცხოვრებთა რაოდენობის არც სოფლებრივ და არც საყმობებრივ არც ჯამი და არც რიცხვი არ მოიპოვება.

დაეთრის ამ მეორე ნაწყვეტში შემდეგი 17 სოფლის შესახებ არის დატული ცნობები: ... წიქარაულის, ცხრა-მუხასი, ბრეძის, ატოცის, თიღვისა, ტყისუბნის, წირეთის, ძალინასი, ავლევის, — გრაგნილის ზურგზე: ერედვის, ერგნეთის, ძვეერის, შერთულის, მეღვრეკისის, ყელქეულის, სამთავისის (?), ქალის, ბოლიდამ (sic)... გრაგნილის თავისა და ბოლოს დაზიანებულობის გამო, გამოურკვეველი რჩება, თუ რამდენი კეფი, ან რამდენი სოფლის შესახები ცნობა აკლია ამ ნაწყვეტს.

ორივე ნაწყვეტის აღწერის ერთნაირი ტენიკა და ერთი-და-იგივე ასპარეხი მათ ერთისა-და-იმავე დაეთრის ნაწილებად გვაფიქრებინებს.

უთარილობის გამო, ამ ორი ნაწყვეტის თავდაპირველი შედგენის თარიღი უნდა დაახლოვებით მაინც იყოს განსაზღვრული აღწერაში მოხსენებულ პირთა დროისა, და ზეობის მიხედვით. ქართული საგვარეულოების ისტორია ისევე რომ იყოს შესწავლილი, როგორც დასავლეთ ევროპის ისტორიაშია შესწავლილი, ამ ნაწყვეტების დათარიღება ზედმიწევნითა-კი შეუძლებელია, მაგრამ ჩვენში ეს დარგი ჯერ-ჯერობით სრულებით ხელუხლებელია. ამიტომ ამ ორი გრაგნილის დაწერილობის დროის გამორკვევა მხოლოდ დაახლოვებით შეიძლება.

პირველ ნაწყვეტში სხვათა შორის იხსენიებიან: აბაშიძე დავით სალთხუკის ყმა, — თამარაშენს მაჩაბელი ფარსადან, ლუარსაბ, რევაზ, ელიზბარ და დათუა, — ფარსადან მაჩაბლის ყმა, სულხან მდიენის (ბეგთაბეგიანთ) ყმა, ოთარ მინბაშის საუფლისწულო ყმა.

მეორე ნაწყვეტში-კი მოხსენებული არიან: ამირეჯიბი მუქეპაბუკი და დავითი, ამირეჯიბი ზაზა, აეთანდილ ხერხულიძე, ფალავანდიშვილი ერეკლე, ფალავანდიშვილი ქაიხოსროს შვილი ზაალ, ფალავანდიშვილი უხბაში გოგია და მისი ძმა ბოქაულთ-ხუცესი ზურაბ, ამილახვარი იესე, ქაიხოსრო და ქაიხოსროს შვილი ნინია, გოგია, — ამილახვარის შვილი მინბაში ოთარ და ნინია და სხვანი.

ამათგან ფარსადან, რევაზ, ელიზბარ და დათუა მაჩაბლები 1778 წ. მორბეგობის წიგნში არიან მოხსენებულნი (სქს სძვლნი, I, 419). ხოლო პირადად

ფარსადან მაჩაბელი 1785 წ. ერეკლე II-ის მიწერილობაში იხსენიება ხევისთავად (სქს სძვლნი, III, 199) და 1787 წ. საბუთშიც გვხვდება (იქვე, III, 200).

ზაალ ფალავანდისშვილი-კი უკვე 1750 წ. ხელს აწერს დავითაშვილების გაყრილობის წიგნს (სქს სძვლნი, II, 481). მაგრამ იხსენიება 1782 წ. ერეკლე II-ის ბრძანებაშიც (იქვე, II, 487). დასასრულ, ამირეჯიბი ხუთასისთავი ზაზა ამოწმებს ნათლისმცემლის მონასტრის 1779 წ. ნასყიდობის წიგნს (ისტ. საბ., V, 94).

ამ ცნობებისა და მიხედვით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ზემო-ქართლის სადროშოს დავთრის ეს ორი ნაწყვეტი დაახლოვებით მე-XVIII-ე ს. სამოცდაათიან, ან ოთხმოციან წლებში უნდა იყოს შედგენილი, ე. ი. ან 1774 წლის, ან არა და 1781 წ. აღწერის ნაწილებს უნდა წარმოადგენდნენ.

### § 3. ხალხის აღწერა მე-XVIII ს. უკანასკნელ ათეულებში.

ზემომოყვანილი ცნობებისა და ძეგლებითგან ირკვევა, რომ ხალხის აღწერა გარკვეულ დროს წესიერად წარმოებდა ხოლმე და მთელ აღმოს. საქართველოს ეხებოდა. ხოლო რაკი ქართული სახელმწიფო სამართლის კანონების თანახმად ქვეყანა უნდა შეიდ წელიწადში ერთხელ ყოფილიყო აღწერილი და უკანასკნელი, ჩვენ მიერ განხილული, აღწერა 1781 წელს მოუხდენიათ, ამიტომ ამის მომდევნო მორიგი აღწერა უნდა 1788 წელს მომხდარიყო, ანუ 476 ქრონიკონს ქართული წელთაღრიცხვით.

მაგრამ ასეთი თარიღის მქონებული დავთარი, ნაწყვეტის სახითაც-კი, ჯერ არა ჩანს. არსებობს მხოლოდ ზოგადი სტატისტიკური ცნობების შემცველი ერთი საბუთი, რომელშიც მისი უცნობი დამწერი ქართლის 8 საგამგეო ერთეულის მცხოვრებთა კომლობრივსა და თავობრივ რიცხვებსა და ბოლოს საერთო ჯამსაც აუწყებს მკითხველს. როგორც ქვემოთ ამ ძეგლის განხილვის დროს დავრწმუნდებით, ეს ცნობები სწორედ ამ დროის აღწერის დავთრების მიხედვით უნდა იყოს გამოანგარიშებული და ამ წყაროებითგანვე უნდა იყოს ამოღებული.

მოგვეპოვება აგრეთვე ერთი ძეგლი, რომელსაც თარიღად 482 ქრონიკონი აზის, და რომელიც, მაშასადამე, 1794 წელს არის დაწერილი. ამ საბუთში ამდროინდელი ზემო და შიდა ქართლის 121 სოფელია რიგზე ჩამოწერილი და თვითოეული სოფლის სახელის გასწვრივ მეკომურისა და ხიზნის საერთო რიცხვია აღნიშნული. სამწუხაროდ ამ ცნობების დამწერს გარკვევით არა აქვს ნათქვამი, თუ საითგანაა ეს სტატისტიკური ცნობები ამოღებული, მაგრამ ეტყობა, რომ ახალს, 1794 წელს მომხდარ აღწერაზე უნდა იყვეს დამყარებული. საქართველოში არსებული კანონის მიხედვით 1788 წლის შემდგომ 1795 წელს უნდა აეწერათ ქვეყანა, მაგრამ ეტყობა რაიმე მიზეზის გამო მთავრობამ აღწერა ერთი წლით უფრო ადრე მოახდინა (იხ. აქვე, გვ. 62).

აღმ. საქართველოს სამეფოს უკანასკნელი აღწერა 1799 წელს მოუხდენიათ. ხალხის აღწერა ყველგან მოასწრეს თუ არა, ჯერ არა

ჩანს, მაგრამ გიორგი მეფეს აღწერის შესახებ განკარგულებაც გაუცია და აღმწერნიც დაუნიშნავს. ტფილისისა და მისი მიდამოების აღწერა პანტელა-შვილსა ჰქონია დაეღებულთ, მაგრამ მას ამ მიწოდობილობის დამთავრება ვე-ლარ მოუსწრია. ამ პანტელაშვილს ეს გარემოება თვითვე აქვს აღნიშნული 1799 წ. დაწერილ ერთ საბუთში. იქ ნათქვამია: მეფის ბრძანებით მე პანტელაშვილს უნდა ტფილისი და მისი მიდამოების სოფ-ლები ამეწერა. მაგრამ მხოლოდ ტფილისის აწერა მოვას-წარი. აღწერის თანადამხდურნი იყვნენ არუთინ დოლბანდელი და ბალდასარ თამაშშიშვილიო (იხ. დ. ფურცელაძე, Крест. грам., გვ. 72). სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით არც ეს 1799 წ. ტფილისის აღწერის დავთარი ჩანს და არც საქართველოს დანარჩენი ადგილების ამ წლის დავთრების ნაწვევებები მანც.

### თავი მეთხუთხე. ძალაქის აღწერის დავთრები

თავის ადგილას აღნიშნული გვექონდა, რომ ქალაქები, უმთავრესად ტფი-ლისი და გორი, თელავიც, ცალკე აღსაწერ ერთეულებად ითვლებოდენ და მათ აღწერასაც ცალკე ადგენდენ ხოლმე. „დასტურლამალ“-ში დაცული ამის შესა-ხები დებულება(ცა და გადაარჩენილი ძეგლებიც ამ გარემოებას ადასტურებენ. მაგრამ ქალაქების აღწერის დავთართა მომეტებული ნაწილი დროთა განმავ-ლობაში და მტრებისაგან განადგურებული ჩანს.

გადარჩენილთაჲნ უძველესად, ჯერ-ჯერობით მანც ქ. გორის მცხოვ-რებთა აღწერის დავთარი უნდა მივიჩნიოთ, რომელიც ქალაქის გრაგნილზეა დაწერილი. გრაგნილის კეფებს სათელავეები აქვს და ამის წყალო-ბით ირკვევა, რომ თავში პირველი კეფი აკლია. რამდენი კეფი აკლია ბო-ლოში, ძნელი გადასაწყვეტია.

გრაგნილის პირველი კეფის მოგლეჯილობის გამო დავთრის შედგენი-ლობის თარიღი დაცული არ არის, მაგრამ, რაკი აღწერაში იგივე პირები არიან მოხსენებულნი, რომელნიც მეწინავე სადროშოს 1721 წ. დავ-თარში არიან შეტანილნი, ამიტომ გორის ეს აღწერაც დაახლოვებით იმავე ხანს, მე-XVIII ს. პირველ ათეულებს უნდა ეკუთნოდეს.

ამ დავთრის შედგენილობის ტექნიკური თვისებები ცხად-ჰყოფენ, რომ ეს აღწერა მანც 1721 წ. აღწერის ნაწილი არ უნდა იყოს. მის შემდგენელს სულ სხვა წესით აქვს მცხოვრებნი აღწერილნი, ვიდრე 1721 წ. დავთრის მდივანს. სახელდობრ, ქ. გორის დავთარში არსად საკომ-ლოების თავების არც სახელები და არც რიცხვი აღნიშნუ-ლი არ არის. ბოგანოთა ჯომლობრივობაც-კი არცერთგან მო-ხვსენებულნი არ არის. ხშირად მათი გვარებიც-კი არ იხსენიება. ამ თვი-სებების გამო საფიქრებელია, რომ ქ. გორის ეს დავთარი 1721 წ. აღწერაზე უწინარესი უნდა იყოს.

ქალაქების აღწერის მერმინდელი დავთრები 1781 წლამდე ჯერ აღმოჩენი-ლი არ არის, მაგრამ 1781 წ. უწინარესი დავთრებითგან ამოღებუ-ლი ცნობები აღმოს. საქართველოს 1770 წ. ერთ ზოგად სტა-

ტიტოვური ამონაქრებში მოგვეპოვება, რომლის შესახებაც ქვემოთ (აქვე გვ. 59 - 60) გვექმნება საუბარი.

ქ. ტფილისის ხალხის აღწერის დაეთრის ერთი ნაწყვეტია გადარჩენილი, რომელსაც არც თავი აქვს და არც ბოლო და ამის გამო უთარილოა. შერჩენილი ნაწყვეტი შეიცავს ჯერ, როგორც საფიქრებელია, ან დედოფლისა და ან კათალიკოზის ყმათა აღწერას, შემდეგ ასეთი სათაურებია: „ქალაქში კათალიკოსისა“, „ბატონიშვილი გიორგის ყმა ციხეში“, „ქალაქში ბატონისშვილის გიორგისა“, „ბატონისშვილის ლეონის ყმა“, „იულონ ბატონიშვილისა“. დანარჩენი დაეთარს აკლია. როგორც ამ სათაურებითგანაც ჩანს, აქ დაცულია დაეთრის ის ნაწილი, რომელშიაც სამეფო სახლობის წევრთა ტფილისში მცხოვრები ყმები არიან აღწერილი.

დაეთრის ამ ნაწყვეტში ჩაწერილ პირთა ხელობა, ან თანამდებობა არის ხოლმე აღნიშნული, თუ ის ხელოსანი, ან მოხელე, ანდა რაიმე თანამდებობის მქონებული იყო, გვარი და სახელები. არც „კომლი“ და არც „თავი“ არსად სწერია. საფიქრებელია მხოლოდ, რომ დაეთრის მარცხენა და მარჯვენა კიდებზე აღნიშნული რიცხვნიშნები სწორედ კომლისა და თავის ოდენობის გამომხატველი უნდა იყვნენ.

დაეთრის ეს ნაწყვეტი თავისი თვისებებით თვალსაჩინოდ განსხვავდება ყველა სხვა ჯერეთ ცნობილი დაეთრებისაგან. იგი ავხელად დაწერილი ძეგლის შთაბეჭდილებას ახდენს, რათგან ბევრგან მთელი სტრიქონებია გადახაზული, ან და მთელი სტრიქონებია მარჯვენა კიდეზე მოთავსებული ჩანამატის სახით. ზოგან რიცხვნიშნებიცაა გადასწორებული.

ამას გარდა ეს ნაწყვეტი უფრო უკვე შედგენილი დაეთრის ცნობების შემოწმებას მიაგავს, ვიდრე თვით დაეთარს. ამ ძეგლის ეს საგულისხმო თავისებურება შემდეგი მაგალითითგანაც ნათელი შეიქმნება. იქ სხვათა შორის, მაგ., სწერია:

„O დ ქ. შადინანთ ისაია, ამისი შვილი თომა, დონდუა და ნოგია გ

ქ. შადინანთ მიკირტუმა ამოწყვეტილა

ქ. ანტონა მომკვდარა

O ა ქ. მქალავი ღარიბა

ქ. პაპა ამისი შვილი თათულა აყრილა ველისციხეს

ქ. ელიბილი (sic) ზაქარია თითონ იპოვნოს

O ა ქ. ყაზიზი აკოფაშვილი გურგენა

ქ. დავითას ძმა მელქია კრწანისში სწერია“.

ცხადია, რომ ჩვენგან ხაზგასმული ცნობები თანამდებობის პირისაგან რომელიც უკვე არსებული აღწერის ცნობათა ან შემოწმებასა და შესწორებას წარმოადგენს, ან არა და წინანდელი აღწერის დაეთრის ახალის შესადგენად წარმოებულ წინასწარ მუშაობას უნდა გვისურათებდეს.

ტფილისის აღწერის დაეთრის ეს ნაწყვეტი დაზიანებულობის გამო უთარილოა. მისი დაახლოებითი დათარიღებისათვის შეიძლება



ის მოსაზრება იყოს გამოყენებული, რომ აქ ლევან ბატონისშვილის ყმა არის აღრიცხული. ლევანი - კი 1781 წ. გარდაიცვალა. ამიტომ ეს დაეთარი რომ 1781 წელს ყოფილიყო შედგენილი, მაშინ აქ ლევანი მოხსენებული არ იქმნებოდა, არამედ მისი ქვრივი „ნინა ბატონის ჩძალი“ ისევე, როგორც ქ. ტფილისის 1781 წ. დაეთარის სტატისტიკურ ამონაქრებშია, სადაც ლევან ბატონის-შვილი არა ჩანს და მხოლოდ მისი ქვრივის „ნინა ბატონის ჩძლის“ ყმა აღნიშნული.

ამგვარად, ეს ნაწყვეტი 1781 წ. დაეთარზე უფრო ადრეულად უნდა ვიგულისხმოთ. ხოლო რაკი ქართლ-კახეთის სამეფოს ამაზე უწინარესი აღწერა 1774 წელს ეკუთვნის, ამიტომ ეგების ეს ნაწყეტი, ან სწორედ იმ დროის ან ამ იმის წინამორბედი დაეთარის ნაწილი იყოს.

ამ დაეთარის ყველა ზემოაღნიშნული თავისებურება მას მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვან ძეგლად ჰბდის, რომლის შესწავლა არაერთი საყურადღებო საკითხის გამორკვევის საშუალებას აძლევს მკვლევარს.

### თავი მხუთე. სტატისტიკური ამონაქრებები აღწერის დავთრებითაჲს

ხალხის აღწერის თვით დაეთარებს გარდა საქართველოს მთავრობის სათანადო ორგანოებს იქითგან ამოკრებილი ზოგადი ცნობებიც კქონდა ხელთ მცხოვრებთა საერთო ჯამების სახით. ცნობილია, მაგ., ქართველი ჟამთააღმწერლის მიერ მოყვანილი მოლაშქრეთა საერთო რაოდენობა, რომელიც 1254 წლის აღწერის მიხედვით არის გამოანგარიშებული და რომლის შესახებ „საქ. ეკონომიური ისტორიის“ ამ წიგნში ქვემოთ, თავის ადგილას, განსაკუთრებით გვექმნება საუბარი.

ვახტანგ VI-ის დროინდელი ქართლის სამეფოს ოთხივე სადროშოს შე-XVII ს. დამდეგისათვის არსებული ცნობები მოყვანილია „დასტურლამალ“-ში.

1770 წლისთვის ქართლ-კახეთის სამეფოს მთავრობას შეუდგენინებია განსაკუთრებული საბუთი მთელი სამეფოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. მისი ქართულად დაწერილი ტექსტი მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში ინახებოდა, რათგან ერეკლე II-ეს ეს საბუთი რუსეთის მთავრობისათვის გაუგზავნია იმდროინდელი საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის წარმოსადგენად.

ეს ძეგლი პროფ. ალ. ცაგარელმა აღმოაჩინა და ცნობა ამის შესახებ და მისი შინაარსი რუსულად მოათავსა თავისი ნაშრომში „Новые архивные материалы“ და სხვა, რომელიც 1883 წელს გამოქვეყნდა (იხ. Журн. Мин. Народ. Прос., 1883 г. იანვრის №-ში). ცაგარელის ცნობით საბუთი თითქოს 1760 წელს უნდა იყოს დაწერილი. მაგრამ საფიქრებელია, რომ აქ კორექტურული შეცდომა უნდა იყოს შეპარული, რათგან ცაგარელისავე სიტყვიდან ვიცით, რომ ეს საბუთი 1768—1771 წ. საქართველოს შესახები საბუთების შემცველ შეკვრაში ყოფილა მოთავსებული („Грция 1768--1771 г.“).

ამ საგულისხმოსა და მნიშვნელოვანი ძეგლის ქართული ტექსტი ალ. ხახანაშვილმა გამოაქვეყნა 1898 წელს „კვალ“-ის № 11-ში, გვ. 194—195-ზე.

ქართულ ტექსტს თარიღად „ჩოა აპრილის ე“ უზნის, ე. ი. საბუთი მართლაც 1770 წელს 5 აპრილს ყოფილა შედგენილი.

ეს ძეგლი იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი, რომ მთელი აღმ. საქართველოს მოსახლეობის შესახებ გვაწვდის სტატისტიკურ ცნობებს, როგორც ქალაქების მცხოვრებთა, ისევე სოფლის მკვიდრთა შესახებ. ამასთანავე მხოლოდ ამ ძეგლში მოგვეპოვება ცნობა ჩვენი ქვეყნისა და სამეფოს მოსახლეობის დანაწილებაზე ეროვნების მიხედვით ისე, რომ მკვლევარს საშუალება აქვს გამოარკვიოს, 1770 წლისათვის ამ მხრივ რა რიცხვობრივი და პროცენტული დამოკიდებულება არსებობდა.

შემდეგ, ჩვენამდის მოაღწია ქ. ტფილისის 1781 წ. 5 თებ.—1782 წლ. 3 იანვ. აღწერის დავთრის მიხედვით შედგენილმა დედაქალაქის მოსახლეობის შესახებმა ზოგადმა სტატისტიკურმა ცნობამ. ეს ძეგლი ორ მთავარ ნაწილად იყოფება: პირველს, მოკლე ნაწილში ტფილისის ყველა უბნისა და გარეთუბნების მცხოვრებთა კომპობრივი რაოდენობაა აღნიშნული და შემდეგ ქალაქის ხუთივე ნაწილის მოსახლეობის საერთო ჯამი არის მოყვანილი.

მეორესა და უდიდეს ნაწილში ტფილისის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის სურათია გადაშლილი და მოყვანილია, რომელ მებატონეს, ან დაწესებულებას რამდენი კომლი ყმა ჰყავდა, ან რამდენი „მოქალაქე“ ირიცხებოდა.

„მოქალაქეთა“ დაწერილებითი აღწერილობისათვის განსაკუთრებული „მოქალაქის მოქალაქეთა დავთარი“ ყოფილა.

ამ ძეგლის შედგენილობის ტენიკური თვისებების მხრით დამახასიათებელია, რომ არსად მეკომურთა თავების რიცხვი აღნიშნული არ არის. ამ საბუთის მეორე თავისებურებას ის შეადგენს, რომ მოსახლეობის რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვობრივი ცნობები ხალხის აღწერის დავთრებში მიღებული წესის თანახმად ყოველი სტრიქონის ბოლოსა და მარჯვნივ-კი არ სწერია, არამედ რიცხვნიშანი ყოველთვის მარცხენა კიდებზეა მოთავსებული და არამც თუ სტრიქონს, თვით ქანწილსაც-კი<sup>1)</sup> წინ უძღვის. ამ თავისებურებით ეს ძეგლი ანგარიშის წიგნს მიაგავეს უფრო, ვიდრე აღწერის დავთარს.

ხელთა გვაქვს ერთი უფარდო ზოგადი სტატისტიკური ამონაქრები, რომელიც შემდეგი 37 ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის რაოდენობას გვიხატავს: ქ. გორის, ახალდაბის, ხელთუბნის, ფხენისის, კარბის, ზერთელის, ძევერის, თორტიზის, დიდ-გარეჯვარის, ახრისის, მეჯვრისხევის, ზერტის, სვენეთის, კვარხითის, ვარიანის, თამარაშენის, ანაბეთის, ქურთის, ქემერტის, სეიდის, დიციის, ფრიციის, ქციხილვანის, დგვრისის, ერგნეთის მელვრეკისის, რუისის, არადეთის, დირბის, ბრეთის, ქვემო ნიქოზის, ზემო-ხეთის, ქვემო-ხეთის, ბროწლეთის, ნიქოზის, ერედვისა და სურამისა.

<sup>1)</sup> ამ ტერმინის განმარტება იხ. ზემ „ქართ. პალეოგრაფია“-ში.

ამ ძეგლის თავისებურებას ის არა-ჩვეულებრივი გარემოება შეადგენს, რომ სოფლებში თითქმის განსაკუთრებით ხიზანთა რიცხვია დასახელებული, მკვიდრი მცხოვრებნი-კი სოფლებრივ-კი არა, არამედ საბატონოების და მიხედვით არიან აღნიშნულნი.

ამ სტატისტიკურ ამონაკრებში ცნობები გეოგრაფიულად და საყმობათა მიხედვით არის დალაგებული. მაგრამ ამ ძეგლის მთელ თავისებურებასა და მნიშვნელობას ის საგულისხმო თვისება წარმოადგენს, რომ თვითოეული ადგილის მცხოვრებთა, ან მოსახლეთა კათეგორიის ერთ-რიცხვადი რაოდენობა თუ ანგარიშის წარმოების წესის თანახმად მარცხენა კიდეზე სწერია, ყოველი სტრიქონის მარჯვენა მხარეზე იგივე რაოდენობა ცალ-ცალკე ერთეულებად არის ხოლმე აღნიშნული, მაგ.:

„O იც ქ: ახალდაბის ხიზანი :აააააააააააააააააა“

„O ა ქ: ხელთუბანს: ხიზანი !დკღ“

ცხადად იტყობა, რომ სტრიქონის მარჯვნივ მოთავსებული ცალკეული რიცხვნიშნები დაეთრები თგან ამოწერილი ცნობებია. ცალკეულ ცნობათა დაეთრითგან ამნაირად ამოწერის შემდგომ, ამ ძეგლის შემდგენელს ამოკრებილი რიცხვების საერთო ჯამი გამოუანგარიშნია და მარცხენა კიდეზე აღუნიშნაეს.

ეს ძეგლი სხვათა შორის სწორედ იმითაც არის საგულისხმო, რომ ზოგადი სტატისტიკური ცნობების შედგენის მთელ პროცესს უშლის ადამიანს თვალ-წინ.

ეს სტატისტიკური ამონაკრები თუმცა უთარილოა, მაგრამ თვით ცნობებში იგივე პირები არიან მოხსენებულნი, რომელნიც მე-XVIII ს. შუა წლების აღწერის დაეთარში გვხვდებიან (იხ. აქვეგვ. 42). ამიტომ ამავ დროის უნდა იყოს.

არსებობს არაგვისა და ქსნის ხეობათა მცხოვრებლების ზოგადი ჯამის შემცველი ერთი უთარილო საბუთი, რომელიც აგრეთვე აღწერის დაეთრებიდან ამოკრებილ ცნობებს შეიცავს. ამ ძეგლში მოყვანილია არაგვის მთისა და ბარისა და ქსნისა და ნაპირის სოფლების შესახები ცნობები ისე-კი, რომ „მემკვიდრის“, ბოგანოთა, ობლებისა და ხიზანთა მეკომურთა რიცხვი ცალ-ცალკეა დასახელებული. თავების რაოდენობა არსად სწერია. რაოდენობის მუწყებელი რიცხვნიშნები მარჯვნივ არის დასმული.

ძეგლი თუმცა დაუთარილებელია, მაგრამ ქსნის ხეობის შესახები ცნობები 1781 წ. ქსნის ხეობის დაეთრის ცნობებს მთლიანად უდგება და ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ეს ძეგლი 1781 წ. აღწერის დაეთრების მიხედვით შედგენილ სტატისტიკურ ამონაკრებად მივიჩნიოთ.

დაცულია აგრეთვე ერთი საბუთი, რომელიც სტატისტიკურ ამონაკრებს წარმოადგენს და რომელშიც 10 სტრიქონად 10 თემისა და საგამგეო ერთეულის—არაგვისა, ქსნისა, პატარა ლიახვისა, საციციანოს, საამილახვროს სასარდლოს, როსტომის, სამცხეთოს, მუხრან-ბატონისა, დავით სარდლის სასარდლოს და „ქალაქის“. -- მცხოვრებთა კომ-

ლისა და თავების რიცხვია აღნიშნული. კომლთა რიცხვი მარცხნივ სწვრივ, თავებისა კიდევ მარჯვნივ. ბოლოს საერთო ჯამია გამოანგარიშებული.

ამ ძეგლის უკანასკნელ სტრიქონში „დავით სარდლის სასარდლო“ იხსენიება. რაკი დავით ციციშვილი სარდლად თავის თავს, როგორც აღნიშნული გვქონდა (იხ. გვ. 54), მხოლოდ 1780 წ. შემდგომ იხსენიებს, ამიტომ ეს სტატისტიკური ამონაკრებიც შესაძლებელია მხოლოდ 1780 წ. შემდგომი დროის აღწერის დავთრებზე იყოს დამყარებული.

თუმცა ამ ძეგლს თარიღი თითონ არა აქვს, მაგრამ ზურგზე იმავე ხელით, მაგრამ უფრო წვრილად სწვრივ: „ქკს უობ (472): ამ წლის მარიამობისა :ა: დაწერილი ქკს უოვ: (476) ამ წლ. (sic) მდ თუმანი და ამ მარტის გასულს იქნება თვე :მღ ამდენი სარგებელი იქნება“-ო. პირველი თარიღი 1784 წ. უდრის, მეორე 1788 წელს. თუმცა ამ სარგებლის გამოანგარიშების ცნობას სტატისტიკურ ამონაკრებთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ რაკი ორივე ერთი-და-იმავე ხელით არის დაწერილი. ამიტომ საფიქრებელი ხდება, რომ სტატისტიკური ამონაკრები 1788 წლისა უნდა იყოს.

მაგრამ ამ ამონაკრების თავში მარცხენა კიდეზე გეზად ფანქრით ვილაციის ხელით სწვრივ: „1797 წ.“ ასეთი თარიღის საფუძველი ამ საბუთში არსადა ჩანს და ძნელი სათქმელია, მცდარ გამოანგარიშევთან გვაქვს აქ საქმე, თუ მის დამწერს ხელთ სხვა რაიმე უცილობელი ცნობა მოეპოვებოდა, რომლის მიხედვითაც ამ ძეგლის 1797 წ. დაწერილობა ცხადი ხდებოდა?

ამ სტატისტიკურ ამონაკრებში მოყვანილ რიცხვთა შედარება ამ ძეგლის დათარიღებისათვის ჯერ გადამწვეტ ცნობებს ვერ გვაწვდის. თუ ერთის მხრით არავესა და ქსანში დასახლებულ მეომართა რაოდენობა 1781 წლის ცნობებს უახლოვდება, სამაგიეროდ „ქალაქს“ მცხოვრებთა რიცხვი იმდენად არის 1781 წლის დავთრის ცნობას დაშორებული, რომ მის ამ დროისად მიჩნევა, განსხვავების ასეთი მიზეზისათვის რაიმე დამაჯერებელი განმარტების გარეშე, სრულებით შეუძლებელია.

არსებობს 1794 წ. სტატისტიკური ამონაკრებიც, რომელიც ზემო და შიდა ქართლის 121 სოფლის მცხოვრებთა შესახებ ცნობებს შეიცავს. ამ საბუთს თარიღიცა აქვს და მის დამწერსაც შედგენილობის მიზანიცა და წყაროც მოკლედ დასახლებული აქვს. იქ ნათქვამია: „ქკს უობ (482). ამ წელს სოფლები დაიწერა და სოფელ-სოფელ რაც მემკვიდრე და ხიზანი კაცი ღვას, თავ-თავის სოფელზე გარჩევით სწვრივ“-ო. მაშასადამე, საფიქრებელია, რომ ეს ამონაკრები 1794 წ. მოხდენილი ხალხის აღწერის დავთრების ცნობებზეა დამყარებული.

ამონაკრების შემდგენელს მოსახლეობის სრული სტატისტიკური სურათის გადაშლა არ ჰქონია მიზნად დასახული. მას თავის ნაშრომში სოფლის მოსახლეობის „მემკვიდრე და ხიზანი კაცი“-ს რაოდენობა აღუნიშნავს. აზნაურთა და ობლების შესახები ცნობები ამგვარად ამონაკრებში არ ყოფილა. გამოსარკვევია კიდევ, მემკვიდრეთა ჯგუფში ბოგანოებიც არიან ნაანგარიშენი, თუ არა?

ამონაქრებში მხოლოდ მეკომურთა რაოდენობაა აღნიშნული, თავების რიცხვი არსად დასახელებული არ არის. კომლის ოდენობის მაუწყებელი რიცხვნიშნები მარცხენა კიდეზე სწერია, ხიზნისა-კი მარჯვნივ. ამონაქრები ორ გრძელ სვეტად არის დაწერილი და მეორე გვერდზე ორსავე სვეტს ცალ-ცალკე ჯამი მოეპოვება, ამასთანავე შემკვიდრის ჯამი ცალკეა აღნიშნული, ხიზნისა კიდეც ცალკე.

თაზი მთავსა. ძართული დემოგრაფიული ძეგლების ზოგადი შეფასება

## § 1. აღწერის დაფორების მნიშვნელობა

ზემომოყვანილი მიმოხილვითგან ჩანს, რომ ქართულ სახელმწიფოებრივობას თავის მოთხოვნილებათა შესაფერისად დემოგრაფია წესიერად ჰქონია მოწყობილი. ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობის დროს შვიდ წელიწადში ერთხელ მთელი მოსახლეობა აღიწერებოდა ხოლმე. ასე იყო აღმოსავლეთ საქართველოში, რაც, როგორც დავრწმუნდით, საკანონმდებლო ძეგლებითაც და თვით აღწერის დატული დაფორებითაც მტკიცდება.

ჯერ-ჯერობით გამოუტკვეველია მხოლოდ ასეთივე წესის დასავლეთი საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებშიც არსებობა. ამკვარი გარემოება იქ ჯერ არც თავისთავად და არც სიგელგუჯრებში მყოფი ცნობებით შეიძლება დადასტურებულ იქმნეს. ჯერ ხანობით არც იმერეთის, არც სამეგრელოს, ან გურიის არც ერთი ხალხის აღწერის დაფორა არ მოიპოვება. ამაზე უფრო დამაფიქრებელია, რომ ხალხის აღწერის შესაბამ რაიმე ცნობა არც საბუთებში ჩანს.

მაგრამ საერთოდ დასავლეთი საქართველოს საბუთები შედარებით ცოტაა დატული და გამოკვეუნებული. ამიტომ ამ საკითხზე საბოლოო უარყოფითი დასკვნა ჯერ მაინც ნაადრევია. მსჯელობის დროს ასეთ სიფრთხილეს ის გარემოებაც გვიკარნახებს, რომ დასავლეთი საქართველოს საეკლესიო ყმების გამოსავლის ბეგრის XVI - XVII ს. ს. დაფორებმა ჩვენამდისაც-კი მოაღწიეს. ამიტომ თუ ისე სისტემურად და ქრონოლოგიურად მტკიცედ განსაზღვრულ ვადებში არა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილა, თუნდაც დიდი დროგამოშვებით მაინც, ხალხის აღწერის დაფორების არსებობა დასავლეთ საქართველოშიც არის მოსალოდნელი. თუმცა ასეთი ძეგლების გადასარჩენად და აღმოსაჩენად საუკეთესო დრო უკვე წასულია, მაგრამ ენერგიულმა, გულდასმითმა ძებნამ ეგების ახლაც ან აღწერის დაფორების ნაწყვეტები, ან მათი არსებობის კვალი მაინც აღმოაჩინოს.

ცხადია, თუ რა მნიშვნელოვანი და საგულისხმო მასალა უნდა იყოს დატული ხალხის აღწერის დაფორებში საქართველოს დემოგრაფიული და სოციალ-ეკონომიური ვითარების შესასწავლად. ქართულმა სახელმწიფოებრივობამ შთამომავლობასა და მეცნიერებას საშუალება მისცა უძვირფასესი მასალა ჰქონოდა ხელთ ქართველი ერის დემოგრაფიული ვითარების გასათვალისწინებლად: ყოველი

შვიდი წლის შემდგომ მოხდენილი ხალხის აღწერის დავთრები მეკლევარს სისტემურად წარმოებული აღნუსხვილობის წყალობით ცხოვრების მოძრაობის შესწავლისათვის იშვიათ შესაძლებლობას უქმნიდა. ამ აღწერათა მტკიცედ განსაზღვრული მანძილები და დემოგრაფიულ დაკვირვებათა ასეთი სისტემურობაა მეტადრე ძვირფასი მეცნიერებისათვის: მეკლევარს ამით საშუალება აქვს გამოარკვიოს ის ცვლილებები, რომელიც ერს ყოველმე შვიდი წლის განმავლობაში თავს გადაჰხდებოდა და ამ დროის დამლევინათვის ჩამოინაკეთებოდა.

ამ გარემოების მთელი კულტურული მნიშვნელობის გასათვალისწინებლად საკმარისია გავიხსენოთ, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივობამ, რომელსაც ყოველივე ქართული მედიდურად აბუზად ჰქონდა აგდებული, საქართველოში ძალმომრეობითი ვაბატონების შემდგომ მთელი მე-XIX ს. განმავლობაში ხალხის აღწერა არც საქართველოში და არც თვით რუსეთშიც-კი ორჯელზე, თუ გინდ სამჯერზე მეტად ვერ მოახერხა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 1801-2 წ. აღმ. საქართველოს აღწერაც, როგორც უკვე გამოაკვეულია (იხ. გ. ბოქორიძის კახეთის აღწერა 1801-2 წ.: „საქ. არქივი, 1927 წ. II, 119—185) ღ 1832 წ. კამერ. აღწერაც, როგორც ამის საბუთი აღწერის ქართ. დედნის სახით ხელთა მაქვს, ქართულად ყოფილა შედგენილი და შემდეგ გადაურუსულებიათ. ამგვარად ირკვევა, რომ რუსეთის მთავრობას საკუთარი ძალით ამ საქმის განხორციელების საშუალება არ ჰქონია და მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრივობის იმ დროისათვის ჯერ კიდევ გადარჩენილი აპარატის საშუალებით მოუხერხებია.

სამწუხაროდ, ერთის მხრით, ქართული საზოგადოებრივობისა და ეროვნული მაჯისცემის დაძაბუნებამა და შეუგნებლობამ, მეორის მხრით, რუსეთის მთავრობისა და მისი ორგანოების პოლიტიკამ ქართული ეროვნული კულტურის გასანადგურებლად და ჩასაკლავად, დასასრულ რუსეთის მთავრობის სათანადო ადგილობრივ დაწესებულებათა მხრით სრულმა გულგრილობამა და უპატრონობამ ამ დიდი კულტურული განძის, ქართული დემოგრაფიული ძეგლების, განადგურებას ხელი შეუწყო. რაც საქართველოს მტრების შემოსევასა და მტარვალობას გადაურჩა, იმის უდიდესი ნაწილი სწორედ მე-XIX ს-ში დაილუპა, ზემოაღნიშნული მიზეზების წყალობით. ასეთი მიუტევებელი დაუდევრობისა და დანაშაულების წყალობით იმ დიდძალი მასალის მაგიერ, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში სისტემურად, შვიდ წელიწადში ერთხელ მოხდენილი ხალხის აღწერის დავთრების სახით საქართველოს დემოგრაფიის შესასწავლად ქართული სახელმწიფოებრივობისაგან დატოვებული გქონდა, ახლა უკვე მცირედი ნაწილი-ღა მოგვეპოვება, მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტები-ღა არის გადაარჩენილი!

ის ზიანი, რომელიც ამით საქართველოს კულტურულსა და სოციალ-ეკონომიურ ისტორიას მოუვიდა, რასაკვირველია, აუნაზღაურებელია. მაგრამ მით უმეტეს თვალის ჩინსავით უნდა გაუფრთხილდეთ იმ ძალზე შემცირებულ ნაწილსაც, რომელიც განადგურებას გადაურჩა.

შეიძლება აქ-იქ საქართველოში ზოგი რამ ჯერეთ უცნობი დავთრები კიდევაც აღმოჩნდეს. ასეთი ძეგლების მოძებნა-გადარჩენა ქართული მეცნიერებისა

და სათანადო სამეცნიერო დაწესებულებათა უპირველეს ამოცანას უნდა შეადგენდეს, რათგან მოკლე ხანში ეგების მათი კვალიც სამუდამოდ გაქრეს.

ზემომოყვანილი მიმოხილვა მკითხველს დაარწმუნებდა, რომ ძველთა უმრავლესი ნაწილის დაღუპვისდა მიუხედავად, მე-XVIII ს. აღმ. საქართველოს დემოგრაფიული ვითარების შესასწავლად ცოტად-თუ-ბევრად მასალები მაინც მოგვეპოვება. საჭიროა მხოლოდ მათი სასწრაფოდ გამოქვეყნება და შესწავლა.

ამ ძველთა განხილვამ და მოკლე დახასიათებამ დაგვანახა, რომ ხალხის აღწერის ტენზიკასაც თავისი ისტორია ჰქონია საქართველოში და რომ დათრები თავისი ტენზიკური თვისებებითაც შესაძლებელია და უნდა რამდენსაშემთავარ ჯგუფად დაიყოს.

განხილულ დემოგრაფიულ ძველთა დამახასიათებელი თვისებების გათვალისწინება მკვლევარს საშუალებას აძლევს მაშინდელი ქართული დემოგრაფიული მუშაობის თითქმის ყველა საფეხური და დარგი წარმოიდგინოს და შეისწავლოს. ხელთა გვაქვს, როგორც ხალხის აღწერისა, ისევე აღრიცხვისა, შემოწმება-შესწორებისა და შეჯამების პროცესის აღმბეჭდველი ძეგლები, ამას გარდა სხვადასხვა სახისა, სივრცისა და დანიშნულების სტატისტიკური ამონაკრებებიც.

მკვლევარისა და ძველი ქართული დემოგრაფიული ცნობების ყოველი გამოყენებელის მოვალეობაა თვითოეული ამ ძველთაგანის თვისება და დანიშნულება სისწორით გაიგოს, რომ მისი შინაარსიც შეუმცდარად ჰქონდეს შეფასებულ და იქითგან გამოკრებილ ცნობებს მათთვის შეუაბამო მნიშვნელობა არ დააკისროს. ძველი დემოგრაფიული წყაროებით სარგებლობის მთელ სიძნელეს სწორედ მათი ცნობების სისწორით გაგება წარმოადგენს, რათგან თანამედროვე მკითხველმა უკვე ბევრი რამ აღარ იცის, რაც ასეთი ძეგლების მოკლე, ლაკონური ცნობის გაგების საშუალებას აძლევდა ძველ მოხელესა და მკითხველს. ეს გარემოება ასეთი ძეგლების შინაარსს ზოგჯერ მკვლევარისთვისაც გაუგებრად ჰხდის და თითქოს ღირსებასაც უქარავს. მაგრამ საკმარისია ადამიანმა იმ ძირითად დებულებებს მიაგნოს, რომელზედაც დათრების ტექსტია დამყარებული, რომ უმალ აღწერაში სოციალური ცხოვრების გადაშლილი, ხშირად ფრიად საგულისხმო, ვითარება მისთვის სრულებით გასაგები გახდეს.

ხალხის აღწერის დათრებისა და სტატისტიკური ამონაკრებების ცნობათა გამოყენებამდე, რასაკვირველია, უნდა გამოკრეული იყოს რამდენად სანდოა ეს წყაროები და რისთვის შეიძლება მათი გამოყენება.

ამ წყაროების გამოყენებადობის საზღვრებისა და სანდოობის საკითხის გამოკრევა უპირველესად ამ ძეგლების შინაარსის სისწორით გაგებაზეა დამოკიდებული. ცხადია, რომ, თუ იქ ისეთი ცნობები ვიკულისხმეთ, რომელთა შეტანა მათ შემდგენლებს ფიქრდაც არ მოსვლიათ, შედეგი სრულებით მცდარი იქმნება.

რასაკვირველია, ეს საკითხები თვითოეული ძეგლის შესახებ ცალკე და განსაკუთრებით უნდა იყოს განხილული, მაგრამ ასეთი დაწვრილებითი განხილვა აქ უადგილო იქმნებოდა. ამიტომ ამ წყაროთა ზოგადი დახასიათებით უნდა დავკმაყოფილდეთ.

## § 2. აღწერის დაფორმების დაკვირვების ასპარეზი

ხალხის აღწერის დაფორმებისა და სტატისტიკურ ამონაკრებთა ცნობების გამოყენების დროს მკვლევარს უპირველესად უნდა ახსოვდეს, რომ ამ ძეგლებში მთელი მოსახლეობა არ არის აღწესხული, რომ ძველი ქართული დაფორმები მთელი მოსახლეობის აღწერას არ წარმოადგენდნენ.

ხალხის აღწერის დროს სახელმწიფოს ხელისუფლებას ორი მთავარი მიზანი ჰქონდა: 1. ლაშქრად გასააწვევად გამოსადეგ მამაკაცთა რაოდენობისა და 2. სახელმწიფო გადასახადებისა და სხვა გამოსაკლის მოსალოდნელი ოდენობის გაგება. ეს გარემოება მეწინავე საღროშოს 1721 წ. დავთარში მკაფიოდ არის აღნიშნული: „აღწერეთ ამა დავთართა შინა რომელთა ძალ-ედვა აბჯართა და ცხენთა კმარებანი, გინა სამეფოთა ხარკთა და ბეგართა გამოღებანი“-ო.

რაკი ქალებსა და ბაშეებს არც იარალის ხმარება შეეძლოთ, არც სახელმწიფო გადასახადები ეთხოვებოდნენ, ამიტომ მათ შესახებ იქ არც არის რამენათქვამი. ამგვარად ცხადი ხდება, რომ დაფორმებში არამცთუ მოსახლეობის ორთავე სქესის შესახებ არ ყოფილა ცნობები, არამედ მამაკაცთა მთელი რაოდენობაც-კი არ აღწესხავთ. მამრობითი სქესის წარმომადგენელს სამხ. ბეგარა მხოლოდ სრულჰასაკოვნობის შემდგომ ევალებოდა მოხუცებულობამდე, ამიტომ დაფორმებში მამრობითი სქესის მთელი რაოდენობაც-კი არა, არამედ მხოლოდ სრულჰასაკოევანი მოხუცებულობამდე არიან შეტანილნი: ბაშეები და მოხუცებულნი აღურიცხველნი ყოფილან.

მაგრამ აღწერის მოქმედების ასპარეზი მარტო ამ სამხედრო ბეგარის მოთხოვნილებით გამოწვეული სქეს-წლოვანების ზემოაღნიშნული ფარგლებით არ იყო შემოზღუდული. რაკი ხელისუფლებას დაფორმების შედგენის დროს გადასახადების რაოდენობის ვარაუდიც აინტერესებდა, ამიტომ აღწერაში მხოლოდ ისეთნი ყოფილან შეტანილნი, რომელთაც გადასახადების გამოღება შეეძლოთ. ვისაც არავითარი სახსარი არ ჰქონდა და გადასახადის გამოღებისათვის არავითარი წყარო არ გააჩნდა, ე. ი. უმიწაწყლო და ღარიბ-ღატაკი, თუნდაც სრულჰასაკოევანი მამაკაცი ყოფილიყო, დავთარში, მაშასადამე, შეტანილი არ ყოფილა. ეს გარემოება 1721 წ. აღწერის შესავალში ხაზგასმითაა აღნიშნული: „რომელთა არა ძალ-ედვის ყოელისა რასამესი კმნა და გამოღება, ... არა აღწერეთ წიგნსა ამას შინა“-ო.

უპიკველია, ასეთ პირობა სია ცალკე იქმნებოდა. სამხედრო ბეგარისა და გადასახადებისაგან განთავისუფლებისათვის, რასაკვირველია, სათანადო ორგანოების დადგენილება იყო საჭირო, რათგან ასეთი მნიშვნელოვანი შეღავათის მინიკებას მღივან-მწიგნობრების სურვილსა და ნებაყოფლობაზე ვერავინ მიაგდებდა. მომავალში ეგების აღწერის საერთო დავთარში ასეთ აუწერელთა სიაც აღ-



მოჩნდეს, მაგრამ მთავარი დებულება, რომელსაც აღწერის დაეთრების ცნობების გამომყენებელმა შეკლევარმა უნდა ანგარიში გაუწიოს, მაინც უტყველი რჩება.

ყველა შემონათქვამითგან ცხადი ხდება, რომ სახელმწიფოსადმი ვალდებულებათა მომხდელობის თვალსაზრისით საქართველოს მთელი მოსახლეობა ორ მთავარ ნაწილად იყოფებოდა: ერთს შექმლავდნენ შეადგენდენ, მეორეს კი დღევ „შეუძლებდნენ“. პირველ ჯგუფს ყოველი სრულქასაკოვანი მამაკაცი ეკუთნოდა მოხუცებულობადის, მეორე ჯგუფს-კი ყოველი მდებრობითი სქესის წარმომადგენელი, უსრულქასაკოვანი, მოხუცებულნი და ღარიბ-ღატაკნი.

ამ განმარტების შემდგომ ადვილი წარმოსადგენელია, თუ რანაირი შეცდომა მოუვა ადამიანს, აღწერის დაეთრების ცნობათა ამ თვისებებს რომ ანგარიში არ გაუწიოს და იქ მოხსენებული მოსახლეობა მთელი მაშინდელი, თუნდაც მხოლოდ მამრობითი, მოსახლეობის სრულ აღრიცხვად მიიჩნიოს.

უნდა ითქვას, რომ შემოაღნიშნული დებულების და მიუხედავად, დაეთრებში ყველგან ობლები, ე. ი. უქასაკონი, შეტანილი არიან, ზოგან შეუძლებელიც აქა-იქ იხსენიება. ამას გარდა აყრილი და ამოვარდნილი საკომლოების შესახებაც მოიპოვება ცნობები. ამ გარემოების განსამარტავად უნდა აღინიშნოს, რომ ობლები იმიტომ იხსენიებიან, რომ საკომლოს წარმომადგენელი არიან, დანარჩენი-კი უქასაკონი აღნიშნულნი არ არიან. აყრილთა და ამოვარდნილთა აღწერაც საკომლოების აღრიცხვის. მიზნით არის ნაკარანახევი. შეუძლებელთა შესახები ცნობები ყველა დავთარში არ მოიპოვება და იქაც, სადაც ასეთი ცნობები ვეხვდება, მაინც იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს, რომლის მიზეზი ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

### § 3. ხალხის აღწერის დაეთრების ცნობათა სანდოობის საკითხი

ბუნებრივად იბადება საკითხი ხალხის აღწერის დაეთრების ცნობათა სანდოობის შესახებაც. როგორც ყოველ ადამიანურ საქმეს, აღწერასაც შეიძლება დასტუობოდა მოვალეობისადმი დაუდევრობისა, ან და თვით ბოროტმოქმედების კვალიც-კი. ეხლაც-კი სტატისტიკური აღწერის დროს ეს გარემოება გასათვალისწინებელია. მით უმეტეს შეკლევარს ასეთი ეკვი ძველი ძეგლების გამოყენების დროს შეიძლება დაეხადოს.

აღსანიშნავია, რომ ბოროტმოქმედების შესაძლებლობა დაეთრების შედგენის დროს ძველ საქართველოშიც მთავრობას დაეიწყებულნი არ ჰქონია. როგორც თავის ადგილას დავრწმუნდებით, უნებლიეთი და ნებისითი შეცდომების გამოსასწორებლად, თუ თავითგან ასაცილებლად მთავრობას სხვადასხვა საშუალებებისათვის მიუშმართავს. დავთრების ცნობათა მცდარობა შესაძლებელია, ან აღწერის შემდგენელი მდივან-ნიკნობრის ბრალი ყოფილიყო, ან თვით აღსაწერი მოსახლეობისა, რომელსაც გადასახადებისა და ბეგარის თავითგან ასაცილებლად შე-

კომურთა რაოდენობა შეიძლება ან მთლიანად შეემცივებინა, ან თავების რიცხვი ნამდვილზე ნაკლებად ეჩვენებინა.

მღვიან-მწიგნობრის მხრით ცნობათა ამა-თუ-იმ მოსაზრებით არა-სისწორით შეტანისაგან უზრუნველ-საყოფელად კანონი აღსაწერად მარტო მღვიან-მწიგნობარსა და ერთ მწიგნობარს-კი არ გზავნიდა, არამედ, ან ორ მღვიან-მწიგნობარს, ან ერთ მღვიან-მწიგნობარსა და ერთ მხლებელს და თანაც ყოველთვის სადროშოს სარდალსაც თავისი ამალითურთ. ამიტომ მღვიან-მწიგნობარს აღწერის ცნობათა ბოროტ-განმზრახველობით დაეთარში არა-სისწორით შეტანა მეტად გაუძნელდებოდა.

მაგრამ სეინილისიერსა და ბეჯით მღვიან-მწიგნობარსაც დაეთრის სისწორით შედგენა მხოლოდ მაშინ შეეძლო, თუ ასაწერი მოსახლეობა ცნობებს არ დაუმალავდა, რათგან აღმწერს, რასაკვირველია, არ შეეძლო მიმხედარიყო, დაუმალა თუ არა მებატონემ თავის ყმათა რიცხვი, ან მეკომურთა თავების რაოდენობა და ვინაობა. მოსახლეობის მხრით ცნობების დამალვის ამბავი საქართველოს მთავრობამ იცოდა და ეს გარემოება გათვალისწინებულიც ჰქონდა. ამის საბუთად აქ ერთი მაგალითის მოყვანაც კმარა. სახელდობრ, საქართველოს მთავრობას, მაგ., 1774 წ-საც არ გამოჰპარვია, რომ ხალხის აღწერის დროს ზოგს ბოროტმოქმედება ჩაუდენია და სწორი ცნობები არ ჩაუწერინებია. ამიტომ ერეკლე II-ეს ასეთ დამნაშავეთა დასასჯელად განსაკუთრებული სასჯელი დაუწესებია კიდევაც, რომელიც „მორიგე ჯარის გარიგების წიგნ“-ში შეუტანია. ამის შესახებ იქ ნათქვამია: წრეულს რომ მთელი სამეფო აღწერეთ, „იმ აწერაში, რომელსაც ჩვენის მწერლებისათვის კაცთა დაუშალავს და არ დაუწერინებია, თავისმა ბატონმა და მოკელემ ამ აღდგომამდის თუ არ გამოაჩინა და მასუკან სხვისაგან ვიპოვეთ, ის კაცი იმას წაერთმევა, ან სახსოდ დაიდება და ან სხვას კაცს მიეცება“-ო (ს<sup>რ</sup>ქს სძ<sup>ლ</sup>ნი, I, 194). კანონის ამ მუხლითგან ჩანს, რომ აღწერის დაეთრების ცნობათა სისწორის შემოწმებაც სკოლნიათ და ცნობათა დამალვისათვისაც სასჯელი ყოფილა დაწესებული. მთავრობის ასეთი სიფხიზლე და სიმკაცრე ამგვარი დანაშაულებებისადმი ხალხის აღწერის დაეთრების შედგენის დროს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დაეთრების ცნობათა ამ თვისების ნაკლი ნორმაზე საგრძნობლად მოქარბებული არ უნდა ყოფილიყო.

## II. საფინანსო უწყებისა და თვისების ძეგლები.

### სახელმწიფო ფინანსების შესახებ ძეგლთა კლასიფიკაციისათვის

იმ დაწესებულებათა და მოხელეობის შესახებ, რომელთაც სახელმწიფოს-ფინანსები ებარათ, „ქართული სამართლის ისტორიის“ სახელმწიფო სამართლის კარის სათანადო აღგილას გეჭონდა ზოგადად საუბარი (იხ. II ა, გვ. 167—179 და 182—195). აქ იმ წყაროების შესახებ უნდა გეჭონდეს მსჯელობა, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფო ფინანსების ორგანიზაციის შესწავლა შესაძლებელი.

სახელმწიფო ფინანსები შემოსავლის წყაროებად და გასაველად დაყოფილი რამდენსამე მთავარ დარგად იყო განაწილებული.

სახელმწიფოს შემოსავალი პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებისაგან, ანუ ბაჟისაგან შედგებოდა. თვითოეული გადასახადის ოდენობა, გადამხდელთა კატეგორიები და ერთეულები, გადახდისა და აკრეფის წესრიგი, საგადასახადო უბნები, დაწესებულებები და ამისთვის მიჩენილ მოხელეთა უფლებამოვალეობანი კანონით იყო მტკიცედ განსაზღვრული. გადასახადებისა და საგადასახადო ორგანიზაციის განმსაზღვრელ ძეგლებს ზოგადად „გარიგების წიგნები“ ეწოდებოდა. შემდეგ ში, სახელდობრ მე-XVII ს. მეორე ნახევრითგან, ტერმინად „დახტურლაშა“-ც შემოვიდა.

რაკი ყველაფერს, რაც საქართველოს სამეფოს გადახდელს უნდა გამოელო, „გამოსავალი“ ეწოდებოდა. და გამოსავალი კუთვნილებისდა მიხედვით. იმ სახელმწიფო იყო ხოლმე. ან სამოხელეო, ამიტომ გარიგების წიგნებიც შინაარსით, ან სახელმწიფო გადასახადების მოსაწესრიგებლად იყო ხოლმე განკუთვნილი, ან იმ ოდენობას განსაზღვრავდა, რომელიც ამა-თუ-იმ მოხელეს თავისი თანამდებობის ასრულებისათვის კანონით ერგებოდა და რომლის ალების უფლება ჰქონდა. მოხელის კანონიერი გასამრჯელოს ამ ოდენობას „სარგო“ ეწოდებოდა. ამისდა მიხედვით, გარიგების წიგნებიც, ან გამოსავლის, ან სარგოს გარიგების წიგნები იყო ხოლმე. გამოსავლის გარიგების წიგნს იმისდა გვარად, თუ რომელი გადასახადის ნორმების განსაზღვრა ჰქონდა მიზნად, თავისი სპეციალური სახელიც ეწოდებოდა.

ამასთანავე, გამოსავლისა და სარგოს განმსაზღვრელ საკანონმდებლო ძეგლებს გარდა, თვით გადასახადისა და სარგოს ყოველწლიური შემოსავლის დავთრებისაც აღგენდენ ხოლმე. გარიგების წიგნებისაგან შემოსავლის

დავთრები იმით განსხვავდებოდნენ, რომ, თუ გარიგების წიგნებში გამოსავლის, ან გამოსალბების ოდენობა იყო ხოლმე განსაზღვრული, შემოსავლის დაეთრებში უკვე აღნიშნული იყო თვითოეული გამომღებლის საგადასახადო ტვირთის ოდენობა და საერთო რაოდენობა იყო ხოლმე აღბეჭდილი. ამნაირად შემოსავლის დავთარი თვითოეული მეკომუურის სახელმძღვანელო ჩამოთვლილს გამოსალბებს, ან გამოღებული გადასახადების ანგარიშს წარმოადგენს.

ზოგადი დებულებანი გადასახადებისა და სარგოს ოდენობისა და გამოღება-აკრების წესრიგის შესახებ საკანონმდებლო ზოგად ძეგლებში იყო შეტანილი. ხოლო ამას გარდა ამა-თუ-იმ პირის რომელსაზე, შედარებით, დიდ, თანამდებობაზე დანიშნვის დროს რომ წყალობის სიგელი და ბრძანება ეძლეოდა ხოლმე, ზოგჯერ ასეთ საბუთში აღნიშნებოდა ამ ხელისუფლის უფლება-მოვალეობანიც და თანაც მისი კუთხილი კანონიერი სარგოც. ზოგადი საკანონმდებლო ძეგლების უმეტესად დაღუპვილობის გამო, ასეთ სახელმძღვანელო სარგოს გარიგების წიგნებს საქართველოს სახელმწიფო ფინანსების სისტემისა და ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სრულიად საქართველოს, სახელმწიფო ფინანსების შესასწავლად ზოგადი საკანონმდებლო ნორმები, რასაკვირველია, ისეთ ძეგლებში უნდა ვიძიოთ როგორც „კელმწიფის კარის გარიგება“-ა იმგვარადვე, როგორც მე-XVII—XVIII ს. ს. ქართლის სამეფოს ფინანსებისა და სახელმწიფო მეურნეობის შესახებ ზოგადი საკანონმდებლო ნორმები „დასტურლამალ“-შია შეტანილი.

მაგრამ სახელმწიფოს გარდა თავისი საფინანსო ორგანიზაცია და მეურნეობა ეკლესიასაც ჰქონდა, რომელიც აგრეთვე გარიგების წიგნებსა და შემოსავლის დავთრებშია აღბეჭდილი. კელმ. კარის გარიგების დაზიანებულობის გამო და საეკლესიო საბუთების შედარებით უკეთესად დაცულობის წყალობით, უძველეს სარგოს გარიგების წიგნებად და გამოსავლის დავთრებად სწორედ საეკლესიონი უნდა იქმნეს მიჩნეული, ჯერჯერობით მინც.

## თავი პირველი. ბარიგების წიგნები

### § 1. გარიგება კელმწიფის კარისა

„ქართული სამართლის ისტორიის“ I წიგნში აღნიშნული მაქვს, რომ „გარიგება კელმწიფის კარისა“ მე-XIV ს. პირველი ნახევრის ძეგლია, რომელიც თუმცა ოფიციალური თვისების ნაწარმოები არ არის, მაგრამ მოქმედი სახელმწიფო სამართლის სამეფო კარის რომელიღაც მოხელის მიერ აღნუსხვილობას წარმოადგენს (იხ. I, 62--68).

ეს ძეგლი, დაზიანებულობისდა მიუხედავად, სახელმწიფო ფინანსების გამოგე ორგანოების პირადი შემადგენლობის უფროს-უმცროსობისა და ნაწილობრივ აგრეთვე კომპეტენციის საკითხის შესწავლის საშუალებას გვაძლევს. „ქართ. სა-

პართლის ისტორიის“ II ა, გვ. 167—179 მეკურკლეთ-უხუცესის უფლება-მოვალეობისა და მისი ხელქვეშეთი მოხელეების შესახებ ნაწილში ეს საკითხი შეძლებისაშებრ გამოკვეთული ვვაქვს კიდევაც. საკმაო სიცხოვლით გვებატება ამ ძეგლის მიხედვით სახელმწიფო დაწესებულებათა ანგარიშწარმოებაც.

ვადასახადების სისტემის შესასწავლად-კი, ძეგლის დაზიანებულობის გამო, მეტად მცირე ცნობები-ლა მოიპოვება. ეტყობა, მთელი ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფო მეურნეობას ეხებოდა, დაკარგულია. სამაგიეროდ სამეფო კარისა და მეფის საკუთარი მეურნეობის ორგანიზაციის გასათვლისწინებლად საკმაოდ საგულისხმო ცნობებია გადარჩენილი.

სახელმწიფო მეურნეობისა და ფინანსების შესახები ნაწილითგან, როგორც აღნიშნული გეკონდა, პართო მცირეოდენი ცნობები-ლაა გადარჩენილი, ისიც რამდენიმე მოხელის სარგოს შესახებ. ეს გარემოება, მე-IX — XIV ს. ს. -ის გადარჩენილი საბუთების მეტისმეტ სიმცირესთან ერთად, მკვლევარს ძალიან ურთულებს საქმეს. ამის წყალობითვე სრულიად საქართველოს ფინანსების სისტემისა და მეტადრე ნორმების არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის გამოკვევა და ვადაწვევტა შეუძლებელი ხდება.

## § 2. ვახტანგ მე-VI-ის დასტურლამალი

მე-XVII—XVIII ს.ს. აღმ. საქართველოს საფინანსო სისტემისა და ნორმების შესასწავლად ვახტანგ მე-VI-ის „დასტურლამალი“-ის შინაარსი მკვლევარს უხვს, შეიძლება ითქვას, თითქმის სრულ ცნობებს აწვდის. ამას გარდა მე-XVII—XVIII ს-ითგან მოყოლებული მოხელეთა სარგოს გარიგების წიგნებმაც შედარებით უფრო მეტმა მოაღწია და ამის წყალობით მასალაც მრავალმხრივი და საგულისხმო ხდება.

ქართული სამართლის ისტორიის“ I წიგნში „დასტურლამალი“-ის 1704—1711 §. შედგენილობისა, შინაარსისა, ძირითადი თვისებისა და მნიშვნელობის შესახებ საკმაოდ გეკონდა მსჯელობა (იხ. გვ. 73—80). რომ აქ ამ საგანზე საუბარი კიდევ საკირო იყოს. მკვლევარს მუდამ უნდა ახსოვდეს, ეს მსჯელობის დროს გათვალისწინებული ჰქონდეს, რომ ყველაფერი, რაც ვახტანგ მე-VI-ის დასტურლამალში შეტანილი აქვს, მისი დროისა არ არის. არამედ ბევრი რამ მე-XVII და ნაწილობრივ უფრო დრინდელი საუკუნეების განრიგებასა და დანაწესებს წარმოადგენს.

ამას გარდა აღსანიშნავია, რომ დასტურლამალის შინაარსის თავდაპირველი დალაგებულობა ჯერეთ ცნობილ უძველესს, სულხან მდიენის, ხელთნაწერშიც შთლიანად დაცული არ უნდა იყოს.

ამ საკანონმდებლო ძეგლის შინაარსი, რამდენადაც იგი სამეფოს ფინანსებისა და მეურნეობის ორგანიზაციას ეხება, შესაძლებელია შემდეგ ქვემოჩამოთვლილ მთავარ დარგებად დაიყოს. თვით დასტურლამალის შინაარსიც ამავე შინაგან წესრიგს ჰგულისხმობს და სახელმწიფო მეურნეობის მთელი სისტემაც ამაზე დამყარებული ჩანს.

ჯერ განხილული და განსაზღვრულია დებულება სასახლეებისა, მეჯლისისა და მეჯლის-ჭურბასთან დაკავშირებული მეურნეობის შესახებ.

შემდეგ განმარტებულია ხალხის აღწერისა და დავთრების შედგენა-დაცვის წესები.

მერმე მოყვანილია სათითაოდ ყველა სახელმწიფო გადასახადისა, ძღვენისა და ბეგარის ნორმები და მათი შეწერა-აქრფისა, თუ ჩაბარებისა, იმგვარადვე როგორც ანგარიშგასწორების წესები.

შემდეგ ქალაქის წესწყობილებია და საქალაქო გადასახადების ძირითადი დებულებებია აღნიშნული და ამასთან დაკავშირებით საბაჟო დაწესებულებათა ორგანიზაცია და ბაჟის ნორმებია განსაზღვრული.

მერმე უბინადრო მოსახლეობის, ელის ყოფა-ცხოვრებისა და გადასახადების შესახები დებულებანია მოყვანილი.

ამას მეფის პირადი, ე. წ. სახასო მეურნეობის, სოფლების გამოსაღებისა და მოსახლეობის შესახები ნაწილი მისდევს.

უკანასკნელად მოხელეთა სარგოს ნორმები და აღებას წესებია განაზღვრული.

ცნობათა სიუხვითაცა და მრავალფეროვნობითაც ვახტანგ მე-VI-ის დასტურლამალი საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის ნამდვილ დაუშრეტელ განძს წარმოადგენს. მკვლევარს უნდა გათვალისწინებული ჰქონდეს, რომ, ამ ძეგლის პრაქტიკული მნიშვნელობის გამო, იქ შეტანილ სტატისტიკურსა და საერთოდ რიცხვობრივ ცნობებს შერამინდელ მხმარებელთა კვალი უმძინევა და შემდეგ-დროინდელ ხელთნაწერებში რიცხვები, ზოგან მაინც, თავისი დროინდელით შეუცვლიათ. ამიტომ ამ რიცხვობრივი ცნობებით სარგებლობის დროს მკვლევარს სიფრთხილე ჰმართება. სანამ ამა-თუ-იმ ცნობას ადამიანი გამოიყენებდეს, უნდა იმასაც ყურადღება მიექციოს, თუ როგორ არის ეს ცნობა სხვადასხვა ხელთნაწერებში მოყვანილი, მეტადრე, რაცხვი სწერია უძველესს, სულხან მდიენისეულს, ხელთნაწერში. მაგრამ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, თუ რამდენად სწორედ უნდა იყოს ამ უკანასკნელშიც თავდაპირველი დედნის რიცხვობრივი ცნობები დაცული.

### § 3. მეწინავე სადროშოს ძღვენისა და სამასპინძლოს გარიგების წიგნის ნაწყვეტი

„დასტურლამალ“-ში შეტანილ ცნობებს გარდა, დაცულია ქართლის სამეფოს ერთი თემის გარიგების წიგნის ნაწყვეტი, რომელიც გამოსაღებელთა მხოლოდ განსაკუთრებულ კატეგორიას ეხება. ეს ძეგლი იოანე ბატონიშვილისეული წიგნთსაცავის ქალაქის ხელთნაწერ გრაგნილ № 337-ში მოგვეპოვება. წინათ იგი პეტერბურგის საჯარო სამკითხველოში ინახებოდა, ახლა-კი საქართველოს საისტორიო მუზეუმის წიგნთსაცავს ეკუთნის. გრაგნილი დაზიანებულია: მას თავიცა და ბოლოც მოგლეჯილი აქვს. ტექსტი გაკრული მხედრუ-

ლი დამწერლობით არის ნაწერი გრაგნილის ორსავე გვერდზე. შინაარსით ეს ძველი ძღვენის, სასკიანოს, სახიზესი, საბაზიაროს და სამასპინძლოს გარიგების წიგნს წარმოადგენს.

ქნობები სოფლებისდა მიხედვით არის დალაგებული. ხოლო თვითოეული სოფლის გამოსაღებელის შესახებ ცნობა ორ შთავარ ნაწილად იყოფება: მეორე ნაწილი, როგორც თვით ძველშია ნათქვამი, „თარხანზე“ დადებულ „სამასპინძლოს“ განსაზღვრავს. პირველი ნაწილი-კი, თუმცა იქ აღნიშნული არა არის, მაგრამ სადოქრებელი ხდება, რომ გამომღებელს შეებეგრეს უნდა ეხებოდეს, რათგან მოსახლენი ორ მთავარ ჯგუფად იყოფებოდენ—მებეგრედ და შიღვალედ, ანუ თარხანად.

მეორე აღნიშნულია, თუ ძღვენი,—სააღდგომო, საშობაო, საყველღარო და სამარხო,—რამდენი უნდა გამოეღოთ, შემდეგ სასკიანოა განსაზღვრული გადამხდელთა ღირსებისამებრ სამ კატეგორიად „ქაის კვამლზე“, „ამისგან დაბალს“ და „ამათგან უმცროსს“-ს. რამდენადაც ეს შენახული ტექსტიდან ჩანს, ასეა სასკიანო განსაზღვრული ს. წრურთამდე, შემდეგ-კი სასკიანო თუმცა ისევე სამ კატეგორიად არის დაყოფილი, მაგრამ კატეგორიების დამახასიათებელი სახელები შეცვლილია და ნათქვამია ხოლმე: „მთელს საკომლოზე“, „ნახევარ საკომლოზე“ და „ამათგან უმცროსს“-ზე.

ვადანხდელთა დასახასიათებლად ნახმარი ტერმინების განსხვავების გამო, თავისდა თავად იბადება საკითხი პირველად ნახმარი „ქაის კვამლი“, „ამისგან დაბალი“, „ამათგან უმცროსი“, მნიშვნელებით შემდეგში ნახმარ მთელ საკომლოს, ნახევარ საკომლოს და მათგან უმცროსის უღრის თუ არა? ის გარემოება, რომ ტერმინთა ორსავე ჯგუფს ერთნაირი გადასახადი და ერთდაიგივე ოდენობა აქვს ხოლმე გამოსაღებლად აღნიშნული. ვეაიქრებინებს, რომ ზემოაღნიშნული ტერმინები მნიშვნელობით ერთმანერთს უნდა უდრიდეს. ამავე აზრს ისიც ადასტურებს, რომ შემდეგში მთელსა და ნახევარ საკომლოს მაგიერ ისევე „ქაის კვამლზე“, „ამისგან დაბალი“ და „ამათგან უმცროსი“ იხმარება.

რაცისდა-თავად გადამხდელთა ქონებრივი საღსრის სამ კატეგორიად დაყოფის აქ აღბეჭდილი წესი ფრიად საგულისხმო და მნიშვნელოვანი გარემოებაა, რათგან საგადასახადო მიწაწყლის სამ კატეგორიად დაყოფა რომისა და ბიზანტიის სახელმწიფოებშიც იყო მიღებული, აღმოსავლეთის ზოგ სახელმწიფოშიც. გამოსარკვევია, მეწინავე საღროშოს გამოსაღების გარიგების წიგნის ამ ნაწყვეტში დატული სიტყვის საღაურობა და ხნიერება.

აღსანიშნავია, რომ თარხანზე დადებულ სამასპინძლო ორ კატეგორიად არის განაწილებული: პირველად იხსენიება „ქაის კვამლზე“ რამდენი სამასპინძლო იყო შეწერილი, მერმე „ამისგან დაბალს“ რა უნდა გადაეხადა. ამ შემთხვევაშიც ძველის მეორე ნახევარში „ქაის კვამლის“ მაგიერ „მთელი საკომლო“-ა აღნიშნული, ხო-

ლო „ამისგან დაბალის“ მაგიერ „ნახევარი საკომლო“ სწერიია. უმედვეში ისევ „კაი კვამლი“ და „ამისგან დაბალი“-ა ნახმარი.

ღვინის გამომღებელი სოფლების შესახებ ცნობებში გამოსაღებელი ერთეული აღნიშნულია ერთის მხრით „მთელს მამულზე“, ან „მთელს თარხნის მამულზე“, მეორე მხრით „ნახევარს მამულზე“.

ზოგიერთ სოფელს გადასახადი მთელს სოფელს ჰქონია შეწერილი „სასოფლოთ“.

ამ გარიგების წიგნის შინაარსის წარმოსადგენად ორი მაგალითის მოყვანაც ვეონებ საქმარისი იქნება.

ჩქ: მუშელს:

სააღდგომო ძღვენი: ცხვარი ერთი, ბატკანი ერთი, კვერცხი ათი.

საშობო ძღვენი: ცხვარი ერთი, თოხლი ერთი, ქათამი ორი.

საყველიარო: ერბო სტილი ათი, ყველი სტილი ათი, კვერცხი ათი.

სამარხო: ცერცვი ლიტრა ერთი, ოსპი ლიტრა ერთი, ნიუკა გალა ორმოცი.

სასვიანო: კაის კვამლზე მარჩილი ერთი, ამისგან დაბალს შაური ექვსი. ამათგან უმცროს შაური სამი.

სახიზე: მამალი თხა ერთი.

საბაზიარო: ქათამი ორი.

თარხანს: კაის კვამლზე სამასპინძლო ცხვარი ორი.

პური კოდი სამი, ქერი კოდი სამი, ქათამი ორი, ერბო სტილი ათი, მარილი ლიტრა ერთი. ამისგან დაბალს: ცხვარი ერთი, პური კოდი ერთნახევარი, ქერი კოდი ერთნახევარი, ქათამი ერთი, ერბო სტილი ხუთი, მარილი სტილი ათი.

ერთს პირს ცხვარზე ყველი შოთალი ერთი.

სალორე ღორი ორმოცზე ერთი“.

ან კიდევ:

ჩქ: მუგუსს:-

სააღდგომო ძღვენი: ცხვარი ორი, ბატკანი ერთი, კვერცხი ათი.

საშობო ძღვენი: ცხვარი ორი, თოხლი ერთი, ქათამი ოთხი.

საყველიაროთ: ერბო ლიტრა ერთი, ყველი ლიტრა ერთი, კვერცხი ათი.

ქრისტიშობის მარხვაში: თევზი ლიტრა ხუთი. — საყველიაროთ თევზი ლიტრა სამი, — სახარებოთ თევზი ლიტრა ორი.

სამარხო: მუხუდო ლიტრა სამი, ოსპი ლიტრა ორი.

ერთს პირზე ყველი შოთალი ერთი.

სალორე ღორი: ორმოცზე ერთი.

საბაზიარო: ქათამი სამი.

სასვიანო: მთელს საკომლოზე მარჩილი ერთი.

თარხანს: მთელს საკომლოზე სამასპინძლო: ცხვარი ორი, პური კოდი სამი, ქერი კოდი სამი, ერბო სტილი ათი, მარილი ლიტრა ერთი, ქათამი ორი.



სახიზე: მამალი სახა ორი.

მთელს მამულზე ბატონის საპალნის ღვინო: საპალნე ერთი.

ნახევარ საკომლოზე სასვიანო: შური ექვსი, მისგან უმცროსზე შური სამი.

სასოფლოთ უნდა გამოიღონ: თუთუბო სტილი ათი“.

ამ გარიგების წიგნის ნაწყვეტში შემდეგი სოფლების გადასახადის ნორმებია აღნუსხული: წყლამის, მუშელის, წყნეთის, აღხიბეუქის, ფალჩუბლუსი, შიშთეფასი, ჩახმაზლუსი, ჩარდახლუსი, ვაღავერისა, მირჩაბარისა, წითელ-გელესიონისა, გატეხილ-საყდრისა, ჯამბაღისა, კუკასი, იანგიჩახისა, ხუცისფელისა, ოსკევენას სოფლისა, წყალთაშუასი, ...წრაურთისა, იფნობისა, ტურისუბნისა, ბაღუჩაშვილებისა, მუგუთისა, ბალახაურისა, კეხილასი, ნახიდურისა, აფრიამას სოფლისა, მუხრანისა, წულრულაშენისა, ტანძიასი, მუსეფარიანისა, ჯანაზიანისა, კიპრუქისა, ძაბილაშვილებისა, ფოცხვერიანისა, ავაზანთისა, ჯვარასი, ფიტარელთა, ბოცოეთისა, ვარდისუბნისა, ჩინჩხურისა, არმანისა, თაგუთისა, ვარძაგარასი, ოროზმანისა, მანავერისა, ტამალასი, ავანჯუქისა, ქვემოშიჯასი, ქაიატავეისა, ძველი დმანისისა, დილამაშენისა, ბოსლებისა, ქვაბევეანისა, შინდლარასი, სარკინეთისა, ვარდისუბნისა, შესაყარისა, სარახველასი, ყაჯილუბისა, ხულისა, დარბაზისა, სუგუჩანისა, ჩარგამაშენისა, იალყუზისა, ყამიშისა, გელასოფლისა, ალყუმრუსი, წაკაგელცისა, ნადარბაზევისა, ამხასოფლისა. სულ 71 სოფლისაა. მაგრამ რათგან ამ გრაგნილს თავიცა და ბოლოც მოგლეჯილი აქვს, შუაშიც დანაკლისი ემჩნევა, ამიტომ თავდაპირველად იქ ამაზე მეტი სოფლების შესახები ცნობები უნდა ყოფილიყო.

ეს სოფლები ტაშირსა, ლოქსა, ყარაბულახის, დბანისისა და სხვა ხეობებშია.

ყველა ზემოთქმულის შემდგომ ცხადია, თუ რამდენად საყურადღებო ძეგლი და წყაროა ეს გარიგების წიგნი საქ. ეკონომიური ისტორიის შესასწავლად.

ამ ძეგლის თავ-ბოლოში დაზიანებულობა მის დათარიღებას მოითხოვს, დაახლოებითს მაინც. საქმეს ის გარემოება ართულებს, რომ გრაგნილის ზურგზე მოთავსებულ მოხელეთა სიაში თითქმის ვერც ერთი დიდი ხელისუფლის შესახებ ცნობას ვერ ამოიკითხავთ, რომ მისი დაწერილობის ხანა ამის საშუალებით მაინც განისაზღვროს. მხოლოდ ორი ასე-თუ-ისე დაწინაურებული მოხელის სახელი გვხვდება იქ — „მეჯინიბეთუხუცესი რამაზ ტ ბოქაულთუხუცესი ზურაბ“, მაგრამ მათი გვარები არ იხსენება და მარტო სახელების შიხედვით მათი ვინაობისა და დროის გამოკრევეა ძნელია.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ამ გარიგების წიგნის გამოსაღებთა ნორმები ეახტანგ VI-ის დასტურლამალის ნორმებისაგან ბევრში თვალსაჩინოდ განსხვავდება. ხოლო, თუ ამასთანავე გავითვალისწინებთ, რომ მეწინავე საღრო-შოს ეს კუთხე 1721 წ. შემდგომ აოხრებული იყო და ის ქონებრივი კეთილდღეობის სურათი, რომელიც ამ გარიგების წიგნით გვეხატება, მე-XVIII ს. შუა წლებსა და მეორე ნახევარში ძნელი მოსალოდნელია, მაშინ თავისთავად წამოიკრება აზრი, რომ ეს ძეგლი შესაძლებელია მე-XVII ს. მეორე ნახევრისა იყოს.

#### § 4. კახეთ-ქიზიყის მე-XVIII ს. შუა წლების გამოსაღების გარიგების წიგნი

„დასტურლამალი“, როგორც ცნობილია, ქართლის სამეფოს საკანონმდებლო ძეგლი იყო. კახეთისა და იმერეთის სამეფოს ეკონომიურისა და საფინანსო წესწყობილების შესასწავლად ამავე ხანის მსგავსი ძეგლი არ მოგვეპოვება. მაგრამ მე-XVIII ს. მეორე ნახევრისათვის კახეთის ეკონომიურ მდგომარეობას ერთი ძეგლი გვისურათებს, რომელიც ერეკლე მე-11-ის ბრძანებით ყოფილა შედგენილი და „საქართველოს სიძველეთა“ მე-III წიგნშია ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული (გვ. 133—139). ამ გამოცემაში მას სათაურად აწერია „კახეთის ბაყების გარიგება“ და უთარილობის გამო დაახლოვებით არის 1750—1760 წ. დათარიღებული. ეს სათაური მას არ შეეფერება.

ძეგლი ასე იწყება: „ჩვენ მეფემან კაკეთისამან ირაკლიმ, ძემან ღთივ ცხებულისა საქართველოს მეფის თეიმურაზისამან. ესე განაჩენი გაეარიგეთ, ოდეს ვიგულისკმეთ, რაც ძველთაგან დაეთრები ან წიგნები იყო კახეთისა, ყველა გავსინჯეთ. რაც ჩენი სამეფო, სახასო, ან სადედოფლო სოფლები იყო და ან ელებისა, ასე გაეაჩინეთ და გაეარიგეთ, რომ რაც ზოგისა მოსაკლებელი იყო, მოუკლით, და ზოგი, რაც ძველთაგან ყოფილიყო, აგრე გაეარიგეთ. ქისიყის გამოსაღლისა საბატონოსი, თუ სამოურავოსი და ან სხვა მოხელისა ძველადგანც ასე განწესებული ყოფილა და ახლა ჩვენც ასე გვიბძანებია და გავგიახლებია“-ო (გვ. 133—134).

მაშასადამე, ეს ძეგლი კახეთისა და ქიზიყის „გამოსაღლისა საბატონოსი“ (ე. ი. სახელმწიფოსი) და მოხელეების გარიგების წიგნი ყოფილა და არა მხოლოდ კახეთის ბაყების გარიგება. კახეთის შესახებ იგი თურმე ძველის შეცვლილ წესებს შეიცავს, ქიზიყის შესახებ-კი ძველის მხოლოდ განახლებას წარმოადგენს.

ამ გარიგების ზემოყვანილ შესავალში ერეკლე თავის თავს მხოლოდ კახეთის ჩუფედ იხსენიებს, საქართველოს მეფედ-კი თავისი მამა თეიმურაზი ჰყავს მოხსენებული. ამასთანავე, მისივე სიტყვებითგან ჩანს, რომ თეიმურაზი მაშინ ცოცხალი ყოფილა. ყველა ეს გარემოება ე. თაყაიშვილისაგან ამ ძეგლისათვის განსაზღვრულ თარიღს 1750—60 წ. აშართლებს. მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ამ გარიგების წიგნის რუსული თარგმანი თავის დროს დ. ფურცელაძეს ჰქონდა „Рус. крестьянскія грамоты“-ს 70—73 გვერდზე დაბეჭდილი და იქ თარიღად 1798 წ.-ია აღნიშნული. ალბათ, მაშინ ეს ძეგლი დათარიღებული ყოფილა. ხოლო, რატო ამ გარიგების წიგნის შესავალი უფრო 1750—60 წ. უდგება, ვიდრე 1798 წ., ამიტომ შესაძლებელია 1798 წ. ამ ძეგლის ხელმოკრე განახლების თარიღი იყოს მხოლოდ.

ეს გარიგების წიგნი შინაარსის მხრით რამდენსამე ნაწილად ყოფილა დაყოფილი. თეითოეულ ნაწილს თავისი სათაური ჰქონია. ზოგი ამ სათაურთაგანი ამ ძეგლის განახლებულსა და

მერმინდელ გარდანაწერშიც არის შერჩენილი. მაგ., შესავლის შემდგომ სათაურია „აძეს კოდის პური“, რომელსაც ორი მუხლი მისდევს (გვ. 134). მერმე ისევ სათაურია: „ბაჟი“, რომელსაც აგრეთვე დებულების ორი მუხლი მისდევს (იქვე). შემდეგ სათაურად სწერია „ქურდისა“ (იქვე) და ერთი მუხლი მისდევს. მერმე კვლავ სათაურია: „თავის გასამტეხლო“, რომლის შემდგომაც დებულებათა მთელი რიგი სწერია. ამის მერმე ამ ძეგლში ბოლომდე მხოლოდ ერთგან-ლა მოიპოვება სათაური „გასამყრელო“ (გვ. 137), რომელსაც 4 მუხლი მისდევს.

„საქართველოს სიძველეთა“ მე-III წიგნში ნათქვამი არ არის ამ ძეგლის 55-ის სათვალავები დედანშიც იყო, თუ გამომცემლის დასხმულია: მაინც-და-მაინც უნდა აღინიშნოს, რომ 55-ის სათვალავები თვით ძეგლის შინაარსის დანაწილებას მთლად არ შეეფერება, რათგან შეცდომით შესავლის ერთი წინადადება § 1-ად არის გამოყოფილი და შემდეგშიც ზოგან უფრო სხვანაირი დაყოფაც იქმნებოდა მიზანშეწონილი. ამისდა მიუხედავად, ჩვენ ქვემოთმოყვანილ ოსაზრებათა გარიგების წიგნის ტექსტთან შემოწმების უფრო გასაადვილებლად, „საქ. სიძველეთა“ გამოცემის 55-ის სათვალავები გვექმნება დასახელებული.

ვინც კახეთ-ჩიზიყის გარიგების წიგნს გულდასმით გადაიკითხავს, ის, უპიკელია, შეამჩნევს, რომ ამ საკანონმდებლო ძეგლს რამდენსამე ადგილას დარგების შინაარსის მაუწყებელი სათაურები უნდა აკლდეს. მაგ., § 8, 9 და 10 უშუალოდ § 7-ეს მისდევს, რომელიც „თავის გასამტეხლო“-ს შესახებ დებულებებს წარმოადგენს. § 8, 9 და 10-კი სულ სხვა საკითხს, სახელდობრ, მღევარისა და ნარბევის წესებს ეხება. ამგვარივე შინაარსისაა § 12 და 13. ძეგლის მთელი აგებულების თანახმად, მოსალოდნელი იყო, რომ § 8-ეს წინ სათაური უნდა ჰქონოდა, ეგების „მღევარისა და ნარბევის“ მსგავსი. მაგრამ ალბათ შემდეგში გამოტოვებული უნდა იყოს.

ანაირადვე § 14, 15, 16, 17 და 18 ბეითალმანსა და ჰერე-ობოლთა წილალობის საკითხს ეხება, სამართლის განსაკუთრებულ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ თავისი სათაური არ მოეპოვება. ასეთი მაგალითების მოყვანა, სადაც სათაური მოსალოდნელი იყო, მაგრამ გამოცემულ ტექსტში-კი არ ჩანს, კიდევაც შეიძლებოდა, მაგრამ საქმის გარემოების გასათვალისწინებლად ზემოაღნიშნულიც საკმარისია.

ბოლო ამაზე უფრო მნიშვნელოვანია, რომ გარიგების ეს წიგნი შინაარსის საგნობრივს თანამიმდევნობას მე-11 §-ითგან მოყოლებული არ იკავს და ტექსტი ერთისა-და-იმევე საგნის შესახებ რამდენსამე სხვადასხვა ადგილას მოგვიტოვრობს. მაგ., ბაჟის დებულება § 4 და 5-შია განხილული, რომელსაც ამ გარემოების მაუწყებელი სათაური უძღვის კიდევაც წინ. მაგრამ სრულებით მოულოდნელად და უაღაგო ალაგას § 11 და 20-იც საბაჟო საქონლის საკითხსვე ეხება.

თავის გასამტეხლოს შესახები დებულებაც § 7-შია აღბეჭდილი, მაგრამ § 24 და 25-ეც თუმცა ამავე საკითხს ეხება, მაინც სულ სხვა ადგილას არის მოაჯესებული.

ამნიარადვე, თუმცა § 22-ეც და 26-ეც ხალხის აღწერას ეხება, მაგრამ მათ შუა 23, 24 და 25 წწ-ებია მოთავსებული, რომელთაც ხალხის აღწერასთან საერთო არა აქვსთ რა.

თუ გარიგების წიგნის ნაწილების ზოგიერთი სათაურების გამოტოვებულობა შესაძლებელია გადამწერთაგან ჩადენილი შეცდომის შედეგად მიგვეჩნია, შინაარსის სისტემისა და საგნობრივად დალაგებულობის უწყესრიგობის ზემომოყვანილი მაგალითები გადამწერთ ვერ გადაჭრალდებათ. უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ შინაარსის საგნობრივი წესრიგი მაშინ დარღვეულიყოს, როდესაც ერეკლე მე-11-ემ „ძველითგან“ არსებული „დავთრები, ან წიგნები კახეთისა“ უკველა გამოიყენა და ზოგი რამ შესცვალა, ზოგი-კი ძველებზეად დასტოვა.

სხვადასხვა ძეგლებისაგან შედგენის დროს შინაარსის საგნობრივი წესრიგი, რასაკვირველია, შეიძლება დარღვეულიყო, თუ რომ ძველი, მთავარი გამოყენებული, წყაროს საგნობრივი დანაწილების დაცვას განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცეოდა.

ამგვარად, კახეთ-ქიზიყის 1750—60 წ. გარიგების წიგნი ნაწილობრივ ძველს, ნაწილობრივ-კი შეცვლილ წესებს შეიცავს. მთლიანად მისი შინაარსი, მაშასადამე, მხოლოდ მე-XVIII ს. მეორე ნახევრისათვის არის კანონად ქცეული. ვისაც ამ ძეგლში კახეთ-ქიზიყის უფრო ადრინდელი, მაგ., მე-XVII—XVIII ს. ს., წესების ამოკრება ექმნება მიზნად, მას ამისთვის წინასწარ შესაფერისი მუშაობის გაწევა მოუხდება: უშუალოდ ამ ძეგლის ცნობებზე ასეთ შემთხვევაში დამყარება არ შეიძლება.

## § 5. ქალაქის მოურავის ხარგოს გარიგების წიგნი

თუ მე-X—XII სს. საქალაქო წესწყობილების შესასწავლად საქართველოში მკვლევარი, სხვა მასალების დაკარგულობის გამო, იძულებულია მხოლოდ საისტორიო თხზულებებში გაფანტული ცნობებით დაკმაყოფილდეს, მე-XVII—XVIII სს. ისათვის მას ხელთ უკვე ამის შესახები საკანონმდებლო ძეგლებიც მოეპოვება.

საკმაოდ ვრცელი ცნობებია საქალაქო წესწყობილების შესასწავლად, მაგ., ვახტანგ მე-VI-ის დასტურლამალში. აქ მკვლევარს ზოგადი დებულებებიც აქვს და კონკრეტული ცნობებიც, მათ შორის ვაქრობა-მრეწველობის ორგანიზაციის გასათვალისწინებლადაც.

ხოლო მე-XVIII ს. დამლევის აღმოს. საქართველოს საქალაქო წესწყობილება ერთს განსაკუთრებულ საკანონმდებლო ძეგლშია აღბეჭდილი, რომელიც „ქალაქის მოურავის ხარგოს გარიგების წიგნი“ არის და საქართველოს სიძველეთა“ მე-11 წიგნშია ორი რედაქციით გამოცემული (გვ. 523—531). თვით ძველი ჩვეულებრივი ღვთის მოწოდების შემდგომ ასე იწყება: „ქალაქის მოურავის ხარგო ეს არის, რომელიც ამას ქვემოთ სწერია“-ო. გამომცემლის ექვთ. თაყაიშვილის აზრით ეს „დებულება“ დაახლოებით

1784—1790 წლებში უნდა იყოს გადაწერილი“-ო (გვ. 522--3). მისი შემდგენელი და დაწერილობის თარიღი მას განსაზღვრული არა აქვს, ამბობს მხოლოდ, რომ „ეს შესანიშნავი საბუთი ძველი ადათის და წესრიგის დაკანონებას უნდა წარმოადგენდეს“-ო (იქვე).

ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების წიგნს, როგორც აღნიშნული გვექონდა, შედგენილობის თარიღი არა აქვს. გამომცემლის ექ. თაყაი შვილის სიტყვით, იმ ქალაქის კვირნიშანი, რომელზედაც ეს ძველი სწერია „სხვათა შორის 1784 წელს უჩვენებს“ (გვ. 522). შესაძლებელია ამ ძველის შედგენა იმ ბრძოლასა და უთანხმოებასთან იყოს დაკავშირებული, რომელიც მე-XVIII ს. 80 წლებში ქალაქის მოურავის უფლება-მოვალეობის შესახებ ატეხილა და იმდენად გამწვავებულა, რომ მოქალაქეთა შორის წერილობითი ცნობები იყო ამის შესახებ შეკრებილი და 1784 წელს ერეკლე II-ის ბრძანებით ტფილისში ქალაქის მოურავობა ძველის წესით იქმნა აღდგენილი (იხ. საქ. სძვლნი III, 15—17). შესაძლებელია, რომ იმავე დროს, როდესაც მეფეს ეს ბრძანება გამოუცია, ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების წიგნიც განახლებულ იქმნა. თუ ეს აზრი მცდარი არ არის, მაშინ ეს ძველი სწორედ იმავე 1784 წ. უნდა იყოს დაწერილი, რა დროისაც თვით ქალაქიც ყოფილა.

„ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების წიგნი“ სახელდობრივი წყალობის წიგნის სახით-კი არ არის შედგენილი, არამედ ქალაქის მოურავის უფლება-მოვალეობისა და სარგოს შესახებ სხვადასხვა დებულებას წარმოადგენს. რაკი ამ ძველს არც თავში მოკრევა რაიმე ცნობა ამ საბუთის შედგენის დროისა და გარემოების შესახებ, ამიტომ ამ გარიგების წიგნს ოფიცირული საბუთისა და საკანონმდებლო ძველის თვისება არ ემჩნევა. მაგრამ მისი მთელი შინაარსი ცხად-ჰყოფს, რომ ის ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების წიგნის ოფიციალური დედნის გამარტივებულ პირს უნდა წარმოადგენდეს. ამ ძველის სხვადასხვა ადგილას ხშირად აღნიშნულიც არის „ეს დებულება არის“-ო.

ქ. მოურავის სარგოს გარიგების წიგნის ტექსტი თუმცა საკმაოდ გრძელია და 45 მუსლს შეიცავს და სხვადასხვა საკითხებს ეხება, მაგრამ მისი შინაარსი ცალ-ცალკე დარგებად, არც განსაკუთრებული სათაურის საშუალებით, არც სხვანაირად, დაყოფილი არ არის. როგორც გამომცემელს აღნიშნული აქვს, გარიგების წიგნის ტექსტი მუხლებად არც დაყოფილი, მაგრამ მუხლებს სათელავეები არ უსხედს. ამისდა მიუხედავად ძველის 3 უბლობრივი შინაარსი საგნობრივად და სისტემურად არის დალაგებული. კანონმდებელს ამ ძველის შედგენის დროს მისი შინაარსის დარგებად დაყოფა, უეჭველია, ნაგულისხმევი ჰქონია. მაგ., §§ 1, 2 და 3 ქალაქის მოურავის სამოსამართლო მოვალეობას, ქალაქში სასამართლოს ორგანიზაციასა და სარგოს ეხება, — §§ 4, 5, 6 და 7 ბაქსა და ბაქის სამოურავო წილს, — § 8 სატარულოს, — §§ 9-14 სააღდგომო, სანათლიღობო, სახალწლო, საყველიეროსა და სამარხო ძღვენსა და

ფექაშს,--§§ 15 და 16 სამრეწველო გადასახადს,--§§ 18--33 ნიხ-რიც დადების წესსა და ნიხრანას და სხვა.

ეს გარიგების წიგნი აღმ. საქართველოს მე-XVIII ს. საქალაქო წესწყობი-ლება. ვაქრობა-მრეწველობის, საამქრო ორგანიზაციის, საქალაქო გადასა-ხადების სისტემისა და შემოსავლის შესასწავლად ბევრ ფრიად საგულისხმო ცნობას შეიცავს. ამ ძეგლის მნიშვნელობის შესახებ აქ საუბარი ზედმეტი იქმნებოდა, რათგან ამ წყაროს ცნობები განხილული მაქვს სპეციალურ გამო-კვლევაში -ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება XVII—XVIII სს-ში“, რომელიც ჟურ. „პრომეთე“-ს № 1-ში იყო დაბეჭდილი 1918 წ. (გვ. 35—61).

## თავი მეოცე. საეკონომიო სარგოს გარიგების წიგნები

### § 1. ერწო-თანეთის სარგოს გარიგების წიგნი

ა. ჯორდანიას თავისი „ქრონიკების“ I წიგნის გვ. 264—265 აღნიშ-ნული აქვს, რომ გიორგი III 1178 წ. იმ სიგლის ზურგზე, რომელიც დემნას განდკომილების დროს მომხდარი საეკლესიო კრების მონათხოვარის დასაკმაყო-ფილებლად იყო დაწერილი, მოიპოვება „ხუცურად მე-XIV საუკ. ხელით“ დაწე-რილი ძეგლი, „სადაც ჩამოთვლილია ის, თუ რომელ სოფლებს სამთავისის სა-მწყსოსას რა ჰმართებია სამთავნელის სასარგებლოდ“. შემდეგ თ. ჯორდანიას ჩა-მოთვლილი აქვს იქ მოხსენებული სოფლების სახელები და მოკლედ დახასიათე-ბულია წყნერილი გამოსაღებიც (ქები, I, 264--265). თვით ამ ძეგლის ტექსტი თ. ჯორდანიას არ გამოუცია. მე ხელთა მაქვს დედნის გარდმონაწერი, რომე-ლიც ს. ჯანაშიამ ჩემი. თხოვნით გადმოსწერა, რისთვისაც დიდ მადლობას ვოვახსენებ.

ამ ძეგლის დედანი ეტრატზეა დაწერილი და ამჟამად ტფილ. სახელ. უნი-ვერსიტეტს ეკუთნის. ამ გრაგნილს № 15 თავი დაზიანებული აქვს და დასა-წყისა აკლია. ბოლო-კი თითქოს სრულად უნდა იყოს შენახული, რათგან სვ. ჯანაშიას ცნობით, რომლის გარდმონაწერთაც ვსარგებლობ, უკანასკნელ სტრიქონს აზრის დამთავრების მათუყებელი ნიშანი უზის და ამის შემდგომ ოთხი სტრიქონისათვის საკმაო ადგილია ცარიელი.

თავის დაზიანების გამო ძნელი სათქმელია, თუ როგორ და რით იწყებო-და ეს გრაგნილი. შესაძლებელია იგი სხვა ნაქერზე ყოფილიყო გადაკერებული. შინაარსით საბუთი საეკონომიო სარგოს გა-რიგების წიგნია და იქ აღნიშნულია, თუ თვითოეულ სო-ფელს რა მოვალეობა და გადასახადი აწუვა: დაკისრებული ჰქონ-და თუ არა „შედგომაჲ“, ან „დგომაჲ“ და რამდენ ხანს, ამასთანვე, რამდენი „ვერცხლი დრამაჲ“, ქრთილი კაბიწად და ტყავი უნდა მიერთშია მწყემსთ-მთავრისათვის. ამ გრაგნილის შენახულ ნაწილში სულ 38 სოფლის შესახებ არის ცნობები მოყვანილი, ხოლო რამდენი სოფლის ვადა-

სახადი აკლია კიდევ, დანამდვილებით ძნელი სათქმელია, მაგრამ ვგონებ ბლომად უნდა აკლდეს.

სოფლების სახელების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ საბუთი სრულე-ბით სამთავნელის სამწყსოს არ ეხება, თ. ჟორდანიას აზრისდა საწინააღდე-გოდ, არამედ ერწო-თიანეთს ეხება. მაგრამ მას ამაზე მეტი მიწაწყა-ლიც აქვს დაკავებული, მხოლოდ იმის გამო, რომ ამ ეამად და უკვე მე-XVIII ს. პირველ ნახევარში ზოგიერთი ამ გარიგების წიგნში მოხსენებული სოფელთაგანი აღარ არსებობდა და არ არსებობს. ამიტომ საბუთის მიერ შემოსასაზღე-რული თემისა და საეპისკოპოსოს ზედმიწევნით გამორკვე-ვა შეუძლებელია.

უთაე-ბოლოობის გამო საბუთის დაწერილობის თარიღი არა ჩანს. შიგ ტექსტში არც ერთი პიროვნება არ იხსენიება, რომ ამის მიხედვით მაინც თარი-ღის გამორკვევა შესაძლებელი ყოფილიყო. დამწერლობის მიხედვით თ. ჟორ-დანიას აზრით იგი მე-XIV ს. უნდა მიეკუთნოს. მაგრამ არა ჩანს ნუსხა-დე-დანთან, თუ გარდანაწერთან გვაქვს საქმე. მეორე გარემოება უფრო დასაჯე-რებელია. ამას ამ ძეგლის ენა და ტერმინოლოგია გვაფიქრებინებს, რომელიც საბუთის დამწერლობაზე უძველესი მოჩანს. ამას გვაფიქრებინებს ერთის მხრით მუდამ ასეთი ფორმები, როგორცაა „შედგომაჲ“, „დგომაჲ“, „არა-დგომაჲ“, „დრამაჲ“, „ქალამანნი ერთნი“, მეორეს მხრით ფულის აღ-სანიშნავად „ვეცხლი“-ს ხმარება. რათგან ძეგლი გიორგი III სიგლის ზურ-გზეა დაწერილი, თუ ეს გრაგნილი ნუსხა-დედანია, რაც, როგორც აღწერილია, საეპეოა, შეუძლებელია მე-XIII ს. მეორე ნახევარზე უწინარესი დროისა იყოს. ენის თვისებების მიხედვით-კი ეს ძეგლი შეიძლება მე-XII—XIII ს-საც იყოს. გამო-საღებთა თვისებებთაც ეს გარიგების წიგნი განირჩევა მერმინდელი ამავე შინაარ-სის ძეგლებისაგან და ეტყვანე ქართლისა კათალიკოზის ანისის მე-XIII ს. და-მდეგის წარწერას უდგება.

დაზიანებულობის გამო ამ გარიგების წიგნის მნიშვნელობა, რასაკვირვე-ლია, ძალზე შემცირებულია, მაგრამ იქ მოყვანილი ცნობების მიხედვით ამ თე-მის ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინება ნაწილობრივ მაინც შეიძლება.

## § 2. სამთავნელის სამწყსოს დრამისა და შესაგლის გარიგების წიგნი

თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ მე-II წიგნში (გვ. 272—277) მოთავსე-ბული აქვს სამთავნელის სარგოს გარიგების წიგნის ცნობები ზოგან მთლიანად, უმეტესად-კი შემოკლებით, გამოსაღებთა ცხრილის სახით გადაკეთებით. თ. ჟორ-დანიას ამ გამოცემის 1906 წ. დედანთან შედარებამ დამარწმუნა, რომ სამთა-ვნელის სარგოს გარიგების წიგნის გადმოწერის დროს გამომცემელს შეცდომები ბლომად შეჰპარგოდა, ამიტომ ეს ძეგლი ხელმეორე გამოცემისათვის გადმო-ვეწერე. ეს გადმონაწერი 1917 წელს მთელ ჩემ წიგნსაცათან ერთად დამეკარგა.

ს. ჯანაშიამ. ჩემი თხოვნით ეს ძველი კვლავ გადმომიწერა, რისთვისაც დიდ პატივს მიაგებებ, და ამ გარდმონაწერით ვსარგებლობ.

სამთავნელის სარგოს გარიგების წიგნი ტფილისის სახ. უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის №№ 559 და 918 ქაღალდის ორ გრაგნილზეა მოთავსებული. რომელნიც ერთი მეორის გაგრძელებას წარმოადგენენ. ეს საბუთი შაჰნავაზ მეფისა და დედოფალ მარიამისგან 1673 წელს განახლებული გუჯარია, რომელიც ძველი აზერბაიჯანის ძველითგან გადმოუწერიათ.

ჩვენ „მეფეთ-მეფემან კელმწიფემან პატრონმან შაჰნავაზ და თანამეცხედრემან ჩნმან ზღუათა მეფის ასულმან დედოფალთა-დედოფალმან პატრონმან მარიამ და ძეთა ჩნთა სასურველთა ბატონის-შვლმან ბატონმან გიორგი, ბატონმან ლევან, ლუარსაბ და სოლომონ: სშოერ (sic?) ლთეების საყდრის სამწყსოს დრამისა და შესავლის ძველითგან განაჩენი წიგნი და გუჯარია ჰქონდათ. ენახეთ და დიად დაძველებულიყო და... როგორც იმ... სიგელში ეწერა. ისევე იმ რიგათ... განუახლეთ და დაუმტკიცეთ სიგელი“-ო. საბუთის ბოლოში ნათქვამია: „დაიწერა ბრძანებაჲ ესე ჩნი ქქსა: ტა: ინდიკტიონსა მეფობისა ჩნისსა: იე: კელითა კარის წინამძღვრის დანიელისითა“-ო.

მაშასადამე, საბუთი 1673 წ. ყოფილა განახლებული. ამ განახლებულ სიგელს მართლაც ეტყობა, რომ შიგ ძველი ძველის პირია ჩართული. შიგ შუაში, მაგ., ასეთი წინადადება გვხვდება: „სახელითა ლთისათა შემოვიდა სამთავნელ ფეისკოპოზი გრიგოლი ქქსა: რაშხ: პატრონის ერისთავს შალვას ბრძანებითა, — მრავალი უწესო საქმე ქნილიყო. — შევიყარენით ჩუენ ცხრაზმის კევის სამივე კევის კრებულნი და მამასახლისნი და ესე პირი მოვაკსენეთ სამთავნელსა“-ო და შემდეგ სხვადასხვა დანაშაულებისათვის გადაკეთილი სასჯელის მოხდის უცილობლობა არის დადასტურებული. ცხადია, ეს ნაწყვეტი 1459 წ. შედგენილი საბუთის პირს წარმოადგენს. იგი თითქოს ულაგო-ალაგას, ს.ს. გოლგოთასა და ციხის-ძირზე დადებული გადასახადების შესახებ ცნობებს შუა არის ჩაყრებული, და აზრის მიმდინარეობას არღვევს.

მეორეს მხრით, ს. ეჯიკურის გადასახადების ცნობას მისდევს სხვადასხვა დანაშაულებისათვის გადაკეთილი დასაჯურებელი ქონებრივი, თუ სხვაგვარი სასჯელი, რომელიც ზემოთხსენებული 1459 წ. საბუთის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს და თითქოს უშუალოდ მასვე უნდა მისდევდეს. ეს ნაწილიც რომ ძველი საბუთის დედნის გადმონაწერი უნდა იყოს, ამას მის ბოლოს დაართული სიტყვები, „დედასა ესრეთ ეწერა-ო“, დედანშიც სწორედ ასევე ეწერაო, ცხად-ჰყოფს.

სე. ჯანაშიას თავის გადანაწერში აღნიშნული აქვს, რომ სოფლების ციხისძირის, ქადაგიანისა და ალაღანის. (sic) გადასახადის შესახებ ცნობაში „კოლი“ ამოფხევილ ადგილზე სწერია. ამის გამო საფიქრებელია, რომ თავდაპირველ დედანში იქნებ „კოლი“ არც ყოფილიყო ნახმარი, არამედ განახლების დროს იყოს შეტანილი. გადამწერს,



ეტუბა, დედნის ტექსტის გადმოღების დროს საზომი დედნისავე დაუტოვებია, შემდეგ-კი შეცდომა ამოუფხეკია და გაუსწორებია. ხოლო მერნე ყველგან კოდი ჩაუწერია. გადასახადების აღნუსხვილობაც თითქოს შეცვლილი უნდა იყოს იმ მხრივ, რომ ზოგი გადასახადი გამოტოვებულია.

აღსანიშნავია, რომ შაჰნავაზის მიერ 1673 წ. განახლებულ საბუთში თავიდან, სოფელი ყანჩაეთის შესახები ცნობითგან, მოყოლებული ს.ჭავჭავაძემდე ერთი მთლიანი შინაარსისა და გადასახადების გარიგების შემცველი ტექსტია. მას შემდეგი სიტყვები მისდევს: „გელსიის სოფელთა მთაწმიდას მივიდეს შობტროვანს ჩამოდგეს ქვიტიკირთ მივიდეს მდღელთა და მამასახლისთა ბეგარი და ამას გარდა რაოდენიცა სოფელი სწერია ქსანზედა, ამთ სოფელთა შინა ვინცა აზნაურმან, ანუ გლეხმან კაცი მოკლას, მესამედი სისხლი ღთაებას მიართვას მოკლულის მიცვალებულის მოსახსენებლად. ესე ასე მსახურონ ყოველთა და მსპინძლობაჲ არ დააკონ და სასჯულო ფიცით დააჯერონ, უსაქმონ და მოაკლებინონ. ძველის გუჯარისაგან ესე ოდენ შევიძღვით გარდმოწერა“-ო. მთელი ეს ნაწილი საბუთის ბოლოსიტყვაობას აიაგავს, 1459 წ. საბუთის მსგავს ერთგვარ დასასრულს წარმოადგენს და ჰოვალეობათა და სისხლის გარდაკვეთილობას შეიცავს.

უკანასკნელი წინადადებითგან, რომელიც უეჭველია 1673 წ. განახლებულის შენიშვნა უნდა იყოს, ცხადი ხდება, რომ ყველაფერი თავითგან აქ ადგილამდე „ძველის გუჯარისაგან“ ყოფილა გადმოწერილი და ამაზე მეტი ველარ გაურჩევიათ, უეჭველია, დედნის დაზიანებულობის გამო.

პუნებრივად იზადება საკითხი, თუ რა დროის ძველი უნდა ყოფილიყო ეს ძველი გუჯარი? ზემომოყვანილი ცნობა რომ „ესეოდენ შევიძღვით გარდმოწერა“-ო. შეუძლებლად ხდის, რომ 1673 წ. განახლებულ სიგელში ქვემომოყვანილი 1459 წ. საბუთის პირი ამ ძველი გუჯარის გავრძელება ყოფილიყო, რასაკვირველია. თუ რომ ეს გუჯარი რამდენიმე, წინათ გადაკერებული და მაშინ, 1673 წლისათვის, სიძველისაგან უკვე განცალკევებული, ნაწილისაგან არ შესდგებოდა. რაკი შაჰნავაზს თავისი განახლებული სიგლის დედნად მართო ერთი „ძველითგან განაჩენი წიგნი და გუჯარი“ აქვს მოხსენებული, ამიტომ საფიქრებელია, რომ 1673 წ. შაჰნავაზს ხელთ სამთავნელის სარგოს გარიგების ერთი მთლიანი წიგნი ჰქონდა.

მაგრამ ამ შემთხვევაშიც შეუძლებელია, რომ ეს ორი ნაწილისაგან შემდგარი ძველი თავდაპირველადაც ერთ მთლიან საბუთად მივიჩნიოთ. ამას შეუძლებლად ის გარემოება ჰხდის, რომ 1459 წ. ძველი თითქოს მთლიანად არის გარდმონაწერში შენახული და მისი დასაწყისი ახალი, დამოუკიდებელი საბუთის სიგლისთავს წარმოადგენს. ხოლო რათგან მისი შესავალითგან ცხადი ხდება, რომ მისი შინაარსი მართო ცხრაზმის ხეობის სამს ხევს ეხება, ამიტომ სამთავნელის სამწყსოს ქსნის ხეობის დანარჩენი ადგილე-

ბის გადასახადის გარიგების წიგნი თავდაპირველად დამოუკიდებელ სიგლად, ან იქნებ რამდენსამე სიგლად უნდა ვიგულისხმოთ, რომელნიც, ან მაშინვე, ან ცოტა ხნის შემდგომ, ერთ საბუთად იქმნა გადაწერილ-გადაკეთებული.

ზემოაღნიშნული ორი ნაწილი რომ ერთი დროის საბუთები არ უნდა იყვნენ, ამას ორთავე ნაწილში მოხსენებული გადასახადებისა და საზომ-საწყაოს განსხვავებულებაც ადასტურებს: პირველში არ არის აღნიშნული პური რა საზომით უნდა ყოფილიყო გადახდილი, მეორეშიც თავდაპირველად ამგვარადვე არ ყოფილა, მაგრამ ყოველთვის სამარხოც იხსენიება კაბიწით, ამას გარდა ტყავი, ყველი და აბრასიკიც, ზოგან საბელიც. 1459 წ. საბუთის გარდმონაწერ ნაწილში-კი პურისა და ღრამის გარდა არაფერი იხსენიება. შინაარსის მიხედვით პირველი ნაწილი ქრონოლოგიურად მეორეზე, 1459 წლისაზე, უფრო ადრინდელი უნდა იყოს.

1673 წ. განახლებული სამთავნელის სარგოს გარიგების წიგნის ძველი გუჯრითგან ორ გარდმონაწერს შუა მდებარე ნაწილის სადაურობა და თარიღი გამოურკვეველი რჩება. თვით შაჰნავაზსა და მის კარის წინამძღვარს დანიელს ამაზე არაფერი აქვს ნათქვამი. ამ განახლებული სიგლის პირველი ნაწილის ბოლოში მყოფი განცხადება, რომ ძველ გუჯრითგან მარტო ამის გარჩევა შეეძლებოდა, თითქოს უნდა გვაფიქრებინებდეს, რომ დანარჩენი და უპირველესად ამ სიგლის მეორე ნაწილი ძველი გუჯრითგან გადმოწერილად არ უნდა ვიგულისხმოთ, არამედ ზეპირად დატული, თუ შენახული წესისდა მიხედვით აღდგენილად მივიჩნიოთ. სხვათრივ ტექსტის დატული მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ცნობისდა თანახმად არც გვექნებოდა უფლება გვემსჯელა, მეორე ნაწილში მყოფი 1459 წ. საბუთის გარდმონაწერის ზემოაღნიშნული ცნობის უთუმცაობას რომ ასე ცხადად არ არღვევდეს. ამის გამო გასაკვირველი არაფერი იქმნებოდა, მომავალში რომ ამ შუა ნაწილის ძველი დედანი აღმოჩენილიყო. გადასახადების თვისება და საწყაოები პირველსა და შუა ნაწილში ერთგვარია.

ამგვარად, სამთავნელის სარგოს გარიგების წიგნი მე-XV ს. პირველის დამლევისა და მეორე ნახევრის დამდეგის საბუთად უნდა ჩაითვალოს. იგი განახლებულია 1673 წ., მაგრამ ძველი გუჯრის შინაარსი იქ გადმოცემულია იმ ცვლილებებით, რომელიც გადამწერს თავისი დროის მართლწერის სახით გადაწერის დროს უნებლიეთ შეეძლო შეეტანა. 1459 წ. საბუთის გადმოღების დროს, როგორც ეტყობა, საზომი კოდიც დამატებული უნდა იყოს. ყველა ეს გარემოება იმას, ვინც ამ ძველის ცნობებით სარგებლობას მოისურვებს, კარგად უნდა ახსოვდეს.

ამ გარიგების წიგნის პირველ ნაწილში 41 სოფლის სამთავნელის სარგოდ განკუთვნილი გადასახადია აღნუსხული. მაგრამ რათგან თავში გრავნილის ცოტა დაზიანებულობის გამო ზოგი სოფლის სახელი ალარ იკითხება, ამიტომ თავდაპირველ დედანში სოფელთა რიცხვი 41-ზე ცოტა მეტი უნდა ყოფილიყო. მეორე

ნაწილში 20 სოფლის შესახებ ცნობა მოთავსებული, ხოლო მესამეში 16 სოფელია მოხსენებული. საერთოდ მთელ სიგელში 77 სოფლის გადასახადის გარიგებაა განსაზღვრული.

შინაარსის მხრივ ეს ძეგლი იმ მოვალეობისა და გადასახადის განსაზღვრულობას შეიცავს, რომელიც სამთავისის საეპისკოპოსოს სამწყსოს თვითოეულ სოფელს აწვდა სამთავნელის წინაშე და ჩვეულებრივ აღნიშნულია ხოლმე, ვალდებული იყო თუ არა ესა თუ ის სოფელი და რამდენ ხანს „შედგომაჲ“, თუ „დგომაჲ“ სამთავნელისათვის სამსახური გაეწია და შემდეგ ფულად რამდენი „დრამაჲ“, მარცხელულის რამდენი კაბიწი, რაოდენობის ტყავი, ან სხვა რამე კიდევ მისაცემელი და სახელდობრ რომელ სოფელს რამდენი ჰქონდა.

ეს ძეგლი ისტორიკოს-ეკონომისტს ბევრ ფრიად საგულისხმო საკითხების გამორკვევის საშუალებას აძლევს, რომლებიც მარტო სამთავნელის მდგომარეობას-კი არა, არამედ ქსნის ხეობის მოსახლეობის მდგომარეობასაც ეხება.

### § 3. წილკნელის სამწყსოს დრამისა და საწირავის გარიგების 1669 წ. სიგელი

ალ. ხახანაშვილს თავის „გუჯრებ“-ში დაბეჭდილი აქვს ერთი საბუთი, რომელიც წილკნის საეპისკოპოსოს ეხება. „მას თავიეც აკლია და ბოლოც“ (იხ. გვ. 62, შენ.) და ზემოაღნიშნულ წიგნში ასე უთავ-ბოლოდ არის იგი დაბეჭდილი. რაკი საბუთი ასეთ მდგომარეობაში იყო, გამოცემელმა სცადა მისი შედგენის თარიღი დაახლოვებით განესაზღვრა. რათგან იქ ბატონიშვილი კათალიკოზი დომენტი იხსენიება და თანაც მის თანამედროვედ ზაალი არაგვის ერისთავი ჩანს, ამიტომ ალ. ხახანაშვილმა დაასკვნა, რომ „ეს ორი ისტორიული პირი გეაძლეეს საბუთს მიეწერათ ეს გუჯარი მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარს“ (იქვე, 62, შენ.). სრულებით სამართლიანი და შეუმცდარი დასკვნაა.

მაგრამ მას რომ შესატყვისი, მეტად ლარიბი, მწერლობა და გამოცემები გადაეისინჯა, ის უტყვევლია ამ ძეგლის თარიღს უფრო ზედმიწევნით განსაზღვრავდა. ხოლო იმავე წიგნთსაკავში, სადაც იგი თავისი გამოცემისათვის საეკლესიო სიგელ-გუჯრების დედნებს პოულობდა, გულდასმითი მოძებნის შემდგომ, ამ უთავ-ბოლო საბუთის თავსაც და ბოლოსაც იპოვიდა.

როდესაც საქართველოს ხალხის აღწერისა და შემოსავლის დაეთრებისა და სხვა ამის მგავსი საბუთების შეგროვებასა და შესწავლას შეეუდგე და ალ. ხახანაშვილის მიერ ამ გამოცემული ძეგლის მნიშვნელობასთან ერთად თვით გამოცემის მრავალი შეცდომა ჩემთვის ცხადი გახდა. რაკი ამის შესახებ თვით გამოცემაში არაფერია ნათქვამი, მე ალ. ხახანაშვილს მოსკოვში შევეკითხე, თუ ამ საბუთის დედანი სად უნდა ინახებოდეს. პასუხითგან გამოირკვა, რომ ალ. ხახანაშვილს ეს გარემოება დანამდვილებით აღარ ახსოვდა, მაგრამ ფიქრობდა, რომ, ალბათ, საეკლესიო მუზეუმის წიგნთსაკავში უნდა ყოფილიყო.

საეკლესიო მუზეუმში ამ საბუთის ის ნაწილი, რომელიც ალ. ხახანაშვილს გამოცემული აქვს, არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ იქ აღმოჩნდა სწორედ ის ნაწილი:

რომელიც ამ ძეგლს აკლია,—თავიცა და ბოლოც,—რომელშიც სხვათა შორის თარიღიც მოიპოვება.

1925 წელს რომ რუსეთითგან ქართული ძეგლები საქართველოს დაუბრუნდა, ალ. ხახანაშვილის მიერ გამოცემული ამ უთავ-ბოლო საბუთის დედანი მოსკოვის ყოფ. ლაზარაანთ აღმოს. ენების ინსტიტუტის, აწ სომხ. კულტურის სახლის წიგნთსაცავში აღმოჩნდა. ამ დაწესებულებას ეს ძეგლი განსვენებულისაგან დატოვებული ანდერძის თანახმად ალ. ხახანაშვილის წიგნთსაცავთან ერთად ერგო. სხვა ძეგლებთან ერთად ისიც დაბრუნდა და ამ ეჰმად ის საქ. ცენტრარქივში ინახება.

1925 წ. შ. ჩხეტიამ ამ ძეგლის სრული ტექსტი დაბეჭდა „საისტორიო შრომებ“-ში, II, 9—26 ასეთი სათაურით „წილკნელის სარგოს გარიგების წიგნი 1669 წლისა“. შ. ჩხეტიას ნათქვამი აქვს: „ეხლახან ეს (იგულისხმება ის, რაც ალ. ხახანაშვილის გამოცემაში საბუთის დაზიანებულობის გამო მოყვანილი არ არის) თავი და ბოლოც აღმოჩნდა ტფ. უნივერს. სიძველეთსაცავში“ (გვ. 9), ე. ი. ყოფილ საეკ. მუზეუმისასში. მაგრამ ამ აღმოჩენილი ნაწილის № დასახელებული არ არის და თავის გამოცემაშიც ამ ნაწილის თავისა და ბოლოს დასაწყისი აღნიშნული არა აქვს.

განსვენებულ მკვლევარს რომ დ. ფურცელაძის „ქართული საეკლესიო გუჯრები“ გულდასმით გადაეკითხა, შეჰქვლია, შეამჩნევდა, რომ ის საბუთი, რომელსაც იგი ბეჭდავდა, უკვე დ. ფურცელაძეს ჰქონია ხელთა და ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ იმ დროს საბუთი დაუზიანებელი ყოფილა და თარიღიც ჰქონია, რომელიც თურმე ქრისტესით 1669 წ.-ს უდრიდა (Лерк. грам., 22).

საეკლესიო მუზეუმში (აწ ტფ. სახ. უნივერსიტეტის სიძველეთსაცავის) ჩემ მიერ ნაპოვნი ნაწყვეტი სწორედ ალ. ხახანაშვილის მიერ გამოცემული ძეგლის თავი და ბოლოა. ამას შემდეგი გარემოება და მოსაზრებანი ცხად ჰყოფენ. ხახანაშვილის გამოცემულ ნაწილითგან ირკვევა, რომ ეს ძეგლი „წილკნის ღვთის მშობლის სამწყსოს გუჯარი“ ყოფილა (გვ. 51—ჩხეტიას გამოცემის გვ. 26). ჩემ მიერ ნაპოვნი ნაწყვეტშიც თავშივე ნათქვამია: „ქ. წილკნის ღვთის მშობლის სამწყსოს სიგელი“ (ყოფ. საეკ. მუზ. ქალ. გრაგნილი № 526). მაშასადამე, სათაური ერთი-და-იგივეა იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ იქ ტერმინად „გუჯარი“-ა ნახმარი, აქ-კი „სიგელი“. მაგრამ ამ ნაწყვეტშიც საბუთის ბოლოში სწერია: „ჩენის ბძანებითა ეს გუჯარი დაიწერა“-ო (იქვე). ესე იგი იგივე ტერმინია, რაც ხახანაშვილის მიერ გამოცემულ ნაწილში.

ამას გარდა, ხახანაშვილის „გუჯრებ“-ში დაბეჭდილითგან ირკვევა, რომ ამ ძეგლის წარმოშობის მიზეზად შემდეგი გარემოება ყოფილა: რომანოზ წილკნელი მოგვითხრობს, „წილკნის ღვთის მშობლის სამწყსოს გუჯარი მე დავაწერიანე“-ო, ბატონიშვილის კათალიკოზის დომენტის ბრძანებითა „ასე რომე ქსანზედ რატიშვილმა საწირავად დაგვპატიუა. წავედით. ქსანში ბარგი ჩამიცვივდა: ერთი ხელი წირვის იარალი, ბევრი სხვა ჩამ საქონელი და წილკნის ღვთის მშობლის სამწყსოს

გუჯარიც იქ დამეკარგა. დიად ღიღს შვეიწროებაში ჩაეარდი იმ გუჯარის დაკარგვისათენ. დიად ღიღი ხნის ნაკურთხი ეფისკოპოზი ვიყავ, ჩემი ეკლესიის სამწყსოს ამბავი და რიგი კარგა ვიცოდი: აზნაურშვილს რა ედვა, მსახურს რა ედვა, ან სახუცო, ან დრამა რა ედვათ. ბევრი ნაკლებიც დავსწერე აგრემც...“ შემდეგ ხახანაშვილის მიერ გამოცემულს დედანს ჰკლებია (იხ. გვ. 51 = ჩხეტი, 26).

შაშასადამე, გარემოება ასე ყოფილა, რომ რომანოზ წილქნელს ქსანში გასელის დროს ბარგი წყალში ჩაპვარდნია და დაკარგვია. სხვათა შორის წყალს წილქნის სამწყსოს სიგელი, ან გუჯარიც მოუტანია. რაკი ეს საბუთი ერთ ცალად ჰქონია და დედანი ყოფილა, უიზისოდ ღიდ გაქირეებაში ჩაეარდნია. იმის ვაგება, თუ შემდეგ რა მოხდა, რაკი ხახანაშვილის გამოცემის დედანსაც ჰკლებია, მხოლოდ მიხვედრა შეიძლება. რათგან ღიღი ხნის ეპისკოპოსობის წყალობით მას სამწყსოს ამბავი და საეკლესიო გადასახადები ზეპირად სცოდნია დასწავლილი, მას სამწყსოს დაკარგული გუჯარი აღუდგენინებია და ხელახლად დაუწერინებია. რასაკვირველია, ამისთვის სასულიერო და საეროსადაელმწიფო მთავრობის ნებართვა იყო საჭირო და აქი რომანოზ წილქნელსაც აღნიშნული აქეს, რომ ეს საქმე მას მოუხერხებია „ბატონისშვილის დომენტის ბოძანებითა“.

სწორედ ამგვარადეე არის აღწერილი წილქნის სიგელის, ანუ გუჯარის გაჩენის ვარემოება საეკლესიო მუზეუმში ნაპონ ნაწყეცტში. საბუთის ზედპირზე, ნარკუნა არშიაზე იქ სწერია: „ჩვენ ყოვლისა საქართველოსა და აღმოსავლეთისა შაქურთხეველი ძე მუხრანის ბატონისა ბატონიშვილი ქ<sup>ი</sup>ნი დონეცტი ვამტკიცებ სიგელსა ამას. წილქნის მივედით აგვისტოს: იპ (sic! = იპ18) ისე წილქნელის მიცვალების დღეს. წილქნელმა რომანოზ თავისი ბარგის და გუჯარის დაკარგვა შემოგეჩივლა. ჩვენც ბევრჯერ გვენახა ის გუჯარი და რომანოზ წილქნელიც დიდის ხნის [ნაკურთხი ეპისკოპოზი იყო, წილქნის ღთის მშობლის სამწყსოს ამბავი კარგა იცოდა. ჩვენის ბძანებით ეს გუჯარი დაიწერა . . . აგვისტოს: იპ<sup>1</sup> (18): ქქს: ტნხ: (ყოფ. საეკ. მუზ. გრაგნილი № 526)].

ამ სტრიქონებს კათალიკოზ დომენტის ხელისმოწერა მისდევს, ხოლო შემდეგ შაშნავაზ მეფისა და მის ძეთა დამტკიცება.

ზემომოყვანილის შემდგომ ცხადია, რომ ყოფ. საეკ. მუზეუმის გრაგნილი № 526 სწორედ იმ წილქნელის სიგლის, ანუ გუჯარის თავი და ბოლოა, რომლის შუა ნაწილი უთავებოლოდ აღ. ხახანაშვილმა თავის „გუჯარებში“ დაბეჭდა. ამ სიგლის ქრონიკონი ქრისტესით 1669 წელს უდრის, ე. ი. იმავ თარიღს, რომელიც დ. ფურცელაძის ზემოაღნიშნულ გამოცემაში ამ საბუთის რუსულ თარგმანს უზის. ცხადია, დ. ფურცელაძის დროს იგი ჯერ მთელი ყოფილა და შემდეგში დაზიანებულია.

<sup>1</sup> ჩხეტიას (გვ. 13) დაბეჭდილი აქეს „იპ“ და აღნიშნული არა აქეს, რომ დედანში „იპ“ სწერია.

რაკი ყოფ. საეკ. მუზეუმის № 526 გრაგნილისა და ხახანაშვილის მიერ გამოცემული ტექსტები ერთმეორის სრულ გაგრძელებას არ შეადგენენ, არამედ დანაკლისი ნათლად ემჩნევა და თანაც არა-ერთი და ორი სოფელია, რომელიც უქველია წილკნის სამწყსოს უნდა ჰკუთნებოდა, მაგრამ სიგელში მათი ხსენებაც-კი არ არის, ამიტომ ცხადია, რომ დაზიანების დროს სიგელს, თუ მეტი არა, ერთი ნაქერი მიანიც უნდა ჩამოსკლოდეს. სამწუხაროდ ალ. ხახანაშვილს არა აქვს აღნიშნული ამ საბუთის ტექსტი ორთავე მხარეზე ეწერა, თუ მხოლოდ ერთ პირზე, და თუ ორსავე მხარეზე იყო, სად თავდება პირის ტექსტი და სად იწყება ზურგის ტექსტი.

უცნაურია, რომ ამ გარემოებისათვის არც მეორე გამოცემელს, ნ. ჩხეტიას, მიუქცევია ყურადღება და არც მასა აქვს აღნიშნული, თუ ამ საბუთის რომელი ადგილითგან მოყოლებული ტექსტი გრაგნილის ზურგზე გადადის. ტექსტი რომ გრაგნილის შუა ნაწილშიც ორსავე მხარეზე უნდა ეწეროს, ამას ამ საბუთის დასაწყისი და ბოლო ნაწილი ცხადპოყფს, რათგან იქ ბოლო, მოყოლებული სიტყვებითგან „რაც ამ გუჯარში დიდი კაცი“, საბუთის დასასრულჯანვე გრაგნილის ზურგზე სწერია, ამასთანავე განსხვავებული მეღნიით. გაუგებჯარია: თუ რა მიზეჯი უნდა იყოს, რომ შ. ჩხეტჯას ეს გარემოება თავის გამოცემაში აღნიშნული არა აქვს (იხ. გვ. 26). რაკი წილკნელის სარგოს გარჯგების წიგნის ეს ბოლო ნაწილი ნიკოლოზ წილკნელის განცხადების დასასრულს წარმოადგენს ამ დაკარგული საბუთის განახლების გარემოებათა შესახებ, რომლის დასაწყისი გრაგნილის შუა ნაწილის ბოლოშია მოთავსებული (იხ. ხახ. 51=ჩხ. 26), ამიტომ ჩხეტჯას უნდა უქვევლად აღენიშნა რომანოზ წილკნელის განცხადების დასაწყისიც გრაგნილის პირზე სწერია, თუ ზურგზეა მოთავსებული.

როგორც უქვე აღნიშნული გეკონდა, ამ ძეგლს ასეთი სათაური აქვს: „წილკნის ღთის. მშობლის სამწყსოს სიგელი“-ო. მაგრამ, რასაკვირველია, ამით ძეგლის ნამდვილი შინაარსის წარმოდგენა შეუძლებელია. უფრო გარკვევით და ზედმიწევნით ნათქვამია მეორე სათაურში, რომელიც ნუსხავლის ბოლოშია და საკუთრივ სიგელს წინუძღვის. იქ სწერია: „წილკნელის სამწყსოს დრამისა და საწირავის სიგელი“-ო (ყოფ. საეკ. მუზ. გრაგ. № 526). მამასადაამე, ამ საბუთში აღნიშნული ყოფილა „სადგუისკოპოზო გამოოსაღები“ (ხახ. 57=ჩხ. 24), წილკნის საეპისკოპოსოს სამწყსოს რამდენი უნდა გამოეღო დრამისა და საწირავის სახით. მაგრამ ეს ძეგლი შემოსავლის დაეთარი-კი არ არის, აქ მთელი გამოსაღებელი და გადასახადები-კი არ არის აღწერილი, რაც თეოლოგულ მეკომურს ცალცალკე ყოველწლიურად უნდა გამოეღო, არც ის, თუ რა შეადგენდა ყველა მეკომურის გამოსაღებელის საერთო ჯამს, არამედ თვით გამოსაღებისა და ვალდებულების ერთეულების გარჯგების წიგნია. ამის გამო მეკომურთა სახელები ამ სიგელში ცალცალკე არც არის დასახელებული.

მაგრამ, მარტო დრამისა და საწირავის რაოდენობის დაკანონებით არ ამოიწყეება ამ სიგელის მთელი შინაარსი. იქ აგრეთვე ოთხი სხვადასხვა დანაშაულებისთვის „საკანონო“-ც არის განსხვავებული.

თვით ეს გარიგების სიგელი სამ მთავარ ნაწილად იყოფება. თვითთულ ორ პირველს ნაწილს შესავლის მსგავსად იმის აღწერილობა უძღვის წინ, თუ რა წესითა და რიგით უნდა მიეღოსთ წილკნელი და რა უნდა მიერთშიათ მისთვის, როდესაც ის ამ კუთხის მთავარს სახლში ესტუმრებოდა. სიგელი სახელდობრ ასე იწყება:

„რამას წილკნელი მუხრანის ბატონის სახლში მობრძანდეს, მუხრანის ბატონი და მეუღლე მათი“ ასე-და-ასე დაუხედენ და მუხრანის ბატონის სახლობის წევრებს ამგვარი გამოსალები აძვესთო (იქვე).

ამნაირადვე იქ, სადაც ს. ქსოვრისის მცხოვრებთა დრამისა და საწირავის განაჯღერა თავდება და ს. აბალუბნის შესახები ცნობები იწყება, ამ უკანასკნელ ცნობებსაც შემდეგი სიტყვები უძღვის წინ:

„რა ეამს არაგვის ერისთავის მამულში სარჯულაუზედ წილკნელი შებძანდეს. იხმოს მამამთავარი მირზაშვილი ჯვარისმტვირთველი, საყდრის კრებულნი. ორპოკნი ცხენოსანი მსახურნი. მიბძანდეს არაგვის ერისთავთან დუშეთს, არაგვის ერისთავი და მეუღლე მათი საწოლის კარს მიეგებნენ“ და ასე-და-ასე დაუხედენ და დრამისა და საწირავის სახით ესა-და-ეს გადასახადი გამოიღონო (ხახ. გვ. 44 = ჩხ. 17).

არაგვის საერისთავოს შესახები ცნობების ბოლოშიც მოთავსებულია „ანანურს ზევით მთელეთის“ სარწმუნოებრივი მდგომარეობის აღწერილობა, ხოლო შემდეგ სიგლის ახალი ნაწილი იწყება, რომელსაც თავში უზის სიტყვა „ქსანჯელ“ (ხახ. 58 = ჩხ. 24). ამ ადგილითგან მოყოლებული მისდევენ ქსნის საერისთავოს იმ სოფლების შესახები ცნობები, რომელნიც წილკნელის სამწყსოს შეადგენდენ.

შესაძლებელია ქსნის ერისთავის მიერ წილკნელის დახვედრის წესრიგი და მასზე და მის სახლის კაცებზე დადებული გამოსალები სიგლის დაკარგულ ნაწილში ყოფილიყო.

მაშასადამე, ცხადია, რომ ჯერ ცნობები მოთავსებულია საკუთრივ მუხრანის საბატონოს შესახებ, შემდეგ არაგვის საერისთავოსა, მერმე აგრეთვე ქსნის საერისთავოს იმ ნაწილებზე, რომელნიც წილკნელს, ვითარცა მწყემსმთავარს ემორჩილებოდენ.

ამ გარიგების წიგნში სულ 51 სოფლისა და ანანურს ზევით მდებარე მთიულეთის გამოსალების შესახები ცნობებია. ამ საბუჯის მოქმედების ასპარეზს მდ. არაგვისა და ქსანს შუა მდებარე მიწა-წყალი შეადგენდა.

წილკნელის სარგოს გარიგების სიგელი შინაარსის მხრივაც ერთ გეგმაზეა შედგენილი: ცნობები სოფლებისდა მიხედვით არის დალაგებული, ჯერ სოფელია ხოლმე დასახელებული,—მაგ., წილკანს, მკადიჯვარს, კოდის კარს, ჯიგრაშენს, თელოვანს, ხოლო შემდეგ მოყვანილია ამ სოფლის მოსახლეობას დრამად და საწირავად რა უნდა გადაეხადა. საეპისკოპოზო გამოსალების შესახები ცნობები ასე მისდევენ ერთიმეორეს. თუ რომელსამე სოფელში ერისთავი, ან ქვეყნის სხვა დიდი მოხელე ცხოვრობდა, ან, თუ იქ მო-

ნასტერი იყო, ჯერ ამ მოხელის, ან მონასტრის წინამძღვრის გადასახადია განსაზღვრული, ხოლო მერმე ტიქტი ყოველთვის ამგვარი მიდევნილობით იწერება ხოლმე: პირველად დიდი და გავლენიანი ადგილობრივი აზნაურები არიან დასახლებულნი, თუ ამნაირნი რომელსამე სოფელში მუდმივ ცხოვრობენ. მათ გვარს წოდებრივი ღირსება გვერდით არ უწერია, მაგრამ სამაგიეროდ მათ შესახებ ყოველთვის აღნიშნულია „სახლის უფროსნი კაცნი“ და სახლის „უმცროსნი“ ან „უცოლო“ და „უცოლ შვილო“ (მაგ., იხ. ხახ. გვ. 41, 43, 45, 46, 47, 49 = ჩხ. 15, 16, 17, 18, 19 და სხვაგან). ეს წესი ისე დაჯინებით არის დაცული, რომ მარტო ამის მიხედვითაც, სხვაფრივაც რომ არ გვეცოდნოდა, ამ საგვარეულოების საზოგადოებრივი საფეხურო, მათი მალაწოდებრივობისა და გავლენიანობის დამტკიცება შეიძლება.

გავლენიან აზნაურთა გამოსაღების შესახები ცნობის შემდგომ, ხოლო იქ, სადაც ამგვარნი არა ცხოვრობდენ, პირდაპირ იწყებოდა ცნობები შეძლებულების გადასახადებზე შემდეგი მიდევნილობით: 1. ჯერ სოფლის სამღვდელთა შესახებ სწერია, — მაგ., მღვდელს, ხუცესს, ან დეკანოზს „ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი“—ო. 2. მერმე „სოფლის კაცს“, ან „სოფელს“ რა ედვა. 3. შემდეგ „მსახური ან სოფლის მოხელე“ (ხოვან შემოკლებით პირდაპირ „მოხელე“ სწერია) რას იხდიდა ხოლმე და 4. სულ ბოლოში „საკანონო“ არის განსაზღვრული.

საყურადღებო ის არის, რომ წერილი აზნაური შეილებიც ან სოფლის კაცთა ჯგუფში ყოფილან მოქცეულნი, მაგ., ს. ქსოვირის რატიშვილების შესახებ ცალკეა თავშივე ნათქვამი, შემდეგ აღნიშნულია მღვდლისა და მერმე „სოფლის კაცს აზნაურ შეილებს“ რა ვალდებულება სდებოდათ (ხახ. 44 = ჩხ. 16—17).

ეს მიდევნილობის წესი მტკიცედ არის დაცული მთელ სიგელში და მისი შინაარსის ნამდვილ გეგმას შეადგენს.

ყველა ზემოთქმულითგან ირკვევა, რომ წილკენლის სარგოს გარიგების წიგნი „საეპისკოპოზო გამოსაღებისა და საწირავის“ ნორმების განმსაზღვრელი საკანონმდებლო ძეგლი იყო. მაგრამ არაჩვეულებრივი გარემოების წყალობითა და წესით აღდგენილი. თუ სამთავნელის სარგოს გარიგების წიგნი უნეტესად ძველი, ქრონოლოგიურად განსაზღვრული საბუთის გადმონაწერსა და ნაწილობრივ განახლებულ ძეგლს წარმოადგენს, წილკენლის სარგოს გარიგების წიგნის 1669 წ. განახლების დროს ამ საკანონმდებლო ძეგლის ძველი დედანი აღარ არსებობდა და მისი შინაარსი თვით რომანოზ წილკენლისავე და კათალიკოს დონეტის განცხადებით ზეპირად არის დაწერილი. მართალია, პირველი მათგანი ფიცულობს, რომ დაყარული საბუთის შინაარსიც კარგად მქონდა დასწავლილი და გამოსაღებელიც იმაზე ნაკლები ჩაეწერე, ვიდრე ძველი გარიგების წიგნში ეწერათ. ამ, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილო მოზოდიშებითგან ირკვევა, რომ წილკენლის სარგოს გარიგების 1669 წიგნის მიხედვით მხოლოდ დაახლოებით შეიძლება ამ საეპისკოპოზოს სამწყსოს გამოსაღებისა და საწირავის ვითარების აღდგენა. უცვლელად აქ შეიძლება მარტო საგადასახადო სისტემა, კატეგორიები და უფრო ნაკლებ და მხოლოდ ნაწილობრივ ნორმებიც იყოს დაცული. ამ-



გვარად ამ ძეგლის ღირებულება სამთავნელის სარგოს გარიგების განახლებულ წიგნს ძალზე ჩამოუყარდება. მისი შინაარსი მთლიანად ნამდვილ მომწესრიგებელ კანონად შეიძლება მხოლოდ 1669 წლითგან იქმნეს მიჩნეული. ყველა ამის გათვალისწინების შემდგომ წილქნელის სარგოს გარიგების წიგნში მკვლევარს საქ. ეკონომიური ისტორიისათვის მაინც ბევრი საგულისხმო ცნობის ამოკითხვა შეუძლია.

ამ ძეგლის პირველი, ალ. ხახანაშვილის, გამოცემა სრული არ იყო და ურიცხვი კორექტურული და სხვაგვარი შეცდომებით სავსეც იყო. მეორე, შ. ჩხეტიას გამოცემა სრულიცაა და კორექტურული შეცდომებითაც ისე დამახინჯებული არ არის და მისი გამოყენება შეიძლება. მაგრამ არც აქ არის ამ მნიშვნელოვანი ძეგლის ტექსტი შინაარსის გულდასმითი შესწავლის შემდგომ გამოქვეყნებული. თარიღის მართლწერის აღუნიშვნელად შესწორებასაც რომ თავი დავანებოთ, რაც უკვე მოხსენებული გვექნდა, თვით ტექსტშიც დედანი ყველგან სიწორით არ არის გადმოცემული. ერთგან პირიქით დედანი ისეა შესწორებული, რომ დედნის სრულებით ნათელი და ადვილად გასაგები ადგილი მთლად დამახინჯებულია და ყოველგვარ აზრს მოკლებულ წინადადებად არის ქცეული. დედანში (იხ. ყოფ. საეკ. მუხ. გრაგნილი № 526) სწერია: „რა ეამს წილქნელი მუხრანის ბატონის სახლში მობძანდეს, მუხრანის ბატონი და მეუღლე მათი წინ მოეგებნენ და სუხანსა და დორხედ ცოლქმართ შუა ზედ დაიწვიონ და დიდის პატივით დახვდენ“-ო.

„დაიწვიონ“ მიწვევას, თხოვნას ჰნიშნავს, დორი კიდევ, როგორც ს. ოობელიანაც განმარტებული აქვს, მისაყრდნობ ბაღიშს ეწოდებოდა. მაშასადამე. ზემომოყვანილ წინადადებაში ნათქვამია, რომ მუხრან-ბატონსა და მის მეუღლეს სტუმრად მოსული წილქნელი პატივისცემის ნიშნად უნდა ისე დაესვათ, რომ დაჯდომისას მისაყრდნობად დორი ჰქონოდა და მის გვერდით აქეთ-იქით თითონ დამხსნარაყენენ. შ. ჩხეტიას ამ ადგილის შინაარსი, როგორც ეტყობა, ვერ გაუგია და დედნის ტექსტის სრულებით სწორე „დორხედ“ და „დაიწვიონ“ ასე შეუსწორებია „დორ(ა)ხედ ცოლქმართ შუა დაიწვიონ“-ო (იხ. გვ. 13). დორა კოკის ნახევრის ოდენს ლეინის საწყაოს ჰნიშნავს. შ. ჩხეტიას შესწორებით გამოდის, რომ წილქნელი მუხრან-ბატონსა და მის მეუღლეს თავიანთ შუა ლეინის საწყაო კურკელზე უნდა დაეწვინათ, რაც, რასაკვირველია, სრული შეუსაბამობაც არის და ფიზიკურადაც შეუძლებელია.

### თავი მესამე. შამოსავლის დავთრები

#### § 1. „დავთარი ქუთათისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა“ 1578 წ.

ეს საყურადღებო ძეგლი, კი რიონ ეპისკოპოსისაგან აღმოჩენილი, ე. თაყაი შვილმა 1915 წ. „ძველ საქართველო“-ში დაბეჭდა და ცალკე ამონაბეჭდადაც გამოსცა. ძეგლი ხელთნაწერ წიგნად არის დაცული და მხოლოდ 6 ფურცელი აკლია. გამომცემლის სიტყვით მთელი ძეგლი სამი განსხვავებული ხელით არის დაწერილი ნუსხა-ხუცურად, მაგრამ სამივე ერთისა-და-იმამე დროის, 1578

წლის, ხელია (გვ. 1). ხელთნაწერს რამდენსამე ადგილას აქვს თარიღი, 266 ქრონიკონი, ანუ 1578 წ., რომელიც ე. თაყაიშვილის აზრით ხელთნაწერის დაწერილობისა და ძეგლის შედგენილობის თარიღი უნდა იყოს. მისი სიტყვით, „ზემოთქმულიდან ცხადია, ჩვენ გვაქვს ეხლა ხელში თვით დედანი ქუთაისის საყდრის ბეგრის დავთრისა, შედგენილი 1578 წელს“ (გვ. 2).

ზაგრამ ზოგიერთი გარემოება ამ ხელთნაწერის დედნობის აზრს საექვოდ ჰხდის. აღსანიშნავია, მაგ., რომ ზოგი სოფლის გამოსაღების ჯუმალი დავთრის ცნობებს არ უდგება. ასეთი შეცდომაა ს. ორიშიშას ჯუმალში, რომელშიც ლეონო კოკა თორმეტიათა ლიტრით 120 სწერია, ანგარიშით-კი მხოლოდ 60 გამოდის, ცხრათა ლიტრით 100 არის აღნიშნული, ნამდვილად-კი მარტო 70-ია, კვერცხისა, საკლავისა და ღომის ჯამი-კი სწორეა. ცხადია, რომ ასეთი შეცდომა დავთრის დედანში ძნელი წარმოსადგენელია, გარდანაწერში ადვილი მოსალოდნელია.

ქუთაისის საყდრის გამოსავლის 1578 წ. დავთრის დედნობის აზრს ის გასაოცარი გარემოებაც არღვევს, რომ ამ ძეგლს არავითარი შესავალი არ ახადია და იქ არაფერია ნათქვამი, თუ ვისი ბრძანებით, ვისგან, რა მიზეზით და როგორ არის იგი სწორედ 1578 წ. შედგენილი. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ძეგლის პირველი დედანში მისი შედგენის მთავარ გარემოებათა შესახებ არავითარი ცნობა არ ყოფილიყო და დავთარი სრულებით უშესავლოდ დაეწერათ.

დამახასიათებელია, რომ სოფ. ბუბათის მეკომურთა გამოსაღების (წვ. 256--287) შესახებ ნორმებში ასეთი საგულისხმო თავისებური ცნობები მოიპოვება: „როდისცა მოუნდეს ქათამი მოვკრიფოთ მოვაქსენოთ. თივის თიბა, იფქლისა და ქერის მუშაობაჲ, როდისცა შემოგაკუეთოს, თვთო თეთრის ყავარი ქუთაის მივიტანოთ“-ო (იხ. გვ. 35--42). ცხადია, რომ ამას ქუთაისის საყდრის ყმა ამბობს, მთელი ამ დავთრის ტექსტი-კი ისეა შედგენილი, რომ საყმრო გამოსაღები და ვალდებულება ქუთათელს აქვს განსაზღვრული და ყოველი მეკომურის შესახები ცნობა იწყება ხოლმე ზმნით „მართებს“ ამასა და ამასაო. გამოწკლის ამ წვ. 256--287-ში ჩართული ზემომოყვანილი ცნობა შეადგენს. ცხადია, რომ ამ წვ.-ში შეტანილი ეს ცნობა, ან საყმო გამოსაღების გარიგების წიგნითკან, ან საპატრონეჲმო წიგნითგან ამოღებულ ამონაწერს უნდა წარმოადგენდეს.

ეს დავთარი გეოგრაფიულად არის დალაგებული: ჯერ სოფლის სახელია ხოლმე აღნიშნული ისე-კი, რომ „ყოველი სოფლის სახელს არშიაზე უზის ბაწრულის მსგავსი ნიშანი წითელისა და შავის მელნით ნახატი, რომ მკითხველმა ადვილათ შეამჩნიოს, სად იწყება სოფლის სახელი“-ო. ხელთნაწერში მიღებული ამ ნიშნის მაგიერ გამომცემელს მრგვალი ნიშანი, ანუ წრე უხმარია (გვ. 3), რაც უხერხულია, რათგან ქართულში 0, როგორც „ქართულ დამწერლობათა მცოდნეობასა. ანუ პალეოგრაფია“-ში განმარტებული ჰქვას, ნახევარსა ჰნიწნადა და ნიშნების ასეთ შეცვლას გაუგებრობის გამოწვევა შეუძლია.

დავთარში ყოველი გამოძღების საგადასახადო ტვირთის შესახები ცნობა უკლები მუხლადა გამოყოფილი. ამასთანავე „ყოველი მუხლი დიდანში იწყება

წითელაზ მელნიტ ნაწერის ასომთავრულით“ (გვ. 2). მუხლებს მხოლოდ სათვალავები არა აქვს, მაგრამ ე. თაყაიშვილს თავის გამოცემაში მუხლის სათვალავები დაუსხამს (იქვე). „ყოველი ახალი მუხლი დედნისა იწყება სიტყვით „მართებს“ და შემდეგ მოყვანილია სახელი და გვარი გლეხისა და ჩამოთვლილია რა ზეგარა მართებს“ (გვ. 3). ასე, მაგ.:

„მართებს ქუთათის საყდრის ყმისა ქასილადეს მოძღუარსა პურისკამა და ცხენით სამსახური“ (გვ. 4), ან კიდევ:

„მართებს ორიშიშს კოსტანტაძესა ქრისტეშისა ღვწო კოკა ოცი ცხრიანითა, საკლავი ერთი თორმეტისა თეთრისა, ქათამი სამი, თეთრი ხუთი, სხუა თეთრი ერთი, კუერცი ოცი, საყდრისა, სასახლისა, ზურის მუშაობაჲ, ტვრთი. თუ ყანა მუშაოს, ორი ნაოთხალი ღომი გამოილოს, თუ არ მუშაოს რაჲ გამოილოს“-ო (გვ. 8, § 36).

აქას უნდა დაერთოს, რომ ყოველი სოფლის შესახები ცალკეული ცნობების შემდგომ სულ ბოლოში ამ სოფლის გამოსაღების საერთო „ჯუშალი“, ანუ ჯამია ხოლმე მოყვანილი, მაგ., ამ სახით:

„ამის ჯუშალი მოსახლის კაცისა: ღვწო კოკა სამოცდახუთი, საკლავი ცამეტი, თეთრი სამოცდაჩვიდმეტი, ქათამი ოცდაცხრამეტი, კუერცი ორას სამოცი, ღომი ნაოთხალი (რაოდენობა გამოტოვებულია), მთაენი ბეგარა ოცდაექვსი“ (გვ. 6).

ან კიდევ: „ამ პარტახტის ჯუშალი ღვწო კოკა ას ორმოცდაათი, საკლავი ექვსი, თეთრი ოცდათექვსმეტი, ქათამი თურამეტი, კუერცი ასოცი, ღომი თორმეტი ნაოთხალი“ (გვ. 8).

ყველა ზემოთქმულითგან ირკვევა, რომ ქუთათისის საყდრის გამოსავალი ბეგრის 1578 წ. დავთარი მტკიცედ განსაზღვრული გეგმითა და წესით არის შედგენილი.

მაგრამ რისა და ვისი დავთარია ეს ძეგლი? როგორც ვიცით, სათაურად აქვს „დავთარი ქუთათისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა“. გამოსარკვევია, სახელდობრ ქუთათისის საყდრად თვით ეკლესია იგულისხმება, თუ საეპისკოპოსო საყდრის დავთართან გვაქვს საქმე. ერთგან, ბანოჯის საზღვრის შესახებ ნათქვამია: „კოდის წყაროს აქეთ სამანი რომ ასეია, იქას აქეთ, ქუაბს აქეთ, მუხის წყაროიანათ ქუთათისამდის „ქუთათისისა ღვწოს მშობლის შეწირულია“-ო (გვ. 5, § 21). ახალსოფლის საზღვრის შესახებაც ამგვარი ცნობა გვხვდება: „მლაშის ღელეს და ფანიჭურის თავს აქეთ ორიშიშის სოფლის საზღვრამდის, —ახალსოფლის საზღვარი ეს არის. ქუთათისისა ღვწოს მშობლის შეწირული არის“-ო (გვ. 6, § 23). ამნაირივე ცნობები სხვაგანაც მოიპოვება (გვ. 7, § 34, —გვ. 60, § 424). სიტყვა და გამონათქვამი „შეწირული არის“ თითქოს გვაფიქრებინებს, რომ დავთარი ქუთათისის ღვწოსმშობლის ეკლესიისა უნდა იყოს და არა საეპისკოპოსო ტახტისა.

მაგრამ მართო ამ ცნობებზე დამყარება არ შეიძლება. ერთგან ნათქვამია „მართებს ჩვენს ხორეპისკოპოსს მღვდელს სიმონ ბუხუღეიშვილს... ეს ჩენი სიმონ ხორეპისკოპოსი სიკვდილად მიიცვალა“-ო (გვ. 45, § 308). სიტყვები „ჩენი ხორეპისკოპოზი“ მართო ქუთათელ მთავარეპისკოპოსს

შეძლო ეთქვა, რათან მხოლოდ მას ჰქავდა ხელქვეშეთი ქორეპისკოპოზი. ქუთაისის ტაძრის მოძღვარს ამგვარი გამოწვევების ხმარება არც შეჰშვენოდა და არც შეეძლო. ამიტომ ცხადი ხდება, რომ 1578 წ. დავთარი ქუთაისის საეპისკოპოზო საყდრის ყმათა გამოსავალი ბეგრის დავთარია. მართლაც რამდენსამე ადგილას ეს პირდაპირ ნათქვამია კიდევ: „ჯიშისტაროს წყაროს აქათ დიდი მუხა რომე დგას... იმ წყაროს აქეთ საჯიშანჭტარო (sic) არ არის, საქუთათლო არის“-ო (გვ. 5, § 19), —ან კიდევ „გლბას ქვევით კორთხის წყალს გამოლმა საქუთათლო არის“-ო (გვ. 60), — „კოლლის წყაროს ქვეით საქუთათლო არის“-ო (გვ. 63, § 448).

საქუთათლოს გამოსავლების დავთარში სულ 32 სოფლის შესახებ არის ცნობები: კომას, ჯიშისტაროს, ახალსოფლის, ბანოჯის, კანეთის, ყლოიშის. ორიშის, ქუტორის, მალაკის, ფარცმანაყანევის, მესხეთის, ოფისკუჯის, პუკისუბანის, გეგუთის, ბაშის, წყალთაშუას, კოლევის, ჯუარის, როკითის, ჯღურულის, ბუბანის (თუ შუბანის?), ხონის, ქუუშის, ფურსათის, კორთხას, დიანტყა, პიტინისკევის, ხოლასკურის, აღისმერგის, აღისუბნის, მუჯირეთუბისა და პერეთის შესახებ. რაკი დავთარს 4 გვერდი აკლია, რასაკვირველია, სოფელთა რიცხვი 32-ზე მეტი უნდა ყოფილიყო.

ქუთაისის საყდრის გამოსავლის 1578 წ. დავთარი მრავალ საგულისხმო ცნობას შეიცავს იმ გადასახადებისა და ვალდებულებათა შესახებ, რომელიც საქუთათლოს ყმებს ქუთათელისა და საყდრის წინაშე უნდა მოეხადნა. ან გამოელო: ბეგარა, მთავნი, ან თავი ბეგარა, ყოველგვარი სამსახური, პურისკამა, შინ-ჩადგომა, საკლავი, ქათამი, კვერცხი და სხვაე თავ-ბრუ-დანსწელი სიმრავლითა და მრავალფეროვანობით ჰხედება მკითხველს ამ ძველში. რაკი უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული და განმარტებული არ არის, თუ ღვინო, ღომი, საკლავი, ქათამი, კვერცხი და სხვაე რისთვის, რა გადასახადისათვის და რატომ სწორედ ამა თუ იმ რაოდენობით უნდა გამოელო. ან რა მიზეზია, რომ ზოგს გარკვეული ვალდებულება ჰქონდა დაკისრებული, ზოგს-კი არა, ამიტომ დავთრის შინაარსი თითქმის სრულებით გაუგებარი ხდება და უსისტემოდ და თვითნებობით ჩაწერილ გადასახადთა გროვის შთაბეჭდილებას ახდენს. ამის წყალობით ეს და სხვაე ამევე დარგის ძეგლები ჩვეულებრივ მკითხველისათვის მეტისმეტად მომამბეზრებელია.

მაგრამ ასეთი გარეგანი, უარყოფითი შთაბეჭდილება სრულებით ნაკლებია. გამოსავლის ასეთი დავთრების შინაარსის გაუგებრობა იმ გარემოებით აიხსნება, რომ თანამედროვე მკითხველმა უკვე აღარ იცის, თუ რომელი გადასახადი რისთვის და რატომ ამ რაოდენობით არის შეწერილი. ამ დავთრის შემდგენლის ყოველ თანამედროვისა და მომდევნო თაობათათვის უგანმარტებოდაც ცხადი იყო: მათ ამის გასაგებად არც გადასახადების სახელების, არც ნორმების გახსენება სჭირდებოდათ.

ამ დავთრის ტექსტის გულდასმითი შესწავლა ადამიანს დაარწმუნებს, რომ ეს ძეგლი გადასახადების სრულებით გარკვეულ სისტემასაცა და ნორმებსაც გულისხმობს, რომელთა ცოდნა ამ დავთრის შინაარსს გასაგებადაც და ფრიად ნიშნელოვანადაც ჰხდის. ამ დებულების ყველა დამამტკიცებელი საბუ-

თის აქ მოყვანა, რასაკვირველია, შეუძლებელია, მაგრამ ორიოდ მაგალითის მოყვანაც ამის ზოგადად ცხად-საყოფელად, ვგონებ, საქმარისი იქმნება.

ამ დაეთარში ზოგ ყმას ბევრი სხვადასხვა გადასახადი აქვს შეწერილი და გამოსაღებელი, ზოგს-კი შედარებით ძალიან სუბუქი მოვალეობა აქვს დაკისრებული და „მართებს“ მხოლოდ „პურის ჭამა და სამსახური“. საგადასახადო ტვირთის ასეთი განსხვავების მიზეზი ჩვეულებრივ დასახლებული არ არის ხოლმე. მაგრამ § 29-თან ცხადი ხდება, რომ გადასახადებისა და ვალდებულებათა სხვაობის ერთ მიზეზთაგანად მეკონომიურის სოციალური მდგომარეობა უნდა ყოფილიყო. ამ ალაგას სახელდობრ სწერია: „მართებს ნატრიასა მელაძესა, რაც სხუასა აზადსა მართებს, ისრე უნდა ქმნას“-ო (გვ. 7). ამ სიტყვებითგან ირკვევა, რომ აზატს სრულებით განსხვავებული და გარკვეული მოვალეობა ჰქონია მოსახდელი, რომლის შინაარსი მაშინ ყველას სცოდნია.

§ 210-ე საშუალებას გვაძლევს აზატის მაშინდელი საგადასახადო მოვალეობა გამოვარკვიოთ. აბრამა შალაბერიძის შესახებ ნათქვამია: „ან უნდა ქნას ესე, და ან, რაც სხუამან აზატმან ქნას, პურის ჭამა და ცხენით სამსახური“ (გვ. 30). მაშასადამე, ირკვევა, რომ „პურის ჭამა და ცხენით სამსახური“ აზატის ყმებრივ მოვალეობას შეადგენდა.

ამ უკანასკნელ ცნობას ადასტურებს და ავსებს კიდევ § 234, რომელშიც ვინმე როსტევეანას გამოსაღების აღწერილობის ბოლოში ასეთი განმარტება მოიპოვება: „ამას ნულარა იქს, რაც სხუამან აზატმან ქნას: პურის ჭამა და ცხენით სამსახური და ლაშქრობაჲ, ქუთაის საყდრის შუშოობაჲ“-ო (გვ. 32). აქ, მაშასადამე, აზატის მოვალეობათა მაქსიმუმი დასახლებული, იქ-კი, სადაც მარტო პურის ჭამა და ცხენით სამსახურია, აზატის ვალდებულებათა მინიმუმი ყოფილა.

ამგვარად გამოირკვა: 1. რომ გამოსაღებ-მოვალეობათა სხვაობა მეკონომიურ სოციალურ მდგომარეობაზეც ყოფილა დამოკიდებული, 2. რომ აზატებს გარკვეული ვალდებულება ჰქონდათ დაკისრებული, რომელიც შეიძლებოდა მხოლოდ შათ ჰქონოდათ. ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ ქუთაისის საყდრის გამოსავალი პეგრის 1578 წ. დაეთარი მართლაც გადასახადთა სრულებით გარკვეული სისტემის მიხედვით ყოფილა შედგენილი.

ზემოაღნიშნულ დებულებათა გამორკვევის შემდგომ ამ დაეთარის შინაარსი უკვე უფრო მეტად გასაგები ხდება და ამის წყალობით არა ერთი ფრიად საგულის-ხმო საკითხის გაშუქება შეიძლება. მაგ., მეკლევარი, როგორც საქართ. ეკონომიური ისტორიის სათანადო წიგნში დავრწმუნდებით, უკვე სრულებით ადვილად გამოარკვევს საქუთათლოს ყმათა შორის გადასახად-ვალდებულებათა ტვირთის შედარებით სიმძიმესაც და [მას] აზატების რიცხვის გამოანგარიშებაც და პროცენტული დამოკიდებულების განსაზღვრაც შეუძლია.

ამაზე მეტის თქმაც შეიძლება. ახლა, როცა გამორკვეული გვაქვს, რომ „პურის ჭამა და ცხენით სამსახური“ მხოლოდ აზატებს ედვათ, საყურადღებოდ გვეჩვენება ის გარემოება, რომ ქუთათისის საყდრის 1578 წ. დაეთარში ნათქვამია: „მართებს კიკორაძის პარტახტსა პურის ჭამა“ (გვ. 4, § 3).

მართებს მეცურეობისშვილისეულსა პარტახტსა პურის ქამა და სამსახუ-  
რად და სხვა (იქვე, გვ. 4, § 5). ამგვარი ცნობები, ჯერ ერთი, იმას ამტკიცებენ,  
რომ კიკორაძე და მეცურეობისშვილი, რომელნიც ამოვარდნენ, ან ტყვედ წაყვა-  
ნალები არიან, აზატები ყოფილან. მეორეც — იმას, რომ ამ აზატებს მამულები  
ჰქონიათ, რომელიც მათ ამოვარდნის შემდგომ „პარტახტ“-ად ქცეულა, მაგრამ  
წინანდელი აზატი მულაბეჯის მოვალეობა, — „პურის ქამა და სამსახური,“ — მაინც  
წუნანარჩუნებია.

ამ გაანგებობას სხვა მარჯვაც აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა: პარტახტების  
მოვალეობისდა მიხედვით, როგორც საქართ. ეკონომური ისტორიის სათანადო  
ადგილას დაერწუნდებით, იმის გამორკვევაც შეიძლება, თუ პარტახტთა შორის  
რამდენი აზატი იყო, ე. ი. სოციალურ ფენათა შორის რომელი უფრო დაზარა-  
ლებულა.

ისევე როგორც „პურის ქამა და სამსახური“ გარკვეული სოციალ-ეკონო-  
მური ერთეულის მათეყებელი აღმოჩნდა, ამნაირადვე, რასაკვირველია, ყველა  
სხვა საკვანასახადო ცნობას თავთავისი სახელი და მიზეზ-დანიშნულება ჰქონდა.  
ამას გამორკვევა აქ უადგილოც იქნებოდა და შორსაც წაგვიყვანდა და მხოლოდ  
ჭიდვე ორი მაგალითის დასახელება შეიძლება, რომელთაგანაც ცხადი შეიქმნება,  
რომ ამ დავთრის ცნობებში გარკვეული ურთიერთშორისი დამოკიდებულება და  
სახტუნა ჰსუფევს და იგულისხმება. ამ ძეგლის ბოლოში ნათქვამია: „ვისცა სა-  
კლავი მართებს, მან ასრე უნდა ქნას: კუერცხი, ყველი და თევზი  
ნი უნდა მოიტანოს“-ო (გვ. 69). მაშასადამე, კუერცხი, ყველი და თევზი  
იმ გადასახადის შემცველნი (სანაცვალგებთ) ყოფილა, რომელიც საკლავის  
სახით უნდა ყოფილიყო გამოღებული.

მეორე ზოგად დებულებაში აღნიშნულია: „ვისცა ცხენით სამსა-  
ხური არ მართებს, მან სახლისა და ორჩის მუშაობა მარ-  
თებს“-ო (გვ. 70).

ე. თაყაიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ამ დავთარში აქა-იქ „მუხლებს  
შორის დატოვებულია ცარიელი ადგილები და ხშირად ამ ადგილებს თავში  
სწერია სიტყვა „მართებს“ ო. ასეთი ცარიელი ადგილები ე. თაყაიშვილის აზრით  
ერთი მხრივ, იმით უნდა იყოს დატოვებული, „რადგანაც ცვლილება მოსალო-  
ვნელი იყო. ზოგი მობეგრე აკლდებოდა, ზოგი ემატებოდა“. მეორე მხრივ,  
„მოკვჯერ დავთრის შემდგენს ვერ გაუხსენებია, ანუ არ იცის გვარი, ან სახე-  
ლი მობეგრისა და ცარიელ ადგილს ტოვებს დედანში“-ო (გვ. 3).

ძნელი დასაჯერებელია, რომ შემოსავლის დავთრის შემდგენელი თავის  
მოვალეობას ისე უდებებთ მოჰყარობოდა, რომ მობეგრის გვარისა და სახელის  
ვაგებისათვის თავი არ შეეწუხებინა რა ფასი აქვს ისეთ დავთარს, სადაც მო-  
ბეგრის ვინაობაც-კი აღნიშნული არ იყო

არც პირველი განმარტება და მამკმაყოფილებელი, რათგან გამოსავალი ბე-  
გრის დავთარი შემოსავლის აღმწესხველი საბუთი, რომელიც 1578 წ. საქმის ვი-  
ჯაობას გვისურათებს და ანგარიშს წარმოადგენს. ცარიელი ადგილები მებე-  
გრეთა შემადგენლობის მომავალი ცვლილების შესახებ დავთარში ცნობების შე-  
სატანად რომ ყოფილიყო, მაშინ ამის დამამტკიცებელი ჩანართი ცნობები ამ

ცარიელ ადგილებში უნდა ყოფილიყო კიდევაც. ნამდვილად-კი არაფერი ამის შესახებ იქ არ ჩანს. ამას გარდა, ცარიელი ადგილები რომ სწორედ ამ მიზნით ყოფილიყო დატოვებული, მაშინ ასეთი ცარიელი ადგილები ყოველი მობეგრის შემდგომ იქმნებოდა, რათგან მერმინდელი ცელილება ყველგან იყო მოსალოდნელი.

ორივე განმარტების სათუობის გამო, რაიმე სხვა, უფრო დამაჯერებელი განმარტების მოძებნა საჭირო. საქმე ის არის, რომ ამ დავთარში მარტო კაცრიელი საკომლოების შესახებ-კი არ არის ცნობები შეტანილი, არამედ უკაცურზეც, პარტახტებზეც. მაგრამ პარტახტებზე კუთნილი გამოსალები, როგორც ეტყობა, მაშინ არის ხოლმე შეტანილი, როდესაც იგი ვისმეს, მაგ. გეზობელს, დასამუშავებლად ალებული ჰქონდა. ამისდა შესახებ ყოველი ახალი მუხლი და „მართებს“ შესაძლებელია უკაცრიელ საკომლოებსა და პარტახტებსვე ჰგულისხმობდეს, მაგრამ გამოსალების შესახებ იმითმ არა ეწეროს რა, რომ ეს მიწები არავეს ჰქონდა ალებული და გამომღებიც არავეს იყო. თუ ეს განმარტება გამართლდა, მაშინ შეკლევარს საშუალება ექმნება გამოარკვიოს დამუშავებული და სრულიად ბიტოვებული პარტახტების რიცხვი ცალცალკე.

## § 2. ე. წ. „დიდი საკათალიკოზო დავთარი“

1899 წ. გამოცემულ „საქართველოს სიძველეთა“ I წიგნში ე. თაყაი-შვილმა დასავლეთი საქართველოს საეკლესიო საბუთთა შორის რამდენიმე „ნუსხის“ ნაწყვეტი გამოაქვეყნა, რომელთაგან სხვებზე უფრო საყურადღებოა: 1) „ს. მათხოჯო კაცის“ მეკომურთა სია მე-XVII ს. (ს. ქს სძვლნი, I, 57—58). 2) „საქინაეის ბეგრის ანაწერი“ კათალიკოზ დავით ნეშაძის დროისა 1661 1680 წ. (იქვე, I, 57). 3) უცნობი კათალიკოზის ხელმოწერილი გამოსალების დავთრის ნაწყვეტი (იქვე, I, 59—60). 4) აგრეთვე უცნობი კათალიკოზის ხელმოწერილი ჯიმაშთაროს, ბაკის [უბ] ნისა, ჩაჩხურის, ჯიქთუბნის და ხონის გამოსავლის ჯუღლების შემცველი ანაწერის ნაწყვეტი (იქვე, I, 61).

ს. კაკაბაძემ 1914 წ. ცალკე წიგნაკად გამოსცა ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა და მიწათმოქმედების არქივში ნაპოვნი ძეგლი, რომელსაც უწოდა „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი“. ხელთაწერი 206 ფურცლიანი, ყლიანი წიგნი ყოფილა, „დაწერილია ნუსხა ხუტურად, ხოლო სათაურები წითურად“. დავთარი 1621 წ. ყოფილა გადაწერილი, მაგრამ ძეგლის გამომცემლის აზრით „თავისი ცალკე ნაწილების მხრივ შედგენილი უნდა იყოს სხვა-და-სხვა და უფრო აღრინდელ დროს“. ერთ-ერთ წყაროდ ყოფილა „გელათის წმ. გიორგის 1545 წლის სიგელი, რომელიც, როგორც შედარებიდან ჩანს, მთლად არის შეტანილი“-ო.

გელათის ამ სიგელს გარდა „ზოგიერთი შემადგენელი ნაწილები ამ (იგულისხმება საკათალიკოზო) დავთრისა (ცალკე ნუსხები) მე ვიპოვე ბიკენტიისა და გელათის წმ. გიორგის საბუთებში და აქვე დავებულე დამატებაში“-ო (იხ. შესავალი). საკათალიკოზო დავთრის დამატებად ს. კაკაბაძეს დაბეჭდილი აქვს: 1) „ნუსხა ოცხანის ბეგარისა“ (გვ. 50—51);—2) ორი ნუსხის ნაწყვეტები, რომელთა კუთნილება გამოურკვეველია (გვ. 51—53);—3) „ნაქანელის გა-

პოსავლის ნუსხა“ (გვ. 53—56), რომლის სათაური ს. კაკაბაძეს სისწორით არ უნდა ჰქონდეს შერჩეული, რათგან ამ ძეგლის მხოლოდ ბოლო ნაწილი ეხება ნაქანულს და ამას გარდა იქ ხოირის (და უეჭველია სხვა სოფლების) შესახებაც მოიპოვება ცნობები;—4) „დავთარი კუჭუხიდის ბეგარისა, ნუსხა“ (გვ. 57) და 5) „ნუსხა საკათალიკოზო გლეხებისა“ (გვ. 57—58).

არსებული ამ დარგის ჯერეთ ღარიბი ქართული მწერლობის უცოდინარობისა, თუ ანგარიშგაუწველობის გამო ს. კაკაბაძეს გამოჰპარვია, რომ საკათალიკოზო დავთრიდან, ან მისი ერთი წყაროთგან, ძველადვე ამოღებული სს. ჯიმაშთაროს, ბაკის[უბ]ნისა, საჩხურისა, ჯიქთუბნისა და ხონის საეკლესიო ყმათა გამოსავლის ჯუმლების ამონაქრების შემცველი ერთი, უცნობი კათალიკოზის მიერ ხელ-მოწერილი, საბუთი უკვე 1899 წელს იყო ე. თაყაიშვილისგან გამოცემული (იხ. სქს სძვლნი, I, 61). ამ ძეგლს თავი არ ჰქონია დაცული და, რამდენი აკლია, ძნელი სათქმელია. მაგრამ დაცული დაზიანებული დასაწყისის საკათ. დავთართან შედარება მკვლევარს მიახვედრებს, რომ იქ საგენათლოს ბუეთის და დანარჩენი ზემოაღნიშნული 5 სოფლის გამოსაღების ჯუმალია შერჩენილი (შეად. საკათ. დავთრის გვ. 8 სქს სძვლთა I, 61 გვერდს). ამ ექვსი სოფლის საეკლესიო ყმათა გამოსაღების ჯუმალები საერთოდ საკათ. დავთარში მოთავსებულ ჯუმალებს უდგება, მაგრამ ზოგან განსხვავებაც ემჩნევა. ამიტომაც საკათ. დავთრის ტექსტის მოშავალმა წესიერად გამომცემელმა ამ გამოსავლის ჯუმალების ცალკე ამონაქრებს უნდა შექველად ანგარიში გაუწიოს.

ამ ძეგლს იმ მხრივაც აქვს მეცნიერებისათვის მნიშვნელობა, რომ მაშინდელ დასავლეთ საქართველოშიც შემოსავლის სახელდობრივი დავთრების არსებობის გარდა [იგი] გამოსავლების სოფლობრივი ჯუმალების ამონაქრების შემცველი საბუთების არსებობის უცილობლად დამამტკიცებელია.

ს. კაკაბაძის მიერ „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდ დავთრად“ წოდებული ეს დავთარი ისეა შედგენილი, რომ აღწერილობა საგეოგრაფიო ერთეულებისა და საეპისკოპოსო სამწყსოებისა მიხედვით არის დაყოფილი. ჯერ იწყება „საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობაჲ ბარს რაქას“, შემდეგ ჩხარის გამოსავალია (გვ. 3—4), მერმე ნაენახევისა (4—6), „საგენათლოს გამოსავალი მოსაკრებლობაჲ ბუეთს“ (6—8), „საჩხურისა“ (8—9), „ჯიმაშთაროსი“ (9—10), „სოფიაჲ-წმიდაჲს და სამოქალაქოს ბაკის-უბანს“ (10), ფარცმანაყანევისა (10—11), მანთხოჯისა (12—15), ხონისა (15—16), ჯიქთუბანისა (16), კანგასი (16), ქონათისა (17), ნაგუაზაუსი (17—18), საქუჩლორისა (18—19), ხიბლას (19—24), ნაენახევისა (24—28), ხოირისა (29—31), „სტუმის . . . და მისი მიმდგამი სოფელი მუხურის გამოსავალი“ (31—33), თილითის (33—36), ხაუეელის (36—39), ქალას და ნიჯაიონოს (39—40), ოცხანას (41—42). შემდეგ მოჰყვება საციიშლო საეპისკოპოსო სამწყსოს გამოსავალი, რომელიც შემდეგ ნაწილებად იყოფება: ხეეთის სასახლის მიმდგომს კაცების ბეგარა (იხ. საციიშლოს გამოსავლის დავთარი გვ. 5—12, შეად. გვ. 45). ცა-



იშის მიიღვომ კაცების ბეგარა (იქვე გვ. 12—26), დარჩელის ბეგარა (26—34), ზახათის ბეგარა (35—36), ჭალაის ბეგარა (37—40), ჯგალის ბეგარა (42—43), ჯორიელის [ბეგარა] (42—43),

საკაიშლოს დავთარს ჯგალის ციხის გამოსავლის დავთარი მისდევს (იხ. საქ. ბ. დავთარი 43—44), შემდეგ ხონის წა გიორგის გამოსავალი (იქვე 44—45 და ხონის საყდრის დავთარი 5—17) არის მოთავსებული.

საკათალიკოზო გამოსავალ-მოსაკრებლობის დავთარი მთლად ერთგვარი წესით არ არის შემდგარი. ჩვეულებრივ დავთარი ისეა დაწერილი, რომ ჯერ აღნიშნულია იმ საგეოგრაფიო-საგადასახადო ერთეულის სახელი, რომლის შესახებაც ქვევით ცნობებია მოთავსებული, შემდეგ ჩამოთვლილნი არიან სათითაოდ ნეკომურნი და მათზე დადებული გადასახადი, მაგ.:

„არის საქ. ბ. გამოსავალი მოსაკრებლობაჲ ბარს რაქას.

მართებს სამთა ციხისლებსა 10 კოდი წა პური, ორი კოდი ქერი, 20 კასრი ღვინო, 2 თავი საკლავი და ექუსი სასტუმრო:.

მართებს კუტრეხაძეებსა ექსი კოდი წა პური“ ... (გვ. 1) და სხვა ამგვარადვე.

თვითოეული ამგვარი საგეოგრაფიო-საგადასახადო ერთეულია ბოლოს მთელი ერთეულის ყველა ნეკომურთა გამოსავლის „ჯუშალი“ ანუ ჯამია მოყვანილი, მაგ.:

„არის პურის ჯუშალი ოთხმოცდაშვიდმეტი კოდი პური, ოცდათერთმეტი კოდი ქერი, ას სამოცდათხუთმეტი კასრი ღვინო ოთხმოცდაერთი საკლავი. ოთხმოცდაჩვიდმეტი ქათამი, ორას ორმოცდაჩვიდმეტი კუტრეხი.

კუშაშლის თავსა ერბო, ხაქოჲ და მარლი: თვით ურემი თივაჲ: თვით ურემი შეშა: თვით ქრთილ-აქერეკო: (sic).

„არის „დამცხუარის პურის ჯუშალი ათას ორმოცდა ათი“ (გვ. 3).

ამგვარად არის მთელი დავთარი შედგენილი, თუმცა აქა-იქ ჯუშალი სრული არ არის და არა ერთგან ჯუშალი სრულებით გამოტოვებულიც არის.

ჯუშალების მხრივ არსებითად მხოლოდ საკაიშლო საეპისკოპოსოს დავთარი განსხვავდება: იქ თვითოეული საგეოგრაფიო-საგადასახადო ერთეულის ბოლოში სათითაოდ გამოსავლის საზოგადო ჯამი მოყვანილი არ არის, სამაგიეროდ მთელი ამ საეპისკოპოსოს დავთრის ბოლოში სწერია ყველა ერთეულის გამოსავლის ჯუშალები ერთი მეორის მიყოლებით (იხ. საკაიშლოს გამოსავლის დავთარი, ს. კაკაბაძის გამ., ტფილისი, 1913 წ., გვ. 45—46).

მართო ეს გარემოებაც, რომ საკაიშლოს ჯუშალი სხვა ადგილას და სხვა რიგად არის დაწერილი, ჰმოწმობს, რომ საკათალიკოზო დავთრის ეს ნაწილი, ან მთელი ამ ძეგლის დროისა არ უნდა იყოს, ან განსაკუთრებული ბრძანებისა და გეგმის მიხედვით არის საგანგებოდ და სხვა ნაწილებისაგან დამოუკიდებლად შედგენილი. ს. კაკაბაძე არ სცდებოდა, როდესაც ფიქრობდა, რომ ეს საკაიშლოს დავთარი „დაუწერიათ აფხაზეთის კათალიკოზის ცაიშელ-ხონელ-ჯუშათელის

გურიელის ძის მალაქიას ბრძანებით მას შემდეგ, რაც ცაიშის ეკლესია მიწისძვრისაგან დაქუეულა და ეკლესიის ... დავთრები ძირს მოემწყვედა [და წარხდა] და ცაიშის ეკლესიის [შენება] ხელახლა დაუწყევიათ... მიწისძვრა ყოფილა ერთს წელს უწინ (sic) მალაქიას საკათალიკოზო ტახტზე ასლვამდის“, რაც 1616 წ. მოხდა. „ამისდა მიხედვით საცაიშლო გამოსავლის დავთრის დაწერა უნდა მიეკუთვნოდეს 1616 წლის შემდეგ დროს, როდესაც ცაიშის ეკლესიის აშენებისათვის ხელი მიუყვიათ. რადგან საკათალიკოსო დავთრის გადაწერა დამთავრებულა 1921 წლის 8 ნოემბერს, ამიტომ საცაიშლო გამოსავლის გუჯარი შედგენილ უნდა იყოს 1616—1621 წლებში. ცაიშის ეკლესიის აშენება უნდა დამთავრებულიყოს 1619 წელს, როგორც ეს უჩვენა თ. ჟორდანიამ და თუ ეს მოსაზრება სამართლიანია, მაშინ ჩვენი გუჯრის შედგენაც უფრო დაახლოვებით უნდა მიეკუთვნოს 1619—1621 წ.“ (იხ. საცაიშ. დავთ. 3).

მართლაც აფხაზეთის კათალიკოზის სიტყვით მიწისძვრისაგან რომ ცაიშის საყდარი დანგრეულა, თურმე „დავთრები... ძირს მოემწყვედა და წარკვდა“. ნათლად არა ჩანს, ეს დავთარი მთლად დაიღუპა, თუ მხოლოდ მისი რომელიმე ნაწილი. თვით კახის სიტყვებითგან თითქოს ისე გამოდის, რომ მხოლოდ ერთი ნაწილი უნდა დაზიანებულიყო. მას ნათქვამი აქვს სახელდობრ: „დავაწერინე გუჯარი ესე... დადიანისა ლეონისა ბრძანებითა ცაიშის ეკლესიისა და გარემო სოფლების სამზღურები, ვინადგან დავთრები განრყუნილი იყო“-ო (საცაიშ. დავთ., 49). მაშასადამე, დაზიანებული აღმოჩენილა ის ადგილი, სადაც საცაიშლოს სამზღვრები ყოფილა. ეს ნაწილი ხელახლად არის დაწერილი და ზემომოყვანილ სიტყვებს სწორედ სამზღვრების აღწერილობა მიჰყვება (იხ. იქვე). მაგრამ ამას გარდა მალაქია კათალიკოზს ნათქვამი აქვს: „საცაიშლო სოფლების გარდასახადი ამ საერთო გუჯარშიდ საცნით, აგრეთვე საკათალიკოზო გგალისა და მისი ადგილ-წაწეულის საზღურისა და გარდასახადისა“-ო (იქვე).

ამგვარად ირკვევა, რომ ის გუჯარი, რომელიც მალაქია კათალიკოზს დაუწერიანია, „საერთო გუჯარი“ყოფილა. სხვათა შორის იქ საცაიშლოს საწაწეურები ყოფილა ხელახლად აღწესებული. ასეთა სახელი ამ საბუთს, საფიქრებელია, იმიტომ ეწოდება, რომ იქ, საცაიშლოს გარდა სხვა საეპისკოპოსოების შეგმოსავალიც არის აღწესებული

საცაიშლოს სოფლების გადასახადის დავთარიც ხელახლად არის შედგენილი თუ არა, მალაქიას სიტყვებითგან გარკვევით არა ჩანს, მაგრამ როცა საქმე იმ საკითხის გამოკრევეაზე მიდგება, თუ ამ „საერთო“ დავთრის რომელი ნაწილია შესაძლებელი, რომ განახლებული იყოს, მაშინ უაყოყმანოდ უნდა ითქვას, რომ მალაქია კათალიკოზის სიტყვების მიხედვით, ამგვარ ნაწილებად უნდა საცაიშლოს დავთარი და გგალის საკათალიკოზოს სამზღვრების აღწესება და დავთარი ვიცნათ.

### § 3. ამ ძეგლის მცდარი სათაური და ნამდვილი თვისებები

გამომცემელს, ს. კაკაბაძეს, ამ ძეგლისათვის შესაფერისი სათაური ვერ შეურჩევია: იგი „საკათალიკოზო გლეხების... დავთარი“ არ არის. თავშივე მას სათაურად აღნიშნული აქვს, რომ საკათალიკოზო „გამოსავალი მოსაკრებლობის“ წიგნია, ე. ი., რომ ის შემოსავლის დავთარია და არა ხალხის აღწერის დავთარი. ეს ცხადად ჩანს, როგორც თვით დავთრის შინაარსითგან, ისევე ნათლად გამოთქმულია თვით სათაურებშიაც, მაგ., თავში სწერია: „არის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობაჲ ბარს რაქას“ (გვ. 1). შემდეგ, როცა ამ ბარის „ჯუმალი“-ა მოყვანილი, ნათქვამია: „არის ჩხარს... გამოსავალი მოსაკრებლობაჲ“-ო (გვ. 3). ამნაირადვეა ყოველ სათაურში აღნიშნული. თუ თვით დავთარში მეკომურთა სახელი და გვარი მუდამ სწერია, ეს გარემოება მას მიიწე ხალხის აღწერის დავთრად არ ჰხდის იმიტომ, რომ ამ ძეგლს სწორედ ის ცნობები აკლია, რომელიც ხალხის აღწერის დავთრებში ჩვეულებრივ იყო ხოლმე, სამაგიეროდ გადასახადის შესახებ-კი უხვი ცნობები მოიპოვება.

ამასთანავე, საკმარისია აღამიანმა ეს ძეგლი გულდასმით გადაიკითხოს, რომ დარწმუნდეს, თუ რამდენად მეორე-ხარისხოვანი საკითხი ყოფილა მისი შემდგენელისათვის თვით მეკომურთა აღრიცხვა. იქაც-კი, სადაც სოფლის შესახები ცნობის ბოლოს უეღაფრის ჯამია ხოლმე მოყვანილი, ერთი სოფლის გარდა სხვაგან არსად გადასახადების გამოძღობთა რიცხვიც-კი გამოანგარიშებული არ არის. მხოლოდ ს. ხიბლას შესახებ სწერია: „არის ხიბლას კუამლი გლეხი ჯუმლად ორმოცდათურამეტი“ და შემდეგ გამოსალებთა ჯუმალებია მოყვანილი (იხ. 24). დანარჩენი სოფლების ჯუმალში გლეხ მეკომურთა ჯუმალი არსად არ სწერია.

### § 4. ამ ძეგლის შედგენილობა და წყაროები

ე. წ. საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში შეტანილ ნაწილთაგან ცალკე გელათის 1545 წ. სიგელი და ხონის დავთარია ნაპოვნი. ამას გარდა ს. კაკაბაძის სიტყვით მას ამ ძეგლის კიდევ რამდენიმე სხვა წყაროც ნაპოვნი და საკათ. დავთრის დამატებად დაბეჭდილი აქვს.

ასეთ წყაროდ მიჩნეულთაგან ცალკე ხელთნაწერად დაცულ ხონის საყდრის დავთარს თავი აკლია. ხონის დავთრის გამომცემელს, ს. კაკაბაძეს, ეს დანაკლისი ნაწილი საკათალიკოზო მოსაკრებლობის დავთარში შეტანილი ტექსტის მიხედვით აღუდგენია: „ნაკლი აღდგენილ იქმნა 1621 წლის საკათალიკოზო დავთრით, რაც მე დიდს ფრჩხილებში ჩავსვი“-ო (იხ. ს. კაკაბაძის ხონის საყდრის დავთარი 1600 წლის ახლოს დროისა, ტფილისი, 1913 წ. გვ. 3).

მაგრამ, როგორც ს. კაკაბაძესაც აღნიშნული აქვს, „საკათალიკოზო დავთარში რიგი გლეხებისა განსხვავდება თვით ხონის საყდრის დავთარში დაცულ რიგისაგან“ (იქვე გვ. 3).

ს. კაკაბაძის გამოცემის მეკომურთა რიგობითი რიცხვები რომ აღენიშნოთ, მაშინ საკათალიკოზო დავთრის ტექსტისა და ხონის დავთრის ტექსტის რიგის განსხვავება ს. კაკაბაძის ცნობითვე (იხ. გვ. 3—4) ასე წარმოგვიდგება:

საკათ. დავთ.	=	ხონის დავთ.:	საკათ. დავთ.	=	ხონის დავთ.:
§ 1	=	30	§ 7	=	22
2	=	31	8	=	23
3	=	32	9	=	24
4	=	33	10	=	1
5	=	34	11	=	2
6	=	35			

და სხვა.

ს. კაკაბაძეს ჰგონია, რომ ასეთი განსხვავება აიხსნება „იმ გარემოებით, რომ, ალბათ, 1621 წელს ხონის დავთარი ჯერ შეკრული არ იყო და საკათალიკოზო დავთრის შემდგენელს ცნობები არეულად ჩაუწერია“ (გვ. 4). აღსანიშნავია, რომ ს. კაკაბაძის აზრით ხონის საყდრის ცალკე დაცული დავთარი „დედანს უნდა წარმოადგენდეს“ (გვ. 4).

რამდენადაც საკათალიკოზო მოსაკრებლობის დავთარში ხონის საყდრის დავთრის ტექსტი უცვლელად არის გადმოწერილი, იმდენად ეს ნაწილი, რასაკვირველია, გარდმონაწერს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ამისდა მიუხედავად ძალიან საეჭვოა, რომ ხონის საყდრის დავთრის ის ხელთნაწერი, რომელიც გადარჩენილია, მართლაც ამ ძეგლის დედანი იყოს. საქმარისია შეკვლევარმა იმ გარემოებას მიაქციოს ყურადღება, რომ ხონის დავთარს გამოსაღების საერთო ჯუშალი არ აქვს (იხ. გვ. 16—17), საკათალიკოზო მოსაკრებლობის დავთარში-კი ხონის საყდრის გამოსაღების დავთარს ბოლოში „გამოსავლის ჯუშალი“ ყოველი დარგისათვის სათითაოდ არის მოყვანილი, რომ ს. კაკაბაძის აზრის მკდარობა ცხადი შეიქმნეს. არამც თუ ხონის დავთრის ტექსტი თავდაპირველი დედანი არ უნდა იყოს, შეიძლება ითქვას, რომ, თუ ყველგან არა, ბოლოში მაინც ხონის დავთრის ტექსტი საკათალიკოზო მოსაკრებლობის დავთარში უკეთესად ყოფილა დაცული. რაკი ე. წ. საკათალიკოზო დავთრის დედანი აღარ არსებობს, მასში შეტანილი ხონის დავთრის ტექსტისა და ცალკე დაცული ხონის დავთრის ტექსტის შედარება შეუძლებელია.

ხონის დავთრის 1600 წ. ახ. ხანის და 1619—21 წ. უწინარესად მიჩნევისა და დათარიღებისათვის არავითარი საბუთი არ არსებობს.

ხონის დავთარს გარდა ე. წ. საკათ. დავთარში კიდევ საცაიშლოს დავთარია შეტანილი. ე. წ. საკათალიკოზო დავთრის დანარჩენი შემდგენელი ნაწილების განსაზღვრის დროს ს. კაკაბაძეს სხვათა შორის გადაკრით ნითქვაში აქვს, რომ „გელათის წმ. გიორგის 1545 წლის სიგელი... როგორც შედარებიდან სჩანს, მთლად არის შეტანილი საკათალიკოზო დავთარში“ (იხ. შესავალი)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> 1928 წ. ს. კაკაბაძის მიერ დაბეჭდილი ნაშრომით: „მოსაღები დას. საქართველო და ეკონომ. ისტორიისათვის“ (იხ. მისი „ისტ. კრებულები“, III, 10—76 ირკვევა, რომ ავტორს ზოგი თავისი წინ. თ. კატეგორიულად გამოთქული დებულება თითონაც აღარ უნდა სწაზდეს, მაგრამ „აქი ეს გარემოება არსად გარკვევით აღიარებული არა აქვს და წყაროთა ანალიზს არ ეხება, წყაროთა ჩვენს კრიტიკულ განხილვას უცვლელად ემკვიდრება“.

ს. კაკაბაძის ასეთი კატეგორიული განცხადებისდა მიუხედავად, მისი ზემო-მოყვანილი დებულება არ მართლდება. საფიქრებელია, რომ თვით ს. კაკაბაძეს ეს ორი ძეგლი ერთმანერთან არ შეუღარებია, თორემ სხვაფრივ ძნელი ასახსნელია საქმის ნამდვილი ვითარებისა და მისი გადაჭრითი განცხადების სრული წინააღმდეგობა. შეღარების ნამდვილი შედეგების სისწორისა და ს. კაკაბაძის დებულების მთელი შეუსაბამობის გათვალისწინების გასაადვილებლად აქ დასახელებული იქმნება გელათის 1545 წ. სიგლის სწორედ ის ტექსტი და გამოცემა, რომელიც ს. კაკაბაძის განცხადებითვე გელათის ამ საბუთის „ტექსტის აღდგენის“ მის საკუთარ „ცდას“ წარმოადგენს და ე. წ. საკათალიკოზო დავთრის გამოცემას აქვს ბოლოში დართული. ამ ორი შეღარებული ძეგლის ქვემო-აღნიშნული გვერდები ყოველთვის ს. კაკაბაძის ამ გამოცემას ჰკულისხმობს. შეღარება ცხად-ჰყოფს, რომ:

1. საკათალიკოზო დავთარში ოხოშირას, ნაბოსლევის და კურსების შესახებ, რომელთა მოსახლე გელათის ყმათა გამოსაღებიც 1545 წ. სიგულში დაწვრილებით არის აღწუსებული (იხ. გვ. 61—63), ხსენებაც კი არ მოიპოვება.

ამგვარადვე არც 1545 წ. სიგულში ჩამოთვლილი ს. მალლაკის მცხოვრები ყმები ჩანან საკათალიკოზო დავთარში (გვ. 65—66), არც თვით ს. მალლაკის ხსენებაა, არც ჰოლეცია (გვ. 67) საკათალიკოზო დავთარში შეტანილი.

2. ფარსმანყანევის შესახები ცნობები ამ ორ ძეგლში ერთიმეორისაგან ძალიან განსხვავდება: 1545 წ. სიგულში ამ სოფელში 5 კომლია კუჭუხიძე, —ამთგან ოთხის სახელი აღნიშნული არაა, მეხუთე-კი მიქელა ყოფილა, —და 3 პარტახტია აღნიშნული (გვ. 65), საკათალიკოზო დავთარში-კი კუჭუხიძენი 6 კომლია, —ზაქარია, მეორე ზაქარია, ივანე, ხახუტა, წყალობა და მახუა, და 3 პარტახტია (გვ. 11) და, რაც უფრო ყველაზე მნიშვნელოვანია, კუჭუხიძეთა სახელებიც ამ ორ ძეგლში სხვადასხვაა.

ამგვარადვე, ფარსმანყანევსე 1545 წ. სიგულში 8 კომლი მარდალავილია დასახელებული, —ესტატე, მამისთვლა, ნაეროზა, გოგალა, ... გიორგა, ესაია და მიქელა (გვ. 66), —საკათალიკოზო დავთარში-კი მარდალასვილი მარტო 5 კომლი იხსენიება, —დათვია, ჩიტია, ნანუა, ღმერცია და გუგუტა (გვ. 10—11). აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც სახელები სულ სხვადასხვაა.

მესხეთის მცხოვრებთაგან 1545 წ. სიგულში დასახელებულია 3 კომლი ლანდურიძენი, —ვარსიმე, ივანა, მესამის სახელი არ იხსენიება, —და 1 პარტახტი (გვ. 67), საკათალიკოზო დავთარში-კი ლანდურიძეთა საკომლოების რიცხვი ერთი ორად მეტია და სახელებიც სულ სხვაა აღნიშნული, —სიხარულა, ნასხიდა (sic), მამისთვლა, გოდია, დავითის შვილები და რომანოზ (გვ. 11).

3. ამ ორ ძეგლში მხოლოდ ს. ნავენახევის შესახები ცნობები უდგება ერთიერთმანეთს და გელათის 1545 წ. სიგულში 6 კომლი ხაქუბერიძენი არიან აღნიშნული, —მამისთვლა, ზაქარია, მამუკა, მამისბედა, ნინია, მახიტა და დათიკას-შვილი (გვ. 54), 5 კომლი ბაზაძე, —ცოტნიასვილი გოჩია, გოჩია, მახარობელა, ხუტია, გოჩია, ხოსია (გვ. 64—65), 1 კომლი ბრეგაძე ხოსია (გვ. 65)

და 2 კომლი სალაძე გოჩა და როსტეევანა (იქვე). საკათალიკოზო დავთარში 7 კომლი ხაქუბერიძენი არიან (მამისთვალა, ზაქარია, მამუკა, მამიზბედა (sic), ნინია, ნინია (sic), მახატა და დათიკას შვილი (გვ. 4—5), 5 კომლი ბაზაძენი (ცოტნის შვილი გოჩია, გოჩია, მახარობელი, ხუატა და გოჩია, 1 კომლი ბრეგაძე ზოსია (sic) და 2 კომლიც სალაძე გოჩა და როსტეევანა (გვ. 6).

ამგვარად მცირეოდენი განსხვავებით ნაენახევის შესახები ცნობები ამ ორ ძეგლში მართლაც მიაგვიანან.

დანარჩენ ყველა სოფლისა და ყმათა შესახები ცნობები ისე არსებითად განსხვავდებიან, რომ ს. კაკაბაძის კატეგორიული განცხადება, თითქოს შედარებითგან ჩანდეს, რომ საკათალიკოზო დავთარში გელათის 1545 წ. სიგელი „მთლად“ იყოს შეტანილი, სინამდვილეს სრულებით არ შეეფერება. პირიქით შეიძლება ითქვას, რომ არავითარი მოსაზრება და საბუთი არ არსებობს ვიფიქროთ, რომ ე. წ. საკათალიკოზო დავთრისათვის გელათის 1545 წ. სიგელი გამოყენებული იყოს.

ალბათ, აჩქარებითა და დაუდევრობით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ს. კაკაბაძეს საკათალიკოზო დავთრის დამატებად დაბეჭდილი „ოცხანის ბეგრის ნუსხის“ შესახებ აღნიშნული არა აქვს, რომ ეს ძეგლი, ოდნავ თავში დაზიანებული დედნის მიხედვით უკვე 1899 წელს იყო ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული (იხ. სკს სძვლნი, I, 59—60). ეს გარემოება მით უფროა საშუალო, რომ ამ ორ გამოცემაში ამ ძეგლის წანაკითხი აქა-იქ განსხვავდება და მერმინდელი და სრული ტექსტის მქონებული გამომკვეყნებელის მოვალეობას ამ სხვაობათა მიზეზისა და თავისი წანაკითხების სისწორის აღნიშვნა შეადგენდა.

ოცხანის ბეგრის ნუსხაც, ს. კაკაბაძის უცილობელი გამოთქმული განცხადებისდა მიუხედავად, არასგზით ე. წ. საკათალიკოზო დავთრის „შემადგენელი ნაწილი“ არ შეიძლება ყოფილიყო. ეს თუნდაც შემდეგი ზოგადი შედარებითგანაც ჩანს: საკათალიკოზო დავთარში ოცხანაში 16 მეკომურია აღნიშნული (იხ. გვ. 41—42), ცალკე ნუსხით-კი იქ 14 მეკომური ჩანს. ამასთანავე ნუსხაში მოხსენებულნი ციკუნაშვილი, მახარა მეფარისშვილი, კაცაძე, პაპია მეგრელი; მათე ციკვინაძე, შვილია ტატუნაძე, მამისთვალა, კაცაძე (გვ. 50—51), ესე იგი 7 კომლის ხსენებაც-კი არ მოიპოვება საკათალიკოზო დავთარში. ხოლო ამავე დროს საკათალიკოზო დავთარში 6 კომლი კალანდაძეა აღნიშნული (იხ. გვ. 41—42), მაგრამ არც ერთს მათგანს ბასილა, პავლია და ცხაიშვილი არ ჰქვია სახელად, როგორც ოცხანას (ცალკე ნუსხაში 3 კომლი კალანდაძე იხსენიებიან (გვ. 51). ურატაძეც საკათ. დავთარში 3 კომლია, ნუსხაში-კი 2-ია და იმათაც მიქელა და ლევანია ჰქვიათ (გვ. 51), რომელთა ხსენება იქ არ ჩანს.

ხოირსაც საკათალიკოზო დავთრის ცნობით 39 კომლი ყოფილა (იხ. გვ. 29—31), ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული „ნაენახელის“ ცალკე დავთარში-კი სწერია „არის ხოიქრს საკათალიკოზო გლახნი ოცდარვა კვამლი“-ო (იქვე გვ. 56), ე. ი. 11 კომლით ნაკლები.

ასეთივე ცნობათა სრული განსხვავებაა ნაქანეულის ჯუმალის შესახებაც: საკათალიკოზო დაეთრის ცნობით ნაქანეულის გამოსავლის ჯუმალი შეადგენდა 48 საპურობოს, 225 კოკას, „ღვწის ბეგარა“-ს, 84 გოპს ლომს, 54 საკლავს, 29 ქათამს“ (გვ. 28), იმავე ცალკე ნუსხით-კი ნაქანეულის „საკლავის ჯუმალი“ 98 ყოფილა, ქათამი 68, ლომი 177 ატარი, ლეინო 17 ურემი, 23 ზროხა და ნახეიარი“, ლომი 16 გობი, ლეინო 27 გულა (გვ. 56).

ს. კაკაბაძის მიერ მე-XVII ს. საკათალიკოზო გლეხების ნუსხად მიჩნეულ ძეგლში (იხ. საკათ. დავთ. 57—58), რომელიც ნამდვილად ხალხის აღწერის სტატისტიკურ ამონაკრებს წარმოადგენს, შემდეგი ცნობები მოიპოვება საეკლესიო ქონებისა და ყმათა რაოდენობის შესახებ სოფლობრივ: გელათის თავს 8 კომლი, სორმონს 2, რიონს 2, ქოლევს 1, ნაბოსლევს 8, ბუეთს 6, საწირეთს 8, ბარს 28, ჩხარს 12 და 1 პარტახტი, ოფჩას 9, ნავენახევს 16 და 4 პარტახტი, ქუთაისის სოფია-წმიდას 6, ჯიჰაშტაროს 11, ბაქის უბანს 6 და პარტახტი, მესხეთს 6 და 1 პარტახტი, ქვემო-მესხეთს 5 და 4 პარტახტი, ფარცხანაყანევს 17 და 2 პარტახტი, მათხოჯს 50, ხონს 11 და 2 პარტახტი, ჯიქთუბანს და ქანგას 10+6, ქოცნას 2 პარტახტი, ნემსაძისეულ ხოშტიბელას 12, ოხოპირას 5, საჩხურს 12 და 2 პარტახტი, მანდიკარს 2, ჩუნეშს 10 პარტახტი. ბოლოს აღნიშნულია: „არის ჯუმალი ორასოთხმოცდა შვიდი“ (გვ. 57—58).

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ არსაი თგან არ ჩანს, რომ ეს „ნუსხად“ მიჩნეული საბუთი მართლაც საკათალიკოზო გლეხების ნუსხა იყოს, როგორც ს. კაკაბაძეს აქვს მიჩნეული. ამიტომ მისი ნამდვილი რაობა ჯერ გამოსაკვეევი იყო.

მაგრამ, რა ძეგლიც არ უნდა იყოს იგი, საკმარისია ადამიანმა ამ ცნობებს თვალი გადაავლოს, რომ მუის ცხადი შეიქმნეს, რომ აქ ჩვენ ხალხის აღწერის დაეთრითგან ამონაკრებ ცნობებთან გვაქვს საქმე.

უვე ამ გარემოებითგან ჩანს, რომ ამ საბუთს და საზოგადოდ ასეთ ძეგლს ე. წ. საკათალიკოზო მოსაკრებლობის დაეთრისათვის წყაროდ ვერავეინ გამოიყენებდა. ამიტომ, უეველია, ს. კაკაბაძის აზრი, თითქოს ზემომოყვანილი ძეგლი საკათალიკოზო დაეთრის ერთი შემადგენელი ნაწილთგანი ყოფილიყოს. სრულებით დაუეკრებელია.

ამ ძეგლისა, ე. წ. საკათალიკოზო დაეთრისა და 1545 წ. გელათის სიგლის ცნობების შედარება სოფლებში მოსახლე ყმათა რიცხვის შესახებ ადამიანს დაარწმუნებს, რომ არამტუფ არას გზით ეს ძეგლი არ შეიძლება საკათალიკოზო დაეთრის წყაროდ ყოფილიყო, არამედ რომ, ამ სამი საბუთის რიცხვობრივი ცნობების ყმათა შესახებ სრული განსხვავებულობის გამო, საზოგადოდ მათ საერთო არა აქვსთ რა და სულ სხვადასხვა დროის ცნობებსაც უნდა შეიცავდენ.

## § 5. ე. წ. საკათალიკოზო დაეთრის რაობა

საკათალიკოზო დაეთრის დასაწყისში ნათქვამია, რომ ის „არის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობაჲ“-ს აღმწესხველი (გვ. 1). თუ ის მართლაც საკათალიკოზო დაეთარია, ცხადია თავისთავად, რომ შემდეგშიც ყველგან ასევე უნდა ყოფილიყო აღნიშნული. პირველი ნაწილი რაქას ბარს ეხება (იქვე), შემდეგ ნავენახვეს (გვ. 4). მაგრამ შემდეგ მოულოდნელად ნათქვამია: „არის საგენათლოს გამოსავალი მოსაკრებლობაჲ ბუეთს“-ო (გვ. 6).

პირველი სათაურის ანალოგიით საფიქრებელი იყო, რომ, როგორც იქ საკათალიკოზოს მოსაკრებლობაზე უნდა იყოს საუბარი, ისევე აქაც, თუ საგენათლო გეოგრაფიული მნიშვნელობით არ არის ნახმარი, გენათელის მოსაკრებლობაზე უნდა გვექონდეს ლაპარაკი. მაგრამ იბადება საკითხი, თუ რა კავშირი უნდა ჰქონდეს ამ ძეგლს საკათალიკოზო მოსაკრებლობის დაეთართან და რატომ უნდა იყოს იქ საეპისკოპოზო გამოსავლის დაეთარი, როდესაც მის პირდაპირ დანიშნულებას საკათალიკოზო შემოსავლის აღწესხვა უნდა შეადგენდეს? მართლაც ასეთი რამ უცნაური მოვლენა იქმნებოდა, მაგრამ ეს უცნაურობა ე. წ. საკათალიკოზო დაეთრის ზოგადი თვისება და თავისებურობაა, რომელიც ამისდა მიუხედავად ამ ძეგლის გამომცემელს ს. კაკაბაძეს იმდენად შეუშინვეელი დარჩენია, რომ არამცთუ ამ უცნაური გარემოების განმარტების ცდა ფიქრად არ მოსვლია, არამედ მისი აღნიშვნაც-ი დაჭვიწყებია. მართლაც და, რატომ უნდა იყენენ საკათალიკოზო მოსაკრებლობის დაეთარში ზონის საყდრისა და საეპისკოპოსო დაეთარებიც მთლიანად შეტანილი? ამ სამწყსოების დაეთარებში ხომ მათი საყდრების ყმათა გამოსაღებია მოყვანილი?

ე. წ. საკათალიკოზო დაეთარი რომ მართლაც საკათალიკოზო მოსაკრებლობისა და სარგოს დაეთარი ყოფილიყო, მაშინ ხომ იქ მთელი დასაყდრითი საქართველოს მოსახლეობისაგან მოსაკრებლობის შესახებო ცნობები უნდა ყოფილიყო? ნამდვილად-კი იქ არამცთუ მთელი ლიხთ-იმერეთის მეკომურთა გამოსაღების შესახები ცნობები არა ჩანს, ქუთაისისა და სხვა საეპისკოპოზოების ყმათა გამოსაღებიც აღწესხული არ არის.

ამას გარდა, საკათალიკოზო სარგო ამდენად დიდი არ შეიძლება ყოფილიყო, როგორც დადაც ის ამ დაეთარშია აღნიშნული. საქმარისა ადამიანმა თუნდაც აღმოს. საქართველოს სხვადასხვა საეპისკოპოზო სარგოს ვარაგების წიგნები გადაიკითხოს, რომ დარწმუნდეს, თუ რამდენად დიდი განსხვავებაა გამოსაღება, როგორც კატეგორიების სიმრავლისა, ისევე სიდიდის მხრივ.

ამვე დროს ე. წ. საკათ. დაეთრის შინაარსის ქუთაისის საყდრის ყმათა გამოსავალი ბეგრის 1578 წ. დაეთრის შინაარსთან შედარება ყველას დაარწმუნებს, რომ ე. წ. საკათალიკოზო დაეთარი საკათალიკოზო



სარგოსა და მოსაკრებლობისა-კი არა, არამედ მხოლოდ ყმათა გამოსაღების აღმნუსხველ დაეთარს წარმოადგენს. აღმინს უნდა გათვალისწინებელი ჰქონდეს ის ზოგადი დებულება და გარემოება, რომ საეპისკოპოზო და საკათალიკოზო სარგოს ყველა იხდიდა, თუმცა, რასაკვირველია, ყველა მათი საეკლესიო ყმები არ იყვნენ. მაგრამ ამასთანავე ყოველ საეპისკოპოზოსა და საკათალიკოზო საყდარს თავისი ყმებიც ჰყავდა, რომელნიც ეპისკოპოზსა და კათალიკოზს, მათ კუთნილ სარგოს გარდა, სხვადასხვა დაწესებულ საყმო გამოსაღებს აძლევდენ ხოლმე ისევე, როგორც სხვა კატეგორიის ყმებიც თავთავიანთი მებატონეებისათვის საყმო გადასახადებს იხდიდენ ხოლმე.

ამისდა მიხედვით შემოსავლის დაეთრები შესაძლებელია სხვადასხვა თვისებისა და წყაროების ყოფილიყო, მაგ., ამ შემთხვევაში, ან სარგოს შემოსავლის დაეთარი ყოფილიყო, ან საყმო გამოსაღების დაეთარი ყოფილიყო, და სხვაც.

ზემოთქმულის შედგომ, მასასადაამე, უეკველი უნდა იყოს, რომ ე. წ. საკათალიკოზო დაეთარი საყმო გამოსაღების შემოსავლის დაეთარია. ეხლა გამოსარკვევია მხოლოდ მისი კუთვნილება, სახელდობრ, წარმოადგენს იგი მარტო საკათალიკოზო ყმების გამოსაღების დაეთარს, თუ არა?

თუ გავიხსენებთ, რომ ამ ე. წ. საკათალიკოზო დაეთარში ხონისა და ცაიშის საეპისკოპოზო საყდრების ყმათა გამოსაღების დაეთრები მთლიანად არის ჩართული, პირველი დებულება უმაღ საეპოლ შეიქმნება. ეს უკანასკნელი გარემოება ამ ძეგლს ისეთ თვისებას ანიჭებას, თითქოს იგი სხვადასხვა საეპისკოპოზოების, მაგ., ხონისა და საცაიშლოს ყმათა გამოსაღების დაეთრების კრებული იყოს.

ამასთანავე ს. კაკაბაძის დებულება ამ ძეგლის შემადგენელი ნაწილების სხვადასხვა დროს შედგენილობის შესახებ რომ მართალი გამოდგარიყო, მაშინ ე. წ. საკათალიკოზო დაეთარი საეპისკოპოზოების ყმათა გამოსავლის დაეთრების უბრალო, მექანიკურ კრებულად უნდა მიგვეჩინა, რომელსაც, ვითარცა სხვადასხვა დროის ცნობების შემცველს, არას დროს პრაქტიკული მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონოდა. მაგრამ, როგორც დაერწმუნდით, ს. კაკაბაძის მიერ საკათ. დაეთრის სხვადასხვა დროის შემადგენელ ნაწილებად დასახელებულ წყაროებს ნამდვილად ამ ძეგლთან საერთო არა აქვს თრა და ამ ნაწილების დაწერილობის დროის სხვადასხვაობის დებულება დაუსაბუთებელი გამოდის.

ამ ხაკათ. დაეთრის ნამდვილი რაობის გამოსარკვევად ჯერ კიდევ საგანგებო კვლევა-ძიება საჭირო, მაგრამ ეხლაც შეიძლება ითქვას, რომ ეს ძეგლი დასავ. საქართველოს ყველა საეპისკოპოზოს ყმათა გამოსაღების დაეთრების კრებული არ არის, რათგან იქ არა ერთი საეპისკოპოზო საყდრის, მაგ., თუნდ შემოქმედისა, ქუთაისის და სხვების, ყმათა გამოსაღების დაეთრები არა ჩანს.

ამგვარად, ირკვევა, რომ საკათ. დაეთარი არც საკათალიკოსო სარგოს დაეთარი ყოფილა და არც დასავ. საქართველოს ყველა საეპისკოპოზოს ყმა-

თა გამოსაღების დაეთართა სრული კრებულია. ცხადი ხდება, რომ ამ კრებულს, იმისდა მიუხედავად, რომ იქ საეპისკოპოზო საყდრების ყმათა გამოსაღების ზოგიერთი დაეთარია, მაინც ე. წ. აბხაზეთის კათალიკოზთან რაღაც კავშირი აქვს და იმავე დროს მას განსაკუთრებული მიზანი და დანიშნულებაც უნდა ჰქონდეს, განსაკუთრებული გარემოების წყალობით უნდა იყოს წარმოშობილი.

ამ კრებულის თავისებური შედგენილობისა და დანიშნულების განმარტება, სხვა პირდაპირი ცნობების ამის შესახებ უქონლობის გამო, ისევ თვით საკათალიკოზო დაეთარში უნდა ვეძიოთ. ამ საკითხის გამოსადეგი ერთი ცნობა დაეთრის იმ ნაწილში მოიპოვება, რომელიც საცაიშლოს გამოსავლის აღნუსხვას წარმოადგენს. საცაიშლოს დაეთარი, რომელიც ე. წ. საკათ. დაეთარშია ჩართული, მალაქია კათალიკოზის ბრძანებით ყოფილა შედგენილ-განახლებული. მალაქიას ეს მოქმედება, ეტყობა, მხოლოდ მწყემსმთავრული მხრუნველობისა და მოვალეობის გრძნობით არ უნდა ყოფილიყო ნაქარანხევი.

როგორც თვით მალაქია კათალიკოზის სიტყვებითგან ჩანს, მალაქია ამ დროს მარტო „ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოზი“-კი არ ყოფილა, არამედ თურმე ამასთანავე „საიშელ-ჯუმათელ-ხონელ“-ადაც ითვლებოდა (იხ. საცაიშლოს დაეთ. 41). მაშასადამე, ცაიშისა და ხონის საეპისკოპოზოებიც მის ხელთ ყოფილა და, რასაკვირველია, ამ სამღვდელმთავროთა ყმების გამოსაღებაც ამ დროს მას ჰქუთნებია. ამ გარემოების წყალობით ცაიშისა და ხონის, ისევე როგორც ჯუმათის საეპისკოპოზო გამოსავლის დაეთრებით, მალაქია კათალიკოზი, უეჭველია, უნდა პირადად დაინტერესებული ყოფილიყო.

თუ ეს გარემოება გათვალისწინებული გვექმნება, მაშინ ადვილად მოვუძებნით განმარტებას იმ უცნაურ გარემოებას, რომ საკათალიკოზო მოსაკრებლობის დაეთარში ცაიშისა და ხონის საეპისკოპოზოების ყმათა გამოსაღების ისეთი დაეთრებია შეტანილი, რომლებშიც საკათალიკოზო გადასახადები-კი არაა, არამედ მხოლოდ საეპისკოპოზო გამოსაღებლები არის აღნუსხული. ვითარცა ცაიშელსა და ხონელს, მალაქია კათალიკოზს, ბუნებრივია, ამ სამწყესოთა ყმების გამოსაღების დაეთრების ცნობებიც უნდა ჰქონოდა და ამ დაეთრების ტექსტის შედგენა-დაცვაზეც ეზრუნა.

ე. წ. საკათალიკოზო დაეთარი 1621 წელს 8 ნოემბერს არის დაწერილი და იმაში შეტანილი საცაიშლოს დაეთარიც ხომ 1619--1621 წ. არის განახლებულ-შედგენილი. მაშასადამე, ორივე ძეგლი ერთისა-და-იმავე დროისაა. ამგვარად ე. წ. საკათ. დაეთრის შედგენილობის თავისებური შერჩევაცა და თვისებებიც გასაგები ხდება.

მაგრამ მაინც ერთი დამაფიქრებელი გარემოება არსებობს, რომელსაც ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრისას უეჭველად ანგარიშიც უნდა გაეწიოს და დამაქმაყოფილებელი განმარტებაც უნდა მოეძებნოს. რა მიზეზია, რომ

ამ ე. წ. საკათალიკოზო დაეთარში ჯუმათის საყდრის ყმათა გამოსაღების დაეთარი ჩართული არა ჩანს? მალაქა კათალიკოზი ხომ იმავე დროს, როგორც აღნიშნული გეკონდა, ცაიშელ-ხონელობასთან ერთად ჯუმათელიც იყო?

თუ ამ საკითხის შესახებ კიდევ შეიძლება ითქვას, რომ ეგების დატული ხელთნაწერი იმ კრებულის პირმშო-დედანი არ არის და ამ გარდმონაწერში ძველი სრულად დატული, ან გადმოწერილი არ იყოს და ეგების თავში მოთავსებული ჯუმათის დაეთარი ამ კრებულს ჩამოსცილდა და დაიკარგა, მაინც მეორე დამაფიქრებელი გარემოებაც არსებობს, რომლისათვისაც ზემომოყვანილის მსგავსი განმარტების მოყვანა უკვე სრულებით შეუძლებელია. სახელობრ, რით აიხსნება ღა რა მიზეზია, რომ ამ საკათ. დაეთარში რაქის შესახები ცნობები შეტანილი, ეს კუთხე ხომ არც საცაიშლოს ეკუთნოდა, არც ხონის საყდართან ჰქონდა მას რაიმე კავშირი? ამ ორ საკითხს ჯერ კიდევ გამოკვება და დამაჯერებელი განმარტება სჭირდება.

მაგრამ ამ საკითხის გამოკვევას მნიშვნელობა უმთავრესად ე. წ. საკათალიკოზო დაეთრის კრებულის შედგენილობის თავისებურების განსამარტავად აქვს. თვით ე. წ. საკათალიკოზო დაეთრის რაობა-კი ყველა ზემომოყვანილ დაკვირვებათა და მოსაზრებათა შემდგომ სრულებით ცხადია და საბოლოოდ ასე შეიძლება დასკენილ იქნეს. ეს ძველი, რასაკვირველია, „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დაეთარი“ არ არის, არც საზოგადოდ აფხაზეთის საკათალიკოზო სარგოსა და მოსაკრებლობის დაეთარია. ვინც ამ ძველის მიხედვით აფხაზეთის კათალიკოზის ყოველწლიური შემოსავლის გამოანგარიშებას მოიწადინებს, ის თითონაც შეუწყნარებელ შეცდომას ჩაიდენდა და თავის მკითხველსაც შეაძენდა.

ეს ძველი დასავ. საქარველოს, ანუ ე. წ. აფხაზეთის საკათალიკოზოს რამდენიმე საეპისკოპოზო საყდრის ყმების გამოსაღების დაეთართა კრებულს წარმოადგენს მხოლოდ. ამ შემთხვევაშიც ეკონომისტ-ისტორიკოსსა და ჩვეულებრივ მკითხველსაც უნდა გათვალისწინებული ჰქონდეს, რომ აქ არც იმ საეპისკოპოზოების სრული შემოსავალია აღნუსხული, რომ ამ დაეთართა კრებულში არც ერთი ეპისკოპოზის ე. წ. დრამისა და საკანონო გამოსაღების შესახები ცნობები შეტანილი არ არის.

ყველა ამ გარემოებათა გამო, ამ ძველს შედგენის დროსაც ვიწროდ განსაზღვრული დანიშნულება ჰქონია და ამჟამადაც მხოლოდ ასევე ვიწროდ შემოფარგლული შეიძლება იყოს მისი მნიშვნელობა და გამოყენებადობის არე. ამ ძველის წყალობით მკვლევარს საშუალება აქვს დასავ. საქართველოს ზოგიერთი საეპისკოპოზო საყდრის ყმა-მეკომურთა რიცხვი, სოციალური შემადგენლობა, ეკონომიური მდგომარეობა, მათი საყმო გამოსაღების ტვირთი და საეპისკოპოზო საყდრების ყმებისაგან მისაღები შემოსავლის კატეგორიები და რაოდენობა გამოარკვიოს. ამას გარდა ეს კრებული, რასაკვირველია, კიდევ არა ერთი საგულისხმო საკითხის შესწავლის საშუალებას გვაძლევს, მაგრამ მაინც მთავარი სწორედ ზემოდასახელებული საკითხებია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლის ცნობათა გამოყენებისათვის, რასაკვირველია, წინასწარი, საკმაოდ რთული და ძნელი, კვლევადიებაა საჭირო გამოსაღებთა იმ სახეობათა და მათი ნორმებისა, იმგვარადვე როგორც მთელი საგადასახადო სისტემის შესახებ, რომელთა მიხედვითაც ამ ძეგლში შეტანილი ყოველი მეკომურის საგადასახადო ტვირთი და კალდებულება არის განსაზღვრული. ჩვეულებრივ ეს საკითხები გარიგების წიგნებში იყო ხოლმე აღნიშნული და დასავე. საქართველოს გადასახადებისა და საგოს გარიგების წიგნები რომ შენახული ყოფილიყო, მაშინ მკვლევარის მუშაობა საკმარისად შემსუბუქებული იქნებოდა. მაგრამ რაკი ლიხთიმურეთის გარიგების წიგნები ჯერ არსადა ჩანს, ამიტომ ისტორიკოს-ეკონომისტი იძულებულია ამ ნორმების გამორკვევას დიდი დრო და ძალ-ღონე შეაღიოს. მხოლოდ ამის შემდგომ გასაგები გახდება გამოსაღების დავთრების მთელი შინაარსი და გადასახადების თითქოს სრულებით თვითნებური და უსისტემო გროვაც ადამიანს სრულებით სისტემურად და კანონიერ საფუძველზედ დამყარებულად წარმოუდგება. რაკი ამის დამაჯერებელი დასაბუთება „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ სათანადო ადგილას გვექმნება, ამიტომ აქ ამ საკითხზე მსჯელობის გაგრძელება ზედმეტი იქნებოდა.

### თავი მეთხუთე. წ. „საცაგერლოს გამოსავლის დავთარი“ და მისი რაობა

ს. კაკაბაძემ 1914 წ. რუსეთის სამეცნიერო აკადემიის სააზიო მუზეუმის წიგნთსაცავში დაცულ განსვ. აკად. მარი ბროსის ხელთნაწერთა შორის მყოფი მე-XIX ს. გარდანაწერის მიხედვით ერთი ძეგლი გამოაქვეყნა, რომელსაც არც თავი აქვს და არც ბოლო, მაგრამ, რომელსაც ს. კაკაბაძემ „საცაგერლოს გამოსავლის დავთარი“ უწოდა სახელად. დაზიანებულობის გამო არც ამ ძეგლის თარიღი ჩანს და ამიტომ მის დასათარიღებლად საცაგერლოს საბუთები აქვს მე-XVII ს. 60-იან წლებამდის მოყვანილი (გვ. 9—16) და აღნიშნული აქვს, რომ „არც ერთი ამ გლხთავანი საცაგერლოს დავთარში მოხსენებული არ არის. არ არის ამ დავთარში ცნობილი აგრეთვე 1610 წ. ცაგერლის სერაპიონის დროს გიორგი მეფის მიერ შეწირული ზოჩს ტატუა გიორგობიანი არჩვადისეულ მამულზედ მსახლობელი“. ს. კაკაბაძის აზრით, „ეს გარემოება ცხად ჰყოფს, რომ საცაგერლოს გამოსავლის დავთარი შედგენილი უნდა იყოს 1610 წელზე უფრო ადრინდელ დროს“. შემდეგ ამავე ავტორს ასეთი მოსაზრება აქვს მოყვანილი: „დავთარში ერთი გლხის შესახებ ნათქვამია, რომ ის გიორგი მეფის მოალაპუა და ბეგარა არ მართებს ჰურის ქამისა და ლაშქრობის მეტი, აქ უნდა იგულისხმებოდეს იმერეთის მეფე გიორგი ბაგრატიის ძე, რომელიც გარდაიცვალა 1584 წ. ამისდა მიხედვით საცაგერლოს გამოსავლის დავთარი შედგენილი უნდა იყოს არა უადრეს მე-XVI საუკუნის 80-იან წლებისა და არა უგვიანეს 1610 წლისა, ანუ უეცდ მე-XVI საუკუნის დასასრულს“-აო (გვ. 16).

ს. კაკაბაძის მთელი ეს მსჯელობა სრულებით დაუსაბუთებელია: არავითარი საბუთი არ მოიპოვება არც თვით ძეგლში, არც სხვაგან სადმე, რომ იგი საცაგერლოს დავთარია. ამის გამო არავითარი საფუძველი არ მოიპოვება, თუ რატომ უნდა ყოფილიყვნენ საცაგერლოს შედგენილი გლხები ამ დავთარში

შეტანილნი. არაერთარი საბუთი არ ჩანს, თუ რატომ უნდა დაეთარში მოხსენებულნი გიორგი მეფის მოალაპე გლეხი სწორედ იმერეთის მეფე გიორგის, ბაგრატიის ძის მოალაპე ყოფილიყო. ერთი სიტყვით, მთელ ს. კაკაბაძის ზემომოყვანილ მსჯელობას არაერთარი არც საბუთიანობის ნიშანწყალი ემჩნევა, არც შეიძლება რაიმე დამაჯერებლობის ძალა ჰქონდეს.

ეს ძეგლი მეკომურთა გამოსაღების დაეთარს წარმოადგენს. თავში მოთავსებული გამოურკვეველი სოფლის 7 მეკომურის გამოსაღების აღნუსხვის შენდგომ მოთავსებულია: ს. ჩხუტის 11 მეკომურისა (გვ. 3—5), ზოშხას 1 მეკომურის (გვ. 5), ს. ნაკურალეშის 11 მეკომურის და 1 პარტახტის (გვ. 5—6), ს. საფურცლარს 1 პარტახტის (გვ. 6), ს. აღუს 1 მეკომურის (გვ. 6), ს. ლახეფას 9 მეკომურისა და 3 პარტახტის (გვ. 6—7), —ოყურეშის 17 მეკომურის გამოსაღების შესახები ცნობები, მე-18-ზე ძეგლის ტექსტი წყდება. ამგვარად გადაჩენილია სულ მხოლოდ 57 მეკომურისა და 5 პარტახტის გამოსაღების აღნუსხვილობა. საფიქრებელია, რომ ძეგლის უდიდესი ნაწილი დაკარგული უნდა იყოს.

ამ სოფელთაგან ჩხუტელი, ნაკურალეში, ლახეფა და ოყურეში ლეჩხუმის თემშია და საფიქრებელია ამავე თემის მოსახლეობის გამოსაღების დაეთარს წარმოადგენს. ეს მიწა-წყალი საცაგერლოს სამწყსოს შეადგენდა და ჩვენ რომ დარწმუნებული ვყოფილიყავით, რომ ამ ძეგლში მართლაც ცაგერის საყდრის ყმათა გამოსაღების შესახები ცნობები გვაქვს დაცული, მაშინ მისი საცაგერლოს დაეთარდ მიჩნევა შესაძლებელი იყო. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ზოგიერთი გარემოება ასეთ აზრს სათუოდ ჰხდის.

გამოსაღლის ამ დაეთარში მეკომურთა გადასახადების სია ჩვეულებრივ ისე თაედება ხოლმე, რომ აღნიშნულია: „პურის ჰამა და ტვირთი და მუშაობა“ (მაგ., გვ. 3, 4, 6, 7), ან „პურის ჰამა და სამსახური“ (მაგ., გვ. 4, 5, 6), ან „პურის ჰამა და ლაშქრობა“ (გვ. 4), ან და „პურის ჰამა და სამსახური და ლაშქრობა“ (გვ. 5).

ჩვეულებრივ ასეთი ცნობები განუმარტავია და ნათქვამი არ არის, თუ თვითოეული ამათგანი რას ჰნიშნავს, ვისი პურის ჰამაა, ვისი სამსახური და ვისთან მოლაშქრობაა ნაგულისხმევი ამგვარს შემთხვევაში?

ყველაზე ადგილი გამოსარკვევი ლაშქრობის საკითხია იმიტომ, რომ დაეთარის ამ ნაწყვეტში პირდაპირ აღნიშნულიც არის, თუ ვისთან ედვა ვალად მეკომურს ლაშქრობა, ან უფრო სწორედ რომ ითქვას, მოლაშქრობა: „მეფის ლაშქრობა“-ო, ნათქვამია ამგვარს შემთხვევებში (გვ. 5, 7 და 8). მაშასადამე, „ლაშქრობა“-დ მეფის ჯარში მოლაშქრობის მოვალეობა, სამხედრო ბეგარა ყოფილა ნაგულისხმევი.

სამსახურისა და პურის ჰამის ნამდვილი მნიშვნელობის გამოსარკვევად ის ცნობა გამოგვადგება, რომელიც გოლეთიანს ცქვიტიას შეეხება, რომელიც ნაკურალეშის წმიდის გიორგის ყმა ყოფილა. დაეთარში მის შესახებ სწერია: „მართებს. საყდრის სამსახური და მეფის ლაშქრობა და ცაგერლის პურის ჰამა“-ო (გვ. 5). მაშასადამე „სამსახ-

„ზური“ იმას ეკუთვნოდა, ვის ყმადაც მეკომური ითვლებოდა, ხოლო „პურისკამა“ თურმე ეპისკოპოსს ერგებოდა, მწყემსთმთავრის სარგო-დრანა-საკანონის ერთი შემადგენელ ნაწილთაგანი იყო.

ეს გარემოება, სახელდობრ, რომ ამ ძეგლში მეფისა, საპატრონყმოდ დასაეკლესიოდ გადასახადები ერთად არიან აღნუსხული, ამ ძეგლს ყველა სხვა აქამდე ცნობილი დაეთრებისაგან განსხვავებულ იერს ანიჭებს და განსხვავებული თვისების გამოსავალის დათვრად გვაგულისხმებინებს. ხოლო იქვე ნახმარი გამონათქვამი „ცაგერლის პურისკამა“-ო, გვაფიქრებინებს, რომ ეს დაეთარი თვით საცაგერლოს დაეთარი არ უნდა იყოს, არამედ უფრო საერთოდ დაეთარის შთაბეჭდილებას ახდენს.

მაგრამ იქმება დასავლეთი საქართველოს სხვა საეკლესიოდ, საეპისკოპოზო ყმათა გამოსავალის დაეთრებში „პურისკამა“-ს გარდა ნახმარი გამონათქვამები „ლაშქრობა“ და „სამსახური“ სრულად არ სწერია და ნამდვილად იქაც ყველგან „მფიშის ლაშქრობა“, ე. ი. მეფესთან მოლაშქრება იგულისხმება ისე, რომ ამ დაეთარსა და იმ საეპისკოპოზოების ყმათა გამოსავლების დაეთრებს შორის ამ ტექნიკური თვისების მხრით არავითარი განსხვავება არ იყოს? ამის გადაწყვეტა ამჟამად შეუძლებელია და ამისთვის ჯერ კიდევ დაკვირვება და კვლევა-ძიება საჭირო. მაგრამ როგორადაც არ უნდა გადაწყდეს მომავალში ეს საკითხი, ამ ძეგლის ამ პატარა ნაწყვეტს მაინც ზემოაღნიშნული თავისებურობის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სათიქრებელია, რომ მომავალში დაკვირვება გამორკვევის საშუალებას მოგვცემს, თუ რაზე იყო დამოკიდებული ის სხვაობა, რომელიც მეკომურთა ზოგიერთ ვალდებულებას ეტყობა, რომ ზოგს „პურისკამა და ტეირთი და მუშაობა“ ედვა, ზოგს „პურისკამა და სამსახური“, ზოგს კიდევ „პურისკამა და ლაშქრობა“, ან „პურისკამა და სამსახური და ლაშქრობა“? რას ჰნიშნავდა თითოეული ამ სამ ტერმინთაგანი, რომელიც უკანასკნელ წინადადებაშია, უკვე ვიცით, მაგრამ ამ ვალდებულობის სხვაობისდა გვარად მეკომურთა, ან წოდებრივი, ან საზოგადოებრივი, ან ქონებრივი მდგომარეობაც განსხვავდებოდა, თუ არა, და სწორედ ამ მდგომარეობის სხვაობაზეც იყო ვალდებულების სხვაობა დამოკიდებული, სწორედ ეს საკითხია გამოსარკვევი.

ამ მხრივ ის ცნობაა საგულისხმო, რომელიც მეკომური გოლეთიანის შესახებ სწერია,—რომ ის „გიორგის მეფის მოაღაპე არის და ბეგარა არა მართებს პურისკამისა და ლაშქრობის მეტი“-ო (გვ. 6). აქითგან ცხადია, რომ „პურისკამა და ლაშქრობა“ ისეთი გადასახადები ყოფილა, რომელთაგან ყოველგვარი უპირატესობითა და შეღავათით შემკული მეკომური, აზატიც-კი, განთავისუფლებული არ ყოფილა.

ამისდა მიხედვით შეგველია, რომ ყოველი მეკომური, რომელსაც „ბეგარად“ მხოლოდ „პურისკამა და ლაშქრობა“ ედვა, აზატიცად, ანუ შეუფალად უნდა იყოს ცნობილი.

## თავი მესამე. ძნის ხეობის გამოსავლის დავთარი.

თუ, როგორც დავრწმუნდით, დასაყვანი საქართველოს საეკლესიო ყმათა-გამოსავლების არაერთმა დავთარმა მოაღწია ჩვენამდის, აღმოსავლეთი საქართველოს ასეთ ძველთაგან ჯერ ძალიან ცოტა ჩანს. ერთ ასეთ ძველს წარმოადგენს ყოფილი საეკლესიო მუხეუმის, აწ ტფ. სახ. უნივერსიტეტის სიძველეთა-საცავის, № 593 გრაგნილი. ამ შემოსავლის დავთარს თავი აკლია და ამის გამო უთარილოა. იგი ქსნის ხეობის ერთი, ჯერ გამოსარკვევი, კატეგორიის მცხოვრებთა შემოსავლის სიას შეიცავს.

უთარილობის გამო დრო მხოლოდ დაახლოვებით შეიძლება განსაზღვრული იყოს. ამ ძველის ქსნის ხეობის 1774 და 1781 წლის ხალხის აღწერას დავთარებთან შედარება ნათლად ამტკიცებს, რომ ჩვენი შემოსავლის დავთარი მე-XVIII-ე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს, დაახლოვებით იმავე დროს, ამ საუკუნის მეორე ნახევარს, როდესაც შედგენილია ზემოაღნიშნული ხალხის აღწერის დავთრები. ამ აზრის სიმართლე ცხადი იქნება ჩვენთვის, თუ ამ ორი ძველის ერთისა-და-იმავე სოფლის ცნობებს ერთმანეთს შევადარებთ. მაგ., ავიღოთ ს. შატაკთკარი და პავლიანთ კარი.

1774 წ. ქსნის ხეობის ხალხის  
აღწერის დავთარი.

ქ: პავლიანთ მგელის შვილი კი თი გ  
გვიანა ოთარა და მგელია

აქვე შატაკანთ ბერის შვილი კია  
თი ბ ძელია და თანდილა

აქვე შატაკანთ თანდილას შვილი კია  
თი ბ აბრამ და ივანე

აქვე შატაკანთ ბალის შვილი კია თი ა  
წიკელია

აქვე შატაკანთ თინიბეგის შვილი კია  
თი ა გივი

ყ. საეკლესიო მუხეუმის  
გრაგნილის № 593 შემოსავ-  
ლის დავთარი.

პავლესშვილის გვიანას მამულს  
აქეს ბეგარი ჰური ჩანახი  
ოთხი... და სხვა.

შეტაკის (sic) შვილის აბრამის  
მამულს აქეს...

შეტაკის შვილის წიკლიას მა-  
მულს აქეს...

შეტაკის შვილის ბერის მამულს  
აქეს...

შეტაკის შვილის გივის მამულს  
აქეს...

შეტაკიშვილს ძელიას მამულს  
აქეს...

შედარებითი დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ შემოსავლის დავთარი შესაძლებელია 1771 წ.-ის ხალხის აღწერის დავთარზე ცოტა უფრო ადრინდელი იყოს. ასეთი აზრი იმიტომ იზადება, რომ შემოსავლის დავთარში იხსენიება „შეტაკისშვილის ბერი“-ს მამულს რა აქევს, 1771 წ. ხალხის აღწ.-ის დავთარში-კი უკვე მხოლოდ „შატაკანთ ბერის შვილი... ძელია და თანდილა“ არიან მოხსენებული, თვით „ბერი“-კი აღარა ჩანს. მცხოვრებთა თავების რიცხვიც 1771 წ. დავთარში უფრო მეტია, ვიდრე ზემოთყვანილს შემოსავლის დავთარში.

ძეგლი ია (11) ერთმანერთზე მიწებობული ქალაქის კეფისაგან შედგება. გრაგნილს თავი მოხეული აქვს. რაკი ყოველ კეფს თავში მარცხენა კიდეზე თავისი სათვალავი აქვს, ამის წყალობით ირკვევა, რომ პირველი კეფია მხოლოდ თავში დაჯიანებული.

ამ დავთარში შემდეგი სოფლების მცხოვრებათა გამოსაღებია აღნუსხული:.. შეტაკთ-კარის, პავლეთ-კარის, კაჯრაეთის, მიდელაანთ-კარის, ქენქათ-კარის, ხოზოეთის და გოლგოლეთის.

ამ დავთრის უწყებითი კუთვნილების საკითხი გამოსარკვევია, თუმცა ამ ძეგლის საეკლესიო საბუთთა შორის ყოფნა თითქოს მის ეკლესიისადმი მიკუთნილობას გვაგულისხმებინებს, მაგრამ სხვაფრივ ასეთი ნიშანდობლივი თვისებები არ ემჩნევა. დავთარი საყურადღებოა ცნობით, რომ გადასახადი უძრავ მამაპაპულ ქონებას ედვა: ჩვეულებრივ თვითოეული გამოზღების შესახებ ნათქვამია, ამა და ამის „მამულს აძეს ზეგარი“-ო. ამ ხეობის ეკონომიური ისტორიისათვის ამ დავთარში ზოგიერთი საგულისხმო ცნობა მოიპოვება.



### III. საქოკორაიო და კერძო მეურნეობის შემოსავალ- გასავლის საბუთები

კერძოსა და კოლექტიური მეურნეობის შესასწავლად, რასაკვირველია, ყოველნაირი საბუთი შეიძლება წყაროდ გამოყენებულ იქმნეს. სამონასტრო და საეკლესიო მიწისმფლობელობის ვითარების გასათვალისწინებლად-კი ჩვეულებრივ სიგელ-გუჯართა გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობა „ერთიან სიგელებ“-სა აქვს, რომელთა თვისების შესახებ „ქართული სიგელთა მცოდნეობის, ანუ დიპლომატიკის“ წიგნში ჩქონდა მსჯელობა (1926 წ., გვ. 56—58) და ამის გამო ამ საგანზე აქ საუბარი ზედმეტი იქმნებოდა.

საეკლესიო და სამონასტრო დაწესებულებათა უძრავი ქონებრივი სახსრის ოდენობისა და ვითარების შესასწავლად აუცილებელ წყაროდ, რასაკვირველია, შეუვალობის წიგნები უნდა ჩქონდეს მკვლევარს. ზოგიერთი ამ ძეგლთაგანი ე. თაყაი შეიღოს სქეს სძვლთა სამსავე წიგნში, თ. ჟორდანიას ქკების II წიგნსა და ს. კაკაბაძეს ისტორიული საბუთების წიგნებში აქვს გამოქვეყნებული, მაგრამ, როგორც თ. ჟორდანიას ცნობებითან ჩანს, მრავალი მათგანი გამოუქვეყნებელი იყო და ახლა უკვე დაღუპულია კიდევ.

#### თავი პირველი. ალაპები

სამონასტრო ქონებრივი სახსრის ერთ მთავარ წყაროთაგანს „საკსენებლები“ და „ალაპები“ შეადგენენ. რაკი ამ ორი ტერმინის მნიშვნელობა და იურიდიული ბუნება „ქართული სამართლის ისტორიის“ II-ში მაქვს განმარტებული (იხ. გვ. 436—438), ამიტომ აქ ამ საგანზე სიტყვის გაგრძელება საკირო აღარ არის.

სახსენებელი შემწირველის „დღეგრძელობის“, „მზეგრძელობისა“ და „ცხოვრების კეთილად წარსამართებლად“ იყო ხოლმე დაწესებული, ალაპი-კი შემწირველის, ან მისი ერთ-ერთი მახლობლის სულის ცხონებისათვის. ყოველი ამნაირი შეწირულებაც უქვეყლად აღნუსხული უნდა ყოფილიყო და ამის წყალობით „ალაპის წიგნი“ და „ხულთა მატინანე“ გაჩნდა, რომლებშიც ყოველი ასეთი შეწირულების შესახებ ცნობები იყო ხოლმე შეტანილი. იმის წყალობით იქ შემწირველის ვინაობა ხოლმე აღნიშნული, შეწირვის გაგრძელება მოთხოვნილი, შეწირულების რაობაც დასახელებულია და დაწესებული სახსენებელისა, თუ ალაპის თვისებაც არის განსაზღვრული. ალაპის წიგნებში მრავალი საისტორიო მეცნიერებისათვის, მეტადრე ნივთიერი კულტურისა და ეკონომიური ისტორიისათვის, ძვირფასი ცნობები მოიპოვება.

ალაპის წიგნები ზოგი სრულია, ზოგი შემოკლებული სახით, ამონაყრების მსგავსად არის გადაჩენილი. ძველ ალაპათგან გამოცემულია მთლიანად მხოლოდ ათონის ქართველთა მონასტრის ალაპები მ. ჯანაშვილის მიერ 1901 წ. (იხ. „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი ალაპები“, გვ. 216—277). ამ ძეგლის ახალი, კრიტიკული გამოცემა ვრცელი გამოკვლევითა და დათარიღების ცდით დამზადებული აქვს ნ. ბერძენიშვილს.

იერუსალიმის ქართული მონასტრების ალაპათგან ჯერ მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია გამოქვეყნებული პროფ. ნ. მარის მიერ 1914 წ. პეტერბურგში ასეთი სათაურით „ალაპნი ჯუარისა მონასტრისანი იერუსალიმსა შინა“ (იხ. Bibliotheca Armeno-Georgica, III).

დანარჩენი ალაპებისა და სულთა მატრიანების მხოლოდ პატარა-პატარა ნაწყვეტებია დაბეჭდილი.

სახსენებელი და ალაპები ხშირად საღვდელმსახურო წიგნების კიდებზე იწერებოდა იმ დღის ქვეშე, როდესაც სახსენებელი, თუ ალაპი იყო ხოლმე დაწესებული. მაგრამ ცალკე წიგნად დაწერილი ალაპები და სულთა მატრიანებიც არსებობდა. ჩვეულებრივ აქაც და იქაც სახსენებელ-ალაპების ჩაწერის მხოლოდ სახსენებლის დღის რიგია ხოლმე დატული. სხვათაგან გარეგნულად არავითარი სისტემა არ ჩანს და ამის გამო ამ ძეგლთა წამკითხველს ერთი შეხედვით სწორედ მათი სრული უსისტემობა ეცემა თვალში. მაგრამ ეს პირველი შთაბეჭდილება გარეგნულია და მცდარი. ვინც ამ ძეგლების შინაარსს გულდასმით შესწავლის, დარწმუნდება, რომ ალაპების გაჩენის სრულებით გარკვეული სისტემა და წესი ყოფილა. თავისდათავად ცხადია, რომ, ალაპებში უხეად გაფანტული მნიშვნელოვანი ცნობების ჯეროვნად შესაფასებლად, შეკვლევისათვის წინასწარ სწორედ ამ სისტემისა და წესის შესწავლაა საჭირო. ამიტომ ეს საკითხი აქაც ზოგადად უნდა იყოს განხილული.

შემომწირველთათვის დაწესებული სახსენებლისა და ალაპის თვისება ყოველთვის ერთნაირი როდი იყო, არამედ ერთმანერთისაგან განსხვავდებოდა. მაგრამ განსხვავება შექთხვევითი მიზეზებით გამოწვეული არ ყოფილა და არც თვითნებობის წყალობით იყო წარმოშობილი, არამედ სრულიად გარკვეული ეკონომიური პრინციპის მიხედვით ყოფილა სამ მთავარ ჯგუფად დაყოფილი შემომწირველთა სამი ჯგუფისდა მიხედვით.

ათონის ქართველთა მონასტერში გაჩენილი ალაპების შინაარსის გულდასმითი შესწავლა აღნიანს დაარწმუნებს, რომ შემომწირველნი და საზოგადოდ ყველანი, რომელთათვისაც სახსენებელი, თუ ალაპი გაჩენილი იყო, სამ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი: პირველ ჯგუფს ჩვეულებრივი „შემომწირველნი“ შეადგენდენ, მეორეს კიდეც—„დიდი შემომწირველნი“ ეკუთნოდენ, ხოლო მესამეს—„მანებელნი“. ამისდა მიხედვით გაჩენილი სახსენებელი, თუ ალაპიც სამგვარი იყო ხოლმე.

ჩვეულებრივ შემომწირველთა ჯგუფს ისინი ეკუთნოდენ, რომელთაც დაწესებულებისათვის „შემოწირავს მ(8) დრამკანი“ (ათ. ალაპ., გვ. 250, § 150). ეს, როგორც ჩანს, შემოწირულების ის მინიმუმი იყო, რომლის ნაკლებ ალაპის გაჩენა არ შეიძლებოდა. მაგრამ ამავე

დროს ის სააღაპო შესაწირავის პირველი ჯგუფის ნორმას წარმოადგენდა. ეს გარემოება იქითგან ჩანს, რომ ვარდან კოსტანტინეს ძისა და მისი მეუღლისა და შვილის შესახებ ნათქვამია: მათი შემოწირულებისათვის „გარდაიკდებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა, ვითარცა შემომწირველთაჲ, რომელთაჲ შემოუწირავს C (8) დრაქკანი“ (იქვე).

შემოწირულების რაოდენობის აღნიშვნის მაგიერ ჩვეულებრივ ამ პირველი ჯგუფის შესახებ ნათქვამია ხოლმე, ალაპი და მოსახსენებელი მოუწყოს „ვითარცა სხუათა შემომწირველთა“-ო, მაგ., ათანასე ძმისათვის, რომელმაც „მოსცა ეკლესიასა დრაქკანი პერპერაჲ“, „აღესრულებოდენ საკსენებელი ყოვლითა წესითა, ვითა სხუათა შემომწირველთაჲ“-ო (ათ. ალაპ., გვ. 231, § 57, იხ. აგრეთვე, გვ. 227, § 47 და 218, § 5 და სხვაგანაც).

შემომწირველთა მეორე ჯგუფს დიდი შემოწირულების შემტანნი შეადგენდნენ. მათ „დიდნი შემომწირველნი“ ერქვათ. შეწირულების რაოდენობა, რასაკვირველია, ჩვეულებრივზე, ე. ი. 8 დრაქკანზე საგრძობლად მოზრდილი უნდა ყოფილიყო, თორემ ისე მისი რაოდენობა განსაზღვრული არ იყო, რათგან მთლად შემწირველის გულუხეობაზე იყო დამოკიდებული. მაგ., იოანე მწიგნობართ უხუცესმა რომ დამწვარ კელინთა ასაგებად 5 ლიტრა პერპერას ოდენი ფული და განძი შესწირა, ამისთვის გაეჩინა ისეთი სახსენებელი და ალაპი, „ვითა სხუათა დიდთა შემომწირველთა და მაშენებელთათვის ითქუმის“-ო (ათ. ალაპ., გვ. 261 - 263).

მონასტერი შემოწირულების მართო განსაზღვრულ ოდენობას-კი არ აქცევდა ყურადღებას, მართო ფულად სახსარს-კი არ აფასებდა, არამედ იმასაც, თუ რა პირობებსა და გარემოებაში იყო გადმოცემული შემოწირულება. ამასთანავე სამწერლობო ბეგლების შესაწირავსაც ფულად შესაწირავზე ნაკლებ ფასს არ სდებდა ისევე, როგორც მონასტრისათვის გაწეულ უფლებრივსა და გველნიანობით აღმოჩენილ დახმარებას ზოგჯერ დიდი შემოწირულების თანაბრად სთვლიდა ხოლმე. მაგ., იოანე მწიგნობართუხუცესის მართო ქონებრივ დახმარებას-კი არ იხსენიებენ ალაპში, არამედ ისიც აქვთ ბერებს ხაზგასმით აღნიშნული, რომ „გამოგვჩნდა შემწე კეთილი მოქირვებულობისა ჩვენისაჲ“ (გვ. 261 - 263). ირისე ფურთაფალად ყოფილის შესახებაც აღნიშნულია, რომ მას ალაპი გაეჩინა, „რამეთუ ეამსა ქირისასა მოსცა მონასტერსა პერპერაჲ : მე : (45) სტამენონი ახალი ლიტრაჲ : კ : (20 : გვ. 233, § 65).

კოსტანტი პროედროსისათვის იმიტომ გაუჩენიათ ალაპი, რათგან „მისითა შუამდგომელობითა დიდნი წყალობანი მოგუფინნა... მეფემან“-ო (გვ. 235, § 74). ფარსმან თმოველსაც თურმე ამავე გარემოებისათვის გასჩენია ალაპი „რამეთუ მრავალნი წყალობანი ქმნნა ჩუენზედა წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფისა“-ო (გვ. 239, § 89).

ამგვარადვე იოანე რუს-ყოფილს ალაპი, „ვითარცა სხუათა შემომწირველთათვის“ ხუთი წიგნის შეწირვისათვის გასჩენია (გვ. 227, § 47). სუმეონ ხერკელსაც 5 წიგნის შეწირვისათვის (გვ. 218, § 5) და პეტრე ხუცესს კიდევ 8 წიგნის შეწირვისათვის (გვ. 223, § 32). დასასრულ, იოანე ბანტუასთვის პანაშვილის

გაჩენის საბუთად დასახელებულია, რომ მან მონასტერს თავისი ნამუშავევი 10 ძირი ზეთისხილი და 15 პერპერა შესწირა, მაგრამ „უფროაჲს-ლა მსახურებულობისთვის მონასტრისა“-ო (გვ. 219, § 14).

მცირერიცხოვანსა და უმაღლეს ჯგუფს „მაშენებელნი“ შეადგენდენ, ე. ი. პირნი, რომელთა აგებულიც იყო ეკლესია, ან მონასტერი. მათი სახსენებელი და აღაპი, რასაკვირველია, უარესი ბრწყინვალეობითა და შესაძლებელი სიმდიდრით იყო ხოლმე გადახდილი. ასე იყო, მაგ., ათონის ქართველთა მონასტრის დამაარსებლის იოანე მთაწმიდელის, „მაშენებელისა ამის დიდებულის ლაერისაჲ“ დაწესებული (გვ. 217, § 1).

მონასტრისათვის განსაკუთრებული დახმარების გაწევისა 'და მეტად უხვი შეწირულებისათვის სავანის ძმობას ეს ღვაწლი ზოგიერთ შემთხვევაში იმდენად დიდად მიუჩნევია, რომ თითქმის დაწესებულების აღმაშენებელთა თანასწორად უცნია და სახსენებელი და აღაპიც ისეთივე დაუწესებია, „ვითა მაშენებელთათჳს ხწერია“. მაგ., ასეა დადგენილი იოანე ბუქაჲს ძის შესახებ, რომელმაც დიდი ფულადი შეწირულების გარდა, „მონასტერსა შინა დადგაკოშკი ზღუდისაჲ კარგი და სხუანი მრავალნი კეთილნი, სულიერნი და კორციელნი, ქმნა, მრავალნი ნაშენებნი შინა და გარე აღაშენა“-ო (გვ. 226, § 43).

ამგვარადვე გიორგი მაგისტროსის შესახებ, რომელსაც ათონის მონასტრისათვის „ჯუმლად მ (40) -სა ლიტრისა განძისა საკმარი“ შეუწირავს, ნათქვამია, რომ „ყოველთა კათოლიკეთა კუერექსთა შინა იკსენებოდის ჟამის წირვისათა, მწუხრისათა და ცისკრისათა მაშენებელთა თანა“. ხოლო დიდ ხუთშაბათს „მისთჳს აღესრულოს ყოველი წესი ლოცვისაჲ, ვითარცა მაშენებელთათჳს სწერია“ და ამას გარდა „აღაპი გარდაიკადონ ზემოწერილითა ლოცვისა განგებითა, ვითარცა მაშენებელთა“-ო (გვ. 230—231, § 56).

შემომწირველის ღვაწლის ოდენობის მიხედვით აღაპის განგებაც განსხვავდებოდა ისე, რომ ამისდა გვარად შესაძლებელია განისაზღვროს, ჩვეულებრივი, დიდი, თუ მაშენებელთა სწორი შემწირველი იყო ის პირი, რომლისათვისაც აღაპია გაჩენილი. სავანის ძმთა სახსენებლის დროს დაწესებული იყო, რომ „სერობად სამ-სამი კრასოველი ხუდების ძმათა, რათა სუან“-ო (გვ. 217). ჩვეულებრივ შემწირველთათვის-კი 4 კრასოველი იყო დაწესებული (გვ. 219, § 12,—225, § 37, 38,—238, § 85,—239, § 94 და სხვაგანაც). შემდეგ მოსდევს 5 კრასოველი (გვ. 265, § 160), რომელიც იშვიათია, ხოლო დიდ შემომწირველთათვის 7 კრასოველი (ბევრგან) და მაშენებელთათვის 8 და მეტიც.

ამის გათვალისწინებით შემწირველის ღვაწლისა და ქონებრივი დახმარების თვისების დაახლოვებით მაინც გათვალისწინება იმ შემთხვევებშიც შეიძლება, თუნდაც ცნობა შეწირულება-ღვაწლის შესახებ აღაპის ამონაკრებში გამოტოვებულიც იყოს.

რაკი აღაპების ცნობათა მეცნიერული მნიშვნელობის შესახებ უკვე ნათქვამი გვექონდა, ეხლა უნდა მხოლოდ მათი ნაკლიც აღვნიშნოთ. მათი მთავარი ნა-

კლი უთარილობაა. იშვიათი შემთხვევაა, რომ ალაპი დათარიღებული იყოს. ამ გარემოების გამო ზოგჯერ ძვირფასი ცნობის გამოყენება შეუძლებელი ხდება, რათგან ქრონოლოგიური განუსაზღვრელობის გამო მსჯელობა სახიფათოა ხოლმე. ამავე მიზეზით ალაპების ცნობათა გამოყენებამდე მათი დროის დაახლოებით მაინც გამორკვევაა აუცილებელი, რაც ხშირად ბევრ შრომასა და დიდ დროს მოითხოვს ხოლმე. მაგრამ ალაპებში გაბნეული ძვირფასი ცნობების გამო სასურველია, რომ გამოუცემელი სათანადოდ გამოიცეს და შეკლევარმა დრო და ენერგია არ დაიზოგოს მათ დასათარიღებლად.

### თავი მეორე. ნაღვანისა და დანახარჯის ანგარიშები

წესიერი მეურნეობისა და ცხოვრების მიმდევარს ყოველ კერძო მფლობელსა, თუ დაწესებულებას თავისი ნაქმარისა და მოღვაწეობის, შენაძენისა, თუ ნასყიდობის, შემოსავლისა, თუ დანახარჯის წიგნები და საბუთები უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდევაც. გ. მთაწმიდელი, როგორც ცნობილია (იხ. ამის შესახებ ჩემი „ისტორიის მიზანი და მეთოდები“, მე-2 გამოცემა, გვ. 131—132), თავის საისტორიო ნაშრომის ერთ-ერთ წყაროდ იოანე და ეფთვზე მთაწმიდელებისაგან საკუთარი ხელით დაწერილს, ასეთ „ნუსხებს“ ასახელებს. ანგარიშწარმოება სავალდებულო იყო ყველა სახელმწიფო დაწესებულებისათვის და წელიწადში ერთხელ ყველა საბუთისა და ქონების შემოწმება წესად იყო დადებული. ამის დამადასტურებელი ცნობები ამ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ წიგნში თავ-თავის ადგილას იქმნება მოყვანილი. საქართველოს პოლიტიკური ბედის უკუღმართობისა და ქვეყნის მრავალგზისი აოხრების წყალობით ასეთი თვისების საბუთთაგან მხოლოდ მცირეოდენი-ლა არის გადაჩენილი.

### § 1. მელქიზედეკ კათალიკოზის დაწერილი

ამგვარ საბუთთა ჯგუფს ეკუთვნის შინაარსის მხრით მელქიზედეკ კათალიკოზის „დაწერილი“, რომლის ტექსტი პირველად დ. ჩუბინაშვილმა დაბეჭდა თავისი ქართული ქრესტომათიის პირველ გამოცემაში (გვ. 203—208) და მეორეჯერ მე-XII და მე-XVII სს-ის პირების მიხედვით სრულად თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა „ქრონიკების“-ს მეორე წიგნში (გვ. 31—36).

რაკი ამ საბუთის ზემოაღნიშნულ ორთავე გარდანაწერს თარიღად ქრონიკონი: სმ: (240) უზის, ანუ 1020 წ. ქ. შ., ამიტომ თ. ჟორდანიამ ფიქრობდა, რომ დ. ჩუბინაშვილი, ბაქრაძე და ბროსიე შესცდნენ, როდესაც „ეს სიგელი მიაწერეს 1040 წ.“ (გვ. 31). მაგრამ საკითხი ისე მარტივი არ არის, როგორც თ. ჟორდანიას ჰქონდა წარმოდგენილი.

საქმე ის არის, რომ მელქიზედეკ კათალიკოზის ამ „დაწერილს“ ამტკიცებს ბაგრატი, ვითარცა „აფხაზთა მეფე და კურაპალატი“ (იხ. ქ. კბი, II, 35). რომელი ბაგრატი უნდა იყოს ამ საბუთის დამამტკიცებელი, მე-III-ე, თუ მე-IV, ამ საკითხს მელქიზედეკ კათალიკოზის სამი ცნობა სწვევს: ერთი ხატის შესახებ ნათქვამი აქვს, რომ „მიბოძა კოსტანტინე ბერძენთა მეფემან“, ღვთისმშობლის ხატი-კი „მიბოძა ბასილი ბერძენთა მეფემან“-ო (ქ. კბი,

II, 32). დასასრულ, მას მოხსენებული აქვს ბერძენთა მეფისა რომანოზისა ნაბოძარი შესამოსელი ოქრო-ქსოვილი“-ო (იქვე, II, 33). რაკი ბიზანტიის ამ კეისრებისაგან მელქიზედე კათალიკოზს ეს ნივთები პირადად მიუღია, ცხადია, რომ ყველანი მისი თანამედროვენი და ერთიერაზმანერთის მომდევნო მეფეები უნდა ყოფილიყვნენ. ამიტომ უეჭველია, აქ ბასილი II ბულგაროკტონოსი (976—1025), კოსტანტინე VIII (1026—1028) და რომანოზ III (1028—1034) კეისრები უნდა იგულისხმებოდნენ. აქითგან ცხადი ხდება, რომ მელქიზედე კათალიკოზის „დაწერილი“, რომელშიც რომანოზ მეფის ნაბოძარი იხსენიება, არას გზით არ შეიძლება 1029 წელზე უწინარეს ყოფილიყო დაწერილი. ამიტომ იმისდა მიუხედავად, რომ ამ საბუთის გარდანაწერში ქრონიკონად 240 სწერია, ეს თარიღი, 1020 წ. უეჭველია, მცდარია და დედანში არ შეიძლება ასეთი თარიღი ყოფილიყო.

1020 წ. დაწერილობის წელიწადად მიჩნევის მთელ შესაბამობას, ზემოაღნიშნულს გარდა, კიდევ შემდეგი გარემოებაც ამჟღავნებს: მელქიზედეს თაენის საბუთის ბოლოს ნათქვამი აქვს: „ღვთივ დიდებულნო, ძლიერო ბაგრატი აუხახუთა მეფეო და ნებითა ღვთისათა ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატიო და ძლიერო მეფეო კვრიკე... ესე დაწერილი და განგებული სულისა ჩემისათვის კელითა თქვენითა დამიპტიკეთ“-ო. კათალიკოზის ეს თხოვნა ორსავე ამ მეფეს აუსრულებია კადევაც (ქვბი, II, 35). ამ ცნობითგან ცხადი ხდება, რომ ბაგრატი და კვრიკე მეფეები მელქიზედე კათალიკოზის თანამედროვენი უნდა ყოფილიყვნენ. ხოლო ცნობილია, რომ საქართველოში 1020 წ. მეუღე ბაგრატი არ ყოფილა, არამედ გიორგი I. ამიტომ, თუ ამ საბუთში ბაგრატი III იგულისხმება, არას გზით იგი 1014 წ. მერმინდელი არ შეიძლება იყოს, ხოლო, თუ ბაგრატი IV არის ნაგულისხმევი, შეუძლებელია 1028 წ. ადრინდელი იყოს. ამგვარად სრულებით უცლობელია, რომ ამ საბუთის თარიღად 1020 წ. მიჩნევა არას გზით არ შეიძლება და ამ შემთხვევაში სწორედ თ. ჟორდანიას სცდებოდა და მელქიზედე კათალიკოზის ამ საბუთის დაწერილობის თარიღად :სა : (260) ქრონიკონი, ანუ 1040 წ. უფრო დასაჯერებელია, ვიდრე მე-XII და მე-XVII ს.—ის გარდანაწერში დაცული 240 ქრონიკონი, ანუ 1020 წ.

მელქიზედე კათალიკოზის „დაწერილი“ მისი მოღვაწეობის ნივთიერი შედეგისა და ნაყოფის აღნუსხებას შეიცავს და შინაარსით ორ მთავარ ნაწილად იყოფება.

პირველი ნაწილი უსურათებს მკითხველს საკათალიკოზო საყდრისათვის გაწეულ მიაღწელს, მის შემკობას, როგორც აღმამენებლობითა, ისევე ტაძრის ყოველივე სამსახურებელით უზრუნველყოფით: „ყოვლითა სამკაულებითა ოქროთა და ვეცხლითა, თუალითა და მარგალიტითა და საღმრთოთათა წიგნებისა დაწერითა“ (ქვბი, II, 31).

მეორე ნაწილი საკათალიკოზო დედაქალაქის საკუთრებად და ქონებად შენაძენის აღნუსხვილობას წარმოადგენს და ასეთი წინადადებით იწყება: „და მონასტერნი და სოფელნი, რომელ მე მომიგვიან ამის წმიდის დედაქალაქისთვის“, ხოლო შემდეგ ჩამოთვლილია, თუ სად რა შეიძინა (ქვბი, II, 33—34).

საბუთის ამ ორ მთავარ ნაწილს ერთმანერთისაგან პირველი ნაწილის ბოლოში მოთავსებული განკვეთილობის ნიშანი : — ჰყოუს (იქვე, II, 33).

ეს საბუთი საგულისხმო ძეგლია როგორც ქართული კულტურის ისტორიისათვის, ისევე ძვირფასი წყაროა ეკონომიური ისტორიისათვისაც, კათალიკოზთა და ეკლესიის საშეურნეო მოღვაწეობის გასათვალისწინებლად.

## § 2. ნიკორწმინდის XI ს. სიგელი

მსგავსივე თვისებისაა, მაგრამ უფრო დაწვრილებითი და ნიშანდობლივი ცნობების შემცველი საბუთია ნიკორწმინდელის „დაწერილი“, რომელიც თ. ჟორდანიას უბოვია ნიკორწმინდის საბუთთა შორის „ტყაის“ (აღბათ ეტრუატი უნდა იგულისხმებოდეს) გრაგნილზე ნუსხა-ხუცურად დაწერილი და ქრონიკების II, 43—49 დაუბეჭდია. ამ ძეგლის დაზიანებულობის გამო მისი თავი და ბოლო დატული არ არის და ამიტომ არც მისი დამწერელის ვინაობა ჩანს და არც თარიღი.

თ. ჟორდანიას შეეველია მართალი იყო, როდესაც ეს საბუთი მე-XI ს. მიაკუთნა და მის დამწერელად ნიკორწმინდელი მიიჩნია, მაგრამ ძნელი სათქმელია, რამდენად სწორე უნდა იყოს ამავე მკვლევარის აზრი, რომ „ამ სიგლის მიმცემელი არის კირილე, ძე ერისთავთ-ერისთავისა რაჭისა“. თუმცა მას გადაპკრით აქვს ნათქვამი: „ჩვენ ექვი არა გვაქვს“-ო (ქვები, II, 43—44), მაგრამ ამის ერთად-ერთ საბუთად მხოლოდ ის მოსაზრება მოეპოვება, რომ „სიგელიდამ ჩანს, რომ შემწირველი მდიდარი და წარჩინებული კაცი ჩანს“-ო (იქვე). რასაკვირველია, მართო ასეთი მოსაზრება თ. ჟორდანიას დებულებას ვერც უშუალოდ მიახლოებს და ვერც დამაჯერებლად აქცევს.

ეს ძეგლი უცნობი ნიკორწმინდელის ზეობის დროის მოღვაწეობის აღმწესხველია. თუმცა საბუთს თავი აკლია, მაგრამ, რამდენადაც დატული დასაწყისითვან ჩანს, თავში ნიკორწმინდისათვის საალაპოდ შეწირულების შესახები ცნობები ყოფილა მოთავსებული და თანაც იმის ანგარიშიც იყო, თუ როგორ და რისთვის იქმნა გამოყენებული. ძეგლის ამ პირველი ნაწილის უმეტესი, დასაწყისი კეფების დაზიანებულობის გამო, დაკარგულია. ამ პირველ ნაწილსაკ მეორე ნაწილის მსგავსად, უეჭველია, თავისი შესაველი წინადადება ექმნებოდა.

საბუთის მეორე ნაწილს წინ ასეთი ზოკადი წინადადება უძღვის: „და რომელ მე მიყიდიან გლეხნი და მიწანი და მათთჳს გამიციემა ეკლესიისაგან განძად და პირუტყულად“-ო (ქვები, II, 45) და შემდეგ ჩამოთვლილი აქვს, სად და ვისკან რა შეიძინა და რამდენი და რა გადაიხადა ფასად და შენაძენსაც რა დანისშულება მისცა. ამგვარად, საბუთის ეს მეორე ნაწილი ნიკორწმინდელის მოღვაწეობის აღმწესხველობას გარდა, დანახარჯის ანგარიშსაც წარმოადგენს.

ამ მეორე ნაწილს ბოლოში ნასყიდობისა და შემონაწირის შესახებ ნიკორწმინდელის ასეთი ერთრიცხვადი ცნობა მოიპოვება: „რომელ ჩემობასა

გლებნი შემოწირულ არიან და რომელნი მე თვთ მიყიდიან რიცხვთ ოცდაათი“-ო. ხოლო შემდეგ ნათქვამია, რომ ყველა ზემოაღნიშნული შენაძენი ნიკოლოზ-წმინდის საყდარს სრულად ხელთ აქვს, კიდეც: „ესე, რომელ აქა შინა დამიწერია, ყოველი დაუკლებლად წა ნიკოლოზს აქუს“-ო (ქეძი, II, 49). საფიქრებელია, რომ ანგარიშის ბოლოში ასეთი ცნობის დართვა მაშინ წესად უნდა ყოფილიყო მიღებული.

იმ პრაქტიკულად საყურადღებო ცნობების წყალობით, რომელიც ნიკორ-წმინდელის ამ საბუთში უხვად მოიპოვება, ამ ძეგლს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ნიკორწმინდელის სამეურნეო მოღვაწეობის, ისევე საქართველოს ეკონომიური ისტორიისა და არა-ერთი სხვა საკითხის შესასწავლად და გამოსარკვევად.

სამწუხაროდ, ამ ძეგლის დედანი, რომლის მიხედვითაც ეს ძეგლი თ. გუბანიას გამოკემული ჰქონდა, არსად ჩანს და, როგორც ეტყობა, დაკარგული უნდა იყოს.

შემდეგ-დროინდელი ამგვარი ძეგლები ჯალალედინისა და მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის დროს უნდა იყოს დაღუპული და მე-XVIII ს-მდე ასეთი საყურადღებო საბუთები ჯერ არ ჩანან.

### § 3. ათანასე ტფილელის ნაღვაწის ანგარიში

მეტად საგულისხმოსა და მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს ამილახვარის შვილის ათანასი ტფილელის მოღვაწეობის აღწერილობითი საბუთი, რომელიც დაბეჭდილია ს. კაკაბაძის მიერ „ისტორიული საბუთები“-ს მე-V წიგნში (ტფილისი, 1913 წ., გვ. 55—60).

გამომცემელს ამ საბუთის დაწერილობის თარიღად 1740 წ. აქვს მიჩნეული, რაიც თავში იქ მართლაც სწერია: „ქეს აქეთ: ჩლმ“ (იხ. გვ. 55), ე. ი. 1740 წელი. მაგრამ საქმარისია აღამიანმა ეს ძეგლი გადაიკითხოს, რომ დარწმუნდეს, თუ რამდენად საეჭვო უნდა იყოს ეს თარიღი, ვითარცა ამ საბუთის დაწერილობის წელიწადი. იქ ნათქვამია, „საქართველოს პატრიარქმა... დომენტიმ (მე ამილახვარის შვილი ათანასი, პროველი) პროვლობით ტფილელად მომცვლა ქეს აქეთ ჩლმ (1740 წ.) ივლისის ზ“ (7-ს: გვ. 55). ცხადია, რომ ეს 1740 წ. ათანასი ტფილელის ტფილისის საეპისკოპოსოში მოღვაწეობის ნხოლოდ დასაწყისის თარიღია.

ტფილელად დანიშნვის ამბის შემდგომ, ათანასეს თავისი სამეურნეო მოღვაწეობა აქვს აღწერილი და გაწეული ხარჯებისა და შენაძენის ანგარიშიც დაწერილებით უწერია. ეს ანგარიში იმდენად დიდი და ვრცელია, რომ ოთხი დიდი დაბეჭდილი გვერდი უკავია. ცხადია, მართო ამის გამოც შეჟღელბულია, რომ ეს საბუთი ათანასე ტფილელის მართო 1740 წ. ექვსი თვის ნაღვაწის ანგარიშს წარმოადგენდეს, არამედ იქ მოყვანილი უნდა იყოს წელთა მთელი რიგის განმეულობაში გაწეული დანახარჯის ანგარიში.

ეს საბუთი რომ არას გზით არ შეიძლება 1740 წ. იყოს დაწერილი, ამას თვით მისი შინაარსიც ამჟღავნებს. იქ სხვათა შორის ნათქვამია: „მანამდო



სინ ყენი მოკუდებოდა, აბანოსი, თუ ქარვასლისა, თუ ამ გირაოვებისა დუქნისათვის ბეგარა მიმიცემია ას და სამი თუმანი, ოთხი მილანთუნი და ერთი აბაზი“-ო (გვ. 56). მას შემდგომ, რაც 1732 წ. ნადირ-შაჰმა სპარსეთის უზენაესი ხელისუფლება შაჰ-თაჰმას წაართვა და 1736 წ. სპარსეთის უცილობელ ბატონ-პატრონად იქცა, 1747 წლამდე, როდესაც თვით ნადირ-შაჰი მოკლულ იქმნა, სპარსეთის მბრძანებელთაგანი არაფერ მომკვდარა. ცხადია ამის გამო, რომ ათანასე ტფილელს თავის ზემომოყვანილ ცნობაში შეიძლება მხოლოდ ნადირ-შაჰის სიკვდილი ჰქონდეს ნაგულისხმევი. მართო ამ გარემოებითაგანაც ცხადი ხდება, რომ ათანასე ტფილელის ეს ანგარიში შეუძლებელია 1747 წ-ზე აღრიხდელი იყოს.

ამასვე შემდეგი გარემოებაც ადასტურებს. ათანასე ტფილელს ნათქვამი აქვს, რომ ტფილისის საყდრის შესვეურებმა „მითხრეს ოსმალთაგან და ავის დროსაგან განსაცდელეები აგვიტყდა, ამაში საქმე გაგვიქირდაო, ვალი ავიღეთო, სამოცდაათოთხმეტი თუმანიო, მოვალეს და თეთრის პატრონს ეს გირაოვები (sic) მივეციეთო... სამრეკლოს მალალი ოთახი“-ო (გვ. 56). შემდეგ-კი ირკვევა, რომ „დარჩიას ქონდა სამრეკლოს მალალი ოთახი გირაოდ ერთს თუმნად ი“გ (13) წელიწადს“ (იქვე, გვ. 57). ოსმალთაგან მიყენებული გაქირვება და „ავის დროსაგან განსაცდელეები“ უძველესია ჯერ ოსმალთაგან და შემდეგ სპარსეთის მბრძანებლის ნადირ-შაჰისაგან დაწესებულ აუტანელ გადასახად-ხარკს უნდა ჰკულისხმობდეს, ე. ი. 1734 -- 1747 წ. ამბებს ეხება. თუნდაც რომ სამრეკლოს მალა მდებარე ოთახის დაგირაობა ოსმალთაგან მიყენებული გაქირვების შედეგად ვიცნათ, მაშინაც ცხადია, რომ ამ ოთახის გამოსასყიდად მიცემული ფულის შესახები ცნობა შეუძლებელია 1747 წ-ზე აღრიხდელი იყო, რათგან ოთახი 1734 წ. მერმე 13 წლის შემდგომ ყოფილა დახსნილი.

მაგრამ ამაზე მეტის თქმაც შეიძლება. ათანასე ტფილელს ერთგან ნათქვამი აქვს კიდევ: „ამის სახსარი კახთ მეფის ეშვიკალასბაშმან სულხანა“-მა მომკაო, ხოლო მეორე დაგირაობული დუქნის გამოსახსნელად „სახსარი ძემან მეფის თეიმურაზისამან, ჩემმა მოწყალემ ირაკლიმ მიბოძა“-ო (გვ. 57). შემდეგ ირკვევა, რომ კახთა მეფის ეშვიკალასბაშად მოხსენებული სულხანი „ნეფის (sic:?) ირაკლის ეშვიკალასბაში სულხანი“ ყოფილა (გვ. 59). ამ ამონაწერებითგან ჩანს, რომ ათანასე ტფილელის ანგარიში სხვა და სხვა დროის დანახარკის ცნობებს შეიცავს: ზოგი ხარჯი იმ დროს ყოფილა გაწეული, როდესაც ჯერ კიდევ კახთა სამეფო ცალკე პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, დანარჩენი კიდევ იმ ხანაში, როდესაც ერეკლე უკვე აღმ. საქართველოს ერთად-ერთი მეფე იყო, და თეიმურაზი უკვე აღარ იყო, მაშასადამე, 1762 წ. მერმინდელი ნალვაწის აღნუსხვილობას უნდა წარმოადგენდეს.

ყველა ზემომოყვანილი გარემოებისა და მოსაზრებათა გამო, ეკონებ, ცხადი უნდა იყოს, რომ ათანასე ტფილელის ნალვაწის აღნუსხველ საბუთს თავში რომ თარიღად 1740 წ. უზის, ეს თარიღი მხოლოდ ათანასეს მოღვაწეობის დასაწყისის წელიწადია. თვით საბუთი-კი ათანასეს ხანგრძლივი მოღვაწეობის ანგარიშს წარმოადგენს, როგორც ეტყობა, მოხუცებულობაში უნდა იყოს დაწერი-

ლი. რათგან ერთგან ნათქვამი-კი აქეს: „რაცა შემქლო დაეიხსენ, სიკედლი-ლამდის ცდაში ვარ“-ო (გვ. 56). მაინც-და-მაინც თავის საბუთში 1740 წ-ის შემდგომ დაახლოებით ორათეულ წელიწადზე მეტის ნალეაწი უნდა ჰქონდეს აღნუსხული.

რაკი გამოირკვა, რომ ძეგლი 1740 წელს არ ეკუთნის და სხვადასხვა დროის დანახარჯისა და ნალეაწის შესახებ ცნობებს შეიცავს, ცხადია, რომ იქ მრავლად მოყვანილი ფრიად საგულისხმო და მნიშვნელოვანი ცნობების გამოყენებამდე წინასწარ თვითოეული მათგანის ქრონოლოგიური განსაზღვრაა საჭირო.

#### § 4. ბერბუეის გალაენისა და რუების კეთების დანახარჯის 1749 წ. ანგარიში

აღმ. საქართველოს, სახელდობრ მე-XVIII ს. შუა წლების, ეკონომიური მდგომარეობის წარმოსადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობა ერთს პატარა, მაგრამ დაწვრილებით შედგენილ ანგარიშსა აქვს, რომელსაც თავში ასე აწერილია: „ქ:ლ:თითა: ბერბუეის გალაენის და რუების კეთებას ხელი მივყავით მაისის ათს გასულს, ხარჯი ამის ქვეით წერია“-ო. ანგარიში 1749 წ. არის შედგენილი გიორგობის თვის დამდეგს.

ამ ანგარიშში ჩამოთვლილია რამდენმა მუშამ, ხელოსანმა და ურემმა იმუშავა და რამდენ ხანს, დღეში რამდენი ეძლეოდა ხელფასად და სულ თვითოეულ გასაკეთებელ საქმეზე რამდენი დაიხარჯა.

ამას გარდა აღნიშნულია თვითოეულ მათგანს ჰამა-სმაზე რამდენი პური, ღვინო და სხვა ეძლეოდა დღეში და საერთოდ თვითოეული სასმელ-საქმელი რა დაჯდა.

ამნიარადვე ჩამოთვლილია, რა მასალა დასჭირდა ამ სამუშაოს და თვითოეული მათგანის ფასიც არის დასახელებული ისევე, როგორც შეძენილი იარაღის რაოდენობა და ღირებულებაც.

ამ ძეგლის შინაარსის უაღრესი მნიშვნელობის გასათვალისწინებლად, მაგალითად, ორიოდ ამონაწერის მოყვანაც საკმარისი იქმნება.

გალაენის საძირკველის მოთხარაზედა და შენებაზედა მუშას უმუშავენია ას სამოცდა თუთხმეტს. მუშა ერთ შაურად, რვა მინალთუნი და თუთხმეტი შაური“.

„ოცმა ვალატოზმა საძირკველზედა ქვით იმუშავა. დღეში ერთმა ორ შაურათ, — იქს (sic) ორ მინალთუნს“.

„ალიზი ვიყიდეთ ორმოცდათოთხმეტი ათასი, ათასი ოთხ აბაზათ, — იქს ოთხს თუმანს და ოთხ მინალთუნსა“.

„ალიზი მოზიდა სამოცდაცხრა ურემმა, ერთი ურემი ექვს შაურათ. ჯამი იქსა ორი თუმანი ექვსი შაური (sic)“.

„მუშისა და ვალატოზის ჯამი ცხრაას სამოცდა ათი. მათ უქამია: ერთ კაცს ნახევარ ლიტრა პური, იქს ორმოცდა რვა კოდსა და ნახევარსა. კოდი ორ აბაზათ, იქს ცხრაშეკ მინალთუნს ორ აბაზს“-ო და სხვაც ამგვარადვე.

ეს ანგარიში გაუშინჯია მთავარეპისკოპოსს ტიმოთეს და დაუდასტურებია.

ზემომოყვანილი ამონაწერებითგან ცხადი გახდებოდა, რომ ამ ანგარიშში აღამიანი მაშინდელი მუშაობის წესსაც განსჯერეტს, მუშა-ხელოსანთა ხელფასსა და მუშაობის პირობებსაც გაიგებს და ასაგები მასალისა და ოსმალ-სპარსთა ძალადობისაგან უკიდურეს გაპირებებაში ჩაეარდნილ ქართლში საქნელ-სასმლის იმპროინდელ ფასებსაც შეიტყობს. ეგონებ, ბევრი საუბარი საპირო არ უნდა იყოს, რომ ამ პატარა ძეგლის უარესი მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის ცხადი შეიქმნეს.

### § 5. 1751 წ. დანახარჯის წიგნი

1751 წ. დანახარჯის წიგნის თავში საბუთის შესავლის მსგავსად შემდეგი ცნობა მიუძღვის:

ქ'ს ულთ  
ქ: ლ'თო. შენის: მოწყალებ  
ის: მინდობი (sic)<sup>1</sup>. ჩემის: ს  
ახლების: შენებას:  
კელეყაე: რაც: ამაზე  
დაიხარჯვის: ქვემ  
ორე. სწერია:  
თებერვლის  
| კ | "

ამას უშუალოდ ახალი სტრიქონით მისდევს უკვე დანახარჯის შესახები ცნობები ამ სახით მაგ.:

„ | ტ | ქ: თებერვლის: | კ | მუშა: | გ | ფასი: ხუთშაბათს.

რლ | ქ: ნიჩაბი: ეიყიდე: | გ | ფასი

კე | ქ: | ბარის ტარი: ა |

ფ | ქ: მარტის: | ბ | შაჟათს (sic): მუშა: | ე | ფასი პარასკევს“ და სხვა ასევე.

ამნაირად, თვითოეული დანახარჯი ცალკე სტრიქონად არის დაწერილი და ყოველთვის დათარიღებულია თვისა და დღის რიცხვისა და სახელის აღნიშვნით ისე-კი, რომ ერთხელ დასახელებული თვისა და დღე-რიცხვის სახელი შემდეგში არ აღინიშნება, თუ დანახარჯი იმავე თვის, ან იმავე რიცხვს ეკუთნის და დღის სახელი სტრიქონის ბოლოშია მოთავსებული.

შემდეგ აღნიშნულია დანახარჯის საგანი, ანუ მიზანი, შენაძენის რაოდენობა, ან მუშა-ხელოსნის რიცხვი და მეუმე სწერია სიტყვა „ფასი“, მაგრამ თვით დანახარჯის რაოდენობა, მიცემული ფასი, არას დროს ამ სიტყვის „შემდეგ არ აღინიშნება, არამედ დანახარჯის აღნიშვნელი რიცხვნიშანი ყოველთვის თვითოეული დანახარჯის შესახებს ცნობასა და სტრიქონს წინ უძღვის ისე-კი, რომ ამ რიცხვნიშანის ფასის აღნიშვნელობის შესახებ არაფერია ნათქვამი.

<sup>1</sup> უნდა იყოს „მინდობი“.

წერილ-წერილი, ყოველდღიური დანახარჯის შესახები ცნობების გარდა ადგილ-ადგილ, გრაგნილის მარცხენა კიდეზე, ცალკე დანახარჯის ფასის რიცხვ-ნიშნისათვის განკუთვნილი ადგილის ოდნავ მარცხნივ, ამ ცალკეული დანახარჯების ჯამის აღმნიშვნელი რიცხვნიშნებია მოთავსებული. მაგ., ამ სახით: „1 ოდ ლი“, ან ორ ხაზს შუა: „ოქმე |“, „იბ ძსკე“. ამნაირი დანახარჯის ნაწილობრივ ჯამებს გარდა ამ საბუთში მთელი დანახარჯის საერთო ჯამიც არის გამოყვანილი, მაგ., ამნაირად:

„ამა ზემოთი: სულ<sup>2</sup> ჯამი: ონბ წყე |“, ან მთელი დანახარჯის წიგნის ბოლოს: „ერთათ: იქნა: ჯამი: ონვ წფ“.

მას შემდგომ, რაც ბერბუკის 1749 წ. ანგარიშის წიგნის მნიშვნელობის შესახებ ნათქვამი გეჟონდა, 1751 წ. დანახარჯის ანგარიშის მნიშვნელობაზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტი იქმნებოდა.

### თავი მესამე. ზითვის წიგნები

ყოველი მშობელი თავის გათხოვილ ქალს ზითევს ატანდა ხოლმე. ზითვად გატანებული ქონება ქალის პირად საკუთრებას შეადგენდა და ჩვეულებრივ თვითოეული ცოტად მაინც შეგნებული სახლობა თავის გასათხოვარ ასულს მზითევს წერილობით აღნუსხულს ატანდა ხოლმე. როგორც „ქართ. სა-მართლის ისტორია“-ში (იხ. I, 162) აღნიშნული გვაქვს, საქართველოში ქორწინების სავალდებულო წესადაც იყო, რომ ქორწილის პირველ დღესვე საჯაროდ ყველა სტუმრის თანადანსწრებით ვინმე „წარიკითხის, რასაცა ქალს მას გაატანდიან ზითვად“. მზითვად გატანებული ქონების აღნუსხველ საბუთს „ზითვის წიგნი“ ეწოდებოდა.

ზემოაღნიშნული მიზეზის გამო ძველ საქართველოში მრავალი ზითვის წიგნი იყო, მაგრამ ამათგან, დაუდევრობისა და შეუგნებლობის წყალობით, მხოლოდ მცირედმა ნაწილმა-ლა მოაღწია ჩვენამდე. ჯერჯერობით 4-5-ოდე ზითვის წიგნია გამოცემული.

ზითვის წიგნი გარკვეული წესით იწერებოდა ხოლმე. თავში ყოველთვის მშობლები თავიანთი ასულის გათხოვების გარემოებასა და თავიანთი სასიძოს ეინამბას იხსენიებდენ ხოლმე და შემდეგ დაწერილებით ჩამოთვლილი იყო ყველაფერი და ყველანი, რაც და ვინც ქალს მზითვად მიეცა და გაჰყვა.

ზითვის აღნუსხელობას ჩვეულებრივ „საყდრის იარაღის“-ს შესახები ცნობა უძღოდა წინ (საქ. სიძვ. III, 482), ე. ი. ჩამოთვლილი იყო ხოლმე რამდენი და რა ხატი და ჯვარი მიეცა ქალს.

შემდეგ თან-გატანებული წიგნთსაცაეი იყო აღნუსხული, რომელიც ორ ნაწილად იყოფებოდა. პირველ ნაწილს სასულიერო შინაარსის წიგნები შეადგენდენ. ამ ნაწილს, სადაც სათაური აქვს, აწერია: „ხალმთო წიგნებისაგან“ (სქს სძვლნი, III, 493). მეორე ნაწილს საერო შინაარსის წიგნები შეადგენენ. მას სათაურად აქვს. ან „ხაეროხ წიგნისაგან“ (იქვე, III, 483), ან და „გარეშეს წიგნი-

<sup>1</sup> ეს ნიშანი თქმანს მნიშნავს.

<sup>2</sup> დღანში შეცდომით სწერია: ქულ..

ხაგან“ (იქვე, III, 497). ზოგან საერო წიგნების წიგნთსაცავი სრულებით ცალკე და სხვა ალაგას არის აღნუსხული (იხ. იქვე).

მერმე ზოგადად „სათამაშოები“ არის ხოლმე ჩამოთვლილი, როგორც, მაგ., ქაღრაკი, ნარდი, განჯაფა და სხვა (სქს სძვლენი, III, 483). ზოგან-კი ეს ბოლოშია მოთავსებული (იქვე, I, 408). ზოგს ზითვის წიგნში სათამაშოები სრულებით არ არის შეტანილი.

ამის შემდგომ ჩამოთვლილია ხოლმე „სამკაულნი და საუნჯენი“ (სქს სძვლენი, III, 482). ზითვის წიგნის ეს ნაწილი, რასაკვირველია, გამათხოვებელი ოჯახის შეძლებისდა გვარად, ან ვრცელი და მრავალფეროვანია, ან უფრო მოკლე. მაგრამ ჩვეულებრივ იგი შემდეგ სამკაულ-საუნჯეთა ჯგუფების შესახებ შეიცავს ხოლმე ცნობებს: ქულის, იალქანის, პირის მარგალიტის, ხაყურის, (sic), ჯილის, ყელსაბამის, ყელის ჯაქვის, ანუ ყელჯაქვის, თმის სატანების, გულისპირის ჩამოსავლების და ყოველგვარი ღილის, როგორც, მაგ., პერანგისა, კაბისა და სხვა.

მერმე ბეჭდები და საბეჭდავებია აღნუსხული. შემდეგ მისდევს „საპირისფარეშოსი“ (სქს სძვლენი, III, 485), ანდა სწერია „საპირისფარეშოს იარაღისაგან“ (სქს სძვლენი, III, 495), ან მარტივად „საპირისფარეშოსაგან“ (იქვე, II, 432), რომელშიც ყველაფერია ჩამოთვლილი, რაც-კი პირის სისუფთავისა და სილამაზის დასაცავად მაშინ აუცილებლად საჭიროდ იყო მიჩნეული.

ცალკე ჯგუფად არის გამოყოფილი „აბანოს იარაღი“ (იქვე, III, 485), რომელსაც სათაურად აქვს აგრეთვე „აბანოს იარაღისაგან“ (იქვე, III, 497). ზოგან ეს ჯგუფი ცალკე ნაწილად გამოყოფილი არ არის, არამედ საპირისფარეშოს იარაღთან ერთად არის დასახელებული (იქვე, II, 432). ამას გარდა, ზოგ ზითვის წიგნში ეს ნაწილი სხვა ალაგას არის მოთავსებული (იქვე, III, 497).

შემდეგ ქალის საცეალ-სამოსელის აღნუსხველი ნაწილი მისდევს ხოლმე, რომელსაც რატომღაც ჯერეთ ცნობილ ზითვის წიგნებში, ერთს გარდა, თავისი სათაური არ უჩანს. ამ ერთში-კი სათაურად აქვს: „ტანისამოსისაგან“ (იქვე, II, 433). ეს ნაწილი, რასაკვირველია, ქალის ოჯახის შეძლებისდა მიხედვით მრავალ განსხვავებულ ჯგუფად არის დაყოფილი. ჯერ ჩამოთვლილია „პერანგი და მისი ტოლი“ (იქვე, III, 485), რომელთაც „პერანგი და მისი ამხანაგი“-ც ეწოდება (იქვე, II, 434). აქვეა „შეიღიში“-ც დასახელებული. ამ ჯგუფს ერთ ზითვის წიგნში, რომელშიც იგი უალაგო ალაგას არის მოთავსებული, სათაურად აქვს „პერანგებისაგან“ (იქვე, II, 434).

შემდეგ მისდევს „აბალუხებისა და კაბების“ ჯგუფი, მერმე „ხაგულე“, „ქათიბი“, „ტყავი“, „ტყავ-კაბა“, „ტოლამა“, „წელსარტყამი“, ანუ „წელსაკიდი“ (იქვე, III, 487—488 და 495—496), „ხარტულებისაგან“ (იქვე), „ქელსახოცი“ და დასასრულ ფეხსაცეკლების აღნუსხველი ჯგუფიც.

ცალკე ნაწილს შეადგენს შემდეგ „საწოლის მოფენილობა“ (იქვე, III, 497, რომელსაც ზოგან „საწოლის იარაღი“-ც ეწოდება (იქვე, III, 490).

უბეჭველია, ამ ნაწილის კუთვნილებასვე შეადგენს, მაგრამ ზოგად ცალკე ჯგუფად არის გამოყოფილი „ქუეშაგებელი“ და „ქუეშაფენი“, რომელსაც სათაურის სახით წინ უძღვის „ქუეშაგებისაგან“ (იქვე, II, 433;— III, 498 და

499). ცალკე ჯგუფადევა გამოყოფილი „სუფრის იარაღი“ (იქვე, III, 490), რომელიც ზოგან იწყება სათაურით „სუფრის იარაღისაგან“ (იქვე, II, 433).

ზითვის წიგნის დანარჩენი ადგილი უკვე „ხაფარეშოს იარაღი“-სა, ან „ქარხნის იარაღი“-ს აღწერას ეძღვნება. ჰქონდა დათმობილი (იქვე, III, 491 და 495), ე. ი. სამეურნეო დანიშნულების ქურქებს, ქსოვილებსა და იარაღს. აქვე ჩამოთვლილია „ხაჭაპურეულოს იარაღი“, „სახაბაზოს იარაღი“ და „საწინდროს იარაღი“ (იქვე, III, 491). ზოგ ზითვის წიგნში უკანასკნელი ჯგუფის ნივთები ორ ცალკე ჯგუფად არის აღწერილი. ერთს სათაურად აქვს „საცხენოს იარაღისაგან“, მეორეს კიდეც „ცხენის იარაღი“ (იქვე, III, 499). ზოგ ზითვის წიგნში, რომელშიც უფრო მდიდარი გვიჩვენებს ასულისათვის გატანებული ქონებაა აღწერილი, დარგებდა და მოყოფელი ნაწილებიც უფრო მეტია.

ზითვის წიგნებში ქალისათვის გაყოლებული საქონლის რაოდენობაც არის ხოლმე აღნიშნული თავისი მონიშნებითურთ. მაგ.: „აგრეთვე ცხენის ჯოჯი—ცხრა მისის მეჯოჯით,—სამეხერო გამართულის მისის გუთნის—დედით, სადიასხლისო ფური ცხრა მის დიასახლისით,—ცხვარი ასი მისის მეცხვართა,—ღორი ოცდაათი მისის მეღორითა“ (იქვე, III, 501).

შაჰნავაზს თავისი ასულისათვის საქონელს გარდა მზითვეში ფულიც გაუტანებია „სათავნო“-დ და ზითვის წიგნში ნათქვამი აქვს: „სათავნო თეთრი მარჩილი ათასი,—აგრეთვე ჯოჯისაგან: ჯოჯის ცხენი ორმოცი,—ცხურისაგან: ცხვარი ხუთასი,—აგრეთვე სადიასხლისოგან: სადიასხლისო ძროხა სამოცი“ (იხ. ხელთნაწერი გრაგნილი).

ღიდი საგვარეულოები თავიანთ გათხოვილ ასულებს თან ამალასაც გააყოლებდნენ ხოლმე ზითვად და მათი თანამდებობაც, ვინაობაცა და თან-გატანებული ავლადიდებაც ზითვის წიგნებში დაწვრილებით არის ხოლმე აღნიშნული. მაგ. შაჰნავაზს გაუყოლებია: „აზნაურის ასული პატროსანი გამდელი ერთი თავისი-თავის თვალისა და მარგალიტის სამკაულითა, ორის ოქროს ჯაჭვითა, სამის მწვანის ფრანგულის ხარა-ზარბაზის და დიბის ხასას სიასამურის ტყავებითა, კიდევე სამის იეხდურის დიბის კუერნის და კურდღლის ტყავითა, ოქროსქსოვილის კურდღელზედ გადაკრულის ტყავებითა და თავალითა და მისის ორის ცხრის კულის ოქროსქსოვილის კაბა-აგულითა, სარტყელითა და ყოვლისფერის ტანისამოსითა“. შემდეგ თან-აგატანებული ქონების ასეთივე დაწვრილებითი აღწერილობითურთ ჩამოთვლილი არიან: „პირისფარეში მუახლე“, „მედოშაქე მოახლე“, „მოლარე მოახლე“, „მოახლე სარაჯილოსანი“, ხუთი სხვა მსლებელი, „გამდლის მოახლე ორი“ (იხ. ხელთნ.).

შაჰნავაზს ამ მსლებელი ქალებისათვის თან შესაჯდომი ცხენებიც გაუტანებია და ზითვის წიგნში სწერია: „სამოახლოს ცხენებისაგან: გამდლის საჯდომი თოხარკი ცხენი მისის დახატულის ოზბეგურის უნაგირითა, ვერცხლის რახტითა და ხალასად შეკერილის ასლითა“. ამგვარადევა აღწერილი „პირისფარეშის თოხარკი ცხენი“, „მედოშაქის ცხენი“ და „ამას გარეთად სამოახლო ცხენი თავეთის იარაღით დაკაზმული თერთმეტი“ (იქვე).

მაშაყაც ამალათაგან შაჰნავაზს გაუყოლებია: „აზნაურის შვილები-საგან ზეღენიძე მერქიფეთ-უზუცესი იესე, მერქიფეთ რჩეულიშვილი პაპუნა,

მერიქი ფე აზნაურშვილი ზაალ, მერიქი ფე აზნაურშვილი ბეან, მოლარეთ-შიგამდეგი აზნაურშვილი გიორგი, ამას გარდა მოლარე ერთი, მკერვალი ერთი, მეშარბათე ერთი, ფარეში ორი, ხაბაზი ერთი, მზარეული ერთი" (იქვე).

რა თქმა უნდა, ყოველ გასათხოვარ ქალს ასეთ ამალასა და მსახურთ ვერ გააყოლებდნენ მზითვად, მაგრამ დიდ საგვარეულოს ასულს გამდელი, პირისთარეში, მერიქი ფე, მოლარე, მედოშაქე და რანდენიმე მხლებელ-მოახლე საშობლოთგან ქმრის სახლში მისდევდა ხოლმე (სქს სძ'ვლნი, II, 434 და III, 489—490, 500—501).

ზითვის წიგნებში შეტანილი ნივთების, საგნებისა და საერთო განაყოფების თვითოეული, ოდნავ მაინც მრავალრიცხოვანი, რაოდენობის ჩამოთვლის შემდგომ უმეტეს შემთხვევაში ბოლოში საერთო ჯუშალი, ანუ ჯამიც არის ხოლმე დართული. მაგ.: „იქნა კაბის ჯუშალი ექუსი ცხრა<sup>1</sup> და სამი, ან იქნა ჯამი სარტყლები ცხრა“ (სქს სძ'ვლნი, III, 487),—ან და ტყავ-კაბების ნაწილის ბოლოში „ესე ყოველი სამის ცხრის ნაკერისა ოქროქსოვილის დარაის ბოხებითა“-ო (იქვე, III, 488),—ან არხალუხი „იქნა ჯუშალი შვიდი“ (იქვე, III, 495), კაბებისა „ჯუშალი იქნა თექვსმეტი“ (III, 436),—ჯორბები... მისის წულეებით ჯუშალი ცხრა“ (III, 457), „იქნა ყველას ვერხლის იარაღის ჯუშალი ოქროს თასით ჩვიდმეტი“ (III, 498),—„ჯუშალი სუფრისა ხუთი“ (იქვე),—სამზარეულოს იარაღის „იქნა ჯუშალი ნაქერი სამოცდა თორმეტი“ (იქვე, III, 499) და სხვა.

ზითვის წიგნის ამა-თუ-იმ გჯუფისა, თუ ნაწილის ყოველი ცნობა დაწვრილებით არის მოყვანილი, ყოველი საგანი თითონაც და თვითოეული, ოდნავ მაინც ღირებულების მქონებული, ნაწილიც დაწვრილებით არის აღწუსხულ-დახასიათებული. ეს გარემოება მკვლევარს მნიშვნელოვანი მასალების უხვად გამოყენების საშუალებას აძლევს.

რაკი ზითვის წიგნი მხოლოდ ქალის ზითვის ქონების აღწუსხილობას წარმოადგენს, რასაკვირველია, ამგვარი ძეგლის ცნობების მიხედვით მაშინდელი ოჯახების მთელი ქონებრივი სახსრისა და მეურნეობის წარმოდგენა შეუძლებელია, მაგრამ ქალის მშობლების აელადიდების, ნაწილობრივ მაინც, გათვალისწინების საშუალება აქვს ადამიანს.

უხვი მასალის მოპოვება შეუძლია ზითვის წიგნებში საქართველოს და მახლობელი აღმოსავლეთის ეკონომიური ისტორიის მკვლევარსაც. ზითვის წიგნის ცნობათა დალაგების წესრიგი მაშინდელი მეურნეობის დანაწილებისა და წესრიგის განჭვრეტის საშუალებასაც გვაძლევს: იქითგან საოჯახო, კერძო მეურნეობის დარგების გამოკვეთა და ამ მეურნეობის ორგანიზაციის, ნაწილობრივ მაინც, გათვალისწინებაც შეიძლება. ხშირად იქ გადაშლილი გვაქვს ქალის მშობლების ქონებრივი სახსრის შესაძლებლობის გამოსარკვევადაც არა ერთი ფრიად დამახასიათებელი ცნობა. ქვეყნის კეთილდღეობა ცვალებადი იყო და

<sup>1</sup> ძველ საქართველოში ვეროპიული 12-ობით თელის მაგიერ ცხრა-ცხრაობით სთვლიდნენ ხოლმე.

საგვარეულოთა ქონებრივი მდგომარეობაც ხშირად გამოცვლილა, სიმდიდრეს გაქვრება მოჰყოლია ისევე, როგორც წინაუქმოც დატრიალებულა საქმე. არა ერთხელ ჩავარდნილა საქართველო ისეთ მდგომარეობაში, როდესაც თვით ძველსა და დიდ საგვარეულოებსაც ცხოვრება გასქირვებიათ. აი, მაგ., რას სწერს ჯავახიშვილი-გამრეკელი თავისი ასულის 1597 წ. ზითვის, წიგნში: „მოგეცით ქალი ჩვენ ჯავახიშვილმა-გამრეკელმა... მივათხოვეთ ჩვენი პირმშო შვილი და ასული ჩვენი შამანდუხ ბატონის მეფეთ-მეფისა (იგულისხმება სეიმონის) სახლის-უხუცესისა ზურაბის ძმასა, ბატონსა ივანესა, მივეცით და წარუშმდენათ ზითეად ცხირეთი..., რაკა ჩვენი კერძა მამული იყო... ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ღარიბი ვიყავით. ზითვისა და წესისა ალაგა [არა] გქქონდა“-ო (სქს სძვლნი, II, 49). ეს მოკლე, მაგრამ მრავალმეტყველი, ცნობა აღმ. საქართველოს მე-XVI ს. აზრებისა და გალატაკების გასათვალისწინებლად დამახასიათებელია და სხვა წყაროების ცნობებსაც კარგად უდგება.

ამგვარადვე აღმ. საქართველოს განადგურება-გალაჩიბებას კარგად დგისურათებს იოანე დოლენჯისშვილის ქალის ანნას 1796 წ. ზითვის წიგნიც. წინანდებული სამკაულ-ტანისამოსის რამდენიმე ცხრა-ცხრაობით გადათვლის მაგიერ აქ ყველაფერი, თავსაკრავს გარდა, თითო-თითო, ან მქსიმუმ იორ-ორ, სამ-სამი ცალი დასახელებული (სქს-სძვლნი, I, 404—405). მის მშობლებს ისიც ვერ მოუხერხებიათ, რომ თავიანთი ასულისათვის ქადრაკი სრულად გაეტანებინათ და ზითვის წიგნშიც-კი ნათქვამია: „ქადრაკი ორი პილოს ძელისა, ერთი სრული, მეორეს ორიოთ აკლდა“-ო (იქვეა, I, 408).

ნივთების აღწერის დროს ზითვის წიგნში ხშირად აღნიშნულია ხოლმე მათი სადაურობა, ან იმ მასალისა, რომლითგანაც სამკაული, თუ ტანისამოსი, ან რომელიმე იარაღი არის გაკეთებული. ეს გარემოება, როგორც საქართველოს ეკონომიური ისტორიის სათანადო ადგილას დავრწმუნდებით, მკვლევარს საშუალებას აძლევს, გამოარკვიოს, თუ რა და რა ნივთები, ან ქსოვილები, საითგან შემოჰქონდათ მაშინდელ საქართველოში, ე. ი., მაშინდელი საიმპორტო საგნების სახელწოდებისა და სადაურობის საკითხის გადაწყვეტაა შესაძლებელი. ამის წყალობით შესაძლებელი ხდება იმ სავაჭრო ცენტრების გათვალისწინებაც, რომელთანაც ჩვენ სამშობლოს ძველად ყველაზე უფრო გაცხოველებული სავაჭრო კავშირი ჰქონდა. აქაც დროთა განმავლობაში ეკონომიურსა, თუ პოლიტიკურ სფეროში მომხდარი ცვლილების ანარეკლი ზითვის წიგნების ცნობებშიც მკაფიოდ მოჩანს და თუ მე-XVII—XVIII სს-ის ამგვარ ძეგლებში მე-XVIII ს. უკანასკნელ მეოთხედამდე საქართველოს ურთიერთობა ეკონომიურად მხოლოდ სამხრეთთან და დასავლეთთან ჰქონდა, ამ საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ზითვის წიგნში ადამიანი უკვე აქა-იქ ასეთ დამახასიათებელ ცნობებს ამოიკითხავს, როგორიცაა „შლაპა ერთი“ (იხ. 1796 წ. ზითვის წიგნი, სქს სძვლნი, I, 406) და „ფადნოსი ორი“ (იქვეა, I, 407).

ზითვის წიგნებიდან ირკვევა, თუ რამდენი ხელი საცვალი, ან ტანისამოსი უნდა ჰქონოდა ქალს, რამდენი და რანაირი თავსაბურავი, სამოსელი, თუ ფეხსაცმელი იყო წესად მიღე-



ბული, რა ავლადი დების პატრონი იყო ხოლმე ქალი, როდესაც ის მშობლების ოჯახიდან გამოსული ქმრის სახლში შედიოდა.

რამდენადაც ზითვის წიგნებში გათხოვილი ქალის მხლებელთა და შინა-ყმების ქონებრივი მდგომარეობის სურათიცაა გადაშლილი, იმდენად ამ ძეგლების ცნობების საქართველოს სოციალური ისტორიისათვის გამოყენებაც შეიძლება. მეკვლევარს იქ არა ერთი ისეთი საგულისხმო გარემოების შემჩნევა შეუძლია, რომლის მსგავსს სხვაგან ვერსად იპოვის.

თუ ამასთანავე იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყოველი ზითვის წიგნი საქმრო-საცოლოსა და მათი მშობლების ვინაობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ დაწერილებით მოგვითხრობს ხოლმე და რომ თვით ეს საბუთიც, თუ მთლიანად და დაუზიანებლივ არის დაცული, ყოველთვის ზედმიწევნით არის ხოლმე დათარიღებული, მაშინ ზითვის წიგნების, ვითარცა საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის გამოსადეგი წყაროს, დიდი მნიშვნელობა, სრულებით ცხადი გახდება. სამწუხაროა, რომ თავის დროზე, საბუთების შეგროვების დროს, ზითვის წიგნებს სათანადო ყურადღება არ ჰქონდა და მიპყრობილი და მომეტებული მათგანი დაიღუპა. ზითვის წიგნები რომ მრავლად, ყოველი წრის საგვარეულოთაგან, ხელთ გექნოდა, საქართველოს კულტურული და სოციალ-ეკონომიური ისტორიისათვის ცნობათა ისეთი სიუხვე და სისრულე გვექმნებოდა, რომლის მსგავსის ეხლა წარმოდგენაც-კი ძნელია.

ზითვის წიგნების გამოყენების დამბარკოლებელ სიძნელეს ამ ძეგლებში მრავლად გაბნეული სპეციალური, უმოთხრესად ხელოვნებისა და ხელობის შესახები, ტერმინები შეადგენენ. მათი მნიშვნელობა ადამიანმა თუ არ იცის, მკითხველს ზითვის წიგნი თითქმის რომ უცხო ენაზე დაწერილ ძეგლად ეჩვენება: შინაარსი, თუ მეტად არა, სანახევროდ მაინც მისთვის გაუგებარი დარჩება. ამიტომ ზითვის წიგნების ცნობების სათანადოდ გამოყენება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ქართული სპეციალური ტერმინოლოგია შესწავლილი აქვს.

ამ ძეგლების შინაარსის სათანადოდ გამოყენებას მათი მარტო დაწერილობის თავისებურება-კი არა, არამედ გამოცემის თვისებაც აძნელებს. ქალაქის მომკირნეობის გამო ზითვის წიგნის ტექსტი გაბმულად არის დაწერილი ისე, რომ ნაწილი ნაწილს გაუწვევტლივ მიადევს: მკითხველის თვალსა და გონებას დასვენება არ შეუძლია. ამ გრძელი, მრავალი ცნობით აქრელებული, ძეგლების კითხვის დროს გამოუცდელი მკითხველი დიდი გაკვირვებით მოახერხებს მისი ნაწილების დასაწყისისა და დასასრულის პოვნას, რომ თვითოეული ნაწილის შესახებ მთლიანი შთაბეჭდილება დარჩას.

ყველა ცნობილი ზითვის წიგნის ტექსტი ისევეა გამოქვეყნებული, როგორც ხელთნაწერებშია იგი დაცული. ამიტომ ამ ძეგლთა შინაარსი დაბეჭდისდა მიუხედავად მკითხველზე თავბრუდამსხმელ შთაბეჭდილებას ახდენს და ასეთი ძეგლებით სარგებლობა მარტო იმდენად არის გაადვილებული, რამდენადაც თვალწინ ხელით ნაწერი გრანჯილის მაგიერ დაბეჭდილი წიგნი უდევს. ზემომოყვანილითგან ცხადი უნდა იყოს, რომ ზითვის წიგნების შინაარსი ლოგიკური აღნაგობის მხრივ ცალკეულ ნაწილებად დაყოფილად არის ნაგულისხმევი. ამ გარემოებას სრული უეჭველობით ამ ნაწილების

სათაურებიც ცხადყოფენ. შაჰნავაზისაგან ბოძებული 1667 წ. ზითვის წიგნში ნაწილების დასაწყის-დასასრული გარეგნულადაც განსხვავებულია. ამიტომ უეკველია, რომ ზითვის წიგნების ტექსტი განუწყვეტლივ, გაბმულად მხოლოდ ქალაქის გამოზოგვის, ეკონომიის გამო უნდა იყოს დაწერილი. რაკი ეს გარემოება ჩვენთვის ცხადი ხდება, გამომცემლისათვის ხელთნაწერში ტექსტის დაწერილობის წესრიგის დაცვა არამცთუ საეაღდებულო არ არის, არამედ პირიქით ის მოეაღება ამ ძეგლთა ნაგულისხმევი და (ნაწილობრივ აღნიშნულიც) დანაწილება დაბეჭდვის დროს გარეგნულადაც აღადგინოს და მუხლებრივ გამოჰყოს. მომავალში ზითვის წიგნების ტექსტი უეკველად ამ სახით უნდა გამოიცეს.

სასურველია, სანამ ჯერ კიდევ შესაძლებლობა და იმედი მთლად დაკარგული არ არის, ზითვის წიგნები საქართველოს ყველა კუთხეში მოიძებნოს და შეკროვდეს, რომ აუცილებელი განადგურებისაგან გადარჩენილ იქმნენ და შემდეგ მათი გაშოცება მოხერხდეს.

## IV. აღწერილობითი წყაროები

ზემოგანხილული დემოგრაფიული, საფინანსო უწყებისა და საკოორდაციო და კერძო მეურნეობის წარმოების დამახასიათებელი ძეგლების შემდგომ, უნდა აღწერილობითი თვისების წყაროებსაც ზოგადად შევეხოთ. ქვეყნის აღწერილობითი წყაროები უნდა ორ მთავარ ჯგუფად დაიყოს: გეოგრაფიულად და მოგზაურ-ელჩების აღწერილობებად.

### თავი პირველი. გეოგრაფიული ნაშრომები

გეოგრაფიულ წყაროთაგან ძირითადად უნდა, რასაკვირველია, ბატონიშვილი ვახუშტის განთქმული ნაშრომი „ღეოლოგიური აღწერა საქართველოსა“ იქმნეს მიჩნეული. არსად ჩვენი ქვეყნის ბუნება, თვისებები, მოსახლეობა და ეკონომიური მდგომარეობა ისეთი სივრცე-სიღრმით არ არის განხილული და დახასიათებული, როგორც ამ ნაშრომშია. წერილობითი ძეგლების, რუკებისა და დემოგრაფიული წყაროების მიხედვით დაწერილ და ავტორისგან საქართველოს ადგილობრივს, ყოველმხრივს პირად შესწავლაზე დაჰყარებული, ვახუშტის თხზულება ყოველი მკვლევარისათვის, რა მხრივაც იგი საქართველოს წარსულსა და ნაწილობრივ აწმყოს გამოკვლევას არ აწარმოებდეს, ყოველთვის აუცილებლად საჭირო წყარო იქმნება. თავისი საპატიო ხნეობის, თითქმის ორასი წლის წინათ დაწერილობისა და მიუხედავად, იგი ჯერაც დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს. ამაზე მეტი თქმაც შეიძლება, ცნობათა სიუხვისა და განმაცვიფრებელი მრავალფეროვანობის წყალობით ვახუშტის გეოგრაფიას არას დროს მეცნიერებისათვის მნიშვნელობა არ დაეკარგება. რაკი ამ ნაშრომის შესახებ „ისტორიის მიზანსა და მეთოდებში“ საკმაო ცნობები მაქვს მოთავსებული, ამის გამო აქ მეტი აღარაფერია სათქმელი (იხ. „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა“, წიგნი I: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, ტფილისი, 1916 წ., გვ. 285—287, 299—306).

- ვახუშტის გეოგრაფია პირველად აკად. მ. ბროსსემ გამოსცა 1842 წ. პეტერბურგში. ქართულ ტექსტს გარდა მას ფრანგული თარგმანიც აქვს დართული, წინასიტყვაობა და ფრანგული საძიებლებიც მოეპოვება ისევე, როგორც რუკების სქემატური ნახაზებითაც არის შეკული (იხ. Description Géographique de la Géorgie par le tsarévitch Wakhoucht publiée d'après l'original autographe, par M. Brosset, S.-P. 1842 წ.). მეორეჯერ გამოცემულია მ. ჯანაშვილის მიერ „ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს გეოგრაფია“. არც.

ერთი ამ გამოცემათაგანი აღარსად იშოვება და ამ ძეგლის ახალი კრიტიკული და სრული გამოცემა ფერადი რუკებითურთ და ქართული საძიებლებით აუცილებლად არის საჭირო.

მაგრამ ვახუშტის გეოგრაფიას უმთავრესად ავტორის დროინდელი საქართველოს შესასწავლად აქვს პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობა. უძველესი და მე-XVII ს-ზე უწინარესი ბანისათვის, რასაკვირველია, უფრო აღრინდელი წყაროების გამოყენებაა საჭირო. ქართული ასეთი ძეგლები ჯერ ცნობილი არ არის, ამიტომაც და თავისდათავადაც საქართველოს მეზობელ ერთა გეოგრაფიულ შრომებს უნდა მივმართოთ.

უცხო-ქვეყნულ გეოგრაფთაგან ხნიერებითაცა და თავისი მაღალხარისხოვანი ღირსებითაც, რა თქმა უნდა, ბერძენთა გეოგრაფის სტრაბონის დიდებული გეოგრაფიული ნაშრომი უნდა იქმნეს უპირველესად დასახელებული. მას კოლხეთის, იბერიისა და აღბანეთის, ისევე როგორც სომხეთის ფრიად საგულისხმო და საყურადღებო აღწერილობა აქვს თავის Γεωγραφικῆ-ში, რომელშიაც ისედაც ბევრი მნიშვნელოვანი ცნობა მოიპოვება.

სტრაბონის ნაშრომის შესახებ საკმაოდ არის სპეციალურ ლიტერატურაში დაწერილი, რომ აქ ამაზე კიდევ საუბარი საჭირო იყოს. K. I. Neumann-ის მოკოვება განსაკუთრებული გამოკვლევატ-კი, სადაც სტრაბონის ცნობები კავკასიაზე საგანგებოდ არის განხილული (იხ. Strabus Landeskunde von Kaukasien: Jahrb. f. clas. Philologie. Suppl. 13, 1884 წ., გვ. 319 და მოდევნოები).

ხოლო სტრაბონის თხზულებისა და მისი წყაროების ზოგადი მარჯვე დახასიათება პროფ. მ. ივ. როსტოვეცის გამოკვლევაში მოიპოვება „Скифия и Воспор, критическое обозрение памятников литературных и археологических“, 1925 წ. გამოც. Росс. академ. истории материальной культуры, გვ. 23—42).

სტრაბონის შემდგომ საყურადღებო გეოგრაფიული ცნობები არაბი და სპარსელი გეოგრაფების თხზულებებშია. ამათგან ყველაზე საყურადღებო ისტაპრის, ზაქარია ყაზვინისა და ჰამდალლაჰ ყაზვინის ნაშრომებია.

აბუ ისხაკ ელ-ფარსი ელ-ისტაჰრი არაბთა განთქმული გეოგრაფი იყო, რომელმაც 951 წ. ახლო ხანში (იხ. ბარტჰოლდი, Туркестан в эпоху монгольского нашествия, გვ. 12) დასწერა თავისი ალ-ბალხის ნაშრომზე დამყარებული შესანიშნავი თხზულება كتاب الياقوت „იყლიმთა წიგნი“. ამ ნაწარმოებს ისეთი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, რომ სპარსულადაც იქმნა ნათარგმნი و المسالك -ის „მიმოსვლის გზები და სამეფოები“-ს სათაურით. არაბული ტექსტი გამოცემულია დე-გუეს ცნობილ კრებულში Bibliotheca Geographorum Arabicorum-ის I-ში. სპარსული თარგმანის ტექსტი გერმანული თარგმანითურთ დაბეჭდა 1848 წ. აკად. დორნ-მა თავის შრომაში Beiträge zur Geschichte der Kaukasischen Länder und Völker aus morgenländischen Quellen. V. Geographica (იხ. Mémoires de l'Académie impériale des sciences de St-Petersbourg, sixième série, sciences politiques, histoire, philologie, t. VII, გვ. 471—486 და გვ. 510—532). ისტაჰრის H. Караулов-ის რუს. თარგმანი იხ. СМОМГК, XXIX.

ისტორიის საგულისხმო ცნობები მოეპოვება აღმ. საქართველოს, არანის, დალესტინისა და სომხეთის შესახებ. ამ წყაროს ავტორის პირობითი გეოგრაფიული ტერმინის წყალობით ეს ქვეყნები, როგორც ეს „ქართული ერის ისტორიის“ შესავალ წიგნში იქმნება გამოაკვეთილი, სომხეთად აქვს წოდებული. ამის გამო მკვლევარს უნდა ახსოვდეს, რომ ისტორიის სომხეთი ორნაირი მნიშვნელობით აქვს ნახმარი: ზოგან საკუთრივ სომხეთის მნიშვნელობით, ზოგან, ვითარცა პირობითი ტერმინი, მთელი აღმოსავლეთი კავკასიის აღსანიშნავად. ვინც ამ წყაროს ცნობებით სარგებლობას მოისურვებს, იმან ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს და ყოველ კერძო შემთხვევაში ამა-თუ-იმ ცნობის ნამდვილი მიკუთვნილობა უნდა გამოარკვიოს.

შემდეგ უნდა დასახელებულ იქმნეს ზაქარია ბენ მუჰამედ ელ-ყაზვინი (გარდ. 1283 წ.), რომელიც დაბადებითა და შთამომავლობით აღერბეიჯანელი იყო და არაბულად დაწერილი გეოგრაფიული შრომის ავტორია. ამ ნაშრომს ეწოდება *أخبار آذربايجان و آذربايجان* „ქვეყნების ნიშან-ძეგლები და ადამიანთა ამბები“. ეს ძეგლი Wüstenfeld-ის მიერ არის გამოცემული.

ამ თხზულებითგან აკად. დორნის თავის ზემოაღნიშნულ ნაწარმოებში მოყვანილი აქვს კავკასიის შესახები ცნობები არაბულად და გერმანულად ნათარგმნი (გვ. 486—505 და 533—544). ზაქარია ყაზვინის თხზულების ნაწილები, სიმოკლისდა მიუხედავად, ზოგიერთ ისეთ საყურადღებო ცნობას შეიცავს, რომლის მსგავსი სხვაგან არსად მოიპოვება.

1848 წ. პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის მეშუარებში დაბეჭდილ იქმნა აკ. ბ. დორნის 1843 წ. წაკითხული მოხსენება *Beiträge zur Geschichte der Kaucaischen Länder und Völker aus morgenländischen Quellen*, რომელშიც სხვათა შორის პირველად იყო გამოქვეყნებული ჰამდალაჰ ბენ აბუბეჰრ ელ-მუსტოფი ელ-ყაზვინის (გარდ. 1349 წ.) განთქმული 1340 წ. დაწერილი თხზულების *أنه القبايل* „ნუზაბთ ალ-კულუბ“, „გულთა სიამოვნებას“ კავკასიის აღწერილობის შემცველი ნაწილი. გერმანელ მეცნიერს ორი ხელთნაწერის (რუმიანცევისა და სამეცნიერო აკადემიის) მიხედვით დაბეჭდილი აქვს, როგორც სპარსული ტექსტი, ისევე მისი გერმანული თარგმანი (იხ. *Mémoires de l'Académie impériale des sciences de St-Petersbourg, sixième série, t. VII, 465—569, მეტადრე 506—514 და 544—551*).

ჰამდალაჰ ყაზვინის თავის ამ ნაწარმოებში გეოგრაფიულ თხზულები-სათვის ჩვეულებრივ ცნობებს გარდა ფრიად საყურადღებო ცნობები აქვს მოყვანილი სხვადასხვა ქვეყნისა და მათ შორის საქართველოს სამეფოს შემოსავლის შესახებაც. ამ ძეგლის პირველხარისხოვანი მნიშვნელობისდა მიუხედავად აკად. დორნის ნაშრომი სრულებით შეუძნეველი დარჩა და იქ მოყვანილი ცნობებით არავის არ უსარგებლია. ამაზე მეტის თქმაც შეიძლება, ამ გამოცემის არსებობაც-კი ყველას დაავიწყდა, თვით სპეციალისტებსა და ჰამდალაჰ ყაზვინის მერმინდელ გამომცემლებსა და შემსწავლლებსაც-კი.

1897 წ. ფრანგმა მეცნიერმა შარლ შეფერმა ნიზამ-ულ-მულკის თხზულების დამატებაში მოქცეულ სხვადასხვა ძეგლის ნაწილებითა შორის ამავე ჰამ-

დალაპ ყაზვინი-ს ზემოაღნიშნული თხზულების საკმაოდ დიდი, სახელდობრ ორთავე ერაყისა, სპარსეთისა, აზარბაიჯანისა, მულანისა და არანის, შირვანისა, საქართველოსი, მცირე აზიისა, სომხეთისა და სხვა ქვეყნების აღწერილობის შემცველი ნაწილი დაბეჭდა (იხ. Siasset Namèh traité de gouvernement composé . . . par le visir Nizam oul-Mouik texte persan édité par Charles Schefer. Supplement. Paris. 1897 წ.—მოთაქსებულია Publications de l'école des langues orientales vivantes. III-e série, volume VII, 2-e partie). ფრანგ მეცნიერს თავისი გამოცემისათვის შრავალი ხელნაწერი ჰქონია გამოყენებული, მათ შორის ულუგბეგის წიგნთსაცავისეული ხელნაწერიც-კი. უსარგებლია მას მირზა მუჰამედ შირაზის 1894 წ. გამოცემით, ბომბეში რომ დაბეჭდა. არაფერს ამბობს შეფერი მხოლოდ აკად. დორნის ნაშრომზე (იხ. გვ. VI—VIII) და, როგორც ჩანს, მას ამგვარი გამოცემის არსებობა აზრ-ე უნდა სკოდნოდეს. არ იხსენიებს აკად. დორნის გამოცემას აკად. ვ. ბარტოლოდიც, რომელსაც ჰამდალაპ ყაზვინის ცნობებისათვის მხოლოდ შარლ შეფერის გამოცემა აქვს დასახელებული, რუსეთის სამეცნიერო აკადემიის გამოცემაში გამოქვეყნებული ტექსტის არსებობა-კი, როგორც ჩანს, მასაც გამოჰპარვია (იხ. მისი Туркестан в эпоху монгольского нашествия, часть II, 50—51 და Персидская надпись на стене Анийской Мечети Ману-че, СПб, 1911, გვ. 14—15).

1915 წ. გამოვიდა ჰამდ-ალლაპ ყაზვინის ამ გეოგრაფიული თხზულების სრული სპარსული ტექსტი G. Le Strange-ის მიერ გამოცემული The Geographical Part of the Nuzhat-al-Qulub composed by Hamd-allah Mustawfi of Qazwin in 740 (1340), edited by G. Le Strange (იხ. E. I. W. Gibb Memorial Series, vol. XXIII, London). 1919 წ. გამოქვეყნდა ამავე ნაშრომის ინგლისური თარგმანი, რომელიც იმავე მეცნიერს ეკუთვნის. ამ თარგმანს ისეთივე სათაური აქვს, მხოლოდ vol. XXIII, 2 ნაწილად ითვლება. დორნს ეერც ამ შემთხვევაში გაუღიმა ბედმა: ლე-სტრენჯს ჰამდალაპ ყაზვინის ნაშრომის ყველა წინანდელი გამოცემა აქვს აღნიშნული, მათ შორის ამავე დორნის Muhammedanische Quellen-ის მე-IV წიგნში მოთაქსებული ამ ავტორის მახანდერანისა, ყუმისა და გილანის შესახები ნაწყვეტის გამოქვეყნებულობის შესახებაც, მაგრამ კავკასიის შესახები ნაწილის დორნისაგან გამოცემულობის გარემოება ინგლისელ მეცნიერსაც არ სკოდნია: ეს გამოცემა არც G. Le Strange-ის წინასიტყვაობაში იხსენიება (იხ. სპარს. ტექსტის Preface-ის გვ. XIII—XIV).

ჰამდალაპ ყაზვინის საგვარეულო მუსტოფების საგვარეულო იყო. მის მახლობელ წინაპართაგან მის ჰაპას ემინ-ედ-დინ-ნასრსაც ერაყის შემოსავლის სამმართველოში მნიშვნელოვანი თანამდებობა ჰქონდა. შემდეგ მან სამსახურს თავი დაანება და თავისი დღენი სარწმუნოებას შესწირა. მონღოლთა შემოსევის დროს ის სხებთან ერთად დაიღუპა. თვით ჰამდალაპ ყაზვინი ყაზან ყაენის განთქმული ეაზირისა და ისტორიკოსის რაშიდ-ედ-დინისა და მისი შვილის ლიას ედ-დინის მფარველობით დაწინაურდა და მუსტოფობა მიიღო. მუსტოფი ფინანსთა სამმართველოს სათავეში მდგომ მოხელეს ეწოდებოდა და ქართულ მეპუტკლეთებუცესს მიაგავდა.

ჰამდალაჰ ყაზვინი ცნობილია როგორც ისტორიკოსი თავისი დიდი „გამოკრებული ისტორი“-ით (ტარინი გუზიდეჰ) და როგორც გეოგრაფი. მისი გეოგრაფიული ნაშრომის სათაური უკვე აღნიშნული გვექნა. ეს თხზულება ჰამდალაჰ ყაზვინის 1340 წ. დაუწერია და წყაროებად ჰქონია აბუ ზეად ბალხის „სივარ ულ-აყალიმ“, „იყლიმთა ნაჟეეთები“, აჰმედ ელ-ბალხის „თებიან“, „ახსნა“, აბულ ყასიმ ობეად ალაჰ ბენ ქურდადის „მესალიქ ულ მემალიქ“, „გზები და სახელმწიფოები“, „ჯეჰან ნუმა“, ქვეყნის სურათი და „რისალეჰი მელიქშაჰიჰ“-ი, მელიქშაჰის მოგზაურობათა დღიური (იხ. შარლ შეფერის ზემოდანახ. შრომა, VI—VII).

ჰამდალაჰ ყაზვინის თავისი საგულისხმო ცნობები სახელმწიფოების მიხედვით აქვს აღწერილი და მოთხრობა კარებად აქვს დაყოფილი. უნდა ითქვას, რომ მის ცნობათაგან გეოგრაფიულ აღწერილობაში ახალი თითქმის არაფერია და აქ მისი ნაამბობი მეტად მკლე და ღარიბია. სამაგიეროდ და განსაკუთრებით ძვირფასი წვლილის შემომტანია სახელმწიფოთა შემოსავლის შესახებ, რაც მას, ვითარცა მუსტოფიების საგეარეულოს ერთ ჩამომავალთაგანს და თვითაც მუსტოფის, საბუთებისა და დავთრებითგანაც კარგად უნდა სცოდნოდა.

აზარბაჯანს რომ თავი დავანებოთ და განსახილველად მხოლოდ ამიერკავკასია ავიღოთ, ჰამდალაჰ ყაზვინის მთელი ეს ქვეყანა შემდეგ ოთხ ერთეულად აქვს დაყოფილი: მეოთხე თავში არანისა, ანუ რანის და მულანის აღწერილობა (დორნ 506—510, 544—547. შეფერ 223—227. ლე-სტრენჯ 89—93), მეხუთე თავში—კიდევ შირვან-გუშთასფისა (დორნ 510—511, 547—549. შეფერ 227—229. ლე-სტრენჯ 92—93). მეექვსე თავში სრულიადი საქართველოსი აფხაზეთითურთ (დორნ 511—514, 549—551. შეფერ 229—230. ლე-სტრენჯ 93—94) და მეშვიდე თავში სომხეთის ვილაჟეტის შესახები ცნობა მოთავსებული (დორნს ეს ნაწილი არ დაუბეჭდია, იხ. შეფერის 230—234. ლე სტრენჯ 100—102).

ამ სპარსელი ისტორიკოს-გეოგრაფის ცნობების მნიშვნელობის სისწორით გასათვალისწინებლად და დასაფასებლად მათი ქრონოლოგიური და ტერიტორიული განსაზღვრაა საჭირო: თუ რა ხანსა და რა მიწა-წყალს ჰქულისხმობს ჰამდალაჰ ყაზვინი, როდესაც ამა-თუ-იმ სახელმწიფოს შემოსავალზე ლაპარაკობს.

ქრონოლოგიურად მას ორი ხანა აქვს დაპირდაპირებული: ერთი მხრით მონღოლთა წინააღმდეგელი მდგომარეობაა დასურათებული, მეორე მხრით მონღოლთა ბატონობის ხანის შესახები ცნობა აქვს ხოლმე მოყვანილი. რათგან ჰამდალაჰ ყაზვინის თავისი შრომა, როგორც უკვე აღნიშნული გვექნა, 1340 წ. აქვს დაწერილი და თითონაც ყაზან ყაენისა და აბუსაადის დროს იყო საფინანსო სამმართველოს მოხელედ, ცხადი ხდება, რომ მისი ცნობები მონღოლთა-დროინდელი ბატონობის შემოსავლის შესახებ დაახლოვებით მე-XIV ს. პირველი მეოთხედისა და მეორე მეოთხედის

პირველი ნახევრის ფინანსიურ მდგომარეობას ჰგულისხმობს, და სწორედ ამ ხანის ოფიცირი საბუთებითგან, შემოსავლის დათრებითგან, უნდა იყოს ამოკრებილი. ამ დროს როგორც ვიცით საქართველოში დავეითი და გიორგი ბრწყინვალე მეფობდა. დამოუკიდებლობის ხანის შესახები ცნობა სახელდობრ რა დროს ჰგულისხმობს და საითგან არის ამოღებული, ძნელი სათქმელია, მაგრამ საფიქრებელია, რომ მე-XII ს. უნდა ახასიათებდეს. მე-XIV ს. ცნობაში ნაგულისხმები საქართველოს საზღვრები „საქ. ეკონ. ისტორიის“ სათანადო აღვილას იქმნება გამოკვეული.

## თავი მეორე. მოგზაურთა და მღვათის აღწერილობანი

### § 1. უცხოქვეყნელ დამკვირვებელთა ცნობების მნიშვნელობა და ღირსება-ნაკლი

მე-XIII ს. მეორე ნახევრითგან მოყოლებული რომის პაპისა და დასავლეთი ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს დესპანების აღმოსავლეთში, თვით მონღოლთა სატახტო ქალაქამდე და უფრო შორეულ ქვეყნებშიც-კი, მოგზაურობათა წყალობით ჩნდება მწერლობის ახალი დარგი, რომელიც დესპანებისა, ვაქრებისა და მოგზაურთაგან უცხო ქვეყნებში გზა-და-გზა ნანახისა და თვით ამ ქვეყნებისა და ხალხების, ისევე როგორც სახელმწიფო ერთეულების აღწერილობას შეიცავს.

რაკი აღმოსავლეთის ზოგიერთ ერს, მაგ., თვით მონღოლთაც, დამწერლობის უქონლობისა და კულტურულად ჩამორჩენილობის გამო თავისი საისტორიო მწერლობა არ ებადა, ხოლო ვისაც ჰქონდა, დროთა განმავლობაში, ველური ურდოების შემოსევის დროს, არა ერთი საისტორიო ძეგლი სამუდამოდ დაედუბა და ამის წყალობით აღმოსავლეთის ისტორიის აღსადგენად წყაროების ნაკლებობა ძალიან საგრძნობია, ცხადია, რომ მწერლობის ამ ახალ დარგს, მოგზაურთა აღწერილობებს, მეცნიერებისათვის განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა უნდა მიჰნიჭებოდა.

მაგრამ თავისდა-თავადაც, თუნდაც რომ საისტორიო წყაროების ნაკლებობაც საგრძნობი არ ყოფილიყო და იქაც-კი, სადაც ისტორიულ ძეგლთა სიუხვია, მოგზაურთა აღწერილობა სრულებით ზედმეტ, ან უმნიშვნელო წყაროდ ვერ ჩაითვლება. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ყოველი ქვეყნის ადგილობრივი დამკვირვებელი, ვინც არ უნდა იყოს იგი, ისტორიკოსი თუ გეოგრაფი, თავის ნაშრომში თავისი ქვეყნისა და ერის ყოველდღიური, ჩვეულებრივი ყოფა-ცხოვრებისა და თავგადასავლის აწერას არ შეუდგება, რათგან ყველა ეს მისმა თანამედროვეებმა და მახლობელმა თაობამ, რომელთათვის უპირველესად იწერება ხოლმე ასეთი ძეგლები, თითონაც ძალიან კარგად იცოდენ და მათთვის სრულებით საინტერესო არ იყო.

ისტორიკოსი და გეოგრაფი პირიქით ცდილობს თავისდროინდელი ყოფა-ცხოვრებისა და შენამთხვევის არაჩვეულებ-



ბრივი, განსაკუთრებული ამბები ასწეროს. ამის წყალობით მერმინდელი თაობის მკითხველნი და მკვლევარნი ხშირად ისეთ მდგომარეობაში არიან ხოლმე, რომ, ქვეყნის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებისა და წესწყობილების ჩვეულებრივი ვითარების შესახებ წყაროებში ძალიან ეოტა, ან ზოგჯერ არავითარი ცნობა არ მოეპოვებათ ხოლმე. ამის გამო წარსულის სრული ისტორიული სურათის აღდგენა შეუძლებელი ხდება.

ამ დიდ ნაკლს უცხოელ მოგზაურთა აღწერილობანი ავსებენ. უცხოელისათვის უცხო ქვეყნის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება და წესწყობილების ჩვეულებრივი ნორმები ახალი და საგულისხმოა. მისი თვალი და ყური ისეთ რამეებსაც ადვილად ამჩნევს, რასაც ადგილობრივი დამკვირვებელი, ვითარცა ყველასათვის კარგად ცნობილს, არავითარ ყურადღებას არ მიაქცევდა. ამის წყალობით უცხო დამკვირვებლის აღწერილობაში ამა-თუ-იმ ქვეყნის ყოფა-ცხოვრება გაცილებით უფრო მეტი სისრულითაა აღბეჭდილი, ვიდრე რომელსამე ადგილობრივ წყაროშია ხოლმე. ამასთანავე ხშირად იქ თავმოყრილია ყველაზე უფრო საყურადღებო და ამ ქვეყნის თვისებათა და ვითარების, ხალხის ზნე-ჩვეულებათა და, კულტურის, საუკეთესოდ დამახასიათებელი და თავისებურების გამომჟღავნებელი ფაქტები. ანტიკომ ცხადია, რომ უცხო მოგზაურთა და დამკვირვებელთა ცნობები ისტორიკოსისათვის ძვირფასი, ყოველთვის შეწავსებელი, ზოგჯერ-კი, ამა-თუ-იმ საკითხის შესასწავლად და გასაშუქებლად, ერთად-ერთი წყარო არის ხოლმე.

მაგრამ მოგზაურთა და ელჩების აღწერილობათა მნიშვნელობის შეფასების დროს ამ დარგის წყაროთა დიდი ნაკლიც უნდა ჰქონდეს ადამიანს ყოველთვის გათვალისწინებული. იშვიათი შემხვევაა, რომ უცხოელმა დამკვირვებელმა, მოგზაურმა, თუ ელჩმა იმ ქვეყნის ენა იცოდეს, რომლის აღწერილობაც მას დაწერილი აქვს ხოლმე. ამის გამო ჩვეულებრივ ის მთლად თარჯიმანის ხელშია, რომლის ცოდნასა, განათლებასა, გონება-გახსნილობასა და სვინიდიისიერებაზეა ხოლმე მისი ცნობების სისწორეც დამოკიდებული. ენის უცოდინარობის გამო არა ერთხელ უცხო დამკვირვებელი სცდება და ზოგჯერ უბრალო რამესაც-კი სწორედ ვერ იგებს ხოლმე.

ამას გარდა, ხშირად დამკვირვებელის პირადი სარწმუნოებრივი, ეროვნული, თუ, სოციალური რწმენა და წინაგანწყობილება უცხო ერის ყოფა-ცხოვრების პირუთვნელად შეფასების საშუალებას არ აძლევს და მისი მსჯელობაც ზოგჯერ სრულებით მცდარია ხოლმე.

ყველა ამ გარემოებათა გათვალისწინებისა და ცნობათა კრიტიკული თვალთსაზრისით შეფასების შემდგომ უცხოელ მოგზაურთა და ელჩების ცნობებს კულტურულისა და სოციალ-ეკონომიური ისტორიის აღსადგენად ფრიად დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ.

## § 2. დასავლეთ-ევროპელი მოგზაურ-დესპანების ცნობები.

მე-XIII და XIV ს.ს. მოგზაურთა და დესპანების აღწერილობებში საქართველოს შესახებ იმდენად ცოტაა ცნობები, რომ მათზე „საქ. ეკონომ. ისტორიის“ წყაროების შესახებ მსჯელობის დროს საუბარი ზედმეტი იქმნებოდა. მე-XV ს-ითგან მოყოლებული უკვე საქმაოდ უხვი ცნობები მოგვეპოვება იტალიელ მოგზაურთა და დესპანების იოსაფა ბარბარო-ს, ამბროზიო კონტარინი-სა და ანჯიოლელო მარია-ს ნაშრომებში.

პირველი ავტორის შრომას ეწოდება „Iosafa Barbaro, Il viaggio della Tana“ (იხ. Ramusio-ს Navigazioni e viaggi, v. II).

მეორისას—„Il viaggio del magnifico M. Ambrosio Contarini ambasciadore della illustrissima Signoria Di Venetia al gran Signore Ussun Cassan, Re di Persia“ (იხ. იმავე რამუზიოს კრებულის II წიგნში).

ბოლო მესამე ავტორის აღწერილობას სათაურად აქვს: „Breve narratione della vita et fatti Ussuncassano. Fatta per Giovan Maria Angiolello“ (იხ. რამუზიოს კრებულის II წიგნი).

პირველი ორის ნაშრომის ის ნაწილები, რომელნიც საქართველოს აღწერილობას შეიცავენ, ქართულადაც არის ნათარგმნი ალ. ჭყონიას მიერ: „იტალიელი მოგზაურები საქართველოში მე-XV საუკ. იოსაფა ბარბარო და ამბროზიო კონტარინი“ (იხ. „მოამბე“ 1894 წ., № XI).

სამივე ავტორი ვენეციის რესპუბლიკის დესპანები იყვნენ, თავიანთი მთავრობისაგან სპარსეთის მეფე უზუნ-ჰასანთან წარვლენილნი. სპარსეთში გამოემგზაურნენ ჩრდილოეთის გზით, რუსეთისა და შემდეგ საქართველოს გზით. სამივენი იმ დროისათვის კარგად განათლებული პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ და თავიანთ აღწერილობაში იმდროინდელი საქართველოს სავალალო კულტურული მდგომარეობა აქვსთ დასურათებული (იხ. ამის შესახებ ჩემი „ქართველი ერის ისტორიის“ IV წიგნის სათანადო ადგილები).

1636—1663 წ. ფრანგი მოგზაური ტავერნაე ექვსჯერ იყო აღმოსავლეთში და თავისი მოგზაურობის აღწერილობა შემდეგი სათაურით გამოაქვეყნა: „Les six voyages de J. B. Tavernier, Baron d'Aubonne, en Turquie, en Perse et aux Indes“. ამ მოგზაურობის ქართველთათვის საინტერესო ნაწილი ალ. ჭყონიამ სთარგმნა და დაბეჭდა „მოამბე“-ში: „ტავერნიეს მოგზაურობიდან მე-XVII საუკუნეში“ (1898 წ. № VI).

შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანია ფრანგი ეპკრისა და მოგზაურის შარდენ-ის მოგზაურობის აღწერილობა პარიზითგან სპარსეთში, რომელსაც ეწოდება „Voyages de M-r le Chevalier Chardin en Perse et autres lieux de l'Orient“. შარდენი სპარსულის კარგი მცოდნე იყო და ამ გარემოებამ მას საშუალება მისცა სპარსეთის ვითარება საუცხოოდ აეწერა.

სპარსეთში ის ორჯერ იყო: პირველად 1664—1670 წ., მეორედ 1671—1677 წ-მდე. სპარსეთში მიმავალ შარდენს საქართველოზე გამოვლა მოუხდა და ამის წყალობით მას იმდროინდელი საქართველოს საქმაოდ

ვრცელი და საყურადღებო აღწერილობა აქვს რამოდენიმე სურათითურთ, რომელშიც სხვათა შორის ეკონომიური ისტორიისათვისაც ძვირფასი ცნობები მოიპოვება. ფრანგი მოგზაურის ეს საქართველოს შესახები ნაწილი ქართულადაც არის ნათარგმნი ვ. ბარნოვის მიერ და 1886 წ. იყო დაბეჭდილი „ივერია“-ში (იხ. №№ 125, 128, 129, 147, 155, 160, 166, 171, 177, 182, 205, 207, 218, 224, 234 და 272) ასეთი სათაურით „შარდენი საქართველოში (ფრანგულიდამ)“.

შემდეგ საყურადღებო ცნობები საქართველოს კულტურულისა და ეკონომიური ისტორიისათვის ფრანგი მეცნიერის, ბოტანიკის პროფესორისა და აკადემიკოსის დე-ტურნეფორის მოგზაურობის აღწერილობაშია. 1700—1702 წ. ის საფრანგეთთან წამოსული ოსმალეთსა და საქართველოზე გავლით სპარსეთში იყო და თავისი მეცნიერული დაკვირვება და შთაბეჭდილება წერილების სახით გამოაქვეყნა. სომხეთისა და საქართველოს აღწერილობა და სხვადასხვა საყურადღებო ცნობა მე-XVIII წერილში აქვს მოთავსებული. აქ მაშინდელი ტფილისის სურათიც არის მოყვანილი. 3. ტურნეფორის ნაშრომს ეწოდება „Relation d'un voyage du Levant fait par ordre du Roy... par M. Pitton de Taurnefort“.

სრულებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არქანჯელო ლამბერტის თხზულებას „Relatione dell Colchide“, რომელიც 1654 წელს ნეაპოლში დაიბეჭდა. სამეგრელოს ამ აღწერილობის იტალიელი ავტორი მისიონერად იყო სამეგრელოში 1633 წლითგან მოყოლებული 1649 წლამდე (იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902 წ., ტფილისი, გვ. 170 და 196). საქართველოში ესოდენ ხანგრძლივი ყოფნისა და დაკვირვების წყალობით მან ენაც შეისწავლა და ქვეყნისა და ხალხის თვისებები და ზნე-ჩვეულებანიც. ლამბერტის ნაშრომი სამეგრელოს ყოველმხრივ ვრცელ აღწერილობას შეიცავს და საქართველოს, მეტადრე-კი სამეგრელოს, ეკონომიური ისტორიისათვისაც ძვირფას წყაროს წარმოადგენს.

არქანჯელო ლამბერტის თხზულება აღ. ჰყონიას მიერ ქართულადაც არის მთლიანად ნათარგმნი და დაბეჭდილია ტფილისში 1901 წელს: „არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, იტალიურით ნათარგმნი აღექსანდრე ჰყონიასი (სამეგრელოს რუკით)“.

იმავე დროს, როდესაც სამეგრელოში არქ. ლამბერტი მოღვაწეობდა, იქვე იყო იტალიელი მისიონერივე ქრისტეფორო კასტელლი-ც. 1642 წ. 14 ნოემბერს ქრისტეფორე კასტელლის წერილია დაცული სამეგრელოთგან რომს გაგზავნილი, ხოლო მისი უკანასკნელი საქართველოთგან დაწერილი წერილი 1652 წ. არის დათარიღებული (იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 187—197).

კასტელლი საკმაოდ დახელოვნებული მხატვარი ყოფილა და თავისი ნიჭი და დრო საქართველოს იმდროინდელი ყოფაცხოვრებისა, მოსახლეობისა და პოლიტიკურ მოღვაწეთა დასახატავად არ დაუზოგავს. ამის წყალობით მკვლევარს ამჟამად იშ-

ვიათი თვისებებ წყარო მოეპოვება ხელთ: მე-XVII ს. შუა წლების საქართველოს ბუნებისა და ხალხის, ქალაქებისა და სოფლის მოსახლეობის, თვით სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა სამუშაოს აღმბეჭდვლი სურათები. ამის ტოლი ჩვენ სხვა არაფერი მოგვეპოვება.

ამ იშვიათი მხატვრული ალბომისა და კასტელის მოღვაწეობის შესახებ პირველად პროფ. V. Bellio-მ 1884 წელს დაბეჭდა პატარა მოხსენება „La Georgia e la Mingrelia secondo un missionario Italiano del secolo XVII“, რომელიც მოთავსებული იყო Bolletino della società Geographica Italiana-ში (იხ. 1884 წ. Ann. XVIII, Fasc. 9, II, vol. IX, settembre, გვ. 673—708). მოხსენებას ტექსტში კასტელის ზოგი სურათის ნიმუში და ერთი დიდი ტაბულაც აქვს ცალკე ბოლოს დართული.

მ. თამარაშვილმა კასტელის ნახატები ფოტოგრაფიულად გადმოაღებინა და ბევრი მათგანი ჩაურთო თავის ფრანგულ ნაშრომში.

ფოტოგრაფიულად გადაღებული კასტელის ალბომი განსე. მ. თამარაშვილის წიგნსაცავთან ერთად მისი ნათესაებისაგან შემოწირულებად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მიიღო და მის წიგნსაცავში იყო დაცული, ხოლო ამ ეამად ამ საზოგადოების მუზეუმთან ერთად საქართველოს მუზეუმში ინახება.

კასტელის ალბომის მნიშვნელობა ქართული საისტორიო მეცნიერებისათვის ყოველი განათლებული ადამიანისათვის თავისდა-თავად ცხადი უნდა იყოს. მაგრამ ისტორიკოს-ეკონომისტისათვის იქ მეტადრე სასოფლო მეურნეობის დამსურათებელი ნახატებია ძვირფასი.

1768 წელს რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ აკადემიკოსი გერმანელი გმელინის თაოსნობით ახალგაზრდა გერმანელი მეცნიერი Dr. Iohann Anton G ü l d e n s t ä d t - დ რ ი ო ჰ ა ნ ა ნ ა ნ ტ ო ნ გ ვ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ასტრახანის გზით ჯერ ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო 1771 წ. საქართველოსა და ამიერკავკასიაშიც გამოაგზავნა სამეცნიერო მიზნით. საქართველოში გვლდენშტედტი კარგა ხანს დარჩა ისე, რომ 1772 წ. ნოემბრის დამდეგამდე აქ დაჰყო. ამის წყალობითა და ერეკლე და სოლომონ მეფეთა მფარველობითა და დახმარებით მას საშუალება ჰქონდა საქართველოს ბუნების თვისება, ქვეყნისა და ხალხის ვითარება საკმაოდ კარგად შეესწავლა.

იმისდა მიუხედავად რომ განათლებით ექიმი და ბუნებისმეტყველი იყო, გვლდენშტედტს ფართო და მრავალმხრივი სამეცნიერო ინტერესი ჰქონდა და ნანახი ქვეყნების ყოფა-ცხოვრება და ვითარება მარტო თავისი სპეციალობის თვალსაზრისით-კი არ აქვს აღწერილი, არამედ მას პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და სხვაგვარი მდგომარეობის დახასიათებისათვისაც ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია. ყოველ მის ცნობაში განსწავლული, ქვიანი დამკვირვებელი მოჩანს.

საქართველოს მთავრობის მფარველობისა და დახმარების წყალობით, მას ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი მდგომარეობის გასათვალისწინებლად და დასახასიათებლად ისეთი ცნობების შეკრება შეეძლო, რომლის მსგავსს სხვა მოგზაური

ვერ გაიგებდა. ამიტომ გვლდენშტედტის ნაშრომი, რომელსაც მხოლოდ ავტორის უდროო სიკვდილის შემდგომ 1787 და 1791 წ. ელირსა გამოცემა, იმდენად უხვსა და ძვირფას ცნობებს შეიცავს საქართველოს შესახებ, რომ მკვლევარისათვის აუცილებელ წყაროს წარმოადგენს.

ამ ნაშრომის სათაურია: D. Iohann Anton Gldenstdt..., Reisen durch Russland und im Caucasischen Gebrge. პირველი წიგნი 1787 წ. დაიბეჭდა პეტერბურგში, მეორე—იქვე 1791 წელს. ორივე წიგნი აკად. P. S. Pallas-ის ხელმძღვანელობით იყო გამოცემული. ორთავე წიგნს სურათები და ნახაზები აქვს დართული. საქართველოს ეკონომიური ისტორიის მკვლევარი გვლდენშტედტის ნაშრომში ბევრ საგულისხმო მასალას იპოვის.

შემდეგ დასახელებული უნდა იყოს დ<sup>რ</sup> იაკობ რაჩანეგგის წიგნი, Dr. Iacob Reinegs, Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus, Gotha u. St.-Petersburg, 1786 წ., რომელიც 1795 წ. დაიბეჭდა. მისი ავტორი კარგა ხანს ცხოვრობდა საქართველოში და ერეკლე მეფის პირადი ექიმი და დაახლოებული პირი იყო. თუმცა, როგორც ირკვევა, იმავე დროს რუსეთის მთავრობის საიდუმლო ემისარიც ყოფილა.

განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები მას საშუალებას აძლევდენ კავკასიისა და საქართველოს აღწერილობა სხვებზე უფრო ვრცელი და საყურადღებო შეედგინა. მაგრამ ამისთვის მას არც სათანადო ნიჭი და არც სიღინჯე ჰქონია. ამიტომ, თუმცა მკვლევარი მის ნაშრომშიც იპოვის საგულისხმო გამოსაღვე ცნობებს, მაგრამ მაინც რაჩანეგგის თხზულება გვლდენშტედტისას ძალზე ჩამოუვარდება და ხშირად მცდარ ცნობებსაც შეიცავს, ამიტომ ამ წყაროთი მკვლევარმა სიფრთხილით უნდა ისარგებლოს.

რაჩანეგგის ნაშრომითგან ამოღებული საქართველოს შესახები ნაწილი ქართულადაც არის ნათარგმნი და 1879 წ. „ივერიის“ № 4-ში დაიბეჭდა შემდეგი სათაურით: „დოქტ. იაკობ რაჩანეგგის, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა მე-XVIII საუკ-ში“.

თუ გვლდენშტედტის მოგზაურობაში უნდა აღბეჭდილი იყოს ერეკლე მეფის დაულალაეი აღმაშენებლობითი მოღვაწეობის ხანა და საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობა, ალა-მაჰმედ-ხანისაგან და ლეკთა თარეშით ახორებული აღ. საქართველოს სურათს ადამიანი კლასკროთის ორ ტომიან წიგნში დაინახავს. ცნობილი ორიენტალისტი კლასკროთის აღმ. საქართველოში უკვე რუსთა ბატონობის დამყარების შემდგომ 1807—1808 წ. მოგზაურადა. ამ მოგზაურობის აღწერილობა 1812—14 წ. ჰალეში დაიბეჭდა შემდეგი სათაურით: I. Klaproth, Reise im Kaukasus und Georgien in den Jahren 1807 und 1808, Halle, 1812. ამავე ნაშრომის მეორე, შეესებული ფრანგული გამოცემაც არსებობს, რომელიც 1823 წ. პარიზში გამოვიდა და რომელსაც ეწოდება: „Voyage en mont Caucase et en Gorgie, par M. Jules Klaproth. თხზულება ორ წიგნათ არის გამოცემული.

კლასკროთის აღწერილობა მრავალ საყურადღებო ცნობას შეიცავს და მე-XVIII ს. დამლევისა და მე-XIX ს. დამდევის საქართველოს ეკონომ. ისტორიის შესასწავლადაც ერთ საუკეთესო და აუცილებელ წყაროთაგანს წარმოადგენს.

### § 3. რუს ელჩთა აღწერილობანი

მე-XVI საუკუნიდან მოყოლებული საქართველოსა და რუსეთს შორის დროგამოშვებით არსებული დიპლომატიური დამოკიდებულების გამო საქართველოს შესახები ცნობები რუსულადაც ჩნდება. ეს ცნობები რუსი ელჩების მიერ საქართველოში ყოფნის დროს იყო შეკრებილი და მოხსენებისა და დღიურების სახით არის დაცული. ამას გარდა მოსკოვის მთავრობის საგარეო საქმეთა არქივში საქართველოს, დესპანებისაგან მოსკოვში ყოფნის დროს მიწოდებული ცნობები ჩანაწერების სახითაც ინახება. არც ერთი მათგანი არც თავის დროზე, არც შემდეგში მე-XVIII ს. დამლ. და მე-XIX ს-მდე გამოქვეყნებული არ ყოფილა.

1778 წ. ნოვიკოვ-მა დაბეჭდა ნიკიფორე ტოლოჩანოვის ელჩობის აღწერილობა „Древняя Российская Вивлиолика“-ში (ნაწილი V, გვ. 135—255) შემდეგი სათაურით: „Статейный список Посольства Никифора Михайловича Толочанова в Грузию 7150 (1650) года“.

ამის შემდგომ მხოლოდ 1861 წ. გამოქვეყნდა „Переписка, на иностранных языках, Грузинских царей с Российскими государями от 1619 г. по 1770 г. აკად. მ. ბროსსეს რუსულად და ფრანგულად დაბეჭდილი წინასიტყვაობით. წინ უძღვის ფრანცისკ კლოენ-ის მიერ ფრანგულად დაწერილი და საგარეო საქმეთა არქივის მოხელეთაგან რუსულად გადმოთარგმნილი რუსეთისა და საქართველოს მეფე-მთავართა შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიული მიმოხილვა (გვ. V—XCI) და შემდეგ თვით მიწერ-მოწერაა დაბეჭდილი (გვ. 1—232).

ამ წიგნში დაბეჭდილ საბუთებში ბევრი საგულისხმო ცნობა მოიპოვება სხვათა შორის საქ. ეკონომიური ისტორიისათვისაც, მაგრამ, როგორც უკვე 1889 წ. სერგი ბელოკუროვის ჰქონდა აღნიშნული, წიგნში, მეტადრე წინასიტყვაობა-შესავალში, და აკად. Brosset-ს თავის ფრანგულად დაწერილ მიმოხილვაში „Examen critique des annales géorgiennes pour les temps modernes au moyen des documents russes“ (იხ. Bullet. hist.-phil. t. II, 1845 წ., გვ. 209—273 და 289—336) არა ერთი მსხვილი შეცდომა შეჰპარვიათ ცალკე რუსული ენის სუსტი ცოდნის წყალობით ტექსტების გაუგებრობის გამო, ცალკე კიდევ რუსეთის ისტორიის უცოდინარობითაც (იხ. ს. ბელოკუროვის-ის Сношения России с Кавказом, გვ. CXIII—CXIX). მაგრამ ბროსსეს მიერ ამ წიგნში გამოქვეყნებულ მიწერ-მოწერას, რასაკვირველია, თავისთავად მნიშვნელობა აქვს და მათი მოძებნა-დაბეჭდვისათვის განსვენებული დაუვიწყარი აკადემიკოსი უდიდესი შადლოვის ღირსია.

1888 და 1889 წლებში სერგი ბელოკუროვ-მა მოსკოვის საგარეო საქმეთა არქივში უქმად მდებარე საისტორიო მასალა, რომელიც რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის აღწერილობას შეიცავდა, გამოამზევა და გამოქვეყნებას შეუდგა. 1889 წ. მან მოსკოვში დაბეჭდა დიდტანიანი წიგნი

„Сношения России с Кавказом. Материалы, извлеченные из Московского Главного Архива Министерства Иностранных Дел, вып. 1-й, 1578—1613 г.г.“.

ამ წიგნს ვრცელი წინასიტყვაობა უძღვის, რომელშიც რუსეთ-კავკასიის დამოკიდებულების ისტორიაა მოთხრობილი (გვ. III—СХХIX). შემდეგ ელჩობათა აღწერილობა, ან მათ შესახები ცნობებია დაბეჭდილი. ერთის მხრით საქართველოს, სახელდობრ კახთა სამეფოს, დესპანების შესახები ცნობებია: 1. მლ. იოაკიმეს, ხუცეს-მონაზონის კირილესი და ხურშიტას (ალბაფ-ხოსიტას) 1586—87 წ. დესპანობა (გვ. 10—13), 2. თავად ყაფლანისა, ხუცეს კირილეს და ხურშიტას 1588—89 წ. (გვ. 53—62), 3. თავად სოლომონისა და ხურშიტასი 1590—91 წ. (გვ. 223—238), 4. თავად არამისა და არქიმ. კირილესი 1592—93 წ. (გვ. 252—259), 5. იმავე ელჩების 1594—95 წ. (გვ. 262—265), 6. თდ სოლომონისა და ლევანის 1598—1599 წ. (გვ. 314—330), 7. არქიმ. კირილეს და საბა მდივან-მწიგნობრის 1603—04 წ. (გვ. 372—419) და 8. ბაგრატ ბატონიშვილის თავადადასავლისა და მოსკოვში ჩასვლის შესახები ცნობა (გვ. 521—524).

მეორე მხრით კახეთში წარვლენილი რუსი დესპანების შესახები ყველა საბუთი და მათი მოხსენებანია დაბეჭდილი: 1. როდიონ ბირკინის, პეტრე ივოვისა და სტეფანე პოლუხანოვის 1586—87 წ. დესპანობა (გვ. 13—45), 2. თდ სიმონ ზენიგოროდსკის, ტორხი ანტონოვისა და ზაქხეს 1589—90 წ. დესპანობა (გვ. 84—222), 3. ვას. პლერკევისა და ტიმ. კუდრინის 1591—92 წ. დესპანობა (გვ. 238—251), 4. ივანე ვსევილოდსკისა 1593—94 წ. (გვ. 259—262), 5. კუხ. სოვინისა და ანდ. პოლუხანოვის 1596—99 წ. დესპანობა (გვ. 265—314), 6. ივ. ნაშოკინისა და ივ. ლეონტიევის 1601—03 წ. დესპანობა (გვ. 330—364) და 7. მიხ. ტატიშჩევისა და ანდ. ივანოვის 1604—05 წ. დესპანობა კახეთსა და ქართლში (გვ. 420—517).

თუმცა ყველა ამ დესპანობაში საგულისხმო ცნობები მოიპოვება, მაგრამ ზენიგოროდსკისა და ტატიშჩევის მოხსენებანი უფრო ვრცელიცა და უფრო შინაარსიანიც არის.

ს. ბელოკუროვმა გამოსცა აგრეთვე „Поездка старца Арсения Суханова в Грузию“ (1637—40 წ.).

1639—40 წ. სამეგრელოში, ლევან დადიანთან მოსკოვითგან თევდოტე ელჩინი და მლ. პავლე ზახარაევი იქმნენ დესპანებად წარმოგზავნილი. ზათი დესპანობის შესახები ყველა საბუთი ისევე, როგორც სამეგრელოს დაწერილებითი აღწერილობის შემკველი მოხსენებანი 1888 წ. სერგი ბელოკუროვმა გამოსცა თავის კრებულში „Материалы для русской истории“ (იხ. გვ. 257—376). აქ ბევრი საგულისხმო ცნობა მოიპოვება, მათ შორის ეკონომიური მდგომარეობის დამახასიათებელიც.

ს. ბელოკუროვის მიერ დაბეჭდილი ძეგლები სათანადოდ არის გამოკეპული. მათი ცნობებით სარგებლობას მხოლოდ საძიებლების სრული უქონლობა აძნელებს: არამც თუ საგნობრივი, გეოგრაფიულისა და საკუთარი სახელების.

საძიებლებიც-კი დართული არა აქვს. ამ ძეგლებში გაფანტული საყურადღებო ცნობების პოვნა უსაძიებლოდ იმიტომაც არის გართულებული, რომ აღწერილობა და მოთხრობა რუს ელჩებს მხოლოდ ნანახისა და განაგონის ქრონოლოგიური როგის მიხედვით აქვსთ დალაგებული!

1641 წ. მოსკოვითგან რუსთა მეფემ კახეთში დესპანებად თქლი მიშეცკი და კლუჩარევი გამოგზავნა. მათი დესპანობა 1643 წ. დამთავრდა. ამასთან დაკავშირებული ყველა საბუთი და ძეგლები გამოაქვეყნა პროფ. მ. პოლიევქტოვმა 1928 წელს ტფილისში შემდეგი სათაურით: „თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახედში 1640--1643“ (იხ. ტფილ. უნივერსიტეტის გამოცემა: „საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობანი უცხო ქვეყნებთან“, II).

რუსული ტექსტი დედნების მიხედვით არის დაბეჭდილი და ბოლოში დართული აქვს: 1) ძველი რუსულისა და იშვიათი სიტყვების განმარტება, 2) პირად სახელთა საძიებელი და 3) გეოგრაფიულ სახელწოდებათა საძიებელი. ამ მხრივაც მ. პოლიევქტოვის გამოცემა უზადოა, სასურველი იყო მხოლოდ კიდევ საგნობრივი საძიებლის დართვა, რომ გამოცემა ყოველმხრივ სრული გამზდარიყო.

მიშეცკის დესპანობის აღწერილობაში მრავალი საჯული სხმო ცნობა მოიპოვება საზოგადოდ საქართველოსა და მეტადრე კახეთის იმდროინდელი მდგომარეობის გასათვალისწინებლად. ეკონომისტ-ისტორიკოსსაჟ უხვი სამკალი და მოსავალი ელის იქ.

თუ ზენიგოროდსკისა და 1605 წ-მდე საქართველოში ნამყოფ სხვა რუს ელჩებს კახეთის შედარებითი კეთილდღეობა და აღორძინების სურათი ჰქონდათ ნანახი და აღწერილი, მიშეცკის მხოლოდ შაჰაბაზისაგან აობრებული და განადგურებული, ხალხ-მოწყვეტილი და გაღატაკებული ქვეყნისა და ხალხის ნახვალა შეეძლო. მიშეცკის აღწერილობას სწორედ იმ მხრივ აქვს საქართველოს ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა, რომ იქ უცხო, გარეშე კაცს, ვითარცა თვითმზილველს, შაჰაბაზისაგან საქართველოში დატრიალებული ცოდვისა და ჩადენილი ველურობის უტყუარი სურათი აქვს აღბეჭდილი. ვისაც ჰსურს გაითვალისწინოს, თუ გარეშე მტრისაგან როგორ ნიადებოდა ქართველი ერის კულტურული მონაპოვარი და ეკონომიური კეთილდღეობა, მან ეს ძეგლი ზენიგოროდსკის აღწერილობის შემდგომ უნდა გულდასმით გადაიკითხოს.

1649 წ. თეიმურაზ კახთა მეფემ, და აღექსანდრე იმერთა მეფემ რუსთა მეფეს აღექსანდრე დესპანები გაუგზავნეს და 1650 წ. სამაგეროდ აღექსიმ, რუსთა მეფემ, იმერეთში თეიმურაზ მეფესა და აღექსანდრე მეფეს დესპანებად ნიკიფორე ტოლოჩანოვი და აღექსი იველევ-ი წარმოუვლინა. ამორივე ქართული და რუსული დესპანობის შესახები ყველა საბუთი და რუს ელჩთა მოხსენებანი პროფ. მ. პოლიევქტოვმა გამოსცა შემდეგი სათაურით: „სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იველევის ელჩობა იმერეთში 1650—1652“ (იხ. საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობანი უცხო ქვეყნებთან“, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი 1926 წ.).



საბუთები და აღწერილობა დედნების მიხედვით არის გამოცემული და რუსულ ტექსტს ბოლოში ორი საძიებელი აქვს დართული, საკუთარი სახელებისა და გეოგრაფიული, და ერთიც ძველ და უცხო სიტყვათა განმარტება. გამოცემა საუცხროა და მხოლოდ სისრულისათვის სასურველი იყო, რომ საგნობრივი საძიებელიც ყოფილიყო, რომ ამ წიგნში მრავლად გაფანტული ცნობების მოძებნა გაადვილებულიყო.

ტოლოჩანოვის აღწერილობის ზოგან შემოკლებული ქართული თარგმანი დაბეჭდა დეკან. დ. ლამბაშიძემ ჟურნალ „მწყემსი“-ს 1889 წ. №№ 10, 11, 12, 17, 18, 19 და 20 და 1890 წ. № 2 და 3—4.

ამ რუს ელჩთა მოზენებანი და აღწერილობა საქართველოს ისტორიისათვის საყურადღებო ცნობებს ბლომად შუიციავს, არის იქ მასალები იმდროინდელი ეკონომიური ვითარების გასათვალისწინებლადაც. ეს ძეგლები იმითაც არის ძვირფასი, რომ აქ იმერეთის დაწვრილებითი აღწერილობა მოგვეპოვება.

ერეკლე მეფესთან რუსთა ხელმწიფისაგან წარმოვლენილმა დესპანმა 1783--1787 წ. ბურნაშევმა 1786 წ. დასწერა პატარა წერილი „Картина Грузии или описание политического состояния Царств Карталинского и Кахетинского“ — „საქართველოს სურათი, ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღწერილობა“. პირველად ეს ნაწარმოები 1798 წ. ყოფილა ქ. კურსკში დაბეჭდილი, ხოლო 1896 წ. კ. ბეგიჩევმა იქითგან ხელმეორედ გადმობეჭდა და გამოსცა ტფილისში.

ამ პატარა წერილში უმთავრესად ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობაა დახასიათებული, მაგრამ რამდენიმე ცნობა ეკონომიური ვითარების შესახებაც მოიპოვება.

იმისდა მიუხედავად, რომ ზოგიერთი რუს ელჩთაგანი თავის თანამდებობისა და მინდობილობის იმდენად უღირსა აღმოჩნდა, რომ ცალკე საქართველოს მთავრობისა და ცალკე თვით მათივე თანამშრომლების საჩივრების გამო რუსეთის მთავრობისაგან სამართალში იქმნენ მიცემულნი, მაინც მათ შორის არაერთმა შესძლო დავალებული საქმის წესიერად და კარგად ასრულება. რუსი ელჩები, რა თქმა უნდა, ევროპელ მოგზაურებს ვერც განათლებითა და ცოდნით და ვერც მსოფლმხედველობის სივრცით ვერ შეედრებოდნენ, მაგრამ მოსკოვის მთავრობას მაინც ისინი დაკისრებული საქმისათვის ძალიან გაწერთნილი და დაგეშილი ჰყავდა. თვითოეული საკითხის შესახებ, რომლისათვისაც მათ ადგილობრივ უნდა ყურადღება მიექციათ, პირადად დაჰკვირებოდნენ და სხვებისათვისაც უნდა გამოეკითხათ, დაწვრილებითი, მრავალჯერ გამეორებული ჩვეა-დარიგება სიტყვიერადაც მიუციათ და წერილობითაც გამოუტანებიათ.

ასეთი წინასწარი დაგეშილობის წყალობით რუსი ელჩების აღწერილობა ვრცელი, დაწვრილებითი და მრავალმხრივია და ბევრ ისეთ საყურადღებო ცნობას შეიცავს, რომლის მსგავსის შეკრება ჩვეულებრივ გზადმიმავალ ევროპელ მოგზაურთ და სპარსეთში წარვლენილ დესპანებს, საქართველოში ხანმოკლე დროს განმავლობაში ნამყოფთ, რასაკვირვე-

ლია, არც-კი შეეძლოთ. ვითარცა ერთმორწმუნე სამეფოსა და ერის წარმომადგენლებს, რომლისგანაც საქართველო დახმარებასაც ელოდდა, რუს ელჩებს საქართველოში სხეუბზე მეტი ნდობაც ჰქონდათ, გზაც მათთვის ყველგან გახსნილი იყო და ამის წყალობით მეტის ნახეაც შეეძლოთ. ამიტომ რუსი დესპანების მოხსენება-აღწერილობებში საქართველოს ისტორიის მკვლევარს უხვი მასალის ამოკრება შეუძლია.

მაგრამ ამასთანავე გათვალისწინებული უნდა იყოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: რუსმა ელჩებმა ქართული არ იცოდნენ, ქართველებს კიდევ თავის მხრით რუსულის არა გაეგებოდათ რა. ამის გამო მათ ერთმანეთთან თარჯიმანის საშუალებით უხდებოდათ საუბარი. რაკი რუსებმა სპარსული არ იცოდნენ და თურქულის მცოდნეს გარდა სხვა თარჯიმანები არ ჰყავდათ, საქართველოში-კი თურქულად მოლაპარაკენი მთავრობის წრეებში ბევრი იყვნენ, ამიტომ საერთაშორისო დიპლომატიურ ენად უნებლიეთ თურქული უნდა ქცეულიყო: ქართულად ნათქვამი შემდეგ თურქულად გათარგმნათ, რომ მერმე რუსულად გაეგებინებინათ. ცხადია, რომ ასეთ რთულ პირობებში სახელებიცა და ფაქტებიც შეიძლება ადვილად დამახინჯებულიყო და გაუგებრობაც წარმოშობილიყო. მართლაც, სახელები ხშირად ისეა დამახინჯებული, რომ უცბად აღამიანი დამახინჯებულის ნაშდვილ სახეს ვერც-კი მიჰხვდება. თავისდათავად ცხადია, რომ ის რაც ზევით, თავის ადგილას, უცხო დამკვირვებელთა ცნობების ზოგიერთი ბუნებრივი ნაკლის შესახებ გვქონდა ნათქვამი, აქაც, რუსი დესპანების ცნობათა გამოყენების დროსაც, უნდა გათვალისწინებული იყოს, და მკვლევარს სათანადო კრიტიკული სიფიზლის გამოჩენა არ დაავიწყდეს.

კარი მორე

სასოფლო მეურნეობა



**თაში პირველი. მიწა-წყლის ზოგადი დანაწილების პრინციპები და  
ბიკინოლოგია**

ქვეყანა მდებარეობის და მიხედვით ორად იყოფებოდა: ერთს შეადგენდა „ბარი“, მეორეს „მთა“. წაწინის შატბერდიანულ ცხოვრებაში ქელიშის ხელნაწერის მიხედვით თითქოს თვით ქართველთა მოციქულთა-სწორს ეთქვას კიდევაც: „მე მოვლე სანახები ქართლიაჲ, ზოგადი ადგილი მთათა და ბართა“-ო (Опис., II, 730). ამგვარად მშინდელ ქართველს თავისი სამშობლო ბარისა და მთებისაგან შემდგარ ქვეყანად ჰქონდა წარმოდგენილი.

მიწა-წყლის ასეთი დანაწილება საქართველოსათვის იმდენად ბუნებრივია, რომ ჩვეულებრივ ყველგან იხმარებოდა და საბუთებშიცაა აღბეჭდილი. გარკვეული ხანითგან მოყოლებული მაინც.

ეს დანაწილება ტერიტორიის ვითარების იმდენად ზედმიწევნით დაზახსიათებელ გამონათქვამად მიუჩნევიათ, რომ ტერმინდაც-ი იქცა და იურიდიულ ძეგლებში, სიგლებშიც, აუკლებლად იხმარებოდა ხოლმე. შიო მღვიმისადმი ბოძებულ 1058 წ. სიგალში, მაგ. ბაგრატ IV-ის ნათქვამი აქვს: ამ ლავრას შევსწირე „მანგლისის კევს ადგილი ბორცუის-ჯუარი ყოვლითა მზღვრითა მისითა, მთითა, ბართა“-ო (იომლე საბ. კ). დავით აღმაშენებელსაც თავის 1123 წ. ანდერძში აღნიშნული აქვს: შიომღვიმის ლავრას „ძუელითგან... სიგელი შეუვალობისაჲ აქუს ცხუართათუს უსაბანჯრობისაჲ სამი ათასისა ცხურისაჲ მთასა და ბარს“-აო (შიომლ. საბ., 17,—ანდერძი 17-ე აღმ., 10).

მარტო ცალკე სამეურნეო ერთეულები-ი არა, არამედ თვით სოფლებიც ამგვარადვე ორ ჯგუფად იყოფებოდნენ: ერთ ჯგუფს „მთათა შინა“ მყოფი, ანუ მთის სოფლები შეადგენდნენ, მეორეს „ბართა შინა“ მდებარე, ანუ ბარის სოფლები ეკუთვნოდნენ. მე-XII ს. დამღვეის, ან მე-XIII ს. დამღვეის შიომღვიმის ძმობის საბუთში სწერია: კვრიკე კახთა მეფეს შიომღვიმის ლავრისათვის თავისი მოძღვრის „რჩევით მთათა შინა დაოთი და ბართა შინა რუეთი“ შემოეწირაო (შიომლე. საბ., 24).

მთელი თემიც შეიძლებოდა, ან ბარი ყოფილიყო, ან მთა. გ. ხუცეს-მონაზონის სიტყვით, სამხრეთ-დასავლეთი სამეგრელო „არს ქუეყანა... ბარი“ (ქა გი მთწმდლსა, 320).

მიწა-წყლის მთად და ბარად დანაწილება და თვით ტერმინი „ბარი“ ახალი არ არის და დაბადების თარგმანშიც ამავე ცნებისათვის ეს სიტყვავეა გამოყენებული. 2 შჯულის 11<sub>11</sub>-ში, მაგ., აღთქმული ქვეყნის შესახებ ნათქვამია:

„ქუეყანა იგი, რომელსა თქვენ შეხვალთ დამკვდრებად, იგი ქუეყანა მთაჲ და ბარი ცვარისაგან ზეცისასა ირწყვს იგი წყლითა“—ო. გამონათქვამი „ქუეყანაჲ მთაჲ და ბარი“ უდრის ბერძნულს ἢ τῆ ἄρειῃ· καὶ πεδινῆ, ლათინურს terra montosa et campestris, სომხურს *ხრქիր ქსანიასჲს ἔ դაჯუთასქანს*-ს.

მთის საწინააღმდეგო ცნებას გამოხატავდა „ველი“: „ველთაგან შუამდეთ ნაყოფსა მისსა“ (ლევიტელთაჲ, 25, 12), „ხეთა ველისათა მოსცენ ნაყოფი მათი“—ო (იქვე, 26, 1, იხ. აგრეთვე იგაენი სოლომ., 27, 26). ბერძნული ტექსტი ველის შესატყვისად თბ *πεδία*, ხოლო სომხური *დაჯუთ*-ს შეიცავს. ორივე ტერმინი ვაკე ადგილს, შინდორსა ჰნიშნავს.

მსაჯულთა 9, 7-ში ქართული „ველი“ ნახმარია ბერძნული ἢ ἀγρός-ის, ლათინური ager-ის, სომხური *სანდასათანს*-ის შესატყვისად.

ველს გარდა არსებობდა ტერმინი „ველოზი“-ც: „იყენენ მკვდრ ქმნილნი მღწართა შინა შინდობით ვითარცა ველობსა ზედა“ (ესაიაჲსი, 34, 9). მღწარი, როგორც თავის ადგილას დაერწმუნდებიო, მუხის ხშირი ტყით შემოსილ მთასა ჰნიშნავდა, „ველი“ და „ველოზი“-კი დაბლობის, ბარის, უტყეო მინდვრის ზოგადი ცნების გამოხატველი გამოდის.

ეს ტერმინი ზაქარიას 7, 7-შიც გვხვდება და საბას განმარტებით, თითქოს ტყეში მღებარე მინდვრიანის აღმნიშვნელი უნდა იყოს (ლექსიკ.). ბერძნულ ტექსტში-კი აქ ἢ πεδινῆ არის ნახმარი, ლათინურად campester და სომხურად *დაჯუთასქანს*, რაც ვაკე ადგილს ჰნიშნავს.

ბარისა და ველის მნიშვნელობათა მსგავსებისდა მიუხედავად, ამ ორ ტერმინს შორის რეალურად, უეჭველია, განსხვავებაც უნდა ყოფილიყო. ამ გარემოების უკლებლობისათვის საკმარისია გაიხსენოთ, რომ საბუთებში, მაგ., გიორგი მეფის სიგელში, ერთსადა-იმავე წინადადებაში ბარი ცალკეა დასახელებული, ველი კი—დევე ცალკე: ს. დერჩი შეწირულია „მისითა ... მითთა, ბარითა, ტყითა, ველითა“—ო (ქვბი, II, 50).

ველისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელიც „ველური“-ც გვხვდება დაბადების თარგმანსა და შემდეგშიც დღევანდლანდ, — მაგ.: „ველური კაცო“ (წესაქმე, 16, 12, რვირნი ველურნი“ (ესაიაჲსი, 32, 14). ველური უდრის *ἄγρου*-ს, *ferus*-ს, *დაჯუთ*-ს.

საგულისხმოა, რომ ისევე, როგორც ეხლაც იხმარება, „დედეჲ“, ს. ორბელიანსაც მცირე ხივის მნიშვნელობით აქვს განმარტებული (ლექსიკ.) მაგრამ დაბადების ქართულ თარგმანში ეს ტერმინიც ბერძნული *πεδία*-ისა და სომხურ *დაჯუთ*-ის (იხუ ნავესი, 17, 1) შესატყვისად არის ნახმარი. მაგრამ ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა ეტიმოლოგიურად ჯერ კიდევ გამოსაკვლევია, თუმცა ეხლანდლამდე ზერჩენილი მნიშვნელობა თითქოს ძირითადს უნდა უდგებოდეს.

დაბადების თარგმანში ნახმარია ტერმინი „ვაკე“-ც (ესაიაჲ, 40, 1), რომელიც საბას ბრტყელ ქუეყანად აქვს განმარტებული (ლექსიკ.). მართლაც ბერძნულად *πεδία* არის, ლათინურად *planum* და სომხურად *დაჯუთ*.

გამოყენებულებისა. თუ გამოყენებადობის თვალსაზრისითაც ყოველი მამული, საკუთრება, თუ ქონება აგრეთვე ორ მთავარ

დარგად იყოფებოდა: ერთ ნაწილს „საკმარი“ შეადგენდა, მეორეს კიდევ „უკმარი“. რაც მეურნეობისათვის გამოყენებული იყო, ის „საკმარად“ ითვლებოდა, რაც გამოყენებელი რჩებოდა, იმას „უკმარი“ ეწოდებოდა. მაგრამ როგორც „ქართული სამართლის ისტორია“-ში მაქვს განმარტებული (იხ. II, გვ. 386 შ.), „უკმარი“ მთლად უფარვის არ ჰქონდა, და შესაძლებელი იყო შრომითა და მკდვარი ბრძოლით, მეშობით, სახმარად ქცეულიყო. ზოგჯერ მიწა მხოლოდ იმიტომ ითვლებოდა უხვარად, რომ „კორდთა გაუტეხელი“ იყო და სოფლის მეურნეს შეეძლო სწორედ ასეთი „კორდთა გაუტეხელი, უკმარი საკმარად“ ექცია (1250—60 წ. საბ.: შიომღ. საბ., 60 და ქპბი, II, 150). ამიტომ ყოველი მესაკუთრე, თუ მფლობელი თავის საკუთრებისა, თუ ქონების, ამ ორივე დარგის იურიდიულად თავისი უფლების დაცვას ცდილობდა და ამ მიზნით სიგელში აღნიშნავდა ხოლმე, რომ ესა-თუ-ის ნაქერი შეძენილი, ან განთესიებულია „ყოვლითა საკმრითა და უკმრითა“-ო (იხ. ბაგრატი IV, 1058 წ. სიგ.: შიომღ. საბ., 3;—კონის 1259 წ. სიგ.: ქპბი, II, 135).

მიწას რომ ადამიანისათვის რაიმე მნიშვნელოვანი სარგებლობა მოეტანა, მას უნდა ამისთვის შრომა გაეწია, დაემუშაებია. მაგრამ ზოგან და ზოგი ნიადაგი ადამიანს უშრომელადაც და დაუმუშაებელადაც თავის ველურ ნაყოფს აწედიდა და აწვდის ეხლაც.

რაკი მიწის დამუშავებას, როგორც თავის ადგილას აღნიშნული გვაქვს, „საქვე“ და „მოქვედება“, შრომას-კი „ღღაწა“ ერქვა, ამიტომ იმ ადგილს, რომელიც დამუშავებული არ იყო, „უქმი“ და „უღვაწი“ ეწოდებოდა (ც.ა. სრ.პნ ზრზ.შლს.ე, 13).

ადგილი ყველგან ერთნაირი თვისებისა და ღირსებისა არ იყო: ზოგი „ყოვლითურთ უქმი და უღვაწი... ადგილი“ იყო (ც.ა. სრ.პნ ზრზ.შლს.ე, 13), სრულებით დაუმუშაებელ კუთხეს წარმოადგენდა. მაგრამ იყო ხშირად აგრეთვე „ადგილნი“ მრავალნი „კეთილნი და ნაშენებითა ღონიერნი“ (იქვე, 15). გამონათქვამები „ადგილნი კეთილნი“ და „ადგილნი ღონიერნი“ მიწის ბუნებრივი ღირსების, ან დამუშავებით გაუმჯობესებულობის გამომხატველია.

მაშინაც კარგად ესმოდათ, რომ ადამიანის შრომას უქმი და დაუმუშაებელი, ველურად მყოფი, ადგილის სრულებით გარდაქმნა შეეძლო. სერაპიონ ზარხმელსა და მის პირველ თანამშრომლებს გ. ჩორჩანელისათვის ეს უთქვამსთ კიდევაც. როდესაც ზარხმის დაბურულისა და უდაბური ტყის მაგიერ სამონასტროდ მას სერაპიონისათვის საუკეთესო და დასახლებული ადგილი შეუძლეოდა. მათ თურჴე გ. ჩორჩანელისათვის მიუგიათ: ეხლა თუ ეს ადგილი არაფრად მოგწონთ, „რა ეამს კელყონ კელოვანთა მუშაკთა, მაშინ იხილოს თუალმან მხილველთამან შუენიერებაჲ ადგილისა ამისაჲ“ (ც.ა. სრ.პნ ზრზ.შლს.ე, 14).

ქვეყნის დასახლებულობისა და კაცრიელობისა, თუ უკაცურობის მიხედვით, მიწა და თემი შეიძლება ან „შენი“ ყოფილ იყო, ან „უშენი“, „ოკერი“: „გიბოძეთ თქუენი სამკვდრო მამული... საკნავითა და უქნავითა... შენითა და ოკრითა“-ო (1627 წ. წყალობის წიგნი, ს.წ. სძ.ენლი, I, 115).

ქართული უშენი, ს. ორბელიანის ცნობით, იობის 18<sub>4</sub>-ში უნდა ყოფილიყო ნახმარი (ლექსიკ.), მაგრამ ბაქარის გამოცემაში ამ 6-ში „უსაყოფო“ სწერია. საბას, ცხადია, დაბადების სხვა რედაქცია ჰქონია ხელთ. ამგვარად „უშენი“ იგივე „უსაყოფო“ ყოფილა. „უშენი“ ბერძნულს ἀεικητός-ს, ლათინურს *derelicta terra*-სა და სომხურს *ახეჯან*-ს უდრის, რაც უცხოვრებელს, დაუსახლებელს, მიტოვებულსა და დაუშენებელს ნიშნავს.

თუმცა უშენს ქართულადაც შეიძლება ასეთი მნიშვნელობა ჰქონოდა, მაგრამ მიტოვებული, გაუკაცრიელებული ადგილის აღსანიშნავად განსაკუთრებული ტერმინი არსებობდა. ასეთ მიწასა, თუ ქვეყანას „ოკერი“ ეწოდებოდა. აქითგან ნაწარმოებია ზნა „ოკრებაჲ“, „მოოკრებაჲ“ და საოკრად ყოფნაჲ“ (ესაია 1<sub>8</sub>, იერემია 51<sub>33</sub>, —2 ნეშტ. 30<sub>7</sub>, ესაია 34<sub>11</sub> და 5<sub>9</sub>):

„ქუეყანა თქუენი ოკერი... სახლნი ბაბილონისანი, ვითარცა კალოჲ ოკერი, მოოკრდენ“. „მოოკრდეს... და დადებულ იქნეს... საზომელი ოკრებისაჲ“. — „უტუეთუ იქმენ სახლნი მრავალნი, საოკრად იყვენენ დიდნი და კარგნი და არა იყვენენ შორის მკვდრნი“-ო.

უკანასკნელ მაგალითში კარგად არის ცნება „ოკერი“-ს ძირითადი მნიშვნელობა გამოხატული: ოკერად ის იწოდებოდა, ვისაც და რომელსაც სახლის „მკვდრი“ არა ჰყავდა, შთამომავლობა აღარ მოეპოვებოდა, მოსახლეობა არ გააჩნდა. სწორედ ამიტომაც არის, რომ ბასილ ზარზმელს ნათქვამი აქვს: ჩორჩანელი „გიორგი შვილთაგან ოკერ და უქმ იყო, რამეთუ ორნი შვილნი სიჩჩოებასავე შინა წარსრულ იყუნეს და შემდგომად მათისა დედაცა... მათი მიიცვალა“-ო (ც<sup>2</sup> ს<sup>2</sup> 36 ზრზშლსა, 39—40).

ამგვარად იყო „უშენი“-ც, „უშენი“-ცა და „ოკერი“ ადგილიც. ოკერი ბერძნულს *ἄεικτος*-ს, *ἐρημος*-ს, ლათინურს *desertus*-ს და სომხურს *վակահայկ*-ს, *ახერასკ*-ს უდრის.

ღროთა განმავლობაში, უცხოელთა ბატონობის წყალობით აოხრებულისა და ნაოხარის აღსანიშნავად სხვა ტერმინიც შემოდის. ოხერის შესატყვისობა მიენიჭა შეთვისებულ სიტყვას, რომელიც „პარტახტი“-სა და უფრო პირვანდელი და სწორე „ფარდახტი“-ს სახით გვევლინება.

ნიკორწმინდის XI ს. სიგელში ნათქვამია: მეტეხარას „დებორიანის ძისაგან ვიყიდე პარტახტი : ა : და მივეც ცხენი : ა : და ჩაბალახი გუდამაყრული : ა :“ (ქ<sup>2</sup>ბი, II, 45). ხოლო კორიდეთის სახარების ერთ მინაწერში ნახმარია „ფარდახტი“.

პროფ. ნ. მარჩს გამორკვეული აქვს, რომ ეს ტერმინი სპარსულ სიტყვას *پارتاخ* „ფარდახტი“-ს ქართულ ფონეტიკურ შესატყვისობას წარმოადგენს (იხ. ნ. მარჩი, Груз. приписки греч. евангелия из Коридии, ИАН, გვ. 221). სპარსულად ეს სიტყვა მიტოვებულს, დატოვებულს ნიშნავს.

მაგრამ ასეთი ცნების გამოხატელები ნამდვილი ქართული ტერმინი ძველ ქართულშიც არსებობდა და დაბადების თარგმანში „დატევებული“-ს სახით არის წარმოდგენილი: „სახლნი და ტევებულნი“ (ესაიასი 32<sub>4</sub> შეად. 1<sub>7</sub>-ს), რომელიც ბერძნულს *οἶκος ἐγκαταλειμένος*-ს, *ἐγκαταλειμένος*-ს. უდრის, ლათინურს *domus demissa*-ს, *derelictus*-ს.



რასაკვირველია, დატოვებული და ოხერი ერთიდაიგივე არ არის: „დატოვებული“ ყოველთვის ოკერის შესატყვისობას არ წარმოადგენდა, რათგან შესაძლებელია დატოვებული მხოლოდ დროებითი მდგომარეობის აღმნიშვნელი ყოფილიყო, „ოკერი“-კი მუდმივ ვითარებას გამოჰხატავდა. სპარსულ სიტყვას „ფარდახტ“-საც ქართულში მნიშვნელობა შეეცვალა და დატოვების მგაიერ აოხრებულ - ამოვარდნილის აღმნიშვნელად იქცა.

---

## I. მიწისმოქმედება

### თავი პირველი. მიწისმოქმედების დარგები

თანამდროვე სამეცნიერო მწერლობაში მიწისმოქმედება რამდენიმე დარგად იყოფება. თვითოეული დარგი სასოფლო მეურნეობის გარკვეულ ნაწილს ეხება, მაგ., არის მებაღეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა [მეცხოველეობა — ვ. გ.] და სხვ. გამოსარკვევია, არსებობდა თუ არა საქართველოში ძველადაც რაიმე მსგავსი დანაწილება.

რაკი ძველ ქართულში მიწას „ქუეყანაჲ“ ერქვა, ამიტომ მიწის დამუშავებასა და მიწისმოქმედებას „ქუეყნის მოქმედებაჲ“ ეწოდებოდა. დაბადების ქართულმა თარგმანმა მხოლოდ ეს ტერმინი იცის: „ეგრაველი ქუეყნის მოქმედებასა შინა მოილაღებოდეს!“-ო (2 მაკაბელთაჲ, 12<sub>1</sub>). ბერძნულ ტექსტში ამის შესატყვისად არის *γεωργία*, ლათ. *agricultura* (შეად. აგრეთვე 1 ნეშტთაჲ, 27<sub>16</sub>).

ამგვარადვე მიწის დამუშავებელს „ქუეყნის მოქმედი“ ერქვა: „აკი ქუეყნის მოქმედი ვარ მე... სიკაბუკით ჩემითგან“ (ზაქარიაჲსი, 13<sub>6</sub>), რაც უდრის ბერძნულს *γεωργός* *ἐργάζεσθαι* *τῆς* *γῆς* ლათინურად *homo agricola* და სომხურს „*այრ հողագործ*“-ს. მარტო ადამიანს-კი არა, არამედ საქონლის შესახებაც ესევე ტერმინი იხმარებოდა „ქურონი... და კარნი მოქმედნი ქუეყანისანი“ (ესაიაჲსი, 30<sub>24</sub>).

ამისდა მიხედვით მიწის დამუშავებას მაშინ ეწოდებოდა „ხაკმე ქუეყანისაჲ“: „იწყო ნოე კაცმან 'საკმედ ქუეყანისა და დაასხა ვენაკი“ (შესაქმეთაჲ, 9<sub>30</sub>—<sub>31</sub>). ბერძნულად ამას უდრის *ἄγροστο* *Nῆε* *γεωργός* *γεωργός* *τῆς* *γῆς*, ლათინურად *vir agricola exercere terram* და სომხურად „*այრ հողագործ*“. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა „შრომაჲ ქუეყანისაჲ“: „რადეჲმს შურებოდი ქუეყანასა და არა შესძინოს ძალი თჳსი მოცემად შენდა“ (შესაქმეთაჲ, 4<sub>31</sub>).

შესაქმეთა 9<sub>30</sub>—<sub>31</sub>-ითგან ჩანს, რომ „ქუეყნის მოქმედება“ ძველად ზოგადი ტერმინი იყო, რომელიც მარტო საველე მუშაობას, ხენათესევას-კი არ ჰგულისხმობდა, არამედ მევენახეობასაც. იქ სახელდობრ ნათქვამია: „იწყო ნოე კაცმან საკმედ ქუეყანისა და დაასხა ვენაკი“-ო.

„ქუეყნისმოქმედების“ ძველ საქართველოში არსებული დარგების შესახებ პირდაპირი ცნობები ჩვენ ჯერ არსად მოგვეპოვება. მაგრამ ამ საკითხის გამორკვევა „რიანობის“ შემცველი სიგელ-გუჯრების ნაწილის (იხ. ამის შესახებ ჩემი „ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“, გვ. 100—102) დახმარებით შეიძლება. ამ ნაწილში ჩამოთვლილია ხოლმე საკუთრებისა, თუ ქონების

ყოველი თვისება და დარგი. მე-XV ს-მდე გადაჩენილ საბუთთა სიმცირის გამო ამ საკითხის ისე კარგად გამოკვლევა არ შეიძლება, როგორც მე-XV ს-ითგან მოყოლებული ძველთა საშუალებით. ამდროინდელ სიგლებში რიანობაში სახელდობრ ნათქვამია ხოლმე: შემეწირავს, ან მიწყალობებია, ან მომიგია ესათუ-ის ადგილი „მითა, ბართა, წყლითა, წისქულითა, ველითა, ვენაკითა, ქალითა, სათიბითა, წყლისა სანადიროთა“-ო (იხ. ალექსანდრე მეფის 1412—13 წ. მცხეთის სიგ.: ისტ. საბ., III, 8), ანდა „მითა, ბართა, წყლითა, წისქულითა, ველითა, ვენაკითა, ქალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა“-ო (იქვე ალექსანდრე მეფის 1419—20 წ. სიგ.: III, 11). ამგვარი მაგალითების მრავლად მოყვანა შეიძლება, მაგრამ საქმის ვითარების გასათვალისწინებლად ესეც საკმარისია.

ამ ამონაწერებიდან ჩანს, რომ „ვენაკი“ ცალკე ყოფილა გამოყოფილი, „ველი“ კიდევ ცალკე ისევე, როგორც ტყე, სათიბი, წყალ-წისქვილი და სხვა. როგორც „ვენაკი“ მევენახეობის დარგს ეკუთვნოდა, ისევე „ველი“-ც სასოფლო მეურნეობის ცალკე დარგს უნდა ჰგულისხმობდეს.

თუ სახელდობრ რომელი სამეურნეო დარგი იგულისხმებოდა, როდესაც საბუთებში ველი იხსენიებოდა, ამის გამოკვლევის საშუალებას სიგელთა „რიანობის“ ზემოთყვანილისაგან ოდნავ განსხვავებული რედაქცია გვაძლევს. ასეთ განსხვავებული რედაქციის რიანობაში ნათქვამია ხოლმე: „ყანითა, ვენაკითა, წყლითა, წისქულითა, ქალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა“-ო (იხ. 1433-4 წ. მცხეთის № 332 სიგ. და ალექსანდრე მეფის 1438 წ. მცხეთის სიგ. № 438: ისტ. საბ., III, 17 და 19 და ბევრგან სხვაგანაც).

რიანობის ამ ორი რედაქციის შინაარსი ერთმანეთისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ, თუ ერთ რედაქციაში „ვენაკს“ წინ „ველი“ უძღვის, მეორე რედაქციაში ველის მაგიერ „ყანა“ სწერია. აქითგან ცხადი ხდება, რომ მაშინ ველად ყანა იგულისხმებოდა. ხოლო რაკი „ყანა“ ზოგადად სახნავ-სათესსა ჰნიშნავდა, უნდა ღავასკნათ, რომ „ველი“ ხვნა-თესვისა და მარცვლეულის მეურნეობას ჰნიშნავდა, საველე მეურნეობის დარგს ჰგულისხმობდა.

### თავი მეორე. მიწის ამა-თუ-იმ სამეურნეო დარგისათვის განკუთვნილობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია

იმისდა მიხედვითაც, თუ მეურნეობის რომელი დარგისათვის იყო მიწა ბუნებითა, თუ მდებარეობით, ან და ნიადაგის თვისებით შესაფერისი და განკუთვნილი, თვითვეულს თავისი აღმნიშვნელი ტერმინი ჰქონდა.

იმ ადგილს, რომელიც მოსახნავად იყო გამოსადეგი და გამოყენებული „ხაკნავი“, ან „ხახნავი“ ეწოდებოდა, ხოლო რომელიც საამისოდ გამოყენებული არ ყოფილა, იმას „უკნავი“, „უხნავი“ ერქვა. ეს სიტყვები უძრავის შესახებ ნაკმნარის აღმუქედელ მერმინდელ საბუთებში ჩვეულებრივი ტერმინებია.

უეპველია, ასევე იქმნებოდა ამაზე უწინარესაც, მე-IX—XII სს-შიც, თუმცა არც ამ ხანის გადარჩენილ მცირერიცხოვან საბუთებში და არც უფრო აღრინდელი ხანის ძეგლებში, მაგ., დაბადების ქარაულ თარგმანში, „საკნავეი“ ტერმინად არ ჩანს: მაგრამ ეს, საფიქრებელია, შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს.

დაბადების თარგმანში სამაგიეროდ საბას ცნობით ნახმარი ყოფილა თითქოს ამავე ცნების გამომხატველი ტერმინი „საყანუჩი“. ბაქარის გამოცემის ისო ნაეის 21<sub>11</sub>-ში-კი ნათქვამია: „მისცეს მას... დედაქალაქი ენაკთა და სათესელი გარემოს მისსა“-ო. მაშასადამე, აქ საყანურის მაგიერ „სათესველი“-ა. ცხადია, ს. ორბელიანს დაბადების სხვა რედაქცია ჰქონია ხელთ, რომელშიც ამ ადგილას „საყანური“ ყოფილა ნახმარი, ბერძნულად τὸ παριουρίον სწერია, ლათინურად suburbana და სომხურად *անդասთან*.

ორი ქართული რედაქციის შესატყვისობითგან ცხადი ხდება, რომ საყანური მნიშვნელობით სათესველს უღრიდა.

„საყანურ“-ის შესატყვისად, როგორც ვეცნობა, მარტივად „ყანა“-ც იხმარებოდა, რის დამადასტურებელი საბუთები შემდეგ, თავის ადგილას საკმარის შეგებდება. გ. შერჩულს-კი ასეთივე ცნების გამოსახატავად ნახმარი აქვს „სათესავი ყანა“. მისი ცნობით ხანძთას „სათესავი ყანა და სათიბელი ქუეყანაა რაჯთურითი არა არს, არცა იქმნების ღირღლოვანთა მათ ფიცხელთა მწურვალთა მათ ღადოთაჲსა“-ო (ც<sup>2</sup> გ<sup>2</sup> ლ ხნძთლსჲ, იზ).

მერმინდელის, მე-X—XVIII სს-ისა და ეხლანდელის მსგავსად ძველდაც ბოსტან-ბაღ-ვენახებისათვის განკუთვნილი მიწის ნაქრების აღსანიშნავად უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული ტერმინი. მაგრამ რაკი ბალი და ბოსტანი, როგორც ცნობილია, ნახესხები სიტყვებია და სამწერლობო ენაში მე-X ს. დამლევითგან ჩნდებიან, ვენახსაც მე-IX ს-მდე სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე შემდეგში მიენიჭა და ეხლაც აქვს (ამის შესახებ იხ. ქვევით სათანადო ადგილას), ამიტომ ცხადია, ამ ცნების გამოსახატავად სხვა ტერმინები უნდა ყოფილიყო. ასეთ ტერმინად უმთავრესად „სამტილე“-ა მოსალოდნელი, მაგრამ, თუ არ ვცდები, ჯერჯერობით ასეთი სიტყვა არც საბუთებში, არც საისტორიო ძეგლებში და არც დაბადების ქართულ თარგმანში ჩანს. ამასთანავე, ეს სიტყვა არც საბა ორბელიანს მოეპოვება თავის ლექსიკონში. ამისდა მიუხედავად საფიქრებელია, რომ ეს გარემოება ძველი გადარჩენილი ძეგლების, მეტადრე საბუთების, სიმცირით უნდა აიხსნებოდეს. ამ აზრის სისწორეს ბოსტანის აღმნიშვნელი მეგრული „ორტილი“ ამტკიცებს, რომლის ეტიმოლოგია მებალეობა-მებოსტნეობის შესახებ ნაწილში გვექნება მოყვანილი.

საქონლის გამოსაკვებად განკუთვნილ მიწას „სამოვარი“ ერქვა: ქვეყანა „იყოს სიკორდისაგან და ეკლისა სამოვარ ცხოვართა და დასათრგუნველ ზოხისაჲ“ (ესაიაჲსი, 7<sub>25</sub>). ეს ტერმინი ბერძნულ τὸ βρωχια-ს და სომხურს *արიით*-ს უღრის, რომელთაც სწორედ იგივე მნიშვნელობა აქვსთ. როგორც ამ ადგილითგანაც ჩანს, სამოვრად ჩვეულებრივ მხოლოდ კორდ-გაუტეხელი მიწა იხმარებოდა.

ეს ტერმინი იოველის 1<sub>17</sub>—1<sub>18</sub>-შიც არის, რომელშიც საკვებს-მოკლებული საქონლის გასაქირი არის მხატვრულად გადმოცემული: „ჰკრთებოდეს

დიაკეულნი ბაგათა ზედა მათთა“ და „ტიროდეს მროწეულნი ზროხათანი. რაჲმეთუ არა იყო საძოვარი მათი“-ო. ბერძნულად აქ ნახმარია *σιμύρι*, სომხურად *սիւրի*, ლათინურად *pascuum* (ესაიას, 7, 25).

საძოვარს გარდა, ტერმინი „ხახაძოვრე“-ც არსებობდა და ესაიას 32, 14-შია ნახმარი ბერძნული *βήρυξ*-ს, ლათინური *pascua*-სა და სომხური *მასკასი*-ის შესატყვისად: „სახლნი დატევებულნი... და იყვნენ დაბნები... სასაძოვრე მწყემსთა“. ბერძნული და ლათინური ტერმინები საძოვარსა ჰნიშნავენ, მაგრამ ქართულად მთარგმნელს „სასაძოვრე“ უხმარია, რომელიც მნიშვნელობით „საძოვრე“-ისაგან, რასაკვირველია, განსხვავდება. „საძოვარი“ ისეთ ადგილს ეწოდებოდა, რომელსაც საქონელი ჩვეულებრივ სძოვდა, „სასაძოვრე“-კი ისეთ ადგილს ჰნიშნავდა, რომელიც საძოვრად გამოდგებოდა, ან საძოვრად ქცევა შეიძლებოდა. ეს ტერმინი ისევეა ნაწარმოები, როგორც საყანე, სახნავე, სავენახე და არა ერთი სხვა, რომელთაც ქართულ სასოფლო მეურნეობის ტერმინოლოგიაში ამა-თუ-იმ მიწის ნაკრის დანიშნულების გამოსახატავად ხმარობდნენ ხოლმე. ქართველ მთარგმნელს დაბადების ამ ადგილის დედაა ზრის გადმოსაცემად ქართული ეკონომიური ცხოვრების შექმნილი ტერმინი გამოუყენებია.

საძოვარს გარდა, მიწა შეიძლება თივის მოსაგროვებლადაც ყოფილიყო განკუთვნილი. ასეთი ადგილის აღსანიშნავად გ. მერჩულს ტერმინად ნახმარი აქვს „სათიბელი ქუეყანაჲ“. მისი გარდმოცემით გრიგოლ ხანძთელს ხანძთის ბუნებისა და მიწა-წყლის დახასიათების დროს აღუნიშნავს, რომ ამ კუთხეს ყოველგვარ ღირსებასთან ერთად ის ნაკლი აქვს, რომ იქ „სათესავი ყანაჲ და სათიბელი ქუეყანაჲ რაჲთუ-თით არა არს, არცა იქმნების“ ამ ადგილის ბუნებრივი თვისებების გამო (ცხ გვლ ხნძთლსჲ, იხ).

ზემოაღიქვანილა რაული გამონათქვამის მაგიერ საბუთებში ტერმინად მარტივად „სათიბი“ გვხვდება. მიქელ კატარჯის მიერ დაწერილს გიორგი მეფის სიგელში აღნიშნულია მაგ., რომ სოფ. დერჩი შეწირული იყო „მისითა... მითთა, ბარითა, ტყითა, ველითა... სათიბითა“ (ქკბი, II, 50).

## თავი მესამე. მიწისა და ნიადაგის ხავერდოვანი თვალსაზრისით შეფასება

ყოველი გონიერი მეურნე მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი მიწის შეჩვენებს ცდილობს, რათაგან ხანგრძლივმა გამოცდილებამ ადამიანს ასწავლა, რომ ამა-თუ-იმ სამეურნეო დარგისათვის სხვადასხვა თვისების ნიადაგი და პირობებია საჭირო. ეს ძველდაც კარგად ესმოდათ და სწორედ ამ შეგნების საუკეთესოდ გამომხატველია ისეთი ძველი ქართული ტერმინები, როგორცაა საკნავე, სათიბი, სავენაკე და სხვა ამის მსგავსი. ამა-თუ-იმ სამეურნეო დარგისათვის მიწის ვარგობის გადასაწყვეტად მისი ნიადაგისა და ბუნების თვისებათა ცოდნა და გათვალისწინება იყო საჭირო. მიწასმოქმედმა მაშინაც კარგად იცოდა, რომ ზოგი მცენარეულობისა, თუ ბოსტნეულისა, ან ხეხილის მოყვანა-გაშენებისათვის ნოყიერი ნიადაგი იყო აუცილებლად საჭირო, ზოგი კიდევ მკვლე ნიადაგზეც

საუცხოვოდ ხარობდა ხოლმე ამის წყალობით ნიადაგის თვისებათა დასახასიათებლად განსაკუთრებული ტერმინოლოგია შეიქმნა, რომლის ცოდნა ისტორიკოს-ეკონომისტისათვისაც საჭიროა.

„ქუეყანაჲ“, მიწა, თავისი ნიადაგის ღირებებისდა მიხედვით ორ ჯგუფად იყოფებოდა. როდესაც მიწის თვისების გაგება სურდათ, მაშინ კითხულობდნენ, „რაჲ არს ქუეყანაჲ იგი: ანუ თუ პოხით არს, ანუ მქლე“-ო (რიცხუთაჲ, 13<sub>11</sub>).

იმ მიწასა და ადგილს, რომელიც „პოხით“ იყო „პოხიერი“, ქუეყანაჲ პოხიერი, ან და „ადგილი პოხიერი“ ერქვა: „ძოდენ საცხოვარნი შენნი... ადგილსა პოხიერსა“ (ესაიაჲსი, 36<sub>33</sub>). უღონო მიწას „მქლეჲ“ ეწოდებოდა.

მიწის ამ ორივე თვისების გამოსახატავად „ხიპოხეჲ“ და „სიმქლეჲ“ იხმარებოდა: „მოგცეს შენ ლნ... სიპოხისაგან ქუეყნისა და სავსებაჲ იქლისა და ღვინისა“-ო (შესაქმეთაჲ, 27<sub>28</sub>). პოხისა და პოხიერის შესატყვისად ბერძნულად არის *πίσος*, ხოლო „სიპოხეჲ“-ს ἡ *πίσθη*; ლათინური *pinguis*, *pinguis terrae* უღრის. სომხურ თარგმანში *պարարտ* და *պարարտიქան*-ია. სამივე სიტყვა ქონს და სიმუქენს ჰნიშნავდა. ამგვარად „ქუეყანაჲ პოხიერი“ მსუქან მიწას, ხოლო „მქლეჲ“ სიმსუქნეს მოკლებულს, გამოფიტულ ნიადაგს უღრიდა. რათგან მქლე მიწას ნაკლები მოსავლის მოცემა შეეძლო, ამიტომ „მქლეჲ“ ბერძნულს *παρυσέτης*-ს და სომხურ *տկար*-ს უღრის. სომხური ტერმინი უძღურსა ჰნიშნავს. ლათინურად-კი ნახმარია *sterilis*, ე. ი. უნაყოფო, გამოფიტული.

პოხიერი, ღონიერი მიწის აღსანიშნავად ტერმინად „ნაყოფიერი“-ც (ფსალ., 106<sub>34</sub>) იხმარებოდა ხოლმე. ხოლო ამგვარადვე უნაყოფო ნიადაგსა და მიწას „აღლაჲ“ და „ბიცი“-ც ჰქმევიდა. პირველი სიტყვა ფსალ., 106<sub>34</sub>, მეორე იერემ. 17<sub>6</sub>-ში გვხვდება, მესამე კიდევ ფსალ., 106<sub>34</sub>-შივე. საბაჲს ორივე უკანასკნელი ტერმინი სინონიმებად მიაჩნია და ბიციჲს განმარტების დროს ახსნილი აქვს, რომ ასეთი სახელი ისეთ ნიადაგს ეწოდებოდა, „სადა სიმლაშით ნაყოფი არ იქმნების“-ო (ლექსიკ.). „დასხნაჲ... ქუეყანა ნაყოფიერი ბიცად (ფსალმ., 106<sub>34</sub>). „იყოს ვითარცა ველური გრიკი უღაბნოს შინა... და დაეშნოს აღლაჲსა, ქუეყანასა უღაბნოსა შინა, მარილიანსა“ (იერ. 17<sub>6</sub>).

„ნაყოფიერი“ უღრის ბერძნულს *απαρσιφόεις*, ლათინურს *fructifer* ს და სომხურს *պողաբեր*-ს. ხოლო „ბიცი“ ბერძნულს *ἄλυσθη*-ს, ლათინურს *sal-sugis*-ს და სომხურს *աղտაղտიկ*-ს ეთანასწორება. ამგვარად საბაჲს განმარტება ბიციჲს შესახებ მართლდება.

„აღლაჲ“ უღრის ბერძნულს *ἄλυσθη*-ს, ლათინურს *siccitas*-ს და სომხურს *աղտაղտიკ*. ამათგან მხოლოდ სომხური ჰნიშნავს მარილოვან მიწას, ლათინური ხმელისა და მკლეს აღმნიშვნელია, ხოლო ბერძნული პირიქით უმკლევოსა ჰნიშნავს. ებრაული დედნიეთგან ჩანს, რომ ტექსტის აზრი უფრო ლათინურ თარგმანსა აქვს გადმოცემული, რათგან ამ ალაგას ცხელ, ხორშაკეულ მიწაზეა საუბარი. მაგრამ შესაძლებელია ბერძნულ ხელთნაწერთა შორის ისეთებიც იყო, სადაც ამ ადგილას *ἄλυσθη*-ი ეწერა, რაც მართლაც მარილოვანსა ჰნიშნავს

და სწორედ ამის შესატყვისობას წარმოადგენდეს ქართული „აღდაქი“. თუ ეს მცდარი აზრი არ არის, მაშინ აღდაქი და ბიცი მართლაც სინონიმები გამოვლენ.

სადაც სინოტიეს ნაკლებობა მიწისმოქმედს მიწის ხელოვნურად მორწყვას აიძულებდა, როგორც, მაგ., მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში, იქ მეურნეობაში ნიადაგის შეფასების დროს გათვალისწინებული ჰქონდათ ხოლმე, ირწყვებოდა, თუ არა, ან და შესაძლებელი იყო, თუ არა მიწის მორწყვა. ამიტომ არის, რომ საბუთებში, რიანობის ნაწილში, ყოველთვის დასახელებულია ესა-და-ეს ადგილი თავისი „წყლითა“-ო. იმ მიწის ნაქერს, რომელსაც თავისი მოსარწყავი წყალი ჰქონდა, „სარწყავი“ ეწოდებოდა (იხ. ამირეჯაბი რამინ გაბილაძის 1451 წ. სიგ.: ისტ. საბ.მ. 9 და სხვაგან) ისევე, როგორც მოსარწყავი წყლის არამქონეს „ურწყავი“.

ამას გარდა არსებობდა აგრეთვე „ქუეყანა ურწყული“ (ფსალ., 106<sub>კვ</sub>) ისევე, როგორც ურწყული იქმნებოდა ყოველი იქ მდებარე მიწის ნაქერი. „ქუეყანა ურწყული“ უღრის ბერძნულს ἡ ἀσημένια, ლათინურს terra sine aqua-ს და სოცხურს ხრქიქ. ბარაილი-ს.

„ურწყავისა“ და „ურწყულს“ შორის მნიშვნელობით ის განსხვავება იყო, რომ ურწყავი შესაძლებელი იყო ადამიანის ხელოვნებას სარწყავადაც ექცია, მაგრამ ურწყული სრულებით უწყლო ადგილს ეწოდებოდა, რომლის სარწყავად ქცევა ამის გამო ბუნებრივი გზით შეუძლებელი იყო.

### თავი მეთხუთხე. საქართველოს გუნებისა და მიწა-წყლის თვისებათა

#### წოგადი დახასიათება უგველანი წარმოების თვისებით

ყოველი ქვეყანა თავისი ნადაგის, ჰაისა, წყლისა და ნაყოფიერების თვისების მიხედვით ფასობდა: აქედენ ხოლმე ამა-თუ-იმ კუთხეს „იეფობისათვის ნაყოფთა მისთასა და ჰაერისათვის კეთილისა და წყალთა ტკბილთა, კეთილად და მდიდრად მცენარეთა აღმოცენისათვის“ (არსენი, ცა იე ზედაზნ., საქ. სამ., 195).

მაშასადამე, ქართველი ისტორიკოსის შეხედულებით, ამა-თუ-იმ ქვეყნის თვისების დროს მთავარი ყურადღება იმას ჰქონდა მიქცეული, თუ რამდენად „კეთილად“, კარგად და „მდიდრად“, უხვად შეეძლო მას „მცენარეთა აღმოცენება“, ანუ, ერთი სიტყვით რომ გამოითქვას, მისი ნაყოფიერების ძალას.

ამას გარდა, ნაყოფიერი ქვეყანა იმდენადაც ფასობდა, რამდენადაც კარგი და სალი ჰაეა ჰქონდა და საამო სასმელი წყალიც საკმაოდ მოეპოვებოდა: „ჰაერი კეთილი“ და „წყლნი ტკბილნი“ გააჩნდა.

თუ ამ სამ თვისებას ზედ ამ ქვეყნის ეკონომიური კეთილდღეობაც ერთვოდა და „იეფობა ნაყოფთა“, ყოველგვარი სახმარისი იაფობა ადამიანს ცხოვრებას უადვილებდა, მაშინ ის საუკეთესოდ ითვლებოდა.

საქართველოს ეკონომიური ისტორიის შესწავლის დროს, რასაკვირველია, უნდა ვიცოდეთ, თუ რა სახელი ჰქონდა ძველად ჩვენს ქვეყნის ბუნებრივ თვისებებს. ამ საკითხის გამოსარკვევად არა ერთი საყურადღებო ცნობა მოგვეპოვება.

უძველესი დროითგან დასავლეთი საქართველო, კოლხეთი, უაღრესად ნაყოფიერ და მდიდარ ქვეყანად ითვლებოდა. არგონავტების შესახები ბერძნული თქმულებებიც ამ გარემოების მკაფიოდ გამომჟღავნებელია, ბერძენთა გეოგრაფები და ისტორიკოსებიც ერთხმად ამასვე ადასტურებენ.

მაგრამ კოლხეთის მიწაწყლის დიდ ღირსებასთან ერთად, საქართველოს ამ ნაწილის ბუნებას თავისი დიდი ნაკლიც ჰქონდა, როგორც ბერძენთა მწერლებსაც არ გამოჰპარავიათ და მკვერმეტყველურად აღწერილიც აქვთ.

ჰიპოკრატეს (450—377 წ. ქ. წ.) ცნობით მდ. ფაზისის, ანუ რიონის მიდამო მდებარე ქვეყანა ქაობიანი, ცხელი, ნოტიო და ტყიანი იყო. იქ წლითი წლობადის ყოველთვის დიდი, ხშირი წვიმები სცოდნია. ამასთანავე ფაზისს მკარე მიმდინარეობა ჰქონდა და აორთქლებული წყალი ხშირი ბურუსით ჰფარავდა ქვეყანას. ამის გამო ჰაერი აქ მძიმე და ნოტიო იყო. ჰავა ერთგვარი იკლდა და იშვიათად იცვლებოდა. ჩვეულებრივ თურმე უფრო სამხრეთის ქარი ქრდა ხოლმე, ჩრდილოეთის გამაგრილებელი ქარი-კი იშვიათი ყოფილა და არც სიძლიერე ჰქონია. ამას ერთვოდა ერთი, კენქრონად წოდებული, ადგილობრივი ქარი, რომელიც თურმე ძლიერ ცხელ და უსიამოვნო ქარად ითვლებოდა (*Hippocratis et aliorum medicorum veterum reliquiae*, ed. Fr. Zach. *Ermerrins*, vol. I, 22—ლათიშევი, SC, I, 58—59). ამგვარად, რაკი ძლიერი გამაგრილებელი ქარი იქ არ ქროდა, ცხელი, მძიმე და ნოტიო ჰაერი და ბურუსი ჰმზაზადა ქვეყანას.

ბუნების ამგვარი პირობების გამო, ხალხს ქაობიან ადგილებში უხდებოდა ცხოვრება. მათი ხის, ან ლერწმისაგან დაწნული სახლებიც ქაობებში იდგა. ამიტომ ამ ადგილებში იმდენად ფეხით არ უხდებოდათ სიარული, რამდენადაც მკლანი ხისგან გაკეთებულ ნაწიში ჯდომა და იქ ბლომად მყოფ არხებში ნაწით სიარულიო.

ამავე მიზეზის გამო იძულებულნი იყვნენ თბილი, დუბელა, მზისაგან აყრობლულნი და წვიმით შეზავებული, დამპალი წყალი ესეათ. ამიტომ ხალხი აქ გარეცნობითაც განირჩეოდა თავისი მალალი და მსუქანი აგებულობით, ისე რომ არც სახსრები და არც ძარღვები ემჩნეოდათო. ხმა სხეებზე უფრო ბოხი ჰქონდათ. კანსაც, ყვიათაი დაავადებულების გამო, მოყვითანო ფერი ელო. ფიზიკური მუშაობის ატანაც უძნელდებოდათ.

ჰიპოკრატეს სიტყვით ასეთი ჰავის გავლენა სასოფლო მეურნეობასაც ეწინააღმდეგებოდა და ყოველგვარი ხილი, რაც-კი იქ მოდიოდა, ბუნების ზეპოაღწერილი პირობების გამო, ხეირიანი ვერ გამოდიოდა: თონთლო იყო და ჰავის სინოტიეს გამო კარგად და წესიერად ვერ მწიფდებოდა (*Hippocratis et aliorum medicorum veterum reliquiae*, vol. I, 22—ლათიშევი, I, 58—59).

ქართველ ისტორიკოსებსაც აღნიშნული აქვთ დასავლეთი საქართველოს ბუნების მავნე თვისებები. გ. მეჩერული სიტყვით, მაგ. აფხაზეთის „მიწასა ზედა... სულთსაგან ხორშაკისა მაკუდინებელისა“ ჰაერი მოწამლული იყო და ადამიანს იქ ცხოვრებას უძნელებდა (ცა გვლ ხნძთლსა, კგ). საერთოდ ისე ითვლებოდა და ამბობდენ ხოლმე, რომ „ქუეყანა ესე ხორშაკეული არს“-ო (ცა გი მთწმდლსა, 323).



მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის ლიბანიმერეთის ჰაერის მანე თვისებას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი უჩივის. მისი სიტყვით საქართველოს სხვა ნაწილებთან შედარებით სხვადასხვა „სენტა მიერ განკლილთ და ხილვად საძნაურთა... ზრდის უმეტეს სხვათა ქუეყანათა ქუეყანაჲ ქუთათისა“ (ცა შფსა დწთი \*555, გვ. 323).

მერმინდელ წყაროებშიც, მეტადრე იტალიელ მისიონერთა აღწერილობაში, დასავლეთი საქართველოს ზოგიერთი თემის ბუნების უარყოფითი თვისებები სასოფლო მეურნეობისათვის ხაზგასმით არის დადასტურებული. მაგ., არქ. ლამბერტიც ამბობდა: სამეგრელოში „სათესად მთელი ქვეყანა ვარგა, თუმცა მეტის-მეტი სინოტიეს გამო, რომელიც ალკობს თესლს, მიწა იმდენს მოსავეალს არ იძლევა, რამდენსაც ასეთი მიწა სხვაგან მოიტანდა“-ო (სამეგრ. აღწ., 56).

ამავე იტალიელი ავტორის სიტყვით, მთელ სამეგრელოში „სინოტიეს გამო... ცუდი ბალახი სჭრად იზრდება და ამისთვის დიდი შრომაა საჭირო მის მოსასპობად. თუ ბალახს რამდენიმე დღეს დასცალდა ზრდა, ისე იმატებს, რომ სულ გააქრობს ნათესს. ამიტომ მიწიდან თავს იჩენს თუ არა ლომი, მაშინვე გამოთონხა სჭირდებაო (არქ. ლამბერტი, სამეგრ. აღწ., 57).

მაგრამ ყველა ამ უარყოფითი ცნობების გადაკითხვის დროს უნდა ახსოვდეს ადამიანს, რომ ზემომოყვანილ წყაროებში მთელ დასავლეთ საქართველოზე არ არის საუბარი. ჰიპოკრატე რიონის მიდამოებისა და უქველია ზღვის სანაპიროებზე ლაპარაკობს, დანარჩენ ავჯორებსაც უმთავრეად ლიბანიმერეთის, მეტადრე აფხაზეთისა და სამეგრელოს, დაბლობი და ქაობიანი ადგილები აქვთ ნაგულისხმევი. ამგვარადვე „ქუთათისის ქუეყანა“-ც ზოგადი მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი, მაგრამ განსაზღვრულ მანე ადგილეს უნდა ჰგულისხმობდეს. ამიტომ დიდი შეცდომა იქნებოდა, თუ რომ იქ დახატულ სურათს მთელი დასავლეთი საქართველოს მაშინდელი ბუნების დამახასიათებლად მივიჩნევდით.

თვით ამ ჯანმრთელობისათვის მანე და მეურნეობისათვის ზოგიერთი უარყოფითი თვისების მქონებელ კუთხეებსაც ზამთარში, თბილი და სალი ჰაერის წყალობით, ეტანებოდენ ხოლმე და ვისაც შეეძლო, ზამთარს იქ ატარებდა ხოლმე. საქართველოს მეფეები, მაგ., ზამთარში აფხაზეთში გადადიოდენ ხოლმე, იქვე გადაჰყავდათ საპატიო სტუმრებიც. ასეთივე კარგ საზამთრო ადგილად, სადაც ადამიანს „დაზამთრება“ და კარგად „განსვენება“, დასვენება შეეძლო, სამეგრელოს ბარიც ითვლებოდა. გ. ხუცეს-მონაზონს მოთხრობილი აქვს, რომ, როდესაც გ. მთაწმიდელი ბაგრატ მე-IV თხოვნით ბიზანტიიდან სამოღვაწეოდ საქართველოში მოვიდა, რაკი „მოწვეულ-ცა იყო ეჲმე ზამთრისაჲ“, ამიტომ ბაგრატ მეფე „ჩუეულებისაებრ თვისისა წარვიდა აფხაზეთად“ და ამავე დროს სთხოვა, „აწვა ბერსა (ე. ი. გ. მთაწმიდელს) წარსლვად, რათა მუნ დაიზამთროს და განისუენოს“, რათგან „არს ქუეყანა იგი ბარი და ტფილი“-ო. კყონდიდამდის რომ მისულან, კყონდიდელ ეპისკოპოსს გ. მთაწმიდელი აღარ გაუშვია და დასაზამთრებლად და დასასვენებლად თავის-

თან დაუტოვებია და „ზამთარი მუნ დაეყავით“-ო, ხოლო ბაგრატ მეფე სრულიად აფხაზეთს შთასლვად წარემართა“-ო (უჯ გი მიწმდლსა, 320).

საუკეთესო საზაფხულო ადგილებად ძველად ქართლის მაღლობი თემები და კლარჯეთში მდებარე სოფლები ითვლებოდნენ, სადაც საღი მთის ჰავა იცოდა და თანაც უხვი მწვანე მცენარეულობა იყო. გ. ხუცეს-მონაზონს აღნიშნული აქვს, რომ „შემდგომად ზამთრისა“ აფხაზეთითვან, სადაც ბაგრატ მე-IV დასაზამთრებლად ჩასული იყო, „ადმო-რა-ვი და... მეფე ქართლადვე, მოუწოდა ბერსა (გ. მთაწმიდელს, რომელიც ზამთარში ქყონდიდში იმყოფებოდა) წინაშე მისსა, მისცა ადგილნი შუენიერანი, ლაგრანი დიდებულნი, განსაასუენებლად და საყოფელად მისად: პირველად ნედძ ქართლსა შინა და შემდგომად მკირედისა შატბერდი, დიდებულნი ლავრა კლარჯეთსა შინა“ (უჯ გი მიწმდლსა, 320).

აფხაზეთსა და იმერეთში აჯამეთის ტყე საუკეთესო საზამთრო და შვიოდგ-მის სასაღირო ადგილებად იყო მიჩნეული და მონადირეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. გიორგი მე-III, მაგ., ჩუქულებრივ „უამსა ზამთრისასა... მოინადირის... ქუქანა... აფხაზეთი“-ო (ისტრნი და აზმნი, \*610, გვ. 382).

ხოლო დავით აღმაშენებელზე მის ისტორიკოსს ნათქვამი აქვს, რომ მეფე „სითუელთა გარდავიდა გეგუთს, ინადირა, გაისუენა“-ო (უჯ მუსა დწოსი, \*543, გვ. 310). ასევე ყოუილა თამარის მეფობაში, როდესაც წესად ჰქონიათ, რომ „უამ გარდვიდიან აფხაზეთს, განაგნიან საქმნი მანდაურნი და მოინადირიან კეთილი იგი სანადირო გეგუთი და აჯამეთი“-ო (ისტრნი და აზმნი, \*706, გვ. 509).

საქართველოა სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, მესხეთი, ბუნებრივი თვისებათა მიხედვით ორ ზოლად იყოფებოდა. არსიანის ქედის დასავლეთით ზღვის სანაპირო ზოლი მდებარეობდა, რომელიც აკარას, შავშეთსა და კლარჯეთს შეიცავდა. არსიანის ქედის აღმოსავლეთი-კი უკვე კონტინენტური თვისების მქონებული მეორე ზოლი იწყებოდა, რომელიც სამცხის, ჯაეახეთისა, არტაშანისა, კოლასი და ტაოს თემებს შეიცავდა.

ამ ორ ზოლთაგან დაწერილებითი აღწერილობა ზღვის სანაპირო ზოლის მიწა-წყლისა და ჰავისა მოკვეპოვება ქართულ ძველ წყაროებში ამ ზოლის ნიადაგი სასაფლო მურნეობის თვალთსახრისითაც კარგად არის დახასიათებული.

გ. მერჩულის სიტყვით, გრ. ხანძთელს აფხაზთა მიფესთან და ადგილობრივ ხელისუფლებთან საუბრის დროს შავშეთ-კლარჯეთის მიწა-წყლის თვისებები ასე აუწერია: „ყოვლით კერძო მოზღუდვილ არიან მთათა მიერ და კევენებისა და წყალთა მათგან საშინლად ძნელოვანთა ადგილთა“-ო (უჯ გვლ ხნძთლსა, კდ). კლარჯეთში „მორტყმულ არს. ერთ კერძო მთაჲ იგი და ერთ კერძო შავშეთისა. დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლვაჲ გარემოდგს ზღუდის სახედ უძრავისა“-ო (იქვე).

ამ მთებითა და წყლებით მოზღუდვილი ქვეყნის ნიადაგის ზედა ფენა ქვიშინი იყო, უხვი მცენარეულობით. მოსილი: მას „შეშაა... უნაკლულოდ აქუს აღმოცენებული ქვშათა მათ შინა, ურიცხვ მალნარნი“ ამკობდენ მისი მთების ფერდობ-მწვერვალებს (იქვე, გვ. კდ). სწორედ ეს „მალნართა სიმრავლს ურიცხვ“ (იქვე, გვ. იზ) ამშვენებდა ამ კუთხეს.

უხვად დაჯილდოებული იყო ეს მზარე საუცხოვო სასმელი წყლითაც: „აქუს მას წყაროჲ მდიდრად გამომდინარს, შუენიერი. გრილი და ჰამოჲ“ (იქვე, გვ. იზ). მაგრამ ერთი წყარო-კი არა, არამედ მას „უნაკლულოდ აქუს... სიმრავლს წყალთა ჰამოთაჲ“ (იქვე, გვ. კდ).

ბუნების მშვენიერებასთან ერთად ამ კუთხეს ჰაეც საუცხოვო ჰქონდა: „მზისა მცხინეარებითა და ჰაერის შეზავეებითა“ ყოველმხრივ შემკობილი ქვეყანა იყო. რაკი იგი იყო „ქეთილად შეზავეებულ მზისაგან და ჰაერისა“ ისე, რომ „არცა ფრიადი სიცხს შესწუაეს მათ და არცა გარდარეული“ სიცივს შეაურევებს“ იქაურ მცხოვრებლებს. მზისა, სითბოსი და სიცივის ზომიერი განაწილება საქართველოს ამ კუთხეს „ბუნებით ერთგუამ“-ად ჰხდოდა და მისი ჰაერი, გრ. ხანძთელის მოწმობით, ყოველთვის „განწესებით დგას თვისსა საზღვარსა“ და იქაურობა „უნოტიოჲ, უხორშაკოჲ, უმიწოჲ, მზუარს“ იყო იმდენად, რომ „ქაცთა ნახქნი ფერხთანია არაოდეს თიკიან იქმნებიან სლვასა მათსა“-ო (იქვე, გვ. კდ).

ასეთ მდიდრად დაჯილდოებულსა და მომხიბლავ ქვეყანასაც ჰქონდა თავისი ნაკლი. მეტისმეტად მაღალი და უაღრესად დაქანებულ-ფერდობებიანი მთების სიმრავლის გამო, სასოფლო მეურნეობისათვის გამოსადეგი ადგილები იმდენად ცოტა იყო, რომ გრ. ხანძთელი თურმე ამბობდა კიდევ: „შეშეთ-კლარჯეთში არა არს სათიბელი ქუეყანაჲ, არცა ყანაჲ საქნაეი“-ო (იქვე, გვ. კდ), „სათესაეი ყანაჲ და სათიბელი ქუეყანაჲ რაჲთურთით არა არს, არცა იქმნების ღირლლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადოთაჲსა“-ო (იქვე, გვ. იზ). ამგვარად, გრ. ხანძთელი ამტკიცებდა, რომ ბუნებრივი პირობების გამო საქართველოს ამ ორი თემის მალლობებზე სახნავ-სათიბები არც შეიძლება ყოფილიყო.

მწვერვალებზე მდებარე ადგილებში სხვაგნითგან მოზიდული სურსათის ატანა უხდებოდათ ხოლმე. ხოლო რაკი ამასთანავე ამავე გეოგრაფიული თვისებების წყალობით ეს კუთხე საერთოდ, მეტადრე-კი მალლობი ადგილები, ძნელი მისადგომი იყო, რათგან „არს იგი უგზო და მიუვალ“ (იქვე, გვ. კდ), ამიტომ სურსათის მიტანა ძნელი იყო ისე, რომ „დიდითა შრომითა როქიკისა“ მისლვაჲ აქუს კარაულისა“ ზურგითა“-ო (იქვე).

შეშეთ-კლარჯეთში მხოლოდ მებღეობა-მევენახეობა იყო შესაძლებელი, მაგრამ ესეც მცირე ოდენობითა და დიდი გაჭირვებით. გრ. ხანძთელს აღნიშ-

1 ე. ი. მოჭარბებული.

2 განმარტება იხ. აქვე საძიებლის დახმარებით.

ნული აქვს კიდეც, რომ ამ თემის მცხოვრებთ „მცირედ ვენაკნი კირით და ურვით დაუნერგვიან და ეგრეთვე მტილები“-ო (იქვე, გვ. კლ).

მხოლოდ მწვანელიულობა მოიპოვებოდა უხვად და მრავალფეროვანებით ამ ორსავე თემში: „მხალთა ველისათაჲ არს სიმრაველჲ ურიცხვ“-ო (იქვე, გვ. კლ).

გ. მერჩულის ზემომოყვანილ საუცხოვო აღწერილობას ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის მესხეთის უურო აღზინდელი მოკლე დახასიათებაც უნდა დაერთოს, რომელიც მეორე ზოლს უურო კარგად უდგება. მისი სიტყვითაც მესხეთი უაღრესად მაღალი და დიდი, მეტად გაუქალი მთებით იყო სავსე, რომელიც არც მკაცრი თვისებისანი იყვნენ და არც უნაყოფო, არამედ ყოველგვარი სიკეთათ იყენენ ალსავსე. თვით მცხოვრებნიც თავიანთი შრომითა და დახელოვნებული მეურნეობით ბუნების თვისების საუქეთესოდ გამოყენებას ახერხებდენ (de bello Gothico, IV, 2, § 25—26).

მაგრამ მესხეთის ამ აღმოსავლეთ ნაწილს ზამთარში მეტად ცივი და მკაცრი ჰავა ჰქონდა. მდლობი მდებარეობის წყალობით აქ ზაფხულში, მეტადრე ჯავახეთს და კოლა-არტაანში საუცხოვო ბალახი იცოდა და მშვენიერი საძოვრები იყო, რომლითაც საქართველოს სხვა თემების მესაქონლეებიც. სარგებლობდენ.

აღმ. საქართველოს შუაგული, ქართლი და მოსაზღვრე თემი კახეთ-კუხეთი, ანუ ჰერეთი თუმცა აგრეთვე მთებით მოზღუდვილს, უხვი მცენარეულობით მოსილ ქვეყანას წარმოადგენდა, რომელსაც ორი დიდი მდინარე, მტკვარი და ალაზანი, ჰრწყავდა (სტრაბონი, Geographica Lib. XI, Cap. II, 2), მაგრამ ლიხთ-იმერეთისაგან თავისი შედარებით მშრალი ჰავითა და საერთოდ უნოტიო ნიადაგით განირჩეოდენ.

მტკვრის გასწვრივ იბერიის შუაგულში მდინარის მი-და-მო გადაკიმული ველი (პანსი) იყო (იქვე) და არის ეხლაც ისევე, როგორც ალაზნის გასწვრივაც ალაზნის ველი მდებარეობს.

კახეთისა და მეტადრე ქართლის ჰავის შედარებითი სიმშრალისდა მიუხედავად, ზოგან აქაც სინოტიე საგრძნობი იყო. სახელდობრ, მეტადრე ჰერეთის ერთი კუთხე ყოფილა მოქარებული ნოტიობითა და მავნე ჰავით განთქმული. იაკობ ხუცესს ამ ადგილზე ნათქვამი აქვს: „უამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუფელი იგი მეურავლებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი“ საქართველოს ამ კუთხეს აუტანელად ჰხდიდა. ჰავისა და წყლის ასეთი მავნე თვისებების გამო „მკვდრნიცა მის ადგილისანი სავსენი“ იყვნენ „სენითა“, „ჩარადოვანი, პირ-მსივანი და დღემოკლედ ცხოვრებულნი“. ასეთ საშინელ დამცდედ ადგილას მოსახლეობას, უეჭველია, დიდი ზიანი უნდა მოსელოდა და იაკობ ხუცესსაც აღნიშნული აქვს, რომ „მოხუცებულნი არაენი არს მათ ქუეყანათა“-ო (წმბა შუშანიკისი, ს. გორგაძის გამ., გვ. 17, —საქ. სამოთხე, გვ. 189).

ძველი დროითგან მოყოლებული იბერია, ანუ ქართლ-კახეთი თავისი ნაყოფიერებითა და საუცხოვო ბუნებით იყო განთქმული. აღსანიშნავია, რომ ალბა-

1 ამ სიტყვის განმარტება იხ. ქვემოთ საძიებლის დახმარებით.

ნეთთან ერთად იბერიასაც სტრაბონი კურთხეულ ქვეყანად სთვლიდა, რომელიც ბუნებისაგან ყოველივე ღირსებითა და სიკეთით უხვად იყო დაჯილდოვებული.

მცენარეულობითაც კარგად შემოსილი იბერია და ხშირი და კარგად დაკული ტყეების წყალობით ძველად ქართლში ჰაეაც უკეთესი უნდა ყოფილიყო და მდინარეების დონეც წელიწადის დროთა განმავლობაში ისეთი ცვალებადი არ უნდა ყოფილიყო, როგორც ეხლა, როდესაც უტყევობის გამო მდინარეთა სათავეებში თოვლის სწრაფი დნობა, ან ხშირი აედრები, ხანმოკლე, მაგრამ სახიფათო წყალდიდობას იწვევს, რომლის შემდეგად მდინარე მალე პატარავდება და სარწყავი წყლის ნაკლებობა მეტად საგრძნობი ხდება.

რამდენად შეცვლილია წინანდელთან შედარებით ქართლის ბუნება იქითგანაც შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს, რომ ძველად ტფილისის მიდამოები და მახლობელი მთები ხშირი ტყით იყო მოუენილი და მტკვარსა და ალანხანზე ნაოსნობა იყო გაჩაღებული.

კახეთიც, ჯუჯანშიერის სიტყვით, „ტყე იყო შეუვალი მტრისა მიერ“, მაგრამ უმთავრესად იქ, სადაც სანაპიროები და მთები იყო, რათგან საერთოდ ეს თემი კარგად იყო დასახლებული და „საესე იყო... სიმრავლითა კაცთათა ვიდრე ნოსორამდე“-ო (ცა ებტნგ გრგსლჲ \* 394, გვ. 181).

მაგრამ ჯერ კიდევ სტრაბონსაც ჰქონდა აღნიშნული, რომ აღმ. საქართველო, იბერია, სასოფლო მეურნეობის თვალსაზრისით ორ ზოლად იყო დაყოფილი: ბარად (παραλίαν), რომელიც მიწისმოქმედებასა და საქალაქო კულტურას მისდევდა, და მთად (ἡ ὄρειον), რომლის მოსახლეობას, რასაკვირველია, არც ისეთი ნაყოფიერი ადგილები ეკავა და სახნავი მიწების სიმცირეც აწუხებდა, ამიტომ მიწისმოქმედებასაც უფრო ნაკლებ მისდევდა და ვაჟაკურ ხნე-ჩვეულებასა და ლაშქრობასაც ეტანებოდა (Geographica, Lib. XI, cap. III, 3 და cap. II, 19).

საქართველოს სხვა თემებსავე, ქართლსაც ჰქონდა თავისი განთქმული საზღირო ადგილები. ამათგან სხეებზე უფრო ცნობილი „ქართლისა ჭალაკნი“ და საქარმაგვეი ყოფილა, რომელიც დავით აღმაშენებლის ტახტზე ასვლისას თურმე „ალსაესე იყო ირმითა და ეშუთა მიერ“ (ცა მეშა დვთისი \* 521, გვ. 288). როგორც ისტორიკოსის სიტყვებითგან ჩანს, ქართლის შუაგულში ეშუთა სიმრავლე ქვეყნის სელჩუქიანთაგან აოხრების სამწუხარო შედეგი იყო და მერმე, როცაესაც საქართველო გაძლიერდა და მოშენდა, იქ, რა თქმა უნდა, ასეთი ნადიროის სიუხვე უკვე შეუძლებელი იქმნებოდა. მაგრამ რამდენადაც ნადირობას მაშინ შარტო კერძო ვასართობის თვისება არ ჰქონდა, არამედ სამხედრო ვარჯიშობის მაგიერი იყო და ბეგარასავით სახელმწიფო ვალდებულებას წარმოადგენდა, სანადირო ადგილებსაც მზრუნველობა რა აკლდათ და სათანადოდ უყენენ დაკულნი.

შემდეგ აღსანიშნავია, რომ მთელი სიერცე გადაკიმული „ტფილისითგან ზარდავადმდე და იერის პირთა“ საუტხოვო საზამთრო საძოვარს წარმოადგენდა: „ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა... შინა ზამთარსა, ვითარცა არესა ჯაღაფხულისასა, ითიბების თივა და აქუს შეშა და წყალი უხუბებით და მუნ

არს სიმრავლე ნადირთა თვთოსახეთა და სახუებელი ყოველი“-ო (დაეიბ ალმა-შენებ. ისტორიკოსი, ცა მფსა დთსი \* 529, გვ. 296). ამის წყალობით იქ ყოფილა „შუენიერნი ადგაღნი საზამთრონი“ საქონლისათვისაც, საუცხოვო სათიბებიც არსებობდა და შესანიშნავი უხვი სანადიროც.

მაგრამ ზაფხულში იქ ყოფნა მეტისმეტი სიცხისა და მავნე ჰაერის გამო ძნელი იყო.

გაცილებით უფრო მძიმე პირობები ყოფილა გარეჯის უდაბნოში, სადაც გაზაფხულზე „მდელონი“ და სხვადასხვანაირი „მწუანლინი“ უხვად იყო ხოლმე (ცა დთ გრჯლსა : საქ. სამ., 271). მაგრამ ზაფხულში ყველა მცენარეები ძვისაგან „დამქნარნი და მწუარნი“ იყვნენ (იქვე, 271) და ცხოველების აღარავითარი სახსარი ადგილობრივ აღარ მოიძებნებოდა. ამას ზედ სრული უწყლოება ერთვოდა, მძიმე, შეიძლება ითქვას, ადამიანის მტანჯველ ტვირთად, ისე რომ წვიმის წყლის გარდა იქ სხვა არავითარი სასმელი წყალი არ მოიპოვებოდა. ზამთარიც გაჩეჯაში ხშირად სუესიანი იცოდა და იცის ეხლაც, რაც ამ კუთხეს მართლაც ნამდვილ უდაბნოდ ხდიდა.

ამგვარად საქართველოს მიწა-წყალი უაღრესად მრავალფეროვანი და მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის გამოსადეგი იყო. ნოტიობის სიჭარბის გამო სარწყავი მიწები დასავლეთ საქართველოში არ იყო, ან ცოტა მოიპოვებოდა. პირიქით, აღმ. საქართველოს ნიადაგისა და ჰაერის შედარებითი სიმშრალის გამოისობით ბევრგან მიწის მორწყვა აუცილებელი იყო და სასოფლო მეურნეობაშიც სარწყავ-ურწყავ მიწებსა და სარწყავ რუებს აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული.

რაკი, როგორც ზემომოყვანილი ამონაწერებითგან ჩანს, ძველ საქართველოშიც სასოფლო მეურნეობა რამდენიმე დარგად იყო დაყოფილი და თანამედროვე აგრონომიასა და სასოფლო მეურნეობაშიც დარგებად დანაწილება ძირითად დებულებას წარმოადგენს, ამიტომ საქართველოს სასოფლო მეურნეობა ჩვენც დარგებისა და მიხედვითვე გვექმნება განხილული.

# დასკინი პირველი. სამელე მეურნეობა, მემინდვრობა

## თავი პირველი. ხენა და ხნული

მესაქონლეობის შემდგომ და მესაქონლეობასთან ერთად საველე მეურნეობა [მემინდვრეობა — პ. გ.] სასოფლო მეშობის უძველეს დარგს წარმოადგენს. თავდაპირველად, რასაკვირველია, მესაქონლეობას უფრო მისდევდა ადამიანი, მაგრამ ბინადრობის მოკიდებასთან ერთად თანდათანობით საველე მეურნეობა ადამიანის სასოფლო მეურნეობის მთავარ დარგად იქცა, რომელზედაც მისი კეთილდღეობა უმკიდროესად იყო დამოკიდებული. ამიტომ სასოფლო მეურნეობის ისტორიის განხილვა საქართველოში ბუნებრივად საველე მეურნეობის განხილვით უნდა დაიწყოთ.

„ქვეუანაჲ“, მიწა, ზოჯაერ და ზოგან დაუმუშავებლივაც იძლეოდა მცენარეულობასა და ნაყოფს, ჩვეულებრივ-კი მხოლოდ საგანგებოდ დამუშავების შემდეგ. დაუმუშავებელი მცენარე თავისი თვისებით ველური იყო და ამას გარდა „ნებსით აღმოსრული“ ეწოდებოდა, რაც იხ *არსაჲა ზაქაჲოჲ*-ს ბერძნულად. ლათინურად *sponte in agro nascentia*-ს, სომხურად-კი *ჩხუბს*-ს უძრიდა (ლევინტელთაჲ, 25<sub>11</sub>) და ავტომატურად, თავისით აღმოცენებულს ჰნიშნავდა.

მიწის დამუშავება, „ქუყენის მოქმედება“ ნიადაგის გადაჩიჩქნით და გადაზღნებით იწყებოდა. ამაჲ „კნვაჲ“ და „მოკნვაჲ“ ერქვა. პირველი მიმდინარე, ჯერ დაუმთავრებელი, მოქმედების გამოშატეული იყო, მეორე უკვე დამთავრებულს აღნიშნავდა: „სრულსა დღესა ჰგულავს... კნვაჲ (ესაიაჲსი, 28<sub>11</sub>), „ყოველი მთა მოკნეით მოიკნას“ (იქვე, 7<sub>11</sub>). ბერძნულში *χρημα*-ა ამ ადვილას და სომხურში *ჩხუბს*-ია.

მიწის დამუშავებელს „მკნველი“ ერქვა: „ჰგულავს მკნველსა კნვაჲ“ (ესაიაჲსი, 28<sub>24-25</sub>), ბერძნული *χρημα*-სა და ლათინური *arans*-ის შესატყვისობით.

ხენის შედეგს, მოხნულ მიწას „კნული“ ერქვა (2 მეფ. 23<sub>11</sub>). ასე აქვს ს. ორბელიანს აღნიშნული, ბაქარის გამოცემაში-კი აქ სწერია: „კერძო აგარაკისა“, რაც უდრის ბერძნულს *αγρι: και χωρη*, ლათინურად *ager*. სომხურში-კი ნათარგმნია *ქჩნას* *ანჟი*. ყველა მთარგმნელს აგარაკი, ველი აქვს დასახელებული. მაგრამ ცხადია, რომ საბაბას ხელთ ქართული დაბადების სხვა რედაქცია ჰქონია, რომელშიც ამ ალაგას აგარაკისა და ველის მაგიერ „კნული“ წერებულა. ქართველ მთარგმნელს ამ შემთხვევაში დედანი სიტყვა-სიტყვით-კი არ გადმოუთმარგმნია, არამედ ტერმინი ტექსტის აზრის მიხედვით შეუარჩევია.

სახენელი იარაღისაგან ხენის დროს გავლებულ კვალს ქველ ქართულში „ორნატი“ ეწოდებოდა. მარტვირის მოთხრობილი

აქვს, რომ შიოს სამოღვაწეოდ გასტუმრების წინ იოანე ზედაზნელმა უთხრა: „დასდევ ხელი ერქუანსა და უკანა არ მხედველობდი, არამედ კეთილად წარმართე ორნატი შენი“-ო (საქ. სამ. 223).

ამ ტერმინის მნიშვნელობის ზედმიწევნით. გამოკვეთა ნათარგმნი თხზულებების საშუალებით შეიძლება. ეს ტერმინი დაბადების ქართულ თარგმანშიც არა ერთგან გვხვდება. ფსალმუნთა 64<sub>10</sub>-ში, მაგ., ნათქვამია: „ორნატი მისნი (ე. ი. მოხნული მიწის) დაათურვენ“-ო.

ამას გარდა „ორნატი“ ნახმარია იობის 39<sub>11</sub>-შიც, სადაც სწერია: „შეჰკრა თუ აპეურითა უღელი მისი და განგზიდნოს შენ ორნატმან ველთა ზედა“-ო. ორნატი ბერძნულ ἄγλαჯ-ს უდრის, სომხურს *ակու-ს*, რომელნიც კვალს, ხნულის კვალსა ჰნიშნავს. ლათინურად *rivus*-ია პირველ შემთხვევაში, რაც რუს ჰნიშნავს, და *гребя* (მეორე შემთხვევაში), რომელიც ნამდვილად ბელტს უდრის.

ამგვარად ნათარგმნი თხზულებების მიხედვითაც ირკვევა, რომ საბა ორბელიანი მართალი იყო, როდესაც ორნატის განსამარტავად თავის ლექსიკონში სწერდა: „საკენელთა მიერ გაკუთლული“ არისო.

ეს ტერმინი მე-XI ს. ისტორიკოსს, გ. ხუცეს-მონაზონსაც აქვს ნახმარი. მისი სიტყვით გიორგი მთაწმიდელის თვით სახელიც-კი მის „სულიერსა მუშაკობასა... წინასწარ აუწყებდა, რამეთუ ორნატთა ეკლესიისათა მის-მიერ მუშაკობად მოასწავებდა, რამეთუ ბერძულითა ენითა გიორგი მუშაკად გადმოითარგმნების“-ო (გვ. 286), ან კიდევ: ბავშობისას გიორგიმ, „ვი-თარცა ქუეყანამან, კეთილი თესლი სწავლულებისა შეიწყნარა ორნატთა შინა სულისა თვისისასა“-ო (გვ. 291).

შემდეგში ეს ტერმინი, ან სრულებით ჰქრება, ან მნიშვნელობა ეცვლება. მაგრამ ჯერ კიდევ მე-XIII ს. დამდეგს ეს სიტყვა ისევ წინანდელი მნიშვნელობით იხმარებოდა. თამარ მეფის მეორე ისტორიკოსს ნათქვამი აქვს: „ყრმანი მემროწლენი განჰებასა შინა ორნატთასა თამარის ქებასა მღუქსობდიან“-ო (ბასილი ეზოს-მოძღვარი), ე. ი. მიწის მხვენელი სახნავის კვლების გაპობის დროს, საყანე ადგილას ხენის დროს შემოძახილ სიმღერაში თამარის ქებას ურთავდნო.

მოსახნავად განკუთვნილსა, თუ ნახნავ-ნათეს მიწას ეწოდებოდა „ყანაჲ“: „უკუეთუ განუტეოს ცხოვარი და მოაძოოს ყანაჲ... უმჯობესი ვენაჲ მისცეს მას“ (გამოსვლათაჲ, 22<sub>1</sub>). აქითვან ცხადია, რომ ყანად ნათესი იგულისხმებოდა.

მაგრამ „ყანაჲ“ ისეთ სახნავ ადგილსაც ჰნიშნავდა, რომელიც დათესილი არ იყო: „ექუს წელ სთესო ყანა შენი“ (ლევიტელთაჲ, 25<sub>1</sub>). მაშასადამე, სახნავსაც უდრის. ბერძნულად აქ *ἀγλαჯ*-ია, ლათინურად *ager*, სომხურად *აზი*-ია. ბერძნულად სახნავ მიწას, ხნულსა და მამულსა ჰნიშნავდა, ლათინურად მინდორს, ველს და სომხურადაც ველს.

სწორედ ამგვარი სახნავის მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას შემდეგ გეოგრაფიულ სახელებშიც: დოლის ყანა (სოფელი, იხ. ც<sub>1</sub> გ<sub>1</sub> ლ<sub>1</sub> ხ<sub>1</sub>ნ<sub>1</sub>ძ<sub>1</sub>თ<sub>1</sub>ს<sub>1</sub>ჲ, ლა), ლამისყანა (სოფელია ქსნის ხეობაში) და სხვა.



ვითარცა სახნავი მიწა, „ყანა“ შეიძლება სხვადასხვა ზომისა ყოფილიყო. ამიტომ მისი სიდიდის აღსანიშნავად საზომს ასახელებდნენ ხოლმე, მაგ., ათონის ქართველთა მონასტრის აღაპებში სწერია: „ხ უთასისა მოდისა ყანაჲ შეჰმატა სყიდვით“ მონასტერსაო (ათ. აღ., 244, § 112). რაკი ეს ცნობა უცხოეთში მდებარე საყანეს ეხება, სწორედ ამიტომ უნდა იყოს აქ საზომად „მოდი“ დასახელებული. ცნობებში საქართველოს შესახებ, ამავე მიზნით, რასაკვირველია, ქართველთა შორის ჩვეულებრივ გავრცელებული საზომები იხსენიება.

სახნავი მიწისავე მნიშვნელობით ძველ ქართულ მწერლობაში, ნათარგმნ-შიცა და ორიგინალურშიც, ტერმინად „ყანობირი“-ც გხვდება. მაგ., რიცხუ-თა 20<sub>17</sub> ნათქვამია: „არა განვიდეთ ყანობირსა შენსა და ვენაქსა შენსა“-ო. ხოლო სახარების ქართულ თარგმანში სწერია: „წარვიდოდა იესუ დღესა შაბათსა ყანობირსა მათსა“ (მათე 12, 1). „თანა წარვიდოდა იგი ყანობირსა შაუთსა შინა“ (მარკოზ 2, 23). ეს ამბავი ასეც არის მოთხრობილი: „განვი-დოდა თავადი თესულისაგან ყანისა. ხ' მწაფენი მისნი მოჰქრიდეს თავსა ეუილისასა“-ო (ლუკა 6, 1). ამგვარად ყანობირი „თესული ყანა“, იყო.

ეს ტერმინი შემდეგშიც იხმარებოდა. სერაპიონ ზარზმელის თანამგზავრს, მკ., ნათქვამი აქვს: „მივიწიენით კევსა რასმე ღრჰასა და უღალსა, რომელსა გოდერძისა ეწოდების და... აღვედით რაჲ თავსა მის კევისასა... ვიკილნეთ მკირენი რამე ყანობირნი და მკირე დაბაჲ“ (ც<sup>ა</sup> სრ<sup>ა</sup> 3<sup>ნ</sup> ზრ<sup>ა</sup> ზმლსა, 16 - 17).

სტეფანე მტბევეარის სიტყვითაც „ზღუარსა არტანისასა... პოე-ნიან თივისა მკრებელნი და მსხუერტელნი ყანობირისა მათისანი“-ო (წმ<sup>ბ</sup>ჲ გობრონისი : საქ. სამ., 396). მაშასადამე, მე-X ს-შიც ყანობირი ჩვეულებრივი ცოცხალი სიტყვა და ტერმინი ყოფილა.

„ყანობირი“ უდრის ბერძნულ  $\tau\acute{\alpha}\nu\alpha\gamma\acute{\alpha}\nu$ -ს, ლათინურს sata-ს, სომხურ  $\text{սատուրայ}$ -ს. ბერძნული და ლათინური ტერმინი ნათესაჲა ჰნიშნავს. რიცხვთა 20<sub>17</sub>-ში ეს სიტყვა ბერძნულს  $\tau\acute{\alpha}\nu\alpha\gamma\acute{\alpha}\nu$ -ს, ლათინურ  $\text{sata}$ -ს ეთანასწორება, რაც ყანასა და საყანეს ჰნიშნავდა.

მე-XII და შემდეგ საუკუნეებში „ყანობირი“, ვითარცა ტერმინი, თანდა-თან ქრება და მარტო ყანა-ლა იხმარება. მერმინდელსა და თანამედროვე ქარ-ელს შენარჩუნებული აქვს მხოლოდ გეოგრაფიული სახელის სახით, როგორც ზეგირთი ადგილის სახელწოდება, მაგ., ყანობირი (ქართლში, საჯავახიანოს მთაში) ნასოფლარის სახელია და ყანობი ყ. დუშეთის მაზრაში (5 ვერსიან რუ-კაზე იხ. 46, 62—00, 42--45). მეგრულად ყანის შესატყვისად „ყონა“ და „ყეანა“ გვაქვს, ქანურში „ყონა“, „ყონა“ და „ონა“ იხმარება. ქანური „ყონა“ ფორმა გვაფიქრებინებს, რომ მეგრულისათვისაც უწინდელი ფორმა უნ-და „ყონა“ ყოფილიყო.

რაკი „ყანობირი“ დათესილ ნახნავსა და ნათესს, ყანას ჰნიშნავდა, საუკრებელია, რომ ამ სიტყვაში უნდა მოხსულ. მიწის ნათესიანობისა და განაყოფიერების დედა-აზრი ყოფილიყო ჩაქსოვილი. გამოსარკვევია, თუ რა და-

მოკიდებულება უნდა ყოფილიყო ყანასა და ყანობირს შორის? ავ ორო სიტყვის მნიშვნელობის მსგავსებისა და შიკდლება ითქვას, თითქმის სრული იგივეობის გამო, მათ შორის მკიდრო კავშირია სავ ულისხმებელი.

სახნავე მიწის ნიადაგის განსაკუთრებით კარგი თვისების გამო ზოგი ნაკვირ სუკეთესოდ ითვლებოდა და აქ.ს გამო „თავ-მიწა“-დ იწოდებოდა (ე. თაყაიშვილი, Арх. экск., I, 85). ვინაჲ იოანე ღვთისმეტყველის ნათქვამი აქვს: „მე დიადი მექირა, რამეთუ . . . კიდე კ (20) თავნი მიწანი“ მქონდაო. (იხ. საფარის მონ. წარწერა, იქვე I, 84—85).

ნიკორწმინდის სიველში ნახმარია ტერზინ ად „სასეფონი ყანანი“: იქ სხვათა შორის ნათქვამია: „შემერს ვიყიდე შეკლომსგან გლეხი : ა : (1) და სასეფონი ყანანი და ფასად მივეც ჯორი : ა : , ცხენი : ა : , ღრაკვანი კოსტანტინატი : გ : (3), კარი : ბ : (2), ფური : ა : “ -ო (ქები, II, 48). სასეფო ყანა საკუთარ ყანას ჰნიშნავდა და ისეთ სახნავს ეწოდებოდა, რომელიც ადამიანს თავისთვის, ვითარცა საუკეთესო, განსაკუთრებით არჩეული ჰქონდა. ამიტომ „სასეფო ყანა“ იმავე დროს უმჯობეს სახნავს წარმოადგენდა და ჰეულისხმობდა.

ამავე ცნების აღსანიშნავად „სეფე-ყანა“-ც იხმარებოდა (იხ. საფარის მონასტრის წარწერა : ე. თაყაიშვილი, Арх. экск., I, 85).

თავ-მიწის სახელად აგრეთვე ტერზინი „ხუდაბუნი“ ანუ „ხოდაბუნი“-ც იყო. დავით აღმაშენებელს 1123 წ. ანდერძში ნათქვამი აქვს: „მე ხუდაბუნი შემეწირავს მუხრანს წმიდისა სვმონ საკვირკე ლთ-მოქმედისადა, რომელმან სამისა დღისა მკუდარი<sup>1</sup> აღმადგინაო“-ო (შიო მღ. საბ., 17 და ანდერძი დ<sup>1</sup> თ აღმაშენებ., 12).

კახა მეტეჯკლეთ-უხუცესის რკონის სიველშიც სწერია: რკონის მონასტრისათვის „მოგუიესენებია სოფელი ხოვლე ზურითა, ხოდაბუნებითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქულითა“-ო (ქები, II, 135) და „პატრონისა მწირველსა თხოვეტი გრივი ხუარბალი ხოდაბუნთაგან მიეცემოდეს“-ო (იქვე, II, 136).

„ხოდაბუნი“ სპარსულითგან შემოხიზნული ტერზინი უნდა იყოს, რომლის პირველი ნაწილი „ხუდა“ სპარსული  $خودا$ -ის შეკვეცილი ფორმა და „ხუდა“ უნდა იყოს, რაც უფალს, მფლობელს და მეფეს, ბატონს ჰნიშნავდა, ხოლო მეორე ნაწილი „ბუნი“ კი საფუძველს და ნიადაგსა ჰნიშნავს. ამგვარად ხოდაბუნი საუფლო, საბატონო მიწას ჰნიშნავდა.

ს. ორბელიანსაც ეს ტერზინი ასევე ესმის და განმარტებული აქვს: „ხოდაბუნი საბატონო დიდო ყანა“ არისო (ლექსიკ.).

მიწის მოხენის მიზანი, რასაკვირველია, მარტო ნიადაგის გათხრა-გადმობრუნება არ იყო, არამედ მისი გაფხვიერება და გასწორება, რომ თესლს ადვილად ეხარა. ამიტომ, როდესაც „ჰგულავს მკენელსა კნეაჲ“, ის „პირველ ქუეყნის მოქმინისა“ თესვას არ შეუდგებოდა (ესაიაჲსი, 28:24—25). მართალია ბერძნულსა და სომხურ თარგმანებში ამ ადგილას მიწის დამუშავებაზევეა საუბარი და ამის შესაუკურისი ტერზინიც არის ნახმარი. ლათინურ თარგმანში ნათქვა-

<sup>1</sup> ნადრობის დროს ცუენითგან ჩამოქარდნის გამო მ დღის განმავლობაში უგრძნობლად ყოფნა იგულისხმება.

მია *sarriet humum* გააფხვიერებს მიწას. მაგრამ ქართული ტერმინი „ქუეყნის მოქმნაჲ“, უეჭველია. მიწის მოხვნისავე აღმნიშვნელი არ უნდა ყოფილიყო, არამედ მოხვნის შემდგომ ნახნავის ბელტების გაფხვიერება-გასწორებისა. ამგვარად, ქართული თარგმანი უფრო ლათინურ თარგმანს უდგება და „ქუეყნის მოქმნაჲ“ ლათინურ *sarrio*-ს, გაფხვიერებას უფრო უდრის. თვით ესაიძეს ტექსტშიც საქმის ვითარება ასეა ნაგულისხმევი და იქ ნათქვამია: როცა „პგულავს მკნველსა კნვაჲ“ განა ჯერ თესლს არ დაამზადებს უწინარეს, „პირველ ქუეყნის მოქმნისა, არა ოდეს მოაწრფელის პირი მისი, მაშინ დასთესის“-ო (2824-25).

მიწის ზედაპირის გასწორება „მოწრფელეზაჲ პირისაჲ“ სწორედ იმ „ქუეყნის მოქმნის“ შედეგი იყო, რომელიც თავის მხრით მოხვნას მოსდევდა. პირის მოწრფელეზა ძველ ქართულში მიწის ზედაპირის გასწორებას ჰნიშნავდა და ბერძნული ტექსტის *ἀμαλίσσας*-ს, ლათინურის *adaequo*-ს უდრის, რაც აკრუთვე მოსწორების აღმნიშვნელი იყო. სომხურად *լսակղիւմ*-ი სწერია, რომელიც გაფხვიერებას ჰნიშნავდა.

მიწა, რომელსაც ზედაპირი მაგარი ჰქონდა და რომელიც არას დროს არ მოხნულა, ან რომელსაც მიტოვებისა გამო ნიადაგი კვლავ გაუმაგრდა და უხნავს დაემსგავსა, „კორდი“ ქუეყანის, ანუ მიწის სახელს ატარებდა: „ათასნი ვენანნი ათასთა სიკილათანი კორდად იყუნენ და ეკლად... რ კორდ და ეკლებ იყოს უოველი ქუეყანა“ (ესაიასი, 723-24). ს. ორბელიანს ესაიას 5, მიხედვით „კორდი უნამუშაერო მიწა“-დ აქვს განმარტებული. მიწის ამგვარი თვისებების აღსანიშნავად „სიკორდეჲ“ იხმარებოდა: „იყოს სიკორდისაგან და ეკლისა სამოვარ ცხოეოთა და დასათრგუნველ ზროხისაჲ“ (იქვე 7, 1).

ქართული „კორდი“ ბერძნული ტექსტის *κῆρυξ*-ს უდრის და სომხურს *խուყან*-ს, *խուყანայესი*-ს. ბერძნულად „ქერზოს“ მტკიცეს, ხამს, უნალოფოს, ცარიელს. მწირსა და მყარ მიწას, ხმელსაც ჰნიშნავდა, სომხური „ზოპანი“ კიდევ უხნავსა და ცარიელს ეწოდებოდა.

ქართულ ტერმინს „სიკორდე“-ს ამგვარადვე შესატყვისი განყენებული ტერმინი ბერძნულსა, ლათინურსა და სომხურს ტექსტში არ მოეპოვება.

აღსანიშნავია, რომ ქართული კორდისა და სიკორდის სრული შესატყვისობა არც ებრაულ ტექსტშია, ისე რომ ქართველ მთარგმნელს ამ შემთხვევაში დაბადების ამ ადგილის დედა-აზრის სისწორით გადმოსაცემად ქართული სასოფლო მეურნეობის ხელოვნებით შექმნილი წმინდა ქართული ტერმინი უხმარია.

თუ მოსახნავად განკუთვნილი ნაქერი ტყით, ან ბუჩქ-ჯაგებით იყო ჯერ დაუარული და იმ ადგილს კორდის გატეხამდე ნიადაგის ხეებისა და ბუჩქებისაგან გაწმენდა და ჯირკვების ამოგდება სჭირდება, ასე შემზადებულ სახნავსა და ნახნავს „ახო“-ს ეძახდენ (იხ. ეფრემ მცირის წერილი ბერძენ კვრიაკესადმი: იერუს. № 34, ხელთნ. ნ. მარკის გადმონაწერითგან).

ს. ორბელიანსაც ეს სიტყვა ასევე ესმის და ნათქვამი აქვს: „ახო საყანური გაკაფული“-ო (ლექსიკ.).

ქართლში ეხლა „ერთი წლის ნასვენ მიწას ნარბილია“ ჰქვიან. თუ ის მეორე წელიწადსაც მოუხნავი დარჩა რცხალი იქნება. სამი-ოთხი წლის შტ-მდეგ რცხალი კორდად გარდაიქცევა“<sup>1</sup>.

ტერმინები „ნარბილი“ და რცხალია დაბადების თარგმანში და ქართულ ორიგინალურ ძველ ძეგლებში არსად შემხედროია, მაგრამ „ნარბილი“ ს. ორბელიანის ლექსიკონშია შეტანილი და საბაას სიტყვით „ნარბილი კორდი ნახნავი“ არის (ლექსიკონ.). „რცხალი“-კი არც ქართ. ლექსიკონგრაფს მოეპოვება.

კორდის ახლად გატეხისა და სახნავად გაკეთების აღწერილობა ძველ ქართულ საისტორიო ძეგლებში ჯერ არა ჩანს, მაგრამ საშავიეროდ ეფრემ მციარეს ერთ წერილში „ბერსა კვრიაკეს ეფრემ მციარემ“ თავისი სამწერლობო მუშაობა ამ სასოფლო მეურნების სამუშაოსთან აქვს შედარებული და ეს ადგილი სწორედ კორდის ახლად გატეხას გვისურათებს. მე ისევე ვმუშაობ, როგორც ჩენი დიდებული ქართველი წინამორბედნი: „მათითა კელითა ვ შურები დ: უკუეთუ მათთავე ჩემდა დატევებულითა კეტებითა და უროებითა, მათს: ახოდ გაკაფულსა და ლოდოვანობისაგან ყანობირ-ქმნილს: შინა ადგილ-ადგილ სიმაშურალითა და შთომილი მათდა ძირი და ანუ კლდე, აღმოვკაფო, ამას მათსა მათთაგან მათდავე შეესწირათ“-ო (იერუს. № 34, ხელთნ. ნ. მარჩის გარდმონაწერიტგან).

მაშასადამე, ახალ ადგილას სახნავის მოსაწყობად ჯერ „ახო“-ები უნდა გაეკეთებიათ. ამისთვის-კი ტყე-ბუჩქები უნდა გაეკათათ, სადაც მიწა „ლოდოვანი“ იყო, კლდე ამოეკვეთათ. ნიადაგი „ლოდოვანობისაგან“ გაესუფთავებინათ „კეტებითა და უროებითა“, ყველგან, სადაც-კი ბუჩქ-ხეების „დაშთომილი ძირი“ აღმოჩნდებოდა, ამოეგდოთ და „ამოეკაფათ“. მხოლოდ ასეთი მძიმე და ხანგრძლივი მუშაობით შესაძლებელი იყო „ახოდ განკაფული“-სა და „ლოდოვანობისაგან“ მოსუფთაებულ ნაქერს კორდი გასტეხოდა და „ყანობირ-ქმნილი“ საყანურად ქცეულიყო.

<sup>1</sup> 1929 წ. 5 იანვარს ჩაწერილი ეს ენობა ჯადმოცა სტფ. ლევან ტიტვინაძემ. რისთვისაც დიდად ვმადლობ.

## თავი მეორე. სახნავი იარაღები

სასოფლო სამეურნეო იარაღთაგან უმთავრესი მნიშვნელობა სახნავ იარაღსა ჰქონდა. რომელსაც უძველესი დროითგან მოყოლებული მიწისმოქმედობაში მრავალი თაობის დიდი დროც, ენერჯიაცა და შემოქმედებაც შეეღია. ამიტომ სრულებით ბუნებრივია, თუ ეკონომიურ ისტორიაშიც მის თანდათან განვითარება-გაუმჯობესებას მთავარი ყურადღება მიექცევა.

### § 1. ძველებში დაცული ცნობები სახნავი იარაღის სახელების შესახებ

ძველი ქართული ტერმინოლოგიური საუნჯე სახნავი იარაღის აღმნიშვნელი სახელებით განსაკუთრებით მდიდარი არის. ძველებსა, ლექსიკონებსა და თანამედროვე ეთნოგრაფიულ დაკვირვებას მკვლევარისათვის უხვი მასალის მოწოდება შეუძლია.

მაგრამ, რაკი ხენის შესახებ ცნობები დაბადებაშიც ბევრი არ არის და საისტორიო თხზულებებში სახნავი იარაღი მხოლოდ შემთხვევით, შედარებებისათვის შეიძლება რომ მოხსენებული იყოს, ამიტომ უძველესი ხანისათვის იძულებული ვართ გაბნეული ცნობითაც დაეკმაყოფილდეთ და მხოლოდ შემდეგში ცნობები მრავალდება და მრავალფეროვანი ხდება.

სახნავი იარაღის ზოგად აღმნიშვნელ სახელად უძველეს ხანაში, როგორც იტყობა, „საკვენელი“ ყოფილა.

ტერმინი „საკვენელი“ გვხვდება ლუკას 9-ში, სადაც ნათქვამია: „არავინ დასდვის კელი საკვენელსა და ხედავენ გარე უკუნ“-ო. „საკვენელი“ უდრის ბერძნულს *ἡ ἀκίβητος*-ს, ლათინურს *aratum*-ს, ე. ი. სახნავ იარაღს აღნიშნადა. მხოლოდ სომხურს აქვს *«იკ იკ არქანს მსან ვანდილ»* არა ვინ დასდებს ხელს ხელნასაო.

საბა ორბელიანსაც ეს ტერმინი თავის ლექსიკონში განმარტებული აქვს, ვითარცა სახნავი იარაღის ზოგადი სახელი და ნათქვამი აქვს: „ერქვანა, ჯილა, ოქოქა და მისთანა“-ს აღმნიშვნელიაო (ლექსიკ.). ამ თავისი განმარტების სისწორის დასაშტკივრებლად, საბას ლუკას 9-ში აქვს დამოწმებული. იხმარებოდა, თუ არა მე-XVIII ს. დამდეგს ეს ტერმინი ქართლში ამავე მნიშვნელობით სადმე, მისი ლექსიკონითაგან არა ჩანს. მაგრამ „სახენელი“-ს ორბელიანს თავისი იგავარაყების „სიბრძნე სიცრუის“ წიგნებშიც უხმარია. რომელიც მდაბიო, ხალხისათვის გასაგები ენით არი დაწერილი. 55-ე იგავში. რომელსაც „მხენელი, ფეიქარი, მკერვალი“ ეწოდება, ნათქვამია „უხუცესი (ძმა) სახენელითა ხენიდა“ და მას „უთხრა მეაქლებემ: -ჯილღას გამარჯვებო“ (გ. ლეონიძის 1928 წ. გამ., გვ. 73). მასასადამე, მე-XVIII ს. დამდეგს ეს ტერმინი კვლავ ცოცხალი სიტყვა ყოფილა.

ხეესურები გ. ჩიტაიას მოწმობით „საკვენელი“ ეხლაც ჩვეულებრივ ტერმინია სახნავი იარაღის აღსანიშნავად და სტუდ. ნიკოლოზ რეხვია-შვილის პირადად გადმოცემული ცნობით „სახენელი“ რაკაშიც გავრცელებული ყოფილა წინანდებურად სახნავი იარაღის აღსანიშნავად.

მაგრამ ეს ტერმინი, როგორც ეტყობა, უძველეს ხანაში უნდა იყოს წარმოშობილი, როდესაც სახნავი იარაღი ჯერ კიდევ უპარტივესა აგებულების უნდა ყოფილიყო. შემდეგში, ამ იარაღის აგებულების გაუმჯობესების გარკვეული ხანითგან მოყოლებული, სახნავი იარაღის ზოგად სახელად უკვე „ერქუანი“ ქცეულა.

ეს მარტკრის შემდეგი ცნობითგანაც ჩანს. ამ ავტორის სიტყვით, იოანე ზედაზნელმა შიოს ასე მიჰპართა: „ნეტარ ხარ შენ, რამეთუ დასდევ კელი ერქუანსა და უკანა არ მხედველობდი, არამედ კეთილად წარმართე ორნატი შენი“ (ცა შიოსი: საქ. სამოთხე, 223). ცხადია, რომ აქ მიწის ხენის მუშაობაა აღწერილი თავისი იარაღითა და შედეგითურთ.

იოანე ზედაზნელი რომ აქ ერქუანს სახნავი იარაღის აღმნიშვნელ სიტყვად გვლისხმობდა, ამას ის გარემოებაც ცხად-ჰყოფს, რომ მისი მთელი მიმართვა შიოსადმი ლუკას საბარების 9-ე მუხლზეა მთლიანად დაყარებული. რომელშიც ნათქვამია, რომ იესო ქრისტემ აღიარა: „არავინ დასდვის კელი საკვენელსა და ხედავენ გარე უკუნ“-ო. სწორედ ამ დებულების აღმსრულებლად განოუყვანია იოანე ზედაზნელს შიო მღვიმელი, რომელმაც მისივე სიტყვით ხელი ერქუანს დაადგა და უკან-კი არა, არამედ წესიერად წინ იხედებოდა და სახნავი იარაღისაგან გაყვანილი კვლებიც სწორე გამოუვიდა კიდევაც. ამგვარად, უკველი ხდება, რომ იოანე ზედაზნელისა და მარტკრის მიერ ნახმარი „ერქუანი“ მნიშვნელობით სახარების „საკვენელ“-ს უდრის, როპელიც, როგორც დაერწმუნდით, სახნავი იარაღის ზოგადი სახელი იყო.

მაგრამ „ერქუანი“ ქართულ ძველ მწერლობაში ამაზე გაცილებით ადრე იხმარებოდა. საბა ორბელიანს „ერქუანის“ განმარტებაში დამოწმებული აქვს ესაიას 5<sub>14</sub> (იხ. ლექსიკ.), მაგრამ იქ ამ სიტყვის ხსენებაც-კი არ მოიპოვება და დედნის ტექსტის მიხედვით არც შეიძლება, რომ იქ ასეთი ტერმინი იყოს. სამაგიეროდ სახნავი იარაღის ქართული ძველი ტერმინების შესასწავლად საყურადღებო ცნობა მსაჯულთა 3<sub>11</sub>-ში მოიპოვება. იქ ნათქვამია, რომ სამეგრ ჰემ ანათობისამ დახოცა „უცხო თესლნი ექესასი კაცი საკვეთელითა ერქუნის საქთა საკვენელისა კართათა“-ო. ხასვასული სიტყვები უდრის *სა: მსაჯულთა: ... ხუ უნ ზედაზნელს: უნუ ჭათ.* ლათინურად ნათარგმნია: „per-cussit... sexcentos viros vomere“. სომხურად კი ეს ადგილი უთარგმნიათ: *რარ კაკაყცხაგს ეხე ზარქარ აკე მანაილ სარიოკა.* ამგვარად ბერძნულად მხოლოდ ერთი ტერმინია *ზედაზნელს:* ლათინურადაც vomer, სახნისი, — სომხურად-კი *მანა სარიოკ,* ე. ი. სახნავი იარაღის ხელნა, ანუ სახელური.

მსაჯულთა 3<sub>11</sub>-ის ვბრაულ ტექსტში სახნავი იარაღის განუყოფელი ნაწილი, საკვეთელი, ან სახნისი-კი არ იგულისხმება, არამედ გრძელი ჯოხი, რომელსაც ზოლოში რკინის წვეტი ჰქონდა გაკეთებული. ეს ჯოხი მხენელს ხელში

ეკიზა ხოლმე და ამ ჯოხის წვეტით ბელტებს ფშხენიდა (იხ. პროფ. Socin-ის „Pflug“, Prof. H. Guthe, Bibelwörterbuch-ში).

რაკი მიწის მოხვნის დროს არც ბერძნებს არც რომაელებს, არც ქართველებსა და სომხებს იმ ხანაში, როდესაც დაბადებას სთარგმნიდნენ, ასეთი წვეტიანი ცალკეული ჯოხი, როგორც ჩანს, არ ჰქონიათ, ამიტომ ყოველ ამ მთარგმნელთაგან დაბადების ეს ადგილი თავისებურად გაუგია და გადმოუთარგმნია. ბერძენს უხმარია *ἄροτριον*, რაც სახნისა (Pflugscharr) ჰნიშნავდა, რომაელსაც vomer-ი დაუწერია და ბერძენსავეთ სახნისად მიუჩნევია. სომეხს-კი *მას*-ად გადმოუთარგმნია. ვენეტის სომხურ დიდ ლექსიკონში (*Fruchtige Landbauwörterbuch*) „მაქი“-ი განმარტებულია ერთი მხრით ლათინური stiva-ს, ე. ი. ხელნას შესატყვისად (die Pflugsterze) მეორეს მხრით ბერძნული *ἀροτριον*-ისა და ლათინური aratrum-ის, ე. ი. სახნავი იარაღის შესატყვისად და მესამე მხრით ბერძნული *ἀροτριον*-ისა და ლათინური vomer-ის, ანუ სახნისის შესატყვისად. ამ *მას* სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობას-კი ხელნას ან და რთული აგებულების სახნავ იარაღში, მაგ., გუთანში, ქართულ მანქნას უდრის (იხ., მაგ., დიდი დაღეთის შესახები ცნობები გუთნის ნაწილების სომხური სახელებითურთ გ. ჩიტიას „ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბუღალის რაიონში: საქ. მუზეუმის მოამბე IV, 209). ასევე უნდა ჰქონოდა სომეხ მთარგმნელსა და ნაგულისხმევი.

თუ ადამიანი ჩაუკვირდება უეჭველია, შეამჩნევს, რომ ამ მუხლის ზემომოყვანილ ქართულ თარგმანს ბაქარის გამოცემაში უცნაური მრავალსიტყვაობა ეტყობა: „საკვეთლითა ერქუნითა საკენელისა კართათა“. ოთხი სიტყვაა დანარჩენი თარგმანების ორი-სამი სიტყვის მაგიერ. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ასეთი მრავალსიტყვაობა ქართულ თარგმანში თავითაგანვე ყოფილიყო. აქ თითქოს თარგმანის ორი რედაქციაა შეერთებული. ხელთნაწერების გაშინჯვამ<sup>1</sup> გამოარკვია, რომ სამწუხაროდ ყველა უძველეს ხელთნაწერებში, როგორც, მაგ., ათონურში (იხ. მისი პირი ყოფ. წ. კ. ს. № 422), 1460 წ. ეტრატზე ნაწერში (უ. სიძე. მუხ. № 570) და მე-XVI ს-ისაში (უ. სიძე. მუხ. № 646) სწორედ ამ ადგილას ტექსტს აკლია და ამის გამო შემოწმება შეუძლებელი ხდება. მე-XVII—XVIII ს. ხელთნაწერებში-კი, როგორც, მაგ., ყოფ. საქ. საის. საზოგ. ხ. № 885 და უ. სიძე. მუხ. № 51-ში ასე სწერია: „მოსრნა... ექუსასი კაცი ერქუნითა საკენელისა კართათა“.

ამგვარად, გამოდის, რომ 600 კაცი „საკენელის ერქუნით“ იყვნენ დახოლნი. ბაქარის გამოცემის ტექსტის მიხედვით-კი ეს 600-ნი „ერქუნის საკვეთლით“ ყოფილან. მოკლულნი. „საკენელისა კართათა“ აქ ზედმეტი გამოდის, თუ მას ერქუნის განმარტებულ არ მივიჩნევთ. ბაქარის გამოცემის ტექსტის მრავალსიტყვაობა, ვგონებ, ორი განსხვავებული თარგმნის შეერთების წყალობით უნდა იყოს წარმომდგარი, რომელთაგან ერთში ყოფილა „საკვეთლითა ერქუნისათა“, რაც ბერძნულ-ლათინური თარგმანების მართოდ დედა აზრს უახლოვდება, რათაგან იქაც სახნველის მკეთრი ნაწილი, მხოლოდ საკნისი არის დასახელებული-

<sup>1</sup> ამ ადგილის ხელთნაწერებში გადაშინჯვისათვის უ-ტის საისტ. კაზინეტის ასისტენტს ნ. ბერძენი შვილს დიდად ვმადლობ.

კარტველ მთარგმნელს სახნისის მაგიერ საკვეთელი გამოუყენებია, ვითარცა ამ ცნობის დედააზრის უფრო ზედმიწევნით გადმოცემი. ამ ქართული რედაქციის მიხედვით 600 კაცი საკვეთლით იყო დახოცილი. და „ერკუანი“ მხოლოდ იმ სახნავი იარაღის ზოგადი სახელია, რომლის ნაწილსაც საკვეთელი შეადგენდა.

მეორე რედაქციით-კი პირიქით „ერკუანი“ მხოლოდ „საკნველის“ ნაწილი გამოდის. ამ თარგმანში სახნავი იარაღის ზოგად სახელად „საკნველი“-ა ნახმარი და 600 კაციც საკვეთლით-კი არა, არამედ „ერკუნით“ მოკლული გამოდის. რაკი „ერკუანი“ ამ რედაქციით ზოგადი სახელი არ არის და „საკნველის“ მხოლოდ ნაწილის აღმნიშვნელია, ამიტომ „ერკუანს“ აქ ისეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რაც ბერძნულს „აროტროპუს“<sup>1</sup> და ლათინურ „როპერ“-ს აქვს, ესე იგი სახნისის შესატყვისობად არის ნახმარი. ამგვარად, აქ ჰაროველს ამ მუხლის შინაარსი ბერძნულითგან სიტყვა-სიტყვით უთარგმნია.

ყველა ზემოთქმულითგან ირკვევა, რომ „ერკუანი“ სახნავი იარაღის ზოგად სახელად უკვე იმ დროსვე ყოფილა, როდესაც საღმრთო წერილი, დაბადება. ქართულად ითარგმნებოდა, ამგვარად, მე-V საუკუნეშივე მას ასეთი ზოგადი მნიშვნელობა განმტკიცებული ჰქონია.

ასეთი ზოგადი მნიშვნელობა „ერკუანს“ მარტო მე-V და შემდეგ საუკუნეებში-კი არ ჰქონდა, როდესაც მარტვი თავის ზემომოყვანილ ცნობას სწერდა (იხ. გვ. 156), არამედ ამაზე გაცილებით უფრო გვიანაც. მაგ..

შავთელიც-კი სახნავი იარაღის აღმნიშვნელ ტერმინად წინანდებურად „ერკუანსა“ ხმარობდა. მას ნათქვამი აქვს:

„ჰყოფს ანეულსა,  
მყოფს ან ეულსა,  
არ ოდეს ბიცად

ერკენისა ძალი“-ო

(იხ. ნ. მარკის გამ. T. P. IV. გვ. ლზ, § 55<sub>ა</sub>). ამ ტაეპში შავთელი ამბობდა, რომ ერკუნის ძალა ანეულს, ანუ გაზაფხულის ნახნავს, არას დროს ბიცად, ანუ სიმღამის გამო უნაყოფოდ არ ჰხდისო. ცხადია, აქ „ერკუნისა ძალი“ ზოგადი მნიშვნელობით და სახნავი იარაღის მაგიერ არის ნახმარი. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ მე-XII ს-მდე და მე-XII ს-შიც სახნავ იარაღს წინანდებურად ერკუანი ეწოდებოდა.

მერმე „ერკუანს“ პირველობაც და ზოგადი მნიშვნელობაც „გუთან“-მა ჩაშოართოა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მას შემდგომაც, რაც ტერმინად „გუთანი“ შემოვიდა, „ერკუანი“ სახნავი იარაღის სახელის მნიშვნელობით საქართველოს ზოგიერთ თემში კვლავ მაინც იხმარებოდა.

ამ მხრივ საყურადღებოა, რომ დ. გურამი შვილიც სახნავი იარაღის სახელად თავის მხატვრულ ნაწარმოებში „ერკვან“-ს ხმარობდა: „ერთი კაცი უკლმართად ვნახე ერკვანთ ასხამს ფრთებსა... მკვენელსა ვკითხე, რად ეგრეთ იქ თქვა, ძალა კნავს აღმართებსა“-ო (1911 წ. გამ., გვ. 30)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ამ ადგილას ერკუნის ხსენებაზე ალ. ბარამიძემ მიმითთა, რისთვისაც დიდად მადლობ.



რაკი მეოსანი ფრთიან სახნავ იარაღზე ლაპარაკობს და ფრთა პატარა მახლუზე და ხმალაზეა დამაგრებული, ცხადი ხდება, რომ ამ ადგილას დ. გურამი-შვილს ერქვანი ურთულესი სახეობის სახნავი იარაღის სახელად აქვს ნაგულისხმევი.

თანამედროვე ქართულ სასაუბრო ენაში ერქვანი ზოგადი მნიშვნელობით ნიქოს აღარსად უნდა იხმარებოდეს, მაგრამ შერჩენილია ზოგან, ვითარცა გუთნის ერთი ნაწილის სახელი. მაგ., იმერულ თქმაში და მეგრულში „ერქვანი“ ეხლა მხოლოდ გუთნის სახელურს, ხელნასა ჰქვია (იხ. პროფ. იოს. ყიფშიძე, მეგ. გრ., 232).

აღმოს. საქართველოში მთიულთა შორისაც „ერქვანი“ ეხლა კელნას ჰნიშნავს. ასე ეძახიან, მაგ., ს. ქსოვრეთში დასახლებული მთიულნიც (იხ. გ. ჩიჩიას „ეთნოგრ. მოგზ. აღბულაღის რაიონში“, გვ. 214).

პირველად როდის შემოდის „გუთანი“ ქართულ მწერლობასა და ცხოველებაში, ჯერ კიდევ გამოსარკვევია, მაგრამ მე-XIII ს. შუა წლებში ეს ტერმინი იმდენად ჩვეულებრივი სიტყვაა, რომ მიწის ერთეულის საზომადაც-კი არის ქცეული (იხ. ჩემი „ქართული საფას-საზომთა-მცოდნეობა, ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია“). ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ „გუთანი“ ამაზე კარგა ხნით უწინარეს უნდა იყოს შემოსული, მე-XII ს-ში მაინც.

ის გარემოება, რომ ტერმინი გუთანი დაბადების ქართულ თარგმანში არსად გვხვდება, ამ ტერმინის შემდეგში შემოსულობას ამჟღავნებს. მე-IV-VI სს-ში, მაშასადამე, სახენელი იარაღის ერთადერთ ზოგად სახელად „ერქუანი“ ყოფილა და ასევე იყო დიდხანს შემდეგ საუკუნეებშიც.

სახნავი იარაღის ქართული სხვადასხვა სახელის შესახებ თავის ლექსიონში ს. ორბელიანს შემდეგი ფრიად საყურადღებო ცნობები მოეპოვება: „ერქუანი არს, რომელსა სოშენნი გუთანს უწოდებენ საკენელსა კნულთასა. ორის კარისასა ეწოდების ოქოქა და აჩაჩა, — ყვერის კარისასა — არონა, — ოთხსა და ხუთს ულელ-ბმულსა — ჯიღლა და კარ-მრავალსა ბმულსა ერქუანი და ყოველთავე სახელი ერქვანი არს ზოგადი“-ო (ლექსიკ.: ერქუანი).

ამგვარად ს. ორბელიანსაც სახნავი იარაღის ზოგად ქართულ სახელად „ერქუანი“ აქვს აღიარებული და ამავე დროს „ერქუანს“ ამ იარაღის ვარკვეული ნიშნის მქონებლადაც სთვლიდა, სახელდობრ, მისი სიტყვით, ერქუანი მხოლოდ ნ და მეტი ულელ-შებნულს ეწოდებოდა.

დამახასიათებელია, რომ სახელოვან ქართ. ლექსიკოგრაფს გუთანი სომხურ სიტყვად მიუჩნევია. ასეთივე აზრი გერმანელ მეცნიერ ერკერტსაც (Erkert) ჰქონდა შემდეგ გამოთქმული. მაგრამ ამ დებულების სრული მცდარობა ცხადი გახდება, თუ გავიხსენიებთ, რომ სიტყვა *գուտան* („გუთანი“) გუთანი არც ძველი და არც საშუალო საუკუნეების სომხურ მწერლობაში არსად გვხვდება. ეს სიტყვა ვენეტიკის დიდ სომხურ ლექსიკონში (*Բառագրք Հայկազգեան ևსովի*) შეტანილი არც-კია. ქართულში-კი იგი, როგორც ქვემოთ დაერწმუნდ-

ბით, საკმაოდ ძველი ტერმინია. პროფ. ჰ. ვ. შ. მან იც გუთანს სრულებით სომხურ სიტყვად არ სთვლის, მისი სომხურში ნაგვიანედად გაჩენილობის გარემოებაც გათვალისწინებული აქვს და კავკასიური ენებიდან ნასესხებ სიტყვად მიაჩნია კიდევაც (Armenische Grammatik, I, 398).

ს. ორბელიანის აზრი გუთნის სომხურობის შესახებ იქნებ იმ დაკვირვებაზე იყოს დამყარებული, რომ ეს სიტყვა საღმრთო წერილის ქართულ თარგმანში არ გვხვდება. ხოლო, რაკი გუთანს ქართულის მსგავსად შემდეგში სომხურშიც გვხვდა და ამ ტერმინის სომხურში მერმინდელობის გარემოება საბამ არ იყო. ამიტომ ეს სიტყვა მას სომხურიოგან ნასესხებად მოეჩვენა.

ამ ტერმინის სადაურობის საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ პროფ. ნ. შარას ლ. მსერიანის ერთი ნაშრომის გარჩევის დროს აღნიშნული აქვს, რომ გუთანი, რომელიც ახალ სომხურსა და დიალექტებში იხმარება, პარტო ოსურსა, ქართულსა და ქართულში კი არ არის, როგორც მსერიანსკი ამბობდო, არამედ სემურ ენებშიც. ნ. შარას დასახელებული აქვს ურმის ანურული დიალექტი, რომელშიც „კუტან“ პატარა სახნავ იარაღსა ჰნიშნავს (der kleinere Pflug; Dr. A. Socin, Die neu-aramäische Dialekte von Urmia bis Mosul, გვ. 74, 1). მაგრამ იქაც ეს ტერმინი ნასესხებ სიტყვად ითვლება.

პირადად ნ. შარასი „გუთან“-ს ქართულ-სომხურ ფორმად სთვლიდა, თუნდაც რომ ამ ენებშიც ეს სიტყვა ნასესხები იყოსო. მისი აზრით ქართული ფონეტიკა უფლებას გვაძლევს ამ ტერმინის თავდაპირველ ფორმად „ვედან“-ი წარმოვაყენოთ. ხოლო „ვედან“-ი სემური „ფადდან“-ის ქართულ შესატყვისობას წარმოადგენს (იხ. ნ. შარასი, Критика и мелкия статьи; ТР, წიგნი V, გვ. 2—3). თუმცა ნ. შარას იქვე აღნიშნული აქვს, რომ სემურშიც სიტყვა „ფადდან“-ის წარმოშობილობა სათუთა (იხ. გვ. 3. შენ. 1), მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ამ აზრს არ იზიარებდა და ამ ტერმინს იმ სიტყვათა საუნჯის კუთვნილებადაც სთვლიდა. რომლითაც მისი მაშინდელი თეორიის თანახმად ქართულის სემურობა მტკიცდებოდა.

„გუთანი“ თუნდაც იმიტომ არ შეიძლება ქართულ-სომხურ ფორმად იქნეს მიჩნეული, რომ სომხურში იგი ძალიან გვიან ჩნდება, ძველ სომხურში საუკუნეთა განმავლობაში ეს სიტყვა სრულებით უცნობი სიტყვაა და მხოლოდ ახალ სომხურში გვევლინება პირველად. ქართულში-კი იგი, როგორც აღნიშნული გვექნა, მე-XIII ს-იდან და საფიქრებელია ნაწილობრივ ამაზე უწინარესადაც ჩვეულებრივი სიტყვა და ტერმინი იყო და არის.

თუმცა დაბადების ქართულ თარგმანში არც ერთი ორბელიანის მიერ დასახელებული სახნავი იარაღის სხვა სახელი, ერქუანს გარდა, არ გვხვდება, მაგრამ საბა ორბელიანის მიერ დასახელებული სხვადასხვა სახის აღმნიშვნელი ტერმინები მაინც ან წერილობითი წყაროებიდან უნდა იყოს ამოღებული, ან და მაშინდელი ცხოვრების ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს. შესაძლებელია ორივე, წერილობითიცა და ზეპირი, წყაროც-კი ჰქონდეს საბას გამოყენებული. მაინცდამაინც მისი ცნობები რომ მის საკუთარ ნასიბრძნს არ წარმოადგენს, ეს მისი „სიბრძნე-სიცრუის“ არაკებობაზეა ჩანს, სადაც „ჯილდა“ სახნავი იარაღის სახელად „მხეწელი, ფეიჭრისა და მკრეჯალის“ შესახებ იგავშია

დასახელებული (გვ. 73). როგორც ცნობილია, ეს ნაწარმოები მაშინდელი მკითხველისათვის ადვილად გასაგები ენით არის დაწერილი და, თუ საბა აქ „ჯილა“-ს ხმარობდა, ეს იმის მაუწყებელია, რომ ჯილა მაშინაც ჩვეულებრივი სიტყვა ყოფილა.

ეს გარემოებავე საუცხოვოდ მტკიცდება გ. ჩიტაიას შინაარსიანი, საუცხოვოდ დაწერილი ნაშრომით „ეთნოგრაფიული მოგზაურობითგან აღბუღალის რაიონში“ (იხ. საქართველოს მუზეუმის მოამბე 1928 წ., გვ. 205—234). ამ ნაშრომითგან ირკვევა, რომ გუთანს გარდა ტერმინები „აჩაჩი“ და „ჯილა“ ეხლაც ცოცხალი სიტყვებია და ხალხი მათ ამ ეამადაც ჰხმარობს (იქვე, გვ. 208).

აჩაჩი ბევრგან არის შერჩენილი, ქართულშიც მთიულებსაც აქვთ დაცული, ს. ქსოვრეთში გადმოსახლებულებსაც-კი (იხ. იქვე, გვ. 214 და 207), მესხეთშიც იხმარება (იხ. იქვე, გვ. 218).

ქართველთაგან შეთვისებული აქვთ ეს ტერმინი ს. ლიგურეთში (==ეხლანდელ ალკალაფას) მცხოვრებ ოსებსაც (იქვე, 207 და 215). ხოლო ჯილა მესხეთში (იქვე, 218, შენ. 1) და ს. ლიგურეთის ოსებმა (იქვე, 212) იციან.

„ოკოქა“-ც, როგორც თავის ადგილას დავრწმუნდებით ქართლში ზოგან ეხლაც იციან, ხოლო მისი არსებობის კვალი მეგრულსა აქვს დაცული: მეგრულად „აგაფა“, ან „ოგაფა“ ეხლაც გუთანსა ჰნიშნავს და ეს სიტყვა „ოგაპა“-ს (Ogapa) სახით უკვე აკად. გვლდენშტედტს აქვს. ჩაწერილი (Reisen, II, 501). „ოგაფა“, უეჭველია, ოკოქას მეგრული ფონეტიკური შესატყვისობაა.

დასასრულ, არც „არონა“ გამჭრალა საქართველოთგან უკვალოდ: ეს ტერმინი ეხლაც დაცული ყოფილა მესხეთში, სადაც მას ამ ეამადაც „არონა“ ჰქვია (იხ. იქვე, გვ. 226, შენ. 4).

## § 2. ძველ ნათარგმნ ძეგლებში სახნავი იარაღის ნაწილების დაცული ტერმინები

ნათარგმნ ძეგლებში სახნავი იარაღის ზოგიერთი ნაწილის აღმნიშვნელი ტერმინებიც გვხვდება. ამის წყალობით მათი მნიშვნელობის ზედმიწევნით გამოკვევაც შეგვიძლია და ქრონოლოგიურადაც განსაზღვრა.

ერქუანი რთული აგებულების სახენელი იარაღი იყო: მას ჰქონდა „საკნისი“, რომელიც მიწას ჰხნავს, და „საკვეთელი“, რომელიც ბელტსა ჰკვეთს.

„დაშპრიდეს მახვლებსა მათსა საკნისად (ესაიაჲსი 2, იხ. აგრეთვე მიქიას 4), „მოსრნა უცხო თესლნი ექუსასი კაცი საკვეთლითა ერქუნისათა საკვენელისა კართათა“ (მსაჯულთაჲ 3, 1).

ს. ორბელიანის სიტყვით „საკნისი სახენელის სათხრელი რკინა“-ა და საბუთად ესაიას სწორედ ეს ადგილივე აქვს მოყვანილი, ხოლო „საკვეთელი ერქვნის მახვილი“ ყოფილა.

„ხაენხი“ აქ უდრის ბერძნულ ზღ  $\alpha\rho\iota\rho\alpha\nu$ -ს (ესაია 2, მიქია 4), ე. ი. სახენელს, ლათინურს vomer-ს. ბერძნულად საენის ზღ  $\alpha\rho\iota\rho\rho\alpha\upsilon\sigma\alpha\iota$ -ი ჰქვია. სომხურში-კი  $\chi\alpha\upsilon\chi$  სწერია, რაც მართლაც სახნისა ჰნიშნავდა და თანამედროვე  $\chi\alpha\upsilon\chi$ -ს ეთანასწორება.

„ხაკუთელი“, რომელიც თანამედროვე ქართულშიც ასევე არის დაცული და შეკვეცილი, „ხაკვთი“-ს ფორმითაც იხმარება, ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი ჭ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ „ე რ ქ ე ნ ი ს მ ა ხ ვ ლ ი“ არის (ლექსიკ.). საკვეთი მიწას ზევითგან ვერტიკალურად სქრის იმ დროს, როდესაც სახნისი მიწას გასწვრივ სთხრის.

თუმცა ყველა სახენელს არ გააჩნდა, მაგრამ ერქუნისა და გუთნის აუცილებელ ნაწილს აგრეთვე „ფრთა“-ც შეადგენდა, რომელიც „ფრთი“-სა და „ფთა“-ს სახითაც არის ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ლ ე ქ ს ი კ ო ნ შ ი შეტანილი და იქ მოყვანილი სამართლიანი განმარტებით „ეწოდება გუთნით ხენის დროს ბელტის გადასაბრუნებელს ფიცარსა“ (ლექსიკ.).

დასასრულ, კარგად გამართულსა და სრულს კარგ სახნავ იარაღს, გარკვეული ხანითგან მოყოლებული მიიხსი, „ფამფალაკი“ და „გოგორები“-ც ჰქონდა. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ნ ა თ ქ ე მ ი ა ქ ე ს : „ფ ა მ ფ ა ლ ა კ ი ე რ ქ ე უ ა ნ ი ს ი ა რ ა ლ ი ა“-ო (ლექსიკ.). მაშასადამე, ფამფალაკი სახნავი იარაღის კუთვნილ ნაწილს შეადგენდა. ეს ტერმინი ეხლაც არსებობს და გუთნის იმ წინა, დასამაგრებელ ნაწილს ეწოდება, რომელიც ორ-თვლიან ღერძს წარმოადგენს და სახნავი იარაღის მოძრაობას აადვილებს. სწორედ მის თვლებს ეძახიან გოგორებს.

გოგორც შემდეგში დავრწმუნდებით, გარკვეული ხანითგან ამ გუთნის წინა ნაწილს, ფამფალაკს, გოგორები სხვადასხვა ზომისა უკეთდებოდა: ერთი მეორეზე უფრო პატარა, დაბალი უნდა ყოფილიყო. ამასთანავე პატარა გოგორა მაღლიანი ხისა კეთდებოდა, დიდი-კი მორგვ-სოლებ-ფერსოიანი უნდა ყოფილიყო. პატარა გოგორას ეხლა „ველიხ გოგორა“ ეწოდება, დიდს-კი „კვალის გოგორა“ ჰქვია. გოგორათა ტოლმეტობის მიზეზი და მიზანი ის არის, რომ გუთნის მდებარეობა წესიერი იყოს. რაკ გუთნის ის მხარე, რომელიც მიწას ხნავს და კვალს ავლებს, ნიადაგში ჩაღრმავების გამო დახრილია, ამიტომ ამ მხარეზე გოგორა მაღალია და სწორედ ამიტომაც მას კვალის გოგორა ეწოდება. ღერძის მეორე მხარეზე წამოცმული პატარა გოგორა-კი, რაკი სახნავი ველის გასწვრივ მიგორავს, „ველის გოგორა“-დ ეწოდება.

ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ გ ა ნ ს , რომ ასეთივე სახელები უნდა ჰქონოდათ ამ ფამფალაკის თვლებს ძველადაც. მისი სიტყვით, „გოგორა ერქუნათ თვალის საბრუნავი“ იყო. ხოლო მაშინაც რომ ერთი თვალი პატარა, მეორე დიდი სცოდნიათ, ამას საბას სიტყვებით ცხად-ჰყოფენ. თუმცა თავის ლექსიკონში მას ტერმინი „მცირე გოგორა“ ცალკე შეტანილი არა აქვს, მაგრამ ერთი სხვა სიტყვის განმარტებაში მოეპოვება. სახელდობრ ტერმინი „ღირღიტი“-ს განმარტებაში ნათქვამი აქვს: „ღირღიტი მცირე გოგორა“ არისო (ლექსიკ.). ეხლაც ფამფალაკის გოგორას ქართლ-კახეთში „ღირღიტა“ ეწოდება. ცნობილია, რომ ეს სიტყვა ხალხურ გუთნურ ლექსშიც მოიპოვება: „ადიო-გამოფი გუთნო, ოიროი რაი. ბანი უთხარო“.


### § 3. სახნავი იარაღის დაცული აღწერილობა, ძველი ხურათები და ეთნოგრაფიული წყაროები

იმისდა მიუხედავად, რომ ქართული ხელთნაწერები ჯერ კიდევ ნაკლებ არის შესწავლილი, მაინც ქართულსა და მეტადრე უცხო ძეგლებში გარკვეული ხანითგან ქართული სახენელის სურათები და აღწერილობაც მოგვეპოვება. არც ერთი ამათგანი ჯერჯერობით უძველეს ხანას არ ეკუთვნის, მაგრამ მაინც სანამ ამაზე უწინდელი ხანისა აღმოჩნდებოდეს, არც მე-XVII—XVIII სს-ისაა დასაწუნი.

სამეგრელოს აღწერილობაში არქ. ლამბერტის ნათქვამი აქვს: სამეგრელოში მიწას ხნავენ „იმავე ზომის გუთნით, როგორც ჩენი გუთანია, მაგრამ მთ გუთანს მხოლოდ წვერში აქვს სულ პატარა რკინა, ოთხი თითის დადება და დანარჩენი ნაწილი სულ ხისაა“ (იხ. „სამეგრელოს აღწერა“, ილ. კუონიას თარგ., გვ. 56). ამ ცნობითგან ჩანს, რომ სამეგრელოში სახნავი იარაღი ხისა ყოფილა და მხოლოდ სახნისს ჰქონია თავზე წვეტიანი რკინა წამოკმული. ამ აღწერილობის სიმოკლის გამო, არა ჩანს, სამეგრელოში გავრცელებულ სახნავ იარაღს სახნისის გარდა სხვა ნაწილები, მაგ. საკვეთი მიწაც, ჰქონდა თუ არა?

ამის გამოარკვევის საშუალებას მკვლევარს მეორე იმდროინდელივე იტალიელი მისიონერის ნახატები აძლევენ. ამ ნაშრომითგან ჩანს, რომ არქ. ლამბერტის ზემოყვანილი ცნობა სრული არ ყოფილა, რათგან კასტელის ერთის მაგიერ ორი სახეობის სახნავი იარაღის სურათი აქვს თავის ალბომში შეტანილი.


კასტელის ორი სახნავი იარაღი აქვს მუშაობის დროს დახატული. ორივე სურათი დაბეჭდილია პროფ. ვ. ბელიო-ს (V. Bellio) მოხსენებაში „La Georgia e la Mingrelia secondo un missionario italiano del secolo XVII“ (იხ. Bolletino della Societa Geographica Italiana, Ser. II. vol. IX, Settembre 1884 Anno XVIII, Fasc. 9, გვ. 686, სურ. 6 და გვ. 687, სურ. 7).



სურ. 1.

ერთი ამ სახნავ იარაღთაგანი (იხ. აქვე, სურ. 1) მარტივი აგებულებისაა, მხოლოდ სახნისი აქვს, რომელიც ქუსლ-კბილაზე ჩანს დამაგრებული. თავის მხრივ ქუსლი ხელნასთან არის შეკავშირებული, რომელსაც თითქმის შუაში რვილი აქვს გაყრილი. არც ხმალა და არც საკვეთელი ამ სახნავ იარაღს არ უჩანს.

მეორე სახნავი სრულებით არაჩვეულებრივი აგებულებისაა და საფიქრებელია, რომ კასტელის ნახატი მთლად სწორე არ უნდა იყოს. (იხ. სურ. 2). ეს სახნავი იარაღი იმითაც განსხვავდება, რომ მას ღერძ-გოგორები აქვს. მაგრამ ეს ღერძ-გოგორები ფამფალაკის მსგავსად დიდი და მცირე გოგორის მქონეები არ არის, არამედ ორივე თვალი ერთი-და-იმავე ზომისაა. ამ სახნავი იარაღის ყველაზე უფრო საყურადღებო და ამასთანავე არაჩვეულებრივს, თითქმის დაუჯერებელს, თავისებურებას პერპენდიკულად დაყენებული, მხოლოდ ოდნავ უკანისაკენ გადახრილი გრძელი ხელნა წარმოადგენს, რომელიც უცნაურად ღერძ-გოგორების წინ არის მოთავსებული: რით და როგორ თავდებოდა ეს ხელნა, სურათზე არა ჩანს. ამას გარდა ხელნა ამ იარაღსაც შუაში გაყრილი რვილის საშუალებით უნდა ყოფილიყო უღელზე დამაგრებული.



სურ. 2.


ამ სახნავი იარაღის მთელ უცნაურობას ის გარემოება წარმოადგენს, რომ კასტელის ნახატის მიხედვით მისი ხელნა და სახნისი თითქმის ღერძ-გოგორების წინ უნდა ყოფილიყო მოთავსებული. ფამფალაკისა და ღერძ-გოგორების სახნავ იარაღთან დაკავშირების ერთად-ერთი მიზანი ის იყო, რომ წინათ სათრევი იარაღი უფრო ადვილად და მწყობრად წარსაზიდი გამხდარიყო. ამ მიზნის მისაღწევად ფამფალაკი, ან ღერძ-გოგორები სახნავი იარაღის წინა ნაწილად აქციეს და სახნავი იარაღი მას უკანითგან მიამაგრეს. კასტელის ნახატზე-კი სახნავი იარაღი უკულმა მოთავსებული და ღერძ-გოგორები სწორედ ხელნა-სახნის-კი არ მიუძღვის, უკან მისდევს. რაკი ასეთ მდებარეობაში ღერძ-გოგორებს მიწისმოქმედისათვის ხენის მძიმე ტვირთის შემსუბუქება არ შეეძლო და მის არსებობას ყოველგვარი აზრი ეკარგებოდა, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ იტალიელ მისიონერ-მხატვარს აქ შეცდომა უნდა მოსვლოდეს, და სურათი ამ სახნავი იარაღის ნამდვილ აგებულებასა და მისი ნაწილების ადგილმდებარეობას სისწორით არ უნდა გვიხატავდეს. როგორც ჰევეით, მესხეთის „ჯიღლის“ აგებულებისა და სურათის განხილვის დროს დავრწმუნდებით, ამის მაგვარი ღერძ-გოგორებიანი სახნავი იარაღი საქართველოში მართლაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი ნაწილების მდებარეობა კასტელის მიერ წარმოდგენილისაგან სრულებით განსხვავდებოდა (იხ. ნახ. 8).

რუსი დესპანების მოხსენებაში საქართველოს შესახებ სახნავ იარაღზე მხოლოდ მოკლე ცნობები მოიპოვება, თვით იარაღის აღწერილობა-კი მათ არა აქვთ. მაგ., თევდოტე ელჩინს, რუსთა მეფის სამეგრელოში 1639-40 წ. წარგზავნილ დესპანს, თავის მოხსენებაში ნათქვამი აქვს: „პურს (sic) თოხებით ხნავენ მთებზე და ბორცვებზე ისე, რომ წინასწარ ტყისაგან და ქვებისაგან სახნავს ასუფთავენ“-ო!.

ხოლო რუსეთის ელჩებს ნიკიფ. ტოლოჩანოვისა და იევლეგს აღნიშნული აქვთ, რომ დასავლეთ საქართველოში, იმერეთსა და სამეგრელოში მე-XVII ს.-ში სახნავს გუთნითა და თოხით ხნავენ („пашню пашут пугами и копырялами“: სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივლევის ელჩობა იმერეთში 1650-1652. მ. პოლიექტოვის მიერ გამოც., გვ. 187).

დასასრულ, თავად ჭიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის 1640-1643 წ. კახეთში მოგზაურობის აღწერილობაში აღნიშნულია მხოლოდ, რომ საქართველოში (უმთავრესად იგულისხმება კახეთი) მიწას ხარებ-შებმული გუთნით ხნავენ (იხ. მისი მოხსენების გვ. 160:... „в Прузех... пашут плугом на быках“).

ქართლში გავრცელებული დიდი გუთნის აღწერილობა და სურათი და იმერული გუთნის, უფრო-კი კავის აღწერილობა აკად. გვლდენშტედტს შეუტანია თავის, საქართველოში 1773 წ. მოგზაურობის ამბავში. მაგრამ ქართლური დიდი გუთნის აღწერილობა, ეტყობა, დაკარგულა: მისი ნაშრომის გამომცემელს აღნიშნული აქვს, რომ განსვენებულ აკადემიკოსის ქალწლდებში ეს აღწერილობა არ აღმოჩნდა. ამიტომ მარტო ქართ. დიდი გუთნის სურათი-ლადა დაბეჭდილი და იმერული სახნავი იარაღის აღწერილობა მოიპოვება ტექსტში (იხ. Reisen, I, 283 და დართული სურათების Fig. 54 და 55).




სურ. B.

აღმ. საქართველოში გავრცელებულ სახნავ იარაღთაგან აკად. გვლდენშტედტს მხოლოდ ორი სახეობის იარაღის სურათი აქვს თავის ნაშრომში მოყვანილი. ერთი (იხ. სურ. 3) სახნის-სამალ-საკვეთიანი უფრო

! „Хлеб пашут в нанидами по горам и по холмам разчищаючи лес и камень, а сеют бор; а пшеница есьг дает чети. А боровые яши сворят в мотле прохова“ (იხ. Посольство Ф. Ельчина в Дагестанскую землю (1639—1640 г.г.) სერ. ბელოკუროვი, Материалы для русской истории, Москва, 1888 წ., გვ. 337).

სახნავე იარაღია. სახნის-საკვეთი რკინისა ჩანს. რვილი, ხელნაშია გაყრილი, ხოლო თვით ორტოტიანი ხელნა ქუსლშია ჩასმული. რვილი შუაში მოხრილია, თავისაკენ-კი პირიქით გერ ჩახრილია, მერე-კი კიდური ზევითკენ აქვს აზნექილი.

გკლდენშტედტ-ის მეორე ნახატი (იხ. სურ. 4) იმდროინდელი ქართული სრული გუთნის სურათს წარმოადგენს. ამ ნახატზე სახნავე იარაღი არამტოუ სახნის-საკვეთ-ხმალა-ფრთიანია, არამედ წინა ნაწილიც, ფამფალაკ-გოგორებიც აბადია. ფამფალაკს ერთი პატარა, ანუ მცირე გოგორა აქვს, მეორე კიდევ ურმის თელის მსგავსი დიდი თვალია. ამგვარად ფამფალაკს აქ ველის გოგორაც აქვს და კვალისაც.



სურ. 4.

ამ ნახატზე, გუთნის საერთო სურათს გარდა, სახნისის რკინა და ხელნა-მანქუა ცალკეც არის წარმოდგენილი. ორივე სახნავე იარაღის ნახატები ზედმიწევნით არის გამოყვანილი და სამწუხაროა, რომ მათი განმარტება და ნაწილების ქართული სახელები, რომლებიც გერმანულ მეცნიერს, უეჭველია, ჩვეულები-სამებრ ჩაწერილი ექმნებოდა, დაიკარგა.

რაკის აღწერილობაში გკლდენშტედტ-ის „იმერული“ სახნავე იარაღი აქვს აღწერილი. იმერული გუთანი აკად. გკლდენშტედტის სიტყვით გერმანულ კაეს ძალიან მიემსგავსებოდა. მას სამკუთხოვანი რკინის სახნისი ჰქონდა ქუსლ-კბილაზე ნიჩაბივით გეზად ჩამოცმული. სახნის-კბილას უკან ხელნაა მო-



თავსებულო, წინ-კი ამ სახნავ იარაღს მრუდე რეილი აქვს, რომელსაც ერთი უღელი ხარი მიეზიდებაო<sup>1</sup>.

გერმანელი მეცნიერის სიტყვით ოსებიც სწორედ ასეთსავე სახნავ იარაღს ხმარობდნენ თურმე.

ხონისა და სანაეარდოს სანახებშიც, გკლდენშტედტ-ის ცნობით, ისეთსავე სახნავ იარაღს ხმარობდნენ, როგორც მას იმერული გუთნის სახელით რაკის აღწერილობაში აქვს დახასიათებული. ამ სახნავ იარაღს, ნიჩბის გუთანს, გერმანულად Schaufelpflug-ს, უწოდებს (Reisen, I, 310).

ზემოყვანილი აღწერილობითგან ირკვევა, რომ „იმერული გუთანი“ ნამდვილად უმარტივესი აგებულების სახნისიან სახნავ იარაღს წარმოადგენდა: მას არამცთუ ფრთა და საკვეთელი არ ჰქონია, ხმალატ-კი, როგორც ჩანს, არ მოეპოვებოდა.

გკლდენშტედტის აღწერილობის დაკარგულობის დანაკლისი კლაპროთს აქვს შევსებული თავის ნაშრომში Voyage au Caucase et en Géorgie (II, 25-29), რომელშიც გუთნის მთელი აგებულებაა მოთხრობილი, განმარტოებულია მისი მოხმარების წესები და ღირსება-ნაკლი და თანაც თვითოეული შემადგენელი ნაწილის ქართული სახელიც არის მოყვანილი.

კლაპროთის სიტყვით დღეშეთის მახლობლად ნანახი ქართული გუთანი შედგებოდა მოხრილი ხისაგან, რომელსაც „კბილი“ (kbili) ეწოდებოდა. იგი გერმანულს Pflug-schar-ს და ფრანგულ le soc-ს უდრისო. ბოლოში რკინის „სახნისი“ (saknissi) ჰქონდა წამოკმული. მრუდე ხეს, ანუ რეილს ორი პერპენდიკულარად გაყრილი ფიკარი ჰქონდა: წინა, რომელსაც „კმალი“ (Kkali) ეწოდება, ქუსლ-კბილასა და რეილს ამაგრებს, და მომდევნო „კელ-კავი“ (Khelkawi), რომელიც გუთნის სახელურია. „მრუდე-ხესა“, ანუ რეილშიევა გაყრილი „ხაკვეთელი“, ანუ „ხაკვეთი“ (sak[w]et[h]eli ou sakwethi). ამ გუთანს ჰქონდა „კაკაბი“ (Kakabi) და „მანჭა“ (mancha), რომელნიც კლაპროთის აღწერილობით პარალელად ჰორიზონტულად მდებარეობდნენ ისე-კი, რომ „კაკაბი“ ქვედა იყო და მისგან ორი ტერფით ზევით „მანჭა“ იყო მოთავსებული.

დასასრულ, ამ სახნავ იარაღს „ფთე“-ც (pté) ჰქონდა, რომელიც 45°-იანი კუთხის მსგავსად არის დამაგრებულიო (II, 25-26).

კლაპროთის აღწერილობაში მოყვანილი სახენელის ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინები ოითქმის ყველა იგივეა, რაც ეხლაც იხმარება, „კელკავი“-ს გარდა, რომელიც თანამედროვე „კელკულ“-ს, ან „კელნა“-ს უდრის (იხ. გ. ჩიტაიას მონოგრაფიის სურ. 4, 5 და 6 და აქვე სურ. გვ. 199, ნახ. 5).

ამას გარდა თუ კლაპროთის აღწერილობის ეს ნაწილი სწორეა და გუთნის იმდროინდელ აგებულებას ამ შემთხვევაშიც შეუმუცდარად მოგვითხრობს, სრულებით სხვა მნიშვნელობა ჰქონია „მანჭა“-ს, რომელიც ბგერითად თანაშედროვე „მანჭუა“-ს უდრის.

<sup>1</sup> „Der hiesige Pflug ist dem deutschen Hacken sehr ähnlich, ein dreyeckig Pflugeisen ist sähmlich vor einem dicken länglichen Brettchen, als eine Schaufel, schräge gestellt. Hinter demselben ist die Handhabe und vorne eine krumme Deichsel an der 2 Ochsen ziehen; Eben dieser Pflug ist auch bey den Osseten im Gebrauch“ (Reisen, II, 283).

ზემომოყვანილითგან ცხადი ხდება, რომ კლაპროთს თუმცა სახნის-საკვეთ-ფრთიანი სრული ქართული სახნავე იარაღი აქვს აღწერილი, მაგრამ მას „ფამფალაკი“, როგორც ჩანს, არა ჰქონია.

საკმარისია კლაპროთის ეს აღწერილობა. ადამიანმა ქართული სახნავე იარაღების გვლდენშტედტისაგან დახატულ სურათებს შეადაროს, რომ ცხადი შეიქმნეს, თუ მსგავსებასთან ერთად რამდენად განსხვავდება ამ ორი წყაროს ცნობები ერთმანეთისაგან. გვლდენშტედტ-ს ერთი სრული, ფამფალაკიანი გუთნის ნახატი აქვს და ერთი უფრო მარტივი, სახნის-ხმალა-საკვეთლიანი, მაგრამ უფრო სახნავე იარაღი აქვს წარმოდგენილი. კლაპროთი საგან დაწვრილებით აღწერილი სახნავე იარაღი-ი თუმცა სახნის-ხმალა-საკვეთ-ფრთიანი და ამიტომ გვიღდენშტედტისაგან დახატულ მარტივ იარაღზე უფრო გაუმჯობესებულ სახეობას წარმოადგენს, მაგრამ მაინც სრული სახეობის სახნავე იარაღისაგან, გუთნისაგან, იმით განსხვავდება, რომ მას ფამფალაკ-გოგორები არ ჰქონია.

ამგვარად მე-XVII—XVIII-სს. უცხოელ დამკვირვებელთა აღწერილობა საშუალებას გვაძლევს დავრწმუნდეთ, რომ საქართველოს ერთსა-და-იმავე და სხვადასხვა თემსა და კუთხეში სხვადასხვა სახეობის სახნავე იარაღი ყოფილა დაცული: 1. უმარტივესი აგებულების მხოლოდ სახნისიანი სახენელი, —2. წინანდელზე უფრო გაუმჯობესებული სახნის-ხმალა-საკვეთლიანი სახენელი, —3. რთული აგებულების სახნის-ხმალა-საკვეთ-ფრთიანი სახენელი და 4. სრული სახენელი, სახნის-ხმალა-საკვეთ-ფრთა-ფამფალაკიანი.

თუ კასტელის მიერ დახატულ უმარტივეს სახნისიანს, მაგრამ ღერძ-გოგორიან სახენელსაც ცალკე სახეობად მივიჩნევთ, მაშინ საისტორიო წყაროებში მე-XVII—XVIII სს-ში გავრცელებული სულ 5 სახეობის სახენელი გვექმნება აღბეჭდილი.

კლაპროთისაგან ჩაწერილი ერთი მათგანის ნაწილების ქართულ სახელებს გარდა, სამწუხაროდ არც ერთი ამ სახეობათაგანის მაშინ მიღებული სახელი აღნიშნული არ არის. თვით კლაპროთ-საც კი მისგან აღწერილი სახენელის ნიშანდობლივი საერთო სახელის ჩაწერა დაპიჯიყვებია იმისდა მიუხედავად, რომ ამ სახენელის ყოველი ნაწილის ქართული სახელი სათითაოდ აღნიშნული აქვს. ეს გარემოება ალბათ ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ სახენელის ყველა სახეობისათვის გავრცელებული ზოგადი სახელი „გუთანი“, რომელიც გვლდენშტედტს თავის პატარა ლექსიკონში (Wörterammlung) შეტანილი აქვს კიდევაც გერმანული Pflug-ის ქართულ შესატყვისობად (იხ. Reisen, II, 501), მათ ერთად-ერთ აღმნიშვნელ ტერმინად ექმნებოდათ მიჩნეული.

როგორც ქვემოთ, თავის ადგილას დავრწმუნდებით, ყველა ზემოჩამოთვლილი სახეობის სახენელები საქართველოს სხვადასხვა თემში ეხლაც არის დაცული: უმეველია, ასევე უნდა ყოფილიყო საუკუნეთა განმავლობაში მე-XVII ს-ზე უწინარესაც. მაგრამ, რა თქმა უნდა, ასევე არ იქმნებოდა თავითაგანე და ყოველი სახეობა გარკვეული ხანისა და განვითარების საფეხურის ნაყოფი უნდა იყოს. საქართველოს ნიადაგის თავისებური პირობების წყალობით სახნა-

ვი იარაღის ყოველმა ახალმა სახეობამ წინანდელი ვერ მოსპო და ამგვარად ჩვენი ქვეყანა სახენელის ისტორიული განვითარების ნამდვილ მუზეუმად აქცია. ქართულ წყაროებში შეტანილი სახენელისა და ნაწილებისა და სხვადასხვა სახეობის ზოგადი სახელებისა, უცხოელ მოგზაურთა და ავტორების აღწერილობათა და თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალების შედარებითი შესწავლა მკვლევარს, როგორც ქვემოთ ჩვენი თვალთ დაეინახავთ, სრულ საშუალებას აძლევს სახენელის ყველა სახეობის ნიშანდობლივი თვისებისა და სახელების გამოკვლევაც შესძლოს და სახნავე იარაღის გაუმჯობესების ისტორიის მთავარი საფეხურებიც ქრონოლოგიურად დაახლოვებით განსაზღვროს.

სამწუხაროდ, თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალები ამ თვალთსაზრისით ჯერ სათანადო სისრულით შესწავლილი არ არის. შეიძლება ითქვას, რომ ამ უამარ მხოლოდ ერთად-ერთი ასეთი ნაშრომი მოგვეპოვება. სახელდობრ, აღმოს. საქართველოში აწინდელი სახნავე იარაღები გ. ჩიტიას აქვს დაწერილებით აღწერილი ერთ პატარა, მაგრამ მშვენიერ მონოგრაფიაში, რომელსაც სათაურად ეწოდება „ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბუღალის რაიონში“ („საქართველ-მუზეუმის მოამბე“ IV, 1928 წ., გვ. 208—222). ამ ნაშრომში სახენელის სხვადასხვა სახის სურათ-ნახაზებთან ერთად მათი აგებულება და სახელებია ზედმიწევნით განმარტებული, კლასიფიკაციის ცდაც მოიპოვება და გენეზისის პრობლემაცაა განხილული. სამწუხაროა, რომ საქართველოს დანარჩენ თემებში გავრცელებული სახნავე იარაღების ასეთივე დაწერილებითი აღწერილობა ჯერ არაის შეუდგენია. საქართველოსა და კავკასიაში გავრცელებული სახენელების შესახებ ცნობები მოიპოვება 7-წიგნიან კრებულში: „Материалы по изучению экономического быта госуд. крестьян Закавказского края“. მაგრამ იქ მოთავსებული ცნობები სხვადასხვა ღრსებისა და სისრულის მხრითაც მათ ერთგვარობა აკლია.

#### § 4. სახენელთა აწ არსებული კლასიფიკაცია

დედამიწის ზურგზე მრავალნაირი სახენელი მოიპოვება და მოიპოვებოდა ძველადაც. თვალსაჩინო განსხვავებასთან ერთად მათ შორის მსგავსებაც ბევრი არსებობს, ხშირად იმდენად დიდი, რომ სრული იგივეობის შთაბეჭდილებას ახდენს. საგულისხმოა ამასთანავე, რომ მსგავსება ერთმანერთისაგან გეოგრაფიულად სრულებით დაშორებული ქვეყნების სახენელებსაც ემჩნევა ისევე, როგორც არა ერთხელ ამა-თუ-იმ ადგილას აქამდე არსებული სახენელის სახეობა ზოგჯერ თვით შორეულ წარსულში გეოგრაფიულადაც დაშორებულ ამა-თუ-იმ ქვეყნის სახენელის სახეობას გასაოცრად მიაგავს ხოლმე.

ბუნებრივია, რომ სასოფლო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი იარაღის კლასიფიკაციის აუცილებლობის აზრი დაბადებულიყოს და მეცნიერებას სახენელის გაუმჯობესების ისტორიული საფეხურების დათარიღება მოეწადინა. ამიტომაც არის, რომ სახენელთა არა-ერთი კლასიფიკაცია არსებობს. მკვლევართა შორის ამ საკითხის გამო სრული თანხმობა არ სუფევს არც კლასიფიკაციისა და არც დათარიღების დროის შესახებ.

უთანხმოება იმ გარემოებით არის გამოწვეული, რომ სახენელთა სხვადა-  
 იხვა სახეობა ყველგან არ არის სათანადო სისრულითა და საფუძვლიანობით  
 შესწავლილი. ყველაზე ნაკლებ, რასაკვირველია, ამ მხრივ აღმოსავლეთისა და  
 სამხრეთის ქვეყნებია გამოკვლეული, რომელთა შესახებ სამეცნიერო მწერლობაში  
 უმეტესად მოგზაურთა ხანმოკლე და შემთხვევითი დაკვირვებით მოპოვებულ  
 ცნობები არსებობს. ამნაირად შეძენილი ცნობა ხშირად სრულ და სანდო წყა-  
 როდ არის ბოლმე მიჩნეული და ამისდა მიხედვით წყდება ამა-თუ-იმ ქვეყანაში.  
 ნხოლოდ ამა-თუ-იმ სახერბის სახენელის არსებობის საკითხიც. ასეთ შემთხვევებში  
 სახენელის სახეობათა იქ დატული მთელი ეთნოგრაფიული მასალაც-კი გამოყე-  
 ნებული არ არის. მით უმეტეს სახენელის შესახები ადგილმდებრივი ისტორიული  
 ცნობები სრულებით გათვალისწინებული და გამოყენებული არ ყოფილა. ამ  
 მხრივ მხოლოდ ძველი საბერძნეთი, რომი და დასავლეთი ევროპის სხვა ქვეყნე-  
 ბი არიან შესწავლილი, და კვლევა-ძიება იქ უკეთეს პირობებშიც წარმოებს.

თუმცა საქართველოსა და კავკასიის სახენელთა აგებულებით უკვე აკად-  
 გკლდენ შტედტი იყო დაინტერესებული და მას ამის შესახებ ცნობებიც  
 შეუგროვებია და სურათებიც გადაუღია, მაგრამ მის და კლ ა პ რ ო თ ი ს შე-  
 მდგომ ჩვენებური სახენელის ისტორია და კლასიფიკაცია ყველა არსებული მა-  
 სალის გამოყენებით არაეის განსაკუთრებული კვლევის საგნად არ უქცეია.  
 ეთნოგრაფიული ფაქტებიც, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, გ. ჩ ი ტ ა ი ა ს  
 გარდა, საქართველოში და საქართველოს შესახებ ოდნავად მაინც ფართოდ არა-  
 ეის შეუკრებია და შეუსწავლია. ამისდა მიუხედავად ყველგან, სადაც სახენელის  
 კლასიფიკაციასა და ისტორიაზეა საუბარი, კავკასიის შესახები შემთხვევითი  
 ცნობებიც არის გამოყენებული.

Ed. Hahn-ის ძირითადი ნაშრომი ამ დარგში „Entstehung der Pflug-  
 kultur“, სამწუხაროდ, ჩვენ<sup>1</sup> წიგნთსაცავებში არ არის. ამიტომ სახენელის კლასი-  
 ფიკაციის შესახებ ჩვენ პირობებში იმაზე მეტის მოყვანა, რაც გ. ჩ ი ტ ა ი ა ს  
 თავის ნაშრომში აქვს აღნიშნული, შეუძლებელია.

1925 წ. სახენელის კლასიფიკაციისა და დათარიღების გამო R. Mielke-სა  
 და P. Leser-ს შორის ატეხილი კამათი ამ პრობლემის სირთულეს კვლავ ნა-  
 თლად ცხად ჰყოფს.

R. Mielke-ს აზრით სახენელთა სხვადასხვა სახეობა სამ მთავარ ჯგუფად  
 უნდა დაიყოს: 1. სათბროლიან სახენელად (Grabstockpflug), 2. კბილა-ჩუთიან  
 სახენელად (Sohlbalkenpflug) და 3. მაბრუნებელ სახენელად (Wendepflug; იხ.  
 მისი „Der Pflug von Dabergotz“; Zeitschrift für Ethnologie 1924 წ., Heft 1<sup>1</sup>,  
 გვ. 121—124 და „Bemerkungen zu P. Lesers Abhandlung über den Pflug  
 von Dabergotz“ იმავე ორგანოში, 1925 წ., Heft 1<sup>1</sup>/<sub>2</sub>, გვ. 57).

P. Leser-იც თავის მხრივაც სახენელებს სამ ჯგუფადვე ჰყოფს, მაგრამ  
 კლასიფიკაციის საფუძვლად რეილის მოყვანილობა აქვს მიღებული<sup>2</sup>. ერთ ჯგუ-

<sup>1</sup> არც სს.რ. სამეცნიერო აკადემიის წიგნთსაცავშია.

<sup>2</sup> „...Durch den Krümmel wird er einer ganz bestimmten Gruppe von Pflügen zugeor-  
 dnet. Man kann die sämtliche Pflugformen in drei grosse, geschichtlich gesonderte Grup-  
 pen einteilen“..

ფად მას სწორე რვილიანი სახენელი („Pflüge mit geradem Grindel“) მიაჩნია, მეორედ—რვილა-ხელნა-ქუსლკბილიანი სახენელი (Pflüge mit Grindel, Hinterbaum, Sohle und Griessäule) და მესამე ჯგუფად მრულე-ხიანი სახენელები (Pflüge mit Krümel). თავისი დებულება პ. ლეზერს უცილებლად მიაჩნია (იხ. მისი „Der Pflug von Dabergotz“: Zeitschrift für Ethnologie 1925 წ., Heft 1/2, გვ. 56—57):

ზემოდასახელებული ორი ავტორი თუ კლასიფიკაციის საკითხს სხვათა შორის ებება, ბარონ Fr. Nopcsa-მ ამ პრობლემას წინასწარი მოხსენების სახით სპეციალური ნაშრომი უძღვნა.

ბარონ Fr. Nopcsa თავის კლასიფიკაციას სახნავი იარაღის მთავარი და მეორე-ხარისხოვანი ნაწილების გარჩევაზე ამყარებს. მთავარ ნაწილებად მას მხოლოდ მხარი, ანუ რვილი, კბილა და ხელნა მიაჩნია, დანარჩენ ყველა ნაწილებს-კი მეორე-ხარისხოვანად სთვლის. ამ თავისი დებულების თანახმად სახენელები Fr. Nopcsa-ს ორ ჯგუფად აქვს დაყოფილი. პირველ ჯგუფად მას სწორე რვილიანი (mit gerader Grindel) სახენელი მიაჩნია, რომელთაც ის ჯოხსახენელებს (Stabpflüge) უწოდებს (იხ. მისი „Zur Genese der primitiven Pflugtypen“: Zeitschrift für Ethnologie, 1919 წ. Heft 4—6, გვ. 234—235). მეორე ჯგუფად ის ისეთ სახენელებსა სთვლის, რომელნიც მოხრილი თოხისაგან წარმოშობილად მიაჩნია. მას ჰგონია, რომ ამ ჯგუფისათვის საუკეთესო ნიშანდობლივ სახელად თოხ-სახენელი (Hackenpflüge) იქმნებოდა, ეს ტერმინი რომ სხვა მიზნით უკვე სხვათაგან გამოყენებული არ იყოს (იქვე, გვ. 236).

K. H. Rau თავის ნაშრომში Geschichte des Pfluges (Heidelberg, 1845 წ.) მრავალნაირი აგებულების არსებულ სახენელებს შვიდი სახეობის ჯგუფად ჰყოფს. ამ კლასიფიკაციაში მას წარსულისადა და თანამედროვე ფორმებიცა აქვს გათვალისწინებული (იხ. პროფ. K. A. Крыль, Сельскохозяйственное машиноведение, ч. 1, 1927 წ., მოსკოვი, გვ. 80).

გ. ჩიტაია Nopcsa-ს პრინციპებს ეთანხმება და ამ პრინციპების მიხედვით ქართული სახნავი იარაღების ორ ჯგუფად დაყოფვა მიაჩნია საკიროდ. მისი სიტყვით „ერთის მხრით გვაქვს ისეთი ერქვნის ტიპი (აჩაჩი, ჩუთი...), რომლის მხარი ბოლოში მოხრილია 90°—45°-მდე და პირდაპირ კბილაშია ჩამჯდარი, ან კიდევ—მხარი კბილასთან ერთად მთლიანი ხისაა“. გ. ჩიტაიას მოწმობით „ერქვნის ეს ტიპი აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში ახეფ-ხურული გუთნისა სახელწოდებითა ცნობილი“ (იხ. ეთნოგრ. მოგზ., გვ. 217).

„მეორე ტიპის ერქვანიც გვხვდება“. ამ ჯგუფის დამახასიათებელ თავისებურებად გ. ჩიტაიას ის მიაჩნია, რომ მათი „მხარი პირდაპირ ხელნაშია გაყრილი“. ამავე ავტორის სიტყვით „ამ ტიპისა“ აჩაჩი, „აჯილა“ და გუთანი. „ერქვნის ამ ტიპს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში აფშაური გუთანია ეწოდება (იქვე, გვ. 218).

თავისი დებულება მოკლედ ასე აქვს გამოთქმული,—„არსებობს: 1. ერქვანი მოკაყული და კბილაში ჩამჯდარი მხარით,—2. ერქვანი სწორი და ხელნაში გაყრილი მხარით“ (იქვე, 218). ამ დებულებათა თვალსაჩინოდ დასამტკიცებლად იქვე დართულია ამ ორი ტიპის სქემა (გვ. 218).

არა მგონია Fr. Nopcsa-ს მიერ წამოყენებული დებულება სახნავი იარაღის მთავარ ნაწილებად მხოლოდ მხარის, ანუ რვილის, კბილასი და ხელნას მიჩნევისა, ყველა დანარჩენი ნაწილის-კი მეორე-ხარისხოვნად ჩათვლის შესახებ სწორე. ან და თუნდაც მარტო მიზანშეწონილი იყოს. რა ღირებულება აქვს კლასიფიკაციის საფუძვლად მიღებულ ისეთ დებულებას, რომელიც საკვეთელსა და ფრთას სახნავი იარაღისათვის მეორე-ხარისხოვან ნაწილებად სცნობს?

რვილი ქუსლსახნისთან ერთად მთლიანი ხისაა და მოხრილია. თუ ცალცალკეა გაკეთებული და სწორედ გამოყვანილი რვილი ხელნაშია გაყრილი, რომელიც თითონ ქუსლ-კბილასია ჩანს, ეს არსებითად მხოლოდ ტეხნიკური საკითხია, ან, უკეთ რომ ითქვას, მხოლოდ ტეხნიკურ გაუმჯობესებას წარმოადგენს, რათგან ორსავე შემთხვევაში არსებითად დინამიკის ერთი-და-იმავე პრინციპის და ერთი-და-იმავე კანონის განსახიერებასთან გვაქვს საქმე.

პრაქტიკულად ამ პრინციპის კლასიფიკაციის საფუძვლად დადების მიზანშეწონილობა თვით გ. ჩიტაიასგან შედგენილი სახენგლთა ორ ტიპად დაყოფილობის სქემითაც მტკიცდება. დებულების თანახმად მეორე ტიპს, ანუ სახეობას მხარი სწორე აქვს, ნამდვილად-კი, როგორც ამ სქემაში წარმოდგენილი ნახატებითგან ცხადი ხდება, IIa სახეობის მხარი, ანუ რვილი არც თითონ არის სწორე და ხელნაშიც ძალზე გეზად არის გაყრილი, -- IIb სახეობის წარმომადგენელ გუთანს-კი თვით რვილიც საგრძნობლად მოხრილი მოყვანილობისა აქვს და პირველ ჯგუფისაზე უფრო მეტი გეზადობითაც არის ხელნასთან დაკავშირებული.

ამგვარად, არც წამოყენებული პრინციპია სწორე და მიზანშეწონილი, არც კლასიფიკაცია შეეფერება სინამდვილეს.

## § 5. სახნავი იარაღების კლასიფიკაციისათვის საჭირო წინასწარი მუშაობისა და გარემოებათა შესახებ

რაკი სახნავი იარაღის აგებულების მთავარ დამახასიათებელ თვისებათა მიხედვით კლასიფიკაციის ზემომოყვანილი პრინციპებიცა და დებულებანი დამაკმაყოფილებელი და მიზანშეწონილი ვერ აღმოჩნდა, ამ საკითხის გასარკვევად სხვა გზაზე დადგომა ემჯობინება.

სანამ კლასიფიკაციისათვის დასაფუძნებელი დებულების წამოყენებას შეუდგებოდეს ადამიანი, ჯერ თვით სახნავი იარაღის თანდათან განვითარების საფეხურები უნდა ჰქონდეს გამოკვეთილი და ქრონოლოგიურად განსაზღვრული, შემდეგ უნდა შეფასებულ იქმნეს სახენელის ყოველი ახალი სახეობის მიერ მის აგებულებაში შეტანილი ცვლილების ღირებულება და ახლად მოპოვებული გაუმჯობესების მნიშვნელობა, რომ, ამნაირად იარაღის აგებულებისათვის მათი არსებითობა, თუ მეორე ხარის-

ხოვნობა სრულებით ცხადი შეიქმნეს. ამ გზით საკითხის განხილვის დროს კლასიფიკაციის ძირითადი დებულება გამოირკვევა და თვით ოჯახობად დაყოფაც ადვილი შეიქმნება.

ამასთანავე, სახვნელის გაუმჯობესების ისტორიისა და მის სახეობათა კლასიფიკაციის საკითხის განხილვის დროს უნდა, როგორც ძველ წყაროებში დატული და გადარჩენილი ცნობები გამოვიყენოთ, ისევე თანამედროვე ეთნოგრაფიულ მასალებსაც დავემყაროთ: უნდა ანგარიში გავუწიოთ საქართველოს სხვადასხვა თემში დღემდე დაცულ სახვნელის სხვადასხვა სახეობას, მათი აგებულების ნიშანდობლივ თვისებებს, მათ აღსანიშნავად ამ ეამად ხალხში მიღებულ სახელებსა და მათი ნაწილებისათვის არსებულ ტერმინოლოგიას.

ზევით უკვე აღნიშნული გვეჩვენა, რომ სახვნელის საუკუნეთა განმავლობაში თანდათანმა გაუმჯობესებამ და ახალ-ახალმა სახეობამ წინამორბედი სახეობა ვერ მოსპო. ამ ერთის შეხედვით უცნაური გარემოების მიზეზის გაგება ადამიანს არ გაუძნელდება, თუ საქართველოს ნიადაგის გასაოცარ სხვადასხვაობასა და ბუნებისა და თვისებათა მრავალფეროვანობას გაიხსენებს. მთა და ბარი, მალლობი, ზეგანი და დაბლობი, ფერდობი და ვაკე ადგილი, მარად-თოვლიანი, ალპური, ტყიანი და სხვა ყველა არსებული ზოლები სუბტროპიკულამდე საქართველოში შედარებით მცირე მანძილის ფარგლებშიც შეუძლია ადამიანმა მოხაზოს. ნიადაგის თვისებების მხრივაც დიდი მრავალნაირობაა: სოფლის მეურნე ჩვენ სამშობლოში მაგარს, ძნელ მოსახნავსაც, უალრესად ფხვიერსაც, ხმელსა და მშრალსაც, ურწყულსა და ურწყავს, ნოტიოს, სარწყავს, შავს, ღონიერ მიწასაც და მქლე, მწირ მიწასაც შეხედება.

ცხადია, რომ ყოველ სახნავ მიწას ნიადაგის თვისებისა და მიხედვით სპირდება დამუშავება. ამიტომ საყანური ზოგან ღრმად უნდა მოიხნას, ზოგან პირიქით ზედაპირულად, ზოგ ადგილას ნიადაგის სიმკვრივის გამო მძიმე და ღონიერი სახვნელი სპირდება, ზოგან-კი სუბუქი და მარტივი აგებულების იარაღიც თავის დანიშნულებას კარგად და ადვილად ასრულებს. სასოფლო მეურნეობის თვალსაზრისით არამტუთ მიზანშეწონილი არ იქმნებოდა, ხშირად შესაძლებელია სწორედ საზიანოც-კი გამბდარიყო ფხვიერი და ადვილად მოსახნავი მიწა რომ მიწისმოქმედს მძიმე გუთნით მოქარებულ სიღრმეზე მოეხნა, იმგვარადვე როგორც ეკონომიური თვალსაზრისით საზარალო. იქმნებოდა, რომ სოფლის მეურნეს ნახნავზე ტყუილ-უბრალოდ მეტი შრომა და ენერჯია დაეხარჯა.

ეს გარემოება უკვე ძველადვე ჰქონიათ საქართველოში გათვალისწინებული. არქ. ლამბერტის მოწმობით, მაგ., სამეგრელოში, რკინის სახნისიან ხის მარტივ სახვენელს ამიტომ ხმარობდნენ, რომ იქაურ მიწისმოქმედთა აზრით რკინის გუთნის გაკეთებას მეტი ხარჯი სპირდებოდა ზოგან ხარებსაც დაამძიმებდა და უამისოდაც იმ პატარა რკინითაც იოლად მიდიოდნენ“-ო (სამეგრ. აღწ., 56).

ამავე ავტორის ცნობით, რაკი სამეგრელოში ნიადაგი იმდენად რბილია, რომ მეტისმეტი ფხვიერება აქვს,—ამის გამო ოდიშის ერთ ადგილას, რო-

შელსაც გაგიდა (Gaghidas) ჰქვია, მიწას თურმე გუთნით არც ხნავენ, რომ ამით არ დაარბილონო და „ისე შეუშუშავენბელ (ე. ი. სახენელით მოუხნავს) მიწაში ჩაჰყრიან ხოლმე პურის თესლსაო, რომელიც კარგადაც ამოდის და მშენიერადაც იზრდება, რათგან ამ მიწაში კარგად იდგამს ფესვებს და ქარი ისე ადვილად ვერ წააქციეს“-ო (არქ. ლამბერტი, სამეგრ. აღწ., 58).

როგორც ქვემოთ, თავის ადგილას დავრწმუნდებით, სახენელის თანდათან გაუმჯობესების მიზანი იყო, რომ ეს იარაღი უფრო ღონიერ მანქანად ქცეულიყო და უმაგრესი ნიადაგის მოხვნაც შესძლებოდა, რათგან, მოსახლეობის თანდათან ზრდის გამო, ისეთი მიწების გადახვნაც აუცილებელი შეიქმნა, რომელთა დამუშავებას მანამდე არ მისდევდენ.

სახენელის ასეთმა გაუმჯობესებამ მისი აგებულების გართულება აუცილებელი გახადა, რამაც ყოველი მისი ახალი, გაუმჯობესებული სახეობა წინამორბედზე უფრო რთულ და მძიმე, თანაც ამის გამო უფრო ძვირ იარაღადაც აქცია.

ამ მიზეზების წყალობით ურთულესი აგებულების სახნავის ხმარება გარკვეული ნიადაგისათვისა და პირობებში იყო ხელსაყრელი და მიზანშეწონილი. სხვა თვისების ნიადაგისათვისა და პირობებში-კი უფრო მარტივი სახენელი სჯობდა, ეკონომიურადაც უფრო ხელსაყრელი გახლდათ.

საქართველოს ნიადაგის ზემოაღნიშნულმა მრავალგვარობამ და ბუნების მრავალფეროვანებამ სხვადასხვა სირთულისა და სიმძიმის სახნავი იარაღი მას შემდგომაც, რაც ახალი, გაუმჯობესებული სახეობა გაჩნდა, არამცთუ ზედმეტად არ აქცია, არამედ სათანადო პირობებში მაინც აუცილებელი გახადა. ამის წყალობით ერთსა-და-იმავე თემში, ზოგჯერ ერთსა-და-იმავე მეურნისათვის ორი და რამდენიმე განსხვავებული სახეობის სახენელი იყო ხოლმე საჭირო. ამიტომ ცხოვრების სინამდვილემ ქართველ ხალხს სახენელის განვითარებისა და გაუმჯობესების სხვადასხვა საფეხურის გამოშვებული და სხვადასხვა სირთულის მქონებული სახეობა დღევანდლამდისაც-კი შეუნარჩუნა. ამ გარემოებამ საქართველო სახნავი იარაღის თავისებურ საისტორიო მუზეუმად აქცია და სასოფლო მეურნეობის კულტურის მკვლევარს დაკვირვებისა და შესწავლის საუცხოვო „ასპარეზი“ შეუქმნა.

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინება საისტორიო ძეგლებში სახენელის შესახები ცნობების გასაგებადაც გამოგვადგება და ამ იარაღის თანდათან გაუმჯობესების საფეხურების გამორკვევასაც გავვიადვილებს. მაგრამ თანამედროვე ერთნოგრაფიული ფაქტებით სარგებლობისა და გამოყენების დროს არ უნდა დაივიწყოს ადამიანმა, რომ ყველაფერი რაც შორეული წარსულითგან დღევანდლამდე ცხოვრებაში გადაარჩენილია, ყოველთვის თავდაპირველი სახით არ არის ხოლმე დატული. სრულად არ მოუღწევია ჩვენამდე



დროთა განმავლობაში მოპოვებულ გაუმჯობესებულ სახეობის სახენელს. შეუძლებელია ზოგჯერ მაინც მას წინამორბედი სახეობის სახენელზე რაიმე გავლენა არ მოეხდინა და ზოგჯერ და ზოგან წინანდელი სახეობის იარაღის ნაწილობრივი ცვლილება მაინც არ გამოეწვია. დროთა განმავლობაში სახენელის თვითოეული სახეობისათვის განკუთვნილი ტერმინიც შესაძლებელია შეცვლილიყო.

ამ აზრის სიმართლის დასაჯერებლად საქმარისია გავიხსენოთ, რომ გარკვეული ხანითგან მოყოლებული „გუთანი“ სახენელის ყველა სახეობის აღსანიშნავად იხმარებოდა ისევე, როგორც ესლაც გუთანს ეუწოდებთ ხოლმე თვით უმარტივესი აგებულების სახენელსაც-კი. ამგვარადვე წინათ, როგორც დაერწმუნდით, მე-XIII ს-მდე მაინც, სახენელის ასეთ ზოგად სახელადვე ერქუანი იყო და, საფიქრებელია, იმაზე უწინარეს წინამორბედი სახეობის აღმნიშვნელი სიტყვა იქმნებოდა. როგორც ნივთიერი კულტურის ისტორიის სხვა სფეროშიც ხშირად ემჩნევა, სხვადასხვა თემში ზოგჯერ ერთ-ერთი ძველად არსებული საგანი, თუ სახელი არის ხოლმე განსაკუთრებით შენარჩუნებული და ზოგად ტერმინად ქცეული. სახენელის სხვადასხვა სახეობათა ისტორიისა და ეთნოგრაფიული ფაქტების შედარებითი შესწავლის დროს მკვლევარს ეს შესაძლებლობა უნდა გათვალისწინებული ჰქონდეს და ახსოვდეს, რომ ზოგან და ზოგიერთ შემთხვევაში ზოგადი ტერმინი შეცდომით შესაძლებელია სახენელის გარკვეული სახეობის აღმნიშვნელ სახელად ქცეულიყო.

## § 6. სახნავი იარაღის ქართული სახელების რეალური მნიშვნელობა და ნიშანდობლივი თვისებები

ცხადია, რომ ქართულ სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგიას ტყუილად არ უნდა ჰქონდეს ერთი სახნავი იარაღის აღსანიშნავად ექვსი სხვადასხვა სახელი გამოყენებული. ამას, უეჭველია, თავისი პატივისადები მიზეზი უნდა ჰქონდეს. ჩენი შოვალეობაა, ეს მიზეზი გამოვარკვიოთ და სახნავი იარაღის სახელების სხვაობის პრინციპი გავიგოთ.

„ერქუნის“ სახელების განსხვავების განმარტების აუცილებლობას თვით სახელოვანი ქართველი ლექსიკოგრაფიც გრძნობდა და თვითოეულ ამ ტერმინთან მისი აზრით შესაფერისი განმარტება დართული აქვს კიდევაც. როგორც დაერწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 179), ერთ-ულლიან სახენელს ოქოქა და აჩაია ეწოდებოდა, ორ-ულლიანისას--არონა. ამგვარადვე ერქუნის ქვეშევე მოყვანილ განმარტებაში ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს, რომ ჯილღა ოთხ-ხუთ-ულლიანი ერქუანი, ანუ გუთანი იყო.

მაშასადამე, ამ განმარტებითგან ისე გამოდის, თითქოს ამ იარაღის სხვადასხვა სახელების წოდების დროს თვით სახენელ იარაღს-კი არა, არამედ მისთვის ასამუშაველად საჭირო საქონლის შეგებულობის ოდენობას ჰქონოდეს მნიშვნელობა.

ცხადია, რომ ეს განმარტება ჩვენთვის საგულისხმო საკითხს სრულებით გარეგნული ნიშნების მიხედვით ახასიათებს და დამაკმაყოფილებლად მისი ათ-ვლა თუნდაც ამიტომაც არ შეიძლება, რათგან სახნავი იარაღის ამა-თუ-იმ სახეობისათვის უღელ ხართა სხვადასხვა რაოდენობის შესაბამელად გამოყენებასაც, უეჭველია, თავისი საფუძველი უნდა ჰქონოდა, რომლის განმარტება ამ ახსნაში სრულებით არა ჩანს.

ს. ორბელიანის განმარტება ერქუნისა და კერძოდ ჯილდის სახელების ერთად-ერთი შესაძლებელი განმარტება არ არის. თვით სახელოვან ლექსიკოგრაფსაც რომ ზემოაღნიშნულზე უფრო საფუძვლიანი და არსებითი თვისების დამახასიათებელი განმარტების მოყვანა შეეძლო, ეს იმითაც მტკიცდება, რაც მას საკუთრად თვით ჯილდის შესახებ აქვს ნათქვამი. მისი სიტყვით, „ჯილდა უფროთო ერქვანი“ იყო (ლექსიკ.). ამ საგულისხმო განმარტების წყალობით საში ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება ირკვევა. პირველი გარემოება ზოგადი თვისებისაა, რათგან ცხადი ხდება, რომ ჯილდა და ერქუანი ერთმანერთისაგანცა და დანარჩენი სახნავი იარაღებისაგანაც მართო შებმული საქონლის რიცხვით-კი არ განსხვავდებოდენ, არამედ თავიანთი აგებულებითაც.

ორი დანარჩენი გარემოება კერძოდ ჯილდასა და ერქუანს ახასიათებს: მაშასადამე, ჯილდა უფროთო სახნავი იარაღი ყოფილა, ერქუანი-კი ფრთით შემკულჲ. ისინი თურმე სწორედ ამ თვისებით განირჩეოდენ ერთიმეორისაგან.

საფიქრებელია და, როგორც შემდეგ დაერწმუნდებით, უეჭველიც, რომ სახენელთა სახელების სხვაობა დანარჩენ შემთხვევაშიც იარაღის აგებულების განსხვავებით იყო გამოწვეული და განსხვავების გამოშლავნებელია. მაგრამ ამ გარემოების დანარჩენ შემთხვევებში არც ს. ორბელიანის ლექსიკონის დახმარებით, არც სხვა ძველი ძეგლების საშუალებით, ჯერ-ჯერობით მაინც, არ შეიძლება, რათგან სხვადასხვა სახელის მატარებელი სახენელის ჯერ არც ერთი გამოხატულება არ მოგვეპოება, რომ დანამდვილებით ვიცოდეთ, თუ რომელი იყო ოქოქა, ან აჩაჩა, ან ჯილდა, არონა, თუ ერქუან-გუთანია.


საბედნიეროდ ამ საკითხის გამორკვევის საშუალებას თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალებისა და აღწერილობის ისტორიულ წყაროთა ცნობების ერთად შესწავლა გვაძლევს. ამიტომ სახნავი იარაღის საქართველოში თანდათან გაუმჯობესების საკითხის გამოსარკვევად, თანამედროვე ეთნოგრაფიული ფაქტების ცოდნა და გათვალისწინებაცაა აუცილებელი.

**§ 7. ხალხში დაცული სახნავი იარაღები და მათი თანამედროვე სახელები**

თანამედროვე სახნავ იარაღზე დაბეჭდილი ცნობები უმთავრესად აღმოს. საქართველოს შესახებ მოგვეპოვება გ. ჩიტაიას ზემოხსენებული ნაშრომის წყალობით. ამიტომ ჩვენი დაკვირვება და მსჯელობაც უნებლიეთ უმთავრესად ამ მასალაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული, მაგრამ სისრულისათვის ვეცადე დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ სახენელთა შესახებაც ცნობები შემეკრიბა.

**1. ჩ უ თ - კ ა ვ ი**

აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლის ს. ჩხიკვთას მცხოვრებთ სახნავ იარაღად აქვთ „ძველებური ჩუთი“ (იხ. გ. ჩიტაია, ეთნოგრ. მოგზ., 213). რომელიც დასავლეთ საქართველოში გავრცელებული „კავი“-ს მსგავსია. ს. ჩხიკვთას „კავი“ მხოლოდ „ჩუთის“ ერთი ნაწილის აღსანიშნავად-ღა იხმარება (იხ. გ. ჩიტაია, ეთნოგრ. მოგზ., 213-214). დამახასიათებელია და საგულისხმო, რომ საბას თავის ლექსიკონში არც ერქუანის ქვეშ, არც ცალკე „ჩუთი“ და „კავი“ შეტანილი არა აქვს. „ჩუთი“ სრულებით არ იხსენიება, კავის შესახებ-კი ნათქვამია მხოლოდ: „კავი მოკაკული რკინა, თუ ხე“, — „კავი ნავის ლუზა“ არისო და ამის საბუთად შესაქმე 27<sup>29</sup> აქვს დასახელებული. კავი რომ სახნავ იარაღსაც ეწოდებოდა, ამის აღნიშვნა-კი ქართვ. ლექსიკოვრათს სრულებით დაჰკვიწყებია.



ნახ. 5.

მაგრამ ეს ტერმინი რომ მარტივი სახნავი იარაღის აღსანიშნავად ს. ორბელიანის დროსაც აღმოს. საქართველოშიც უნდა ყოფილიყო, ამას ტერ-

მინი „კელკავი“ გვაფიქრებინებს, რომელიც კლავროთის მოწმობით მთიელთა შორის გუთნის „კელნას“ ეწოდებოდა. „კავის“ საბას-გან ლექსიკონში შეუტანელობა მარტო იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ აღმოს. საქართველოში იქ, სადაც საბა ბინადრობდა, ასეთი მარტივი სახნავე-იარაღი იშვიათი უნდა ყოფილიყო.

ხოლო „ჩუთი“, როგორც ქვეით აღნიშნული გვექმნება, საფიქრებელია, თავდაპირველად, იმდენად მთლიანად სახნავე იარაღის სახელი არ უნდა ყოფილიყო, რამდენადაც მისი გარკვეული ქვედა ნაწილისა.

ს. ჩხიკვაში „ჩუთად“, დასავ. საქართველოში „კავად“ წოდებული სახნავე იარაღი უმარტივესი აგებულებისაა (იხ. ნახ. 5). ლიხთ-იმერეთში თუ იგი მიწის მოსახნავადაა განკუთვნილი, ამერეთში, ქვემო ქართლში, იგი თურმე „ანეულის“ „ასაჩუთავად“ (თესვის წინ განმეორებით მოსახნავად) და სიმინდის ყანისათვის იხმარება“ (გ. ჩიტაია, ეთნოგრ. მოგზ., 213).

„ჩუთი“, ჩიტაიას სიტყვით, „წარმოადგენს მთლიანს მოკაულს ხეს, რომლის მსხვილ თავზე წამოცმულია თითქმის სწორკვერდებიანი სამკუთხედის ფორმის სახნისი. მისი ნაწილების სახელებია: „კავი“, „კუქუქი“, „კული“, „ხელნა“, და „ტოტები“ (ეთნოგრ. მოგზ., 213—214 და ნახ. № 5).

მაგრამ დართულ სურათზე (იხ. ნახ. 5) არა ჩანს, რომ ამ „ჩუთს“ სახნისი „მოკაულ ხეს“ მსხვილ თავზე ჰქონდეს „წამოცმული“. ამასთანავე ამ ნახატზე ჩუთის ნაწილების სახელთა შორის „სახნისი“ არც არის აღნიშნული. ამგვარად აღწერილობა სურათს მთლად არ უდგება და ამის გამო საფიქრებელი ხდება, რომ ან ნახატი სწორე არ უნდა იყოს, ან ეს აღწერილობა ამ ჩუთისა-კი არა. არამედ ოდნავ უფრო რთული აგებულების ჩუთს უნდა ახასიათებდეს, რომელსაც სახნისი, მართლაც ჩამოცმული ექმნებოდა. აღწერილობა რომ ჩუთის დართულ სურათს არ უნდა ეხებოდეს, იკითვანაც ჩანს, რომ ამ ნახატზე ჩუთის არც ერთ ნაწილს „კავი“ არ ეწოდება, ისევე როგორც „ხელნა“-ს მაგიერ „ხელკული“ სწერია (შეად. გვ. 213, სურ. 4. გვ. 214-ს და აქვე ნახ. № 5).

სურათზე დახატული „ჩუთი“ მთლიანი, შუაზე მოხრილი და მარჯვენა კიდისაკენ კუთხოვანად მოკაეებული ხეა, რომლის მარცხნივ წარზიდული კავის ნაწილი სოლივით წვეტიანია და სახნისის ჩანასახს, ან, უკეთ რომ ითქვას, სახნისის წინამორბედსა და წინაპარს წარმოადგენს. ეს ჩუთი თავისი სიმარტივეითა და მთლიანი ხისაგან გაკეთებულობით სტრატონისაგან აღწერილს აღბანურს, მთლიანი ხის სახენელ იარაღს გვაგონებს (იხ. აქვე) და, უეჭველია, ამ იარაღის უძველეს და უმარტივეს სახეობად უნდა იქმნეს მიჩნეული.

„ჩუთს“ დართულ სურათზე მხოლოდ ხელნა უჩანს კავის კულში ჩასმული (იხ. ნახ. 5). დანარჩენი ყველაფერი მთლიანი ხისაა. ამგვარად „ჩუთად“ ბუნებრივად კუთხოვანად მოკაეებული ხე არის გამოყენებული, რომელსაც მარცხნივ წარზიდული მოკაეებული წაწვეტილი ნაწილი სახნისად აქვს.

ჩუთის ნიშანდობლივ დამახასიათებელ თვისებას ის შეადგენს, რომ ამ იარაღს მიწის მოსახნავად წაწვეტილ კავს გარდა არაფერი გააჩნია: არც საგანგებოდ წამოცმული სახ-

ნისი, არც „კმალა“ და მით უმეტეს ისეთი დანარჩენი ნაწილები, როგორც საკვეთელი და „ფრთა“-ა, მას არ მოეპოვება. სწორედ ეს გარემოება „კაესა“ და „ჩუთს“ სახნავი იარაღის უმარტივეს და უძველეს სახეობად ჰხდის.

გ. ჩიტაიას მიერ მოყვანილი „ჩუთის“ აგებულების აღწერილობა უდგება ს. ლიგურეთის „აჩაჩ“-ს, რომლის სურათიც მის ნაშრომს დართული აქვს კიდევ (იხ. აქვეანახ. 6) იმ ერთი არსებითი განსხვავებით, რომ ამ სახენელს სახნისს გარდა საკვეთელიც აქვს, რომელიც, უქვეკლია, მერმინდელ დანართ ნაწილს წარმოადგენს. აქ სახნავი იარაღი უკვე ერთ მთლიან მოკავებულ ხეს<sup>1</sup> აღარ წარმოადგენს, არამედ მოკავებული ხე ჩასმულია მარცხნივ თანდათანობით დავიწროვებულსა და ბოლოში ძალზე წაწვეტილ ხეში, რომელსაც ამ აჩაჩის დართულ სურათზე „კბილა“ ეწოდება, მაგრამ ს. ქსოვრეთის აჩაჩის ნახატზე ამ სახნავი იარაღის ნაწილების აღნიშნული სახელების მიხედვით (იხ. აქვეაგვ. 2031, ნახ. 8) საფიქრებელი ხდება, რომ ნამდვილად „ქუსლი“ უნდა ეწოდებოდეს.

„კბილა“ უნდა ამ ქუსლის იმ წინამდებარე წაწვეტილ ნაწილს ერქვას, რომელზედაც „საენიხი“-ა წამოცმული. არსებითადაც სწორედ ამ ნაწილს შე-ქშეენის „კბილა“-ს სახელი. თვით გ. ჩიტაიასაც აღწერილობაში იარაღის ამ ნაწილის სახელად „კბილა-ქუსლი“ აქვს ნახმარი (რაც სურათზე არაა აღნიშნული) და ნათქვამი აქვს: „ამ აჩაჩის მხარი... ჩუთის კავივით მოხრილია და კბილა-ქუსლშია<sup>1</sup> ჩამჯდარი“-ო (გვ. 215).

აზრი კავ-ჩუთის მთლიანი ხისაგან გაკეთების მაგიერ ცალკე ნაწილებისაგან შედგენის შესახებ სახნავი იარაღის შემოღების დასაწყის ხანაშივე თავისდა-თავად უნდა გაჩენილიყო, რათგან ჩუთისათვის გამოსადეგი, ბუნებრივად მოკავე-ბული, ხის შოვნა ყოველთვის ვერ მოხერხდებოდა. ორი ნაწილისაგან მისი შე-მზადება და ქუსლ-კბილაში რვილ-ჩასმული სახნავი იარაღის გაკეთება-კი უფრო ადვილი იყო.


## II. ა ჩ ა რ ი

გ. ჩიტაიას ცნობით აღბულალის თემში ორი სახეობის „აჩაჩი“ არსებობს:

ერთი მათგანი ს. ლიგურეთში უნახავს, მეორე ს. ქსოვრეთში. პირველი ამ აჩაჩთაგანი ჩუთ-კავისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ, როგორც უკვე ნათქვამი გვექონდა, მთლიანი ხისაგან-კი არ არის გაკეთებული, არამედ მოკავებული მხარი, ანუ რვილი ცალკეა გაკეთებული, ქუსლ-კბილა კიდევ ცალკე და რვილი ამ ქუსლ-კბილაშია ჩადგმული, ისე როგორც მასთან ერთად და მის უკანვე ხელნაც (იხ. გ. ჩიტაიას ნაშრომის გვ. 215, სურ. 6—აქ ნახ. 6). ამ აჩაჩის მთავარ განმასხვავებელ თვისებას თითქოს რვილში გაყრილი და სო-ლებით დამაგრებული „ხაკვეთელი“ შეადგენს. როგორც დავრწმუნდით, ჩუთ-კაეს საკვეთელი არ აბადია.

<sup>1</sup> ეს ორი სიტყვა ჩვენგანაა ხაზგასმული.

მაგრამ, როგორც ზევით (იხ. გვ. 194 - 195) აღნიშნული გვექონდა, მკვლევარს უნდა გათვალისწინებული ჰქონდეს სახენელის ძველ და წინამორბედ სახეობათა აგებულების ნაწილობრივი შეცვლა მერმინდელი, გაუმჯობესებული სა-



ნახ. 6.

ხეობის ზეგაულებით. სწორედ აქ, ლიგურეთის აჩაჩის ნიშანდობლივი თვისების გამოკვევის დროს, უნდა გავიხსენოთ ასეთი მერმინდელი ცვლილების შესაძლებლობა. უეჭველია, აჩაჩას თავდაპირველად საკვეთელი არ ჰქონია და მხოლოდ შემდეგში დართულ გაუმჯობესებას წარმოადგენს.

ეს მოსაზრება მით უფრო გასაგები გახდება და ბუნებრივად გვეჩვენება, თუ იმასაც მხედველობაში მივიღებთ, რომ, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, უფრო რთულს, ორ-უღლიან სახენელსაც-კი საკვეთელი არ აბადია (იხ. გვ. 182, ნახ. 7). ამასთანავე ლიგურეთის აჩაჩს ხმალაც კი არა აქვს, ე. ი. ის ნაწილი, რომელიც სახენელს სიმტკიცეს ანიჭებდა. ასეთი მარტივი და სუბუქი აგებულების სახენელის რვილს ზემოთგან ქვემოთგან დამზიდველი რკინის საკვეთელი, რა თქმა უნდა, დაამძიმებდა და სიმტკიცეს დაუკარგავდა. ამიტომ უხმალო სახენელი მუშაობისათვის შესაფერისად გამოსადეგი ვერ იქმნებოდა. ყველა ზემოპოყვანილ მოსაზრებათა გამო საფიქრებელია, რომ ს. ლიგურეთის აჩაჩის საკვეთელი ამ სახეობის სახენელის თავდაპირველი კუთვნილება არ უნდა იყოს.

ამავე აზრის სისწორეს, როგორც შემდეგში თავის ადგილას (იხ. აქვე, ნახ. 12 და 13) დავრწმუნდებით, სამეგრელოში გავრცელებული სახენელი „აგაფა“-ს, ან „ოგაფა“-ს, ზოგადი ქართული ოქოქას შესატყვისობისა, და რაჭული „ოჩოჩა“-ს აგებულებაც ადასტურებს.

მანინე შეცდომის ყოველგვარი შესაძლებლობის თავითგან ასაცილებლად ხალხის მსჯავრი იყო საქირო: თვით ქართველ მიწისმოქმედს, რომელმაც სახენელთა აგებულება ყველაზე უკეთესად უნდა იცოდეს, უნდა გადაეწყვიტა ეს მნიშვნელოვანი საკითხი და მეც ამ სამჯავროს მივმართე. იროდიონ სონ-ლულა შეიღმა, რომელმაც დიდად დამეაღა და ამის შემოწმება და გამო-

რკვევა იკისრა, ს. დილომითგან ჩამოიტანა ცნობა<sup>1</sup>, რომ იქაურები გადაპკრით ამტკიცებენ, რომ აჩაჩს, ან აჩეჩას, როგორც თურმედილოში ხმარობენ, საკვეთელი არა აქვს. მათივე სიტყვით, აჩაჩი იგივე ჩუთია და, როგორც უკვე დავრწმუნდით, ჩუთსაც მართლაც არც საკვეთელი და არც ხმალა არა აქვს.

მაშასადამე, აჩაჩი ისეთივე აგებულება-მოყვანილობის სახეიქლი იყო, როგორისაც ჩუთ-კავია. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავება ჩანს, რომ ჩუთ-კავი მთლიანი ხისაგან გაკეთებული იარაღი იყო, აჩაჩი-კი ცალკეული ნაწილები-საგან არის შემდგარი.

### III. ა რ ო ნ ა ა ნ ე ა რ ე ნ ა ა

გ. ჩ ი ტ ა ი ა ს „მესხური არონაჲ“, ანუ „არუნაჲ“-ს არც აგებულება აქვს აწერილი თავის მრავალჯერ დასახელებულ ნაშრომში, არც სურათი დაურთავს (იხ. გვ. 226. შენ. 4). მაგრამ მისი ნებართვით 1923 წ. მისგან შესხეთში ეთნოგრაფიული ექსკურსიის დროს „არუნაჲ“-ს გადაღებული ნახატი (იხ. საქართ. მუზეუმის კოლექცია №  $\frac{42-24}{17}$ ) ვსარგებლობ და ამის წყალობით ამ სახეიქლის აგებულების გამორკვევა შემძლიან<sup>2</sup>.

„არუნაჲ“ მთლიანი ხისაგან გაკეთებული არ არის, არამედ აჩაჩას მსგავსად ცალკეული ნაწილები-საგან არის აწყობილ-გამართული (იხ. ნახ. 7). მაგრამ მისი „რვილაჲ“, ლიგურეთის აჩაჩის მსგავსად, ქუსლ-კბილაში-კი არ არის ჩასმული, არამედ მანქუაშია გაყრილი.


თვით არონაჲს „მანჭუაჲ“-ც ქუსლ-კბილაშია ჩასმულ-ჩაქედილი და თავისი დანიშნულებით აჩაჩის ხელნას უდრის. მოყვანილობით მანჭუაჲ ხელნაზე უფრო მსხვილია და ბოლოსაკენ, სადაც მას რვილას გასაყრელად გეზად ნახვეტი აქვს ამოპკრილი, გაგანიერებულია. ზევით მანჭუას თავი აქვს მომრგვალებით გაკეთებული, რომელსაც „მანჭუას თავი“ ეწოდება, ხოლო ოდნავ ამის ქვემოთ პატარა ჯოხი აქვს გაყრილი ხელის მოსაკიდებლად, რომელსაც „ხახელური“ ჰქვიან.

რვილაჲ თავში, თითქმის სახნისის წვეტის გასწერივამდე სწორია და მხოლოდ ოდნავ არის დახრილი, მაგრამ ამ ადგილითგან მოყოლებული რვილაჲ იმდენად ძლიერად იხრება, რომ მანჭუაში გაყრილი ბოლო ქუსლ-კბილაზე აქვს დაყრდნობილი. „კბილაჲ“-ს მოყვანილობა ჩვეულებრივისგან ოდნავ განსხვავდება: ქუსლ-კბილას თავში რკინის სახნისი აქვს წამოცმული, ბოლოს-კი ზევით-კენ აწვეული „ჩუური“ აბია.

არუნაჲს მთავარ განმასხვავებელ თავისებურებას „ხმალაჲ“ შეადგენს, რომელიც ხის ნაქერს წარმოადგენს, მანჭუას წინ და რკინის სახნისის ოდნავ უკან მდებარეობს და, კბილაში ჩასმულ-ჩაქედილი, შუაზე

<sup>1</sup> ამ დახმარებისათვის ი რ ო დ. ს ო ნ ლ უ ლ ა შ ე ი ლ ს გულითად მადლობას მოვხსენებ.

<sup>2</sup> გ. ჩ ი ტ ა ი ა ს ამისათვის გულითად მადლობას მოვხსენებ.



ნაზ 7.





ორ-ულლიან სახენელ არონასთან შედარებით ს. ქსოვრეთის „აჩაჩს“ ის უპირატესობა აქვს, რომ მას ხმალას გარდა „საკვეთელი“-ც მოეპოვება, რომელიც სახნავ მიწას ზევითგან ვერტიკალურად სჭრის. თავისდა-თავად ცხადია, რომ ეს სახენელის დიდ გაუმჯობესებას და ღირსებას წარმოადგენს.

ამ სახენელს მხოლოდ ფრთა-ლა აკლია, რომ ერქუანისა და გუთნის მსგავსად სრულ იარაღად იქმნეს მიჩნეული. მაშასადამე, ეს სახენელი სახნის-ხმალა-საკვეთელიანი, მაგრამ უფრო იარაღია. სახენელის მერმინდელისა და მომდევნო გაუმჯობესებული სახეობისგან სწორედ ეს მისი ზღვრობა ასხვავებს.

ს. ქსოვრეთის „აჩაჩს“ ერთი უცნაურობა აქვს ეხლა: ამ გარკვეული და განსხვავებულ აგებულების სახენელს ქსოვრეთში ისეთივე სახელი ეწოდება, როგორც უფრო მარტივი აგებულების სახენელს. ეს გარემოება ერთგვარ ექვს იწვევს და საკითხი გვებადება, შეცდომით ხომ არ უწოდებენ მას ს. ქსოვრეთში აჩაჩს. ხოლო „ერქუანისა“ და „ჯილლის“ აგებულების თავისებურებათა გარჩევის დროს, უკვე დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 196), რომ სახენელის სახელების სხვაობა ამ იარაღის აგებულების სხვაობაზე ყოფილა დამოკიდებული.

ჩვენი ეჭვი ყველასათვის ვინც-კი იცის, რომ საბა ორბელიანის მოწმობით, უფროთ სახენელს ძველად საქართველოში აჩაჩი-კი არა, არამედ ჯილლა ჰრქმევია სახელად, სრულებით გასაგები გახდება. ზემოყვანილ განმარტებაში (იხ. აქვე, გვ. 196) ხომ მას გარკვევით აქვს ნათქვამი, რომ „ჯილლა უფროთ ერქუანი“ იყო, რომელშიც ოთხს, ან ხუთ უღელს აბამდენ ხოლმე. რაკი ს. ქსოვრეთის ე. წ. აჩაჩი სახნის-ხმალა-საკვეთელიანი, მაგრამ სწორედ უფროთ სახენელია, ს. ორბელიანის განმარტების თანახმად, უნდა დავასკვნათ, რომ ამ იარაღს აჩაჩი ეხლა შეცდომით უნდა ეწოდებოდეს და წინათ, მაგ. მე-XVII ს. დამლევსა და მე-XVIII ს. დამდეგს, სახენელინ ასეთ სახეობას „ჯილლა“ ჰრქმევია სახელად. ამიტომ ს. ქსოვრეთის ე. წ. აჩაჩი ჩვენც ნამდვილად ჯილლად უნდა ვიცნათ.

ჯილლასა და ქსოვრეთის ე. წ. აჩაჩის იგივეობა, ან უკეთ რომ ვთქვათ, ამ უკანასკნელის ნამდვილად ჯილლობა იმითაც მტკიცდება, რომ გ. ჩიტაიას სიტყვითაც ამავე სოფელში გავრცელებული „აჯილლა“, როგორც მას თითქოს ადგილობრივ უწოდებენ ძველი „ჯილლა“-ს მაგიერ, „არსებითად არაფრით განსხვავდება აჩაჩის ზემოთ აღწერილი (იგულისხმება ს. ქსოვრეთის ე. წ. აჩაჩი) სახისაგან“-ო (ეთნოგრ. მოგზ. 124). მაშასადამე, ამ თემში არსებული „ჯილლა“ მართლაც სახნის-ხმალა-საკვეთელიანი<sup>1</sup> უფროთ სახენელი ყოფილა.

<sup>1</sup> საბას ყველგან, ლექსიკონშიც და სიბრძნე სიტყვის წიგნშიც, „ჯილლა“ უწერია, გ. ჩიტაიას ცნობით-კი ხალხში თითქოს „აჯილლა“-ს ხმარობენ. რაკი „აჯილლა“ საშუალო საუფუნების ქართულში „ცხენის ყურატსა“ ჰნიშნავდა (საბას ლექსიკ.), ამიტომ ს. ორბელიანისა და მესხეთში მიღებული სახელწოდების მიხედვით სახენელის სახელად „ჯილლა“-სა ვმხარობ.



„ჯილა“ გ. ჩიტაიას ცნობით. მესხეთშიც ყოფილა დღევანდლამდე დაკული. რაჟი ამ „მესხური ჯილა“-ს აღწერილობა და ჩანახატი მას თავის ნაშრომში მოყვანილი არა აქვს, ამიტომ მისი ნებაართვით ვსარგებლობ საქართველოს მუზეუმში დაკული ჯილის ნახატით, რომელიც გ. ჩიტაიას 1923 წ. მესხეთში ეთნოგრაფიული მიზნით მოგზაურობის დროს ახალციხის ყოფ. მაზრის ს. არალში გადაუღია (იხ. საქ. მუზეუმის კოლექცია №  $\frac{42-24}{17}$ ), რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

მესხეთში ამ იარაღს ძველებურად „ჯილა“ ჰრქმევია. ეს სახენელი ორი ერთმანერთზე გადაბმული ცალკეული ნაწილისაგან შედგება (იხ. ნახ. 9). ერთ ნაწილს საეკუთრივ სახენელი შეადგენს, მეორე ნაწილს-კი ღერძ-თელიანი საზიდავი. უპირველესად, რასაკვირველია, თვით სახენელი უნდა იქმნეს განხილული.

ს. არალის „ჯილა“ სახნის-ხმალიან სახენელ იარაღს წარმოადგენს, რომლის რვილაჲ მანქუაშია ბოლო ნაწილით ქუსლ-კბილას დონეზე გაყრილი. მანქუა ქუსლ-კბალაშია ჩასმულ-ჩაქედილი. ხმალას ბოლოც ქუსლ-კბილაშივეა ჩასმული რკინის სახნისის ოდნავ მოშორებით, ხმალას შუა ნაწილი-კი რვილშია გატარებულ-გაქედილი.

ამგვარად, ამ სახენელს არც საკვეთელი აბადია და არც ფრთა. ფრთა რომ მას არ გააჩნია, სრულებით ბუნებრივია და სწორედ ასეც უნდა ყოფილიყო, რათგან საბაჲს ზემომოყვანილი განმარტებით, ჯილა მართლაც უფრო სახენელი იყო. მაგრამ სრულებით მოულოდნელი და განმაცვიფრებელი გარემოებაა, რომ ს. არალის „ჯილას“ საკვეთელიც არა აქვს. ბუნებრივად იბადება საკითხი, აქ ხომ რაიმე გაუგებრობა არ არის?

საკმარისია ადამიანმა სახენელის ზემოგანხილული სახეობის „არონაჲს“ აგებულების აღწერილობა გადაიკითხოს და ამავე სოფლის არალის „არუნაჲს“ (იხ. აქვე, გვ. 101 - 103) მოყვანილ ნახატს გულდასმით თვალი გადაავლოს, რომ უმაღ საქმის ნამდვილი ვითარება მისთვის ცხადი შეიქმნეს: „ჯილა“-ს სახელით წარმოდგენილი ს. არალის სახენელი ნამდვილად მხოლოდ „არუნა“ არის. ეს ვითომც ჯილად მიჩნეული სახეობა აგებულებით „არუნისა“-გან არაფრით არ განსხვავდება. ამგვარად შექველია, რომ აქ ცხადი შეცდომა და გაუგებრობაა: ერთი-და-იმავე სახეობის სახნავ იარაღს ორი სხვადასხვა სახელი ეწოდება. ცხადია, რომ ს. არალის „ჯილა“-დ მიჩნეული სახენელი ნამდვილი ჯილის აგებულების ნიშანდობლივი თვისების გამოსარკვევად სრულებით გამოსადეგი არ არის.

„ჯილა“-ს შესახებ ცნობები მე XIX ს. ოთხმოციან წლებში იყო გამოქვეყნებული (იხ. Материалы ИЭБГКЗК, т. III, ч. 2, გვ. 141). ამ ცნობების მიხედვით „ჯილა“ სამცხისა და ჯავახეთის ძველი მოსახლეობის მკვიდრთა შორის ყოფილა გავრცელებული. საქართველოს გარეშე მხოლოდ ერევნის მაზრის მცხოვრებთა შორის ყოფილა ცნობილი (Материалы, III, ч. 1, გვ. 89 და Свод Материалов, IV, გვ. 263). მესხეთ-ჯავახეთში გადმოსახლებულ სომხებს შორის ჯილა მხოლოდ მე-XIX ს. ოთხმოციან წლებითგან გავრცელებულა აქა-იქ (Свод

Матер., IV, 263). ერეენის მაზრაში გაერცელებული ჯილდა სამცხე-ჯავახეთის ჯილდისაგან აგებულებით თვალსაჩინოდ განსხვავდებოდა.

მესხეთ-ჯავახეთში ჯილდაში თურმე 4—5 უღელ ხარს, ან 3 უღელ კამბეჩს აბამდენ.

თავისი აგებულებით ჯილდა ხისგან გაკეთებულ სახენელს წარმოადგენდა, რომელსაც მხოლოდ სახნისი ჰქონდა რკინისა ქუსლ-კბილაზედ წამოკმული. ამ სახენელის განმასხვავებელ თვისებას ქუსლ-კბილას უკანა ნაწილზე აქეთ-იქით დამაგრებული ყურები შეადგენდენ, რომელნიც სახნისისაგან გათხრილ მიწას კვალის ორთავე გვერდზე, აქეთ-იქით ჰყრიდენ. ამგვარად ჯილდა უფროთ სახენელი იყო, მაგრამ ყურები იანი.

აღსანიშნავია, რომ ერეენის მაზრაში გაერცელებული ჯილდა იგივე გუთან იყოფილა, მხოლოდ უგოგორ-ფაშვალაკოდ. მაშასადამე, სახნის-საკვეთელსა და ხმალას გარდა, მას ფრთაც ჰქონია, მესხურ ჯილდას-კი ფრთის მაგიერ ყურები ჰქონდა (Материалы, III, ч. 1, გვ. 89 და Свод Мат., IV, 263—264).

რაკი საბა ორბელიანს მკაფიოდ აქვს ნათქვამი, რომ „ჯილდა უფროთ ერქუანი“ იყო (ლექსიკ.), ცხადი ხდება, რომ ერეენის მაზრაში ჯილდად წოდებული სახენელი ნამდვილად ჯილდა არ ყოფილა. როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, ასეთი სახეობის იარაღს ერქუანი ეწოდებოდა. მაშასადამე, ერეენის მაზრაში ჯილდას ძირითად აგებულებას ფრთა მერმე უნდა ჰქონდეს ერქუანის, ან გუთნის მიმბაძველობით დართული.

მაგრამ ამავე საბას ზემომოყვანილი განმარტებითგან ჩანს, რომ, რაკი ჯილდა ერქუნისაგან მხოლოდ თავისი უფროთობით განსხვავდებოდა, ამიტომ ჯილდას მის დროს ხმალა და საკვეთელიც ჰქონია. არსებულ აღწერილობათა მიხედვით-კი მესხურ ჯილდას საკვეთელი არ უჩანს. ამის გამო საფიქრებელი ხდება, რომ ჯილდის პირვანდელი აგებულება სრულად არც მესხეთში ჰქონიათ დატული. საბასი და თანამედროვე (ერევ. მაზრ.) ცნობების მიხედვით ჯილდა თავდაპირველად უნდა სახნის-ხმალა-საკვეთლიანი და ყურებიანი სახენელი ყოფილიყო. თუ ადამიანი გვლდენ შტედტ ისაგან დახატულ ქართლში გაერცელებული სახენელის სურათს გაიზიჯავს (იხ. აქვე, გვ. 165, სურ. 3), დავრწმუნდება, რომ მას სწორედ იმდროინდელი ჯილდის სურათი აქვს დატული.

ფრიად საყურადღებო და საგულისხმოა ამ მესხეთის სახენელის წინა ნაწილი, ამ არუნას საზიდავი. იგი შრლტიანს ლერძ-გოგორებს წარმოადგენს, სახელობრ, ლერძის შუა ნაწილზე დამაგრებული აქვს „შოლტაჲ“. ამ შოლტას წინ უღელი აქვს დამაგრებული გამწვევი პირ-ურტყვის შესაბმელად და ლერძ-გოგორებისა და მათზე გადაბმული სახენელის წარსაზიდავად.

ცხადია, რომ შოლტა-ლერძ-გოგორა ხენის დროს უღლეული საქონლისათვის სახენელის წარზიდვის მძიმე; ტვირთის შესამსუბუქებლად გამოყენებული საშუალებაა. აღსანიშნავია, რომ ამ შოლტა-ლერძ-გოგორებს ორივე თვალი ერთი-და-იმავე ზომისა აქვს. ამ მხრივ იგი გუთნის წინა ნაწილის, ფამფალაკისაგან, არსებითად განსხვავდება, რათგან ფამფალაკს, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 132 და 186.), სხვადასხვა ზომის თვლები ჰქონდა: ველისა და

კვლის გოგორები ტოლ-მეტნი იყვნენ იმდენად, რომ ერთ მათგანს სახელად „მცირე გოგორა“-ც-კი ეწოდებოდა და ეხლაც ეწოდება.

ფამფალაკთან შედარებით შოლტა-ლერძ-გოგორები, რასაკვირველია, უფრო მარტივი და უხეშია, რათგან იქ ის განსხვავება, რომელიც ორნატის, ანუ ხნულის კვლის დონის სიღრმესა და მეორე გვერდზე მდებარე ჯერ მოუხნავი ველის დონეს შორის სახენელის მუშაობის დროს არსებობდა, სრულებით გათვალისწინებული არ არის.

მაგრამ ს. არალის სახენელის შოლტა-ლერძ-გოგორები სწორედ ამ თავისი უხეშობითა და პირველყოფილობით არიან საყურადღებო, რათგან სწორედ ეს თვისებებია, რომ მის დიდ ხნიერებას ამელავენებენ. ეს მოწყობილება რომ მაინცდამაინც ახალი, მე-XIX ს-ში, შემოღებული არ არის, ამას თუნდაც ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ „შოლტა“-ს არსებობა ს. ორბელიან-მაც იცოდა: მას თავის ლექსიკონში განმარტებული აქვს კიდევაც: „შოლტა ერქვენის იარაღია“-ო, ე. ი., რომ შოლტა სახენელისათვის გამოყენებული მონაწყოები იყო.

მაგრამ ამაზე უფრო საგულისხმო გარემოებაა, რომ საქართველოში, თვით ლიხთ-იმერეთშიც-კი, ასეთი შოლტა-ლერძ-გოგორების წინათაც არსებობა იტალიელი მისიონერის მხატვარი კასტელ-ის ზემომოყვანილი სურათითაც (იხ. აქვე, გვ. 184, სურ. 2) უცილობლად მტკიცდება. მას, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, მხოლოდ დახატვის დროს შეცდომა მოსვლია.

უეჭველია, „შოლტა“, ვითარცა სახენელის იარაღი, მე-XVII ს-ზე გაცილებით უფრო ძველია. არსებითად-კი იგი იმ ლერძ-გოგორებს წარმოადგენს, რომლის შესახებაც პლინიუსს სეკუნდუსს, ანუ მცირეს ნათქვამი აქვს: „დიდი ხანი არ არის, რაც ვალლიის რეტიამში გამოიგონეს და სახენელს ორი გოგორა დაურთეს, რასაც იქაურნი „პლაუმორატი“-ს (plaumorati) უწოდებენ“-ო (Naturalis Historia, Car. Mayhoff-ის გამ. XVIII, 18)<sup>1</sup>. ამიტომაც შესაძლებელია და საფიქრებელი, რომ შოლტა-ლერძ-გოგორები ძველის-ძველი დროითგან იყოს საქართველოშიც შემოსული და შერჩენილი.

## V. ჟრღჟანი და გუთანა

ჯილღას შემდგომ ეთნოგრაფიულ დაკვირვებას კვლევის საგნად მხოლოდ „გუთანა“-ლა აქვს. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ თანამედროვე საქართველოში „ერქუანი“ სახენელი იარაღის მხოლოდ ერთი ნაწილის აღმნიშვნელი-ლაა, ზოგადი მნიშვნელობა ამ ტერმინს თითქოს უკვე დაკარგული აქვს.

გ. ჩიტაიას მოწმობით „ამეამად მთიულნი და ხევსურნი ერქვანს, ვერქვანს აჩაჩა-სახენელის სახელურს უწოდებენ“ (ეთნოგრ. მოჯზ., გვ. 204, შენ. 1).


„გუთანა“ ყველა დანარჩენი სახნავი იარაღებისაგან თვალსაჩინოდ განირჩევა: მას (იხ. აქვე, გვ. 184, ნახ. 4 და ნახ. 10) აქვს „ფამფალაკი და გოგორები. რომლითაც გუთანა ჩუთ-აჩაჩის სახის ერქვანისგან განსხვავდება“-ო, ნათქვამი

<sup>1</sup> „Non pridem inventum in Raetia Galliae duas addere tali rotulas, quod genus vocant plaumorati“.

აქვს გ. ჩიტაიას (ეთნოგრ. მოგზ., 212). მაგრამ განსხვავების ასეთი დახასიათება ზედმიწევნითი არ არის და არც მთლად სწორია.

ჯერჯერობით რომ ფამფალაკ-გოგორებს, რომელნიც თვით გ. ჩიტაიასვე სამართლიანი სიტყვით „ხარის ტვირთის შესამსუბუქებლად და მუშაობის გასაადვილებლად არის მოწყობილი“ (ეთნოგრ. მოგზ., 212), გვერდი ავუქციოთ, შეიძლება ითქვას, რომ ჯილღასა და გუთანს შორის არსებითად განსხვავებას „ფრთა“ შეადგენს: ჯილღას, როგორც დავრწმუნდით, ფრთა არა აქვს, გუთანი-კი ფრთით არის შემკული (იხ. ს. ჩხიკვთას გუთნის სურ. № 2 გ. ჩიტაიას ნაშრომის 211 გვ-ზე და აქვე გვ. 185 – 186),

ჩუთ-კავისაგან გუთანი ბევრი თვისებითა და ნაწილებით განსხვავდება, აჩაჩისაგანაც გუთანს სხვადასხვა ისეთი გარემოება და ნაწილიც ასხვავებს, რომელიც არც აჩაჩს და არც ჯილღას არ აბადია.



ნაბ. 10.

ბელტის გადასაბრუნებელი მოწყობილობის, „ფრთა“-ს ან ფრთეს, სახანაეი იარაღის შემდგენელობაში ჩართვას შეეკველად ამ იარაღის ბოლო ნაწილის აგებულობა უნდა შეეცვალოს. „ფრთე“, ანუ „ფრთე“, რომელიც „უმეტესად მთლიანი ფიცრისა“ კეთდება (გ. ჩიტაია, ეთნოგრ. მოგზ., 210), ისე უნდა ყოფილიყო დამაგრებული, რომ თავისი დანიშნულება საუკეთესოდ ასრულებინა. კელნაზე მისი დამაგრება მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ამიტომაც გუთანს კელნა არცა აქვს. ამის მაგიერ იქ პატარა და ღილი მანქნეებია.

„მანქნეებიც“ ხისაა. ორივე მანქნა ისეა გვერდებზე გახრილი, რომ ერთად შეერთებულთ ბოთლის მოყვანილობა აქვსთ. ორთავეს, ღილსაცა და პატარა მანქნეებს, თავები წნელითა და ჩხირით, რომელსაც „ფარეში“-ც ეწოდება,

ერთმანერთზე მაგრად აქვს მიკრული. მანქუების ბოლოები-კი ერთმანერთზე ბოთლის გვერდების მსგავსად განზე დაშორებული და დასწვრივად ჩამოშვებული აქვს.

რეილი, ანუ მხარი გუთანში, ჯილღის მსგავსად, ხელნაში-კი არ არის გაყრილი, არამედ იმ მარცხნივ მდებარე მანქუაში, რომელსაც „დიდი მანქუა“ ეწოდება. ამ დიდ მანქუას ბოლო ქუსლ-კბილაშია დამაგრებული. მარჯვნივ მდებარე მანქუას „პატარა მანქუა“ ეწოდება. სწორედ ამ პატარა მანქუაზეა „ფრთე“-ს, ანუ „ფთა“-ს უკანა ნაწილი დამაგრებული, წინა-კი ხმალაზეა მიმაგრებული. პატარა მანქუას ქვედა ნაწილში გაყრილი აქვს „კაჯაბი“, რომელიც თავის მხრივ, ქუსლ-კბილაშია ჩაქედილი.

რაკი გუთნის ნაწილები სოლებით არის გაქედილ-დამაგრებული, ამის წყალობით ამ ნაწილების სურვილისა, ან საჭიროებისამებრ დაგრძელება, ან დამოკლება შეიძლება (იხ. გ. ჩიტაია, ეთნოგრ. მოგზ., 210—211 და აქვე, გვ. 180 სურათი 4 და გვ. 209, ნახ. 10).

ამგვარად, თუ გავითვალისწინებთ, რომ მანქუები ფრთეს დასამაგრებლად არის ხელნას მაგიერ გუთანში გამოყენებული, მაშინ ცხადი გახდება, რომ გუთანს, ფაშალაკს გარდა, რომლის შესახებ შემდეგ გვექმნება განსაკუთრებით საუბარი, ჯილღასაგან მხოლოდ „ფრთე“ ასხვაგვებს: სხვა დანარჩენი ნაწილები, როგორც, მაგ., სახნისი, საკეთელი და ხმალა, გუთანსავით ჯილღასაც ჰქონდა.

ამ გარემოების გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს. რაკი გამოირკვა, რომ ჯილღა უფროთ სახნავი იარაღი იყო და არის ეხლაც, გუთან-კი ფრთიანი, საკმარისია ს. ორბელიანის შემომოყვანილი ერთი განმარტება გაეხსენოთ, რომ ძველი ერქუნის აგებულების დამახასიათებელი თვისების გამორკვევა შესაძლებელი შეიქმნეს.

როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, საბას სიტყვივითაც ცხადად ჩანს, რომ „ერქუანი“ ფრთით შემკული სახნავი იარაღი იყო და სწორედ ამ თავისი თვისებით ჯილღასაგან განსხვავდებოდა. ს. ორბელიანის ეს ცნობა ცხად-ჰყოფს, რომ ერქუანი სახნავი იარაღის, ჯილღის, გაუმჯობესების მომდევნოსა და ამავე დროს არსებითი გაუმჯობესების უკანასკნელ საფეხურს წარმოადგენდა.

როგორც უკვე დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 187 — 188) სრული, სახნის-ხმალა-საკეთე-ფრთიანი, მაგრამ უფაშალაკო სახენელის ცალკე სახეობის არსებობა კლაპროთის აღწერილობით არის დამოწმებული. ეხლა ცხადი ხდება, რომ მას სწორედ ერქუანი აქვს აღწერილი.

ზემონათქვამითან ისე გვეჩვენის, თითქოს ერქუანსა და გუთანს შორის აგებულების მხრივ არაერთიანი განსხვავება არ ყოფილიყოს: ორივე ფრთიანი სახნის-საკეთე-ხმალიანი სახნავი იარაღი იყო. საბა ორბელიანსაც, როგორც ეტყობა, ასევე ეგონა. ამ გარემოებას მისი განცხადება გვაფიქრებინებს, რომ „გუთანს სომხურია, ქართულად ერქუანი ჰქვია“—ო (ლეჰსიკ.) მაშასადამე, ამ ორ



ტერმინს შორის თითქოს მხოლოდ ის სხვაობა ყოფილიყოს, რომ გუთანი ვითომც სომხური სიტყვა უნდა იყოს, ერქუანი-კი ქართული. მაგრამ საბას განმარტება როგორც ფილოლოგიურად მცდარია, ისევე არსებითადაც სწორე არ არის.

## VI. ურქუნისა და გუთნის განმარტებითი ნაწილი

მე-XII ს-მდე ქ.შ., როგორც აღნიშნული გვექონდა (იხ. აქვე, გვ. 178 — 179), ერქუანი სახნავე იარაღის ერთად-ერთი ზოგადი, საყოველთაოდ გავრცელებული. ქართული ტერმინი იყო. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამის შემდგომ შემოსულ ტერმინს, „გუთანს“, ისეთ ხანაში, როდესაც ქართული სახელმწიფოებრივობაც, ეროვნული თვითშემეცნებაც და კულტურაც სულ უფრო-და-უფრო ძლიერდებოდა, ისე განედევნა საუკუნეთა განმავლობაში გაბატონებული ტერმინი „ერქუანი“, რომ სახნავე იარაღის აგებულების რაიჟე ახალი, თვალსაჩინო გაუმჯობესება არ შემოეტანა.

საფიქრებელია, რომ ცხოვრებასა და ენაში „გუთანმა“ სწორედ იმიტომაც გაიმარჯვა „ერქუანზე“ და სასაუბრო ენის სალაროთგან იმის წყალობით განედევნა, რომ სახნავე იარაღის ისეთი გაუმჯობესების გამომხატველი იყო, რომელიც ამ იარაღის განვითარების უკანასკნელ საფეხურს წარმოადგენდა. რაკი „ერქუანი“ ფრთის დართვის წყალობით ტეხნიკურად სრულებით დამთავრებული სახნავე იარაღი იყო, ამიტომ იმ გაუმჯობესებად, რომელმაც გუთანს ერქუანზე გამარჯვება მოუპოვა, შეიძლება მხოლოდ ფამფალაკ-გოგორები იქმნეს მიჩნეული.

მართალია საბას ნათქვამი აქვს, რომ „ფამფალაკი ერქუანის იარაღია“ (ლექსიკ.), მაგრამ საფიქრებელია, რომ ამ განმარტებაში ჩვენ ლექსიკოგრაფს „ერქუანი“ ზოგადი მნიშვნელობით აქვს ნახმარი, ვითარცა, მისგან უცხოოდ მიჩნეული, გუთნის შესატყვისი ძველი ქართული ტერმინი. ასეთი მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი ერქუანი „გოგორა“-ს განმარტებაშიც, რომლის შესახებაც აგრეთვე ნათქვამია: „ერქუანთ თვალი საბრუნავე“-ო (ლექსიკ.).

რასაკვირველია, არა ერთი შემთხვევაა, როდესაც ახალ-შემოსული, უმეტესად უცხო ენითგან ნასესხები, ან შეთვისებული სიტყვა, ისეთ გარემოებაშიც გაბატონებულა, როდესაც ენას ამ ცნებისათვის ძველი, საკუთარი ტერმინი ჰქონებია, ისე რომ ახალ სიტყვას ენისათვის ახალი ცნება არ შეუძენია. მაგრამ ასეთი მოვლენა ყოველთვის გარკვეული პირობის, უცხო პოლიტიკური ბატონობის, შედეგია ხოლმე. „გუთანი“-კი ერქუნის მაგიერ ქართულში ასეთ ხანაშია და პირობებში არ შემოსულა.

ზემოაღნიშნულს გარდა, კიდევ შემდეგი გარემოებაა გასათვალისწინებელი. თანამედროვე საქართველოს სხვადასხვა თემში დაცული კავ-ჩუთი, ოქოქა, აჩაჩი და ჯილლა ყველა უფამფალაკოა და არც ერთს მათგანს გოგორები წინ არა აქვს. მაშასადამე, ამ საკითხის გამორკვევის დროს შესაძლებელია ექვი მხოლოდ საკუთრად „ერქუნის“ შესახებ-და არსებობდეს, სახნავე იარაღი ერქუნის სახეობის შემოღებისთანავე ამ ახალ-სახეობას ფრთას გარდა ხომ ფამფალაკ-გოგორებიც არ ჰქონდა?

რა თქმა უნდა, სრული უქვევლობით ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელი იყო, საქართველოს რომელსავე თემს რომ ეჩქუანი სახნავე იარაღის გარკვეული სახეობის ტერმინად ეხლაც ჰქონდეს დაცული და მისი აგებულების დაწვრილებითი აღწერილობა მოგვეპოვებოდეს, ან რომ ეჩქუანის ძველი სურათი რომელსავე ძეგლში აღმოჩენილიყო. მაგრამ რაკი ამ ეამად მკვლევარს არც ერთი ზემოხსენებულ შესაძლებლობათაგანი არ გააჩნია, ამიტომ, ლოლიკურ მოსაზრებათა საშუალებით საკითხის გარკვევის გარდა, სხვა არავითარი გზა მას არ დარჩენია. ერთი რამე მაინც ცხადია: კლავროთის აღწერილობით სრული უფამფალაკო სახენელის არსებობა ისევე, როგორც გვლდენშტედტის სურათით სრული ფამფალაკიანი სახენელის ცალ-ცალკე არსებობა უცილობლად დადასტურებულია.

ის არაჩვეულებრივი გავრცელებულობა, რომელმაც ტერმინი გუთანნი მახლობელი აღმოსავლეთის ბევრი ერის ენაში გააბატონა და მანამდე იქ არსებული ტერმინები, ან სრულებით განდევნა, ან კერძო მნიშვნელობისა და სახეობის სახელებად აქცია, გვაფიქრებინებს, რომ „გუთანს“ სამეურნეო ცხოვრებაში და სახნავე იარაღის აგებულებისათვის რალაც თვალსაჩინო გაუმჯობესება უნდა შეეძინა. საქართველოში გავრცელებულ სახნავ იარაღთა აგებულების განვითარების თანდათანნი საფეხურების ზემომოყვანილმა განხილვამ დაგვარწმუნა, რომ ერთად-ერთი ნაწილი, რომელიც წინანდლებთან შედარებით გუთნის გავრცელებასთანავე შესაძლებელია ახლად შემოსულად მიჩნეული იქმნას, გოგორ-ფამფალაკია.

მაგრამ ფამფალაკ-გოგორებსაც, როგორც ს. არალის ე. წ. ჯილის, ნამდვილად-კი არუნაჲს აგებულების განხილვის დროს დაერწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 205 და 207 — 208), თავისი ისტორია ჰქონდა და წინამორბედიც ჰყავდა. სახელდობრ, „შოლტა-ლერძ-გოგორები“, ეტყობა, გუთანზე გაცილებით უწინარეს ყოფილა სახენელის მოძრაობის გასაადვილებლად გამოყენებული. უკვე არუნასთან არის შოლტა-ლერძ-გოგორები დაკავშირებული. ასეა იგი ეხლაც ხალხში დაცული და ასევე მარტივი აგებულების სახენელთან გადაბმული ჩანს მე-XVII ს. იტალიელ მხატვრის კასტელის ზემომოყვანილ ნახატზეც (იხ. აქვე, გვ. 184, ნახ. 2).

მაგრამ, როგორც ეტყობა, შოლტა-ლერძ-გოგორებს საქართველოს საველე მეურნეობაში გზა ფართოდ ვერ გაუქვლევია და საკმაოდ ვრცელი ასპარეზიც ვერ მოუპოვებია. ეს გარემოება, უქვევლია, შოლტა-ლერძ-გოგორების უხეშობით უნდა აიხსნებოდეს, რათგან ორნატის, ანუ ხნულის კვალის სიღრმისა და მოუნხნავე ველის დონეთა განსხვავება იქ ნაეარაუდვეი არ არის და ამის გამო სახენელს მარჯვედ ვერ მოუღდება.

ეს ცხადი ნაკლი ფამფალაკ-გოგორების აგებულებაში თავითგან აცილებული და გამოსწორებული იყო. ამიტომაც არის, რომ ფამფალაკ-გოგორებს მეურნეთა წრეში გამარჯვება მოუპოვა და შოლტა-ლერძ-გოგორები წარსულის ისტორიულ ნაშთად-ღა აქცია.

## VII. ოქოქა, ოკაფა და ჩუთი

ზემომოყვანილი მიმოხილვითგან გამოიჩინება, რომ სახნავი იარაღის თვითოეული სახელი ამ იარაღის გარკვეული აგებულების აღმნიშვნელია. გამოწვევის მხოლოდ „ოქოქა“ შეადგენს, რომელიც ს. ორბელიანის განმარტებით, აჩაჩივით ორი ხარის, ანუ ერთი უღლის შესაბამელი სახნავი იარაღის აღმნიშვნელი იყო. ისე გამოდის, რომ „ოქოქა“ და „აჩაჩა“ ერთი-და-იმავე მნიშვნელობის მქონეები, პარალელური ფორმები უნდა ყოფილიყო.

წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში „ოქოქა“-ს არსებობის შესახებ ცნობა МИЭБГКЗК-ში და მის «Свод»-ის მე-IV წიგნში მოიპოვება. ამას გარდა მიმოხილვის (Свод) ავტორს, ქრ. ვერმიშევს, მისი აგებულების შესახებ ნათქვამი აქვს, რომ ოქოქა და ოსური ძიბირ (რუსულ აღწერილობაში დაბეჭდილია ძინირი-დზიბირი) იგივე ორხელი იყო, მაგრამ უფრო მომცრო კეთდებოდა და „ოქოქა“-ც არ ჰქონდა (იხ. Свод Материалов, IV, 262). ხოლო ორხელ-ზე, რომელსაც ქართლში გაზაფხულის მეორეხისისი გადახენისათვის სიმინდის შემდგომ ნიადაგის გასაფხვიერებლად ხმარობდნენ, ნათქვამია, რომ იგივე აჩეჩა, ე. ი. აჩაჩა არისო, მხოლოდ ორხელს „ოქოქა“-ც აქვს ხნულის გასაღრმავებლად, თუ მისი სიღრმის შესამციკებლად (იქვე, VI, 261—262). აჩეჩაზე თავის მხრივ სწერია, რომ „აჩეჩა“ იგივე „არორ“-ია, რომელსაც გუმბრის (ალექსანდროპოლის) მაზრაში ხმარობენ, მხოლოდ „არორ“-ი „აჩეჩა“-ზე უფრო მზობრილიაო (იქვე, IV, 260).

სომხური „არორ“-ი-კი ჩვეულებრივ ორი ხის ნაწილისაგან შედგებოდა: წაწვეტილ ქუსლ-კბილასაგან, რომელზედაც რკინის სახნისი იყო წამოკმული, და მოხრილი რვილისა, ანუ „ბრუდე ხისა“-გან, რომელიც კბილა-ქუსლში იყო ჩასმულ-ჩაქედილი. შარურ-დარალაგაოზისა და ყაზახის მაზრებში („ათათრთა“ შორის) ასეთი სახენელი მთლიანი ხისაც კეთდებოდა თურმე (იქვე, IV, 256).

სახენელთა სხვადასხვა სახეობის აგებულების ზემომოყვანილი ზოგადი დახასიათება, რომელიც ქრისტ. ვერმიშევს შეუდგენია, თავისი ახირებული შედარება-დახასიათების წესით უცნაურ შთაბეჭდილებასაც ახდენს და არსებითად ცუდია, რათგან ავტორს სახენელის ძირითადი და მეორე-ხარისხოვანი ნაწილები ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია. ამის გამო სახენელთა მისი დახასიათება უფრო არევის ადამიანს, ვიდრე იარაღის აგებულებას გააგებინებდეს. მაგ., მისი სიტყვით, „აჩეჩა“ იგივე „არორ“-ი იყო. არორი-კი, ამავე ავტორის დახასიათებით, უმარტივესი აგებულების მხოლოდ სახნისიანი იარაღი იყო. თვით ქ. ვერმიშევი იქვე აჩეჩაზე ამბობს: თიანეთის მაზრაში გავრცელებული აჩეჩა ორ-ნაირი არის. ერთი დიდი, რომელსაც ფშავ-ხევსურეთის ზოგიერთ სოფლებში ხმარობდნენ და სახნისს გარდა საკვეთლითაც არის შეიარაღებული. საკვე-

თელი რეილშია გაყრილ-დამაგრებულიო. მეორე გვარი აჩეჩა პირველზე უფრო წმინდაო (Свод Материалов, IV, 260-261).

მაშასადამე, „აჩეჩა“ თიანეთის მაზრაში ორგვარი-კი არა ყოფილა, არამედ მხოლოდ ერთნაირი, რათგან ორივეს თითქოს ერთი-და-იგივე აგებულება უნდა ჰქონოდა: იარაღის ზომა, სიდიდე, თუ სიპატარავე, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ სახეობას და, მით უმეტეს, გვარობას არ ჰქმნიდა. მაგრამ თავი-და-თავი ის არის, რომ „აჩეჩა“ თვით ვერმიშევეს სახნის-საკვეთლიან იარაღად აქვს აღწერილი და „არორ“-ი-კი მხოლოდ სახნისიანი მარტივი სახენელი იყო. ამის შემდგომ სწორედ გასაოცარია, თუ როგორ შეეძლო ადამიანს. რომელსაც სახენელთა აგებულების დახასიათება ჰსურდა, ეთქვა, რომ „აჩეჩა“ იგივე „არორ“-იაო. ცხადია, რომ ასეთ აღწერილობა-დახასიათებაზე დაყარება არ შეიძლება.

მიმომხილველის კრ. ვერმიშევეის წყაროს გადაკითხვა ადამიანს ადვილად დაარწმუნებს, რამდენად სახიფათოა, ზოგჯერ მაინც, სხვათა ნაშრომების მიმომხილველთა ცნობებზე დამყარება. ოქოქა ს. მაჩაბელს ჰქონდა აღწერილი და ამ ავტორის სიტყვით, ქართლის მთა-ადგილებში, მაგ., ლიახვის ხეობაში, მიწას ოქოქით ხნავდენ. ოსები ამ სახენელს „ძიბირ“-ს ეძახდენ. ს. მაჩაბელს „ოქოქა“ და „ძიბირი“ ერთ-და-იმავე აგებულების სახენელად აქვს აღნიშნული. ს. მაჩაბელის ნაშრომში, უქვევლია, შეცდომით ქართულადაც „ოქოქა“ არის დაბეჭდილი. „ძიბირი“-ს აგებულების აღწერილობაში-კი ავტორს ნათქვამი აქვს, რომ მას არც საკვეთელი ჰქონდა, არც „კოკოშა“-და სახნისიცი პატარა ზომისა უკეთდებოდა: „Обрабатывается с помощью дзибиря (дзибиров sic!) или ококи“ (ოქოქა sic! იხ. МИЭБГКЗК, VI, 209<sup>1</sup>). „Дзибирь или окока тоже, что и орхели, только значительно меньше ея и без кокоша... Дзибирь отличается от орхели еще и тем, что в первом отсутствует резец и лемех его значительно меньше лемеха в орхели“. ოქოქაში, ანუ ძიბირში ერთ უღელ ხარს აბამდენ. ამ სახენელს მიწის მოხვნა მხოლოდ ორი გოჯის სიღრმეზე შეეძლო (იხ. ს. მაჩაბელი, „Экономический быт госуд. крестьян Горийского уезда, Тифлисской губ., МИЭБГКЗК VI, გვ. 209).

მაშასადამე, ოქოქა უმარტივესი აგებულების მხოლოდ სახნისიანი სახენელი ყოფილა. ეს ფრიად საყურადღებო ფაქტია.

მაგრამ ს. მაჩაბელს ისიც აქვს ნათქვამი, რომ „ოქოქა“ იგივე „აჩეჩა“ არისო, როგორც თიანეთის თემშია გავრცელებულიო. მხოლოდ მას ზედმეტი ნაწილიც ჰქონია, რომელსაც „კოკოშა“ ჰქმნებია (ამ „კოკოშა“-ს აღწერილობა საქმაოდ ბუნდოვანია და, როგორც ეტყობა, ხმალას უნდა უდრიდეს<sup>1</sup>, რომ „ორ-

<sup>1</sup> „Кокоша—небольшая прямоугольная толстая доска, вколачиваемая в нижнюю, основную часть орхели между рукояткой и изогнутым дышлом сохи. Когда кокоша выпута из доски, тогда последняя волочится по земле и укрепленный в ней лемех пашет глубоко; когда же нужно пахать не глубоко, то вколачивают кокошу в доску, которая с лемехом поднимается над уровнем земли и кокоша, высовываясь наружу, волочится по земле“ (МИЭБГКЗК, VI, 208).

ზელს სახნისა და კოკოშას გარდა საკვეთელიც ჰქონია (იხ. МИЭБГКЗК, VI, 207—208 და 209). უცნაურია ცნობათა ამგვარი აღრეულობა. ცხადია, რომ, ან ეს სახნის-ხმალა (კოკოშა)-საკვეთლიანი ორხელი ჩვეულებრივი ორხელი არ იყო და ჩვეულებრივ მას არც კოკოშა და არც, შით უმეტეს, საკვეთელი არ ჰქონდა და მხოლოდ სახნისიანი სახენელი იყო, ანდა, თუ ორხელს ყველგან და ჩვეულებრივ სახნისს გარდა კოკოშა და საკვეთელიც გააჩნდა, მაშინ ის ოქოქისაგან არსებითად განსხვავებულ იარაღად უნდა ვიცნაოთ. გასაოცარია, რომ ორხელის აგებულების თავისი ზემომოყვანილი განმარტების შემდგომ, ს. მაჩაბელი ამბობდა, ორხელი იგივე ოქოქა და ძიბირიაო და ამასვე იმეორებდა და თავისი დამატებით უფრო რევედა ზოგადი მიმომხილველის დამწერი ქრ. ვერმიშვიცი Свод МИЭБГКЗК, მე-IV წიგნში (იხ. გვ. 262—263). საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ კოლექტიურ ნაშრომებში МИЭБГКЗК და მის მიმოხილვაში (Свод-ში) ავტორებს საკითხის სათანადო ცოდნა არ ეტყობათ, ამის გამო მათ დაკვირვებისაც საკირო საფუძვლიანობა აკლია და ხშირად მეორეხარისხოვანი გარემოებაა აღნიშნული, მთავარი-კი დასახელებული არ არის ხოლმე.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ოქოქა მე-XIX ს. დამლევამდე აღმ. საქართველოში კვლავ არსებობდა და მარტივ, მხოლოდ სახნისიან სახენელს წარმოადგენდა: არც ხმალა და არც საკვეთელი ჩვეულებრივ მას არ ებადა. გამოსარკვევი იყო, არსებობს თუ არა ეს სახენელი ეხლაც და რა აგებულება აქვს მას დანამდვილებით.

რაკი სხვაგან ცნობები „ოქოქა“-ს შესახებ არსად მოიპოვება და გ. ჩიტაიაც მას არ იხსენიებს, ამიტომ შესაძლებელია ვეფეიქრა, რომ მე-XIX ს. დამლევითგან ამ სახეობის სახენელი აღმ. საქართველოში გამქრალი იყო კიდევ<sup>1</sup>. მაგრამ ამ სახენელმაც ჩვენამდის მოაღწია და ამ უამდაც არსებობს. იგი ქართლის სხვადასხვა კუთხეშიც არის დაცული და მთიულებსაც აქვთ, ვითარცა ჩვეულებრივი პატარა სახენელი.

<sup>1</sup> ამ გარემოების გამოსარკვევად სხვადასხვა პირთა გამოკითხვას პირადად შევეუდგე. ვისაც არ მივმართე, ყველანი ოქოქას არსებობას თანამედროვე საქართველოში უარყოფდნენ: ასეთი სახელიც არ ჰქონიათ გაგონილი, მაგრამ ოქოქას შესატყვისობის „ოჯაფა“-ს საშეგრელოში არსებობა მაფიქრებინებდა, რომ აღზოს. საქართველოშიც, ძთა-ადგილებში მაინც, ეს სახენელი და მისი სახელი დაცული უნდა ყოფილიყო. რაკი ყოველივე ჩემი ცდა კვლის მიზანგზნად ამაო აღმოჩნდა და მოცდა აღარ შეჩველო, რათგან ამის გულისათვის წიგნის ბეჭდვის შეჩერება აღარ შეიძლებოდა, ამიტომ უკვე დაწერილი ჰქონდა, „ოქოქა აღმ. საქართველოში, რამდენადაც არსებული ცნობებითგან ჩანს, ამ უამად თითქოს აღარსად უნდა იყოს დაცული“ და შემდეგ მსჯელობა ოქოქას აგებულების შესახებ მეგრულ „ოჯაფა“-ზე მქონდა დამყარებული. მაგრამ უნივერსიტეტის მეგზოვე მოხუც მიხაბერბიკაშვილთან აჩაჩას აგებულებაზე საუბრის დროს სრულებით შემთხვევით ოქოქას ეხლაც არსებობის საკითხიც გამოიკვია. აჩაჩას აგებულების დახასიათების დროს სრულებით მოულოდნელად მან მითხრა: აჩაჩა პატარა გუთანია, მთიულები რომ ოქოქას უძახიანო. გამოკითხვის შემდგომ მისგან ვეკვიფე, რომ ოქოქას მთიულები ეხლაც ხმარობენ. მაშინვე ამ ცნობის სისწორის შესამოწმებლად უნივერსიტეტის დარაჯ-ქალს მთიულს მართა გაბაძეც შევეკითხე და მანაც ეს გარემოება დადასტურა ისევე, როგორც მართამულმაც. იროდ. სონდელაშვილმაც ს. დილმში შეამოწმა ეს ამბავი და მასაც ოქოქას არსებობა დაუდასტურეს. ამასთანავე, საუბრის დროს მან გამოარკვია, რომ ოქოქა მარტო მთიულთა შორის-კი არ ყოფილა დაცული, არამედ ქართლის

„ოქოქა“ პატარა ხის სახენელია, რომელშიც მხოლოდ ერთულელა ქარს აბამენ: იგი სრულებით მარტივი აგებულებისაა, მაგრამ მთლიანი ხისაგან-კი არ კეთდება, არამედ ცალკეული ნაწილებისაგან შედგება. ს. ტყეიავში ოქოქას რვილს „შოლტა“-ს უწოდებენ.

ამ მარტივ სახენელს სახნისის გარდა არაფერი გააჩნია: არც ხმალა და არც, მით უმეტეს, საკვეთელი მას არა აქვს. სახნისიც პატარა ზომისა უკეთდება. ამის გამო ოქოქას მიწის მხოლოდ ზედაპირად შეუძლიან მოხვნა.

ოქოქას თავისი განსაკუთრებული აგებულება აქვს, რომლითაც იგი ყველა აქამდე ცნობილი სახენელებისაგან განსხვავდება, მათ შორის ისეთი მარტივი აგებულების იარაღებისაგანაც, როგორიც აჩაჩა და ჩუთ-კავი არიან.

ასისტ. ნ. კეცხოველის ბიძის ჩანახატის<sup>1</sup> თანახმად, ოქოქა ორი ნაწილისაგან შედგება: გრძელი, თავში ოდნავ ახრილი, შემდეგ-კი თანდათან ბოლოსაკენ მოხრილი, ხისაგან, რომელიც ორი ყურით თავდება და რომელსაც ბოლო ნაწილში, ოდნავ ყურებ-წინ, გრძელი სახნისი აქვს წერაქვის მსგავსად გაყრილ-ჩაქედილი. ხის სახნისს ქვევით წვეტიანი რკინა აქვს წამოცმული. სახნისის ზევითა კიდური ოდნავ რვილს ზემოთ მოჩანს. სახნისი რკინის წვეტიანად იმდენად დიდია, რომ რვილთან ერთად გრძელტარიან დიდ წერაქვს მიაგავს. სახნისს უკან და ყურებ წინ რვილზე, საქანელას მსგავსად, წნელის ჯაჭვია ჩამოკიდებული, რომ მხენელმა ამ ჯაჭვზე ფეხის დაქირებით სახნისს მიწაში უფრო ღრმად ჩაქრა გაუადვილოს (იხ. ნახ. 11).



ნახ. 11.

ამგვარად, ოქოქა მთელი თავისი აგებულებით არსებითად განსხვავდება სხვა სახენელებისაგან: მას არამცთუ ხელნა, ხმალა და საკვეთელი არ გააჩნია, სახ-

სუდასხვა კუთხეშიც. ამის შემდგომ უნივერსიტეტის დარაჯს ი. ო. ს. მუჩაიძეს ვკითხე, რომელიც ქართლელია, ს. ტყეიავითგან, და მან ოქოქას აგებულება დაწერილებით ამიწერა. ბოლოს ბოტანიკის კათედრის ასისტენტი ნ. კეცხოველთან საუბრის დროს გამოირკვა, რომ ოქოქა ქართლის შუაგულშიც ყოფილა დაცული და მან ამ სახენელის ნახატი და აღწერილობაც ჩამოიტანა. ყველა ამ პირთ, მეტადრე იროდ. ს. ო. ნ. დ. უ. ლ. ა. შ. ე. ი. ლ. ს. ა. და ნ. კ. ე. ც. ხ. ო. ვ. ე. ლ. ს. დახარებისათვის დიდ მადლობას ვუძღვნი. მთელი ეს გარემოება საუცხოვოდ ამტკიცებს, რამდენად ნაკლებად არის თანამედროვე საქართველო შესწავლილ და რამდენად უნდა ფრთხილობდეს ადამიანი კატეგორიული მსჯელობის დროს.

<sup>1</sup> ოქოქა დახატულია ნ. კეცხოველის ბიძის ვანო კეცხოველის მიერ (ს. ტყეიავშია), რომლის სიტყვით, ასეთი ოქოქით ხნადენ წინათ, მისი ბავშობის დროს. მისი მამაც ასეთ ოქოქას ხმარობდა. მეორეჯერ გამოკითხვის დროსაც მან ოქოქა ასეთივე დახატა.

ნისიცი-კი სულ სხვა მოყვანილობისა აქვს, ვიდრე ყველა დანარჩენ სახენელებსა აქვს. ამ სახენისის ძირითად განსხვავებას ის შეადგენს, რომ ვერტიკალურად, დასწვრივ არის დაყენებული და ამიტომ მიწის მხოლოდ ჩაქრა შეუძლიან ზემოთგან. დანარჩენ ყველა ქართულ სახენელებს-კი, როგორც დავრწმუნდით, სახნის ჰორიზონტულად მდებარე ქუსლ-კბილაზე აქვს წამოკმული და ამის გამო იმ იარაღებით მიწაც ხენის დროს ჰორიზონტურად იჭრება. ოქოქასა და დანარჩენ ქართულ სახენელთა შორის იმდენად დიდი განსხვავებაა, რომ შეიძლება ითქვას, ოქოქას სახნისი არც-კი აქვს. ეს, გარემოება არსებითად, ოქოქას სახენელის უძველეს სახეობად, და განსაკუთრებულ გვარადაც-კი ჰხდის, რომლის მსგავსი ძველ ეგვიპტეში მოიპოვებოდა.

ეტყობა, შემდეგში ოქოქას აგებულება არსებითად შეუცვლიათ. ამ გარემოებას ოქოქას ის ფონეტიკური სახენაცვლები და სახენელები ამჟღავნებენ და გვაფიქრებინებენ, რომელიც დასავლეთ საქართველოში არიან დღემდე დაცული.

საწერლობო ქართული ოქოქას შესატყვისად მეგრულში „ოგაფა“ და „აგაფა“ გვაქვს. ეს სიტყვა „ოგაპა“-ს სახით მე-XVIII ს. სამოცდაათიან წლებში აქად. გვლდენ შტედტ საც ჰქონდა წაწერილი. თანამედროვე სამეგრელოშიც არის ეს ტერმინი და თვით სახენელიც დაცული. მაგრამ, სამწუხაროდ, მეგრული „ოგაფა“-ს ან „აგაფა“-ს აგებულების, არც დაწერილებითი აღწერილობა და არც თანამედროვე სურათი, ან ნახატი არსად მოიპოვება.

რაკი ამ სახენელის ნაწილების შესახები ზედმიწევნითი ცნობები აუცილებლად საჭიროა, რომ ოქოქასთან მისი შედარება და ქართული სახნავი იარაღის თანდათან განვითარებისა და გაუმჯობესების ისტორიის აღდგენაც შესაძლებელი იყოს, ამიტომ სამეგრელოში ცნობების შეგროვება იყო საჭირო. მგოსანი კ. გამსახურდიას წყალობით ხელთა მაქვს მისგან მცოდნე პირთა შორის



სურ. 12.

შეკრებილი ცნობებიცა და თვით აგაფას სქემატური ჩანახატი ყველა ნაწილის სახელის აღნიშვნითურთ. სასიამოვნო მოვალეობად ვრაცხ, კ. გამსახურდიას ამ დახმარებისათვის გულითადი მადლობა მოვახსენო. შემდეგ ნ. კეცხოველის ხელით ასისტ. მაყაშვილისაგან გადაღებულ, ოგაფას ორი სახეობის, მარტივი და ოდნავ გაუმჯობესებულის, ფოტოგრაფიული სურათიც მივიღე, რისთვისაც ორთავეს დიდ მადლობას მოვახსენებ.

„ოგათა“-ც, გადმოცემული ნახატის მიხედვით (იხ. სურ. 12 და 13), სრულებით მარტივი აგებულების ხისაგან გაკეთებულ სახენელს წარმოადგენს. მას აქვს „ჩაფულა“ (ზუგდიდ. მაზრაში) ანუ „ქური“ (სენაკის მაზრაში), რომელსაც წვეტიან კიდზე სახნისი, „კინა ხონა“, აქვს წამოცმული. ამავე ჩაფულაში ანუ ქურში ჩასმულია „ეჩქვანი“, რომელშიც შუა ადგილას, ჩათულას პარალელურად, ჩაქედლია რვილი, რომელსაც „დედო“ ეწოდება. დედოს წინა კიდურზე ამაგრებენ ხოლმე ულელს.



სურ. 13.

როგორც ამ აღწერილობითგან ირკვევა, ოგათას სახნისის გარდა სხვა არც ერთი არსებითი ნაწილი არ გააჩნია. საკმარისია ადამიანმა ოგათას აგებულების აღწერია გადაკითხვის შემდგომ მე-XVII ს. იტალიელი მხატვარ-მისიონერისაგან დაბატულს, იმდროინდელ სამეგრელოში არსებული სახენელის სურათს გადაეღოს თვალი (იხ. გვ. 163, სურ. 1), რომ ცხადი შეიქმნეს, რომ კასტელის სწორედ ოგათას, ანუ ოქოქას სურათი უნდა ჰქონდეს აღბეჭდილი.

მეგრული „ოგათა“ და „აგათა“ ზოგადი ქართული „ოქოქა“-ს ფონეტიკურ შესატყვისობას წარმოადგენს იმგვარადვე, როგორც „აჩაჩა“-ც<sup>1</sup>. აღსანიშნავია, რომ რაქაში, ნიკო გოგლიძის სიტყვით (ა. წესითგან), აჩაჩას მაგიერ სახენელს თურმე „ოჩოჩა“-ს უწოდებენ<sup>2</sup>. ამგვარად აქ ოქოქას ახმოვნება უცვლელად არის დატოვებული და მარტო თანხმოვანი არის შენაცვლებული.

რაქელი ოჩოჩა, ოქოქასა და აჩაჩას მსგავსად, მარტივი აგებულების ხის სახენელია, რომელსაც პატარა სახნისის გარდა არაფერი გააჩნია. სახენელის ქვედა ნაწილს, რომელზედაც სახნისია წამოცმული, რაქაში თურმე „ორნადი“ ეწოდება, რაც უეჭველია ძველი ქართული ორნატის შესატყვისობაა. შავრამ ძველ ქართულში ორნატი, როგორც დაერწმუნდით, სახენელისაგან გათხრილ

<sup>1</sup> „ქ“-სა და „ჩ“-ს შენაცვლების მსგავს ნაკლებად შეიძლება დასახელებულ იქნეს: „ქეიქიოი“-ცხნის ქვედა ტური, სისუსტისაგან, ან სიბერისაგან დაშვებული (იმერეთში) — ჩიჩვირ-ს ქართლში (იხ. ლ. დეონიძის მესაქონლეობის ლექსიკონი). შეად. აგრეთვე „ჩიჩვირ“-ს, რომელიც პარს ინდოურის ქათმის ცხვირა დაკიდებული და მსგავსნი მისნი“ (საბა).

<sup>2</sup> ეს ცნობა სტუდ. ნ. რეხვიას შვილმა გადმომცა, რისთვისაც დიდად ვმადლობ.



კვალსა და ხნულსა ჰნიშნავდა, აქ-კი, რაქაში „ორნადი“ „ქუსლ-კბილა“-ს უდრის. (რაქული სახენელის სურათი იხ. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, „მთის რაქა“, გვ. 30-ზე).

რაქულ „ოჩოჩა“-ს რვილს „სატარე“, ხელნას-კი „აკაბი“ ჰქვია. სატარეს უღელზე გადასაბმელად თავში გარდიგარდმო გაყრილი ჯობის ნაქერი აქვს, რომელსაც „კაქუჭა“-ს ეძახიან. ჯამბარას გრძლად, თუ მოკლედ კაქუჭაზე დამაგრებით მხენელს სატარესა და თვით სახენელის აწვე-დაწვევა შეუძლია.

ოჩოჩას აგებულების ზემომოყვანილი აღწერილობითგან საფიქრებელი ხდება, რომ აკად. გვლდენშტედტს რაქის სახენელის შესახებ მოყვანილ ცნობაში სწორედ ეს იარაღი, „ოჩოჩა“ უნდა ჰქონოდა ნაგულისხმევი.

იმერეთში გავრცელებული მარტივი სახენელი, ჩვეულებრივ „კავ“-ად წოდებული, ბახტაძესა აქვს აღწერილი. მისი სიტყვით, ამ სახენელს ჰქონდა: 1. გრძელი, ოთხწახნაგოვანი მოყვანილობის, სწორკუთხოვნად მოხრილი, სხვილი ხე, რომელსაც საკუთრად „კავი“ ეწოდებოდა და რომელიც ამ მოხრილი ბოლოკიდურით ჩასმულ-ჩაქედილი იყო სახენელში. 2. „სახენელი“ სხვილს, სამკუთხოვანი მოყვანილობის, წინ წაწვეტილს, უკან-კი სწორკუთხოვნად გამართლილს მაგარი ხის ნაკვეთს ეწოდებოდა, რომელსაც წვეტიან თავზე რკინის სახნისი ჰქონდა წამოცმული. ამგვარად, აქ „სახენელი“ ქუსლ-კბილას უდრის. 3. სახენელ“-შივეა ჩასმულ-ჩაქედილი „ხელა“-ც, რომელიც შედარებით წერილ სახელურთან ჯობს წარმოადგენს და კავის ოდნავ უკან არის მოთავსებული. ამნაირად, „ხელა“ იგივე ხელნაა. კავს წინ „სახნავის უღელი“ უკეთდება (იხ. Материалы, т. II, ч. I, გვ. 50 და Свод Материалов, IV, გვ. 256). ამ უკანასკნელი ტერმინითგან ჩანს, რომ იმერეთში სახენელის მაგიერ იარაღის ზოგად სახელად „სახნავი“-ა ნაგულისხმევი.

ზემომოყვანილი აღწერილობა ცხად-ჰყოფს, რომ იმერული „კავი“ მხოლოსახსისიანი მარტივი აგებულების, მაგრამ ქუსლ-კბილაზე დამყარებული იარაღია.

ამგვარად, აგებულების ნიშანდობლივი თვისებებით, სიმარტივითა და მხოლოდ-სახსისიანობითაც და ფონეტიკურადაც „ოგაფა“, „ოჩოჩა“, „აგაფა“ და „აჩაჩა“ ერთი-და-იმავე სახეობის სახენელების სახელებად უნდა ვიცნათ, რომელთა ბგერითი სახენაცელობა, ან დიალექტურ ნიადაგზე, ან დროთა განმავლობაში უნდა იყოს „ოქოქა“-საგან წარმოშობილი. მაგრამ თავდაპირველად „ოქოქა“, როგორც დავაწმუნდით; სულ სხვა სახეობის და გვარის სახენელი „ყო. ვიდრე „ოგაფა“, „ოჩოჩა“, „აჩაჩა“, „კავი“ ზე „ჩუთ-კავი“-ა. ამ სახენელის თავდაპირველი აგებულება ზე სახეობა ამჟამად მხოლოდ ქართლს დაუცავს. მაგრამ დამახასიათებელია, რომ უკვე საბა ორბელიანსაც ოქოქა და აჩაჩი პარალელურად აქვს დასახელებული და ერთნაირ სახენელებად მიაჩნია.

როგორც მეგრული „ოგაფა“-სა და „აგაფა“-ს ზოგადი სახელი საერთო ქართული ოქოქას ფონეტიკურ სახენაცეალს წარმოადგენს, ისევე ამ იარაღის შემადგენელი ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინებიც, გარეგნული განსხვავებისდა მიუხედავად, ზოგადი ქართულის სახენაცეალსვე წარმოადგენენ.

„ოგაფა“-ს ერქვანი სახენელის ხის ქვედა ნაწილშია ჩასმულ-ჩაქედილი, რომელსაც თანამედროვე სამეგრელოში „ქურჩი“-ს, ანდა „ჩაფულა“-ს ეძახიან.

ამ ხის ქვედა ნაწილს წინ რკინის სახნისი აქვს გაკეთებული, რომელსაც „კინახონა“ ეწოდება (იხ. პროფ. იოს. ყიფშიძე, მეგრ. გრამ., ლექსიკონის გვ. 192).

ცხადია, რომ „ქური“ და „ჩაფულა“ სახნავი იარაღის იმ ნაწილს უდრის, რომელსაც აღმ. საქართველოში „ქუსლი“ და „კბილა“ ჰქვია, „კინახონა“-კი რკინა სახნისის ეთანასწორება. ამ გარემოების გამო, ეგონებ, მცდარი აზრი არ უნდა იყოს, რომ „ქური“ ფონეტიკურადაც „ქუსლი“-ს მეგრულ ბგერით შესატყვისობად მიეიჩნოდ. გამოსარკვევია მხოლოდ, „ჩაფულა“ რის შესატყვისობა-ლაა?

„ჩაფულა“ რეალურად ხომ „ქუსლ-კბილა“-ს უდრიდა, მნიშვნელობით-კი, საფიქრებელია, უნდა საცმელის აღმნიშვნელი იყოს. ეს ტერმინი „კელმწიფის კარის გარიგება“-შია ნახმარი „ჩაფულა“-ს სახით: „სარმუზა აცვია, ანუ ჩაფულა მოგვსა ზელა“-ო (7<sub>134</sub>). რაკი „მოგვი“ ს. ორბელიანის განმარტებით ჩექმის ქართული სახელი უნდა იყოს (იხ. ლექსიკ. „ჩექმა“), ამიტომ „კელ. კარ. გარიგების“ ზემოთყვანილი ადგილის მიხედვით „ჩაფულა“ ჩექმაზე ჩასაცემელი მაშის, ანუ გალოშის მსგავსი ფეხთსაცმელი გამოდის. საბასაც ნათქვამი აქვს: „ჩაფულა ფერკის საცმელი“ არისო (ლექსიკ.). ამგვარად ირკვევა, რომ სამეგრელოში სახნავი იარაღის ქვედა ნაწილის, „ქუსლ-კბილა“-სათვის მიღებული ტერმინი „ჩაფულა“ ფეხსაცმელის აღმნიშვნელი ძველი ქართული სიტყვა არის.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ აღმოს. საქართველოში, ს. ჩხიკვაძეში შერჩენილ უმარტივესსა და ამის გამო უძველესი სახეობის სახნავ იარაღს, რომელიც კავს წარმოადგენს, „ჩუთი“ ეწოდება (იხ. აქვე, გვ. 147—148). როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა (იხ. იქვე), საფიქრებელია, რომ თავდაპირველად „ჩუთი“ ამ მარტივი სახნავი იარაღის მთლიანად აღმნიშვნელი სახელი-კი არ უნდა ყოფილიყო, ურამედ ამ კავის ქვედა ნაწილის აღმნიშვნელი ტერმინი იქმნებოდა იმ ხანითგან მოყოლებული, როდესაც, მთლიანი ხისაგან გაკეთებული კავის მაგიერ, ნაწილებისაგან შემდგარი სახნავი იარაღის კეთება დაიწყეს.

თვით ტერმინი „ჩუთი“-ც უნდა „ჩუსტი“-საგან იყოს წარმომდგარი, რომელიც ეხლაც ფეხსაცმელს ჰნიშნავს და მე-XVII—XVIII სს-შიც ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა (იხ. საბას ლექსიკ.) და, რასაკვირველია, უფრო უწინარესადაც. ამ დებულების სისწორის დამაჯერებელ მავალითად შეიძლება თუშური „ჩუთი“, ან „ჩჳთი“ იყოს დასახელებული, რომელიც ეხლაც იხმარება და მატყლისაგან მოქსოვილ ფეხსაცმელს ეწოდება. უმკველია, ეს ტერმინიც „ჩუსტი“-ს ფონეტიკურ სახენაცვალს წარმოადგენს.

ამგვარად, როგორც აღმოს. საქართველოში სახნავი იარაღის ქვედა, სახნისის მქონებელი, ნაწილის სახელად ფეხსაცმელის აღმნიშვნელი, „ჩუსტი“-საგან წარმომდგარი „ჩუთი“ („საცვეთ“-საც უწოდებენ) არის გამოყენებული, ისევე სამეგრელოშიც სახნავი იარაღის ამავე ნაწილის ტერმინად ფეხსაცმელის ძველივე ქართული სახელი, „ჩაფულა“ არის ნახმარი.

## § 8. სახნავი იარაღის სხვადასხვა სახეობის შემოღება-გაბატონების ქრონოლოგიური განსაზღვრა

სახნავი იარაღის სხვადასხვა სახეობის აგებულების ნიშანდობლივი თვისებებისა და სახელების გამორკვევის შემდგომ, შესაძლებელია ზოგიერთი ამ სახეობათაგანის გაჩენისა და გაბატონების ხანის, დაახლოევებით მაინც, განსაზღვრა.

ერქუან“-ს გარდა, სახნავი იარაღის ს. ორბელიანისაგან ჩამოთვლილი დანარჩენი სახელები დაბადების ქართულ თარგმანში, თუ არ ვსცდები, არა ჩანან. თუ „გუთნის“ იქ არყოფნა სრულებით ბუნებრივია, რათგან, როგორც აღნიშნული გვექონდა, ეს ტერმინი ცხოვრებასა და მწერლობაში შედარებით გვიან შემოდის, ოქოქასი, აჩაჩისა, არონასი და ჯილღას უძველეს ქართულ მწერლობაში მოუხსენებლობის ასეთივე მიზეზით ახსნა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ამიტომ ამ ტერმინების მოუხსენებლობა სულ სხვა გარემოებით უნდა აიხსნებოდეს.

საფიქრებელია, რომ იმ დროისათვის, როდესაც დაბადება ქართულად უთარგმნიათ, საქართველოში დიდი ხანია უკვე გაუმჯობესებული, რთული აგებულების, სახენელი „ერქუანი“ იხმარებოდა. ამ გარემოებას ქართველ მთარგმნელთაგან ამ ტერმინის ზოგადი მნიშვნელობით ხმარებაც ამტკიცებს. რასაკვირველია, ერქუნის წინაპართა სახელებს ამ დროს სახენელის მხოლოდ გარკვეული, სრული იარაღის განვითარების ერთ-ერთი წინაპორბედი, საფეხურის აღმნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდათ შერჩენილი ისევე, როგორც ოქოქას, აჩაჩას, არონასა და ჯილღას გუთნის გვერდით ეხლაც ასეთივე კერძო მნიშვნელობა აქვს შენარჩუნებული.

ცხადია, რომ საღმრთო წერილის ქართველ მთარგმნელებს უცხო ენითგან გადმოთარგმნის დროს ისეთი ტერმინების ხმარება, რომელთაც უკვე ზოგადი მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდათ და მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში გამოსაყენებელ იარაღებად-ლა იყვნენ ქცეულნი, არ შეეძლოთ.

თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ სახნავი იარაღის განვითარება-გაუმჯობესების წინა საფეხურები ერქუანის შემოღებამდე ქართველ ერს ჯერ კიდევ იმ ხანაში უნდა ჰქონდეს განვლილი, რომლის შესწავლა საისტორიო წყაროების საშუალებით, ამ ეამად მაინც, შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ეს მე-V ს. გაცილებით უწინარეს უნდა მომხდარიყო, რათგან დაბადების ქართულ თარგმანში „ერქუანი“ სახენელის უკვე სრულებით განმტკიცებული და ერთად-ერთი ზოგადი ტერმინი ჩანს. ერქუანი-კი, როგორც დავრწმუნდით, სახნის-ხმალა-საკვეთ-ფრთიანი სრული სახეობის იარაღი იყო.

ამგვარადვე, როდის შემოიღეს საქართველოში „ძელის სახნისის“ მაგიერ რკინის სახნისი, დანამდვილებით ამის თქმა შეუძლებელია, რათგან ასეთი ცვლი-

ლება, როგორც ეტყობა, ისტორიის წინა ხანაში უნდა მომხდარიყო. მაგრამ ამის შესახებ მკაფიო ცნობები, რასაკვირველია, არც არსებობს და არც შეიძლება იყოს.

ნიკორწმინდის მე-XI ს. სიგელი გვაფიქრებინებს, რომ ამ დროს დასავლეთი საქართველოს ისეთ ადგილასაც-კი, როგორც ნიკორწმინდის მიდამოების სოფლები იყო, ჩვეულებრივ რკინის სახნისი ყოფილა გავრცელებული. აღსანიშნავია, რომ ამ საბუთში არსად რკინის სახნისი დასახელებული არ არის. იქ მარტივად ნათქვამია, „საკნისი“-ო. მაგრამ დამახასიათებელია, რომ იმ ნასყიდობის შესახებ ცნობაში არსად გუთნისა, თუ ერქუნის არც ერთი ნაწილი ნასყიდობისა, თუ მინასყიდობის საგნად არ იხსენიება და მხოლოდ „საკნის“-ს. ჰყოლია ბევრი მყიდველი. მარტო ამ საბუთშია აღნიშნული, რომ 5 სოფლის მცხოვრებს განაყიდის საფასურად 12 სახნისი აულიათ (იხ. ქვბი, II, 45—48), დაუჯერებელია, რომ საფასურად მიცემულ-აღებული ამოდენა სახნისი „ძელის საკნისი“ ყოფილიყო: თუ სახვნელის დანარჩენი ყველა ხის ნაწილების შინ დამზადება შეეძლოთ, „ძელის საკნის“-ს როგორ-ღა ვერ გააკეთებდენ? ყველა ამ მოსაზრებათა გამო საფიქრებელია, რომ ნიკორწმინდელს ვაჭრობის გაცხოველებულ საგნად სახნისის ქცევა იმიტომ შეეძლო, რომ მას რკინის სახნისები უნდა ჰქონოდა და სწორედ რკინის სახნისივე აქვს მას ყველა ამ 12 შემთხვევაში ნაგულისხმევი.

დასასრულ, კიდევ ერთი ცნობა ზოიპოვება, რომელიც ქ. წ. I ს.-ისაა და, თუმცა საქართველოს არ ეხება, არამედ მის აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ ქვეყანა ალბანეთს, მაგრამ ამ ცნობის გამოყენება ქართული იმდროინდელი სახნავი იარაღის ამ ეპოქაზე ჩვენთვის მნიშვნელოვანი ნაწილის თვისების გასათვალისწინებლად მაინც შეიძლება.

ეს ცნობა ბერძენთა განთქმულ გეოგრაფს სტრაბონს მოეპოვება და ალბანეთის კულტურული მდგომარეობის ზოგად დახასიათებაშია ჩართული. იქ მოთაქსებული სტრაბონის სიტყვებითგან ისე გამოდის, რომ საქართველოს აღმოსავლეთით მოსაზღვრე ალბანეთში რკინის გუთნის, ან, უფრო სწორედ რომ ითქვას, რკინის სახნისის მაგიერ ხის სახვნელ-სახნისს ხმარობდენ (G. lib. XI, c. IV, § 9)<sup>1</sup>.

სტრაბონისაგან ნახმარი გამონათქვამი *ἀνέστησι ἀργύριον*, საფიქრებელია, უნდა უღრიდეს ტერმინს *ἀργύριον ἀνέστησι*-ს, რომელიც უკვე ჰეზიოდესაც მოეპოვება. ასე ეწოდება მთლიან ხისაგან გაკეთებულ მოხრილ სახვნელს (V. Hehn, Kpf. u. Ht. 60). *ἀνέστησι*-ის მსგავსად, რომელიც მთლიან რკინისას ჰნიშნავდა, სტრაბონისაგან ნახმარი ტერმინი *ἀνέστησι* უნდა მთლიან ხისას ჰნიშნავდეს. ამგვარად, ბერძენთა გამოჩენილ გეოგრაფს თავის ზემომოყვანილ ცნობაში უნდა მკითხველისათვის ემცნო, რომ ალბანელები სახნავად უმარტივეს იარაღსა ჰმარობდენ. მაშასადამე, ალბანელებს არამცთუ ჯერ არაფერი სცოდნიათ იმ რთული, მრავალ-ნაწილადი სახვნელის შესახებ, რომელსაც ჰომეროსი და ჰესოდე *ἀργύριον ἄριστον*-ს, შერწყმულ გუთანს, უწოდებდენ (Hehn, იხ. გვ. 60).

<sup>1</sup> „ἀνέστη ἀργύριον ἄριστον, ἀλλ' ἀνέστησιν ἀργύριον“.

არამედ არსებითად მაშინდელი ალბანური სახნავი იარაღი „ჩუთ-კავი“, ანუ მთლიანის ხის ოქოქა, ან აჩაზა ყოფილა.

ალბანელთა შესახები სტრაბონის ამ ცნობის ქართული იმდროინდელი სახნავი იარაღის თვისების გასათვალისწინებლად გამოყენება იმ მხრივ შეიძლება, რომ ასეთი კავისა და ხის-სახნისოვანი იარაღის ხმარება ალბანეთში ბერძენთა გეოგრაფს ამ ქვეყნისა და ერის დაბალხარისხოვანი კულტურული დონესი და იქაური ნიადაგის უაღრესი ნაყოფიერების დასასურათებლად აქვს მოყვანილი. დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველო-კი, კოლხეთი და იბერია, სტრაბონისავე ცნობით, ამ დროს მაღალი სამოქალაქო კულტურის მქონებული ქვეყნები ყოფილან და, რაკი ამასთანავე მაშინდელ საქართველოში ასეთი მთლიანი ხის სახენელის არსებობის შესახებაც სტრაბონი არას ამბობს, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ იბერიასა და კოლხეთში იმ დროს გავრცელებული იარაღი და მიწის დამუშავების წესი ბერძნულისაგან არსებითად განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო: რთული შედგენილობისა და აგებულების, რკინის სახნისიანი სახენელი, მაშასადამე, უნდა სცოდნოდათ.

რასაკვირველია, მას შემდეგაც, რაც რკინის სახნისი შემოვიდა, „ძელიხ სახნისი“, ანუ ხის სახნისი არ მოსპობილა და სათანადო პირობებში ისევ იხმარებოდა. „სახნისი ძელიხა“ ვეფხვისტყაოსანშიც იხსენიება (კარკ. 1024, აბულ. 975, კაკაბ. 998).

მაგრამ ამაზე მეტის თქმაც შეიძლება. პინდარის თხზულების ქვემო-მოყვანილი ამონაწერიდან (იხ. აქვე. გვ. 283 ) ჩანს, რომ ბერძნული გარდმოცემითა და წარმოდგენით უკვე მე-V ს-ში ქ. წ. დარწმუნებული ყოფილან, რომ ლითონის სახენელი საქართველოში პრეისტორიულ ხანაშივე არსებობდა.

უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ დაბადების ქართულს თარგმანში და ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში მე-XII ს-მდე სახნავი იარაღის ზოგადტერმინად მხოლოდ „ერკუანი“ არის ნახმარი. სხვა სიტყვა ამ ცნების გამოსახატავად ამ ხანაში არა ჩანს. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მე-V—XI სს. საქართველოში ერკუანის სახეობის უცილობელი ბატონობის ხანაა. თარიღის ამ ორ საზღვართაგან დასასრულის რიცხვი სისწორით არის განსაზღვრული და ეს სისწორე შესაძლებელია ამ დროის ძეგლების ენით დადასტურდეს. თარიღის დაწყისი რიცხვი-კი დროებითია და მხოლოდ პირობითი მნიშვნელობა აქვს. რაკი ჯერჯერობით ქართული წერილობითი ძეგლები მე-V ს-ზე უწინარესი ხნისა ხელთ არა გვაქვს, ამიტომ, რა ეწოდებოდა მანამდე ქართულად სახნავ იარაღს, ამის თქმა ამ ეამად არავის შეუძლია. ამ შემთხვევითი გარემოების გამო „ერკუანის“ თავდაპირველი გაჩენის თარიღი გამოურკვეველი რჩება. მაგრამ მაინც მე-V—VI სს-ების თარგმანებში ამ ტერმინის მტკიცედა უმეტოქეო არსებობა სრულ უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ „ერკუანი“ უნდა მე-V ს-ზე ბევრად უწინარეს ხანაში იყოს შემოღებული.

ტერმინი „ერქუან“-ის მე-V ს-ზე კარგა ხნით უწინარესი არსებობის შესაძლებლობა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართული სახენელი უკვე იმ დროითგან მოყოლებული სახნის-ხმალა-საკვეთ-ფრთიანი სახეობისა უნდა ყოფილიყო.

რაკი ჯილა ერქუანის წინამორბედ საფეხურს წარმოადგენს, ამიტომ, როდის შემოვიდა საქართველოში ჯილა, ჯერ ამის გამორკვევისათვის არავითარი წყარო არ მოგვეპოვება. ამის გამო საკვეთლის შემოღების ქრონოლოგიური განსაზღვრა ამ ეამად შეუძლებელია. მხოლოდ შედარებითი შესწავლა საშუალებას გვაძლევს ამის შესახებ და ქართული სახენელის ზოგიერთი გაუმჯობესების დროის შესახებ რამოდენიმე მოსაზრება გამოვთქვათ. მაგრამ, რაკი ამ პრობლემებზე მსჯელობისათვის სხვა ქვეყნების, მეტადრე-კი საბერძნეთისა და რომის, ამავე საკითხის შესახებ ფაქტების გათვალისწინებაა საჭირო, ამ წ-ში განსახილველ საგანზე საუბრის შეწყვეტა-კი სასურველი არ არის, ამიტომ შედარებითი შესწავლის წყალობით მოპოებული შედეგების განხილვას განსაკუთრებულ, ქვემოთოყვანილ თავში შევუდგებით.

ქრონოლოგიურად ყველაზედ უფრო ადვილი ქართულ მწერლობაში „გუთნის“ გაჩენის ხანის განსაზღვრაა და ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ეს ტერმინი მე-XIII ს-ზე უწინარეს არა ჩანს და მხოლოდ ამ დროითგან მოყოლებული სწრაფად ვრცელდება და თანდათან ერქუანის მაგიერ სახნავე იარაღის ზოგად სახელადაც ხდება, ამიტომ შეუძლებელია მე-XII-ს-ზე უწინარეს იყოს შემოსული.

თუ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ გუთანმა იმ დროისათვის დიდი ხანია უკვე კარგად გაუმჯობესებულ სახნავ იარაღს, ერქუანს, ფამთალაჯ-გოგორა დაურთო წინ, მტლარი არ არის, ძნელი წარმოსადგენელი არ უნდა იყოს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ ახალ მონაპოვარს სასოფლო მეურნეობაში. ამ გაუმჯობესებამ მომუშავე საქონელს მძიმე ტვირთი შეუშუბუქა და აქამდე თრევით საზილი შედარებით ადვილ ასამოძრავებელ იარაღად აქცია იმისდა მიუხედავად, რომ ერქუანთან შედარებით გუთანი, რა თქმა უნდა, უფრო მძიმე იყო. ეს, რასაკვირველია, მხვენელისათვისაც ენერჯიის ეკონომიის მომარაგებას მოასწავებდა იმას გარდა, რომ გუთანი მიწისმოქმედს გაცილებით უფრო მაგარი ნიადაგის სათანადო სიღრმეზე მოხვნის საშუალებას აძლევდა, ვიდრე ერქუანი.

### § 9. სახნავი იარაღის ნაწილების დანიშნულება, არსებითობა-მეორეხარისხოვნობის საკითხი და კლასიფიკაციის პრობლემა.

სახნავი იარაღის სხვადასხვა სახელების მნიშვნელობისა და აგებულების დამახასიათებელი თავისებურება—თვისებების განხილვის დროს, გაკვრით უკვე გვექონდა საუბარი სხვადასხვა ნაწილებისა და იმ მნიშვნელობის შესახებ, რომელიც თვითნებულ მათგანს ამ იარაღისათვის დაკისრებული მიზნის საუკეთესოდ განსახორციელებლად მიკუთვნილი აქვს. ეხლა უნდა ამ ნაწილთაგან იარაღისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონებული და მეორეხარისხოვანი გამოვყოთ.

თავისდა-თავად ცხადია, რომ სახნავი იარაღისათვის ძირითადი მნიშვნელობა სახნისა და ჰქონდა და აქვს ეხლაც. მთლიანი ხის მხოლოდ მოკავებულ წაწვეტილ ნაწილს წარმოადგენდა „საკნისი“. თუ ქუსლ-კბილაზე წამოცმულს, „ძელის საკნისი“ იყო, თუ რკინისა, მისი მნიშვნელობა ყოველთვის უცვლელი რჩებოდა.

ს. ორბელიანი ამ ნაწილის დანიშნულება საკმაოდ კარგად აქვს ლექსიკონში განმარტებული, სადაც ნათქვამია, რომ „საკნისი საკნელის სათხროლი“-ა. მართლაც ის ჰორიზონტულად ნიადაგს სკრის, გასწვრივი მიმართულებით მიწას სთხრის და ჩაღრმავებულ კვალს ავლებს. ამ ნაწილის სახნავი იარაღისათვის ძირითადი მნიშვნელობა და დანიშნულებაც ქართველმა ხალხმა მისთვის მიკუთვნიებული სახელით საუცხოვოდ გამოხატა და მას „სა-კნისი“ უწოდა.

არონას აგებულების განხილვამ ცხად-ჰყო, რომ მარტივი სახეობის სახენელის მომდევნო გაუმჯობესებად ხმალი ყოფილა. ხმალას შემოღებამ ცალკეული ნაწილებისაგან შედგენილ სახენელს სიმტკიცე შესძინა. თანაც მხენელს ხმალას აწვე-დაწვეით რვილ-ქუსლ-კბილას შორის მანძილის სურვილისამებრ შეცვლა შეეძლო. ყველა ზემოაღნიშნულითგან ჩანს, რომ ხმალას შემოღება სახენელის არსებით გაუმჯობესებად არ შეიძლება მიჩნეულ იქმნეს, არამედ ხმალამ იარაღს მხოლოდ ტექნიკური ცვლილება შესძინა.

„ჯილღას“ შესახებ საუბრის დროს დავრწმუნდით (იხ. გვ. 184), რომ სახნავი იარაღის შემდგემა ქრონოლოგიურმა გაუმჯობესებამ სახენელს „საკუეთელი“ შეჰმატა.

იმ დანიშნულებას, რომელიც საკუეთელს სახნავ იარაღში აქვს მიკუთვნიებული, გ. ჩიტაია არ ეხება. მას მხოლოდ მისი მდებარეობა და მოყვანილობა აქვს აღნიშნული: „რვილშივე, მის შუა-წელთან, რკინის «საკვეთელია», პირისაკენ ოდნავ მოხრილი, ხმლის ფორმის, ტარიანი. საკვეთელის პირის სისქე უყას სისქესთანაა შეფარდებული. რვილაზე იგი სოლითაა დამაგრებული“-ო (ეთნოგრ. მოგზ., 210).

ამ განმარტებაში ზედარია „საკუეთელის“ მოყვანილობის დახასიათება, თითქოს ის „ხმლის ფორმის“ იყოს. საქართველოში მაინც, ასეთი მოყვანილობის ხმალი არ იხმარებოდა, არამედ ხმალი სწორე იყო ხოლმე. როცა

შემდგომი, საკმაოდ გვიან, უკვე სხვა მოყვანილობის ხმალიც შემოვიდა, მაშინაც ჩვეულებრივ ის მოხრილი-კი არა, არამედ, პირიქით, გახრილი იყო ხოლმე. ამასთანავე, როგორც ცნობილია, ქართულად „ქმალა“ სახნავი იარაღის სულ სხვა ნაწილს ეწოდება, რომელიც მართლაც სწორე დასწრევი მოყვანილობისაა. „საკუეთელი“ რომ მაშინ ხმლის მოყვანილობისა ყოფილიყო, რატომ არის, რომ ქართველმა ხალხმა ამ ნაწილს-კი არა, არამედ სულ სხვას უწოდა ეს სახელი?

ამ მხრივ უფრო მართებული შედარება უხმარია ს. ორბელიანს, რომლის სიტყვიტაც „საკუეთელი ერქუნის მახვლი“ არის (ლექსიკ.), თუმცა დიდ დანას უფრო მიაგავს. მაგრამ მახვილთან შედარება იმ მხრივ უფროა სწორე, რომ მისი დანიშნულება ისეთივეა, როგორაც მახვილის.

„საკუეთელი“ დანიშნულება კარგად გაუგია თავის დროზე კლაპროტს. მას აღნიშნული აქვს, რომ რეილის თითქმის შუა ადგილას ოთხკუთხი ნახვრეტია, რომელშიც ჩასმულია „საკუეთელი“, ანუ „საკვეთი“ (le coutre). მისი სიგრძე რეილის ქვედა პირითგან მოყოლებული ბოლომდე ორი ტერჯის ოდენაა, მაგრამ საკვეთელს მჭრელი პირი მხოლოდ ტერჯ-ნახვერის სიგრძეზე აქვს. ამასთანავე საკუეთელი სახნისისაგან სამ გოჯზეა დაშორებული. კლაპროტის სიტყვიტ, რაკი საკუეთელი მიწას ვერტიკალად ჰკვეთს, ამის წყალობით საკუეთელზეა ორნატის ანუ კვალის სიგანე დამოკიდებული (Voyage au Caucase et en Géorgie, II, 26).

მართლაც, ჯერ საკუეთელი მიწას ვერტიკალურად, ზევითგან ქვეითკენ ჰკვეთს, შემდეგ-კი უმაღლ სახნისი ჰორიზონტულად სჭრის და იღებს მიწას. რამდენადაც ბელტი კორდის მონაკუთი“-ა (საბას ლექსიკ.), იმდენად ცხადია, რომ სახვენელს, მიწის გასწვრივ გათხრას გარდა, მიწის ნაქერ-ნაქერ ამოკვეთა მხოლოდ იმდროითგან შეეძლო, როდესაც მანამდე ნიადაგის მხოლოდ ჰორიზონტულად გამჭრელ სახნისს ვერტიკალურად განმკვეთელი საკვეთელიც მიემატა. ბელტ-ბელტად სახნავი მიწის ამოღება ამ იარაღს სწორედ საკუეთელმა შეაძლებინა. ამ გარემოების გათვალისწინება ადვილად გააგებინებს ადამიანს იმ უალრეს მნიშვნელობას, რომელიც საკუეთელის სახნავი იარაღის ნაწილად შემოღებას მიწისმოქმედებისა და სასოფლო მეურნეობის ეკონომიკისათვის უნდა თავის დროზე ჰქონოდა.

სახნავი იარაღის სახეობის გაუმჯობესების შემდეგი საფეხურის, წინანდელი ჯილღისაგან ერქუნის ახალ, განმასხვავებელ კუთვნილებას ფრთა, ანუ „ფრთე“ შეადგენს, რომელიც მანამდე არც ერთ სხვა სახეობას არ გააჩნდა. როგორც არონას აგებულების განხილვის დროს დავრწმუნდით, ამ იარაღს კბილა-ქუსლთან დამაგრებული ყურები ჰქონდა, რომელთა წყალობით სახვენელს სახნისისაგან გათხრილი მიწის კვლის ორთავე მხარეზე პატარა მანძილზე გადაშლა შეეძლო. უეჭველია, ასეთი ყურების მოწყობაც სახვენელის მუშაობას აუმჯობესებდა და ყურების მოქმედების დაკვირვებაზე უნდა იყოს სახვენელისათვის ფრთის დართვის აუცილებლობის დედაზრიც, მაგრამ ფრთა მაინც სხვა პრინციპზეა დამყარებული და განათხარი მიწის გადაყრის გარდა ბელტების



გადაწენა-გადაბრუნების მიზნით იყო იგი შემოღებული. ორმხრივი ყურების შავიერ გამოშვებულმა ერთ მხარეზე მდებარე ფრთა ამჯობინა.

უკვე საბაბს ჰქონდა აღნიშნული, რომ „ფთა ერქუანთ საგვერდული ფიცარი“ არის (ლექსიკ.), ხოლო ამავე ძეგლის ჩანამატ სიტყვა-განმარტებათა შორის სახნავე იარაღის ამ ნაწილის დანიშნულებაზე სამართლიანად არის ნათქვამი, რომ „ფრთე... ეწოდება გუთნით ხვნის დროს ბელტის გადასაბრუნებელს ფიცარს“ (ლექსიკ.). ეხლაც მისი დანიშნულება ასევე ესმით: „ის ბელტებს აბრუნებს, აწყობს კვლის პირზე და თანაც შლის“-ო (გ. ჩიტაია, ეთნოგ. მოგზ., 210). ცხადია, რომ ასეთი დანიშნულების გამო სახნავე იარაღის შედგენილობაში ფრთის მიმატება ამ იარაღის დიდ გაუმჯობესებას წარმოადგენდა.

„ერქუანის“ გაბატონების ხანა საქართველოში ტექნიკურად გაუმჯობესებული, სახნის-საკვეთიანი, ფრთიანი სახნავე იარაღის ხანასა ჰნიშნავდა. ჯილდასთან შედარებით ერქუანს ფრთეს წყალობით ის დიდი უპირატესობა ჰქონდა, რომ მოხნული მიწის ბელტს აბრუნებდა და ფშვნიდა. ამიტომ სახნავე იარაღის ამ სახეობის შემოღებასთან ერთად მიწის დამუშავებაც წინანდელთან შედარებით უნდა გაუმჯობესებული იყო და გაწეულ შრომასაც სოფლის მეურნისათვის გაცილებით უფრო ნაყოფიერი შედეგი შეეძინა. ამის გამო სასოფლო ეკონომიკის თვალსაზრისით ამ ხანას ქართული მიწისმოქმედების წარმატებისა და კეთილდღეობისათვის ფრთად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამ გარემოებით აიხსნება, რომ „ერქუან“-მა უკვე უძველეს ხანაში სახნავე იარაღის ყველა სხვა სახელები სამწერლობო ენითგან განდევნა და მე-XII ს-მდე იგი ერთად-ერთ ქართულ ზოგად ტერმინად იქცა.

ზემომოყვანილ მოსაზრებათა გამო ფრთე სახნავე იარაღის არსებით ნაწილად უნდა იქმნეს მიჩნეული, რომელმაც სახნავე იარაღს თავისი დანიშნულების შესრულება საუკეთესოდ შეაძლებინა და სრულებით დამთავრებულ იარაღად აქცია.

თუ ს. ორბელიანის ცნობა ჯილდისა და ერქუნის განმასხვავებელი თვისების შესახებ მკდარი არ არის, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ფრთა ქართულ სახენელს პირველად ერქუანის სახეობამ შეეძინა და რომ მე-V ს-ზე უწინარეს ქართულ სახენელს უკვე ფრთა უნდა ჰქონოდა.

არონას აგებულობის განხილვის დროს (იხ. გვ. 181) უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ კბილა-ქუსლში ჩაქედნილ ხეს, რომელშიც რვილი იყო გაყრილ-გამაგრებული, „მანჭუაჲ, ან „მანჭო“ ეწოდებოდა. ხოლო ერქუანის აგებულების აღწერილობაში (იხ. გვ. 189 - 190) მოხსენებული გვქონდა, რომ ახლად შემოღებული ფრთის სახენელზე გეზად დასამაგრებლად იარაღის უკანა ნაწილის აგებულება უეჭველად უნდა შეცვლილიყო, რომ ამ გარემოებამ ხელნა ზედმეტ ბარგად აქცია და დიდი და პატარა მანჭუა წარმოშვა თავისი კუთვნილი ნაწილებითურთ.

ტერმინი „მანჭუაჲ“, ანუ „მანჭო“ ნაწარმოებია „ქულა“-საგან, რომელიც ჩხვლეტასა და შერკობას ჰნიშნავდა. ამის ნაშთს წარმოადგენს ეხლაც არსებული ტერმინი „ქულა“, ხოლო ძველ მწერლობაში ამავე ძირისაგან იყო

ნაწარმოები სიტყვა „ხაშხვალი“ (ესაია, 41.), რომელიც ლურსმნის შესატყვისი ერთად-ერთი მაშინდელი ქართული ტერმინი იყო. „მანკუაჲ“ და „მანკო“ სრული ფორმის, „მანკული“—ს ბოლოშეკვეცილი ფორმაა. საბჭოთა სამართლიანი განმარტებით, „მანკული ჩასაყარი ლურსმანი“ იყო (ლექსიკ.), უფრო სწორედ-კი რომ ითქვას, ყოველნაირი ჩასარკობის მნიშვნელობა ჰქონდა. რაქაში „მანკო“ იმ ჯოხსა, ანუ პალოსა ჰნიშნავს, რომელსაც ცხენის დასაბმელად მინდორში, ან სხვაგან სადმე ჩაარკობენ ხოლმე. ასეთივე მნიშვნელობა აქვს „მანკუა“-ს სახენელშიც, რათგან ეს ნაწილი კბილა-ქუსლშია მართლაც დიდი სამკვალის მსგავსად ჩაქედილი.

რაკი სახელზნა „ქულა“-ა, ამიტომ კანონიერად ნაწარმოები მიმღობა უნდა „მანკული“ ყოფილიყო, ან ბოლოშეკვეცილი სახით, მანკუა და მანკო. სწორედ ამ უძველესი, კანონიერი ფორმით აქვს ეს ტერმინი ძველ სომხურს შეთვისებული, რომელშიც ხელნას, როგორც უკვე დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 176), ეწოდება *მან*—*მანკ*. აღსანიშნავია, რომ ნათესაობით ბრუნვაში *მანდი* „მანკო“-ა. რაკი ამ სიტყვას სომხურში თვისტომნი არ მოეპოვება და იქ მისი არც რაიმე ეტიმოლოგია ჩანს, ქართულში-კი მას ძირიც აქვს და არა-ერთი მონათესავე სიტყვაც, ამიტომ სომხური ტერმინი „მანკ“ ქართულითგან შეთვისებულ სიტყვად უნდა ვიცნათ. მისი ფორმა ცხად-ჰყოფს, რომ ეს ტერმინი სომხურში ძველისძველი, მე-V ს-ზე უწინარესი, შენათვისები უნდა იყოს.

ცხადია, რომ მანკუების სახნავი იარაღის არსებით ნაწილად მიჩნევა არ შეიძლება, არამედ ისინი მეორეხარისხოვან ნაწილად და ტენნიკურ გაუმჯობესებად უნდა ჩავთვალოთ.

ამგვარადვე, თუმცა ფამფალაკ-გოგორების სახნავ იარაღთან დაკავშირებაში მიწისმოქმედს ამ იარაღით მუშაობა საგრძნობლად გაუადვილა, რათგან წინათ სათრევი შემდეგ უკვე თვლებით მოძრავად აქცია, მაგრამ, რაკი სახნავი იარაღი თავის პირდაპირ დანიშნულებას უფამფალაკ-გოგორებოდაც კარგად ასრულებდა, ამიტომ სახნავი იარაღის არსებით ნაწილად არც ფამფალაკ-გოგორების მიჩნევა შეიძლება: ესეც მხოლოდ ტენნიკური გაუმჯობესება იყო და არის.

რამდენადაც გოგორ-ფამფალაკი ქართული სახენელის ტერმინი „გუთნ“-ის გაჩენა-გავრცელებასთან არის დაკავშირებული, იმდენად ამ საზიდის გაჩენის თარიღის განსაზღვრა ადვილია. სამწუხაროდ, მე-XIII—XVI სს. ქართული გუთნის სურათი ჯერ არსადა ჩანს, რომ ამ საზიდის გოგორების ერთჯომიანობის, თუ ტოლმეტობის საკითხის გადაწყვეტა დანაწმენდვით შეგვეძლოს. ქართული ისტორიული ლექსიკონი რომ გვეჩინოდა და ტერმინების ველის-გოგორა, კვალის-გოგორა და ღირლიტას მწერლობაში გაჩენის ხანა მინც გვეცოდნოდა, მაშინაც ზემოდსახელებული საკითხის გამორკვევა ადვილი იქმნებოდა. მაგრამ, რაკი არც ერთი ამ საშუალებათაგანი ამ უამად არ გავგაჩნია, ამიტომ ისევ თვით ტერმინების შენაარსის ანალიზს უნდა დავემყაროთ. „ველის გოგორა“ ისევე, როგორც „ღირლიტა“, ძველი ტერმინები უნდა იყოს, მეტადრე უკანასკნელი, რომელიც შემდეგში იშვიათს, დაბადების თარგმანში-კი ჩვეულებრივს სიტყვასთან, ღირღლოვანთან, უნდა იყოს დაკავშირებული. ხოლო, რაკი ეს

ტერმინებიც ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში, ვითარცა ჩვეულებრივი ქართული სიტყვები, აქვს შეტანილი, ამიტომ მე-XVII ს. მათ ახალ სიტყვებად ვერ ვიგულისხმებთ, არამედ გაცილებით ადრე, ალბათ მე-XIII ს-შივე, უნდა იყვნენ შემოღებული.

სახენელისათვის საზიდის წინ მიბმაც, ეტყობა, მე-XIII ს-ზე გაცილებით უწინარეს ხანას უნდა ეკუთვნოდეს. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ შესხეთში, როგორც დავრწმუნდით, ეხლადა დაკული სახენელი, რომელსაც წინ ორთელიანი საზიდი აქვს. იქ არონა, შხოლო-სახნის-ხმლიანი, უსაკვეთლო იარაღი გოგორ-შოლტაზეა გადაბმული. ორივე გოგორა ერთი ზომისა არის. როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, სახენელის ეს სახეობა დასაუღეთი ევროპის და რომის ploum-ს ისე გასაოცრად გვაგონებს, რომ უეჭველია, იმასთანვე უნდა იყოს დაკავშირებული. ამ გარემოებას სახენელის სახეობის აღმნიშვნელი ტერმინი არონაც გვაფიქრებინებს, რომელიც ქართული არ ჩანს.

ამგვარად, სახენელის, „გუთნის“ თვლიან საზიდსაც თავისი წინამორბედი ჰყოლია და წარსული, ჰქონია.

სახნავე იარაღის არსებითი და მეორე-ხარისხოვანი ნაწილების გამორკვევა მკვლევარს მის სხვადასხვა სახეობათა კლასიფიკაციასაც უფრო ადვილად შეადგენინებს. რამდენადაც იგი სახნავე იარაღის სახეობათა ნაწილების მიხედვით უნდა იყოს შედგენილი, იმდენად უცილობელი ხდება, რომ სახნავე იარაღები უნდა სამ ჯგუფად დაიყოს: პირველ ჯგუფს მხოლოდ სახნისიანი სახენელები ეკუთვნიან, მეორეს — სახნის-საკვეთლიანი და მესამეს — სახნის-საკვეთ-ფრთიანი.

ქართულ სახენელთაგან პირველ ჯგუფს ოქაქა, კავი, ჩუთ-კავი, ოჩოჩა, აჩაჩა და არონა, მეორე ჯგუფს ჯილდა და მესამე ჯგუფს ერქუანხ და გუთანი ეკუთვნიან.

მაგრამ კლასიფიკაციასთან დაკავშირებით კიდევ ერთი ფრიად-მნიშვნელოვანი გარემოება აღსანიშნავი. Fr. Nopcsa-ს სახენელთა ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში ნათქვამი აქვს, რომ დედამიწის ზურგზე ცნობილი ყველა სახენელები აგებულობის ძირითადი თვისების მიხედვით ორ მთავარ ჯგუფად უნდა დაიყოს. სახენელთა ერთ ჯგუფს ის der Stabpflugtypus-ს ჯობიან-სახენელებს, ან ჯობიან-სახენელთა გვარს უწოდებს, რათგან ამნაირ სახენელთა სახნისი და სწვრივ მდებარე წვეტიან ჯოსსა ჰგავს. ასეთი მოყვანილობის სახენელები ძველსა და თანამედროვე ეგვიპტეს, ლიგურიაში, შვეიცარსა, სლავურ ქვეყნებში და ნაწილობრივ საბერძნეთ-რომშიც იყო და არის ეხლაც გავრცელებული (იხ. „Zur Genese der primitiven Pflugtypen“: Zeitschrift für Ethnologie, 1917 წ., Heft 4—6, გვ. 238). უფრო სწორე იქმნებოდა, რომ სახენელთა ამ გვარობისათვის წერაქნაირი სახენელები გვეწოდებინა.

სახენელთა მეორე გვარობა თოხისაგან არის წარმომდგარი (aus einem Haken hervorgegangener Pflugtypus) და ამიტომ შესაძლებელია თოხნაირი ეწოდოს. ამ სახეობის სახენელი ძველ ეტრუსკებსა ჰქონდათ, მათგან შეთვისებული რომაელებსაც მოეპოვებოდათ, საბერძნეთშიც იყო გავრცელებული, კავკა-

სიაშიც ჩვეულებრივი სახენელია, ასურეთსა, არაბეთსა და ბევრგან სხვაგანაცაო (იხ. იქვე, გვ. 238—239). სახენელთა ამ გვარობის სამშობლოდ ნოპკსას მესოპოტომია, ანუ შუამდინარეთი მიიჩნია, კავკასიისა, ასურულსა და არაბულ სახეობას მის უშუალო შთამომავლად სთვლის და ფიქრობს, რომ იტალიაში ეტრუსკების მიტანილი უნდა იყოს (იქვე, გვ. 239).

თუ ნოპკსა სგან გათვალისწინებული მასალა სხვა ქვეყნების შესახებ სრულია და ტიპოლოგიურად სახენელთა ორ ჯგუფად დანაწილება მიზანშეწონილად შეიძლება იქმნეს მიჩნეული, ქართული სახენელის განვითარებისა და გაუმჯობესების ზემომოყვანილი ისტორიითგან (იხ. აქვე, გვ. :195—224, მეტადრე § 8) მკითხველი დარწმუნდება, რომ ნოპკსას ტიპოლოგიური დანაწილება საქართველოსათვის მთლად მაინც გამოსადეგი არ არის. „ოქოქა“-ს აგებულების განხილვამ უკვე ცხადჰყო, რომ ქართული სახენელის უძველესი სახეობა თოხნაირი-კი არ ყოფილა, როგორც შემდეგში იყო და ეხლაც ჩვეულებრივ იხმარება. არამედ სწორედ წერაქენაირი სახეობისა ყოფილა. მაშასადამე, მცდარად უნდა იქმნეს საქართველოსათვის მიჩნეული ისეთი კლასიფიკაცია, რომელიც ქართულ სახენელს თოხნაირ სახეობისად აღიარებს, ისევე, როგორც წინაუკმოც, მხოლოდ წერაქენაირი სახეობისად მიჩნევაც სრული სინამდვილის გამომხატველი ვერ გამოდგებოდა. ამიტომ ქართული სახენელის ტიპოლოგიური დახასიათება თუ მოისურვა ადამიანმა, მისი ნამდვილი რაობა შეიძლება მხოლოდ ასე იქმნეს დახასიათებული: ქართული სახენელი თავდაპირველად წერაქენაირი გვარობის სახენელი ყოფილა, მაგრამ შემდეგში მისი აგებულება თოხნაირად უქცევიათ და სწორედ ეს ორი სახეობა დასდებია საფუძვლად ქართული სახენელის ისტორიულ განვითარებასა და მისი აგებულების თანდათან გაუმჯობესებასაც, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით კიდევაც.

### თამი მისაში. მიწის დასამუშავებელი სხვა იარაღები

ცნობილია, რომ სახენელი მიწის დასამუშავებელი უძველესი იარაღი არ ყოფილა, არამედ თავდაპირველად, როდესაც ადამიანი მკვიდრ მოსახლობას ჯერ კიდევ მთლად მიჩვეული არ იყო, ამისთვის უფრო მარტივსა და სუბუქ იარაღს, თოხსა ჰხმარობდა (იხ. Orth, Landwirtschaft: Paulys R.E. 23. Halbband, 625).

საქართველოსა და ქართული მიწისმოქმედების ისეთი ხანის შესახებ, როდესაც ხალხს მიწაზე ფეხი მტკიცედ მოკიდებული არ ჰქონდა და სასოფლო მეურნეობის პირველ საფეხურზე იდგა, ცნობები არ მოგვიპოვება. მაგრამ ისტორიულ ხანაშიც სავსელ მეურნეობა [მემინდვრეობა — პ. გ.] და მიწის დამუშავება მარტო სახენელით არ წარმოებდა, არამედ თოხითაც.

ამ საკითხის გასაშუქებლად გიორგი მთაწმიდელს თავის საისტორიო თხზულებაში შემდეგი საყურადღებო ცნობა მოვპოვება. მისი სიტყვით, ათონის მთაზე, ივერიის ლავრაში ქართველი ბერები რომ სასოფლო მეურნეობას

ეწეოდნენ, რათგან „ბურღალთაგან“ (sic) ყოველნი სოფელნი ქირსა შინა იყვენეს და კინლა უკაცრულ და ქირისა მაგიერ, უფროჲსი სათესავეი მთასა შინა იქნებოდა თოკითა, საწუნე და დიკაჲ და სელი და თივისა თიბაჲ, და ამას ყოველსა ძმანი შურებოდინან და ვინაჲთგან ყოველნი იქმოდეს, არა უძძიმდა, არამედ უდრტიენველად და სიხარულით იქმოდეს“ (ც<sup>ა</sup> ი<sup>ე</sup> და ეფ<sup>თ</sup>სი, 47—48).

ამგვარად, მიწა მე-X—XI სს-შიც სახნველის მაგიერ თოხით უნდა დაემუშავებინათ საყანედ. მაშასადამე, „თოკი“ მარტო საბოსტნე და საბაღე მეურნეობისა და გამარგვლისათვის განკუთვნილი იარაღი-კი არ ყოფილა, არამედ გარკვეულ პირობებში ხორბლეულისა და მარცკლეულის მოსაყვანადაც აუცილებელ იარაღად დარჩენილა.

მართალია, გ. მთაწმიდელის ზემომოყვანილი მოთხრობითგან ცხადი ხდება, რომ სახნავეი მიწის თოხით დამუშავებისათვის ათონელ ქართველ ბერებს განსაკუთრებული გარემოების გამო მიუყვიათ ხელი. მაგრამ თოხი და „ორთოხი“ რომ ისედაც ჩვეულებრივი იარაღი იყო მაშინაც და წინათაც, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ როდესაც სერაპიონ ზარზმელი ახალი სამონასტრო ადგილის ასარჩევად გამოემგზავრებულა, პირველად მას სწორედ ორთოხი აუღია. მისი ბიოგრაფის ბ. ზარზმელის სიტყვით, სერაპიონმა „აღილო კელითა თვისითა ორთოხი რკინისა და გამოქანდაქნა ჯუარნი ლოდთა რათმე ზედა დიდთა“-ო (ც<sup>ა</sup> სრ<sup>პ</sup>ნ ზრზ<sup>მ</sup>ლისა, 17.—18).

შემდეგშიც ნიადაგის თვისების გამო საქართველოს ზოგ თემში საყანურს სახნველით არ ხნავდნენ, არამედ მიწას დასათესად თოხით აფხვიერებდნენ ხოლმე. ეს არქ. ლამბერტის სამეგრელოს აღწერილობითგანაც ჩანს (გვ. 58 და 55) და იმაზე უფრო გარკვევით ეს გარემოება მე-XVII ს. რუს დესპანებსაც აქვსთ აღნიშნული (იხ. აქვე, გვ. 185), რომ დასავლეთ საქართველოში მიწას სახნველის გარდა копаницами და копырялами ამუშაებდნენ ხოლმე.

Даль-ს თავის „რუსული ცოცხალი ენის თარგმანებითს ლექსიკონ“-ში („Толковый словарь живого великорусского языка“) копанница განმარტებული აქვს, როგორც „кирочка, одноручная кирка печников“ (იხ. Копать-ის ქვეშე), ე. ი. ქაფჩას უნდა ჰქნიშნავდეს. ასე იხმარება თურმე კურსკის თემში.

ხოლო копырялка ნიეგეოროდის თემში ეხლაც მიღებული ყოფილა და Даль-ს განმარტებული აქვს, როგორც огородная тяпка или кирка (იხ. Толк. словарь: копать-ის ქვეშე). თვით тяпка-ს შესახებ-კი ნათქვამი აქვს: „широкая и короткая огородная мотыга, на долгом древке“, ე. ი. ქართული თოხი ყოფილა.

ამგვარად ორი ცნობის მიხედვით ლიხთ-იმერეთში საყანე მიწის დასამუშავებლად მე-XVII ს-შიც სახნველის ჯარდა თოხიც უხმარიათ.

მიწის საყანედ მოსამზადებლად დასავლეთი საქართველოს ზოგი თემისათვის თოხით მუშაობის განსაკუთრებული მნიშვნელობა მეგრულს საუცხოვოდ აქვს ერთ თავის ტერმინში გამოხატული. მიწისმოქმედსა და სოფლის მეურნეს მეგრულად „შახჩქალი“ ეწოდებდა (მ. გ.-, 399), რომელიც არსებითად მოხვნელსა ჰქნიშნავს.

რაკი უცილობლად მტკიცდება, რომ თოხი საყანური მიწის დასამუშავებელი ერთი, ამასთანავე უძველესი, იარაღთაგანი იყო, ამიტომ ამ იარაღის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

„თოკი“, საბას სიტყვით, „სათხროლი“-ა (ლექსიკ.) ისევე, როგორც „საენის საკნველის სათხროლი“ არის (იქვე).

ეს ტერმინი ქანურშიც მოიპოვება სწორედ ამავე სახით: „თოხი“ იქაც იმავე სამეურნეო იარაღს ჰნიშნავს (ქ. გ., 148).

ამ სიტყვისაგან ქართულში ნასახელარი ზმნაც არსებობს „თოკნა“.

ნ. მარკს გამოთქმული აქვს აზრი, რომ „თოკი“ წარმომდგარია „თოკან“-ისაგან, რომელიც თავის მხრით „კნეა“ და მეგრ. „ხონუა“-სთან არის დაკავშირებული. ამასთანავე ეს ტერმინი მას „სალ-იონურ“ შეერთებულ სიტყვად მიაჩნია და სკვითურად სთვლის (იხ. Скифский яз.: По этапам развития, 351—352).

სათუქრებელია, რომ თოხნა, „თოკნა“ და „კოხნა“, რომელიც ს. ორბელიანის განმარტებით „კბილით დაწვლილებას“ (ლექსიკ.), გაფხვიერებას და ლექვას ჰნიშნავს, მონათესავე სიტყვები უნდა იყვნენ. თოხნაც ხომ მიწის „დაწვლილებას“, გაფხვიერებას ჰნიშნავს. „კოხნა“, უეპველია, „თოკნა“-ს ფონეტიკური სახენაცვალია ისევე, როგორც „ციკანი“ „თიკანი“-ისაგან არის „თ“-ს „ც“-დ შენაცვლებით წარმომდგარი.

თვით „თოკი“-კი, სათუქრებელია, რომ მართლაც „თოკანი“-საგან უნდა იყოს წარმომდგარი. მაგრამ „თო“ მაწარმოებელი თავსართი „ლო“ უნდა იყოს, მხოლოდ ფონეტიკურად ოდნავ შეცვლილი. ამგვარად „თოკი“ ჰნიშნავს ხენისათვის<sup>1</sup> განკუთვნილ იარაღს და აგებულებით „საენის“-ს უდრის.

საბას განმარტებით, „თოკი“, ჩვეულებრივი მნიშვნელობის გარდა, „წისკვილის არკის“-ს აღმნიშვნელიც იყო. თავის მხრივ „არკი“-ს შესახებ ნათქვამი აქვს, „წისკვილის თოკი“ არისო (ლექსიკ.). ამგვარად, „არკი“ და „თოკი“ სინონიმები ყოფილან.

მეგრულად-კი თოხს „ბერგი“ ეწოდება (მ. გ., 203). თოხი იქ თითქოს არ უნდა იყოს. ეს ტერმინი ქანურშიც არსებობს და „ბერგი“-სავე (არქაბ., ვიწ. ხოფ.) და „ბერგი“-ს სახითაა დაცული. იქ ეს სიტყვა ეიწრო, წვეტიან რკინის თოხსაც ჰნიშნავს, რომელიც მიწას ღრმად არ სთოხნის, და ტულსაც (ქ. გ., 130).

„ბერგი“-საგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნაც არსებობს. „ბარგუა“ (მ. გ., 201), რომელიც თოხით მარგვლას ჰნიშნავს. „შაბარგალი“ მოთხნელს ეწოდება (იქვე).

ქანურად ნასახელარი ზმნა „ობერგუ“ არის (ქ. გ., 130). ნ. მარკს ამ ზმნას სამართლიანად ადარებდა „მარგლა“-ს (იქვე. 130).

ქანურში „ობერგუ“-ს გარდა გამარგვლის აღსანიშნავ ტერმინად „ოკონუ“-ც იხმარება: „ბკონუ“—ემარგლავ, „ბკონი“—გამმარგლე, „ბკონარე“

<sup>1</sup> „კენის“ თავდაპირველი მნიშვნელობა „ქართველი ვრის ისტორიის“ შესავალ წიგნში გვხვდება განმარტებული, ამიტომ აქ ამაზე საუბარი საკირო არ არის.

—გაემარგლაე (ქ. გ., 157). ობერგუ-ს მსგავსად „ოკონუ“-ც ნასახელარი ზმნა ზანს, რომლის წარმომშობელად „კონ“ უნდა ვიგულისხმობთ.

თოხს სენურადაც ჰქვიან „ბერგ ლაღეინი“ (ი. ნიეარაძე, p.-c., სტ. 205). მარგელას-კი „ლიფგენეს“-ს ეძახიან (იქვე, 320).

როგორც „თოქნა“ თოქისაგან არის ნაწარმოები, ისევე მეგრული „ბარგუა“ უნდა „ბერგ“-ისაგან იყოს ნაწარმოები. „ბარგუა“ თავისი „ბა“ მარცვლით უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თოხს უნდა „ბარგი“-ც ჰქმეოდა ოდესღაც<sup>1</sup>.

საფიქრბელია, რომ „ბარგი“-საგან უნდა იყოს წარმომდგარი თავკიდური ბგერის ჩამოცილებით „წისქვილის თოხის“ აღმნიშვნელი ტერმინი არქიტ. შესაძლებელია, „ბარგი“-საგანვე იყოს წარმომდგარი მიწის სათხრელი იარაღის სახელი „ბარი“-ც<sup>2</sup>.

როგორც უკვე ნ. მარამაც აღნიშნა, ქანურ „ობერგუ“-სთან უნდა იყოს ისევე, როგორც მეგრულ „ბარგუა“-სთან, ქართული „მარგვლა“-ც დაკავშირებული, იმისდა მიუხედავად, რომ პირველი ორი თოხნას ჰნიშნავს, „მარგლა“-კი „ბალახთ ამოგლეჯა“-ს ეწოდებოდა და ეწოდება ეხლაც. ცხადია, ამ შემთხვევაშიც ნასახელარ ზმნასთან უნდა გვეკონდეს საქმე, რომელიც უნდა „მარგი“-საგან წარმომდგარად ვიგულისხმობთ. „მარგი“-კი საბას განმარტებით „ბოსტნის დაკვალული“-სა და „ტუფი“-ს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. რაკი „ტუფი“ ამავე ავტორის განმარტებით „ბოსტნის კუალედი ყვერბი“ არის (ლექსიკ.), ისე გამოდის, რომ „მარგი“ ბოსტნის კვალი უნდა ყოფილიყო. ამისდა მიხედვით „მარგლა“ კვლების გაკეთებას უნდა ჰნიშნავდეს. მაგრამ ასეთი განმარტება არც ზედმიწევნითა და არსებითადაც სწორე არ არის, რათგან ს. ორბელიანს თავის განმარტებაში მხოლოდ ბოსტანში გაწეული გამარგვლა აქვს გათვალისწინებული, საყანურში მარგვლის გარემოება-კი, როდესაც მისივე სიტყვით მარგვლა ბალახთა გლეჯას გულისხმობდა, დაპეიწყებია. ამიტომ ამ ნასახელარი ზმნის მწარმოებელი „მარგი“ თავდაპირველად ბოსტნის კვალისა-კი არა, არამედ მეგრული „ბერგუა“-სა და ქანური „ობერგუ“-ს მსგავსად იმ იარაღის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, რომლის მოხმარებითაც ეს სასოფლო-სამეურნეო მუშაობა წარმოებდა ხოლმე. ამნაირად, „მარგი“, უეჭველია, „ბერგი“-ს, ანუ „ბარგი“-ს ფონეტიკური სახენაცვალე უნდა იყოს და თავდაპირველად თოხის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

„ბარჯუკი“ რაკაში ძელბარს, ანუ ქურის მოსახდელ ხის ბარსა ჰნიშნავს (ე. ბერიძე, სიტყვის-კონა, 3).

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ როგორც ქანურში „ბერგის“ პარალელური ფორმა „ბერჯი“ არსებობს, ისევე ძველ ქართულშიც დაცულია ტერმინი „ბარჯი, რომელიც კაპიანი ჯობი“-ს სახელი იყო, ან და „სათევზე ხოტი“, ე. ი. რკინის კაპიანი ჯობი. „მინა, ძეძვისა, ჯეღლისა ასაღებელ კაპიან ხე“-საც ჰნიშნავდა თურმე (საბას ლექსიკ.), ე. ი. ორთითის, ან ფიწლის მაგვარი იარაღი ყოფილა. გამოსარკვევია, „ბარჯი“ ძველი „ბარგი“-ს პარალელური ფორმა ხომ არ არის „ბერგ“-„ბერჯ“-ის მსგავსად?

<sup>2</sup> „ბ“-ს გაქრობით, როგორც „ბორგვი“-საგან წარმოსდგა „ბორი“, კარგისაგან—„კაი“ და სხვა.

თობს გარდა, ამავე მიზნით ბარსაც ხმარობდნენ ხოლმე. „ზარი“, ვითარცა სათხრელი ღარალი, „ვეფხვის ტყაოსან“-შია ნახვარი. ავთანდილისაგან კაშხავა-რის მოკვლის მოთხრობის შემდგომ ნათქვამია:

„ზღვისაქენ სარკმლით გასტყორცა, ზღვისა ქვიშათა გარია, და მისთვის არცა სად სამარე, არცა სათხარად ბარია“.  
(აბულ., § 1047).

თობის აღმნიშვნელი ტერმინი „ბერგი“ იმავე ძირისაგან არის ნაწარმოები, რომლისაგანაც „ნერგი“-ა, სახელდობრ „რგვა“ სახელზმნისაგან. რგვა ძველ ქართულში მცენარეულობის მოყვანას ჰნიშნავდა. ნათარგმნ ძეგლებში იგი ბერძნულ ჟაჰსა-სა და ლათინურ germino-ს უდრის (ესაიას § 5). „ნერგი“-ც ძველ ქართულში მარტო ხეზე-კი არ ითქმოდა, არამედ მცენარეულობაზეც. მის ფონეტიკურ სახენაცვალს, „ნერჩ“-ს, დასავლეთ საქართველოში ეხლაც შენარჩუნებული აქვს ასეთი მნიშვნელობა და იქ „ხა-ნერჩე“ არის „სათესლედ მიჩნეული მხალი, ხელმეორედ გადანერგილი შემდეგ წლისთვის თესლის გამოსაღებად“ (ე. ბერიძე, სიტყვის-კონა, 32). ამნაირად, სანერჩე სათესლეს უდრის.

ეს ზმნა, „რგვა“, მეგრულშიც და კანურშიც არსებობს. მეგრულად „რგუაფა“ და „ღო-რგუაფა“, რგვა და დარგვაა. ხოლო „ო-რგუაშე“ ნორჩს, გადასარგავ მცენარეს, სანერგეს ჰნიშნავს (მ. გ., 304), კანურად-კი „ვორგაშ“ (ათინურად) ან „ზორგაშ“ (ხოფურად), „ღო-ვორგაშ“ და „ღო-ზორგაშ“ რგვას, მცენარეულობის დარგვას ჰნიშნავს (ქ. გ., 181).

ამგვარად „ბერგი“ თავდაპირველად მცენარეულობის მოსაყვანად სახმარებელი იადალის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

თოხნასა და მარგლას, თესვისა-კი მეგრულად „ხაჩქუა“-ც ეწოდება. აქითგანვეა ნაწარმოები „ნა-ხაჩქა“ დამუშავებული, ნათესი, რომელიც არსებითად ნათოხნს ჰნიშნავს. მიწისმოქმედის სახელი-კი „მახაჩქალი“ ამავე ზმნისაგან არის ნაწარმოები (მ. გ., 399).

უეკველია, „ხაჩქუა“-ც ნასახელარი ზმნაა და „ხაჩქა“-ისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. თვით „ხაჩქა“-კი იმ იარაღის სახელად უნდა ვიგულისხმოთ, რომლითაც თოხნა წარმოებდა. მეგრულად, არსებული წყაროების მიხედვით, ასეთი ტერმინი თითქოს დაკული არ უნდა იყოს. მაგრამ სამაგიეროდ კანურში გვაქვს „ხოჩკა“ (ვიწუში), რომელიც სარს, მარგილსა და ბარჯგს ჰნიშნავს (ქ. გ., 234).

„ხოჩკა“-ს გარდა სხვა ფორმებიც არსებობს კანურში: „ხოშკა“ (ათინ.), „ხორშა“, „ხაშარი“ (ხოფურად) და „ხაჩ-კეტი“ (ვიწურად: ქ. გ., 234).

აღსანიშნავია, რომ, საბაჰს სიტყვით, არსებობს ტერმინი „ხოკი“, რომელიც არის „რკინის ბარჯი სათევეზე“-ო (ლექსიკ.). უეკველია, ეს ქართული ტერმინიც იმავე ძირის სიტყვა უნდა იყოს, რომლისა-ც ზემომოყვანილი კანური ტერმინია. ამ კანური სიტყვის პირვანდელი აგებულება, როგორც ჩანს, ვიწურს უნდა ჰქონდეს დაკული, სადაც „ხაჩ-კეტი“ არის. მისი შესატყვისი პარალელური ფორმა ვიწურადვე, სადაც „ხოჩკა“-ც გვაქვს, „ხოჩ-კეტი“ იქმნებოდა.



რაკი „ხაჩქუა“ თოხნასა ჰნიშნავს, ცხადია, „ხაჩქი“ და „ხაჩ-კეტი“ თოხნის მაგვარი იარაღის აღმნიშვნელი უნდა იყოს. თუ ამ ტერმინის აგებულება „ხაჩ-კეტი“ უნდა ჰქონდეს დატული, მისი პირველი ნაწილის ფონეტიკური სახე ქართულ „ხოკ“-ს შეუნახავს, რომელსაც „ხოკა“ და „ხვეკა“ ზმნასთან უნდა ჰქონდეს კავშირი. „ხოკა“ იგივე ხოკაა და გლეჯას, მოგლეჯას ჰნიშნავდა (ს. ორბელიანის ლექსიკ.).

თუმცა „ხვეკა“-ს შესახებ საბაჰს ნათქვამი აქვს, „უსამართლოდ შეკრება“-ს ჰნიშნავსო (ლექსიკ.), მაგრამ სამართლიანადაც შეკრებილსაც ჰნიშნავდა, ე. ი. ამ ზმნის დედაზრს კრეფა, მოკრეფა შეადგენდა მოქმედების ზნეობრივი შეფასების მიუხედავად. ამ ზმნასაც ძველად მოგლეჯის, მოკრის და კრეკის მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა. ქანურად „ხოკორუ“ და „ხოტორუ“ არსებობს და „ვუხოკორაფ“ (ხოფურად), „თომა უხოტორამ“ (ათინ.) ჰნიშნავს „თმას, ან მატყლს ვუკრეკავ“, ფონეტიკურად-კი რომ გადმოგვეცა, შესაძლებელია გვეთქვა: თმას, ან მატყლს ვუხვეკავო.

როგორც ქანურში „ხოკორაფ“-ის პარალელური ფორმა „ხოტარუ“ არის, ისევე „ხვეკ“-ის ფონეტიკური სახენაცვალია „ხვეტა“, რომელიც ატლას, აფხეკას და მოშორებას ჰნიშნავს. მეგრულად „ხვატუა“-ს და ქანურად „მე-ხვატუნე“ მტრევეას, ლეკასა და ფშხენას ჰნიშნავს (მ. გ., 402 და ქ. გ., 232).

ხვეკისავე ფონეტიკური სახენაცვალია „ხვეწა“, რომელიც თლას, მოთლას, დაფხეკას (საბა, ლექსიკ.) და ჩამოთლასა და ჩამოცლას ჰნიშნავდა. ამ ზმნისაგან არის ნაწარმოები იარაღის სახელი „ხვეწი“, რომელიც ს. ორბელიანის განმარტებით, „მოკაკული სათლელი“ იარაღი ყოფილა (ლექსიკ.). ეს ტერმინი ქანურშიც არის დატული და ციცხვის ხის კოვზის ღრუს ამოფხეკისათვის განკუთვნილ რკინის იარაღსა ჰნიშნავს (ქ. გ., 232).

ზემომოყვანილითგან ცხადი ხდება, რომ „ხაჩქუა“ ზმნის წარმომშობელი „ხაჩქი“ და მისი წინამორბედნი თავდაპირველად ბალახის მოსაგლეჯი და გამოსახვეტი, თანაც ნიადაგის გასაფხვიერებელი თოხნის მაგვარი იარაღის სახელი უნდა ყოფილიყო.

აღსანიშნავია, რომ პატარა თოხს იმერეთში „კეკო“ ეწოდება (ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა, 20). ეს ტერმინი უნდა „ქქეა“ ზმნასთან, სახელდობრ მის მეგრულ სახეობა „კეკუა“-სთან იყოს დაკავშირებული.

უნებლიეთ ყურადღებას იპყრობს ნიადაგის დასამუშავებლად და გასაფხვიერებლად, ისევე როგორც ნათესის გასაწმენდად, განკუთვნილი იარაღების სახელების სიუხვე. უეჭველია, თუ ყველას არა, ბევრს მათგანს თავისი სპეციალური დანიშნულება ექმნებოდა, განსხვავებული მოყვანილობისაც იქმნებოდა. ეგების ამის გამოკრევეა ნაწილობრივ ეხლაც იყოს შესაძლებელი, მაგრამ ამას განსაკუთრებული კვლევა-ძიება სჭირდება.

მიწის დასამუშავებელი იარაღებისა და მათი აღმნიშვნელი ტერმინების სიუხვე იმ ინტენსიური მუშაობის გამომხატველი და მაუწყებელია, რომელიც ამ დარგში საქართველოში უძველესი დროითგან ყოფილა.

## თავი მეოთხე. სახვნელის სხვადასხვა სახეობათა ტერმინების ეტიმოლოგია

ისევე, როგორც თოხის აღმნიშვნელი ტერმინების ეტიმოლოგია უკვე გათვალისწინებული გვაქვს, სხვადასხვა სახეობის სახვნელთა სახელების ეტიმოლოგიის ცოდნაცაა საჭირო. მაგრამ, სამწუხაროდ, სახვნელების სხვადასხვა სახეობის სახელების ეტიმოლოგია ჯერჯერობით არავის შეუსწავლია. ამიტომ აქ მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრების წამოყენება შეიძლება.

რაკი „ოგაფა“, „ოჩოჩა“ და „აჩაჩა“, საფიქრებელია, „ოქოქა“-ს ფონეტიკური სახენაცვალი უნდა იყენენ, ამიტომ მარტო ოქოქას, არონას, ჯილლას, ერქუანისა და გუთანის ეტიმოლოგიაა გამოსარკვევი. სამი პირველი სახელის აგებულების გაგებას ის გარემოება აძწელებს, რომ უძველესი ძეგლები, სადაც მათი ხსენება უნდა ყოფილიყო, დაცული არ არის და არც დაბადების ქართულ თარგმანში გვხვდება. ამის გამო ამ ტერმინების უძველესი სახეობა გამოურკვეველია.

შესაძლებელია, რომ „ოქოქა“-ში თავიკიდური „ო“ თავისართი იყოს და ძირად „ქოქ“-ი<sup>1)</sup> იყოს მისაჩნევი.

შესაძლებელია, „ოქოქა“ დაკავშირებული იყოს სახელზმნა „ქექა“-სთან, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა მეგრულ „ქექუა“-ს და მის ფონეტიკურ სახენაცვალს „ქექუა“-ს უნდა ჰქონდეს დაცული, სადაც ეს სიტყვა ქრასა და მოქრას ჰნიშნავს. საბაბს ქექაზე ნათქვამი აქვს „ეუდ ფხანა“-ს ჰნიშნავსო (ლექსიკ.), მაგრამ ამაზე უფრო ხშირად, შესაძლებელია ითქვას კიდევაც რომ ჩვეულებრივ, მიწის, ან სხვა რისამე აქეთ-იქით გაწევას, გაშლასა და ჩხრე-

1) ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ლექსიკონში შეტანილია აქვს სიტყვა „ქოქი“, რომლის შესახებ ნათქვამი აქვს, ჩირგვიან ვეალს და „ფესვიტ“ მოყვანილს ჰნიშნავსო. ამ განმარტების სისწორის საბუთად „ოლიანოსის“ შეტარაზითგან ასეთი ამონაწერი აქვს მოყვანილი: „უბრძანა ქოქითა ცემა“, „ეთარცა ქოქითა ი გვემებოდა გონება ავაზაკისა და ეითარცა იხვეტებოდა ზრახვა მისი“-ო (ლექსიკ.). საფიქრებელია, რომ აქ „ქოქი“ რაღაც ისეთ საგანს ჰგულისხმობს, რომლითაც ცემაც და ხვეტაც შეიძლებოდა, ე. ი. წვეტიანი მხვეტელი ნივთი უნდა ყოფილიყო.

საბაბს ზემოაღნიშნული წყაროს თარიღი რომ გვეცოდნოდა, მსჯელობა ამ სიტყვების სადაწრობის შესახებ უფრო გაადვილდებოდა, მაგრამ არ ჩანს, რა ხანის ძეგლი უნდა იყოს. ამავე დროს „ქოქ“ თურქულად ძირს და ფესვსა ჰნიშნავს და, თუ ძეგლები მე-IX—X ს-ზე უწინარეა არ არის, შესაძლებელია აქ თურქულითგან შემოსულ სიტყვასთან გვეკონდეს ს: ქვე, რომელსაც ოქოქასთან, რა თქმა უნდა, არ შეიძლება რამე საერთო ჰქონდეს. ამიტომ, ვითარცა სათუთო, დამყარება არ შეიძლება.

საბაბს მოეოგება სიტყვა „აქოქ“-ი, რომელიც 2 ნეშტა 12<sub>16</sub>-ის დამოწმებით, ეკალად არის განმარტებული (ლექსიკ.). ბაქარის გამოცემაში ამ ადგილას „ეკალი“ სწერია, მაგრამ საბაბს ხელთნაწერში ამის მაგიერ, ცხადია, „აქოქ“-ი ყოფილა. ბერძნულ თარგმანშიც არის აქ ἀχούχ „აქუქ“, ლათინურში-კი carduus-ია, ე. ი. ეკალი. ებრაულ ტექსტშიც ამ ადგილას „აქოქ“-ი სწერია (იხ. Guthe-ს Bibelwörterbuch: Dörnen).

კას ჰნიშნავს (მაგ., „ქათამნა ქექა, ქექა და... დანა გამოქექაო“, „ნაცარ ქექია“). ამავე ზმნის ფონეტიკურ სახენაცვალს წარმოადგენს „ჩეჩა“, რომელიც მაგარი ან შემტკიცებული საგნის წერილ-წვრილად დაშლას ჰნიშნავს (მაგ., მატყლის ჩეჩა და სხვა).

„ოქოქა“, ამგვარად, განკუთვნილობის თავსართ „ო“-სა და ქექისაგან იქნებოდა წარმომდგარი და თავდაპირველად მიწის საქექი და საკვეთი იარაღის აღმნიშვნელი იქნებოდა. ოქოქის აგებულების უძველეს სახეობას ამ ტერმინის ასეთი გააზროვნება კარგად უდგება. საყურადღებოა აგრეთვე, რომ პატარა თჩხს, ე. ი. იმავე მიწის გასახევიერებელ იარაღსაც, „კეკო“ ეწოდება, რომელიც, როგორც აღნიშნული გვქონდა (აქვე, გვ. ---), ქექა ზმნასთანავე დაკავშირებული.

ზემონათქავეს უნდა ისიც დაერთოს, რომ აჩაჩა-ს ქართლის მოსახლეობა ბევრგან „აჩეჩას“-ს ეძახის და ამით სახენელის ამ მარტივი სახეობის მოქმედებას ჩეჩას ადარებს და თვით იარაღიც საჩეჩად აქვს ნაგულისხმევი.

მაგრამ სამეგრელოში დატული ტერმინი „ოგაფა“, რომელიც გვლდენ-შტედტ-ს „ოგაპა“-ს სახით აქვს ჩაწერილი, ამ სიტყვის უძველესი სახეობის ოქოქა-ზე უკეთესად დამკველად რომ წარმოგვედგინა, მაშინ შესაძლებელია, ოქოქა კაპ-თან იყოს დაკავშირებული. „კაპი“. ს. ორბელიანის სიტყვით, „ამონაკუეთი რტო“-ს, ამასთანავე „მოგრძელ მოკუეთილ“ რტოსა ჰნიშნავს (ლექსიკ.). მაგრამ ეს განმარტება სრული არ არის: კაპი ხის ისეთ მონაკერს ეწოდება, რომელსაც ბოლოში კავის მავგარი მოყვანილობა აქვს. ეს სიტყვა ქანურშიც მოიპოვება, მაგრამ „კაპი“-ს სახით, და ჯირკს, კუნძსა ჰნიშნავს. ამ შემთხვევაში, იარაღის ტერმინი იმ მასალისა და მოყვანილობის სახელი გამოვეა, რომლისგან და რა სახითაც პირვანდელი სახენელი კეთდებოდა<sup>1</sup>.

ტერმინი „არონაჲ, ანუ „არუნაჲ“ ნასესხები უნდა იყოს ბერძნულითგან. მართალია, სომხურში სახენელს *արաღ* „არავრ“, „არორ“-ი ეწოდება, რომელიც არონას შიავავს, მაგრამ ეს სომხური ტერმინი ქართულად ან „არავლ“-ად, ან „აროლ“-ად უნდა ქცეულიყო, ამიტომ არონას არორისაგან წარმოშობილობა სათუთა. უფრო საფიქრებელია, *ἀρῶν* ზმნის *ἀρῶν* „არუნ“-ისაგან იყოს წარმომდგარი. შიავავს არონა აგრეთვე გუთურ *arjan*-ს (იხ. Emile Boisacq, Dictionnaire étymologique de la langue grecque, 1916 წ., გვ. 80).

<sup>1</sup> დასასრულ, შესაძლებელია, ადაბიანმა წარმოიდგინოს, რომ ოქოქა თავსართ „ო“-სა და ზნა „ქუქუნი“-საგან იყოს ნაწარმოები.

ქუქუნი (უხეიულ, *ჭკი*) უღრის ბერძნულ *κῆκισ*-ს, ლათინურს *fluxus*-ს. ბერძნული ტერმინი სარცხინელს ჰნიშნავს, ლათინური მდინარეობას. ს. ორბელიანს განმარტებული აქვს: „ეს არის ცხოველთა მამალ-დედლობისა აღრევათა შინა ძრვა, რომელსა გლეხნი ქაქუნს ეწოდენ“-ო (ლექსიკ.). მაშასადამე, ქაქუნი, ანუ ქუქუნი განაყოფიერების პროცესის აღმნიშვნელი ტერმინი ყოფილა. ამავე ძირსეე უნდა ეკუთვნოდეს „ქაქანი“, რომელიც საბაის სამართლიანი განმარტებით, „მეზურალის სულის-კვეთა“-ს ჰნიშნავს (ლექსიკ.). ეს სახელშემები „ხახუნი“-სა და „ხოხე“-ის მონათესავე უნდა იყვნენ. ამ ზმნის ძრად „ქუქ“, „ქაქ“ უნდა ვიგულისხმობო. „ოქოქა“, ამგვარად, მიწის განაყოფიერებისათვის განკუთვნილი იარაღის აღმნიშვნელი გამოვა.

„ჯილა“-ს, ჯერჯერობით მაინც, არაერთი გზა-კვალი და თვისტომი არ უჩანს. ერთი რამე მაინც ცხადია, რომ საქართველოს გარეშე, ერევნის მაზრის, შირაკისა და კოტაჯის სოფლებს გარდა, სხვაგან არსად ასეთი ტერმინი სახენელის აღსანიშნავად არ იხმარება. ეს გარემოება ამ სახელს უფრო ადგილობრივად აგულისხმებინებს ადამიანს, მაგრამ თვით სიტყვის ეტიმოლოგია მაინც გამოურკვეველი რჩება. ზოგიერთი მოსაზრება შესაძლებელია გამოითქვას, მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექმნება საუბარი, როდესაც ჩვენი მეზობლების სახენელთა შესახები ცნობები უკვე განხილული გვექმნება.

„ერქუანი“-ს ეტიმოლოგიის გამორკვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რათგან ეს სიტყვა მრავალ საუკუნეთა განწავლობაში სახენელის ზოგად ტერმინად იყო, ხოლო, სანამ ის ასეთ მნიშვნელობას შეიძენდა, მანამდისაც, უეჭველია, მრავალი ხნის განმავლობაში სახენელის გარკვეული სახეობის სახელი უნდა ყოფილიყო.

ნ. მარას ერთგან ნათქვამი აქვს, რომ სომხური *հերկ* „ჰერკელ“ ხენა, რომელიც მას „ჰერქ-ქ-ელ“-ისაგან შემდგარად მიაჩნია, ნაწარმოებია *հերկ* „ჰერკ“-ისაგან, რომელსაც იგი სახენელის აღმნიშვნელ ქართულ „ერქუან“-ს უკავშირებს. მისი აზრით, როგორც ერქუნისაგან ხენის აღმნიშვნელი ნასახელარი ზმნა „ერქენა“ არის ნაწარმოები, ისევე სომხური „ჰერკელ“ ხენა „ჰერკ“-ისაგანვეა წარმომდგარი (იხ. Скифский язык: По этапам развития яфетической теории, сборник статей Н. Я. Марра, Москва—Ленинград, 1926 წ., გვ. 352). ამავე დროს ნ. მარაი ერქუანს და ჰერკელ-ს ქართულ რკინა-სა და სომხურ „ერკინ“-ს, ცას, უკავშირებს (იქვე, გვ. 353), რომელთაც თავისი თეორიის უახლოესი დებულებების თანახმად, ორი-სამი ტომობრივი სახელის შენაერთებად სთვლის.

ნ. მარას მთელი ეს დებულება დაუსაბუთებლივ აქვს წარმოთქმული. ამის გამო არა ჩანს, თუ საითგან აქვს ამოღებული სახელზმნა „ერქენა“, რომელიც, მისივე სიტყვით, ხენას უნდა ჰნიშნავდეს და ერქუანისაგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნა არის. არც საბას თავის ლექსიკონში, არც სხვას ვისმე, ძეგლებში ასეთი ზმნა არ მოეპოვება, ამიტომ რაიმე საბუთი უნდა იყოს დასახელებული, რომ მკითხველს გარკვევის საშუალება ჰქონდეს, არსებობდა, თუ არა, მართლაც ასეთი სახელზმნა, თუ იგი ნ. მარას თეორიულ შენათხზს წარმოადგენს?

სომხურის არ-მცოდნე ალბათ იფიქრებს, რომ როგორც ერქუანი სახენელსა ჰნიშნავს და მისგანვე დასახელებულ „ერქუანა“-ც ამისგან წარმომდგარი ნასახელარი ზმნა უნდა იყოს, ისევე სომხური *հերկ* „ჰერკ“-იც სწორედ სახენელსავე ჰნიშნავდა. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი ნამდვილად არ ყოფილა. თავის ადგილას მოყვანილ შესატყვისობათგან ვიცით, რომ სომხური *հերկ* „ჰერკ“-მხოლოდ ნახნავსა და ხნულსა ჰნიშნავს და არა სახენელს. სპეციალურ მწერლობაში ამ სომხურ სიტყვას ადარებენ გერმანულ *Furche*-ს, რომელიც ხნულსა და კვალსა ჰნიშნავს, ლათ. *porca*-ს, კიმერულ *rhych* და სხვას (იხ. Hübschmann, Arm. Grammatik, V, 467). ეგების ასეთი შედარება მცდარი იყოს და „ჰერკ“-ს ინდოევროპულ ენათა საუნჯესთან საერთო არა ჰქონ-

დეს რა, მაგრამ ნ. მარას ამ ეტიმოლოგიის საწინააღმდეგოდ არავითარი მოსაზრება არ წამოუყენებია. თვით ნ. მარას დებულებას-კი საეჭვოდ ის გარემოება ხდის, რომ სომხური „ჰერკ“, რომელსაც იგი ქართული „ერკენ“-ის შეკვეცილ სახეობად სთვლის<sup>1</sup>, სახენელს-კი არა, არამედ ნახნაესა ჰნიშნავდა. სახენელის „გაერკენილი“-ს მსგავსი წარმოება, რასაკვირველია, შესაძლებელია კიდევ ნახნაეი<sup>2</sup> აღმნიშვნელ ტერმინად ქცეულიყო, მაგრამ „ერკენ“-ის ბოლო-შეკვეცილი სახეობა ნახნაეის აღმნიშვნელ სიტყვად როგორ იქცა, ნ. მარას განმარტებული არა აქვს.

„ჰერკ“-ის ერქუნ-თან დაკავშირებულად მიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ წარმოედგინოთ, რომ იგი ნასახელარი ზმნისაგან ნაწარმოები მიძლეობის შეკვეცილი ფორმაა, რაც თავისდა-თავად შეუძლებელს არაფერს წარმოადგენს.

ამნაირად, ეგების სომხური „ჰერკ“ და „ჰერკელ“ ქართულ ერქუნთან ზემოაღნიშნული გზით მართლაც დაკავშირებულაც იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ცხადია, ქართული ერქუნ-ის ეტიმოლოგიას არა ეშველებოდა რა, რათგან თვით სომხური „ჰერკ“-ის თავდაპირველი მნიშვნელობა გამოურკვეველია.

ერქუნის თვისტომთა და ეტიმოლოგიის ძიების დროს ეგების უმნიშვნელო გარემოება არ იყოს, რომ სუმერულად „ენგარ“ მხენელსა და მიწის მომკმედსა ჰნიშნავდა (engar Ackerbauer: Fr. Delitzsch, Sumerische Sprachlehre, 1914 წ. Leipzig, გვ. 113). შემთხვევითი მსგავსებაა, თუ არსებითია და სუმერული ტერმინი მეერკენეს ან და „ერქუნის“-ს დღის მსგავსი წარმოების თავკვეთილი ფორმა, ან შეკვეცილი სახეობაა, ძნელი სათქმელია, რათგან სიტყვის ეტიმოლოგია და თავდაპირველი მნიშვნელობა არც ამ შემთხვევაშია ნათელი.

რაკი ამ შედარებითი გზით არა გამოდის რა, და სხვა ენებში „ერქუნ“-ის მსგავსი არაფერი ჩანს, ბოლოსდა-ბოლოს უნდა შევეცადოთ ამ ტერმინის პირვანდელი აგებულების ანალიზის საშუალებით მაინც მივაგნოთ. „ერქუნ“-ის ეტიმოლოგიის გასარკვევად უნდა გათვალისწინებული გვექონდეს, რომ „უანი“ შესაძლებელია ბოლოსართი იყოს. „ოანი“-სა და „ოვანი“-ს შესატყვისად თანამედროვე მეგრულში სწორედ ეს „უანი“ არის (იხ. მ. გ. 0126, e), მაგ., „სახელუანი“ —სახელოვანი, „ღირსუანი“ —ღირსეული. ეს ბოლოსართი მქონებლობის აღმნიშვნელია.

„ერქუნ“-ს რომ ეს სუფიქსი ჩამოეცალათ, დაგვრჩება „ერქ“, რომელიც არსებითი სახელი უნდა იყოს. თუ გავიხსენებთ, რომ მიწის დამუშავება სახენელი იარაღის შემოღებამდე თოხით წარმოებდა და სახენელებიც თავიანთი აგებულობით ორ ჯგუფად განიყოფებიან და, ან წერაქენაირნი, ან თოხნაირნი იყენენ, მაშინ ბუნებრივად გვეჩვენება აზრი, რომ ერქუნ-ის წარმომშობი სიტყვა „ერქ“ შესაძლებელია თოხის აღმნიშვნელ ტერმინ „ბერგ“-თან იყოს დაკავშირებული და თავკიდური ბგერის ჩამოცილებით მისგანვე იყოს წარმომდგარი.

<sup>1</sup> Налпчна неопчато у одних грувви в древнеитературнох их лымке... ег-ван (=ერქუნ-ს) илут (\* her-kon), отсюда и существовавший у армян в усеченном виде her-k. основа арм. глагола her+k+el пахать (По этимам разв. яфет. теорав; 352)

ისევე, როგორც წისკილის თოხის აღმნიშვნელი ტერმინი „არქი“ ამავე პროცესით თოხისავე საგულეებელი სახელი „ბარგი“-საგან უნდა იყოს წარმომდგარნი. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ მთიულნი და ხევსურები ერქუანს „გერქვან“-ს უწოდებდნენ (გ. ჩიტიანი, ეთნოგრ. მოგზ., გვ. 203, შენ. 1). საფიქრებელია, რომ იგი „ბერქუანი“-ს მთებში შერჩენილი ფონეტიკური სახენაცვალი უნდა იყოს. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ სახენელის ტერმინი „ერქუანი“ თოხიანი, ე. ი. თოხის მოყვანილობის სახნისის მქონეებელი იარაღის აღმნიშვნელი გამოდის. ასეთი მნიშვნელობა ამ ტერმინს, რასაკვირველია, მხოლოდ თავდაპირველად უნდა ჰქონოდა.

საგულისხმოა, რომ იმ ხანაშიც, როდესაც ერქუანს სახენელის ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს ტერმინი სახნისსაც პნიშნავდა ხელნითურთ და ბერძნულ „აროტროპუს“-ის შესატყვისად იხმარებოდა. (იხ. აქვე, გვ. 157 და გ. მონაზონის ბრონოგრაფი, გვ. 67—de Boor, I, 146).

ჯერჯერობით მაინც, გადაულახავ სიძნელეს წარმოადგენს ტერმინი „გუთანნი“-ს ეტიმოლოგია. როგორც აღნიშნული გვექონდა, აკად. ნ. მარარს ეს სიტყვა ქართულ-სომხური აგებულებისად მიაჩნდა (იხ. გვ. 160).

თავისივე წინანდელი დებულების საწინააღმდეგოდ, რომ „გუთანნი“ ქართულ-სომხური წარმოებაა, ნ. მარარი ეხლა უკვე ამტკიცებს, რომ „გუთანნი“ სახენელის სკვითური სახელია და წარმომდგარია თვით სკვითების სრული სახელისაგანვე. ამიტომ მისი აზრით „გუთანნი“ ნაწარმოებია თითქოს „სქუთან“-ისაგან, რომელიც შემდეგ „ჰქუთან“-ად და გუთან-ად იქცა. ვის მიუჩნევია სკვითების ტომობრივი სახელი სახენელის ტერმინად, თვით სკვითებსვე, თუ ქართველებსა და დანარჩენ კავკასიელებს, ნათქვამი არ არის (იხ. По этапам развития флористической теории, 374—375.). ნ. მარარს ამ ახალი ჰიპოთეზისა, თუ დებულების წამოყენების დროს დაჰვიწყებია, რომ სკვითები თავიანთ თავს, როგორც პეროდოტეს აქვს აღნიშნული, არას დროს სკვითებს არ უწოდებდნენ, არამედ სკოლოტებს, რომ ამ ხალხს სკვთებს მხოლოდ ბერძნები ეძახდნენ. მაშასადამე, გუთანნი რომ სკვთების სახელისაგან ყოფილიყო ნაწარმოები თვით მათგანვე, სკოლოტან-ის მსგავსი რამე უნდა ყოფილიყო და კავკასიელნიც ამ იარაღს, ცხადია, ბერძნულში სკოლოტებისათვის არსებულ სახელს არ დაარქმევდნენ. მაგრამ თავი-და-თავი ის გახლავს, რომ „გუთანნი“ მე-XIII ს-ზე უწინარეს ქ. შ. ძეგლებში არა ჩანს. ამ დროს-კი სკვითები დიდი ხანია უკვე აღარსად იყვნენ. ამიტომ სკვითების სახელის დაარქმევაც იერავის ფიქრად ვერ მოუვიდოდა. ისევე თუ რომელიმე ტომის სახელი შესაძლებელია გუთან-ში ვინმემ ეძიოს, ისევე გუთებისა, მაგრამ ამ დროს აღარც გუთების მოსახლეობა იყო საქართველოს ჩრდილოეთით, რომ ასეთ ეტიმოლოგიას რეალური საფუძველი ჰქონოდა.

ამნაირად, „გუთანნი“-ს ეტიმოლოგია ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

## თავი მხუთმი. ძარბულ ხახვნილთა უსხო ძმუხენის ხახვნილთაჲ შეღარბითი უხუხავლა

მიწის დამუშავებისათვის საქართველოში განკუთვნილი იარაღებისა და სახენელთა გაუმჯობესების ისტორიის განხილვისა და ტერმინების მნიშვნელობისა და სადაურობის გამოკრევეის შემდგომ, სახენელის გაუმჯობესების მთავარ საკითხებს უნდა შევეხოთ. ყოველნაირი ცდისდა მიუხედავად, სახენელის აგებულების ქართული და საქართველოს შესახებ. ძველების ცნობათა შესწავლის შემდგომაც, არა ერთი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის პრობლემა მაინც გადაუწყვეტელი და გამოურკვეველიც დარჩა. ამის მთავარი მიზეზი ის გარემოება გახლავს, რომ ამ პრობლემების გამოკრევეა ამ ეჲმად მხოლოდ შედარებითი შესწავლის საშუალებით თუ შეიძლება. ამიტომ ქართული სახენელის ისტორიის გასაშუქებლადაც ბერძნული, რომაული და დასავლეთი ევროპის ისევე როგორც ქართველთა მეზობლების სახენელთა აგებულებისა და მათი გაუმჯობესების ისტორიისათვისაც თვალის გადავლება და შედარებითი შესწავლა აუცილებლად საჭირო არის.

სახენელის გაუმჯობესების შედარებითი შესწავლის დროს მიზნად სამი მთავარი საკითხის გამოკრევეა უნდა გეჲონდეს დასახული: 1. საკვეთლის სადაურობის, 2. სახნის-საკვეთ-ფრთიანი სახენელის გაჩენის ხანისა და სადაურობის. და 3. ფამთალაკიანი სახენელის შემოღების ხანისა და სადაურობის გამოკრევეა.

### § 1. ბერძნული სახენელი

ბერძნული სახენელი ორნაირი კეთდებოდა: ან მთლიანი ხისაგან შემზადებული იყო, რომელსაც ἀστύσιον ἀροισιον-ი ეწოდებოდა,—ან ცალკეული ნაწილებისაგან შემდგარი იყო. ასეთ სახენელს πηχάσιον ἀροισιον-ს ეძახდნენ. რთული შედგენილობის ასეთ სახენელის თვითეულ ნაწილს თავისი სახელი ჰქონდა. მის ნაწილებად იყო რვილი, ἰσθμιασῆς-ად წოდებული, რომელშიც დამაგრებული იყო მოკავებული მანქეა, ἴριჯ-ად სახელდებული, თავისი ქვედა კიდურის ქუსლ-კბილაში, ἔλαμα-დ წოდებულში. ჩაქედილი. ამ გასწვრივად მდებარე ნაწილს წინ რკინის სახნისი, σῆσι, ან ἄσι-ი, ჰქონდა წამოცმული. სახენელს აგრეთვე იარაღისათვის გარკვეული მიმართულების მიმცემი ხელნაც გააჩნდა, რომელსაც ἐχέτης ეწოდებოდა და რომელთაც ხელმოსაკიდი ჰქონდა χείρμασῆς-ად სახელდებული. რვილს თავში შუაზე უღელი სῆσι-ი უმაგრდებოდა გასაყრელი თავიანი ჯოხით, ἔσθρισι-ით, და აპეურებითურთ μάσισι, ან μάσῆσι, ან და სῆსῆσι.

მთლიანი ხისაგან შემზადებულ სახენელს რვილი, ან შოლტა, კავი და ქუსლ-კბილა ჰქონდა (იხ. Prof. Max Exler, Friedrich Lübkers Reallexikon des klassischen Alterthums: aratrum და A. Baumelster, Denkmäler des klassischen Alterthums: Ackerbau).

ხელოსან ნიკორთენესაგან შემზადებული, მოხატული ძველი ბერძნული მე-VI ს. ქ. წ. სასმისის ნახატთან იკვეცვა (იხ. სურ. 14), რომ ჯერ კიდევ ამ დროს საბერძნეთში თოხნაირი სახეობის მხოლოდ სახნისიანი, მარტივი აგებულების იარაღი უხმარათ.



სურ. 14.

## § 2. რომაული სახვნელები.


ბერძნულზე გაცილებით მეტი და ვრცელი ცნობები რომაულ სახვნელებზე მოგვეპოვება, ნახატებიც მეტია დაკული.

რომაული უძველესი სახვნელი *atrum* ისეთივე მოყვანილობისა და აგებულებისა უნდა ყოფილიყო, როგორც ეტრუსკებსა ჰქონდათ. ეტრუსკული უძველესი გამართულ-მოკმედი სახვნელი-კი არეცოს ერთ ბრინჯაოზეა გამოყვანილი და *Micali*-ის ნაშრომიდან *L'Italia avanti il dominio Romano*—რომაელთა ბატონობის წინააღმდეგ *იტალია*\* (Fir. 1810, tav. 50)—A. Baumeister-ის „*Denkmäler des Klassischen Altertums*“—ში არის გადმობეჭდილი (იხ. *Ackerbau*).

ამ სურათის მიხედვით (იხ. სურ. 15) ეტრუსკული სახვნელი მთლიანი ხისაგან კუთხოვნად მოხრილ იარაღს წარმოადგენს, რომლის ქვემოთკენ მოხრილ ნაწილს *dentale*, ე. ი. კბილა ეწოდებოდა. ამ კბილაზე მეორე მხრიდან სალტებით სახნისი (*vomer*) ყოფილა დამაგრებული. სახვნელის გასწვრივ წარზიდულ ოდნავ მოხრილ ნაწილს „ბრუდე ხეს“, ან ჩვილს (*hura*, ან *buris*) კბილას (*dentale*, *dens*) ხაზზე ზემოთკენ ამართული ხელნა აქვს, რომელსაც *stivā* ეწოდებოდა (A. Baumeister, *Denkmäler des klassischen Altertums: Ackerbau* და სურ. 15).




შემდეგში უკვე ცალკეული ნაწილებისაგან შემზადებული სახენელი გავრცელდა. მისი გამოხატულება ერთ რომაულ რელიეფზე არის წარმოდგენილი, რომლის სურათი Prati-ის ნაშრომიდან „Histoire de la ville, du comté et du



სურ. 15.

marquisat d'Arlon“ (Atl. pl. 64) ამოღებული A. Baumeister-ს აქვს გადმობეჭდილი (იხ. Denkmäler des gr. Altertums: Ackerbau.— იხ. აქვე, სურ. 16).

ამ სურათზე სახენელი სამი მთავარი ცალკეული ნაწილისაგან შედგება (იხ. სურ. 16): ბოლოსაკენ ძალზე მოხრილი რვილისაგან, რომელიც უკან გადახრილ მანქუა-ხელნაზეა დამაგრებული და კბილასაგან, რომელიც ძირში თი-



სურ. 16.

თქოს ორ-ფეხვიანი მოყვანილობისაა. რვილის ქვედა მოხრილი ნაწილი კბილას ორ ფესვს შუა ჩასმული და სოლით ჩაქედილი არის. აღსანიშნავია, რომ, კბილაზე წამოცმულ სახნისს გარდა, ამ სახენელს სხვა არათუერი გააჩნია (A. Baumeister, Denkmäler d. klas. Altertums: Ackerbau).

შედარებით უფრო ვრცელი ცნობები იტალიაში გავრცელებულ სახენელთა შესახებ რომაელ მეცნიერებსა და აგრონომებს მოეპოვებათ.

პლინიუსს მცირეს (24—79 წ. ქ. შ.) თავის *Naturalis Historia*-ში სახენელთა და სახნისების შესახებ შემდეგი აქვს ნათქვამი: „*Vomerum plura genera: culter vocatur inflexus praedensam, priusque proscinditur, terram secans futurisque sulcis vestigia praescribens incisuris, quas resupinus in arando mordeat vomer*“ (იხ. *Carolus Maynhoff*-ის გამოცემა: *Bibliotheca Teubneriana*-ში).

თავისდა-თავადაც პლინიუსის მთელი მონათსრობი სახენელთა შესახებ ლოლიკურად წესიერად არ არის დალაგებული და თანაც გადამწერთაგან დამახინჯებულია და ამის გამო გასაგებად და გადმოსათარგმნელად ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს. ამიტომ სანამ ამ ნაწყვეტის გადმოთარგმნას შევეუდგებოდეთ, წინასწარ ზოგიერთი სათუო, ან ბუნდოვანი ადგილის განმარტებაა საჭირო.

პირველივე სიტყვის, *vomer*-ის, მნიშვნელობაა გამოსარკვევი. ჩვეულებრივ *vomer* სახნისსა ჰნიშნავს. მაგრამ პირველსავე ამის მომდევნო წინადადებაში მარტო სახნისზე-კი არ არის საუბარი, არამედ საკვეთელზეც, რომელსაც მთავარი ყურადღება-კი აქვს მიპყრობილი. ამასთანავე ამ წინადადებაში საკვეთლისა და სახნისის დანიშნულებაა განმარტებული მიწის ხენის დროს. ცხადია, რომ აქ სახნისზე-კი არაა, არამედ სახენელის განსაკუთრებულ სახეობაზე აქვს პლინიუსს საუბარი.

მაგრამ, თუ ამ შემთხვევაში შესაძლებელია ვინმემ იფიქროს, რომ რომაელ ავტორს *culter*, დანაც, ანუ საკვეთელი, იმავე სახნისად, მხოლოდ სხვა სახეობისად, მიაჩნდა ისე, რომ ამ *culter*-საც *vomer*-ად სთელიდა, ასეთი განმარტების მოშველიება იმ ადგილის მნიშვნელობის გასაგებად მაინც არ შეიძლება, სადაც ზემომოყვანილი, პირველი სახეობის აღწერილობის შემცველი, ნაწყვეტის შემდგომ მეხუთე სახეობაზე აქვს პლინიუსს საუბარი. იქ ნათქვამია: „*დიდი ხანი არ არის, რაც გალიის რეტია-ში აზრად მოუვიდათ (ნამდვილად: გამოიგონეს) ორი თვალი დაერთვათ, რასაც იქაურნი ძალაუმორატი<sup>1</sup>-ს უწოდებენ<sup>1</sup>. თუმცა ავტორს ამ წინადადებაში დასახელებული არა აქვს, თუ რას დაურთვეს თვლები, მაგრამ, ცხადია, რომ სახნისი არ შეიძლება იგულისხმებოდეს, არამედ სახენელი მთლიანად. უეჭველია, რომ ამ უკანასკნელ ცნობაში მაინცდამაინც პლინიუსი მხოლოდ სახენელის განსხვავებულ, ახლად გამოგონებულ, სახეობაზე ლაპარაკობს.*

ამის შემდგომ უფლება გვაქვს დავაცენათ, რომ ზემომოყვანილ ნაწყვეტშიც საერთოდ სახენელზეა საუბარი. ყველა დასახელებულ მოსაზრებათა გამო ცხადია, რომ, თუმცა *vomer* ჩვეულებრივ სახნისსა ჰნიშნავს და აკად. *M. E. Littré*-ც შესავალ წინადადებაში ამ სიტყვას სახნისად სთარგმნის („*il y a plusieurs espèces de socs*“: *Histoire naturelle de Pline avec la traduction en français par M. E. Littré, Paris, 1860 წ., I, 678*), მაგრამ თვით პლინიუსს *vomer pars pro toto*, ე. ი. ნაწილის სახელი, მთელი საგნის მნიშვნელობით უნდა ჰქონდეს ნახმარი და სახნისად-კი არაა, არამედ სახენელად გადმოთარგმნოს.

<sup>1</sup> „*Non pridem inventum in Raetia Galliae duas addere tali ratulas, quod genus vocat plaumorati*“.

შემდეგ, პირველი სახეობის სახენელის აღწერილობაში ტექსტის შინაარსისა და თვით იარაღის აგებულების სისწორით გასაგებად ორი გარემოება უნდა იქმნეს ვათვალისწინებელი. პლინიუსს მკითხველისათვის სახნისის მდებარეობის განსამარტავად ერთის მხრით ნათქვამი აქვს *resupinus vomer*, მეორეს მხრით ამბობს *culter vocatur inflexus*.

ორსავე შემთხვევაში ავტორს სახენელის ამ ნაწილების მოყვანილობა-მდებარეობის დახასიათება უნდოდა. სახნისი, მისი სიტყვით, განრთხმული იყო, ე. ი. გასწვრივ მდებარეობდა, ხოლო *culter*-ის, დანის, ანუ საკვეთელის შესახებ განმარტებული აქვს მხოლოდ, რომ მოხრილი ყოფილა, მაგრამ მისი მდებარეობა განსაზღვრული არ არის. მარტო ამ იარაღის მოქმედების აღწერილობითგან შესაძლებელია ადამიანი მიხედეს, რომ ეს „დანა“ სახნისის წინ უნდა ყოფილიყო მოთავსებული და დასწვრივ იქმნებოდა მიმართული. დამახასიათებელია, რომ პლინიუსის საკვეთლის განმარტებაში მაინც ნათქვამი არ არის, თუ რა ნივთიერებისაგან იყო გაკეთებული ეს „დანა“. აქად. Littré-ს ფრანგულ თარგმანში თითონ დაურთავს რკინა („on nomme coutre le fer“), „დანას რკინას უწოდებენ“-ო. ეგების თვით ავტორიც ასევე ჰგულისხმობდა, მაგრამ პლინიუსის ტექსტში, საკვეთელი რომ რკინისა ყოფილიყოს, ნათქვამი არ არის და იმ მოვალეობისათვის, რომელიც რომელიც ავტორის აზრით მას დაკისრებული აქვს, სახნისისაგან გასაყვები ორნატის, ანუ კვალის მიმართულების წინასწარ წარსახაზავად, არც იყო საჭირო, რომ საკვეთელი უეჭველად რკინისაგან ყოფილიყო გაკეთებული.

ზემომოყვანილ მოსაზრებათა შემდგომ, პლინიუსის ტექსტი შეიძლება ასე გადმოითარგმნოს: „სახენელები მრავალგვარი (არსებობს: ერთია, რომლის) დანად იწოდება (სახენელის) მოხრილი (იარაღი) მაგარი, ჯერ მოუხნავი, მიწის მკვეთელი, თანაც (თავისი ამ) ჩანაკვეთებით შენდეგ გასაყვები ორნატების იმ წირებების წინასწარ წარმიხაზველი, რომელთაც გასწვრივ მდებარე სახნისი მერმე, ხენის დროს, შთანთქამს ხოლმე“-ო.

მეორე-გვარი ჩვეულებრივი სახენელი იყო (*alterum genus est volgare*) ცხვირიანი ძალაყინის მქონებული (*rostrati vectis*).

მესამე-გვარი სახენელი ადგილ-მოსახნავე მიწისათვის იხმარებოდა და მას სახნისი მთელ კბილაზე კი არ ჰქონდა წამოცმული (*nec toto porrectum dentali*), არამედ მხოლოდ ცხვირზე პატარა წვეტი ჰქონდა.

მეოთხე-გვარ სახენელს სახნისი უფრო ფართო და უფრო მკრელი ჰქონდა მახვილები წაწვეტილი, რომელიც ამავე მახვილით არამც თუ მიწასა ჰკვეთდა, არამედ თავისი გვერდებით ბალახების ძირებსაც სჭირდა.

დასასრულ, პლინიუსს მეხუთე-გვარი იმ სახენელის აგებულებაც აქვს დახასიათებული, რომელიც იმ ხანებში გალიის რეტიაში მოუგონიათ. ამ სახეობის სახენელს ორი თავისებურება ჰქონია: მისი სახნისის კიდურს ნიჩბის მსგავსი მოყვანილობა ჰქონია (*cusps effigiem palae habet*) და მთელ ამ იარაღს თურმე ორი თვალს ჰქონდა დართული, უეჭველია, სახენელის წინ. ასეთი იარაღით მხოლოდ უკვე დამუშავებულ მიწასა ხნავდნ ხოლმე. მისი ვანიერი სახნისი მიწითგან ბალახის ძირებს აგდებდა. ამ სახეობის ადგილობრივი გალლიური სა-

ზელი ხელთნაწერებში დამახინჯებულია და ზოგი *plaumorati*-ს, ზოგი *plana-rati*-ს, ზოგი *ploum Raeti*-ს კითხულობს (XVIII, 171—174; Maynthoff-ის გამ., vol. III, გვ. 190).

პლინიუს მცირეს მეორე სახეობის სახენელის შესახებ ნათქვამი აქვს, რომ ამგვარი სახნისიანი იარაღი ჩვეულებრივი ყოფილა, მესამე სახეობისა სუბუქ და სუსტ სახენელად ითვლებოდა, მეოთხე სახეობის სახენელის განმასხვავებელ თვისებას ფართო და მკრელი სახნისი შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ თვით ახალ-მოგონილ რეტიულ ორთვიან სახენელსაც კი დანარჩენებისაგან მხოლოდ სახნისის ნიჩაბის მაგვარი მოყვანილობა ასხვავებდა. ცხადი ხდება, მაშასადამე, რომ რომაული სახენელის გაუმჯობესება განსაკუთრებით სახნისის მოყვანილობას შეეხებოდა. საყურადღა აგრეთვე, რომ არც ერთს მათგანს<sup>1</sup>, სახნისს გარდა, სხვა არავითარი არსებითი ნაწილი არ ჰქონდა, არც ერთს საკვეთელიც კი არ გააჩნდა.

ამ მხრივ გამონაკლისს მარტო პირველი სახეობის სახენელი შეადგენდა, რომელიც, როგორც თვით პლინიუს მცირის სიტყვებითგანაც ჩანს, ჩვეულებრივი რომაული სახენელი არც უნდა ყოფილიყო. მხოლოდ მას ჰქონდა სახნისს გარდა ქართული საკვეთლის შესატყვისი ვერტიკალურად დაშვებული დანა, *culter*-ი.

პლინიუსის მონათხრობითგან ირკვევა, რომ ორთვიანი რეტიული სახენელი მისგან ჩამოთვლილ ხუთ სახეობათაგან ყველაზე ახალი შემოღებული ყოფილა. როგორც ეტყობა, სწორედ I ს. დამდეგს, ან შუა წლებში უნდა იყოს იტალიაში შემოღებული. ამას ამელავენებს რომაელი ავტორისაგან ნახშირი გამო-ნათქვამი *non pridem „დიდი ხანი არ არის“*, რაც გამოგონილიაო.

მაგრამ დანარჩენ ოთხი სახეობის სახენელთაგან სახნის-საკვეთლიანი იარაღი, უძველესია, ყველაზე მერმინდელი, ახალი სახეობის სახენელი უნდა იყოს.

პლინიუსის სიტყვებითგან ჩანს, რომ I ს-ში ქ. შ. სახნის-საკვეთლიანი სახენელი უკვე არსებობდა და ამ სახეობის იარაღის აგებულება რომაელმა ავტორებმა იცოდნენ. მართალია, პლინიუსის აღწერილობითგან თითქოს ისე გამოდის, რომ საკვეთლის დანიშნულება საკმაოდ ბუნდოვანად ჰქონია წარმოდგენილი და მისი აზრით სახენელის ეს ნაწილი თითქოს სახნისისაგან გასაყვლები ხნულის მხოლოდ გეზის მიმცემი ყოფილიყოს. მაგრამ ამ სახეობის სახენელს რომ რომაელი მწერლის განსაკუთრებული ყურადღება მიუპყრია, ეს იქითგანაც ჩანს, რომ პირველად სწორედ ამ სახეობაზე ჩამოუგდია საუბარი და იარაღის აგებულება უფრო დაწვრილებით აქვს აღწერილი.

ყველა ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სახნის-საკვეთლიანი იარაღი რომაელთათვის არაჩვეულებრივი სახენელი იყო. ის გარემოება, რომ ამ სახეობის შემოღების დროს შესახებ პლინიუსი რეტიულ ორთვიან სახენელზე ნახშირის მსგავს გამონათქვამსაც კი არ იმეორებს, ცხად-ჰყოფს, რომ მისი შემოღების დროის შესახებ დანამდვილებით შე-

<sup>1</sup> რეტიული სახენელის ორთვიანი სახიდის გარდა, რომელიც იარაღის არსებით ნაწილს არც შეადგენდა და მხოლოდ დანართს წარმოადგენდა.

საძლებელია არც პლინუსს სცოდნოდა. ამიტომ ამ სახეობის სახენელი ქ. შ. I ს-ზე უწინარეს უნდა იყოს რომში შესული. მაგრამ, მეორეს მხრით, რაკი საკვეთლიანი სახენელი პლინიუს მცირის დროსაც გერ კიდევ არაჩვეულებრივი იარაღი ყოფილა და მისი აგებულება განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა, ეს სახეობაც ძველი მაინც-და-მაინც არ შეიძლება ყოფილიყო.

როგორც ეტყობა, საკვეთლიანი სახენელი რომსა და იტალიაში შემდეგშიც იშვიათი იარაღი უნდა ყოფილიყო. დამახასიათებელია ამ მხრივ, რომ Palladius პალადიუსი თავის 371—395 წ. ქ. შ. დაწერილ ნაშრომში De re rustica („სასოფლო მეურნეობაზე“) მიწის-მოქმედებისათვის საჭირო იარაღთა შორის საკვეთლიან სახენელს არ ასახელებს. I წიგნის 43-ე მუხლში მას სახელდობრ ნათქვამი აქვს: „Instrumenta vero haec, quae ruri necessaria sunt, paremus: Aratra simplicia, vel, si plana regio permittit, aurata, quibus possint contra stationes humoris hiberni sata celsiore sulco attolli“ (იხ. „Les agronomes latins Caton, Varron, Columelle, Palladius avec la traduction en français publiés sous la direction de M. Nisard, Paris, 1864 წ., გვ. 545—546). „ხოლო იარაღებს, რომელნიც სოფლის (მეურნეობისა)თვის საჭირონი არიან, შემდეგს წარმოვაჩინთ: მარტივი სახენელები, ანდა, თუ სანახები ვაქვს და მოემარჯვება, ყურებიანი სახენელები, რომელთა საშუალებითაც მომალღებული ორნატის (ქვალის) წყალობით შესაძლებელია ნათესები ზამთრის ნოტიობის ჩანაღებისაგან ააცილო“-ო<sup>1</sup>.

ამგვარად, პალადიუსი მხოლოდ ორი სახეობის სახენელს ასახელებს: მარტივსა და ყურებიანს. მარტო ასეთი სახენელები მიაჩნია მას სოფლის მეურნეობისათვის აუცილებლად საჭირო იარაღებად. ცხადია, რომ იტალიაში ჩვეულებრივ სწორედ ამ ორი სახეობის სახენელები ყოფილა მიღებული.

მარტივი სახენელები (aratra simplicia) მხოლოდ სახნისიანი იარაღი იქმნებოდა, რომლის გამოხატულება ზემოაღნიშნულ ქანდაკებაში გვხვდება. მეორე სახეობის, ყურებიანი სახენელები (aratra aurata), რასაკვირველია, უფრო რთული აგებულებისანი იყვნენ. მაინც-და-მაინც მარტოს გარემოებაც, რომ პალადიუსს ყურებიანი სახენელები არამცთუ მარტივ სახენელთა კლუფში არ ჩაუთვლია, არამედ დაუპირისპირებია კიდევ, ცხად-ჰყოფს, რომ მათი აგებულება მარტივად არ ყოფილა მიჩნეული.

აღსანიშნავია, რომ პლინიუს მცირეს სახენელთა სხვადასხვა სახეობის თავის, ზემომოყვანილსა და განხილულ, აღწერილობაში არც ყურებიანი სახენელები აქვს დასახელებული და არც თვით ასეთი მოწყობილობა, სახენელის ყურებით შემკობილობა, აქვს მოხსენებული. ამ სახეობის იარაღს ისეთი ღირსება ჰქონია, რომ მისი მოუხსენებლობა ძნელი დასაჯერებელია. ამიტომ,

<sup>1</sup> M. Nisard-ის ფრანგულად ასე აქვს ნათარგმნი: „On se pourvoira de tout l'attirail nécessaire à la campagne. Voici en quoi il consiste: des charrues simples, ou, si l'on cultive un pays plat, qu' en permette l'usage, des charrues à creilles, par le moyen desquelles on fasse les raies du labour plus élevées, afin que les semences pendent l'hiver soufrent moins du séjour des l'eaux“. თავისუფალი თარგმანია.

იმისდა მიუხედავად, რომ სახენელის ყურები *binae aures* უკვე ვერ გილიუსს (Georg., I, 172) აქვს მოხსენებული, პლინიუსის დღემილი მაინც იმის მომსწავებელი უნდა იყოს, რომ მის დროს ყურებიანი სახენელები ჩვეულებრივი სახენელები არ უნდა ყოფილიყვნენ<sup>1</sup>. სამაგიეროდ პალლადიუსის თხზულებითგან ცხადი ხდება, რომ მე-V ს-ში ყურებიანი სახენელი ვაკე ადგილისათვის უკვე ჩვეულებრივ და აუცილებელ იარაღად ყოფილა მიჩნეული და ქცეული.

ყურებიანი სახენელის აგებულების ნიშანდობლივ თვისებას ის „ყურები“ შეადგენდენ, რომელნიც კბილას თავისებურ მოწყობილობასთან იყენენ დაკავშირებულნი. ასეთ სახენელს თავში წვეტყუთხოვანად გამართული კბილა ჰქონდა გაკეთებული ორი ფიცრისაგან, რომელნიც უკანისაკენ სამკუთხედის ფერდების მსგავსად განზე განზიდული იყვნენ. სწორედ ასეთი ორნაწილენი შედგენილობის გამო კბილას აღსანიშნავად მხ. რიცხვის, *dentale*-ს, მაგიერ უფრო ხშირად მრავლობითად *dentalia*-ს ხმარობდენ ხოლმე (H. Blümner, Die römischen Privataltertümer, გვ. 559).

თავისი ირიბად განზიდული კბილათი და ყურებით ასეთი სახენელი სახნისისაგან განათხარ მიწას კვალის აქეთ-იქით ჰპირდა. მაშასადამე, ნაწილობრივ ყურები ქართული სახენელის ფრთის მოვალეობას ასრულებდენ. მაგრამ ფრთა ერქუანსა და გუთანს ერთ მხარეზე აქვს, იგი დიდია და ამის წყალობით დაფშვნილ ბელტსაც უფრო დიდ მანძილზე, თანაც ერთ გვერდზე აბრუნებს და აწვევს ხოლმე.

რომაული სახენელის ყურები ორთავე მხარეზე შლიდენ მიწას და შუაში კვალსა სტოვებდენ. მათ ღირსებად სწორედ ის თვლებოდა, რომ ასეთი სახენელი უფრო ღრმა ორნატს, ანუ კვალს აკეთებდა (*„quibus latior sulcus efficitur“*: H. Blümner, Die römischen Privataltertümer, 560 და შენ. 5).

აღსანიშნავია, რომ პალლადიუსი არც ღერძგოგორიანსა და არც საკვეთლიან სახენელებს არ იხსენიებს. ეტყობა, რომ ამ სახეობის იარაღები მის დროსაც ჯერ ჩვეულებრივ სახენელებად არ უნდა ყოფილიყვნენ ქცეულნი.

### § 3. სახენელის გაუმჯობესების საფეხურები დასავლეთ ევროპაში მე-V—XVI ს.ს. განმავლობაში

ოტტო შრადერს აღნიშნული აქვს, რომ გაუმჯობესებული თვლებიანი სახენელის შემდეგში ჩვეულებრივი სახელი *plover* „პლოუმ“, რომლისგანაც წარმომდგარია გერმანული *Pflug* „პფლუგ“ და გერმანელთაგან ნასესხები რუსული *пflug* „პლუგ“, ხმელეთითგან მე-V ს-ში ბრიტანიაში გადასახლებულ ანგლოსაქსებს ჯერ არ სცოდნიათ. ეს ტერმინი იქ ევროპის კონტინენტიდან გადადის და მათ შორის მხოლოდ მე-XI ს. ვრცელდება (იხ.

<sup>1</sup> შეად. H. Blümner-ის Die römischen Privataltertümer-ის (München, 1911 წ. გამ.) გვ. 560-ს, სადაც ის ყურებიან სახენელს ჩვეულებრივად სთვლის.


V. Hehn-ის Kpf. u. Ht.-ს Anmerkungen; გვ. 567). ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვითქვით, რომ თვლებიანი სახენელი მე-V ს-ში ჯერ კიდევ გალლითგან ყველა გერმანელ ტომთა შორისაც-კი არ ყოფილა გავრცელებული.

მაგრამ უკვე მე-VII ს. შუა წლებში ტერმინი plovum ლანგობარდების სპარტის წიგნშია შეტანილი, ვითარცა aratrum-ისგან განსხვავებული სახეობის სახენელი. იქ § 288-ში ნათქვამია: „De plovum. Si quis plovum aut aratrum allenum iniquo animo capellaverit, conponat solidos tres“ (Edictus Langobardorum Rothari: Monumenta Germaniae Historica, IV, Leges, გვ. 69). „რუ ვინმე პლოვუმს, ანდა სახენელს (არატრუმს) ბოროტი განზრახვით ჩაიდგდებს ხელში, სამი სოლიდი (ფულის სახელია) გამოილოს“ საზღაურადაო.

მაშასადამე, მე-VII ს-ისათვის plovum „პლოვუმ“-ი უკვე ჩამოყალიბებული და aratrum „არატრუმ“-თან ერთად ხალხში გავრცელებული განსხვავებული აგებულების სახენელი ყოფილა. რამდენადაც „არატრუმ“-ი უფრო ძველი და მარტივი აგებულების სახენელის სახელი იყო, იმდენად მისგან განსხვავებული „პლოვუმ“-ი უნდა გამოუმესებულად და უფრო რთულად ვიგულისხმოთ.

ამ „პლოვუმ“-ის განმასხვავებელი თვისება რომ ორთელიანი საზიდი უნდა ყოფილიყო, თავისდა-თავად ცხადია. მაგრამ ჰქონდა, თუ არა, ამასთანავე საკვეთელიც, ეს საყურადღებო საკითხია, რომლის გამოსარკვევად კარლოს დიდის განკარგულებებში (Verordnung) დატული ცნობების გამოყენება შეიძლება. დამახასიათებელია, რომ იქ ორთელიანი სახენელი და სახენელის საკვეთელი ცალ-ცალკეა დასახელებული<sup>1</sup>.

ამგვარად საფიქრებელია, რომ ჯერ კიდევ მე-VIII ს. დამლევსა და მე-IX საუკ. დამლევს ორთელიანი სახენელი და საკვეთელიანი სახენელი ერთმანერთი-



სურ. 17.

<sup>1</sup> ცნობა ამის შესახებ Michelsen und Nedderich-ის Geschichte der deutschen Landwirtschaft-შია, სადაც ნათქვამია: „Wir lesen in jener Verordnung ferner von Karls Verbesserungen... in Ackergeräten, die den Räderpflug, das Pflugsegg (Pflugeisen), Egge und Walze aufweisen“ (იხ. Fünfte Auflage, 1911 წ., 22). გულდასმით ძიებისდა მიუხედავად, კარლოს დიდის კაპიტულარებში ასეთი ადგილი ვერ ვიპოვე, ამიტომ ამ ცნობის სისწორის შემოწმება ვერ მოვახერხე.


საგან განსხვავებული სახეობის იარაღები ყოფილან. ეს გარემოება გასაკვირველი არც არის, რათგან, როგოც დავრწმუნდებით, ამაზე გაცილებით უფრო გვიანაც ამ ორი სახეობის სახენელები წინანდებურად განცალკევებულადაც არსებობდენ.

მე-XI ს-ში-კი ორთვლიანი სახენელი უკვე სახნის-ხმალა-საკვეთლიან ღარაღს წარმოადგენდა. მას მხოლოდ ფრთა არ ჰქონია. ეს გარემოება მე-XI-ს. ერთ ანგლოსაქსურ კალენდარში დატუ-



სურ. 18.

ლი ამ სახენელის ნახატით მტკიცდება, რომლის ფოტოგრაფიული სურათი Valtyr Gudmundsson-ის წერილს „Ackerbau“-ს აქვს დართული (იხ. I. Hoops-ის Reallexikon der germanischen Altertumskunde 1, Tafel 1, ტ. იხ. აქვე, გვ. 24, სურ. 17).



სურ. 19

მგვრამ მე-XV და მე-XVI ს.ს. სურათებიტგან ჩანს, რომ მაშინაც ორთვლიანი სახენელი ყოველთვის საკვეთლიანი იარაღი არ ყოფილა, არამედ წინანდებურად მხოლო-სახნი-



სიანი სახენელებიც უხმარიათ ორთვლიანი საზიდიტურთ-  
 ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა „შვაბური მატინი“-თგან ამოღებული  
 1486 წ. სურათი, რომელშიაც ერთ-უღელა ხარშებმული სახნის-საკვეთლიანი ორ-  
 თვლიანი სახენელია დახატული გუთნის დედისა და მეხრიტურთ (იხ. აქვე, გვ. 255,  
 სურ. 18). მეორე, მე-XV ს-ისავე სურათზე, სხვათა შორის, ასეთივე აგებუ-  
 ლების ორტხენშებმული სახენელია ფერდობის ხენის დროს დახატული (იხ. Adolf  
 Bartels-ის Der Bauer in der deutschen Vergangenheit: Monographien zur  
 deutschen Kulturgeschichte, herausgegeben von Georg Steinhausen VI Band,  
 Leipzig, 1900 წ., გვ. 13, სურ. 13 და გვ. 62, სურ. 72).

ამავე საუკუნის, 1470 წ., სურათზე-კი ორთვლიანი სახენელი მხოლო-სახ-  
 ნისიან იარაღად არის დახატული (იხ. აქვე, გვ. 255, სურ. 19) ისევე, როგორაც  
 1502 წ. სურათზედაც (იხ. ად. ბარტელს-ის ნაშრომის გვ. 11, ნახ. 6, გვ. 20,  
 ნახ. 18 და გვ. 21, ნახ. 20 და აქვე, გვ. 251, სურ. 20).



სურ. 20.

ყველა ზემოაღნიშნულის შემდგომ უფლება გვაქვს და-  
 ვასკვნათ, რომ პლინიუს მცირის დროს გამოგონილი და მისგან მო-  
 ხსენებული ორთვლიანი რეტიული სახენელი უსაკვეთლო იარა-  
 ღი უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც მისგანვე აღწერილი  
 სახნის-საკვეთლიანი სახენელიც თავის მხრივ უღერძგოგო-  
 რო იარაღად არის საგულისხმებელი.

დასასრულ, საყურადღებო გარემოებაა, რომ ანგლოსაქსურს მე-XI ს-სა და  
 გერმანულ მე-XV-XVI ს.ს. ორთვლიან სახენელებსაც ორივე თვალი ერთი-და-  
 იმავე ზომისა ჰქონდათ. ტომეტი-თვლიანი საზიდი, როგორც ჩანს, შემდეგ  
 საუკუნეებში უნდა იყოს შემოღებული ისევე, როგორც სახენელის ცალ მხარეზე  
 გაკეთებული ფრთაც.

#### § 4. ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ტომთა სახენელები

ბერძნული, რომაულ-იტალიური და დასავლეთ ევროპის სახენელის ისტორიის განხილვის შემდგომ, უნდა საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნების სახენელთა ვითარება გავიცნოთ. უმთავრესი ყურადღება ჩრდილოეთ კავკასიაში მოხინაღრე ტომთა სახენელისადმი იქმნება მიჰყრობილი, მაგრამ ამ ზოლზე უფრო ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნის სახენელთა ისტორიის მოკლედ მიმოხილვა მაინც დაგვეკირდება. ამ განხილვის დროს ორი ძირითადი პრობლემა იქმნება გაუშუქებული: ტიპოლოგიური, სახენელის სახეობის ზოგადი დამახასიათებელი თვისებები და ტერმინოლოგიური, ამა-თუ-იმ ტერმინის გაერცელების არეები, რათგან ტერმინოლოგიური არეების საზღვრების გათვალისწინებასაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს იმგვარადვე, როგორც სახენელის თვითოეული სახეობის გაერცელებულობის არეების საზღვრებსაც. ამ ორივე საკითხისათვის, სამუშაოდ, ძველი დროითგანვე არ მოგვეპოვება ცნობები.

აკად. გვლდენშტედტის სიტყვით სახნის-საკვეთ-ფრთა-გოგორ-ფამფალაკიანი სახენელი, რომელსაც ქართულად გუთანი ეწოდება, უკრაინაშიც და მოლდაველთა, თათართა, ჩერქეზთა და თითქოს სპარსთა შორისაც ყოფილიყოს გაერცელებული (Reisen II, 482). რაკი ამ ცნობის ავტორი სპარსეთში პირადად არ ყოფილა, სპარსეთში გუთნის სახეობის სახენელის გაერცელებულობის ამბავი სანდო ცნობად ვერ ჩაითვლება. ამ ექვს ცნობილი ფრანგი მოგზაურის შარდენის შემდეგი სრულებით გარკვეული ცნობაც ამართლებს. მისი სიტყვით, მე-XV ს-ში სპარსეთში მიწას მარტივი სახენელით ხნავდენ. თვით სახენელი ძალიან პატარა ყოფილა. მისი საკვეთელი მიწას, ასე თუ შეიძლება ითქვას, მხოლოდ გადაატყავებს ხოლმეო. იმისდა გვარად, რამდენადაც სახენელისაგან ორნატები გავლებულია, მიწისმოქმედნი ბელტებს ჩეკათი და ფოცხით ამსხვრევენ და აფხვიერებენ<sup>1</sup> (Voyages de M-r Le Chevalier Chardin en Perse etc. Amsterdam, 1711 წ. გმოცემის tome quatrième, გვ. 221). შარდენის მონათხრობითგან ჩანს, რომ იმდროინდელი სპარსული სახენელი პატარა და მარტივი აგებულების იარაღი ყოფილა უფროთო და უფამფალაკო. ამგვარად, სპარსეთში გაერცელებულ სახენელს გუთანთან საერთო არა ჰქონია რა.

საგულისხმოა, რომ უკრაინელები გუთანს „პლუგ“-ს უწოდებდენ (გვლდენშტედტ Reisen, II, 482), ე. ი. გერმანულითგან შეთვისებულ ტერმინს. მაშასადამე, „გუთანს“, ვითარცა სახენელის ტერმინს, უკრაინამდე ვერ მიუღწევია.

<sup>1</sup> „Le labour se fait avec un soc tiré par des boeufs maigres... Ce soc est fort petit, et le coutre qui ne fait qu'écortcher la terre, pour ainsi dire: à mesure que les sillons sont tirés, les laboureurs rompent les mottes, avec des grosses mailloches de bois, et avec la herse, qui est petite, et a de petites dents"... Soc ეხლა ჩვეულებრივ სახნისა ჰინშნავს, მაგრამ ტექსტიტგან ჩანს, რომ შარდენი თავის ამ ცნობაში ამ ტერმინს სახენელის მნიშვნელობით ხმარობს. ამას გარდა, ფრანგი მოგზაურის აღწერილობითგან ისე გამოდის, რომ ამ სახენელს ხნულის გასავლებად და ბელტის ამოსაღებად საკვეთლის გარდა სხვა არაფერი გააჩნდა. ამისდა მიხედვით, იმდროინდელი სპარსული სახენელი წერაქნაირი სახეობის იარაღად უნდა ვიგულისხმოთ.

ამას გარდა, იქვე გავრცელებულია „საბან“, რომელიც ოსმალურში მიღებული სახენელის აღმნიშვნელი ტერმინია.

აბხაზურად-კი სახენელს მე-XVIII ს. დამლეგს „კოთენ“ და „კოთენ-მაჰა“ (Koten-madsa) სწოდებია (გვლდენშტედტ, Reisen, II, 532).

უსლარის ჩანაწერის თანახმად გუთანს. (=пуг, თუ სახენელს?) აბხაზურად სხვა სახელსაც უწოდებენ, სახელდობრ „აცვახუ“ (იხ. მისი „Этнография Кавказа. Языкознание. Абхазский язык, ლითოგრ. გამ., გვ. 272). თვით უსლარი ამ ტერმინს ხარის აბხაზურ სახელს „აცვ“-ს უკავშირებდა (იქვე), მაგრამ საეკეოა, რომ ამ ორ სიტყვას, გარეგნულ მსგავსებას გარდა, წარმოშობილობით რაიმე საერთო ჰქონდეს.

„აცვახუ“-ში „ა“ ჩვეულებრივი აბხაზური ართრონი უნდა იყოს. მისი ჩამოცილების შემდგომ, გერჩება „ცვახუ“, რომელიც „ცოხუ“-საგან უნდა იყოს წარმომდგარი. თავის მხრივ ეს „ცოხუ“ უფრო პირველადი „თოხუ“-ს ფონეტიკური სახენაცვალი უნდა იყოს. როგორც „თოკი“-ს ეტიმოლოგიის განხილვის დროს დავრწმუნდით, ქართულშიც ასეთი შენაცვლების მაგალითი მოგვეპოვება და „თოხნას“ გარდა „ცოხნა“-ცა გვაქვს.

ამგვარად, სახენელის აბხაზური, უეჭველია, უძველესი სახელი „აცვახუ“ თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით თოხთან უნდა იყოს დაკავშირებული და ამ იარაღის თავდაპირველი თოხნაირი აგებულობის გამოქვავებული უნდა იყოს.

ხოლო „კოთენ“ და „კოთენ-მაჰა“, რა თქმა უნდა, მერმინდელი შენაძენი უნდა იყოს და ქართულ გუთანთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ გარემოებას ორნაწილადი ტერმინის მეორე ნახევარი, „მაჰა“, თუ „მაჰა“ ამჟღავნებს. რათგან საფიქრებელია, რომ იგი ქართული მანქუას ძველი ფორმა უნდა იყოს (იხ. აქვე, გვ. 227 — 228).

ყაბარდოელები, გუთანს, ანუ, უკეთ რომ ითქვას, საერთოდ სახენელს გვლდენშტედტ-ის ცნობით, „ჩხააშა“-ს, ან „ფხააშა“-ს (Pchaascha) უწოდებდნენ (Reisen, II, 532). ეს ყაბარდოული ტერმინი ეხლაც თითქმის ისევე დაცული, როგორც მე-XVIII ს. დამლეგს ყოფილა: გუთანს ამჟამადაც „ჰკაახხე“ ეწოდება (იხ. Лопатинский-ს Русско-кабардинский словарь: СМОПК вып. XX, 114). ეს ერთად-ერთი სიტყვაა ყაბარდოულში საერთოდ სახენელის აღსანიშნავად ისე, რომ მარტივი აგებულებისასაც ასევე ეძახდნენ. „ჰკაახხე“ ორნაწილადი სიტყვაა, რომელთაგან პირველი „ჰკა“ შეშას, ძელსა ჰნიშნავს, ხოლო „ახხე“-იარაღს. ამგვარად, მთელი ტერმინი თავდაპირველად ხის იარაღსა ჰნიშნავდა. ცხადია, რომ ეს სახელი უმარტივესი აგებულების სახენელის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა იყოს, შემდეგში გუთნის აღსანიშნავადაც გამოყენებული. სახნისისათვის ყაბარდოელები „ვაბძე“-ს ჰხმარობენ (იხ. ლოპატინსკის რ.-ყ. ლექსიკონი: сошник). საკვეთლისათვის ტერმინი არ ჩანს, ხენას-კი ეწოდება „ვევენ“ (იქვე, 108 : пахать).

ჩაჩნურად და წოვა-თუშურად გუთანს „გოთან“ და „გუთან“-ი ჰრქმევია (გვლდენშტედტ-ის Reisen, II, 509), ინგუშურად-კი „გოთანგერ-ფერო“ (იქვე). ეს უკანასკნელი ტერმინი ორი სიტყვისაგან შედგება: პირველი იგივე გუთანია, მეორე-კი თანამედროვე „გიერზ“-ს უნდა უდრიდეს, რომელიც

იარაღსა კნიშნავს (იხ. უსლარის ჩ. ე., 166). ამ სიტყვის მრ. რ. ფორმა სწორედ „გიერზაშ“ იქმნება (იქვე). ამგვარად, ჩაჩნურ-წოვა-თუშურიდან ინგუშური, ანუ ლელილური მხოლოდ იმით განიჩრევა, რომ იქ გუთნის მაგიერ ტერმინად „გუთან-იარალი“-ს აღმნიშვნელი სიტყვა იხმარება. არსებობს, თუ არა, მარტივი სახენელისათვის რაიმე ტერმინი, წყაროებითგან არა ჩანს. ამგვარად, ჩაჩნურ-ლელილური და, რასაკვირველია, წოვა-თუშურიც ტერმინი „გუთნის“ გავრცელების არეს ეკუთვნის.

ლუნძურად სახენელს, გკლდენშტედტ-ის ცნობით, თითქოს „ზურეც“-ი პრქმევია, ანწუხურად „ზურუს“ და ქარულად „ზურუც“, დიდოურად კი „ზურუს“ (Reisen, II, 516).

უსლარის ჩანაწერით, ლუნძურად სახენელს „პურუც“ ჰქვია, სახნისსკი „პურცილ შაკ“ (ა. ე., 148). შესაძლებელია „პურუც“ დაკავშირებული იყოს „პურცი“-სთან, რომელიც ცხოველთა ბარძაცსა კნიშნავს (იქვე). თუ ეს მცდარი აზრი არ არის, მაშინ საფიქრებელი ხდება, რომ ეს ტერმინი თავდაპირველად ფეხის, სახელდობრ, სახენელის ფეხის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, ბერძნული ἀπορρῖσας-ის მსგავსად.

რაკი „შაკ“ ლუნძურად რკინასა კნიშნავს, ამიტომ სახნისის ტერმინი არსებითად სახენელის რკინის აღმნიშვნელი გამოდის.

კვრულ-ლეკურად მარტივ სახენელს „ტკრეზ“-ი ეწოდება, სახნისს— „ტკრეზლი შალ“ (უსლარ. კ. ე., 558). გუთანს-კი „კუთენ“-ს ეძახიან, ხოლო მის სახნისს „კუთენლი შალ“-ს (იქვე, 470). უკანასკნელი, რასაკვირველია, იგივე გუთანია. სახნისის აღმნიშვნელი ტერმინის მეორე ნაწილი ორსავე შემთხვევაში ერთი-და-იგივე „შალ“-ი არის, რომელიც, უეჭველია, ლუნძური „შაკ“-ის ფონეტიკური შესატყვისობა უნდა იყოს და, მაშასადამე, მის მსგავსად რკინასვე უნდა კნიშნავდეს. ამგვარად, სახნისს გუთნის, ან სახენელის რკინა ეწოდება.

მარტივი სახენელის ტერმინი „ტკრეზ“-ის პირველი ნაწილი „ტკრ“ შესაძლებელია „ტურ“-თან იყოს დაკავშირებული, რომელიც მახვილსა და ხმალსა კნიშნავს (კ. ე. 556).

ანდოურად სახნისს, ან მარტივ სახენელს „რებტუ“ ეწოდება, რომლის მრ. რ. „რებტოდულ“-ი არის (Дирр. Крат. грам. андийскаго яз., 148).

ტაბასარანულად გუთანს „ქუთან“-ი და „ტურუც“-ი ჰქვია (Дирр. Грам. Таб. яз., 238), ხოლო მარტივ სახენელს, „შუქურ“-ი ეწოდება (იქვე, 243).

რუტულურად მარტივ სახენელს „დეჯან“, ხოლო სახნისს „შალ“-ი ჰქვია (Дирр, Рут. яз., 200).

„ქუთან“-სა და „შალ“-ს გარდა, რომელთაგან პირველი იგივე გუთანია, მეორე-კი, როგორც დაერწმუნდით რკინასა კნიშნავს, ტაბასარანული „ტურუც“ უნდა კვრულ-ლეკურ „ტკრეზ“-თან იყოს დაკავშირებული. დანარჩენი ტერმინების ეტიმოლოგია გამოურკვეველია.

ამგვარად, დაღესტანში უმეტეს ნაწილად მარტივი, მარტო სახნისიანი იარაღია გავრცელებული და მხოლოდ ზოგან გუთანიც მოიპოვება.

კავკასიის მკვიდრთა სახენელების შემდგომ რომ ოსთა შორის გავრცელებულ სახენელებს შეეხებით, უნდა გათვალისწინებული გეკონდეს, რომ საქარ-

თველოში მოზინადრე ოსები თუმცა იმიერკავკასიითგან არიან გადმოსული, მაგრამ ქართველთა შორის და მეზობლად ცხოვრებამ მათ ბევრი რამ შეათვისებინა, რაც მათ წინანდელ სამშობლოში არ ჰქონიათ და მათ ჩრდილოელ თანამეტომეებს ეხლაც არ მოეპოვებათ. სამწუხაროდ ოსური სახენელების შესახებ მეტად მცირე და შემთხვევითი ცნობები მოგვეპოვება.

დიგორულად, ისევე როგორც ოსურად, სახენელს გვლდენ-შტედტ-ის ჩანაწერით „გოტონ“ (Reisen II, 541), ხოლო კლაპროთ-ის თანხმად „გუტონ“, ან „გუტოან“, დიგორულად „კოტან“-ი (Voyage II, 475) ჰქმევია. თუგვა არც ერთს ამ მოგზაურთაგანს მარტივი სახენელის ოსური სახელი „ძებერ“ დასახელებული არა აქვთ, მაგრამ, საფიქრებელია, რომ მაშინაც იქმნებოდა.

საქართველოში ს. დმანისში დასახლებულ ოსთა შორის გავრცელებული სახენელისა და მისი ნაწილების სახელთაგან აღსანიშნავია „ძებერ“, რომელიც მარტივი აგებულების იარაღის ზოგადი სახელია, გაუმჯობესებულსა და ფამფალაკიანს-კი აქაც „გუტონ“-ს ეძახიან.

„ძებერ“, ან „ძვეერ“ და „ძებურ“ ოსურად მართლაც მარტივი აგებულების მხოლოდსახნისიან სახენელს ჰნიშნავს ეხლაც (იხ. W. Miller, Ossetisch-russisch-deutsches Wörterbuch. Herausgegeben und ergänzt von t. Freiman. ლენინგრადი 1927 წ., I, 539). ხოლო „ძვეერგაინაგ“ ძებერის, ანუ სახენელის ფიცარს, ანუ სახნის-კბილას ჰნიშნავს (იქვე, 539 და 616).

გუთნის ნაწილების სახელები ოსურში მომეტებულად ქართულთაგან არის ნასესხები: მაგ. ხმალა, კბილა, მანჭი, ხახელური, ფრთა, კაკაბი, ლერძი, ღირღიტი (ჰნიშნავს ფამფალაკს), ცაალხ(-ჩარხს, რომელიც ქართული არ არის), შოლტყაფა (იმავე შოლტას ქართული პარალ. ფორმაა) და სხვა (იხ. გ. ჩიტაიას ეთნოგრ. მოგზ., 209).

ნამდვილი ოსურია მხოლოდ რვილის, ან ბრუდე-ხის სახელი „გინონ“ და სახნისის აღმნიშვნელი „ვსენ“ (იქვე, 209), რომელთაგან პირველი ჩვეულებრივი ოსური ტერმინია (იხ. მილლერის ოსურ-რუს.-გერმანული ლექსიკ., 395).

ყველაზე საინტერესოა საკვეთლის აღმნიშვნელი ტერმინ „ძირა“ (იხ. გ. ჩიტაიას ეთნოგრ. მოგზ., 209) რომელიც წინათ თურმე სხვა მნიშვნელობის და ოდნავ განსხვავებული სახითაც იხმარებოდა.

სახელდობრ, კლაპროთ-ის თავის ოსურ ლექსიკონში შეტანილი აქვს „ძირა“ (Zirgha) სახენელის მნიშვნელობით (Soc: Voyage II, 503).

ეს ტერმინი ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ოსთა შორის ეხლაც იხმარება. ეპისკ. იოსებ კავკაველს თავის რუსულ-ოსურ ლექსიკონში საკვეთლის (резак) ოსურ სახელად „ცგრაგ“ აქვს აღნიშნული (Рус.-осет. словарь, сост. Иосиф епис. Владикавказскй, კავკავი, 1884 წ., გვ. 472).

ამ ტერმინს ოსურში ძირი არ უჩანს. ხოლო თუ გავიხსენებთ, რომ ქართული „ჯ“ ოსურში „ძ“ იქცევა ხოლმე, შესაძლებელია აზრი დაიბადოს, რომ „ძირა“ შესაძლებელია სახენელის ქართული სახელის „ჯილა“-ს ფონეტიკური სახენაცვალი იყოს.

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ოსურს მხოლოდ მარტივი აგებულების მხოლოდ-სახნისიანი იარაღისათვის გააჩნია საკუთარი ტერმინები. საკვეთლისა და გაუზგობნებელი სახენელისა და მისი ნაწილების სახელები მას მთლად ნასესხები აქვს.

### § 5. ამიერ-კავკასიაში და ოსმალეთში მცხოვრებ სომეხთა სახენე- ლები

ძველად სომეხებს სახენელის ერთად-ერთ სახელად *არაღ*, *არაი* „არორ“-ი ჰქონდათ. დაბადების თარგმანშიც და სხვა ძეგლებშიც მხოლოდ ეს ტერმინია ნახმარი. ეს სახენელი მარტივი აგებულების იარაღი ყოფილა, რომელსაც მარტო სახნისი და მანქუა ჰქონდა.

საკვეთლის ტერმინი დაბადების სომხურ თარგმანში არ მოიპოვება და სხვა ძველ ძეგლებშიც, სადაც შემდეგში საკვეთლის ტერმინად გამოყენებული და ქვეული სიტყვა გვხვდება, იქაც მას ჯერ საკვეთლის მნიშვნელობა არა აქვს (იხ. აქვე, გვ. 271—277).

პოლიტიკური ბედის უკუღმართობისა და მოსახლეობის დაქსაქსულობის გამო რომ სომეხთა მიწაწყალში შემდეგში უცხო, თურქთა, ტომები შეიჭრენ და დასახლდნენ, თვით სომეხთა დიდი ნაწილი-კი მეზობელთა და შორეულ ქვეყნებში შეიხიზნა და დაბინადა, მოსახლეობის შერეულობის გამო, სომხური ტერმინოლოგია მეზობელთაგან შეთვისებული სიტყვებით მეტის-მეტად აკრელდა. კრამდე-ნადაც ვიცი, ზოგადი ხასიათის გამოკვლევა, რომელშიც სომეხთა შორის გავრცელებული სახენელის ისტორია იყოს განხილული, არ არსებობს. ამიტომ მკვლევარი იძულებულია იმ ცალკეულ ნაშრომებს დაემყაროს, რომლებშიც სხვადა-სხვა თემის სომეხთა მიწისმოქმედებას გვისურათებენ. სამწუხაროდ შეიდ-ტომიან კრებულსა და დიდ-ტანიან გამოკვლევებში, რომლებშიც სასოფლო მეურნეობის ვითარებაა გადამხილი ამიერ-კავკასიაში და რომელსაც ეწოდება „Материалы по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края“, სახენელის საკითხი ზერელად არის შესწავლილი, ბევრს არაფერს იძლევა და სწორედ იმაზე, რასაც ყველაზე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, იქ ან სრულებით არაფერია ნათქვამი, ან ბუნდოვანი ცნობები მოიპოვება. საქმის ვითარება უფრო დაწვრილებით არის აღწერილი ჰოვჰანეს მალხასიანის „Հայ գեղოկի աշխարհ“ (იხ. „საგაგრაქან ჯანოჯაყათი აკათხერაგარო“ 1898 წ. № 1, გვ. 359—392), რომელშიც ჯავახეთის სომეხთა შესახებაა საუბარი. ამ ნაშრომს იარაღთა სურათებიც აქვს დართული, რაც ასეთი ნაწარმოებისათვის აუცილებლადია საჭირო.

ამ ნაშრომის ნაკლს ის შეადგენს, რომ იქ მთელი აღწერილობა ისეა შედგენილი, თითქოს მანამდე ჯავახეთში მცხოვრებ სომეხთა სასოფლო მეურნეობაზე არაფერი ყოფილიყოს დაწერილი. მალხასიანს გამოჰპარვია ზემო-დასახელებულ კრებულში МИЭБГКЗК მოთავსებული ცნობები.

<sup>1</sup> ამ ნაშრომზე მითითებისათვის დოც. ლ. მელიქსეთ-ბეგს დიდ მადლობას მოვახსენებ.

სხედასხვა თემის სომხები სახენელს სხედასხვა სახელს უწოდებენ. მარტივი აგებულების სახენელისათვის ძველი სომხური სახელი „აჩორა“-ი გუმბრის მაზრის შარორში იყო შერჩენილი (იხ. ს. ზელინსკი, МИЭБГКЗК, I, 36).

ერევნის ყ. გუბერნიის შარურსა და დარალაგიოზში მარტივ სახენელს „გეხკი“-ს უწოდებენ (Парвицкий, МИЭБГКЗК IV, 136).

ხოლო ერევნის მაზრაში გუთანს გარდა, რომლის შესახებაც ქვევით გვექნება საუბარი, „ჯილი“-სა და „ჯუტ“-ს უწოდებენ. „ჯუტ“-ი ქართული „ჩუთი“-ს მსგავსი უმარტივესი აგებულების იარაღია.

ყაზახში მთა-ადგილებშიც სომხები „ჩუთ“-ს ხმარობდნენ, რომელიც თუმცა მხოლოდ-სახნისიანი იარაღი იყო, მაგრამ მთლიანი ხისაგან-კი არ ქედებოდა, არამედ ცალკეული ნაწილებისაგან (А. Д. Ерицов: МИЭБГКЗК III, 155—157). „ჯილი“-კი (джилги), ფ. მარკოვის სიტყვით, გუთნისაგან მხოლოდ იმით განირჩეოდა, რომ მას წინ საზიდი, ფამფალაკი არ ჰქონდა და მისი საკვეთელიც გუთნისაზე უფრო მომცრო და სუბუქი იყო. „ჯილი“-ს უმთავრესად მთაში იხმარებოდა და ჩვეულებრივ 4 უღელა ხარით ხნავდნენ ხოლმე (МИЭБГКЗК III 88—89).

ჯავახეთში და სამცხეში გადმოსახლებულ სომხებს შორის გავრცელებულა ტერმინი „ჯილა“-ც (Свод. матер. IV, 263).

პოეპანნეს მალხასიანის ნაწარმოებთან „Հայ գեղուկի აქრომდ ჩანს, რომ ჯავახეთის სომხობა ამ იარაღს „ჯილა“-ს (ქელა) უძახის (იხ. Ալყა-ფრასკან Հանդէս, 1898 წ. № 1, გვ. 365, 379—380). ამავე ავტორის ზემო-დასახელებული ნამუშევარი ცხად-ჰყოფს, რომ ჯავახეთის სომეხთა შორის „აჩონაც“ გავრცელებულა. ამ სახენელს იქაური სომხები თურმე *აჩინაყ* „არონაჟ“-ს, ან *აჩონაჟ-ს* (*აჩინაყ*), ან და *ანსკიოქ აჩორ-ს* უწოდებენ (იქვე, გვ. 370 და 380). ქრ. ვერმიშეის არონაჟს ხსენებაც-კი არ მოეპოვება (იხ. Свод. матер., IV, 253—264).

საპაკ ამატუნის-ს თავის ლექსიკონში „Հայոց բառ ու բան“ ტერმინი *ქელი* „ჯილა“-ს შეტანილი აქვს. მისი განმარტებით, ეს სიტყვა ოთხ-უღლიან სუბუქ გუთანს აღნიშნავს, რომლითაც ფხვიერ მიწას ჰხნავენ. ეს ტერმინი ამავე ავტორის ცნობით სოფ. გოლთ-სა, ბაშ-გარნი-ში, ართიკ-ში და კოტაჯიკის სანახებში ყოფილა გავრცელებული (იხ. გვ. 574).

განჯის მაზრის ბარად მცხოვრებნი-კი მარტივ სახენელს „ქერა“-ს უწოდებენ (ნ. აბელოვი, МИЭБГКЗК, VII, 80). აქარიანის ლექსიკონის მიხედვითაც სახენელს ყარაბაღელი სომხები „ქერა“-ს (*ყხი*) უწოდებენ (Հր. Աճառեան Հայերէն Գաւառական Բառարան: Նմինքան ազգագրական ժողովածու հրատարակութեամբ Հազարեան ճեմարանի արեւելեան լեզուոց, հատոր Թ, Լաზარაანտ აღმოს. ენების ინსტიტუტის გამოცემა, ტფილისი, 1913 წ., გვ. 564).

ყარაბაღითგან მე-XIX ს-ში დიდ დაღეთში გადმოსახლებულ სომხებს ეს ტერმინი მარტივი სახენელის აღსანიშნავად დღევანდლამდისაც ჰქონიათ დაცული (იხ. გ. ჩიტაია, „ეთნოგრ. მოგზ.“, გვ. 207 და 214).

დასასრულ, ტერმინი „ეკერა“ ნუხელ სომხებსაც ჰქონდათ მარტივი სახენელის აღმნიშვნელ ტერმინად (ა. არასხანიანი, МИЭБГКЗК VI, 68).

ზანგეზურის მაზრაში მარტივი აგებულების მხოლოდ-სახნისიანსა და ხმალიანს სახენელს სომხები *ფირბტს* „გორწენ“-ს (მეგრის მცხოვრებნი), ან *აარქაჟ* „ხარვაზ“-ს (ორჩის-ხეველნი), ან და *ააქაქ* „ალათ“-ს (ყველა დანარჩენნი) უწოდებენ (ს. ზელინსკი, МИЭБГКЗК, IV, 80).

მარტივი აგებულების სახენელს გარდა, სომეხთა შორის გაუმჯობესებულ სახენელსაც ხმარობდენ, რომელსაც *ფიქსან* „გუთან“-ს უწოდებენ. ეს იარაღი და ტერმინი გავრცელებული იყო შარურში, დარალავიოზში, განჯის მაზრის მთა-ადგილებში, ზანგეზურის მაზრაში (იხ. ს. ზელინსკი, МИЭБГКЗК, I, 35.—პარეიციკი, იქვე, IV, 136.—ბებლოვი, იქვე, VII, 82).

საპაკ ამატუნის ცნობით, ეს ტერმინი მუშში, ბასიანში და ხოაშიც ყოფილა გავრცელებული (*Հայոց բառ ու բան*, გვ. 151).

ზანგეზურის მაზრაში სომხები და „თათრები“ ორნაირ გუთანს ხმარობდენ: ერთს უფამფალაკო გუთანს, „თათრები“ *კირე კოტან* („гера-кетан“) „გერა ქათთან“, სომხებიც *კიტ ფიქსან* „კრე გუთან“-ს უწოდებენ,—მეორეს-კი, ფამფალაკიანს, სომხები *საქნტ ფიქსან* „აკენ გუთან“-ს, თათრები-კი *კოტან კირე* „ღირჩქ-ქათთან“-ს ეძახიან. მას აქვს „ხამსა“ მანქუა, რომელიც ქვევით კბილაშია ჩაქედილი, ზევით-კი რვილში, „მასენ“-ად წოდებულში (ს. ზელინსკი, МИЭБГКЗК, IV, 79).

## § 6. ამიერკავკასიაში მცხოვრებ თურქთა შორის გავრცელებული სახენელები.

ამიერ-კავკასიაში თურქთა შორის გავრცელებული სახენელების შესახებ ცნობები მხოლოდ მე-XVIII ს. დამლევითგან მოყოლებული მოგვებოვება. ამაზე უწინარეს რა ვითარება იყო, ჯერ კიდევ გამოსარკვევია. მაგრამ წყაროების სიმციროს გამო, საიმედო მანაც არაფერი ჩანს.

მე-XVIII ს. დამლევს ამიერ-კავკასიაში, გვლდენ შტედტის ჩანაწერის მიხედვით, ყაზახში და ქურთთა შორის სახენელს „ჩუთ“-ს (Tschut) ეძახდენ (Reisen, II, 549).

კლავროთ-ს საქმის ვითარება სხვანაირად აქვს წარმოდგენილი. მისი სიტყვით სახენელს, გუთანს „ჩიჩთ“-ს (تچت tchift) თითქოს სტამბოლელი თურქები, ანუ ოსმალები ეძახდენ. ყაზახში-კი „კოთამ“-ს (Kotan) უწოდებენ ისევე, როგორც ყიზილბაშნიც (Qizylbach), ე. ი. ზრდილოეთ სპარსეთის ადერბეჯანის თურქები „კოტან“-ს ხმარობენო. ხოლო ნოღაელნი და კუმუხელები „ხაბან“-ს ეძახდენ, ციმბირის ტობოლსკელი თურქები-კი (Turc de Tobolsk en Sibérie) „ხუდა“-ს და „კურა“-ს (صوغا sougha, قوري qouri) ხმარობდენ ამავე იარაღის აღსანიშნავად (იხ. Voyage, II, 550—551, იხ. Charrue).



მაგრამ თვით კლავროთ-ისავე ჩანაწერიდან ჩანს, რომ ოსმალოებ-საც გუთნისათვის ტერმინად „საბან“-ი უნდა ჰქონოდათ, რათგან, ამავე ავტორის ცნობით, სახნის ოსმალორად „საფან-დემირი“ (sapan-demiri صابان ديمري) ჰქმევია სახელად, ნოლაელნი და კუმუხელნი-კი „კილიჩ“-ს და ყიზილბაშნი „გავაჟინ“ ეძახოდენ (Voyage, II, 570—571: იხ. Soc).

გვლდენ შტედტ-ის ზემოპოყვანილი ცნობა ყაზახის „თათართა“ შორის სახენელის აღსანიშნავ ტერმინად „ჩუთ“-ის არსებობის შესახებ რომ სრული ქეშმარიტება გახლავთ, ამის დამტკიცება მე-XIX ს. მკვლევართა ცნობითაც შეიძლება. ამათი ნაშრომითგან სახენელების სხვა სახელებიც ირკვევა.

ბაქოს ყ. გუბერნიის ყუბის მაზრაში ბარად ფამფალაკიან სახნის-საკვეთიან გუთანსა ხმარობდენ („ქოთან“), მთაში-კი „ჯუთ“-ით ხნავდენ, რომელიც მხოლოდ-სახნისიან იარაღს წარმოადგენდა (Ягодинский, Мат. ИЭБГКЗК, II, 195).

ყაზახის მაზრის „თათრების“ „ჩუთ“-ს, რომელსაც მთლიანი ბისას აკეთებენ, სახნისის მეტი სხვა არა აბადია რა (იხ. А. Д. Ерицов-ის Эконом. биб. госуд. крест. Казах. у.; МИЭБГКЗК III, 155—157).

გუმბრის მაზრის შარორში მცხოვრები „თათრები“-ც მარტივი სახენელის აღსანიშნავად „ჯუტ“-ს ხმარობდენ (ს. ზელინსკი: МИЭБГКЗК I, 36) ისევე, როგორც ერეენის მაზრელნიც (მარკოვი: იქვე, III, 88—89).

ზანგეზურის მაზრაში მარტივი აგებულების მხოლოდ-სახნისიან სახენელს მეგრის „თათრები“ خيش „ხეშ“-ს ეძახიან, დანარჩენნი-კი „ქაქა“ „ალათ“-ს (ს. ზელინსკი, МИЭБГКЗК IV, 80).

ამგვარადვე განჯის მაზრის ბარში მცხოვრები „თათრები“ მარტივ სახენელს ხეშ“-ს უწოდებდენ (ნ. აბელოვი, МИЭБГКЗК VII, 80), ისევე როგორც ნუხელი „თათრები“-ც (ა. არასხანიანც, МИЭБГКЗК, VI, 68).

ერეენის გუბ. შარურისა და დარალაგიოზის „თათრები“ მარტივ სახენელს „გეხკი“-ს ეძახდენ (პარეციკია: იქვე, IV, 136).

ერეენის მაზრაში მობინადრე „თათრებს“ ჩუთს გარდა სომხებსავეთ „ჯილდო“-ც ჰქონდათ, რომელიც უმთავრესად მთაში იხმარებოდა და უგოგორ-ფამფალაკო იარაღი იყო, პატარა, სუბუქი სახნისიანი. სწორედ ამით განსხვავდებოდა ის გუთნისაგანაო (მარკოვი: МИЭБГКЗК, III, 88—89).

თუმცა სომხებზე გაცილებით ნაკლებ, მაგრამ მაინც, სხვადსხვა თემში აღმ. და სამხრეთ ამიერ-კავკასიაში მცხოვრები, „თათრებად“ წოდებული, თურქებიც ხმარობდენ და ხმარობენ გუთანს. მაგ. განჯის მაზრის მალლობ ადგილებში (ნ. აბელოვი, МИЭБГКЗК, VII, 82), გუმბრის მაზრის შარორში (ს. ზელინსკი, იქვე, I, 35), ერეენის მაზრაში (მარკოვი, იქვე, III, 88—89), შარურისა და დარალაგიოზში (პარეციკია, იქვე, IV, 136). ზანგეზურის მაზრაში ორნაირი გუთანი იყო გავრცელებული: ერთს წინ საზიდი, ანუ ფამფალაკი არა აქვს და كير كوت „გერა ქოთან“-ი ეწოდება. მეორეს წინ საზიდი აქვს, ფამფალაკიანი და „ღირჩაქ-ქოთან“-ი كير كوت ჰქვია (ს. ზელინსკი, იქვე, IV, 79).

დასასრულ, გუთნით ბაქოს გუბ. მხოლოდ გოქჩისა, შემახიის, ლენ-ქორანისა და ყუბის მაზრებში და უმთავრესად ვაკე ადგილებში ხნავდენ (იქვე, II, ნაწ. I, გვ. 195, 347, 351 და Свод. МЦЭБГКЗК, IV, 229).

გუთანს „თათრები“ ჩვეულებრივ „ქაოთან“-ს უწოდებენ. მისი აგებულება ქართული გუთნისაგან არ განირჩევა.

## § 7. სომეხთა და „თათართა“ სახენელთა ტერმინების ანალიზი.

სახენელის აღმნიშვნელი სომხური და თურქული ტერმინები უნდა რამდენიმე მთავარ ჯგუფად დაიყოს. ჯგუფებად დაყოფის საფუძვლად ერთის მხრით თვით სახენელთა სახეობა უნდა იყოს მიღებული, მეორეს მხრით მათი ტერმინების სადაურობა. § 5 და 6—ითვან ჩანს, რომ სომეხთ:

1. მარტივი სახეობის, მხოლოდ-სახნისიანი სახენელის აღსანიშნავად სხვადასხვა თემში სულ 7 სხვადასხვა სახელი აქვთ: არორ, ვესკი, ჯკო, ან ჩუთ, კერა, გორწენ, სარვაზ და ალათ.

2. სახნის-ხმალიანი სახენელი ერთია, რომელსაც „არონაჲ“ ეწოდება.

3. სახნის-ხმალა-საკვეთლიანი და თითქოს ფრთიანიც ერთია, რომელსაც ერეენის მაზრაში „ჯილილი“-ს, ჯავახეთის სომეხთა შორის-კი „ჯღლა“-ს ეძახიან.

4. სრული, გაუმჯობესებულ-დამთავრებული სახენელი „გუთან“ი, რომელიც ზანგეზურში ორნაირი აქვთ: უფამფალაკო „კრე გუთან“ და გოგორა—ფამფალაკიანი „აკენ გუთან“.

ამიერ-კავკასიელ თურქთა შორის გავრცელებულია:

1. მარტივი აგებულების მხოლოდ-სახნისიანი სახენელები, რომელთაც სხვადასხვა თემებსა და კუთხეში სხვადასხვა სულ 4 სახელი ეწოდება: ხეშ, ალათ, ვესკი და ჯუთ, ან ჩუთ.

2. სახნის-ხმალა-საკვეთლიანი და თითქოს ფრთიანიც „ჯილილი“, რომელიც მხოლოდ ერეენის მაზრაში მოიპოვება.

3. სრული სახენელი „ქაოთან“, რომლის ორი სახეობა უფამფალაკო, „გერა-ქაოთან“ და ფამფალაკიანი, „ღირჩაჭ-ქაოთან“ მხოლოდ ზანგეზურში არსებობდა. სხვაგან ყველგან, სადაც ხმარობენ, ფამფალაკიანი გუთნებია.

სახენელთა ზემომოყვანილი სომეხ-თურქთა ტერმინები კუთვნილების თვალსაზრისით სამ ჯგუფად უნდა დაიყოს, რომელთაგან პირველ ჯგუფს სახენელის ხომეხთა და თურქთა საკუთარი, მარტო მათ შორის გავრცელებული ტერმინები შეადგენდენ. მეორე ჯგუფად კიდევ სომეხთა და თურქთა შორის გავრცელებული საერთო, ან უკეთ რომ ითქვას, ერთი-და-იგივე ტერმინი უნდა იქმნეს გამოყოფილი.

დასასრულ, მესამე ჯგუფად სომეხთა, თურქთა და ქართველთა საერთო ტერმინები იქნება დასახელებული.

მხოლოდ-სახნისიანი სახენელის ტერმინად საკუთრივ სომეხთა შორის გავრცელებულია ოთხი: არორ, რომელიც უძველესი დროითვან იხმარება, გორწენ, კერა და სარვაზ.

საკუთრივ თურქთა შორის გავრცელებულია მარტივი სახენელის მხოლოდ ერთი ტერმინი: ხუშ.

მარტივ სახენელთა ტერმინებთან სომხებსა და თურქებს საერთო 2 ტერმინი აქვთ: ვესკი და ალათ.

დასასრულ, ერთი ტერმინი საერთო აქვთ თურქებს, სომხებსა და ქართველებს, რომელსაც უთ, ჩთ, ან ჩუთი ეწოდება.

- მარტივი აგებულების სახენელის სომხურ სახელთან „არორ“-ი უძველესი დროითგან ცნობილი ტერმინია და ზოგადი მნიშვნელობა აქვს: სახენელსა ჰნიშნავს.

| ზორტუნ „გორწენ“ არც ძველი სომხურისა და არც ახალ დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში არ მოიპოვება: არც ამატურნი და არც აქარაიანს ასეთი ტერმინი თავიანთ ნაშრომებში შეტანილი არა აქვთ. ამის მიზეზი იქ არის გორტუნ „გორწოვარ“, რომელიც ყარაბაღსა და ახალ-ბადახეთში იხმარება, სახენელის, „არორ“-ის უკიდურესი წინა ნაწილის აღსანიშნავად, რომელზედაც უღელს ამაგრებენ ხოლმე (იხ. ზ. მანათიანის ზ. ზაძარ. გათარაჟ, 251). ასეთი მნიშვნელობა ზემოპოყვანილ ტერმინს არ უღდება. „გორწენ“ ნაწარმოებია ზმნისაგან „გორწელ“. რომელიც კმნას, მუშაობას, საქმის გაკეთებასა და უძველეს სომხურში მიწის დამუშავებასაც ჰნიშნავდა. ამნაირად, „გორწენ“ მიწის დასაწმუშებელი, იარაღის აღმნიშვნელი გამოდის. თავისი შინაარსის მიხედვით უფრო ზოგადი ტერმინია, ვიდრე რომელიმე გარკვეული სახეობის აღმნიშვნელი.

ზნი „კერა“ საშუალო საუკუნეების სომხურ ძეგლებში ჩნდება. ვენეტიკის დიდ სომხურ ლექსიკონში განმარტებულია კბილად და კლანქად, ჩანგლად. ვარდანის იგავ-არაკებში ეს სიტყვა თევზის დასაპერი კავის მნიშვნელობით არის ნახმარი (იხ. *Մ. Ամատուհնի-ს Հայոց բառ ու բնու*, გვ. 337). ჰ. აქარიანის ცნობით, ეს ტერმინი სახენელის აღსანიშნავად მართლაც ყარაბაღში იხმარება, მაგრამ იმავე დროს ჩამოსაკიდებელ კავსაც და დუგმასაც ჰნიშნავს (იხ. *Հր. Աճառեան, Հայերէն գուսարական բարբარ*, გვ. 564 და 565). უძველესია, ამ ტერმინის ძირითადი და თავდაპირველი მნიშვნელობა სწორედ კავიანობა უნდა ყოფილიყო და სახენელსაც ასეთი სახელი მისი ამგვარივე მოყვანილობის გამო უნდა დაპრქმეოდა. მართლაც „კერა“-ი თავისი აგებულებით უბრალო კავს წარმოადგენს კიდევაც. ამგვარად, „კერა“ მნიშვნელობითაცა და აგებულებითაც ქართულ კავს უდრის.

„ხარვაზ“-ი არც ძველ სომხურში და არც ახალი სომხურის დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში არ მოიპოვება. ეს გარემოება და მისი მხოლოდ ერთ პატარა კუთხეში, ზანგეზურის მახრის არჩის-ხეველ სომეხთა შორის, არსებობა ამ ტერმინის უცხო სტუმრად ჰბღის და, შესაძლებელია, ამავე მაზრაში გავრცელებულ „ალათ“-ივით, ნასესხები სიტყვა იყოს. მაგრამ მისი სადაურობა უკერ კიდევ გამოსარკვევია.

მარტივი აგებულების სახენელის საკუთრივ ამიერ-კავკასიელ თურქთა სახელი სხუშ არც ერთ თურქულ ლექსიკონში, თვით რადლოვისაშიც-კი, არ მოიპოვება. ამ სიტყვის ასეთი მნიშვნელობა არსადა ჩანს. მაგრამ

ამ ტერმინის ფართოდ გაერცელებულობა და ზანგეზურისა, განჯისა და ნუხის მაზრებში მისი არსებობის სხვადასხვა მეკლევართაგან დამოწმება ცხად-ჰყოფს, რომ აქ არავითარ გაუგებრობასთან არ უნდა გვეკონდეს საქმე და სახენელისათვის ასეთი სახელი მართლაც არსებობს. საფიქრებელია, რომ მისი ეტიმოლოგია, ან ზმნა, قشع "ყუშმაჲ", ან "ხეშ-მახ"-თან უნდა იყოს დაკავშირებული, რომელიც, რადლოგ-ის ცნობით, ოსმალურში მოხრას, დახრას ჰნიშნავს (sich krümmen, sich neigen: Versuch etc: II, 835), ან ზმნა قشع "ყაშიმახ", "ყაშიმაჲ"-თან, რომელიც ფხაქნას, ფხანას ჰნიშნავს. ამნაირად "ხეშ" ტერმინის ძირითადი და თავდაპირველი მნიშვნელობა, ან მოხრილი; ანუ კავი უნდა ყოფილიყო, ანდა ფხაქნია. საფიქრებელია, რომ პირველი ეტიმოლოგია და კავის აღმნიშვნელობა უნდა უფრო სწორე იყოს, მით უმეტეს, რომ თვით იმ სახენელის აგებულება-მოყვანილობას, რომელსაც ეს ტერმინი ეწოდება, ასეთი მნიშვნელობა ზედმიწევნით უღდება კიდევაც (იხ. აქვე, გვ. 259).

სომეხთა და ამიერ-კავკასიელი თურქთა მარტივი სახენელის საერთო სახელი სულ ორია: გესკი და ალათ-ი. პირველი პარტიკისა და ამიერ-კავკასიის გლეხთა ეკონომიური ყოფა-ცხოვრების შემსწავლელ მეკლევართა ცნობით (იხ. აქვე, გვ. 259 და ქრ. ვერმიშევის Свод. МИЭБГКЗК, IV, 225) თითქოს მხოლოდ ერევნის გუბ. შარურსა და დარალაგაოზშია მიღებული, მეორე კიდე მარტო ზანგეზურში.

მაგრამ პ. აპარიანის ლექსიკონითგან ჩანს, რომ "ვესკი", თუ "ვესკი" არც ისეთი იშვიათი სიტყვა ყოფილა. აპარიანს ამ ტერმინის მართებულ ფორმად ქსეჯი "ვესკი" მიაჩნია. მისი ცნობით, ასე ეძახიან ბაბერდ-ში, -ერევანში-კი ქსეჯი "ვესკი" ეწოდება. ხოლო ხოა-ში და ყარაბაღში ქსეჯი "გოსკი"-ს ეძახიან.

დასასრულ, სალმასტ-სა და ვან-ში ქსეჯი "ვიწკი" ეწოდება (იხ. ლაქერ. ფასარ. გათარას, გვ. 1000). ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ეს ტერმინი მარტო ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ სომეხთა შორის-კი არა, არამედ სპარსეთისა და ოსმალეთის ზოგიერთი თემის სომეხთა შორისაც ყოფილა გაერცელებული.

პ. აპარიანის განმარტებით ეს ტერმინი „ქსეჯი ცხად ცხად ფიქსან“ „ექვს-ულლიან გუთანს“ ჰნიშნავს (იქვე). მაგრამ ეს, უეჭველია, ხალხურ ეტიმოლოგიას უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც სომეხთა დამსახურებული ენათმეცნიერიც შეუცდენია. სომხურად „ვეც“ მართლაც ექვსსა ჰნიშნავს და სწორედ ამ უკვე გაუგებარი ტერმინის გასაზრიანებლად უნდა იყოს „ვესკი“, ან ვესკი“ ხალხის მიერ „ვეცკი“-დ ქცეული. სახენელის ამ სახელთან „ვეც“-ს, ექვსს და საერთოდ ექვს უღელს რომ არავითარი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს, სრულებით ცხადია იმ გარემოებითგანაც, რომ „ვესკი“ გუთნისა-კი არა, არამედ სწორედ მარტივი, ერთ-ულლიანი სახენელის სახელი იყო (იხ. აქვე გვ. 257 და ქრ. ვერმიშევის Свод МИЭБГКЗК, IV, 255).

ასეთივე ხალხური გაზარბიანების წყალობით უნდა იყოს წარმოშობილი ამ სიტყვის ყარაბაღული სახეობა „გოსკი“, რომელიც სომხურად ოქროსა ჰნიშნავს.

ამიტომ ამ ტერმინის პირველად სახეობად უნდა ერევნის სანახებში მიღებული „ვესკი“ იქმნეს მიჩნეული, რომელსაც იქაურ თურქთა გამოთქმაც მხარს უჭერს და ამაგრებს.

რაკი სახენელის ეს ტერმინი სომეხთა შორის, როგორც დაერწმუნდით ფართოდ არის გავრცელებული, თურქთაგან-კი მხოლოდ ერთი, სომეხთა მეზობლად მოსახლე, თემის მიწისმოქმედთ აქვთ, ამიტომ უფრო ბუნებრივია, დავესკვნა, რომ „ვესკი“ მათ სომეხთაგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული. მაგრამ სომხური ხალხური ეტიმოლოგიისა და გააზრიანების ზემომოყვანილი მაგალითებითგანაც ცხადი ხდება, რომ ამ ტერმინს სომურში ძირი არა აქვს და ხალხი ამ უცხო სიტყვის შინაარსის გაგებას ხალხური ეტიმოლოგიებისათვის ჩვეულებრივი გულუბრყვილო საშუალებით ცდილობდა.

ასეთი გულმოდგინე მცდელობა იმ გარემოებით უნდა იყოს გამოწვეული, რომ „ვესკი“ სომხური ხალხური ყოფა-ცხოვრების და მიწისმოქმედების შემთხვევითი, განმარტოებულად მდგომი, სტუმარი არ არის, არამედ ამ სიტყვასთან ტერმინთა მთელი რიგია დაკავშირებული. მაგ. *վիხկավոր* „ვიწკავორ“ ვანურ დიალექტში მხენელსა და მიწისმოქმედსა ჰნიშნავს, ერეენის სანახებში-კი *վեցկի* (თუ *վხակի*?) *ფესქ* სახენელით მუშაობას ეწოდება, ხოლო ყარაბაღში *վեցიց* „ვეცოც“ გუთნის მესამე უღელსა ჰქვიან (იხ. აქარიანის *Հայեր. գաղար. բարբარან*, გვ. 1000). ზემომოყვანილთაგან ცხადი ვახდებოდა, რომ „ვესკი“ სომხურ ლექსიკაში ფეხგადგმულობით ნამდვილ სომხურ ტერმინს „არორ“-ს თუ არ სჯობნის, არაფრით ჩამოუვარდება მაინც. მათ შორის მხოლოდ ის არსებითი განსხვავებაა, რომ „არორ“-ი ყველა სომხური დიალექტებისათვის საერთო სიტყვაა, „ვესკი“-კი ამიერ-კავკასიის მხოლოდ ოდნავ სცილდება სამხრეთის მიმართულებით და დიალექტთა მთელ წყებაში, როგორც მაგ. მუშისაში და სხვაგანაც, არა ჩანს.

რაკი „ვესკი“-ს სომხურში ეტიმოლოგია არ უჩანს, მისი თვისტომნი უნდა სხვა ენებში ვეძიოთ. არც არაბულში, არც სპარსულში და არც თურქულში სახენელის აღმნიშვნელი ოდნავ მაინც მსგავსი სახელი არ მოიპოვება. ამიტომ ამ საკითხის გამოსარკვევად გულისყური ბუნებრივად სომეხთა მეზობელ საქართველოსაკენაც უნდა იყოს მიპყრობილი. ამას ის გარემოებაც გვიკარნახებს, რომ „ვესკი“ უმთავრესად ამიერ-კავკასიაში და მის მახლობლად მცხოვრებ სომეხთა შორის არის გავრცელებული, შორეულ სომეხთათვის-კი ეს ტერმინი უცნობია. როგორც უკვე ვიცით, საქართველოში გავრცელებულ სახენელთა სახელებს შორის გარკვეული ხანითგან ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ერქუანი, რომლის პარალელურ, ხევისურეთში დაცულ, ფორმას „ვერქვანი“ წარმოადგენს. თუ ვავიხსენებთ, რომ ქართულში „რ“-სა და „ს“-ს შენაცვლება ჩვეულებრივი მოვლენაა, მაშინ „ვესკი“ შესაძლებელია ვერქვანის ბოლომოკვეცილ და სახენაცვალ ფორმად გვეგულისხმება. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ ეს ტერმინი სომხურს უძველეს ხანაში უნდა ჰქონდეს შეთვისებული, როდესაც ერქუანი ჯერ კიდევ მხოლოდ მარტივი აგებულების სახენელის აღმნიშვნელი იყო.

სომეხთა და თათართა შორის სახენელის აღსანიშნავად გავრცელებული ტერმინი „ალათ“-კი არაბული სიტყვაა *آلات*, ალათ-ისაგან ნაწარმოები მრ. რ. ფორმა და იარაღს, მანქანას, და სხეულის ნაწილს, ასოსა, ჰნიშნავს. ამიტომ ეს სიტყვა სახენელის განსაკუთრებული ტერმინი არ არის, არამედ მხოლოდ ზოგადად იარაღისა.

ებლა რომ სახენელთა ამიერ-კავკასიელ თურქთა, სომეხთა და ქართველთა საერთო ტერმინების განხილვას შეეხდებოდა, პირველად მარტივი აგებულების იარაღის სახელს „ჩუთ“-ს უნდა შევეხოთ. ასე ეწოდება ამ სახენელს აღმ. საქართველოში. დასავლეთ საქართველოში ასეთ ტერმინს არა ხმარობენ. აღსანიშნავია, რომ ჩუთი არც ს. ორბელიანს აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი.

თურქები მარტივ სახენელს ზოგან „ჯუთ“-ს, ზოგან „ჩუთ“-ს უწოდებენ. ეს ტერმინი მათ შორის საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული: ყუბის მაზრის მთა-ადგილებში, ყაზახში, გოგჩისა და ზანგეზურის მაზრაში, გუმბრის შარორში და ერევნის მაზრაშიც ხმარობენ.

სომეხთა შორის ერევნის მაზრასა და ყაზახში იხმარებოდა.

ამ მიმოხილვიდან ჩანს, რომ ყველაზე მეტად ეს ტერმინი თურქთა შორის არის გავრცელებული.

გოგჩისა და ზანგეზურის გლეხთა ეკონომიური ვითარების მკვლევარი ამტკიცებდა, რომ იქაური მცხოვრებნი მარტივ სახენელს „ჯუთს“, ან „ჩუთს“ შეტყობით უწოდებენო, რათგან „ჯუთ“ წყვილსა და უღელსა ჰნიშნავს და რაკი მარტივ სახენელში ერთ-უღელს ხარს აბამენ, ამიტომ და აქეთგან ამ იარაღსაც იგივე სახელი ეწოდაო (იხ. Материалы по изуч. эконом. быта государст. крестьян Закавказ. Краев. VI, 128 და Свод Материалов, т. IV, გვ. 255—256).

„ჯუტ“ چغ სპარსული სიტყვაა და წყვილს და მეუღლეებს ჰნიშნავს, „ჩიტა“ چغ-კი ოსმალურია და უღელსა და წყვილსვე ჰნიშნავს, მაგრამ აგრეთვე უღელეულსაც, დლიურსაც. ხოლო چغ سورت „ჩიტა სვრმეკ“ ჩიტის, ანუ უღელეულის წყუასა, მიწის დამუშავებასაც ჰნიშნავს. მხოლოდ კლ აპროთსა აქვს თავის ნაშრომში აღნიშნული რომ „ჩიტა“-ი სტამბოლელ თურქებს სახენელის მნიშვნელობის ტერმინად ჰქონდათ. სხვაგან არსად ასეთი მნიშვნელობა არ არის ოსმალურში აღნიშნული, არაბ ენათმეცნიერსაც თურქული ენის ლექსიკონში ეს სიტყვა არ მოეპოვება. ეს გარემოება ჩუთის თურქულად მიჩნევისათვის დამაფიქრებელია.

ამას გარდა, ქართულს სპარსული სიტყვა چغ „ჯუტ“ წყვილი, შეთვისებული ჰქონდა სწორის, ტოლისა და მეუღლის მნიშვნელობით, მაგრამ ჩუთსა-კი არა, არამედ „ჯუთი“-ს სახით (იხ. შაჰნამე-ს, ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, იუს. აბულაძის გამოც. გვ. 354, § 1293, და სხვაგანაც). რაკი სპარსულში „ჯუთი“ არას. დროს სახენელს არ ჰნიშნავს, ამიერ-კავკასიელ თურქებსაც, ოსმალურის მსგავსად „ჩიტა“-ი-კი არა, არამედ „ჯუტ“-ი, ან „ჩუთ“-ი აქვთ, ოსმალურშიც „ჩიტა“-ი სახენელს არ ჰნიშნავს, ამიტომ ამ ტერმინის წყვილისა და უღელეულის აღმნიშნელი სიტყვისაგან წარმოშობილობის აზრიც სათუო ხდება.

ამასთანავე, სახენელთა ქართული სახელების განხილვის დროს, უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ სახენელის დე ნაწილს, რომელსაც სახნისი აქვს გაკეთებული, „ჩაფულა“ და „საცვეთი“ ეწოდება და ამის გამო შესაძლებელია, რომ აღმ. საქართველოში მიღებული „ჩუთი“ ჩუსტის ისეთივე სახენაცვალი იყოს, როგორცაა თუშური „ჩუთი“, და ამავე დროს მეგრული ჩაფულას შესატყვისო-

სობას წარმოადგენდეს. სახენელის ამ ნაწილის იარაღისათვის მთავარი მნიშვნელობის გამო მისი სახელი შესაძლებელია მთელი იარაღის მნიშვნელობა მიჰნიჭებოდა (იხ. აქვე, გვ. 199-200) ისევე, როგორც რაჭულში ქუსლ-კბილას, ანუ ჩათულას ეხლაც „სახენელი“ ეწოდება, ტერმინი რომელსაც უკვე ძველ ქართულში ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდა მოპოვებული და იარაღის მთლიანად აღმნიშვნელი იყო. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ უნდა გვეფიქრა, რომ სომხურსა და ამიერ-კავკასიის თურქულში ჯუთი და ჩუთი ქართულითგან უნდა იყოს შეთვისებული. მაგრამ ამ საკითხის დანამდვილებით გადაწყვეტა ძნელია, რათგან ქართულ ძველ ძეგლებში ეს ტერმინი არა ჩანს და, როდის ჩნდება იგი, ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

სომეხთა და „თათრებს“ შორის სახენელის აღსანიშნავად ტერმინად „ჯილი“-ც იხმარებოდა, რომელსაც იქ ჰატარა სახნისი და საკვეთელი ჰქონდა, თითქოს ფრთაც. საქართველოში, როგორც დაერწმუნდით (იხ. აქვე, 264-266), ჯილია სახნის-ხმალა-საკვეთლიანი, უფროს სახენელი იყო, რომელშიც ოთხ, ან ხუთ-ულელა ხარს აბამდენ. რაკი „ჯილი“ ამიერ-კავკასიელ თურქთა შორის არსად, ერევნის მაზრას გარდა, არ არის ცნობილი და თურქთა სხვა ტომებს შორისაც კავკასიის გარეშე არსად არა ჩანს, ამიტომ ცხადია, რომ ეს სახენელი თურქული სახენელი არ უნდა იყოს.

ამგვარადვე, რათგან „ჯილი“, ანდა „ჯილაჲ“ ძველ სომხურში არსადა ჩანს და 2-ე XIX—XX ს. სომეხთა შორისაც მხოლოდ ერთს, განსაზღვრულ თემშია ცნობილი და ოსმალეთის სომეხთათვის სრულებით უცნობი იარაღი და ტერმინია ისე, რომ არც ლეჟა „ჯილა“, არც ლეჟა „ჯილა“ და არც ჯილის სახით *Г р и ж и р ъ л а р џ а ყ ხ ს ი ს* „ჩიაიქჩე ჯაკაყხან ქეიჩ“, სომხური ენის ლექსიკონში (კონსტანტინეპოლის 1846 წ. გამოცემა) არ მოიპოვება, ამიტომ უეჭველია, რომ ეს სახენელი მისი სახელითურთ ოსმალეთითგან ჯავახეთში გადმოსახლებულ სომეხებს მესხეთში მცხოვრებ ქართველთაგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული.

მართალია, ოსმალურში არსებობს ტერმინი *جلف* „ჯილარ“, რომელიც James W. Redhouse-ის „A Turkish and English Lexicon“-ში ასეა განმარტებული: დამატებითი ულელი ხარი, რომელსაც აღმართზე მიუბამენ ხოლმეო (1921 წ. გამ., გვ. 1160). საამის თურქულ ლექსიკონში ზემოპოყვანილ ფორმას გარდა *جلفا* -იც არის მოყვანილი და ისევეა განმარტებული, როგორც უკვე აღნიშნული იყო<sup>1</sup>. ზემოდასახლებული ინგლისელი ლექსიკოგრაფი ამ ტერმინს თურქულ სიტყვად სთვლის, მაგრამ არა ჩანს, თუ რა საბუთით. თურქულში მაინც-და-მაინც მას ძირი და თვისტომნი არ უჩანან. ამასთანავე სახენელის ქართული სახელის ჯილისა და აღმართზე მისაშველებელი და მისაბმელი ერთ-ულელა ხარის აღმნიშვნელ ოსმალურ „ჯილარ“-ს შორის არსებობს, თუ არა, რაიმე კავშირი, და თუ არსებობს, ამ კავშირის ვითარების შესახებ დანამდვილებით რისამე თქმა ძნელია. ქართული ჯილია რომ ოსმალურითგან შეთვისებული ტერმინი ყოფილიყო და ვიფიქროთ, რომ ეს სიტყვა სახენელის მნიშვნელობით შესაძლებელია ოდესღაც თურქულსაც ჰქონოდა, მაშინ

1). თურქული ლექსიკონითგან ამოღებული ამ ცნობის მოწოდებისათვის ს. ჯიქიას დიდ მადლობას ვუძღვები.

ჯილდა, რასაკვირველია, უპირველესად ოსმალეთში მცხოვრებ სომეხთა შორის უნდა ყოფილიყო და ამიერ-კავკასიელ თურქთა შორისაც ფართოდ იქმნებოდა გავრცელებული. მაგრამ, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ოსმალეთის სომხურ დიალექტებში ეს ტერმინი სრულებით არა ჩანს და ამიერ-კავკასიელ თურქთა შორისაც, ერთ თემს გარდა, გავრცელებული არ არის. ეს ორი გარემოება „ჯილდის“ ოსმალურიდან შემოსულობას მეტად სათუოდ და დაუჯერებლად ხდის.

საქართველოში ამ სახენელს ქართულ სახენელთა განვითარებაში გარკვეული, სრულიად გაუმჯობესებელი ერქუანის წინამორბედისა, ადგილი უკავია და, როგორც აღნიშნული გვექონდა (აქვე, გვ. 271), მე-V ს-ზე გაცილებით უწინარეს უნდა იყოს შემოღებული. ეს ტერმინი ზოგადად სახენელის მნიშვნელობით მე-XVIII ს. დამდეგს დაწერილ ძეგლშიც გვხვდება. რათგან არაერთგვაროვანი, ოდნავ მაინც მსგავსი ისტორიული წარსული ჯილდას არც სომხურში და არც თურქულში არ უჩანს, ამიტომ ცხადია, თუ სად უნდა ვეძიოთ ჩვენ ის ქვეყანა, რომლითგანაც ეს სახენელი სომეხთა და ამიერ-კავკასიელ თურქთა შორის უნდა გავრცელებულიყო.

„არონაჲ“ - სახენელის სახელად არც ერთ სომხურ დიალექტში არ მოიპოვება. არც ამატუნის და არც აქარიანს ეს სიტყვა თავიანთ სომხურ დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში შეტანილი არა აქვთ. მხოლოდ ჯავახეთში გადმოსახლებული სომხები ხმარობენ ამ იარაღსა და ტერმინს. რაქი, როგორც დაერწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 201.-203), არონას საქართველოში გავრცელებულ სახენელთა სისტემაში გარკვეული ზღვილი უკავია და სრულებით გარკვეული აგებულების სახენელის ტერმინად არის ქცეული, სომეხთა შორის-კი მას ფესვი არსად სხვაგან, საქართველოს ზემოთში ჩასახლებულ სომეხთა გარდა, გამდგარი არა აქვს. ცხადია, რომ ჯავახელ სომხებს არონაჲ ქართულითგან აქვთ მე-XIX ს-ში შეთვისებული. მაგრამ, როგორც თავის ადგილას ნათქვამი გვაქვს (იხ. აქვე, გვ. 237), თვით ქართველებსაც არონაჲ უნდა ძველ ხანაშივე ჰქონდეთ დასაქვითისაგან შეთვისებული.

დასასრულ, გაუმჯობესებული, სრული სახენელის შესახებ, რომელსაც სომხურად *გაღჭან* „გუთან“-ი ეწოდება, ამიერ-კავკასიის თურქთა შორის-კი *ანკოქაოთან*“-ს ეძახიან.

ჩვეულებრივ გუთანად ყველგან საზიდიანი დიდი, სრული სახენელი იგულისხმება. მხოლოდ ზანგეზურის თურქთა და სომეხთა შორის არის, არსებული ცნობები მხედვით, ორნაირი სახეობის სახენელი მიღებული: საზიდიანი, ფამფალაკიანი, რომელსაც თურქები „ღირჩაქ-ქაოთან“ ს უწოდებენ, სომეხები კი იდეგ „აქნე გუთან“-ს უძახიან, და უფამფალაკო, რომელსაც თურქები „გერა-ქაოთან“-ად და სომეხები „კრე გუთან“-ად სახელსდებენ.

ქართულად, როგორც ვიცით, უფამფალაკო სრულ სახენელს თავისი განსაკუთრებული ტერმინი ჰქონდა და ერქუანი ეწოდებოდა. თურქებსა და სომეხებს ასეთი სპეციალური სახელი არ ჰქონიათ, და ამ ორ სახეობას ერთმანეთისაგან „გუთნის“ სახელის წინ მიმატებული სიტყვით არჩევდენ.



„თათართა“ და სომეხთა შორის გავრცელებული უფამფალაკო გუთნისათვის „გერა-ქაოთან“ და „კერ-გუთან“ თურქული სიტყვა *كر*. „გერა“. ანუ *كر*, „გირკ“ უნდა იყოს, რომელიც უკანას კნიშნავს. ეს სიტყვა „გერი ქაოთან“ „უკანა გუთან“ ფამფალაკიანი სახენელის გაჩენის შემდგომ უნდა იყოს შემოღებული და ტერმინად ქცეული. გუთანი, როგორც დაერწმუნდით, ორი ნაწილისაგან შედგება: უკანა ნაწილს სახენელი წარმოადგენს, ქართულად ძველად ერქვანად წოდებული, — წინა ნაწილად-კი ორთვალა საზიდი აქვს, რომელსაც ქართულად ფამფალაკი ჰქვია. რაკი არც სომხურსა და არც თურქულს ამ ნაწილებისათვის განსაკუთრებული სახელები არ მოეპოვებოდათ, საფიქრებელია, ამიტომ ხალხს გუთნის წინა და უკანა ნაწილების გარჩევა მდებარეობისა და ნიშანდობლივი თვისების მიხედვით დაუწყია და ამნაირად ერქვანს, ანუ უფამფალაკო გუთანს თურქულად „უკანა გუთანი“, „გერა ქაოთან“ ეწოდა. ეს ტერმინი შემდეგში სომეხებსაც შეუთვისებიათ, რათგან *كرد قوچان* „კრე გუთან“ იგივე თურქული გამონათქვამი უნდა იყოს.

ფამფალაკიანი სახენელის სომხური ტერმინი. *სკნს ფიქსან* „აკნე გუთან“ სიტყვა-სიტყვით „თელიან გუთან“-ს კნიშნავს. თურქული შესატყვისი ტერმინი „დირჩაქ-ქაოთან“, რომელიც ს. ზელინსკი ს *كرد قوچان*-ად აქვს არაბული ასოებით ჩაწერილი, საფიქრებელია ნამდვილად *كرد قوچان* „დევჩაქ-ქაოთან“-ად უნდა იყოს დაწერილი. „დევჩაქ“ არაბულ-თურქული წარმოება, ანუ, უკეთ რომ ითქვას, არაბული *قوچان* „ღაერ“-ისაგან ნაწარმოები კნინობითი ფორმა უნდა იყოს. არაბული სიტყვა რკალსა კნიშნავს, და ამგვარად „დირჩაქ-ქაოთან“-იც, სომხური ზემოგანხილული ტერმინივით, თელიან გუთანს კნიშნავს.

სომეხთა შორის გუთანი, მე-XIX და მე-XX სს. ცნობების მიხედვით, ფართოდ არის გავრცელებული. ამიერ-კავკასიის გლეხთა ეკონომიური ყოფა-ცხოვრების შემსწავლელ მკვლევართა საპაქ ამატუნის და მალხასიანის მიერ ამ იარაღის გავრცელებულობის ასპარეზად დასახელებულია შარური და დაღარაგაოზი, განჯის მთა ადგილები, ზანგეზური, ძველი სომხური გეოგრაფიული ნომენკლატურით არარატის, ვანანდის, შირაკისა, შუშისა და ბასიანის სანახებნი, ხოც და ჯავახეთის სომეხნი.

მაგრამ, როგორც უკვე აღნიშნული გვექნა (იხ. აქვე, გვ. 180), ტერმინი „გუთან“ ძველ სომხურში არ იყო და ეს სიტყვა იქ შედარებით ძალიან გვიან არის შეხიზნული.

ამიერ-კავკასიის თურქთა შორის გუთანი, თუმცა უფრო ნაკლებად არის გავრცელებული, მაინც დიდი მანძილის ასპარეზი უკავია. ლენქორანის, ყუბის ბარი, შემახის, გოქის, განჯის მთა-ადგილების, გუმბრის შარურის, ერევნის შარურ-დაღარაგაოზისა, ზანგეზურისა და ზოგი სხვა სანახებნი მცხოვრებნი ნიადაგის სათანადო პირობებში ამ იარაღს ხმარობენ.

მაგრამ უკვე ის გარემოება, რომ „გუთანი“, ამიერ-კავკასიის თურქთა და ნაწილობრივ ოსმალეთის აღმოსავლეთის თემების თურქთა გარდა, სხვა თურქთ ტომთა შორის სრულებით უცნობი ტერმინია, ცხად-ჰყოფს, რომ „გუთანი“ სახენელის თურქ ტომთა სახელი არ უნდა იყოს. მართალია, James W. Re-

chouse-ს თავის თურქულ-ინგლისურ ლექსიკონში قران "კუთან" თურქულ სიტყვად აქვს აღნიშნული (იხ. გვ. 1480), მაგრამ ეს აზრი სრულებით მცდარი უნდა იყოს. სახენელის ნამდვილი თურქული ტერმინი „საბან“, იხ. „საფან“-ი უნდა იყოს. უკვე კლავროთ-ის<sup>1</sup> სათანადო ადგილას (იხ. აქვე, გვ. 250) მოყვანილი ცნობითგან ჩანს, რომ ყარანოღელთ სახენელის აღსანიშნავად მხოლოდ ეს ტერმინი ჰქონდათ. აღმოსავლეთ-თურქულშიც სახენელს صبان „საფან“-ი ეწოდება (იხ. Pavet de Courteille-ის Dictionnaire Turk-Orientale, 333. charrue, fronde) و صبان ხელნა (manche de la charrue). აკად. რადლოუ-ის ცნობით ეს ტერმინი კომანურში, ყაზანურში, ყირგიზულში და ოსმალურში მოიპოვება (იხ. Versuch IV, 414).

თვით ოსმალეთშიც, სადაც ტერმინი გუთანიც არსებობს, გაუმჯობესებული სახენელის ნაწილების ყველა სახელი სწორედ „საბან“-თან არიან დაკავშირებული, მაგ.: სახნის ჰქვიაں صبان تيموري „საბან-თემირი“, ე. ი. სახნისის რკინა<sup>1</sup>, კბილა-ქუსლს صبان او كجاسى ეს „საბან-ქქესი“, კბილას صبان بوروي „საბან-ბურუნუ“, ე. ი. საბანის ცხვირი,—ხელნას صبان آغاجى „საბან-ალაჯი, ე. ი. საბანის ხე და სხვა (იხ. Radlow-ის, Zenker-ისა და James W. Redhouse-ის ლექსიკონები).

ამ მხრივ ყველა თურქ ტომთაგან ერთად-ერთ გამონაკლისს ამიერ-კავკასიელი თურქები შეადგენენ, რომელთაც ტერმინი „საბანი“ არა აქვთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყაზანიტაგან დაწყებული სტამბოლამდე მობინადრე თურქ ტომთა შორის სახენელის აღმნიშვნელ ტერმინად სწორედ „საბან“-ია, ცხადი გახდება, რომ თურქ ტომთა მოსახლეობის ზოლის შუაში მოქცეულ წევრსაც, ამიერ-კავკასიელ თურქებს, ოდესღაც ასეთივე ტერმინი უნდა ჰქონოდათ, მაგრამ დროთა განმავლობაში, ამიერ-კავკასიაში ბინადრობის დროს, სახენელის ადგილობრივ სახელს, გუთანს, „საბან“-ი სრულებით დაუჩრდილავს და დაუვიწყებინებია. ამიერ-კავკასიის მოსახლეობა ოსმალეობსაც აქითგანვე უნდა ჰქონდეთ გუთანი შეთვისებული, მაგრამ, რაკი, მათზე ამ ქვეყანას დაშორებულობისა და პოლიტიკურად გამიჯნულობის გამო, ისეთი ძლიერი გავლენის მოხდენა არ შეეძლო, ამიტომ ოსმალურმა საერთო თურქული ტერმინი „საბან“-იც შეინარჩუნა და გუთანიც, უმთავრესად აღმოსავლეთ ვილაეთებში, შეითვისა.

უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ძველი და საშუალო საუკუნეების სომხურში ტერმინი „გუთან“-ი არ ჩანს, რომელიც სომხურში შედარებით გვიან ჩნდება. ეს გარემოება თავის-და-თავად საკმაოდ სწყვეტს საკითხს და ამ სიტყვის შეთვისებულობის აზრს უნებლიეთ პბადებს. თუ გავიხსენებთ, რომ ქართულში „გუთანი“ მგ. XIII ს-ში უკვე სრულებით გაბატონებული ტერმინია, ცხადი გახდება, რომ იგი ერთი საუკუნით მაინც უწინარეს უნდა ყოფილიყო გაჩენილი. რაკი ამიერ-კავკასიელ თურქებს გუთანი თითონაც მეზობლებისაგან შეთვისებული უნდა ჰქონდეთ და გუთანი მათ შორის უფრო ნაკლებადაცაა გავრცელებული, ვიდრე თვით სომეხთა შორის, უკვეელი უნდა იყოს, რომ შეუძლებელია ეს

<sup>1</sup> საკეთლის ტერმინად I. W. Redhouse-ს صبان ساجى, صبان قلاجى აქვს დასახელებული პირველი „საბანის დანა“, მეორე „საბანის ხმალს“ ჰნიშნავს. მაგრამ კლავროთ-ის ცნობით „კლიჩ“-ს ნოღაღნი სახნისის აღსანიშნავად ხმარობდენ.

სახენელი სომხებს ამიერკავკასიელ თურქთაგან ჰქონოდათ შეთვისებული. რათ-სკან სომეხთა მეზობლებს შორის, ქართველებსა ღ ამიერ-კავკასიელ თურქთ გარდა. გუთანი სახენელის გაუმჯობესებული ჩვეულებრივ სახელად არავის ჰქონდა, და ქართველები „გუთანს“ უკვე XIII ს. ჰხმარობდნენ, ამიტომ ლოლიკური აუცილებლობით უნდა დავასკვნათ, რომ გუთანის შეთვისება სომხებს მხოლოდ ქართველებისაგან შეეძლოთ.

ამ საკითხის გადაწყვეტა სხვა საბუთებითა და მოსაზრებებითაც შეიძლება და ზემომოყვანილი დასკვნის შეურყეველობისათვის ამაზე საუბარიც აუცილებელი არის.

რამდენადაც ჯილღას, არონასა და გუთანს „არორ“-ისაგან განსხვავებული აგებულება ჰქონდა, ცხადია, რომ ამ განსხვავებული ნაწილებისათვის განკუთვნილი ახალი ტერმინები იყო საჭირო. მათი სადაურობაც თვით ამ იარაღთა სახეობის სადაურობის მიგნებასაც გაუადვილებს მკვლევარს. ამ ნაწილების სახელები აღნუსხულია ჰ. მალხასიანის და გ. ჩიტაიას ნაშრომში, პირველს ჯავახეთში მცხოვრებ სომეხთა შორის შეკრებილი მასალის მიხედვით, მეორეს ს. დიდი დაღეთის სომეხთა შორის ჩანაწერისამებრ.

ჯავახეთში მოზინდარე სომხები მე-XIX ს. ოცდაათიან-ორმოციან წლებში არიან ოსმალეთითგან, ბასიანის სანახებითგან გადმოსულნი და დასახლებულნი (იხ. ჩემი „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, ტფილისი, 1919 წ., გვ. 39—40 და ჯ. *Մակխասხან ჯայ ფიქილიქ აქიმიძე, Ազգագր. ჯანդჯ., 1898 წ. № 1, გვ. 362*), ხოლო დიდ-დაღეთელი სომხები ყარაბაღითგან არიან გადმოსახლებულები (იხ. გ. ჩიტაიას „ეთნოგრ. მოგზაურობიდან“, გვ. 1207). ამნაირად, ჩვენ განკარგულებაში ორი ერთმანერთისაგან დაშორებული სომეხთა ტომის ტერმინოლოგია არის, რაც საკითხის უფრო მრავალმხრივ განხილვას ხელს შეუწყობს.

უკვე ძველადვე სომხურს, როგორც დავრწმუნდით, ხელნას ძველი ქართული ტერმინი „მანკ“-ი ჰქონდა შეთვისებული (იხ. აქვე, გვ. 228.) რომელიც თანამედროვე ქართულს „მანკუა“-სა და „მანკო“-ს სახით აქვს დაცული.

მას შემდგომ, რაც ერქუანსა და გუთანს, ფრთის გაკეთების გამო, ორი დიდი და პატარა, მანკუები“ გაუმართეს, სომხურშიც ასეთივე ტერმინები გაჩნდა და მაგ. ს. დიდი დაღეთის მცხოვრებნიც ქართველების მსგავსად *მანკ მანკ-ს* და *ყონიორ მანკ-ს*, ე. ი. დიდსა და პატარა მანკუას ეძახიან (იხ. გ. ჩიტაიას ეთნოგრაფ. მოგზაურ., 209).

ჯავახეთის სომხები ამის მაგიერ *ჯე მანკ* „-ს, ე. ი. დიდალ მანკუას და *იოტ მანკ* „ფორმ მანკ“-ს, ე. ი. მამალ მანკუას უწოდებენ (იხ. მალხასიანის ნაშრომის გვ. 377).

ჯავახეთის სომხები „ფრთის“ *ჯიჩაღარან-ს* უწოდებენ (ჯ. *Մակխასხან, გვ. 376* და სურ. II, 11—12). *ჯიჩ* „ჩიმ“ თურქული *چ* ბალახიან ბელტს ჰნიშნავს, *ღარან* დევრან-კი არაბული *نور* სიტყვაა და მობრუნებას, გადაბრუნებას ჰნიშნავს. ამგვარად მთლიანად თურქული ტერმინი ბელტის საბრუნავს ნიშნავს. ამას გარდა *აქალ-ქაქაქაქა* „ალაღ-თახთასი“-ც იხმარება (იქვე, გვ. 376). აქეთ, თუ არა, ამ თურქთაგან შეთვისებულ სიტყვას გარდა, სახენელის

ამ ნაწილისათვის სხვა რაიმე ტერმინი, 3. მალხასიანის აღნიშნული არა აქვს. ს. დიდი დაღეთის სომხები კი ზემომოყვანილი სიტყვის მაგიერ ტერმინად *ქხა* „თევ“-სა და *აქანგ*-ს „აიანქ“-ს ხმარობენ (გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიკა, 209). აკარაიანის სომხური დიალექტოლოგიური ლექსიკონითგან ჩანს, რომ „თევ“ გუთნის ფრთის მნიშვნელობით კიდევ მხოლოდ ლორეს, ყარაბაღისა და ახალ-ბაიაზეთის სომეხთა შორის იხმარება (იხ. ჯაყ. ვადაშვილი. *გაიარანს*, გვ. 568). „თევ“ ფრთასა ჰნიშნავს და, უეჭველია, ქართული ტერმინის სომხურ თარგმანს წარმოადგენს.

დაღეთელ სომხებს ქართული „აკაკაბი“-ც შეუთვისებიათ *კაკაყი* „აკაკა“-ის სახით (იქვე), რომელიც არსებული სომხური დიალექტოლოგიური ლექსიკონების მიხედვით არსად სხვაგან არ იხმარება. ამაზე უფრო მეტი გავლენა ჯილიღისა და გუთნის წინა ნაწილს, საზიდს, მოუხდენია: ამ საზიდის ზოგი ნაწილის სახელი სომხურში ქართულითგან არის ნასესხები. ასეთ ქართულითგან ნასესხებ ტერმინებად უნდა იქმნენ მიჩნეულნი: *კილქაყი*, „შოლტაჟ“, ან *კილქა* „შოლტე“, *ქხრსიქი* „ფერსოვ“, *ასრქაჟ* „სარკაჟ“ და სხვა (ეს ტერმინები იხ. ჯ. შალქასაძის ნაშრომში, გვ. 377, 380, 373, 374, სხვაგანაც და სურ. I, 17, 13, 14,—II, 16,—1, 3. 6).

„შოლტაჟ“ და „შოლტე“ უდრის ქართულ „შოლტა“-ს და სომხურადაც იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ქართულად.

„ფერსოვ“ უდრის მნიშვნელობითაც და წარმოშობითაც ქართულ „ფერხო“-ს, რომელიც, ს. ორბელიანის სამართლიანი განმარტებით, არის „ურმის თვალის გარეშემო“ (ლექსიკ.).

„სარკაჟ“ ოდნავ უფრო ზეცვლილია: თავში მას „ა“ აქვს ჩამოცლილი და „რკ“-ც ადგილშენაცვლებულია. ამგვარად „სარკაჟ“ წარმომდგარია ქართული „ასაკრავი“-საგან, რომელიც ს. ორბელიანის სამართლიანი განმარტებით, „ერქუანთ და ურემთ ასაბმელი“ არის (ლექსიკ.). სომხურშიც „სარკაჟ“-ს იგივე დანიშნულება აქვს.

არც ერთი ამ ტერმინთაგანი, ჯავახეთის სომეხთ გარეშე, არსად, სხვა რომელსავე სომხურ დიალექტში არ იხმარება და არც გრიგოლ ვარუაშვიტის, არც საჰაკ ამატუნისა და აკარაიანის ლექსიკონებში მოიპოვება.

ზემომოყვანილს უნდა დაერთოს ზენასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ტერმინი „*მოიფამ*“ „*მოღგამ*“ (იხ. ჯ. შალქასაძის ნაშრომი, გვ. 365 და 373, 378). ჯავახეთში გადმოსახლებულ სომხებს გარად, ეს ტერმინი *მოიქამ*-ის სახით საკუთარ სომხეთის შირაკის თემშიც იხმარება სწორედ ასევე გუთნით ერთად, ამხანაგობით მხენელის მნიშვნელობით (იხ. *შ. Ամասունჯի*-ს *Հայոց բառ ու բան* გვ. 496).

3. მალხასიანის განმარტებით, *მოიფამ* „*მოღგამ*“-ი შეერთებული ძალითა და საქონლით ერთად მხენელს 2, ან 3, ან და 4 სახლობას ეწოდება და, ამავე ავტორის აზრით, თვით ეს ტერმინიც ვითომც ორი სომხური სიტყვისაგან (*მოი* და *ფაჟ*) არის წარმომდგარი (იხ. იქვე, გვ. 373, შენ.\*).

*შოთ* „*შოტ*“ სომხურად ახლოს ჰნიშნავს, *ფამ* „*გამ*“—„მოვდივარ“-ს. ასეთი „ახლომოვდივარ“ წარმოებისაგან არსებითი სახელი ვერ გაჩნდებოდა და მო-

დგამ-საც ამ ორ სიტყვისთან, ცხადია, საერთო არაფერი აქვს, რათგან ეს ტერმინი სომხური არც-კია, არამედ ნასესხები ქართული „მოდგამი“ არის, რომელიც ეხლაც ცოცხალი სიტყვაა და უძველესი დროითანვე ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში მიღებული ტერმინი იყო. საბა ორბელიანის სამართლიანი განმარტებით, მოდგამი „ფართო მოდგამი“, ე. ი. მშველელი და „ჯილის მოზიარე“, ანუ სახენელით ხენის დროს მონაწილე იყო (იხ. ლექსიკ.: მოდგამი და მეკომე).

ამ ტერმინს სომხურში თვისტომნი არ გააჩნია, ქართულში-კი ბევრი მონათესავე სიტყვა მოეპოვება, როგორცაა მაგ. მიმდგომი, მიდგომა, თანამდგომი, თანადგომა, შედგომა, შენადგამი, წარდგომა, ან და საწინააღმდეგო-ცნების გამომხატველი ვადადგომა და სხვაეც ბევრი.

ზემომოთხრობილითგან ცხადი ხდება, რომ სახენელი იარაღისა და მისი ნაწილების ისევე, როგორც ხენის შესახები ტერმინოლოგიითგან სომხურში 9-10 სიტყვაა ქართულითგან ნასესხები, ან ნათარგმნი. ეს შეთვისებული ტერმინები უმთავრესად გაუმჯობესებულ სახენელებსა და მათ ნაწილებს ეხებიან, მეტადრე ფრთიანს და საზიდიან სახენელებსა და მათ ნაწილებს. მარტივი აგებულების სახენელის „არორ“-ისა და მისი ნაწილების ტერმინები კი ნამდვილი სომხურია, მან „მაკ“-ის გარდა, რომელიც უძველეს დროსევა ქართულითგან ძველ სომხურში შეთვისებული. აქეთგან უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ გაუმჯობესებული სახენელი სომხებს ქართველებისგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული.

სომხური „არორ“-ი ეხლაც მხოლოდ-სახნისიანი იარაღია და მას ქართულ ოკოქასა და აჩაასავით საკვეთელი არ გააჩნია.

თანამედროვე სომხურში საკვეთლის აღსანიშნავად საყოველთაოდ ტერმინად *ახქიჯ* „ძევიჩ“-ი იხმარება (იხ. ჯ. *Մախասახან*-ის ნაშრომი, გვ. 376) და ყველა სხვა დიალექტებშიც (იხ. სპაკ ამატუნის-ს *Հայոց բառ ու բան*, *Վարդա-շապատ*, 1912 წ., 415). ს. დიდი დაღეთის სომხებიც ამავე სიტყვას ხმარობენ (იხ. გ. ჩიტაიას ეთნოგრ. მოგზ. 209, სადაც *ახქიჯ*-ია დაბეჭდილი, მაგრამ რომელიც „ძევიჩ“-ადვე წაიკითხება).

ტერმინი „ძევიჩ“ ნაწარმოებია *ახქიჯ* „ძეველ“ ზმნისაგან, რომელიც თავის მხრივ *ახქ* „ძევ“-ისაგან წარმომდგარი ნასახელარი ზმნაა. „ძევ“ ძველ სომხურში სახეს, სახეობას, მოყვანილობას, ჩვეულებას, წესსა და ნაკვეთსაც ჰნიშნავდა. „ძეველ“ კიდევ მოგვარებას, ჩამონაკეთას, ჩამოყალიბებას და გამოჭრასაც ჰნიშნავს.

ამგვარად, „ძევიჩ“ არსებითად მომწეობს, ჩამონაკეთელს და გამოჭრელს ჰნიშნავს. ყურადღების ღირსია, რომ ეს ტერმინი დაბადების სომხურ თარგმანში ნახმარი არ არის. ვენეტიკის დიდ სომხურ ლექსიკონში *Հայկազեան Բարսեղ*-ში მის შესატყვისად ბერძნულად *φαλξ*, *ταμίς* და ლათინურად *forfex* და *forceps* არის დასახელებული, ე. ი. ნათარგმნი ძეგლების მიხედვით დანის, სამართებლის, მარწუხისა და მაკრატლის შესატყვისად გამოდის.

ამავე ლექსიკონის ავტორთაგან მოყვანილ ამონაწერებში არ ჩანს, რომ „ძევიჩ“-ი საკვეთლის მნიშვნელობით იყოს ნახმარი, რათგან თვით ყველაზე

უფრო ასეთად საგულებელი „*მხიქარძის*“ ბალახის ძირის მკრელებს ჰნიშნავს და შესაძლებელია აქ თოხი, ან ბალახის მკრელი სხვა იარაღი იგულისხმებოდეს. ამის გამო ვენეტიკის დიდ ლექსიკონში მოყვანილი ამონაწერებიდან არა ჩანს, ჰქონდა თუ არა იმ ხანაში, რომელსაც ძეგლები ეკუთვნიან, „ძევირ“-ს სახენელის საკვეთლის მნიშვნელობაც? თუ ამასთანავე გაეხსენებთ, რომ ეს ტერმინი დაბადების თარგმანშიც არ გვხვდება, ცხადი ვახდება, რომ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, თუ რა ხანიდან ენიჭება „ძევირ“-ს საკვეთლის მნიშვნელობა. აქამდე არსებული მასალების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ეს ტერმინი სომხეთში ძალიან ძველი არ უნდა იყოს და შემდეგში შემოღებულად ჩანს. ამ მოსაზრებას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ნამდვილ სომხურ სახენელებს „არორ“-ს და „კერარ“-ს, სახნის გარდა, სხვა მკრელი ნაწილი არ აქვს და საკვეთელი არ აბადია. გაუმჯობესებული სახენელები-კი მერმინდელ შენაძენს წარმოადგენენ და მეზობელთაგან შეთვისებულობის კვალი ამ გაუმჯობესებული სახენელებისა და მათი ნაწილების სახელებსაც ცხადად ემჩნევა.

### თავი მეთხუთე. სახენელის ზოგიერთ აკსეზით გაუმჯობესებათა სადა- პრობის პრობლემა

ქართელთა ოდინდელ და მერმინდელ მეზობელთა სახენელების მიმოხილვის შემდგომ, ამ იარაღის ზოგიერთი არსებითი გაუმჯობესების სადაურობის პრობლემასაც უნდა შევხვით. არონაჲს შესახებ უკვე ნათქვამი გვქონდა, რომ სახენელის ეს სახეობა ქართველებს დასავლეთითგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული, ამიტომ დანარჩენ სახეობათა სადაურობის საკითხიც ბუნებრივად იბადება. თავისდა-თავად ცხადია, რომ აქ მხოლოდ ძირითად გაუმჯობესებათა სადაურობის პრობლემა შეიძლება განხილული იყოს.

წერაქვანიური სახეობის თოხნაირ სახეობად შეცვლის შემდგომ, რაჲც უხსოვარ დროსვე მომხდარი და ისტორიული წყაროების საშუალებით დათარიღება შეუძლებელია, როგორც დაერწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 216-217 და ...), სახენელის აგებულიების ძირითად გაუმჯობესებად უნდა 1. სახენელისთან ერთად საკვეთლის შემოღება და 2. ფართიანი სახენელის გაჩენა მივიჩნიოთ. ხენის პროცესისა და მომუშავე საქონლისათვის ტვირთვის შემსუბუქებისა და ძალის ეკონომიის თვალსაზრისით ფამფალაკის შემოღებაც, რა თქმა უნდა, აგრეთვე მნიშვნელოვან გაუმჯობესებას წარმოადგენდა. სწორედ ეს საკითხებივე უნდა იყოს ამ თავში განხილული. უნდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამ პრობლემის დანამდვილებით გადაწყვეტა, რა თქმა უნდა, ჯერ ნაადრევია: ამ ეამად მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრების წამოყენება შეიძლება. მთავარ დამაბრკოლებელ გარემოებას ის შეადგენს, რომ ქართული წერილობითი ძეგლები ქ. შ. მე-V-ზე უწინარესი ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება და ქართულ სახენელთა უძველესი ნახატებიც, მე-XIV ს. ერთის გარდა (იხ. ჩვეივეთ აქვე), ჯერ არსადა ჩანს.

## § 1. საკვეთლის სადაურობის პრობლემა

კაცობრიობა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მხოლოდ სახნისიანი სახენელითაც იოლად მიდიოდა და თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას უსაკვეთლო იარაღითაც ახერხებდა. სახნის-საკვეთლიანი სახენელი შედარებით გვიან ჩნდება.

ფრ. ნოპკსა-საგან შედგენილი სახენელთა საკლასიფიკაციო ტაბულა ცხად-ჰყოფს, რომ საკვეთლიანი სახენელი კავკასიასა, კერძოდ საქართველოსა და ნაწილობრივ სომხეთს, და საბერძნეთ-იტალიას გარდა დედამიწის ზურგზე სხვაგან არსადა ჩანს (იხ. მისი Zur Genese der primitiven Pflugtypen: Zeitschrift für Ethnologie, 1917 წ., Heft 4—6, გვ. 239).

თუ ნოპკსა-ს ტაბულა სწორედ და არსებითადაც სრული, მაშინ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ სახნის-საკვეთლიანი სახენელი პირველად, ან საბერძნეთ-იტალიაში უნდა იყოს შემოღებული და კავკასიას იქითგან შეუთვისებია, ან პირიქით, წინაუკმო პირველად კავკასიაში უნდა იყოს შემოღებული და საბერძნეთ-იტალიაში აქითგან უნდა ვიგულისხმოთ შეტანილად.

ამ საკითხის გამოსარკვევად უნდა გათვალისწინებული გვექონდეს, თუ რომელ ამ ქვეყანათაგანში სახნის-საკვეთლიანი სახენელი უფრო გავრცელებული იყო და სახენელთა გაუმჯობესება-განვითარების სისტემაში ორგანული კავშირი უკავია და თანაც რომელ ერს იარაღის ამ ნაწილებისათვის თავისი განსაკუთრებული სპეციალური ტერმინებიც მოეპოვება.

ბერძნულს საკვეთლისათვის განკუთვნილი სპეციალური ტერმინი არ გააჩნია. ლათინური ამ ნაწილის აღსანიშნავად culter-ს ხმარობდა, რომელიც დანის ჩვეულებრივი სახელია. რაკი პლინიუს მცირე სახნის-საკვეთლიანი იარაღის აღწერის დროს საკვეთლისათვის სწორედ ამ დანის აღმნიშვნელ სიტყვას, culter-სვე ხმარობს, საფიქრებელია, რომ სხვა ტერმინი ლათინურსაც არ ჰქონია. ეს გარემოება გასაკვირველი არც არის და ადვილი გასაგები იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ რომაული სახენელის გამაუმჯობესებელი ყურადღებას უმთავრესად სახნისის მოყვანილობას აქცევდნენ. (იხ. აქვე, გვ. 240-241 და 249-250). საკვეთლის ხმარება სახენელში რომში შედარებით გვიან უნდა იყოს გაჩენილი.

ამასთანავე საკვეთლიანი სახენელი, როგორც დავრწმუნდი (იხ. აქვე, გვ. 240-241, 250-251) დიდ ხანს რომში და დასავლეთ ევროპაში ჩვეულებრივი სახენელი არ ყოფილა და საკვეთლიანი და უსაკვეთლო, მაგრამ საზიდნიანი სახენელები საუკუნეთა განმავლობაში ცალ-ცალკე არსებობდნენ.

ამგვარად ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ საკვეთლიანი სახენელი დიდხანს, მე-X—XI ს-მდე იქ სახენელის განვითარების ორგანულ ნაწილს არ შეადგენდა.

დასავლეთის შემდგომ რომ კავკასიის სახენებებს გადაევალოთ თვალი. ჩრდილოეთ-კავკასიის ტომებს, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 252-256), ჩვეულებრივ სახენელად მხოლოდ-სახნისიანი იარაღი აქვთ და მარტო ამ სახეობისათვის მოეპოვებათ იარაღის ნაწილების საკუთარი ტერმინოლოგია. ამის გამო, ცხადია, რომ სახნის-საკვეთლიანი სახენელის სამშობლოს ძებნა ჩრდილოეთ-კავკასიაში მაინც-და-მაინც არ შეიძლება.

ამიერ-კავკასიაში გადმოსვლისთანავე რომ მის აღმოსავლეთ ნაწილს მივაპყროთ ყურადღება, უნდა ავრეთვე აღინიშნოს, რომ საკვეთლიანი სახენელის სადაურობის ძიების დროს ძველი ალბანეთიც სათვალავში ჩასაგდები არ არის, რათგან ამ ქვეყნის შესახებ, როგორც უკვე დავრწმუნდით, ს ტ რ ა ბ ო ნ ს ხ აზ-გასმით ნათქვამი აქვს, რომ იქ მთლიანი ხისაგან ვაკეთებული უმარტივესი აგებულების ხის სახნისიანი სახენელს, კავსა, ხმარობდნენ (იხ. აქვე, გვ. 222-223).

შემდეგშიც, როდესაც ალბანეთი გაქრა და, თურქთ ტომთა ჩასახლებისა და ალბანელთა გათურქების პროცესის წყალობით, ამიერ-კავკასიის თურქთა მოსახლეობა გაჩნდა, მათაც საკუთარი ტერმინოლოგია მარტივი სახეობის სახენელისათვისა ჰქონდათ და საკვეთლიანი იარაღი მხოლოდ გუთანმა გააცნო, რომელიც, როგორც დავრწმუნდით, თურქული სახენელი არ არის (იხ. აქვე, გვ. 265-268). მაშასადამე, საკვეთლიანი სახენელი თვით მათ ხეებისგან ჰქონიათ შეთვისებული.

წინათ-განხილულითგან უკვე ვიცით, რომ სახენელის ნამდვილი სომხური სახელი „არორ“-ია, რომელიც მხოლოდ-სახნისიან იარაღს წარმოადგენს, და რომ გაუმჯობესებული სახეობის სახენელთა და მათი ნაწილების ტერმინთაგან ბევრი მეზობელთაგანაა შეთვისებული. თვით საკვეთლისათვისაც სომხურს განსაკუთრებული სიტყვა არ გააჩნია, არამედ სხვა დანიშნულებისათვის არსებული ტერმინი აქვს გამოყენებული. ამასთანავე ამ სიტყვას საკვეთლის მნიშვნელობაც შედარებით გვიან მიენიჭა და დაბადების სომხურად თარგმნის დროს ასეთი ტერმინი ჯერ არ ყოფილა (იხ. აქვე, გვ. 269-272). ცხადია, რომ საკვეთლის წარმომშობელ ქვეყანად ვერც სომხეთს მივიჩნევთ.

საქართველოში-კი სახენელის ამ ნაწილისათვის სპეციალური ტერმინი, საკვეთელი, არსებობს, რომელიც მხოლოდ ამისთვის იყო განკუთვნილი და სხვა არაფრის აღსანიშნავად არ იხმარებოდა და არ იხმარება. ამასთანავე ლათინური culter-ის (დანის), სომხური ძაჩქიჯ-ის (სამართებლის, მაკრატლის) და თურქული „ბჩაჩი“-სა, თუ „ყული“-ის (დანის, ხმლის) მაგიერ, ქართულში, სახნისის მსგავსად, თვით ამ ტერმინის („საკვეთელი“) აგებულებაშივეა მისი დანიშნულება ზედმიწევნით გამოხატული.

უკვე ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ შეუძლებელია საკვეთელი საქართველოში საბერძნეთ-რომითგან ყოფილიყო შემოღებული. საკვეთელი რომ რომითგან შეთვისებული, შენაძენი იყოს, მაშინ ქართულ ტერმინადაც „საკვეთელი“-კი არა, culter-ის მსგავსად „მახვილი“. ან „კრმალი“ გვექმნებოდა.

არც ერთ ენას სახენელის ამ მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ასეთი ნიშანდობლივი ტერმინი, როგორც ქართულსა აქვს, არ გააჩნია და მისი დანიშნულების სრული შეგნებაც არსად ისე კარგად არა ჩანს, როგორადაც იგი ტერმინ „საკვეთელი“-შია აღბეჭდილი.



ამასთანავე, საქართველოში ჯილდითგან მოყოლებული ერქუანსა და გუთანსაც, ე. ი. სახენელთა სამ სახეობას, ჰქონდა საკვეთელი. საკვეთლის მნიშვნელობა საქართველოში იმდენად ჰქონიათ შეგნებულნი, რომ შემდეგში, დროთა განმავლობაში, ისეთს უმარტივესი აგებულების სახენელებსაც-კი, როგორც კავი, ან ჩუთი და ოქოქა, თუ აჩაჩაა, ზოგან საკვეთლები გაუკეთეს (იხ. აქვე გვ. 200-201 ნახ. 6). ამგვარად, ქართული სახენელის განვითარებასა და სისტემაში საკვეთელს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და, იარაღის გაუმჯობესების გარკვეული საფეხურიდან მოყოლებული, სახენელის აუცილებელ კუთვნილებად იყო მიჩნეული. მართალია, ჯერ გამოსარკვევია, თუ როდის უნდა იყოს საქართველოში საკვეთელი შემოღებული, მაგრამ ის მაინც ცხადია, რომ ერქუნის ზოგად სახელად და ფრთიან სახენელის ტერმინად ქცევამდე კარგა ხნით უწინარეს.

ყველა შემომოყვანილ მოსაზრებათა აწონ-დაწონის შემდგომ, ბუნებრივად იბადება აზრი, რომ საკვეთლის პირველ სამშობლოდ მიჩნევის უფლება თითქოს სხვა ქვეყნებზე უფრო მეტი საქართველოს უნდა ჰქონდეს.

## § 2. სახნის-საკვეთლიანი სახენელის გაჩენის მიზეზი და შესაძლებელი საფუძველთაგანი

ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმა შეიძლება იმაზეც, თუ რა გარემოებას უნდა გამოეწვია სახენელისათვის საკვეთლის აუცილებლობის აზრი. როგორც თავის ალაგას ნათქვამია (იხ. აქვე, გვ. 200), საფიქრებელია, რომ უძველესი ქართული სახენელი წერაქვნიანი სახეობისა უნდა ყოფილიყო.

წერაქვნიანი სახეობის სახენელი, რასაკვირველია, სუსტი იარაღი იყო და არის. მის მთავარ ნაკლს ის გარემოება შეადგენს, რომ მიწის განმკვეთელ ნაწილს საყრდნობ წერტილად თვით ამ მკრელი ნაწილის წვეტი ჰქონდა. ამის გამო ასეთი აგებულების იარაღს, რა თქმა უნდა, სიმყარე არ შეიძლება ჰქონოდა და მუშაობის დროს მისი მყარადობის დაცვაზე მხენელს მუდამ უნდა ეზრუნა.

ასეთ დიდ ნაკლს სახენელის ამ სახეობის გაუმჯობესების წადილი და აზრი ბუნებრივად უნდა წარმოეშვა. რაც უფრო-და-უფრო საჭირო ხდებოდა მიწის ღრმა მოხვნა, ოქოქას წერაქვნიანი აგებულების უარყოფითი თვისება უფრო-დღ უფრო საგრძნობი უნდა გამხდარიყო და მიწის მკვეთელი ნაწილისათვის მყარადი საფუძველისა და საყრდნობის რაიმე საშუალებით მოპოვება აუცილებელ საჭიროებად უნდა ქცეულიყო ცხადია, რომ სახენელის მიწის მკვეთელ ნაწილს მყარადობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიენიჭებოდა, თუ, ვერტიკალურად დაშვებულს, მაგრამ პორიზონტული მიმართულებით წარზიდულს, მის მკრელ წვეტს ვერტიკალურის მაგიერ პორიზონტალური მდებარეობა ექნებოდა. ამისათვის სახენელის უკანა ნაწილის შესაფერისად მოხრა იყო საჭირო, რომ ის ზე, რომელსაც მიწის მკვეთელი წვეტი ჰქონდა, მიწაზე ყოფილიყო დაყრდნობილი. სწორედ ამ პირობას აკმაყოფილებდა „კავი“ და „ჩუთკავი“, რომლითაც სახნისი პორიზონტულად მოხრილ ქუსლ-კბილაზე ჰქონდა, ან ვითარცა მისი ბუნებრივი, მხოლოდ წაწვეტილი, დასასრული, ან ვითარცა

საგანგებოდ წამოცმული ნაწილი. ამავე პრინციპის მიხედვით გამართულ სახენელს წარმოადგენენ მერმინდელი ოქოქა, ოგაფა, ოროჩა და აჩაჩაც.

მაგრამ ნიადაგის მართო ჰორიზონტულად გათხრა არ კმარაოდა, ვერტიკალურად მდებარე მიწის მკრელის მუშაობასაც თავისი კარგი თვისება ჰქონდა. ამასთანავე ფხვიერი ნიადაგისათვის წერაქენიარი სახენელი სიმსუბუქის გამო მაინც გამოსადეგი იყო და მას შემდეგშიც ხმარობდენ. ნიადაგის უფრო სწრაფად მოსახნავად და უკეთესად გასაფხვიერებლად ერთმანერთის მიმდევრო ორი-სამი სახენელითაც ერთსა-და-იმევე დროს მუშაობდენ ხოლმე. მიწის მოხვნის ასეთი წესი ჰომიროსსაც აქვს აღწერილი იქ. სადაც აქილევისის ფარზე გამოყვანილი სურათის შინაარსი აქვს მოთხრობილი, და ნიკოსტენეს მიერ გაკეთებულ მე-VI ს. ძველ ბერძნულ ერთ სასმისზეც არის დახატული (იხ. A. Baumeister-ის Denkmäler des klassischen Altertums: Ackerbau, გვ. იხ. აქვე, გვ. 24:2, სურ. 14).

რამდენიმე სახენელით ასეთი ერთდროული ხვნის გარდა, საყანე მიწის ორჯერ-სამჯერ მოხვნაც იცოდენ. ეს ჩვეულებრივი წესი იყო. საქართველოს სხვადასხვა თემში ეს მე-XIX-ს-შიც იყო დატული ისევე, როგორც სხვაგანაც. ჯაეახეთში ეხლაც წესად აქვთ გაპოხიერებული მიწის ორგზის შემოდგომისა და სამგზის გაზაფხულის ნათესებისათვის გადატენა. პირველ ხვნას ქართულად იქ „გათერძვა“ (гатирица სწერია რუსულად) ეწოდება და „ერკ“ სომხურად და ყოველთვის გაზაფხულზე იციან (Свод материалов IV, 282, და Шахматовის ჯაკ ფეიქიქი აქლიძე, გვ. 361, შენ. 1.) თუმცა საბაჰ ასეთი ტერმინი არ მოეპოვება, მაგრამ სამაგიეროდ თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს ტერმინი „თერძული“, რომელიც მისივე სიტყვით „ნათესი კნული“-ა. რაკი ეს ტერმინი „თერძ“-ისაგან უნდა იყოს ნაწარმოები, რომელიც მკერვალს ჰნიშნავს, არაბულ-სპარსულ კა „დერზ“-ი კი ნაქერს, ხოლო სპარსული სიტყვა دَرَز „თერზი“ გამომკრელს და მკერვალს ჰნიშნავს, ამიტომ ცხადია, ეს მერმინდელი შენაძენი ტერმინი უნდა იყოს და ძველად, ან ჩვეულებრივი ქართული ზნა „კნვა“ უნდა ჰქმეოდა, ან რაიმე „კორდ“-ის გატეხის მსგავსი ტერმინი.

მეორეგზისი ხვნა, ანუ გადახვნა ივნისში იციან და მას „გაოშა“ ჰქვიან და „იკლამა“-ო (Свод материалов IV, 282). ამ ცნობის ავტორს აღნიშნული არა აქვს, თუ რომელი ამ ტერმინთაგანი რომელ ეროვნებას ეკუთვნის. მაგრამ „გაოშვა“, ცხადია, ქართულია და ოდნავ განსხვავებით ძველდაც იხმარებოდა.

სახელდობრ, „აოშა“ იყო მიღებული, რომელიც საბაჰ განმარტებით, „კნულის მეორედ გარდაკნვა“-ს (ლექსიკ.) ჰნიშნავდა. „იკლამა“-კი თურქული ტერმინია და სომხებსა და თურქებს შორის იქმნება გავრცელებული. იგი ნაწარმოებია كلك ekmek ზმნისაგან, რომელიც ხვნასა და თესვას ჰნიშნავს. მისგან ნაწარმოებ III كلك ekilmek-ს წარმოადგენს „იკლამა“, რომელსაც თურქულში ვნებითი მნიშვნელობა აქვს.

როდესაც საყანურს მესამეზისი გადახენაც სკირდება, ამას ქართველებში „გახარგა“-ს ეძახიან (Свод материалов, IV, 282)<sup>1</sup>.

ამგვარად საყანურის ორგზისი, ან მეტჯერ მოხვნა, ან ერთსა-და-იმავე დროს ორი და სამი ერთმანერთის მიმდევრო სახენელის ამუშავებით იცოდენ, ან და პირველი მოხვნის შემდგომ რამდენიმე დროის მერმე, როდესაც მიწის და-მუშავება პირველი წესით, 2—3 სახენელის ერთობლივი ამოქმედებით წარმო-ებდა, მაშინ ერთი სახენელი, რასაკვირველია, უფრო სუბუქი და მარტივი აგე-ბულები ისა იქმნებოდა, რათგან ერთ-ერთ მათგანს მუშაობა უკვე ნაწილობრივ გაადვილებული ჰქონდა. ორი განსხვავებული იარაღი იმიტომაც არის ასეთ შე-მთხვევაში მოსალოდნელი, რაკი, ორი ერთნაირი სახენელი მიწისმოქმედს რომ ჰქონოდა, უფრო ძნელი დასაჯერებელია, ვიდრე სხვადასხვა აგებულებისა, რომელთაგანს თვითოეულს თავისი განსაკუთრებული დანიშნულებაც ჰქონდა. ებ-ლაც იშვიათი არ არის, რომ ერთს მეკომურს ორი სხვადასხვა სახენელი, მაგ. აჩაჩა და გუთანაი, ან ჯილა და გუთანაი, ჰქონდეს. მით უმეტეს ძველად ასეთი მოვლენა ბევრელებრივი უნდა ყოფილიყო.

ორი განსხვავებული სახენელით ერთად მუშაობის დროს უძველეს ხანაში ასეთ სახენელეზად საქართველოში შესაძლებელია მხოლოდ ნიადაგის ვერტიკალ-ლურად გამკვეთელი წერაქენაირი აგებულების მქონებული ოქოქა და მიწის პორიზაციულად მჭრელი მხოლოდ სახნისიანი, თონაირი მოყვანილობის „აივი“, „სუთ-კავი“, ან „აჩაჩა“ ყოფილიყო.

რაკი გამოცდილებამ მიწისმოქმედი დაარწმუნა, რომ ხშირად არც ოქოქა და არც აჩაჩა ცალ-ცალკე და მარტოდ ნიადაგის სათანადოდ დამუშავებისა-თვის საკმარისი არ იყო და საჭირო იყო, ან სჯობდა სახნავის ნიადაგი ზემოთ-გაზაც, დასწვრივაც ჩაჭრილიყო და ქვემოთგანაც, გასწვრივაც გათბრილიყო, რომ სახენელს მიწა უფრო ადვილად და უკეთესად ამოელო, ამიტომ ამ ორი სახეო-ბის წერაქენაირი და თონაირი სახენელების ცალ-ცალკე ხმარების მაგიერ ერთი, ამ ორივე იარაღის თვისებათა შემცველი და გამაერთიანებელი, იარა-ღის შემოღების დედააზრი ბუნებრივად უნდა დაბადებულიყო.

ორი სახეობის თვისებათა შემაერთებელი გაუმჯობესებული სახენელის შესაქმნელად საფუძვლად, რასაკვირველია, თონაირი აგებულების იარაღი უნდა გამოყენებინათ, რათგან, კბილა-ქუსლის წყალობით, მას სიმყარე ჰქონდა. ამ აჩაჩას მხოლოდ ვერტიკალურად მკვეთელი ნაწილი უნდა დაჰრთვოდა. სახენე-ლის ამ მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გამოგონებელი სწორედ ასეც მოქცეუ-ლა და რვილში, სახნისის წვეტის გეზის პირდაპირ, დასწვრივი მიმართულებით, მაგრამ ოდნავ ირიბად, საკვეთელი გაუყრია და დაუმავრებია. ამის წყალობით ეს გაუმჯობესებული იარაღი ერთსა-და-იმავე დროს წერაქენაირ და თონაირ სა-ხეობათა შემაერთებელ სახენელად იქცა.

<sup>1</sup> კ. ვერმიშევს, რომელსაც სამგზისი ხენის შესახები ზემომოყვანილო ცნობა მოე-პოება, ნათქვამი აქვს: ამავე წესს ჯავახთის ქართველებიც მოსდევნო (იქვე), ნამდვილად-ჟ წინაუკმო უნდა ითქვას, რათგან ზემომოყვანილო ტერმინები სწორედ ქართულია.

### § 3. ფრთიანი სახენელის სადაურობა

ჯილღას, როგორც აღნიშნული გვეყონდა, ფრთა არ გააჩნდა და მხოლოდ ერქუანი უნდა იყოს სახნის-საკვეთ-ფრთიანი სახეობის პირველი სახენელი საქართველოში. რომაულ სახენელებს ფრთა არ ჰქონიათ. ამის მაგიერ მათ ყურები ჰქონდათ კბილა-ქუსლის ორივე მხრით. ამ ორი აქეთ-იქითი ყურით რომაული სახენელი სახნისისაგან გათხრილ მიწას ველის ორთავე მხარეზე აწვევდა. რა თქმა უნდა, ამ ყურების მოქმედება ფრთის მუშაობისაგან განსხვავდებოდა. ძველი რომის იმპერიამ ისე დალია დღენი, რომ ფრთიანი სახენელი არ ჰქონია.

დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც შემდეგშიც ფრთიანი სახენელი არ ყოფილა. ანგლო-საქსურს მე-XI ს. სახნის-საკვეთეთლიანსა და საზიდიან სახენელსაც ფრთა არ გააჩნდა (იხ. აქვე, გვ. 249, სურ. 17). შემდეგ მომდევნო საუკუნეებშიც დასავლეთ ევროპის სახენელს ამ მხრივ გაუმჯობესება არ ემჩნევა (იხ. გვ. 250—251, სურ. 18—20).

თუ აღამიანი გერმანიის მე-XV—XVI-სს-ის სახენელების სურათებს თვალს გადავუვლებს, აღვივლად დარწმუნდება, რომ მაშინაც გერმანულ სახენელებს ჯერ ფრთა არ ჰქონიათ და ორივე თელბიცი ჯერ კიდევ ერთი-და-იმავე სიდიდისა უჩანთ. თუ უკანასკნელი გარემოება შესაძლებელია მხატვართა სათანადოდ გაუწრთენელობით აიხსნებოდეს და ეგების იმ დროს უკვე სხვადასხვა სიდიდის გოვორებსა ხმარობდენ, დამხატველმა-კი ამის მკაფიოდ გამოყვანა ვერ მოახერხა, გერმანულ სახენელებს რომ იმდროინდელ სურათებზე ფრთა არ უჩანთ, ამის ზემომოყვანილი გარემოებით ვერას გზით ვერ ახსნის აღამიანი. ამიტომ, უეპველია, ეს იმის საბუთად შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ მე-XV და მე-XVI სს-ში გერმანულ სახენელებს ფრთა ჯერ არ ჰქონიათ, უფროს სახენელები ყოფილან. სამაგიეროდ ეგების ყურები ჰქონოდათ. ამგვარად საფიქრებელია, გერმანული სახენელის უკანასკნელი არსებითი გაუმჯობესება, როდესაც მისთვის ფრთა დაურთავთ და ეგების გოვორებიც დაუტოლმეტებიათ, ევროპულთან ერთად მე-XVII—XVIII სს-ში უნდა მომხდარიყო.

საქართველოში სახენელის ამ გაუმჯობესებისათვის მუშაობა გაცილებით უფრო ადრე დაწყებულა. რაკი ერქუანი ფრთიანი სახენელი იყო და ერქუანი მე-V ს-ზე უწინარეს უნდა იყოს საქართველოში შემოღებული, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ფრთაც ქართული სახენელისათვის მე-V ს-ზე უწინარეს უნდა გაეკეთებინათ. საფიქრებელია, რომ ფრთის მიმატების დედა-აზრი საქართველოში შემოხიზნული რომაული ორ-ყურა სახენელის ზეგავლენით იყოს წარმოშობილი, რომელსაც ქართულად „არონაჟ“ ეწოდა და ეწოდება ეხლაც. შემთხვევითი მსგავსების შედეგი არ უნდა იყოს, რა თქმა უნდა, ის გარემოება, რომ ამ სახენელს, რომაული სახენელის მაგვარად, გათხრილი კვლის მიწის აქეთ-იქით გადასაბნეველ ორი, ორივე გვერდისაკენ წარზიდული, მოწყობილება აქვს და რომაული Binæ aures-ის მსგავსად მათ ქართულადაც ყურები ეწოდებათ. ამის

გამო საფიქრებელია, რომ ყურებიანი სახენელი არონაჲ უნდა რომაელების პოლიტიკური ჰეგემონიის საქართველოში განტკიცების შემდეგ, ე. ი. I ს. ქ. შ. იყოს შეთვისებული. თუ ფრთის გაჩენის იდეა მართლაც არონას შემოქმედებითი ზეგავლენით იყო წარმოშობილი, მაშინ ფრთა საქარეელოში უნდა I ს. ზენდგომ მე-IV ს-მდე იყოს სახენელის ნაწილად ქცეული.

ამგვარად, საუკუნეებით უწინარეს, ციღრე დასავლეთ ევროპაში ფრთიან სახენელს შემოიღებდნენ, საქართველოში უკვე არსებობდა ჯერ ერქუანი, ხოლო მე-XII—XIII ს-ითგან მოყოლებული გლთანიც, რომელნიც ფრთით იყვნენ შემკულნი.

#### § 4. ფამფალაკიანი სახენელის სადაურობა

უკვე აღნიშნული გეჰონდა, რომ ორ-თვალა საზიდიანი სახენელი „პლოუმ“-ი გალის რეტიითგან იყო რომში შეტანილი. ამ საზიდს ორივე თვალის ტოლები ჰქონდა. რეტიული იარაღი მარტივი აგებულების სახენელს წარმოადგენდა, შოლტა-ღერძ-გოგორებიან საზიდზე მიმაგრებულს. ასეთი სახენელი საქართველოშიც ყოფილა დასავლეთითგან შეთვისებული არონას სახელწოდებით (იხ. აქვე, გვ. 205—203, ნახ. 9), მაგრამ საქართველოში კარგა ხანს მას ისეთი გასავალი არ ჰქონდა, როგორც დასავლეთ ევროპაში. მის ნაკლს ის გარემოება ჰქვნიდა, რომ საზიდს ორივე თვალის ტოლი ჰქონდა, თვით სახენელი-კი იმ მხარისაკენ იყო დახრილი, საითკენაც იარაღს ხნული, კვალი გაჰყავდა. ამის გამო საზიდისა და სახენელის დონე ერთმანერთს არ უდგებოდა.

დაახლოვებით მე-XII ს-ში საქართველოში ჩნდება სახენელი, რომელსაც სახელად გუთანი ეწოდება. იგი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: უკანა ერქუანს წარმოადგენდა, წინა-საზიდს, რომელსაც ფამფალაკი ჰქვია. ამ საზიდს ორი თვალის აქვს, მაგრამ ტოლმეტი, რომელთაგანს ერთს, პატარას, ველის გოგორა ეწოდებოდა, მეორეს, დიდს, კვალის გოგორა. ამ ორი ტერმინით ქართველ ხალხს საზიდის თვლების ტოლმეტობის დანიშნულება საუცხოვოდ, ზედმიწევნით აქვს გამოხატული.

ბუნებრივად აქაც სახენელის ამ თვალსაჩინო გაუმჯობესების სადაურობის საკითხი იზადება. ცხადია, რომ ფამფალაკიანი სახენელი რეტიული იარაღის გაუმჯობესებას წარმოადგენს. მაგრამ, რაკი დასავლეთ ევროპაში მე-XII-XIII ს. საზიდის თვლები ერთი-და-იგივე ზომისა ყოფილა, ფამფალაკის თვლების ტოლმეტობის დედაზრი იქითგან არ უნდა მომდინარეობდეს. სხვა ცნობების უქონლობის გამო, ამ საკითხის გამორკვევა იმ ტერმინის „გუთანი“-ს გავრცელების საზღვრებისა და მისი სადაურობის გათვალისწინებითაც შეიძლება.

ჩრდილოეთ და ამიერ-კავკასიის სახენელთა ზემომოყვანილი მიმოხილვითგან-კი ირკვევა, რომ ტერმინი „გუთანი“ ჩრდილო-დასავლეთით აბზაზეთს არ სცილდება, ჩრდილოეთით დიგორ-ოსეთსა და საჩაჩნეთს იქით არ მიდის, ჩრდილო-აღმოსავლეთით მხოლოდ კვრულ-ლეკურშია. საქართველოს სამხრეთით სომ-

ბურნია, რომელშიც მერმინდელ შენათვისებს წარმოადგენს, რათგან ძველ სომ-ბურში ასეთი ტერმინი არ არის და მხოლოდ „არორ“-ი (*арор*) იხმარებოდა. ოსმალეთში „ქაოთენ“ მარტო აღმოსავლეთის მოსახლურ და კავკასიის მეზობ-ლად მდებარე ნაწილშია, სხვაგან „საბან“-ი იხმარება; რომელიც სახენელის ნა-მდვილ თურქულ ტერმინად უნდა იქმნეს მიჩნეული, რათგან ეს ტერმინი მიღე-ბულია ერთმანერთისაგან ისეთ დაშორებულ ერთა შორის, როგორც ყაზანელი „თათრები“, ნოღაელნი და ოსმალნი არიან. აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმო-სავლეთით მხოლოდ ადერბეიჯანელ თურქ თათრებს შორის გვხვდება. მაშა-საღამე, ტერმინი „გუთანი“ ღ ყველა მისი ფონეტიკური სახე-ნაცვალის საქართველოს ირგვლივ ტრიალებს და მისი გავრ-ცელების რადიუსები შორს არ მიდის. თუ ამასთანავე გავი-საყენებთ, რომ ზემოხსენებულ ერთაგან არც ერთს ამ ტერმი-ნის არსებობის ესოდენ ძველი საბუთების წარმოდგენა არ შეუძლიან, როგორც ქართულს, მაშინ თავისთავად წარმო-იშვება აზრი, რომ „გუთანი“ პირველად საქართველოში, სა-ხელდობრ ლიხთ-ამერეთში, უნდა იყოს გაჩენილი და აქით-გან გავრცელებულა მეზობელ ერთა შორისაც. ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრას მხოლოდ ის გარემოება აბრკოლებს, რომ ვუთნის ეტი-მოლოგია გამოურკვეველია.

უკრაინული სახენელი თავისი სახელით „რლუგ“-ით, უეჭველია, გერმანუ-ლი კულტურული კავლების გამომშლავნებელია, მაგრამ ვინც უკრაინული გუ-თნის გვლდენ შტედტ-ისაგან დატოვებულ ნახატს გერმანული და ქართული გუთნების ნახატებს ერთმანერთს შეადარებს, ის დარწმუნდება, რომ აგებულე-ბით უკრაინული ქართულს უფრო მიაგავს, ვიდრე გერმანულს.

აღსანიშნავია, რომ „რადნული გუთანი“ (*der Rheinländische Pflug*), რო-მელსაც პოლონეთში მცხოვრებნი გერმანელი კოლონისტები ხმარობდენ (იხ. გვლდენ შტედტ-ის *Reisen*, II, 490 და Fig. 33 და 38), თავისი აგებულები-თაც და გარეგნობითაც ქართულ გუთანს გასაოცრად მიაგავდა. ამიტომ ასეთი მსგავსების მიზეზი, თავის-და-თავად ცხადია, გამოსარკვევია.

გვლდენ შტედტ-ის ნახატებითგან და აღწერილობითგანაც ჩანს, რომ მე-XVIII ს. უკანასკნელ მეოთხედისათვის ქართული გუთანი არსებითად გერმა-ნიაში გავრცელებული, სახელდობრ დანციგური, დიდი გუთანისაგან (*der grosse danziger Pflug*) არაფრით განსხვავდებოდა. გერმანული სახენელი მხოლოდ ტექნიკურად უკეთესად იყო აგებულ-გამართული (იხ. *Reisen*, II, 486—489 და Fig. 20). ორივენი სახნის-ხმალა-საკვეთ-ფრთა-გოგორ-ფამფალაკიანი იარაღები იყვნენ. ორივეს გოგორები სხვადასხვა სიდიდისა ჰქონდათ, მხოლოდ ქართული გუთნის ღირღიტა, ანუ ველის გოგორა გერმანულისაზე უფრო მომცროც ყოფი-ლა და მთლიანი ხისგანაც კეთდებოდა.

საზგასმით კვლავ უნდა აღვნიშნო, რომ სახენელის გაუმჯობესების სადაუ-რობის პრობლემა მეტად რთული და პასუხსაგებია, რომ მისი საბოლოოდ გადაჭრა შეიძლებოდეს. საქმეს ბევრნაირი გარემოება აძნელებს, უპირველესად-კი ის, რომ

ქართული სახენებლის აგებულების ზედმიწევნით გამოსარკვევად უძველესი ხანის არც მათი აღწერილობა და არც სურათები არ მოგვეპოვება და მკვლევარი უნებლიეთ იძულებულია სახენელის აღმნიშვნელ ტერმინების ანალიზზე დაამყაროს თავისი მსჯელობა.

ამ სტრიქონების ბეჭდვის დროს ხელთა მაქეს მე-XIV ს. საუცხოვოდ დასურათებული ცნობილი ე. წ. ქართულ-ბერძნული ხელნაწერის ნახატი, რომელიც ნოემბრის თვის სიმბოლურ განსახიერებას წარმოადგენს და მშვილდოსნისა და მიწის მოხენის სურათს შეიცავს. ეს ხელნაწერი ერთი ქართველი სოფდაგრისაგან ამ ოცი წლის წინათ პეტერბურგის (აწ ლენინგრადის) საჯარო წიგნთსაცავმა შეიძინა და იქ ინახება. იქითგან სურათები ჩემი თხოვნით ლ. ლეონიძემ გადააღებინა ფოტოგრაფიულად. ფოტ. დანაბეჭდები საქ. სამხ. გალერიამ შეიძინა და ამ ეამად იქ არის დაცული<sup>1</sup>. ეს ხელთ ნაწერი ათონის მთაზე დაბატული ქართველთა მონასტრისათვის. სურათიც, რომელშიც მიწის მოხენაა წარმოდგენილი, მე-XIV ს. ეკუთვნის. ამგვარად, აქ უძველესი, ჯერეთ ცნობილი, ქართული სურათია, რომელშიც სახენელი და ხენაა გამოხატული. მაგრამ, რაკი იგი ბიზანტიაში, ათონის მთაზე დაბატული, სახენელიც, საფიქრებელია, იქაური უნდა იყოს. ათონის მთაზე-კი, როგორც უკვე აღნიშნული გექონდა, მიწის მოსახნავად მარტივ სამეურნეო იარაღებს ხბარობდენ (იხ. აქვე, გვ. 280-281.).



სურ. 21.

<sup>1</sup> ლ. ლეონიძის ამ სურათების გადაღებინებისათვის და საქ. სამხ. გალერიის დირექტორს დ. შავარდნაძეს ფოტ. დანაბეჭდით სარგებლობის ნებართვისათვის დიდ მადლობას მოვასხენებ.

ამ მოსაზრებათა გამო, ძნელი სათქმელია, ამ ხელთნაწერში ქართული სახენელის სურათია, იუ ბიზანტურისა. თავისი აგებულებით-კი (იხ. აქვე, გვ. 261, სურ. 21) ეს სახენელი „არონა“-ს უდგება (შეად. აქვე, გვ. 202, ნახ. 7-ეს) იმ განსხვავებით, რომ ხმალა ზეითიკენ აქვს ისე ძალზე წაგრძელებული, რომ გუთნის დედის ხელა-ნდე აღწევს და მას ხელნას მაგიერ ხმალაზე უდევს ხელი.

Ed. Hahn-ის ნაშრომის „Entstehung der Pflugkultur“-ის ხელთ უქონლობის გამოც, ამ პრობლემის შესახებ არსებული ყველა ფაქტისა და თეორიის გათვალისწინება არ შემძლო. ყველა ზემოაღნიშნულსაც რომ თავი დაეანებოთ, მთელი ეთნოგრაფიული მასალის, რომელსაც ამ საკითხის განხილვის დროს არაეგროპელ ერთა სახენელებზე მსჯელობის დროს ჩვეულებრივ ემყარებიან ხოლმე, ხელახლად, სისტემური დაკვირვების შემდგომ და არა შემთხვევითი მოგზაურობის დროს, შეგროვება და ისტორიულ ცნობებთან ერთად შესწავლა სჭირდება. უამისოდ შედარებითი მასალა ღირსებითაც მეტად აპრელებული გამოდის და ქრონოლოგიურადაც ერთმანერთისაგან ძალზე დაშორებულია. ამის გამო უაღრესად სანდო და ძეგლებით დამოწმებული ფაქტების გვერდით შემთხვევით შეკრებილი, სათუო ღირსებისა და სრულებით ახალი დროის ხშირად შეუმოწმებელი ცნობებია ხოლმე გამოყენებული.

ასეთ პირობებში ჩემი მთავარი მიზანი იყო ის ნაკლი შემეგოს, რომელიც, ქართული და კავკასიის სახენელების ისტორიის შეუსწავლებლობის გამო, ასე საგრძნობია. დანარჩენი მხოლოდ ჰიპოთეზად მიმაჩნია, რომელსაც მომავალ მკვლევართათვის ერთგვარი სამსახურის გაწევა შეუძლიან. არა ერთი და ორი ფაქტი და გარემოება მოიპოვება, რომელიც სახენელის ზოგადი ისტორიის განხილვის დროს ქართული მასალების გათვალისწინების აუცილებლობას გვიკარნახებს და სწორედ ამისთვის, ამ ზოგადი პრობლემის გადაწყვეტისათვის, ხელის შესაწყობად, ქართული სახენელების ისტორიაც ასე ვრცლად მაქვს განხილული.

უძველესი დროითგან მოყოლებული ქართული სახენელი მეზობელთა ყურადღებასა და ცნობისმოყვარეობას იპყრობდა და სახენელის წარმოშობისა, თუ მალალი ღირსების შესახებ ჩვენი შორეული და ახლობელი მეზობლების თქმულებებში ქართველთა სახელიც გვხვდება. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, ორიოდ სიტყვით ამ თქმულებებსაც შევიხოთ.

## § 5. მეზობელთა თქმულებები სახენელის სადაურობის შესახებ.

სახენელის გაუმჯობესებელი, დამთავრებული სახეობის, გუთნის, განმარტონებას ჩვენი ვარი თვით ქართველთა წარმართობის ხანის უზენაესი ღვთაების მონაცვალეს, თეთრ გიორგის, შიანწერს. წინანდელი მარტივი სახენელის, „ჩუთის“ მაგიერ, რომლითაც ხალხი



ტანჯვითა და წვალებით ხნავდა მიწას, მან გაუმჯობესებული იარაღი, გუთანნი, გამოიგონა, თავისი დახატული სურათი სოლომონ ბრძენს უჩვენა, რომ მას ასეთი სახენელის გაკეთება ხალხისათვის ესწავლებინა. მართლაც, სოლომონ ბრძენის მიერ გაკეთებული ხის გუთნის მიხედვით, ხალხმაც გუთნის ხმარება დაიწყო (იხ. გ. ჩიტაია, ეთნოგრ. მოგზ., 222).

რომელმა ხალხმა ისწავლა პირველად ამ უზენაესი ღვთაებისაგან გამოგონილი გაუმჯობესებული სახენელის კეთება, ამის პასუხს პიტარეთელ ოსებში გავრცელებული თქმულება და რწმენა იძლევა. მათი გარდმოცემით, გაუმჯობესებული იარაღი ხალხს უშუალოდ ღვთაებისაგან აქვს მიღებული: «ციდან გუთნის სურათი ჩამოვარდა, ის ქართველმა ნახა, გააკეთა იმგვარი გუთანი და მისგან სხვებმაც ისწავლეს»-ო. (გ. ჩიტაია, ეთნოგრ. მოგზ., 222). ამ თქმულებაში საგულისხმოა, რომ ოსური გარდმოცემა გაუმჯობესებული სახენელის პირველ გამკეთებლად ქართველს ასახელებს, და დანარჩენ მეზობელ ტომებს შორის ასეთი იარაღის შენჯაღების ტენიკა ქართველისაგან შეთვისებულად მიაჩნია. ცხადია, აქ საქმის ნამდვილი ვითარების ანარეკლი უნდა იყოს აღბეჭდილი, გუთნის შესახებ მიხედვით.

ქართულ სახენელს გულისყური მარტო ოსურსა და მხოლოდ თანამედროვე თქმულებაში არა აქვს მიპყრობილი. ჯერ კიდევ ძველითგანვე, შრავალი საუკუნით უწინარეს, მეზობელთა ზეპირსიტყვაობა ამ საკითხს დასტრიალებდა. ამ მხრივ დამახასიათებელია და ყურადღების ღირსი ელვინთა თქმულებები.

სწორედ ძველ ბერძნულ გარდმოცემას ეტყობა, რომ ქართულ სახენელს ბერძენთა განსაკუთრებული ყურადღება დაუმსახურებია. ეს გარემოება განთქმული ლირიკოსი პინდარის (დაახ. 522—442 წ. ქ. წ.) თხზულებითგანაც ჩანს. თავის *Ἰνσῆσιοναὶ Δ'*-ში არგონაუტების ლაშქრობის აღწერილობაში ნათქვამი აქვს, რომ აფეტ-მა შუაში ანდამატის სახენელი (*ἀνδὰματῶν... ἀφαιρῶν*) ხარები დააყენა. რომელნიც რკინის ყბის ძელებითგან ცეცხლის ალსა ჰყრიდენ და სპილენძის ჩლიქებით რიგრიგად მიწას ბღღენიდენ. მოიყვანა ისინი და უღელში შეაბა, სწორე ორნატები გაავლო, შემდეგ გარეკა და კორდიანი მიწის ზურგი ერთ წყრთაზე განკვეთათ (Vv 224—239; SC I, 324).

აფეტ-ის სახენელის გასაოცარ თვისებებს აპოლონიოს როდოსელიც იხსენიებს თავის ნაწარმოებში *Ἀργοναυτικῆ* „არგონაუტიკა“-ში. მისი სიტყვითაც, თვით ღვთაება ჰეფესტოსმა გაუკეთა კოლხთა მეფეს მთლიანი ანდამატისაგან შემჯაღებული სახენელი (*ἀνδὰματῶν ἀφαιρῶν*) ხარებითურთ, რომელნიც თავიანთი სპილენძის პირითგან საშინელ ცეცხლის ალს აფრქვევდნენ (იხ. III, 228 - 234; SC I, 419).

ამ ზღაპრული სამოსლით შეფერადებულ თქმულებას ჩვენთვის მხოლოდ იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი ძველი საქართველოს მიწისმოქმედების მაღალხარისხოვანი კულტურის ანარეკლი უნდა იყოს და სახენელის ლითონის ნაწილის სიმკვეთრის საუკეთესო თვისების მომასწავებელია. ასეთი თქმულება ცხად-ჰყოფს, რომ ქართული სახენელის საქებური თვისების ამბავს ძველ საბერძნეთშიც მითითებია.

ამას გარდა ისიც უნდა ითქვას, რომ სსბუნელის ცითგან ჩამოვარდნის თქმულებაც, რასაკვირველია, პიტარეთელი ოსების შეთხზული არ არის. აქ, როგორც ეტყობა, ძველი გარდმოცემის ანარეკლი და ნაშთი უნდა გვექონდეს დატული. ამას ჰეროდოტე-საგან ჩაწერილი ერთი ძველი თქმულება გვაფიქრებინებს, რომლის შინაარსი 1500 წ. . ამბის მონათხრობად არის ნაგულისხმევი.

სკოლოტთა, ანუ სკვითების თქმულებისამებრ, ტარგიტაჲს სამი ძის, ლიპოქსაჲსა, არპოქსაჲსა და კოლაქსაჲს, ზეობის დროს სკვითების ქვეყანაში ზეითგან დედამიწაზე ოქროს საგნები ჩამოცვივდა (ἐκ τῆς οὐρανοῦ φερόμενα χρυσαεά πειρήματα... παρὰ τὴν Ἰασηλίαν): სახენელი (ἀσπίον), ულელი (ὑλίο) და ბარძიმი. პირველად ამ საგნებს თვალთ უფროსმა ძმამ მოჰკრა და მათი აღება სცადა, მაგრამ მის მიახლოებასთანევე ოქრო აღეგზნა და ამის გამო მან ეს საგნები ხელში ვერ ჩაიგდო. მეორე ძმის ასეთივე მცდელობაც აშინარადვე უშედეგო გამოდგა და მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ოქროს ნივთებს მესამე ძმა მიუახლოვდა, ცეცხლი ჩაქრა და კოლაქსაჲმ ოთხივე საგანი ხელში ჩაიგდო და შინ წაიღო. მისმა უფროსმა ძმებმა მთელი ეს გარემოება ღვთაებრივ ნიშნად მიიჩნიეს და ამის გამო მეფობა უნტროს ძმას გადასცეს (ჰეროდოტე Hist. Lib. IV cap. 5). ეს ოქროს საგნები მერმინდელ შეფებსაც გულმოდგინედ დატული ჰქონდათ და ყოველწლიურად დღესასწაულს მართავენ და მსხვერპლს სწირავენ (იქვე Lib. IV, cap. 7).

ცხადია, რომ აქ ეპონიმიური თქმულება გვაქვს და სამი ძმის ზემომოყვანილ სახელებში ტომობრივი ერთეულების სახელებისაგან ნაწარმოებ გაპიროვნებასა და სახელებთან უნდა გვექონდეს საქმე ისევე, როგორც ლეონტი მროველისაგან შეთხზული მამამთავრების ჯავახოსის, კასოსის, კუხოსისა, ეგროსისა და სხვათა სახელები ქართველ ტომთა ჯავახთა, კახთა და სხვათა სახელებისაგან არის ნაწარმოები. ამჟამად რომ პირველი ორი ძმის სახელებს გვერდი ავუტკიოთ და მხოლოდ უმცროსი ძმის, ვითარცა ზეითგან ჩამოვარდნილი სახენელის მიმღების, ვინაობას შევხვით, ზემოაღნიშნული დებულება უნდა გვექონდეს მისი ვინაობის გამორკვევის დროს გამოყენებული. „კოლაქსაჲ“-ც, უეკველია, ტომობრივი სახელის გაპიროვნება უნდა იყოს.

სახელდობრ რომელი ტომის სახელი არის ამ შემთხვევაში მამამთავრის სახელად გამოყენებული, ძნელი მისაგნები არ უნდა იყოს, თუ გავიხსენებთ, რომ ერთადერთი სატომო სახელი, რომელიც „კოლაქსაჲ“-ს ზედმიწევნით უდგება, *Κραξίαι*, „კორაქსა“ არის. ჰეკატაეოსის თავის აზრის აღწერილობაში მოხსენებული ჰყოლია „Κραξίαι ἄρα“ „კორაქსული ქვეყანა“ და სტრუვანე ბიზანტიელს განმარტებული აქვს: „კორაქსები, კოლხთა ტომია, სკოლთა ტომის მახლობლად“ მობინადრეო. [აქ ცნობილი თემის, კოლაში მცხოვრები, ტომი იგულისხმება, რომლის სახელი კოლას მთების (Καλιὰ ὄρη) სახით ჰეკატაეოსისაც მოკვრება (იხ. G. et Th. Mülleri Fragmenta historicorum Graecorum, vol. I, Fr. 185 და 186 და ლატიშევის SC I, 2)].

ამგვარად, ისე გამოდის, რომ ცითგან ჩამოვარდნილი სახენელი ამ გარდმოცემის თანახმად, ქართველთა ერთ-ერთი ტომის,

კოლაელთა, მამამთავარს უნდა ჰქონოდა მიღებული. ის გარემოება, რომ სკვთები ჰეროდოტეს დროს, კავკასიის კარგა ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ, რასაკვირველია, „კოლაქსაჲ“-ს კავკასიაში მცხოვრებ კოლაელთა ტომის მამამთავრად მიჩნევის შესაძლებლობას ვერ შეიარყევს, რათა განთქმულება მოგვიტხოვბს ამბავს, რომელიც 1500 წელს ქ. წ. უნდა მომხდარიყო, ე. ი. ათასი წლით უწინარეს ვითარებას ჰგულისხმობს, როდესაც სკვთების ბინადრობის არეც სხვა იქმნებოდა. ამასთანავე ჰეზიოდეთგან მოყოლებული ძველი ბერძნული გარდმოცემა სკვთებად და სკვთების მიწა-წყლად მართო ჩრდილოეთით, დონის აუზში, მდებარე ქვეყანასა და მობინადრე მოსახლეობას-კი არ ჰგულისხმობდა, არამედ კავკასიასა და ამიერ-კავკასიასაც, თვით ამიერ-კავკასიის სამხრეთით მცხოვრებ ხალიბებსაც (იხ. М. Ростовцев, Скифия и Боспор, 1925 წ., გვ. 20—21). თუ ამავე დროს გავიხსენებთ, რომ თქმულებაში არგონავტების შესახებაც ბერძნული ვადმოცემაც კოლხეთში არსებული, ზღაპრული თვისებების მქონებული, ფოლადის მქრელი სახენელის ამბავს მოგვიტხოვბს, მაშინ უფრო განმტკიცდება რწმენა, რომ კოლაქსაჲს მიერ მოპოვებული ცითგან ჩამონავარდნი სახენელის შესახები თქმულებაც კოლხების ოდნავ სამხრეთ-აღმოსავლეთით, მობინადრე ქართველთა, კოლაელთა, ტომის მამამთავარს უნდა ჰგულისხმობდეს.

ამგვარად, ძველ ბერძნულ, სკვითურ და თანამედროვე ოსურ და ქართულ ზემომოყვანილ თქმულებათა ცნობებიც მაინც იმავე აზრსა და დასკვნას ამავრებენ და აძლიერებენ, რომელიც ქართულ სახენელთა ისტორიისა და შორეულ, თუ მახლობელ მეზობელთა სახენელებთან შედარებითი შესწავლის შემდგომ წინა თავებში იყო გამოთქმული.

### თავი მეთხმედი. ხანა-თეხვის მხევეურნი უკმელის ხანაში და ზემდეზში

მიწისმოქმედება და ხენა-თესვა საქართველოშიც კერძოდ მამაკაცთა საქმესა და მოვალეობას შეადგენდა. ასე იყო ისტორიულად კარგად ცნობილ ხანაში და, უძველესი, ამაზე უწინარესაც. მაგრამ ასე არ ყოფილა თავდაპირველად.

საველე მეურნეობისა და ხენა-თესვის ქართულ ტერმინთა შორის ამ მნიშვნელოვანი საკითხის გასაშუქებლად გამოსადეგი ერთი ფრიად საგულისხმო და საყურადღებო გამონათქვამი არსებობს: იმ პირს, რომელიც სახენელს უდგას და მის მოქმედებას ჰმართავს, „გუთნის დედა“ ეწოდება. ეს თავისებური ტერმინი „გუთნის დედა“ ქსნის ერისთვის დავითის ასულის ელენეს 1713 წ. ზითვის წიგნში გვხვდება (იხ. აქვე, გვ. 128), მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს გამონათქვამი ამაზე უწინარესი დროის ძეგლებშიც უნდა იყოს, რათგან თავისი აგებულება-შინაარსით იგი ძველის-ძველი ტერმინის შთაბეჭდილებას ახდენს. მხოლოდ ცხადია, რომ მე-XIII ს-ზე უწინარეს ამ გამონათქვამში გუთნის მაგიერ ერქუანი იქმნებოდა დასახელებული და ტერმინდაც „ერქუნის-დედა“ უნდა ყოფილიყო.

მაგრამ, კაცი რომ ჩაუკვირდეს, ბუნებრივად იბადება საკითხი: რატომ არის, რომ სახენელის ხელმძღვანელს, ანდა მხენელს ასეთი არა-ჩვეულებრივი, შეიძლება

ითქვას, უცნაური სახელი ეწოდებოდა და ეწოდება ეხლაც? რატომ „გუთნის დედა“ და არა „გუთნის მამა“, როდესაც მხენელი სწორედ მამაკაცია?

ეს ტერმინი ამ თავისი თვისებით მით უფროა საყურადღებო, რომ სხვა ამისთანა შემთხვევა, სადაც მამაკაცის აღმნიშვნელ სახელწოდებაში შემადგენელ ნაწილად „დედა“ შედიოდეს, ქართულში არ მოგვეპოვება. ამას გარდა, ზოგიერთ შემთხვევაში, რთულ, ორნაწილად ტერმინებში „დედა“ წარმომშობელს კნიშნავს, როგორც მაგ. „მაწუნის-დედა“-ში. მაგრამ „გუთნის-დედა“-ში ამ სიტყვას, რა თქმა უნდა, ასეთი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონოდა, რათგან გუთნის-დედა გუთნის გამკეთებელი, მეწუთნე არ არის.

აღსანიშნავია ამისთანავე, რომ „გუთნის-დედის“ მსგავსი გამონათქვამი არც სხვა ენებში არსებობს. მაშასადამე, აქ ვერც უცხო ენის გავლენის შედეგს, ვერც ნასესხობას ვიგულისხმებთ. ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ტერმინი „გუთნის-დედა“, რომელიც თავისი პირველი ნაწილის, „გუთნის“, გამო მე-XII -- XIII ს-ზე უწინარესი არ შეიძლება იყოს, წინანდელი, უძველესი ტერმინის განახლებულ სახეობას უნდა წარმოადგენდეს. აქ შეიძლება მხოლოდ სიტყვის პირველი ნაწილი იყოს განახლებული, რათგან მე-XIII ს-ზე უწინარეს გუთნის მაგიერ „ერქუანი“ იხმარებოდა. ამიტომ თავდაპირველად, ან ერქუანის-დედა უნდა ყოფილიყო, ან ეგების სახენელის ამ ტერმინის პირველ შემადგენელ ნაწილად, ერქუანზე უწინარესი ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელი სახელი ყოფილიყო.

რაკი ტერმინი „გუთნის-დედა“ და მისი წინამორბედი შეუძლებელია ნასესხი გამონათქვამი იყოს და ამავე დროს იგი ისტორიულად ცნობილი ხანის საქმის ვითარებასა და ხენა-თესვის სინამდვილეს ასე არ უდგება, ბუნებრივად იბადება საკითხი, ეს ტერმინი ისტორიის წინადროის მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების გამომხატველი ტერმინი ხომ არ არის, საუკუნეთა განმავლობაში ოდნავ შეცვლით შენარჩუნებული? მაგრამ მარტო ერთი სიტყვის მიხედვით ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა, როგორც ისტორიის წინა ხანის საქართველოში ხენა-თესვის მესვეურობის საკითხია, ძნელიც არის და საბიფათოც. უეჭველია, უნდა კიდევ სხვა რაიმე საბუთიც გვექონდეს, რომ „გუთნის-დედის“ შინაარსის ანალიზზე უშიშრად დამყარება შეგვეძლოს და შეუძღარი ლოგიკური დასკვნის რწმენა გვექონდეს. უნდა რაიმე სხვა ფაქტიც გვექონდეს იმ გარემოების გამომჟღავნებელი, რომ ხენა-თესვის მესვეურად უუძველესი ხანის საქართველოში მამაკაცის მაგიერ დედაკაცი მივიჩნით.

საბედნიეროდ, ამ საყურადღებო საკითხის გამოსარკვევად და გადასაწყვეტად ერთ ტერმინს გარდა სხვა, უფრო თვალსაჩინო და დამაჯერებელი ფაქტიც მოგვეპოვება იმ სფეროში, რომელიც ძველის-ძველ ვითარებას ყველაზე უკეთესად იცავს ხოლმე.

დედაკაცი რომ უუძველეს ხანაში ქართველ ტომთა შორის ხენა-თესვის მთავარი მოქმედი ძალა და ამ საქმის გამძლოლი უნდა ყოფილიყო, ეს ქართული წარმართული რწმენისა და ზნე-ჩვეულებათაგანაც მკაფიოდ მოჩანს. ამ მხრივ ყურადღების ღირსია, რომ, როდესაც მიწადმოქმედებას თავს განსაცდელი დაატყდებდა გვალვისა, თუ მოქარბებული ავდრიანობის გამო, ამ უბედურების თავითგან ასაცილებლად განკუთვნილ სა-

არწმუნოებრივ წესებსა და ლოცვა-ვედრებაში თითქმის განსაკუთრებით ქალები იღებენ მონაწილეობას. ტაროსის ღვთაების ვედრება, ლაზარეობა, ხომ ქალების, გოგოების, მოვალეობას წარმოადგენდა (იხ. ჩემი «ქართველი ერის ისტორია» I<sup>1</sup>, 71—72).

მაგრამ ამაზე ვაიცილებით უფრო საგულისხმო ო მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ გვალვის მოსასპობად და ტაროსის ღვთაებისაგან წვიმის გამოსათხოვად წყლის პირას, ან რიყის, ანდა თვით წყლის კალაპოტის აჩაჩით მოხვნა იციან ხოლმე. ამ წარმართული რწმენისა და სარწმუნოებრივი ზნე-ჩვეულებისაგან ამ ჟამად ჩვენთვის ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ სახვნელი რიყეზე და წყალზე მამაკაცებს-კი არა, არამედ დედაკაცებს შიამქვთ, სახვენელს ისინი მიეზიდებიან, ისინი ხნავენ და გუთნის-დედაც მამაკაცის მაგიერ დედაკაცევა.

მაგ. სოფ. ყვარელში 8—12 უღლიან გუთანს გვალვის დროს დედაკაცები იღებდნენ და უღლეულის სათანადო რიცხვი დედაკაცებისა მიეზიდებოდა მდ. დურუჯისაკენ. გვალვის თავითგან ასაცილებლად გუთანში შებმული დედაკაცები გუთნისდენითურთ წყლის კალაპოტს ორჯერ ხნავენ ხოლმე. საგულისხმო და საყურადღებო გარემოებაა ამასთანავე, რომ ამ სოფლის მამაკაცები დურუჯის პირას მხოლოდ შემდგეში მიდიოდნენ ხოლმე, როდესაც ხვნა უკვე გათავებული იყო (იხ. М. Машурко. Из области народной фантазии и быта: СМОМПК XVI!!, 126).

ასეთი სარწმუნოებრივი ჩვეულება საქართველოში ყველგან იცოდნენ და იციან ებლაც. ამის შესახებ ცნობა თავის დროზე რ. ერისთავსაც ჰქონდა შეტანილი თავის წერილში «О Тушино-пшаво-хевсурском округе (იხ. Зап. Кавк. Геогр. Общ. III, 142) და თანამედროვე საქართველოშიც წყლის კალაპოტის ქალებისაგან გუთნით მოხვნის წესის არსებობა გ. ჩიტაიასაც აქვს დადასტურებული (ეთნოგრ. მოგზ., გვ. 224—225).

ამგვარად, გვალვის ასაცილებლად დაწესებულს ამ სარწმუნოებრივ ძველის-ძველ ჩვეულებაში «გუთნის დედის» სახელწოდება<sup>1</sup> მართლაც სრულ სინამდვილეს გამოჰხატავს, რათგან სახვენელს მართლაც დედაკაცი ჰმართავს. ეს წარმართული ჩვეულება საუცხოოდ გვიხსნის ქართული ტერმინის «გუთნის დედა»-ს რეალურ შინაარსს და მას, ან უფრო სწორად რომ ითქვას, მის საგულეებელ წინამორბედს, ერქუნის დედას, თუ უფრო ადრინდელ წინაპარს, ცხოვრების სრული სინამდვილის გამომხატველად ჰხდის. მაგრამ ზემონათქვამითგან ცხადი ხდება, რომ თვით ეს წარმართული სარწმუნოებრივი ჩვეუ-

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ განჯის ყ. გუბერნიის ზანგეზურის მაზრის ს. ტათევიც გვალვის დროს ასეთვე ჩვეულება ჰქონიათ და იქაც თურმე ქალები ხნავენ, იქაც გუთნის დედა ქალი იყო, მაგრამ მამაკაცურად ჩაცმული (იხ. Н. Григорьев, СМОМПК XIII, 115). ცხადია, რომ ტათევიც ეს ძველის-ძველი ჩვეულება უკვე დამახინჯებული ყოფილა. რაკი იქ სხვაგან ასეთი ჩვეულების არსებობა არსად აღნიშნული არ არის, ამიტომ საიჭიკრებელია, რომ იგი საქართველოდან უნდა იყოს შეზიზნული.

ლება იმ უხსოვარი დროის ნაშთია, როდესაც მიწას ჯერ კიდევ დედაკაცები ხნავდენ და სახენელითაც ისინივე მუშაობდენ.

მიწისმოქმედება დედაკაცის ხელობად ძველ დროს მარტო ქართველთა შორის არ ითვლებოდა, არამედ ბევრგან სხვაგანაც; სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა მოდგმის ტომთა შორის იყო წესად მიღებული. ამის შესახებ წერილობითი ცნობებიც ბლომად მოიპოვება. სტრაბონს აქვს აღნიშნული, რომ ესპანიის იბერიც მიწისმოქმედებას დედაკაცის მოვალეობად სთვლიდენ: ხენათესვას ქალები მისდევდნო. პოსედონიოსის ცნობით, ლიგურიელი ქალებიც მიწისმოქმედებაში მონაწილეობას იღებდენ. ტაციტუსს კიდევ აღნიშნული აქვს, რომ მის-დროინდელი გერმანელი მამაკაცები თითონ მესაქონლეობას და ნადირობა-სიჭველეს მისდევდენ, მიწისმოქმედება-კი ქალებისა და მოხუცებულებისა, ან უძლურთათვის ჰქონდათ მიტოვებულ-მინებებულნი. ჰერაკლიდეს-საც მოთხრობილი აქვს, რომ ეპირის სამხრეთ-აღმოსავლეთის თემში მობინადრე ათამანებს შორისაც მიწას დედაკაცები ამუშავებდენ, მამაკაცებს-კი თავიანთ მოვალეობად მესაქონლეობა ჰქონდათ მიჩნეული.

ასეთი მაგალითების დასახელება კიდევაც შეიძლებოდა (იხ. Herman Hirt-ის Die Indogermanen, ihre Verbreitung, ihre Urheimat und ihre Kultur, 1. Band, Strassburg 1905 წ., გვ. 253 და Orth, Landwirtschaft: Paulys R-E, 23. Halbband, გვ. 624). მაგრამ ზემომოყვანილიც სრულებით საკმარისია, რომ აღამაინი დარწმუნდეს, თუ დედაკაცისაგან მიწის დამუშავება კაცობრიობის კულტურის უუძველესი საფუძურისათვის რამდენად ფართოდ გავრცელებული და, შესაძლებელია ითქვას კიდევაც, საყოველთაო წესი იყო. ზემოდასახელებულ ქართულ საბუთებს მხოლოდ იმ მხრივ აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ ქართულ ტერმინოლოგიას, საუკუნეთა განმავლობაში მომხდარი ყოფა-ცხოვრების ძირითადი ცვლილებისდა მიუხედავად, მხენელისათვის დღევანდლამდის შერჩენილი სახელწოდებით დედაკაცისაგან მიწისმოქმედების ოდინდელი მესვეურობის უტყუარი მოწმე დაუცავს, ხოლო ქართულ წარმართულ ზნე-ჩვეულებასაც დაუწესებია, რომ მიწისმოქმედების განსაცდელის ეამს ტაროსის ღვთაების შესავედრებლად ამ ხელობის შესეგობა მამაკაცისათვის დედაკაცს უნდა ჩამოერთვა და გუთნის-დედად წინანდებურათ ისევ ქალი უნდა დამდგარიყო.

თუ სტრაბონისა და ტაციტუსის მიერ დასახელებული, ზემოაღნიშნული მაგალითების მიხედვით სხვა ერებს მიწისმოქმედების ქალთაგან მესვეურობის ხანა ჟ. შემდგომს დროსაც შეუნარჩუნებიათ, იმავე სტრაბონის მღუშარება ასეთი წესწყობილების მის-დროინდელ კოლხეთ-იბერიაში არსებობის შესახებ, გვაფიქრებინებს, რომ ქართველ ერს ეს ხანა ისტორიის წინახანაში უნდა ქონდეს განუილი. ამგვარად, ქალებისაგან გვალვის დროს სახენელით მოხვნის ჩვეულება და „გუთნის დედა“-ს გამონათქვამი ქართულ ხალხურ წარმართულ გადმოცემასა და ენას უხსოვარი დროითგან ოდნავ განახლებული დაუცავს.

### თავი მეჩვი. ეჩუან-გუთანეა ხასაწავი შრომის ოღონობა

ს. ორბელიანის განმარტებითგან ჩანს, რომ ერქუანი და გუთანი „ქარ-მრავალ-ბმული“ სახნავი იარაღი იყო და, თუმცა შესაბამელი საქონლის რაოდენობა ქართველ ლექსიკოგრაფს განსაზღვრული არა აქვს, მაგრამ მაინც-დამაინც ცხადია, რომ მისი შემბულობა ჯილდაში შესაბამელ რაოდენობას სკარბობდა. ჯილდაში ოთხს, ან ხუთ უღელს აბამდენ (ლექსიკ. „ერქუანი“). მაშასადამე, ერქუან-გუთანეში სულ ცოტა უნდა ექვსი უღელი ბმულიყო, მაგრამ, მოსახნავი მიწის თვისებისდა მიხედვით, ხშირად ამაზე მეტსაც აბამდენ ხოლმე-მართლაც, კლაკროთის მოწმობით, დუშეთის მიდამოებში გუთანეში თურმე ექვსს, ან შვიდ უღელს აბამდენ (Voyage II, 27; და 28).

მაგრამ ჯერ კიდევ ებრაელებსვე უღელ-მრავალი სახენელი სცოდნიათ. ესაიას მაგ. ნათქვამი აქვს: „სადა იქმოდის ათი უღელი კართა, ქმნას ლაგვინი ერთი“-ო (5<sub>10</sub>). საქართველოშიც ასეთი უღელმრავალი გუთანი ყოფილა და ვახტანგ მე-VI-ეს „დასტურლამალ“-ში (გვ. 35) აღნიშნული აქვს, რომ „ერთი გუთანი არის კარის უღელი ი (10)“-იო. ათ-უღლიანი გუთანი შესაბამელი საქონლის maximum-ს წარმოადგენდა და მას, ვითარცა უმაღლეს ნორმას, „გუთნე-ულო“ ეწოდება. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი“-თგან ჩანს, რომ ათ-უღლიან გუთნეულს „ლალის გუთანი“ (გვ. 35), ან გუთნეული რქმევია.

ერქუანა, ან გუთანს, 6—7, ან 10 უღელი ხარის შემბულობას გარდა, ხენის დროს ხუთი კაცი უნდა თანჰყოლოდა (კლაკროთი, Voyage II, 27—28), რომელთაგან ერთი ხარებს მიერეკებოდა, მეორე სახენელს მისდევდა და საჭირო გეზს აძლევდა, თანაც დრო-გამოშვებით, როდესაც ხნული საკმაოდ ღრმა არ გამოდიოდა, სახნისის დასაღრმავებლად, დასაკვალებლად ჩუთ-კბილას თეხს აქერდა.

### თავი მცხრამ. მცენარეთამცოდნობა საქართველოში

ხნული დასათესად მომზადდებოდა თუ არა, მიწისმოქმედი თესვას შეუდგებოდა ხოლმე. სოფლის მეურნეს რომ დასახული მიზნისათვის სასურველად მიეღწია და მისი ნამუშავარი უხვად ყოფილიყო დაჯილდოვებული, მას უნდა ბევრი რამე სცოდნოდა და ყოველგვარი გარემოებისათვის გაეწია ანგარიში.

საუკუნეთა განმავლობაში წარმოებულმა მუშაობამ და თაობითი თაობამდე შექმნილმა გამოცდილებამ მიწისმოქმედს საშუალება მისცა ბუნებისშეტყველებების ზოგიერთი, მისთვის აუცილებლად საჭირო, მოვლენის თვისება ისე შეესწავლა, რომ მისი სამეურნეო მიზნისათვის გამოყენება შესძლებოდა. ამ ეამად ჩვენთვის მცენარეთამცოდნობაა საინტერესო.

სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელსაც უნდა მაშინ მოაოყებული და მიწისმოქმედთა შორის გავრცელებული ზოგადი ცოდნის დონე და აელა-დიდება გათვალისწინებული ჰქონდეს. მცენარეთამცოდნეობის მაშინდელი დონე-კი ერთის მხრით იმდროინდელ ტერმინოლოგიაში არის აღბეჭდილი-

მეორეს წხრით ძეგლებში გაკვრით მოხსენებული დებულებისა, თუ შედარების დროს ნახმარი გამონათქვამების მიხედვით შეიძლება იქმნეს ალდგენილი. ზოგადი თეორია შემთხვევით აქა-იქ საისტორიო ძეგლებშიც გვხვდება, ხოლო სრულად გეოგრაფიულ ნაშრომებში უნდა ვეძიოთ.

## § 1. ხასოფლო-სამეურნეო მცენარეების გვარობათა შესახები ტერმინოლოგია

ყველაფერს, რასაც დედამიწა თავის წიაღითგან გამოიღებდა და გამოჰყოფდა, „მცენარე“ ეწოდებოდა, თვით მოქმედებას-კი „ალმოცენებაა“. თავდაპირველად ტერმინ მცენარეს ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და მარტო იმას-კი არ მნიშნავდა, რასაც ეხლა მცენარეს ვეძახით, არამედ თვით სითხის გამოღებისა და გამოყოფისთვისაც, წყარო და მდინარისთვისაც, იხმარებოდა.

უკვე ებრაელთა მწერლობა მცენარეულობას ჯგუფებად ჰყოფდა. მაგ. შესაქმეთა 1<sub>11-12</sub>-ში ნათქვამია: „თქუა ღ'ნ, ალმოა ცენენ ქუეყანაჲმან მწვანელი თივისაჲ, მთესველი თესლისაჲ... და ხე ნაყოფიერი, მყოფელი ნაყოფისაჲ...“ და გამოიღო ქვეყანამან მწვანელი თივისაჲ, მთესველი თესლისაჲ... და ხე ნაყოფიერი, მყოფელი ნაყოფისაჲ“. ამგვარად, თესლის გამოშვები „მწვანელი თივისაჲ“ ცალკეა დასახელებული, „ხე ნაყოფიერი“, თესლის მაგიერ ნაყოფის გამოშვები, კიდევ ცალკეა: თივა და ხე დაპირისპირებულია.

ამავე შესაქმეთა 2<sub>3</sub>-ში-კი „ყოველი მწუანილი ველისაჲ“ და „ყოველი თივაჲ ველისაჲ“ ცალ-ცალკეა დასახელებული. უკვე აქეთგან ისე გამოდის, რომ „მწუანილი“ და „თივაჲ“ სხვადასხვა ცნების გამომხატველად ყოფილა ნაგულისხმევი.

ზემომოყვანილ ტერმინებს გარდა, დაბადების თარგმანში ნახმარია „ნერგი“-ც: „მოაგლო ყრბა ქუეშე ნერგისა ერთისა“-ო (შესაქმეთა, 21<sub>13</sub>).

დასასრულ, იობის 30 , და 7-ში ნათქვამია: „გარემოვლიდეს მდელიონი მანართა შინა, რ'ლთა საქმელ იყო მდელიონი, ხოლო უპატიონი... ძირთა ხეთასა კამდეს... ქარკუეცთა ქუეშე ველურთა იზრდებოდეს“-ო. ამგვარად წინანდელთან შედარებით ემატება „მდელიოჲ“ და „ქარკუეცი“.

გამოსარკვევია ყველა ამ ტერმინის (თივაჲ, მწუანილი, მდელიოჲ, მხალი მწუანილოვანი, ხეჲ) მნიშვნელობა. უპირველესად ეს ნათარგმნი ძეგლების დედნებთან შედარებით უნდა ვცადოთ, მაგრამ ზოგი მათგანის თვით აგებულება-შინაარსიც მათი თავდაპირველი მნიშვნელობის მიგნების საშუალებას გვაძლევს.

უფრო ზოგადი მნიშვნელობა აქვს ტერმინს „თივაჲ“-ს. შესაქმეთა 1<sub>11-12</sub> და 2<sub>3</sub>-ში ეს სიტყვა ბერძნული ἄχρῃς-ის, ლათინ. herba-ს და სომხური *խით*-ის თარგმანს წარმოადგენს.

ეს სიტყვა მათეს 14<sub>11</sub>-შიც არის ნახმარი, სადაც ნათქვამია: „უბრძანა ერსა მას დასხლომაჲ თივასა ზედა“. საბას თავის ლექსიკონში ეს ადგილი დამოწმებული და განმარტებული აქვს: „თივა მოთიბული ხმელი ბალახი“ არისო. მაგრამ ამას არც ბერძნული, არც ლათინური და არც სომხური პარა-



ლეღური ადგილი არ ადასტურებენ. აქაც ბერძნულად, და სომხურად იგივე ტერმინებია, რომელიც ზემომოყვანილ მავალითებშია. ასეთი შესატყვისობაც რომ არ გვექონოდა, საკმარისია ადამიანს ესაიას 32<sub>1</sub>-ის მსგავსი ცნობა წაეკითხა, სადაც ნათქვამია: „ქუეყანასა ზედა ერისა ჩემისა ეკალნი და თივა აღმოსცენ დეს“-ო, რომ ცხადი გამზდარიყო, რომ ძველ ქართულში „თივაჲ“ გათიბულ, გამზმარ ბალახს-კი არ ჰქონდა, არამედ ახლად ამოსულსა და საზოგადოდ ნედლ, ნოუთიბაჲ ბალახს. ამასვე ადასტურებს ამ შემთხვევაშიც ბერძნულ-ლათინურ-სომხური შესატყვისობა ὀ γάραι, vepres, *խით*.

ს. ორბელიანის ზემომოყვანილი განმარტება მხოლოდ იმ მხრივ არის საგულისხმო, რომ აქ თივას უკვე ისეთი მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული, როგორც თანამედროვე ქართულშია. ცხადია, რომ თივას გათიბული, გამზმარი ბალახის მნიშვნელობა მე-XVII ს-ზე უწინარეს უნდა ჰქონდეს მინიჭებული. გამოსარკვევია, სახელდობრ, რა დროითგან შეიცვალა ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა.

„თივა“ მარტო ძველ სამწერლობო ქართულში არ ჰქონდა ნედლ ბალახს: ოდნავ ფონეტიკურად შეცვლილი, „თიფი“-ს სახით, ეს ტერმინი მეგრულსა და ქანურშიც მოიპოვება. მაგრამ, თუ მეგრულად იგი იმასვე ჰქონდა, რასაც ახალ ქართულში თივად ვგულისხმობთ, ე. ი. მოთიბულ, გამზმარ ბალახს, ქანურს ამ ტერმინის ძველი მნიშვნელობა დაუტოვებს და ისევე, როგორც ძველ სამწერლობო ქართულში იყო, იქაც, ქანურშიც, „თიფი“ ბალახს, სწორედ ნედლ ბალახსა ჰქონდა. თივის თანამედროვე მნიშვნელობით გამოსახატავად ქანურში ტერმინად „ზომულა თიფი“ ან „ზომულა თიფი“ (კ. გ., 147), ე. ი. ხმელი ბალახი იხმარება. ბალახს ვთიბავ ქანურად იქმნება, „თიფი ბჭკარუფ“ ე. ი. თივას (ბალახს) ვჭრი. ცხადია, რომ „თიფი“-ს ასეთი, ნედლი ბალახის, მნიშვნელობა ქანურს იმ უძველესი დროითგან უნდა ჰქონდეს დაცული, როდესაც ქანური ჯერ კიდევ საზოგადო ქართულს ჩამოშორებული არ იყო.

ზემოაზოთვილ ტერმინთაგან ყველაზე ადვილ გამოსარკვევად ადამიანს „მწუანილი“ ეჩვენება, რათგან ამ ტერმინის შინაარსი ცხად-ჰყოფს, რომ აქ მცენარის ფერსა ჰქონდა უმთავრესად ყურადღება მიქცეული. ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ „მწუანილი“ უნდა ყოველგვარი მწვანე მცენარის აღმნიშვნელი ყოფილიყო. მაგრამ უკვე ს. ორბელიანს აქვს განმარტებული. რომ „მწუანილი ყოველივე ბალახი“-ს სახელს წარმოადგენდა (ლექსიკ.). მაშასადამე, არამცთუ მერქნიანი მცენარეები, ხეები, ბუჩქები და ყვავილებიც-კი მწვანილთა გჯუფად არ იგულისხმებოდნენ. თანამედროვე ქართულში, როგორც ცნობილია, მწვანილად ყოველივე ბალახიც კი არ იგულისხმება, არამედ მხოლოდ ადამიანის საკმელო ბალახი. რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ტერმინს ძველად? ნათარგმნი ძეგლების მიხედვით „მწუანილი თივისაჲ“ უდრის ბერძნულს ἡ βίονη γάραι, ლათინურს *herba virens*-ს და სომხურს *բանჯარ խითոյ* (შესაქ. 1<sub>11-12</sub>). მაგრამ „მწუანილი ველისაჲ“ უკვე ბერძნული *χλωρὸν ἀγρῶν*-ს, ლათინ. *virgultum agrī*-ს, სომხური *բანჯარ վայրի*-ის შესატყვისობას წარმოადგენს.

ბერძნული პირველ შემთხვევაში საძოვარ ბალახს, მეორე შემთხვევაში მწვანე ილას ჰნიშნავს, ლათინური-კი პირველ შემთხვევაში—ნელდ, მწვანე ბალახს, მეორეში-კი *virgultum*-ი უკვე ბუჩქს ჰნიშნავს. ქართველ მთარგმნელს ბერძნული თარგმანის მიხედვით გაუგია და მწვანელი მის თარგმანში, რასაკვირველია, ბუჩქად არ იგულისხმება.

არსენ იყალთოელს „მწუანილი“ („ეივოდენ ფრიადსა აჩვენებენ... მოთმინებასა, ვიდრელა მწუანილისა რაჟსამე ქამასა კმაიყოფენ“-ო: ხრონოლოგია, 168, 11-12) ბერძნული ἡ ποιη-ს შესატყვისად აქვს ნახმარი (ποιηματικῶν: I, 331), რომელიც მცენარეს, ბალახს, საძოვარსა ჰნიშნავს.

გ. მერჩულის სიტყვით, ოპიზის პირველი მეუღაბნოენი „იზრდებოდეს მძოვართა სახედ მწუანილითა და ხილითა, ხოლო რომელიმე მცირელითა პურიითა“-ო (ცა გვლ ხნძთლისა, გვ. ვ-ზ). ამ ადგილითგან მხოლოდ იმის დასკვნა შეიძლება, რომ მწუანილი ისევე იკმეოდა, როგორადაც მძოვრელი საქონელი სკამს, ე. ი. საკვებად მცენარის ნიადაგზედ ათი ნაწილი ნედლი, მოუხარშავი უხმარიათ.

მწუანილს გარდა, იხმარებოდა „მწუანილოვანი“-ც (იგავნი სოლომ., 27, 3) ბერძნული χλωρον-ისა, ლათინ. *pratium*-ისა და სომხური բանջար-ის შესატყვისად.

„მდელიო“ ესაიას 19 „-ში გვხვდება რე ხლონის, მწვანე ილის მნიშვნელობით. სომხურად *լուսմარգ*-ია, ე. ი. წყალმცენარეებით მოფენილ ადგილად არის მიჩნეული. ეს ტერმინი არსენი იყალთოელს გ. მონაზონის ქართულ თარგმანში მოეპოვება. ერთგან სწერია: „ქოსტანტი, რომელსა იგი ეწოდებოდა მწვანე მდელიოჲს ფერობისათვის ფერისა პირისა მისისა“-ო (გვ. 253, 3). მეორეგან: „ქუეყანაჲ აღმოაცენებს მდელიოსა თივისასა“-ო (გვ. 58, 4). პირველ შემთხვევაში „მდელიოჲს ფერობისათვის“ უდრის ბერძნულს ἡ δὲ τῆς ἀχλωρίας II, 484, ე. ი. მეტისმეტი ფერმკრთალობისათვის. მეორე შემთხვევაში „აღმოაცენებს... მდელიოსა თივისასა“ უდრის დედნის *βλαστάει... βιοτάτοι γέρου* (I, 128). მაშასადამე „მდელიო“ ἡ βιοτάτου-ს შესატყვისობად არის ნახმარი.

ეს ტერმინი ქართ. ძეგლებშიც გვხვდება. მარტვირის ცნობით ასურელი მამანი საზრდოს ადვილად შოულობდენ, რათგან „ყო მათდა საზრდელად მდელიოთაგან ქუეყანისათაჲ“-ო (მარტვირი, ცა შიოსი, საქ. სამ., 227). დავით გარეჯელის ცხობებაშიც ნათქვამია, რომ დავითი და ლუკიანე „საზრდელი მოიგწდიან... მდელიოთა ძირთანი და მწუანილთანი მუნ აღმოცენებულთანი“-ო (საქ. სამ. 271). ეამთაღ მწერელსაც მოთხრობილი აქვს: „მოიწია თვე მისი და აღმოსცენდა მდელიო“-ო (\* 830, გვ. 675).

სამწერლობო ქართულის „მდელიო“-ს შესატყვისად მეგრულში „ნდოლო“-ა, რომელიც მწვანეულობას, ბალახს და მცენარეს ჰნიშნავს. გვირილას მეგრულ სახელ „დეჯიშ მდელიოში“-ც დაკულია ეს ტერმინი, რომელიც ღორის მდელისა ჰნიშნავს (იხ. იოს. ყიფშიძის მ. გ., 228). ს. ორბელიანის განმარტებით „მდელიო არს ყოველივე მწვანელი ველისა“ და თავის სიტყვე-

ბოს საბუთად მალაქიას 3, აქვს აღნიშნული (ლექსიკ.). ბერძნული შესატყვისობაც ამას ადასტურებს, რათგან იქ ἡ πειρα არის ნახმარი, რომელიც ბალახსა და საძოვარს ჰნიშნავს.

მაგრამ ეს ქართული ძეგლებით არ მართლდება. დავით გარეჯელის ცხოვრების ავტორს „მდელიოჲ“ და „მწუჟანილი“ ცალცალკე აქვს დასახელებული: დავითი და მისი მოწაფე ლუკიანე გარეჯის უდაბნოში „საზრდელი მოიარეწდიან რომელთაჲმ მდელიოთა ძირთანი და მწუჟანილთანი მუნ აღმოცენებულთაგანი“-ო (საქ. სამოთხე, 271). ამ ცნობითგან ჩანს, რომ „მდელიოჲ“ და „მწუჟანილი“ ერთი-და-იგივე არ ყოფილა. ზემოთყვანილი წინადადების მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ აღდამიანი მდელიოთა მხოლოდ ძირსა სკამდა, რომელიც, რა თქმა უნდა, მწვანე არ იყო და ამის გამო მას მწვანილის სახელი არ შეჰმკვნიდა მწუჟანილად-კი აქაც ისეთი მცენარე იგულისხმება, რომლის ძირს-კი არა, არამედ ნიდაგს ზევით ამართულ ფოთოლ-ღეროებს სკამდენ.

საკვებ ბალახთა აღსანიშნავად ძველ ქართულ მწერლობაში ზოგად ტერმინად მიღებული იყო „მხალი“-ც.

„მხალი“ მათეს 13,31-ზეა ნახმარი. იქ სწერია: მარცვალი მდოგვისაჲ მიილო კაცმან და დასთესა თვსსა მტილსა“ და თუმცა იგი „უმციროს არს ყოველთა თესლთა“, მაგრამ „რას ეამს აღორძნდის, უფროჲს ყოველთა მხალთა არნ იგი“-ო. ამ ადგილას „მხალი“-ს შესატყვისად ბერძნულად τὰ λάχανα, ლათინურად olus-ია და სომხურად აქაც բանջար-ია ნახმარი.

გ. მონაზონის ხრონოლოგიის არს. იყალთოელის თარგმანშიც გვხვდება გამონათქვამი „მხალი მწუჟანილიხაჲ“ (73), რომელიც ქართველ მთარგმნელს ბერძნული დედნის λάχανα χιόρυ-ის გადმოსაცემად გამოუყენებია. ამგვარად „მხალი“ τὰ λάχανα-ს შესატყვისად არის მიჩნეული. ბერძნულად-კი „ლახანა“ ბოსტნეულობას, მწვანილეულობას ჰნიშნავდა.

შავშეთ-კლარჯეთის უდაბნოთა აღწერილობაში გრიგოლ ხანძთელს აღნიშნული ჰქონია, რომ იქ სახნავ-სათიბი, ენახები და მტილები ცოტა ჰქონდათ. მაგრამ სამაგიეროდ საკვები „მხალთა ველისათაჲ არს სიმრავლემ ურიცხვ“-ო (ცა გვლ ხნძთლსა, გვ. კდ).

ს. ორბელიანს მათეს 13, დაჰმოწმებით განმარტებული აქვს, რომ „მხალი... არს რაჲც მწუჟანილი, კაცთაგან საკმელად დაითესებოს“-ო (ლექსიკ.). გამოდის, რომ მხალი მხოლოდ კულტურული საკმელი მცენარის სახელი იყო. ნამდვილად-კი მხალს ამაზე გაიკლებით უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და, დათესილ მხალს გარდა, მრავალი დაუთესელი, ველური მხალიც არსებობდა და საკმელად იხმარებოდა.

ეახუ შტის ამ ტერმინის მნიშვნელობა სხეანაირად აქვს განმარტებული. მისი სიტყვით, „ტყეთა და ველთა არიან მრავალნი სურნელნი, საზამთროდ სახმარნი, ბალახნი, მხალად წოდებულნი“-ო (გვრთა, 56-58). აქეთგან ჩანს, რომ მხალი ტყის და ველის, ე. ი., როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, აღამიანის საკმელად განკუთვნილი ველური ბალახი ყოფილა. მაგრამ, ეახუ შტის განმარტებით, მხალი თითქოს „საზამთროდ სახმარი“ საკვები უნდა

ყოფილიყო. მაშასადამე, მხალისაგან დამზადებული საკმელი გამხმარი მცენარეულობისაგან უკეთებიათ. საკმლის გასაქეთებლად, მხალი, რა თქმა უნდა, ხშირად ზამთრისათვისაც ვახშიობილი და დაუნჯებული ჰქონდათ, მაგრამ ნედლსა და ახალ-მოსულსაც ხმარობდნენ. მწვანე ილსა და მხალს შორის ის მსგავსება იყო, რომ ორთავეის უმთავრესად ზედა ნაწილი, ფოთლები, იყო საკმელად განკუთვნილი, მაგრამ ის განსხვავება არსებობდა, რომ მწვანე ილი უმადაც, მოუხარშავიც, იკმეოდა, მხალს-კი მოხარშულსა და სანაგებოდ საკმელად მომზადებულს აქეთებდნენ ხოლმე.

## § 2. მცენარეთა უძველესი კლასიფიკაცია

„ნერგი“ ბერძნული ἡ ἄλγη-ს, ლათინური arbors-ისა და სომხური *ხეხին* *ბაიოჟ*-ს შესატყვისად არის ნახმარი (შესაქ., 21<sub>15</sub>). არც ერთი ამათგანი ქართული ტერმინის ნამდვილ შესატყვისობას არ წარმოადგენს და ამიტომ ნერგის ძირითადი მნიშვნელობის ამ საშუალებით გამოაკვეთა შეუძლებელია.

არც დაბადებისა და არც სხვა ნათარგმნი ძეგლების მიხედვით მცენარეულობის ძველი ქართული კლასიფიკაციის გამოაკვეთა, ან გინდ მარტო ზოგადად გათვალისწინება, არ შეიძლება. ტერმინებითა და ორიგინალური ქართული ძეგლებით ამ საკითხის შესწავლა, რასაკვირველია, შედარებით უფრო ადვილია. მაგ. ტერმინები „ნერგი“ და „მცენარე“ საშუალებას გვაძლევენ უძველესი ქართული ბოტანიკური კლასიფიკაციის ერთი საფუძველთაგანი გამოვარკვიოთ. ხოლო, ამავე პრობლემის შესასწავლად, ნიკოლოზ გულაბერიძეს თავის თხზულებაში ერთი საგულისხმო ადგილი მოეპოვება, სადაც ნათქვამი აქვს: „ქუეყნიერნი... იგი ფერად-ფერადნი მცენარენი ყუაეილთა და ნერგთანი, შინაურთა და ეელურთანი, რომელიმე საგემებლად, დამატკობელად სასათა, ხოლო რომელიმე სასურნებელად და სურნელმყოფელად საყნოსელთა“-ო (ნიკოლოზ კუი, საკითხაი სუეტისა ცხოველისაჲ, 38).

ამ დებულების მიხედვით „მცენარენი“ ორ მთავარ ჯგუფად არიან დაყოფილნი: ერთ ჯგუფს „ყუაეილნი“, ანუ ყვავილოვანნი შეადგენენ, მეორეს კი-დეე „ნერგნი“, ანუ ნერგოვანნი. თავის მხრით ყვავილნიცა და ნერგნიც, მაშასადამე, საზოგადოდ მცენარენი, საღაურობისდა მიხედვით შესაძლებელია ყოფილიყვნენ, ან „შინაურნი“, ან „ეელურნი“.

საფიქრებელია, რომ რაკი ნ. გულაბერიძეს ყველა მცენარენი, ყვავილოვანნი იქმნებოდნენ, თუ ნერგოვანნი, შინაურნი, თუ ეელურნი, მათი, ან საგემებლად, ან სასურნებლად გამოყენებადობის თვალსაზრისით შეფასებულნი ჰყავს და მიჩნეულნი არიან ან „საგემებლად“, „დამატკობელად ხასათა“, ე. ი. საკმელად, ან და „სასურნებლად“, „სურნელმყოფელად საყნოსელთა“, ამიტომ დაჰიწყვება; რომ ამ ორ კატეგორიას გარდა ხეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფიც არსებობდა, რომელნიც ადამიანს არც საგემებლად და არც სასურნებ-

ლად ჰქონდა გამოყენებული, არამედ სამეურნეო მიზნით, ვითარცა ასაგებს, ხაწვევსა და იარაღ-ჭურჭელ-ავეჯეულობისათვის აუცილებლად საჭირო მასალას ხმარობდა.

თუმცა ნ. გულაბერიძეს მცენარე ზოგად ცნების გამომხატველად მიაჩნდა და მხოლოდ ყუთვილსა და ნერგს სთვლიდა განსხვავებულ კატეგორიებად, მაგრამ ქარ თულში თავდაპირველად, ეგონებ, მცენარე და ნერგიც უნდა დაპირისპირებული ყოფილიყო.

თუ ადამიანი ტერმინებს, „მცენარე“ და „ნერგი“, აგებულობის მხრივ ჩაუკვირდება, ამ სიტყვების ძირითად, თავდაპირველ, მნიშვნელობას და მათ შორის არსებულ განსხვავებასაც ადვილად მიაგნებს. „ნერგი“, უეჭველია, რგვა ზმნისაგან ნაწარმოები მიძლეობა და თავდაპირველად დარგვით მოყვანილი ყოველნაირი მცენარის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

ბოტანიკითგან ცნობილია, რომ მცენარეთა მთელი რიგი არსებობს, რომელთა გამრავლება, ან მოყვანა მხოლოდ დარგვით შეიძლება: უნდა მოჭრილი ტოტი, თუ კვირტი მიწაში ჩაირგას და მარტო ამის შემდგომ და ამ გზით შესაძლებელია, რომ ამ მცენარე მიაღწეოს ძირი გაიდგას და „აღმორჩება“, ამოსვლა დაიწყოს. ასეთ მცენარეთა ჯგუფს მაგ. ტირითი, წნორი, ვერხვი, ვაზი, კარტოფილი და ბევრი სხვაც ეკუთვნის (იხ. ზ. ყანჩაველის ბოტანიკა I, 1927 წ.გამ., გვ. 243—245).

ამ ტერმინის ასეთი მნიშვნელობა ს. ორბელიანსაც არ გამოჰპარვია და ლექსიკონში განმარტებული აქვს: „ნერგნი: ხე და ბალახი დარგული“-ო. „მცენარე“ თავდაპირველად თესლოვან მცენარეთა აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, რომელიც რგვით-კი არა, არამედ თესლითგან აღმოცენებით ჩნდებოდა ხოლმე.

მხოლოდ მერმე უნდა იყოს ეს სიტყვა ზოგად ტერმინად ქცეული. ამნაირადვე „დანერგვა“ შემდეგში მარტო ნერგიან მცენარეთა ზრდა-გამრავლების პროცესის გამოსახატავად-კი არ იხმარებოდა, არამედ თესლოვანთათვისაც, ასეთ შემთხვევაში „დანერგვა“ იმ პროცესს აღნიშნავდა, როდესაც თესლისაგან მიწაში ფესვები გამოჩნდებოდა, მცენარე ძირს გაიდგამდა და ამოჯეჯილებას დაიწყებდა.

ეს გარემოება იოანე საბანისძის შემდეგი სიტყვებით მტკიცდება: „მარცხულ მლოგვს ეწოდება, რამეთუ დაიკნინებს თავსა თვსსა... რათა ურნატსა... დაენერგოს და ღრმად ძირნი დაიბნეს და რტოთა მათზედა... შეგვკრიბნეს... და აღმალდეს“-ო (წმბე ჰაბოასი 13).

ამგვარად, მცენარე რომ ამოვიდეს, „მარცვალი“ უნდა ხნულის კვალში „დაენერგოს“. დანერგვა „ძირთა დახმა“-ს, ფესვების ნიადაგში ვაბმასა და გადგმას წარმოადგენდა.

### § 3. მცენარეთა ორგანოებისა და მათი მომშენებლობის ტერმინოლოგია

მცენარე ორი მთავარი ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან ერთი მიწა-შია, მეორე ნიადაგს ზევით არის ამართული. ქვედა, ნიადაგში ჩამდგარ, ნაწილს მაშინაც „ძირი“ ეწოდებოდა.

საბასაც ნათქვამი აქვს: „ძირი“ ეწოდების ხეთა და მალახთა ქვედა კერძოსა“-ო (ლექსიკა: „ფსკერ“-ს ქვეშე). „ყოველი ძირი ლელწმისა და კილი-სა“-ო (ესაია 19). „არა ნუ სთესვიდენ, არცა არ დაჰნერგონ, არცა არ განძირნეს ქუეყანად ძირი მათი. მოჰბერა მათ ზედა და განქმეს და ნიავ-ქარბან ვითარცა ქარქუეტნი აღიხენეს იგინი“-ო (ესაიას 40, ნაწ.). „ძირი“ უდრის ბერძნულს ἡ ρίζα-ს, ლათინურს truncus-ს და სომხურს *արմատ*-ს. სამივე მართლაც ძირს ჰნიშნავს.

ძირი ფესვებისაგან შედგება. ს. ორბელიანის განმარტებით „ფესვი ძირის ჩინჩლი“ არის (ლექსიკ.). თვით ჩინჩლზე-კი ნათქვამი აქვს: „წური-ლი ფესვები“-აო (იქვე).

თუმცა ძველ ქართულში ტერმინი „ფესუნი“ გვხვდება, მაგრამ ვითარცა ტანისამოსის ქვედა ნაწილის, კალთის, ფოჩებიანი ქობა-სამკაული. მაგ. მათეს 23-ში ფარისეველთა და მწიგნობართა შესახებ სწერია: „განადიდნიან ფესუ-ნი სამოსლისა მათისანი“-ო. „ფესვნი სამოხლიხა“ ბერძნული τὰ χιτῶνες, ლათინური fimbriae palliorum-ს და სომხურს *գլխანք հանդերძիւ*-ს უდრის.

რა თქმა უნდა, ტანისამოსის ფესვი ამ ტერმინის მეორადი მნიშვნელობაა, რომელიც მცენარის ფესვის მიმსგავსებით არის წარმომდგარი. ამიტომ, უეჭვე-ლია, ამ სიტყვას უძველეს ხანაშიც მცენარის ძირის ფოჩების მნიშვნელობა უნ-და ჰქონოდა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივ უძველეს ძეგლებში „ძირ-ნი“ გვხვდება. იოანე საბანის ძეს მაგ. ნათქვამი აქვს: ხნულში ჩათესილმა მარცვალმა მიწაში „ღრმად ძირნი დაიბნიეს“-ო (წმბა ჰაბოსი, 13). ამ ტერმინის მრავლობითად ხმარება ცხად-ჰყოფს, რომ ავტორს აქ სწორედ ძირის მრავალრიცხოვანი ნაწილები ჰქონდა ნაგულისხმევი, ე. ი. „ძირნი“ აქ ფესვების აღსანიშნავად არის გამოყენებული. ამგვარად, საფიქრებელი ხდება, რომ ძირსა და ფესვს ძველად თითქოს ერთი-და-იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და შესაძლებელია ეს ორი ტერმინი სხვა-და-სხვა დიალექტური წარმონაშობი იყოს. გამოსარკვევია, თუ როდის მიენიქა ფესვს ის მნიშვნელობა, რომელიც საბა ორბელიანს აქვს თავის ლექსიკონში აღბეჭდილი?

თუ მცენარე ნერგოვანი არ არის, მისი აღმოცენებისათვის „თხლი“-ა საჭირო. თესლი (ბ. *σπέρμα*, semen, *სხრმან*: შესაქმეთა 1<sub>11-12</sub> და ბევრგან სხვა-განაც) უნდა ნიადაგში ან ჩაეარდნილიყო, ანდა ადამიანისაგან „დათესული“ (ესაიასი, 18), „ღრნატად შთათესილი“ (ანგიასი, 2<sub>11</sub>) ყოფილიყო: „ვიეთნი იყვენით, ოდეს შთათესევიდით ურნატად ოცსა სატასა და იქმნა ათი სატაჲ ქრთილი“ (იქვე). „ექუს წელ სთესო ყანა შენი“ (ლევიტ., 25<sub>3</sub>). „სთესა ისაკ ქუეყანასა ზედა“ (შესაქმ. 26<sub>13</sub>, მათე 13<sub>6</sub>). „ფესვა“ უდრის ბერძნ. *σπέρμα*-ს, ლათინ. *semo*, *semino*-ს და სომხ. *სხრმანხ*-ს. ლათინური ტერმინი თესვასაცა და რგვასაც ჰნიშნავს.

იმ პირს, რომელიც მარცვალს მიწის ორნატში, ანუ კვალში ჰყრიდა, „მთეხველი“ ეწოდებოდა (ესაიასი 5<sub>10</sub>: ბ. *σπεραιω*, *semens*), ან „მთეხვარი“ (მათე 13<sub>3</sub>: *sator*, *სხრმანარან*).

თესლი რომ ამოსულიყო, ნიადაგი შესაფერისი უნდა ჰქონოდა: „კლდოვან“-ს არაფრის აღმოცენება არ შეეძლო (მათე, 13<sub>3</sub>), არამედ უნდა საკმაო „ხიდრმტ მიწიხაჲ“ (იქვე), თანაც „ჩუეყანაჲ კეთილი“ ყოფილიყო (იქვე, 13<sub>6</sub>). თუ თესლს შესაფერისი ნიადაგი არ შეხვდებოდა, შესაძლებელია არ აღმოცენებულიყო, მომცდარიყო. ამას თესლის „დაცხრომია“ ჰრქვებიან: „დაცხრომილ არს თესლი, არლარა ამოვიდეს მერმე“-ო (ესაიას 32<sub>10</sub> *πέπρωται, ἡσυχασθή*). ნათესი შესაფერისი პირობებსა და ეამს „აღმოცენება“-ს (ესაია 32<sub>11</sub>) იწყებდა, დანერგილი-კი, თუ იხარებდა, „აღმორჩება“-ს, ანუ „მორჩთა აღმოფოფინება“-ს.

შესაქმეთა 40<sub>10</sub>-ში სწერია: „ვენაკსა შორის სამ წელ აღზრდილი და თვთმყვავილებელი აღმომავლოფინებელი მორჩთაჲ, მწიფეთა ტევანთა ყურანისათაჲ“. ქართული „აღმომავლოფინებელი მორჩთაჲ“ უდრის ბერძნულს *αυτιψυχια βλαστασ*-ს, ლათინ. *crescere paulatim in gemmas*-ს. ამგვარად „მორჩი“ ბერძნული *βλαστασ*-ისა და ლათინ. *gemma*-ს შესატყვისობას წარმოადგენს და მცენარის თესლითგან ახლად გამოტანილ ღეროსა და კვირტსაც ჰნიშნავს. თესლისა და ნერგისაგან ღეროს და კვირტის გამოტანას „აღმორჩება“-ს ეძახდენ. დავით გარეჯელის ცხორების აეტორს ნათქვამი აქვს: „უამი იყო არისა (ე. ი. გახუხუხლისა), ოდეს.. აღმოიზიდვიან მიწიფჲ ქვეყნის გაჩენითგანვე სწორედ ამას ეამსა აღმორჩებად განწესებულნი ნერგნი და მწუხანილინი“-ო (საქ. სამოთხე, 271).

ახლად-აღმოცენებულ მცენარეულობას „გეგჯლი“ ეწოდებოდა (მსაჯულთა 6, და დანიელ 1<sub>15</sub>), რასაც ეხლა ჯეჯილს ვეძახით. თვით აღმოცენებული ბალახ-ნათესის ამწვანებას-კი „აღმოგეგჯლება“ და „აგეგჯლება“ ერქვა. იოანე საბანის-მეს ნათქვამი აქვს „შუენიერი ჯეჯლი აღმოსცენდა ქუეყანი და ნაყოფად გამოიხუნა...და... ქუეყანაჲ ნაყოფითა... ალაესო“-ო (წმბე ჰაბოასი, 13).

ჯეჯილის აღმოცენების შემდგომ, მცენარეს განსაცდელი გარემოსაგან მოელოდა: თუ იგი აღმოჩნდებოდა „ეკალთა შორის“ (მათე, 13<sub>7</sub>), ან მისი გვერდით „გამოჩნდა ლუარძლი“- (იქვე, 13<sub>6</sub>), მაშინ ეკლები კარგ თესლსაც განვითარების შესაძლებლობას დაუზღავდენ და მოსპობდენ. ამას „შეშობაჲ“ ერქვა (მათე, 13<sub>7</sub>; *αυτιψυχια, suffoco, ხეჭილესახე*).

მოსავალი რომ კარგი და წმინდა კულტურიანი აღმოჩენილიყო, მეურნეს უნდა დაეთესა „თესლი კეთილი“ (მათე, 13<sub>14</sub>; *αχλοσ σπέρμα bonum semen, სხრპსი ფარქ*). ნათესს თუ ღვარძლი შეეპარებოდა, ყანას „ღუარძლის გამორჩევაჲ“ და „აღმოფხრაჲ“ სჭირდებოდა (იქვე, 13<sub>28-29</sub>; *ἐκρίζω, colligo, eradico, ღაღიხე*).

მცენარის მიწის ზედაპირს ზემოთ ამართულ ნაწილს თავისი სახელი ჰქონდა. ჩვეულებრივ ამ ნაწილს „ღერო“, ან „ღერი“ ეწოდებოდა. ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს: „ღერო მხალთა და ბალახთ გუამი“-აო, ანდა „ჩალის ღერო“ არისო (ლექსიკ.). ამ განწარტებითგან ირკვევა, რომ ღერო, ან ღერი უმერქნო მცენარეების მიწისზეითი ნაწილის აღმნიშვნელი ყოფილა. ხის სხეულის ამის მსგავსე ნაწილს, როგორც ეტყობა, ღერი არ

პრემივია. დ. გურამი შვილსაც „აღერება“ ბოსტნეულზე გამოუთქვამს: „ეით-ბოლოკი მქნა აგრები, ამაჩოყა, ამაღერა“-ო (დავითიანი, გამოც. 1911 წ., გვ. 97).

საბას განმარტებით, „აჩოყება“ უქამოდ მხალთ აღერება“ ყოფილა (ლექსიკ.), ე. ი. უდროოდ, ასწრაფებით მაღალი ღერის გაკეთებას ჰნიშნავდა და „აღერება“-ც, რასაკვირველია, ამავე მოვლენის დასახასიათებლად იხმარებოდა.

სხვადასხვა გვარობის მცენარის მიწის-ზეითი ნაწილის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი ყოფილა. ასეთ ტერმინთაგან დაბადების თარგმანში „წაული“ და „ღერწაში“ გვხვდება. პირველი ამთავანი მათეს 7, და „შია ნახმარი და უდრის ბერძნულს. თბ *ἀρραβ-ს*, ლათინ. *festuca-ს* და სომხ. *ჯიჯ-ს*. ს. ორბელიანსაც ამ ადგილის დამოწმებით ნათქვამი აქვს: „წუელი არს ყანის წირი (ე. ი. ხაზი) ვიდრე კუვილამდე“-ო (ლექსიკ.). მაშასადამე, წუელი ყანის მთელი ტანის აღმნიშვნელი ყოფილა ნიადაგის ზედა-პირითგან მოყოლებული თავამდე.

დაბადების თარგმანშივეა ტერმინი „ღერწაში“-ც. იობის 24<sub>14</sub>-ში ნათქვამია: მეტისმეტი გვაღვისაგან „კუვილი ღერწმისაგან მყის განვარდა“-ო, თავთავი მოსცივდაო. ბერძნულად აქ ნახმარია ἡ *ἀκρότης*, ლათინ. *summitates* და სომხ. *ჭაჯ*. საფიქრებელი იყო, რომ აქ ქართველ მთარგმნელს ღერწაში იმიტომ აქვს ნახმარი, რომ ბერძნულად სწორედ ღერწმის აღმნიშვნელი სიტყვა, „ჰე კალამე“-ა.

ს. ორბელიანის განმარტების მიხედვით, ღერი მარტო უმერქნო მცენარეთა სხეულის აღმნიშვნელი იყო. მაშასადამე, მერქნიანი მცენარეებისათვის, მაგ. ხისათვის, სხვა ტერმინი იქმნებოდა. გამოქვეყნებულ ძეგლებში არსად, რამდენადაც ვადაკითხვით გამოკვლევა შეიძლება, ისეთი მკაფიო ადგილი, რომლის მიხედვითაც ხის ტანის, ასწერივი მთავარი ნაწილის, აღმნიშვნელი ტერმინის გამოკვლევა შეიძლებოდეს, არა ჩანს. ჩახრუხადის შესხმის ერთი ტაეპის მიხედვით, საფიქრებელია, რომ ასეთ ტერმინად უნდა „ზრო“ ყოფილიყო. მგოსანს ნათქვამი აქვს:

„ი ცის კარებით

იციკარებით

შენთა ბროლ-ვარდთა ზრო ნაფუნჩევედ“<sup>1</sup>.

„ზრო“ აქ აღამიანის სხეულის, აღნაგობის, მნიშვნელობით არის ნახმარი. ს. ორბელიანის განმარტებით-კი „ზრო ისრის ტანი“-ა, მაგრამ „კაცთაც ითქმის“-ო (ლექსიკონ.). რაკი ისარსა და აღამიანის სხეულს შორის მსგავსება მხოლოდ სისწორის მხრივ შესაძლებელია იყოს, ამიტომ საფიქრებელია, რომ ისრის ტარსაც ზრო უნდა, ვითარცა ხის აღერებულ ნაწილს, ეწოდებოდეს.

„ზრო“ ზმნად ქცეულა და ვეფხისტყაოსანშიც არის ნახმარი. იქ ნათქვამია: „საბრალოა ოდეს ვარდი დაეთრთვილოს, და-ცა-ეზროს ვის ბალახში არა“

<sup>1</sup> იბ. ნ. მარტის გამ. TP, წიგნი IV, გვ. 25, სადაც პირველი ორი სტრიქონის ტექსტის სხვანაირად არის დაყოფილი.



გვანდეს და ლერწამი ტანად ეზროს“ (აბულ. § 137). ვარდის ტანს „ლერწამი“ ეწოდებოდა, მაგრამ რაკი შედარება ადამიანს ეხება, ამიტომ მისი ტანის შესადარებლად ხის ტანის სახელად „ზროს“ აქ გამოყენებული.

ხის ზროს აქვს რტოები. „რტოჲ“ შემდეგში ფონეტიკურად შეიცვალა და „შტო“-დ იქცა. რტო მერქნიან და ბუჩქოვან მცენარეებსა აქვთ. მათეს 13<sub>31-32</sub>-ში მოთხრობილია იგავად, რომ დათესილი მღოვავის მარცვალი, იმისდა მიუხედავად რომ მხალია, მტილში, ბოსტანში დასთესეს თუ არა, სიმაღლით ყველა მხალს გადააქარბა „და იქმნის იგი ხეჲ დიდ“ და „მოვიდიან მფრინველნი ცისანი და დაადგრიან რტოთა მისთა“-ო, შტოებზე, ტოტებზე ფრინველები სხდებოდნო. ესაიას 18<sub>2</sub>-შიც ნათქვამია: ხეებს „რტონი მიუბნეს და აღმოქრნეს“-ო. „რტოჲ“ უდრის ბერძნულს ἡ χλωμαίς-ს, ლათინ. ramus-სა და ramusculus-ს, სომ. რამ-სა და რამ-ს.

თუ ხეს ბევრი რტო ჰქონდა, „რტომრავალი“ ეწოდებოდა. წაწინოს ცხორებაში ნათქვამია: მცხეთასა და არმაზში „ღვა ხეჲ შუენიერი ბრინჯისაჲ, მალალი და რტომრავალი“-ო (Опис. II, 755).

მცენარის ღეროსა და ხის რტოს ფოთლები ჰმოსია, ასხია ხოლმე. ძველ ქართულში იმ ცნების აღსანიშნავად მხოლოდ „ფურცელი“ იყო მიღებული. „ყოველნი ხენი მღწარისანი შეიმოსნეს ფურცელითა“-ო (წაწინოს ცა Опис. II, 788). ესაიას 34<sub>4</sub>-ში, ნათქვამია: „მოცვენ ვითარცა ფურცელი ვენაიისაგან (ე. ი. ვაზისაგან) და ვითარცა... ფურცელი ლელვისაგან“-ო. ფურცელი ბერძნული τὸ φύλλον-ის, ლათინ. folium-ისა და სომხ. տերև-ის შესატყვისობას წარმოადგენს.

ხის „შემოსხვა ფურცლითა“ რომ დაიწყებოდა, მისი „ფურცლიანობა“ და „ფურცელ-დაუცვენებლობა“ გარკვეული დროის განმავლობაში გრძელდებოდა, რომლის შემდგომ ფურცლების „დაცვენა“ იწყებოდა ხოლმე. წაწინოს ცხორებაში მოთხრობილია, რომ გაოცებული ერი შესცქეროდა ხის „მწუანის-ფერობასა მას და ფურცლიანობასა დღეთა გაზაუხულის პირისათა, ოდეს სხუაჲ ხეჲ კმლ იყო, ხოლო იგი ყოველდღე ფურცელ-დაუცვენებელ“ იყო (Опис. II, 788).

ს. ორბელიანიც ფურცელსა და ფოთოლს, ანუ ფოთელს სინონიმებად არ სთვლიდა, არამედ ერთმანერთისაგან არჩევდა. მას ნათქვამი აქვს: „ფურცელი ეწოდების ხეთა და მოლთა მწუხანეთა, ხოლო ფოთელი ყვავილთაგანისა ერთსა ფურცელსა“-ო (ლექსიკ.: ფოთელი). მაშასადამე, ფოთოლი ყვავილის ფურცლის აღმნიშვნელი ყოფილა. მაგრამ ზმნა ყვავილის „გაფურჩქნა“ უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ფურცელი ყვავილის ფურცლის აღსანიშნავადაც უნდა ყოფილიყო მიღებული და მნიშვნელობით ფურცელსა და ფოთოლს შორის რაღაც სხვა განსხვავება უნდა ყოფილიყო. ამ ორივე ტერმინის ძირითადი მნიშვნელობის გამოორკვევა გაგვიადვილდებოდა, მათი ეტიმოლოგია რომ გამოორკვეული გვქონოდა.

გარკვეულ დროს მცენარეს ყვავილი გამოაქვს ხოლმე. ამ ხანას „აღყვავება“ ეწოდებოდა (ესაიას 18<sub>2</sub>: ἀνθῆα, effloresco, ბაიქი). აყვავებას თავისი დასაწყისი და დასასრული ჰქონდა. დასაწყისში ჯერ მხოლოდ თავშეკრული კო-

კორი იყო. ასეთ შერკულს, გაუშლელ ყვავილს „კოკობი“ ეწოდებოდა (ვეფხისტყაოსანი, აბულ. § 95). ასევე აქვს ეს ტერმინი განმარტებული ს. ორბელიანსაც (ლექსიკ.).

მცენარე-ხილნართა კოკობის გაშლას „ყუავილი“ და „ყუავილის აღყუავილება“ ეწოდებოდა „აღყუავენეს ყუავილი მკაწახობი“ (ესაიაჲსი 18<sub>3</sub>). ბერძნულად ამას τὸ ἀνοῖξ და ἀνοῖξ უდრის,—სომხურად *ბაიქი, ბაიქსი*, —ლათინურად *effloresco* და *flor.*

ყვავილის დასრულებას, ანუ დაყვავილებას მცენარეთა სამეფოში მოსდევდა „თებლოება“. დაყვავილებას „ყუავილის დასრულება“ ეწოდებოდა: „თდეს დასრულდეს ყუავილი“-ო (იქვე). „თესლობა“ ძველ ქართულში ზმნის სახითაც ყოფილა გავრცელებული. გამოსლვათა 9<sub>31-32</sub>-ში ნათქვამია: „სელი თესლოდა“-ო. ბერძნულში ამის შესატყვისად ნახმარია τὸ ἐξ ἰσίου σπέρματος, სომხურში *სხრამანაგხსაქ ჭო*, და ლათინ. *linum jam falliculos germinaret.* დასრულებას ყვავილის „დაცვენა“ სდევდა თან (იობ., 15<sub>33</sub>).

ოესლგამომღებ მცენარეებს თესლობის შედეგად თავში „კუვილი“ უკეთდებოდა: „დაქნა... სიცხესა შინა... ვითარცა კუვილი ლერწმისაგან, მყის განვარდა“ (იობისი, 24<sub>24</sub>). სამფსონმა „მოწეა კუვილი ზნთაგან“ (მსაჯულთაჲ, 15). გვხვდება ეს ტერმინი მათეს 12<sub>1</sub>-შიც, სადაც ნათქვამია: „წარვიდოდა იესუ დღესა შაბათსა ყანობირსა მათსა. ხოლო მოწაფეთა მისთა შეემშია და იწყეს მუხრვად თავსა კუვილისასა და ქამად“.

კუვილი საბა ორბელიანის სამართლიანი განმარტებით „ყანის თავოავი“-ა (ლექსიკ.). იგი ბერძნულ ἡ τὰ ἄχυδ-ს, ლათინურს *spica*-ს და სომხურს *ჩასაქ*-ს უდრის.

ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს, რომ „ფხა ყანის თავთავის ეკალი“-ს აღსანიშნავადაც იხმარებოდა (ლექსიკ.).

თესლოვანი მცენარეულობის მარცვალს ჰფარავს ყოველმხრივ შემცველი გარსი, რომელსაც „კილი“ ეწოდება. ს. ორბელიანს განმარტებული აქვს, რომ „კილი“ ხუარბლის ბუდესა ჰნიშნავს, მაგრამ, უფრო სწორედ რომ ითქვას, მარცვლის ბუდეს წარმოადგენს.

„კილის“ ეტიმოლოგიისა ზე თავდაპირველი მნიშვნელობის გასაგებად საყურადღებოა, რომ „კილი“, „კელი“ და „კიი“ მეგრულად ერთ შეკვრასა და ძნას ჰნიშნავს (მ. გ., 264). ხოლო „კილუა“ ზე „კელუა“ მეგ. დაკეტას ჰნიშნავს, „კელერი—დაკეტილს, „ოკელარი“—საკეტს, ბოქლომს (იქვე, 264).

ეს ძირი და სიტყვა ქანურშიც არსებობს. იქ „კილა“ და „კოლა“ კლიტე-გასალებს ჰნიშნავს და „კილერი“—დაკეტილს (ქ. გ., 156 და 155). საყურადღებოა, რომ ლილის შესაქრავს და გადასაცემლსაც „კიკილი“ ჰქვია. სენურადაც „კელ“ კლიტე-გასალებსა ჰნიშნავს (ივ. ნივარაძე P.-ც. ცთ., 152).

ამ ტერმინს რომ ასეთივე მნიშვნელობა ძველ ქართულშიც ჰქონდა, ამის გამომჟღავნებელი ტერმინი „კილო“-ა, რომელიც ეხლაც ცოცხალი სიტყვაა და ჩოხა-ახალხის შესაქრავს ჰნიშნავს. ძველად-კი ეს ტერმინი ფართოდ იყო გავრცელებული და დაბადების თარგმანშიც არის ნახმარი. ს. ორბელიანსაც შეტანილი აქვს თავის ლექსიკონში და გამოსლვათა 26<sub>1</sub>-ის დამოწმებით გან-

პარტებული აქვს: „კილო ღილის გარდასაცვამი“-აო. აღნიშნულ ძეგლში სწერია: „უქმნე მას კილოები იაკინთისა გრძელსა ეზოსა ერთისასა ერთ-კერძო შესაკინძველად“-ო. როგორც თვით შინაარსითგანაც ჩანს, კილოები შესაკინძველად, შესაკერვლად განკუთვნილი იყო და ბერძნულ თარგმანშიც ამის შესატყვისად ἡ ἀκμή არის ნახმარი.

გ. მთაწმინდელს თავის საისტორიო ნაშრომში მოხსენებული აქვს „ლილ-კილოა“. მისი ცნობით ათონის ქართ. მონასტრის დამაარსებელთ სხვათა შორის შეუწირავთ „ოთხთაფი, სტავრაჲთა შემოსილი და ვეცხლისა ღილ-კილოათა“ (ცაჲ იფსი და ეფთმსი, 17). ამ წიგნს ჰქონია ვერცხლის ღილისა და კილოებისაგან გაკეთებული შესაკრავები. ს. ორბელიანს განმარტებული აქვს თვითოეული ამ სიტყვათაგანის მნიშვნელობა: „ღილი არს მრგული და კილო გარდასაცმელი შესაკინძველი“-ო (ლექს.). ამგვარად „კილო“ წარმოადგენს ყოველმხრივ, ირგვლივ მომხვევ შესაკრავს, ან საკეტს. უეჭველია, ამავე სიტყვისთან არის დაკავშირებული თვალის „კილოები“, რომელნიც თვალის ქუთუთოების მორგვალეზულ კიდევებს წარმოადგენენ.

საფიქრებელია, ამავე ძირის სიტყვა უნდა იყოს „კლიტე“-ც და „კლეტა“, „კეტ“-აც, რომელიც ასე გასაოცრად შიგაგანს ბერძნულს ἡ κλεις „კლეის“-ს, მეტადრე მის იონურს ნათ. ბრ-ის κλειστή; „კლეიდოს“, „კლიიდოს“-ს. ამიტომ ამ ქართული და ბერძნული, ისევე როგორც ლათინური clavis-ის, ურთიერთი დამოკიდებულებების საკითხი ცალკე და განსაკუთრებით უნდა იყოს განხილული.

მაგრამ ამჟამად ჩვენთვის ისიც საკმარისია, რაც ზემომოყვანილი ფაქტებისა და მოსაზრებათა წყალობით გამოირკვა. სამწერლობო ქართულისა და მისი დიალექტებითგან ამოღებული მასალები, ვგონებ, უნდა სრული უეჭველობით ცხად-ჰყოფდენ, რომ „კილი“-ს ძირითად მნიშვნელობას შემკვრელობის, მოცვის ცნება შეადგენდა.

მარცვლეულის ბუდესაც „კილი“ სწორედ იმიტომევე უნდა ჰქონდეს ქართულად დარქმეული, რომ ხალხს იგი მარცვლის ირგვლივ შემცველ და შემკვრელ გარსად ჰქონია წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ მათეს 12<sub>4</sub>-ში ნახმარი გამონათქვამი „თავი კუვილისაჲ“ (= ἡ τὰ ἄχλας, ლათინურ spica-ს) ტერმინი „კუვილი“-ის შინაარსს თავთავის სრულ შესატყვისობად თითქოს არ ჰხდის. ეს სიტყვა არსებითად მარცვლების შემცველი მცენარის ზედა ნაწილის სახელია. ამასვე გვაფიქრებინებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის გამონათქვამი „კუვილით აღხაგხე ნაყოფითა“-ო (ცა მწესა დწესი, \*564, გვ. 332). მაშასადამე, „კუვილი“ ნაყოფს, ანუ მარცვლებს შეიცავდა.

„მარცვალის“ უდრის ბერძნულს ὁ ἀχάχης, ლათინ. granum-ს, სომხ. սերմ-სა და հատ-ს (მათე 13<sub>31</sub>, ლუკა 17<sub>6</sub> და სხვაგანაც).

მაგრამ ძველ ქართულშიც მარცვალს მარტო მცენარეულობისთვის-კი არა, არამედ ხეილისთვისაც ხმარობდენ. მაგ. ლევიტ. 19<sub>10</sub>-ში სწერია: „არცა მარცვალის გენაკსა შენსა აღკრიბო“-ო. აქ, რასაკვირველია, ყურძნის მარცვალი იგულისხმება და „მარცვალი“ ამ შემთხვევაში racemus-ს უდრის კიდევაც.



საბა ორბელიანს მწიფეზე ნათქვამი აქვს, რომ „ხილი მოცამებული“ იყო (ლექსიკ.). მის დროს მწიფე მხოლოდ ხილეულობისათვის-ღა იხმარებოდა და თანამედროვე ქართულშიც ამ სიტყვას ამგვარივე მნიშვნელობა აქვს. ძველად-კი, როგორც ზემომოყვანილი მაგალითითგან ჩანს, მარცვლეულობისათვისაც იხმარებოდა და მისი თავდაპირველი მნიშვნელობაც ამას არ ეწინააღმდეგება: თუ ბერძნული ტერმინი დროულსა ჰნიშნავდა, სომხური-კი შემოსულს, ქართული მწიფე თავდაპირველად მხოლოდ სრულის აღმნიშვნელი იყო. ეს გარემოება ტერმინი „კელმწიფე“-ს მნიშვნელობითგანაც ჩანს.

მცენარეულობისათვის რომ უძველესი მწიფის მაგიერ ტერმინად ეხლა „შემოხულს“ ანდა „მოხულხა“ ეხმარობთ, თითქოს ჰასაკად მოსულისაგან უნდა იყოს წარმომდგარი.

მარცვლი რომ იესებოდა, თავთავი მძიმე ხდებოდა და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისა არ იყოს, „მუ შაკმან კეთილმან, რაჟამს იხილნის კუვილნი აღსავესედ ნაყოფითა და ქუეყანად დადრეკილნი, ისწრაფის დაუნჯება ბათი“ (ცა შფსა ღვთისი\* 564, გვ. 332). რასაკვირველია, „ქუეყანად დადრეკილნი კუვილნი“, მიწისკენ დახრილი თავთავები, მცენარის მარცვლების დასრულება-გამაგრების ნიშანი იყო და მეურნეს უნდა მოსავლის აკრეფაზე ეზრუნა.

მწიფე მცენარის მარცვლი შეიძლება, ან დასრულებული, „სრული“, „სავხე“ და „მხუყეა“ ყოფილიყო, ან მკლე და მჩატე გამოსულიყო: „პური ხუარბლისა შენისა იყოს სავსებით და მსუყედ“ (ესაიახსი, 30<sub>23</sub>: *πληρῆσθαι καὶ λιπαρῆς, uberrimus et pinguis*).

ხილიან მცენარეებს დაყვავილების შემდგომ ნაყოფის ჩანასახი, „ბუტკო“ უჩნდებათ.

„ბუტკო“ ქება-ქებათაას ქართული თარგმანის 1<sub>13</sub>-ში ყოფილა ნახმარი. ეს გარემოება ს. ორბელიანის ლექსიკონით ირკვევა, სადაც მას ნათქვამი აქვს: „ბუტკო, რა დაიყუავილოს და ხილი აღმოჩნდეს (1<sub>13</sub> ქება ქებ.)“. ბაქარის გამოცემის დაბადების ამ წიგნის. ტექსტი, როგორც პროფ. ალ. ცაგარელმა გამოარკვია (იხ. Сведения о памят. груз. письменности I, 14—15), სლავური თარგმანის მიხედვით არის მე-XVIII ს. შესწორებულ-დამახინჯებული და შესამოწმებლად არ გამოგვადგება. დაბადების ათონურ ხელთნაწერში-კი სწერია: „მტევანი გამობუტკოვის... შორის ვენახოვანისა გაღისა“ (იქვე I, დმატ. გვ. 22). აქეთგან საფიქრებელი ხდება, რომ საბას მართლაც ხელთ დაბადების ქართული თარგმანის ისეთი რედაქცია ჰქონია, რომელშიც ამ ადგილას ტერმინი „ბუტკო“, ან „გამობუტკვა“ ყოფილა ნახმარი. ბერძნულად ერთ რედაქციაში ნათარგმნია: „ἀπὸ δὲ αὐτοῦ τῆς σταχτῆς... ἐν ἀμπέλῳ ἐν Ἐνγὰδῶσι“. ხოლო მეორეში—*βόντας τῆς ἀπύρου*. ლათინური თარგმანი ამ ბერძნულ მეორე რედაქციის ტექსტს მისდევს და იმეორებს *Botrys cypri*-ს. ასევეა სომხურ თარგმანშიც, სადაცაა *იუკიუ ზიჩი*, ამგვარად ბერძნული მეორე რედაქციით და ლათინურით აქ თითქოს კვარაზის მტევანზე უნდა ყოფილიყო საუბარი. ასევე გადმოუთარგმნია სომეხ მთარგმნელს. მაშასადამე, „გამობუტკვა“ არც ერთ ცნობილ თარგმანში არ გვხვდება და ამის გამო ამ ტერმინის ბერძნულ-ლათინური შესა-

ტყვისობის გამორკვევა შეუძლებელი ხდება. მაგრამ საბაბს რომ ბუტკოს მნიშვნელობა სწორედ აქვს განმარტებული, ამას „ტყვეანი გამობუტკოების“ გამონათქვამი ცხად-პოფს. ბუტკო მართლაც ნაყოფის, ანუ უფრო სწორედ რომ ითქვას, ხილის ჩანასახს უნდა ჰნიშნავდეს.

ბუტკოსაგან ნაწარმოებია ზმნა „გამოშუტკვა“ და მიმღეობა „გამომშუტკვარი“, რომელიც შავთელსაც მოეპოვება: „მაშინვე ნახი თვით ეს ვენახი კეთილგანსხლული სორექთ მომრთმელი... ნამისა ცვართა გამოშუტკვართა ნორჩთ ქანდაკებით მსთვად სასთვლებელი“ (ნ. მარჩის გამოც., 87, და ვ).

მცენარე დაყვავილებისას ჰქმნის სხვადასხვა მოყვანილობის, შედგენილობისა და თვისების სხეულებს. ამ შექმნის პროცესის აღსანიშნავად ძველ ქართულში სხვადასხვა ტერმინი იხმარებოდა: გამოცემაჲ, გამოღებაჲ, ყოფაჲ, ანუ სრულად გამოყოფა და გამოკემაჲ. მაგ.: „მოგცე თქუენ წუჴა ეჴმსა თჴსსა და ქუეყანამან გამოსციის ნაყოფი თჴსი და ხეთა ველისათა მოსცენ ხილი მათი“-ო (ლევიტ., 26, ვ-გ).

„აღმოსცენდა ჯეჯლი იგი და ნაყოფი გამოიღო“ (მათე: 13, ე).

„მე დაგნერგე შენ ვენაკი ნაყოფის გამოშლებელი... ვითარ გარდაიქცე სიმწარედ“ (იერემ., 2, 11), „ნუ მოჰყვეთ თქვენ ხესა ხილისა გამოშლებელსა“-ო (2 შუკლისაჲ, 20, 1). „ძელი იგი მოჰყათო, რომელ უწყოდი ვითარ არა ხილისა გამოშლებელი იყოს“-ო (იქვე 20, 30).

„ნაყოფის გამოშლებელი“ უდრის ბერძნულს *τὸ ξύλον χαρισφόρον* (ლათინურად სხვანაირი თარგმანია) და სომხურს *պտղաբեր*-ს. ხოლო „ხე ხილისა გამოშლებელი“ *τὸ ξύλον χαρισφόρον*-ს, ლათინ. *lignum pomiferum*-სა და სომხ. *ქასკა պտղաբեր*-ს ეთანასწორება.

„აღმოაცენენ ქუეყანამან... ხე ნაყოფიერი, მყოფელი ნაყოფისაჲ და გამოიღო ქუეყანამან... ხე ნაყოფიერი, მყოფელი ნაყოფისაჲ“ (შესაქმეთა, 1, 11-12). „დაგნერგე ვენაკი... და აღვაშენე... წინ სასაწინებლე... და ველოდე ყოფად ყურძნისა“-ო (ესაიასი, 5, 2). „ყოფა“ და „მყოფელი“ უდრის ბერძნულს *ποιεῖν*-ს და *ποιῶν*-ს, ლათინ. *facere* და *faciens*-ს და სომხურს *ստեղծ*-სა და *պտղაբեր*-ს.

იოანე საბანის ძეს ნათქვამი აქვს: „შუენიერი ჯეჯლი აღმოსცენდა ქუეყანი და ნაყოფად გამოიკუთნა... და ქუეყანა ნაყოფითა აღავსო“-ო (წმბ. ჰაბოასი, 13).

მცენარის მიერ დაყვავილების შემდგომ გამოღებულსა და მოსხმულს ნაყოფი და ხილი ეწოდებოდა. „ნაყოფი“ ზოგადი მნიშვნელობის ტერმინი იყო და, როგორც მარცვლეულისათვის იხმარებოდა, ისევე ხეხილის ნაყოფისთვისაც. „ნაყოფი“ წარმოადგენს „ყოფა“, ან, უკეთ რომ ითქვას, „გამოყოფა“ ზმნისაგან ნაწარმოებ მიმღეობას. ამ ტერმინის ზოგადი მნიშვნელობაც სწორედ ამ გარემოებით აიხსნება. ფსალ. 106, 27-ში ნათქვამია: „დათესეს ყანები და დაასკნეს ვენაკები და ყუეს ნაყოფი იფქლისა“-ო. ამგვარად, ნაყოფად აქ ხორბლეულის მარცვალი იგულისხმება. მეორეს მხრით მარტკრის უწყრია: „ვითარცა ფინიქი მსხმო ტკბილთა... ნაყოფთაგან“-ო (ცა შიოსი: საქ. სამოთხე 223). გ. მერჩულსაც დასახელებული აქვს „ხეთისხილნი ნაყოფ-სავხენი“ (ცა გგლ ხმძთლსა, გვ. თ, სტრ. 75).

მაგრამ უკვე უძველეს ხანაშივე ტერმინს „ნაყოფ“-ს, ზოგად მნიშვნელობას გარდა, თავისი სპეციალური მნიშვნელობაც ჰქონდა. „ნაყოფი“ და „ხილი“-იმით განირჩეოდნენ ერთი მეორისაგან, რომ ნაყოფს ველის უმერქნო მცენარე იძლეოდა, ხილს-კი ხე.

ღაბადების ქართულ თარგმანში მაგ. ნათქვამია: „ველთაგან შუამდით ნაყოფსა მისა“ (ლევიტელთაჲ, 25<sub>12</sub>), „ხეთა ველისათა მისცენ ხილი მათი“ (იქვე, 26<sub>4</sub>), — „უკუეთუ ბრძანებათა ჰმთა ხვდოდეთ... ქუეყანამან გამოსცის ნაყოფი და ხეთაჲ ველისათა მისცენ ხილი მათი“ (იქვე, 26<sub>1-6</sub>).

ხის თვით ცხიმოვან მარცვლეულთა-კი ხილი ეწოდებოდა. გ. მთაწმინდელი მაგ. ამბობდა: „ქელარისა განსაგებელნი იყვნეს: გინა თუ ზეთის-ხილი იყვის, გინათუ ნიგოზი, გინათუ სხვაჲ ხილი... ხოლო ოდეს მოიწიფის, კელარნი ზედაჲს-ზედა გამოვიდოდიან მეტოქთა და მოჰნახვიდიან ხილნართა“ (ც<sup>ა</sup> ი<sup>ე</sup> ტ<sup>ე</sup> ეფ<sup>ს</sup>ისი, 50).

ნათარგმნ ძეგლებში ქართული „ნაყოფი“ უღრის ბერძნულ τὸ γέννημα-ს, ლათინ. germen-ს და სომხ. *արմարիք*-ს, — ხოლო „ხილი“ ὁ καρπός-ს, ლათინ. pomum-ს და სომხ. *պտուղ*-ს.

ნაყოფთა უფრო სრული კლასიფიკაცია და ტერმინოლოგია ვახუშტისა და ს. ორბელიანს მოეპოვებათ.

#### § 4. ხეებისა და ნაყოფ-ხილის კლასიფიკაცია

ხეები ორ მთავარ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. ერთ ჯგუფს შეადგენდნენ „ხენი ნაყოფიერიანი“, მეორეს კიდევ „ხენი მალნარისანი“. წ<sup>ა</sup> ნინოს ცხოვრებაში ნათქვამია: „ყოველნი ხენი მალნარისანი შეიმოსნეს ფურცლითა და ხენი ნაყოფიერიანი შეიმკვნეს ყვაელითა“-ო (Qnnc. II, 788).

როგორც ქვევით, მეტყვეობის დარგში, განმარტებული იქმნება, მალნარი ძველად ჯერ მუხის ტყეს და შემდეგ ზოგადად ხშირ ტყესა ჰნიშნავდა. ამიტომ, უპკველია, „ხენი მალნარისანი“ ტყის ხეებს, ხე-ტყესა ჰნიშნავდა, ხოლო „ხენი ნაყოფიერიანი“ ხეხილს. მართლაც, არსენ იყალთოელს „ნაყოფიერიანი ხენი“ (იხ. ხრონოლოგიური გ. მონაზონისაჲ, გვ. 130<sub>9</sub>) ნახმარი აქვს დედნის ბნჳრა *αρπινοφრა*-ს, ე. ი. ხილის გამოშვები ხეების შესატყვისად (I, 265). შესაქმეთა I<sub>11-12</sub>-ში „ხე ნაყოფიერი“ ბერძნულს τὸ ἐλαίον *ἀρπινοφρα*-ს, ლათინ. *lignum pomiferum*-ს უღრის.

ვახუშტის საქართველოში გავრცელებული ხილეულობა უფრო დეტალურად და ზედმიწევნით რანდენსამე ჯგუფად აქვს დაყოფილი.

კლასიფიკაციის პირველ ჯგუფად დასახელებული აქვს „ხილნი წალკოტთა“, მეორე ჯგუფად „ხილნი ტყიხანი“, მესამე ჯგუფად „ხილნი მთიხანი“ (გვ<sup>რ</sup>ფა, 56) და მეოთხედ „ხართა ხილი“ (იქვე, 62). არსებითად-კი ასე უნდა დალაგდეს და დაპირისპირდეს: „ხილნი მთიხანი“ და ხილნი ბართანი გეოგრაფიულ-ზონადობის პრინციპზე არიან ერთმანეთისაგან განსხვავებულნი და დაპირისპირებულნი. კლასიფიკაციის მეორე წყვილის საფუძველად უკვე

კულტურულობისა, თუ ველურობის ცნებაა დადებული და კულტურული ხილეულულობის აღსანიშნავად ტერმინად მიღებულია „ხილინა წაღკოტანა“, კელურისათვის-კი -- „ხილინა ტყისხანა“.

საბას ლექსიკონითგან ცხადი ხდება, რომ საქართველოში ხილეულობის ვახუშტის თხზულებაში მოყვანილზე გაცილებით უფრო დაწვრილებითი კლასიფიკაცია არსებულა. ს. ორბელიანის განმარტებით: „ხილი ეწოდების წაღკოტთა მყოფთა ხილთა, ხეხედ სხმულთა ქერქრბილთა, ვითარცა ვაშლთა, ბროწეულთა, ყურძენთა, ლიმონთა და მისთანათა.—ხოლო ხული ქერქმაგართა, ვითარცა ნუშითა, ნიგოზითა, წაბლთა, ნაქუქისა და მისთანათა.—ხოლო ხშილი ბალახთა ზედა ბმულთა, ვითარცა ნესვთა, მელსაპეკონთა, კიტრთა, მარწყუთა და მისთანათა.—ხოლო ხიჩატელი ველურთა, ტყეთა შიგან უმუშაკოდ მოსრულთა, ხის ნაყოფთა-ო (ლექსიკ. „ხიჩატელი“).

თუ „ხიჩატელი“-ს ქვეშე საბას „ხული“ ქერქმაგარი ხილეულობის ტერმინად აქვს განმარტებული, საკუთრივ ხულის განმარტებაში ნათქვამი აქვს: „ხული—ნაქუქმაგარი ხილი, ნუში, ნიგოზი, თხილი, წაბლი, ბუსტული და ეგვიეთარნი“-აო (ლექსიკ.). ამავე მეცნიერის „ქერქი“-ს ქვეშე მოყვანილი განმარტებითგან ირკვევა, რომ „წაბლთა, წიფელთა და მისთანათა“ ქერქს, ნაქუქის მაგიერ, „ხეპში“ ჰრქმევიან. რაკი წაბლისა და წიფელის, ისევე როგორც ფუსტულის ნაქუქი, ანუ ქერქი, ნიგოზისა და ნუშის ნაქუქის მსგავსად, მაგარი არ არის, ამიტომ „ხეპში“, როგორც ეტყობა, ნაქუქ-რბილი ხილეულის ჯგუფის ნაქუქის სახელს წარმოადგენდა.

ამგვარად, საბას მიერ მოყვანილი კლასიფიკაცია ნაყოფს ორ მთავარ ჯგუფად ჰყოფდა: ხის ნაყოფთა ჯგუფად, რომელთაც „ხილი“ ეწოდებოდა, და „ბალახთა“, ანუ უმერქნო მცენარეთა ნაყოფთა ჯგუფად, რომელსაც „ხშილი“ ჰრქმევიან.

ნაყოფთა მეორე დანაწილება დამყარებულია მათთვისების გარჩევის პრინციპზე. ამ თვალთსაზრისით ყველა ნაყოფი კვლავ ორ მთავარ ჯგუფად არის დაყოფილი: ერთ ჯგუფს „ქერქრბილი“ შეადგენენ და ამ ჯგუფისად ვაშლი, ბროწეული, ყურძენი, ლიმონი და სხვანი არიან მითვლილნი. მეორე ჯგუფს „ქერქმაგარი“ შეადგენდენ. ამ ჯგუფისად ნუში, ნიგოზი, წაბლი და სხვანი იყვნენ მიჩნეულნი. ადვილი მისახედრიან, რომ ქერქრბილთა სახელით ხორცრბილი, ანუ წვეწოვანი ნაყოფებია ნაგულისხმევი და ქერქმაგართა ჯგუფად მშრალი ნაყოფებია მიჩნეული. მშრალ ნაყოფთა ჯგუფი თავის მხრივ ნაქუქმაგარ და ნაქუქრბილ, ანუ ნაქუქიან და ხეპშიან ჯგუფებად იყოფებოდა.

ტყის ველური ხის ნაყოფები ცალკე ჯგუფად ყოფილა გამოყოფილი და „ხიჩატელი“-ად იწოდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ ს. ორბელიანს არც ერთი ხიჩატელთაგანი არ დაუსახელებია, რომ გამოგვიჩვენებინა, არსებობდა, თუ არა, ზემოდსახელებულს გარდა, ამ ჯგუფის კიდევ სხვა რაიმე ნიშანდობლივი თვისება.

წერილობითი ძეგლებითგან აქვს ამოღებული ს. ორბელიანს ხული, ხშილი და ხიჩატელი, თუ ხალხში გავრცელებული სიტყვები იყო, არა ჩანს, მაგრამ



„ხმილი“ მაინც ძველი ტერმინი უნდა იყოს. როგორც „ნაყოფი“ გამოყოფას-გან ნაწარმოები მიმღობაა, ისევე „ხმილი“, ანუ უფრო სწორედ რომ დაიწეროს, „ეპილი“ მიმღობაა გამოკემა ზმნისაგან ნაწარმოები, რომელიც, როგორც უკვე დაერწმუნდით, ნაყოფის გამოღების აღმნიშვნელი სახელზმნა იყო. საფიქრებელია, რომ ეპილი ან ხმილი, ხილი, ხული და თვით თავთავის აღმნიშვნელი „კუილი“-ც-კი იმავე კემა, ანუ გამოკემა ზმნისაგან ნაწარმოები, მაგრამ დროთა განმავლობაში ფონეტიკურად განსხვავებული ერთი-და-იმავე მიმღობის ფორმებია ნაყოფის კლასიფიკაციის გაჩენასთან ერთად მნიშვნელობითაც განსხვავებული.

### თავი მათე. მცენარეთამცოდნეობის ზოგადი მოძღვრება ძველ საქართველოში

მცენარეთამცოდნეობის დონისა, დებულებათა და კლასიფიკაციის განხილვის შემდგომ, საშუალება გვაქვს მაშინდელი ბოტანიკური და ბოტანიკურ-გეოგრაფიული და აგრონომიული მოძღვრების ზოგიერთი საგულისხმო დებულებაც გამოვარკვიოთ.

ძეგლებში გაბნეული ორიოდ ცნობა და ვახუშტის ნაშრომის შინაარსი ცხად-ჰყოფს, რომ, მცენარეთა შესახებ საკმაოდ ვრცელ ტერმინოლოგიასა და კლასიფიკაციას გარდა, მცენარეთამცოდნეობის ზოგადი მოძღვრების ჩანასახიც ყოფილა საქართველოში უძველეს ხანაშივე, ხოლო შემდეგში ბოტანიკურ-გეოგრაფიული ზონების არსებობის მოძღვრებაც ჩამოყალიბებულა ისევე, როგორც ამ მნიშვნელოვანი გარემოების საგულისხმო განმარტებაც მოუძებნიათ.

## § 1. მოძღვრება მცენარეთა აღმოცენების ფიზიოლოგიური პროცესის შესახებ

ცოდნის იმ დონის გასათვალისწინებლად, რომელიც ძველ საქართველოში აღმოცენების ფიზიოლოგიური პრინციპის შესახებ ჰქონიათ, მარტვრის ნაწარმოებში ერთი მეტად საგულისხმო ცნობა მოგვეპოვება. იქ ერთგან ნათქვამია: „იფქლი... მიწად შთათესილი და სიმპალესა მიმთხუეული, გამოაღებს ნაყოფსა კეთილსა, არა შეშთობილი ეკალთაგან, არამედ ღრმად შთამტევებელი ძირთა“, რომ დათესილმა მარცვალმა „სიმპალესა ხორცთასა მიცემითა აღმოაჯეჯლოს ხუვილი წმინდა“-ო (მარტვრი ცა შიოსი: საქ. სამ. 249).

ზემომოყვანილი ამონაწერი დაარწმუნებს ადამიანს, რომ მაშინდელ მეურნეს სცოდნია, რომ „მიწად შთათესულ“ თესლს, სანამ აღმოცენდებოდა, უნდა მიწაში გარკვეული ცვლილება გამოეყო: „ჯერ თითქოს „ხიმპალესა მიმთხუეული“ ყოფილიყო, რომ, თავისი წინანდელი არსების შეცვლით, შემდეგ ახალი წარმოშობილ-აღმოცენებულიყო. მაშინდელ დამკვირვებელს ეს ფიზიოლოგიური პროცესი ისე მოსჩვენებია, თითქოს თესლს თავის საკუთარ „ხორცთა“ მხოლოდ „ხიმპალესა მიცემითა“ შეეძლო ახალი მცენარის „აღმოაჯეჯლება“. ასეთი დასკვნა თესლის აღმოცენება-ზრდის პროცესის, რასაკვირველია, გარეგნულ დაკვირვებას წარმოადგენს.

თანამედროვე ბოტანიკური მოძღვრების მიხედვით, ყოველ თესლში მცენარის სამი მთავარი ორგანოს, ფესვისა, ღეროს და ფოთოლის, ჩანასახი უკვე არსებობს და თესლისაგან მცენარის განვითარება სწორედ ამ ჩანასახ ორგანოების ზრდით იწყება ხოლმე. მაგრამ ყოველ თესლს, ამ ჩანასახ სამ ორგანოს გარდა, ნივთიერების საკმაო მარაგიც აბადია, რომელიც, თესლის გაღვივების-თანავე და შემდგომ, ჩანასახის განვითარების პირველ ხანაში მის ნაწილების ასაგებად ჰხმარდება ხოლმე (იხ. ზ. ყანჩაველი, ბოტანიკა I, 1927 წ. გამოც. გვ. 91—92). თესლის გაღვივების პროცესი ზოგი თვისებებით გარეგნულად „სიმპალის“ პროცესს მიაგავს და სწორედ აქეთგან უნდა იყოს წარმომდგარი აზრი, თითქოს მარცვლის აღმოგეგლება თესლის „ხორცთა“, ე. ი. ნივთიერების „სიმპალესა მიცემითა“ სწარმოებდეს.

გაღვივებული თესლის ზრდა ორმხრივად მიმდინარეობს: ერთის მხრით იგი არის „ღრმად შთაშტეგვზელი ძირთა“, მეორეს მხრით ზევითკენ „აღმოაჩებასა“ და „აღმოგეგლებას“ იწყებს ხოლმე.

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ მწერლობაში მცენარეულობის აღმოჩება-აღმოგეგლების პროცესის გამომწვევი ფაქტორების შესახებაც მოგვეპოება ერთი საგულისხმო ცნობა.

ჯერ კიდევ დავით გარეჯელის ცხორების ავტორს ჰქონდა აღნიშნული, რომ მცენარენი, მდღღონი, მწვანინი და ნერგნი „მზისა მიერ და მტურვალეობისა აღმოიზიდვიან მიწით“-გან (საქ. სამოთხე, 271). მაშასადამე, მაშინაც იცოდნენ, რომ მცენარეულობის აღმოცენების პროცესი მზის სხივებისა და სითბოს ზეგავლენით წარმოებდა. ამიტომაცაა, რომ ზემოდასახელებულ ავტორს მზისთვის მცენარეთა „აღმოცენებელისა და აღმზრდელის“ სახელი უწოდებია (იქვე 271). მზისა და მტურვალეების გავლენა იწყვედა აღმოჩებას, რომელიც, მაშასადამე, მორჩის „მიწითგან ამოზიდვა“-ს წარმოადგენდა.

ისიც იცოდნენ, რომ სიცივე მიწითგან „არ უტევენს აღმოცენებად მწუანილთა და ნერგთა“. ამიტომაც იყო, რომ გარეჯის უდაბნოში შემოდგომისას, იმ დროს, როდესაც „ეთამი ზამთრისა მოწვენად იყო“, უკვე მცენარეულობა მტირდებოდა, შემოილეოდა, „მწუანილთა მოკინება“- იწყებოდა და შემდეგ სრულებითაც ქრებოდა. ეს გარემოება, დავით გარეჯელის ბიოგრაფის განმარტებით, იმ მიზეზით აიხსნებოდა, რომ წელიწადის ამ ხანაში „ყინელისა მიმდენელი ჰაერი მიწასა ზედა არღა მერმეცა უტევენს აღმოცენებად მწუანილთა და ნერგთა“ (იქვე: საქ. სამ., 271).

მაგრამ, როგორც ცივი ჰაერი აღმოცენებისათვის შემაფერხებელი და შესაძლებელია სრულებით მავნებელი და დამხშობელი ყოფილიყო, ისევე მზის მცხინვარება და სითბოც, თუ გადაჭარბებული იქმნებოდა, მცენარეულობას ენებდა და აფუჭებდა. ამის მიზეზად დავით გარეჯელის ცხორების ავტორს ის მოსაზრება აქვს დასახელებული, რომ „ყოველი დამეტება, ვითარ მბრძოლი რაჟმე, გამხრწნელ თავისა თჳსასა იქმნების“-ო. ამიტომაც იყო, რომ გარეჯის უდაბნოში გაზაფხულზე მზისა და სითბოსგან აღმოცენებული მცენარეულობა, მდღღონი და მწვანინეულობა, ზაფხულის დადგომისათანავე, ან „გან-

ხმენს“-ო სწორედ იმავე „უწინარეს აღმომცენებელისა და აღმზრდელისა მათისა მზისა მიერ“, ანდა „აწ დამქნარნი და დაშვებარნი“ აყენენ ხოლმე (იქვე).

ამგვარიდ, ცხოვრების დაკვირვებას და მწარე გამოცდილებას დაუნახებია, რომ მცენარეულობის აღმოცენება-განვითარებისათვის სითბ-მცხინგარების განსაზღვრული ოდენობაა საჭირო (მცენიერებაში ეხლა ამას „ობტიუმ“-ი ეწოდება) და რომ „ყოველი დაშეცება“, გადაქარბეულობა მცენარისათვის მიენებელი და „განმხრწნელი“ იყო.

მდელო-ბალახის აღმოცენება და ყვავილ-ხეების აყვავება და შეფურცლა, რასაკვირველია, გაზაფხულის ადრე თუ გვიან დადგომაზე არის დამოკიდებული. ერთნაირი რყევა-ცვლებადობისა და მიუხედავად, ყოველი ქვეყნის მეურნეს მაინც კარგად უნდა სკოდნოდა ის დრო, როდესაც მის თემსა, თუ სამშობლოში მთა და ბარი ამწვანებას იწყებდა ხოლმე.

როდის იწყებოდა ბალახის აღმოცენება, ამის შესახებ ჯერ ცნობები არ ჩანს, ხეების ფურცლით შემოსვისა და ყვავილთა აყვავების ხანის განსაზღვრა-კი შეგვიძლიან. ამ საკითხის გამოსარკვევად წა ნინოს ცხოვრების უძველეს რედაქციაშივე ორი საგულისხმო ადგილი მოგვეპოვება.

წლისთავს, „თთუსა პირველსა ოცდაათსა დღესა“, წა ნინოს შატბერდისეული ცხორების ავტორის სიტყვით, სომხეთში „ვარდი და ნუში ყვაოდა მას ეამსა“ (Օրհւ. II, 747).

ამ ცნობის შინაარსის სისწორით გასაგებად უნდა ვიცოდეთ, რომ ამ ძეგლის მიხედვით მაშინდელ საქართველოში წელიწადი მარტში იწყებოდა. მაშასადამე, 30 მარტს სამხრეთ სომხეთში ჩვეულებრივ ვარდი და ნუში უკვე ყვაოდა ხოლმე. ნუში, როგორც ცნობილია, ყველაზე ადრე ყვავის, ამიტომ მარტის და-მლევი უნდა გაზაფხულის დასაწყისად ვიგულისხმოთ.

სომხეთზე უფრო ჩრდილოეთით მდებარე აღმოსავლეთ საქართველოში გაზაფხულის დასაწყისი ცოტა მოგვიანებით ეცოდინებოდა. მართლაც, იმავე ძეგლში აღნიშნულია, რომ „ყოველნი ხენი მალნარისანი შეიმოსნეს ფურცლითა და ხენი ნაყოფიერნი შეიმკვნეს ყუავილითა, მაშინ თთუსა მაისსა ერთსა“-ო (უა ნინოსი, Օրհւ. II, 788). მაშასადამე, აღმოს. საქართველოში გაზაფხულის დასაწყისი აპრილში უნდა ვიგულისხმოთ, დაახლოებით შუა აპრილითგან მაინც, თუ 1 მაისისათვის ტყისა ყოველნაირი ხეებიცა და ხეხილიც უკვე ყვავილ-ფურცლით შემოსილი იყვნენ ხოლმე.

მაგრამ ნორმალურს ვარდა, ადრეულიცა და გვიანი გაზაფხულიც არსებობს. აქაღ. გვლდუნშტედტ-ს მაგ. აღნიშნული აქვს, რომ 1772 წ. საქართველოში თებერვლის დამდეგს უკვე ნუში ყვაოდა (Reisen I, 254). მასვე ამავე 1772 წ. ტფილისის მიდამოებში მაისის დამლეგს *Hordeum hexastychon*, ე. ი. ექვს-შწყრივა ქერი აყვავებული უნახავს (Reisen I, 254).

იმ დროის გამოსარკვევად, თუ როდის იყო ხოლმე საქართველოში მარცვლული კულტურის მთავარ წარმომადგენელთა იფქლისა და ქერ-ქართილის მარცვლოობა იმდენად დამთავრებული, რომ მიწისმოქმედს მისი მოკრეფა და დაუნჯება შესძლებოდა, მკვლევარს წერილობითი წყაროები არც-კი სჭირდება. საუკუნეთა განმავლობაში ხალხის დაკვირვებამ და გამოცდილებამ იმ თვეებს,

როდესაც იფქლი და ქერ-ქრთილი შემოდის, შესაფერისი სახელები მიაკუთნებინა კიდეც. ქართველი იელისს თიბათვეს უწოდებს, აგვისტოს—შკათათვეს (იხ. საბას ლექსიკ.) პირველი ამათგანი ქერ-ქრთილის, მეორე იფქლის მოქის დრო არის. ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ საერთოდ საქართველოში ამ პურეულის თესლოობის დასასრულის ვადად სწორედ ეს დრო ყოფილა. რაკი იფქლი ქერ-ქრთილზე უპირატესი და ადამიანისათვის უსაკუთრესი საკვები იყო, ამიტომ ქართველ ხალხს აგვისტოსთვის მეორე სახელიც, ქველთობისა (ე. ი. ქველი თევობის) ჰქონდა.

ამგვარადვე, ყურძნის დამწიფება-სთვის ვადის გამოსარკვევადაც საჭიროისა ადამიანმა გიხსენოს, რომ ქართველს წელიწადის თვეთა შორის ღვინობისთვის მოეპოვება, რომელსაც იგი ოქტომბრის აღსანიშნავად ჰხმარობდა და ხმარობს ეხლაც.

მაშასადამე, წერილობითი ძეგლების ცნობითა და წელიწადის სათანადო თვეთა სახელების დაკვირვების წყალობით საშუალება გვაქვს მცენარეთა აღმოცენება-აყვავების ხანაც გამოვარკვიოთ და პურეულისა და ყურძნის მკისა და სთვის დროც განვსაზღვროთ. ამგვარად, სამეურნეო მცენარეთა ვეგეტაციის პერიოდის ხანგრძლივობაც ადვილი გამოსარკვევია.

## § 2. ვახუშტის მოძღვრება ბოტანიკურ-გეოგრაფიული არეების შესახებ საქართველოში

ბუნების დაკვირვებისა და მის მოვლენათა კანონების განქვერტა-გამოძიების ასპარეზი ძველ საქართველოში მარტო მცენარეთა ვეგეტაციის პროცესით არ განისაზღვრებოდა, იმ დროინდელ ქართველ მეცნიერთა მონაპოვარიც ამ დარგში წინა დ-ში დასახლებულსა და განხილულ საკითხებზე გაცილებით უფრო ღრმა და მნიშვნელოვან პრობლემას ეხება. ეს გარემოება, საფიქრებელია, აქამდე მხოლოდ იმიტომ იყო შეუმჩნეველი, რომ ძველი ქართული მწერლობის გარდაცემულ შესწავლას ბუნებისმეტყველები და აგრონომები იმ შემთხვევაშიც კი არ მისდევდნენ, როდესაც საქართველოზე-კი სწერდნენ ხოლმე.

ვინც. სახელოვანი ქართველი მეცნიერი ვახუშტის ცნობილ გეოგრაფიულ თხზულებას ყურადღებით გადაიკითხავს და შეისწავლის, ის იმედია შეამჩნევს, რომ მის ავტორს საქართველოს სხვადასხვა თემისა და ადგილის მარტო სასოფლო მეურნეობის ვითარება-კი არა აქვს წარმოდგენილი, არამედ აღნიშნულია თვითეული მათგანის შესაძლებლობაც: დასახლებულია, სად რა ხარობს და სად რა არც არის და არც შეიძლება რომ იყოს. მაგალითად, მას ნათქვამი აქვს: „ეკობა დბანი სა არს ვენახოვანი, კილიანი, მარცვლითა ყოვლითა ნაყოფიერი“-ო (გვრ-ფა, 262). ჩხერიმელას, ჩრდილისა და ნუნიის „ქვენი... არიან ვენაკოვანი, ხილიანი“-ო (იქვე, 270). ჯუშათის მთაზეც ნათქვამია: „რეიანი, ვენახ-ხილ-მოსავლიანი“-ო იყო (გვრ-ფა, 414). ხინოს ხეობაც „ვენახ-ხილიანი და მოსავლიანი“-ო არისო (იქვე, 416). ამნაირი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, მაგრამ ესეც კმარა, რომ

დავრწმუნდეთ, რომ ვახუშტს ადგილის ნაყოფიერების თვისების დასახასიათებლად ვენახ-ხილიანობა აქვს გამოყენებული.

ვახუშტი ისეთ არეებსაც ასახელებს, სადაც ვენახიანობა უკვე აღნიშნული არა აქვს და მხოლოდ ხილიანობა და მოსავლიანობა იხსენიება. მაგ., „არს კეობა... კუფინის-კევი მოსავლიანი, ხილიანი“-ო (გვ. 272). ასეთივე ყოფილან ქვიშეთის დასავლეთით მდებარე მახლობელი ხეობები (იქვე, 272). „სადგერის კეობა არს უვენაკო და მოსავლით, ვითარცა... გუჯარეთის კეობა“-ო (გვ. 274). იქ ვენახები ანუ ვაზი არ იყო, ხეილი-კი, როგორც ჩანს, ყოფილა. მაშასადამე, ასეთ შემთხვევებში სახელოვან გეოგრაფს ნაყოფიერების თვისების დასახასიათებლად უკვე უვენახობა და ხილიანობა აქვს გამოყენებული.

მაგრამ იმ დროს, როდესაც საქართველოს ბევრი კუთხის შესახებ ვახუშტს ნათქვამი აქვს „ვენაკიანი, კილიანი“, ან და „უვენაკო“ არისო, არა ერთი ისეთი ადგილიც აქვს დახასიათებული და აღწერილი, სადაც არც ხილი-ლა ყოფილა. მაგ. ვახუშტი ამბობს: „არა არს გრემისკევეს ვენახნი და ხილნი“-ო, მაგრამ „სხვით ყოველითა მოსავლიანი“ არისო (გვ. 220). ტაშირს ასე ახასიათებს: „არს ნაყოფიერი ხვარბლით, ქრთილით, სელით, შვრიით“, მხოლოდ „იქ ხილნი ღ მტილ-წალკოტოვანნი არა რაი იპოვების“-ო (იქვე, 149). ზურტაკეტის ხეობაზე წერია: „არა არს კეობასა ამას შინა ვენაკი, კილნი, თვინიერ მთის ხილთაგან კიდე“-ო (იქვე, 156). თიანეთის მთის ადგილებზეც ნათქვამი აქვს: „არაიან... უვენახონი, უხილონი“, მაგრამ სხვაფრივ „ნაყოფიერი“-ო (იქვე, 296). ჯავახეთზეც ვახუშტი ამბობს: „ჯავახეთი არს, ვითარცა თრიალეთი, უვენაკო, უხილო, უტყე“-ო (იქვე, 102). ხოლო ფოსოზე წერია: „არს... ფოსო უვენაკო, უხილო, ვითარცა ჯავახეთი, ყოველთა მოსავლითა“-ო (იქვე, 98). მთიულეთზეც ვახუშტს ნათქვამი აქვს: „არს უვენაკო, უკილო“-ო (იქვე, 222—224).

ღვალეთსა და ოსეთში „არა რაიჲე მარცვალნი ნაყოფიერებენ თვინიერ ხორბლისა, ქრთილისა და შვრივისა“-ო, თანაც „არა რაი მოვალს... მტილისანი, ანუ წალკოტნი, გინა ხილნი და ვიეთთამე ადგილთა იპოვების კოწახური, კლდის მერსენი, უელი და ასკილი“-ო (გვ. 430).

ბამბაქის ხეობაზეც ნათქვამია: იქ „ნაყოფიერებს ხვარბალნი, ქრთილნი, სელი, შვრივა, სხვა არარაი“-ო (გვ. 140).

ასეთი მაგალითების რიცხვის გამრავლება ადვილია, მაგრამ ზემომოყვანილითგანაც ცხადი იქნება, თუ როგორ აქვს ვახუშტს თავის ნაწარმოებში ქვეყნის მოსავლიანობა-ნაყოფიერების შემეცირება ზარისხებერ განსაზღვრით დახასიათებული.

სახელოვან ქართველ მეცნიერს მოსავლიანობა-ნაყოფიერების დახასიათების ზემოაღნიშნულზე გაცილებით უფრო მეტი დახარისხებაც მოუპოვება: ნაყოფიერების უაღრესობის გამოსახატავად მას ვენახიანობა არა აქვს მი-

ნელი, არამედ ისეთი არებიცი აქვს დასახელებული, სადაც ბრინჯი და ბამბაც ხარობდა, ან სადაც თვით თურინჯ-ნარინჯი და ზეთისხილიც-კი მოიპოვებოდა.

ყოველი ადგილის თვისება ვახუშტს, ან წართქმითი წესით აქვს დახასიათებული, როდესაც აღნიშნულია, თუ სახელდობრ რით იყო ქვეყანა მოსკოლიან-ნაყოფიერი, ანდა უკუთქმითი და თვინიერობის წესით, როდესაც დასახელებულია, თუ რა არა ხარობდა იქ, ანდა რის „თვინიერ“ იყო ესა-თუ-ის კუთხე ნაყოფიერ-მოსავლიანი.

ვახუშტს მაგ. ნათქვამი აქვს: კუმისის „მინდორსა შინა მოვალს ყოველნი თესლნი, ბრინჯ-ბამბის გარდა“-ო (გგრ'ფა, 176). ზურგალეთ-კვირნაქს-შორისი დიდი მინდორის შესახებ ნათქვამია: აქ „მოვალს ყოველნი მარცვალნი, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა“-ო (იქვე, 244). მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლის ნაწილიც დამჩხერლოთგან ტფილისამდე ასე აქვს დახასიათებული: „არს ნაყოფიერი: ბრინჯ-ბამბის გარდა, ყოველნი მცენარენი“ ხარობენ და ხეხილი და ვაზიც მრავლად არისო (გგრ'ფა, 204). ამა-თუ-იბ თემისა, თუ კუთხის ამნაირი დახასიათების სხვა მაგალითების მოყვანაც ბლომად შეიძლება.

წართქმითი დახასიათების ორიოდ მაგალითი რომ მოყვანილ იქნეს: კახეთზე ვახუშტს ზოგადად ნათქვამი აქვს, რომ იქ „ნაყოფიერებენ ყოველნი“ მარცვალნი „ბამბით, ბრინჯითა“-ო (გგრ'ფა, 286). ამნაირადვე ალგეთის შესართავითგან მოყოლებული იალღუჯამდე მტკვრის სანაპიროზე მცხოვრებთა შესახებ ნათქვამია: არიან „მთესველნი ბრინჯისა, ბამბისა და ყოვლისა თესლ-მცენარისა“-ო (იქვე, 174).

ქანთხეც იგივე გეოგრაფი ამბობს: ეს თემი არის „ხილიანი, ვენაქიანი, მარცვლებით მოსავლიანი ბრინჯ-ბამბითურთ“-ო (იქვე, 130).

ის გარეგნობა, რომ სახელოვან მეცნიერს მოსავლიანობა-ნა-ყოფიერების ზემომოყვანილის მსგავსი დახასიათება ერთგან-კი არა, არამედ ბეჭრგან და ჩვეულებრივ მოეპოვება. ასეთი დახასიათებისათვისაც გამონათქვამებიც ერთგვარი აქვს ნახნარი, სრული უტყველობით ცხად-ჰყოფს, რომ აქ შემთხვევით მოვლენასთან-კი არა, არამედ დახასიათების სრულებით გარკვეულსა და შეგნებულ სისტემასთან გვაქვს საქმე.

ცხადია, რომ ვახუშტს მთელი საქართველო სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის თვალსაზრისით რამდენიმე ბოტანიკურ და აგრონომიულ არედ აქვს დანაწილებული და ბრინჯ-ბამბიანობა, თუ ვენახ-ხილიანობა, ან უვენახობა ტერიტორიის მოსავლიანობა-ნაყოფიერების საზომებად აქვს გამოყენებული.

ზემომოყვანილი ცნობების მიხედვით უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ვახუშტს თავისი სისტემის, საფუძვლად მოსავლიანობა-ნა-ყოფიერების ხუთი განსხვავებული ბოტანიკურ-აგრონომიული არის არსებობა აქვს ნაგულისხმევი. აღსანიშნავია, რომ

უაღრესი ნაყოფიერების ხარისხად თურინჯ-ნარინჯ-ზეთის-ხილიანი ზოლო აქვს მიჩნეული (გვ. რფა, 402, 414 და 418). შემდეგ მისდევს თუმცა ნაკლები, მაგრამ მინც ფრიად ნაყოფიერად წოდებული, ბრინჯ-ბამბიანი კულტურის ასპარეზი. შერამე ვენახოვანი-ხილიანი არეა, რომელსაც მარტივად ნაყოფიერს უწოდებს. შემდეგ უვენახო, მაგრამ ხილიანი ზოლია, შედარებით უკვე მწირი და დასასრულ, სულ მწირი უვენახ-ხილო ზოლია; სადაც მთის ხილისა და განსაზღვრულ მარცვლეულობას გარდა არაფერი ხარობდა.

სახელოვან მეცნიერს შეუშინეცია, რომ მოსავლიანობა-ნაყოფიერების თვისება ადგილის მდებარეობისდა მიხედვითაც, გეოგრაფიულადაც იცვლება. ეს ფაქტი მას თავის თხზულებაში მრავალჯერ აქვს ხაზგასმით აღნიშნული.

მაგ. ქსნის ხეობაზე ვახუშტი ამბობს: ზებეყურის „კლდის ქვეით მტკვრამდე“ ქსნის ხეობა „ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი“ არისო, — ხოლო „ამ კლდის ზეით“ უკვე „უვენახო, უხილო მწირი“ — „მოსავლითა“ — (გვ. რფა 230).

სკვირეთის ანუ ვერეს ხეობა დიდგორისაკენ „არს უვენაკო, უკილო ვანათამდე, ამის ქვეით — ვენახიანი, ხილიანი, ტყიანი“ — (იქვე, 176).

თემის ხეობაზეც სწერია: მტკვართან შესართავითგან მოყოლებული რკონამდე „არს თემამი ვენაკილითა ნაყოფიერი, ამახ ზეით, ვითარცა თრიალეთი“, უვენახ-ხილო არისო (გვ. რფა, 198).

თორთომის ხეობაც „ხაზული ზეითამდე ანუ ცხემდე“ არის „ვენაკოვანი, კილიანი, მოსავლიანი. ხოლო მთის-კერძონი ყოველგნით, ვითარცა ჯაგახეთი“ — (იქვე, 126).

ასეთი ცნობებით სავსეა ვახუშტის თხზულება.

ამგვარად, ვახუშტის ხეობის მოსავლიანობა-ნაყოფიერების დახასიათების დროს ყოველთვის აღნიშნული აქვს ხაზი, სადა მდისაც აღწევდა ის ზოლი და არე, სადაც ვახუშტი ხარობდა და რომლის ზეითაც ვახუშტი, ან ვახუშტიან ერთად ხეხილიც უკვე ქრებოდა. მაშასადამე, ამ თვალთსაზრისით მიწა-წყალი ორ ნაწილად იყოფებოდა: ერთს ვენახ-ხილიანი არე შეადგენდა, მეორეს კიდევ უვენახო და უხილო ზოლი ეკუთვნოდა. რასაკვირველია, ეს ტერიტორიის ზოგადი დანაწილება და ორთავე ზოლს, უკვეელია, ძველადაც თავისი სახელი უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდევაც.

რა ეწოდებოდა ზოგადად უვენახო და უხილო ზოლს, ამის გამორკვევა ძნელი არ არის. ტანის ხეობაზე ვახუშტის უწერია: „ბობნავამდე კეობა ესე არს ვენაკოვანი, კილიანი, მას ზეით — მთური“ — არისო (გვ. რფა, 204). თორგუჯარეთის ხეობაზე ვახუშტის ნათქვამი აქვს: „არა არს აქა ვენაკნი და კილნი, თვინიერ მთის კილთა, და სხვითა ნაყოფიერი მთისა-ებრ“ — (გვ. რფა, 206).

ამნაირად, უვენახ-ხილო ზოლი „მთური“, ანუ მთის არე ყოფილა. რაკი ეს გარემოება გამორკვეულია, თავისდათავად წყდება საკითხი

ვენახილიანი ზოლის მაშინდელი ზოგადი სახელის შესახებაც. ძველ საქართველოში მთას ბარი ჰქონდა დაპირისპირებული, ამიტომ, უმკველია, ვენახილიან ზოლს ვახუშტიც ბარად ჰკულისხმობდა.

ვახუშტისაც თავის სისტემაში რომ ძველებურად მთა და ბარი აქვს დაპირისპირებული, ამ გარემოებას ის თავის თხზულების შესავალში თვითვე ამგვარვანებს. მისი სიტყვით საქართველო საერთოდ არის „შემკობილი მთით და ბარითა“-ო. ხოლო მერმე, საქართველოს მცენარეობის ზოგადი დახასიათების შემდგომ, ვახუშტს შესავალში ზოგადად შემდეგი დებულება აქვს გამოთქმული: საქართველოში „მთათა—ხორბალი, ქრთილი, შვრივა, სელი და ხილნი, რომელნი დავსწერეთ მთისანი, ნაყოფიერებს და სხვანი არარა“-ო, „ხოლო ბართა ყოველნივე ზვითწერილნი“, ე. ი. რომელნიც საწალკოტე ხილად ჩამოთვლილი აქვს (გვ. 62).

ზემომოყვანილი დებულება ცხად-ყოფს, რომ სახელოვან მეცნიერს მთა-ბარი ბოტანიკურადაც და სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის თვალსაზრისითაც სრულებით გარკვეულ, ერთმანერთისაგან განსხვავებულ, არეებდა ჰქონდა ნაგულისხმევი: ბარი ბარის მცენარეულობის საშეფოსა და მეურნეობას ჰნიშნავდა, მთა კიდევ მთის-მცენარეულობასა და მეურნეობას. როდესაც ის ამბობდა, ესათუნი კუთხე ნაყოფიერება-მოსაელიანობით მთურიაო, ან „ვითარცა მთათა ადგილნი“ (გვ. 322), „ვითარცა მთის ალაგნი“-ო (იქვე, 230), „ნაყოფიერია მთისაებრ“-ო (იქვე, 206), ეს მარტო იმას-კი არ ჰნიშნავდა, რომ ის ტერიტორია უვენახო და უხილო იყო, არამედ იმასაც, რომ იქ მარცვლეულობითგან მხოლოდ ხორბალი, ქრთილი, შვრია და სელი ხარობდა და „სხვანი არარა“, ხილთაგან-კი მარტო მთის ხილეულობა იყო, ე. ი. მოცხარი, კლდისმერსენი, ჟოლო, უელი, მოცივი და სხვაც ამის მსგავსი (გვ. 62 და 56).

ამგვარადვე ბარიც ვახუშტს გარკვეულ მცენარე-ხეხილის ბოტანიკურ არედ და მეურნეობის ასპარეზად აქვს ნაგულისხმევი.

ამ ორი ბოტანიკური არისა და მეურნეობის განმასხვავებელი ვაზი ყოფილა: ვენახიანი არე თავისდა-თავად ამ ასპარეზს ხილიანადაც გვაგულისხმებინებს, მაგრამ უვენახობა უკვე იმდენად დამახასიათებელი იყო, რომ ამით ეს არე ხილიანობის მხრეიაც ვიწრო ასპარეზის პატრონად უნდა გვეგულეობდეს.

ვახუშტის თხულებითგან ჩანს, რომ უძველესი დროითგან საქართველოში მიღებული ქვეყნის ორად დანაწილება, ბარად და მთად, გეოგრაფიულ თვისებებთან ერთად, იმავე დროს ორ ბოტანიკურ და სასოფლო-სამეურნეო ზოლად გაყოფასაც გულისხმობდა. მთის ზოლის თვისებას ამ მხრეე უვენახობა, უხილობა და მარცვლეულობის მოსაულის სიმცირე წარმოადგენდა, ბარის ზოლისას-კი სწორედ ვენახიანობა, ხილიანობა და „მოსაელიანობა“.

საფიქრებელია, რომ ძველ ძველებშიც მთა და ბარი მარტო გეოგრაფიულად-კი არა, არამედ ამნაირადვე მთისა და ბარის ზოლებად და მეურნეობად უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი.



ვახუშტის კარგად ჰქონია შეგნებულ იმოსავლიანობა-ნაყოფიერების განსხვავების გამომწვევე მიზეზიც. პანკისის ხეობის დახასიათების დროს მას აღნიშნული აქვს, რომ იყო „ვენახოვანი, ხილიანი — დახალნი“ ადგილნი ამ ხეობისაო“, ხოლო „მთის-კერძონი, ვითარცა მათა ადგილნი“-ო (გვარჯია 322). ამნაირად, დაბლობი ვენახიანობის არედ არის დასახელებული, მთის ადგილნი ანუ მაღლობი უვენახ-ხილობის არედ.

ეს აზრი და დებულება დიდებულ მეცნიერს ქვემოპოყვანილ ორ ცნობაში უფრო მკაფიოდ და სრულად აქვს წარმოთქმული. სახელოდობრ, ოსეთისა და დვალეთის აღწერილობაში ვახუშტს მაღლობი ადგილებისა და მოსავლიანობის განსხვავებული თვისებისა და სიმწირის მიზეზი ასე აქვს განმარტებული. ჯერ მას უტყეობის მიზეზი აქვს დასახელებული, შემდეგ ამ ქვეყნის მცირედი ნაყოფიერებისაც.

ვახუშტის სიტყვით დვალეთ-ოსეთში „არა არს... ტყე, მცირეთა-გან კიდევ, და იგიცა უმეტეს არყნალი“, ესეც უმთავრესად „მდინარეთა კიდეთა და დელოვანთა შინა, რამეთუ ხივიწოვგე-ხაცივგისა და კლდოვანობისა გამო ვერ იზრდებთან“-ო. ხოლო „ნაყოფიერება ამ ქვეყნისა არს მცირედი, ვინაითგან არა-რაზე მარცვლელნი ნაყოფიერებენ, თვინიერ ხორბლისა, ქრთილისა და შვრივისა, ხიცივგისა, გვიანი გაზაფხულითა და აღრე შემოდგომისათვის“-აო (გვარჯია, 430).

ამ ფრიად საყურადღებო შესჯელობასა და განმარტებას ვახუშტის კონცეპციის სრულად და ნათლად გასათვალისწინებლად უნდა კიდევ შემდეგი მისი განცხადებაც დაერთოს, რომელშიც საგანგებოდ უვენახ-ბალო სამეურნეო ზოლის უვენახობისა და უხილობის მიზეზია დასახელებული. ლილოს ბუნებრივი თვისების დახასიათების დროს, მას ნათქვამი აქვს: „ალმოსავლით ტფილისისა არს ლილო. არა არს მუნ ვენახნი და ხილნი მთობისაგან... და ნაყოფიერებხ მთურად“-ო (გვარჯია, 192).

მაშასადამე, მოსავლიანობა-ნაყოფიერების სიმწირე, უვენახ-ხილობა, „მთობისაგან“ და „სიცივისაგან“ ყოფილა წარმოშობილი; „მთობისაგან“, ანუ სიმალისაგან გამოწვეული სიცივისა, გვიანი გაზაფხულისა და ადრეული შემოდგომის გამო იქ მხოლოდ ასეთი პირობების ამტანი მცენარეულობისთვის იყო გამოსადეგი ასპარეზი.

ვახუშტის თხზულების სხვადასხვა ადგილითგან საფიქრებელია, რომ ამნაირადვე, ფრიადი ნაყოფიერების გამომწვევე მიზეზად და ხელშემწყობ პირობად ტერიტორიის დაბლობიანობა და სითბო მიაჩნდა. ეს გარემოება გასაკვირველი არც არის, თუ გავიხსენებთ, რომ ქართულ საისტორიო მწერლობაში მზის სხივებისა და სითბო-სიცივის გავლენა მცენარეულობის აღმოცენება-ზრდაზე უკვე დავით გარეჯელის ცხოვრების ავტორს აქვს გამოთქმული (იხ. აქვე, გვ. 308-9).

საგულისხმოა, რომ ვახუშტის მახვილ დაკვირვებას არც ის გარემოება გამოჰპარვია, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მთა-ბარობის პრინციპის მიხედვით მოსალოდნელი მეურნეობის მაგიერ მოსალოდნელი მოსავალ-ნაყოფიერება გვეშლება თვალზე წინ. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა, რომ მას საქიროდ დაუნახავს

საგანგებოდ აღენიშნა, რომ „თუშცა არს ლეჩხუმი მთის ადგილად თქმული, განა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი, თენიერ ბრინჯ-ბანბისა“—ო (გვრფა, 240). ვახუშტი ჰხედავდა, რომ ლეჩხუმი თავისი მდებარეობით მთის ადგილი იყო, ამისდა მიხედვით ამ თემის მოსავალ ნაყოფიერებაც მთური უნდა ყოფილიყო, თუ უხილოდ არა, უვენახოდ მაინც უნდა გვევლებინა, მაგრამ მოულოდნელად ლეჩხუმი არამც თუ ხილიანი იყო, არამედ ვენახიანიც-კი. რით აიხსნებოდა მთა-ბარობის პრინციპის ასეთი გამოწვევა, ვახუშტს განმარტებული არა აქვს. არც ვიცით, ჰქონდა მას რაიმე განმარტება, თუ არა. მაგრამ ის გარემოება, რომ ლეჩხუმის მეურნეობის მთა-ბარობის მეურნეობის დებულების ასეთი დამარღვეველი თუ არა, საწინააღმდეგო მაგალითისდა მიუხედავად, ვახუშტს მაინც, თავისი თხზულების შესავალშიც, მთა-ბარობის პრინციპის წამოყენება საკიროდ დაუნახავს და საქართველოს გეო-ბოტანიკური და აგრონომიული დახასიათებაც ამ დებულების მიხედვით აქვს დაწერილი, უეჭველია, იმის დამამტკიცებელია, რომ მისი აზრით ლეჩხუმის მაგალითის საერთო პრინციპის დამარღვევლად მიჩნევა არ შეიძლებოდა და მხოლოდ გამოწვევის წარმოადგენდა.

ვახუშტს მცენარეულობის ზოლადობა მარტო კულტურულ მცენარეთა სამეფოში-კი ზრდა აქვს შემჩნეული, არამედ დენდროლოგიაშიც, ხე-ტყის სამეფოებლოშიც. ყველგან, სადაც მაღალ მთაზეა საუბარი, ვახუშტს აღნიშნული აქვს ხოლმე მთის მცენარეული შემოსილობის ზოლები, რომ თხემი, თუ მარადის-თოვლოვანი მწვერვალით არ იწყებოდა, ბალახ-ყვავილიანი, უტყეო ჰქონდა და მხოლოდ კალთებიდან ხდებდა ტყიანი. სათანადო ადგილას ამასთანავე ნათქვამია, სადაც ტყიანი ზოლი არყნალით იწყებოდა ხოლმე. მრავალ მაგალითთანავე რომ რამდენიმე დავასახელოთ, შემდეგი ამონაწერების მოყვანაც იკმარებს:

„ალევი არს მთა მაღალი, თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი“—ო (გვრფა, 220). „ზებეყურის მთა არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი“ (იქვე, 230). აგრეთვე მთიულეთში მდებარე ლომისის „მთა... უტყეო არს და ბალახ-ყვავილიანი, კალთათა ტყიანი“ (იქვე, 222). მეორეგან ამ მთის მოფენილობა ასე აქვს დახასიათებული: „არს მთა მარადის თოვლიანი, უტყეო, კალთათა მცირე არყნალი“ (იქვე, 232).

„მთა კეჩუთისა და ბოლოლისა არიან უტყეონი და კევთა შინა არს არყნალი“—ო, (იქვე, 150). შაბიანის მთა არის „მაღალი ღვრცელი“, მის წვერვალზე მარადის არს თოვლი, განა ყვავილებითა მრავალფერ-შენიერიითა და მფშენითა და წყაროთა შემკული, უტყეო, განა კევთა არყნალი“ აქვსო (იქვე, 154-156).

ამიხე უფრო საგულისხმოა პერეთის მთის აღწერილობა, რომლის ნაწილებს გომბორი, შუამთა და ცივი ეწოდებოდა. ვახუშტის სიტყვით, ეს მთა იყო „თხემთა შიშველი და უტყეო, ბალახ-ყვავილიანი, მცირე-წყაროთანი,—კალთათა ტყიანი და ნადირიანი,—მთის ძირად, კალთას იმიერ და იმიერ შერობა-დაბნებიანი, ვენახოვან-ხილოვან-მოსავლიანი“ (გვრფა, 316). ამნაირად, სახელოვან მეცნიერს აქ მოყვანილი აქვს

მთის მცენარეულობა-შემოსილობის ყველა ფენების, ანუ ზოლების ზოგადი დახასიათება ზეითიდან, თხემითგან მოყოლებული, ძირამდე: თხემი — შიშველი, ბალახ-ყვავილოვანი და უტყეო ზოლია, ფერდობები — ტყიანი არე, მთის ძირის კალთები უკვე ვენახოვან-ხილიანი სარტყელია.

სახელოვანი ქართველი გეოგრაფის ვულისყურსა და დაკვირვებას არც ის გარემოება გამოჰპარავია, რომ ჩვენ ქვეყანაში მთა და ბარი ისევე, როგორც სხვა ზოლების მეურნეობა ერთმანეთზე ასე დაახლოვებულა. ის განსაკუთრებით უბნის კიდევაც თავის მკითხველს საქართველოს ბუნებრივი პირობების ამ იშვიათ მრავალფეროვანებას: საქართველო არის „შემკობილი მთითა და ბართა, რამეთუ არა არს ადგილი, რომლისა მთა-ბარი არა იყოს ესრეთ“, ერთმანეთზე ახლო, რომ „ორს, სამს, ექვს ჟამს<sup>1</sup> მთიდა მბარს და ბარიდამ მთას არ მიიწეოდეს“ აღამიანო (გგრფა, 60-62).

ეს ჰქმნიდა ბუნებისა და მეურნეობის გასაოცარ კონტრასტებს, რომელთა მთელი განმაცვიფრებლობა აღამიანს თვალწინ მაშინაც შავი ზღვის სანაპიროზე ეშლებოდა. ეს გარემოება ვახუშტსაც აქვს კარგად აღნიშნული მესხეთის აღწერილობაში. მისი სამართლიანი სიტყვით, აქ „მთა-ბარი ახლორებს ესრეთ“, რომ „ჟამისა, ანუ ნახევარ-ჟამისა სავალთა არს თოვლი და ბართა ნარინჯი-თურინჯი, ზეთისხილი და ყოველნი ნაყოფნი“-ო (გგრფა, 72).

ბოტანიკის ისტორიითგან ცნობილია, რომ მცენარეთა ზონადობის დებულება მეცნიერებაში ფრანგმა მეცნიერმა Alph. de Candolle-მა წამოაყენა წარსული საუკუნის შუა წლებში.

ზემომოყვანილი ფაქტების შემდგომ, უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ კულტურულ მცენარეთა არეებისა და ზონადობის შესახებ ასი წლით de Candolle-ზე უწინარეს სახელოვან ქართველ მეცნიერს ვახუშტს ჰქონდა მოძღვრება და დებულება წამოყენებული. რა თქმა უნდა, ვახუშტს ეს პრობლემა ნაოლოდ საქართველოს ასპარეზით ჰქონდა მოზღუდვილი. ამ დაკვირებისა და მოძღვრების უფრო ფართო ასპარეზზე გავრცელება და განზოგადების აზრი ფიქრათ არ მოსვლია. ამ შხრივაც, სხვასაც ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ფრანგსა და ქართველ მეცნიერებს შორის, რასაკვირველია, დიდი განსხვავებაა და ბოტანიკური ზონადობის ზოგადი მოძღვრების აეტორად, უეჭველია, უკილობლად de Candolle-ი დარჩება. მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ მცენარეთა-მკოდნეობის ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი ვახუშტს ასი წლით უწინარეს შემჩნეული და საქართველოს ბოტანიკურ-გეოგრაფიული აღწერილობა-დახასიათების საფუძვლად აქვს დადებული. ეს გარემოება ვახუშტის მეცნიერული დაკვირვების გასაოცარ ნიქს ამტკიცებს და მას პირადად მცენარეთა ზონადობის მოძღვრების პირველ მოციქულად ჰხდის. ვახუშტის ნაშრომი რომ. ევროპელ მეცნიერთათვის მაშინ სრულებით გაუგებარ ქართულ ენაზე-კი არა, არამედ რომელსამე ევროპულ ენაზე ყოფილიყო დაწერილი, ანდა მე-XVIII-ს.

<sup>1</sup> ე. ი. საათის

ორმოციან წლებში მისი ქართულად დაწერილი თხზულება მთელი საუკუნის განმავლობაში დაუბეჭდავი, გადაუთარგმნელი და სხვა მკვლევართათვის მიუწოდომელი არ დარჩენილიყო, მცენარეთა ზონადობის ზოგადი მოძღვრებაც, საფიქრებელია, მე-XIX-ს. შუა წლებზე გაცილებით ადრე გაჩნდებოდა. საპართლიანობა მოითხოვს, რომ ვახუშტის ეს დიდი ღვაწლი მეცნიერების წინაშე მისი თხზულების დაწერის თითქმის 200 წლის შემდგომ შაინც აღნიშნული იყოს.

ცხადია, რომ ვახუშტის ქართული ძველი სამეცნიერო მწერლობის ამ დარგში არა ერთი წინამორბედი უნდა ჰყოლოდა. ბარისა და მთის ბოტანიკურ-გეოგრაფიული გარჩევის პრინციპი საქართველოში მრავალი მოსაზრების გამო ძველის-ძველი დაკვირვების შედეგად უნდა იქმნეს მიჩნეული. მისი კვალს სტრაბონის თხზულებაში დაცულს იბერიის აღწერილობაშიც ჩანს, სახელდობრ ცნობაში ქვეყნის ბარად და მთად დაყოფისა და ამისდა მიხედვით ორივე ნაწილის მოსახლეობისაგან განსხვავებული მეურნეობის წარმოების შესახებ. საფიქრებელია, რომ ეს სტრაბონისაგან საქართველოში გაგონილს ასეთი დანაწილების ადგილობრივ ცნობას უნდა წარმოადგენდეს. დავით გარეჯელის ცხორების ავტორის ზემომოყვანილ საგულისხმო ბოტანიკურ დაკვირვებას გარდა, უეჭველია, ვახუშტამდე, არაერთი სხვა უფრო ღრმა და მკვირვებელი უნდა ყოფილიყო ძველ საქართველოში, რომელთა მონაპოვარმა ამ სახელოვან ქართველ მეცნიერს მცენარეთა ზონადობის სქემის შექმნა გაუადვილა. ქართული მწერლობის ძველი ძეგლების უმეტესობის დროთა განმავლობაში დაღუპვისდა მიუხედავად, ეგების ხელთნაწერების მომავალმა დაწვრილებითმა შესწავლამ ამ საუკრადღებო საკითხსაც შუქი მოჰუინოს.

### თავი მეთერთმეტი. სასოფლო-სამეურნეო არეები და ზონადობა ძველ საქართველოში

ვახუშტის მოძღვრებისა და სქემის შესწავლის შემდგომ საქართველოში ზრუნული ბოტანიკურ-გეოგრაფიული ზოლების შესახებ, უნდა თავმოყრილი იყოს ყველაფერი, რაც ძველი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო არეების გამორკვევასა და რუკის შედგენას შეგვაძლებინებს. საისტორიო ძეგლებსა და საბუთებში გაფანტული და უმთავრესად ვახუშტის ცნობების მიხედვით ამ საუკრადღებო საკითხის შესწავლა საკმაო ზედმიწევნილობით შეიძლება. მიმოხილვა აღმოსავლეთ საქართველოდან უნდა დავიწყოთ, რათგან უძველეს დროითგან მოყოლებული უფრო ვრცელი ცნობები სწორედ ამერიეთის შესახებ მოგვეპოვება და ვახუშტისავე სწორედ ეს ნაწილი აქვს უფრო ზედმიწევნით აღწერილი. ლიხთ-იმერეთი მას სამწუხაროდ ისე დაწვრილებით არა აქვს ამ მხრივ დაბასიათებული.

რაკი სხვა წყაროებითგან საქართველოს ბუნებისა და მიწა-წყლის თვისებათა ზოგადად დამახასიათებელი ძველი ცნობები უკვე მოყვანილი გვქონდა (იხ. აქვე, გვ. 161—167), ამიტომ აქ მხოლოდ ვახუშტის თხზულებაში უხვად გაფანტული ცნობები-ლა გვაქვს ამოსაკრებ-შესასწავლელი.

## §. 1. კახეთ-მერთ-კუხეთის ბოტანიკურ-აგრონომიული არეები

საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთის სანაპირო თემს კუხეთს, რომლის აღმოსავლეთის უკიდურეს ნაწილს შემდეგში საინგილო ეწოდა, თავისი ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი კავკასიონის მთავარი უღელტეხილის დაღესტნის მთებამდის ჰქონდა მიბჯენილი. მისი ქვედა ზოლი დაბლობს წარმოადგენს.

ბელაქნისა და გიშის წყლებსა და კავკასიონსა და ალაზნის შორის მოქცეული კუხეთი „არს ადგილი... ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახ-ხილითა, რამეთუ ტყენიცა საესე არიან ხილითა... აბრეშუმი, ბრინჯი, ბამბა მრავლად“ მოდისო. ეს თემი ბარად არის „ჰავეთა ცხელი, ხაშშიანი ზაფხულს“, მაგრამ „მთის-კერძნი კეთილ აგარაკოვანნი და მშვენნი“-აო. „ხოლო ზამთარს კეთილ-ჰაოვანი, თბილი, უთოვლო, უყინულოა“-ო (ვახუშტი, გვ.ფა, 306).

„ალაზნის კიდურთა“ ყარაღაჯის სამხრეთითგან ხორანთამდე „არს ალაზნისაკენ მცირე-ტყიანი და ბალახიანი“ (ვახუშტი, გვ.ფა, 808).

გარეჯის მიდამოებში და მთაში შოდოდოდა „თუთუმო, კაპარი მრავალი“ (ვახუშტი, გვ.ფა, 182).

გარეთ-კახეთში, „მანავს ქვეით ქისიყამდე ცივ-გომბორის მთის კალთათა არიან შენობა-დაბნები ვენახ-ხილიანი“. ეს „ადგილი ნაყოფიერებით აღმკული“ იყო. მას „უძეს იორისაკენ სახენულნი ველნი“, მაგრამ, რაკი მათ უკან მდებარეს „არა აქუს მთას მდინარე, ვერა რით რწყევნ ველთა“ და ამის გამო ეს კუთხე „წყლისათვის შემქირნობს, თეინიერ წყაროთა, დაბნებთა შინა უსაკმარობით“-ო (ვახუშტი, გვ.ფა, 290).

საცხენისისა და ლოქინის სამხრეთით მდებარე და სათისქალამდე და გარეჯის მთამდე გადაკიმული „სამგორის ველი და ჩადივარი“ ბუნებრივად „ბალახოვანი და უწყლო“ იყო (ვახუშტი, გვ.ფა, 304).

შიგნით კახეთი მე-XVIII ს. დამდეგსაც „ვენახოვანი, ხილიანი“ თემი იყო, მაგრამ უფრო „ტყიანი, მცირედ ველიანი“ ყოფილა და უმთავრესად „შენობიანი მთის ძირად“ არისო (გვ.ფა, 322). ქართველ სახელოვან გეოგრაფს აღნიშნული აქვს, რომ ამ თემში „ტყე უმეტეს ხილიანი“ იყო (იქვე), რაც, უტყველია, იმის მომასწავებელია, რომ წინათ ეს კუთხე იანე ტყით არ იქმნებოდა მოსილი: ტყის მოკარბებული ხეხილიანობა საქართველოში მომეტებულად ნასოფლარების წყალობით არის გაჩენილი და შიგნით კახეთშიც ამავე გარემოებით უნდა იყოს წარმოშობილი.

კახეთის თემი „გაღმა-მკარი“ ბუნებით უხვად დაჯილდოვებული ქვეყანა იყო, „შემკული ყოვლითა“. თვით კახეთშიც საუკეთესო კუთხედ ითვლებოდა: „უმეტეს კახეთის ადგილთა... ტყითა, ველითა, მოსავლის ნაყოფიერებითა, ვენახითა, ხილითა“ იყო განთქმული. მისი ხილიანობა იმდენად დიდი იყო, რომ „ტყენიცა ხილნარით საესე არიან“-ო (გვ.ფა, 322).

ვახუშტის სიტყვით, „ჭერეთის ქვეყანას... უფროს გაღმა-მკარსა შინა და უმეტეს ელისენში... ბანბასა და ბრინჯსა სთესენ“-ო, მხოლოდ „იორის პირსაცა ზედა მრავალსა სთესვენ ბრინჯ-ბანბასა“-ო (გვ.ფა, 322—324).

„პანკისის კეობის დაბლობი ადგილები ყოფილა „ვენახოვანი, ხილიანი“ და „მარცვალთა ნაყოფიერი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა“ (გვ. რუფა, 22), მთა ადგილები-კი თავისი ნაყოფიერებით ისეთივე იყო, „ვითარცა მთათა ადგილნი“-ო (იქვე, 322).

ჯვარის მონასტრიდან მოყოლებული „გრდანამდე არს ველი მთასა და მტკვარს შორისი და არს დაბნები მთასა შინა მცირე წყაროთი, უვენახო, უხილო“ (გვ. რუფა, 302).

ქართველი გეოგრაფის სიტყვით „არს... მარტყოფი ვენაკოვან-ხილიანი და ყოვლითა, ვითარცა საგურამო“, ჰავითა მშვენიო (იქვე, 304).

„არს ესე საგურამო ნაყოფიერი ხილით, ვენახით, მარცვლით, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა“-ო (ვახუშტი, გვ. რუფა, 202).

„ბოჭორმიდამ უჯარმამდე არს კეობა ფრიად შავარი, მთოვანი, კლდოვანი“-ო (გვ. რუფა, 292).

თიანეთის წყლისა და თეთრ არავეს შორის მდებარე თიანეთის თემი ეროს საზღვრამდე იყო „შენობიანი და დაბნებიანი“. ამ ადგილების მიეზი „არიან... უვენახონი, უხილონი“, მაგრამ „ნაყოფიერნი, ბალახოვან-ყვავილოვანი, წყაროიანი, ვითარცა თრიალეთი, თვინიერ სიმცირისა“-ო (გვ. რუფა, 296).

ფშავ-ხევსურეთი ვახუშტის მითითა და კლდითა და ტყითა“ გამაგრებულ-მოზღუდვილ, მაგრამ მწირ ქვეყნად აქვს წარმოდგენილი. ამავე ავტორის სიტყვით, ფშავ-ხევსურნი თავიანთი ქვეყნის სწორედ ამ თვისებისათვის, „სიმწირისათვის მონებენ, ვისცა ეპყრავსთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ“-ო (გვ. რუფა, 298).

ხოლო თუშეთი, ვახუშტის სიტყვით, „არს ქვეყანა... ყოვლითავე, ვითარცა... ოსეთი..., მოსავლით..., ნაყოფიერებით“-ო (გვ. რუფა, 328).

კახეთ-კუხეთის ჰავის ზოგად დახასიათებაში ვახუშტს აღნიშნული აქვს, რომ კახეთი და ქიზიყი „ჰავითა არიან მშვენი, ზამთარ თბილი, ზაფხულ ცხელი და არა ეგოდენ, მცირე-თოვლიანი, უყინულო, უყინო. ვინაითგან ვეროდეს განაყინავს მდინარეთა და არცა დაადგრების თოვლი დღესა და უქარო“. სამაგიეროდ „ალაზნისა და იორის კიდენი და მისი ქვემოთნი ფრიად ხაშმიანნი, ცხელნი და გაუძლისნი“-ო (გვ. რუფა, 286).

საქართველოს ამავე ნაწილის მოსავლიანობა-ნაყოფიერებაზე ვახუშტს ზოგადად ნათქვამი აქვს: „ქვეყანა ესე ფრიად ნაყოფიერი არს ყოვლითა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა..., რამეთუ, თვინიერ ნარინჯისა, თურინჯისა, ლიმოსა და ზეთისხილისა, ნაყოფიერებენ ყოველნი, რომელნი აღწერენით, აბრეშუმით, ბანბით, ბრინჯით, და ხურმა და წაბლით“-ო (გვ. რუფა, 286). მეტადრე „მდინარის იორის კიდე იმიერი და ამიერი არს ფრიად ნაყოფიერი, ვინათგან აღმოვლენან რუნი და ირწყვიან ველნი და სცენდებიან ყოველნი მცენარენი“-ო. (გვ. რუფა, 288-290).

## § 2. ქართლის ბოტანიკურ-აგრონომიული არეები

ქართლზე ვახუშტს თავის ნაშრომში საუცხოვო, ზედმიწევნითი და დაწვრილებითი ცნობები აქვს შეტანილი. მის დახასიათებას ჯერ ქართლის სამხრეთ აღმოსავლეთის თემით, ქვემო ქართლით დავიწყებთ.

დებედას ხეობაში, რომელსაც შემდეგში ბორჩალო ეწოდა, ჰაეა „ზაფხულ ცხელი, გაუძლისი, ზამთარ კეთილშემენი“ ყოფილა, იმიტომ, რომ „აქ არა დადგრების თოვლი დღე ორ“. ნიადაგი კარგი იყო, და კლიმატური პირობების წყალობითაც იქ „ნაყოფიერებენ ყოველთა მცენარეთა მარცვალთა თესლნი: ბრინჯი, ხვარბალი, ქრთილი, ფეტვი, ბანბა, თამბაქო, სელი“-ო. „ხოლო კანაფი უმუშაკოდ“ მოდიოდა. იყო აგრეთვე „ნესევი, მელსაპემონი, კიტრი, ბადრიჯანი, პუმპულა“. ამგვარადვე იზრდებოდენ აქ „მტილოვანნი ყოველნი და წალკოტთა ხენი“-ო (გვრფა, 136).

დებედას ხეობის ზემო ნაწილი, იქ, სადაც ამ წყალს მიმდინარეობა აღმოსავლეთითა აქვს, ტყით მოსილ ვიწრო ხეობას წარმოადგენს. „მოვალს მუნცა ყოველნი მარცვალნი, ბრინჯ-ბანბისგან კიდე“. არის იქაც „ვენეანი, ბროწეული, ლელვ და სხვანი ხილნი მრავალნი“. მაგრამ „ლორის ციხის ზეით“ მდებარე ნაწილი უკვე ზამთარს „ცივი, გარნა ზაფხულს შვენიერი, მრავალ-ყვავილიანი“ ადგილია. ხოლო იმაზე უფრო ზევით, „ბამბაკის-კეკეს არა-რაი“-ლა მოდიოდა, „თვნიერ ხორბლისა, ქრთილისა, სელისა“-ო. იქ ზამთარში მხოლოდ „თივითა ნაყოფიერებს ცხოვარი, ძროხა, კამბეჩი, ცხენი, ვირი, თხა“-ო (გვრფა, 138).

ამ ხეობის მეორე დახასიათება ზოგიერთ ახალ ცნობებს შეიცავს და ამიტომ მისი აქვე მოყვანა ურიგო არ იქნებოდა: „კევი ბანბაკისა არს მთებრი და მშვენიერი. ნაყოფიერი. ნაყოფიერებს ხვარბალნი, ქრთილნი, სელი, შერია, სხვა არარაი“-ო (გვ. 140).

სომხეთისა და საქართველოს გამყოფელი მამბაკ-ერევნის მთები არის „ღიღი, მალალი და მარადის თოვლიანი და კალთათა ტყიანი“ (გვრფა, 140).

ვახუშტის დროს „ალგეთის შესართავის ჩრდილოთ იალღუჯამდე მტკვრის პირს“ ბრინჯი, ბამბა და ყოველგვარი მცენარეულობა მოდიოდა (გვრფა, 174).

კუმისის მინდორზე ხარობდენ „ყოველნი თესლნი, ბრინჯ-ბანბას გარდა, კანაფი უმუშაკოთ სცენდების“-ო (გვრფა, 176). თვით კუმისი-კი იყო „დაბადილი ვენახოვანი, ლელოვანი, ბროწეულიანი, ხილიანი“-ო (იქვე, 176).

სკვირეთის, ანუ ვერეს ხეობა დიდგორისაკენ „არს უვენახო, უხილო ეანათამდე, ამის ქვეით ვენახოვანი, ხილიანი, ტყიანი, ნადირიანი, ფრინველიანი“ (გვრფა, 176).

სამშვილდის ქვეითა სანახებში „ნაყოფიერებს სხვათა ადგილთაგან მეტად ბროწეული, ლელვი, ზეთისხილი, და სხვანი ხილნი“. ეს გარემოება აიხსნება მისი ჰავითაც, რათგან, ვახუშტის სიტყვით, „ზამთარს არს თბილი და ზაფხულ ფრიალ ცხელი“ (გვრფა, 166).

ქციაზე „ნახიდურს ქვეით“ ნაჯბადინამდე მდებარე ადგილს თავდაპირველად „ეწოდებოდა წყალთაშუა“, მერმე-კი ბაიდარი დაპრქმევია სახელად. „არს ფრიალ ნაყოფიერი ადგილი“ ისე, რომ იქ „ნაყოფიერებს ყოველი მარცვალნი თესლთა, ხილნი წალკოტთა და მტილთა უტუფური და მრავალი, აბრეშუმი, ბანბა მრავალი“-ო (გვრფა, 168).

„ქცია-მაშავერს შუა“ მდებარე „დისველის მიწდორი“ უწყლოობისდა მიუხედავად „ნაყოფიერი“ ყოფილა და „მოუცადი მარცვალთა, ბრინჯ-ბანანს გარდა“-ო (გვ.რთა, 154).

„ღბანის ქვეით“ მდებარე ხეობა „ქციამდე ფრიად ნაყოფიერი“ ყოფილა „ყოვლითავე: ვენაკითა, ხილითა, თესლ-მარცვლითა“. ასეთი თვისება იმითაც აიხსნებოდა, რომ ეს კლთხე იყო „ზამთარს თბილი და მშვენიერი, ზაფხულს შეზავებული“. ჰქონდა „წყარონი ციენი, მშვენი, ჰალა-ტყენი, ბალახნი“ (გვ.რთა, 158).

ქციის შემდინარეების კლდისის და ძველი-გომარეთის ხეობები „უვენაკო, უხილო“ ყოფილა, ხოლო ფოცხვერიანის ხეობა „ვენახ-ხილიანი“ და ირაგის ხეობა ტორნის წყლითურთ „ვენახოვანი, ხილიანი, ტყიანი, ნადირ-ფრინელიანი, მოსაველიანი“ იყო (გვ.რთა, 164), მაგრამ ამ ხეობის ზემო ნაწილი, „ბენდერის მთის კერძოდ, ვითარცა სხვა მთის ალაგნი“ იყო (იქვე).

ქივქავას ხეობა, რომლის წყალს სათავე ბენდერის მთაში აქვს, იყო საერთოდ „ვენაკოვანი, ხილიანი“, მაგრამ „მთისაკენ არა“ (გვ.რთა, 166).

ხოლო ქციის ხრამი სამშვილდეს ქვეით ნახილურამდე უფრო განიერი იყო. ჰავე იქ „ზამთარს არს თბილი“, ხოლო „ზაფხულს ფრიად ცხელი“. ეს ადგილი კარგი მოხველიანი ყოფილა: „აქ ნაყოფიერებს, სხვათა ადგილთაგან მეტად, ბროწეული, ლეღვი, ზეთისხილი და სხვანი ხილნი“ (გვ.რთა, 166).

მაგრამ „ხრამის კიდესა ზედა“ გაშენებულ სოფლებში, ვახუშტის სიტყვით, „არა არს... ვენახნი, ხილნი“-ო (იქვე, 168).

„ლეღვარი არს მთა შალაღი, თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი და ნადირითა სავესე (იქვე, 146).

ლეღვარ-ლოქის მივებსა და ქციას შორის და დებედასა და ბოლნისის დასავლეთით მდებარე მთის შორის მოქცეულ თემში, ძველად ხუნანის საერთოდ, შემდეგში სომხითად წოდებულში, ვახუშტის ცნობით, „ჰაერი ქციანბრდუჯის მდინარეთა კიდესა ცხელი, უშვერი, გაუძლისი“ იყო, ხოლო „სხვათა ადგილთა კეთილი“ (გვ.რთა, 146). ამიტომ ეს თემი „არს შემკობილი ყოვლითა“: იქ იყო „ვენახნი და კილნი მრავალნი“, რომელნიც „მთის კერძოდ არა არს“-ო. სადაც ვენახები იყო, იმ ზოლში „ლვნო მრავალი“ ყოფილა. ხოლო უველგან „თესლნი მრავალნი ნაყოფიერებენ“-ო (გვ.რთა, 146).

„ახპატს ქვეით არს კეობა ჰოქკანისა, ლეღვარს მთის ქვეშე, ვენაკიანი, ხილიანი, ნაყოფიერებითა და ჰავითა შემკული“-ო. (გვ.რთა, 142).

ამავე სანახებში, „ქვემოთ ახტალის არს კეობა ხოქორნისა“, რომელიც ასეთივე „ვენაკოვანი, კილიანი, ყოვლის თესლისა მოსაველიანი“ იყო (იქვე, 142). ხოლო ამის ქვემოთ ალაღაჯად წოდებულ ადგილს, „ქციამდე ველსა ზედა დასთესენ ყოველსა მარცვალსა და თესლთა... და მტილოვანთა“-ო (იქვე, 142).

ტაშირიც საქართველოს მაღლობი თემი იყო. ჰავით „ზაფხულს ფრიად მშვენიერი, ბალახოვან-ყვავილიანი“-ა, მაგრამ „ზამთარი ცივი და თოვლიანი“ იცის იმდენად, რომ თოვლის სიმაღლე „ორს ადლად“ აღწევსო და „ყინვიანი“-ა (გვ.რთა, 148). ამისდა გვარად სახელოვანი მეცნიერის მოწმობით ტაშირი „არს ნაყოფიერი ხეარბლით, ქრთილით, სელით, შვრიით“. მაგრამ სამაგიეროდ აქ



არამც თუ ვაზი, თვით „ხილნი და მტილ-წალკოტოვანი არაჩაი იპოვების“ (იქვე, 148). ამასთანავე მთელ ამ თემში „არა არს ხე, არცა ტყე“-ო (იქვე).

აბოცი, ანუ უჩიყული გარეშემო მთებით მოხვეულ მდლობ ვაკეს წარმოადგენს. ეს თემი „მოსავალ-მოუტდენელი“ ყოფილა. იქ მოდიოდა „ხეარბალი, ქრთილი, სელი, შვრივა“. მაგრამ სამაგიეროდ „სხეა არაჩაი“ ხარობდა. „არც ხილნი, არც მტილოვანი“ (გგრ<sup>ა</sup>ფა, 148-150).

დბანის ხეობაში „მთა კურთისა და ბოლოლისა არიან უტყეონი... ბალახოვანი, შამბნარიანი, ყვაილოვანი და წყაროიანი“. იქ მხოლოდ „ეკეთა შინა არს არყნალნი“ (გ<sup>ა</sup>რფა, 150).

თვით დბანის ხეობა-კი „ვითარცა ტაშირისა დავსწერეთ“, ისევეა „ნაყოფიერი და პირუტყვითაცა ეგრეთი“-ო (იქვე, 150-152).

ფინეზაურის ხეობაც „არს... ეგრეთითავე ნაყოფიერებითა, ვითარცა ტაშირი და დბანის კეობა“-ო (იქვე, 152).

ხოლო აბულმუგს ქვეით მდებარე „ლოქილამ გამომდინარე“ ბალიჭის ხეობა უკვე „ვენაკოვანი, ხილიანი და ყოვლითა ნაყოფიერი“ ყოფილა. შაგრამ ამ ხეობის ზემო ნაწილიც „ლოქის კერძოდ, ვითარცა დბანის-კევი“-აო (იქვე, 152).

მაშაეერის შემდინარეები, გეტის ხევი და ქვეშის ხევიც, ისევე, როგორც კაზრეთის ხეობა ნაყოფიერებით ბალიჭის ხეობის მსგავსივე ყოფილა (იქვე).

ზურტაკეტის ხეობის სათავეს, შამბიანის მთას, ასეთი სახელი „ეწოდების შამბ-ბალახის სიმალისაგან“, რათგან იქაურ მცენარეულობაში „ცხენოსანი კაცი და რქოსანი ირემი არა გამოჩნდების“-ო. ხოლო თვით შამბიანი „მთა არს... მალალი და ვრცელი“, ამასთანავე „უტყეო“ და „ყვაილებითა მრავალფერ-შშვენიერითა და მფშვენიითა და წყაროთა შემკული“. მხოლოდ „ეკეთა არყნალნი“-ც ყოფილა (გგ<sup>ა</sup>რფა, 154-156). ასეთი ბუნებრივი პირობების გამო „არა არს კეობასა ამას შინა ვენაკნი, კილნი, თვინიერ მთის ხილთაგან კიდე, და ნაყოფიერებითაცა ეგრეთვე, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი“-ო (იქვე, 156).

ვახუშტს მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლის ნაწილი ასე აქვს ზოგადად დახასიათებული: „დამჩხვრალდამ ტფილისამდე მტკვრის კერძო მთამდე არს ნაყოფიერი: ბრინჯ-ბანბას გარდა, ყოველნი მცენარენი, რომელნი აღვსწერეთ, ხილნი და ვენახნი მრავალნი“ მოიპოვება, ხოლო ამავე თემის „მთათა დაბნეები ეგრეთვე, ვითარცა მთისანი დავსწერენით, ნაყოფითა და პირუტყვითა“-ო (გგ<sup>ა</sup>რ<sup>ა</sup>ფა, 204).

დამჩხვრალო, უეკველია, უნდა ეხლანდელ 5-ვერსიანი რუკის „დამჩხრეული“ იყოს, რომელიც მდ. მტკვრის პირას, ტაშისკარსა და სატივეს აღმოსავლეთით მდებარეობს (იხ. 5-ვერსიანი რუკის 6. 61,00-42-00 და საქართველოს საისტორიო რუკა). მაშასადამე, ზემომოყვანილ ცნობაში შიდა ქართლის მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილზეა საუბარი თითქმის ტაშისკარითგან მოყოლებული ტფილისამდე.

თემის ხეობაზეც ვახუშტს აღნიშნული აქვს, რომ მტკვართან შესართავითგან მოყოლებული რკონამდე „არს თეძამი ვენაკ-კილითა ნაყოფიერი, ამას ზეით, ვითარცა თრიალეთი, კვარებითურთ“ (გგ<sup>ა</sup>რ<sup>ა</sup>ფა, 158).

ხოვლისა და დოვისის მინდვრის შესახებაც ნათქვამი აქვს, რომ „არს ფრიად მოსაყლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა“ (გგ<sup>რ</sup>ფა, 198).

„თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შვენიერი: ბალახიანი, ყვავილიანი, წყაროიანი“. მხოლოდ „არა არს აქა ტყე“. მალლობი მდებარეობის გამო თრიალეთი იყო „მოსაყლით, ვითარცა ტაშირი, განა ესე უმჯობესი მისა“. მაინც და-მაინც „ვენანნი, კილნი და მტილოვანნი არაარაი არს აქა“, ხოლო „მთის ხილნი მრავალნი“ მოიპოვებო (გგ<sup>რ</sup>ფა, 158—160).

შაორის, თავკვეთილისა და კევ-ლ<sup>რ</sup>მას მთებზე „არა არს... ტყე, ანუ ზე და მხოლოდ „კვეთა მცირე არყნაღნი“-აო (გგ<sup>რ</sup>ფა, 162).

ტაბისყურის „გარემო ნაძოვანი, ტყიანი, ბალახ-ყვავილიანი, წყაროიანი“ ყოფილა (იქვე, 162).

ტანის ხეობა „ბობნავამდე... არს ვენახოვანი, ხილიანი, მას ზევით მთური, ვიწრო და მაგარი, კლდიანი, ტყიანი“-აო (გგ<sup>რ</sup>ფა, 200).

ხოლო სკრისა და ხვედურეთის „კეობანი ვენახოვანნი. კილიანნი“ იყო (გგ<sup>რ</sup>ფა, 202).

ძამის ხეობაზე ვახუშტის ნათქვამი აქვს: „გვეძინეთამდე არს კეობა ესე ვენახოვანი, ხილოვანი და მის ზევით მთური“-ო (გგ<sup>რ</sup>ფა, 204).

შიდა ქართლის მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილის შესახები ცნობების განხილვის შემდგომ, უნდა ამავე მიწაწყლის მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილის ბოტანიკურ-აგრონომიულად დამახასიათებელი ცნობების განხილვას შევუდგეთ.

არაგვისა, ციხე ბოდავისა, ტინის მთასა, გრემისკევისა, ალევის მთასა და კართალის მთას შორის მოქცეული ბაზალეთის თემის „დაბნები ვენახოვანნი, მოსაყლიანნი“ ყოფილან, მაგრამ ეს კუთხე უწყულობით არა მრავალ ნაყოფიერი“ იყო (გგ<sup>რ</sup>ფა, 220).

გულამაყარის წყალსა, არაგვის ხეობასა და ძურძუკეთს შორის მოქცეული გულამაყარის ხეობა, ვახუშტის სიტყვით, „მოსაყლით, ვითარცა სხვა მთის ალაგნი, და უფროს მწირი“-ც ყოფილა (გგ<sup>რ</sup>ფა, 220—222).

„არს მოზღუდვილი მთიულეთი მთითა. ამის გამო არს მალალი და შეუყალი, არს უვენახო, უხილო, მცირე მოსაყლიანი“-ო (გგ<sup>რ</sup>ფა, 222—224).

ხევი „შოასავლით გველეთამდე არა არს ხილნი, თვინიერ მთის ხილთა: არს კოწახური, მოცხარი, კლდის მერსენი და სხვანიცა ბალახთა ხილნი“ (ვახუშტი, გგ<sup>რ</sup>ფა, 228).

ნარეკვეის ხეობა „უქანამდე ვენაკითა და ხილითა ნაყოფიერი“ იყო (გგ<sup>რ</sup>ფა, 214), იმის ზევით-კი, როგორც ეტყობა, მთური ზოლი იწყებოდა.

ალევის მთითგან გამომდინარე ნარეკვეის „კეობასა... ებნის-ქილურთამდე ეწოდების გრემის კევი“. ნარეკვეის ხეობის ამ ნაწილის თვისებაზე ვახუშტის ნათქვამი აქვს: „არა არს გრემის-კევის ვენახნი და ხილნი, სხვით ყოვლითა მოსაყლიანი“-კი არისო (გგ<sup>რ</sup>ფა, 220). ამ ცნობითგან ჩანს, რომ ებნის-ქილურთა სამხრეთით უკვე ხეხილ-ვენახიანი ზოლი იწყებოდა.

მუხრანის ველზე და მიდამოებში „მოსაყალი მტილთა, წალკოტთა, ვენახთა, თესლ-მარცვალთა მრავლად ნაყოფიერებს“-ო (გგ<sup>რ</sup>ფა, 218).

ქსნის ხეობაში „ზებეყურის მთა... ჩამოადგების ცხვირად ქსანს დასაელეთიდამ ალგის მთის ცხვირი და დააეწროებს ქსანს კლდითა“. ეს ადგილი ვახუშტს ქსნის ხეობის ორი სამეურნეო ზოლის საზღვრად აქვს დადებული. მისი ცნობით „ამ კლდის ქვეით მტკვრამდე ქსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ვითარცა სხვანი ალგწერეთ, და ამ კლდის ზეით იწრო და მკიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი მოსავლითა, ტყიანკლდიანობითა“-ო (გვ. გრაფა, 230). რაკი ზებეყურა ხანლოს ციხის ქვემოთ ყოფილა (იხ. იქვე, 230), ამიტომ ვენახოვან-ხილიანი არეს დასაწყისი უნდა წირქვალს ქვემოთ ვიგულისხმეთ.

ამგვარადვე, ცხრაზმის ხევზე მას ნათქვამი აქვს, „არს ადგილი ესე მოსავლიანი მთის ადგილთა-ებრ“ (გვ. გრაფა, 232). ქარჩხო-ჯამურზე ამბობს: „მოსავლით, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი“-ო (იქვე). „მოსავლით არს ქურთა, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი“-ო (იქვე). ქნოლოს „ტბიდამ მეჯუღის ხეობაში ბიყრამდე ვახუშტის დროსაც იყო „დაბნები მრავალნი თესლთა, მარცვალთა მოსავლით ნაყოფიერა“ (გვ. გრაფა, 248).

ზოგარიამენიდამ ვანათამდე უწოდებენ გვერდის-ძირს და არს ადგილი ესე ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი. ბრინჯ-ბანბას გარდა, ყოველნი სცენდების ნაყოფიერად, ვითარცა დავსწერეთ ქართლისასა. არამედ ლვინო აქაური თხელი და მომეაგო, გარნა საამო სასმელი“-აო (გვ. გრაფა, 236).

ვანათამდე არს ლიახვის კეობა უვენახო, უხილო, ვითარცა დავსწერეთ მთის კეენი, და სივიწროვით ესე უფროს მწირი“-აო (იქვე, 238).

ბურვალეთის ზეით მდებარე „მთის მიყოლით დასაელეთისაკენ მეჯუღამდე და ვიდრე დიდ ლიახვამდე და კვერნაქის მთის შორისი მინდორი დიდი და უტყეო, გარნა დაბნებთა არს წალკოტნი, ნიგვზარნი და ვენახნი მრავალნი“. აქ „მოვალს ყოველნი მარცვალნი, თეინიერ ბრინჯ-ბანბისა“-ო (გვ. გრაფა, 244).

ვახუშტის სიტყვით, „სვერს ზეით“ დიდი „ლიახვის კეობა... არს უვენახო, უხილო... მოსავლით მთის ალაგებრი და პირუტყვითაცა ეგრეთ“ (გვ. გრაფა, 258).

„ტინისხილით, თედოწმინდით სასირეთამდე და მტკვრამდე“ მთელი სივრცე იყო „მკირე ადგილს ტყიანი, საკნავე და მოსავლიანი ნაყოფიერად“, მაგრამ „უწყლო“ ყოფილა და მხოლოდ „ადგილ-ადგილს დის წყარონი მკირენი“-ო (გვ. გრაფა, 258).

„კეობა დენისა არს ვენახოვანი, კილიანი, მარცვლითა ყოვლითა ნაყოფიერა“ (გვ. გრაფა, 262).

მოხისის „მინდორი მტკვრამდე უწყლო, არამედ მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა“ ყოფილა (იქვე, 266).

„გორს ზეითნი ადგილნი“ სურამის ხეობამდე და ხეობითურთ „არიან მოსავლიანი, თეინიერ ბრინჯ-ბანბისა, ვენაკით, ხილით და ყოვლითა მარცვლითა“ (გვ. გრაფა, 268). ვახუშტს დამატებული აქვს, რომ „სასმელი და საკმელი აქაური უმეტეს გემოიანია სხვათა ადგილთაგან“-ო (იქვე, 270).

დვალეთ-ოსეთი უტყეო ქვეყანა იყო, ზოგიერთ არყნალიან ადგილებს გარდა. სიცივის გამო „ხორბლისა, ქრთლისა და შერივის“ გარდა, იქ „არამაგრამე მარცვალნი ნაყოფიერებენ“-ო „უმიწობისა და კლდოვანობის გამო“ იმა-

საც, რაც იქ მოდიოდა, „ვერ სთესვენ მრავლად“-ო. მაგრამ თვით ნიადაგნი ნაყოფიერი იყო და რასაც სთესენ, „რა-იგი დასთესონ, ფრიად ნაყოფიერებს და მრავლად“ მოდისო. არც მევენახეობა-მეხილეობა იყო, რათგან „არარაი მოვალს და უწყიან მტილისანი, ანუ წალკოტნი, გინა ხილნი“. მხოლოდ „ვიეთთამე ადგილთა იპოების კოწახური, კლდის მერსენი, უელი და ასკილი“ (გვ<sup>რ</sup>ფა, 430).

მესხეთზე, ანუ იმ მიწა-წყალზე, რომელსაც ძველად ზემო-ქართლიც ეწოდებოდა, ისეთი დაწვრილებითი და ზედმიწევნითი ცნობები, როგორც მას შიდა ქართლზე აქვს მოთავსებული, ვახუშტს არ მოეპოვება. ეს გარემოება, უკვე-ლია, იმით აიხსნება, რომ მესხეთი მის დროს ოსმალეთს ეპყრა და ვახუშტს ეს მხარე პირადად ნანახი არ ჰქონია.

როგორც ხეფინის ხევი „მოსავლიანი ხილიანი“ იყო, „რომელნი (ლიხის) მთას-იქით დაესწერეთ, ქვიშხეთის დასავლით, იგინიცა ესრეთვე ჰკონე“-ო, ნათქვამი აქვს ვახუშტს (გვ<sup>რ</sup>ფა, 272), ე. ი. ეს მხარეც მოსავლიანად და ხილიანად, მაგრამ უვენახოდ უნდა ვიგულისხმოთ.

მაგრამ მტკვრის გასწვრივ, ვახუშტის სიტყვით, ტაშის-კარ-სადგერის შემდგომად ლიჯანის ხეობამდე „მტკვრის კეობა“ მაინც „ვენახიანი, ხილიანი“, მაგრამ „ვიწრო და მწირი“ იყო (გვ<sup>რ</sup>ფა, 276).

„სადგერის კეობა არს უვენახო და მოსავლით, ვითარცა... გუჯარეთის კეობა. ესე სცან ეგრეთვე ნაყოფიერი მითია“-ო (გვ<sup>რ</sup>ფა, 274).

თორ-გუჯარეთის ხეობაზე-კი ვახუშტს ნათქვამი აქვს: „არა არს აქა ვენახნი და ხილნი, თვინიერ მთის ხილთა და სხვით ნაყოფიერი მთისებრ,— ბალახ-ყუავილითა, ტყითა და წყაროებითა შემკული“-ო (გვ<sup>რ</sup>ფა, 206).

მესხეთის აღმოს. საზღვარზე მდებარე „მთა ირჯანისა... აწ ყარალაჯად წოდებულ... არს მარადის თოვლიანი და უტყეო და კალთათა ბალახოვანი“ (გვ<sup>რ</sup>ფა, 148).

ხოლო მესხეთის ჩრდილოეთის მიჯნაზე მყოფი სამცხის, ანუ ლაღოსა და გურია-აქარის მთები არიან „თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი“, მაგრამ „რომელთამე ადგილთა“, როგორც მაგ. მახვილოს, „თოვლიანი, ყინულიანი მარადის, ბალახოვანი, შამშნოვანი“-აო (გვ<sup>რ</sup>ფა, 94-96).

მესხეთის ორ ნაწილად გამყოფელი არსიანის მთა „თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი“ იყო, ამასთანავე „ყუავილოვანი, ბალახოვანი“. ხოლო არსიანის მთის გაგრძელება, რომელსაც არტაანში ქვაყრილი, კოლაში ყალნუ-მთა ეწოდება, არის „არსიანსავით, არამედ უმეტესად უტყეო“ იყო (გვ<sup>რ</sup>ფა, 94).

სამცხე შიგნით არის „ჰავით მშვენი და შემკული, აგარაკოვანი“. თუმცა თემი „მთიანი, გორიანი, ლრატოიანი, კევიან-კლდიანი“ იყო, მაგრამ „მთა-ბართა სიხალღოვითა“ მის ბუნებას მრავალფეროვანება უნდა ჰქონოდა, რასაკვირველია. მართლაც ეს თემი ყოფილა „ვენაკიანი, კილიანი მრავლად“ და თანაც „მარცვალნი მრავალნი ნაყოფიერებენ“-ო (გვ<sup>რ</sup>ფა, 96).

ქ. ახალციხე „ჰავით არს მშვენი: ზამთარს ცივი და თოვლიანი, ზაფხულს არა ეგოდენ ცხელი. გარემოს ქალაქისა წალკოტნი, ვენაკნი და ხილნი მრავალნი“-ო (გვ<sup>რ</sup>ფა, 86).

„მთა წიაღის-ყურისა“, ხავეთითგან ყარსის მთამდე, ანუ ფოსოს წყაროს-სავამდე გადაქიმული, საერთოდ იყო „სრულიად უტყეო, ბალახ-შამბ-ყვავილიანი და წყაროიანი“ და მხოლოდ „ფოსოს-კერძონი და წყაროსთავის-კერძო მტკვარამდე ტყიანი“ (გვ. რფა, 102).

ჯავახეთში „ზამთარი დიდ-თოვლიანი და ყინვიანი“ იცოდა და საერთოდ „ჰავეითა მგზავსი“-ა თრიალეთისაო (გვ. რფა, 102). ამის გამო, ვახუშტის ზოგადი დახასიათებითაც „ჯავახეთი არს, ვითარცა თრიალეთი, უვენაკო, უხილო, უტყეო“ და „მოსავლითაცა ეგრეთვე“ იმ განსხვავებით, რომ ჯავახეთი თრიალეთზე „უმეტეს ნაყოფიერი და მოუცდენელი“ ყოფილა (გვ. რფა, 102).

ვახუშტის სიტყვით, „არს. ფოსო უვენაკო, უხილო, ვითარცა ჯავახეთი, ყოვლითა მოსავლითა“-ო (გვ. რფა, 98).

ამგვარადვე ერუშეთიც იყო „უვენაკო, უხილო, ვითარცა ჯავახეთი, ეგრეთვე მოსავლითაცა“-ო (გვ. რფა, 104). მაგრამ „მთანი არიან ტყიანნი გარემოს“ ერუშეთისა, თანაც „ყვავილოვან-ბალახოვან-წყაროიანნი“ (იქვე).

„არს არტაანი ვაკე და უტყეო, ბალახ-ყვავილიანი, მოსავლით, ვითარცა ჯავახეთი“. ხოლო მისი „მთანიცა უტყეოანი, მცირე არყნალთაგან კიდე“-ო (გვ. რფა, 106)

კოლა, კარისა და ყალნუს მთებითურთ, „მაღალი და მცირე-ტყიანი“, უმთავრესად „ბალახ-შამბ-ყვავილოვანი“ იყო. ხოლო „ადგილნი კოლისანი მოსავლით, ჰორუტყვით და ჰავით“ ყოფილა, „ვითარცა ჯავახეთი“ (გვ. რფა, 106).

მესხეთის დასავლეთ ნაწილზე რამ გადავიდეთ, ვახუშტის დახასიათებით, აქარა იყო „ვენაკოვანი, კილიანი, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა, ყოვლითა მარცვლითა“. ამასთანავე „ტყიანი, კლდიანი, იწრო-ხრამოვან ღრატოიანი“-ც იყო (გვ. რფა, 108—110).

ფორჩხის ხეობაც „ვენაკოვან-კილიანი, ვიწრო და კლდიანი“ და, „რაოდენნიცა მიწანი იკენიან“, ყოფილა „მოსავლიანი“-ც. ვახუშტის სიტყვით, ამ ხეობაში განსაკუთრებული მრავალფეროვანებაა, რათგან „მთა-ბარნი ახლორებენ ფრიად“ (გვ. რფა, 110).

შავშეთი „ტყიანი, გორა-მთიანი, ღელე-ღრატოიანი, იწრო“ თემი იყო. მისი წიაღისეული მოსავლიანი ყოფილა: „ნაყოფიერებს ფრიად მიწა ამისი, რაოდენიცა იკნარების სივიწროედ“-ო. გამოსადეგი მიწის სიმცირესთან შესაფერისად, ეს კუთხე „ვენაკ-ხილიანი“ იყო და „ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა“-ო (გვ. რფა, 114). სახნავ-სავენახე ადგილების მეტის-მეტე ნაკლებობიდან გამომდინარე, თქმა უნდა, სავლელ მეურნეობასაცა და მებაღეობა-მევენახეობასაც აქ გასაქანი და ფართო ასპარეზი არ შეიძლება ჰქონოდა. ეს გარემოება უკვე გრ. ხანძელს ჰქონდა აღნიშნული.

ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებული კუთხე იყო ქოროხის ხეობის ის ნაწილი, რომელსაც ლიგანის ხეობა ეწოდებოდა. „ჰავეით არს ზაფხულს ცხელი, ზამთარს ფრიად თბილი“. ამასთანავე ამ თემის მთა-გორიანობა მას გასაოცარ მრავალფეროვანობას ანიჭებდა, რათგან დაბლობსა და თბილ ადგილებს „ახლორებენ მთანი თოვლიანი და აგარაკნი“ შევნიერებით აღმკულნი ყამისა და ნახევარ-ყამის საეღოთა“-ო (ვახუშტი, გვ. რფა, 114). ამიტომ იქ ყველაფერი იყო და მოდიოდა.

ლიგანის ხეობა „ფრიად ნაყოფიერი“ იყო „ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით, ბრაწეულით, ლეღვით, ვენაკით, კილით შემკობილი“ ამასთანავე „მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებს“. მაგრამ მეურნეობის ყოველ დარგში ხეობის სივიწროვ და გამოსადეგი მიწის სიმცირე საგრძნობი ყოფილა. მებღეობისათვისაც ამის გამო შესაფერისად ფართო ასპარეზი აქ არ არსებობდა, მაგრამ მეტადრე საველე მეურნეობა იყო შეზღუდვლი: „სივიწროვით ვერ სთესვენ ბრინჯ-ბანბასა“-ო (გვ.რფა, 114).

კლარჯეთი არტანუჯითურთ უაღრესად მთიანი თემია და იყო „ტყიანი ფრიად და მცირე ველოვანი“. ხოლო „ჰავით მშვენი, კეთილი: ზამთარ თბილი და დიდ-თოვლიანი“ იყო, მაგრამ სიმაღლის წყალობით „ზაფხული არა ეგოდენ ცხელი“ იცოდა. წიდაგი ნაყოფიერი ჰქონდა და იყო „ვენაკიანი, კილიანი“ და „მარცვალნი ყოველნივე ნაყოფიერებს, ვითარცა სხვათა ამათ ადგილებთა“-ო (გვ.რფა, 116). მაგრამ სახნავ-სავენახე მიწების მეტისმეტი სიმცირე, მცირე ველოვნობა, რასაკვირველია, აქაც სასოფლო მეურნეობას ფართო ასპარეზს ვერ შეუქმნიდა.

ოლთისის ხეობა ნარუმაკამდე, ანუ ნარიმანამდე არის „ხილიანი, ვენაკიანი“-ო, ხოლო „ნარუმაკს ზეით“, სადაც იდი იყო, „ამას ზეით არს, ვითარცა მთის ადგილნი ნაყოფითა“-ო (გვ.რფა, 118—120).

თვით ტაოც საერთოდ „მთიანი, გორიანი, ლელოვან-ხრამოვანი, ღრატ-ოიანი, წყლიანი და იწრო“ თემია. მაგრამ იქაც მოიპოვება შედარებით დაბლობი ადგილებიც და მაღლობიც. ამიტომ თავისი სასოფლო-მეურნეობის თვისებითაც ორად იყოფება: იქ არის ნაწილი „ვენახოვანი, კილიანი, მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა“, ხოლო „მთის კერძოთა, ვითარცა ჯაეახეთი“. იდი და ნარუმაკი არიან, ვითარცა თრიალეთი, ანუ ჯაეახეთი ყოვლითურთ“-ო (იქვე, 120).

ბასრანი უაღრესად მაღლობი თემია, ამის გამო იყო, „უტყეო, თვინიერ მცირე არყნალნი“ და „უვენაკო, უკილო და მარცვლის მოსავლითაც, ვითარცა ჯაეახეთი“ ყოფილა, უკეთესიც-კი, „ესე უმჯობესცა ჰავითაცა“-ო (გვ.რფა, 120).

ვახუშტის სიტყვით „არს... ისპირის კეობა ქარაფოვან-კლდიანი, ლელე-ღრატოიანი, იწრო, ტყიანი, მცირე ველოვანი“. ხოლო „ჰავით ზაფხულს ფრიად ცხელი“-ა, მაგრამ „აქეს მთანი და აგარაკნი ახლორეს. ზამთარი თბილი“ იცისო. ეს თემი, ამავე მეცნიერის ცნობით, იყო „მოსავალ-ნაყოფიერი, ვითარცა... ნიგალის-კევი, ყოვლითა ნაყოფიერებითა და მარცვლითა“-ო (გვ.რფა, 124).

თორთომის ხეობა იყო თემი, „შემკობილი მთით და ბარით“: ამისდა გვარად ხეობა „ხახულის ზეითამდე, ანუ ციხემდე“ არის „ვენაკოვანი, კილიანი, მოსავლიანი. ხოლო მთის-კერძონი ყოველგნით ვითარცა ჯაეახეთი“-ო (გვ.რფა, 126).

ჰანეთს, რომელიც პოლიტიკურად მხოლოდ ხანმოკლე დროს მოექცა საქართველოს საზღვრებში, ორი ზოლი ჰქონდა: „ზღვის კიდური“ და „მთის კერძონი“. ჰანეთის მთა „თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი“ იყო. თვით „ჰანეთიცა ფრიად ტყიანი, გორა-მთა-ღელეიანი“-ა. კლიმატური პირობებიც

სხვადასხვა-ნაირი იყო: „ჰავით ზღვის კიდურნი ცხელი“-ა, მაგრამ მაინც „ზაფხული არა გაუძლისი“ და „ზამთარი თბილი“ იცის, ხოლო „მთის კერძონი კეთილ-ჰაივანნი“-აო (გგ<sup>რ</sup>ფა, 128—130).

თვით ქვეყანა „ხილიანი, ვენაკიანი, მარცვლებით მოსაელიანი“ იყო „ბრინჯ-ბანბითურთ“ და იქ ყველაფერი „ნაყოფიერებს ფრიად“-ო (იქვე, 130).

ვახუშტის კარგად აქვს საქართველოს ზღვის სანაპიროს ბუნების გასაცანი მრავალფეროვანება დახასიათებული. მესხეთის აღწერილობაში მას აღნიშნული აქვს: „მთა-ბარი ახლორებს ესრეთ, (რომ) ეამისა, ანუ ნახევარ-ეამისა სავალთა არს თოვლი და ბართა ნარინჯი-თურინჯი, ზეთისხილი და ყოველნი ნაყოფნი“-ო (გგ<sup>რ</sup>ფა, 72).

### § 3. დასავლეთ საქართველოს ბოტანიკური არეები

ლიხთიმერეთიც ვახუშტის ისე ზედმიწევნითა და დაწერილებით არა აქვს აღწერილი, როგორც ქართლი, მაგრამ მაინც მრავალი ფრიად საგულისხმო ცნობა მოეპოვება. აქაც განხილვის გეზი აღმოსავლეთითგან დასავლეთისაკენ გვექმნება.

„არს კეობა... კუფინის-კევი მოსაელიანი, ხილიანი. ქართლისაგან მეტი არს აქა ლომი, ხურმა“. ამას გარდა აქვე „სთესენ სიმინდსა მრავალსა“-ო (გგ<sup>რ</sup>ფა, 272).

ხოლო „ჩხვიმელას, ჩრდილისა და ნუნისის „ვევნი... არიან ვენაკოვანი, კილიანი“-ო (იქვე, 270).

ფერსათის თემი, ანუ საჩხვიძო და სალომინაო იყო „ქვეყანა... მდინარეთა კიდურნი კბოდოვანი, ფლატოვანი, ჭალიანი“, ხოლო „მთის კერძო ვაქე და აყრილ-ტყიანი, ნიგვზნარ-ხილიან-ვენაკიანი... ბრინჯს არა სთესენ და ბანბას, სხვანი მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებენ“-ო (გგ<sup>რ</sup>ფა, 386).

საჯავახოს ხეობა გურიაში, ვახუშტის ცნობით, იყო „მოსაელიანი ყოვლითა მარცვლითა, ხილ-ვენახითა“ (გგ<sup>რ</sup>ფა, 352).

ტოლის ხეობაც „ხილ-ვენახიანი“ ყოფილა (იქვე, 372).

საჩინო, ანუ საჩიჯავაძო იყო „ადგილი... ვითარცა... საჩხვიძო და უმეტესადცა ნაყოფიერი და ბარი“ (იქვე, 388).

ხოლო ჯუმათის მთა იყო „ტყიანი, ვენახ-ხილ-მოსაელიანი“ (გგ<sup>რ</sup>ფა, 414).

თუმცა „ხეობა ხინოსი... მაგარი და მთებრი“-ა, მაგრამ მაინც „ვენახ-ხილიანი და მოსაელიანი“ ყოფილა (იქვე, 416).

ვახუშტის სიტყვით, საერთოდ გურია ჰავით არს კეთილი და „შვენი“, მაგრამ „ზაფხულს ცხელი, წვიმიანი, სოველი, ნოტიო“-ა, ხოლო ზამთარი—თბილი, დიდ თოვლიანი, იცის „ვითარცა იმერეთი და უყინვო“ (გგ<sup>რ</sup>ფა, 418).

თავისი გეო-ფიზიკური თვისებებით გურია „მთა-გორიანი, ტყიანი, აგარაკიანი და მცირე-ველოვანი“-ა. ვახუშტის ცნობით, იქ: „ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი“, მაგრამ „ბანბა არა ეგდენ“. შეხილვობა და შევენახვობაც იყო გავრცელებული: „ხილნი მრავალნი და ბათოშს, გონიას და ერგეს ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული მრავალი და ზღვის კიდესაცა ვენაკნი“-ც, რა თქმა უნდა, ბლომად იყო (გგ<sup>რ</sup>ფა, 418).

ლიბთ-იმერეთის სამხრეთის ნაწილის შემდგომ, რომ მის უფრო ჩრდილოეთით მდებარე თემების განხილვაზე გადავიდეთ და კვლავ აღმოსავლეთითგან დავიწყოთ, იყო „არკვეთი ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, არამედ ბრინჯს არ სთესენ“. იყო „ხილნი ტყეთა შინაცა მრავალნი... ვენახი და ღვინო კეთილი“ (გვ. რფა, 386).

„რიონის ვალშით“ მდებარე „ვაკე“, რომელიც „არს სამკუთხედ ადგილი“ და „ცხენისწყლისა და რიონისაკენ არს საკილაო, სამიქელაო“, ყოფილა „ფრიად ნაყოფიერი ყოვლითავე... თვინიერ ბრინჯისა... ვენახნი დაბლარნი არიან მრავლად, ხილნი მრავალნი ტყეთა შინაცა“-ო (გვ. რფა, 388—390).

სალიპარტიანო, რომელიც ჭყონდიდითგან უნაგირამდეა მთის ძირს გადაკიმული, ვახუშტის სიტყვით „არს ქვეყანა... მგზავსი ვაკისა და უმეტეს ნაყოფიერი და ტყიანი“ (გვ. რფა, 396).

ლიბთ-იმერეთის უკიდურესი დასავლეთის თემის, ოდიშის ჰავა მდებარეობისდა მიხედვით განსხვავდებოდა: „ზღვის პირნი და ვაკენი“ იყვნენ „ზაფხულს... ცხელი“, მაგრამ მაინც „არა-გაუძლისი“, ზამთარში-კი თბილი. ხოლო „მთის-კერძონი გრილნი, აგარაკოვანნი, კეთილნი“ იყვნენ. ამასთანავე „ზამთარ თბილი“, მაგრამ „უქარო და უყინეო, დიდ-თოვლიანი“ ყოფილა. სამაგიეროდ ზაფხულში „სველი, ღნამიანი ღნოტიო“ იყო, მაგრამ თითქოს „უწყინარ-უვნო“ (გვ. რფა, 402).

ოდიშში იცოდა „მოსავალნი მარცვალთა ფრიად ნაყოფიერნი მრავლად, რამეთუ ბრინჯი ნაყოფიერებს ურწყავდა“. ხოლო „ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი, ბროწეული ადგილ-ადგილს და სხვანი ხილნი მრავალნი“ მოდიოდა. „ვენახნი“-ც ხომ ყველგან იყო (გვ. რფა, 402).

ოკრიბა იყო „თვინიერ ბრინჯ-ბანბისა, ყოვლითა მარცვლითა ნაყოფიერი ფრიად, ხილითა, ვენახითა“-ც. ამასთანავე ეს თემი, ვახუშტის ცნობით, „არს მცირე მთა-გორიანი, ტყიან - ბალახიან - ყვავილიან - წყაროიანი“ (გვ. რფა, 390—392).

ებლა რომ დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთის თემების განხილვას შევედგეთ, რაქის დიდი დაბა შქმერი, ვახუშტის ცნობით, იყო „უვენახო, უხილო, მსგავსი სხვათა მთის ადგილთა“ (გვ. რფა, 378).

ხოლო რაქაშივე „ჯეჯკორის მდინარეზედ სამკრიდამ ჩრდილოეთ“-ის მიმართულენით კუდარომდე „არს დაბნები“ ვენახოვან-ხილოვანნი და მოსავლიანი. მას ზეით“-კი უკვე იწყება არე „უვენახო, უხილო, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი“ და აქეთგან მოყოლებული „უწოდებენ ამას კუდაროს“ (იქვე, 378).

რაქაში, რიონის ხეობაში „ქიდროთას ზეით ადგილნი... არიან, ვითარცა სხვა მთის ადგილნი, მოსავლით, ნაყოფით“. თვით ხეობა კი ვიწრო არის (იქვე, 380-382).

რაქა და რაქის მთები არიან „მალაღნი და განიერნი, თხემთა უტყეონი და კალთათა ტყიანი“. ამასთანავე— „ზამთარს დიდთოვლიანნი, სადაც ვერ ივლის ცხენი და ზაფხულს უთოვლო, წყაროიანნი, ბალახიან-ყვავილიანნი“. ხოლო „დაბნები რაქისანი, ამ მთათა კალთათა მყოფნი, არიან, ვითარცა შქმერი აღესწერეთ, აგარაკად და მთის ადგილად“-ო (გვ. რფა, 382).



დიდ-თოვლიანობისადა მიუხედავად, რაჭაში „ზამთარი თბილი და უქარო“ სკოდნია. ამასთანავე ქვეყანა იყო „მოსავლიანი: თვინიერ ბრინჯ-ბანბისა, ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი“ და თანაც არის „ვენახიანი, ხილიანი, მტილოვანნი ყოველნი“. ასეთი ნაყოფიერება ქვემო რაჭაშია: „როინის კერძოდ ამიერ და იმიერ სრულიად რაჭას ესრეთ ნაყოფიერებს, არამედ მთათა კერძონი, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი“-ო (იქვე, 384—386).

ვახუშტის ცნობით, ლეჩხუმი იყო „ვენახიანი, ხილიანი“ და თანაც იქ „მოვალს ყოველნი მარცვალნი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა“. მხოლოდ ამ თემის „სიფიწროვისა და კლდიანობისათვის არა ეგოდენი სიმრავლეთ“ მოდის ყველა ზემოდანახელებულიო (გგრ-ფა 350).

ვახუშტის ნათქვამი აქვს: „სევანეთი არს მოსავლითა და პირუტყვითა, ვითარცა... დვალეთი“, ანუ აწინდელი ოსეთი, „და უმეტეს მწირიცა სიფიწროვით, მთითა, კლდითა და მდინარეებით ფრიად მაგარი“ (გგრ-ფა, 412).

დასასრულ, აფხაზეთში „ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, ხილნი, ვენაქნი“-ო (იქვე, 406—408).

ლიბთ-იმერეთის ზოგადი დახასიათების დროსაც ვახუშტს საქართველოს ამ ნაწილის ჰავაზე ნათქვამი აქვს: „ტყის გამო ზაფხულს იმყოფის სიციხე“, რათგან „ძნად იძვრის ქარნი“, მაგრამ იქ მაინც საერთოდ „არა-გაუძლისი სიციხე“ იცის, „თვინიერ ადგილთა რომელთამე“-ო. თანაც „ზამთარი თბილი“-ა ხოლმე იმდენად, რომ „ვერ ოდეს განაყინავს მდინარეთა, ვერცა გუბესა, რომელსა ზედა შედგეს ან უტყვი, ანუ მეტყველი“. მაგრამ ამისდა მიუხედავად იქ იცის „თოვლი დიდი, რომლისა სიმაღლე ოდესმე მკარი და უმეტესიცა“ არის ხოლმე (გგრ-ფა, 338).

### თავი მეთორმეტი. საქართველოს ზეფახება აგრონომიული და ხასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის თვალთახარისით

ზემომოყვანილი ყველა ცნობების თავისდათავედაც და რუკის დახმარებითაც შესწავლა მკვლევარს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის შესაძლებლობასაც ზედმიწევნით გაუთვალისწინებს და ჩვენი ქვეყნის წარსულისა როგორც ეკონომიური, ისევე პოლიტიკური ისტორიის არაერთ მნიშვნელოვან საკითხსაც სისწორით გაარკვევინებს.

უკვე ბოტანიკურ-გეოგრაფიულისა და აგრონომიული არეების ზოგადი მიმოხილვაც-კი აღამიანს ფრიად საგულისხმო სურათს გადაუშლის, ამიტომ პირველად სწორედ ამ ზოგად მიმოხილვას შევეუდგებით.

### § 1. სასოფლო-სამეურნეო არეების ზოგადი მიმოხილვა საქართველოში

თუ გავიხსენებთ, რომ ვახუშტს საქართველოს მოსავლიანობა-ნაყოფიერების მხრივ თურინჯ-ნარინჯისა, ვენახიან-ხილიანს, უვენახო და ხილიანსა და უვენახ-ხილო არეებად აქვს დაყოფილი და ამასთანავე ქართულ-უცხოური წყაროების ცნობათა მიხედვით ამ არეების ზოგადად შემოსაზღვრას შევეუდგებით, შემდეგი სურათი წარმოგვიდგება:

1. თურინჯ-ნარინჯის არე საქართველოში შავი ზღვის სანაპიროზე ყოფილა მხოლოდ: ოდიშში ადგილ-ადგილ, ხოლო ბათუმის მიდამოებში, გონიას, ერგეს და ლიგანის ხეობაში თურინჯი ნარინჯი და ზეთისხილი ყველგან ხარობდა და იყო.

2. ბრინჯ-ბამბის არე თუმცა დასავლეთ საქართველოშიც ყოფილა, მაგრამ უფრო მეტი სივრცე ამ კულტურას ლიხთ-ამერეთის აღმოსავლეთ სანაპირო თემში ჰქონია დაკავებული. ბრინჯ-ბამბის არედ კუხეთის ბარი, გაღმა-მხარი, მეტადრე ენოსელი, გარე-კახეთში ივრის სანაპიროები ითვლებოდა.

ქართლში მხოლოდ ქვემო-ქართლის დაბლობში მრდიოდა ბრინჯ-ბამბა, სახელდობრ: დებედას ხეობაში, ალგეთის ხეობაში მტკვრის შესართავითგან მოყოლებული იალღუჯამდის და ქციის ხეობაში ნახიდურითგან ნაჯბადინამდის.

დასავლეთ საქართველოში ბრინჯ-ბამბის მოყვანას მარტო ოდიშში და გურიაში მისდევდნენ. გურიაში შედარებით ნაკლებ ყოფილა გავრცელებული, სამაგიეროდ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ოდიშის ნიადაგიცა და ჰავაც ბრინჯის კულტურისათვის იმდენად კარგი აღმოჩენილა, რომ ეს მცენარე იქ თურმე მოურწყავადაც ხარობდა.

3. ვენახ-ხილიანს არეს თურინჯ-ნარინჯისა და ბრინჯ-ბამბის არეებზე შეუდარებელი უფრო ფართო ასპარეზი ეკავა საქართველოში. ამერეთითგან რომ დავიწყოთ, ვენახიან-ხილიან არეს ეკუთვნოდა:

გარეთ კახეთში მანავითგან მოყოლებული ქიზიყამდე, შიგნით-კახეთში ცივ-გომბორის მთის შუა კალთამდე, გაღმა-მხარში პანკისის ხეობის დაბლობი პანკისამდე, ერწო-თიანეთის მთებამდე, მარტყოფი და საგურამო.

ქართლში ვენახიან-ხილიან არედ იყო: მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილითგან, ქვემო-ქართლითგან, დებედას ხეობის ზემო ზოლი, კუმისის მინდორი, ქციის ხეობა ნახიდურითგან სამშვილდემდე, დიის-ველის მინდორი ქცია-მაშვერს შორის, დბანისის ხეობა ქციითგან მოყოლებული დბანისამდე, სკვირეთის, ანუ ვერეს ხეობა მტკვრითგან ვანათამდე, ფოცხვერიანისა, ირაგას და ქივქავას. ხეობათა ქვედა ნაწილი, ხუნანის საერისთავო, ანუ სომხითი, ბალიქის ხეობა აბულმუგს ქვევით ისევე, როგორც გეტისა, ქვეშისა და კაზრეთის ხეობანი.

შილა ქართლს მტკვრის გასწვრივ და სამხრეთით მდებარე ნაწილში ვენახ-ხილიან არეს ეკუთვნოდა დამახერლოთგან ტფილისამდე გაღვიმული ზოლი, თეძმის ხეობა მტკვრითგან რკონამდე, მეტეხ-სასირეთისა, დოესისა და ხოვლის მინდვრები, ტანის ხეობა მტკვრითგან ბობნავამდე, სკრისა და ხედურეთის ხეობანი და ძამის ხეობა გვეძინეთამდე.

შიდა ქართლის მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილში ვენახ-ხილიან არეს ეკუთვნოდა: ბაზალეთის თემი გრემის ხევა-მდე, ნარეკვავის ხეობა უჟანამდე და ებნის-ქილურთას ქვე-ვით, მუხრანის ველი მთლიანად, ქსნის ხეობა მტკვრითგან ზებეჟურ-წირქვალამდე, მეჯუდის ხეობა ვგონებ ბიყრამდე, გვერდის-ძირი ჯარიაშენითგან ვანათამდე, პატარა ლია-ხვსა და კვერნაქს-შორისი მინდორი, დიდი ლიახვის ხეობა მტკვრითგან სეერამდის, ტინისხიდ-თედოწმიდითგან სასირეთ-მტკვრამდე, გორითგან სურამამდე გადაჭიმული ზოლი, დვანის ხეობა, მოხისი და ქვიშხეთისა და მის დასავლეთით მდებარე ხეობა.

ზემო ქართლის, ანუ მესხეთის აღმოსავლეთი ნაწილი თავისი მდებარეობის გამო უმთავრესად უვენახ-ხილო არეს წარმოადგენდა, მაგრამ ვენახიან-ხილიანი ზოლიც იყო. სახელდობრ, ვენახ-ხილიან არედ ყოფილა: მტკვრის ხეობა სადგვრითგან ლიკანამდე ვიწრო ზოლად. სამცხის დაბლობი ადგილები ახალციხითურთ, შემდეგ შავი ზღვისაჴენ აქარა, ბორჩხის ხეობა, შავშეთისა და კლარჯეთის თემები მცირეოდნად, გამოსადეგი მიწის ნაკლებობის გამო, ოლთისის ხეობა ნარუშაკამდე, ტაოს დაბლობები და თორთომის ხეობა ხახულამდე.

ლიხთ-იმერეთში ვენახ-ხილიან არეს ეკუთვნოდა: ჩხერიმელისა, ჩრდილისა და ნუნიას ხეობანი, ფერსათი საჩხეიძეო-სალომი-ნაოიანად, საჩინო და მთელი გურია (საჯავახო, ჯუმათის ხეობა, ხინოს ხეობა), არგვეთი, სამოქალაქო, ოკრიბა, ვაკე (საქილაო-სამი-ქელაო), სალიპარტიანო (ქყონდლით უნაგირამდე), რაქა კუდარომდე და ქიდროთამდე, ლეჩხუმი და აფხაზეთი. დანარჩენი შავი ზღვის სანაპირო ზოლი, როგორც აღნიშნული გვექონდა, ბრინჯ-ბამბისა და თურინჯ-ნარინჯიან არეს წარმოადგენდა.

4. უვენახ-ხილო არეს კახეთში ციე-გომბორის მთების შუა კალთას ზევით მდებარე ნაწილი შეადგენდა. ხოლო გაღმა მხარში უკვე პანკისის ზევით მყოფი ადგილები იმგვარადვე, როგორც თიანეთს ზევით მდებარე მთები, შემდეგ უჯარ-მითგან მოყოლებული ბოქორმამდე გადაჭიმული მთელი მანძილი, გრდანიტგან ჯვარის მონასტრამდე და, რა თქმა უნდა, ზემოდასახელებულ მთა ადგილებზე უფრო ჩრდილოეთით მდებარე მალლობი თემები, ფშავ-ხევისურეთი და თუშეთი.

ქვემო ქართლში უვენახ-ხილო და შემდეგ უტყეო. ბალახოვან-ყვავილიანი არე ვენახ-ხილიან ზოლს ზემოთ იწყებოდა. ამ უვენახ-ხილო ზოლის საზღვრის აღნიშვნას რომ იმავე მიმართულებით შეეუდ-გეთ, როგორითაც ვენახ-ხილიანი არე გვექონდა განსაზღვრული, ასეთი სურათი წარმოგვიდგება: ქციის ხეობაში უვენახ-უხილო არე სამშვილდით-განვე იწყებოდა, დბანისის ხეობაში დბანისითგან მოყოლებული სათავემდე, სკვირეთის, ანუ ვერეს ხეობაში ვანათს ზევით მდებარე ნაწილი სათავემდე, კლდეისისა და ძველი გომარე-

თის ხეობანი მთლიანად, ირაგას ხეობა ტორნიტურთ ბეხდერისაკენ, კიეკავის ხეობის ზედა ნაწილი, ფინეზაურის ხეობა, ბალიკის ხეობა აბულმუგს ზევით და ზურტაკერტის ხეობა მთლიანად.

ამ უვენახ-ხილო არეს ზემოთ უკვე ბალახოვან-ყვავილიანი უმთავრესად ხაზაფხულო საძოვრების არე იწყებოდა. ამ ზოლს ეკუთვნოდა: ტაშირი ლორეს მალლობითა და ველითურთ და შემდეგ ბამბაკის ხეობა, აგრეთვე აბოციც, შემდეგში ყაიყულად წოდებული.

შიდა ქართლის მტკვრის სამხრეთით მდებარე ქვეყნის უვენახ-ხილობის ზოლის საზღვრის დასაწყისი ხაზი იყო თეძმის ხეობაში რკონს ზევით, მთელი ქეარები და თრიალეთი, ტანის ხეობა ბობნავს ზევით ძამის ხეობა გვეძინეთს ზევით.

თრიალეთი უტყეო, ბალახოვან-ყვავილოვან საზაფხულო საძოვარს წარმოადგენდა.

შიდა-ქართლის მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილში ჯერ უვენახ-ხილო, ხოლო შემდეგ თვით უტყეო, ბალახოვან-ყვავილიანი ზოლი იწყებოდა: ნარეკეავის ხეობაში უქანითგან და მის ზევითი მთელი არე, გრემის-კევი ებნის-ქილურთას ზევით, ქსნის ხეობა ზებეყურ-წირქვალს ზევით, ცხრაზმის ხევი ქარხოხ-ქამურიტურთ, შეჯუდის ხეობა ბიყრს ზევით, პატარა ლიახვის ხეობა ვანათს ზევით და დიდი ლიახვის ხეობა სვერს ზევით.

უტყეო, ბალახიან-ყვავილიან არეს გუდამყარის ხეობა, ხევი და დვალეთი წარმოადგენდნ მთლიანად.

მესხეთის უდიდესი ნაწილიც უვენახ-ხილო არეს წარმოადგენს. სადგერის ხეობა, თორ-გუჯარეთის ხეობა, შაორი, თავეკეთილი, კეველრმა, ტაბისყური და ირჯანის, ანუ ყარაღაღისა ისევე, როგორც სამცხის, ანუ ლადოს მთები მთლიანად უვენახ-ხილო არე იყო.

უტყეო და ბალახიან-ყვავილიან სივრცეს გაეახეთი, ფოსო, ერუშეთი, არტაანი და კოლა წარმოადგენდნ.

ასეთივე თვისებისა იყო ოლთისის ხეობა ნარუშაკს ზევით, ტაოს მალლობები, იდი და ნარუშაკი, ბასიანი, თორთომის ხეობა ხახულს ზევით. აქ მთური ზოლი იყო და მთური კულტურა ხარობდა მხოლოდ. ბალახიან-ყვავილიანობის წყალობით აქერცელი და სუტხოვო საზაფხულო საძოვარები იყო.

დასავლეთ საქართველოში უვენახ-ხილო არე, ბუნებრივი პირობებისა და ჰავის გამო, გაცილებით უფრო ნაკლებ იყო, ვიდრე ამერთში. აქ უვენახ-ხილო ზოლს ეკუთვნოდა უმთავრესად ლადოსა და გურიის მთების ზედა, ტყიანი ხაზი და რაქაში შქმერი, ჯეგორის ხეობა კუდაროს ზევით, რიონის ხეობა კიდროთას ზევით და მთიანი ადგილები, დასასრულ, რასაკვირველია, სვანეთიც მთლიანად.

ხეობის დადარულობისა და ვრცელი ველობების უქონლობის გამო ლიხთიმერეთის უტყეო და ბალახიან-ყვავილიანი ხაზი არც საზაფხულოს სამოვრებად იყო სათანადოდ ფართოდ გამოსადეგი. ამ არეს მხოლოდ ადგილობრივი მესაქონლეობის დაკმაყოფილება შეეძლო.

ტფილისითგან ბარდავამდე და ივრის სანაპიროებზე ზამთრის სამოვრების არე იყო ისევე, როგორც გარეჯის მთებსა და უდაბნოს მიდამოებში. ასეთივე დანიშნულება ჰქონდა, სარწყავი რუს გამოყენამდე, სამგორის ველსა და ჩადივარსაც, რათგან უწყლოობის გამო უმთავრესად თავისი ბალახოვნობის მხრით შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული.

## § 2. აგრონომიული ზოლადობისა და ეკონომიური ფაქტორის მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფოებრივობისათვის.

საქართველოს საზღვრების ისტორიულ-ეკონომიურ მიმოხილვაში უკვე ამ თერთმეტი წლის წინათ აღნიშნული მქონდა, რომ საქართველოს მიწა-წყალი „მთლიან ერთეულს წარმოადგენს, რომელიც ბუნებრივი ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და თანაც, ვითარცა მტკვრისა, რიონისა და ქოროხის აუზების შემცველი, გეოგრაფიულად და ეკონომიურად ურთიერთთან მკვიდროდ არის დაკავშირებული“ (იხ. „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, ტფილისი, 1919 წ.).

საქართველოს მიწა-წყლის სასოფლო-სამეურნეო არეების დაწვრილებითი და ზოგადი დახასიათების შემდგომ, ეხლა აგრონომიული და ეკონომიური ფაქტორების ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრივობისათვის უაღრესი მნიშვნელობის განსაზღვრა წინანდელზე უფრო ვრცელადაც და არსებითადაც შეგვიძლია.

საქმარისია ადამიანმა არეების ზემოდაყვანილი მიმოხილვა გადაიკითხოს და აქ დართულ რუკაში ჩაიხედოს, რომ დარწმუნდეს, რომ თურინჯ-ნარინჯისა და ბრინჯ-ბამბის არეები საქართველოს მხოლოდ ალმოსავლეთისა და დასავლეთის კიდეებზე მოეპოვება. მთელი დანარჩენი ტერიტორია ორ მთავარ დიდს, ვენახ-ხილიანსა და უვენახ-ხილო არეს უკავია. ამასთანავე დამახასიათებელია, რომ ვენახ-ხილიანი არეს ზოლი შუაშია მოქცეული, აქეთ-იქით-კი, ჩრდილოეთითა და სამხრეთით, ვენახ-ხილიან ზოლს ჯერ უვენახო, მერმე უვენახ-ხილო და შემდეგ ალპური სამოვრების არე აკრავს. ოდნობით ეს უკანასკნელი, უვენახ-ხილო და ალპური, ზოლი ვენახ-ხილიან არეს საგრძობლად სქარბობს.

უვენახ-ხილო არე ბუნებრივი პირობების წყალობით ერთის მხრით ხორბლეულისა და ქრთილეულის კულტურისათვის იყო განკუთვნილი, მეორეს მხრით, ვრცელი, საუცხოვო, საზაფხულო სამოვრების დიდი სიუხვის გამო, ანასთანავე

მრავალრიცხოვანი მესაქონლეობისათვის იყო გამოსადეგი. აღსანიშნავია, რომ საზაფხულო საძოვრების სიუხვე და სივრცე უმთავრესად საქართველოს სამხრეთ ნაწილში მოიპოვება, ჩრდილოეთით მდებარე საზაფხულო საძოვრებს-კი, საქართველოს ამ საზღვრებში მიწისა და ფართო ვაკე ადგილების სიმცირის გამო, შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს.

თავიანთი წინანდელი სამშობლოთგან ამიერ-კავკასიაში გადმოსახლებულ ქართველთა ტომებს თან მალახზარისხოვანი მიწისმოქმედებისა და ინტენსიური მესაქონლეობის კულტურა მოჰქონდათ: მეღვინეობითა და მესაქონლეობით განთქმული იყვნენ ტუბალებისა და მოსოხთა ტომები ისევე, როგორც კასკოლხების ტომებიც. ამიერ-კავკასიაში მათ მიწა-წყლისა და ბუნების სრულებით სხვა პირობები დაჰხვდათ: მთა-გორიანობისა და ბარის გასაოცარი კონტრასტები, სითბო-სიცივის არეების სიახლოვე და სხვა ბევრი გარემოებაც ახალმოსულ ქართველებისათვის მათი წინანდელი სამშობლოს მიწა-წყლის ერთფეროვანების შემდგომ ძალზე საგრძნობი უნდა ყოფილიყო.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გარემოება ის გახლდათ, რომ ამ ახალი მიწა-წყლის, ახალი საქართველოს, სხვადასხვა თემის ბუნებრივი თვისებები ერთმანერთისაგან იმდენად განსხვავდებოდნენ, რომ ზოგი მათგანი ინტენსიური და მალახზარისხოვანი მიწისმოქმედების ისეთი დარგებისათვისაც, როგორც მეხილეობა და მეტადრე მევენახეობა არის, საუკეთესო ასპარეზს წარმოადგენდა, ზოგი, საკმაოდ მრავალრიცხოვანი, თემების ნიადაგი და ჰავა-კი მეხილეობა-მევენახეობისათვის სრულებით უვარგისი იყო. სამაგიეროდ იქ ხორბლეულისა და ქრთილეულის კულტურისათვის ფართო ასპარეზი არსებობდა.

ასეთი განსხვავებული ხასოფლო-სამეურნეო და ბოტანიკური არეების წყალობით ყოველ თემს ყველაფერი, რაც მის მცხოვრებლებს სჭირდებოდათ, არც ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა. მთა ადგილების მკვიდრთ თავიანთი საკუთარი არც ღვინო და არც ხილი არ შეიძლება ჰქონოდათ, ბარელებს თავის მხრით, რასაკვირველია, ხორბლეულისა და ქრთილეულის ის სიუხვე უნდა შეჰპურებოდათ, რომელიც საქართველოს მალაობ თემებს გააჩნდათ.

ამას გარდა, წვრილფეხა საქონელს მალაობი ადგილების სუსხიანი ზამთრისა და თოვლიანი, უბალახო პირობების ატანა არ შეეძლო. ამიტომ მესაქონლეობის მიმდევარი მთის მცხოვრები ცხვრის ფარას ზამთრობით თავის თემში ვერ დასტოვებდა, მას თავისი საქონლისათვის ბარის თბილი და ზამთრის საძოვრიანი ადგილები აუცილებლად სჭირდებოდა. თავის მხრით ბარის მცხოვრებსაც საკუთარი წვრილფეხა საქონლის ზაფხულობით ბარად დატოვება არ შეეძლო, რათგან ცხვარს არც იქაური სიცივის ატანა შეეძლო და არც საკმაო საძოვარი ექმნებოდა. ამის გამო ბარელს ზაფხულში თავისი ცხვრის ფარა უნდა მალაობ, გრილოსა და კარგ-საძოვრიან თემში წაესხა, რომ იქ გამოეყვება.

ამგვარად, ბარელს მთა სკირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი. უერთმანერტოთ მათ არსებობა არ შეეძლოთ. ამ ბუნებრივი პირობების წყალობით საქართველოს შუა ნაწილი, ბარი, ეკონომიურად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილების თემებთან ისევე, როგორც წინაუკმოდ მთა ბართან უმკიდროესად იყო დაკავშირებული. გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს მთა ადგილების მალლობი თემების ყველა, მიმოსვლისა და აღებ-მიცემობის, გზებიც შუაში მდებარე ბარისავე მიიმართებოდა.

ამიტომ გასაკვირველიც არაფერია, თუ რომ ამ გეო-ბოტანიკური და ეკონომიური ფაქტორების ზეგავლენით, ქართველთა ტომობრივი ნათესაობის ნიადაგზე, უპირველესად სწორედ მესხეთი და ქართლი, ვითარცა მტკვრის აუზის ასპარეზი და ბარისა და მთის ურთიერთ ნაკლულევანების ჰარმონიულად შემავსებელი არეები, ჩამოინაკვთენ ერთ სახელმწიფოებრივ სხეულად და ერთ სამეფოდ იქცენ და მხოლოდ შემდეგში დასაეღეთ-აღმოსაეღეთი საქართველოც გაერთიანდა.

## მემინდვრეობის კულტურა, მისი შეზღვეულობა, რაობა და სივრცა

მემინდვრეობის ეკონომიურ მიზანს ადამიანისათვის საჭირო მცენარეულობის მოყვანა შეადგენს. ეს მცენარეულობა რომ დანიშნულებისდა მიხედვით დავანაწილოთ, ორ მთავარ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ერთ ჯგუფს ადამიანისა და პირუტყვის საკვებად განკუთვნილი მცენარეულობა შეადგენს, მეორე ჯგუფს კი ადამიანის ყოფა-ცხოვრებისათვის გამოსადეგი და საჭირო მცენარეულობა ეკუთვნის, რაც, ან ტანისამოს-საცვლებისათვის მოსაქსოვ მასალად, ან სახლის დასაბურავად გამოსაყენებელია, ან და ასანთი ნივთიერების გამოსახდელად ვარგა, ერთი სიტყვით, რასაც შესაძლებელია, სამრეწველო მნიშვნელობა ჰქონდეს.

მემინდვრეობის კულტურისა და მეურნეობის მოცულობა-შედგენილობის განხილვის დროს საქართველოში ჩვენც სწორედ ამ დანაწილების პრინციპით უნდა ვიხელომდებოდეთ და ასეთი თანამიმდევრებით უნდა განვიხილოთ. უნდა გათვალისწინებული გვქონდეს მხოლოდ, რომ არა ერთი მცენარეა, რომელსაც ორნაირი მნიშვნელობა აქვს და რომელსაც ადამიანი ჰხმარობს საკვებადაც და სამრეწველო მიზნითაც, ანუ, უფრო ზედმიწევნით რომ ითქვას, რომ-

ლის ერთი ნაწილი, მაგ. მარცვლი, საკვებად ითვლება, მეორე ნაწილი-კი, მაგ. ღერო, საჭაოვ ნივთიერებას წარმოადგენს. ამგვარად, მცენარეულობათა შთელი, საკმაოდ მრავალრიცხოვანი, რიგია, რომელიც ორსავე ჯგუფს ეკუთვნის. თუ ადამიანი ჩაუვირდება, ადვილად შეამჩნევს, რომ ყოველ ასეთ ორმაგი გამოყენებადობის მქონებული მცენარის ერთი ამ ორთაგანი მთავარ დანიშნულებას შეადგენს, მეორეს-კი მხოლოდ დამატებითი მნიშვნელობა აქვს ხოლმე.

### თავი პირველი. ხაჯახი მცენარეები და მარცვლოვანობა

მას შემდგომ, რაც ადამიანმა გარეული ცხოველი შეიჩვია და გააშინაურა, მეტადრე იმ დროითან მოყოლებული, როდესაც ამ გაშინაურებული საქონლის გამოყენებას შეუდგა, ადამიანს, თავისი თავისა და თავისიანების გარდა, პირუტყვის გამოკვებაც გაუხდა საზრუნავად. ზოგი იმ საკვებთაგანი, რომელსაც ადამიანი სჭამდა, შინაური საქონლისათვისაც გამოდგებოდა, მაგრამ არა ერთი ისეთიც იყო და არის, რომელსაც ადამიანი ვერ შესჭამს, პირუტყვისათვის-კი საღებავო საკვებს წარმოადგენს. ამის გამო საკვები მცენარეები და მარცვლოვანობა ადამიანის საკვებ და პირუტყვის საკვებ მცენარე-მარცვლოვანობად იყოფება.

თანამედროვე ბოტანიკური მეცნიერება მარცვლოვან ყოველწიარ საკვებ მცენარეებს კლიოან-ყვავილიანი რიგის, *Glumiflorae*-ს, ერთ მარცვლოვანთა *Gramineae*, ოჯახად სთვლის. ამ ოჯახს მიაკუთვნებს მცენარეთამცოდნეობა ყოველწიარ ხორბლეულს, *Triticum*-ს, ქრთილეულს *Hordeum*-ებს, სელს, ანუ ჭეაგს *Secale cereale*-ს, შერიას *Avena*-ს, ბრინჯს *Oryza sativa*-ს, ყოველწიარ ფეტვს *Panicum mifaceum*-ს, ღომს *Panicum italicum*-ს, შაქრის ღერწამსაც-კი *Saccharum officinarum*-ს და ბევრს სხვასაც (ზ. ყანჩაველი, ბოტანიკა II, 370—373). მაგრამ ძველად მარცვლოვან მცენარეთა კლასიფიკაცია, რა თქმა უნდა, წმინდა ბოტანიკურ პრინციპზე არ შეიძლება დამყარებული ყოფილიყო. ამიტომ წინანდელი დანაწილების ცოდნაც საქართველოს სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის ისტორიკოსისათვის საჭირო არის.

### § 1. საკვები მცენარეების კლასიფიკაცია

ძველადაც ბევრი სხვადასხვა საკვები მცენარე არსებობდა, მაგრამ თავისი ბოტანიკური თვისებების მიხედვით ისინი ყველა რამდენსავე ცალკეულ ჯგუფს შეადგენდნენ.

მარცვლოვანი მცენარეები ძველ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით ორ მთავარ ჯგუფად განიყოფოდნენ: ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ტ რ ი მ ი ნ ი „მარცვლი“ ასე აქვს განმარტებული: „ესე არს ერთი ცერცუთა, ანუ ხვარბალთაგანი“-ო (ლექსიკ.). ამგვარად პირველი ჯგუფის ზოგად სახელად საბას ნახმარი აქვს „ცერცუთაგანი“, მეორე ჯგუფისათვის კიღევ „ხვარბალთაგანი“.



## § 2. ხორბლეული

ყველა საკვები მცენარეების მარცვლეულის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად ძველ ქართულში „ხუარბალი“ იხმარებოდა: „პური ხუარბალისა შენის იყოს სავსებით და მსუყელ“ (ესაიასი 30<sub>23</sub>), „ბელღლნი, ხუარბალნი“ (2 ნეშტაჲ, 32<sub>23</sub>—ბერძ. და ლათ. 32<sub>23</sub>). ს. ორბელიანსაც ეს ტერმინი ესაიას 29, მიხედვით გინმარტებული აქვს, როგორც „ყანის მარცვალი“ (ლექსიკ.). ძველი ქართული ხუარბალი ბერძნული ტექსტის თხზულებაში ἄνθηρα-ს, ლათინურის frumentum-ს ნაყოფს, მოსადავს უდრის და სომხურს *սոբուխ*-ს, რომელსაც ეგვიპე მნიშვნელობა აქვს ასეთივე ზოგადი, საკვები მარცვლეულობის გამოხატველი, მნიშვნელობა აქვს ამ ტერმინს გ. მთაწმიდელის თხზულების ცნობაში, რომ „თუ ნავი მოვიდის ხუარბლითა“, მის გადმოტვირთვაში ყველანი იღებდნენ მონაწილეობასაო (ც<sup>ა</sup> იე<sup>ს</sup>ი და ეფთ<sup>შ</sup>ში, 47).

მაგრამ შემდეგში ამ სიტყვას მნიშვნელობა შესცვლია და ხუარბალი ყოველგვარი საკვები მარცვლეულობის აღმნიშვნელი აღარა ყოფილა, არამედ მხოლოდ პურეულის ჯგუფის ზოგად ტერმინად გვევლინება. თვით ქერი და ქრთილიც-კი ხუარბალად აღარ იწოდება. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია ვახუშტის შემდეგი ორი-სამი ცნობა. მისი სიტყვით, ბერდუჯის ხეობაში მოდიოდა „ბრინჯი, ხეარბალი, ქრთილი, ფეტვი“ და სხვა (გგ<sup>რ</sup>ფა, 136). ხოლო ბამბაკის ხეობაში იზრდებოდა: „ხეარბალნი, ქრთილნი, სელი, შერივა, სხვა არა რაი“-ო (ს<sup>რ</sup>კვე, 140). თერგისა და არაგვის ხეობის შესახებ ვახუშტს ნათქვამი აქვს, რომ „კეობა კევისა, არს მოსავლიანი ხორბლისა, ქრთილისა, სელისა, შერივისა შთასავლით გველეთამდე“ (გგ<sup>რ</sup>ფა, 228).

სამისავე ზემოთყვანილი მაგალითითგან უცილობლად ირკვევა, რომ არც ქრთილი, არც ქერი, არც შერივა და არც ფეტვი ხუარბალად არც იგულისხმებოდა და არც იწოდებოდა. ცხადია, მაშასადამე, რომ აქ ხუარბალი შესაძლებელია მხოლოდ ან იფქოს, ან სხვა ჯიშის პურეულს ჰნიშნავდეს. ვახუშტი რომ ხუარბალს პურეულის ზოგადი მნიშვნელობით ჰხმარებდა და ეს ტერმინი პურეულის მხოლოდ ერთ სახეობის სახელად არ იგულისხმებოდა, ამას თუნდაც ის გარემოებაც ამკლავნებს, რომ სახელოვანი გეოგრაფი ამ სიტყვას მრავლობითადაც ხმარობს: „ხუარბალნი“-ო. მაშასადამე, ხუარბალი ზოგადი მნიშვნელობის ტერმინია ყველა იმ სხვადასხვა ჯიშისა და სახეობის საკვები მარცვლეულის აღსანიშნავად, რომელთაგანაც პურის აცხოზდენ ხოლმე, ე. ი. იმავე მნიშვნელობის მქონებული იყო, რაც ეხლა პურეულსა აქვს. ამასვე ადასტურებს ფ. გორგიჯანიძის ქართულ-არაბულ სპარსული ლექსიკონიც, სადაც ქართული ხუარბალის შესატყვისად სპარსულად „განდუქ“ არის დასახელებული (იხ. ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი, გამ. მ. ჯანაშვილისა), რომელიც პურეულსა ჰნიშნავს.

ეს ტერმინი მარტო სამწერლობო ქართულის კუთვნილება არ ყოფილა, არამედ მისი ფონეტიკური სახენაცვალი ქართულ სხვადასხვა დიალექტებშიც ყოფილა.

თანამედროვე რაქაში გავრცელებული „ძველი პურის სახე-ჯიშთა“ სახელებს შორის გ. რეხვიაშვილს, რომლის სტუდ. ნ. რეხვიაშვილისაგან ჩაწერილი ცნობა ხელთა მაქვს, აღნიშნული აქვს „ქუბა“-ც. მისი ცნობით „ქუბა იზრდება მაღალი, ადრე მწიფდება, მსხვილი ღერო აქვს და მაღალი თაველი. სასიამოვნო საკმელი“ ყოფილა თურმე. „სოუსენ“ შემოდგომაზე: აგვისტოსა და სექტემბერში“. ს. ორბელიანს-კი ქუბა პურეულად კი არ მიიჩნდა, არამედ ნათქვამი აქვს: „ქუბი კვაკი“ არისო (ლუქსიკ.). მაგრამ ეს ვგონებ შეცდომა უნდა იყოს.

საფიქრებელია, რომ რაქული „ქუბა“ მეგრულში დაცული „ქობალი“-ს ბოლომოკვეცილი ფორმა უნდა იყოს. ცნობილია, რომ მეგრულში ამის პარალელური ფორმაც, „ქობაი“-ც (იხ. მ. გ., 345), არსებობს. მაშასადამე, „ქობალი“-ს პარალელური ფორმისაგან, „ქუბა“ მხოლოდ-ღა ბოლოკიდური „ი“-ს უქონლობით განსხვავდება, რაც ქართულში ჩვეულებრივი მოვლენაა.

ქანურში ქობალის შესატყვისად გვაქვს „ქოვალი“ და „ქოალი“ (ქ. გ. 198). ნ. მარას ეს სიტყვა პურის აღმნიშვნელად აქვს დასახელებული (იქვე: „ჯანა“), მაგრამ განსვენებულ პროფ. იოს. ყიფშიძეს ქანეთში ორი გამოწინათქვამი ჩაუწერია: „ქოვალი ჯარი“ და „ლაზუტი ჯარი“. რაკი „ჯარი“ ჩვეულებრივი „ჯარი“-ს მხოლოდ ფონეტიკური სახენაცვალია და ორთავე საკმელ პურსა ჰნიშნავს, ამიტომ ცხადია, რომ, როგორც „ლაზუტი ჯარი“ სიმინდის პურსა ჰნიშნავს, ისევე „ქოვალი ჯარი“-ც უნდა „ქობალის“ პურსა ჰნიშნავდეს. მაშასადამე, ქანურშიც „ქოვალი“ გამომცხვარი პურის აღმნიშვნელი-კი არაა, არამედ იმ მარცვლეულის სახელია, რომლისაგანაც პურს აცხობდენ. მეგრულში „ქობალი“ და „ქობაი“ პურეულს, ხორბალსა ჰნიშნავს და რაკი ქანური „ქოვალი“ მეგრული „ქობალის“ პარალელური ფორმაა, ამიტომაცვე ქანური ტერმინიც, უმკველია, პურეულის, ხორბლის აღმნიშვნელი უნდა იყოს.

ძველ ქართულშიც, როგორც დაერწმუნდით, „ხუარბალი“ პურეულსა ჰნიშნავდა და ეხლაც იგივე მნიშვნელობა აქვს შენარჩუნებული და მეგრულ-ქანური „ქობალი“ და „ქოვალი“-ც პურეულსევე ჰნიშნავს. მსგავსების იგივეობის გამო, ბუნებრივად იბადება აზრი თვით სიტყვათა იგივეობის შესახებ, ან, უკეთ რომ ითქვას, აზრი იმის შესახებ, რომ „ქობალი“ „ხუარბალის“ ფონეტიკური სახენაცვალი უნდა იყოს. არსებითად ამ ორ სიტყვას მხოლოდ „რ“ ასხვავებს, რათგან ქობალ-ს და ქოვალ-ს ეს თანხმოვანი აკლია. მაგრამ ეს ბევრა ქართულში ხშირად ქრება და ამისი არა ერთი სხვა მაგალითიც მოგვეპოვება. იმგვარადვე, როგორც ძველი ქართული „ხუარბალი“, შემდეგში „ხუარბალ“-ად ქცეული, თანამედროვე და უფრო ადრინდელ ქართულშიც „ხორბალ“-ად იწოდება, ისევე, საფიქრებელია, მეგრული „ქობალი“ და ქანური „ქოვალი“ უნდა წინანდელი „ქვაბალი“-სა და „ქუაბალი“-საგან იყოს წარმომდგარი.

მაგრამ საქართველოს ორიოდვე გეოგრაფიული სახელი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ძველად „ქვაბალი“ და „ქობალი“ მარტო დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოსა და ქანეთში-კი არ ყოფილა, არამედ ეს ტერმინი აღმოსავლეთ საქართველოშიც უხმარიათ. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ალაზ-

ნის შემდინარე ნეინის-წყალზე იღო „ქვაბლოვანი“ (ვახუშტი, გ. გრაფა, 312). მაწარმოებელი „ოვანი“ ცხად-ჰყოფს, რომ აქ ისეთსავე გეოგრაფიულ სახელთანა გვაქვს საქმე, როგორცაა ვაშლოვანი, თბილოვანი, თელოვანი და სხვა, რომელთა პირველი ნაწილი ხის, ან მცენარეულობის სახელია. ამიტომ „ქვაბლოვანი“-ში, „ქვაბლ“ კომპლექსში, აგრეთვე რომელიმე მცენარის სახელი უნდა გვქონდეს დატული. მცენარეთა ქართულ სახელებს შორის-კი ამ კომპლექსის მსგავსია მეგრულში არსებული „ქობალი“.

ამიტომ კახეთის ზემოდასახელებული ადგილი „ქვაბლოვანი“ ისეთი ხეობა უნდა ყოფილიყო, სადაც მრავლად მოდიოდა „ქობალი“ და ამასთანავე საფიქრებელია საუკეთესო ღირსებისა. საყურადღებოა, რომ ამ გეოგრაფიულ სახელში „ქვაბალი“ გვაქვს დატული.

ცნობილია, რომ მესხეთშიც არსებობდა და ეხლაც არის ხეობა, რომელსაც „ქვაბლიანის“, ანუ „ქობლიანის ხეობა“ ეწოდება. აქ ჩამომდინარე წყალსაც-კი „ქვაბლიანისა“ ჰქვია. აქაც პურეულის, ხორბლის პარალელური ფორმის „ქვაბლის“ და „ქობალის“ აღმ. და სამხრეთ საქართველოშიც არსებობის ნაშთი გვაქვს დატული. დასასრულ, გამოსარკვევია აქარის „ქობულეთის“ თემის სახელიც ამავე თვისებისაა, თუ საკუთარი სახელი ქობულისაგან არის ნაწარმოები.

ყველა ზემოთქმულის შემდგომ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ხუარბალი და მისი ფონეტიკური სახენაცვლები მთელი ქართველი ერისათვის ზოგადი ტერმინი უნდა ყოფილიყო ძველ დროსვე პურეულის აღსანიშნავად.

### § 3. ქ რ თ ი ლ ე უ ლ ი

იმავე ცნობაში, სადაც ვახუშტს „ხუარბალნი“ აქვს ნახმარი, „ქრთილნი“-ც მოეპოვება. ამ შემთხვევაშიც ტერმინის მრავლობითად ხმარება იმავე გარემოების გამომჟღავნებელი უნდა იყოს, რომ ქრთილი მარტო სპეციალური ტერმინი-კი არა, არამედ ზოგადი მნიშვნელობის მქონე ბელიც ყოფილა. მაშასადამე, თვით ქრთილს გარდა ვახუშტს აქ ქერიც უნდა ჰქონოდა ნაგულისხმევი.

ამგეარად, პურეული მცენარეები ორ მთავარ ჯგუფად ყოფილა დაყოფილი, ხუარბლად და ქრთილად. რაკი ქრთილსა და, როგორც დავრწმუნდებით, ოდესლაც ხუარბალსაც კონკრეტული მნიშვნელობაც ჰქონდა, ამიტომ, როგორც ხუარბალ-ხორბლის გვერდით ზოგადი მნიშვნელობით ხორბლეულსაც ვხმარობთ, ამათთანადვე ემჯობინება, რომ ზოგადი ცნების გამოსახატავად ქრთილის მაგიერ ქრთილეული ვიხმაროთ ხოლმე.

### § 4. ფეცენაირნი

საკვებ მარცვლეულობათა-ჯგუფს ხორბლეულისა და ქრთილეულის გარდა მცენარეთა მთელი რიგი ეკუთვნოდა, რომელნიც თავიანთი თვისებითაცა და გარეგნობითაც ხორბლეულისაგან განსხვავდებიან. ამ მცენარეთა მარცვლეულობის შემცველი ზედა ნაწილი ხორბლეულის ამავე ნაწილისაგან გარეგნულად იმ-

დენად განიჩივება, რომ ხალხმა, თუ ხორბლეულის მცენარის ამ ნაწილს ძველად „კუვილი“ უწოდა და ეხლა მას „თავთავი“ ჰქვია, ფეტვისა და მის-ნაირი მცენარეების ამგვარწილს „თაველი“ დაარქვა სახელად: „თაველი ფეტვის თავთავი“-აო, განმარტებულია ს. ორბელიანის ლექსიკონის ჩანართ ადგილას. ამგვარად, ხუარბალთა და ქრთილთა ნაყოფის შემცველს მცენარის ზედა ნაწილს „კუვილი“ და „თავთავი“ ჰქვია, ფეტვნაირთა ასეთსავე ნაწილს-კი „თაველი“ სწოდებია.

მაგრამ დასავ. საქართველოში ეხლა ხუარბლეულთა და ქრთილეულთა თავთავსაც „თაველ“-ს ეძახიან. ქვემოთ ამის დამადასტურებელი რამდენიმე მაგალითი რაჭაში გავრცელებულ პურეულთა თვისების შემცველ სხვადასხვა განმარტებაში გვექმნება. შესაძლებელია ეს გარემოება იმით აიხსნებოდეს, რომ გარკვეული დროითგან მთავარ საკვებად პურეულის მაგიერ ფეტვნაირი მცენარეები იქცენ და მათი თავთავის სახელი, თაველი, პურეულებზეც იქმნა გადატანილი.

მარცვლელ მცენარეთა ამ ჯგუფის ყველაზე უფრო დამახასიათებლად ძველ საქართველოში ფეტვი ყოფილა მიჩნეული. საფიქრებელია ეს იმ გარემოებითაც აიხსნებოდეს, რომ ფეტვი დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველოსათვის საყოველთაოდ ცნობილი უძველესი მარცვლელთაგანი იყო. საბა ორბელიანიც ამავე ჯგუფის სხვა მარცვლელთაგანის სახელების განსამარტავად ფეტვის ხმარობს ხოლმე, მაგ. ქვრიმაზე ნათქვამი აქვს: „ქვრიმა ლომს ჰგავს, ფეტვია“-ო (ლექსიკ.). სახელოვან ქართულ ლექსიკოგრაფს, რასაკვირველია, ამით იმის თქმა-კი არ უნდოდა, რომ ქვრიმა მართლაც იმავე ფეტვის შორეუ სახელი იყო ასეთ აზრს ის გარემოება ჰხდის უსაფუძვლოდ, რომ თვით საბავე ქვრიმას ამ განმარტებაში ლომს ამსგავსებს. საბას, უეჭველია, უნდოდა ეთქვა, რომ ქვრიმა ფეტვნაირი მცენარე ანუ, როგორც საბა იტყოდა, „ფეტვთაგანი“ იყო ვფიქრობ, რომ მართებული იქმნება მარცვლელთა ამ ჯგუფისთვის ზოგად აღმნიშვნელ ტერმინად ფეტვნაირნი ვიხმაროთ. ფეტვნაირთა ჯგუფს ფეტვს გარდა, ლომი, ქვრიმა, ჯიქურა და სხვები ეკუთვნიან.

## § 5. ცერცვნაირნი, ანუ პარკ-კოტოსანნი

ცნობილია, რომ მარცვლელ მცენარეთა მთელ ჯგუფს, როგორც მაგ. ცერცვს, ოსპს, მუხუდოს, ლობიოსა და სხვებს, თავისი ნაყოფი თავთავისა, ანდა თაველში-კი არა აქვს მოთავსებული, არამედ მცენარე პარკებს ისხამს, და მისი ნაყოფიც მარცვლელის სახით ამ პარკებშია დაცული. ასეთ მცენარეთა ნაყოფის შემცველ ამ პარკს ქართულად „კოტი“ ეწოდებოდა. საბას გარკვევით აქვს აღნიშნული, რომ „ცერცვთა და ლობიოთა პარკთა კოტი, ხოლო სხვა მარცვალთასა ქუჭობო“ ერქვა ქართულადაო (ლექსიკ. „ქერქი“).

თანამედროვე ქართული ბოტანიკური ტერმინოლოგიით „კოტის“-ს მაგიერ „პარკი“ იხმარება, „კოტი“-კი სივრცეზე ორად გაყოფილ-გატიხრული პარკის აღსანიშნავად იხმარება ისე, რომ Leguminosae-ს კოტოსანთა მაგიერ პარკოსანნი ეწოდება (იხ. ზ. ყანჩაველი, ბოტანიკა, II, 307).

Rosales-თა რიგის Leguminosae-თა პარკიანთა ოჯახს ეკრები და ეკრავება Vicia, ბარდა Pisum, ლობიო Phaseolus, სამურა Trifolium და იონჯა Medicago მიეკუთნება (ზ. ყანჩაველი, ბოტანიკა, II, 316).

ძველ საქართველოში პარკოსან კოტოსან მცენარეთაგან ცნობილი იყო ოსპი, ეკრები, მუხუდო და სხვა.

ამ ჯგუფისათვის ს. ორბელიანს ზოგად სახელად „ეკრეთაგანნი“ ჰქონდა (იხ. აქვე გვ. 334), თანამედროვე ქართ. სამეცნიერო მწერლობაში შეიძლება ან ეკრცენაირნი, ან პარკ-კოტოსანნი ვიხიზაროთ.

### თავი მორბი. სოკოვანი კულტურის შესახებ წყაროები.

უძველესი ხანისა და XI—XII-ს. გადაჩენილ ძეგლთა და საბუთების სიმკირის გამო, იმ საკითხის გამოკვლევა, თუ ხორბლეულთაგან რას სთესდნ ძველ საქართველოში, სრულად და ზედმიწევნით შეუძლებელი ხდება. უძველესი ხანისათვის ამისთვის გამოსადეგ ძეგლად ჯერ-ჯერობით საღმრთო წერილის ქართული თარგმანი შეიძლება გამოყენებული იქმნეს. სახელდობრ, იქ ნახვარი ხორბლეულის ქართული ტერმინები მაშინ ცნობილი კულტურის, ნაწილობრივ მანც, გათვალისწინების საშუალებას გვაძლევენ.

მაგრამ ამავე დროს ამ წყაროს საშუალებით მოპოვებული ცნობების ცალმხრივობა არ უნდა გამოგვეპაროს: არ უნდა დავივიწყოთ, რომ დაბადების ქართულ თარგმანში მხოლოდ იმ ხორბლეულისა და მარცვლეულის აღმნიშვნელი ტერმინები შეიძლება იყოს, რომელიც ებრაელთა ამ მრავალსაუქუნოვანი და მრავალწიგნიანი კრებულის ტექსტში იხსენიება. იქ აღწერილი ყოფა-ცხოვრება და კულტურის დონე-კი საქართველოს ცხოვრების პირობებისაგან არსებითადაც და ხანითაც ძალზე განსხვავდება.

„საქ. ეკონომიური ისტორიის“-ათვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს საქართველოში არსებული ხორბლეულობის კულტურა შეიძლება ისამებრ სრულად იქმნეს შესწავლილი, მეტადრე-კი ამ კულტურის თავისებურება იყოს გამოკვლეული. სწორედ ამ ყველაზე უფრო საგულისხმოსა და საყურადღებო საკითხის შესწავლა-კი დაბადების ქართული თარგმანის ტერმინოლოგიის საშუალებით სრულებით შეუძლებელია, რათგან, ცხადია, არც ერთი ისეთი მცენარის სახელი, რომელიც პალესტინაში არ ხარობდა, ამ ძეგლში არ შეიძლება იყოს. ასეთი ტერმინები, რასაკვირველია, ორიგინალურ ძეგლებში უნდა ვეძიოთ.

მაგრამ იმ რამდენსამე ორიგინალურ ნაწარმოებში, რომელიც უძველესი ხანითგან შემთხვევით არიან გადაჩენილი, ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხისათვის გამოსადეგ ცოტა და ამის გამო დაბადების ქართული ტერმინოლოგიის შესწავლის გარეშე სხვა არავითარი საშუალება არ არსებობს. უნდა მხოლოდ გათვალისწინებული გქმონდეს ამ გზით მოპოვებულ ცნობათა და დასკვნის ნაკლი. უნდა გვახსოვდეს, რომ მაშინდელ საქარ-

თველოში არსებული ხორბლეულის მთლიანი სურათი არა გვაქვს. მერმინდელი საუკუნეებისათვის ამ ცალმზრივობისა და ნაკლის შევსების საშუალებას, ნაწილობრივ მაინც, IX—XII სს-ის ორიგინალური ძეგლები გვაძლევენ.

მაგრამ ამ საუკუნეების ძეგლთაგან არც ერთი ისეთი თხზულება, ან საბუთი არ მოგვეპოვება, რომელშიც მაშინდელი მარცვლეულობა, გინდ მხოლოდ ხორბლეულობა, იყოს ჩამოთვლილი. მე-XIII ს-მდე ჯერ-ჯერობით არც ერთი ძეგლი არ არის აღმოჩენილი, სადაც მემინდვრობის კულტურის შესასწავლად ოდნავადაც მაინც ვრცელი და დამაკმაყოფილებელი ცნობები მოიპოვებოდეს. ამ ნაკლსაც ქართულ მწერლობაში მხოლოდ ვახუშტი ავსებს თავისი დიდი და ღირსეულად სახელგანთქმული საქართველოს გეოგრაფიით.

ვახუშტის ცნობით: საქართველოში „ნაყოფიერებს ყოველნი თესლმარცვალნი, კაცთა საზრდონი: ბრინჯი, ხორბალნი, ქრთილი, შვრივა, სიმინდი, ლობი, ფეტვი, მუხუდო, ლობიო, ოსპი, ცერცვი, საკადრისი, ძაძა, მაშა, უგრებელი, კანაფი, ხელი და სხვანიცა“ (გვ. 56).

ამავე მეცნიერის სიტყვით, დასავლეთ საქართველოში მე-XVIII ს. დამდეგს „მარცვალნი... ყოველნი ნაყოფიერებენ ფრიად“. მაგრამ, მისი სიტყვით, იქ „ბრინჯ-ბანბას სთესენ იშვიტ და აგრეთვე ხორბალსა და ქრთილსა“, ხოლო, „ლომსა ფრიად მრავლად“ ისე, რომ იქაურნი „გამოიზრდებიან ღომით“. ამასთანავე „სხვათა მარცვალთა სიმრავლენი იმყოფებიან“-ო (გვ. 338).

ცხადია, რომ სახელოვანი გეოგრაფი თავის-დროინდელი საქართველოს მემინდვრობის კულტურაზე ლაპარაკობს. ჩვენთვის-კი ამ „საქ. ეკონ. ისტორიის“ I წიგნი მე-XIII ს. დამდეგამდე არსებული ვითარების გამორკვევას აქვს მნიშვნელობა. ამას გარდა, ვახუშტის ცნობის სივრცისა და სახელების სიმრავლისა მიუხედავად, იქ საქართველოში მე-XVIII ს-ში გავრცელებულ კულტურულ მცენარეთა სრული სია-კი არ არის. საქმარისია აღამიანმა გინდა მარტო საბა ორბელიანის“ ლექსიკონი გულდასმით გადაფურცლოს, რომ ამ აზრის სისწორე უქვევლი შეიქმნეს. ვახუშტს სიის ბოლოში თითონაც სვინდისიერად აქვს აღნიშნული „და სხვანიცა“-ო და ამით მკითხველისათვის უარწონობინებია, რომ მას თავის-დროინდელი მარცვლეულებიც ყველა არ დაუსახელებია. ამიტომ გასაკვირველი არც არის, თუ რომ აღამიანი ძველ ძეგლებში, თუნდა მაგ. დაბადების ქართულ თარგმანში კულტურულ მცენარეთა ნახმარ ყველა სახელებისა-კი, ვახუშტის ცნობებში ვერ იპოვის. შესაძლებელია აღამიანს ეფიქრა, რომ იმ დროს საქართველოში გავრცელებული პურეულობა ვახუშტის დროს უკვე აღარ არსებობდა და მათი მოუხსენებლობის მიზეზიც ეს იყოს. მაგრამ ს. ორბელიანისა და სხვა წყაროების ცნობები და თანამედროვე პურეულის ტერმინოლოგია ასეთ მოსაზრებას არ ამართლებს. ამიტომ მარტო ვახუშტის ნაშრომზე დამყარება ამ საკითხის შესწავლის დროს მე-XVIII ს. პირველ ნახევრისათვისაც არ შეიძლება, მით უმეტეს იმ ხანისათვის, რომელიც საქ. ეკონომიური ისტორიის ამ პირველი წიგნის საგანს შეად-

გენს, სხვა ყველა ძეგლების ცნობათა გამოყენებაა საჭირო. სხეც რომ ირა იყოს რა, მე-XIII ს-ის შემდგომ არა ერთი ახალი მცენარე შეეძინა საქართველოს, რომელთა ხსენებაც არ შეიძლება მე-XIII ს-მდე ჩვენში ყოფილიყო.

ყველა ამ გარემოებათა გამო პურეულის კულტურის შედგენილობის შესწავლის დროს უნდა უმთავრესად დაბადების თარგმანის ტერმინოლოგიასა და მე-XIII ს. დამდეგამდე არსებული სხვა წყაროების ცნობებს დავემყაროთ და შემდეგ უკვე მათ გასაგებად და განსამარტავად მერმინდელი და თანამედროვე ცნობებიც მოვიშველიოთ.

საველე კულტურის მცენარეთაგან დაბადების ქართულ თარგმანში შემდეგი ხორბლეულისა და სხვა მარცვლეულის სახელები გვხვდება: იფქლი, რიკა, ასლი, ქრთილი, ქერი, ბრინჯი, ფეტვი, ცერცი, ცერცი, ოსპი, კნდური, სონიჯი და ძირაკი.

სხვა წყაროებში ნახსენებია: ქურიმა, ღომი, დოლი, თათუხი, ხულუნგო, ზანდური, მახა, ჯიქურა, ბულუჯა და სხვა.

### თაგი მისამი. ხორბლეულის მახინდელი სახედასხმა ჯიშ-სახეობა და მათი სახელები

## § 1. ი ფ ქ ლ ი

ხორბლეულის ყველაზე უფრო გავრცელებული და მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ძველ საქართველოში, უეკელია, იფქლი იყო.

„იფქლი“ როგორც ნათარგმნ ძეგლებში გვხვდება (შესაქ. 27<sub>28</sub>, გამოსლ. 9<sub>29</sub>, 2 ნეშტა 32<sub>29</sub>, მსაჯ. 15<sub>1</sub>, ესაიასი 28<sub>29</sub>, და ზურგან სხვაგანაც), ისევე ქართულ ორგინ. ნაწარმოებებში. გ. მერჩულს შაგ. ერთგან ნათქვამი აქვს: აბულასადმა ეპითანე ბერს მონასტრისათვის ერთი დღის სამკალი შეაწია და ბერებმა ისეთი გულმოდგინებით მიჰყვეს ხელი მკას, რომ აბულასადის მსახურთ შეჰშინებიათ ბერები ნაგულისხმევზე გაცილებით მეტს წაიღებნო, რათგან „სრულიად მოჰმკიან ვიდრე. მწუხრადმდე იფქლსა მას ფრიად კეთილსა“-ო (ც<sup>ა</sup> გ<sup>ლ</sup> ხნძთ<sup>ლ</sup>სა, გვ. ნა). ცქირზეც ნათქვამია: „შორის იფქლთა მათ წმიდთა იჰოვა ერთი ვინმე, ვითარცა ლუარძლი... აღმოცენებული“-ო (ც<sup>ა</sup> გ<sup>ლ</sup> ხნძთ<sup>ლ</sup>სა, გვ. მვ. § 45—იხ. აგრეთვე ათონის აღაპები გვ. 270 და ნარინ-დავითის სიგ. ქ<sup>ე</sup>ბი II, 129 და სხვაგან).

დაბადების ბერძნულ ტექსტში იფქლი, შესატყვისად სწერია ὁ παρὸς (შესაქ. 27<sub>28</sub> და სხვაგან), ხოლო ერთ შემთხვევაში (2 ნეშტა 32<sub>29</sub>) ὁ σιτοει. ლათინურ თარგმანში ნახმარია frumentum (Gen. 27<sub>28</sub>, II Par. 32<sub>28</sub>) და triticum (Ex. 9<sub>29</sub> და Jud. 15<sub>1</sub>), სომხურში ვიციხანს.

ს. ორბელიანის განმარტებით „იფქლი შემოდგომაზე ნათესი ხუარბალი“ უნდა იყოს. ამის საბუთად მას მათეს 3<sub>1</sub>, აქვს დამოწმებული (იხ. ლექსიკ.), მაგრამ იქ ნათქვამია: „ნიჩაბი კელთა მისთა, განწმიდოს კალოჲ თვისი და შეკრიბოს იფქლი. საუნჯესა თვისსა“-ო. ამგვარად, არც ამ ტექსტის ქართული თარგმანიდან და არც ბერძნულ-ლათინურ შესატყვისობათაგან, სადაც ὁ σιτοει-ი და triticum-ია, არსაითგან არ ჩანს, რომ იფქლი მხოლოდ „შემოდ-

გომაზე ნათეს ხორბალს\* ეწოდებოდა. საფიქრებელია, რომ საბაას მათეს 3,11 თავის განმარტების სისწორის დასამტკიცებლად-კი არა აქვს აღნიშნული, არამედ თვით ტერმინის დაბადების თარგმანში არსებობის დასადასტურებლად.

მაგრამ თვით იფქლის შემოდგომის ნათეს ხორბლად მიჩნევა რომ მარტო ს. ორბელიანის პირად აზრსა და ჰიპოთეზას-კი არ წარმოადგენს, არამედ მაშინდელ საქართველოში გავრცელებული და საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობა უნდა იყოს, ამას კლასიკროთის ჩანაწერიც ამტკიცებს. დუშეთის მიდამოებში ხორბლეულთა შორის ის იფქლსაც ასახელებს და თანაც განმარტებული აქვს: *le froment d'hiver* [ipkli] ზამთრის ხორბალიაო (*Voyage*, II, 32).

ხორბლეულის ეს სახელი ქართული მწერლობის ძეგლებსა და საბუთებში მარტო V—XII სს-ში-კი არ გვხვდება, არამედ შემდეგშიც ყველასთვის ცნობილი სახელი იყო. „იფქლი“ ქართულ მწერლობაში მე-XVIII ს-შიც იხმარებოდა. დ. გურამიშვილს მაგ. ნათქვამი აქვს: „ქართლის ქირსა ვერვინ მოსთელის... იფქლი ღვაძლად. გარდაიქცა“-ო (1911 წ. გამ. 28),

ღროთა განმავლობაში ტერმინი „იფქლი“ მაინც სხვა ტერმინმა, „პური“-მა, დაჩრდილა და შედარებით უფრო იშვიათ სიტყვად აქცია. მაგრამ, თუ სამწერლობო ენაში თანდათანობით „იფქლის“ ადგილს „პური“ იპყრობს, ხალხს იგი არ დაეიწყებია: კლასიკროთის თხზულებებითგან ცხადი ხდება, რომ აღმ. საქართველოში ეს ტერმინი ყველგან ცოცხალი სიტყვა ყოფილა (*Klaproth*, *Voyage* II, 526). ამაზე მეტის თქმაც შეიძლება: „იფქლი“ აღმ. საქართველოს მთა-ადგილების მცხოვრებთა შორის და ზოგან დასავლეთ საქართველოშიც ეხლაც ცოცხალი სიტყვა და ტერმინია.

ხევსურეთში, მეტადრე შატლიში, პროფ. აკ. შანიძის სიტყვიერი ცნობით, იფქლსა სთესენ. ტ. ს. უნივერსიტეტის დარაჯის მართა გაბაძის სიტყვიერი, იფქლს, ვითარცა ხორბლეულის გარკვეული სახეობის აღმნიშვნელ ტერმინს, მითულებიც ხმარობენ.

გ. რეხვიანშვილისაგან გარდმოცემული ცნობით<sup>1</sup> იფქლს რაკვაში ეხლაც სთესენ და მისი სიტყვით „იფქლი იზრდება დაბალი, თაველი აქვს ფხიანი მარცვალი ცხოველი“, ანუ მოწითანო.

„იფქლი“ რაკვაში ლ. დეკაპრელიოვიჩისა და ვ. მენაბდესაც უნახავთ. ნათი სიტყვით იქაური მოსახლეობა იფქლს მეტად აფასებს იმიტომაც, რომ მისი ნათესები სუფთად ინახება და კვავი ვერ სჯობნის. რაკითგან ჩამოტანილ თესლის ყარაიაში საცდელმა დათესამაც თურნე სუთა ყანა აღმოაცენა. (*К изучению полевых культур Зап. Грузии*, I. Рача, გვ. 237).

სამწუხაროდ, როგორც ეტყობა, ამ მკვლევართ იფქლისათვის ადგილობრივ ჯეროვანი სურადლება არ მიუქცევიათ და არ გამოურკვევიათ, თუ პურეულის რომელ ჯიშს და სახეობას უწოდებენ რაკვაში იფქლს. მათ რომ სცოდნოდათ, რამდენად სასურადლებო საკითხია საქართველოში ძველითგანვე გავრცელებული პურეულის ისტორიისათვის იფქლის ბოტანიკური განსაზღვრა, უეჭველია, ასე არ მოატყობდნენ.

<sup>1</sup> წილობით ჩაწერილი ზენი ლტის სიტყვიერების დარჯის II თურსის სტუდ. ნ. რეხვიანშვილის მიერ. რისთვისაც იხრთავს ვადალბო.



## § 2. იფქლის ბოტანიკური რაობა

დეკაპრელევიჩისა და მენაბდეს მიერ რაქითგან ჩამოტანილ სათესლე ნიმუშებში აღმოჩენილა უმთავრესად *erythospermum*, მნიშვნელოვანი რაოდენობის ზენარევის სახით-კი *ferrugineum*, ანუ წითელი და მცირე რაოდენობით *milturum* და *lutescens*, ანუ უფრო პური და ხუზალა (К изучению полевых культур Западной Грузии, Рача: ამონაბეჭდი „საქ. ტფ. ბოტან. ბალის მოაზრების“ VI წიგან, ტფილისი, 1929 წ., გვ. 237-238). მაგარამ, რომელი ამათვანი იწოდებოდა რაქაში იფქლად, ეს გამოურკვეველი რჩება.

რაკი „იფქლ“-ის თვისებათა გ. რეხვია შვილის ზემომოყვანილი აღწერილობითგან ირკვევა, რომ იფქლს „თაველი აქვს ფხიანი“. ცხადი ხდება, რომ *Tr. vulgare v. milturum* და *v. lutescens*, ვითარცა უფხო სახეობა, მაინც და-მაინც იფქლი არ შეიძლება იყოს. ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ თვით ლ. დეკაპრელევიჩისა და ვ. მენაბდის ცნობითაც *v. milturum* და *v. lutescens*-ს რაქველები „ხულუგოს“ უწოდებენ (К изучению полев. культ. Зап. Грузии, I, Рача, გვ. 230). მაშასადამე, რჩება მხოლოდ *v. erythospermum*-ი, ანდა *v. ferrugineum* და ერთი ამ ორთაგანი, ან ორივე უნდა იფქლი იყოს. საქმე ეხლა სწორედ იმის გამორკვევაა, თუ რომელს ამ ორთაგანს თეთრსა, თუ წითელს ეწოდებოდა ძველად იფქლი?

ამ საკითხის გამორკვევა, რა თქმა უნდა, ადგილობრივ იყო საკირო, იქ, სადაც საქართველოში იფქლს ეხლაც სთესენ და ამ ტერმინს წინანდებულად ხმარობენ, უეჭველია ეს ბოტანიკოსებისა და აგრონომების მოვალეობას შეადგენს. ამ საკითხის გამოსარკვევად მცოდნე პირთა შორის ცნობების შეკრების დროს, გავიგე, რომ საქართველოს აგრონომიული ინსტიტუტის კერძო მიწისმოქმედების კათედრის ასისტენტის ვალენტინა სუპატაშვილის 1925 წელს ლეჩხუმში სამეცნიერო მიზნით მოგზაურობის დროს იქ იფქლის ნათესები უნახავს და თან ტფილისში ამ პურეულის თავთავებიც ჩამოუტანია. მან ლეჩხუმითგან ჩამოტანილი იფქლის თავთავიც გადმომცა და ადგილობრივ შეკრებილი ცნობებიც სიტყვიერად გამიზიარა. იფქლის შესახებ ვალ. სუპატაშვილი სპეციალურ მონოგრაფიას ამზადებს გამოსაქვეყნებლად, მანამდე-კი მისივე ნებართვით ზეპირი-ცნობით ვსარგებლობ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

ვალ. სუპატაშვილის სიტყვით, ტერმინ იფქლს ლეჩხუმშიც ხმარობენ და ამ ხორბლულსაც სთესენ. თავისი ბოტანიკური თვისებით თავთავი ფხიანს ხორბლულს წარმოადგენს და არის *Triticum vulgare Vill. v. erythospermum Körn...*

ზოგადი ქართული იფქლის მაგიერ, თანამედროვე მეგრულში „ირქი“ გვევლინება (იოს. ყიფშიძის მ. გ., 249), რომელიც იფქლისაგან უნდა იყოს „ფ“ გაქრობითა და „ქ“-ს ადგილმონაცვლებით წარმომდგარი. „იფქლის“ ანარეკლი უნდა გექონდეს სეანურს „იოქ“-ში, რომელიც ივ. ნიქარაძის განმარტებით ჰნიშნავს *хлеба* (P.-C. C.).

## § 3. დ ი კ ა

აღსანიშნავია, რომ დაბადების ქართველი მთარგმნელი triticum-ის შესატყვისად, ზემოდასახელებულსა და განხილულ ტერმინს გარდა, სხვა სახელსაც ხმარობს. სახელდობრ, იქვლს გარდა ნათარგმნ და ორიგინალურ ძეგლებში „დიკა“-ც გვხვდება. იოველის 1<sub>10</sub>-11-ში მაგ. ნათქვამია: „საარბელი იქმნეს ველნი, გოდებდინ ქუეყანაჲ, რაჲეთუ მოუსუსურდა იექლი, განკმა ღვწო, შემცირდა ზეთი, განკემს მუშაენი. იგლოვდით აგარაკნი დიკისა ძლით და ქრთილისა“-ო. ბერძნულ თარგმანში დიკის შესატყვისად ნახმარია *πυρέξ*, რაც, როგორც დავრწმუნდით ხორბალსა პნიშნავდა, იექლი-კი ამავე ტექსტში *σείσας* უდრის ლათინურად დიკის შესატყვისად *frumentum*-ია, იქვლს-კი *triticum*-ი უდრის. სომხურ თარგმანში ბერძნული ორთავე ტერმინისათვის ნხოლოდ ერთი სიტყვა, *ցიჩხან*-ი, მოიპოვება.

„დიკა“ გ. მთაწმიდელსაც აქვს დასახელებული, ვითარცა ათონის ქართველ ბერთა მიწისმოქმედების ერთი საგანთაგანი: მათი მუშაობის მიზანს „საწუნე და დიკაჲ და სელი და თივისა თიბაჲ“ შეადგენდაო (ც<sup>ა</sup> ი<sup>ე</sup>სი და ეფ<sup>თ</sup>მისი გვ. 48).

დიკას საბაყ იხსენებს. მისი განმარტებით „დიკა გაზაფხულ-ნათესი ხეარბალი“ არის (ლექსიკ.) „დიკა“ გვლდენშტედტსაც გაზაფხულის ხორბლად აქვს დასახელებული და მისი სიტყვით ლათინურს *Triticum aestivum aristatum*-ს უდრის<sup>1</sup>. მაგრამ ამასთანავე დამატებული აქვს „დიკა, აგრეთვე ახალ-თესლი“-ო („Dika auch Achaltessi“). კლაპროთ-ის სიტყვით-კი ხეგსა და მთიულეთშიც დიკა მართლაც გაზაფხულის პურეულის სახელი ყოფილა, მაგრამ ახალთესლი ორმწკრივია ქერის აღმნიშვნელიაო<sup>2</sup>.

დიკის თესვას საქართველოში მე-XIX და მე-XX სს-შიც მისდევდენ და ეხლაც მის მოყვანას ბევრგან ეტანებიან. ნ. ლომოურს თავის ნაწარმოებში „ყოველი მხრიდან“ სხვათა შორის-დიკაც აქვს მოხსენებული: „ამ მიწებში ეთესა:... ლობიო, დიკა, ასლი, ნუხუდო“-ო (1913 წ. გამოც. გვ. 15, 18)<sup>3</sup>. უცნაურია, რომ ილ. ბახტაძეს დიკა ქვევად (ძოჯხ) მიუჩნევია (МИЭБ-КЗК II, 53).

## § 4. დიკის ბოტანიკური რაობა

უკვე ს. ორბელიანს განსაზღვრული ჰქონდა, რომ დიკა გაზაფხულის ხორბლეული იყო ხოლო აკად. გვლდენშტედტმა ამას გარდა აღნიშნა, რომ დიკა ფხიანი გაზაფხულის პურეულია. მაგრამ ამის შემდგომ დიკისათვის 1919 წლამდე აღარავის მიუქცევია ყურადღება. ამ ხორბლეულით 1919 წ. პროფ. ნ. ვაეილოვი დაინტერესდა (ИММУНИТЕТ

<sup>1</sup> „Sommerweizen (Triticum aestivum aristatum) Im e. Dika auch Achaltessi, d. i. Neue Saat“: Reisen, I, 399).

<sup>2</sup> „...le dika et l'achaltessi. Le premier est le froment d'été, le second l'orge à deux raies de grains“: (Voyage, II, 32).

<sup>3</sup> ამ ამონაწერის გადმოცემისათვის პროფ. ა. შანიძეს დიდ მადლობას მოვასწებებ.

к инфекционным заболеваниям: Изд. Петровской Академии, Москва, 1919) და ამ დროითან მოყოლებული დიკის ყოველმხრივი შესწავლა ინტენსიურად მიმდინარეობს. მკვლევართა მთელმა რიგმა, პ. ჟუკოვსკიმ, ა. ითაბგოვისამ, ლ. დეკაპრელიოვიჩმა, ნ. კეცხოველმა და ე. მენაბდემ, ამ საკითხის შესწავლაში მონაწილეობა მიიღო.

თავის განსხვავებულ თვისებათა გამო, დიკა განსაკუთრებულ სახეობად იქმნა მიჩნეული და ბოტანიკურ ტერმინად ეწოდა *Triticum persicum* Vav. ასეთი სახელი ამ პურეულს, როგორც ჭვემით სხვადასხვა მკვლევართა დასკვნისაგან ცხადი შეიქმნება, ყველაზე ნაკლებ შეაქმენის, რათგან სპარსეთში დიკა იშვიათია.

დიკა საქართველოში რამდენიმე განსხვავებული სახეობისა მოიპოვება, რომელთაგან აგრონომიულ მეცნიერებაში თვითოეულს თავისი ლათინური სახელი აქვს. საგულდისხმო გარემოებაა, რომ ქართველი ხალხიც დიკის სხვადასხვა სახეობას ერთმანეთისაგან არჩევს და მათ გასარჩევადაც ქართველ მიწისმოქმედს განსაკუთრებული ტერმინები შეუქმნია. გასაოცარია, რომ ამა და სხვა ხორბლეულის ქართული ტერმინოლოგიის შეროვება-შესწავლისათვის აქამომდე არავის ყურადღება არ მიუქცევია იმისდა მიუხედავად, რომ ამ საკითხს წმინდა მეცნიერულს გარდა, რა თქმა უნდა, პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ცხადია, რომ, აგრონომიულ მეცნიერებაში მიღებულ ლათინურ სახელებს გარდა, ქართული ხალხური სახელებისა და მათ ბოტანიკური ზედმიწევნითი შესატყვისობის ცოდნაც არის საჭირო, რომ საველე მეურნეობის კულტურაზე მსჯელობის დროს საკითხების სათანადოდ გარკვევა შესაძლებელი შეიქმნეს.

საქართველოში ხალხი დიკის შემდეგ სახეობას არჩევს: არსებობს „თეთრი დიკა“ მარტივად „დიკა“-დაც წოდებული, რომელიც იმერ-ამერ საქართველოში ბარადაც გვხვდება (600—800 მეტრ.), მაგრამ მეტადრე 800—900 მეტრიტან მოყოლებული (თუშეთში, ლიხვის ხეობაში, რაჭაში, ყვირილის ხეობაში და სვანეთში) გავრცელებულია და წარმოადგენს ე. წ. *Tr. persicum* Vav. v. *stramineum* Zhuk. (ნ. კეცხოველი, მასალები, 57).

არსებობს აგრეთვე „წითელი დიკა“-ც, ეხლა ე. წ. *Tr. persicum* v. *rubiginosum* Zhuk., რომელიც გავრცელებულია ამერ-იმერეთის იმავე არეში და იმავე დონეზე, სადაც თეთრი დიკა მოიპოვება (ნ. კეცხოველი, მასალები, 58). დასასრულ, დიკის მესამე სახეობაც მოიპოვება. სახელდობრ, ფარის თემის სოფლებში ნ. კეცხოველს აღნიშნული აქვს „შავთავთავა დიკას ნათესები“. შემდეგს წინადადებაში უკვე „შავფხიან დიკა“-ზე და სხვაგან „შავფხა დიკა“-ზეაც საუბარი და ნათქვამია: „ერთ გორაკიდან ჩემს წინ დავთვალე 27 ნაკეთი, აქედან 11 შავფხიანი იყო. დათვლის დროს აღმოჩნდა ყველა დიკა, შავი სახესხვაობის წმინდა ნათესი *Tr. pers. fuliginosum* Zhuk. (მასალები კულტ. მცენ. ზონალ., 19). იმავე ავტორის ცნობით. *Tr. pers. v. fuliginosum*-ს რაჭაში „ხალხი შავთაველს ეძახის“ (მასალები კულტ. მცენ. ზონალ., 26, 58).

იგი იმერ-ამერეთშია გავრცელებული იქვე, სადაც თეთრი და წითელი დიკები ითესება, მაგრამ „სვანეთში სრულიად წმინდა ნათესები“ ყოფილა, „სხვაგან ნარევადა, ზოგჯერ 40—60% (ნ. კეცხოველი, მასალები, 58).

## § 5. დიკის გავრცელების არეები საქართველოში

აგრონომიულ მეცნიერებაში კარგად არის ცნობილი, რომ ხორბლეულის გარკვეული ჯიში და სახეობა გარკვეული ნიადაგისა და ჰაერის პირობებში ხარობს საუკეთესოდ. საქართველოში ეს საკითხი ნ. კეცხოველსა და ვ. მენაბდეს აქვთ შესწავლილი.

ვ. მენაბდეს დაკვირვებითა და აზრით, დიკის გავრცელების არეს დასაწყისი იმავე თავთუხების გავრცელების უმაღლეს არეს წარმოადგენს და იქვე, სადაც თავთუხი უკვე ქრება, დიკის კულტურა იწყება (Mat. по изуч. геогр. хлеб. злак. Вост. Грузии, გვ. 188).

ვ. მენაბდე „დიკის“ გავრცელების არეს დასაწყისად 750—800 მეტრის დონესა სთვლის. ს. ქვიშხეთში დიკა 740 მეტრის დონეზე გვხვდება და კლიმატური პირობები ამ ჯიშის ამაზე უფრო დაბალ დონეზე მოყვანასაც არ აბრკოლებენ, მაგრამ დაბალ დონის არეზე მისი მოყვანა ეკონომიური თვალსაზრისით ხელსაყრელი არ არის. მანგლის—ბაშქიჩეთის სანახებში დიკა, ვითარცა გაზაფხულის თესლი, ორი სახეობისაა: უფრო ხშირად გვხვდება წითელი დიკა var. *rubiginosum* Zhuk. და უფრო იშვიათად თეთრი დიკა var. *stramineum* Zhuk. (ვ. მენაბდე, Мгхзлак. Вост. Грузии, 170—171).

სამაგიეროდ დიკა შაღალი არეს პირობების მოქარბებულ ნოტიობასაც კარგად იტანს და სოკოვანი დაავადებაც ყველაზე ნაკლებ ემჩნევა. ამის წყალობით დიკას, სხვა პურეულთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება და აღმ. საქართველოში ხორბლეულის კულტურის უმაღლესი დონე სწორედ დიკის სამფლობელოს წარმოადგენს (Mat. по изуч. геогр. хлеб. злаков Вост. Грузии, ტფილისი, 1928 წ., გვ. 188).

ასეთივე სურათი ეშლება ადამიანს დას. საქართველოშიც, მაგ. რაჭაში, სადაც 900—1000 მეტრის სიმაღლითგან მოყოლებული აგრეთვე უკვე დიკაა ნათესებში გაბატონებული. მაგრამ უუმაღლეს ზოლში ამჟამად დიკის რაოდენობა მცირდება. მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, წინათ დიკის მოყვანას ეხლანდელზე გაცილებით უფრო მეტად მისდევდნენ. უკვე 15—20 წელიწადია, რაც მის ადგილს თანდათან დოლისპური იკავებს (Л. Декапрелевич и В. Менабде, К изуч. пол. культ. Зап. Грузии, 231).

გ. რეხვიაშვილის დახასიათებით, რაჭაში დიკა იზრდება დაბალი, ხულუგოსთან შედარებით, ღეროც მასზე წერილი აქვს, თაველი თხელი, ფხიანი, თესლი ცხოველი, ოქროს ფერი და მეტად ნოციერი და სასიამოვნო პური იცის<sup>1</sup>.

<sup>1</sup> სტუდ. ნ. რეხვიაშვილის ჩანაწერი.

## § 6. „პური“: ამ ტერმინის მნიშვნელობა სხვადასხვა დროს

დაბადების ქართულ თარგმანში ხშირად გვხვდება ტერმინი „პური“, რომელიც ეხლა ცხეულებრივი, აუცილებელი სიტყვაა. შეიძლება ითქვას კიდევაც, რომ თანამედროვე სასაუბრო ქართულში ხორბლეულის აღსანიშნავად უფრო ხშირად „პური“ იხმარება. ეს ტერმინიც ძველი სიტყვაა და უძველეს ჯერეთ-ცნობილ ძეგლებში „პური“-ც გვხვდება, მაგრამ მაშინ მას ჯერ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა.

ტერმინი „პური“ სახელდობრ დაბადებისა და სახარების ქართულ თარგმანში შოიპოვება, მაგრამ მაშინ ეხლანდელივით მარცვლეულს არ ეწოდებოდა და ხორბლეულს არ აღნიშნავდა, არამედ ამ სიტყვას მხოლოდ საკმელად გამომცხვარი პურის მნიშვნელობა ჰქონდა მაგ. „მოიხუნა პური“ (შესაქმეთაა 21<sub>14</sub>) უდრის ბერძნულს *ἐλαφιν ἄρτους*, ლათინურად *tollens panem* და სომხურს *ხაი ჩაყ*, — ამა ესე რა კუეზა პურისა ერთი ქრთილისა გორვიდაა ბანაკა შინა“ (მსაჯულთაა), ბერძნულ ტექსტში „კუეზა პურისა ერთისა ქრთილისა“-ს შესატყვისად გვაქვს *μαζα ἄρτους χρισίνου*, ლათინურად *subcineratus panis ex hordeo volvi* და სომხურად *ნქანასკ ფარხუქს*-ს, — „ძირაკი პურისა თანა იქამოს“ (ესაიაჲსი 18<sub>28</sub>) *ზბ ბე ჩამიონ მუტა ἄρτους βραχίονα* (28<sub>27-28</sub>). *ხა ჯამანს ჩაყ ჩა ილარქ*-ს ეთანასწორება. ამგვარად „პური“ ო ἄρτους-ს, panis-ს, და ჩაყ-ს, ანუ გამომცხვარ საკმელ პურსა ჰნიშნავს სულ ერთია რისგანაც არ უნდა ყოფილიყო იგი გაკეთებული. იფქლიან დიკა იქმნებოდა მასალად ნახმარი, თუ ქრთილი, ან ქერი.

ზომდენო საუკუნეებშიც ძველ ქართულში „პური“ ეწოდება ფქვილისაგან გამომცხვარ საკმელს. მხოლოდ შემდეგში ამ სიტყვას ხორბლეულის მნიშვნელობაც ენიჭება და ეხლა ძველი ტერმინი უკვე იმდენად დავიწყებული აქვთ, რომ ამ ცნების აღსანიშნავად იფქლს ჩვეულებრივ საუბარში აღარაეინ ხმარობს და „პურს“ უწოდებენ იმისდა მიუხედავად, რომ ამ სიტყვას გამომცხვარის მნიშვნელობაც წინანდებურად შენარჩუნებული აქვს. ამის წყალობით ხშირად შეიძლება საუბარში გაუგებრობა მოხდეს. რათგან ბერძნულში ὁ ἄρτος და οἱ ἄρτοι არსებობს, რომელიც ჰომიროსის დროს ცხენის საკვებასა ჰნიშნავდა, შემდეგი იფქლის მნიშვნელობა მიენიჭა და რაკი ქართული „პური“ და ბერძნული „პუროჲ“ ერთიმეორეს გასაოცრად მიაგვანან, ამიტომ ბუნებრივად იბადება საკითხი, რომ ერთი მათგანი ნასესხები უნდა იყოს.

თუმცა ძველ ქართულში ძეგლების მიხედვით „პური“ როგორც დავრწმუნდით გამომცხვარ საკვებს ეწოდებოდა, მაგრამ თანამედროვე ქართულში, საქართველოს ზოგიერთ თემში, როგორც ეტყობა, გარკვეული სახეობის მარცვლეულ ხორბალსაც ჰნიშნავს. უკვე ილ. ბახტაძეს ჰქონდა რაქაში გავრცელებული ხორბლეულის 4 ჯიშთაგან მეოთხე ჯიშად სწორედ „პური“ დასახელებული მისი დაბასიათებით, „პური“ ჩვეულებრივი ჯიშია, პატარა და ყვითელი მარცვალი აქვს (იხ. МИЭБГКЗК II, 53).

გ. რეხვიაშვილის ცნობით, რაჭაში ამ ჯიშს „ახალი პური“ ეწოდება და „შედარებით დიკასა და ხულუგოსთან უფრო ურჩია ნაყოფით, იზრდება მომსახო ღეროთი და ფხიანი“-ა<sup>1</sup>.

ეს საკითხი ჯერ კიდევ შესასწავლი და გამოსარკვევია. სასურველია მას აგრონომებმა ყურადღება მიექციონ, რომ შეიძლებოდეს პურის ძირითადი, თავდაპირველი, და მეორადი მნიშვნელობისა და რაობის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა.

## § 7. „დოლის პური“

ღაბადების ქართულ თარგმანში ნახმარი ტერმინოლოგიის მიხედვით, დიკას შემდგომ „ასლ“-ზე უნდა გეჭონოდა საუბარი. მაგრამ, როგორც შემდგომი დავრწმუნდებით, იფქლთან დაკავშირებით ჯერ „დოლის-პურის“ საკითხი უნდა იქმნეს განხილული.

თუმცა „დოლი“ ძველ, აქამდე გამოქვეყნებულ, ძეგლებსა და საბუთებში ჯერ არსადა ჩანს, მაგრამ მისი მე-IX ს. და, უეჭველია, ამაზე უწინარესი არსებობის დამამტკიცებელია შავშეთის სოფელი „დოლის ყანაჲ-ს სახელი“, რომელიც გ. მერჩულს გრ. ხანძთელის ცხოვრებაშიც მოხსენებული აქვს (გვ. ლა, სტრ. 17). ტერმინი „დოლი“ მცენარის აღსანიშნავად ს. ორბელიანსაც მიუბოძება თავის ლექსიკონში და მისი განმარტებით „დოლი უქვეა იფქლი“ იყო ამ განმარტებითგან ცხადი ხდება, რომ დოლი მაშინაც ხორბლეულის სახელი ყოფილა და იფქლის მაგვარი იქმნებოდა.

მაგრამ გაუგებარია, თუ რას უნდა პნიშნავდეს „ქვაი“ და „უქვაი“? „ქვაი“ საბაბს სვილად აქვს ლექსიკონში აღნიშნული. მაგრამ პურეულის ასეთი განმარტება, დოლი უსვილო იფქლიაო, უცნაური იქმნებოდა, რათგან აქ თვით დოლის ნიშანდობლივი თვისება დასახელებული არ არის. ამასთანავე, დოლის ეს განმარტება „ხულუნგო“-სას შიგავს და, საფიქრებელია, რომ, როგორც იქ ხულუგოს თვისება „უფხო“-ობის მხრივ არის დახასიათებული, ისევე დოლის განმარტებაში „უქვაო“, უფხოს მსგავსად, თვით მცენარის რალაც თვისების უქონლობის გამომხატველი უნდა იყოს. რაკი ფხა თავთუნის წვეტის სახელია, გამოსარკვევია, რის სახელი შესაძლებელია ყოფილიყო ქვაი?

## § 8. დოლის პურის ბოტანიკური რაობა

რათგან ძველ ქართულ წყაროებში დოლის პურის თვისებათა გამოსარკვევად ჯერ ცნობები არა ჩანს, ამიტომ მისი ბოტანიკური რაობა უნდა თანამედროვე ცნობების მიხედვით იქმნეს განსაზღვრული. ტფილისის სანახებში რბილი ხორბლის შემოდგომის თესლს *Triticum vulgare Vill.*-ს, ვ. მენაბდეს ცნობით, „დოლის პური“ ეწოდება („Мягкие остистые в массе представлены озимыми формами, известными в районе под названием „долис пури“: Мат. геогр. хлеб. злаков Вост. Грузии 156). ქართლის ყანების 80% სწორედ ამ დოლის პურს უკავია (იქვე, 167).

<sup>1</sup> სტუდ. ნ. რეხვიაშვილის ჩანაწერით.

რაკი ირკვევა, რომ ხალხი „დოლის პურს“ *Triticum vulgare Vill*-ს უწოდებს, უძველესი დროითგან-კი ქართულ სამწერლობო ენაში *Tr. vulgare Vill*-ს „იფქლი“ ეწოდებოდა, ცხადი ხდება, რომ საბა ორბელიანის ზემომოყვანილი განმარტება, დოლი-იფქლით, სრულ კეშმარიტებას წარმოადგენს.

ტფილისის სანახებში რბილ უფხო ხორბლეულობის შემოდგომისა და გაზაფხულის *Tr. vulg. var. lutescens Al.*-ც ყოფილა ვავრცელებული („Мягкие... безостые пшеницы—яровыми и озимыми“), მაგრამ ვ. მენაბდეს აღნიშნული არა აქვს, თუ რას უწოდებს ამ სახეობას ქართველი მიწისმუკმედი (იხ. *Мат. изуч. геогр. хлеб. злаков Вост. Грузии*, 166).

სამაგიეროდ ს. ორბელიანს ლექსიკონში შეტანილი აქვს „ხულუგა“, რომელიც მისი განმარტებით, „უფხო ყანა“-ს წარმოადგენდა. ეს პურეული ეხლაც არის რაჭაში ვავრცელებული. გ. რეხვიაშვილის აღწერილობის თანახმად, „ხულუგა“ იზრდება საშუალო, მსხვილი ღერო აქვს, თაველი უფხო, მომრგვალო, მარცვალი მომსხო<sup>1</sup> გააჩნია<sup>2</sup>. ამგვარად, ხულუგოს უფხოობის ცნობა, რომელიც საბას მოეპოვება და ზემოთ გვქონდა მოყვანილი, მართლდება.

ეს ხორბლეული რაჭაში აკად. გვლდენშტედ-საც უნახავს 1772 წ. და, მისი სიტყვით, „ხულუგა“ (*Chuluga*) შემოდგომის პურეულის სახელი იყო იმერეთში და ლათინურ *„Triticum hybernum muticum“-ს* უდრის<sup>2</sup>.

რაქის პურეულთა შორის „ხულუგა“ ილ. ბახტაძესაც აქვს მოხსენებული. მისი სიტყვითაც „ხულუგა“ უფხო ხორბლეულის ჯიშია, მომსხო მარცვალი აქვს და მისგან გემრიელი თეთრი პური ცხეება (*МИЭБ ГКЗК*, II, 53).

დასასრულ, რაჭაში ვავრცელებულ პურეულთა შორის ლ. დეკაპრელევიჩსა და ვ. მენაბდესაც აქვს „ხულუგა“ დასახელებული. მათი განსაზღვრის თანახმად, „ხულუგა“ ადგილობრივ ეწოდება *Tr. vulgare vill. var. milturum*-სა და *lutescens*-ს. უმოაგრესად ს. უწერამდე ყოფილა ვავრცელებული (იხ. *Л. Л. Декапрелевич и В. Л. Менабде, К изучению полевых культур Западной Грузии*, I, Рача, ტფილისი, 1929 წ.: საქ. ტფ. ბოტან. ბაღის მოამბითგან ამონაბეჭდი, გვ. 230). მაშასადამე ხულუგო დოლის პურის ერთ სახეობათაგანს წარმოადგენს.

დოლის პურის კიდევ სხვა სახეობაც, *erythrospermum Körn*-იც არსებობს, რომელსაც, ვ. მენაბდეს ცნობით, „თეთრი დოლი“ ეწოდება (*Мгхзлак. Вост. Грузии*, 167). იგი ქართლის ყანებშია გაბატონებული. ეს სახეობა მარტივად „დოლის პური“-ს სახელითაც არის ცნობილი და იმ სახელით გვხვდება სვანეთში, რაჭაში, ყვირილისა და ლიხვის ხეობებში. ვავრცელებულია ეს პურეული ნარდონის ხეობაშიც იმიერ კავკასიაში (ნ. კეცხოველი, მასალები კულტ. მცენ. ზონალ., 55).

<sup>1</sup> სტუდ. ნ. რეხვიაშვილის ჩანაწერით.

<sup>2</sup> „Wintermeizen (*Triticum hybernum muticum*, Jm. *Chuluga*)“, იხ. *Reisen* I, 399

ამგვარად, როდესაც ამ სახეობის ფერი დასახელებული არ არის, შესაძლებელია თეთრი დოლის პური იგულისხმებოდეს.

მანგლის-ბაშქიჩეთის სანახებში სქარბობს „თეთრი დოლი“ (*Tr. vulgare erythrospermum* Körn.), მაგრამ ხშირია „დოლის პურის“ კიდევ სამი სხვა სახეობაც (*var. ferrugineum* Al., *lutescens* Al. და *milturum* Al.) დოლის პურები აქ გაზაფხულისა და შემოდგომისა და არის (ვ. მენაბდე, *Мгхзлак. Вост. Грузии*, 170—171).

რა სახელს უწოდებენ იქური ქართველები დოლის-პურის ამ სახეობას, ვ. მენაბდე აღნიშნული არა აქვს, მაგრამ სამაგიეროდ ნ. კეცხოველის ნაშრომითგან ჩანს, რომ *Tr. vulgare var. ferrugineum*-ის აღსანიშნავად ხალხი საქართველოში „წითელი დოლი“ სახელსა ჰმბარობს. ამ ავტორის ცნობით ეს სახეობა საქართველოში ფართოდაა გავრცელებული და მოიპოვება: სვანეთში, რაჭაში, ყვირილისა და ლიახვის ხეობებში და იმიერ-კავკასიაშიც ნარდონის ხეობაში (ნ. კეცხოველი, მასალები კულტ. მცენ. ზონალ., 55).

„წითელი დოლი“ გავრცელებულია აგრეთვე საგურამოსა და ლიხის მთის არეში და იქაც *Tr. vulgare var. ferrugineum* Al.-ს წარმოადგენს (ვ. მენაბდე, *Мгхзлак. Вост. Грузии*, 187).

დასასრულ, „დოლის პურის“ ერთი სახეობა, სახელდობრ *Tr. vulgare var. nigroaristatum*-იც, ქართლში „შინდური პური“-ს სახელით არის ცნობილი. (ნ. კეცხოველი, მასალები კულტ. მცენ. გავრც. 55). როგორც ამ პურეულის ლათინურ სახელშიც არის აღნიშნული, მის ერთ ნიშანდობლივ თვისებათაგანს მისი შავფხიანობა შეადგენს. საფიქრებელია, რომ ამ გარემოების გამოვეწოდება მას ქართულადაც „შინდური პური“ და ამ შემთხვევაში ძალზე მომწიფებული შინდის ფერი უნდა იგულისხმებოდეს.

„დოლის პური“-ს ქვესახეობა *Tr. vulgare v. lutescens* Al., რომელიც აღმ. საქართველოშიც (იხ. ვ. მენაბდე, *Мгхзлак Вост. Грузии*, 170—171) და დასავლეთშიც არის გავრცელებული, ენგურის, რიონისა, ყვირილისა და ლიახვის ხეობებში, აგრეთვე ნარდონისა და ბაქსანის ხეობებში, ნ. კეცხოველის ცნობით, სვანეთში, „კვეციენ“-ად იწოდება, ქართლში—„უფხო პური“-ს სახელით არის ცნობილი, ზემოქართლში—„პოშოლა“-სა და „ხუშაღა“-ს ქართლსა და რაჭაში ეძახიან. მის ერთ თვისებათაგანს წითელი ფერი შეადგენს (მასალები კულტ. მცენ. ზონალ., 55 და მისივე სიტყვიერი განმარტება). მაგრამ ეს ცნობა მთლად ზედმიწევნითი არ უნდა იყოს, სვანური კვეციენის შესახებ მაინც. ეს გარემოება თვით ნ. კეცხოველისავე შორეულ, კვებომოყვანილი, ცნობითგანაც ჩანს. ნ. კეცხოველის მოწმობით, ტერმინი «კვეციენ»-ით (*sic*) სვანი გამოჰხატავს მხოლოდ რბილ პურს *Tr. vulgare* Vill *v. erythrospermum* Körn., *var. lutescens* Al., *var. milturum* Al.“ (მასალები კულტ. მცენ. ზონალ. შესასწ. კავკასიონზე 10).

მაშასადამე, „კუციენი“ სვანეთში მარტო *var. lutescens* Al.-ის აღმნიშვნელი ტერმინი-კი არ ყოფილა, არამედ მას ზოგადი მნიშვნელობა



პქონია და დანარჩენ საქართველოში გავრცელებულ ტერმინს დოლის პურს<sup>1</sup> უდრის, რათგან ამ სიტყვით სვანი თურმე დოლის-პურის სამ სახეობას გამოჰხატავს.

ეს გარემოება დოც. ვარლამ თოფურიას მიერ ჩემთვის გადმოცემული ცნობითაც მტკიცდება სვანეთში გავრცელებული ხორბლელის სახელების შესახებ<sup>1</sup>. ამ ჩანაწერის მიხედვით, პურელის ზოგად სახელად სვანეთში ზმარობენ „ხაქუნელ“-ს, რომელიც საქონელს უდრის. პურელთაგან-კი გავრცელებულია: „ჩქეცენ“, „ჭვინ“, რომელიც ქერსა ჰნიშნავს, და „შანაშ“, რომელიც ქვაეს უდრის.

ხოლო სვანეთში „ჩქეცენ“-ის ოთხი სახეობა ყოფილა გავრცელებული: ა. ლფხბა ფხიანი, ბ. მაწრან წითელი, ც. ხულუგუ ხულუგო, დ. მათთვან თეთრი (ვ. თოფურიას ჩანაწერი). მათი თვისებების მიხედვით-კი ეს ტერმინები ამ თანამიმდევრობით უნდა დალაგდეს: 1. „შათთვან, ე. ი. თეთრი, ანუ მოთეთრო,—2. „მაწრან“, ე. ი. წითელი, ანუ მოწითანო,—3. „ლფხბა“, ე. ი. ფხიანი და 4. „ხულუგუ“.

საკმარისია გავიხსენოთ ს. ორბელიანის ზემომოყვანილი ცნობა, რომ „ხულუგო უფხო ყანა<sup>2</sup> იყო, და თანამედროვე მკვლევართა ამავე გარემოების დამადასტურებელი მოწმობა (იხ. აქვე გვ. 356), რომ ნათელი ვახდეს, თუ რა მოსაზრებით ვხელმძღვანელობდი, როდესაც „ხულუგუ“ „ლფხბა“-ს შემდგომ მოვათავსე: „ლფხბა“-ს, რომლის მორფოლოგიურ თვისებას ფხიანობა შეადგენს, მივაღვენეთ „ხულუგო“, რომელიც მორფოლოგიურად სწორედ თავისი უფხოობით განირჩევა.

ამ გვარად, „ჩქეცენ“-ის სახეობათა ზემომოყვანილ მწკრივში პირველი ორი სახეობა, „მათთვან“ მოთეთრო და „მაწრან“ მოწითანო, ფერის მიხედვით არის განარჩეული, მეორე ორი სახეობა-კი, „ლფხბა“ და „ხულუგუ“ აგებულების თვისების მიხედვით არის განსხვავებული.

ამ ტერმინების ბოტანიკური სახელების შესატყვისობათა მოძებნის დროს, ადვილი მისახვედრია, რომ სვანური „ჩქეცენ მა“თთვა“ნ“, ანუ თეთრი დოლის-პური წარმოადგენს *Tr. vulg. var. erythrospermum* Körn., ხოლო „ჩქეცენ მაწრან“, ანუ წითელი დოლისპური უდრის *Tr. vulg. var. ferrugineum* Al.-ს.

მხოლოდ სვანეთში, ადგილობრივ, ანდა იქითგან ჩამოტანილი ნიმუშის მიხედვით შესაძლებელია გადაწყდეს, უდრის თუ არა, სვანური „ჩქეცენ ლფხბა“, ვითარცა ფხიანი დოლისპური, ე. წ. „შინდურ პურს“, *Tr. vulg. v. nigroaristatum*-ს?

ეხლა მარტო *Triticum vulgare* Vill. var. *milturum*-ისა და *lutescens*-ის ქართული სახელები-და გვაქვს გამოსარკვევი. როგორც აღნიშნული გვქონდა, ლ. დეკაპრელევიჩისა და ვ. მენაბდეს ცნობით, რაკვაში თითქოს ორივეს „ხულუგო“ უნდა ჰქმნოდეს.

ხოლო, ნ. კეცხოველის ნაშრომის მიხედვით, *Tr. vulg. Vill. var. lutescens* Al.-ს საქართველოში „უფხო პური“, „პოშოლა“ და „ხუზალა“

<sup>1</sup> ამ ცნობების გადმოცემისათვის დოც. ვ. თოფურიას დიდ მადლობას მოვახსენებ.

ეწოდება, Tr. vulg. Vill. var. millturum Al.-ს-ი „უფხო პური“ ჰქვიათ (იხ. მასალები კულტ. მცენ. ზონალ., გვ. 55). მაშასადამე, ამ ავტორის ცნობითაც, დეკაპრელევიჩისა და მენაბდეს მსგავსად გამოდის, რომ თითქოს ორსავე სახეობას ერთი-და-იგივე სახელი ჰქონდეს.

ამ მკვლევართა ცნობებს შორის მხოლოდ ის განსხვავდება, რომ დეკაპრელევიჩი და მენაბდე ასეთ საერთო ტერმინად „ხულუგო“-ს ასახელებენ, ნ. კეცხოველის სიტყვით-კი „უფხო პური“ იხმარება.

მაგრამ საქმე ის არის, რომ რაკი Tr. vulg. Vill.-ის ზემოაღნიშნულ ორსავე სახეობას ერთი-და-იგივე სახელი, უფხო პური, აქვს, საფიქრებელი ხდება, რომ აქ მათი ზოგადი, საერთო თვისებების გამომხატველი, ტერმინი უნდა გვექონდეს და უფრო სრული „უფხო დოლის პური“-ს შემოკლებულ ტერმინს უნდა წარმოადგენდეს. მაშასადამე, თვითოეული ამ სახეობათაგანის საკუთარი ქართული სახელი მაინც გამოსარკვევი ხდება.

მეორე მხრით, რათგან ორივე lutescens-ისაცა და millturum-ის სახეობანი მართლაც უფხო პურეულის ჯიშებია, ამიტომ ასეთი საერთო სახელი, რასაკვირველია, მათ შეჰგენით კიდევაც. ხოლო თუ, გავიხსენებთ, რომ, საბას განმარტებით, „ხულუნგო“-ც სწორედ „უფხო ყანის“. ანუ პურეულის სახელი იყო, მაშინ ცხადი შეიქმნება, რომ დეკაპრელევიჩ-მენაბდისა და კეცხოველის ცნობები არსებითად არამც თუ ერთმანერთს არ ეწინააღმდეგება, არამედ პირ-ქით კარგად უდგება კიდევაც ერთმანერთს.

მაგრამ, რაკი „ხულუგო“-ც, ვითარცა ორივე სახეობის ტერმინი და „უფხო ყანის“ აღმნიშვნელი, ზოგადი მნიშვნელობის სახელი გამოდის, იბადება საკითხი, თავისი აგებულებითაც ხომ ამავე ზოგადი თვისების გამომხატველი სიტყვა არ იყო?<sup>1</sup>

Tr. vulg. Vill. v. lutescens-ისა და millturum-ის ქართული საკუთარი სახელების ძიების დროს, v. lutescens Al.-ისათვის მოძებნას თითქოს მისი სახელების სიმრავლე გვეულის, რათგან კიდევ სამი ხალხური სახელი მოგვეპოვება: პოშოლა, ხუზალა და კვეცენ. ამათგან უკანასკნელი მხოლოდ სენანთშია გავრცელებული და, როგორც დავრწმუნდით, ზოგადი ტერმინია, ამიტომ უნდა გამოვაცალკეოთ. გვჩრება პოშოლა და ხუზალა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ გამო-რკვეული არ არის, რამდენად ძველია ეს სახელები, რამდენად და სად არიან გავრცელებული თანამედროვე საქართველოშიც. ჯერ არც ამ სიტყვების სად-ურობაა ნათელი და არ ვიცით, აქვს რაიმე კავშირი „ხუზალა“-ს რვეალი პურის ძველ ქართულ სახელ „კუეზა“-სთან, თუ ეს ტერმინი ადამიანი უნდა ახალ-სომხურ დიალექტებში გავრცელებულ „ხოზან“-ს (*хозан*) შეადაროს, რომელიც

<sup>1</sup> „ლუგო“, ანუ „ლუგო“, ს. ორბელიანის განმარტებით. „უმახკლოს“-ს აღმნიშვნელი იყო (ლექსიკ.). ამავე წარმოშობილობის სიტყვა უნდა იყოს „ბლაგვი“-ც. ხულუგო ხომ „ხულუგო“-საგან არ არის წარმოდგარი, რომელშიც „ხუგ“-ი თავთავი აღმნიშვნელი ძველი სიტყვის „ხუილი“-ს ბოლომოკვეცილი ფორმა იქმნებოდა? ამგვარად „ხულუგო“ თავდა-პირველად ბლაგვი ნ. ი. უფხო თავთავიანი, პურეულის აღმნიშვნელი ხომ არ იყო? ეს მოსა-ზრება რომ გამართლებულიყო, მაშინ ხულუგო თავისი ძირითადი მნიშვნელობითაც „უფხო პური“-ს სრული შესატყვისობა იქმნებოდა.

ბევრ სომხურ დიალექტში ხორბლეულის მოშვის შემდგომ საყანურში დარჩენილ ნაშვას, ანდა გაუმარგლავ სარეველ მცენარეებს ნათესს ჰნიშნავენ (იხ. პ. აქარიანის *Հայերէն գասար. բառարան*, გვ. 480)? მაგრამ არც ამ სიტყვის სადაურობაა გამორკვეული. ამგვარადღე, არა ვიცი თუ რა დანამდვილებით „შოლა“-ს შესახებ. ამიტომ მთელ ამ საკითხს ჯერ კიდევ გულდასმითი შესწავლა სჭირდება.

უფრო ძველია და სანდო „ხულუგო“ და სასურველია საქართველოს სხვადასხვა თემში საგანგებოდ აღვილობრივ შემოწმებულ იქმნეს, „ხულუგო“ მართლაც ამ ორივე *milturum*-ისა და *lutescens*-ის სახეობის სახელია და, მაშასადამე, „უფხო“-ს მსგავსად ზოგადი ტერმინია, თუ მხოლოდ *v. milturum*-ის სახეობის აღმნიშვნელი და აღვილობრივი ქართული სახელი არის? მაშინ „უფხო დოლისპური“ *v. lutescens*-ის ტერმინი გამოდგებოდა.

### § 9. დოლისპურის გავრცელების არე

დოლისპური როგორც აღმოსავლეთს, ისევე დასავლეთ საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული. ქართლის ყანების დიდი უმრავლესობა, 80%, სწორედ ამ ხორბლეულით არის დათესილი (ე. მენაბდე, *Mat. geogr. хлеб. злаков Вост. Грузии*, 166—167). დასავლეთ საქართველოში, რაქას გარდა, სევანეთშიც არის გავრცელებული. წითელი დოლისპური იქ უშგულის თემში 2000 მეტრის სიმაღლეზეც-ი ხარობს. უფხო დოლისპური-კი, ხულუგო და უფხო პური, ენგურისა, რიონისა, ყვირილისა, ლიახვისა, და ნარდონ-ბაქსანის ხეობებში 1800 მეტრის დონემდე აღწევს (ნ. კეცხოველი, მასალები კულტ. მცენარეთა ზონალობის შესასწავლად კავკასიონზე, 55).

რაქაშიც ხორბლეულის ყველა სხვა ჯიშებზე მეტად დოლისპურებია გავრცელებული და გავრცელების არე ყველაზე უმაღლეს დონეს აღწევს კიდევაც. საქართველოში არსებულ მის 30—32 სახესხვაობათაგან რაქაში 10 სახესხვაობა გვხვდება, რომელთაგან სქარბობენ თეთრი და წითელი დოლები და შემდეგ 2 უფხო დოლის პური (М. Декапрелевич и Менабде, *К изуч. полев. культ. Зап. Грузии*, 1, გვ. 230).

სამაგიეროდ შინდური დოლისპური უმთავრესად ამერეთშია გავრცელებული. ამასთანავე 1200—1400 მეტრის სიმაღლეზე იგი „ფრიალ იშვიათი ნარევის“ სახით გვევლინება, მაგრამ უფრო დაბლა, 600—800 მეტრის დონეზე მისი ნათესები „ხშირია“ (ნ. კეცხოველი, მასალები კულტ. მცენარეთა ზონალობის შესასწავლად კავკასიონზე, 55).

### § 10. ახლი და მისი ბოტანიკური რაობა

„ახლი“ ჯერ-ჯერობით მხოლოდ დაბადების თარგმანში მოგვეპოვება (გამოსულ. 9<sub>33</sub>, ესაიასი 28<sub>33</sub> და სხვაგან). ბერძნულ დაბადებაში ერთხელ, სახელდობრ ესაიას 28<sub>33</sub>, ჯე:z არის ნახმარი, მეორეში-კი, გამოსლ. 9<sub>33</sub>-ში ἡ ἄλλα.

ლათინურად კიდეც—far, სომხურად-კი հահար-ი სწერია. ამგვარად ასლი უნდა უღრიდეს გერმ. Spelt-ს (იხ. ჰენ-ის Kpf. u. Ht., 570), ან Dinkel-ს (Roth Landirtschaft, Pauly—Wissowa-ს RL, 23. B., გვ. 629).

თუმცა ძველ ქართულ მწერლობაში დაბადების თარგმანს გარდა ჯერ არ-სად „ასლი“-ს ხსენება არ ჩანს, მაგრამ ეს გარემოება, უეჭველია, გადარჩენილი ძველი ორიგინალური ძეგლების მეტისმეტი სიმცირით აიხსნება. ქსენოფონ-ტეს აღწერილობითგან ირკვევა, რომ ჰანების ქვეყანაში მას ასლი ბევრი და-ჰხვედრია (Anab. Lib. V, cap. IV, § 27).

ქსენოფონტეს მოწმობით ჰანების ტომს მოსსინიკებს ორი წლის მო-სავლის გალწილი და გაულწიავი ხორბალი ჰქონიათ შენახული ბელღებში (ἐπιρῶνον μῆνας ἄριστον ἐν ταῖς οἰκίαις ἄρταυ νενημέων περισσούσ... τὸν δὲ νέον ἄριστον ἔτι πῦρ καλὰ μὲν ἀποκαίμενον) (Lib. V, cap. IV, § 27). მეტადრე-კი ასლის დი-ლი სიუხვეე ყოფილა იქ (ἦσαν δὲ ἄραι αἱ πλεῖστα: იქვე).

ამ ტერმინის სამწერლობო ქართულში არსებობაც გვაფიქრებინებს, რომ ამ მცენარის კულტურა აღმოხ. საქართველოშიც გავრცელებული უნდა ყოფილიყო.

„ასლი“ ს. ორბელიანს თუმცა თავის ლექსიკონში შეტანილი და დაბადების თარგმანის ტექსტით (3 მფეთა 19<sub>6</sub>) დამოწმებული აქვს, მაგრამ ამ სიტყვისათვის, მცენარეულობის აღმნიშვნელ პირობით ნიშანს გარდა, სხვა არავითარი განმარტება არ დაურთავს.

სამაგიეროდ ასლის ბერძნულ-ლათინური შესატყვისობითა და თანამედრო-ვე ცნობებით ამის გამოკრევეა მანაც შეიძლება.

„ახლი“ ერწო-თიანეთსა და ქვემო ფშავეში Triticum dicoccum Schrank-ს ეწოდებაო (გ. მენაბდე, МГХЗЛАК. Вост. Грузии, 176). მაგრამ ქვემოპოყვანი-ლი ძველი ქართული განმარტების მიხედვით, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ამ ტერმინს ძველ საქართველოში ზოგადი მნიშვნელობა უნ-და ჰქონოდა. ამის გამოსარკვევად ის გარემოებაა საყურადღებო, რომ ს. ორბელიანს თავის ნაშრომში „მახა“-ზე ნათქვამი აქვს, „ასლსა ჰგავს“-ო (ლექსიკ.). აქეთგან ჩანს, რომ „ახლი“ საქართველოში ჰუ-რეულთა გარკვეული ჯგუფის ძირითად სახეობად, ხოლო თვით ტერმინი ამ ჯგუფის ზოგადი თვისებების გამომხატ-ველად ყოფილა მიჩნეული.

## § 11. ასლის სხვადასხვა სახეობა

იმისდა მოუხედავად, რომ ასლი სხვა ქვეყნებში უკვე ქრება, საქართვე-ლოში მის თესვა - მოყვანას მე-XIX—XX-ს-შიც მისდევდენ. ამ ხორბლეულის სახელი ქართულ ამდროინდელ სიტყვა-კაზმულ მწერლობაშიც არის აღბეჭდილი. ნ. ლომოურს მაგ. თავის ნაწარმოებში „ყოველი მხრიდან“ სხვათა შორის ნათქვამი აქვს: „ამ მიწებში ეთესა... ლობიო, დიკა, ასლი, მუხუდო“-ო (1913 წ. გამოც., გვ. 15,18).

თანამედროვე მკვლევართა დაკვირვებითგან ჩანს, რომ მიწისმოქმედს ამ პურეულისადმი საქართველოში არც ამჟამად გამოუჩენია გულგრილობა. ის წი-

ნანდებურად განაგრძობს მის მოყვანას. ადგილობრივმა შესწავლამ ცხად-ჰყო, რომ ჩვენ ქვეყანაში ასლის რამდენიმე სახეობაა გადაარჩენილი, რომელთაგან ზოგიერთი სამეცნიერო აგრონომიულ მწერლობაში სრულებით აქამდე უცნობი ცი იყო.

უკვე ს. ორბელიანს აქვს ასლთაგან „მახა“ და „ზანდური“ დასახელებული. თანამედროვე მკვლევართ აქეთ „გვაწა-ზანდური“-ს სახელის არსებობაც აღნიშნული.

„მახა“ წინათ მარტო რაქაში არ ყოფილა გავრცელებული, როგორც ეხლაა, არამედ საქართველოს დანარჩენ კუთხეებშიც, მაგ. ამერეთშიც, ცნობილი ყოფილა. ეს გარემოება ს. ორბელიანის ლექსიკონითაც ბტყიდება, სადაც ეს ტერმინი შეტანილია. საბას ნათქვამი აქვს: „მახა ყანაა, ასლსა ჰგავს“-ო. ს. ორბელიანის ამ განმარტებითგან, რომ მახა „ასლსა ჰგავს“, ცხადი ხდება, რომ მაშინაც ამ ხორბლელს ასლთა გვუფს მიაკუთნებდენ.

ასლები ორ მთავარ გვუფად იყოფებიან: ერთ გვუფს ორმარცვლიანები, *Triticum dicocum*-ები, შეადგენენ, მეორე გვუფს—კიდევ ერთმარცვლიანები ეკუთნიან, ე. წ. *Triticum monococum*-ები.

უწრადლების ღირსი გარემოებაა, რომ ვალენტ. სუპატაშვილის ცნობით ლეჩხუმის „ადგილობრივი მოსახლეობა ყველა *dicocum*-ებს ეძახის მახა“-ს. მაგრამ ამ სახელწოდებაშიც არჩევენ ქვემოდ-ჩანოთელილ ფორმებს მაგ.: წვრილი მახა, კენტეხელა შ., ფართე შ., ჩელტა და ფიცარა შ.“.

ვალ. სუპატაშვილის განცხადებით, მას უცდია გამოერკვია, თუ „ასლის რომელ ფორმას, ან ვარიაციას გულისხმობს ესა თუ ის ადგილობრივი სახელწოდება, მაგრამ სამწუხაროდ ეს ვერ მოხერხდა, რადგან სხვადასხვა ადგილას ერთნაირი სახელს აკუთვნებენ სხვადასხვა ფორმებს, ან პირიქით“-ო (ლეჩხუმის მაზრის ასლები, 86—87).

პირველი ცდის ასეთი უნაყოფობისდა მიუხედავად, ვფიქრობ, რომ ამ საკითხის გამორკვევას ქართველი მკვლევარი აგრონომები უნდა არაერთხელ კვლავ ეკადნენ, რათგან დაუგერებელია, რომ ხალხს უაზროდ და უმნიშვნელობოდ ეროი ტერმინის მაგიერ ხუთი განსხვავებული ტერმინი შეექმნას. უკვე ის გარემოება, რომ მახას ხუთივე სახელი სრულებით გარკვეული და განსხვავებული ნიშნის გამომხატველია (წვრილი მახა, ფართე შ., ფიცარა შ., ჩელტა (ე. ი. ლასტის მსგავსი) შ., კენტეხელა შ.), უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შეუძლებელია აქ შემთხვევით სახელებთან გვექნდეს საქმე. მთავარი უწრადლება უნდა იმას მიექცეს, თუ პურჯულის რომელი ნაწილის, თავთავის, თავთუნის, მარცვლის, თუ სხვა რამის) დამახასიათებელია მახას ზემოაღნიშნული ხუთი სახეობის სახელი. ამ გარემოების გამორკვევა თვით მთავარი საკითხის გადაწყვეტასაც საგრძნობლად გააადვილებს.

„მახა“-ს, ანუ ორმარცვლიანი ასლის ცნობილ ფორმებს, *Tr. dicocum v. rufum* Schöbl. და *v. farrum* Bayle-ს გარდა, ლეჩხუმში აღმოჩენილია ლ. დე-კაპრელევიჩისა ტ. ვლ. მენაბდის მიერ *Tr. dic. Schrank. v. palaeoime-*

riticum შემოდგომის ფორმა, Tr. dic. Schrank. var. sucmajus Körn. და ვალ. სუპატაშვილის მიერ ს. აღვში ნაპოვნი Tr. dicocum v. agvidum (forma nova) Supataschvili (იხ. ლეჩხუმის მაზრ. ასლები: ექსპერიმ. აგრონ. ინსტ. მოამბე, 1929 წ. 1, 90—91).

ს. ორბელიანის ხორბლეულთაგან დასახელებული და თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს „ზანდური“-ც. მაგრამ ამ პურეულის განმარტებითგან ცხადი ხდება, რომ ზანდური თვით საბას ალბათ პირადად ნანახი არ უნდა ჰქონდეს. მხოლოდ ამ გარემოებით თუ შეიძლება აიხსნას ის შეცდომა, რომელიც მას თავის განმარტებაში მოსვლია. სწორედ უცნაურია, რომ ს. ორბელიანის განმარტებით თითქოს „ზანდური თათუხი“ უნდა იყოს (ლექსიკ.) და „თათუხი ზანდური“ (იქვე).

ამ განმარტებაში რომ უშუბხევეით შეცდომასთან არა გვაქვს საქმე, არამედ ქართველ ლექსიკოგრაფს ამ პურეულის შესახებ მართლაც ბუნდოვანი და მცდარი წარმოდგენა ჰქონია, ანაჲს ის გარემოებაც ააშკარავებს, რომ ამ თავის აზრს რამდენჯერმე იმეორებს. მაგ. ს. ორბელიანის განმარტებით „სამინდოლი ბერძულია“ და ამას „ქართულად ზანდური ჰქვან, რომელ არს თათუხი“-ო (ლექსიკ.). თვით თათუხის განმარტებაშიც საბას ნათქვამი აქვს: „თათუხი ზანდური, სამინდალი“ არისო (ლექსიკ.).

ქართველი ლექსიკოგრაფის სიტყვით „სამინდო არს ზანდურის ფქვილი, რომელ არს კლარჩი წურილად გაცრილი“-ო და ამის საბუთად ესაიას 1, აქვს დასახელებული (ლექსიკ.). აღნიშნულ ადგილას „სამინდო“-კი არის, მაგრამ ზემომოყვანილი განმარტების მთელი დანაჩენი ნაწილი თვით ს. ორბელიანის სიტყვები ყოფილა.

პირველი სრულებით გარკვეული ცნობა ზანდურის ბოტანიკურ რაობაზე აკად. გვლდენშტედტს მოეპოვება. მისი ნაშრომის დაბეჭდილ გამოცემაში, უმკველია, კორექტურული შეცდომის გამო, ამ პურეულის ქართული სახელი „ზანდური“-ს მაგიერ ერთხელ „ზონდერ“-ად (I, 291), მეორეჯერ (I, 399) „ზარდურ“-ად არის დაბეჭდილი.

გერმანელ მეცნიერს ნათქვამი აქვს, რომ ქვემო რაქაში უფრო ნაკლებად სთესენ Triticum monococum-ს, ე. ი. ერთმარცვლიანას, რომელსაც იმერეთში ზანდური ეწოდებო (Reisen I, 399).

მე-XVIII ს. ზემომოყვანილი პირველი ბოტანიკური რაობის განსაზღვრის შემდგომ, „ზანდურ“-საც მხოლოდ მე-XX ს. მესამე ათეულში მიაქციეს მკვლევარებმა ყურადღება. მაგრამ ამ დროითგან მოყოლებული „ზანდური“-ს ბოტანიკური რაობა სხვანაირად იქმნა განსაზღვრული.

პროფ. პ. ეუკოვსკის ქართლში, ხაშურ-მოხისის მიდამოებში 1922 წ. ნანახი აქვს Trit. dicoc. dicocoides Körn. ახალი ფორმა, რომელსაც ეწოდა Tr. dicocum v. Timopheevi Zhuk. ეს ხორბლეული რაქასა და ლეჩხუმშიც არის გავრცელებული და ვალ. სუპატაშვილის სიტყვით, „ლეჩხუმელი

1 „noch weniger aber Triticum monococum (georg. Sonderl) gebaut“, — „Sparsamer säen Triticum monococum (sic), Imer. Sarduri (sic), der schönes, weisses Brod geben soll“ (Reisen I, 291 და 393).

იქნობს ამ ხორბალს, როგორც კულტურულ და გაზაფხულის ფორმას „ზანდურისა სახელწოდებით“ (Л. Л. Декапрелевич и В. Л. Менабде. К. изучению полевых культур Западной Грузии I. Рача. ტფილისი 1929 წ. ამონაბეჭდი საქ. ტფ. ბოტან. ბაღის მოამბის VI წიგნივან., გვ. 232. ვალ. სუპატაშვილი, „ლეჩხუმის მზარის ასლები“ ი. ლომოურის წინასიტყვაობით: ექსპერიმენტალ აგრონომიის ინსტიტუტის მოამბე I, 1929 წ., გვ. 87—88).

რაქის ს. პატარა ონში ლ. დეკაპრელევიჩსა და ე. მენაბდეს ნაპოვნი აქვთ *Tr. dicocum Schrank*-ის ახალი სახეობა, რომელსაც მათ უწოდეს *Tr. dicoc. georgicum Dekapr. et Menabde* (К изуч. полев. культ. Зап. Грузии I, 234). ეს სახეობა ნათესებში იშვიათ შენარეეს წარმოადგენს.

გ. აბესაძეს განხილული აქვს ამ ჯიშის თვისებები და მასში ორმარცვლიანასა და ერთმარცვლიანას თვისებებს პოულობს, ამიტომ ჰიბრიდად მიაჩნია (იხ. „ხორბლის ახალი სახის *Tr. Timopheevi Zhuk.*-სა და საქართველოში მისი გავრცელების შესახებ“: ცალკე ამონაბეჭდის გვ. 63—68).

ამგვარად, აკად. გვლდენშტედტის 1773 წლის ცნობით, დასავლეთ საქართველოში ზანდურს *Triticum monococum*-ს, ანუ ერთმარცვლიანს უწოდებდნენ, ვალ. სუპატაშვილის 1929 წ. ცნობით-კი ზანდური პირიქით *Triticum dicocum*-ის, ანუ ორმარცვლიანის აღმნიშვნელი ადგილობრივი ქართული ტერმინია.

გამოსარკვევია, რომელი ამ ორი სხვადასხვა დროის ცნობათაგანი უნდა იყოს სწორე და როგორ უნდა აიხსნას ამ ცნობათა შორის არსებული წინააღმდეგობა.

საკმარისია გავიხსენოთ თვით ვალ. სუპატაშვილის აცე შემომოყვანილი ცნობა (იხ. აქვე, გვ. 359), რომ ლეჩხუმის ადგილობრივი მოსახლეობა ყველა *dicocum*-ებს, ორმარცვლიანებს, მახას უწოდებს, რომ უმალ ამავე ავტორის მეორე ცნობამ, რომ *Tr. dicocum v. Timopheevi-Zhuk.*, ე. ი. ორმარცვლიანას, იმავე ლეჩხუმში ზანდური ეწოდება, თავისი უცილობლობა დაკარგოს. გამოდის, რომ ქართველ მიწისმოქმედს ორი განსხვავებული სახელი შეუქმნია ორმარცვლიანასლისთვის იმ დროს, როდესაც ერთმარცვლიანასთვის სახელი სრულებით არ გააჩნია. ეს ძნელი დასაჯერებელია.

ამ ეჭვს აძლიერებს აკად. გვლდენშტედტ-ის 1773 წ. სრულებით მკაფიო ცნობა, რომ ერთმარცვლიანას, *Tr. monococum*-ს დასავლეთ საქართველოში და საერთოდ ქართულად ზანდური ეწოდებოდა. ამ მოწმობის შეფასების დროს უნდა გათვალისწინებული გვექნდეს, რომ აკად. გვლდენშტედტი განათლებით ბუნებისმეტყველო და მკურნალი იყო და რომ ამიტომ მისი ბოტანიკური განსაზღვრა, არასპეციალისტის ცნობის მსგავსად, შეუძლებელია საცქვოდ იქმნეს მიჩნეული. ამიტომ გერმანელი მეცნიერის მოწმობა სწორე ცნობად უნდა მივიჩნიოთ და დავასკვნათ, რომ მე-XVIII ს. *Triticum monococum*-ს ქართულად ზანდური სწოდებია.

ეს დასკვნა რომ მცდარი არ არის, ამის დასადასტურებლად, ზემოაღნიშნულს გარდა, იმ გარემოების დასახელებაც შეიძლება, რომ ამის კვალი ლეჩხუმში ეხლაც, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, დღევანდლამდისაც შერჩენილი ყოფილა. ამიტომ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ორმარცვლიანას და ერთმარცვლიანას სახელების არევა სულ უკანასკნელი დროის ამბავი უნდა იყოს და ამის შესაძლებელი მიზეზის გამოარკვევაც ძნელი საქმე არ არის.

ვალ. სუპატაშვილს აღნიშნული აქვს, რომ ლეჩხუმში *ჩხანდურა*-თან ერთად ნარევის სახით თითქმის მუდამ გვხვდება *Tr. monococcum L.*, რომელიც, როგორც ჩანს, ამ რაიონში წარმოადგენს მის ხშირ თანამგზავრს. მხოლოდ ერთხელ, სოფელ ლასკანას ახლოს, შეგვხვდა სუფთა ნათესად *Tr. monococcum v. Hornemanni Clem.* და მასში უკვე ნარევის სახით შესულია *Tr. Timopheevi v. viticulosum Zhuk.* და „შერია“-ო (ლეჩხუმის მაზრის ასლები: ექსპერიმ. აგრონ: ინსტ. მოამბე, 1929 წ. I, 90).

ამავე ავტორის სიტყვით „ლეჩხუმის მაზრის გლეხობა ამ ხორბალს (ე. ი. *Tr. monococcum v. Hornemanni Clem.*) იცნობს „გვაწა ზანდურის“ სახელწოდებით. უფრო იშვიათად ვიდრე *v. Hornemanni Clem.* გვხვდება აგრეთვე შეუბუსავი თეთრთავთავა *Trit. monococcum v. laetissimum Körn.* (იქვე, 90).

ვ. სუპატაშვილის ამ ცნობითგან ცხადი ხდება, რომ *Tr. monococcum v. Horn. Clem.*, ე. ი. ერთმარცვლიანას ეხლაც „ჩანდური“ ეწოდება. წინამთხვეული „გვაწა“, უქვევლია, ამ სახეობის ერთი თვისებათაგანის დამახასიათებელი უნდა იყოს. მაშასადამე, ლეჩხუმში ამჟამად მოიპოვება იმის დამამტკიცებელი ფაქტი, რომ ერთმარცვლიანას ქართულად მართლაც, როგორც აკად. გვლდენშტედტსაც ჰქონდა უკვე 1773 წ. აღნიშნული, ზანდური ეწოდებოდა. ორმარცვლიანას და ერთმარცვლიანას სახელებას არევა, ან უფრო სწორედ რომ ითქვას, ერთმარცვლიანას ნამდვილი სახელის შეცდომით ორმარცვლიანაზეც გადატანა, უქვევლია იმ გარემოების შედეგი უნდა იყოს, რომ ყანებშიც ორივე არეული ყოფილა.

ამგვარად, *Tr. monococcum*-ების, ანუ ერთმარცვლიანათა აღმნიშვნელ ქართულ ტერმინად უნდა ზანდური ვიცნათ, *Tr. dicoccum*-ებისა, ანუ ორმარცვლიანათა-კი მახა.

## § 12. ახლის გავრცელების არე

ასლების გავრცელების არე ამჟამად აღმოსავლეთ საქართველოში ზედმიწევნით ჯერ გამოარკვეული არ არის, მაგრამ ასლები გავრცელებულია როგორც დაბლობში, მაგ. ბორჩალოს სანახებში (იხ. ვ. მენაბდე, *М. из. г. хлеб. злак. Вост. Грузии*, 163—164), ისევე მაღლობ ადგილებშიც, როგორც მაგ. მანგლისის სანახებში (იქვე, გვ. 171), წალკა-თრიალეთის თემში, სადაც მის მოყვანას ყველგან მისდევენ ფართოდ (იქვე, 172), ბორჯომ-ბაკურიანის სანახებში (იქვე, 174) და ქართლის მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილში, ერწო-თიანეთსა და ფშავ-ხევსურეთში (იქვე,



176, 177) და უფრო დასავლეთით მდებარე თეებში, მაგ. ლიახვის ხეობაში (ნ. კეცხოველი, მასალები კულტ. მცენ. ზონალ., 58—59) და, უეჭველია, სხვაგანაც, რომელთაგან მავალითად შესაძლებელია მოხის-ხაშურის მიდამოები იყოს დასახლებული.

უხვად არის ასლი გაერცელებული დასავლეთ საქართველოშიც. მაგრამ თითქმის განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ ნაწილში, უმთავრესად-კი რაქასა და ლეჩუმში (იხ. აქვე, გვ. 359-362).

თუ ქსენოფონტეს ზემომოყვანილ ცნობას (იხ. აქვე, გვ. 358) გავიხსენებთ, რომლითგანაც ირკვევა, რომ ასლის კულტურა მე-IV ს. ქრ. წ. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროზე მცხოვრებ ქანებს შორისაც ფართოდ ყოფილა გაერცელებული, მაშინ ცხადი შეიქმნება, რომ ძველად ასლის თესვა-მოყვანა მთელ საქართველოში უნდა ყოფილიყო მიღებული და რომ მხოლოდ შემდეგში, დროთა განმავლობაში, მარცვლეულის ახალი კულტურის გაერცელების წყალობით, უნდა იყოს იგი საქართველოს ზოგიერთ თემში გამქრალი.

ასლის ორ მთავარ სახეობათა გაერცელების არეთა გამორკვევის თვალსაზრისით, საგულისხმო გარემოებაა, რომ ამ უმად აღმოს. საქართველოში უმთავრესად ორმარცვლიანა, *Tr. dicoccum*-ი, ანუ „მახა“-ა გაერცელებული (იხ. ვ. მენაბდე, *М. изуч. геогр. хл. знак. Вост. Грузин*, 164, 171, 172, 176 და 177 და ნ. კეცხოველი, მასალ. კულტ. მცენ. ზონალ., 58). ერთმარცვლიანა, *Tr. monococcum*-ი, ანუ „ზანდური“ იშვიათ შენარევს წარმოადგენს ნათესებში (ნ. კეცხოველი, იქვე, 58).

სამაგიეროდ დასაე. საქართველოში მახასთან, ანუ ორმარცვლიანასთან ერთად, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 360-362) „ზანდური“-ც, ანუ *Tr. monococcum*-ი, ერთმარცვლიანაც ფართოდ ყოფილა გაერცელებული, მეტად რეწინათ, მავალითად, მე-XVIII-ს-შიც-კი.

უეჭველია, ორმარცვლიანასა და ერთმარცვლიანას საქართველოში გაერცელების ამავე გეოგრაფიული მიზეზით უნდა აიხსნებოდეს, რომ საბა ორბელიანს, ვითარცა ქართლელს, ორმარცვლიანას, ანუ მახას რაობა კარგად სცოდნია და სრულებით ბუნდოვანი და მცდარი წარმოდგენა ჰქონდა ზანდურზე, ანუ ერთმარცვლიანაზე. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ორმარცვლიანა და ერთმარცვლიანა ასლების სახეობათა საქართველოში გეოგრაფიული გაერცელების სურათი მე-XVII-ს-შიც დაახლოვებით ეხლანდელის მსგავსი უნდა ყოფილიყო.

### § 13. ასლის თავისებურება და მისი გამოყენებადობა

სხვა ხორბლეულთან შედარებით ასლებს ბევრი განმასხვავებელი თავისებურება აქვს, რომლის წყალობითაც იგი სხვა ქვეყნების მსგავს ბედს გადაურჩა და იმ დროს, როდესაც სხვაგან უკვე ქრება, საქართველოში მის თესვა-მოყვანას მისდევნ. ამ გარემოების მიზეზის გასათვალისწინებლად უნდა ასლის თავისებურებას მოკლედ მიინც შევიხოთ.

აღსანიშნავია, რომ ერთმარცვლიანა ასლი, ანუ ზანდური, მეტად გვიანი პურეულია: იმ დროს, როდესაც სხვა პურეულები უკვე მომეილია, ზანდური ჯერ კიდევ მწვანეა ხოლმე. მაგრამ სამაგიეროდ მას ის დიდი ღირსება აქვს, რომ ყოველგვარ ნიადაგზე, თვით კირიანზეც-კი კარგად ხარობს (Л. Декапрелевич и В. Менабде, К изуч. пол. культ. Зап. Грузии, I, 233).

ზანდურის ეს თვისება, რა თქმა უნდა, ერთი იმ მიზეზთაგანი უნდა იყოს, რომლის გამოც ქართველი მიწისმოქმედი ამ პურეულს აფასებს და მის შოყვანას ეტანება. გარკვეულ აგრონომიულ პირობებში ასლის ეს თვისება ფასად-უღებელია.

ასლის მეორე ღირსებას ზანდურის მარცვლეულის ფქვილის განსაკუთრებული თვისებაც შეადგენს: დამკვირვებელთა ერთხმით მოწმობით ზანდურისგან თურმე საუცხოვო პური ცხვება. ამ მხრივ საყურადღებოა გერმანელი მეცნიერის ცნობა. 1772 წ. აკად. გვლდენ შტედტს ჰქონდა აღნიშნული, რომ ზანდურისაგან უთეთრესი პური ცხვებოდა (Reisen, I, 291 და 399).

ხოლო ვალ. სუპატაშვილსაც „მახას“ მაღალი ღირსება ადგილობრივი მსჯავრით დადასტურებული აქვს. მისი სიტყვით, „ცნობილია, რომ ასლისებური ხორბლები ეკუთვნიან უკვე მომაკვდავ კულტურას, მაგრამ ამ მაზრაში სიამოვნებიან მისდევნენ «ზანდურ»-ის (ნამდილად, როგორც დავრწმუნდით, „მახა“-ს) მოყვანას და დანარჩენ ასლისებურ ხორბლებთან შედარებით ფართე მოვლანიც აქვს დათმობილი. იქაურ მცხოვრებთა გადმოცემით, «ზანდური» (იგულისხმება „მახა“) იძლევა შესანიშნავ გემრიელ პურს, ცომს აქვს განსაკუთრებული არომატი, დიდ ხანსაც ინახება“-ო (იხ. „ლენინის მაზრის ასლები“: ექსპერ. აგრონ. ინსტ. მოამბე, 1929 წ. I, 88 შეად. აგრეთვე გ. აბესაძის ზემოდასახ. ნაშრომის გვ. 67 შენ.).

მაგრამ ზანდურისაგან მარტო პურს-კი არ აცხობენ, არამედ მისი მარცვლებისაგან „კორკოტ“-საც ჰხარშავენ, ფრინველსაც უყრიან საკენკად (Л. Декапрелевич и В. Менабде, К изуч. пол. культ. Зап. Грузии. I, 233).

ს. ორბელიანის განმარტებით „კორკოტი“ თითქოს „დანაყილი ხვარბალი“ (ლექსიკ.) უნდა იყოს. მაგრამ ნამდვილად-კი კან-გაცილილი ხორბალი იყო საგანგებოდ რძეში მოხარშულ-შემზადებული. ესლაც ზანდურისათვის რაქა-ლენინში განსაკუთრებულ საცხებელს ხმარობენ, რომელსაც „ჩაშური“ ეწოდება და რომელიც იქვე ღომის დასაცხებადაც იხმარება (Л. Декапрелевич и В. Менабде, К изучению полев. культ. Зап. Грузии I, 233).

ასეთი იარაღი გურიისშიც არის გავრცელებული, სადაც ორნაირი „ჩაშური“ არსებობს: ხელით სამუშაოც და „წყლის ჩაშური“-ც (იხ. ილ. ჭყონიას სიტყვის კონა). ეს იარაღი, „ოჩაშურე“-დ წოდებული, ქანეთშიც და სამეგრელოშიც აქვთ (ქ. გ. და მ. გ.).

„კორკოტ“ ახალი შემოდებული არ არის, არამედ ძველ საქართველოშიც საყვარელი საკმელი ყოფილა. გ. მერაბიშვილის ცნობით, გრ. ხანძთელს სიკვდილის წინ სწორედ კორკოტის ქამა მოუსურვებია: ქართულ მონასტრებშიც გარკვეულ დღეებში ბერებს საკმელად თურმე კორკოტს უყვებდნენ. ისტორიკოსის

სიტყვით, გაბრიელ მოძღვრის გარდმოცემით, გრ. ხანძთელმა „ვამსა სნეულებისა მისისასა, რომლითა გარდაიცვალა...“, მრქუა: „შვილო გაბრიელ, საოსტინგით ცხელი საკმელი კორკოტისაჲ მომართუ“ და მე „შევაგებე“, მოეხარა და მივართვიო (ც.ჲ გ.გლ ხნძთლსა, გვ. პბ). რაჲი კორკოტი ასეთი საყვარელი და სანუკვარი საკმელი ყოფილა და ასლისაგან კეთდებოდა, ამიტომ ასლს ძველად კორკოტის დასაშზადებლადაც უნდა ჰქონოდა მნიშვნელობა.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ასლის წუელს, ანუ ზალასაც, სხვა პურეულის ზალასთან შედარებით, უფრო მეტი სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ეხლაც. თუ ყველა სხვა ხორბლეულის წუელისაგან საქონლის გამოსაკვებად ბზესა ჰხმარობენ, ასლის სხვა მიზნით გამოყენებაც შეიძლება.

ამიტომ არის, რომ ზანდურის (ნამდვილად მახას) მოკრეფის განსაკუთრებული წესი არსებობს. ვალ. სუჰატა შვილის სიტყვით: „ზანდური“ იკრიფება „შნაკით“. „შნაკი“ ეს 20-30 სმ. სიგრძე და კალმისტარის სისხო ორი ერთმანეთთან მოძრავად ერთ თავში გადაბმული ჯოხია. ეს მარტივი ხელსაწყო თავისუფალ თავებში იშლება და თავთავები შეიკრიბება ჯოხის გასწვრივ ხელის მოკერით, შემდეგ ოდნავ გვერდზე გადაწვეით თავთავი ატყდება ძირში.

„ზანდური“ იკრიბება, როგორც იდგილობრივ აღნიშნავენ, „ოდოშად“. თავთავების მოკრეფის შემდეგ ღერო მინდვრად რჩება „მოუთხრელი“ 7-8 დღის განმავლობაში, შემდეგ სთხრიან მას და გრილ, ნესტიან დარში ჰკრავენ ძნებად და სახურავად ხმარობენო (იხ. „ლეჩხუმის მაზრის ასლები“: ექსპერიმენტ. აგრონ. ინსტ. მოამბე, 1929 წ. I, 88).

## § 14. თათუხი და ჩვენში მისი გაჩენის ხანა

თანამედროვე საქართველოში ხორბლეულთაგან საკმაოდ გავრცელებულია „თავთუხი“, მაგრამ მისი ხსენება არც დაბადების ქართულ თარგმანში ჩანს და არც რომელსამე სხვა ნათარგმნს, თუ ორიგინალურ ქართულ ძეგლში მე-XIII ს. დამდეგამდე, რომელიც ამ წინამდებარე წიგნის კვლევის საზღვარს შეადგენს.

ამაზე მეტის თქმაც შეიძლება: „თავთუხი“ არც მერმინდელი საუკუნეების ქართულ ძეგლებში გვხვდება. უფრო საყურადღებოა, რომ თვით ს. ორბელიანსაც, როგორც ჩანს, თავთუხის რაობა მაინც-და-მაინც ნათლად წარმოდგენილი არ უნდა ჰქონოდა.

საბაბს თავის ლექსიკონში ნათქვამი აქვს: „თათუხი ზანდური, სამინდალი“-ო. ხოლო „სამინდალის“ ქვეშე სწერია: „სამინდალი ბერძნულია, ქართულად ზანდური ჰქვან, რომელ არს თათუხი. მისი ფქვლი ვიეთთა სამინდოდ აღუწერიათ“-ო. თავისი მხრივ სამინდოც ასეა განმარტებული: „სამინდო არს ზანდურის ფქვლი, რომელ არს კლარჩი წურილად გაკრილი“-ო. ხოლო თვით „კლარჩი“ ყოფილა „კეთილი ფქვილი სამინდო“ (ლექსიკ.).

განმარტებათა სიუხვისდა მიუხედავად, თათუხის რაობა მაინც სრულებით გამორკვეული არ არის. ზემოშოყვანილი ამონაწერების მიხედვით მხოლოდ ორი დასკვნის გამოყვანა მაინც შეიძლება. პირველი. დასკვნა ამ მცენარის სახელს ეხება, მეორე ამ სახელის სადაურობას.

საბაას განმარტებითგან ცხადი ხდება, რომ ამ ხორბლეულის ეხლანდელი სახელი „თათუხი“ მისი პირვანდელი ფორმის მერმინდელ დამახინჯებას წარმოადგენს. მე-XVII ს. მეორე ნახევარში ამ პურეულს „თათუხი“ ჰრქმევია. „ე“ ბგერა მაშასადამე შემდეგშია ჩართულ-გაჩენილი.

რაკი ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს, საშინდალი ბერძნულია, ზანდური ქართული და თათუხის სადაურობაზე-კი სდუმს, უფლებმა გვაქვს დავასკვნათ, რომ პურეულის ამ სახელის სადაურობა გარკვევით არც თვით ლექსიკოგრაფს უნდა სცოდნოდა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მას თათუხის ქართულობის აზრიც-კი არ მოსვლია. უეჭველია, რომ „თათუხი“ ქართული სახელი არც უნდა იყოს. ხალხისათვის ეს სახელი გაუგებარი ყოფილა. მე-XVII ს-ის შემდგომ დროთა განმავლობაში ქართველი მიწისმოქმედი მის გააზრიანებას ცდილა და სწორედ ამის წყალობით „თათუხის“ მაგიერ „თათუხ“-ად უქცევია.

რაკი ქართული მწერლობის ძველ ძეგლებში თათუხი არ გვხვდება და ამ პურეულის თვით სახელიც ქართული არ არის, ამიტომ გამოსარკვევია ის ხანა, როდესაც ხორბლეულის ეს სახეობა საქართველოში უნდა შემოსული იყოს. ამ საკითხის სასურველი ზედმიწევნით გამოკრევევა ამჟამად არ შეგვიძლია. მხოლოდ, რაკი საბა ორბელიანს თათუხი თავის ლექსიკონში შეუტანია, ეს გარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მე-XVII ს. მეორე ნახევარში ეს პურეული საქართველოში უკვე შემოსული ყოფილა.

რაკი თათუხი უფრო ამერეთში, მეტადრე ყარაია-ბორჩალოშია გავრცელებული, ვიდრე იმიერ საქართველოში, ს. ორბელიანს, ვითარცა ქართლელს, სწორედ იმ თემის შვილს, სადაც უმთავრესად გაბატონებულია ამ ჯამად ეს პურეული, თათუხის თვისება კარგად უნდა სცოდნოდა. სახელოვან ლექსიკოგრაფს-კი, როგორც დავრწმუნდით, თათუხის რაობის ხეირიანი ცოდნა მაინც-და-მაინც არ ეტყობა. ამიტომ ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ეს ხორბლეული მის დროს ჯერ კიდევ ფართოდ არ უნდა ყოფილიყო საქართველოში გავრცელებული. თუ ეს მოსაზრება მკდარი არ არის, მაშინ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თათუხი ამ დროს ახალი კულტურა უნდა ყოფილიყო და ამისდა მიხედვით ეს პურეული დაახლოვებით მე-XVII ს. დამდეგს, ან ეგების ოდნავ ადრე იყოს ჩვენში გაჩენილი.

## § 15. თათუხის ბოტანიკური რაობა და სხვადასხვა სახეობა

რაკი „თათუხი“ საქართველოში გვიან შემოსული ხორბლეული გამოდგა, ვასაკვირველიც არაფერია, რომ მისი ხსენება არც დაბადების ქართულ თარგმანში მოიპოვება და არც სხვა რომელსამე ძველ ნათარგმნ ძეგლში. ეს გარემოება-კი საშუალებას არ გვაძლევს თათუხის ბერძნულ-ლათინური შესატყვისობა, იფქლისა, დიკისა და ასლის მსგავსად, ძველი ხანიდანვე გამოეარკვიოთ. მისი ხსენება არც აკად. გვლდენ შტედტ-სა აქვს და ამიტომ არც ამ გზით შეიძლება მე-XVIII ს-ისათვის მაინც მისი ბოტანიკური რაობის განსაზღვრა. ასეთ პირობებში ამ საკითხის გადასაწყვეტად, თანამედროვე მკვლევართაგან შეკრებილ ცნობებს გარდა, სხვა არავითარი მასალა არ არსებობს.

ნ. კეცხოველს თავის ნაშრომში „მასალები კულტურულ მცენარეთა ზონალობის შესასწავლად კავკასიონზე“ არსად ნათქვამი არა აქვს, თუ რას წარმოადგენს ბოტანიკურად ქართველ ხალხში გავრცელებული ტერმინი „თავთუხი“. მხოლოდ დამატებაში, რომელსაც სათაურად უწერია „კულტურულ მცენარეთა სია სიმალეთა აღნიშვნით“, 56 გვერდზე სწერია: *Tr. durum* Desf. v. *leucurum* Al. თავთუხი“ (იხ. § 14), ხოლო ორი უჯრედით უფრო ქვევით ნათქვამია: „*Tr. compactum* Host. v. *erinaceum* Desf. კონდარა, ჩაგვერა თავთუხი“ (იქვე, § 17). რას უწოდებს ქართველი მიწისმომკმედი *Tr. durum*-ის, ანუ ე. წ. მაგარი ხორბლეულის დანარჩენ სახეობას, ნ. კეცხოველს აღნიშნული არა აქვს და მისი მდუმარების მიხედვით საფიქრებელი იყო, თითქოს დანარჩენ ფორმებს ქართული სახელი არც ჰქონდეს. მაგრამ ასეთ აზრს ის გარემოება ხდიდა სათუოდ, რომ თვით ნ. კეცხოველის ცნობითგანაც „თავთუხი“ ზოგადი ხასიათის ტერმინად მოჩანდა. ამასვე გვაფიქრებინებდა თვით ნ. კეცხოველისგანვე *Tr. durum*, Desf. ანუ მაგარი ხორბლეულის v. *coerulescens* Desf.-ის დასახელებული ქართული ტერმინი „შავფხა“, რომელიც ნამდვილად პურეულის ამ სახეობის თვისების, სახელდობრ შავფხიანობის, განმსაზღვრელია და იმისი სრული სახელის პირველი, განმსაზღვრელი ნაწილის, შთაბეჭდილებას ახდენს.

ზემოვამოთქმული მოსაზრება ვ. მენაბდის ნაშრომით სრულებით მართლდება<sup>1</sup>, რომელშიც მაგარი პურეულის სახეობათა ქართული სახელები ისევე, როგორც თურქულ-„თათრული“-ც ჩაწერილია.

ვ. მენაბდის სიტყვით, მაგარ ხორბალს *Trit. durum* var. *leucurum* Al. ბორჩალოს დაბლობში „თეთრი თავთუხი“ ეწოდება. იქაური „თათრები“ მას თურმე „ალ-ბულდა“-ს უწოდებენ (ვ. მენაბდე, *Mat. geogr. ხლბ. злаков Восточной Грузии*, 162). რაკი ეს სახეობა მართლაც მოთეთროა და მის ბოტანიკურ სახელში, var. *leucurum*-ში, ეს თვისება აღბეჭდილია კიდევაც, ამიტომ მისი ქართული სახელიც ზედგამოკრილია და საუცხოვოდ უდგება. მაშასადამე, ნ. კეცხოველის ჩანაწერში ამ სახეობის ქართული ტერმინი სრულად არ ყოფილა წარმოდგენილი. ამ თეთრ თავთუხს ქართლში მარტივად „თავთუხი“-ც ეწოდება, (ნ. კეცხოველი, მასალები კულტ. მცენ. ზონალ., 56), ანდა კიდევ „ნამდვილი თავთუხი“ (მისივე ზეპირი ცნობა).

ვ. მენაბდესაცე სიტყვით, მაგარ ხორბალს *Trit. durum* var. *apulicum* Körn.-ეს-კი ბორჩალოს დაბლობში „თავთუხი შავფხა“ ეწოდება. იქაურივე „თათრები“ მას თურმე „ყარმეზ-ბულდა“-ს და „ყარა-კლჩხ“ ეძახიან (ვ. მენაბდე, *Mat. geogr. ხლბ. злаков Вост. Грузии*, 162).

ხოლო, ამავე მკვლევარის მოწმობით, იქვე ბორჩალოს დაბლობში „თავთუხი შავთაველა“ ეწოდება მაგარ ხორბალს *Trit. durum* var. *coerulescens* Bayle, ან წითელმარცვლიანა var. *libycum* Körn. რომელსაც იქაური „თათრები“ თურმე „ყარა-ბულდა“-ს, ან ყარა-კლჩხ-ს ეძახიან (ვ. მენაბდე, *Mat. geogr. ხლბ. злаков Вост. Грузии*, 162).

<sup>1</sup> ამ გარემოების შემდგომ ნ. კეცხოველსაც გამოვიკითხე და მანაც ქვემოთყვანილი დასკვნები დაადასტურა და ზოგიერთი ახალი ცნობაც გადმომცა სიტყვიერად, რისთვისაც დიდმადლობას მოვხსენებ.

ნ. კეცხოველის ცნობით-კი სვანეთში, რაქაში და ქართლში „შავ-  
ჭხა“-დ *Tr. durum Desf. v. coerulescens Desf.* იწოდება (მასალები კულტ.  
მცენ. ზონალ., 56). მისივე სიტყვიერი ცნობით „შავჭხა თავთუხა“-დაც არის  
ცნობილი, ისევე როგორც *Tr. durum v. libycum Körn.-ეც.*

ნ. კეცხოველის სიტყვიერი ცნობით *Tr. durum v. hordeiforme Host.*,  
რონელიც სვანეთსა და რაქაში გვხვდება (იხ. მასალები, 56), „წითელი თავთუ-  
ხი“-ს სახელით არიყ ცნობილი.

ამგვარად ვ. მენაბდესა და ნ. კეცხოველის ცნობათა შორის  
შეუთანხმებლობაა: პირველის სიტყვიით „თავთუხი შავჭხა“ *Tr. durum*,  
ანუ მაგარი ხორბლეულის *v. apulicum Körn.-ეს* სახეობის სახელია, მეორეს  
სიტყვიით-კი *v. coerulescens Desf. Bayle-ს* და *v. libycum Körn.-ეს* სახეობათა  
აღმნიშვნელია. მენაბდეს მოწმობით ამ ორსავე სახეობას თითქოს „თავ-  
თუხი შავთაველა“ უნდა ეწოდებოდეს.

ცნობათა ასეთი წინააღმდეგობის დროს სიმართლის გამოჩვენება ადგი-  
ლობრივი მრავალგზისი შემოწმების გარეშე, ძნელია, მაგრამ ზოგიერთი მოსა-  
ზრების გამოთქმა მაინც შეიძლება.

შემომოყვანილი ცნობების მიხედვით ერთი გარემოება უცილობელი დას-  
კენის სახით შეიძლება აღინიშნოს. როგორც „დოლის პური“ ქართულში  
*Tr. vulgare Vill.-ის*, ანუ ე. წ. რბილი პურეულის ზოგადი სახელია და „ასლი“  
*Tr. monococcum-ებისა* და *dicoccum-ების*, ანუ ერთმარცვლიანებისა და ორ-  
მარცვლიანების, ზოგადი ტერმინივე იყო და არის ეხლაც, ისევე „თავთუხი“,  
ანუ უფრო ძველი ფორმით „თათუხი“, მაგარი პურეულის  
*Tr. durum-ების* ზოგადი სახელივე არის<sup>1</sup>.

ვ. მენაბდესა და ნ. კეცხოველის ცნობათა გარჩევის დროს უნდა  
შემდეგ მოსაზრებას გაეწიოს ანგარიში.

ცნობილია, რომ აღმოს. საქართველოში პურეულის თავთავს არასდროს  
თაველს არ უწოდებენ. როგორც თავის ადგილას აღნიშნული გვექონდა (იხ.  
აქვე, გვ. 3+2), უკანასკნელი ტერმინი ფეტენაირ მცენარეთა თავთავის აღმნიშ-  
ვნელი ტერმინი იყო ძველად და ასეთივე მნიშვნელობა შერჩენილი აქვს მას  
ამერეთში ეხლაც. ამ გარემოების გამო ვ. მენაბდეს ცნობა, თითქოს ბორ-  
ჩალოს დაბლობში, ე. ი. ქვემო-ქართლელთა შორის, ტერმინად „თავთუხი შავ-  
თაველა“ ყოფილიყოს მიღებული, დაუჯერებელია, ან და იმერეთითგან გადმო-  
სახლებულთა შორის უნდა იყოს გავრცელებული. ნ. კეცხოველის ცნობა  
ამ მხრივ სინამდვილეს უფრო უნდა შეეფერებოდეს.

მაგრამ, თუ ვ. მენაბდეს ცნობა ამ შემთხვევაში მცდარია, და ამის  
გამო მისი გამოყენება არ შეიძლება, ამ ცნობის მაგიერ რომ ნ. კეცხოველის  
ცნობა ვამჯობინოთ, მაშინ გამოვა, რომ მაგარი ხორბლეულის სამსავე სახეობას,

<sup>1</sup> ეს გარემოება თითქოს ვ. მენაბდესაც უნდა ქონდეს შემჩნეული. ერთგან მაინც მას  
ნათქვამი აქვს: „С целью очистки от примесей мягких, твердые пшеницы (таврине)  
временами высеваются весной“ (Мгхლაკ. Вост. Грузин, 166), მაგრამ ეს მკაფიოდ არ-  
სად აღნიშნული არ არის.

ე. ი. v. apulicum, Körn.-ს. v. coerulescens Desf. Bayle-ს და v. libycum Körn.-ს ქართულად მხოლოდ ერთი სახელი, თავთუხი შეეფხა, ანდა შეეფხა თავთუხი ჰქონია. ასეთი შედეგი-კი საკითხს, თუ არ ართულებს, არას შევლის მინც.

ნაწილობრივ საქმის გაადვილება შეეძლო ამ პურეულის ბორჩალოელ „თათართა“ შორის გავრცელებულ სახელებს, აქაც რომ ხელთ სრული ცნობები გვექონდეს, რის თქმა სამწუხაროდ ამ ქამად შეუძლებელია. მინც საყურადღებოა, რომ Tr. durum v. apulicum Körn.-ს, ვ. მენაბდის ცნობით, შეეფხა თავთუხად წოდებულს „თათრები“ თურმე ორ სახელს უწოდებენ: „ყარმზხედულდა“-ს, ანუ „წითელ პურს“ და „ყარა ჯღრჩხ“-ს, ანუ „შეფხას“. ხოლო Tr. durum Desf. v. coerulescens Desf. Bayle-სა და v. libycum Körn.-ესაც ორი ერთი-და-იგივე სახელი ჰქვინა: „ყარა ბულდა“, ანუ „შავი პური“ ღ „ყარა ყლჩყ“, ანუ „შეფხა“.

აღმოსავლეთ კავკასიაში წინათ შეკრებილი ცნობებითგან ჩანს, რომ ვ. მენაბდეს ჩანაწერი სრული არ უნდა იყოს, მაგრამ თუმცა წინანდელი ცნობები უფრო სრულია, სამაგიეროდ სრულებით ზერელეა, იმდენად რომ პურეულის არც ერთი სახეობის შესახებ, რომელთა თურქულ-„თათრული“ სახელებიც მოყვანილი არის, ბოტანიკურ რაობაზე სრულებით არაფერია ნათქვამი. ასეთ პირობებში ცნობათა სისრულეს ღირებულება თითქმის ეკარგება.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გლეხების ეკონომიური ვითარების შემსწავლელთა სიტყვით, განჯის მაზრაში ბარში ხორბლის შემდეგი ჯიშები იყო გავრცელებული: ყარა-ყლჩხ (кара-кльчх) ე. ი. შეფხა, სარი-ბულდა (сары-булда) ანუ „ყვითელი პური“ და უფრო იშვიათად „გვრგვანი“ (гор-грянь). პირიქით მთაში სწორედ შემოდგომის „გვრგვანი“-ა გავრცელებულია (ნ. აბელიძე, МИЭБГКЗК VII, 81-82 და 83).

ვაზაფხულის ხორბალს ზანგეზურელი სომხები ფარსანჯი „გარანანი“-ს ეძახიან, „თათრები“ კიდევ კოლჯი „მაზლუხ“-ს, რაც ვაზაფხულისას ჰნიშნავს. შემოდგომის ხორბალს იგივენი კოლჯი „გვზლუხ“-ს უწოდებენ. შემოდგომის პურეული ორნაირია: „გვრგვანი“ და „ზარდა“, ანუ „სარქ-ბულდა“.

„ზარდა“, ანუ „სარქ-ბულდა“ ზანგეზურში ჯებრაილის მაზრითგან ყოფილა შეტანილი და მხოლოდ ორ სოფელში, საფიან-სა და ხარარ-ში, უთესიათ. მას სხვილი მარცვალი ჰქონია და ყვითელი კილი, რომელიც მეორე და მესამე წელიწადს წითლდება.

ფხის ფერისდა მიხედვით „ზარდა“ სამნაირია: „ყარა-ყლჩხ“ („кара-кльчх“), რაც, ქართულად რომ გადმოვთარგმნოთ, „შეფხა“-ს უდრის, — „ყარმზხ-ყლჩხ“ („кормзх-кльчх“), ანუ „წითელი-ფხა“ და „ალ-ყლჩხ“ („ал-кльчх“), ე. ი. „თეთრფხა“ (ს. ზელინსკი, МИЭБГКЗК IV, 84-85).

ამავე ავტორის ცნობით, გარეგნულად „გვრგვანი“ თეთრ-თავთავიანდა და წითელ-თავთავიანად იყოფება. მარცვალი-კი ორივეს მოწითანო აქვს (იქვე). ვ. მენაბდეს სიტყვიერი ცნობით, „გვრგვანი“ თურქ-„თათრებს“ დოლის პურის აღსანიშნავად ჰქონიათ.

ავტორთა ზემომოყვანილი ცნობებითგან ცხადი ხდება, რომ ქართველთა მეზობლები, აღერებჯ. თურქებიც პურულს ფერის მიხედვით ჰყოფენ ჯგუფებად და საფუძვლად ან თავთავის, ან ფხის ფერია მიღებული. ამისდა გვარად მათ აქვთ ყვითელი პურის, წითელი პურისა ო შავი პურის სახელები. ფხის ფერისდა მიხედვით-კი არჩევენ თეთრფხას, წითელფხასა და შავფხას.

რა თქმა უნდა, რაკი მათი ბოტანიკური შესატყვისობა გამორკვეული და აღნიშნული არ არის, ამ ტერმინების რეალური მნიშვნელობაც გამორკვეველი რჩება. მაგრამ მთელი ზემომოყვანილი მასალა უფლებას გვაძლევს იმედი ექონიოთ, რომ თავთუხის შესახებ ყველა არსებული ცნობა, მათ სახეობათა ადგილობრივი ყველა სახელი თვითეულ შემთხვევაში ბოტანიკური რაობის ზედმიწევნითი აღნიშვნით რომ შეკრებილი იყოს, საკითხის გადაწყვეტა ამ შემთხვევაშიც არ გაძნელებოდა.

## § 16. თავთუხის გავრცელების არე

თანამედროვე საქართველოშიც-კი ყველა სხვა ხორბლეულზე ნაკლებ თავთუხია გავრცელებული. იგი უმთავრესად ყარაია-ბორჩალოს სანახებშია გაბატონებული, მეტადრე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე და ბორჩალოს ველზე. იქ ყანების 90-95%, ზოგან 100%-იც-კი თავთუხით არის ხოლმე დათესილი (ვ. მენაბდე, Мгхლ. Вост. Грузии გვ. 162).

ტფილისის სანახებში თავთუხების ნათესები უკვე მცირდება, რათგან აქ უპირატესობა დოლისპურსა აქვს მოპოვებული. ამასთანავე თეთრი თავთუხი უკვე ავკალა-მცხეთის სანახებში სულ უფრო და უფრო იშვიათი ხდება, შავფხა თავთუხი-კი უფრო ხშირია (ვ. მენაბდე, იქვე, 165).

ნანგლის-ბაშქიჩეთის თემებში მაგარი ხორბლეული თავთუხების არე და ნათესები საგრძობლად მცირდება და უპირატესობა რბილ ჯიშს. დოლისპურსა და დიკას ენიჭება, ჩნდება აგრეთვე *Trit. dicoccum* Schrank. თავთუხების გავრცელების არეს საზღვრად ოფრეთ-დმანისის ხაზია, რომლის იქით ქრება (ვ. მენაბდე, Мгхლ. Вост. Грузии, 170).

მანგლის-ბაშქიჩეთის თემებში ოფრეთ-დმანისის ხაზამდე გავრცელებულ თავთუხითგან უმთავრესად „თეთრი თავთუხი“-ა (*Trit. durum* var. *leucurum* Al.) გაბატონებული და „თავთუხი შავფხა“ (*Tr. durum* v. *apulicum* Körn.) აქა-იქ მოიპოვება (ვ. მენაბდე, Мгхლ. Вост. Грузии, 170).

ქართლის ყანებში მაგარ ხორბლეულთაგან ამ ეამად მხოლოდ ორი სახეობაა გავრცელებული: 1. „თავთუხი შავ-თაველა“ უმთავრესად *Trit. durum* v. *coerulescens* Bayle რომელსაც ნამდვილ სახელად უნდა „შავი თავთუხი“ ერქვას, და უფრო ნაკლებ var. *libycum* Körn და „თავთუხი შავ-ფხა“ *Trit. durum* var. *apulicum* Körn. (ვ. მენაბდე, Мгхლ. Вост. Грузии, 168).

ამ ეამად მინც ქართლის ყანებში „თეთრი თავთუხის“ *Trit. durum* var. *leucurum* Al. წმინდა ნათესები არ მოიპოვება (ვ. მენაბდე, Мгхლ. Вост. Грузии, 167—168).



წალკა-თრიალეთისა და ბორჯომ-ბაკურიანის თემებში თავთუხი საყა-  
ნურებში იშვიათად გვხვდება (იქვე, 171—2 და 173). შტკერის ჩრდილოეთით  
მდებარე ქართლის ბარის არეში თუ თავთუხი კიდევ მოიპოვება, ერწო-თიანეთსა  
და ფშავში მაგარი ხორბლეულის ნათესები აღარსად არის (იქვე, 175—176).

დასავლეთ საქართველოში თავთუხი საერთოდ ნაკლებად გვხვდება იქა-  
სადაც ხორბლეულის კულტურა კარგად არის შეჩვენული. მაგ. თავთუხი რაჭაში  
ნაკლებად არის გავრცელებული და უფრო ქვემო რაჭაში სთესენ, მაგრამ აქა-  
იქ 1000 მეტრის სიმაღლემდე, მაგ. ს. ჭელია-ლელემდეც აღწევს. მხოლოდ თავთუხის  
აქაური ნათესები წმინდაა და 100%-ით ერთი-და-იმევე ჯიშისა და სახეობის  
თესლს წარმოადგენენ, ავღრიანობისდა მიუხედავად სოკოებითაც დაუზიანებ-  
ლია. მაგრამ საერთოდ საქართველოში ცნობილ თავთუხის 15 სახესხვაობათაგან  
რაჭაში მხოლოდ 5 სახეობა მოიპოვება, სახელდობრ *coerulescens* Beyle,  
*libycum* Körn., *hordeiforme* Al., *apulicum* Körn. და *leucurum* Al. რაჭაში  
გავრცელებული თავთუხების სახეობათა ასეთი სიმცირე ლ. დეკაპრელე-  
ვიჩსა და ვ. მენაბდეს აფიქრებინებთ, რომ შესაძლებელია თავთუხი რა-  
ჭაში დიდი ხნის შეტანილი ხორბლეული არ იყეს (К изучению полевых куль-  
тур Зап. Грузии, I, 232), რაც სრული ჭეშმარიტებაა.

სენომოხეიანილი მიმოხილვითგან ნათელი ხდება, რომ თავთუხი გავრცელებუ-  
ლობის მხრივ საქართველოში ევრც დოლისპურსა და ვერც დიკას ვერ შეედრება.  
მისი ბატონობის არე საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის უკიდურესი სანა-  
პირო თემია. იქითგან მოყოლებული, როგორც დასავლეთის, ისევე ჩრდილოეთის  
მიმართულებით მისი გავრცელებულობა თანდათან მცირდება და ზემოაღნიშნულ  
ხაზებს სვეით არულებით ქრება კიდევაც. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ სახელი  
„თათუხი“ ქართულში ძალიან გვიან ჩნდება, მაშინ ბუნებრივად დაგვებადება აზ-  
რი, რომ ჰურეულის მაგარი ჯიში საქართველოში უცხო,  
გვიანი და, როგორც საფიქრებელია, სამხრეთ-აღმოსავლეთითგან  
შემოსული სტუმარი უნდა იყოს.

## დავნი მართხი. ჩრთილუული

### § 1. ქრთილუულის შედგენილობა და მის შესახები ზოგადი ცნობები საქართველოში

აღამიანის საკვებ მცენარეთაგან, ხორბლეულს შემდგომ, მთავარი მნიშვნე-  
ლობა ჰქონდა „ქრთილსა“ და „ქერს“, რომელთა საერთო, ზოგად სახე-  
ლად ვახუშტს „ქრთილნი“ აქვს ნახმარი. ხოლო რაკი ასეთი მრ. რ. ფორ-  
მის ზოგად ტერმინად ხმარება უხერხულია, ამიტომ, „ხორბლეული“-სა და „ჰუ-  
რეული“-ს მსგავსად, ზოგად ტერმინად „ქრთილუული“-ს შემოღება ემჯობინება.

ქრთილი და ქერი ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებშივე გვხვდება,  
მაგრამ ამაზე უწინარესაც, უხსოვარ დროითგან ამ მცენარეთა კულტურა ქარ-  
თაიომა ხაოხმა იყოდა.

„ქრთილი“ (გამოსლეთაჲ 9<sub>31-33</sub>, მსაგულთაჲ 7<sub>13</sub>, იობისი 31<sub>40</sub>, ესაიაჲსი 28<sub>31-33</sub>) ბევრგან გვხვდება: სეტყვისაგან „სელი და ქრთილი იგუემა, რამეთუ ქრთილი წარმოდგომილ იყო“-ო (გამოსლ. 9<sub>31</sub>). ეს ტერმინი ბერძნული ტექსტის ἡ ἀραιή-ს უდრის, ლათინურს hordeum-ს და სომხურს *ყაყჩ*-ს.

„ქერა“ (2 მეფეთა 17<sub>38</sub>, 21, და ბევრგან სხვაგანაც) დაბადების თარგმანის მიხედვით იმავე ბერძნული ἡ ἀραιή-ს, ლათინური hordeum-ისა და სომხური *ყაყჩ*-ის შესატყვისობა გამოდის.

ამგვარად, ქრთილიცა და ქერიც ერთი-და-იმავე მცენარის, hordeum-ის სახელია, ანუ ქრთილიც იგივე ქერი ყოფილა. ქართული ტერმინების ეს სიუხვე საგულისხმზოა. ს. ორბელიანს ამ შემთხვევაშიც მათ შორის არსებული მნიშვნელობის ერთგვარი განსხვავება დასახელებული აქვს და განმარტავს, რომ „გაზაფხულის ნათესს ქერი ეწოდების, ხოლო შემოდგომისას ქრთილი“-ო (ლექსიკ.).

ძნელი დასაჯერებელია, რომ დათესვის დროის განსხვავებისათვის ერთი-და-იმავე მცენარისათვის ორი განსაკუთრებული სახელი დაერქვათ. ამიტომ საფიქრებელია, რომ ქრთილი და ქერი თავდაპირველად მინც hordeum-ის ორი განსხვავებული ჯიშის სახელები უნდა ყოფილიყვნენ. ამას ის გარემოებაც გვაფიქრებინებს, რომ ქრთილი შემოდგომას ითესებოდა, ქერი-კი გაზაფხულზე.

ცხადია, ერთი მათგანი ჩვეულებრივ ჯიშს უნდა წარმოადგენდეს, მეორე სწრაფს. ამასთანავე ერთი მათგანი hordeum-ის უძველესი კულტურა უნდა იყოს, მეორე შედარებით მერმინდელად უნდა მივიჩნიოთ.

ქრთილეულის კულტურა საქართველოში რომ მართლა ქრონოლოგიური ნიშანის მიხედვითაც განსხვავდებოდა, ამის დამამტკიცებელი საბუთი ეზღაც არის ხალხში შეჩვენილი. თანამედროვე საქართველოშიც ქართველი მიწისმოქმედი, სადაურიც არ უნდა იყოს იგი, ლიხთიმეერი, თუ ლიხთამეერი, ქერს ორ მთავარ ჯგუფად ჰყოფს. ერთს იგი „ძველ-თხელი ქერი“-ს სახელს უწოდებს, მეორეს კიდევ „ახალ-თხელი“ ჰქვია (იხ. ნ. კეცხოველის, შასალები, კულტ. მცენ. ზონალ., 59, და ე. მენაბდეს, Мгхзлаიკ. Вост. Грузии, 169 და 176).

ეზლა საქმე ქრთილეულის ბოტანიკური რაობისა და საქართველოში გავრცელებული სხვადასხვა სახეობის გამორკვევა საჭირო.

## § 2. ქრთილეულის სხვადასხვა სახეობა საქართველოში და ბოტანიკური რაობა

ქერის ბოტანიკური რაობა ადვილი გამოსარკვევია, რათგან ეს ტერმინი უძველეს დროითგან დღევანდლამდე იხმარება. ქრთილის შესახებ-კი ამის თქმა შეუძლებელია: თუმცა უძველეს ძეგლებში ეს სახელიც გვხვდება და მე-XIII—XV ს. ს-ის საბუთებშიც მოიპოვება, მაგრამ მე-XVII ს. უკვე იშვიათად-ლა თუ ამოიკითხავს სადმე ადამიანი. საბას და ვახტანგ VI-ესაც აქვთ თავიანთ ნაშრომებში, მაგრამ ამ დროს ქრთილს უკვე ფართო ასპარეზი აღარ უჩანს. საყურადღებოა, რომ არც გვლდენ შტედტ-სა და არც კლაპროთს არც ეს მცენარე, არც

სიტყვა არსად დასახელებული არა აქვთ. ყველა ამ გარემოებასთან ერთად ქართლის ბოტანიკური რაობის გამორკვევა იმიტომაც უფრო ძნელდება, რომ არც ერთ თანამედროვე მკვლევარს აზრად არ მოსულია, გამოერკვია, შერჩენილია, თუ არა ეხლაც სადმე საქართველოში „ქრთილი“ და, თუ შერჩენილია, რას წარმოადგენს იგი ბოტანიკურად?

თანამედროვე ქართველი მიწისმოქმედი თითქოს მხოლოდ-ღა „ქერსა“ ხმარობს ტერმინად და მის სხვადასხვა სახეობათა აღსანიშნავად ამ სახელს მარტო განსხვავების დამახასიათებელ რაიმე სიტყვას უმატებს ხოლმე.

ქართველი ხალხი „ძველთესლი ქერი“-ს სახელს უწოდებს *Hordeum tetrastichum* L. var. *pallidum* Ser., რომელიც სვანეთს, რაქას, ლიახვის ხეობაში და თუშეთშიც ითვისება (იხ. ნ. კეცხოველის, მასალები კულტ. მცენ. ზონალ, 59). ამ თეთრ სახეობას თავთავი მოყვითანო, ჩალის-ფერი აქვს (დეკაპრელევიჩ და მენაბდე, К изуч. полев. культ. Зап. Грузии, I, 237).

ვ. მენაბდეს სიტყვითაც ქართლში „ძველი თესლი“ *Hordeum sativum polystichum* Döll-ის ქერის აღსანიშნავად იხმარება. სადაც უმთავრესად გავრცელებულია val. *pallidum* Ser. ხოლო *nigrum* Willd. იზვიათად (ვ. მენაბდე, Мгхзлак. Вост. Грузии, 169).

მაგრამ ამავე ავტორის ცნობით ერწო-თიანეთსა და ქვემო ფშავში *Hordeum sativum polystichum* Döll-ს „ჩაჩაღი ქერი“ ეწოდება, უფრო კი იქ გავრცელებულია v. *pallidum aesitym* Reg. (ვ. მენაბდე, Мгхзлак. Вост. Грузии, 176 და 177).

*Hordeum tetrastichum* L. v. *nigrum* Willd.-ს კი, რომელიც ენგურისა, რიონისა და ლიახვის ხეობებშია გავრცელებული, ქართულად „ძველთესლ შავფხა“-ს ეწახიან (ნ. კეცხოველი, მასალები კულტ. მცენ. ზონალ., 59).

ხოლო ლ. დეკაპრელევიჩისა და ვ. მენაბდეს ცნობით ოთხმწკრივა ქერს *H. vulgare pallidum* Ser. და *nigrum* Willd.-ს, რაქაში „კობერი ქერი“ („კობერი კერი“) ეწოდება (К изуч. полев. культ. Зап. Грузии, I, Пача, გვ. 237).

„ახალი თესლი“ ქართლში „ორმწკრივა“ ქერს *Hordeum distichum* L.-ს უწოდებენ, რომლის var. *nutans* Schübl. სქარბობს ნათესებში (ვ. მენაბდე, Мгхзлак. Вост. Грузии, 169).

ნ. კეცხოველის ცნობითაც *Hordeum distichum* L. v. *nutans* Schübl., ქართულად „ქერი“-სა, ანუ „ახალთესლი“-ს სახელით ცნობილი, გავრცელებულია სვანეთში, რაქაში, ლიახვის ხეობასა და თუშეთშიც („მასალები კულტ. მცენ. ზონალ., 59).

ერწო-თიანეთსა და ქვემო ფშავში-კი „ახალ-თესლ“-ს გარდა, *Hordeum distichum* v. *nutans* Schübl.-ს, რომელიც ქერის ნათესებში უმთავრესად სქარბობს, აგრეთვე „მარტივი ქერი“-ც ეწოდება. (ვ. მენაბდე, Мгхзлак. Вост. Грузии, 176).

ქერის ორი სახეობის ქვემო რაქაში მიღებული სახელი მოყვანილი აქვს თავის 1773 წ. მოგზაურობის აღწერილობაში გვლდენშტედტსაც. მისი სიტყვით, ექვსმწკრივა ქერს „Sechszeilige Gerste, *Hordeum hexastichon*“ იმე-

რეთში „კეჯირი კერი“ „Kedschiri-Keri“ ეწოდებოდა (Reisen, I, 399). ეს სახელი, როგორც ნ. გოგლიძის ცნობითგან<sup>1</sup> ჩანს, რაქაში დღევანდლამდე დაცული ყოფილა. გოგლიძის სიტყვით, რაქაში „ქერი არის სამგვარი: I. კეფერი ქერი, შავფხა-საცემახიან, არის ოთხხაზიანი, თაველი აქვს მოკლე და მომსხო, საკმელად ქერშია (ე. ი. ცხოველებსაც აკმევენ). II. ქეპრელი ქერი, იზრდება პურის სიმაღლე, 2-ხაზიანია, ლეწვის დროს არ გამოდის თაველიდან, თითქმის მიკრულია ფხაზე, იზრდება საშუალო, საკმელად კეფერ-ქერს სჯობია: არც წმინდა პურსა ჰგავს და არც ქერს თითქო. ითვისება შემოდგომაზე. III. ჩვეულებრივი ქერი ორხაზიანია.

ცხადია, რომ გვლდენშტედტის „კეჯირი-ქერი“ და ნ. გოგლიძის „კეფერი-ქერი“ ერთი-და-იგივეა. ამ ორ ცნობას შორის მხოლოდ მის ბოტანიკური რაობის განსაზღვრაშია განსხვავება: თუ გერმანელი მეცნიერი კეფერ-ქერს ექვსხაზიანად *H. hexastichon*-ად სთვლიდა, ნ. გოგლიძე მას ოთხხაზიანად ანუ *A. tetrastichon*-ად ასახელებს. მაგრამ ეს განსხვავება არსებითი არ არის.

გვლდენშტედტის მოწმობით ორმწკრივია, „Zweizeilige Gerste, Hordeum distichum“-ს იმერეთში თითქოს „ქტეკლი-ქერი“, „Kiekli-Keri“ ეწოდება (Reisen, I, 399). ქართული სახელი, რა თქმა უნდა, დამახინჯებულია, მაგრამ მისი ნამდვილი სახელის აღდგენა შესაძლებელია. ლ. დეკაპრელივიჩისა და ვ. მენაბდეს სიტყვით, რაქაში ორმწკრივია ქერს, *Hordeum distichum nutans* Schübl., სახელდობრ *f. colchicum* R. Reg., თურმე „პტყელი ქერი“ ეწოდებოდა (Л. Декапрелевич и В. Менабде, К изуч. полев. культ. Зап. Грузии, I, 236). აკად. გვლდენშტედტის თხზულებითგან მოყვანილი ორხაზიანი ქერის დამახინჯებული ქართული სახელი „ქტეკლი ქერი“, უმკველია, იგივე „პტყელი-ქერი“ უნდა იყოს მხოლოდ ჩაწერისა, თუ ბეკლდის დროს დამახინჯებული<sup>2</sup>.

ქერის სახეობათა ზემომოყვანილი სახელების გარჩევის დროს უნდა უპირველესად აღინიშნოს, რომ „ახალ-თესლი“ და „ძველ-თესლი“ თავდაპირველად შეუძლებელია მხოლოდ ქერის ტერმინი ყოფილიყოს. ორსავე ტერმინში ქროთილეულის სიახლესა, თუ სიძველეს ჰქონია უურადლება მიქცეული. ასეთი ქრონოლოგიური განსაზღვრა-კი მართო ქერისათვის არ წარმოადგენს რაიმე ნიშანდობლივ თვისებას, რათავან ახალი, ან ძველი თესლი მართო ქერი-სა-კი არა; პრამედ შესაძლებელია ხორბლეულისაც ყოფილიყო. ყოფილა კიდევაც.

მართლაც, აკად. გვლდენშტედტის აღნიშნული აქვს, რომ დასავლეთ საქართველოში გაზაფხულის ხორბლეულს, „Sommerweizen *Triticum aestivum aristatum*“-ს „დიკა“, ანუ „აგრეთვე ახალთესლი“ ეწოდებოდა („Imr. Dica auch *Achaltessi* (sic), d. i. Neue Saat“: Reisen, I, 399). რათავან საბას სიტყვითაც, დიკა მართლაც „გაზაფხულ-ნათესი“ ხორბალი იყო (ლექსიკ.), ამიტომ გერმა-

<sup>1</sup> სტუდ. ნ. რეხვიაშვილის ჩანაწერით ვსარგებლობ, რომელსაც ამ ცნობის მოწოდებისათვის დიდად ვმადლობ.

<sup>2</sup> Ptkeli-Keri-ის მაგიერ Ptekli-Keri იყო ეგების ჩაწერილი და „P“-ს მაგიერ კორექტ. შკადობით ალბათ „K“ აუწვიათ.

ნელი მეცნიერის მთელ ჩანაწერში 1773 წ. მისთვის გადაცემული ქართული ცნობა სისწორით უნდა იყოს დაცული. უეჭველია, აქ არავითარ შეცდომასთან, ანდა გაუგებრობასთან არ უნდა გვექონდეს საქმე. რ. ერისთავსაც აქვს თავის საბუნებისმეტყველო მოკლე ლექსიკონში აღნიშნული, რომ „ახალთესლი“ განაფხულის ქერსაცა და ხორბალსაც ეწოდება (იხ. გვ. 5, § 68 და 69).

რაკი განაფხულის ხორბალს, დიკას, ახალთესლი ჰრქმევია, შემოდგომის ხორბალს, იფქლს, უნდა ძველთესლი სწოდებოდა. მართალია, ჯერ ამის შესახებ წერილობითი ძველი ცნობები არა გვაქვს, მაგრამ ახალთესლისა და ძველთესლი ქერის ანალოგიითა და ამიტომაც, რომ დიკის ახალთესლად წოდება ძველი თესლის არსებობას თავისდა-თავად გვაგულისხმებინებს, უეჭველია, ძველთესლად იფქლი უნდა იგულისხმებოდეს.

მაშასადამე, როგორც ახალთესლ პურეულს თავისი საკუთარი სახელიც დიკა, ჰქონდა, ისევე, ცხადია, ახალთესლ და ძველთესლ ქერებსაც თავთავიანთი საკუთარი სახელები უნდა ჰქონოდათ.

იმისდა მიუხედავად, რომ ახალთესლისა და ძველთესლი ქერების თავდაპირველი საკუთარი სახელების გამოსარკვევად არც წერილობითი და არც ზეპირი თანამეროვე პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, ამ საგულისხმო საკითხის გამორკვევა, ვგონებ, მაინც შესაძლებელია.

როგორც დავრწმუნდით, პურეულთაგან ახალთესლი დიკას ჰრქმევია, რომელიც განაფხულის ხორბლდელი იყო. ამის გამო უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ პურეულთაგან ახალ თესლად ის ჯიში ყოფილა მიჩნეული, რომელიც განაფხულის სათესი იყო.

ეს დასკვნა შესაძლებელია ახალთესლი და ძველთესლი ქერების საკუთარი სახელების გამოსარკვევადაც იქმნეს გაპოყენებული. ამისდა მიხედვით, ახალთესლს თავის თავდაპირველ სახელად განაფხულის ჯიშის ტერმინი „ქერი“ უნდა ჰქონოდა, ხოლო ძველთესლს, რასაკვირველია, შემოდგომის ჯიშის სახელი, „ქრთილი“ ჰრქმეოდა.

რაკი „ახალთესლისა“ და „ქერის“ შესატყვისობა ერთის მხრით, ძველთესლისა“ და „ქრთილის“ მეორეს მხრით გამორკვეული გვაქვს, ეხლა შედარებით უკვე გაადვილებულია ქრთილისა და ქერის ბოტანიკური ჩაობის გამოარკვევაც. ყველა ძველთესლთა სახეობანი, მაშასადამე, ქრთილად უნდა მივიჩნიოთ, ახალთესლები-კი ქერად.

„ქეფერი-ქერი“-კი, უეჭველია, ამ მცენარის საკუთარი-კი არა, არამედ თვისების დამახასიათებელი სახელი უნდა იყოს. ს. ორბელიანის სიტყვით-კი „ქეფერა“ ეწოდება „კომპოსტო რომ არ დაიხვევს“-ო, ანდა „ქეფერა—ბუნებით თავდაუხვეველი“ კომპოსტოს სახელიაო (იხ. ლექსიკ.: ქეფერა და კომპოსტო). მაშასადამე, ქეფერა გაშლილს, გაბურძენულსა წინშნავედ და სწორედ ასეთი თვისება უნდა ჰქონოდა „ქეფერა-ქერსაც“.

საფიქრებელია, რომ „ქეფერა-ქერი“ მარტო გარკვეული სახეობის საკუთარი სახელი-კი არ უნდა იყოს, არამედ მთელი ჯგუფის ზოგადი თვისების დამახასიათებელი. სწორედ მის საწინააღმდეგო თვისების გამოხატეული ჩანს

„პრტყელი ქერი“, რომელიც, რასაკვირველია მცენარის თვისების ზოგადადე აღმნიშვნელია. როგორც „ქეყერი-ქერი“ თავთავი გაბურძეულობის გამო მობატყელია, ისევე „პრტყელი-ქერი“ თავთავის გაპრტყელებული თვისების აღმნიშვნელი უნდა იყოს. ეს რომ სწორედ ასეც უნდა იყოს, ამას ის გაჩემობაც ადასტურებს, რომ „ქეყერი-ქერი“ მრავალმწკრივია, ექვს ან ოთხმწკრივია მცენარის სახელია და ექვსმწკრივია თავთავი მართლაც გაბურძეულებულია. „პრტყელი-ქერი“-კი *Hordeum distichum*-ის, ანუ ორმწკრივია მცენარის სახელია, რომელიც, მრავალმწკრივია თავთავთან შედარებით, მართლაც პრტყელი მოყვანილობისაა.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო „ქეყერი-ქერი“ პოლისტიქუმების, ანუ მრავალმწკრივია თავთავის მქონებელი, ე. ი. ექვს, ან ოთხმწკრივია, მცენარის ზოგად ტერმინად უნდა იქმნეს მიჩნეული, „პრტყელი ქერი“-კი დისტიქუმების, ანუ ორმწკრივიანების ზოგად სახელად. რაკი ყველა მრავალმწკრივები, ანუ პოლისტიქუმები ძველთესლთა ჯგუფს ეკუთვნიან, რომელთა თავდაპირველი სახელი, როგორც დავრწმუნდით, ქრთილი იყო, ამიტომ საფიქრებელია, რომ კეყერიანობა და სპრტყელე *Hordeum*-ების განსარჩევად იმ დროითგან უნდა იყოს საქართველოში გამოყენებული, როდესაც ძველად არსებული ტერმინი ქრთილი გაქრა და მისი ადგილი ქერმა დაიკირა. თავთავის კეყერიანობა, თუ სპრტყე მარტო ქრთილეულთა დამახასიათებელ თვისებას არ წარმოადგენს, ამიტომ თანამედროვე სამეცნიერო მწერლობაში ხორბლეულისა და მცენარის თავთავის თვისების დასახასიათებლადაც შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო.

ზოგადი მნიშვნელობის ტერმინების განხილვა-გამორკვევის შემდგომ, უკვე თვითოეული სახეობისათვის არსებული ქართული ხალხური სახელების ბოტანიკური შესატყვისობის გამორკვევაც შეიძლება.

გვლდენ შტედტ-ისა, ნ. კეცხოველისა, ვ. მენაბდისა და ნ. გოგლიძის ცნობათგან ყველაზე ადვილი გამოსარკვევია „ძველთესლი შაფხა“. ამ მცენარის შაფხაობა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ნ. კეცხოველის მიერ აღნიშნული მისი ბოტანიკური რაობა *Hordeum tetrastichum* L. var. *nigrum* Willd. სრულ ქეშმარიტებად უნდა იქმნეს მიჩნეული. ხოლო, რაკი ძველთესლი ამ მცენარის ნამდვილ სახელს არ წარმოადგენს, ამიტომ თანამედროვე სამეცნიერო აგრონომიულ ქართულ მწერლობაში მისი ძველი სახელი უნდა იქმნეს აღდგენილი და ეწოდოს „ქრთილი შაფხა“.

გამოსარკვევია, „ჩარადი ქერი“-სა და „კობერი ქერი“-ს მნიშვნელობა და შესატყვისობა. როგორც დავრწმუნდით (აქვე, გვ. 376), „კობერი ქერი“ რაჭაში თითქოს *H. vulg. tetrast. pallidum* Ser. და *nigrum* Willd.-ს უნდა ეწოდებოდეს, ე. ი. ჩალისფერსა (*pallidum*) და შავ (*nigrum*) სახეობას. ხოლო „ჩარადი ქერი“ ერწო-თიანეთსა და ქვემო ფშავეში *H. sativum polystichum* v. *pallidum aesitvum* Reg., ე. ი. ჩალისფერსავე, მაგრამ გაზაფხულის სახეობას ჰქვია.

რაკი *H. vulg. v. nigrum* Willd., ანუ შავ სახეობას, როგორც გამოირკვა, ქართულად „შაფხა ძველთესლი“ ჰქვია, ანუ შაფხა ქრთილს წარმოადგენს;

ქხადი ხდება, რომ „კობერი-ქერი“ უნდა var. pallidum Ser.-ს, ანუ ჩალისფერ ოთხმწკრივია ქრთილს ჰნიშნავდეს. სამწუბაროდ, სიტყვა „კობერი“ მნიშვნელობაა გამოურკვეველი.

„ჩარადი ქერი“-ი *Hordeum sativum polystichum* Döll. var. *pallidum aestivum* Reg.-ს, ანუ მრავალმწკრივია ჩალისფერ გაზაფხულის ქრთილს ჰნიშნავს. მაგრამ აქ ორი საკითხი იბადება: რამდენადაც ეს მცენარე „ძველთესლი“ და მრავალმწკრივია, იმდენად ის ქრთილად უნდა იქმნეს მიჩნეული, მაგრამ, რამდენადაც ის გაზაფხულის ფორმას წარმოადგენს, იმდენად ის ახალთესლთა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს და, მაშასადამე, ის ქრთილად-კი არა, არამედ ქერად უნდა ვიცნათ. რომელი ამ ორ ამათავანია ნამდვილად. „ჩარადი ქერი“, ამის გამორკვევა ეგების უფრო გაადვილებულიყო, სიტყვა „ჩარადი“-ს მნიშვნელობა რომ გეცოდნოდა.

ს. ორბელიანს მხოლოდ „ჩარა“ აქვს, რომლის შესახებაც ნათქვამია „კათხასავით სასმისისა ყურიანი“-ო. თვით კათხა-კი „ხის სასმისი“ ყოფილა (ლექსიკ.).

იაკობ ხუცესს შუშანიკის წამებაში ჰერეთის ციებისაგან დაავადებული მოსახლეობის აღწერილობაში ნახმარი აქვს გამონათქვამი „ჩარადოვანნი და პირმსივანნი“-ო (იხ. XXIV, გვ. 17), მაგრამ იქაც გამონათქვამის აზრი გაუგებარია. ამგვარად, საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია ჯერჯერობით. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ხალხში გავრცელებულია ხორბლეულისა და ქრთილეულის სახელების შეერთებით ნაწარმოები ტერმინები, მაგ. ქერ-დიკა, ქერიძქლა. ხმარობენ ქერკრელსაც, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა თემში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს.

„ქერ-დიკა“ ცნობილია ზემო წალკის არეში და ბორჯომ-ბაკურიანის სანახებში და ე. მენაბდის სიტყვით ხორბალ-ქერ-ნარეც ყანასა ჰნიშნავს, შეიცავს ე. წ. *Tr. persicum* Vav. და *Hordeum distichum*-ს (Мрхзлак Вост. Грузии, 172 და 174). ამ შემთხვევაში ორნაწილელი სახელი სინამდვილეს გამოჰბატავს კიდევაც.

მაგრამ არსებობს ბალახი *Verbascum nigrum*, რომელსაც ქართულად ხალხი „ქერიძქლა“-ს უწოდებს (იხ. ზ. ყანჩაველი, ბოტანიკა, II, 351). იგი *Scrophulariaceae*-თა ოჯახს ეკუთვნის და არც ქერთან და არც იფქლთან არაფერი აქვს საერთო (იხ. მისი სურათი იქვე, II, 357, სურ. 320), იმისდა-მიუხედავად რომ მისი სახელი სწორედ ამ ორი მცენარის შენაერთებს წარმოადგენს.

„ქექრელი“ ქართლში, ებლა მაინც, ქერდიკას მსგავსი მნიშვნელობით იხმარება, ე. ი. ხორბალ-ქერის შერეულ ნათესა და მის მოსავლს ეწოდება, მაგრამ, როგორც ნ. გოგლიძის შემომოყვანილი ცნობებითგან ჩანს (იხ. აქვე, გვ. 374), რაკაში „ქექრელი ქერი“ სრულებით ხორბალ-ქერ-ნარეც მარცვლულს არ ჰნიშნავს, არამედ შემოდგომის ქერს, ანუ, ძველი ნამდვილი ქართული სახელი რომ ვინმაროთ, ქრთილს წარმოადგენს. რაკველების მოწმობით „ქექრელი“ თავისი თვისებებით ნამდვილი ქერისაგან განსხვავდება: საკმელად ქერზე უკეთესი ყოფილა და თურმე „არც წმინდა პურსა ჰგავს და არც ქერს“, არამედ, როგორც ეტყობა, შუალედი ღირსებისაა.

### § 3. ქრთილეულის გავრცელებულობის არე

ქრთილეული მთელ საქართველოში მოიპოვებოდა და ეხლაც არსებობს იმ ადგილებს გარდა, სადაც სიმინდის სრულმა გაბატონებამ სასოფლო მეურნეობითგან ბოლიანად არ განდევნა. ამ ეპოქად ყარაია-ბორჩალოს სანახებში მრავალმწკრივა ქრთილია გავრცელებული, უმთავრესად ჩალისფერი და შავფხა სახეობა, ხოლო ორმწკრივა ქერი-კი. იქ, იშვიათ შენარეუს გარდა, არ მოიპოვება (ე. მენაბდე, Мгхзлак. Вост. Грузии, 164).

ტფილისის მიდამოების არეში-კი როგორც მრავალმწკრივა ქრთილეულია გავრცელებული ისევე ორ-მწკრივა, ე. ი. ქრთილიცა და ქერიც. ქრთილთაგან უმთავრესად ჩალისფერი სახეობაა გაბატონებული, შავფხა-კი უფრო იშვიათად მოიპოვება. ქერთაგან ორმწკრივა მარტივი გვხვდება.

საერთოდ-კი აღსანიშნავია, რომ რაც უფრო დასავლეთისაკენ მიდის ადამიანი ამ სანახებში მრავალმწკრივა ქრთილეულის ნათესები თანდათან უფრო-და-უფრო მცირდება და ორ-მწკრივა ძლიერდება (ე. მენაბდე, იქვე, გვ. 166—167). ამგვარად, დასავლეთის მიმართულებით ქრთილი თავის ასპარეზს ქერს უთმობს.

ქართლში მრავალმწკრივა და ორმწკრივა ქრთილეულიც არის გავრცელებული, პირველის უმთავრესად ჩალისფერი სახეობა, მეორის კიდევ მარტივი (მენაბდე, იქვე, 169). მაშასადამე, ქართლი, როგორც ქრთილის, ისევე ქერის არეა, მაგრამ სასოფლო მეურნეობაში აქ მთავარი მნიშვნელობა, რასაც ირეველია, ხორბლეულს აქვს.

ზნგლის-ბორჩალოს სანახებშიც მრავალმწკრივა და ორმწკრივა ქრთილეულიც არის გავრცელებული, — ე. ი. ქრთილიცა და ქერიც, — მაგრამ შგმოდგოზის ქრთილეული ოფრეთ-დმანისის ხაზამდე აღწევს, იმის ზევით-კი უკვე ის ქრება და იქ გაზაფხულისაა გაბატონებული (მენაბდე, იქვე, 171). ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ოფრეთ-დმანისამდე ქრთილია გავრცელებული, იმის ზევით-კი ქერი.

თრიალეთისა და წალკის თემებშივე ისევე, როგორ ბორჯომ-ბაკურიანისაში მხოლოდ ორმწკრივა ქრთილეულია გაბატონებული. გვხვდება აქ აგრეთვე „ქერდიკის“ ნათესებიც (მენაბდე, იქვე, 172 და 174). ამგვარად ეს ადგილები ქერის გავრცელების არეს წარმოადგენენ.

მუხრან-საგურამოს სანახებში, როგორც მრავალმწკრივა ქრთილეული გვხვდება, ისევე ორმწკრივა. მრავალმწკრივთაგან გაბატონებულია ჩალისფერი, შავფხა-კი იშვიათია (მენაბდე, იქვე, 176). მაშასადამე, აქ ქრთილსა და ქერს თანასწორი ასპარეზი უკავიათ.

ერწო-თიანეთსა და ქვემო ფშავეში თითქმის მთლად ორ-მწკრივა ქრთილეულს, „მარტივ ქერს“ უკავია ასპარეზი, მრავალმწკრივი-კი, ანუ ქრთილი მეტად იშვიათს გამოჩაქლის შეადგენს (მენაბდე, იქვე, 176).



დასავლეთ საქართველოშიც ქრთილეულის გავრცელებულობის სურათი და შედგენილობა დაახლოებით იგივეა, რაც აღმოსავლეთ საქართველოში. რიონისა და ენგურის ხეობებში მრავალმწკრივა ქრთილეული, ჩალისფერი ქრთილი სქარბობს იმ დროს, როდესაც 1200 მეტრზე ზევით შავფხა მხოლოდ იშვიათი ნარევის სახით გვხვდება. რაც უფრო სიმაღლის დონე მატულობს მრავალმწკრივა ქრთილეული, ქრთილი, ასპარეზს ორმწკრივა ქრთილეულს, ანუ ქერს უთმობს (იხ. ნ. კეცხოველი, მასალები კულტ. მცენ. ზონალ. (18, 20, 22-23 და 59) და ლ. დეკაპრელევიჩ და ვ. მენაბდე К изуч. полев. культ. Запад. Грузии, I, Рача, 236-237). აღსანიშნავია რომ უმაღლეს დონეზე ოთხმწკრივა იისფრად შეღებილი ქრთილეული მაინც მოიპოვება, რომელიც ზოგან უპირატესობას ქერს უთმობს ხოლმე (ნ. კეცხოველი, მასალები, 23). რაქაში ეს სახეობაცა და ოთხმწკრივა „კობერი ქერი“ პირიქით უფრო იშვიათია და იქ გაბატონებულია ორმწკრივა ქრთილეული, ე. წ. „პრტყელი ქერი“ (ლ. დეკაპრელევიჩი და ვ. მენაბდე, К изуч. полев. культ. Зап. Грузии, I, Рача, 236-237).

### თაში მისუთე. ბრინჯის კულტურა

მობარშულ საკვებ მარცვლეულთაგან საქართველოში გავრცელებული იყო ბრინჯი-ც, მაგრამ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, თუ რა დროითგან ჩნდება ეს უცხო ქვეყნის მცენარე ჩვენ სამშობლოში. მართალია ეს სიტყვა დაბადების ქართულ თარგმანშიც გვხვდება, მაგრამ იქ ნახმარი „ბრინჯი“ (2 მეფეთაჲ 17, 28-29), ეგონებ შეცდომა უნდა იყოს, რათგან ბერძნულად ამ ადგილას სწერია *βλακίσι*, ლათინურად *farina*, სომხურად *սխլար*, რაც სრულებით ბრინჯი არ არის. ამიტომ საფიქრებელია, რომ დაბადების ქართული თარგმანის ეს ადგილი წარყვნილი უნდა იყოს და ბრინჯი მერმინდელ ჩანართს წარმოადგენს.

ამ მოსაზრებას, სიტყვა „ბრინჯი“-ს მერმინდელ ჩანართობას, ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ამ მცენარის ქართული სახელი თავის თავკიდური „ბ“-თი და ბოლო მარცვლის „ჯ“-თი, უეჭველია, ახალი სპარსულითგან ნასესხებ სიტყვას წარმოადგენს, სადაც ამ მარცვლულს „ბრინჯ“-ი ეწოდება. ახალი სპარსულითგან ამ ტერმინის ნასესხობა-კი სიტყვა „ბრინჯ“-ს ქართულში მე-IX ს-ზე უწინარეს შემოსულად ვერ გვაგულისხმებინებს. საყურადღებოა, რომ მე-VII ს. სომხურ გეოგრაფიაში იქ, სადაც ინდოეთის საკვებ მცენარეებზეა საუბარი, ამ მცენარის სომხურ სახელად *բրինჯ* „ბრინძ“-ია მოყვანილი და ნათქვამია, რომ „შიშველმართალთა“ ტომი (*აღգ მხრქჩქასაჲსი* — ბერძნულს გვმნოსოფისტებს) ბრინჯისა, შაქრისა და ხილეულის მეტს არასა სქამდა (იხ. Géographie de Moïse de Corène d'après Ptolémée, Arsène Soukry-ის 1881 წ. გამოც. Venise, გვ. 43, შეად. ფრანგ. თარგმანის გვ. 57).

წაინოს შატბერდისეულ ცხოვრებაში დასახელებულია „ხეა ბრინჯისაჲ“ (Опис. II, 755), რომელიც, ს. ორბელიანის განმარტებით, თითქოს „აქაკის ხე“ უნდა ყოფილიყო (ლექსიკ.). თუ ეს განმარტება სწორეა და ბრინჯისაგან

სრულებით განსხვავებული ამ ხის სახელის შემადგენელ ნაწილს მცენარე ბრინჯის სახელთან რაიმე კავშირი ჰქონდა, მაშინ არც ეს ხის სახელი შეიძლება მე-IX ს-ზე აღინიშნული იყოს.

ძველი ხანის მწერლობის ქართული ძეგლები ჯერ ძალიან ნაკლებად არის შესწავლილი და უფრო ნაკლებ არის გამოქვეყნებული, რომ საბოლოოდ დასკვნა შესაძლებელი იყოს, არსებობდა, თუ არა, ამ ინდოეთისა და მის მეზობლად მდებარე ცხელი ქვეყნების მცენარის სახელი მე-IX ს-ზე უწინარეს ხანაში. თუ ეს მარცვლეული იმ უძველეს ხანაშიც საქართველოში შემოჰქონდათ, მაშინ, ცხადია, მისთვის ახალ-სპარსულითგან ნასესხები ბრინჯის მაგიერ, სხვა რაიმე სახელი უნდა ჰქონოდათ ჩვენ წინაპრებს. თუ მომავალში გამოირკვეა, რომ „ბრინჯის“ გარდა სხვა სახელი არ არსებობდა, მაშინ ეს მარცვლეული საქართველოში მე-IX ს-ითგან შემოსულად უნდა ვიგულისხმოთ.

მაგრამ, თუ ამ საყურადღებო საკითხის გადასაწყვეტად აღმოს. საქართველოს შესახებ მკვლევარი ამ ეამად ჯერ კიდევ გადაკრიოს ვერაფერს იტყვის, დასავლეთ საქართველოში ამ მცენარის გავრცელების დასაწყის ხანაზე ერთი მოსაზრების გაშთქმა ეხლაც შეიძლება. ბრინჯს მეგრულად ამ ეამად „ორჯზა“, ან „ორზა“ ეწოდება (იხ. იოს. ყიფშიძის მ. გ. 294). წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში-კი რ. ერისთავს ამ მცენარის მეგრულ ფორმად „ორიზა“ აქვს აღნიშნული (იხ. მისი საბუნ. ლექსიკ., გვ. 9 § 138). თანამედროვე „ორჯზა“ გვაფიქრებინებს, რომ „რ“-სა და „ზ“-ს შუა მართლაც ხმოვანი უნდა ყოფილიყო ისე, რომ რ. ერისთავის ჩანაწერი სწორეა. ამასვე საუცხოვოდ ადასტურებს აკად. გვლდენშტედტის 1773 წ. ჩანაწერიც, რომელშიც ბრინჯის მეგრულ სახელად „ორჯზა“ (Oryza) არის დასახელებული (იხ. Reisen, II, 500).

ცხადია, რომ დასავლეთ საქართველოში ბრინჯის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოთაგან არ უნდა იყოს შესული, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. თვით ბრინჯის მეგრულ სახელს „ორჯზა“-საც სპარსულითგან შეთვისებულ ქართულ ბრინჯთან კავშირი არა აქვს. ეს ტერმინი შეუძლებელია ოსმალური თანაც შეთვისებულად მივიჩნიოთ, რათგან იქ ბრინჯს „ჩაღტიკ“ და „ფირინჯ“-ი (چغرتیک, فیرنج) ეწოდება.

მეგრული „ორჯზა“, ან „ორიზა“, ორჯზა“ წარმოადგენს ბერძნულს ὄρυζα „ორჯა“-ს, რომელიც, ბერძნულ მწერლობაში მიღებული უფრო ძველი ὄρυζα „ორინდა“-ს მაგიერ, მე-III ს. ქ. წ. ბრინჯის აღმნიშვნელ ერთად-ერთ სახელად იქცა (იხ. V. Hehn Kpf. und Ht. გვ. 503-506). ბერძნულითაგან ეს სიტყვა ლათინურმაც შეითვისა იმავე Oryza-ს სახით. მაშასადამე, ბრინჯის კულტურა დასავლეთ საქართველოში უნდა საბერძნეთის გზით იყოს შემოსული, ან უკვე რომის, ანდა ბიზანტიის ჰემონიის ხანაში.

მართლაც ბრინჯის კულტურისათვის დასავლეთ საქართველოს ზღვის სანაპირო ზოლში, ნიადაგისა და ჰავის უხვი ნოტიობის წყალობით, მეტად ხელსაყრელი პირობები იყო. მე-XVII და მე-XVIII-ს ს. ავტორების ცნობებითგანაც

ჩანს, რომ სამეგრელოში ბრინჯის მოყვანას დიდი ხნის წარსული უნდა ჰქონოდა და ფართოდაც ყოფილა გავრცელებული. ვახუშტის სიტყვით, ოდიშში „ბრინჯი ნაყოფიერებს ურწყავად“ (გ.გრაფა, 402).

სამეგრელოს მე-XVII-ს. მდგომარეობის ზედმიწევნით მკოდნე იტალიელი მისიონერის არქ. ლამბერტის მოწმობით, ოდიშის მრავალ ნაწილებში, სადაც წყალი დგას და არ შეიძლება ღომის დათესვა, სთესავდენ ბრინჯს (სამეგრ. აღწ., 59).

გასაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ქანეთში ეხლაც ყოფილა ბრინჯის ადგილობრივი, მუქი, მაგრამ გემრიელი ჯიშის, რომელიც თურმე ურწყავი, მთაშიც-კი ხარობს და მშრალ ადგილებშიც იზრდება (იხ. ნ. მარჩის, Из поездки в Турецкий Лазистан: ИАН 1919 წ. გვ. 616). სასურველია, ჩვენმა აგრონომებმა ამ ქანურსა და ოდიშის ბრინჯებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და მათი რაობა და ღირებულება გამოარკვიონ.

აღსანიშნავია, რომ ოდიშში ბრინჯის იმდენად ინტენსიური კულტურა ყოფილა, რომ საგარეო ექსპორტის საგნადაც ქცეულა. იგივე არქ. ლამბერტი ამტკიცებს, სამეგრელოში ბრინჯი იმდენად ბლომად მოდიოდა, რომ არამცთუ აქაურებს ჰყოფნის, „არამედ მიაქვთ ოსმალეთის გემებსაც, რომელნიც აქ მოდიან“-ო (სამეგრ. აღწ., 59).

ყველა ზემონათქვამის შემდგომ იბადება აზრი და კითხვა, შესაძლებელია, თუ არა, რომ დასავლეთ საქართველოში საბერძნეთის გზითა და ბერძნული სახელით ბრინჯი დიდი ხნის გავრცელებული ყოფილიყო და იმავე დროს აღმოსავლეთ საქართველოში მე-IX—X ს-მდე, სანამ ახალ-სპარსულის საშუალებით ბრინჯის სახელი არ გაჩნდა, ამ მარცვლეულისა არც რამე სკოდნოდეთ და არც სახელი ჰქონოდეთ? ეს ძნელი დასაჯერებელია და ამიტომ ამ საკითხის გადასწავვებად ჯერ კიდევ უძველესი ქართული ძეგლების მოძებნა და შესწავლაა საჭირო.

### თავი მეექვსე. შვრია, ხვილი და ჭვავი

ჯერეთ ცნობილ მე-V—XII სს-ისა და შემდეგ-დროინდელ ქართულ ძეგლებში „შვრა“ არსადა გვხვდება, არც „ხვილი“ და „ჭვავი“ ჩანს. დამახასიათებელია, რომ საბა ორბელიანს „შვრივა“ განუმარტავად დაუტოვებია თავის ლექსიკონში და მხოლოდ ამ სიტყვის გვერდით ბალახის აღმნიშვნელი პირობითი ნიშანი დაუსვამს. „სვილი“-ს შესახებ-კი ნათქვამი აქვს „ქვავი“-აო და აქაც გვერდით ბალახის მათყუებელი პირობითი ნიშანი ზის. „ქვავი“-ც „სვილი“-ად აქვს განმარტებული იმავე პირობითი ნიშნის დართვით. აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვები არც ფ. გორგიჯანიძეს მოეპოვება თავის ქართულ-არაბულ-სპარსულ ლექსიკონში.

უეჭველია, შვრიის, სვილისა და ქვავის ძველ ქართულ ძეგლებში მოუხსენებლობა მარტო ისეთი შინაარსის გადარჩენილი ძეგლების-სიმცირით არ უნდა აიხსნებოდეს, სადაც ამგვარი ცნობები მოსალოდნელი იყო. თუ აღამიანი ვა-

ხუშტი ს გეოგრაფიას ურადლებით ვადაიკითხავს, დარწმუნდება, რომ შერიის მოყვანას საქართველოში თითქმის განსაკუთრებით მთა-აღვილებში მისდევდნ იქ, სადაც ბუნების სიმწირე სხვა კულტურას აპარებს ან სრულებით უსაძბდა, ან მეტისმეტად უმცირებდა (იხ. მაგ. გვრთა, გვ. 62, 140, 148, 430 და სხვა-განაც).

აკად. გვლ დენ შტედტსაც, რომელსაც ქართული „შრვა“ „Sch uwa“ გერმანული Haber, ანუ Haver-ის შესატყვისობად (იხ. Reisen, I, 399 და II, 500), კლპროთს-კი ფრანგული l'avoine-ისად აქვს დასახელებული (იხ. Voyage II, 32), არა ერთხელ ნათქვამი აქვს, რომ ბარად ამ მცენარეს მაშინდელ საქართველოშიც ცოტასა სთესდენ, ამასთანავე უფრო საქონლის საკვებად, ვიდრე ადამიანისათვის. მაგ. შერიის მოყვანას უფრო ზემო რაქაში მისდევდენ, ვიდრე ქვემო რაქაში, სადაც ამ მარცვლეულს თურმე ნაკლებად სთესდენ (Reisen, I, 399). ამავე გერმანელი მეცნიერის სიტყვით, კახეთში ცხენის საკვებად ქერსა სთესდენ და უფრო ნაკლებ შერიასაც (იქვე, I, 371).

ამ გვარად, ყველაფერი ცხად-ყოფს, რომ შერია, კვავი და სვილი, როდესაც ეს მცენარები საქართველოში გაჩნდენ, მაშინაც ძველი ქართული მეძინდ-ვრეობის საერთო საგანი არ უნდა ყოფილიყო და მეურნეობაში უმნიშვნელო აღვილი უნდა ჰქონოდა მიკუთვნებული. ზემოთქმულის შემდგომ ძველ წყაროებში ამ ტერმინების უქონლობა გვაფიქრებინებს, რომ ამ მცენარეების კულტურა ჩვენ-ში შედარებით გვიან უნდა იყოს შემოსული. ეს არც არის გასაკვირველი. თუ მათი კულტურის ისტორიასაც გავიხსენებთ სხვა ქვეყნებში.

მკვლევართა აზრით, შერია უმთავრესად შუა ევროპის კულტურული მცენარე იყო. ძველადვე, ჯერ კიდევ ისტორიის უწინარეს ხანში, ცნობილი და გავრცელებული შერია, ალპების სამხრეთით მდებარე ქვეყნებში არა ჩანს.

რომაელებმა შერია პირველად გერმანიასა და გალიაში ნახეს. იქით-გან ის რომსა და საბერძნეთშიც გაიციეს, მაგრამ უფრო რომში გავრცელდა, სადაც შერიის მეურნეობაში მაინც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. საბერძნეთში ამ მარცვლეულის არსებობა უცილობლად დადასტურებული არ არის. ბოტანიკოსი F. Pax-ი ამ აზრს იცავს, ენათმეცნიერი O. Schrader-ი კი მეორე ბოტანიკოსის Fr. Körnicker-ს შეხედულებასა და დებულებას ემხრობა, რომლის მიხედვითაც შერია სამხრეთში უკვე თეოფრასტემდე გავრცელებული უნდა ყოფილიყო. ასეა, თუ ისე, შერია საბერძნეთში მაინც იშვიათი მარცვლეული ჩანს. ეგვიპტელებისა და სემიან ტომთათვის შერია უცნობი მცენარე იყო (F. Pax და O. Schrader-ის დებულებანი იხ. ჰენის Kpf. u. Hl. გვ. 562 და 564).

### თავი მუხვიღე. სიმინდი

„სიმინდი“ თანამედროვე საქართველოს იმიერ-ამიერ ნაწილში, როგორც ცნობილია, ძალიან გავრცელებული მცენარეა. საბას ეს სიტყვა განუმარტავად აქვს დატოვებული და მხოლოდ ბალახის მაუწყებელი პირობითი ნიშანი დაუსვამს გვერდით (ლექსიკ.).

ფ. გორგიჯანიძეს-კი თავის ქართულ-არაბულ-სპარსულ პატარა ლექსიკონში ამ მცენარის სახელი ოდნავ განსხვავებული სახით აქვს შეტანილი: „ხი-შინდრა“ მისი განმარტებით არაბულს „ზორათ“-სა და სპარსულ „არზან“-ს უდრის (მ. ჯანაშვილს გამომც. გვ. 45). მაგრამ მასვე სპარსული „არზან“-ი ქართული „ფეტვი“-ს შესატყვისობადაც აქვს დასახელებული (იხ. იქვე, გვ. 34) და მართლაც კარგად „არზენ“-სპარსულად სწორედ ფეტვისა ჰქვია. ცხადია, რომ ფ. გორგიჯანიძესაც სიმიინდის რაობა ჯერ კიდევ გარკვევით არ სცოდნია.

ეს გარემოება არც არის გაკვირვებელი, რათგან ვახუშტის საქართველოს გეოგრაფიითგან ჩანს, რომ სიმიინდი აღმოს. საქართველოში მე-XVIII ს. ორმოციან წლებშიც-კი ჯერ არსად ყოფილა. მიწისმოქმედების მნიშვნელოვან კულტურად სიმიინდი იმ დროს ჯერ მხოლოდ დასავლეთ საქართველოში იყო. ლიხის მთის ქედს იქით უკვე სიმიინდს სასოფლო მეურნეობაში საპატიო ადგილი სჭერია.

აღსანიშნავია, რომ უკვე ქართლისა და იმერეთის საზღვარზე მდებარე ხეფინის ხეობაში სიმიინდის თესვა მე-XVIII ს. დამდეგს ძალიან ყოფილა გავრცელებული. ვახუშტი ამბობს: „სთესენ. სიმიინდსა მრავალსა“-ო (გვ. 272).

მაგრამ არქ. ლამბერტის თხზულებითგან ჩანს, რომ მე-XVII ს-ის პირველ ნახევარში, 1633—1653 წელში, თუმცა სიმიინდი ოდიშში უკვე მიწისმოქმედების საგნად იყო ქცეული, მაგრამ მაშინ აღამიანის საკვებად მაინც ჯერ კიდევ ღომი ყოფილა. პურის ჰამისა და კეების აღწერილობაში არქ. ლამბერტის სიმიინდი დასახელებული არა აქვს და მხოლოდ ღომსა და პურზე ლაპარაკობს (იხ. „სამეგრელოს აღწერა, გვ. 48—50, 58—59).

ყველა ზემოაღნიშნული გარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სიმიინდის კულტურა სამეგრელოში მე-XVII საუკ. დამდეგში უნდა იყოს შემოსული. ამ საუკუნის პირველი ნახევრისათვის სიმიინდს სასოფლო მეურნეობაში იქაც-კი მცირედი მნიშვნელობა ჰქონია და მხოლოდ მეორე ნახევრითგან თანდათან დასავლეთ საქართველოში ამ მცენარეს ფართო ასპარეზი დაუპყრია, აღმ. საქართველოში-კი მე-XVIII ს. პირველ ნახევრამდეც მიწისმოქმედის ყურადღება ვერ დაუმსახურებია.

ცნობილია, რომ სიმიინდი, Zea Maïs L., ამერიკითგან მე-XVI ს. დამდეგს ესპანისა და იტალიაში შეტანილი მცენარეა და მხოლოდ ამის შემდგომ გავრცელდა იგი თანდათანობით ჯერ ევროპის სამხრეთის ნაწილში, ხოლო შემდეგ სხვაგანაც (იხ. V. Hehn Kpf. und Ht. 508—509 და 624). საქართველოში-კი, როგორც დავრწმუნდით, სიმიინდი ევროპაში პირველად შემოტანის ერთი საუკუნის შემდგომ გაჩენილა.

რაკი ეს მცენარე მე-XVII ს-ესა და მე-XVIII ს. პირველ ნახევრამდე მხოლოდ დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული, ამიტომ ცხადია, რომ სიმიინდი ჩვენ სამშობლოში შავის ზღვის გზით სამხრეთ დასავლეთითგან უნდა იყოს შემოტანილი.

ამ მკენარის ზოგადი ქართული სახელი „სიმინდი“ ძველი ტერმინია: „ხიმინდაჲ“ (იხ. ცა ონისიძესი, Keimena, 209) და „ხამინდო“, „ხამინდალი“, (დაბადების ქართ. თარგმანი) ძველ ქართულ მწერლობაშივე გვხვდება, მაგრამ მაშინ ამ სიტყვას ფქვილის მნიშვნელობა ჰქონდა (იხ. აქვე, გვ. 315-16). მეგრულად ამ მკენარს „ხიმიდი“ (იოს. ყიფშიძე, მ. გ. 318) და „ლაზუტი“, „ლაიტი“ და „ლატი“ ეწოდება (იქვე, 270). აკად. გვლდენშტედტს მხოლოდ „სიმინდი“ აქვს მეგრულისთვისაც დასახელებული (Reisen, II, 500). ქანურშიც „ლაზუტი“ და „ლატი“ იხმარება (ქ. გ. 162). ამგვარად ამერიკული ახალი მკენარისათვის ქართველ ხალხს ძველისძველი ქართული ტერმინი გამოუყენებია. მაგრამ რატომ სწორედ ფქვილის აღმნიშვნელი სიტყვა უხმარიათ? ეს გარემოება საფიქრებელია, იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ სიმინდი ჩვენში პირველად ფქვილად იქმნებოდა შემოტანილი და მხოლოდ შემდეგში უნდა იყოს მისი მარცვლეულის კულტურაც გავრცელებული.

### თავი მარამ. ფაქვანიანი

უძველესი დროითგან მთელ საქართველოში ფეტვისა და ფეტვანიითა მოყვანასაც მისდევდნენ. საკვებ მარცვლეულთა შორის მათ საპატიო ადგილი ჰქონდათ დათმობილი.

### § 1. ფეტვი და ქურიმა

„ფეტვი“ ნათარგმნ ძეგლებშიც გვხვდება, მაგ. ესაიასი 28<sub>ა</sub>-ში და ორიგინალურ ნაწარმოებებსა და საბუთებშიც. დაბადების ქართულ თარგმანში ეს ტერმინი ბერძნული ὀρέγχιος: „კენქროს“-ისა, ლათინური milium-ისა და სომხური *կորხასკ*-ის შესატყვისად არის ნახმარი, ე. ი. გერმანულს Hirse-სა და ფრანგულს millet-ს უდრის.

„ფეტვ“ იხსენიება როგორც აღმოსავლეთისა, ისევე დასავლეთი საქართველოს ყოფა-ცხოვრების დამსურათებელ ძეგლებსა და საბუთებში. მაგ. გ. მერჩულს მოთხრობილი აქვს, რომ ცქირმა „მოუწოდა ერის კაცსა ანჩელსა, ლირბსა და გლახაკსა და ზაგრიად მოისარსა. და აღუთქუა მიცემად სამი გრივი ფეტვ და ხუთნი თხანი და წარავლინა ხანძთად მოკლვად მამისა გრიგოლისა“ (ცა გვლ ხნძთლსა, გვ. 5<sup>ე</sup> § 56).

ნიკორწმინდის XI ს. სიგელში ნათქვამია: „მივეც (ს. კაჩაერს ნეჩრელთ)... ფეტვ კაბიწი :ე: (5: ქქები, II, 47). გვხვდება ეს ტერმინი დაეით-ნარინის სიგელშიც (ქქები, II, 129).

ნათარგმნ ძეგლებში მოხსენებულ ხორბლეულობასა და საკვებ სხვა მარცვლეულობას გარდა, ქართულ ორიგინალურ ძეგლებში რომ კიდევ არა ერთი საქართველოში არსებული სხვადასხვა მარცვლეული კულტურის სახელები უნდა ყოფილიყო, ამას თუნდაც შოთა რუსთაველის თხზულებითგან ამოღებული ქვემოთოცხანილი ერთი მაგალითიც დაგვარწმუნებს. „ვეფხის ტყაოსან“-ში ქაჯთა მეფის მონა ამბობს:

„მე მარგალიტი მოგიმკი, თქვენ ქვრიში დაგიტესია“-ო (დ. კარიკი, § 1197).  
საბა ორბელიანის განმარტებით „ქვრიშა ღომსა ჰგავს, ფეტვია“. საბუთად მასაც „ვეფხის ტყაოსანი“ აქვს დასახელებული (ლექსიკ.).

„ქურშიმი“, ან „ქურშიმა“ როგორც ეტყობა, დასავლეთ საქართველოშიც უთესიათ და უხმარიათ. დავით-ნარინის-დროინდელ ერთ სიგელში სწერია: „ზარეთელთა გლებთა[გან] გამოვალს მონასტრულითა დიდითა კოკითა თურამეტი კოკაი ღვინო და :ა: (1) გრივი ქურამი (?)“ (ქუჩი II, 129).

თ. ჟორდანიას ეს სიტყვა კითხვის ნიშნით შეუმკია. ეტყობა თავისი წანაკითხი თითონაც სათუოდ მიუჩნევია. რაკი საწყაოდ ამ ადგილას გრივია დასახელებული, (უხადი ხდება, რომ აქ მარცვლეულობაზე უნდა ყოფილიყო საუბარი. ხოლო მარცვლეულთა შორის ამ წანაკითხის მსგავსი სახელი მართო „ქურშიმი“, ან „ქურშიმა“ არის, რომელიც „ვეფხისტყაოსან“-ში გვხვდება. ამიტომ ამ საბუთში თ. ჟორდანიას მცდარი წანაკითხი „ქურშიმა“-დ უნდა შესწორდეს.

საბას ნათქვამი აქვს, რომ „ქვრიშა“-ს აგრეთვე „ქარწუმელი“-ც ეწოდებოდა: „ქარწუმელი ქვრიშა“-აო (ლექსიკ.). ეს ორივე განმარტება ქვრიშისა და ქარწუმელისა და რ. ერისთავს განმეორებული აქვს თავის „მოკლე ქ.-რ.-ლ. ლექსიკონში და თანაც დართულია: „пшено, просо русское, Panicum aegypticum Harr“.

გვლდენშტედტ-ის მოგზაურობის აღწერილობითგან ჩანს, რომ „ქვრიშა“ დასავლეთ საქართველოში მე-XVIII ს-იც ყოფილა გავრცელებული. ამ გერმანელ მეცნიერს ეს მცენარე 1773 წ. რაქაში უნახავს. მისი სიტყვით იმერეთში „ქვრიშა“-ს (Krimma) ეძახდნენ. გვლდენშტედტი მას წვრილ panicum-ს (das kleine Panicum) უწოდებს (Reisen, I, 400).

ეს „ქვრიშა“ იმერეთში მე-XIX ს. დამდეგსაც უთესიათ და თვით კლავროთსაც უნახავს საქართველოში: დუშეთის მიდამოებში მისი: სიტყვით სთესდნენ „deux espèces de millet, le milium (Bougoudja) et le panicum (Krimma), qui se sèment au printemps (Voyage au Caucase et en Géorgie II, 32).

რაქაში მე-XIX ს. დამლევაზე ითესებოდა „ქვრიშა-ჰადი“, „შავი-ჰადი“, და „წითელი ჰადი“ (ილ. ბახტაძე, МИЭБГКЗК, II, 54).

გ. რეხვიაშვილის<sup>1</sup> ცნობით ქვრიშის მოყვანას რაქაში ეხლაც უნდა მისდევდნენ. ძველი „ქვრიშისა“ და ზემოდასახელებული ავტორის „ქვრიშა-ჰადი“-ს მგვიერ, გ. რეხვიაშვილს ამ მცენარის სახელად „ქვრიშოფა-ჰადი“ აქვს მოყვანილი. თუ ბახტაძეს ამ მარცვლეულობის სამი სახეობა აქვს ჩამოთვლილი, რომელთაგან ერთი შავია, მეორე წითელი და მესამე მარტივად „ქვრიშა-ჰად“-ად წოდებული, როგორც ეტყობა, თეთრი ფერისა უნდა ყოფილიყო, გ. რეხვიაშვილის ცნობაში მხოლოდ ორი სახეობა იხსენიება: „ქვრიშოფა-ჰადი, შავი ჰადი, თავთავი აქვს ბრინჯის (sic!!) და ღომის მაგვარი, ხოლო მარცვლები შავი. არის თეთრი ჰადიც“. არსებობს, თუ არა ეხლაც წითელი ქვრიშა, გ. რეხვიაშვილს აღნიშნული არა აქვს.

<sup>1</sup> მიღებული მაქვს სტუდ. ნ. რეხვიაშვილის ხელით.

ზემომოყვანილი ცნობებითგან ირკვევა, რომ ქერიმას მარცვლის ფერის მიხედვით არჩევენ და ამისდა მიხედვით თეთრი, შავი და წითელი ქერიმა ყოფილა. თავისი თვისებით ფეტვისა და ღომის მსგავსი მცენარე ყოფილა, მხოლოდ მარცვალი უფრო წვრილი აქვს.

„ვეფხისტყაოსან“-ში ქერიმი და მარგალიტი ისეა ერთმანერთთან დაპირისპირებული, რომ, რამდენადაც მარგალიტი უძვირფასესად არის მიჩნეული, იმდენადვე უკინესი ღირებულების მარცვლეულად არის ქერიმი ნაგულისხმევი, ამიტომ საფიქრებელია, რომ ქერიმი ფეტვენაირ მცენარეთა შორის მაშინ ყველაზე უფრო დაბალხარისხოვან მარცვლეულად ითვლებოდა.

როგორც მ. ზ. ზანდუკელმა გადმომცა, ქერიმას არაგვის ხეობაში ეხლაც სთესენ და უფრო საქონლისა და ფრინველის საკვებად ჰხმარობენ, ვიდრე ადამიანისათვის<sup>1</sup>. ამგვარად, როგორც „ვეფხისტყაოსან“-შიც ნაგულისხმევი, ეს მარცვლეული მართლაც დაბალ ხარისხოვანი თვისებისა ყოფილა.

მაგრამ რაქაში, როგორც იტყობა, ასე მკაცრად არ მსჯელობენ. ამ მცენარის იქაური სახელი „ქერიმა-ჭადი“, ანუ „ქერინოფა-ჭადი“ ცხად-ჰყოფს, რომ იქ ამ მარცვლეულს ადამიანის საკმელადაც ხმარობენ. ამიტომ სასურველი და საპიროცაა, რომ არაგვის ხეობისა და რაქის ქერიმის ყველა არსებული სახეობა ბოტანიკურად შესწავლილი იყოს. ეგების მაშინ გამოიკრევეს, რომ რაქაში გავრცელებული ქერიმას ჯიში არაგვის ხეობისას მართლაც სჯობია.

როგორც დოქ. იულონ ლომოურმა და ასისტ. ვ. მენაბდემ გადმოგვცეს, „ქერიმა“ უნდა იყოს *Setaria italica mocharium* Al. აგრეთვე *Panicum germanicum*-ად წოდებული.

## § 2. ღომი: ცნობები მის შესახებ

ქართული ღომის მონოგრაფიული გამოკვლევის ავტორები ლ. დეკაპრელევიჩი და ა. კასპარიანი ღომს საქართველოს ერთ უძველეს კულტურად სთვლიან. მათი სიტყვით. ვითომც ქსენოფონტეს 400 წ. ქრ. წ. ღომი სომხეთშიც ენახოს და ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოპის-აც ვითომც აღნიშნული ჰქონდეს, რომ რიონის-პირელი ლაზები მხოლოდ ღომით იკვებებოდნენ (იხ. „К изучению итальянского проса *Setaria italica* P. B. maxima Alf. возделываемого в Грузии“: Труды по Прикладной Ботанике, Генетике и Селекции, т. XIX, вып. 2, 1928 წ., ლენინგრადი, გვ. 533). არც ერთ ზემო-მოყვანილ ცნობას არავითარი დასაზღუება არა აქვს დართული და აღნიშნული არ არის, რომელ თხზულებაში და სადა აქვთ ქსენოფონტესა და პროკოპი კესარიელს რაიმე ნათქვამი ღომზე საქართველოსა და სომხეთში?

არც ერთ ზემოდასახელებულ ბერძენთა ავტორს ღომზე არაფერი მოკვებათ საერთოდ და კერძოდ საქართველოსა და სომხეთშიც.

<sup>1</sup> ამ ცნობის მოწოდებისათვის მ. ზანდუკელს გულითად მადლობას მოეხსენებ.



ქსენოფონტეს თავის „ანაბაზის“-ში ნათქვამი აქვს, რომ სომხეთში ბერძნებს სოფლებში დაჰხვედრიათ „ხორბლეული, ქრთილეული და ცერცთა-განნი“ („πασι καὶ χριμα: καὶ ἄπαρια“: lib. IV, cap. 5, § 26), პურსაც ეს ავტორი იქ მხოლოდ ხორბლეულისა და ქრთილეულისას ასახელებს („εὖν παλλαί: ἴχθεις αἰς μὲν παρίνας, αἰς δὲ χριμίναις“: lib. IV, cap. 5, § 31).

ბიზანტიელ მე-VI ს. განთქმულ ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს-კი აღნიშნული აქვს, რომ ბერძენთა მეციხოვნე ჯარმა, რომელიც ბიზანტიის კეისრის მიერ დასავლეთ საქართველოში, ლაზიკაში, ჩაყენებული იყო სკანდისა და შორაპნის ციხეებში, გამოსაკვები სურსათის ნაკლებობისა და მათთვის შეუფერებლობის გამო ციხეები მიატოვა და წავიდა. ბიზანტიელი ავტორის სიტყვით, ლაზები ისევე, როგორც უძველესი დროითგანვე კოლხებიც, „ელვმოს“-ითაც მიდიოდნენ იოლად და იკვებებოდნენ, ბერძნები-კი ამ საკვებს თავიანთთვის შეუფერებლად (უჩვეულოდ) სთვლიდნენ („ἐπει δὲ αἰσὶ μὲν ἐλάμας ἀπὸ τῆς ἄπαρης οἱ Κόλχαι ἐκ πλείω χρίσιν, οὐκ εἰσίν: ἀπὸ δὲ“: Procopii de Bello Gothico IV, 13, § 17—18).

ზემომოყვანილი ცნობითგან ჩანს, რომ სკანდასა და შორაპნის სანახებში ადგილობრივ მოსახლეობას საკვებად რაღაც მარცვლეული ჰქონია, რომელსაც პროკოპი „ელვმოს“-ს, ἐλάμας უწოდებს. რა მარცვლეულს ჰგულისხმობდნენ ბერძნები ამ სახელით ისევე, როგორც რას ჰნიშნავდა რომაელების panicum-ი, ჯერ გამორკვეული არ არის. ამიტომვე ვერჯერობით სრულებით გამოურკვეველი რჩება საკითხი იმის შესახებ, იყო თუ არა საბერძენთა და იტალიაში გავრცელებული ღომი, Panicum italicum L., Kolbenhirse, (იხ. O l c k Ackerbau: Paulys R-E I, 262).

„ელვმოს“-ი ძველად, როგორც ეტყობა, აქა-იქ საბერძენეთშიც ყოფილა-ამ მარცვლეულს თურმე ლაკონელებიც სჭამდნენ მოხარშულს. ამ მცენარის სახელი თურმე არისტოფანესაც ჰქონია „ქუნძულებ“-ში ნახმარი. ძველი განმარტების მიხედვით, ამ მარცვლეულის სახელი „ელვმოს“ ნაწარმოებია სიტყვისაგან ἔλας, „ჰელოს“, რომელიც ეპობსა ჰნიშნავს, რათგან ეს მცენარე ნესტიან ადგილებში ხარობს და ეპობებში იზრდებაო (იხ. Etymol. magnum, Fr. Syl- bu r g i i, გვ. 302)<sup>1</sup>.

უკვე ის ვარაუდება, რომ „ელვმოს“-ი ნესტიანი და ეპობიანი ადგილების მცენარე ყოფილა, მის ღომად მიჩნევის აზრს სათუოდ ზდის. ღომის მოსაყვანად სწორედ ნესტიან-ეპობიანი ადგილებია უფარგისი: ასეთ ნიადაგს ერიდებიან-ღომის კულტურა 600.—750 მეტრის დონეს არ სცილდება და, ეს მცენარე უმთავრესად ბორცვიან არეს ეკუთვნის(იხ. ლ. დეკაპრელევიჩი და ა. კასპარიანი, К и з у ч . и т л . пр о с а , 535—536). ამაზე ზევით უფრო ფეტვია გავრცელებული (Panicum milaceum L.), ხოლო იმის ზევით Setaria mocharium Alf., რომელსაც „მჭადის ფეტვი“, ანუ მარტივად „მჭადი“ ეწოდებაო (იქვე, 536 და 535).

ყველა ამ ნათქვამს გარდა, პროკოპი კესარიელის ზემოაღნიშნულ ცნობაში, უეჭველია, დაბალხარისხოვანი საკვები მარცვლეული იგულისხმება, რომლის ქამ-მონელება ბერძნებს გასძნელებიათ. ღომი-კი თავისი თვისებით

<sup>1</sup> ამ წყაროთგან ამოღებული ცნობის გადმოცემისათვის პროფ. ს. ყაუხჩიშვილს დიდ მადლობას მუყახუნებ.

ფეტეს გაცილებით სჯობია. ხოლო კოლუმელას სიტყვით თვით ფეტისაგან გამომცხვარი ცხელი პური ურიგო საქმელი არ იყო და წუნი ვერ დაედებოდა: („Panis ex milio conficitur, qui antequam refrigescat, sine fastidio potest assumi“: De re rustica, hb. Les agronomes latins, M. Nisard-ის გამოც. Paris, 1864 წ. გვ. 205). მით უმეტეს ფეტზე გაცილებით უკეთესს, ლომს, ისე ვერ დაიწუნებდენ, რომ ამით სამხედრო სამსახურის მისატოვებლად მოემიზებებინათ. ამიტომ პროკოპი კესარიელი ისაგან დასახელებული „ელვმოს“-ი უნდა ფეტზე უმდარეს მარცვლეულად ვიგულისხმოთ და შესაძლებელია აქ სწორედ ქერიმაზე იყოს საუბარი.

ერთი სიტყვით, ქსენოფონტეს ხომ ლომის მსგავსის რამისაც-კი არაერთარი ხსენება არ მოეპოვება, ბიზანტიელი ისტორიკოსის ცნობაც უფლებას არ აძლევს მკვლევარს, რომ ლომის დასაეღეთ საქართველოში უკვე მე-VI ს-ში არსებობის დასამტკიცებლად გამოიყენოს.

ლომის ასეთ ხანაში საქართველოში არსებობას ქართული ძველი წყაროების სრული დუმილიც საეჭვოდ ჰხდის. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ მე-XV—XVIII ს. მთელი დასაეღეთი საქართველოს ერთი მთავარი საკვებთაგანი, ხალხის ყოველდღიური კვების აუცილებელ კუთვნილებად ქცეული, „ლომი“ არც დაბადების ქართულ თარგმანში, არც ერთ ორიგინალურ ძეგლში და საბუთში მე-XIII ს-მდე არა ჩანს.

„ლომი“-ს ხსენება პირველად, ჯერჯერობით მაინც, დავით-ნარინის დროის „დიდი მონასტრის დეკანოზის“ იაკობის საბუთში გვხვდება. იქ ნათქვამია: „მალაკელთა და ფარსმანყანეველთა გლებთაგან გამოვალს სამი ურემი ლუინო უპარტახტოდ და ტყისაგან (=ტყისაგან-ს, ტყუიბულისაგან-ს?) მოდი, რაიცი-ლა მოვალს: იფქლი, ფეტვი და ლომი“-ო (ქქები, II, 129).

შემდეგ ამ მარცვლეულის სახელი დასაეღეთ საქართველოს საბუთებში უკვე ხშირად გვხვდება. მე-XV ს. იტალიელ მოგზაურთა იოსაფა ბარბაროსა და კინტარინის აღწერილობითგან ჩანს, რომ ამ დროს ლომი უკვე ერთ მთავარ საკვებთაგანად ქცეულა.

მე-XVII ს. იტალიელ მისიონერს არქ. ლამბერტის აღნიშნული აქვს, რომ „მეგრელები ჩვეულებრივ პურით-კი არა, ლომით იკვებებიან და უცხოელები დარწმუნებულნი არიან, პური რომ კიდევ მოიტანონ იქ, ვერ გაყიდიან“-ო (სამეგრ. აღწ. 56).

არქ. ლამბერტის მოწმობით, ლომი, რომელიც სამეგრელოს მთელი ნოსახლეობის „ჩვეულებრივი საქმელი“ იყო, სწორედ ის მარცვლეული იყო, რომელსაც ჩვენებურად პანიგო panigo ეწოდებოდა (სამეგრ. აღწ. 56).

მაგრამ, თუ დასაეღეთი საქართველოს მე-XV—XVIII ს. ს. საბუთებში ლომი მართლაც ყველგან გვხვდება, პირიქით აღმოც. საქართველოს არც ერთი საბუთი არ მოიპოვება, სადაც ლომი იხსენებოდეს. მისი ხსენება არც სხვა რომელსმე ძეგლში ჩანს მე-XVIII ს-მდე. ამაზე უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამ მცენარის კულტურის შესახებ ამერეთში არც რომელიმე ევროპელ მოგზაურსა და არუს დესპანს მოეპოვება რაიმე ცნობა.

მე-XVIII ს. პირველი ნახევრის აღმოს. საქართველოს დახასიათების დროს, ვახუშტს გარკვევით აქვს აღნიშნული, რომ კახეთში „არასთესენ ღობსა“ (გვ. 286). ხოლო ქართლში ღობის თესვა რომ გავრცელებული ყოფილიყოს იმავე ავტორს არსად პირდაპირ ნათქვამი არა აქვს. მარტო ხეფინის ხევის დახასიათების დროს ამბობს: „ქართლისაგან მეტი არს აქა ღობი-ო“ (გვ. 272). ამ სიტყვებითგან ჩანს, რომ მე-XVIII ს. დამდეგს აქა-იქ ღობი ქართლშიც უთესიათ, მაგრამ ეტყობა იმდენად მცირე რაოდენობით, რომ გარკვევით ღობის გავრცელების ადგილის დასახელება საჭიროდ არ მიუჩნევია. უეჭველია, ღობის მთის მოსაზღვრე ქართლის ზოლში იქნებოდა სადმე. დამახასიათებელია, რომ თვით ღობითმერეთის აღმოსავლეთ სანაპირო ხაზში, ხეფინის ხევშიც, ღობი ბევრი არ ყოფილა.

ზეწონათქვამის შემდგომ ცხადი ხდება, რომ ღობი მხოლოდ დასავლეთ სანაპიროვან მარცვლელუი ყოფილა ყოველთვის. მისი გავრცელების ასპარეზის აღმოსავლეთის საზღვრად უცილობლად ღობის მთის ქედი უნდა იქმნეს მიჩნეულა. ღობი კი რომ მარცვლელუის უუძველესი კულტურა ყოფილიყო, მისი არე ნაორცო ღობითმერეთით არ იქმნებოდა შემოზღულდული.

აწვარად, ღობის ნათარგმნ თხზულეებებსა და ორიგინალურ ძეგლებში მოუხსენებლობა ძველად საქართველოში მის არსებობას საეჭვოდ ახდის. ამასთანავე იგი მთელი საქართველოსთვის საერთო მარცვლელუი არასდროს არ ყოფილა. რასაკვირველია, ღობი მე-XIII ს. შუა წლებზე ადრე უნდა იყოს საქართველოში შემოსული, მაგრამ ამჟამად დროს განსაზღვრა, რაიმე დასაყრდნობი საფუძვლის უქონლობის გამო, ძნელია. ღობი უნდა დასავლეთითგან იყოს ღობითმერეთში შემოსული, აღმოსავლეთს მასთან საერთო არაფერი აქვს. ამას ის გარემოებაც ცხად-ყოფს, რომ მესხეთსა და ქართლ-კახეთში ღობი არსად ითესებოდა და არც ეხლა ითესება.

### § 3. ღობის სახეები

დასავ. საქართველოში გავრცელებული ღობი, როგორც ლ. დეკაპრელევიჩსა და ა. კასპარიანს ჯამორკვეული აქვთ, აღმოსავლეთ აზიაში არსებული ღობების ჯიშებისაგან განსხვავდება. ქართულ ღობს საეგეტრაციო ორგანოების უფრო ძლიერი განვითარება ახასიათებს, უფრო ხანგრძლივი საეგეტრაციო პერიოდი აქვს, უფრო მოზრდილი თანაყვავილოვნება გააჩნია, მაგრამ ამისდა მიუხედავად მეტად წერილი მარცვალ აბადია (К изучению итальянского проса, გვ. 554). ასეთი განსხვავებული თვისებების გამო ამ ავტორებმა ქართული ღობი ცალკე ჯგუფად გამოჰყვეს და სახელად *grax tubalicum* Dekapr. უწოდეს (იქვე).

ლ. დეკაპრელევიჩსა და ა. კასპარიანს დასავ. საქართველოში ღობის სულ 13 სახეობა აქვთ აღნიშნული (იქვე 549—552), მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი ნათგანის ქართული სახელია მოყვანილი, ადგილის აღუნიშნავად, სადაც ესა-თუ-ის სახელია გავრცელებული, ამასთანავე მხოლოდ რუსული ასოებით, რაც მათი ნამდვილი გამოთქმის გაგებას აძნელებს.

ლ. დეკაპრელევიჩისა და ა. კასპარიანის სიტყვით, არსებობს გრძელბუსუსიანი ღომის ერთი სახეობა, var. longiseta Döll. f. elongata, რომელსაც საქართველოში „ნაფღვლი თეთრი“ („Нажгли тетри“) ეწოდება. სამწუხაროდ, დასახელებული არ არის, რომელ თემში (იხ. К изуч. итал. ия. проса, გვ. 549—550). ეს ქვესახეობა მცირენაყოფიანად არის თურმე მიჩნეული.

არის შემდეგ ღომის კიდევ სხვა სახეობა var. iberica Dekapr. et. Kaspar., გვიანი და კარგ-მოსავლიანი, რომელსაც თურმე „უსახელო წითელი“ ეწოდება სახელად. სამწუხაროდ არც ამ შემთხვევაშია აღნიშნული ის თემი, სადაც ცნობაა ჩაწერალა (იქვე, 550).

დასასრულ, თავ-ორკაპიანი მოყვანილობის თაველიანი ღომის სახეობაც მოიპოვება, var. monstrosa Dekapr. et. Kaspar., რომლის მსგავსი ჯიში თურმე ინდოეთის არხიველაგის კუნძულ ამბინაზე მოიპოვება. ამ სახეობას საშუალო მოსავალი სცოდნია. საქართველოში (სად სახელდობრ, არა ჩანს) მას სახელად „ბოჟლა თეთრი“ („Божага тетри“) ჰქვია (იქვე, 550—551).

მოკლე-ბუსუსიანი ღომის სახეობათაგან ლ. დეკაპრელევიჩისა და ა. კასპარიანს დასახელებული აქვთ var. breviseta insignis Körn.-ს ქართული ტერმინი „ჩაქურა“ („Чакура“), რომელიც ფართოდ გავრცელებული ჯიში ყოფილა (იქვე, 551) და var. clavata Dekapr. et Kaspar.-ის სახეობისა „ხიტირი თეთრი“ („Хитири тетри“), რომელიც ნაყოფიერ ჯიშად ყოფილა მიჩნეული (იქვე, 552).

„უსახელო წითელი“-ს პირველი ნაწილი, „უსახელო“ აღბათ რაიმე გაუგებრობის ნაყოფი უნდა იყოს. ხოლო „ბოჟლა თეთრი“-ს პირველი ნაწილი „ბოჟლა“ გვაგონებს ფეტენაირი მცენარის ერთ სახელს, რომელიც კლავატის არაგვის ხეობაში გაუგონია და ჩაუწერია.

ქურონასთან ერთად კლავატის მოხსენებული აქვს მარცვლეული „ბლუჯა“-ც, რომლის კვალი თითქოს განქრალი ჩანს: ჯერჯერობით არცერთს, არც ნათარგნს და არც ორიგინალურ ძეგლში, რამდენადაც გულდასმითი ძიების შემდგომ დარწმუნება შემქდლო, ეს ტერმინი არ ჩანს. ს. ორბელიანსაც ეს სიტყვა თავის ლექსიკონში არ შეუტანია. ეტყობა, არაგვის ხეობაშიც მისი თესვა-მოყვანისათვის კარგა ხანია თავი დაუნებებიათ და სახელიც, როგორც ჩანს, დაიწყებული უნდა იყოს. მაგრამ ეს ტერმინი რომ კლავატის შეთსხული არ არის და არც რაიმე მის გაუგებრობის ნაყოფთან არ უნდა გვეკონდეს საქმე, ამას თანამედროვე გამონათქვამი „ბლუჯა-ბლუჯა“ თმის, ან ბუმბულის ამოგლეჯა ამტკიცებს, რომელშიც ბლუჯად ამ ფეტვისა, ან ღომის მაგვარი მცენარის თაველთან შედარება უნდა ყოფილიყო ნაჯულისხმევი. გულდასმითმა გამოკითხვამ და ადგილობრივ ძიებამ ეგების ბლუჯა-ს, თუ ბლუჯას კვალი და თვით კულტურა ეხლაც-კი აღმოაჩინოს. მაგრამ სანამ ეს საკითხი ამ გზით გამოირკვეოდეს, მეზადება აზრი, დეკაპრელევიჩისა და კასპარიანისაგან დასახელებული „ბოჟლა თეთრი“ ხომ შეცდომით არ არის ჩაწერილი „ბოჟლა თეთრი“-ს მაგიერ, ან ხომ ბეჯათა ადვილმონაცვლებით არ არის წარმოდგარი ბლუჯასაგან? თუ ეს ეკვი და მოსასრება გამართლდა, მაშინ ცხადი გახდებოდა, რომ ეს სახეობა ქართველ მიწისმოქმედს ღომად არც ჰქონდა მიჩნეული.

რაც ერთ სახეობას „ბოჯა“, ან ბლუჯა „თეთრი“ ჰქვია, იბადება საკითხი, „ესახელო წითელი“ ხომ ნამდვილად „ბლუჯა წითელს“ არ წარმოადგენს? თუ ეს გამართლდა, მაშინ ამ სახეობისაც საქართველოში ღომად მიჩნევის საკითხი სათუო შეიქმნებოდა.

„ჩაქურა“-ს სახელი ამ სახეობის ჩაქვიდან შომდინარეობის მაუწყებელია.

საყურადღებოა სახელების „ნაუღლო თეთრი“-სა და „ზიტირი თეთრი“-ს პირველი ნაწილები „ნაუღელი“ და „ზიტირი“, რომელთა მნიშვნელობა გამოურკვეველია. შეიქვლია, ამის გაგება ადგილობრივ ცნობების შეკრების დროს უფრო ადვილია.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ფეტენაირი მარცელეულთა საკითხი საქართველოში ნაკლებად არის შესწავლილი და სასურველია ადგილობრივ, საქართველოს სხვადასხვა თემში ხელმეორედ და გულდასმით იყოს იგი შესწავლილი, როგორც ბოტანიკურად, ისევე ტერმინოლოგიის მხრივაც. მაშინ ბევრი რამის გამოკვევა იქმნებოდა შესაძლებელი, რაც ამ ეამად გადაუწყვეტელი და ბუნდოვანია.

#### § 4. ჯ ი ქ უ რ ა

საქართველოში ერთგვარი ფეტენაირი მცენარე ყოფილა, რომელსაც „ჯიქურა“ ეწოდებოდა. საბას განმარტებით ეს მცენარე ვითომც „ინდოური ფეტვი“ უნდა ყოფილაყო (ლექსიკ.). ს. ორბელიანის ამ განმარტებას რ. ელისაბეცი იმეორებს, ზემოაღნიშნულ ფორმას გარდა „ჯიხურა“-საც ასახელებს. სადაურობის აღუნიშნავად და მცენარის ამ ქართულ სახელს ლათინ. Sorghum Capellarum-ის შესატყვისად სთვლის (მოკლე ქართ.-რუს.-ლათ. ლექსიკონი, გვ., 85). ამ მარცელეულს მე-XVIII ს. თურმე დასაყლეთი საქართველოს ზოგს წლიან თემში სთესდენ. გვლდენ შტედტს იგი 1772 წ. რაქაში უნახავს და მისი აზრით ჯიქურა არის Holcus Sorghum (Reisen, I, 400).

ამ მცენარის ქართული სახელი, „ჯიქურა“, მის საქართველოში ჯიქეთოდგან შემოსულობას ამქლავნებს.

როგორც ცნობების შეკრებისა და გამოკითხვის დროს გამოიკვია, ჯიქურა დასაყლეთ საქართველოში ეხლაც ყოფილა შერჩენილი. სტუდ. აკ. რიქამაძის სიტყვით, „ჯიქურა ითესება ღომთან და სიმიდთან ერთად, იზრდება ქლიერ მაღალი და სიმაღლით აღემატება სიმიდს. ამ მცენარე ჯიქურას საყვებად აღა ხმარობენ, მხოლოდ გლეხოვა დასაყველ იარაღად, ცოცხად, ხმარობს“-ო.

ლ. დეკაპრელევიჩისა და ე. მენაბდეს აღნიშნული აქეთ, რომ რაქაში სიმიდის ნათესების კიდეებზე და შიგ შენარეყად სთესენ Andropogon sorghum Brot. effusum var. technicum Kurr., რომელსაც თითქმის მხოლოდ ცოცხად ჰხმარობენო. ამ „სორგო“-ს ადგილობრივი ქართული სახელი მათ მოყვანილი არა აქეთ (К и з у ч. полев. ку л ь т. Запад. П р у з и и, I, Р а ч а, 238). როგორც ჩანს, აქ იმავე ჯიქურაზე უნდა იყოს საუბარი.

1 : ამ წერილობითი ცნობის გადმოცემისათვის სტუდ. აკ. რიქამაძის დიდად ემაღლობ.

6. კეცხოველს ენგურის ხეობაში სიმინდის იშვიათ შენარევედ გაერყელებული sorghum effusum-ის ქართულ სახელად „ცოცხა“ აქვს აღნიშნული (იხ. მასალები კულტ. მცენარეთა ზონალ., 60), მაგრამ არა ჩანს, ხალხური სახელია, თუ ხელოვნურად შეთხზული.

## თამი მასხა. საზოგადო დანიშნულების მცენარეები

### § 1. ს ე ლ ი

არა საკვებ, სამეურნეო მცენარეთა შორის პირველად უნდა „ხელი“ იყოს დასახელებული. ამ მცენარის სახელი ბევრგან გვხვდება (მაგ. გამოსლუთა P. 2 შჯულისაჲ 22, 11 და სხეაგან, — კელმწ. კარის გარიგება, გვ. 8, სტრიქ. 149 და 151—152 და სხეაგან). ნათარგმნ თხზულებებში სელი ბერძნულს ἄν λιον-ს, ლათინურს linum-სა და სომხ. ლინ-ს უდრის. რ. ერისთავს სელის მეგრულ სახელად „ხუ“ აქვს აღნიშნული (ქ.-რ.—ლ. ლექსიკ.). ამ ჟამად ეს ტერმინი თითქოს გამქრალი უნდა იყოს, რათგან პროფ. იოს. ყიფშიძეს მხოლოდ ზემოაღნიშნული ავტორის დამოწმებით აქვს ეს სიტყვა მოუყვანილი. თვით მას ამ მცენარის მეორე მეგრული სახელი აქვს შეტანილი. ეხლა მეგრულად სელს „ქუშუ“ ეწოდება. მაგრამ ამავე დროს ეს სიტყვა ქვაყსაც პნიშნავს, რომლის ქართული სახელის „ქუში“-ს შესატყვისობა უნდა იყოს კიდევ (იხ. იოს. ყიფშიძის მ. გ., 346 და ს. ორბელიანის ლექსიკ.). იოს. ყიფშიძის აზრით სამურზაყანოს სოფლისა და მდინარის სახელი „ოქუმი“-ც აქეთგანვე უნდა იყოს ნაწარმოები (იქვე) და სასელეს, ან საქვავეს უნდა პნიშნავდეს (ო-ქუმი).

მაგრამ სელის მეგრული სახელი „სუ“ რომ რ. ერისთავს სწორედ უნდა ჰქონდეს ჩაწერილი და ასეთი სიტყვა რომ მეგრულშიც მართლაც უნდა არსებობდეს, ამას ცხად-ყოფს ქანური ტერმინები „ოსულე“, რომელიც კანაჯის მცენარის დაქერებას, დაძინებას პნიშნავს თოკის დასაგრებად, და „სულერი“, რომელიც დაქერებულს, ანუ დაძინებულ კანაჯას პნიშნავს (ქ. გ., 186). ორსავე ტერმინში „სულ“ არის ძირი, ქართული სელისა შესატყვისად, ამგვარად, ქანურს მეგრული „სუ“-ზე უფრო სრული სახეობა დაუცავს. ქანურს, როგორც ჩანს, სელისა და კანაფისთვის ერთი-და-იგივე სახელი ჰქონია.

სეანურად ამავე სახელს „ხელ“-ს ჰმარობენ (იხ. ივ. ნიქარაძის P.-ც. ც. 180).

„სელი“, Linum ეკუთვნის Geraniales-თა რიგის სელნაირთა Linaceae ოჯახს (ზ. ყანჩაველი, ბოტანიკა, II, 319).

სელი თესლ-მარცვლეულის შემცველი კოლოფებიანი, „უნჯიანი“ მცენარეა, რომლის ქერქიც, „ქერელი“, შეიძლება საუკეთესო საჭსოვ ნივთიერებად დამუშავდეს. საბაზს ნათქვამი აქვს: „შამბთა, რომელთა ქერქი საკმაო არს, სელთა, ექსუნჯთა, ჩინჭართა და მისთანათასა“, — იმ ქერქს „ქერელი“ ეწოდებო (ლექსიკ.: „ქერქი“). რაკი, ორბელიანისავე განმარტებით, „იქუსუნჯი“

კანაფის სახელი ყოფილა, მაშასადამე, „ქერელი“ სელისა, კანაფისა და ჭინჭრის საქსოვ ნივთიერებად გამოსადეგი ქერქის სახელი ყოფილა.

სელის თესლს საქმელადაც ჰხმარობდენ, მაგრამ უფრო ზეთის გამოსახდელად იყო კარგი და სელის ზეთს ბევრგანაც ჰხდიდენ.

როგორც დემორგანმა დაამტკიცა, სელის ქსოვილების ნაშთი კავკასიაში და საქართველოში ბრინჯაოს ხანის საფლავებშიც-კი აღმოჩნდა (იხ. ჩემი „ქლი ერის ისტორია“: I, 10). ამ გვარად, ეს მცენარე ერთი უუძველესთაგანია ჩვენში. ძველად საქართველო განთქმული იყო სელის კულტურით. საბერძნეთის ისტორიკოს-გეოგრაფების წყალობით დიდი ხანია ცნობილია, რომ საქართველო, მეტადრე დასავლეთი, კოლხეთი, განთქმული იყო თავისი სელის ქსოვილებით. ამ ქსოვილების მაღალი ღირსების წყალობით, როგორც თავის ადგილას დავრწმუნდებით, საგარეო ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს საგნადაც-კი იყო ქცეული და შორეულ ქვეყნებშიც ფართოდ ყოფილა გაერცელებული.

ამ სამეურნეო დარგის საქართველოში და ქართველი ერის ტერიტორიაზე არსებობის შესახებ ისეთი ძველი ცნობები, როგორიც ეგვიპტეს სელის მეურნეობისა და მრეწველობის შესახებ არსებობს, რა თქმა უნდა, არ მოგვეპოვება, მაგრამ ჰეროდოტეს ისტორიითგან ნათლად ჩანს, რომ მის დროს და უწინარესაც ეგვიპტეს შემდგომ არც ერთი სხვა ქვეყანა საქართველოს მსგავსად თავისი საუკეთესო სელის ქსოვილებით განთქმული არ ყოფილა. ეგვიპტის ცნობილი მაღალხარისხოვანი ქსოვილების ერთად-ერთ ღირსეულ მეტოქედ სწორედ საქართველო, კოლხეთი ითვლებოდა.

როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, სელის კულტურის დასაწყისი ჩვენ ქვეყანაში ბრინჯაოს ხანის ბურუსშიც მოჩანს. ხოლო შემდეგშიც ფართოდ ყოფილა გაერცელებული.

ქსენოფონტეს აღწერილობითგან ვიცით, რომ მე-IV ს. ქრ. წ. კნათატომებს, ხალეებებს, თინიკიელი მეომრების მსგავსად, სელის ქსოვილისაგან შემზადებული სამკერდულები ჰქონდათ, მოსსენიკებს-კი მუხლამდე დაშვებული სელისავე კვართები ეცვათ (Anab. Lib. IV, cap. VII, § 15 და Lib. V, cap. IV, § 13 და ჰენ Kpl. u. Ht. 168).

სტრაბონი ჰმოწმობს, რომ სელი დასავლეთ საქართველოში, კოლხეთში, მის დროსაც ბევრი მოჰყავდათ (λίχον τε πασι πλῆ: Geographica Lib. XI, cap. II, § 17).

სელი შემდეგშიც საქართველოს მეურნეობა-მრეწველობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა და, როგორც თავის ადგილას დავრწმუნდებით, წინანდებურად საგარეო ვაჭრობის საგნად ითვლებოდა.

სელის თესლისაგან, როგორც აღნიშნული გვექონდა, ზეთსაც ჰხდიდნენ, რომელსაც საქმელადაც ხმარობდენ, ვითარცა ცხიმოვან ნივთიერებას, და ასანთებადაც. სელისგან საქართველოშიც ჰხდიდნენ ზეთს, მაგრამ, რაკი ჩვენ ქვეყანას ისეთი მაღალხარისხოვანი ზეთი ჰქონდა უხვად, როგორიც ნივების ზეთია, საქმელად ხელის ზეთს, რა თქმა უნდა, ისეთი გასაყალი არ ექმნებოდა, როგორც სხვაგან. სამაგიეროდ ასანთებლად ხმარობდენ ბოლმე. „კელ-

მწიფის კარის გარიგება"-შიც ნათქვამია, რომ დარბაზობის შემდგომ 'გამართული პურობის' დროს, თუ შებინდებოდა, „სუფრასა ზედა მაშხალის ასანთები ალყა ქონათ, ანუ სელითა იქნების“-ო (გვ. 814-160).

სელისგან ზეთის გამოხდას მე-XVIII ს. დამდეგსაც წინანდებურად მისდევდნ თურმე და ეახუშტის სიტყვით თრიალეთშიც სელი ბლომად მოდიოდა და „ხდიან ესენიცა (ე. ი. თრიალელნი) სელისაგან ზეთსა“ (გვ. 160).

ეახუშტი ამბობს, რომ ტაშირშიც „სელისაგან ხდიან ზეთსა მრავალსა, იკმევენ, სწყევენ და ყიდიან“-ო (გვ. 148).

აბოცის, ანუ ყაიყულის მცხოვრებნიც სელის სიმრავლის წყალობით ყოფილან „მხდელნი ზეთისანი“ (იქვე, 150).

## § 2. კ ა ნ ა ფ ი

სტრაბონის აღწერილობითგან ვიცით, რომ კოლხეთში სელს გარდა, რომლითაც ის შორეულ ქვეყნებშიც კარგად განთქმული იყო, უხვად მოჰყავდათ კანაფიც (*λίπυ τῆς παλαιῆς καὶ χύμαჯί: Geographica Lib. XI, cap. II, § 17*). ეახუშტის მოწმობით, ზოგან საქართველოში, მაგ. ბერდუჯის ხეობაში, „კანაფი უმუშაკოდ“-აც კი მოდიოდა (გვ. 136).

„კანაფი“ ათონის ქართველთა მონასტრის აღაპებში გვხვდება იქ, სადაც პელეს მაგიერ ამ ლავრის მთავარ-მამად და მამასახლისად გიორგის არჩევისა და მთელი სამონასტრო უძრავ-მოდრავი საკუთრება-ქონების გადაცემის ოქმია მოყვანილი. ამ საბუთის ცნობით სავანეს იმ დროს ჰქონია: „კანაფი პერპერისაჲ ვ (6) ასისაჲ“ (ათ. აღაპ., 264 § 158).

„კანაფი“ *Urticales*-თა რიგის თუთანიარა, *Moraceae*-ს ოჯახის კანაფნაიძთა *Caunaboideae*-თა ქვე-ოჯახს მიეკუთნება. ამავე ქვე-ოჯახს ეკუთვნის საფლარად გამოყენებადი „სეია“-ც (ზ. ყანჩაველი, ბოტანიკა, II, 289-290).

ამავე *Urticales*-თა რიგის ჰინქარნაირთა *Urticaceae*-თა ოჯახს ეკუთვნის „ჯინქარი“-ც *Urtica*, რომელსაც ეხლა ჰინქარი ეწოდება (იქვე, II, 290).

კანაფი, რომელსაც ბერძნულადაც *χάμαξί;* და ლათინურადაც *cannabis* „კანაბის“-ი ეწოდება, ეგვიპტელებისათვისაც და ფინიკელების, ისევე როგორც ებრაელებისათვის უცნობი მცენარე იყო. ჯერ კიდევ ჰეროდოტეს დროს კანაფი საბერძნეთში არ არსებობდა. მაგრამ უკვე 680 წ. ახლო ხანებში ქ. წ. ასსირიულ წყაროში იხსენიება „ქუნუბუ“, როგორც საკმეველი შესაწირავის ერთი შემადგენელ ნაწილთაგანი. ეგების აქ კანაფის სახელთან გვექონდეს საქმე? ჰეზუქიოსი კანაფს სკივთების გამაბრუებელ სასმელად ასახელებს. კასპიის ზღვის სანაპიროებზე და ბაქტრიაში ისევე, როგორც სოგდიანაში ეს მცენარე ველურად იზრდებოდა და ეხლაც იზრდება. იქითგან კანაფი შავი ზღვის სანაპიროებზე უნდა გადმოეტანათ და შემდეგ ბერძენ ახალშენთა წყალობით საბერძნეთსა და რომშიც გავრცელებულიყო.

აღსანიშნავია, რომ რომაელ მწერალთაგან პირველად 100 წ. ქ. წ. ლუციუსი იხსენიებს კანაფს. შემდეგ კანაფის კულტურა მთელ ევროპაში ვრცელდება და რუსეთშიც უკიდურეს ჩრდილოეთის ზოლამდის აღწევს (ჰენ Kpf. u. HL 19C-191).



კანათის ბერძნულ-ლათინური სახელის სადაურობა საბოლოოდ გამორკვეული არ არის (იხ. სხვადასხვა ჰიპოთეზები, იქვე, 191-192).

საბა ორბელიანმა ციკოდა, რომ ეს სიტყვა ქართული არ არის. მისი აზრით „კანათი ფრანგულია, ქართულად ექუსუნჯი ჰქვან“-ო (ლექსიკ.)

მაგრამ ფრანგულად კანათს ეწოდება *canard*, ძველ გერმანულად *hanaf-*ს ეძახდნენ, ეხლა-კი *der Hanf-*ს ხმარობენ სახელად, ძველ სლავურად *конопня*, პოლონურად *pienka*, რუსულად *пенька* (იხ. Крп. у. Нт. 192 და 601 შენ. 54). ამგვარად, თუნდაც რომ საბას „ფრანგული“ ევროპულის მნიშვნელობით გაეგოთ, მაინც არც ერთ მათგანს ქართულ კანათთან არაერთგვაროვნად კავშირი არ აქვს და არც ოდესმე ექმნებოდა.

სამაგიეროდ კანათი ისე უახლოვდება ბერძნულს „კანანაბის“-ს, რომ, უეჭველია, ქართველებსაც ეს სახელი იმავე წყაროთგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული, საითგანაც ბერძნებს შეუთვისებიათ.

რაკი პეროდოტი, კოლხეთში სელის მეურნეობასა და მრეწველობაზე საჭბრის დროს, კანათზე არაფერს ამბობს, ამიტომ ეგების ეს მღუმარება გარტო იმიოთ-კი არ აიხსნებოდეს, რომ მაშინ ეს მცენარე საბერძნეთში ჯერ გავრცელებული არ იყო, არამედ იმიოთაც, რომ საქართველოშიც ეს კულტურა ჯერ არ არსებობდა. ქსენოფონტეს *Anabasis*-ში კანათის შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ტომთა აღწერილობაში მოუხსენებლობაც იქმნებ იმავე გარემოების მომასწავებელი იყოს. ერთი სიტყვით, კანათის კულტურის საქართველოში არსებობის შესახებ დანამდვილებითი ცნობა სტრაბონზე, ე. ი. I ს. ქ. წ., უწინარეს არ მოგვეპოვება. ხოლო რაკი ამ დროს ამ მცენარის მოშენება თართოდ ყოფილა კოლხეთში გავრცელებული, ამიტომ საფიქრებელია, რომ კანათი კარგა ხნით უწინარეს უნდა ყოფილიყო საქართველოში შემოსული.

მაგრამ კანათი ველურად შავი ზღვის სანაპიროზეც და შუაგულ საქართველოშიც იზრდებოდა, ამიტომ ეგების ტერმინი კანათი მხოლოდ იმ დროს შემოსულიყოს ქართულში, როდესაც ამ მცენარის ქსოვილებისათვის განოყენების ხელოვნება უცხოეთითგან შემოვიდა, წინათ-კი მას ქართულად თავისი განსაკუთრებული სახელი ჰქონოდა. სამწუხაროდ ს. ორბელიანს წყარო დასახელებული არა აქვს, რომ გამორკვეულიყო, წერილობითი ძეგლითგან ჰქონდა მას ეს ცნობა ამოღებული, თუ კანათის ხალხში გავრცელებული სახელი აღნუსხა.

რაკი ეს მცენარე ებრაელთათვის უცნობი იყო და დაბადებაშიც არსად იხსენიება, ამიტომ სიტყვა კანათის ქართულში შემოსულობის, ანდა ძველი ქართული მისი მოსალოდნელი სახელის გამორკვევა დაბადების ქართული თარგმანის დახმარებითაც შეუძლებელი ხდება. ამგვარად ჯერჯერობით საკითხი გამოურკვეველი რჩება. შეიძლება ითქვას მხოლოდ, რომ კანათის ქართული სახე-

ლის „ექუხუნჯი“-ს მართლწერა უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი რომელიმე ძველი წერილობითი წყაროთგან უნდა იყოს ამოღებული.

ყურადღების ღირსია თვით ტერმინი „ექუხუნჯი“, რომელიც ორ ნაწილად იტყუა ჩანს და „ექუს“-ისა და „უნჯ“-ისაგან არის შემდგარი. ეგების ბოტანიკოსებმა გამოარკვეონ, არსებობს თუ არა კანათის ისეთი ჯიში, რომელიც ამ სახელს რეალური სინამდვილის გამოხატველად ჰხდიდეს?

საგულისხმო გარემოებაა, რომ, თუ მეგრულს კანათის აღსანიშნავად ამავე სიტყვის ფონეტიკური სახენაცვალი „კიფი“ აქვს, ჰანურს, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 392) ამ მცენარის აღსანიშნავად სელის სახელივე ჰქონია გამოყენებული. ეგების ასევე იყო თავდაპირველად საქართველოში?

როგორც კანათის თანამედროვე მნიშვნელობითგანაც ჩანს, ამ მცენარის ქრელი საქართველოში უმთავრესად წერილი თოკების დასაგრებად ყოფილა განკუთვნილი.

### § 3. ბ ა მ ბ ა

ბამბა ამიერ-კავკასიასა და საქართველოში უძველესი დროითგან უნდა ყოფილიყო ცნობილი, რათგან დე-მორგანის გამოკვლევამ ცხად-ჰყო, რომ ბრინჯაოს ხანის საფლავებში, სელისა და მატყლის ქსოვილებს გარდა. ბამბის ქსოვილების ნაშთიცაა დაცული (იხ. ჩემი „ქართ. ერის ისტორია“, I, გვ. 10). ბამბის ასეთი სიძველისდა მიუხედავად, არც ბერძნულ წყაროებში და არც ქართულში ძველ ხანაში ამ კულტურის საქართველოში არსებობის შესახებ ცნობები გერ არა ჩანს. ვიცით მხოლოდ, როგორც ამ ნაწარმის ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ ნაწილში დავრწმუნდებით, რომ მე-XII—XIII სს-ში ბამბის ქსოვილები საქართველოთგან უცხოეთშიც-კი გაჰქონდათ.

რაკი დაბადების ტექსტში არსად ბამბის ხსენება არ არის, ამიტომ გამოურკვეველი რჩება საკითხიც, თუ რა უნდა ჰრქმეოდა ამ მცენარეს უძველეს ხანაში. ჩვეულებრივ მიღებული სახელი „ბანბა“, ან „ბამბა“ სპარსულ ტერმინს უდგება, სადაც ფაჰლავურშიც „ჰამბაკ“-ი, ახალ-სპარსულში-კი „ფანბა“-ა. ამას გარდა ბამბის ქსოვილების აღსანიშნავად, უმთავრესად მე-XVII—XVIII სს. ძეგლებში უცხოეთითგან შემოტანილისათვის, „ყუთნი“-ც იხმარებოდა. „ყუთნი“ არაბულად, როგორც ფ. გორგიჯანიძესაც აქვს თავის ქართულ-არაბულ-სპარსულ პატარა ლექსიკონში მოყვანილი, ბამბასა ჰნიშნავდა (იხ. მ. ჯანაშვილის გამ. გვ. 54).

საქართველოს გეო-ბოტანიკური არეების მიმოხილვაში უკვე გვქონდა დასახელებული ყველა ის ადგილები, სადაც ჩვენში ბამბა ხარობდა (იხ. აქვე, გვ. 332).

ვახუშტის აღნიშნული აქვს, რომ საქართველოში, რა თქმა უნდა. სათანადო ადგილას მე-XVIII ს. დამდეგსაც „ბამბას სთესდენ“ და რომ ეს მცენარე ჩვენში „მრავალ ნაყოფიერებს“, კარგად ხარობს. მაგრამ ამასთანავე სახელოვან ქართველ მეცნიერს მისი თვისების შესაფასებლად ნათქვამი აქვს, რომ „სხვაგანებური უნჯობეს არს“-ო (გვ. რთა, 56).

**თავი მათე. მიწის ნაყოფიერება და მოსავლიანობაზე ზედნა კმაღლ  
საძარტველოში.**

**§ 1. მიწის ნაყოფიერება**

მიწისმოკმედის შრომის ნაყოფიერება, რასაკვირველია, ნიადაგის თვისებებზეც იყო დამოკიდებული. ამიტომ ეკონომიური ისტორიის შესწავლის დროს ამ საკითხის გამოკვლევა და ანგარიშის გაწევა აუცილებელი არის.

სახარებითგან (მარკოზ 4<sup>ე</sup>) ცნობილია კარგი მიწის („ქუეყანაჲ კეთილი“) მოსავლიანობის უაღრესი შესაძლებლობა, როდესაც მიწა სოფლის მეურნეს იმუნად უხვად „მოსცემდა ნაყოფსა“, რომ ნათესს „მოაქუნდა ოცდაათეული, სამოცეული და ასეული“. მაგრამ ეს, ვითარცა იგავი მოყვანილი ცნობა, რასაკვირველია, მოსავლიანობის არაჩვეულებრივ შემთხვევად უნდა იქმნეს მიწეული.

პროფ. სოცინ-ს (A. Socin) აღნიშნული აქვს, რომ, ადერლინდ-ის ცნობით, პატივით გამოხიერებულ საუკეთესო მდებარეობის მქონებელსა და განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებში ნათეს ხორბალს ოცდაათეული მოსავლის მოცემა შეუძლიან, ქერისას-კი ასოცეელისა (sic!). გაუპოხიერებულ მიწას-კი გზდრელონში ხორბალი ათეული მოსავლის მეტს ვერ იძლევა, ჩვეულებრივ ერთი შვიდად, ან ერთი რვაჯერ მატულობს. ქერიც ათეულზე მეტს მიწისმოკმედს ვერ შესძენს ხოლმე, ჩვეულებრივ-კი ექვსეულსაც ძლივს აღწევს. ხოლო ურიასტარს მთიან ადგილებში გაუპოხიერებელი მიწაში ხორბალი მხოლოდ ერთი ორად და ქერი ერთი სამად მატულობს და ამაზე მეტს ვერ აძლევს სოფლის მეურნეს. ეველადაც პალესტინაში მიწის ნაყოფიერება დაახლოვებით ასეთივე იქმნებოდა, ან ოდნავ მეტი მოსავლიანობა ეცოდინებოდაო (იხ. „Ackerbau“: პროფ. H. G. Guthes Kurzes Bibelwörterbuch-ში).

თანამედროვე გამოანგარიშების მიხედვით ატრიკის 1 დღიურ ნახნავს, ნაკლებ ნაყოფიერი ნიადაგის გამო, 6—7 შედინი მარცვლეულის მოცემა არ შეეძლო (იხ. Orth-ის Landwirtschaft: Paulys R. E. 23. H. Band, 1924 წ., გვ. 636).

თვისის დროს რომაელები ანგარიშს სახნავი მიწის თვისებას უწევდენ: წარმოადგენდა, თუ არა იგი ახალ კორდგატეხილ ნახნავს (terra rudis), თუ ყოველწლივ იხენებოდა (terra restibilis), ანუ დასვენებული მიწა იყო (vervactum) (Orth Getreide: Paulys R-E. VII, 1342). კოლუმელსა სიტყვით კარგ ნიადაგიან ერთ დღიურზე (Morgen) დასათესად 4 მოდი ხორბალი, ან 9 მოდი ასლი უნდა აეღო მეურნეს. საშუალო ღირსების ერთ დღიურზე—5 მოდი ხორბალი და ათი მოდი ასლი. ხოლო სხვა მეურნეები საერთოდ დღიურზე, რა ღირსებისსაც არ უნდა ყოფილიყო იგი, სათესლედ 5 მოდს ხორბალსა და 8 მოდს ასლს იღებდენ ხოლმე (Orth Getreide: Paulys R-E VII, 1343).

იტალიის ყველაზე ნაყოფიერ თემად ეტრურია ითვლებოდა, რომლის ზოგიერთ კუთხეში თხუთმეტეული მოსავალი იცოდა და თავისი მსხვილი და საუკეთესო მარცვლეულობით იყო განთქმული (Olick, Ackerbau Paulys

სამხრეთი იტალიის ქ. საბარისში თითქოს ასეული მოსავალიც უნდა სცოდნოდნა („hundertfältigen Ertrag.“: იქვე, I, 274).

ორთაშუა რიცხვითი იტალიის ნიადაგის მოსავლიანობა გაცილებით ნაკლები იყო. სახელდობრ Columella ამტკიცებდა, რომ საერთოდ იტალიაში მის დროს უდიდეს მოსავლად ოთხეული ითვლებოდა ისე, რომ 5 მოლი მკვლე მიწა იუგერუმზე დათესილი თესლი 80 მოლ მოსავალს აძლევდა ადამიანსაო (Olick, Ackerbau: Paulys R-E I. 277).

რომის სასოფლო მეურნეობის წესის თანახმად ერთ იუგერუმზე, რომელიც 2,546, ან 2, 5228 □Km. უდრის (იხ. Viedebantt. Jugerum: Paulys R-E IX, 2507), 5 მოლ თესლსა სთესდენ ხოლმე (Olick, Ackerbau Paulys R-r I, 277).

რა ცნობები გვაქვს მიწის ნაყოფიერების შესახებ საქართველოში?

სტრაბონის ცნობით, დასავლეთი საქართველო ნაყოფიერი ქვეყანა იყო და ნიადაგი კეთილი ჰქონდა (αγαθή γῆ ἐστὶν ἡ γῆρα: Geographica lib. XI, c. II, 17). ამგვარადვე, ამავე ავტორის სიტყვით, ალბანელები და იბერიი კურთხეული ქვეყნის პატრონი იყვნენ („τὸ θῆ τὸν Ἀλβανῶν εἰσὺν καὶ τὸ τὸν Ἰβηρίων... εἰς ἀγαθὴν δὲ γῆραν ἔχει“: G. Lib. II, c. II, 19). გამონაკლისს მხოლოდ კავკასიის უღელტეხილთან მოზინდარე ტომები წარმოადგენდენ, რომელთაც სახნავე მიწების სიმცირე აწუხებდათ და ლატაკები იყვნენ („τὸ μὲν οὖν ἀλλὰ εἰσὺν, τὸ πλεονεχὲς τὰ περὶ τὸν Καυκασὸν ἰσχυρὰ καὶ μακροχρόνια“: იქვე Lib XI, c. (II, 19).

ამაზე უფრო გარკვეული ცნობა მიწის ნაყოფიერების დასახასიათებლად სტრაბონს მხოლოდ ალბანეთის ნიადაგის თვისების აღწერილობაში მოეპოება. ბერძენთა სახელოვანი გეოგრაფის სიტყვით, ალბანეთის ნიადაგი იმდენად ნაყოფიერი იყო, რომ ხის მარტივი სახენელით მოხსნული ნათესი ყანა პირველ წელიწადს ხშირად ორმოცდაათეულ მოსავალს აცუკი აძლევდა მიწისმოქმედს („παιλλὰ γὰρ ὄνεν ἡπαρειαῶν... ἐχθέρουσαν καρπὸν... τὸν θῆ πλεονεχὲς καὶ πενταεστὸς οἶον, ἀέχασεν καὶ ἑπτα... ἡμῶν... ἀπὸ τῆς ἀπὸ ἀπὸ... Geographica, Lib. XI c. IV, 3).

ეს ცნობაც, რასაკვირველია, ალბანური ნახნავის უაღრესი მოსავლიანობის განსაკუთრებული მაგალითის მსგავსად არის დასახელებული. სტრაბონი ამბობს: პირველად მოხსნულ-დათესილი ყანა ხშირად ერთი ორმოცდაათად იძლეოდა მოსავალსაო. მაშასადამე ეს ალბანური ნიადაგის მინიმუმ ჩვეულებრივი ნაყოფიერების ნორმა არ ყოფილა, არამედ ჩვეულებრივი მოსავლიანობის ოდენობა ამაზე ნაკლები უნდა ვიგულისხმოთ. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ბერძენთა გეოგრაფს განმარტებული არა აქვს, ორმოცდაათეული მოსავლიანობაზე საუბრის დროს მას ხორბლისა, თუ ჭერის, ან ქრთილის მოსავალი ჰქონდა ნაგულისხმევი. როგორც ცნობილია, ქერი და ქრთილი ხორბალზე საგრძნობლად მეტ მოსავალს იძლევა.

სტრაბონის ზემოთყვანილი ცნობა, როგორც აღნიშნული გვქონდა თუმცა ალბანეთს ეხებოდა, მაგრამ, რაკი მისივე სიტყვით იბერიისა და კოლხეთის ნიადაგიც ალბანურის მსგავსად ძალზე ნაყოფიერი იყო და „კურთხეულ ქვეყანად“ მიაჩნდა, ამიტომ საქართველოს ნახნავე მიწის იმდროინდელი მოსავლიანობაც ალბანურის მსგავსად მეტად უხვად უნდა ვიგულისხმოთ.

თანდათან, საუკუნეთა განმავლობაში, საქართველოს სახნავი მიწის ნაყოფიერება და მასთან ერთად მოსავლიანობაც უნდა შემცირებულიყო. შემდეგი დროისათვის ნიადაგის მოსავლიანობის შესახებ გარკვეული ცნობები არ მოგვეპოვება.

მიშეცკის, რუსი დესპანის, სიტყვით საქართველოში მარცვლეულობის საწულო მოსავლიანობა ყოფილა („Земля хлел родит средней“: მიშეცკის ელჩობა კახეთში 1640—43 წ., გვ. 160). ელჩინს-კი 1639—40 წ. თავის აღწერილობაში ნათქვამი აქვს, რომ საქართველოში ხორბლეული არის და შემდეგ მოყვანილია თითქოს მოსავლიანობის ოდენობა, მაგრამ გაუგებარია რუს. ისტორიის სპეციალისტებისათვისაც: პროფ. მ. პოლივქტოვმაც, რომელსაც შევევითხე, ამ სიტყვების მნიშვნელობა ვერ განმარტა. („Пшеница есть, дает чети“: Посольство Ф. Ельчина, გვ. 337).

საქართველოში სახნავი მიწის მოსავლიანობის სიდიდის გამოსაანგარიშებლად სრულებით გარკვეული ცნობა ვახტანგ VI-ეს აქვს თავის „დასტურლამალ“-ში მოყვანილი. იქ ერთი საეულისხმოდებულეუბა მოიპოვება, რომელსაც სათაურად აქვს: „გუთნის ხუნისა, მკისა და ლეწვის კარჯისათვის“. ამ დებულებაში შემდეგია ნათქვამი: „გუთანმა უნდა მოკნას ერთმა დღიური ორმოცდაათი. დღიურში დაითესების ორ-კოდნახევარი. იქნების ერთპირად ამისი თესლი კოდი ასოცდახუთი. უნდა მოვიდეს კოდნედ ურემი. ურემს უნდა გამო[უ]ვიდეს რვა კოდი<sup>1</sup>. იქნების ერთპირ კოდი ათასი. ეს ათასი კოდი პური და ქერი ორმოცდაათის დღისა ნახნავედ უნდა ამ წესით მოვიდესო“-ო (გვ. 23).

ზემომოყვანილი დებულებითგან ირკვევა, რომ ერთ კოდ თესლზე ნახნავი ერთ ურემ მოსავალს აღეუდნა მიწისმოქმედს, უეკველია ძნით. ხოლო, რაკი ნათქვამია, რომ ურემს 8 კოდი პური უნდა გამოუვიდესო, ცხადი ხდება, რომ 1 კოდ სათესლე ხორბალზე მიწისმოქმედი 8 კოდს იღებდა. ამგვარად ირკვევა, რომ სახნავი მიწის მოსავლიანობა აღმ. საქართველოში მე-XVIII ს. დამდეგს რვა-ჯერადი ყოფილა. თუ ყველა ზემო-მოყვანილ ცნობებს გავითვალისწინებთ, მიწის დიდი ნაყოფიერება ძველ საქართველოში უეკველი შეიქმნება.

## § 2. მიწის მოსავლიანობაზე მზარუნველობა: ნიადაგის დასვენების წესები

ყოველწლიური ხენა-თესვა მიწას მალე აშკლევებდა და ბოლოს უნაყოფოდ ხდიდა. მიწისმოქმედს, ან უნდა ამ სახნავი ადგილისათვის თავი დაენებებინა და სხვა ადგილას ვადასულაყო, რომ იქ კორდი გაეტეხა და ახალი ღონიერი ნიადაგი ჰქონოდა, ან უნდა ის სახნავი ნაქრები რიგ-რიგობით დაესვენებინა. სახნავი ადგილის მონაცვლება მხოლოდ პირველყოფილ მდგომარეობაში იყო შესაძლებელი, როდესაც, მოსახლეობის სიმცირის წყალობით, ზეერი თავისუფალი ლაუშეშავებელი მიწა იყო და გადასვლ-გადმოსვლა შეუფერხებელი შეიძლებოდა. ეს ხანა ევსტენსიური მეურნეობის ხანაა.

<sup>1</sup> იხ. სულხან მდიუნის ხელთნაწერი, იქვე, გვ. 136.

ხალხის გამრავლებას სახნავე მიწების მონაცვლება ჯერ უნდა შეეზღუდა, შემდეგ-კი სრულებითაც მოესპო. მიწას ამის გამო განსაკუთრებული მზრუნველობა სჭირდებოდა და რაიმე საშუალება უნდა ყოფილიყო ნახმარი, რომ მიწის-მოქმედი გამოეკეცება.

ერთ და ყველაზე უფრო მარტივ ამგვარ საშუალებათაგანად სახნავეის დასვენება ითვლებოდა. ებრაელთ ეს საშუალება საღმრთო სჯულისაგანაც დაკანონებულად ჰქონდათ მიჩნეული. გამოსვლათა წიგნში მაგ. ნაბრძანებია: „ექუს წელი სთესო ქუეყანაჲ შენი და შეჰკრიბო ნაყოფი მისგან, ხოლო მეშვდესა წელსა მიტევებაჲჲჲჲ და დაუტევო იგი“-ო (23<sub>10</sub>). ლევიტელთა წიგნშიც დადგენილი იყო: „ექუს წელ სთესო ყანა შენი... ხოლო წელსა მეშვდესა შაბათი განსუენებაჲ იუოს ქვეყანისაჲ“ (25<sub>1,2</sub>). მაშასადამე, მიწის დასვენებას ჰრქმევია „განსუენებაჲ ქუეყანისაჲ“, რაც შესატყვის ადგილას ბერძნულს ἡ ἀνάπαυσις ἑξ ἑξ, ლათინურს requietio terrae-ს და სომხურს հանգիստ երկրին-ს უდრის.

იმ წელიწადს, როდესაც სახნავს ასვენებენ, ეწოდებოდა „წელიწადი განსუენებისაჲ (ლევიტელთაჲ 25<sub>3</sub>). ბერძნულად ამას ἐπιπέρας ἀνάπαυσις-ს, ლათინ. annus requietionis terrae-ს და სომხურად ამს հանգისտեան-ს ეძახდენ. მიწის დასვენება წარმოადგენდა ხენის მინებებას და იყო „შიტევებაჲ ქუეყანისაჲ“ (ლევიტელთა 25<sub>10</sub>). ბერძნულში ამას უდრის ἀπαυσις ἐπι ἑξ ἑξ, ლათინ. remissio terrae და სომხურად-კი Թողութիւն ի վերայ երկրին.

მიწის მოხვნა წელიწადში ორჯერ იცინა: ან გაზაფხულზე, ან შემოდგომას. დაბადებითგან ჩანს, რომ ტერმინი „ანეული“, რომელიც ეხლაც ცოცხალია და ს. ორბელიანისა არ იყოს „ზაფხულის ნახნავეი“ არის, ძველად სხვა ცნების გამოხატველი ყოფილა. იერემიას უწერია: „იანეულეთ თავთა თვსთად ანეულნი“-ო (4<sub>3</sub>). ბერძნულ ტექსტში აქ ნახმარია *νεσμεα*, სომხურში *հերկ*. უკანასკნელი ჩვეულებრივი ხენის აღმნიშვნელია. როგორც ეტყობა სომხურში მაშინ შესატყვისი ტერმინი არ მოიპოვებოდა. ბერძნული ἡ *νεσμεα*-კი ახალ ნახნავს, ახალ კორდგატებილს ეწოდებოდა. (F. Passow. Handwörterbuch der Gr. Sprache. 5. Aufl).

ტერმინი „ანეული“ საყურადღებოა, როგორც თავისი მნიშვნელობით, ისევე აგებულებითაც. საგულისხმოა, რომ ამ სიტყვიდანვე ბერძნულის მსგავსად ზნნაც ყოფილა ნაწარმოები.

შესაძლებელია „ანეული“ წარმომდგარი იყოს „ყანეული“-საგან და უფრო პირვანდელი ნაყანეულისაგან თავკიდური „ყ“-ს გაქრობით, რაც ქართულ დიალექტებში იშვიათი არ არის. ამგვარად, თავდაპირველად ანეული კვლავ გადახული ნაყანეის, დასვენებული მიწის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

დაბადებითგან მოყვანილი ამონაწერებითგან ჩანს, რომ ებრაელები მიწას შვიდ წელიწადში ერთხელ ასვენებდნ ხოლმე. რა წესს მისდევდნ ძველად საქართველოში, ამის შესახებ ჯერ არსად არაერთარი ცნობები არ მოგვეპოვება. სტრაბონს აქვს მხოლოდ აღნიშნული, რომ ალბანეთში ნიადაგი იმდენად ნაყოფიერი იყო, რომ მცირეოდენი და მარტივი დამუშავებითაც მიწისმოქმედს უხვ მოსავალს აძლევდა. ერთხელ დათესილი სახნავეი ხშირად ორჯერ და სამ-

ჯერაჲ-კი იძლეოდა მოსაეალს. პირველად კორდ-ვატეხილი, ამასთანავე რკინისა-კი არა, ხის გუთნითაჲ-კი მოხნული, მიწა პირველსავე წელიწადს მოსაეალს ერთი-ორზოცდაათად აძლედა პატრონსაო (Geographica, Lib. XI, cap. IV, § 3).

თუნდაც რომ ბერძენ-რომაელ მოლაშქრეთა ნაამბობზე დამყარებული ეს ცნობა გადაკარბებული იყოს, მაინც მაშინდელი ალბანეთის ნიადაგის განსაკუთრებული ნაყოფიერება უცილობელ გარემოებად უნდა იქმნეს მიჩნეული. სანამ მიწა ხშირი დამუშავებისაგან დამქლევდებოდა და გამოიფიტებოდა, მანამდე დიდი მოსაეალიანობა გასაოცარს არაფერს წარმოადგენს. მაგრამ დიდხანს დაუსვენებლივ საეჭვოა რომ ალბანეთშიც ნახნავ-ნათესს მიწის მუშაკი ასე უხვად დაეჯილდოვებინა.

საქართველოს ნიადაგიც, მეტადრე დასავლეთის, მაშინაც თავისი ნაყოფიერებითა განთქმული იყო (სტაბონის G. lib. XI, cap. II, § 17-18), მაგრამ ქვეყანა წვიმროდ იყო დასახლებული (იქვე, Lib. XI, cap. III, § 1-2) და ამის გამო, რასაკვირველია, არ შეიძლება მიწადმოქმედება ისევე ექსტენსიურად ეწარმოებინათ, როგორც ალბანეთში. ამიტომ-ვე მიწის დასვენება, საქართველოში, უეჭველია, მაშინაც უნდა სცოდნოდათ. გამოსარკვევია მხოლოდ, თუ რამდენ წელიწადში ერთხელ ასვენებდნ სახნავს, მისდევდნ, თუ არა იმავე წესს, რომელიც ძველ ებრაელებსა და სხვებსაც ჰქონდათ თუ დროის სხვა მანძილი იყო მიღებული?

იმ ხანისათვის, რომელიც „საქ. ეკონომიური ისტორიის“ წინამდებარე I წიგნის ასპარეზს შეადგენს, ამ საკითხის გამოსარკვევად ცნობები არ მოგვეპოვება. მაგრამ კლასიკოსთს აქვს აღნიშნული, რომ მე-XIX ს. დამდეგს საქართველოში ქ. დუშეთის მიდამოებში მიწის დასვენება ოთხს, ანდა ექვს წელიწადში ერთხელ ყოფილა წესად მიღებული, „ხევ“-ში-კი სახნავ მიწას თურმე 5, ან 6 წელიწადში ერთხელ ასვენებდნ (Voyage au Caucase et en Géorgie, II, 28. და 32). საფიქრებელია, რომ ასეთივე წესი იქმნებოდა ძველადაც. ექვს წელიწადში ერთხელ დასვენება უფრო ადრინდელი წესი უნდა იყოს, ოთხ წელიწადში ერთხელ-კი შემდეგში, ნიადაგის თანდათან დალა-გამქლევების გამო, შემოღებული წესი ჩანს.

### § 3. შემინდგრეობის სისტემა სხვაგან და საქართველოში

სახნავი მიწის დამქლევებისა და გამოფიტვის თავითგან ასაცილებლად უკვე უძველეს ხანაშივე სასოფლო მეურნეობაში დასათესავე მარცვლეულის რიგობითი ნანაცვლება იყო შემოღებული. ეს საშუალება იმ დაკვირვებაზე იყო დამყარებული, რომ სხვადასხვა მარცვლეულს სხვადასხვა ოდენობის პოზიერება სჭირდება. ამ გარემოების ცოდნითა და გათვალისწინებით სოფლის მეურნეს, მარცვლეულის სათანადოდ შერჩევით, სახნავი მიწის ღონის ჯეროვანად და მისი სახსრის გამოზოგვით შეეძლო.

ბერძნები ძველად ორ წელიწადში ერთხელ ასვენებდნ მიწას და სათესის ცვლა ირ იკოდნენ (Olick, Ackerbau: Paulys R-E I, 267-268). მხოლოდ შე-

მდეგში ხორბლის შემდგომ გაზაფხულის ქერის თესვას მიჰყევს ხელი. მერმე სამველიანობის სისტემატ ჩნდება და გაზაფხულის ხორბლის, ქერისა და ფეტვის თესვა შემოიღეს (იქვე).

რომაელებიც სათვის ცვლას გულმოდგინედ მისდევდენ. მაგ. ვლსანიშნავია, რომ კამპანიის ზოგ სახნავეებზე ერთი წლის განმავლობაში ერთი ზამთრითგან მოყოლებული მეორე ზამთრამდე ზედიზედ ორჯერ ასლის მოყვანას, მესამეჯერ ფეტვისა და კიდევ რაიმე ბოსტნეულის მოყვანას ასწრებდენ (Olck, Ackerbau; R-E I, 273).

ამგვარადვე ერთიმეორის შემდგომ ქერის, ფეტვისა, თალგამისა, ისევ ქერის, ანდა ხორბლის მოყვანას ახერხებდენ (იქვე).

ამ საგულისხმო საკითხის გასაშუქებლად ქართული სასოფლო მეურნეობის უძველესი ხანისათვის ჯერ არსად ცნობები არა ჩანს. მხოლოდ იტალიელ მე-XVII ს. მისიონერს მოეპოვება ერთი საყურადღებო ცნობა, რომელიც დასავლეთ საქართველოს, უმთავრესად სამეგრელოს, ეხება.

არქ. ლამპერტის მოწმობით, სამეგრელოში, სადაც კარგი მიწა იყო, ჩვეულებრივ ასეთს წესს ადგენენ: „პირველ წელიწადს სთესენ ღომს, მეორეს სიმინდსა და მესამეს. პურსა. შემდეგ ამისა მიწას სამის, თუ ოთხის წლით ასვენებენ“-ო (სამეგრ. მოგზ., 58-59). მაშასადამე, დასავლეთ საქართველოში სამი მარცვლეულის მონაცვლეობის სისტემა ყოფილა წესად მიღებული, დაახლოვებით ალბათ ასეთივე სისტემა იქმნებოდა აღმ. საქართველოშიც, მხოლოდ ღომისა და სიმინდის მაგიერ, რა თქმა უნდა, სხვა მარცვლეული ექმნებოდათ.

#### § 4. მიწის გაპოხიერება

ნიადაგის დამკლევებისა და დაუძღურების გამოსასწორებლად და თავითგან ასაცილებლად, მიწის მოსაელიანობის გასადიდებლადაც მესამე საშუალებად სახნავის ხელოვნური გაპოხიერება ითვლებოდა. მაგრამ სასუქის საჭიროების შეგნება სასოფლო მეურნეობაში მაინც შედარებით გვიან გაჩნდა.

ნიადაგის პატივით გაპოხიერების შესახებ ცნობა პომპიროსისაც მოეპოვება, მაგრამ დიდ ხანს მას შემდგომაც გაპოხიერებას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდენ და პატივს ყოველთვის არ აგროვებდენ ქსენოფონტეს დროსაც-კი. პატივით გაპოხიერებას გარდა, ბალახ-ნამჯიანი მიწის გადამბრუნებითაც ცდილობდენ ხოლმე სახნავის განოყიერებას. თეოფრატეს უკვე შენიშნული ჰქონია, რომ გაპოხიერებულ ნიადაგზე ნათესი 20 დღით უსწრებდა წინ გაუპოხიერებელი მიწის ნათესს (Olck, Ackerbau: Paulys R-E I, 269).

რომაელებს თუმცა მიწის გაპოხიერების მნიშვნელობა უკეთესად ჰქონდათ გათვალისწინებული, ისე რომ ვარროს-ს (Varro) განცხადებით საქონლის შენახვა-მოშენება სოფლის მეურნეს უმთავრესად სასუქის მისაღებად სჭირდებოდა მაგრამ მემინდერეობაში, საველე მეურნეობაში, მიწის გაპოხიერებას ჯეროვან, ყურადღებას მაინც არ აქცევდენ. სასუქს აქ უმთავრესად თალგამის მოსაყვანად



ხმარობდენ ხოლმე. შემდეგში ნიადაგის გაპოხიერება მაშინ მიაჩნდათ ჩვეულებრივ საჭიროდ, როდესაც მიწის დასვენება არ ჰსურდათ (Olick, Ackerbau. Paulys R-E. I. 279).

შემდეგში თანდათანობით მისი გაღონიერების ამ საშუალებასაც ჯეროვანი ყურადღება მიექცა. Comilla-ს სახნავ მიწაზე საჭირო სასუქის რაოდენობა — კი აქვს განსაზღვრული. მისი სიტყვით ბარად მდებარე 1 ჟუგერუმზე უნდა 12, პლინიუსის ანგარიშით — კი 18, ურემი სასუქი დაეყარათ და 24 ურემი ბორცვიან ნიადაგზე. კოლუმელას ურემი 80 მოდის ოდენ წონით ერთეულად აქვს ნაანგარიშები. ამიტომ ამ რომაელი მეურნის აზრით ბარის ჟუგერუმზე, მასადამე, ნიადაგის გასაპოხიერებლად 1440 მოდი სასუქი უნდა ყოფილიყო გამოყენებული, ხოლო მთიან, ან ბორცვიანი სახნავისათვის 1920 მოდი სასუქი. Olick-ის გამოანგარიშებით, ამოდენი სასუქი 3 წლის განმავლობაში უნდა ჰყოფნოდა მიწას გასაპოხიერებლად (Olick, Ackerbau. Paulys R-E. I, 280 და Orth's Getreide, VII, 1341).

მსუქან მიწას „პოხილი“ ეწოდება ძველ ქართულში (ესაიას 5, და აქვე, გვ. 16:1-16:1), მაგრამ ჯერჯერობით ძველსა და მერმინდელ ქართულ ძეგლებში არსად არაერთი ცნობა არ მოიპოვება, რომლის მიხედვითაც მიწის გაპოხიერების საქართველოში მიღებული წესების გამოკვეცვა ყოფილიყო შესაძლებელი..

## § 5. თესლ-ნათესის გასუფთავება

მიწისმოქმედი ხანგრძლივმა მწარე გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ ადა-მიანის სასარგებლო და მასაზრდოებელ მცენარეულობას თვით მცენარეთა შორისვე ძლიერი და საშიში მტრები და დამჩავერელნი ჰყავდა, რომელნიც მის ზრდას ჰხშავდენ და ანადგურებდენ. ჩვეულებრივ ასეთ მავნებლებად „ეკალი“ და „ლუარძლი“ იყო ხოლმე.

მიწისმოქმედის მძიმე ტვირთი და მუშაობა რომ არ გაცუდებულიყო და დათესილი ყანა ეკალსა და ლუარძლს არ დაეხშა, არ ყოფილიყო „შეშობილი ეკალთაგან“, ან და ლუარძლისაგან, სოფლის მეურნეს საყანე ადგილი ისე უნდა მოეხნა და დაეთესა, რომ მცენარეს ფესვები მიწაში მაგრად გაედგა, ყოფილიყო „ღრმად შთამტევებელი ძირთა“. მაგრამ ამასთანავე კარგი მიწისმოქმედი უნდა ცდილიყო, რომ არსად „შთასთესნეს კეთილსა იფქლსა შინა... ლუარძლი“ (მარტვირი, ცა შიოსი. საქ. სამ. 234). მასადამე, გონიერება უკარნახებდა მას ლუარძლ-ეკლის თესლისაგან გაწმენდილი სათესლე მასალა გამოყენებინა.

# გემინდვრაობის კულტურის ზოგადი პრობლემები

გემინდვრაობის კულტურის შედგენილობის, რაობისა და სიერცის დაწერილებითი შესწავლა მკვლევარს საშუალებას აძლევს გემინდვრაობის კულტურის ზოგადი პრობლემებიც გააშუქოს. უკვე აქამდე მოპოვებული დაკვირვება და დასკვნები გემინდვრაობის კულტურის დონეს საკმაოდ მკაფიოდ გვაგრძნობინებენ. საკირა კიდევ მხოლოდ ამ მონაპოვარის ზოგადი დახასიათება, რომ ეს საკითხი შეძლებისამებრ ყოველმხრივ შესწავლილად მივიჩნიოთ.

მაგრამ გემინდვრაობის კულტურის მარტო დონეს ცოდნა საკმარისი არ არის, უნდა ამ კულტურის წარმოშობილობისა და სადაურობის პრობლემაც იყოს განხილული და გამორკვეული.

თავისდა-თავად ცხადია, რომ კულტურულ მცენარეთა სადაურობის საკითხთან ერთად თვითოეული მათგანის საქართველოში გაჩენისა, თუ გავრცელების ხანის განსაზღვრასაც აქვს ფრიად დიდი მნიშვნელობა და, რა თქმა უნდა, ამ ქრონოლოგიის განსაზღვრასაც სათანადო ყურადღება სკირდება.

დასასრულ, უნდა კულტურულ მცენარეთა საქართველოს ეკონომიკისათვის შედარებითი ღირებულების საკითხიც იყოს გამორკვეული ისევე, როგორც გავრცელების მეურნეობის სფეროში არსებული ეკონომიური პოლიტიკის პრობლემის გაშუქებასაც შეეცადნეთ.

სწორედ ამ წესრიგითა და თანდათანობით გვექმნება კიდევაც ქვემოთ საუბარი გემინდვრაობის კულტურის ზოგადი პრობლემების შესახებ.

## თავი პირველი. გემინდვრაობის კულტურის დონე ძველ საქართველოში

კულტურულ მცენარეთა შედგენილობა და რაობა ადამიანს დაარწმუნებდა, რომ ძველ საქართველოში მეურნეობის ამ დარგისათვის მეტად მდიდარი და საგულისხმო ტერმინოლოგია ყოფილა, რომლის, უეჭველია, უკვე მომკრთალეული ანარეკლი თანამედროვე ქართულსაც მაინც საკმაოდ კარგად ეტყობა. მეტადრე აღსანიშნავია თავისი სიუხვითა და მრავალმხრივობით საკვები მცენარეების ტერმინოლოგია: ცხადად ჩანს, რომ ქართველ მიწისმოქმედს ამ კულტურისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია.

ვინც ამ ტერმინოლოგიას ჩაუყვირდება, ის ალბათ შეამჩნევს, რომ საკვები მცენარეების სახელები ქართულს ზოგადი ხასიათისაც გააჩნია და სპეციალურიც მრავლად მოეპოვება. ორივე თვისების ტერმინოლოგია ამ მცენარეთა, ან ცალკეულის, ანდა მთელი ჯგუფისათვის საერთო ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშნის დაკვირვებაზეა დამყარებული.

ცხადად ემჩნევა, რომ ამ დარგის ძველი ქართული ტერმინოლოგია ერთ-გვარი კლასიფიკაციის არსებობას ჰგულისხმობს, რომელიც მსგავსებისა, თუ განსხვავების, კერძო, თუ ზოგადი ნიშნების მიხედვით ჩანს შედგენილი.

ქართული ძველი საშწარლობო მემკვიდრეობის უუდიდესი ნაწილის დროთა განმავლობაში განადგურების გამო, რა თქმა უნდა, საკვებ მცენარეთა განსხვავება-განარჩევის, ანუ კლასიფიკაციის მაშინდელ პრინციპებზე ვერსად, ვერც ერთ წიტილობით ძეგლში, ვერაფრითარ ცნობებს ვერ ვიპოვეთ, მაგრამ ამ პრინციპების ჰამორკვევა სასურველია და, როგორც დაერწმუნდებით, შესაძლებელიც არის, ნაწილობრივ მაინც.

წიტილობითი ძველი დებულების უქონლობისდა მიუხედავად, მკვლევარს ამ საგულისხმო და საყურადღებო საკითხის შესწავლა იმ ორიოდ დახასიათება-განმარტების მიხედვითაც შეუძლიან, რომელიც საკვები მცენარეულობის მნიშვნელობის აქა-იქ გაფანტული განმარტების სახით მოეპოვება, მეტადრეკითვით ამ პურეულთა სახელების ანალიზის საშუალებით.

## § 1. საკვები მცენარეების ძველი ქართული კლასიფიკაციის პრინციპები

პურეულთა და ქრთილეულთა საკმაოდ მრავალრიცხოვან ზემომოყვანილ სახელთა დაკვირვება ადამიანს დაარწმუნებს, რომ მათ განსარჩევად ქართულ მიწისნოქმედს ფერიანობისათვის მიუქცევია ყურადღება და განმასხვავებელ ერთ ნიშანთაგანად ფერი მიუჩნევია. მაგ. არსებობს: „თეთრი დიკა“, „წითელი დიკა“ და „შავფხა, ანუ შავთაველა დიკა“ იმგვარადვე, როგორც „თეთრი დოლი“, „წითელი დოლი“ და „შინდური დოლის-პური“-ც, აგრეთვე „თეთრი თავთუხი“, „წითელი თავთუხი“ და „შავფხა თავთუხი“, ანუ „თავთუხი შავთაღა“. როგორც თავის ადგილას აღნიშნული გეჰონდა, შავფხიანობა განმასხვავებელ ნიშნად ქრთილეულისთვისაც იყო გამოყენებული. ამასთანავე თვითოეული ამ ტერმინთაგანი ამ პურეულის განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ პურეულის ფერი სრულებით შეგნებულად არის განმასხვავებელ ნიშნად მიჩნეული.

მაგრამ პურეულს თეთრი, ან მოწითანო შესაძლებელია ან თავთავი ჰქონოდა. ან მარცვალი, ანდა ფხა. გამოსარკვევია, თუ რომელი ამათგანის. ფერი აქვს ხალხს განმასხვავებელ ნიშნად დაწესებული?

საკმარისია ადამიანმა ზემოჩამოთვლილ სახელებს თვალი გადაავლოს, რომ დაარწმუნდეს, რომ, განმასხვავებელ ნიშნად ზოგიერთ შემთხვევაში მაინც მცენარის ან უნთავრესად თავთავის, ანდა ზოგჯერ ფხის ფერი ითვლებოდა. ამ გარემოებას ადასტურებს ისეთი ტერმინების არსებობა, როგორიცაა „შავფხა“, ანუ „შავთაველა დიკა“, ანდა „შავფხა თავთუხი“, „თავთუხი შავთაველა“, გინდა ოთხრიგა ქერის სახელი „ძველთესლი შავფხა“.

ამავე პრინციპის მიხედვით აქვს პურეულთა სხვა სახელებსაც ფერის განმასხვავებელი სახელი მიკუთნებული მაშინაც, როდესაც ზემომოყვანილი მაგა-

ლითების მსგავსად თვით სახელში მცენარის ნაწილი, რომლის ფერიანობასაც განმასხვავებელი მნიშვნელობა აქვს მინიკებული, აღნიშნული არ არის. მაგ. „თეთრ დოლ“-ს, რომელიც წარმოადგენს *Tr. vulgare var. erythro-spermum* Körn.-ს, თავთავი და თავთუნი თეთრი აქვს ხოლო მარცვალი წითელი (ვ. მენაბდე, Мгхзлак. Вост. Грузии, 186). ცხადია, რომ ამ ხორბლეულს სახელი თავთავ-თავთუნის ფერის მიხედვით დაჰკრკმევია. მარცვლის ფერი აქ მხედველობაში მიღებული არ არის.

თანამედროვე ბოტანიკურ-აგრონომიული მეცნიერება პირიქით ამ სახეობის დასახასიათებლად მის თავთავის ფერს-კი არა, არამედ მარცვლის ფერს აქცევს ყურადღებას და მას „წითელმარცვლიანა“-ს (*erythrospermum*) უწოდებს.

„წითელ დოლ“-ს თავთავ-თავთუნი წითელი აქვს ისევე, როგორც მარცვალიც (ვ. მენაბდე, Мгхзлак. Вост. Грузии, 187), ამასთანავე ფხიანიც არის (ნ. კეცხოველის ცნობით). ამ პურეულსაც სახელი თავთავის ფერის მიხედვით სწოდებია.

საგულისხმოდ გარემოებაა, რომ ქართველ მიწისმოქმედს ხორბლეულისა და ქრთილეულის ნიშანდობლივი სახელების შექმნის დროს თითქმის ყოველთვის მცენარის იმავე თვისებისათვის მიუქცევია ყურადღება, რომელსაც თანამედროვე ბოტანიკურმა და აგრონომიულმა მეცნიერებამ მიაქცია. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ „თეთრ დიკას“-ს *var. stramineum*-ი, ე. ი. ჩალისფერი ეწოდება, — „თეთრ თავთუხ“-ს *var. leucurum*-ი, ანუ მოთეთრო, — „წითელ დიკა“-ს *var. rubiginosum*-ი, ანუ მოკანგისფერო (იგულისხმება რკინის ჯანგი, რომელიც მოწითანო), „წითელ დოლ“-ს *var. ferrugineum*-ი, ე. ი. მოკანგისფერო, მუქი მოწითანო, — „შავფხა დიკა“, ანუ „შავთაველა დიკა“-ს *var. fuliginosum*-ი, ე. ი. კვარტლის ფერი, შავი, — „შინდურ დოლისპურ“-ს *var. nigroaristatum*-ი, ანუ შავფხა, — და სხვაც.

პურეულის სამ ფერთაგან (თეთრ, წითელ და შავისაგან) თეთრი ფერი ქართველ მიწისმოქმედს მცენარის ძირითად ფერად აქვს მიჩნეული. წითელსა და შავს-კი სახეობის ნიშნად სთვლის. ამ აზრს ის გარემოება ადასტურებს, რომ „თეთრი დიკა“-ც, „თეთრი დოლი“-ცა და „თეთრი თავთუხ“-ც მარტივად დიკად, დოლისპურად და თავთუხადაც იწოდება, მათი სითეთრე ამნაირად თავისთავად იგულისხმება. ამასვე ის ფაქტიც უფრო ამტკიცებს, რომ თეთრ თავთუხს ხალხი „ნაშდვილ თავთუხ“-ს (იხ. აქვე, გვ. 367) უწოდებს.

ს. ორბელიანს ხულუგოს განსამარტავად ნათქვამი აქვს: „ხულუგო უფხო ყანა“-აო (ლექსიკ.). თეთრ დოლისპურს *Tr. vulgare v. lutescen* Al. ქართულში, ნ. კეცხოველის სიტყვით, სახელად „უფხო პური“ ეწოდება კიდევაც (მასალები კულტ. მცენ. ზონალ. 55). თვით „ხულუგო“, ანუ „ხულუგო“-ს სახელის თავდაპირველი მნიშვნელობაც ხომ, როგორც საფიქრებელია, სწორედ ამ სახეობის უფხოობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო (იხ. აქვე, გვ. 336).

ზემომოყვანილი ორი-სამი მაგალითითგანაც ჩანს რომ პურეულის გასარჩევად ერთ-ერთ დამახასიათებელ და განმასხვავებელ

ნიშნად საქართველოში მცენარის ფხიანობას, თუ უფხოობას სთვლიდენ. ამ ნიშნის მიხედვით ხორბლეულნი ორ ჯგუფად, უფხო და ფხიანად, იყოფებოდენ.

საკვებ მცენარეთა, მეტადრე ქრთილეულთა, ჯგუფებად განმასხვავებელ ნიშნად თავთავის საერთო მოყვანილობაც ითვლებოდა და ამისდა გეარად არსებობს „ქეჟერი“ და „პტყელი“ ქრთილეული, რომელთაგან პირველი თავთავის გაშლილ, გაბურძნულ მოყვანილობას ახასიათებს და მრავალმწკრივია ქრთილეულის აღმნიშვნელია, ხოლო მეორე შეტკეცილი თავთავის დამახასიათებელია და ორმწკრივია ქრთილეულს, ანუ ქერს ეწოდება (იხ. აქვე, გვ. 374).

დასასრულ, ქართველი მიწისმოქმედი ხორბლეულსაცა და ქრთილეულსაც ქრონოლოგიურადაც ჰყოფს და ამისდა მიხედვით ნათ ორ მთავარ ჯგუფად ანაწილებს: ერთი ჯგუფისათვის მას „ძველ-თესლი“-ს სახელი აქვს განკუთვნილი, მეორე ჯგუფისათვის კიდე „ახალთესლი“ უწოდებია (იხ. აქვე, გვ. 374-375). რაკი ამ საკითხზე ქვემოთ კიდევ გვექმნება დაწვრილებით მსჯელობა, ამიტომ აქ ამ საგანზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტად მიმაჩნია.

## § 2. მემინდვრეობის კულტურის ინტენსივობა და განვითარების დონე ძველ საქართველოში

ვინც მემინდვრეობის კულტურის შემადგენლობისა და რაობის სათანადო წყ-ებს გულდასმით გადაიკითხავს, ის უეჭველია, იმ სიუხვესაც შეამჩნევს, რომელიც უკვე ძველ ქართულსვე ხორბლეულისა და ქრთილეულის აღმნიშვნელი სახელების მხრით მოეპოვება. იმ დროს, როდესაც ძველ სომხურს პურეულისათვის მხოლოდ ერთად-ერთი ტერმინი *ფიონას* „ცორიან“-ი გააჩნდა, ქართველ მთარგმნელს საშუალება ჰქონდა ორი სრულბით განსხვავებული ტერმინი „იფქლი“ და „დიკა“ ეხმარა.

ბერძენ მთარგმნელსაც ხორბლეულის ორი სახელი, „სიტოს“ და „პუროს“-ი აქვს ნახმარი სათანადო ადგილას ისევე, როგორც ლათინური თარგმანის ავტორსაც, რომელსაც *frumentum*-ი და *triticum*-ი მოეპოვება. ცხადია, სომხურში რომ იმ დროს ხორბლეულისათვის ორი სახელი ყოფილიყო, დაბადების სომხურ თარგმანშიც აქ ორი განსხვავებული ტერმინი იქმნებოდა გამოყენებული<sup>1</sup>.

ამგვარადვე, საუკრადლებო გარემოება ირკვევა ქრთილეულის ძველი ქართული სახელების საშუალებით. თუ დაბადების ბერძნულ თარგმანში მხოლოდ *ἴριον*, „ჰე კრითე“, ლათინურში *hordeum*-ი და სომხურშიც მარტო *ყარქ*, „გარი“ არის ნახმარი, ქართველ მთარგმნელს ამავე მცენარისა და მარცვლეულის აღსანიშნავად ორი განსხვავებული ტერმინი, „ქრთილი“ და „ქერი“, მოეპოვება.

<sup>1</sup> დაბადებაში ნახმარი ხორბლეულის ქართული ტერმინოლოგია ერთი იმ გარემოებათაგანია, რომელიც ქართული თარგმნისათვის გამოყენებული დედნის გამოკვების საშუალებას ვეაძლევს.

ამ საყურადღებო ფაქტებსა და დაკვირვებას უნდა შემდეგი მოსაზრებაც დაერთოს. არსებული, ჩემთვის ამ ეამად მისაწვდომი, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, არ ჩანს, რომ ბერძნულში „სიტოს“ და „პვროს“-ი ისევე, როგორც ლათინური frumentum და triticum-ი მნიშვნელობით ერთიერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავებული ყოფილიყვნენ და თვითოეული მათგანი ხორბლეულის მხოლოდ ერთი, გარკვეული ჯიშის, ანდა სახეობის აღმნიშვნელი ყოფილიყოს<sup>1</sup>. ქართულში-კი, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე გვ. 347<sup>1</sup> და 349<sup>1</sup>), „იფქლი“ და „დიკა“ პურეულის სრულებით სხვადასხვა ჯიში იყო და არის ეხლაც.

ამასთანავე „იფქლი“, როგორც უკვე განმარტებული გექონდა, შემოდგომის სათესლე ჯიშს წარმოადგენდა, „დიკა“ კი დევე გაზაფხულისას. ამგვარად, ქართულს შემოდგომისა და გაზაფხულის ხორბლეულის ცალცალკე სახელები ჰქონდა იმდენად, რანდენადაც თვით სათესლეც განსხვავებულ ჯიშებს წარმოადგენდა. იგივე სურათი გვეწვდება ქართლელის ქართული სახელების განხილვის დროსაც.

ცნობილია, რომ განვითარებული აგრონომიული ტენიციისა და მეცნიერების მქონებელ რომაელებსაც-კი ხორბლეულის შემოდგომისა და გაზაფხულის ჯიშებისათვის triticum-ი მოეპოვებოდათ სახელად, რომელსაც ემატებოდა განსხვავებისათვის განმარტება „ზაფხულისა“, aestivum, ანდა „ზამთრისა“ hibernum-ი. მაგრამ მათ ჯიშების აღსანიშნავადაც გააჩნდათ განსაკუთრებული სახელები, როგორც მაგ. ქრთილელისათვის ექვსწყრივისათვის აქვს „ჰექსასტიზონ“-ი, ორმწყრივისთვის „დისტიზონ“-ი, ან და სადაუროზის მუწეყებელი სახელები.

ძველ სომხურში, როგორც დავრწმუნდით, მხოლოდ „ცორიან“-ი იყო ხორბლეულის სახელი და ახალ სომხურშიც იგივე ვითარება დარჩენილია.

სომხთა ცნობილ მეცნიერს ალიშანი-ს თავისს „*ჯაკიოსაჲ, ჯამ ჯაკაკას რისაჲჲაიოქჩის*“, „სომხურ ბოტანიკა“-ში ხორბლეულის ჯიშებისა და სახეობათა მხოლოდ შემდეგი, მისთვის ცნობილი, თუ გავიწილი სახელები მოეპოვება. ხორბლეულს „*სკუნჯას*“, „აშენცან“-ი და „*ჯარენჯას*“, „გარენცან“-ი ეწოდებო (ალიშანი-ის სომხ. ბოტანიკა, ვენეციის 1595 წ., გვ. 624). ორსავე შემთხვევაში, რასაკვირველია, იგულისხმება „*ყიჩხას*“, „ცორიან“, ხორბალი. „აშენცან“ უდრის ძველ სომხურს „*აჯასჩ*“, „აშენანი“-ს და შემოდგომისას ჰნიშნავს. ლორე-თამბაკის სომხობა ეხლა თურმე „*აჯასჩ*“ (sic) „აშლანი“-ს ხმარობს (იხ. შ. თუშანიანის ქვემოდასახ. ნაშრომის გვ. 108). ხოლო „გარენცან“ ძველ სომხურ „*ჯარნაჩ*“ „გარნაჩი“-ს ელანასწორება და გაზაფხულისას ეწოდება. თანამედროვე სომხურში, ზანგეზურის მცხოვრებნი „გარნანი“-ს ხმარობენ (იხ. აქვე, გვ. 36<sup>1</sup>).

ამ ზოგადი, გაზაფხულ-შემოდგომის ხორბლად, დანაწილების გარდა თანამედროვე სომხურ აგრონომიულ მწერლობაშიც სხვა სომხური ტერმინები არა ჩანს. *შ. ბიძიანის ხანის*, შ. თუშანიანის სპეციალური, სწორედ სომხური პურეულის შესახები, გამოკვლევა „*კილიკიის რისხეჩი რარპიოქას ფიტიხხეჩი ჯაკასთასიოქ*“ კულტურულ მცენარეთა ასწერივი სარტყლები

<sup>1</sup> მაგრამ იხ. ჰემოთ ამ გარემოების გამომწვევანებელი გარემობა.

სომხეთში“, რომელიც სომხეთის სახ. უნივერსიტეტის მოამბის 1929 წ. № 5-შია დაბეჭდილი, რომ გადაიციხოთ და ხორბლეულის შესახებ იქ მოყვანილი ყველა ცნობები გადაშინჯოთ, ვერსად პურეულის ძველი ორი სახელის, ხორბლის „კორენ“-ისა და ასლის „ჰაქარ“-ის გარდა, ვერც ერთ სომხურ სახელს ვერ იპოვით. იფქლს, ანუ დოლისპურს, Tr. valgare Vill.-ს იქ „*ქაქიძე ვიქს*“ „ფაფუკ კორენ“-ი ეწოდება (იხ. გვ. 107-109), რაც რუსულსა და ევროპულ მწერლობაში მიღებული „რბილი ხორბლ“-ის სიტყვა-სიტყვითს თარგმანს წარმოადგენს. თავთუხის სახელად ნახმარია „*ქარბე ვიქს*“, „*ქარწრ კორენ*“ (იქვე 110-111), რაც მაგარ ხორბალსა ჰნიშნავს და Tr. durum-ის, ანუ მაგარი ხორბლის სიტყვა-სიტყვითივე თარგმანია.

პურეულთა შორის სომხეთში საკმაოდ გავრცელებულია „დიკა“-ც, რომელსაც 1700-2400 მეტრის სიმაღლის არეზე მრავლად სთესენ უმთავრესად სევანის, გოქჩის ტბის, ჩრდილო-დასავლეთის სანახებში, ელენოეკის-ახტია მინდორზე, იქითგან მისხანის ხეობით ალაგიოზის აღმოსავლეთის ფერდობამდის აღწევს. ხოლო ფამბაკის ხეობითგან ნოყოლებული ჯავახეთის საზღვრამდის. აქა-იქ სანგებურისა და დარალაგიოზშიც გვხვდება (იქვე, 109-110)—ამგვარად საკმაოდ დიდი ასპარეზი უკავია.

ამისდა მიუხედავად გასაოცარია, რომ სომხურს „დიკა“-სთვის თავისი საკუთარი სახელი არ ჰქონია. მ. თუმანიანი „*ყარსაქაის ვიქს*“ „პარსკა-კან კორენ“-ს უწოდებს (იხ. „*ეულტურულ მცენარეთა ასწერივი ზოლები სომხეთში*“, სომხურად, გვ. 199-110), რაც სომხურად „სპარსულ ხორბალ“-სა ჰნიშნავს და, უეჭველია, ვაკელოვისა-გან შემოღებული რუსული და ლათინური სახელის „*персидская пшеница*“-ს და Tr. persicum-ის სიტყვა-სიტყვითს თარგმანს წარმოადგენს.

დოლისპურისა, დიკისა და თავთუხის სხვადასხვა სახეობათა აღსანიშნავადაც თანამედროვე სომხურში თურქულ-„თათრული“ სახელები, „ზარდა“, „სარ-ბულდა“, „ყარაყღაზ“ და სხვა სახელები ყოფილა გავრცელებული (იხ. იქვე, 108-111). თვით რუსული სახელებიც-კი, „*კომპატკა*“ და დამახინჯებული „გალვალოს“-ი შეუთვისებიათ (იხ. გვ. 106 და 109), რომელიც „დოლონოს“-ისაგან უნდა იყოს წარმომდგარი.

ფიქრობ, რომ საქმის ნამდვილი ვითარება მაინც არც ისე უიმედო უნდა იყოს სომხურშიც, როგორც მ. თუმანიანისა და ალიშანის თხზულებათა მიხედვით ადამიანს ეჩვენება. სომეხ აგრონომებმა რომ ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და ხალხში არსებულ სახელების გულდასმით შეგროვებას შეუდგენ, ზოგიერთი სომხური ტერმინები შესაძლებელია აღმოჩნდეს. მაგრამ მაინც ხორბლეულის ნამდვილი სომხური ნომენკლატურის შედარებითი სიმცირე უცილობელი ფაქტია.

თურქულ-„თათრულსაც“ სახელები უმთავრესად თავთუხის სახეობათა დასახასიათებლად მოეპოვება, ჯიშების აღსანიშნავად-კი, რამდენადაც МИЗЕРК-ЗК-ში მოთავსებულ ნაშრომებითგანა და ვ. მენაბდეს მონოგრაფიითგან ჰანს, საგანგებო სახელები თითქოს არ უნდა გააჩნდეს.

სულ სხვა ვითარება გვეშლება თვალწინ მარცვლეულის ქართული ტერმინოლოგიის ზოგად გადათვალისწინებისათვის. მაგრამ სახელების სიუხვითან ერთად ძველი წერილობითი და თანამედროვე წყაროებითან ამოღებული შემომოყვანილი ცნობები ადამიანს დაარწმუნებს, რომ საქართველოში სხვადასხვა ხორბლეულისა და საერთოდ მარცვლეულის თვალსაჩინო სიმრავლე ყოფილა, რაც, რა თქმა უნდა, მეურნეობის ამ დარგში დიდი და ხანგრძლივი მუშაობის შედეგი უნდა იყოს.

საყურადღებო გარემოებაა აგრეთვე, რომ ქართულსაც პურეულის სხვადასხვა ჯიშისა და სახეობისათვის განსაკუთრებული სახელები ძველადაც მოეპოვებოდა და ესლაც შენარჩუნებული აქვს. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჯიშებისა და სახეობათა სიმრავლე ქართველი მიწისმოქმედის ხანგრძლივი შეგნებული დაკვირვება-შერჩევის ნაყოფი უნდა იყოს. როგორც დავრწმუნდით, პურეულის ასეთი შერჩევისათვის თვისებათა მიხედვით მათი განსხვავება და ჯგუფებად დაყოფა, ერთგვარი კლასიფიკაციაც არსებულა.

ყველა შემოაღნიშნული გარემოება ნეკინდერეობის ძველი ქართული კულტურის განვითარების მაღალ დონეს, ეგონებ, სრული უმკველობით უნდა ამტკიცებდეს. ცხადად ეტყობა, რომ მიწისმოქმედების ამ დარგს ქართველი ერის შემოქმედებითი ნიჭი და ენერჯია საკმაოდ შეჰლევია.

მაგრამ ქართული სათანადო ტერმინოლოგიის სიმდიდრე და მრავალფეროვანობა, კლასიფიკაციის ნაგულისხმევი პრინციპები, როგორც დავრწმუნდით, იმდენად ხანგრძლივი, შეგნებული და ღრმა დაკვირვების ნაყოფის შთაბეჭდილება ახდენს ადამიანზე, რომ უნებლიეთ გვებადება კითხვა, ყველა ეს მხოლოდ ქართველი ლიტონი მიწისმოქმედის დაკვირვების მონაპოვარს წარმოადგენს, თუ ძველ საქართველოშიც აგრძნობი და ბუნებისმეტყველი მწერლები იყვნენ ისევე. როგორც რომაელებს კატონი, ვარრონი, კოლუმელა, პლინიუსი ეკირე და პალლადიუსი ჰყავდათ, რომელთა თხზულებებიც თანამედროვე მკითხველისათვისაც ბევრ საგულისხმო ცნობას შეიცავს და რომელთა მეცნიერულ დაკვირვებას რომაელთა აგრძნობია ასე უნდა დაეწინაურებინა. ეგების ზომავალმა საქართველოს კულტურული და ეკონომიური ისტორიის მკვლევართ ამ საკითხის გადასაწყვეტად რაიმე მასალები შესძინოს.

#### თავი მეორე. შიშინდერეობის კულტურის ხადაურობის საკითხი ხაბართვალში

ეკონომიური ისტორიისათვის ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანია საკითხი კულტურულ მცენარეთა სადაურობის შესახებ ამა-თუ-იმ ქვეყანაში, რათგან ამ გზით შესაძლებელი ხდება ეკონომიური კავშირისა და გავლენის გზების გათვალისწინება ისეთ ხანაშიც-კი, რომლისთვისაც ჩვეულებრივ წერილობითი ცნობები არ არსებობს ხოლმე, ამიტომ ეს საკითხი, რასაკვირველია, საქართველოს ეკონომიური ისტორიის მკვლევარისთვისაც საგულისხმო უნდა იყოს.



ამ პრობლემის განხილვის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ კულტურულ მცენარეთა სადაურობის საკითხი შესაძლებელია ზოგადი თვალთსაზრისითაც იქნენ განხილული, როდესაც გამოკვლევის მიზანს ამ მცენარეთა თავდაპირველი სამშობლოს გამორკვევა შეადგენს, და კერძო თვალსაზრისითაც, როდესაც აღამიანს ჰსურს გაიგოს, ადგილობრივია ამა-თუ-იმ ქვეყანაში ესა-თუ-ის კულტურული მცენარე, თუ სხვაგნითგან არის შეტანილი და, თუ შეტანილია, სახელდობრ რომელ ქვეყნიდან. რა თქმა უნდა, მეორე, კერძო პრობლემა უმჭიდროესად ზოგად პრობლემაზეა დამოკიდებული, მაგრამ კერძო საკითხის გაშუქება შესაძლებელია ვიწრო ასპარეზითაც შემოიფარგლოს.

ამ პრობლემის შესწავლისათვის აუცილებლად უნდა კულტურულისაცა და მათ წინაპარ ველურ მცენარეების გავრცელები; თანამედროვე არესაც გაეწიოს ანგარიში, არქეოლოგიური განათხარით მოპოებული ნაშთების მიხედვით მცენარეთა პრეისტორიული გავრცელების ასპარეზიც გათვალისწინებული გვექნდეს და ისტორიულ ძეგლებში და ენის ტერმინოლოგიით აღბეჭდილი ფაქტებითაც დამოწმებულ იქნეს.

თანამედროვე მცენარეებაც სწორედ ამ გზით ცდილობს ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტას იმ შენთხვევებით, როდესაც მას მიზნად ზოგადი ამოცანა აქვს დასახული, და მაშინაც, თუ კერძოდ საბერძნეთისა, რომის, გინდა დასავლეთი ევროპის კულტურულ მცენარეთა სადაურობის საკითხის გამორკვევა სწადიან. აღმოსავლეთისა და სამხრეთისათვის ეს პრობლემები ასეთივე სისრულითა და ყოველმხრივობითა შესწავილი ჯერ არ არის, რათგან ამისთვის საჭირო წინასწარი სპეციალური კვლევა-ძიება არ მოიპოვება.

ასეთსავე უმწეო მდგომარეობაში ჩაყარდება აღამიანი, თუ საქართველოში გავრცელებულ კულტურულ მცენარეთა სადაურობის საკითხის გამორკვევას შეუდგება. ორიოდ სხვათა შორის გამოთქმულ მოსაზრებას გარდა, შესაძლებელია ითქვას; არაფერი არც არსებობს. თუ რამეა ნათქვამი, ისიც მხოლოდ აჯრონომების მიერ, რომელთაც არც საისტორიო ცნობებით სარგებლობა შეეძლოთ და არც ტერმინოლოგიის ლინგვისტურ ანალიზზე დაყრდნობა მოსვლიათ ფიქრად. პრეისტორიული ნაშთების შესწავლით მოპოებული ფაქტებით სარგებლობა არც განუზრახავთ, თუმცა უნდა ითქვას, რომ სელისა და ბამბის გარდა, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე 353 და 356), ჯერ არც ერთი სხვა კულტურული მცენარის პრეისტორიისათვის არაფერი არც არის მოპოვებული, რათგან, შემთხვევითი გათხრილობის გარდა, წესიერი არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩვენში ჯერ არავის უწარმოებია.

კულტურულ მცენარეთა სადაურობის პრობლემის მთელი სიღრმე-სივრცით განხილვა ფიქრადაც არ მოსვლია იმ ორიოდ მწერალსაც, რომელნიც საქართველოს ეკონომიური ისტორიის პიონერობას ჩემულობენ.

ასეუ პირობებში აჯრონომებს, რომც ჰსურვებოდათ ბევრი არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ. ამიტომ არც გასაკვირველია, თუ მკითხველს მათი მსჯელობა ამ საკითხის შესახებ მას შემდგომ, რაც მემინდერეობის შემადგენლობისა, რაობისა და ასპარეზის შესახებ ისტორიული და არქეოლოგიური ფაქტების მიხედვით ამ წიგნში მოთავსებული მიმოხილვა გადათვალთვრებული აქვს, ვერ დააქმა-

ყოფილებს. ბრალი ამ შენობებში მარტო აგრონომებს არ ადევთ. ამ პრობლემის ისტორიის სისრულისათვის მაინც საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ მოვიყვანო ყველაფერი, რაც-კი კულტურულ მცენარეთა სადაურობის შესახებ საქართველოში რამე გამოქვეყნებულა, რა თქმა უნდა, იმას გარდა, რაც ზევით აქა-იქ, სათანადო ადგილას უკვე მოყვანილი გვექონდა.

## § 1. ქართული პურეულის სადაურობის შესახებ არსებული მოსაზრებანი

უნდა ითქვას, რომ კულტურულ მცენარეთა სადაურობის საკითხი საქართველოში სრულებით შენობებით წამოიჭრა. სათესლე ფირმის Haage et Schmidt-ისაგან პროფ. ნ. ვაეილოვმა მიიღო ხორბლეულის თესლი, რომელსაც სახელად ეწერა „Persischer Weizen“, ე. ი. სპარსული ხორბალი. ამ პურეულის შესწავლის შემდგომ, პროფ. ვაეილოვმა იგი ცალკე ჯიშად გამოყო და ფარმისგან მიღებული სახელივე უწოდა. ამგვარად გაჩნდა *Tr. persicum Vavilovi*-ს, ე. ი. „სპარსული ხორბლის ვაეილოვ“-ის სახელწოდება, რომლის სამშობლოდ სპარსეთი იქმნა მიჩნეული. პროფ. პ. ეუკოვსკი-მ ეს ხორბლეული დაწვრილებით შეისწავლა და გამოარკვია, რომ „სპარსულ ხორბლ“-ად წოდებული პურეული იგივე ქართული „დიკა“-ა. ამგვარად დაიბადა აზრი „დიკა“-ს სადაურობის შესახებ. ვაეილოვისაგან მიღებული სახელის მიხედვით, იგი თითქმის სპარსული ხორბლეული უნდა ყოფილიყო და, მაშასადამე, სპარსეთითგან შემოტანილი გამოდიოდა საქართველოში.

„დიკა“-ს გულდასწრით შესწავლამ-კი პროფ. პ. ეუკოვსკი დაარწმუნა, რომ „დიკა“ უმთავრესად ამიერ-კავკასიაში, კერძოდ საქართველოშია გავრცელებული და სპარსეთში ის არ ჩანს, მაინც-და-მაინც იშვიათი უნდა იყოს. ამგვარად, ირკვეოდა, რომ ფირმას შეცდომა უნდა მოსვლოდა და სადაურობა აერია.

„დიკა“-ს ყველა ბოტანიკური თვისებების შესწავლის შემდგომ, პ. ეუკოვსკიმ გამოარკვია, რომ ქართლში მიწისმოქმედი „დიკა“-ს გაზაფხულის სათესლედ სთვლის, იმ დროს როდესაც დოლის-პური შემოდგომის სათესლედ ითვლება (იხ. მისი „Персидская пшеница в Закавказье“. Труды по прикл. Ботанике и Селекции, Т. 13-й, 1922-1923 წ., вып. 1, 50). ეუკოვსკის ეგონა, რომ დიკა შემოდგომისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ადგილობრივი პირობების გამო შემდეგში უნდა მოსპობილიყო, რათგან გაზაფხულის დიკას, ვითარცა უფრო ადრეულსა და უნების გამძლებს, შემოდგომის სახეობისათვის უნდა ეგობნაო (იქვე, 53). ეს აზრი, როგორც დაერწმუნდებით, სწორე არ არის.

დიკის სადაურობაზე ეუკოვსკის საბოლოო დასკვნა ასეთია, რომ იგი ან ციკრე აზიის, ან და ამიერ-კავკასიის ადგილობრივი ჯიშის უნდა იყოს და აქეთგან შეტანილი ჩანს სპარსეთშიცაო (იქვე, 57).

შემდეგ დიკის შესახებ სპეციალური პატარა მონოგრაფია გამოქვეყნებული აქვს ა. ათაბეგოვა-ს. რომელიც სხვათა შორის ამ პურეულის წარმოშობის ქრონოლოგიასაც ეხება. მას ამ საკითხის გადასაწყვეტად ნ. კეცხო-

ველისაგან მიწოდებული ცნობების გარდა, რიჩელიც მე-XI ს-ზე აღრიხდელი ქ. შ. არ ყოფილა, სხვა არაერთი საბუთი არ ჰქონია, მაგრამ მაინც გამოთქმული აქვს აზრი, რომ დიკა საქართველოში უხსოვარი დროითგან უნდა ყოფილიყო გამოყოფილი.

ტდების შემდგომ ათაბეგოვას გამოუკრევეია, რომ დიკა პურეულის ყველაზე სწრაფი ჯიშია, რაც რასაკვირველია, ამ ხორბლეულის ფასდაუდებელ ღირსებას წარმოადგენს, მეტადრე მთა-ადგილებისათვის. გარკვევით მას დიკის სადაურობაზე არაფერი აქვს ნათქვამი, მაგრამ შემომოყვანილის მიხედვით საფიქრებელია, რომ მასაც იგი სპარსულად არ მიაჩნია (იხ. А. И. Атабекова-ს ნაშრომი „Материалы к монографическому изучению нового вида культурной пшеницы *Triticum persicum* Vav\*. Труды по прикл. Ботан. и Селекции. Т. 15, 1925 წ. ლენინგრადი, გვ. 162-163 და 192-193).

6. კეცხოველი თავის საკუთარ ნაშრომში იმავე ცნობებს ემყარება, რომელიც ათაბეგოვისათვის მიუცია. მისი სიტყვით „ის გარემოება, რომ დიკა საქართველოსა და მისი მიდამოების გარეშე ჯერ არსად არის ნახი, გვაფიქრებინებს მის ენდემურობას ჩვენი მხარისათვის“-აო (მასალები კულტ. მცენ. ზონალ. 10).

კულტ. მცენარეულობის უმაღლესი ხაზის საქართველოში დაბასიათებისას მასვე აღნიშნული აქვს: „ყოველ ამ ხაზის კულტურულ მცენარეულობას დიდი რასიული მრავალფეროვანება ახასიათებს“-ო. ამიტომ დიკის სამშობლოდ სპარსეთის მიმართეულ ჰიპოთეზის საწინააღმდეგოდ, ნ. კეცხოველს გამოთქმული აქვს აზრი, რომ ე. წ. *Tr. persicum* Vav. წარმოშობის ადგილი ჩვენი მხარე უნდა იყვეს, ცხადია, რის დასადასტურებლად ცალკე შრომაა საჭირო“-ო (იქვე, გვ. 24 და 25).

დიკის სადაურობის შემომოყვანილ მოსაზრებას ვ. მენაბდეც იზიარებს და ამისათვის შემდეგი საბუთიც აქვს დასახელებული. მისი სიტყვით „დიკა პური“-სათვის აკად. ვაგილოვ-ის მიერ შემოღებული სახელი „სპარსულა ხორბლეული“ მაინც-და-მაინც „მთლად მარჯვე სახელი არ არის, რათგან *Tr. persicum*-ს სპარსეთში თითქმის არ სთესენ. ამნაირადვე სხვა მეზობელ ქვეყნებშიც, მაგ. დაღესტანსა, ადრბეჯანსა და სომხეთში, დიკა ფართოდ არ არის გავრცელებული. ამიტომ ამ პურეულის კერად უნდა საქართველო, სახელდობრ, მისი მთიანეთი იქმნეს მიჩნეული“-ო (Мат. по изуч. геогр. хлест. злаков Вост. Грузии, 188). ა. ათაბეგოვისაგან შედგენილი დიკის ისტორია ვ. მენაბდეს დაზაჯერებლად არ მიაჩნია (იქვე, გვ. 188-189).

1929 წ. გამოქვეყნებულ საერთო ნაშრომში მენაბდე-სთან ერთად ლ. დეკაპრელევიჩიც დიკის წარმონშობელ არედ საქართველოს აღიარებს, ხოლო ოვით საქართველოში კავკასიონის მთავარი უღელტეხილის ზოლსა სთვლის, რათგან სწორედ დიკის მთელი მრავალსახეობაც იქაა წარმოდგენილი და მისი ყველაზე უფრო გავრცელებული დამახასიათებელი სახეობა *v. fuliginosum* შავუხა დიკაც იქვე მოიპოვებო (Л. Декапрелевич и В. Менабде, К изуч. полев. культ. Зап. Грузии, I, Рача, გვ. 231).

ნ. კეცხოველი ფიქრობს, რომ „დოლისპურის სხეადასხვა სახეობა, Tr. vulgare Vill. var. erythrospermum Körn., var. niturum Al., var. lutescens Al., var. farrugineum Al. და სხვა... ჩვენში ძველთაგანვეა მოტანილი“ (მასალები კულტ. მცენ. ზონალ, 25). მან არ იცოდა, რომ „დოლისპური“ ქართულ უძველეს წერილობით ძეგლებში არც-კი გვხვდება, რომ მე-V ს-შიც-კი ქ. შ. ხორბლეულის ამ რბილი ჯიშის აღსანიშნავად „იფქლი“ იხმარებოდა. მაშასადამე, ცხადია, რომ „დოლისპური“ არ შეიძლება „ძველითგანავე“ მოტანილი ყოფილიყო.

ასევე მსჯელობს ნ. კეცხოველი სევანეთში გავრცელებული „ქმეცენ“-ის შესახებ. მისი აზრით, პურის სევანური „ქმეცენ“-ის „სახელწოდება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მრავალი პურის ჯიშები საქართველოში დიდი ხანია მოტანილია, მე-7 საუკ. ქრისტ. ერამდე. ჩვენმა წინაპრებმა, უძველესი, სიტყვასთან ერთად მოიტანეს ის საგანიც, რასაც გამოხატავდა ეს სიტყვა“-ო (მასალები კულტ. მცენარეთა ზონალობის შესასწავლათ ჯავკასიონზე 10).

როგორც თავის ადგილას დავრწმუნდებით, „ქმეცენის“ შესახებ მინჯღამინც ამის თქმა არ შეიძლება.

ასლების საქართველოში არსებობის დამამტკიცებელ საბუთად ნ. კეცხოველს მე-XIX ს. დამდეგის იოანე ბატონიშვილის ცნობის გარდა სხვა არაფერი მოეპოვებოდა (იხ. „მასალები კულტ. მცენ. ზონალ. 10).

სხეებს-კი ასლთა კულტურის საქართველოში ადგილობრივობისა და სიძველის საკითხის გადასაწყვეტად, ისტორიული ცნობების მაგიერ, სხვა მოსაზრებები აქვთ წამოყენებული. მაგალითად, ლ. დეკაპრელევიჩი და ვ. მენაბდე ფიქრობენ, რომ Tr. Timopheevi, ე. ი. „მახა“, საქართველოს ხორბლეულთაგან ფრიად ძველი სახეობა უნდა იყოს. ამის ერთ-ერთ საბუთად მათ ამ პურეულის მოკრეფის წესიც მიაჩნიათ. რაქაში წინათ, ლეჩხუმში-კი ეხლაც ამ ხორბლეულს განსაკუთრებული ხის მაკრატლით ჰკრეფენ (იხ. აქვე, გვ. 3(5)). მათი აზრით ასლს რაქაში დოლის პურმა და თათუბმა აჯობა და გვლდენ შტედტის იმ ცნობაზე დამყარებით, რომ ზანდურს ხულუგოზე ნაკლებად სთესდენ, ისინი ფიქრობენ, რომ ეს ბრძოლისა და ზანდურის თანდათანობითი განდევნის პროცესი უკვე მე-XVIII ს. ყოფილა.

ლ. დეკაპრელევიჩსა და ვ. მენაბდეს Tr. dicoceum-ები, ანუ „მახა“ საქართველოსთვის ენდემურ პურეულებად მიაჩნიათ, ძველი კულტურის ნაშთადაც სთელიან (К изуч. полев. культ. Зап. Грузии I, 236).

გ. აბესაძეც ამტკიცებს, რომ მახა და „ზანდური საქართველოსათვის ენდემურია. საქართველოს გარეშე იგი ჯერჯერობით არსად არ არის ნახული. ვფიქრობთ, რომ მისი წარმოშობის ადგილიც საქართველო უნდა იყოს“-ო (იხ. „ხორბლის ახალი სახის Triticum Timopheevi Zhuk-სა და საქართველოში მისი გავრცელების შესახებ“, ცალკე ამონაბეჭდის გვ. 65).

თავის ნაშრომის ბოლო ნაწილში ავტორი ამ საკითხს კვლავ უბრუნდება და აქ უფრო გარკვევით აქვს თვით წარმომშობელი ადგილის სახელიც აღნიშ-

ნული. მისი სიტყვით, „შეგვიძლია ეთქვათ, რომ ზანდური—*Tr. Timopheevii Zhuk.*—(საუბარი ორმარცვლიანაზეა, რომელსაც როგორც დაერწმუნდით, ქართულად ზანდური-კი არა, მახა ეწოდება) სწორედ აქ, კავკასიონის კალთებზე წარმოიშვა და მის წარმოშობაში ასლების სხვა ჯგუფებმა (მათ შორის ერთმარცვლიანამაც) მიიღეს მონაწილეობა. ზანდურს ხომ თითქმის ისეთივე ადგილი უკავია ერთმარცვლიანასა და ორმარცვლიანას შორის, როგორც დიკას—*Tr. persicum Vav.* უკავია *Tr. vulgare* და *Tr. durum*-ის შორის და ისე, როგორც *Tr. persicum*-ის წარმოშობის ადგილათ მთავარი კავკასიონი უნდა ჩაითვალოს..., ასევე ზანდურისათვისაც მხოლოდ ღ მხოლოდ მთავარი კავკასიონი უნდა ჩაითვალოს წარმოშობის ადგილად“—(იქვე, გვ. 67).

თავთუხის სადაურობისა და ჩვენში გაჩენის ხანას არავინ შეპხებია. თუ იმ აზრსაც გავიხსენებთ, რომელიც ლ. დეკაპრელევიჩს გამოთქმული აქვს ლომის შეჩახებ (იხ. აქვე, გვ. 388), უკვე ყველაფერი გვეცოდინება, რაც-კი აქამდე კულტურულ მცენარეთა სადაურობისა და გაჩენის დროის შესახებ დგწერილა.

ბერძნულ-ქართული უძველესი წყაროებითგან თავ-თავის ადგილას მოყვანილი ცნობები ცხად-ჰყოფენ, რომ ამაზე ითასი წლით და გაცილებით უფრო უწინარესი ცნობების მოყვანაც შეიძლება, ამ საკითხის სხვა თვალთსაზრისით გაშუქებისათვისაც კიდევ არა ერთი საშუალებაც არსებობს. ამიტომ, ყველა ზემონათქვამის შემდგომ, წინათ არსებული აზრების კრიტიკული განხილვა ზედმეტი იქნებოდა.

კულტურულ მცენარეთა სადაურობისა და შემოსულობის გზის მიგნებას მცენარეულობის სახელების ენათმეცნიერული ანალიზი და ამ ტერმინების სადაურობის გათვალისწინება საგრძნობლად ჰშველის და აადვილებს, ამიტომ ჩვენი კულტურული მცენარეების ამ საკითხის გასაშუქებლადაც სწორედ ამ სახელების ეტიმოლოგიაც უნდა განვიხილოთ.

## § 2. კულტურულ მცენარეთა სახელების ანალიზი მცენარეთა სადაურობის პრობლემახთან დაკავშირებით

თავ-თავის ადგილას ბრინჯისა, სიმინდისა, ლომისა, კანაუის და ბანბის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი (იხ. აქვე, გვ. 379-381, 382-384, 396, 391-396), ამიტომ ეხლა უმთავრესად საკვები მცენარეებისა და სელის სახელები-ლა გვაქვს განსახილველი. მთავარი ყურადღება ბუნებრივად ხორბლეულსა და ქრთილეს ულს ექმნება მიჰყრობილი.

### A. პურეულის სახელები

პურეულის სხვა ერთა სახელებისაგან ქართული სახელები, „იფქლი“ და „დიკა“, სრულებით განსხვავდებიან: არც ერთი მათგანი სხვა რომელსამე ენაზე არსებულ სახელს არ უდგება და უეჭველია ორივე ძველის-ძველი ქართული სახელი უნდა იყოს მცენარეულობისათვის.

ამ შრიე საგულისხმოა, რომ არსებობს ტერმინი „იფხლი“, რომელიც საბას განმარტებით ბალახის, გვიმრის სახელი ყოფილა (იხ. ლექსიკ.). ეს სიტყვა მას ქება-ქებათაის თარგმანებაში ამოუკითხავს, სადაც წერებულა: „მაყვლითა, რათმე ეკლითა, იფხლითა და ლერწმითა“-ო (იქვე).

საუჭიკრებელია, რომ ამავე მცენარის სახელისაგან უნდა იყოს ნაწარმოები იმერხევის სოფლისა და ციხის „იფხრეული“-ს, ან „იმფხრეული“-ს გეოგრაფიული სახელიც, რომელიც პროფ. ნ. მარჩის შეფუთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიურში იხსენიება (იხ. ТР. VII წიგნი, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, გვ. 45-46). „იფქლი“ და „იფხლი“-ს გარდა არსებობს აგრეთვე, როგორც დერწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 377), მცენარე, რომელსაც „ქერ-იფქლა“ ეწოდება.

ამგვარად, „იფქლი“ მცენარეთა მთელი რიგის სახელია ქართულში და შესაძლებელია მას მხალთან ჰქონდეს კავშირი, რომელიც დიალექტური ფორმით ფხალადაც არის ცნობილი.

ქართული „დეკა“-ს მსგავსი პურეულის სახელიც სხვაგან არსად მოიპოვება. სამაგიეროდ ქართულში მასაც თვისტომნი გააჩნია. საბას სიტყვით, არსებობს „დეკა-ც“, რომელიც მისივე განმარტებით არის ჯყორი ეკლიანი“ (იხ. ლექსიკ.).

რ. ერისთავსაც დასახელებული აქვს „დეჟა“, რომელსაც ალპური როდოდენდრონის, ან შქერის აღმნიშვნელად სთვლის *Rhododendron caucasicum* Pall. (იხ. მისი საბუნ. ლექსიკ., გვ. 15, § 222). პროფ. აკ. შანიძის სიტყვიერი ცნობით-კი, ფშავ-ხევსურეთში და საერთოდ მთაში ამ მცენარეს ნამდვილად „დეკა“-ს უწოდებენ<sup>1</sup>.

რ. ერისთავსევე აღნიშნული აქვს „დეჟა“ და „დეჟა“ *Heracleum spondyleum* L.-ის ქართულ ხალხურ სახელად (იხ. იქვე).

ამგვარად, ამ შემთხვევაშიც, „დეკა“-ც მცენარეთა მთელი რიგის ქართული სახელი ყოფილა, მაგრამ ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა ჯერ გამოსარკვევია.

„დოლის“ თავდაპირველი მნიშვნელობაც გაუგებარია. რასაკვირველია, მას არაფერი აქვს საერთო „დოლ“-თან, რომელიც, საბას განმარტებით, თითქოს „სომხურად ხვასტაგთ (ე. ი. საქონლისაგან) შობასა ჰქვან“ (ლექსიკ.). თვით ახალ სომხურში ეს ტერმინი ქურთულითგან შეთვისებულ სიტყვად ითვლება (იხ. ამატუნის *Հայոց բառ ու բան*, გვ. 173). ჯაეკეოა, რომ მას რაიმე საერთო ჰქონდეს „დოლა“-სთანაც, რომელიც საბასავე განმარტებით „რქამოკლე“-ს აღმნიშვნელი ყოფილა.

ერთი სიტყვით, „დოლის“ მნიშვნელობა გამოუჩვეველი რჩება, მაგრამ რაკი პურეულის სახელად ქართულს გარდა არსად იზმარება, საქართველოში-კი უკვე მე-IX ს. ქ. შ. გეოგრაფიულ სახელში, „დოლისყანა“-ში, გვაქვს აღბეჭდილი, საქართველოს გარეშე მისი სადაურობა საძიებელი არ არის.

<sup>1</sup> ამ ცნობათვის პროფ. აკ. შანიძეს დიდ მადლობას მოვხსენებ.

ოვით გამონათქვამი „დოლის-პური“-კი ძალიან ძველი არ შეიძლება იყოს, რათგან აქ „პურს“ უკვე მარცვლეულის მნიშვნელობა აქვს, თავდაპირველად-კი, როგორც დაერწმუნდით, „პური“ გამოპყვარს ეწოდებოდა.

არსებითად „დოლის-პური“-ს სახელის შენეობა ხორბლეულის რაიმე ახალი ჯიშის შემოსვლას არ მოასწავებდა, არამედ იგი იმავე იფქლის ჯიშის სახელს წარმოადგენს.

იფქლი ძველად მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. მაგრამ შემდეგში ეს ტერმინი თანდათანობით ქრება და ამ ემად ეს სახელი უმთავრესად დასავლეთ და აღმ. საქართველოს მთა-აღგილეებში იხმარება. მაგრამ, როგორც ვალ. სუპატაშვილმა გამოაკრეცია, ლეჩხუმშიც-კი დატული ყოფილა. რაკი დაერწმუნდით, რომ იფქლი ბოტანიკურად *Triticum vulgare* v. *erythrospermum*-ს წარმოადგენს, და თანამედროვე ქართულში ამ ჯიშს „დოლის პური“, ანუ „თეთრი დოლი“ ეწოდება, ამიტომ ტერმინი იფქლის საქართველოში ბარად გაქრობა, რა თქმა უნდა, თვით იფქლის ჯიშის გაქრობას-კი არა, არამედ მისი ძველი სახელის შედარებით ახალ სახელად შეცვლას წარმოადგენს.

მაინც, რაკი „დოლისყანა“ უკვე მე-IX ს-ში ტერმინი „დოლი“-ს არსებობას გვაგულისხმებინებს, ე. ი. ჯერ კიდევ ისეთ ხანაში როდესაც ტერმინი „იფქლი“ საყოველთაოდ იყო გაბატონებული, ამიტომ საფიქრებელი ხდება, რომ „იფქლი“ და „დოლის პური“ თავდაპირველად მთლად ერთი-და-იგივე არ უნდა ყოფილიყო და „დოლისპური“ ალბათ იფქლის, ანუ *Tr. vulgare* var. *erythrospermum*-ის რომელიღაც განსხვავებული სახეობა იქმნებოდა. ამ საკითხს რომ ქართველმა აგრონომებმა ჯეროვანი ყურადღება მიუქციონ, შესაძლებელია შუქი მოეფინოს.

განსაკუთრებული განხილვის ღირსია სვანურში მიღებული ტერმინი „კჷეცენ“, რომელსაც, როგორც დაერწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 354-355), დოლის პურის შესატყვისი და ზოგადი მნიშვნელობა აქვს. ამგვარად „კჷეცენ“-ი აღმნიშვნელობით უძველეს ქართულს „იფქლს“ და მერმინდელსა და თანამედროვე „დოლის პურს“ უდრის. ეხლა სწორედ ამ ტერმინის სადაურობაა გამოსარკვევი. რაკაში გავრცელებული პურეულის ერთი სახეობის ტერმინის „გვაწა ზანდური“-ს (იხ. აქვე, 362) პირველი ნაწილიც უეჭველია, „კჷეცენ“-თანვე უნდა იყოს დაკავშირებული და მის ბოლო-შეკვეცილსა და ფონეტიკურად შეცვლილ სახეობას წარმოადგენს.

ნ. კეცხოველი ფიქრობს, რომ ქართველ ტომებს ეს სახელი თავიანთ წინანდელ სამშობლოთაგან მე-VII ს-ში ქ. წ. უნდა თან მოეტანათ. მაშასადამე, „კჷეცენ“ თითქოს სამხრეთითგან მოტანილი სახელი უნდა იყოს.

ამ აზრს მეტად საეჭვოდ ჰხდის ის უცილობელი გარემოება, რომ არც ძველსა და არც ახალ ქართულში, არც მეგრულ-ქანურში ასეთი სახელი არ ჩანს. კჷეცენი-კი რომ სამხრეთითგან მოტანილი ყოფილიყო ეს სახელი სამწერლობო ქართულსა და მის დიალექტებში იქმნებოდა. ამ სახელს ქართულში არც რაიმე ეტიმოლოგია უჩანს.

ამავე დროს ხორბლის ეს სვანური სახელი „კუეცენ“ გასაოცრად მიაგავს პურეულის გერმანულ სახელს Weizen. „უეცენ“-ს რომელსაც გერმანულ დიალექტებსა და ინდოევროპულ ენებში ბევრი თვისტომი გააჩნია. მაგალითად: გუთურად ხორბლეულს hvaiteis „ჰვაიტეის“-ი ეწოდებოდა და თეთრ მარცვლას ჰნიშნავდა. ბრეტონულშიც პურეულს gwiniz „გუინიცი“-ი ერქვა, ხოლო gwenni „გუენი“-ი თეთრსა ჰნიშნავდა. ლიტოურადაც არსებობს ეს სიტყვა, ვითარცა შენათვისები, და მხოლ. რიცხ. kwietys-ად გამოითქმის, მრავ. რიცხვი-კი არის „kwiecziai“ (იხ. V. Hehn Kpf. u. Ht. გვ. 556). მაშასადამე ცხადი ხდება, რომ „კუეცენ“-ი უნდა გერმანულ ენებში გაეცვლებულ ხორბლეულისა და თეთრი მარცვლის აღმნიშვნელ სახელთან იყოს დაკავშირებული და იქითგან უნდა მომდინარეობდეს.

მაგრამ, ვისგან და რა გზით უნდა იყოს პურეულის ეს სახელი სვანურში შემოსული? უეჭველია, ამ ტერმინის სათავე უნდა გუთების ერთ-ერთი ტომთაგანის დიალექტში ვეძიოთ. მაგრამ სვანებს პირდაპირ გუთებისაგან ამ ტერმინის შეთვისება, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ. ხოლო, რაკი ევროპის ჩრდილო-დასავლეთის ტომებთან სვანებს უშუალო დამოკიდებულება არ შეიძლება ჰქონოდათ, ამიტომ, ცხადია, რომ ამ ტერმინის გარდამოცემელი შუამავლნი უნდა ყოფილიყვნენ. ასეთ შუამავალებად ოსებს ვერ ვიგულისხმებთ, რათგან ისურად ხორბალს mannaus, „მანაუ“-ს ერქვა (გვლდენ შტედტის Reisen, II, 540).

სვანებსა და გუთებს შორის ასეთ მახლობელ შუამავალებად უფლება გვაქვს აბხაზ-ჩერქეზთა ტომები მივიჩნიოთ, რათგან გულდენ შტედტისა და კლაპროთის ჩანაწერებითგან ჩანს, რომ უბარდოულად, აბხაზურად და ჩერქეზულად ხორბალს 1773 წ. „გოდ“ ჰრქმევია („Gods“: Reisen, II, 531. „Godz“: Voyage, II, 397 და 426).

უბარდოულად პურეულს ეხლაც ასევე, „გოდ“-ი ეწოდება (იხ. ლოპატინსკის Русско-кабардинский словарь, 139), აბხაზურად-კი, უსლარის ცნობით, ეხლა „ა-ჩარაზ“-ს ხმარობენ.

საფიქრებელია, რომ „გოდ“ უნდა წინანდელი „გვაძ“-ისაგან იყოს წარმომდგარი, რომლის მსგავსი ფორმის ძველ ანარეკლს რაქული „გვაწა“ უნდა წარმოადგენდეს.

თუ სვანურს „კუეცენ“-სა და რაქულ „გვაწა“-ს ერთის მხრით გერმანულს „უეცენ“-ს, გუთურს „ჰვაიტეის“-სა და სხვა ზემომოყვანილ ფორმებს, მეორეს მხრით ჩერქეზ-უბარდოულ-აბხაზურს „გოდ“-ს შევადარებთ, ცხადი შეიქმნება, რომ სვანურს ამ გერმანული სიტყვის უძველესი ფორმა აბხაზურ-ჩერქეზ-უბარდოულზე უკეთესად დაუტყავს.

ამგვარად, ირკვევა, რომ „კუეცენი“ სრულებით სამხრეთითგან არ არის ქართველებისაგან მოტანილი, არც ისეთი ძველი შენაძენია, როგორც ნ. კეცხოველს ეგონა, არამედ ჩრდილოეთითგან მომდინარეობს და სწორედ იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ ძველი საქართველოს და გერმანული ტომების კულტურული ურთიერთობის უტყვი მოწმეა.



„აქუეცენი“ სევანურში დოლისპურის აღმნიშვნელია, ეს ჯიში-კი საქართველოში უხსოვარ დროითგან იყო ცნობილი „იფქლას“ სახელით, რომლის ანარეკლი სევანურშიც არის დატული (იხ. აქვე, გვ. 347). ამიტომ საფიქრებელია, რომ „აქუეცენისა“ და „გვაწა“-ს სახელთან ერთად ჩრდილოეთითგან დოლისპურის რომელიღაც, მანამდე საქართველოში უცნობი, სახეობა შემოსულა. მომავალში სასურველია გამოირკვეს, თუ სახელდობრ რომელი სახეობა უნდა ყოფილიყო?

რას ჰნიშნავდა თავდაპირველად „ასლი“, იმას გარდა, რა მნიშვნელობაც მას უკვე უძველესი დროითგან მინიჭებული ჰქონდა, ჯერ არ ვიცით. არც ერთ სხვა ენაში ხორბლეულის ამ ჯიშს ასეთი სახელი არ ეწოდება და ამის გამო ეს ტერმინი ნამდვილ ქართულ სიტყვად უნდა ვიცნათ.

Tr. durum-ის, მაგარი პურეულის, ქართული სახელის „თათუხი“-ს სადაურობის გამორკვევას ის გარემოება აძნელებს, რომ ასეთი სახელი ამ ჯიშს არც ერთი საქართველოს მეზობლად მცხოვრები ერის ენაში არა აქვს. სომხურში მ. თუმანიანი ამ ხორბლეულის სახელად „*կარბე ვირხუ*“, „ქარწრ ცორენ“-ს ჰხმარობს (იხ. „*ლილიერასკან რიხხი რარბრიქხან გიოქხერე ჯაქასათანიამ*“: სომხეთის სახ. უნივერსიტეტის მოამბის 1929 წ. № 5-ითგან ამონაბეჭდის გვ. 110), რაც ხალხური სახელი არ არის, არამედ მისი ლათინური ბოტანიკური სახელის უბრალო თარგმანს წარმოადგენს, რათგან ზემომოყვანილი სომხური სახელიც „მაგარ ხორბალს“ ჰნიშნავს.

ხალხში თეთრ თავთუხს თურმე „დელნაზარდა“-ს, ანდა „ზარდა“-ს ეძახიან (იხ. იქვე). მაგრამ ეს სახელიც სომხური არ არის, არამედ სპარსული „ზარდა“-ა, რომელიც ყვითელსა ჰნიშნავს და თურქ-„თათართა“ შორისაც არის ამავე ჯიშის თეთრი სახეობისათვის გავრცელებული.

თურქ-„თათრებსაც“ თავთუხისათვის განსაკუთრებული სახელი თითქოს არ აბადიათ, არამედ ხორბლის ჩვეულებრივ სახელს „ბულდა“-ს ჰხმარობენ. მხოლოდ თეთრ, წითელ და შავ სახეობათა განსასხვავებლად ფერების აღმნიშვნელ თურქულ სიტყვებს ურთავენ ხოლმე წინ: „აღ-ბულდა“ თეთრ თავთუხს ეწოდება, „ყარმეხე-ბულდა“ წითელ თავთუხს და „ყარა-ბულდა“ შავ თავთუხს (იხ. აქვე).

ხორბლეულის აღსანიშნავად არც თურქულსა და არც სომხურში „თათუხი“, გინდა „თავთუხი“ არ იხმარება. ამგვარად საქართველოს მეზობელ ერთა შორის პურეულის ტერმინად „თათუხი“ არა ჩანს.

თათუხის გავრცელებულობის არეების ზემომოყვანილმა მიმოხილვამ-კი (იხ. აქვე, გვ. 371-371) დაგვარწმუნა, რომ ამ მარცვლეულის კულტურა საქართველოში სამხრეთ-აღმოსავლეთის გზით უნდა იყოს შემოსული. ამიტომ იქვე უნდა ვეძიოთ ამ ტერმინის კვალიც. მაგრამ თათუხი ხორბლეულის სახელად იმ მიწა-წყლის მკვიდრთ არ უჩანთ და ამიტომ ჯერჯერობით ჰიპოთეზით უნდა დავკმაყოფილდეთ.

قوس *latuk* თათუკ, თათუხ ოსმალურად გემოსა ჰნიჰნავს (იხ. Zenker-ის *Türkisch-arabisch-persisches Handwörterbuch*, 243). აქეთგან ნაწარმოები ზედსართავი სახელი „თათუხი“ ხომ არ არის ქართული „თათუხი“. ამ შემთხვევაში ტერმინი პურეულის ამ ჯიშის ღირსების, „ვემრიელი“-ს, აღმნიშვნელი იქმნებოდა<sup>1</sup>.

## B. ქრთილეულისა, დანარჩენ საკვებ მცენარეთა და ხე- ლის სახელების სადაურობა

ქრთილეულთაგან უძველეს სახეობად და ტერმინად ქრთილი უნდა იქმნეს ცნობილი და მთავარი მნიშვნელობა ამ სიტყვის ეტიმოლოგიის გამოკრევეასა აქვს.

„ქ რ თ ი ლ ი“-ს ეტიმოლოგიის ძიების დროს უნდა გათვალისწინებული გვექონდეს, რომ შესაძლებელია „ლ ი“ ფორმანტი იყოს. მაშინ ძირად დაგვარჩება „ქ რ თ ი“, რომელსაც, თავდაპირველად, უეჭველია, შუაში ხმოვანი ექნებოდა. მონათესავე სიტყვების გახსენებისას შესაძლებელია აღამიანს „ქ ე ი რ ი თ ა“ მოაგონდეს, რომელიც, საბაბს განმარტებით, „თევზთ კვერცხი“-ს სახელი იყო (ლექსიკ.) და არის ეხლაც.

ქვირითასთან დაკავშირებით გასახსენებელია, რომ არსებობს ტერმინი „კვრტი“ „კვირტი“-ც, რომელიც, საბაბს მოწმობით „გურტი“-ს სახითაც ყოფილა დაცული და რომელნიც „ვაზის კუჭკური“-ს აღმნიშვნელი სიტყვები ყოფილან (იხ. ლექსიკ.) და ეხლაც არიან.

ამგვარად, „ქ რ თ ი“ და „ქ ვ ი რ ი თ“, „კ ვ ი რ ტ“ კომპლექსები ნაყოფის ცნების გამოხატველად ჯვევლინებია. ამიტომ იბადება აზრი „ქრთილი“ თავდაპირველად ნაყოფიერი მცენარის აღმნიშვნელი სიტყვა ხომ არ იყო? ასე-თუ-ისე. ქართულის გარეშე ასეთი სახელი არ ჩანს და ამით მისი ქართულობა თავისდა-თავად წყდება.

<sup>1</sup> ხორბლეულის ჯიშთა სომხურ სახელებს შორის აღიშანს მოყვანილი აქვს *ქჩქ* „დირა“, რომელიც მისი განმარტებით ღიდმარცვლიანი ხორბლეულია და მშრალ ადგილებში იზრდება. მასვე მივსგავსება ავრთუვე „*ქიხაშმ*“, „ხრამე“-იო (სომხ. ბოტანიკა, 624).

აქ არიან მირაზორიანის მიხედვით განმარტებული აქვს, რომ „დირა“ ვანში ხორბლეულის ერთი ჯიშის სახელია, რომელსაც მსხვილი მარცვალი აქვს და ჩვეულებრივ კაჭგი მონავალი სცოდნია (იხ. *Հայկ. գաղա. բուսաբան.*, გვ. 278). ამის შემდგომ სწორედ გასაოქარია რომ მ. თ. უჭანიანს ხორბლეულის ამ ჯიშის შესახებ არც რაიმე ცნობა მოეპოვება, არც სახელი აქვს მოყვანილი (იხ. მისი „*კულტ. მცენარეთა ასწერივი ზოლები სომხეთში*“, სომხურად, 27. 107—112).

საჭაკ ამატუნის განმარტებით-ი თანამედროვე სომხურში არსებობს სიტყვა *ქჩქ, ქჩქ* „დირა“, „დვრა“ რომელსაც თურმე სასიამოვნოს მნიშვნელობა აქვს (*Հայկ. բուս. բան.*, 168).

რკი არც აღიშანსა ჯა არც აქ არიან „დირა“-ის ჯიშის შესახებ არაფერი აქვთ ნათქვამი, ამ პურეულის რაობაზე მსჯელობა, რააკვირებული, ძნელია, მაგრამ შინც სასურველია სოწვს ავრონომებს გამოეყვით, აქ ხომ თათუხის სომხურ სახელთან არა გვაქვს სკმე? ასეთი აზრი იმტომ გვებადება, რომ, როგორც „დირა“-ი სასიამოვნოსა ჰნიშნავს, ისევე „თათუხი“ გემრიელს. აქ ხომ თურქული სახელის სომხურა თარგმანი არ არის? ამას გარდა „დირა“-ი აღიშანის მოწმობით მშრალი ნიადაგის ხორბლეული უნდა იყოს და თავთუხიც, რკვრუჯ ცნობილია, ცხელი, დაბალი არს მცენარეა.

უქველია, „ქერი“ „ქრთილ“-ის ბოლომოკვეცილი ფორმა უნდა იყოს მხოლოდ „ქერ“-ს პირველ ორ თანხმოვანს შორის არსებული ხმოვანი აქვს დაცული. ამასთანავე სამწერლობო ქართული „ქერ“-ის შესატყვისად ქანურს „გაგარი“ მოეპოვება, ე. ი. ა-ხმოვნიანი ფორმა. პირველ ორ თანხმოვანს შორის „ა“-ს არსებობას სომხური *գարի* „გარი“-ც ადასტურებს.

ამგვარად „ქრთილ“-ის უფრო პირვანდელი ფორმაც პირველ ორ თანხმოვანს შორის აგრეთვე ხმოვნიანად უნდა ვიგულისხმოთ ისევე, როგორც პირველი თანხმოვანიც თავდაპირველად მაგარი უნდა ყოფილიყო და მისი პროგრესული გაასპირატების პროცესი მერმინდელ მოვლენად არის საგულისხმებელი. ა-ხმოვნიანი დიალექტის ამ სიტყვის ო-ხმოვნიანი დიალექტის შესატყვისობაში პირველი ხმოვანიც შესაფერად უნდა ყოფილიყო შეცვლილი.

ყურადღების ღირსია, რომ უკვე კლაპროთმა აღნიშნა ქართულ ქერსა და ვერმანულ Gerste-ს, სომხურ *Գարի*-სა და ოსურ *Khör*-ს შორის საგულეებელი კავშირი (იხ. *Voyage II*, 532). ხოლო თავის დროზე პროფ. ჰიუბშმანმა ქერის სომხური, ბერძნული და ვერმანული სახელების სადაურობა საეკოლ მიიჩნია (*Arm. Gram.* I, 432). პროფ. ბრაუნმა კვლავ სცადა გერმანული Gerste ქართულ ქერთან დაეკავშირებინა, მაგრამ მისი საბუთიანობა ვერმანისტებს დამაჯერებლად არ მიუჩნევიათ.

პროფ. W. Prellwitz-ს თავის „*Etymologisches Wörterbuch*“-ში ბერძნული ქერის აღმნიშვნელი სიტყვებიდან უძველესად *κέρσις* „ქრითე“ აქვს მიჩნეული და ამის ბოლო-მოკვეცილ ფორმად სთვლის *κρί* „კრი“-ს.

ქერის ამ ბერძნული სახელის ეტიმოლოგიის შესახებ სპეციალისტთა შორის თანხმობა არ არსებობს. პრელვიც-ს „ქრითე“ ძველ-გერმანულ „გერსტა“-სა და თანამედროვე „გერსტე“-ს ისევე, როგორც ლათინურ *hurdeum*-თან ერთად *gür-zih*-საგან მიიჩნია წარმომდგარად. ძირია *gherso*, ძველი ინდური *hṛs*, ლათინური *hurrere*-ო. ამავე ავტორის აზრით, ასეთი სახელი თითქოს ქერის მარცვლის იმ დამახასიათებელი თვისების გამო იყოს წარმომდგარი, რომ მას კილი მარცვალზე მაგრად აქვს დაკავშირებული (იხ. *Prof. Dr. W. Prellwitz, Etymologisches Wörterbuch*, 2 Aufl. 1905 წ. გვ. 844).

ვითარცა ისტორიკოსს, ენათმეცნიერების სამფლობელოში შექრა შეკრძალება, მით უმეტეს ისეთ კარგად შესწავლილ დარგში, როგორც ინდო-ევროპული ენათმეცნიერებაა. ამიტომ ჩემი მიზანი ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმვაა, რომელიც ეგების ამ საგულისხმო საკითხის მომავალ შეკვლევართ გამოადგეთ.

პროფ. ბრაუნმა არ იცოდა რომ ქერზე უძველესი ფორმა ქართულში „ქრთილი“-ა და შედარებითი შესწავლის დროს საფუძვლად სწორედ ეს სიტყვა უნდა იყოს გამოყენებული. ხოლო, თუ შესადარებლად ამ უძველეს სახელს ავიღებთ, ქართული „ქრთილი“-სა და ბერძნული „კრითე“-ს მსგავსების უნარყოფა ძნელია.

ბერძნულს მხოლოდ ბოლოკიდური მარცვლი „ლი“ აქვს ჩამოცილებული და „ი“ ხმოვანიც „რ“-სა და „თ“-ს შუა მოუქცევიან.

ქრთილეულის ბერძნულ და ქართულ სახელების მსგავსება მარტო ამით არ თავდება. როგორც ქართულში „ქრთილი“-ს გარდა „ქერი“, და „გარი“ არსებობს, რომელნიც პირველის არსებითად ბოლო-შეკვეცილ ფორმებს წარმოადგენენ, ისევე ბერძნულშიც. ერთის მხრით არის „კ რ ი თ ე“, მეორე მხრით ბოლო-შეკვეცილი ფორმა „კ რ ი“-ც მოიპოვება. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს მსგავსება შემთხვევითი იყოს.

მაგრამ ქართულში ქრთილეულის ორსავე სახელს, როგორც ვიცით, რეალურად ორი განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა და „ქრთილი“ მრავალმჭკრივას აღმნიშვნელი იყო, „ქერი“-კი ორ-მჭკრივასი. ბერძნულში „კრითე“ და „კრი“ მნიშვნელობით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ცხადია, რომ ქართული უფრო ძველი ვითარების გამოხატველი უნდა იყოს, ვიდრე ბერძნული.

ლათინურ hordeum „ჰორდეუმ“-შიც ფუძე „ჰორდე“-ა. მას პირველი თანხმოვანი ქართულთან შედარებითაც გაასპირატებული აქვს იმგვარადვე, როგორც ქართულშიც პირველი თანხმოვანი „ჰ“ ბერძნულ „კ“-სთან შედარებით გაასპირატებულია. აღსანიშნავია რომ ოსურში ქერი „ხორ“-ია, რომელიც ლათინურის მგასესი სახელის ბოლო-შეკვეცილი ფორმის შთაბეჭდილებას ახდენს, ბერძნული „კრი“-სა, ქართული „ქერ“-ისა და ქანური „გარი“-ის მსგავსად. მხოლოდ მას პირველი თანხმოვანი „ხ“ ლათინურზე უკეთესად აქვს დაცული.

ლათინური „ჰორდე-უმ“ და ოსური „ხორ“ თავიანთი შუა-ხმოვნით არიან საყურადღებო. იმ დროს როდესაც სამწერლობო ქართულში „ე“ გვაქვს ხმოვნად (ქერი) და ამასვე უდგება გერმანული „გერსტე“, ხოლო ქანურში და სომხურში „ა“, „გარი“ და „გარი“, ლათინურსა და ოსურში ო-ხმოვნიანი დიალექტის ფორმა გვაქვს დაცული.

ლათინურ „ჰორდე-უმ“-ის მესამე თანხმოვან „დ“-სთან შედარებით ქართული და ბერძნული შესატყვისი ბგერა „თ“ გაასპირატებულია.

ყვილა ზემონათქვამის შემდგომ ამ სიტყვის პირველადი ფორმის წამოყენებაც შეიძლებოდა, მაგრამ ეს ენათმეცნიერების საქმეა. ჩემი მიზანი იყო შეგრძნობებინა, რომ ეს საკითხი ყურადღების ღირსი უნდა იყოს და რომ ქართულ „ქრთილ“-ს „ქერსა“ და ამ მცენარის ბერძნულ, ლათინურ, გერმანულ, სომხურსა და ოსურ სახელებს შორის გენეტიკური კავშირი, ვგონებ, უნდა არსებობდეს.

შერიის ბერძნული სახელი βερμα, ლათინური avena, ძველი სლავური „ოვიზ“, ძველი გერმანული habaro, ჩეულებრივი Hafar და ლათინურითგან წარმომდგარი ფრანგული avoine ისე არიან ქართულ „შვრიას“ დაშორებულნი, რომ ქართული ტერმინი, რასაკვირველია, სულ სხვა წარმოშობილობისა უნდა იყოს.

თავის დროზე კლავროთმა ქართული შვრია, ან როგორც მას ჩაწერილი აქვს, „შ რ ვ ე ა“ Чрѣва ზირიანულ სახელს „ზიურ“(Ziour, Zeur) დაუკავშირა (Voyage, II, § 20). მაშასადამე, უნგრო-ფინურითგან უნდა მომდინარეობდეს.

ამ მცენარის მოყვანას საქართველოში ნაკლებად მისდევდენ, ძველ ძეგლებში არსად გვხვდება და მისი უცხო ენითგან შემოსულობის აზრი თავისდა-თავად

იბადება. თურქებთან ნასესხობაც შესაძლებელია, მაგრამ ამ საკითხს განსაკუთრებული განხილვა სჭირდება, რათა კართული ტერმინის სადაურობისა და მონათესაობის გამორკვევა ამ კულტურის საქართველოში შემოსულობის გზას გაგვიკვლივდ.

„სვილის“ მოყვანას, როგორც დაერწმუნდით, მთელი საქართველო არ მისდევდა და ეს სიტყვა ძველ ძეგლებშიც ჯერ არსად გვხვდება. ამით მისი უცხოობა საგულისხმებელია. მსგავსი სახელის ძიებაზე თუ მიდგა საქმე, ყველაზე დამაჯერებელი იქმნებოდა აზრი, „სვილის“ ლათინური *silico* „სილიგო“-სთან კავშირის შესახებ. იქამ სიტყვას ხორბლეულის მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ სვილზე ძველ ქართულ ძეგლებში ცნობების უქონლობის გამო, მისი საქართველოში შემოსულობის ხანის გამორკვევა შეუძლებელი ხდება.

„ჰვაფი“-ც ძველად არ ჩანს. შემდეგშიც მხოლოდ მთა-ადგილებში ითვებოდა. თვით სახელი შესაძლებელია ქერის სპარსული სახელი „ჰაჟ“, „ჰაჟ“ და ქვაყის „ჯაედარ“-ისაგან იყოს წარმომდგარი.

დაასარულ, სელზეც. უკვე 2200 წელს ქ. წ. ეგვიპტეში სელი მოჰყავდათ და მისგან ქსოვილებს აკეთებდნენ. ებრაელებიც უძველეს დროსვე სელის ქსოვილების ქსოვას მისდევდნენ. ევროპის უძველესი მოსახლეობისათვისაც სელი უცნობი მცენარე არ ყოფილა, ეს შვეიცარიის დარიან შენობათა ხანის ნაშთებში ამ მცენარეულობის ოესლის მრავლად აღმოჩენამ უცილობელ კვშმარიტებად აქცია. ებრაელებს შორის უკვე მე-4 ს-ში ქ. წ. სელის დამუშავება გავრცელებული ყოფილა. თანდათანობით მისი კულტურა ბევრგან გაჩნდა, ისე რომ გალლიასა და გერმანიაშიც ჩვეულებრივ საქსოვ ნივთიერებად იქცა. მაგრამ დასავლეთ ევროპაში სელის ქსოვილებით ყველაზე უფრო განთქმული ესპანიის იბერიის იყვნენ. ამ მცენარის კულტურა მხოლოდ სკანდინავიაში ყოფილა უცნობი.

აღსანიშნავია, რომ სელის სახელი ყველა ევროპულ ენებში ერთიდაიმავე ძირისაა და ერთი მეორეს გასაოცრად მიაგავს: ბერძ. *λίνα*, ლათინ. *linum*, გერმან. *Lein* და *Flachs* (რომელიც სხვა ძირის სიტყვაა), ანგლოსაქ. *line*, ფრანგ. *lin* და რუს. *лен*. ეს გარემოება ჰენ-ს ამ ტერმინის დასავლეთ-აღმოს. ევროპის ერთა მიერ ბერძენ-რომაელთაგან შეთვისებულობის მომასწავებლად მიიჩნდა, მაგრამ სხვა მცენიერნი ამახ სელისათვის საერთო სახელის უძველეს დროსვე არსებობის შედეგად სთვლიან (იხ. *Kjff. u. Hl. Gg.* 177—178, 181, 187—189). ამის საბუთად იმ გარემოებას ასახელებენ, რომ, რაკი სელი ევროპაში უძველეს დროითგან არსებობდა, ამ მცენარეს მაშინაც უქვეყლად სახელი უნდა ჰქონოდა და, როდესაც ევროპაში გადასახლდნენ, სელის დამუშავება უკვე უნდა სციოდნოდათ (იქვე, 188—189).

მაგრამ ამ მცენარეულობის ველურად, თუ მოშენებით არსებობა საკმაო საბუთი არ არის იმ დებულების დასაჯერებლად, რომ სელს ევროპაშიც უძველეს დროსვე საქსოვ ნივთიერებად ხმარობდნენ. როგორც ცნობილია და ჰენ-საც მრავალი წყაროების ცნობებით დამტკიცებული აქვს, სელი ადამიანმა სამზიარად გამოიყენა: როგორც საქმელი, როგორც ცხიძოვანი ნივთიერება და რო-

გორც საქსოვი ნივთიერება. ეგვიპტელები ფართოდ მისდევდნ სელის მეურნეობას, მაგრამ მხოლოდ ვითარცა საქსოვი ნივთიერების მომცემს: საკვებად სელს ეგვიპტელები არ ხმარობდნ. ბერძნებს-კი პირიქით თავდაპირველად გემრიელ საკვებად მიიჩნდათ და როგორც საქსოვ მასალას ისე არ ეტანებოდნ (ჰენ Kpif. u. Ht. 172). ასევე შესაძლებელია დასავ. ევროპის ერთათვის სელი თავდაპირველად საკვებად ყოფილიყო და სულ სხვა სახელიც ჰქმეოდა, შემდეგ-კი მისი ქსოვილებად დამუშავება-ქსოვის ხელობაც ბერძენ-რომაელებისაგან ამ მცენარის ტერმინთან ერთად შეესწავლათ.

რასაკვირველია, მარტო ტერმინოლოგიის დამოუკიდებლობაზე მსჯელობის დამყარება სახიფათოა, მაგრამ მაინც, რამდენადაც ტერმინთა იგივეობა საერთო წყაროს, ნასესხობა-დამოკიდებულებასა და შეთვისებულობას გვაგულისხმებინებს და ამჟღავნებს, ამდენადვე ტერმინოლოგიის თავისებურება ცოტად-თუ-ბევრად თვით მეურნეობისა, თუ მრეწველობის უფრო საკუთარი გზით განვითარების დამამტკიცებელი უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა და უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ევროპელ ერთა სელის სახელები, ან ბერძნულ-ლათინურით-გან, ან საერთო წყაროთგან მომდინარეობს, სელის ებრაული ერთი სახელი-კი „პიშტეჰ“ ამ მცენარის ეგვიპტურ სახელის „პეშტ“-ისგან არის წარმომდგარი (იხ. Kpif. u. Ht. 189), ხოლო მეორე, იოსიფოს ფლაბიოსის მიერ აღნიშნული, სახელი „ქეთონ“ (χέθον) ფინიკიური „კიტონეტ“-ისა, ან „კეტონეტ“-ისგან არის წარმოშობილი, (იქვე, 167) შესაძლებელია ითქვას, რომ სელის სომხური სახელი ჯთაჲ „ქტავ“-იც იმავე ფინიკიური „ეტ“ ბოლოშეკვეცილი და „ნ“ ბგერის შენაცვლებული სახელისგანვე უნდა იყოს წარმომდგარი.

ამ მცენარის ქართული სახელი „ხელი“ განმარტოებით დგას და არც ერთ სხვა ერის ტერმინს არ ენათესავება<sup>1</sup>. ამ გარემოებასაც, რასაკვირველია, სათანადოდ ანგარიში უნდა გაეწიოს.

### § 3. კულტურულ მცენარეთა სახელების ანალიზით მოპოვებული ზოგადი შედეგი

კულტურულ მცენარეთა სახელების მძებლვით უცილობლად უცხოეთითგან შემოტანილია „ქუეცენი“, შვრია, სელი, ჭევი, თავთუხი, ბრინჯი, ლომი, კანაფი, ჯიქურა და ბამბა, ამთგან „კუეცენი“, შვრია და ჯიქურა ჩრდილოეთითგან,—ბრინჯი და კანაფი შუაი ზღვის გზით ისევე, როგორც ლომიც სამხრეთ-დასავლეთითგან და თავთუხი სამხრეთ-აღმოსავლეთითგან, მაგრამ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, თუ რა გზით, რათგან თავთუხების წარმომშობელ არედ ხმელთა შუა ზღვის სანაპირო ითვლება, უმთავრესად აბაშეთი, ეგვიპტე, ალკირი და საბერძნეთი (იხ. Проф. Н. Вавилов. Центры происхождения культурных ра-

<sup>1</sup> ყურადღების ღირსია მხოლოდ ძველი ირული Seol, Sool, რომლისგანაც წარმომდგარია, თუ რომელთანაც დაკავშირებულია სელის ტილოსგან გაკეთებული აფრის აღმნიშნული გერმანული სიტყვა Segel. გამოსარკვევია, შემთხვევითია, თუ არა, ის მსგავსება, რომელიც სულის ამ ორ აღმნიშნულ სიტყვას, ქართულ „სელ“-ს, მეგრულ-ქანურ „სულ“-სა და ირულს „სეოლ“-ს, „სულ“-ს ემჩნევა?

стен:й, 1926 წ., გვ. 28). ბამბის შესახებ გარკვეული ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ალბათ სამხრეთითგანვე უნდა იყოს შეთვისებული.

ქართული აღმოჩნდა რბილი ხორბლეულის უძველესი სახელი „იფქლი“ და მერმინდელი „დოლისპური“ ისევე, როგორც „დიკა“ და „ასლი“-ც. დიკის გავრცელების არეს უმთავრესად საქართველო წარმოადგენს, სომხეთში ის უფრო ნაკლებად არის გავრცელებული, ხოლო ადერბეიჯანში იშვიათია. მცირე აზიაში ამ ეამად მაინც არ არის მისი გავრცელების არე ცნობილი. წინათ კი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, კანების ტერიტორიაზე ყოფილა. ჩრდილოეთით დიკის გავრცელების არეს კავკასიონის მთავარი უღელტეხილი შეადგენს, რომლის იქით დიკა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ გვხვდება. თუ ამას იმ მოსაზრებასაც დაეურთავთ, რომ ხორბლეულის ამ ჯიშისათვის, ქართველებს გარდა, არავის სახელი არ მოეპოვება, იმ მკვლევართა აზრი, რომელნიც დიკას ადგილობრივ ჯიშად სთვლიან, სრულ ქეშმარიტებად გვეჩვენება.

ე. წ. რბილი ხორბლეულის, Tr. vulgare-ს იფქლისა და დოლისპურის სამშობლოდ პროფ. ნ. ვავილოვს სამხრეთ-დასავლეთი აზია მიიჩნია, სადაც ამ პურეულის სახესხვაობათა რიცხვი 50-ს აღემატება. ასეთი სიუხვეით არც ამიერკავკასია, საქართველო, სომხეთი და ადერბეიჯანი ჩამოუვარდება (იხ. Центры происхождения культурных растений, 25—26). ამ ხორბლეულის ჯიშის ნამდვილი ქართული სახელები და საყოველთაო გავრცელებულობა საქართველოში მისი უაღრესი სიძველის მაუწყებელია. მომდევნო თავში, რომელშიც ხორბლეულთა და ქრთილელთა ქრონოლოგიის პრობლემა განხილული, დავრწმუნდებით, რომ ერთი ტერმინოლოგიური ფაქტიც იფქლის კულტურის ქართველთათვის უაღრეს სიძველეს ადასტურებს.

ერთმარცვლიანი ასლი, ზანდური, ეგვიპტელთა და სემიანთა მოდგმის ერთათვის უცნობი ხორბლეული იყო. მის სამშობლოდ F. Pax-ი ხნელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სთვლის. სამაგიეროდ მრავლად არის ეს პურეული ტროას ნაქალაქევეში. ბერძნებსა და რომაელებსაც ისევე, როგორც ევროპის ერებს, ერთმარცვლიან უკვე ქეის ხანაში ჰქონიათ, რაფან ეს პურეული შეეიცარიის დიროვან შენობებშიაც-კია აღმოჩენილი (F. Pax იხ. V. Hehn-ის Kpf. u. Ht. 559—560).

ორმარცვლიანა ასლის, ანუ მახას სამშობლოდ F. Pax-ი ასურეთსა სთვლის. მისი კულტურის დასაწყისი იქვე და პალესტინაში ევხლება. ეგვიპტეშიც გავრცელებული ყოფილა ისევე, როგორც მცირე აზიასა, საბერძნეთსა, იტალიაში და გალლიაშიც. შეეიცარიის დიროვან შენობებშიც არის აღმოჩენილი ისე, რომ ეს ხორბლეულიც რომაელების ხანაზე უწინარეს არის შესული ევროპაში (იქვე, 559—560).

ქართველებსაც ასლები, როგორც ეტყობა, უხსოვარი დროითგან სცოდნიათ. მათი სახელებიც ადგილობრივი ჩანან და ზოგიერთი სახეობაც, როგორც გამოირკვა, მხოლოდ საქართველოში მოიპოვება.

**თავი მესამე. საჰართვალოში გავრცელებული ხორბალეულიწესა და ძრთილეთულის ჯიშების გაჩენის დაახლოებითი ძრონოლოგიური განსაზღვრა**

რაც-კი საქართველოში კულტურულ მცენარეთა სიძველესა და ხნიერებაზე თქმულა და დაწერილა, უკვე მოყვანილი გვექონდა (იხ. იქვე, გვ. 392—395). დამაჯერებლობა ამ დებულებებს, როგორც ვიცით, არა აქვს, რათგან მთელი მსჯელობა შემოხვევითს ცნობებზე არის დამყარებული და ამის გასაშუქებლად არსებული უძველესი წყაროები, როგორც დავრწმუნდით, გამოყენებული არ ყოფილა.

ამ საკითხის გამო თანხმობა იმ აგრონომ-მკვლევართა შორისაც არ სუფევს, რომელთაც-კი კულტურულ მცენარეთა ხნიერებაზე საქართველოში რაიმე დაუწერიათ. მაგალითად, პირადად ვ. მენაბდეს დიკის გაჩენის ხანის შესახებ გარკვეული აზრი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ მაინც სხვებს (საფიქრებელია ათაბეგოვას და ნ. კეცხოველს) არ ეთანხმება. მას ნათქვამი აქვს: „ფრიად შესაძლებელია, რომ *Tr. persicum* Vav. არც ისეთი ძველი წარმოშობილობის იყოს. ზოგან (სურამის ქედზე) ის ცნობილია „ახალ თესლი“-ს სახელით (Mat. по изыс. геогр. хлб. злаков Вост. Грузии, 189). აზრი დამთავრებული არ არის; მაგრამ, როგორც ეტყობა, ავტორი ფიქრობს, რომ, რაკი დიკა ახალ თესლად იწოდება, ამიტომ ხორბლეულის ეს ჯიში საქართველოშიც ახალი უნდა იყოს და არა ძველი.

ეს საკითხი და მოსახრება მართლაც საყურადღებო და მნიშვნელოვანია და, სანამ მისი დამაჯერებელი განმარტება არ მოიძებნება, დიკისა, პურეულისა და ქრთილეულის სხვა ჯიშების ქრონოლოგიას სათანადო საფუძველი არ ექმნება. ამიტომ ხორბლეულისა და ქრთილეულის ჯიშების ხნიერების საკითხის განხილვამდე, ჯერ „ახალ-თესლი“-სა და „ძველ-თესლის“ გამონათქვამების შინაარსი უნდა გავიგოთ.

## § 1. ტერმინების „ახალთესლი“-სა და „ძველთესლი“-ს რეალური მნიშვნელობა

ქრთილეულზე მსჯელობის დროს (იხ. აქვე, გვ. 374—375) დავრწმუნდით, რომ ქართველი მიწისმოქმედი ქრთილეულს „ძველ-თესლად“ და „ახალ-თესლად“ ჰყოფს. იქვე აღნიშნული გვექონდა, რომ ეს დანაწილება მარტო ქრთილეულისათვის-კი არ არსებობდა, არამედ ხორბლეულისათვისაც. აკად. გვლდენ შტედტისაც ჰქონდა უკვე 1772 წ. თავის დაკვირვებაში ჩაწერილი, რომ დიკას ახალთესლიც ეწოდებოდა.



პურეულის ორ ჯგუფად, ახალთესლად და ძველთესლად, დახაწილებზე თანამედროვე საქართველოშიც ყოფილა შერჩენილი. ეს გარემოება გ. რეხვია-შვილის ცნობითგანაც ირკვევა. ამ ცნობაში, რომელიც სტულ. ნ. რეხვია-შვილის ხელით მივიღე, გ. რეხვიაშვილიც რაქის პურეულს „ძველი პურის სახე-ჯიშ“<sup>1</sup>-ად და „ახალი პურის ჯიშებად“ ჰყოფს.

ამასთანავე საგულისხმო და მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „ძველი პური“-ს ჯიშად მას „იფქლი“ აქვს დასახელებული, „ახალი პურის“ ჯიშად-კი „დიკა“. როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა (იხ. აქვე, გვ. 375), მოსალოდნელიც იყო, რომ ეს სწორედ ასეც უნდა ყოფილიყო.

ხოლო განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ „ახალ-თესლად“ წოდებული „დიკა“ გაზაფხულის თესლია, „ძველ-თესლად“ მიჩნეული „იფქლი“-კი შემოდგომის თესლი იყო.

ქრთილეულის რაობის განხილვის დროსაც, დაგრწმუნდით, რომ ექვს-მწკრივა ქრთილეულს, ანუ ქრთილს, ეხლაც ხალხში „ძველთესლი“ ეწოდება ისევე, როგორც ორმწკრივას, ანუ ქერს, „ახალთესლი“ ჰქვიათ. (იხ. აქვე, გვ. 373). უკვე ს. ორბელიანსაც ჰქონდა თავის ლექსიკონში განმარტებული, რომ „ქრთილი“ შემოდგომის თესლს წარმოადგენდა, „ქერი“ კიღვე გაზაფხულისას.

ამგვარად, ხორბლეულისა და ქრთილეულის ამ დანაწილებაში სრულებით მტკიცე და მკვეთრი პრინციპი არის საფუძვლად დადებული: ძველთესლად შემოდგომის ჯიში იწოდება, ახალთესლად-კი გაზაფხულის ჯიშია მიჩნეული.

ამ საგულისხმო ფაქტის მიხედვით სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ქართველი მიწისმოქმედისათვის შემოდგომის სათესი ძველი წესი ზე ჯიში ყოფილა, გაზაფხულის ჯიში-კი ახალი.

აქ გასაკვირველიც არაფერია, რათავან უკვე კოლუმელლას აქვს ნათქვამი, რომ<sup>1</sup> საუკეთესოდ სწორედ შემოდგომის ნათესი ითვლებოდა და რომ გაზაფხულის, მიწისმოქმედთაგან სამთვიურად „ტრიმესტრე“-დ წოდებული ნათესები მხოლოდ ცივისა და თოვლიანი ქვეყნებისათვის იყო გამოსადეგი, სადაც ზაფხული ნოტიო იცისო.

ამაზე მეტის თქმაც შეიძლება, კოლუმელლას საზოგადოდ ამტკიცებს, რომ ზომიერ-ჰავიან ქვეყნებში პურეული ყოველთვის უნდა შემოდგომაზე, ზამთრის წინ დაითესოს (De re rustica lib. II, cap. IX)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „adhuc de satione autumnali loquimur: hanc enim potissimam ducimus. Sed est et altera, cum cogit necessitas: trimestrem vocant agricolae. Ea locis pregilidis ac nivosis, ubi aestas est humida et sine vaporibus, recte committitur“ (De re rustica, lib. II, cap. IX).

<sup>2</sup> „robusta iumenta semper ante hiemem seri debent in regionibus temperatis“.

თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა საყანურის თვისებასა ჰქონდა და იმ კუთხის ჰაეაზე იყო დამოკიდებული, სადაც პურეული ითესებოდა, მაგრამ ბერძნებიც პურეულს ყოველთვის შემოდგომაზე სთესდენ ხოლმე. რომაელებიც უფრო ხშირად შემოდგომის ნათესსავე რჩებოდნენ, რათა უფრო უკეთესად და სწრაფად იზრდებოდა (Orht Getreide Paulys R—E VII, 1340).

Olcკ-ს აღნიშნული აქვს, რომ საბერძნეთში უძველეს კულტურულ მცენარედ იყო Triticum vulgare Vill. ე. ი., ქართული ტერმინები რომ ვიხმართ, „იფქლი“ და „დოლის-პური“, შემდეგ „ასლი“ და ექვესმწკრივა ქართილელი „ქრთილი“. „ორმწკრივა“, ანუ ქერი დისტიქონის ჯიში, მერმე ჩნდება და გალიითგან შედის იტალიასა და საბერძნეთში (იხ. Ackerbau: Paulys R-E 1. Band, 1894 წ. გვ. 261-262).

მარცვლელთაგან გავრცელებული იყო აგრეთვე ფეტვი (Rispenhirse) ἀγγυραჯ ანუ μιλιν, milium, ე. წ. Panicum milaceum L., იმისდა მიუხედავად რომ ეს მცენარე ჰომიროსს მოხსენებული არა აქვს (იქვე, I, გვ. 262).

იტალიაშიც გაზაფხულზე ითესებოდა უმთავრესად ფეტვი, სელი, ორმწკრივა ქერი, ოსპი (Linse) და სხვა (Olcკ Ackerbau: Paulys R-E 1. 283).

მაშასადამე, ჩვენი დასკვნა, რომ ქართველი ერისათვის შემოდგომის ნათესი უფრო ძველი წესი იყო, გაზაფხულის-კი ახალი, მცდარი არ უნდა იყოს.

## წ 2. ხორპლელისა და ქრთილელის ტერმინოლოგიის „ახალისა“ და „ძველის“ ქრონოლოგიური განსაზღვრა

მაგრამ, როგორ უნდა გავიგოთ ამ შემთხვევაში გამონათქვამები „ძველი“ და „ახალი“? ამ საკითხის გადაწყვეტას, რასაკვირველია, უაღრესი მნიშვნელობა აქვს მემინდერეობის კულტურისა და ეკონომიკის ისტორიისათვის საქართველოში.

საკმაზისია გავითვალისწინოთ, რომ „ძველთესლად“ წოდებული „იფქლი“ და „ქრთილი“, ისევე როგორც „ახალთესლად“ სახელდებული „დიკა“ და „ქერი“ უკვე დაბადებისა და სახარების უუძველეს ქართულ თარგმანებში, ე. ი. მე-V ს-შივე, გვხვდება, რომ ნათელი შეიქმნეს, თუ რამდენად შესცდებოდა ადამიანი „ახალი“ რომ ქრონოლოგიურად იმ საზომით განეზომა, როგორც ეს სიტყვა ამ ენად და ჩვეულებრივ გვეხმის ხოლმე.

ცხადია, მაშასადამე, რომ „ახალთესლი“ დიკა და ქერი სულ ცოტა 1500 წ-ით და, რა თქმა უნდა, საუკუნეებით გაცილებით უფრო ხნიერი ჯიშები ყოფილა, თუ-კი მე-V ს. ძეგლებში დიკაცა და ქერიც ჩვეულებრივ სიტყვებად გვევლინებიან.

ამგვარად, „ახალთესლი“ სრულებით ახალი არ ყოფილა, არამედ თესლის ძველის-ძველი ჯიში გამოდისა. ამიტომ უეჭველია, რომ „დიკა“ და „ქერი“

მხოლოდ „იფქლ“-თან და „ქრთილ“-თან შედარებით შესაძლებელია რომ ახალ თესლად იქმნენ მიჩნეულნი. სხვათადას, ანდა უფრო ზედმიწევნით რომ ითქვას, ამ შემთხვევაში იმ უუძველესი ხანის ტერმინოლოგიის ნაშთთან გვაქვს საქმე, როდესაც, წინათ არსებულ იფქლისა და ქრთილის შემოდგომის ჯიშებს გარდა, პირველად გაზაფხულის ჯიშები, დიკა და ქერიც, შემოდებულ იქმნა: მხოლოდ ამ დროითგან მოყოლებული შესაძლებელი იყო, რომ იფქლსა და ქრთილს, ვითარცა თესლის წინანდელ ჯიშებს, ძველ-თესლის სახელი სწოდებოდათ, ხოლო დიკა და ქერი ახალთესლად მიჩნიათ.

### § 3. „იფქლის“, „დიკისა“ და გაზაფხულის ხორბლეულისა და ქრთილეულის ჯიშების გაჩენის ხანა

იოველის 1<sub>10-11</sub>-ის ქართულ თარგმანში ისევე, როგორც ბერძნულ ტექსტშიც ხორბლეულის ორი სახელი მოგვეპოება: „იფქლი“, რომელიც ბერძნულ  $\epsilon\iota\tau\alpha\lambda\alpha\sigma$ -ს „სიტოს“-ს უდრის, და „დიკაჲ“, რომელიც  $\delta\iota\kappa\alpha$ -ს „პკროს“-ს ეთანასწორება.

იქ, სადაც პურეულის ეს ორი ჯიში დაპირისპირებული არ არის და ერთი ამ ორთაგანია დასახელებული, ზოგან ბერძნული „პკროს“-იც „იფქლად“ არის ქართულად გადმოთარგმნილი, რათგან „იფქლს“, სპეციალურის გარდა, ზოგადი მნიშვნელობაც ჰქონდა, მერმინდელი ხორბალის მსგავსად. მაგრამ იფქლისა და დიკას ბერძნულ ზედმიწევნით შესატყვისობათა გამოსარკვევად სწორედ ისეთი ადგილების თარგმანსა აქვს მნიშვნელობა, სადაც პურეულის ორივე ჯიშის სახელია ერთად მოყვანილი.

მაშასადამე, ბერძნულ „სიტოს“-ს ქართველები „იფქლის“ შესატყვისად სთვლიდენ, პკროს“-ს-კი „დიკა“-დ სთარგმნიდენ. თუ ამას გავითვალისწინებთ, შესაძლებელია ეს დიკის არსებობის ქრონოლოგიის გამოსარკვევადაც გამოვიყენოთ.

ცნობილია, რომ დაბადებისა და სახარების თარგმანზე უძველესი ქართული ძეგლი ჯერჯერობით არ მოგვეპოება. ამის გამო ქართული ძეგლების მიხედვით ჩვენი დაკვირვება მე-1<sup>ს</sup> ს. ქ. შ. ხანს ვერ სცილდება. ამაზე უწინარესი ვითარების გამოსარკვევად-კი მკვლევარმა ბერძნულ-ლათინურ წყაროებს უნდა მიჰმართოს.

სანამ ბერძნული და ქართული ტერმინოლოგიის შესატყვისობა გამოჩვენებული არ იყო, ბერძნული ცნობების სრული რწმენითა და ზედმიწევნითობით გამოყენება შეუძლებელი იყო, ეხლა-კი, მას შემდგომ, რაც ზემომოყვანილ თავში (იხ. აქვე, გვ. 345-358 და 371-372) ხორბლეულისა და ქრთილეულის ისევე, როგორც დანარჩენი მცენარეულობის ბერძნული სახელების ძველი ქართული შესატყვისობა სრული სწორით გამოჩვენებული გვაქვს, ბერძნული ძეგლების ცნობათა შინაარსის გაგებასაც უკეთესად შევძლებთ და სათანადოდ გამოყენების საშუალებაც გვექმნება.

სამწუხაროდ, ქსენოფონტეს მხოლოდ სომხეთისა და ქანეთის ერთი ნაწილის ხორბლეულისა და ქრთილეულის შესახებ მოეპოვება დასაყრდნობი ცნობა. ორივე ეს ცნობა უკვე მოყვანილი გვექონდა (იხ. აქვე, გვ. 367 და 368), მაგრამ ერთის მხრით ასლის არსებობის ხანის განსაზღვრის მიზნით, მეორეს მხრით ღომის საკითხთან დაკავშირებით. ამ უმად-კი იგივე ცნობები იფქლისა და დიკის შესახებ ქრონოლოგიური ფაქტების მოსაპოვებლად გვიანტერესებს.

სამხრეთ-დასავლეთ სომხეთში, რომელიც ტაოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მოსაზღვრე მალლობი ქვეყანა იყო, ბერძნებს უნახავთ საკვებ მარცვლეულთან „პროქს“, „ქრათაჟ“ და „ოსპრია“. „პუროს“, როგორც ვიცით, დიკას უდრის. ზამთარში ცივსა და ღიბოვლიან ამ ქვეყანაში მართლაც გაზაფხულის სობლეულის ჯიში იყო კიდევაც უფრო მოსალოდნელი, ვიდრე შემოდგომისა. ქსენოფონტე იმ წვეულობის აღწერილობაშიც, რომელიც სომხეთში ამ დაუბატრებელ სტუმრებისათვის გაუმართიათ, ისევე „პუროს“-ისა და ქერის პურს ასახელებს.

უეჭველია, ტაოსა და მის დასავლეთით მდებარე ისპირ-ქანეთის მალლობი ტერიტორიაც ამგვარადვე დიკის გავრცელების არეღ უნდა ვიგულისხმოთ.

პირველი, ქანეთის მოსინიკთა ტომის თემში, რომელიც ტრაპიზონის მახლობლად, ოდნავ სამხრეთ-დასავლეთით, მდებარეობდა, ქსენოფონტე ხორბლეულითგან „სიტოს“-სა და „ძეაჟ“-ს ასახელებს. პირველი ამათგანია, როგორც ვიცით, იფქლსაც ჰნიშნავს სპეციალურად, ზოგადად-კი პურეულსაც, მეორე კიდევ ასლს უდრის.

თუმცა ზღვის რბილი და თბილი ჰაერის გავლენის წყალობითაც, მოსინიკების მიწაწალზე, ვითარცა შავი ზღვის სამხრეთის სანაპირო ზოლში, პურეულის შემოდგომის ჯიში, იფქლი, მოსალოდნელი იყო და ქანების ამ ტომის კონსერვატიულობის გამოც აქ ხორბლეულის უძველესი კულტურის, იფქლისა და ასლის, ბატონობაც არაფერს გასაოცარს არ წარმოადგენს, მაგრამ მაინც, „სიტოს“-ის ორმაგი მნიშვნელობის გამო ზემოთყვანილი ცნობის მიხედვით უფლება არა გვაქვს დაეასკვნათ, რომ მოსინიკებს მაშინ მხოლოდ შემოდგომის ჯიშის პურეული, იფქლი, ჰქონდათ. შესაძლებელია „სიტოს“-ი იქ ზოგადი, შემკრებლობითი, მნიშვნელობით იყოს ნახმარი და, საკუთრივ იფქლს გარდა, ქსენოფონტე მის დიკაც ჰქონდეს ნაგულისხმევი.

მაგრამ დიკა რომ ქანეთშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, ანის დამამტიკებელი საბუთი ეხლაც არის დაცული. ამ საკითხის გასაშუქებლად განსაკუთრებით უურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ხორბალს თანამედროვე ქანურშიც-კი, რომელშიც სიმინდის გაბატონებას (იხ. 5. მარტის Из поездки в Турецкий Лазистан; ИАН, 1910 წ. გვ. 616). საფიქრებელი იყო, მისი კვალი უნდა მოესპო. მაინც „დიკა“ ეწოდება (ქ. გ. 139).

ეს ფაქტი იმის მომასწავებელია, რომ ძველად, სიმინდის გავრცელებამდე, ქანეთშიც იფქლზე მეტად დიკა უნდა ყოფილიყო გაბატონებული.

ამგვარად, დიკის არსებობის თარიღი ქ. შ-ი მე-V ს-ზე სულ ცოტა ათასი წლით უწინარეს მაინც უნდა ვიგულისხმოთ.

მაშასადამე, ეხლა უკვე სრული უფლებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ „ახალთესლი“ დიკა და ქერი მართლაც ძველის-ძველი ჯიშები ყოფილა და ორივე მხოლოდ იფქლსა და ქრთილთან შედარებით არიან ახალი.

ზემოდასახელებულმა ფაქტმა ამგვარად დაგვარწმუნა, რომ თავდაპირველად ქართველ ერსა და მიწისმოქმედს ხორბლეულისა და ქრთილეულის მხოლოდ შემოდგომის ჯიშები ჰქონია.

ეს დასკვნა სწორედ ბუნებრივადაც გვეჩვენება, თუ მოვიგონებთ, რომ ქართველები უუძველეს ხანაში ცხელი ქვეყნის მკვიდრნი იყვნენ.

ამ გარემოების გათვალისწინება, პურეულისა და ქრთილეულის ახალი, გაზაფხულის ჯიშების, დიკისა და ქერის, გაჩენის საგულევებელი ხანის მიგნებასაც შეგვაძლებინებს. ქართველ მიწისმოქმედს გაზაფხულის ჯიშების სათვის აუცილებლობა უნდა ეგრძნო, რომ ასეთი ჯიშების შერჩევა-შემუშავება საზრუნავე გაჭხდომოდა. ამის აუცილებლობლობა-კი ქართველებისათვის მიწაწყლისა და ჰაერის პირობებს უნდა იმ დროს ეგრძნობინებია, როდესაც იძულებული შეიქნენ თავიანთი პირვანდელი თბილ ჰაერის ტერიტორია მიეტოვებინათ და ჩრდილოეთისაკენ, მთაგორიან და შალღობ მთიანეთზე დასახლებულიყვნენ.

მაგრამ დიკის ჯიშის გაჩენის განსაზღვრა ცოტა უფრო ზედმიწევნითაც შეიძლება, ქართველთა და მათი მონათესავე ტომები ყველანი ერთად არ დაძრულან: მე-VII ს. ქ. წ. ქართველთა მხოლოდ უკანასკნელნი ტალღა წაშოვიდა კავკასიისაკენ: მანამდე საუკუნეებით უწინარეს სხვა მონათესავე ტომები არიან წამოსულები.

„დიკა“ რომ ტომთა იმ პირველი დაძვრა-გადმოსახლების ხანაში უკვე ყოფილიყო, მაშინ პურეულის ეს გაზაფხულის ჯიში, უეჭველია, ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ქართველთა მონათესავე, ჩერქეზ-ჩაჩან-ლუნძ-ლეკების ტომებსაც უნდა ჰქონოდათ. მკვლევართა ცნობებით-კი იმიერკავკასია დიკის გავრცელების არე არ არის.

აქეთგან უნდა დაეასკნათ, რომ „დიკა“, ვითარცა გაზაფხულის განსაკუთრებული ჯიში, იმ ხანაში უნდა იყოს შექმნილი, როდესაც ჩერქეზ-ჩაჩან-ლუნძ-ლეკთა ტომები უკვე დიდი ხანა კავკასიონის ქედს იქით იყვნენ გადასულნი. ამიტომ „დიკა“ ქართველ ტომთა უკანასკნელი ტალღის დაძვრის შემდგომ, ე. ი. ქ. წ. მე-VII ს. შობდევნო ხანაში უნდა იყოს შექმნილი.

„იუკლი“-ს დასაწყისი საუკუნეთა წყვილადში იკარგება. მაგრამ რბილი ხორბლის სენური სახელი „კემეცენ“ი შედარებით ახალი შეთვისებულია.

სენურს „კემეცენ“-ისა და რაჭულს „გვაწა“-ს ჩრდილოეთითგან, შორეული გუთებისაგან სხვათა საშუალებით შეთვისება, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ ხანი-თგან შეეძლოთ, როდესაც გუთები სკანდინავიითგან დაიძრნენ და სამხრეთში, კარპატებში და დუნაის აუზის მიწაწყალზე დასახლდნენ, თავიანთი სამეფო და-არსეს და მეზობელ სარმატთა ტომებიც დაიმორჩილეს. როგორც ცნობილია, სარმატთა ტომებს ამ დროს ჩერქეზებიც ეკუთვნოდნენ.

ეს ვარაუდობა საშუალებას გვაძლევს დაახლოვებით ის ხანაც განესა-ზღვროთ, როდესაც სენურსა და რაჭულს „კემეცენ“-ისა და „გვა-წა“-ს შეთვისება შეეძლოთ: ამ ხანას მე-II-ე საუკუნეზე უწი-ნარეს ქ. შ., ცხადია, ვერ ვიგულისხმებთ, არამედ მე-III და IV სს-ში, 370 წლამდე, როდესაც გუთების სამეფო ჰუნებმა გაანადგურებს.

### თავი მეოთხე. კულტურულ მცენარეთა შიდაარებითი სამეურნეო მნიშვნელობა

§ 1. კულტურულ მცენარეთა შედარებითი მნიშვნელობა საქართვე-ლოს მეურნეობაში

საქართველოს საველე მეურნეობაში არსებულ კულტურულ მცენარეებს, რა თქმა უნდა, ყველას ერთნაირი მნიშვნელობა არ ჰქონია. ქვეყნისა და ერის კეთილდღეობისათვის უპირატესობა, რასაკვირველია, საკვებ მარცვლეულობას ენიჭებოდა: ყველას ხორბლეული და ქრთილეული მიუძღოდა წინ.

საგარეო ვაჭრობის თვალსაზრისით-კი საქართვე-ლოს ეკონომიკისათვის უაღრესი მნიშვნელობა სელსა, კანაფსა და ბამბასა ჰქონდა. როგორც თავის დროზე, „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ სათანადო აღვილას, დავრწმუნდებით სელის ქსოვი-ლები საქართველოთგან მე-VI ს.—ითგან მოყოლებული ქ. წ. მე-XIII ს.—მდე ქ. შ. და მომდევნო ხანაშიც უცხოეთშიც გაჰქონდათ და სელი საქართველოს მეურნეობის მთავარ საექსპორტო საგანს წარმოადგენდა. ხოლო ისტორიულ ხანაში საქართველოს აღებშიცემობისათვის კანაფისა და ბამბის ქსოვილების მნიშვნელობის შესახებაც ამ წიგნის ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ ნაწილში გვექმნება საუბარი. ამიტომ სელისა, კანაფისა და ბამბის კულტურის ღირებუ-ლებაზე საქართველოს ეკონომიკისათვის აქ სიტყვის გაგრძელება საჭირო არ არის.

უნდა კიდევ აღვნიშნო, რომ არქ. ლამბერტის ცნობით, მე-XVII ს. ბრინჯის კულტურასაც საექსპორტო მნიშვნელობა ჰქონია და ეს მარცვლეული მაშინ თურმე უცხოეთშიც, ოსმალეთში მაინც, გაჰქონდათ. ამჟამად ჯერ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება და მხოლოდ შემდეგში, ახა-ლი წყაროების აღმოჩენის შემდგომ, გამოიკვება, მე-XVII ს.—ზე უწინარეს, ძვე-

ლადაც, ჰქონდა ბრინჯს საექსპორტოდ გასავალი, თუ მისი კულტურის ასპარეზის სიერცე მხოლოდ საქართველოს საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ახერხებდა?

როგორც აღნიშნული გვქონდა, ხალხის კვებისათვის უმთავრესი მნიშვნელობა ხორბლეულსა და ქრთილეულს ჰქონდა მინიჭებული. ამის გამო ქვეყნის ეკონომიკამ ქართველ მიწისმომქმედს რამოდენიმე ამოცანა წამოუყენა, რომლის გადაუწყვეტლივ მას წარმატება არ შეეძლო. ერთ ამოცანათაგანს პურეულის გამძლე ჯიშის შექმნა წარმოადგენდა.

საუკუნეთა განმავლობაში წარმოებული შერჩევის წყალობით რბილი ხორბლის, დოლის პურის ჯიშის უძველესი სახეობა, „იფქლი“, ქართველ მიწისმომქმედს დამჩაგვრელ მცენარეულობასთან ბრძოლაში გამძლე პურეულად უქცევია. ეხლაც-ი ადგილობრივი მოსახლეობა იქ, სადაც ქართული საყვები მცენარეების ეს ძველის-ძველი წარმომადგენელი მეურნეობაში შერჩენილია, იფქლს, როგორც დაერწმუნდით, მეტად აჯასებს ამ ძვირფასი თვისებისათვის და თანამედროვე მკვლევართა საკონტროლო შემოწმებებამა და საცდელმა დათესამაც ქართველი მიწისმომქმედის ეს მსჯავრი სავსებით გაამართლა (იხ. აქვე, გვ. 386).

მეორე ამოცანას ახალი გეოგრაფიული პირობისდა მიხედვით მარცვლეული მეურნეობის მთელი სისტემის შეცვლა-შესწორების აუცილებლობა უკარნახებდა.

როდესაც ქართველი ტომები იძულებული გახდნენ თავიანთი წინანდელი მწაწყალი მიეტოვებინათ და ჩრდილოეთისაკენ წამოსულიყვნენ, რომ აქ ამიერკავკასიასა და შაიხზვის სასარეო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოეკიდებინათ თვები და დასახლებულიყვნენ, ამ ახალ ქვეყანაში მათ წინანდელთან შედარებით მიწაწყლისა და ჰაერის ძალზე განსხვავებული პირობები დაჰხვდათ.

მთავარ განმასხვავებელ გარემობას ქვეყნის მთავორიანობა და ბევრგან მალალი მდებარეობა შეადგენდა, რომლის წყალობითაც იქ ცივი და თოვლიანი ზამთარი სუფევდა. ეს გარემოება თბილ ჰავას მიჩვეული ქართველებისაგან ახალ პირობებთან შეგუებას მოითხოვდა: მეურნეობის მთელი სისტემა, რომელიც, როგორც დაერწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 427), შემოდგომის ნათესებზე იყო დამყარებული, უნდა სათანადოდ შესწორებულიყო. მწარე გამოცდილებას ქართველი მიწისმომქმედი მალე უნდა დაერწმუნებინა, რომ ამ ახალ სამშობლოში შემოდგომის ნათესები არამტუ ყველგან გამოსადეგი არ იყო, არამედ რომ ზოგან სრულებით საზარალო ხდებოდა ადამიანისათვის.

ცაღია, რომ ამ ახალ პირობებში იფქლი, ვითარცა შემოდგომის ჯიში, ყველგან არ გამოადგებოდა, რათვან, ხანგრძლივი სუსხიანი ზამთრის გამო, მის თესლს სიცივის ატანა არ შეეძლო. მართალია, შემოდგომის ნათესი აღრეულ ჯიშს წარმოადგენდა, რათვან მოსავალი უფრო აღრე მწიფდებოდა, მაგრამ უკეთესი იყო ხორბლეული უფრო გვიან შემოსულიყო, ვიდრე შემოდგომაზე დათესილი მარცვალი ზამთარში ყინვას ვაეუფუებინა და ნათესი მომცდარიყო.

ასეთ გეოგრაფიულსა და კლიმატურ პირობებში, შემოდგომის ნათესებთან ერთად გაზაფხულის ნათესის სისტემის შემოღების გარდა, სხვა არაეითარი საშველი არ შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ ამისათვის „იფქლი“, ვითარცა ვეგეტაციის წინა პერიოდის ხანგრძლივობაზე დამყარებული ჯიში, არ იყარგებდა. მიწისმოქმედს აქ მხოლოდ სწრაფი ვეგეტაციის უნარის მქონეები ხორბლეული გამომადგებოდა, რომელიც თუნდაც იფქლზე უფრო გვიან მოსულიყო, ოღონდ მისი დათესა ისეთ დროს ყოფილიყო შესაძლებელი, როდესაც მას სიცოცხე უკვე ვერ აენებდა, ე. ი. რომელიც, გაზაფხულზე დათესილი, ზაფხულის განზავლობაში იმდენად მომწიფდებოდა, რომ მისი მომკა და გალევვა შესაძლებელი გამხდარიყო.

ამგვარად, საქართველოს ბუნებრივმა პირობებმა ქართველი მიწისმოქმედი ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ მას, ან მალეობ ადგილებში ხორბლეულისა და ქრთილეულის მოყვანისათვის უნდა თავი დაენებებინა, ანდა ისეთი ახალი სათესლე ჯიში მოეპოვა, რომელიც მთაგორიან ცივი ზოლის ჰავასაც აიტანდა და რომელსაც სწრაფი ვეგეტაციის უნარიც აღმოაჩნდებოდა. სწორედ ასეთი თვისებები აქვს ხორბლეულის გაზაფხულის ჯიშს, დიკას, რომლის სამშობლო სხვადასხვა მკვლევართა აზრით, როგორც დავრწმუნდით, კავკასიისა და საქართველოს მთიანეთია (იხ. აქვე, გვ. 412--413). დიკას ხორბლეული კულტურის სწორედ უუმაღლესი დონე უკავია. ამასთანავე მალაი ზოლის ჰავის მოქარბებულ ნოტიობას იმდენად კარგად იტანს, რომ სოკოვანი დაავადება პურეულის სხვა ყველა ჯიშებზე ნაკლებ ეტყობა (იხ. აქვე, გვ. 350). ხოლო რაც ცხოვრებისაგან წამოყენებულ პირობებში უმნიშვნელოვანესია, დიკა თანაც ხორბლეულთა შორის ყველაზე უფრო სწრაფ ჯიშებს, თუ არ სჯობნის, არაფრით ჩამოუვარდება მაინც (იხ. А. И. Атабекова, „Материалы к монографическому изучению нового вида культурной пшеницы *Triticum persicum* Vav.“: Труды по Прикл. Ботанике и Селекции, 1925 წ. Т. 15—ый, გვ. 193).

რა თქმა უნდა, ასეთი რთული და ძნელი მიზნის მიღწევა ადვილი საქმე არ იყო. ამას ხანგრძლივი დროცა და არა ერთი და ორი თაობის გულმოდგინე მუშაობაც შეეღებოდა, მაგრამ ამ ემად აღამიანი ვერც-კი წარმოიდგენს თუ, რამდენი ენერჯია და დაკვირვება-შერჩევის უნარი იქმნებოდა საჭირო, სანამ ნიადაგისა და ჰავის პირობების წყალობით წამოყენებული ეს ამოცანა, პურეულის გაზაფხულის, სწრაფი და გამძლე ახალი ჯიში, დიკა, ხორბლეულის დამთავრებულ ჯიშად იქცეოდა.

მთაგორიან ქვეყნებში დასახლების დროს, ყველა ქართველ ტომებს არ შეიძლება რომ ერთნაირად ნაყოფიერი და კარგი მოსავლიანი მიწა-წყალი ჰრგებოდათ დასამკვიდრებლად. ზოგს, მეტადრე ჩრდილოეთის ზოლის მცხოვრებ ტომებს, სწორედ მწირი ქვეყანა ერგო, სადაც მკვლე, კლდოვანი და კირიანი ნიადაგი იყო და არის ეხლაც.



ასეთ თემში ხორბლეულის ყოველი ჯიში არ ხარობდა, ან თუ მოდიოდა, მისი მოყვანა ეკონომიურად ხელსაყრელი არ იყო. აქაც მიწისმოქმედის დაკვირვებამ გამოარკვია, რომ ამგვარ პირობებსა და ნიადაგზე ყველას ასლები ჯიში სჯობია, სახელდობრ მისი ორი ადგილობრივი სახეობა მახა და ზანდური (იხ. აქვე, 364).

## § 2. უმნიშვნელოვანეს საკვებ მცენარეთა შემადგენლობის ცვლელბადობა დროთა განმავლობაში

საკვებ მცენარეთა გავრცელების სურათი და არე აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში ამ ეპოქა და უკვე რამდენიმე საუკუნეა ზოგიერთში თვალსაჩინოდ განსხვავდება. ლიხთიმერეთში სიმინდია გაბატონებული და ხორბლეულსა და ქრთილეულს იქ ბარად არ სთესენ, არამედ მათ მოყვანას მხოლოდ მაღლობ თემებში მისდევენ.

წინათ, მაგ. მე-XVII ს. დამდეგამდე, სიმინდის ხსენებაც-კი არ იყო დასავლეთ საქართველოში. სამაგიეროდ იქ გავრცელებული იყო ლომი, მაგრამ ამ მარცვლეულთან ერთად იფქლისა და ქერის მოყვანასაც მისდევდნ ბარადაც-კი, სადაც შემდეგში ხორბლეულის კულტურა გამქალი იყო მხოლოდ მე-XV—XVI სს—ში ლომს მაინც მეურნეობაში მთავარი ადგილი ეკავა, მოსახლეობის  $\frac{1}{2}$ , მის მოყვანას მისდევდა.

მაგრამ უფრო უწინდელს ხანაში არც ლომი იყო დასავლეთ საქართველოში. როგორც დავრწმუნდით, მე-XIII ს.—ზე ადრინდელი ცნობები ლომზე დასავლეთ საქართველოში არ მოგვეპოვება, ჯერჯერობით მაინც, და საერთოდ ლომი ქართველთა ძველ მარცვლეულად არც არის საგულისხმებელი (იხ. აქვე, გვ. 386--387). ამიტომ ცხადია, რომ, როგორც მე-XIII ს. დამდეგითგან სიმინდმა ლიხთიმერეთის შემინდვრობითგან ლომი თანდათან განდევნა და ამ ეპოქაზე ბევრგან თითქმის მოსპო კიდევ, ისევე თვის დროზე ლომსაც დასავლეთ საქართველოში წინათ არსებული მარცვლეულის. კულტურა მოუსპია. ერთ ასეთ განდევნილთაგანად, როგორც დავრწმუნდით, იფქლი, საერთოდ ხორბლეული და ქრთილეული ყოფილა. მაგრამ, უძველესი წყაროების უქონლობის გამო, ჯერჯერობით არ ჩანს, თუ რამდენად ინტენსიური უნდა ყოფილიყო მასინ ხორბლეულის კულტურა ბარად, მეტადრე დაბლობებში. მეტისმეტი ნოტიობისა და ძალუმი მჩაგრავი ბალახეულობის სიმრავლის გამო რიონის აუზის ვაკესა და დაბლობებში ხორბლეულის კულტურის ფართო და ინტენსიური არსებობა სათუოდ მოჩანს, სანამ ამის დამაჯერებელი პირდაპირი ცნობები არ გვექნება, რომელთაგანაც გამოირკვეოდა, რომ ძველად საქართველოში პურეულის ასეთი სინესტის გამძლე ჯიშიც მოიპოვებოდა. მაგრამ სანამ ამნაირი მოწმობა არ არსებობს, ცხადია, ხორბლეულის გარდა,

დასავლეთ საქართველოში სხვა რაიმე მარცვლეულის კულტურაც უნდა ყოფილიყო, რომ ადამიანს თავისი თავის გამოყვება შესძლებოდა. ასეთ მარცვლეულად ფეტვი და ქურიმა ყოფილა.

ფეტვი აღმოსავლეთ საქართველოშიც-კი იყო გაერცვლებული, სადაც უმთავრესად ხორბლეულის კულტურა იყო გაბატონებული. მაგრამ ბუნებრივია, რომ აქ ფეტვს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონოდა და, ვითარცა პურეული, ნაკლებად ყოფილიყო მიღებული, მაგრამ მაინც ყოფილა მე-XVIII ს-შიც-კი. გვლდენშტედტ-ს აქვს აღნიშნული, რომ მთელ ქართლ-კახეთში ხორბლის პურსა სკამდენ (gegohren Waizenbrod) და ძალიან იშვიათად აგრეთვე ფეტვის პურსაც (Hirsensbrod), რომელსაც თორნეში აცხობენო (Reisen, I, 369).

კახეთშიც ადამიანის საკმელად ხორბალი მოჰყავთ ჩვეულებრივ და უფრო ნაკლებ ფეტვიცაო, ნათქვამი აქვს იმაზე გერმანელ მეცნიერს (Reisen, I, 371).

ხოლო დასავლეთ საქართველოში მე-XVIII ს-შიც-კი სულ სხვა ვითარება ყოფილა. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ, იმავე გვლდენშტედტის სიტყვით, ოკრიბას, სალორთქიფანიძოს, სამიქელაძოს და ვაკეს ლომსა და ფეტვს გარდა არაფერს სთესდენ<sup>1</sup> (Reisen, I, 309).

სანამ ღომი შემოვიდოდა, ცხადია დასავლეთ საქართველოში ფეტვი და ქურიმა უნდა ყოფილიყო რიონის აუზის დაბლობ ზოლში უმთავრესად გაბატონებული.

თუ გავიხსენებთ, რომ ძველად ფეტვი სხვა ბევრ ქვეყნებშიც ფართოდ იყო გაერცვლებული, ზემოაღნიშნული გარემოება სრულებით არ გვეუცხოვება.

ფეტვი, Milium, ანუ ბერძნული  $\alpha\gamma\gamma\epsilon\sigma\iota$ , და ქურიმა panicum-ი ესპანიის იბერთა საყვარელი საკმელი ყოფილა იმგვარადვე, როგორც კელტებსაც ძალიან ჰყვარებიათ. ილირიის სანაპიროს მთებში მოსახლე კელტ-ილირიელთა ნარევი ტომი აპოდებიც, სტრაბონის სიტყვით, ასლითა და ფეტვით იკვებებოდნენ ( $\xi\epsilon\tau\ \alpha\alpha\iota\ \alpha\epsilon\gamma\gamma\omega\ \tau\epsilon\ \pi\alpha\lambda\lambda\epsilon\ \rho\epsilon\phi\epsilon\iota\sigma\iota\upsilon\sigma\iota$ : lib. VII cap. 5, § 4).

აღმოსავლეთში ალაძონელნიცა და სარმატებიც თურმე ამითვე იკვებებოდნენ, სარმატთა ტომებისათვის პლინიუსის მოწმობით ეს მარცვლეული მთავარ საკვებს წარმოადგენდა. (Sarmatrum quoque gentes hac maxime pulte aluntur: Plin. 18,100). ელიანის სიტყვით, მეოტიელნი და სარმატები უმთავრესად ფეტვსა სკამდენ.

შავი ზღვის სანაპიროზე მობინადრე ერებს შორისაც ყველაზე უფრო საყვარელი საკმელი ქურიმა ყოფილა მიჩნეული (Plin. 101: Ponticae gentes nullum panicum praeferunt cibum).

ჰენ-ის მიერ თავმოყრილ (იხ. Kpf. u. Ht. 569-57,) ძველ ბერძენი და რომაელთა ავტორების ცნობებითგან ჩანს, რომ ესპანიის იბერთა ქვეყნიდან მოყოლებული მეოტიის ზღვის მიდამოებსა და იმიერკავკასიაში მცხოვრებ

<sup>1</sup> ... Sätet man ausser Gomi (Panicum Italicum) und Hirse nichts“.

სარმატებამდე, თვით შავი ზღვის სანაპიროზე მობინადრე ტომებითურთ, მთელი ხალხის საყვარელსა და ბევრგან მთავარ საკვებასაც სწორედ ეს ფეტვი და ქურიმა შეადგენდა.

მაგრამ ფეტვსა (miliun) და ქურიმას (panicum), ძველ საბერძნეთისა და რომის ბევრ სხვადასხვა სანახებშიც ეტანებოდენ<sup>1</sup>. ამ მარცვლელს ორნაირად ხმარობდენ: პურადაც აცობდენ და ფაფადაც ჰხარშავდენ. პურად გამომცხვარს ცხელ-ცხელს სჭამდენ, რათგან თბილი უფრო გემრიელი ყოფილა. ხოლო რძით გაკეთებული მისი ფაფა წუნ-უღებელ საქმელად მიაჩნდა კოლუმელლასა ც-კი (De re rustica, lib. II, cap. IX).

ფეტვი (miliun) და ქურიმა (panicum) გაზაფხულის თესლად ითვლებოდა. კოლუმელლას სიტყვით, მარტის დამლევისათვის უნდა ყოფილიყო დათესილი. მისი მოყვანა მიწისმოქმედისათვის ხელსაყრელად იყო მიჩნეული, მას მხოლოდ ხშირი გათხნა სჭირდებოდა (De re rustica, lib. II, cap. IX).

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ საქარველოშიც, მეტადრე დასავლეთში. უძველეს ხანაში, ხორბლელისა და ქრთილეულის შეზღვრვამ, საკვებთაგან მნიშვნელობა ფეტვსა და ქურიმას უნდა ჰქონოდა. მაინც, რა თქმა უნდა, საუკეთესოდ სწორედ ხორბლელელი ითვლებოდა. ხალხის მსჯავრითაც უძვირფასესად სწორედ პურელი ითვლებოდა.

იმის გასათვალისწინებლად, თუ რომელი მარცვლელი ჰქონდა ჩვენ ერს თავის უნაჯერეს საზრდოდ მიჩნეული, შესაძლებელია ჰამისა და პურის აღსანიშნავად განკუთვნილი ტერმინების ანალიზიც იყოს გამოყენებული. ყოველ ქართველს ეხლაც კარგად მოეხსენება, რომ ჰამა ჩვენ ხალხს პურის ჰამად აქვს მიჩნეული. უკვე იაკობ ხუცესსევე ამ ცნების გამოსახატავად ტერმინად „მურის-ჰამა“ და „ჟამი პურისხა“ აქვს ნახმარი (წ'ბაა შუშანიკისი § VI). შემდეგშიც, ოვით მე-XII ს-შიც-კი ამისთვის „პურობა“-სა ჰხმარობდენ. მაგრამ, ვითარცა ბერძნულითგან შეთვისებული სიტყვითგან ნაწარმოები ტერმინი, მერმინხდელია და წინათ ასეთი გამონათქვამის მაგიერ სხვა უნდა ყოფილიყო.

აღსანიშნავია, რომ „პური“ არც მეგრულში, არც ქანურსა და სვანურში არ იხმარება. სვანურად გამომცხვარ პურს „ღიარ“-ს ეძახიან (იხ. ივ. ნიჟარაძის რ.-ს. ლ. 497), იფქლს-კი ეხლა „მეშეცენ“-ი ეწოდება. მაგრამ კლავპროტოს თავის XIX ს. დამლევის ჩანაწერში „ღიარ“ Diar-ივე აქვს მოყვანილი (Voyage II, 526, იხ. froment), ე. ი. იგივე ტერმინი, როგორც გამომცხვარისათვის იხმარება.

მეგრულად გამომცხვარი პურისათვის ეხლა „ქობალი“ და „ქობაი“ არის მიღებული, (მ. გ.), რომელსაც ხორბლის მნიშვნელობაცა აქვს და ხორბლის ფქვილისაგან გამომცხვარი პურისაც. კლავპროტოს-კი „ქკომი“ (Tchkomi) აქვს აღნიშნული (Voyage, II, 533 pain). ღიარი ამნაირად მეგრულში თითქოს არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ კვებას, ჰმევეას და ძოვებას მეგრულად ეხლაც „ღიარაფა“, —მასპინძლობასა და საქორწილო პურისჰამას „ღიარა“, საქორწილოს

<sup>1</sup> „multis regionibus cibariis eorum coloni sustinentur“.

„ხადიარო“,—საკვებს და ბალახს „ოდიარე“, ან „ონდიარე“,—სამწყსოს კიდე „ოდიარაფალი“ (მ. გ. 225) ეწოდება. ცხადია, ყველა ეს სიტყვები „დიარი“-ისაგან არის ნაწარმოები, რომელიც, თუმცა ეხლა და, როგორც ვტყობა, უკვე ამ ასი წლის წინათაც ცალკე აღარ იხმარებოდა, მაგრამ წინათ, უეპველია, მეგრულშიც უნდა ყოფილიყო. ის გარემოება, რომ მეგრულში „ო-დიარე“ საკვებსა და ბალახსაც პნიშნავს, ცხად-პყოფს, რომ „დიარ“-ს მეგრულად როგორც მცენარის, ისევე მარცვლის და გამომცხვარი საკვების, პურის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

ქანურშიც, ნ. მარჩის ლექსიკონის მიხედვით, პურს „ქოვალი“, ან „ქოალი“ ეწოდება (ჭ. გ. 198). აქაც დიარი თითქოს არ უნდა იყოს, მაგრამ კლავროთს თავის ჩანაწერში მოგვოვება ხოფეში „დიარი“ და „ქობალი“ (Diari, Kobali, იხ. Voyage, II, 543 pain). მაშასადამე, ქანურში, ეხლა „ქოვალ“-ად და „ქოალ“-ად ქცეული წინათ „ქობალ“-ად გამოითქმოდა და ამასთანავე ამავე ცნების აღსანიშნავად „დიარი“-ც იხმარებოდა.

დასასრულ, თუმცა სამწერლობო ქართულში ტერმინი „დიარი“-ს არსებობის ჯერჯერობით არაერთი კვალი არა ჩანს, მაგრამ მეგრულში დაცული საქორწილოს მნიშვნელობის მქონებული სიტყვა „ხა-დიარო“ ამ ტერმინის „დიარი“-ს ქართულში არსებობასაც უცილობლად ამტკიცებს, რასაც ამ ტერმინის აგებულებაც ამჟღავნებს.

ამგვარად საქმელი პურის აღსანიშნავად მეგრულში და ქანურში ერთის მხრით ხორბლის აღმნიშვნელი სიტყვა „ქობალი“ და „ქოვალი“ არის გამოყენებული,—მორეს მხრით ყველა ქართველ ტომებს ამავე ცნების გამოსახატავად „დიარი“ ჰქონიათ, რომელიც აგრეთვე ხორბლეულის სახელს წარმოადგენდა.

მაგრამ იმ გარემოებასაც უნდა ანგარიში გაეწიოს, რომ ტერმინი „დიარი“, რამდენადაც ძველი ქართული დაცული ძეგლების მიხედვით გამოკვეთა შესაძლებელი, არა ჩანს. მეგრულშიც დამოუკიდებელ სიტყვად აღარ იხმარება და მხოლოდ ნაწილობრივ ქანურსა და უფრო-კი სვანურსა აქვს შენარჩუნებული, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ „დიარი“ ხორბლეულისა და საქმელი პურის აღმნიშვნელ სახელად უფველეს ხანაში უნდა ყოფილიყო, იმ ხანაში-კი რომელიც ამ ეამად ჩვენი კვლევის საგანსა და ასპარეზს შეადგენს, ამ ტერმინსაც უკვე მნიშვნელობა დაკარგული ჰქონია.

ქანურად: პურს, პურისქამას „გაარი“ და „ჯარი“-ც ჰქვიან (ნ. მარჩის ჭ. გ. 135), ხოლო სადილს, ვანშამს და საერთოდ პურისქამას „გაარობა“ ეწოდება (იქვე). ეს უკანასკნელი ტერმინი ძველი ქართული ტერმინი „პურობა“-ს მსგავსად არის ნაწარმოები. პირველი ტერმინი-კი საფიქრებელია „ქერი“-ს ძველი სახეობა უნდა იყოს, რომელიც ძველ სომხურშიც *գարի*-ს „გარი“-ს სახითვე არის შეთვისებული. ამჟამად ქერს ქანურადაც „ქერი“ ეწოდება (ნ. მარჩის ჭ. გ. 197).

პურისა და პურისქამის აღსანიშნავად მიღებული „გაარი“ და „ჯარი“ უეპველია იმისა და იმ ხანის მომასწავებელია, როდესაც ამ ქართველთა ტომების მთავარ საკვებად უმთავრესად ქერი იქცა.

ჩაკი „გაზრობა“ მარტო კანურშია და დანარჩენ ქართველ ტომებს, მათ შორის მეგრელებსა და სვანებსაც, ასეთი ტერმინი არ მოეპოვებათ, მე-V—XIV ს.-სა და ეხლაც მიღებული „მურობა“ და „მურის ჭამა“-კი, ვითარცა ბერძნული „პუროს“ - ისაგან ნაწარმოები, თავდაპირველად ქართულში არ შეიძლება ყოფილიყო, ამიტომ გამოსარკვევია, თუ რა უნდა პრქვეოდა ქართულად პურის ჭამას უძველეს ხანაში, სანამ ბერძულითგან შეთვისებული ზემოდასახელებული ტერმინი გაბატონდებოდა.

ჩვეულებრივ ამნაირი ტერმინი იმ საკვების სახელისაგან არის ხოლმე ნაწარმოები, რომელსაც ადამიანი თავის საზრდოდ უმთავრესად ჰხმარობს ხოლმე. სწორედ ამიტომაც, რომ გარკვეული დროითგან „პურობა“ შემოვიდა და ჭანურში „გაზრობა“ იხმარებოდა. ამისდა მიხედვით მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი ტერმინი, ან იფქლისა, ან დიკისა, ანდა ქრთილის სახელისაგან უნდა ყოფილიყო ნაწარმოები. მაგრამ ამის შესაგისი სიტყვის არსებობის არავითარი კვალიც-კი არ მოჩანს, ჯერჯერობით მაინც.

საფიქრებელია, რომ ამგვარ ტერმინად უნდა „დიარობა“ ყოფილიყო. ამას ჯერ ერთი ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ დიარი უძველეს ხანაში ყველა ქართველ ტომთათვის პურის აღმნიშვნელი საერთო სიტყვა ყოფილა. მერნე ამავე ადასტურებს მეგრული „დიარაფ“, რომელიც, რასაკვირველია, სამწერლობო ქართულს „დიარობა“-ს გვაუთლისხმებინებს.

ეს ტერმინი უძველესი ხანის გამონათქვამი უნდა იყოს, რათგან ამ სიტყვას მარტო გამომცხვარი პურის ჭამის მნიშვნელობა-კი არ ჰქონია, არამედ საერთოდ კვებისა, კმევისა და, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, ძოვებისაც. მეგრულში ასეთი მნიშვნელობა „დიარაფა“-ს დღევანდლამდისაც-კი აქვს შენარჩუნებული. ამგვარად აქ მცენარისა და მარცვლეულის ჭამისთვის ერთი-და-იგივე ტერმინი გვაქვს, რაც, რა თქმა უნდა, ძველის-ძველი ხანის ანარეკლს წარმოადგენს.

**თავი : მხსუთი. . სპავა მსანაათა არაუბის არსეაგობის მნიშვნელოზა  
საქართგილოზ ეკონომიკის და სახალმწიფოვაბრიგოზისათვის**

## **§ 1. ხორბლეულის ნაკლებობა საქართველოს ზოგიერთს თემში და ამასთან დაკავშირებული ეკონომიური პოლიტიკა**

მაშასადამე, ქართველებს უძველესი დროითგანვე მოყოლებული საქმელად ხორბლეული ჰქონიათ: ხალხისათვის კვების უმთავრეს საგნად პურეული ითვლებოდა. ამიტომვე იყო, რომ იფქლის უქონლობა უკიდურესი. გაჭირვების ნიშნად იყო მიჩნეული. იოანე ბოლნელს მაგ. ერთ თავის ქადაგებაში ნათქვამი აქვს: „იყო შიმშილი ძლიერი მას სოფელსა, რამეთუ, სადა მეცნიერებით იფქლი არ იშრომებთან, მუნ შიმშილი ძლიერი არან“-ო (იხ. ქადაგებანი, საეკ. მუხ. გამ. № 14, ტფილისი, 1911 წ., გვ. 35).

მაგრამ ასე მსჯელობდა ქართლელი იოანე ბოლნელი, იმ თემის მცხოვრები, რომელიც ძველადვე თავისი პურეულის სიუხვით იყო განთქმული. რაკი საქართველოს ყოველ თემში ხორბლეულობა სხვა საკვებ მარცვლეულს ასე არ სჭარბობდა, ამიტომ იფქლის ნაკლებობაც ყველგან არ იქმნებოდა ძლიერ შიმშილობად მიჩნეული, ოღონდ ხორბლეულის ნაკლებობის შესავსებად სხვა სათანადო მარცვლეული, სახელდობრ, ქრთილეული უხვად ყოფილიყო.

ეს საგულისხმო და მნიშვნელოვანი პრობლემა ძველი საქართველოს ეკონომიკისათვის ამ ჩვენი ნაშრომის მიმდევრო წიგნებში გვაქვს დაწვრილებით და ყველა წყაროების დამოწმებით განხილული იმ ნაწილში, რომელიც მეურნეობის წარმოების წესებსა და კვების მაშინდელ ნორმებს ეხება, ამიტომ აქ შესაძლებელია სიტყვა მოკლედაც მოიქრას.

უცილობელი ფაქტებიდან ჩანს, რომ საქართველოს, მკვიდრო მოსახლეობისა და გეო-ბოტანიკური პირობების გამო, იმდენი ხორბლეული არ მოსდიოდა, რომ ჩვენი სამშობლოს ყველა თემის მცხოვრებთათვის წმინდა ხორბლეულის პური საქმარისად ჰქონოდა. ამიტომ პურეულის ნაკლებობის შესავსებად უნდა გარკვეული ეკონომიური პოლიტიკა ყოფილიყო. ყოფილა კიდევაც: იქ სადაც ხორბლეული საქმარისი არ მოდიოდა, ქრთილ-ნარევი პური უხმარიათ.

ქრთილი ექვს, ან საერთოდ მრავალმწკრივა ქრთილეულს წარმოადგენდა, რომელსაც, როგორც დავრწმუნდით, ჩვეულებრივ ქერზე უკეთესი ღირსება ჰქონია და ხორბალის და ქერის შუალედი ადგილი სჭერია თავისი საუცხოო თვისებების გამო.

საქართველოს ზოგ თემში ქრთილ-ნარევი პურის კამა გასაკვირველი არც არის: ქერის პურს ძველად საბერძნეთსა და რომშიც სკამდენ. აღსანიშნავია, რომ კოლუმელსაც ქრთილეულთაგან ჯირკვლესად ექვსმწკრივას *hord. hexastichum*-ს ასახელებს, რომელსაც ხორბლის შემდეგ საუკეთესო საკვებად სთვლიდა. ადამიანისათვისაც პურად მდარე ხორბლეულისაგან გამოიხეხარს სჯობია და პირუტყვისთვის საუცხოო საკვებიაო. ექვსმწკრივა ქრთილეულს, ანუ ქრთილს, კანთერულიც (*cantherinum*) ეწოდებოა. ამ მარცვლეულს შემოდგომაზე სთესდენ (*De re rustica, lib. II, cap. IX*)<sup>1</sup>.

ორმწკრივა ქრთილეულს, ქერს, იტალიაში, კოლუმელსას სიტყვით, „*დისტიქუმ*“ - ს, ანდა „*გალატურს*“ უწოდებდენ („*alterum quoque genus ordei est, quod alii distichum, Galaticum nonnulli vocant*“). ამ ჯიშს გაზაფხულზე, მარტში, სთესდენ (*De re rustica, lib. II, cap. IX*) და თვით ეს ორმწკრივა ქრთილი, ქერიც-კი, კოლუმელსას მოწმობით, თეთრი იყო და ხორბალთან შერეული საუცხოო საკვებად ითვლებოდა („*tritico mistum egregia cibaria familiae praebeat*“: (*De re rustica, lib. II, cap. IX*).

<sup>1</sup> „*Proximus est his frumentis usus ordei, quod rustici hexastichum. quidam etiam cantharinum appellant: quoniam... et hominem salubrius quam malum triticum nascit*“.

ამგვარად, სრულებით ბუნებრივია, რომ ძველ საქართველოშიც ხორბლეულ-ნაკლები თემებისათვის პურად ქრთილ-ნარევი ხორბალი ეხმარათ.

## § 2. ხორბლეულისა და ქრთილეულის კულტურის არეების მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფოებრივობისათვის

იმ განსაკუთრებული პირობების გამო, რომელიც საქართველოშია, როდესაც მთელი ჩრდილო ნაწილი, მთიანი ქვეყნის მეტისმეტო მთაგორიანობისა და ნიადაგის სიმწირისა, თუ სახანავედ გამოსადეგი მიწის სიმცირის გამო, ამ მთა-ადგილებს თავიანთთვის საწყობი საკვები, მეტადრე ხორბლეული, არ ჰქონდათ, ბარს მთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. საქართველოს ჩრდილო ზოლის მთა სურსათის მხრივ, ეკონომიურად, ბარზე იყო დამოკიდებული.

„ქართველი ერის ისტორიის“ მე-IV წიგნში მოკლედ აღნიშნული მაქვს, თუ რა უმწეო მდგომარეობაში ჩაეარდებოდა ხოლმე სურსათის ნაკლებობის გამო სვანეთი, როდესაც მას ბარისაკენ, კახეთისაკენ გზა შეეკვრებოდა (იხ. გვ. 151). დაწერილებით-კი ეს ამბავი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მე-IV წიგნში მაქვს განხილული, რომელიც ჯერ გამოქვეყნებული არ არის.

ხოლო ფშავ-ხევსურეთის ბარისაგან ეკონომიური და ამის გამო პოლიტიკური დამოკიდებულების გარემოება თავის დროზე ვახუშტსაც ჰქონდა ხაზგასმით აღნიშნული. მისი სიტყვით ფშავ-ხევსურნი თავიანთი თემის „სიმწირისათვის მონებენ, ვისცა უპყრავს თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ“-ო (გვ. 298).

საქართველოს მთელი ჩრდილო მთიანეთის მცირე მოსავლიანობის გამო, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური კეთილდღეობისათვის უადრესი მნიშვნელობა ქვემო და ზემო ქართლს ენიჭებოდა. სწორედ აქ იყო საუკეთესო მოსავლიანი მიწები: საქართველოს საკვები მცენარეების ნამდვილ ბედელს ჯავახეთი, შიდა-ქართლი და ქვემო-ქართლი, შემდეგში ბორჩალოდ, საბჭოთაიანოდ და საორბელოდ წოდებული თემი წარმოადგენდა. უამთოდ თვით საქართველოს დედაქალაქ ტფილისსაც არსებობა უპირდებოდა.

პაპუნა ორბელიანს 1755 წ. ქვეშე ამ საკითხის გასაშუქებლად შემდეგი საგულისხმო ცნობა აქვს მოყვანილი: „შეიკრა გზები მტრისაგან, რომ მგზავრი აღარ გაატარეს, აღარც ზემო ქართლიდამ ჩამოუშვეს და აღარც ახალციხის ქვეყნიდამ ქარავანი. ამით ქალაქს ტფილისს ძვირობა შეიქმნა და ხალხი დიად შეწუხდენ“-ო მაგრამ „გაბძანდა ბატონი საქართველოს ჯარით... დააყენა გზებზე, გაიხსნა გზები და უკუღა მტერი, ჩამოვიდა ურიცხვი პური, ღვინო. თუ რაც ფერი

საზრდო, აივხო ქალაქი ყოველი თა ხანოვაგითა“-ო. ამგვარადვე, მეფე ქართველი ჯარითურთ ყაზახისა და ბორჩალოს შეკრული გზის განთავისუფლებას შეუდგა თუ არა, „გაიხსნა ამ მხარისა გზებიც და შემოვიდა ქალაქში საზრდო ურიცხვი“-ო (გვ. 466 და 467).

თუ ასეთი მდგომარეობა იყო მე-XVIII ს.—ში, როდესაც მხოლოდ ქართლ-კახეთის სამეფო სატახტო ქალაქად მყოფ ტფილისს მოსახლეობა ძალზე შემცირებული ჰყავდა, ადვილი წარმოსადგენელია, რაოდენი ეკონომიური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ზემოჩამოთვლილ თემებს საქართველოს ეკონომიური წონასწორობისათვის მე-XIII ს.—მდე, როდესაც ჩვენში მკიდრო მოსახლეობა იყო.

ამგვარადვე დასავლეთი საქართველოს ბარსაც ხორბლეული სამყოფი არ ჰქონდა, ქრთილეულიც ყველგან არ მოდიოდა უხვად და ეს გარემოებაც საუცხოვოდ ააშკარაებებს იმ უაღრეს ეკონომიურ მნიშვნელობას, რომელიც ძველი საქართველოს დასავლეთი ნაწილისათვისაც ქართლ-კახეთის და მესხეთის პურ-ქრთილეულით მდიდარ თემებს უნდა ჰქონოდათ.



**ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და  
ცხოვრების პითარება საქართველოში**

XVII—XVIII სს.\*

**1. ქალაქები და სტატისტიკური ცნობები  
მათ შესახებ**

ქვემდებარე საკითხის შესასწავლად საქართველოს ყველა ნაწილებისათვის თანასწორად არ არის შენახული მასალები და არც გამოქვეყნებულია. აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ ჩვენ საკმაოდ შინაარსიანი ცნობები მოგვეპოვება უცხოელ მოგზაურთა აღწერილობაშია და ქართულ საისტორიო და სასამართლო ძეგლებში და თვით ხალხის აღწერისა და შემოსავლის დათრებებშიც. დასავლეთ საქართველოს შესახებ ჩვენ ამგვარი ქართული წყაროები არ მოგვეპოვება, ჭერ-ჭერობით არც-კია აღმოჩენილი. უნებლიედ მხოლოდ უცხოელ მოგზაურთა ცნობებით უნდა დავეყვაროფილდეთ. ამის გამო ქვემოთ მოყვანილი გამოკვლევა სასურველს სისრულესა და მთლიანობას იქმნება მოკლებული. იმიერ-ამიერ საქართველოს წარსული ამ მკრივაც თანასწორის ზედმიწევნილობით ვერ წარმოგვიდგება თვალწინ: თუ აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით ქართლის, ქალაქებისა და საქალაქო წესწყობილების შესახებ ჩვენ შედარებით მრავალი სხვადასხვა მკრივი ცნობები გვექმნება, დასავლეთის შესახებ უნებლიედ მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობებით უნდა დავეყვაროფილდეთ.

დაწინაურებული სამოქალაქო ცხოვრებისა და ქვეყნის ეკონომიურ ძლიერების საუკეთესო გამომხატველად ქალაქების სიმრავლე და სიმდიდრე ითვლება. საკმარისია მარტო ამ მკრივაც შევეხოთ საკითხს, რომ უმაღლ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო და ეკონომიურ ცხოვრების დიდი განსხვავება სრულებით ცხადი გაქდეს. მთელი დასავლეთი საქართველო მგეტად ჩამორჩენილი იყო. არქანჯელო ლამბერტიცა და შარდენიც მოწმობენ, რომ სამეგრელოში სრულებით არა ყოფილა ქალაქები. მთელ სამთავროში მხოლოდ ცხრა თუ ათი ციხე ყოფილა, რომელთა შორის უმთავრესსა და ამასთანავე სამეგრელოს მთავრის საჯდომს რუხის ციხე ეწოდებოდა (შარდენი. „სპარსეთში მოგზ.“. პარიზის 1723 წ. გამ. I, 133). არქანჯელო ლამბერტის სიტყვებითაც მტკიცდება, რომ სამეგრელოში სამოქალაქო ცხოვრებაც ძალზე

\* საქართველოს ეკონომიურ ისტორიის ჭერ დაუბეკდაე უკანასკნელ წიგნიდან არაა ამოღებული. [ავტორის შენიშვნა ვერ. „პრომეთეში“ (1918, № 1, გვ. 35—61) გამოქვეყნებული სტატიისათვის].

დაქვეითებული იყო და ეკონომიური ვითარებაც თითქმის პირველყოფილ მდგომარეობის დონემდე იყო დაცემული. სამეგრელოს მთავარს ლევანს სდომებია, რომ კელონურ საშუალებითა და მფარველობით თავის საბრძანებლის ეკონომიური ცხოვრება გამოეცოცხლებინა, მაგრამ ცდამ თურმე ამაოდ ჩაუარა.

იმერეთის სამეფოც ამ მკრივ მეტად დაქვეითებული ყოფილა. იმერეთის თვით სატახტო ქალაქი ქუთაისი-ცი იმოდენად პატარა იყო, რომ შარდენის სიტყვით იქ მხოლოდ 200 კომლი მცხოვრები ითვლებოდა (შარდენი. სპ. მოგზ. 1723 წ. გამ. II, 108), ისე რომ დიდსა და მკიდროდ დასახლებულს სოფელს უფრო მიაგავდა, ვიდრე დედა-ქალაქსა და საეპარო ცენტროს. ამ მკრივ საეკლესიო, რომ ქ. ახალ-ციხე-ცი სამცხეში ერთი ორად ქუთაისზე მოზრდილი ყოფილა და 400 კომლ მცხოვრებლებზე მეტს შეიცავდა (იქვე, II, 94). ახალ-ციხის მცხოვრებნი ხუთ ეროვნებას ეკუთვნოდნენ თურმე: იქ თურქებიც ყოფილან, სომხებიც, ქართველებიც, ბერძნებიც და ებრაელებიც. თითქმის მთელს ახალციხეში ხის შენობები ყოფილა. ამ ქალაქში პატარა ქარვასლაც ჰქონიდა, მაგრამ ისიც ხისა იყო თურმე. სამცხეში ახალციხის გარდა აწყურიც (უსკერ) ქალაქად ითვლებოდა, მაგრამ პატარა ყოფილა. აწყურში თურქთა მონაპირენი იდგენ და საბაჟოც აქ იყო თურმე (შარდენი, იქვე, II, 94—96).

შარდენის სიტყვით არც აღმოსავლეთს საქართველოში ყოფილა მაინც-და-მაინც ბევრი ქალაქები (ამსტერდამის 1735 წ. გამოცემის გვ. 169), მაგრამ მაინც მარტო ქართლში მაშინ ოთხი ქალაქი ითვლებოდა: სურამი, ალი, გორი და ტფილისი (იქვე, გვ. 170). სურამი და ალი მეტად პატარა ქალაქები ყოფილა, განსაკუთრებით სურამი, რომელიც უფრო რომ ციხე იყო და გორის ნახევარს შეადგენდა (იქვე, 160 და 170). გორიც პატარა ქალაქად ითვლებოდა, მაგრამ იმას გარდა რომ თავის საუცხოვო მდებარეობითა და ბუნებრივ მაგარ ციხით ქვეყნისათვის მნიშვნელობა ჰქონდა, ამასთანავე იგი თვალსაჩინო საეპარო ცენტროც ყოფილა. თუმცა სახლები და თვით ბაზარი-ცი ალიზისა ყოფილა (შარდენის მიერ აქ ნაქმარი სიტყვა „მიწურს“ უდრის, მაგრამ ძველი დასაქვრებელია და არც ქ. გორის შენახული ძველი სურათით მტკიცდება, რომ შენობები იქ მიწურს ყოფილიყოს), მაგრამ იქ მდიდარი ვაჭრები ცხოვრობდნენ და ყველაფერი, რაც კი ადამიანს საცხოვრებლად ესაჭიროება, თურმე ბლომად იშოვებოდა და იაფადაც შეიძლებოდა რომ ეყიდა. გორის მცხოვრებნი ყველა ვაჭრები არიანო, ამბობს შარდენი (იქვე, 170). თვით გორის ციხეში-ცი 100 სპარსელი მეციხოვნე მდგარა.

შარდენის დროინდ. ტფილისი ძალიან დიდ ქალაქად ვერ ჩაითვლებოდა, მაგრამ მაინც ფრანგ მოგზაურს მოზრდილად სჩვენებია. ამასთანავე შარდენი, რომელსაც სპარსეთიც მოვლილი და კარგად შესწავლილი ჰქონდა, მოწმობს, რომ თვით სპარსეთისათვისაც ტფილისი ერთ-ერთ უმშვენიერეს ქალაქად უნდა ყოფილიყო ცნობილი. ქალაქი სამხრეთით ჩრდილოეთისაკენ არის გადმოქიმული და სამხრეთით მთაზე დიდი ციხეა აგებული, რომელშიაც მაშინ თურმე მხოლოდ სპარსელი მეციხოვნენი და სპარსეთის ქვეშევრდომნი ცხოვრობ-

დენ. ქალაქს ყოველშვიდ, მტკვრის სანაპიროებს გარდა, ლამაზი და მაგარი ზღუდე ჰქონია შემოვლებული (იქვე, პარიზის გამ. II, 155).

ტფილისში მაშინაც ბევრი კარგი დაწესებულებათა შენობები ყოფილა. ბაზრები და სავაჭრო სახლები დიდები იყო, ქეთიკირით ნაშენი და კარგადაც ყოფილა შენახული. ქარვასლები და ფუნდუკებიც, სადაც მგზავრებს შეეძლოთ თავშესაფარი ეშოვათ, მოზრდილი და შესაფერისად მოწყობილები იყო (იქვე, II, 159). მალაზიებიც კარგად ყოფილა ნაშენი და მშვენიერადვე იყო თურმე მოწყობილ-შენახული (იქვე, II, 159—160).

ტფილისში ბევრი კოხტა და მოკდენილი შენობა ყოფილა, მაგრამ საქართველოს დედა-ქალაქის საუცხოოვ სამკაულად და მშვენიერად მეფის სასახლე ითვლებოდა, რომელსაც მოკდენილი დარბაზ-პალატები და მტკვარზე გადაკიდებული ლამაზი აივნები ჰქონდა. სასახლის წინ დიდი მოედანი იყო და გრძელი საბაზრო ადგილი. ამ ბაზრის თავითგან სასახლისაკენ მნახველს თეაწწინ მშვენიერი გარდასახედი სურათი ეშლებოდა.

ტფილისშივე იყო თავის მოკდენილობითა და შემკულობით საყურადღებო კახთ ბატონის სასახლეც (იქვე, II, 160). სამეფო კარი მრავალ-რიცხოვანი და ბრწყინვალე ყოფილა (იქვე, II, 163).

თვით ტფილისი მკიდროდ დასახლებულ ქალაქად სჩვენებია ფრანგ მოვზაურს და იქ დიდი ვაჭრობაც ყოფილა გაჩაღებული. მის განსაკუთრებულს ეკონომიურ მნიშვნელობის და სამოქალაქო ცხოვრების მყუდროებისა და წესიერების დამამტკიცებელ გარემოებად ისიც უნდა იყოს მიჩნეული, რომ საქართველოს დედა-ქალაქში ყოველგვარ უცხოელთაც ჰქონიათ მყუდრო ბინა (იქვე, II, 163).

მაგრამ შარდენმაიც-კი იცოდა, რომ საქართველოს საქალაქო ცხოვრების ვითარება ძველად, მის დამოუკიდებლობისა და ძლიერების დროს, სულ სხვანაირი იყო და დიდად აყვავებული. იგი ქართლში თავის თვალითაც ჰხედავდა, რომ ქალაქებში ნანგრევების სიმრავლე მათ ოდინდელ სიფართოვეს და მერმინდელ განადგურებას მკვერმეტყველურად ჰმოწმობდა. მას აღნიშნული აქვს, რომ გორს მახლობლად, დასავლეთით. ერთი დიდი ქალაქი, ანუ უფრო რომ ნაქალაქევი იყო, რომელიც თითქმის მთლად დანგრეული ყოფილა. მისობა იქ 500 სახლზე მეტი არ ითვლებოდა, ოდესღაც კი ამ ქალაქში 12000 ყოფილა (იქვე, პარიზის გამ. 1723 წ. II, 97). ამავე ფრანგ მოგზაურის სიტყვით კახეთის სამეფოშიაც იმ ჩამოდენიზე ქალაქთა რიცხვითგან, რომელნიც ძველად იქ იყო, მხოლოდ ერთი-ღა ყოფილა შერჩენილი, დანარჩენნი-კი მის დროს თურმე ყველა დანგრეული იყო (იქვე, ამსტერდამის გამოც. 1735 წ. გვ. 169).

მე-18-ე საუკუნეში, გაერთიანებულ ქართლ-კახეთის სამეფოშიაც ქალაქების რიცხვი არ გამრავლებულა. 1770 წლის აღმოსავლეთ საქართველოს მთავრობის სტატისტიკურ ცნობებით ქართლ-კახეთში მაგ. სულ 8 ქალაქი ყოფილა: ტფილისი, გორი, სურამი, ახალგორი. წილკანი, ანანური, თელავი და სიღნაღი. ქართლში მაშასადამე 4 ქალაქი იყო, კახეთსაც 4 ჰქონია, თუ რომ წილკანსა და ანანურს კახეთისად ჩავთვლით. საყურადღებოა, რომ ალი უკვე ქალაქად აღარ იქსენიება. შარდენს ალი ქალაქად აქვს დასახელებული და

ძველდაც მას შედარებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაშინ იქ საკელმწიფო საბაჟოც იყო.

ზემოდასახელებულ 8 ქალაქში უუდიდესი რასაკვირველია საქართველოს დედა-ქალაქი უნდა ყოფილიყო. ტფილისში სულ 4000 კომლი მცხოვრები ითვლებოდა. შემდეგ კომლთა რაოდენობისდა მიხედვით თელავი მისდევდა, რომელშიაც 740 კომლი ყოფილა. მერმე წილკანი თავის 700 კომლითურთ, გორი 500 კომლითურთ, სურამი 200 კომლით, ანანური 100 კომლითურთ და სიღნაღი, სადაც მეკომურნი იმდენივე იყვნენ, რამდენიც ანანურში ითვლებოდა. უკანასკნელი ორი ქალაქი, მაშასადამე, ქართლ-კახეთის ზოგიერთ სოფლებზე უფრო პატარა ყოფილა, მაგ.: 1794 წ. საქართველოს მთავრობის ერთ სტატისტიკურ ცნობით ს. ქარელში 106 კომლი ირიცხებოდა, ხოლო ცხინვალში — 116 კომლი.

ორთა შუა რიცხვით თვითოეულს კომლში რომ 5 სული ვიანგარიშით, მაშინ ტფილისში დაახლოებით 20000 სული მცხოვრები გამოდის, თელავში — 3700 სული, წილკანში — 3500, გორში — 2500, სურამში — 1000, ანანურსადა სიღნაღში-კი ხუთას-ხუთასი სული მცხოვრები. რომ ეს ჩვენი საჯარაულო აღრიცხვა სიმართლეს უახლოვდება, ფრანგ მოგზაურ ტურნეფორის ცნობითაც მტკიცდება. საქართველოში ის 1700 წელს იყო და ქ. ტფილისის მცხოვრებთა რაოდენობაზე ამბობს: ფიქრობენ, რომ ამ ქალაქში დაახლოებით 20000 სული ცხოვრობსო (მოგზაურობა ლევანტში ტ. 1, გვ. 133, ამსტერდამის 1728 წ. გამოცემა). ყურადღების ღირსია, რომ შარდენს თავის დროს ტფილისი მკვიდროდ დასახლებულ ქალაქად სჩვენებია (მოგზაურობა სპარსეთში, პარიზის 1723 წ. გამ., 163).

შენახულია სხვადასხვა წლების ცნობები ქალაქებში მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ, მაგრამ ბევრს სხვადასხვა საბუთებშია გაბნეული. როდესაც ამ ცნობებს ამოჰკრებთ და ერთმანეთს შეადარებთ, მეტად საგულისხმო-რო სურათი გეშლებათ. ამგვარი შედარებითი დაკვირვება ამტკიცებს, რომ მე-18-ე საუკ. პირველად ქალაქებში მცხოვრებთა რიცხვი შედარებით მატულობდა, მაგ.: 1721 წ. ქ. გორში მცხოვრებთა რიცხვი 300 კომლს არ აღემატებოდა, 1770 წელს-კი იქ 500 კომლი ითვლებოდა. მაშასადამე — 200 კომლით უმატნია. მაგრამ შემდეგ მცხოვრებთა რიცხვი ქალაქებში თანდათან და შეუჩერებელივ კლებულობდა, მაგ. 1781 — 2 წ. ტფილისში 4000 კომლის მაგიერ (ამდენი იყო როგორც ვიცით 1770 წელს) 3478 კომლი-და ირიცხებოდა. ქ. ახალგორში 1781 წელს 100 კომლის მაგიერ 88 კომლი-და დარჩენილა, ხოლო ქ. გორში 1794 წელს იმ 500 კომლის მაგიერ, რომელიც იქ 1770 წელს ცხოვრობდა, მხოლოდ 227 კომლი ითვლებოდა.

რაკი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებითგან მცხოვრებნი ასე დაეინებით და განუწყვეტლივ იყრებოდნენ და იხიზნებოდნენ, შეფე ურეკლემ რომ ეს აყრა შეეფერკებინა, 1784 წელს ბრძანებაც კი გამოსცა, ამიერითგან ტფილისისა და გორის იმ მოქალაქეთ, რომელნიც სხვაგან გადასახლდებიან, ან უცხო ქვეყანაში გაიხიზნებიან, მამულები სამეფოდ ჩამოერთვას და ჩვენის

ნებართვით სხვებს მიეყიდოსო (იხ. დ. ფურცელაძის Крестьянск. грам. გვ. 42, სადაც სამწუხაროდ ამ საყურადღებო საბუთის მხოლოდ რუსული თარგმანია მოყვანილი).

საგულისხმოა. თუ რამდენად მკიდროდ იყო მაშინ ქ. ტფილისის სხვადასხვა უბანი დასახლებული. 1781—2 წ. ქ. ტფილისში ავლაბრით და გარეთუბნით სულ 3498 კომლი მცხოვრები იყო. აქეთგან თვით ქალაქში 2329 მცხოვრები კომლი ითვლებოდა, დანარჩენი 1184 კომლი ცხოვრობდა შიგნითსა და გარეთს ავლაბარში (375 კომლი), მეტეხის ციხეში კიდამდის (259 კომლი) და გარეთუბანში (550 კომლი).

ამგვარად ირკვევა, რომ მცხოვრებთა უმრავლესობას (2294 კომლს) ქალაქის შუაგულში ჰქონდა ბინა, ხოლო უბნებითან ყველაზე მკიდროდ გარეთუბანი იყო დასახლებული (550 კომლი), შემდეგ ავლაბარი (375), რომელიც ორად იყოფოდა: გარეთ ავლაბარში იყო 156 კომლი, ხოლო შიგნით ავლაბარის ციხეში 219 კომლი. სხვებზე ნაკლები მცხოვრები ყოფილა მეტეხში (259 კომლი), აქეთგან „მეტეხში კიდამდინ“ 73 კომლი, ხოლო „კიდიდამ ციხეში“ 186 კომლი ითვლებოდა (ივ. ჭავჭავაძის შვილი, აღმ. საქართველოს ხალხის აღწერის დავთრები, გვ. 1).

ჩვენ ისეთი საკითხის გამორკვევაც შეგვიძლიან, თუ რა რიცხვებრივი დაშლილებულება არსებობდა მაშინ სოფლის მცხოვრებთა და ქალაქების მცხოვრებთა შორის. ქართლ-კახეთის სამეფოში დიდოეთისა და ყაზახ-შამშადილის გარდა მცხოვრებთა ერთობლივი რიცხვი 1770 წელს 55290 კომლს უდრიდა, აქეთგან ყველა ქალაქებში მცხოვრებთა რიცხვი 6480 კომლი იყო, ხოლო სოფლის მცხოვრებთა რიცხვი 48810 კომლზე მეტი არ ყოფილა. მაშასადამე, ქალაქების მეკომური მცხოვრებნი ასეულად ნაანგარიშვენი სამეფოს მეკომურთა ერთობლივ რიცხვის 11<sup>2</sup>/<sub>10</sub> შეადგენდენ.

ერთი ფრიად საყურადღებო ცნობაა შენახული ტფილისის მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ ეროვნული ჟუთენილებისდა მიხედვით. ფრანგი მოგზაური ტურნეფორი ამბობს, რომ 1700 წელს ქ. ტფილისის 20000 სულ მცხოვრებთა შორის 14 000 სომეხი ყოფილა, 3000 მაჰმადიანი, 2000 ქართველი და 500 სული რომის კათოლიკენიო (მოგზაურობა ლევანტში 1, 133). მაშასადამე, იმ დროს ქართველთა რიცხვი ტფილისში სომეხთა რიცხვის მხოლოდ 1/3-ედს შეადგენდა. მე-19-ე საუკუნის დასასრულს ოფიცირულ ცნობითაც ქართველები ტფილისში უკვე სომეხ მცხოვრებთა რიცხვის ნახევარს აღემატებოდნენ, ხოლო 1917 წ. საყოველთაო აღწერამ ტფილისში გამოარკვია, რომ ეხლა ქართველთა რიცხვი ჩვენ დედა-ქალაქში სომეხთა რიცხვს სჭარბობს. საყურადღებოა ქართველთა ეს გასაოცარი, ბუნებრივი და არა-ჯელოვნური ზრდა.

ეხლა რაკი ჩვენ უკვე ვიცით ქ. ტფილისის მცხოვრებთა დანაწილება ეროვნულ ჟუთენილებისდა მიხედვით, შეიძლება მეორე საყურადღებო საკითხის გამოარკვევასაც შევუდგეთ, სახელდობრ იმისას, თუ როგორ იყო დანაწილებული ჩვენი დედა-ქალაქი მესაყუთრე მფლობელების მკრივ. ჭერ-ჭერობით ამის გამოსარკვევად მხოლოდ ერთი სტატისტიკური ძეგლი მოგვეპოვება, ქ. ტფილისის 1781—2 წ. ხალხის აღწერის დავთრითგან ამოღებული მოკლე სახ. ცნო-

ბუბის სახით. ქალაქ ტფილისის 3498 კომლ მცხოვრებთაგან 1781—2 წ.: ყმათა მფლობელობის მკრივ, პირველი მესაკუთრე ტფილისში მეფე იყო: სამეფო სახლობას ერთობლივ საკუთრად სახასო ყმა ქალაქში ავლაბრითა და გარეთუბნითურთ ჰყავდა 1589 კომლი, ხოლო დანარჩენ მესაკუთრეებს საერთოდ 1811 კომლი ყმა (აღმოსავ. საქართველოს ხალხის აღწერის დავთრები, გვ. 7).

თუ მფლობელთა ეროვნებისდა მიხედვით ვიანგარიშებთ, გამოდის, რომ ყველა სომეხ მესაკუთრეებს, მათ შორის მოქალაქეებსა და სომეხთა ეკლესიებსაც; ერთობლივ ჰყოლიათ 429 კომლი ყმა, ქართველებს კი სამეფო გვარეულობითურთ ერთობლივ ჰყავდათ 3069 კომლი, ანუ ერთი შვიდად, თითქმის ერთი რვად. უფრო მეტი ვიდრე სომეხ მესაკუთრეებს. თუნდაც რომ სამეფო სახლობის სახასო ყმების რიცხვი 1589 კომლი გამოვაკლოთ, მაინც ქართველ მებატონეების საკუთრება 1480 კომლს უდრის და მაშინაც სომეხ მფლობელთა რაოდენობას ერთი სამად უფრო მეტადაც სჭარბობს. აქეთგან ნათლად ჩანს, რომ მაშინ ტფილისი მფლობელობის მკრივ ქართველებს ეკუთვნოდათ. მაშასადამე, ცხადია, რომ ტფილისი საკუთრების თვალსაზრისით ქართველებს მხოლოდ მე-19 საუკუნეში დაუკარგავთ.

ამისდა გვარად ვითარცა ყმათა მფლობელი, ტფილისში ქართველთა ეკლესია სომეხთა ეკლესიაზე უფრო შეძლებული იყო: ქართულ ეკლესიას ერთობლივ 365 კომლი ჰყავდა, ამათგან საპატრიარქო საყდარს 198 კომლი ეკუთვნოდა, დანარჩენი 167 კომლი 19 ეკლესია-მონასტრის საკუთრება იყო; სომეხთა ეკლესიას საერთოდ 72 კომლი ყმა ჰყავდა ტფილისში, ამათგან 49 კომლი ეჩმიაწინის საკათალიკოზო ტაბტს ეკუთვნოდა, დანარჩენი 32 კომლი 7 ეკლესია-მონასტრისა იყო.

წოდებრივად თუ გავარჩევთ ყმათ მფლობელები ოთხ უმთავრეს ჯგუფად განიყოფებოდნენ: 1) სამეფო სახლობა, რომელსაც 1589 კომლი ეკუთვნოდა; 2) თავადაზნაურობა და მსახურები; მათ ერთობლივ 1426 კომლი ყმა ჰყავდათ; 3) ეკლესია: ქართული 365 კომლის მფლობელი იყო, სომხური 72 კომლისა; 4) მოქალაქენი, „მოქალაქეთა ყმები“ სულ 46 კომლს არ აღემატებოდნენ (იხ. აღმ. საქარ. ხალხის აღწერის დავთრები, გვ. 5).

## II. ს ა ქ ა ლ ა ქ ო წ ე ს წ ე ო ზ ი ლ ე ბ ა დ ა ც ხ ო ვ რ ა ე ზ ი ს ვ ი თ ა რ ა ე ბ ა

ქალაქის უზენაეს გამგედ ქალაქის მოურავი იყო. როგორც ვიცით, უძველეს დროს, მაგ. XII საუკ. ამგვარ უფლებით აღჭურვილს „ამირა“ (საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 23) ეწოდებოდა. XVII—XVIII საუკუნეებში არც საბუთებსა, არც დასტურლამალში „ამირა“ აღარ გვხვდება და ქალაქის მთავრად ქალაქის მოურავი ჩანს. როდის უნდა გაჩენილიყო „მოურავი“, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება.

ყურადღების ღირსია რომ 1608 წლის ლუარსაბ II-ის სიგელშიც გიორგი სააკაძე, დიდ მოურავად ცნობილი, ჯერ კიდევ ძველებურად „ქალაქის ამირათ-

ამირა“-დ იწოდება (სქს სიძველენი, II, 50), ხოლო უკვე 1620 წლის სასამართლოს განჩინების წიგნში იგი „ბატონ-მოურავად“ არის მოკსენებული (იქვე, II, 51). თუ ამ შემთხვევაში მოურავი ქალაქის მოურავსა ჰნიშნავდა, მაშინ ეს სამოკელეო სახელწოდება ტფილისისათვის უნდა XVII საუკუნის დამდეგს იყოს შემოღებული, 1608—1620 წლებს შუა. ყოველ შემთხვევაში მოიპოვება 1673 წლის საბუთი, რომელშიაც დასახელებულია „ქალაქის მოურავი“ (სქს სიძველენი III, 3) და ამ საბუთითგან არა ჩანს, რომ ეს თანამდებობა სწორედ იმ წელს იყოს დაწესებული, პირიქით საბუთი ამ სახელწოდებას იკსენიებს ვითარცა ჩვეულებრივს მოკელეობას. მოურავი ძველს უკვე XI—XII საუკუნის საბუთებშიაც არიან მოკსენებულნი, მაგრამ გარკვევით არა ჩანს რომ იქ ქალაქის მოურავნი ყოფილიყვნენ ნაულისხმევი. მცხეთის 1448 წ. სიგელში-კი უკვე პირდაპირ ქალაქის მოურავი იკსენიება, სახელდობრ „გორის მოურავნი“ (ისტ. საბ. III, 28). ტფილისის სიონის 1552 წ. სიგელშიაც ნათქვამია „ქალაქისა მოურავო“ (ისტ. საბ. II, 41). ამიტომ სიმართლეზე ახლო უნდა იყოს თუ დავასკვნით, რომ „ქალაქის მოურავი“-ს სახელი საბოლოოდ და საყოველთაოდ XVII ს. დამდეგს შემოღებულ იქმნა „ქალაქის ამირა“-ს მაგიერ.

რომ ეს დასკვნა დაახლოებით სწორე უნდა იყოს, სხვათა შორის შეიძლება 1784 წლის ერეკლე მე-2-ის სიგელიც დავიმოწმოთ. მეფე ამ საბუთში ბრძანებს: „ქალაქის მოურავო დაით! როგორადაც ბატონის პაპის ჩვენის მეფის ირაკლის დროს და მეფის ვახტანგის დროს და სანატრელის ბატონის მამის ჩვენის დროს ქალაქის მოურავები ყოფილან და ქალაქში უმოურავნით, თქვენთვისაც იმავე წესით გვიბოძებია მოურავობა“-ო (სქს სიძველენი, 3, 12). მაშასადამე, ეტყობა ქალაქის მოურავობის წესი, ისეთი, რომელიც სამაგალითოდ იყო მიჩნეული, ირაკლი I-ისა 1688—1695 და ვახტანგ VI-ის დროსა ყოფილა დადებული, პირველი იქნებ ვითარცა ამ თანამდებობის გამჩენი (?), ხოლო მეორე ვითარცა კანონმდებელია დასახელებულნი.

ქალაქის მოურავის შესახებ „დასტურლამალ“-შიაც მოიპოვება ცნობები, მაგრამ იქ მის უფლებისა და მოვალეობის შესახებ არავითარი „გარიგება“ არ არსებობს. მხოლოდ § 100-ში, რომელსაც ეწოდება სათაურად „მდივანბეგის გარიგებისათვის“ და 1704 წელს საქართველოს ჩანიშნის შაჰნავაზხანის ნაბოძებ „მდივანბეგობის წესისა და რიგის დასტურლამა“ არის, სხვათა შორის ნათქვამია. თუ ქალაქის მოურავის სამოსამართლო საქმეებში, რა-ღარა ეკითხებოდა („დასტურლამალი“, 57), ხოლო იქვე § 210 განსაზღვრულია მოურავის სარგოც. სწორედ ამ ცნობებითგანა ჩანს, რომ ქალაქში ერთი მოურავი იყო. ყურადღების ღირსია მხოლოდ, რომ ერეკლე მეფის დროს ქ. ტფილისში რამდენიმე მოურავი ყოფილა, სხვა და სხვა უწყებების წარმომადგენელი: საკათალიკოზო მოურავი და სხვათა. ამით რასაკვირველია ქალაქის მოურავის უფლება უნდა შელაკულიყო და საქმეების წარმოება სრულებით დაიხლართებოდა. თუმცა ეს ისედაც ცხადი უნდა ყოფილიყო მთავრობისათვის, მაგრამ რადგან სხვა უწყებათა მოურავები და მათი ბატონები, როგორც ეტყობა ამტიკებდენ ვითომც წინადაც ჩვეულებრივ ქალაქში ერთი მოურავი

ვი — კი არა, არამედ რამდენიმე ყოფილიყოს, მთავრობამ 1784 წელს თავისი თავი მოვალედ ჩათვალა მოხუცებულ მოქალაქეთა, ქედხუდათა და სამღვდლოების შორის „სწორე და კემშარიტი“ ცნობები შეეკრიბა: „ამ ქალაქში მეფის მოურავის მეტი და მელიქის, მამასახლისის, ნაცელის მეტი ყოფილა ვინმე, თუ არა ბატონის მეფის ირაკლის დროსა, მეფის ვახტანგის დროსა, სანატრელის მეფის თეიმურაზის დროსა? ამ მეფეებს გარდა ამ ქალაქში სხვათ მოქელები ამ მეფეების ეამში ყოლიათ ვისმეს, თუ არავის არა ყოლიათ“ (სქს სიძველენი, 3, 15). სამღვდლოებამ და ქალაქში მყოფმა ერის კაცებმა, ქედხუდებმა თუ დაბალმა ხალხმა „ფიცით მოაჯენეს“: „ჩვენ მნახავნიცა ვართ და მამაპაისიანგანაც გაგონილნი ვართ (ასეა!), რომ ქალაქში ერთი მოურავი ყოფილა. ერთი მელიქი ყოფილა, ერთი მამასახლისი ყოფილა და ერთი ნაცვალი ყოფილა; სხვისა არავის ყოფილან არცა მოურავი, არც მელიქ-მამასახლისი და არც ნაცვალი“ (იქვე, გვ. 15—17). როცა შეკრებილი ცნობები ერეკლე მეფეს მიართვეს, მან შემდეგი მსჯავრი დასდო: „რადგანაც ამდენი სამღვდლო და საერო კაცნი მოწმობენ, რომ ქალაქში ძველათგან ერთის მოურავის მეტი არა ყოფილა, ჩვენ ამდენის კაცის მოწმობის ძალით ჩვენს მოურავს გარდაისად, სხვას ვისაც ქალაქში მოურავები ჰყავს ისინი მოურავობიდან დაგვიყენებია“-ო (იქვე, 17). ამ გვარად შემთხვევით შემოპარული მრავალ-მოურაობა მოსპობილა და ძველი წესი აღდგენილ იქმნა: ერთი ქალაქის მოურავი-ლა დატოვეს.

ქალაქის მოურავს მეფე ჰნიშნავდა; ეს ზემომოყვანილ 1784 წლის საბუთითაც მტკიცდება (სქს სიძველენი, 3, 12). ქალაქის მოურავს დიდი უფლება ჰქონდა. მოურავი ქალაქის ბატონი იყო: „ქალაქის სამოქალაქოსი ყოველივე მოურავს უნდა ეციოთხოს“, ნათქვამია დებულებაში (სქს სიძველენი, 2, 523, § 44). იმის დაუკითხავად უმალღეს მთავრობასაც არაფერი არ უნდა გაეკეთებინა ქალაქში: „რაც ბატონმა ქალაქს ან სთხოოს ან შეაწეროს, ან სხვა რამე საქმე იყოს“. ვიდრე საქმეს გადასწყვეტდენ და აღსრულებას შეუდგებოდენ, თავდაპირველად მოურავის აზრი უნდა გაიგოს მთავრობამაო (იქვე).

როცა მეფე „დიდ კაცებთან“ ერთად „საქვეყნო საქმეებზე“ ბჭობდა ხოლმე, ჩანს, ქალაქის მოურავიც იღებდა მონაწილეობას (1791 წ. საბუთი: სქს სიძველენი, 3, 13).

ქალაქის მოურავის მოვალეობა იყო ქალაქისა და მცხოვრებთა კეთილდღეობაზე და მათ ქონებისა და სიცოცხლის კელშეუხებლობაზე ეზრუნა. „მოურავი ქალაქისა და მოქალაქის მოვლას დიდად უნდა სცდილობდეს ყოველის თავის გარჯით და თავდადებითა“-ო. ბრძანებდა დებულება (სქს სიძველენი, 2, 528, § 44). ერეკლე მეფეც თავის 1784 წელს გამოცემულს ბრძანებაში ქალაქის მოურავს ავალბდა: „ქემშარიტს სამართალს და ქალაქის მოვლასა და ბეჯითად გარჯას ნუ დააცადებთ“-ო (სქს სიძველენი, 3, 12). ქალაქის საზოგადო კეთილდღეობაზე ზრუნვას გარდა მოურავს, მაშასადამე, უნდა სამართლიანობა დაემყარებინა და მცხოვრებთა ზნეობისათვის თვალყური ედევნებინა: საჩივრები გაერჩია, დამნაშავენი შეეპყრო და მსჯავრი



დაედო. რა საქმეები და როდის ეკითხებოდა ხოლმე ქალაქის მოურავს, ამის შესახებაც გარკვეული ცნობები მოიპოვება.

სასამართლოს საქმეები ქალაქში ორ მოკლედს შორის იყო განაწილებული — მდივანბეგისა და ქალაქის მოურავის შუა. მკვლელობა ყოველთვის მართო მდივანბეგს ეკითხებოდა. „თუ ქალაქში კაცის სიკვდილი მოკლეს ან მოქალაქისაგან, ან სხვისაგან, იმის სამართალი კარზედ მდივანბეგმან უყოს“-ო, ბრძანებდა „დასტურლამალი“ (გვ. 57). რაც შეეხება სამოქალაქო სამართლის საქმეს მდივანბეგი მხოლოდ იმ შემთხვევაში არჩევდა ხოლმე საჩივარს, „თუ მოქალაქე კაცი გარეშე კაცს უჩიოდეს, ან გარეშე კაცი გარეშე კაცს უჩიოდეს, ან ორნი მოქალაქე კაცი თავის ნებით მივიდნენ და მდივან-ბეგს შემოსჩივლონ“-ო (იქვე, იმავე 57 გვერდზე და 58 გორის შესახებ ამგვარადვე). მაშასადამე, როცა საქმე გარეშე კაცს შეეხებოდა (სულერთი იყო თუნდ ორი მქარე, — მოჩივარი და მოპასუხე, — თუნდ მხოლოდ ერთ-ერთი მქარე ამ ქალაქის მკვიდრად არ ითვლებოდა, სოფელად და გარეშე კაცად ირიცხებოდა) მოქალაქეთა შორის დავის გარჩევის უფლება მხოლოდ მაშინ ჰქონდა მინიჭებული, როცა ორივე მქარე თვით მოისურებდა, ნებაყოფლობით მივიდოდა მდივანბეგთან საჩივლელად. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა ერთ-ერთი მქარეს არა ჰსურდა მდივანბეგის მსჯავრის მოსმენა, ჩვეულებრივ, საჩივრების გარჩევა მოქალაქეთა შორის ქალაქის მოურავის უფლებას შეადგენდა: „მოქალაქის საჩივარი ერთმანეთში მოურავმა გაუტრიგოს“-ო ბრძანებდა საჯელმწიფო სამართალი („დასტურლამალი“, 57) როგორც ზემოთ იყო აღნიშნული „გარეშე კაცსა“, ან სოფელსა და მოქალაქეს შორის ატეხილ საჩივრის დროს დებულება უპირატესობას მოქალაქეს კი-არა, „გარეშე კაცს“ აძლევდა და საქმეს ჩვეულებრივი მსაჯული, მდივანბეგი არჩევდა ხოლმე. ეს საზოგადო წესრიგი შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეცვლილიყო „თუ მდივანი ბეგი იქ (ქალაქში) არ იყო“, მხოლოდ ამ დროს აძლევდა ნებას კანონი: „მოქალაქეს კაცისაგან სოფელმან კაცმან ქალაქის მოურავს შესჩივლოს, მოურავმან გაუტრიგოს“-ო („დასტურლამალი“, 57).

ქალაქის მოურავის პირდაპირ მოვალეობად ითვლებოდა ქურდებისა და „ბოზების“ დევნა და დასჯა. დებულებაში პირდაპირ არის ნათქვამი: „მოურავი მუდამ ქურდსა და ბოზს უნდა ეძებდეს“-ო (სქს სიძველენი, II, 529, § 13); ამისთვის მას ასასები ჰყავდა, „ორი-სამი გამოუღვევლად ახლდნენ“ და „ქურდსა და ბოზს მოახსენებდნენ ხოლმე“-ო (იქვე, II, 530, § 22), მოურავს დამნაშავეთათვის „ჭარიმა“ უნდა გარდაეკლდეინებინა (იქვე, II, 527, § 38 და 530, § 22).

სხვაფრივ, მაშასადამე, როცა სამოქალაქო სამართლის შესახებ საჩივარი მოქალაქეთა შორის ჩამოეარდებოდა ხოლმე, ქალაქში სამართლის წარმოება ქალაქის მოურავის კელში იყო: „ქალაქის მოურავი ქალაქში უნდა სამართლობდეს“-ო ნათქვამია ერთს შესანიშნავ საბუთში (საქართ. სიძველენი, II, გვ. 523, § 1). მასზე იყო დამოკიდებული მისი მოქმედება: მას შეეძლო, ან პირადად მიეღო მონაწილეობა, ან თავის წარმომადგენელს მიანდობდა. როდესაც მოურავი თვითვე ინებებდა მოსამართლედ დაჯდომას, მაშინ კანონი

ბრძანებდა: „სამი-ოთხი სარწმუნო მოქალაქე თან ახლდეს სამართლის ბკობაში“-ო (იქვე). იმის ნებაყოფლობაზე იყო აგრეთვე დამოკიდებული, „მოურავი, თუნდა მელიქ-მამასახლისს და ნაცვალს სამართალში დაისწრებს და თუ უნდა არ დაისწრებს, ქედხუდები ახლდებიან“-ო (იქვე). მამასახლადამე, მელიქ-მამასახლისი და ნაცვალი სამართლისწარმოებისათვის საპირონი არა ყოფილან: იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოურავი მათ მოიწვევდა, მაშინაც ისინი „სამართლის ბკობაში“ მოქმედ პირებად არ ითვლებოდნენ, ისინი მხოლოდ „ესწრებოდნენ“ იმ გვარადვე, როგორც ქედხუდები მოურავს ისრე უნდა ახლდნენ“ ხოლმე. სასამართლოს მოქმედებაში და სამართლის „ბკობაში“ მონაწილეობას იღებდენ თვით მოურავი ვითარცა თავმჯდომარე და „სამი-ოთხი სარწმუნო მოქალაქე“ ვითარცა მოსამართლე წევრები. „მოჩივარი“ მოურავთან უნდა მისულიყო, და მისთვის საჩივარი მიერთშია (იქვე, § 2).

მოურავს შეეძლო თითონ არ გაერჩია საჩივარი; ამისთანა შემთხვევაში „თუ თითონ არ ინებებს სამართალს“, იგი მოჩივარს „თავის იასაულს გაატანს“ (იქვე, § 2). იასაული მისი წარმომადგენელია მხოლოდ, მოსამართლედ კი ისევ „სარწმუნო“ მოქალაქე უნდა ყოფილიყო: მოურავს „ორი უნდა თუ სამი მოქალაქე, იმათ დასმენ და სამართალს მოქალაქენი იქმნენო“ (იქვე, § 2).

შეიძლება ქალაქის მოურავი სამართალში მარტო წევრადაც ყოფილიყო, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოკლებოდა ხოლმე, „მატონის ბრძანებით ქალაქის მოურავი და მდივანბეგი რომ სამართალში დასხდებიან“-ო (იქვე, § 3), მამასახლადამე, როცა სასამართლო მეფის ბრძანებით მოქმედობდა.

ყურადღების ღირსია რომ ერეკლე მეფე თავის 1784 წლის ბრძანებაში ქალაქი მოურავს ავალებდა „საბჰოდ ჯდომის“ დროს სამართლის თანასწორობა და მიუდგომლობა დაეცვა: „თავახსა და ზათრს წესიერსა და კანონიერს საქმეზედ ზურვის შეუნახავთ“-ო (საქართ. სიძველენი, III, 12).

„საბჰოდ ჯდომისათვის“ და მოსამართლეობისათვის, — თვითონ იღებდა მონაწილეობას „სამართლის ქმნაში“, თუ თავის წარმომადგენელსა ჰგზავნიდა, — ქალაქის მოურავს სარგო ჰქონდა გაჩენილი. ამ სარგოს „სამდივანბეგო“ ჰრქმევია და მისი რაოდენობაც მკაფიოდ განსაზღვრული იყო დებულებაში, სადაც ნათქვამია: „ამაში აქეს სარგო თუმანზედ სამდივანბეგო ხუთი აბაზი მოურავს და ამ სამდივანბეგოში კელი არა აქესთ მელიქ-მამასახლისს, ნაცვალს და ქედხუდებს“-ო (სქს სძვლნი, II, 523, § 1, 2). რაკი თუმანზედ 5 აბაზი ყოფილა, მამასახლადამე, „სამდივანბეგო“ 10 პროც. უდრიდა. ეს სარგო მოურავის განსაკუთრებული საკუთრება ყოფილა და დანარჩენი მოკლეები რომელნიც „ბკობა“-ში მოურავს ახლდენ, არავითარ სასყიდელს, არ იღებდენ. ჰქონდათ თუ არა რაიმე სარგო იმ 3-4 სარწმუნო მოქალაქეს, რომელნიც მოურავს „სამართლის ბკობაში“ თან ახლდენ, დებულებაში არაფერია ნათქვამი, მაგრამ ვგონებ რომ არა ჰქონიათ. ეს იმითი მტკიცდება, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოურავი თვით არ ინებებდა მოსამართლედ დაქდომას და საქმის გარჩევას იასაულსა და მოქალაქეთ მიანდობდა, „იქიდამაც თუმანზედ ხუთი აბაზი მოურავისა არის, რადგან მოურავი გაგზავნის ამისთვისო“ (იქვე, § 2).

მაშასადამე, ამ შემთხვევაშიაც-კი სარწმუნო მოქალაქეთა „სამართლის ქმნა“ უსასყიდლო ყოფილა. მით უმეტეს უსასყიდლო იქნებოდა მაშინ, როცა სასამართლოში თვით მოურავი ბრძანდებოდა. სამდივანბეგო მოურავის სრულ საყუთრებას არ შეადგენდა მხოლოდ მაშინ, როცა იგი მეფის ბრძანებით მდივანბეგებთან ერთად „სამართალში დასხდებოდენ“, მაშინ „რაც სამდივანბეგო შემოვა როგორც რიგი არის, მოურავი და მდივანბეგები ისრე გაიყოფენ“-ო (სქს სძვლნი, ტ. 2, გვ. 523, § 3). სამწუხაროდ არც თვით საბუთში, არც „დასტურლამალი“ არ არის განმარტებული სამდივანბეგოს განაწილების „რიგი“ მოსამართლეთა შორის, როცა სასამართლო მეფის ბრძანებით „საბუქოდ დაჭდებოდა“. ვიციით მხოლოდ რომ საზოგადოდ „ჯარიმა ბატონისა“ ესე იგი მეფისა იყო („დასტურლამალი“, 57).

ქალაქის მოურავი ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებას თვალ-ყურს ადევნებდა: აღებ-მიცემობა და მისი კანონიერი წარმოება მის ზედამხედველობის ქვეშ იყო. საქართველოს ქალაქებში სანოვაგესა, სურსათსა, ხილეულობასა და მაგარ სასმელებზე ბაზრულ ფასებს მთავრობა აწესებდა ხოლმე. ამგვარ გადაკვეთილ მტკიცე ფასებს „ნიხრი“ ეწოდებოდა. ეს სიტყვა სპარსულ ნიხრისაგან არის წარმომდგარი, რომელსაც იგივე მნიშვნელობა ჰქონდა. ნიხრით ეპტრობა სავალდებულო იყო აღებ-მიცემობის შემდეგ დარგების წარმომადგენლობისათვის: ყასპებისა (სქს სიძველენი, ტ. 2, 525, § 18), მეთევზეებისა (გელაქნურზე, იქვე, 22, განჯის ორაგულზე, იქვე, 22, ზუთხზე, 23, ხრამულზე და ფიჩხულზე, § 24), ბაყლებისა (ზეთისხილზე, იქვე, 28, განჯის ყურძენზე, იქვე, 26, ახალციხის და ახალქალაქის ხილზე, იქვე, § 30) და სირაქებისათვის (ღვინოზე, იქვე, ტ. 2, 525, § 19).

ქალაქში ნიხრის დაწესებაც, რომელსაც „ნიხრის მიცემა“ ერქვა, მოურავის უფლება და მოვალეობა იყო; დებულებაში პირდაპირ იყო ნათქვამი: „ნიხრი მიეცემა მოურავისაგან“-ო (სქს სძვლნი, ტ. 2, 525, § 18), ნიხრი მოურავმა უნდა მისცეს“-ო (იქვე, ტ. 2, 256, § 26). მხოლოდ ქ. გორში მის მოურავს, ამილახორს ნიხრთან საქმე არა ჰქონდა და ნიხრის მიცემა „ქედხუდებისა არის“-ო ნათქვამია ერეკლე მეფისადმი მირთმეულს გორელ ქედხუდების საჩივარში. კახეთსა და ქიზიყში „ნიხრი ეპტრისა“ თურმე ნაცეალს უნდა „გადაუქრა“ (კახეთ-ქიზიყის გამოსავლის გარიგება, (სქს სძვლნი, ტ. 3, 137).

ნიხრი ცვალებადი იყო: იმისდა მიხედვით თუ რამდენად ადვილად აიწევიდა იწევედა ხოლმე ამა თუ იმ საქონლის ფასი, ნიხრიც ზოგიერთ საგანზე უფრო კშირად იცვლებოდა.

საზოგადო წესი ბრძანებდა, რომ მოურავმა სამს თვეში ერთხელ უნდა ნიხრი მისცეს ქალაქსა-ო (იქვე, ტ. 2, 530, § 24), მაგრამ კორცის ნიხრი წელიწადში შეიძლება მრავალჯერ შეცვლილიყო: „წელიწადში რამდენჯერაც ნიხრი მიეცემა მოურავისაგან ყასპებს და მიემატება, თითოს მომატებაზედ ყასპებმა საერთოდ ნიხრანა“ უნდა გადაიკადონო (იქვე, ტ. 2, 525, § 18), ზოგს საქონელს როგორც მაგალითად ხილეულობასა და თევზეულობას, წელიწადში ერთხელ აქვს ხოლმე შემოსვლის დრო. ამიტომ ასეთ საგნების ნიხრი მაშინ უნდა დაწესებულყო, როცა ქალაქში შემოიტანდენ. დებულებაში სწერია,

რომ ესა და ეს საქონელი „ქალაქში რომ შემოვიდეს“, „მომტანთ მოურავი უნდა ნახონ, და ნიხრი მისცეს“-ო.

რაკი ყოველ ნიხრის მიცემისთვის მოურავს ვაჭრებისაგან ჭარკეველი, „ნიხრანა“-დ წოდებული, გადასაკადი უნდა მიეღო, ამიტომ რასაკვირველია, ქალაქის მოურავისათვის უკეთესი იყო თუ ნიხრი კშირად შეიცვლებოდა. ამას გარდა, რატგან დებულებაში ნათქვამი იყო რომ ნიხრის „თითოს მომატებაზედ ყასპებმა საერთოდ ნიხრანა... მოურავს უნდა მიახრთვან-ო“ (სქს სძელნი, 2, 525, § 18), ამიტომ სასყიდლის კშირად მიღების გულისათვის მოურავს შეეძლო ნიხრისთვის მოემატებინა ხოლმე. ამის გამო ალბად მოურავის ანგარების ასალაგმავად და მეჭრთამეობის შესაფერკებლად, სამართალი აწესებდა: „მოურავი ყოველს ნიხრზედ, თუ ბატონის ნაცვალს არ დაისწრებს, ქედხუდებს დაისწრებს ორსა და სამსაო“ (იქვე, 2, 526, § 24). მეორე საბუთში უფრო ვრცლად არის განმარტებული: მოურავმა „მელიქი, მამასახლისი, ნაცვალი და ქედხუდები უნდა დაისწრას და ისე უნდა მისცეს ნიხრი“-ო (იქვე, 530—531, § 24). ერთის სიტყვით მოურავს ნიხრის საქმე ჩუმად და საიდუმლოდ არ შეეძლო გაერიგებინა, არამედ ქალაქის დანარჩენ მოკვლეთა და პატივემულ მოქალაქეთა თანდასწრებით. რასაკვირველია, მოჭრთამეობა და ანგარების ჩადენა უფრო ძნელი იქნებოდა. მოურავს თვალყური უნდა ედევნებინა რომ ნიხრი არავის დაერღვია: ნიხრის მიცემის უკან რომელმაც ასნაფმა დააშაოს მოურავმა უნდა გადააქდევინოს“-ო, ნათქვამია დებულებაში (იქვე, ტ. 2, გვ. 531, § 24).

ვაჭარს მარტო ფასში არ შეეძლო მუშტრის მოტყუება. უფრო ძნელი შესატყობი იყო მისი ეშმაკობა, როცა ის მრუდე და ნაკლებიანს საწყყავ-საზომსა კმარობდა ხოლმე. ეს მოვალეობა მეფისა და მოურავის საგანგებო მოკვლევებს ჰქონდათ დაკისრებული. დებულება ბრძანებდა: „ბატონის ნაცვალი და მოურავის ნაცვალი ყოველთვის უნდა სინჯავდეს ლიტრას, აღლს, საწყყავს და ყოველსავე საწონს და გასაზომს და თუნგს, და რომელსაც ნაკლებობა და სიმრუდე შეამჩნდეს, ჯარიმა უნდა წაერთვას“-ო (იქვე, ტ. 2, გვ. 527). ორ მოხელეს მუდამ დღე ვაჭრების „საწყყავო“ და „საზომი“ უნდა ესინჯა, რომ სიმრუდე და ნაკლებობა არც ერთ სავაჭრო იარაღში არა ყოფილიყო. ამაზე განსაკუთრებით მოურავის ნაცვალს უნდა ეზრუნა, ამიტომაც იყო რომ დებულებაში ეწერა: „მოურავის ნაცვალი მუდამ ბაზარში უნდა დავიდოდეს და იჯდეს“-ო (იქვე, ტ. 2, 529, § 14).

მრუდე და ნაკლებიან იარაღის პატრონ ვაჭრებისათვის ნაცვლებს ჯარიმა უნდა წაერთმიათ (იქვე, ტ. 2, გვ. 527 და 530, §§ 37, 14).

ქალაქი მაშინაც აღებ-მიცემობისა და კელოსნობა-მრეწველობის დედაბუდე იყო, განსაკუთრებით იქა ჰქონდა მას ბინა მიჩენილი. რასაკვირველია, რადგან ჯერ ხანად უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებული საბუთებისა ეკლესიებსა და აზნაურთა გვარებს ეკუთვნის, ამიტომ ამ საგნის შესასწავლად ჯერ ძალიან ცოტა მასალები მოიპოვება, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენს კელთ არის ორი საუკეთესო წყარო „დასტურლამალი“ და „ქალაქის მოურავის სარგო“-ს დებულება. ორსავე საბუთებში ძვირფასი ცნობები მოიპოვება. აღებ-მიცე-

შობა ქალაქში ერთის მკრით ადგილობრივ ნაწარმოებებით იკვებებოდა, მაგრამ მის დიდ ნაწილს მაინც გარეთგან შემოტანილი საქონელი შეადგენდა.

ქალაქ ტფილისის ექვსი კარი ჰქონდა (იხ. ქალაქის მოურავის სარგო § 4, სქს სძვლნი, ტ. 2, 523): ერთს ერქვა „აბანოს კარი“, მეორეს „განჯის კარი“ (იქვე, ტ. 2, გვ. 523, § 5), მესამეს „დიღმის კარი“, მეოთხეს „კოჯრის კარი“, (იქვე ტ. 2, 524, § 7), მეხუთეს „წყალყინის კარი“ (იქვე, 524, § 7), მეექვსის სახელი კი მოცსენებული არ არის.

ბატონიშვილი ვახუშტი თავის გეოგრაფიაში ამბობს, რომ „სოლალაყის კევის კარს უწოდებენ განჯის კარად“-ო (ბროსეს გამოცემა, ჯანაშვილის გამოცემა, გვ. 70). ამასთანავე აღნიშნული აქვს, რომ „კალა მოზღუდა მეორე შააბაზ პირველ შემუსვრილი; სამკრით მოავლო სოლალაყის კლდეზედ, დასავლეთ ქმნეს ორი კარი, ჩრდილოთ ორი კარი“-ო (იქვე, გვ. 72). ყოველგვარი საქონელი ტფილისში ქალაქის ექვსისავე კარებით შემოჰქონდათ (ქ. მოურავის გარიგება, § 4, სქს სძვლნი, II, 523). მხოლოდ შეშა შემოდიოდა როგორცა ჩანს მხოლოდ სამ კარით — დიღმის, კოჯრისა და წყალყინის კარებთან (იქვე, 524, § 7), ალბად იმიტომ რომ, სწორედ იქით მკრისაკენ მოიპოვებოდა მახლობლად ტყიანი ადგილები.

როგორც შარდენის ცნობებითგანა ჩანს, ქალაქ გორსა და ტფილისში ყველაფერი რაც კი ადამიანისთვის საჭირო იყო იშოვებოდა და გაჩაღებულ ალებ-მიცემობა სუფევდა. „დასტურლამალსა“ და „ქალაქის მოურავის სარგო“-ში ვაჭრობისა და კელოსნობის შემდეგი დარგების წარმომადგენლები არიან მოცსენებულნი: მეპურეები (საქართ. სიძ., II, 528, § 43), ყასპები (იქვე, II, 524, §§ 10, 15, 18, 43), ბაჰყლები (იქვე, 524, § 11, 13; 528, § 43), მეთევზეები (დასტურლამალი, 40, 126), სირაჭები (სქს სძვლნი, ტ. 2, 524 § 19 და 528, § 43), მეწვრიღმანეები (იქვე, 528, § 43), ბაზაზები (იქვე, 527, §§ 34, 35), მკუპრავები (იქვე, 528, § 42), საზანდრები (დასტურ., 68), მღებრები (დასტ., 125). ტფილისის 1781—1782 წ. აღწერის დაეთრის ერთ ნაწყვეტში მარტო ნაზარბეგიათ ქარვასლაში მყოფად დასახელებულია: 2 სარაჯი, 1 მესატევრე, 2 ოქრომქედელი, 1 მეჩახხახე, 1 მქედელი, 1 მკალავი, 2 მქევაბე, 2 ნალბანდი, 1 დაბალი, 2 ჭონი, 1 ხარაზი, 1 მეწულე, 7 ფეიქარი, 1 მკერვალი, 1 ქურქჩი, 2 ბაზაზი, 1 მჩითაეი, 2 მეწისქვილე, 1 ხაბაზი, 1 მეფურნე, 1 მზარეული, 2 გალატოზი, 1 ხურო, 1 ქვის მკრელი, 2 მესანთლე, 1 მეზეთე, 1 მეურმე, 1 ჩორვადარი, 1 მექორე, 1 მენახირე, 1 დალაქი, 1 მეაბანოე, 2 ვაჭარი, 1 ბაყალბაში, 2 ბაყალი, 1 ჩარჩი, 1 მუშა და სხვანი.

ამის გარდა კელოსნების სხვა დარგების წარმომადგენლებიც უნდა ყოფილიყვნენ და იყვნენ კიდევ. ვაჭრებსა და კელოსნებს საქართველოში თავიანთი კავშირი ჰქონდათ, რასაც ეხლა „ამქარი“ ეწოდება, ხოლო მაშინ „ასნაფი“ ერქვა (დასტურლამალი, 24, 64; სქს სძვლნი, 2, 524, § 10, 12, 528, § 43), გორელ ქედხუდების საჩივარი ერეკლე II-სადმი. როგორც დასტურლამალითგან ჩანს „ასნაფი“ ერთისა და იმავე კელობის კაცთა ჯგუფს და წრეს ეწოდებოდა. სიტყვა ასნაფი არაბულია და იქაც ჯგუფებს, წრეებს, ამქრებს ნიშნავს. იგი შრავლობითი რიცხვია, ხოლო მხოლობითი რიცხვი „სინფ“ კე-

ლოსანსა და ამქარს ნიშნავს. ქართულად, მაშასადამე, თუმცა ამ სიტყვის მრავლობითი რიცხვია შეთვისებული, მაგრამ მხოლოდით რიცხვის მნიშვნელობა მიუღია და ამქარს გარდა ამქრის წევრსაც, კელოსანს და ვაქარსაც ეწოდებოდა (სქს სძვლნი, 2, 528). როგორც დასტურლამალითგანა ჩანს ამქარს ქართულად აგრედვე „თაბუნი“ ერქვა: ასნაფი და თაბუნი დასტურლამალში ერთი-მეორის მაგიერ იქმარება, მაგ. § 115-ს სათაურად აქეს „სალაროს ნაზირისა და მისის ასნაფებისათვის“, ხოლო შემდგომ მისდევს: „არის სალაროს ნაზირის სახელოდა თაბუნი კაცნი“-ო.

ქალაქებში ასნაფებს რასაკვირველია იქ ექმნებოდათ ბინა და საცელო-სნოები, სადაც ყველა სხვა სავაჭრო დაწესებულებანიც იყვნენ შეჭვუფულნი, ბაზარში. გორელი ქედხუდების საჩივართგან ნათლად ჩანს, რომ გორშიც ასნაფები ბაზარში მდგარან.

თვითეულ ღარგის ყველა ვაქრები და კელოსნები ერთს კავშირს ეკუთვნოდენ, ერთს ასნაფს შეადგენდენ. საბუდნიეროდ ჩვენ ასნაფების აგებულების ცნობებიც მოგვეპოვება: ასნაფის სათავეში „უსტაბაში“ მდგარა. ეს სიტყვა სპარსულ-თურქულია (უსტა—მასწავლებელი, ოსტატი, ბაში—თავი). იმ ასნაფის სახელის მიხედვით, რომლის მოთავედაც იგი ითვლებოდა, მას აგრედვე ან „სირაჯბაში“ (იქვე, ტ. 2, 525, § 20), ან „ბაჰყალბაში“ (იქვე), ან „საზანდარბაში (დასტურლამალი, 68) და სხვანაირად ეწოდებოდა. დასტურლამალში „მეთევზეების უფროსი“ და „მღებართუხუცესი“ უც არის დასახელებული, მაგრამ ნათლად არა ჩანს, უსტაბაში იყო თუ არა იგი.

საფიქრებელია რომ ძველად მაინც ეს ორი სახელი სწორედ უსტაბაშობის ქართული სახელწოდება უნდა ყოფილიყო და ალბად ბაჰყალბაშისა და სხვა ამის მსგავს სახელების მაგიერ ბაჰყალთ უხუცესი ან უფროსი იქნებოდა.

ასნაფის თვითეული წევრი ამქრის, ამხანაგობისა და უსტაბაშის სასარგებლოდ გადაკვეთილს წვლილს იკლდა (საქარ. სიძე., ტ. 2, 528, § 43). საზოგადო, საამქრო საქმეების გარჩევა-გადაწყვეტა თვით „ასნაფზე“ იყო დამოკიდებული, უსტაბაშსა და ასნაფის წევრებზე, კელოსან ვაქართა საზოგადო კრებაზე. ეს იქითგანა ჩანს, რომ დებულებაში პირდაპირ არის აღნიშნული საამქრო გადასაკადისაგან განთავისუფლებული „უნდა იყოს გათარხნებული უსტაბაშისა და მეწვრილმანეებისაგან“ როცა გასათარხნებული მეწვრილმანე იყო, საზოგადოდ კი თვითეული „ასნაფებისაგან შეღვათ-ნაქნარი და განთავისუფლებული უნდა იყოს“ (საქ. სიძ., ტ. 2, 528, § 43). უმეტეს შემთხვევაში სხვადასხვა სამოურაო სარგოსაც ამქარი ანუ ასნაფი „საერთოდ“ (საქ. სიძ., ტ. 2, გვ. 525, § 18, 19) იკლდა, როგორც ერთი დაწესებულება (საქ. სიძ., ტ. 2, გვ. 524, § 10, 11, 12, 13; 525, § 14, 18, 19). უსტაბაში ასნაფის თავი და წარმომადგენელი იყო მთავრობის წინაშე და განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა მთელი ამქარი რაიმე დღესასწაულში მონაწილეობას იღებდა, იგი თავის ასნაფს წინამძღვრობდა. დებულებაში მაგალითად ნათქვამია, რომ როცა დიდი ხნის „სხვაგან“ სადმე წასული ქალაქის მოურავი ქალაქში დაბრუნდებოდა, მას ასნაფები მიეგებნონო, „სირაჯბაში

სირაჯებს უნდა მიუძღვეს და მოურავს ტიკით ღვინო უნდა მოართვან, აგრეთვე ბაჰყალბაშმა ხილი უნდა მოართვან“-ო (საქ. სიძ., ტ. 2, გვ. 525, § 20).

მრეწველობა და ვაჭრობა დაბუღებული იყო ქარხანასა და ღუქანში. „ქარხანა“ (დასტურლამალი, 24, 34, 40, 41, 54, 55, 62, 64, 84, 124, 127) სპარსული სიტყვაა და ნიშნავს საკელოსნო სახლს, დაწესებულებას, სადაც გასაყიდავ საქონელს ამზადებდნენ. ქართულად ამ სიტყვას ფართო მნიშვნელობა ჰქონდა: „ქარხანას“ ეძახდნენ ყველა საწყობსა და დაწესებულებას, რომელიც ამა-თუ იმ საქმისა ან კელობისათვის იყო, მაგ. დასტურლამალში სამეფო სამზარეულოს „ქარხანა“ (გვ. 34) ეწოდება, ამგვარადვე სამეფინიბოსაც „ქარხანა“ ერქვა (იქვე, 40, 41), სამეფოს შემოსავლის კოდის პურის საწყობსაც (იქვე, 54, 55), შემოსულ ფეშქაშის შესანახავს ადგილსაც (იქვე, 84. „ფეშქაშის ქარხანა“), იმ დაწესებულებასაც, სადაც ინახებოდა ალებული ჯარიმა („ჯარიმა ნაცვალმა უნდა აილოს და ბატონის ქარხანაში მიაბაროს“, იქვე, 124) და სალაროს, სადაც ფული ინახებოდა („მეთევზის უფროსს ორი თუმანი ქარხნიდამ უნდა მიეცეს“-ო, იქვე, 124).

ერთი სიტყვით ქარხანად ყოველგვარი, როგორც კერძო ისე სამეფო, საქმურნეო-სამრეწველო დაწესებულება იწოდებოდა. ქარხანა საზოგადო სახელწოდება იყო. ხოლო იმისდა მიხედვით, თუ მრეწველობის რომელ დარგს აწარმოებდა, იწოდებოდა ან „ყასაბხანა“-დ (დასტურლამალი, 24), როცა საქონლის დაკვლა ჰქონდა საქმედ, — ან „დაბალხანა“-დ (იქვე, 92), როცა ტყავის გამოყვანა აქვს საგნად, — ან „ქუზიხანა“-დ (იქვე, 124), ან „ქურკლის ქურახანა“-დ (საქ. სიძ., 527, § 34, 35), როცა ქურკლის გაკეთებას მისდევდნენ. ყველა ზემომოყვანილი სიტყვები სპარსულითგან არიან შემოღებული და ორ-ნაწილელი აგებულება აქვთ. მეორე ნაწილი ყოველთვის „ხანა“-ა. იგივე რაც „ქარხანაშია და ჰნიშნავს სახლს, ხოლო პირველი ნაწილი კელობის იმ დარგს აღნიშნავს, რომელსაც იგი მისდევს: ყასაბხანა (მესაკლავეთა სახლი), დაბალ-ხანა (ტყავის მკეთებელთა სახლი), ქუზი-ხანა (კოკების, ქურკლის ქარხანა, სახლი), აუშ-ხანა (საქმლის სახლი, სასადილო). ზოგიერთ ქარხანას ქართული სახელიც ჰქონდა, მაგალითად „სამღებრო“ (დასტურლამალი, 125). ვახტანგ მეექვსის დროს ზოგიერთი ქარხნები მეფის განსაკუთრებული საკუთრება იყო, მაგ. ყველა სამღებროები და ქუზიხანა (დასტ., 124, 125). მათთვის განსაკუთრებული „ქარხნის სახლები“ (იქვე, 124) არსებობდა და თუ ეს შენობა დაზიანდებოდა და შეკეთება საჭირო იყო „კედელი, თუ გადაღესვა მსუბუქი“ (იქვე, 124) მოქალაქეთა მოვალეობად ითვლებოდა.

ქარხნის მოსამსახურეებს მაშინ „ქარხნის კაცებს“ ეძახდნენ (დასტ., 24).

სავაჭრო შენობას „ღუქანი“ (საქ. სიძველენი, ტ. 2, გვ. 525, § 15) ეწოდებოდა, მაგ. ქ. მოურავის სარგოში ნათქვამია: „ყასაბებმა, რაც ღუქანი არის, ღუქანზედ მოურავს გადასახადი უნდა მიართვან“-ო. ღუქანი სპარსული სიტყვაა და სპარსულშიც იგივე მნიშვნელობა აქვს.

ღუქანში „დაჯგები“ იდგა. ქ. მოურავის სარგოს დებულებაში მაგ. სწერია: „ყასაბებმა, რაც ღუქანი არის, ღუქანზედ მოურავს 3 ლიტრა ქონი უნდა მიართვან... თხის ქონი; ღორის ქონი ერთს დაჯგაზედ რამდენიც ამხანაგი არიან

კაცის თავს 3 ლიტრა ქონი უნდა გამოერთვას მოურავისთვის, ის ქონი კაცის თავზედ აიღება და არა დაზგაზედ. დაზგაზედ ღორისა... აღებაში მოურავისათვის ერთი მხარი და ერთი ბარკალი უნდა მოიკრიფოს“-ო (საქარ. სიძველენი, II, 525, § 15—17). მაშასადამე, ღუქანში დაზგები იღვა. „დაზგა“ სპარსული სიტყვაა („დაზგა“) და იქ საველოსნო იარაღს, საველოსნო მაგიდას, საფეიქრო მანქანას და თვით მალაზიასაცა კნიშნავს.

როგორც ზემო მოყვანილ მაგალითითგანა ჩანს, ქართულში დაზგა სავაქრო და სამრეწველო დახლსა ჰქმევია, იგი თითქოს თვით ვაჭრობისა და მრეწველობის სიმბოლო ყოფილა.

საქმის წარმოება და თვით საქმე შეიძლებოდა ერთი კაცის საკუთრება ყოფილიყო, ან რამდენსამე კაცს ერთადა ჰქონოდა, მაშინ ისინი „ამხანაგებად“ (იქვე, II, 525, § 16) ითვლებოდნენ. შეიძლებოდა, მაშასადამე, „ერთს დაზგაზედ რამდენნიმე ამხანაგნი“ ყოფილიყვნენ.

ზემოაღნიშნულის გარდა სხვა კიდევ ბევრი ცნობებია გაფანტული ძველ ქართულ წყაროებში. ამ მასალებს წყალობით სხვათა შორის ისეთ საყურადღებო საკითხის გამორკვევაც კი შეიძლება, თუ რადარა და რამდენი საქონელი, სანოვაგე, ან სხვაგვარი საქმარი შემოჰქონდათ ხოლმე ყოველწლიურად ჩვენს დედა-ქალაქში. მაგრამ ეს მონოგრაფიული გამოკვლევა ეურნალისათვის ისედაც დიდი გამოვიდა და რაკი ამ საკითხის გამორკვევისათვის რთული გამონაგარიშებაცაა საჭირო, ამიტომ მას აქ აღარ შევეხებით.

თანამედროვე საქალაქო თვითმმართველობის ორგანოთა მთავარი დანიშნულება და სამოქმედო მიზანი ქალაქისა და მის მცხოვრებთა კეთილდღეობაზე და მშვიდობიან ცხოვრებაზე ზრუნვა შეადგენს. მაგრამ ამას გარდა ისინი მოვალენი არიან ყოველი ღონისძიება იქმარონ, რომ ცხოვრებისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგე და სხვაგვარი საქმარი ქალაქში ბლომად მოიპოვებოდეს და პირიან ფასადაც იყიდებოდეს, ამასთანავე ფხიზლად თვალ-ყური ადევნონ, რომ საწყაე-საზომების სიმრუდითა და ნაკლებობით ვაჭრებმა მოქალაქეთა ჯიბეები არ შეათხელონ. ამ ჩვენი გამოკვლევის გულდასმით გადამკითხელისათვის იმედია ცხადი გაქდება ჯერ ერთი ის, რომ ეს მიზანი და მოვალეობა ძველ საქართველოშიაც კარგად გათვალისწინებული და შეგნებული ქონიათ და ქალაქის მმართველთ აუცილებელ ვალადა ჰქონდათ დაკისრებული, ხოლო მეორეც ის, თუ რაოდენად შემცდარია გაბატონებული აზრი, ვითომც საქალაქო მართვა-გამგეობის წესწყობილება ჩვენში პირველად რუსეთის მთავრობას შემოეღოს. ყველა ზემონათქვამითგან ვგონებ აშკარა უნდა იყოს, რომ ძველ საქართველოში მართვა-გამგეობის ეს დარგიც საკმაოდ შემუშავებული იყო და რომ საქალაქო თვითმმართველობის ჩანასახი უკვე მაშინაც არსებობდა.



# ს ა ძ ი ე ზ ლ ე გ ი <sup>1</sup>

## ა) კირთა

- აბაშიძე დავით, სახლთუხუცესი 55  
 აბესაძე გ. 361, 364, 414  
 აბუ ზეად ბაღი 137  
 აბუ ისხაკ ელ-ფარსი ელ-ისტარი 134, 135  
 აბულასადი 345  
 აბულაძე იუსტინე 223, 264  
 აბულ ყასიმ ობეად ალაჰ ბენ ქურდადი 137  
 აბუსაადი 137  
 ადარლინდი 397  
 ავაქ 42  
 ავაქ ფეიქარი, ორბელიანის ყმა 43  
 ათაბეგოვა ა. 349, 412, 413, 426, 434  
 ათანასე ტფილელი, ამილახერის შვილი 122, 123  
 აკოფაშვილი გურგენა 58  
 ალ-ბაღი 134  
 ალექსანდრე (იპერთა მეფე) 146  
 ალექსი მიხეილის ძე (რუსთა მეფე) 146  
 ალიშანი 408, 409, 420  
 ამ-ტუნი სსაკე 257, 258, 261, 267, 270, 271, 416, 420  
 ამბროზიო კონტარინი (იტალიელი მოგზაური) 140, 188  
 ამილახვარი გოგია 55  
 ანილახვარი იესე 55  
 ამილახვარი ნინია 55  
 ამილახვარი ქაიხოსრო 55  
 ამილახერიშვილი ნინია 55  
 ამილახერიშვილი ოთარ 55  
 ამირეჯიბი 32  
 ამირეჯიბი დავით 55  
 ამირეჯიბი ზაზა 55, 56  
 ამირეჯიბი მზექაბუძე 55  
 ამირეჯიბი რამინ 161  
 ანტონოვი ტოხი (დესპანი) 145  
 ანჯიოლელლო მარია 140  
 ანეტი 283  
 აპოლონიოს როდოსელი 283  
 არამი (თეადი) 145  
 არასხანიანცი ა. 258, 259  
 არისტოტელე 387  
 არაპოქსაე (ტარგიტას ძე) 284  
 არსენ ივალთოელი 292, 293, 305  
 არსენი (რომელმაც აღწერა ცხ. ი. ზედაზნე-ლისა) 161  
 არქანჯელო ლამბერტი 141, 163, 183, 193, 194, 231, 253, 381, 383, 402, 432  
 არღუნი 24  
 ასურელი მამანი 292  
 ატას შვილი ატა 51  
 ატას შვილი გელოა 51  
 ალა-შაჰმად-ხანი 143  
 აქარიანი ჯ. 237, 241—243, 246, 250  
 აჰმედ ელ-ბაღი 117  
 ბაგრატ III 120  
 ბაგრატ IV 120, 151, 153, 163, 164  
 ბაგრატ (აბხაზთა მეფე) 117  
 ბაგრატ (აბხაზთა მეფე და კერაპლატი) 119, 120  
 ზაგრატ (გიორგი XI-ის ძე) 30  
 ბაგრატ ბატონიშვილი 145  
 ბაზაქეები 103, 104  
 ბაინდურა (აზნაურიშვილი) 37  
 ბაინდურა საზვერელის ყმა 37  
 ბარამიძე ალ. 178  
 ბარნოვი ე. 141  
 ბარტელსი ად. 251  
 ბარტოლდი (ავად.) 134, 136  
 ბასილი (ბერძენთა მეფე) 119  
 ბასილი II ბულგაროკრონოსი 120  
 ბასილი ეზოს-მოდღარი 170  
 ბასილი ზარზმელი 154, 161  
 ბატონიშვილი ბაგრატ იხ. ბაგრატ ბატონიშვილი  
 ბატონიშვილი ბაქარ იხ. ბაქარ ბატონიშვილი  
 ბატონიშვილი გიორგი იხ. გიორგი ბატონიშვილი  
 ბატონიშვილი დომენტი იხ. დომენტი ბატონი-შვილი  
 ბატონიშვილი ვახუშტი იხ. ვახუშტი ბატონი-შვილი  
 ბატონიშვილი იოანე იხ. იოანე ბატონიშვილი  
 ბატონიშვილი იულონ იხ. იულონ ბატონიშვი-ლი  
 ბატონიშვილი ლევან იხ. ლევან ბატონიშვილი  
 ბატონიშვილი ლეონ იხ. ლეონ ბატონიშვილი

<sup>1</sup> შეადგინა მ. ი. ნ. ა. ს. ა. რ. ი. ძ. მ.

ბატონიშვილი ლუარსაბ იხ. ლუარსაბ ბატონი-  
შვილი

ბატონიშვილი სოლომონ იხ. სოლომონ ბატონი-  
შვილი

ბაქარ ბატონიშვილი 154, 158, 169, 177, 236,  
303

ბაქრაძე დიმიტრი 119

ბახტაძე ილ. 219, 348, 351, 353, 385

ბეგიჩივი კ. 147

ბელლიო ე. 142, 183

ბელაუროვი სერგი 144, 145, 185

ბეუან მერაქიფე 129

ბეიტასიშვილი გურგენა 29

ბეიტასიშვილი დათუნა 29

ბეიტასიშვილი პაატა (დათუნას ძმა) 29

ბერბიკაშვილი მიხა 215

ბერის შვილი ბერი 48

ბერის შვილი გიორგი 48

ბერის შვილი მახარებელი 48

ბერიშვილი სულხან 37

ბერიძე ე. 233—235

ბერძენიშვილი ნ. 116, 117

ბიბილასიშვილი ბერი 48

ბიბილასიშვილი გიორგი 48

ბიკინი როდიონ (დესპანი) 145

ბოჭორიძე გ. 64

ბრაუნი 421

ბრეგაძეები 103, 104

ბროსე მარი 110, 119, 133, 144

ბულასიშვილი ეფეზია 51

ბულასიშვილი ისე 51

ბულაშვილი დავით 51

ბულაშვილი ისე 51

ბურნაშვილი (დესპანი) 147

ბუხუღიშვილი სიმონ 93

ბაბაძე მართა 215, 346

გაბრიელ მოძღვარი 365

გაშახტრია კ. 217

გარსევან მეთათარი 37

გარსევან მეთათარის ყმა 37

გარსევანიშვილი დიმიტრი, იგივე ტეტია 44—48

გარსევანიშვილი მგალობელი ტეტია 44

გარსევანიშვილი ტეტია 46—49

გელიაშვილი ბიძია 51

გელიაშვილი გელა 51

გელიაშვილი ისე 51

გელიაშვილი პაპუა 51

გელიაშვილი შიო 51

გულდენშტედტი იოჰანს ანტონ 142, 143, 181,

185—188, 190, 207, 212, 217, 219, 237,

252—255, 258, 259, 309, 348, 353, 360—

362, 364, 366, 372—375, 380, 382, 384,

385, 391, 414, 418, 426, 436

გივისიშვილი ლომნია 51

გიორგი ბატონიშვილი 58, 82

გიორგი ბრწყინვალე 138

გიორგი მაგისტროსი 118

გიორგი მერჩული 158, 159, 162, 164, 166, 292,  
304, 345, 352, 364, 384

გიორგი მთაწმინდელი 119, 163, 164, 170, 230,  
231, 278, 301, 339, 348

გიორგი მონაზონი 240, 257, 292, 305

გიორგი ზუცესმონაზონი 151, 163, 164, 170,

გიორგი ჩორჩანელი 153, 154

გიორგი (წმ.) 111

გიორგი (მოღარეთ-შიგამდეგი) 129

გიორგი (ლაერის მამასახლისი) 394

გიორგი მეფე 57

გიორგი I 120

გიორგი XI 30

გიორგი III 80, 81, 164

გიორგი მეფე (იმერეთის მეფის ბაგრატის ძე)  
110—112, 152, 159

გიორგოშვიანი ნუცა 110

გმელინი 142

გოგილასიშვილი ბერი 35

გოგილასიშვილი ზურაბ 35

გოგილასიშვილი ოთარ 35

გოგილასიშვილი ოსია 35

გოგლიძე ნიკო 218, 374, 375, 377

გოლეთიანი ცქვიტია 111

გორგაძე ს. 166

გორგოჩანიძე ფარსადან 339, 381, 383, 396

გორჩასა მდივანი 37, 42

გორჩასა მდივნის ყმა 37, 42

გრიგოლ ხანძთელი 159, 164, 165, 293, 304,  
327, 352, 354, 365, 384

გრიგოლი (სამთავენელი ეპისკოპოსი) 82

გულაბერიძე ნ. 294, 295

გურამიშვილი დ. 178, 179, 298, 302, 346

შადიანი ლევან 145

დადიანი ლეონ 100

დავით აღმაშენებელი 24, 25, 151, 163, 164,  
167, 168, 172, 301, 303

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 24, 163,  
168, 303

დავით (ბოჭალთ-ხუცესი) 27, 29

დავით ბეზიერთუხუცესი 37

დავით გარეჯელი 292, 293, 303, 305, 319

დავით მეფე 138

დავით-ნარინი 345, 384, 385, 388

დავით სარდალი იხ. ციციშვილი დავით

დავითა (მელქიას ძმა) 58

დავითი 24

დავითაშვილები 32, 56

დანიელი (შაპ-ნავახის კარის წინამძღვარი) 84

დანიელი (ბიბ.) 297

- დარჩია 123  
 დე-გუე 134  
 დეკანოზის შვილი დავით 50  
 დეკანოზის შვილი ზაქარია 50  
 დეკანოზის შვილი ფილიპე (sic) 50  
 დეკანოზის შვილი შიო 50  
 დეკარტელები ლ. 359, 361, 364, 371, 373,  
 374, 379, 386, 387, 389—391, 413—415  
 დემეტრე მდივანბეგი 37  
 დე-ტურნეფორი პ 141  
 დემნა 80  
 დე-მორგანი 393, 396  
 დოლბანდელი არუთონ 57  
 დოლენჩიშვილი ანნა 130  
 დოლენჩიშვილი იოანე 130  
 დომენტი ბატონიშვილი (კათალიკოზი) 85—87,  
 90  
 დომენტი (საქართველოს პატრიარქი) 122  
 დორნი 134—137  
 მგროსი 284  
 გზეიელი (ბიბ.) 237  
 ელენე (ქსნის ერისთავის დავითის ასული) 285  
 ელიანი 436  
 ელიზბარი (მოღარეთხუცესი) 53  
 ელიზბარიშვილი 30  
 ელიზინი თუქლოტე (დესპანი) 145, 185, 399  
 ემინ-ელ-დინ-ნაზარი (ჰამდალამ ყაზვინის შაჰა)  
 136  
 ენდრონიკაშვილი გორკასპი 37  
 ენდრონიკაშვილი ქაიხოსრო 37  
 ეპიფანე ბერი 345  
 ერეკლე I 25  
 ერეკლე II 43, 44, 56, 59, 68, 76, 78, 79, 123,  
 142, 143  
 ერისთავი რ. 287, 375, 380, 385, 391, 392, 416  
 ერისთავი შალვა 82  
 ერკერტი 179  
 ესაია (ბიბ.) 154, 156, 158—160, 169, 172, 173,  
 176, 181, 291, 296, 297, 299, 304, 339, 345,  
 357, 372, 384, 403  
 ესიტაშვილი დათუნა 37  
 ეტყვანე (ქართლის კათალიკოზი) 81  
 ეფთვმე მთაწმიდელი 119  
 ეფრემ მციკრე 173, 174  
 ეშკილასბაშის გიორგის ყმა 37  
 შვეილოვი ნ. 348, 409, 412, 424, 425  
 ვარდანი 261  
 ვარდაპეტი გრიგოლ 270  
 ვარარონი 402, 410  
 ვახტანგ VI 25, 26, 38, 59, 71, 72, 75, 78, 289,  
 372, 399  
 ვახუშტი ბატონიშვილი 39, 133, 134, 293, 205—  
 207, 310—332, 341, 344, 371, 381—383,  
 389, 394, 396, 441  
 ვერგილიუსი 248  
 ვერმიშევი ქრ. 213—215, 257, 262, 277  
 ვსევოლოდსკი ი. (დესპანი) 145  
 ზაალ არაგვის ერისთავი 85  
 ზაალ მერაბიძე 129  
 ზაალ სუფთაყი 37  
 ზანდუკელი მ. 386  
 ზაქარია 152, 156  
 ზაქარია ბენ მუჰამედ ელ-ყაზვინი 134, 135  
 ზაქარია ელიბილი 58  
 ზაქარას შვილი ბერი 51  
 ზაქხე (დესპანი) 145  
 ზახარაფევი პავლე (დესპანი) 145  
 ზედგინიძე იესე (მერიტიფეთ-უხუცესი) 128  
 ზელინსკი ს. 257—259, 267  
 ზენიგოროდსკი სიმონ (დესპანი) 145, 146  
 შამამიშვილი ბაღდასარ 57  
 შამარაშვილი მ. 141, 142  
 შამარის მეორე ისტორიკოსი 170  
 შამარ მეფე 164, 170  
 შაქთაშვილი იოანე 54  
 შაყაიშვილი ე. 29, 30, 34, 35, 38—40, 43, 76,  
 78, 79, 91—93, 96—98, 104, 105, 172  
 თეორ გიორგი 282  
 თეიმურაზ I 42, 146  
 თეიმურაზ II 42, 76, 123  
 თეიმურაზ ბატონიშვილი 37, 38  
 თეიმურაზის ყმა 37  
 თეოფრასტე 382, 402  
 თოფურია ვარლამ 355  
 თუმანიანი მ. 408, 409, 419, 420  
 თუმანიშვილი გივი (მდივან-მწიგნობარი) 39, 40  
 თუმანიშვილი გორკასპი 44  
 თუმანიშვილი მანუჩარ (მდივან-მწიგნობარი)  
 42—44  
 თუმანიშვილი შიომ (მდივან-მწიგნობარი) 38  
 იაკობი (დიდი მონასტრის დეკანოზი) 388  
 იაკობ ხუცესი 166, 377, 437  
 იეველი ალექსი (დესპანი) 146, 185  
 იერემია 154, 160, 400, 404  
 იესო ქრისტე 176  
 ივანაშვილი ივანე 29  
 ივანოვი ანდ. (დესპანი) 145  
 ივოვი პეტრე (დესპანი) 145  
 ილურიძე გივი ნიკოლოზის შვილი 48  
 ილურიძე გიორგი ბიბილას შვილი 48  
 ილურიძე გიორგი ქიტას შვილი 48

ილერიძე ივანე აბრამის შვილი 48  
ილერიძე იოსებ ნიკოლოზის შვილი 48  
ილერიძე კეკელია ნიკოლოზის შვილი 48  
ილერიძე ოქროპირ აბრამის შვილი 48  
ილერიძე სიხარულ აბრამის შვილი 48.  
ილერიძე სოსო აბრამის შვილი 48  
იშნაძე ბერი 52  
იშნაძე ქრისტეფორე 52  
იოაკიმე (მღვდელი) 145  
იოანე ბატონიშვილი 72, 414  
იოანე ბონელი 439, 440  
იოანე ბუქაძის ძე 118  
იოანე ზედანელი 170, 176  
იოანე შოაწმიდელი 118, 119  
იოანე შწიგნობარო-უხეცესი 117  
იოანე რუსეთელი 117  
იოანე საბანის ძე 295—297, 304  
იოანე ლეასშვილი 172  
იოანე შავთელი 178, 304  
იოანე, სახლო-უხეცესი ზურაბის ძმა 130  
იობი 154, 170, 290, 298, 300, 372  
იოეელი 158, 348, 429  
იოსება ბარბარი (იტალიელი მოგზაური) 140, 368  
იოსებ კეკელია 255  
ირაკლი იხ. ერეკლე II  
ირასე ფერათფადად-ყოფილი 117  
ისე წილენელი 87  
ისო ნავი 158  
ისტაპრი 134, 135  
იულონ ბატონიშვილი 58

ქაჯაბაძე ს. 97—99, 101—107, 110, 111, 115, 122, 223  
კალანდაძე 104  
კარიჭაშვილი დავით 223, 385  
კარლოს დიდი 249  
კასპარიანი ა. 386, 387, 389, 390  
კასტალია ქრისტეფორე (იტალიელი მხატვარი) 141, 142, 183, 184, 188, 208, 212, 218  
კატონი 410  
კაცაძე მაშისთვალა 104  
კახა გეპუტრქულთ-უხეცესი 172  
კახოსი 264  
კეცხოველი ვანი 216  
კეცხოველი ნ. 216, 217, 349, 350, 354, 355, 357, 363, 367, 368, 372, 373, 375, 379, 392, 406, 412—414, 417, 418, 426

კვირიკე ბერძენი 173, 174  
კვირიკე მეფე (კვრიკე) 120, 151  
კიკორაძე 95, 96  
კილ-ჩი 259  
კირილე, ძე რადტი ერისთავთ-ერისთავისა 121  
კირილე ხუცესმონაზონი 145  
კინტარინი 368

კირიონ ეპისკოპოსი 91  
კლაპროთი 143, 187, 188, 190, 198, 210, 212, 226, 255, 258, 259, 264, 268, 289, 346, 348, 372, 382, 385, 390, 401, 418, 421, 422, 437, 438  
კლიშვილი დავით 53  
კლუჩარევი (დესპანი) 146, 185  
კოლაქსაი ტარგიტაძის ძე 284, 285  
კოლუმელა 397, 398, 403, 408, 410, 427, 437, 440  
კონსტანტინე VIII, ბერძენთა მეფე 119, 120  
კონსტანტინე ქრისტეშა 93  
კუდრინი ტომ. (დესპანი) 145  
კუქუხიძეები 103  
კუქუხიძე მახუა 103  
კუქუხიძე შიქელა 103  
კუქუხიძე ზაქარია 103  
კუქუხიძე ივანე 103  
კუქუხიძე წყალობა 103  
კუქუხიძე ხახუტა 103  
კუხოსი 284  
კუძრეხაძეები 99

ლაშბერტი არქანჯელო 388  
ლატოშვილი 162, 284  
ლევანი 145  
ლევან ბატონიშვილი, ლეონ ბატონიშვილი 48, 59, 82  
ლეზერი პ. 190, 191  
ლეონიძე გიორგი 175  
ლეონიძე ლევან 218, 281  
ლეონტი შროველი 284  
ლეონტიევი ივ. (დესპანი) 145  
ლე-სტრენჯი 136, 137  
ლიპოქსაი ტარგიტაძის ძე 284  
ლიტრე ე. 244  
ლომოური იულონ 361, 386  
ლომოური ნ. 348, 358  
ლოპატინსკი 418  
ლუარსაბ ბატონიშვილი 82  
ლუკა 24, 171, 175, 176  
ლუკიანე (დავით გარეჯელის მოწაფე) 292, 293  
ლუციუსი 394

მათე 171, 293, 296—301, 304, 345, 346  
მაკალათა ს. 219  
მალაქია გურიელის ძე ცაიშელ-ქუშაულ-ხონელი 108, 109  
მალაქია კათალიკოსი 100  
მალხასიანი ჰოეპანენსი 256, 257, 267, 269, 270  
მანუჩარ მდივანი 42—44  
მარდალასშვილი გუგუტა 103  
მარდალასშვილი დათვია 103  
მარდალასშვილი ნანუა 103  
მარდალასშვილი ლმერცია 103

მარდალასული ჩიტია 103  
მარდალაშვილი გოგალა 103  
მარდალაშვილი გიორგი 103  
მარდალაშვილი ესაია 103  
მარდალაშვილი ესტატე 103  
მარდალაშვილი მამისთვალა 103  
მარდალაშვილი მიქელა 103  
მარდალაშვილი ნაეროზა 103  
მარია მ დედოფალი 82  
მარიამული 195  
მარკოვი ფ. 257, 259  
მარკოზ 171, 397  
მარტი ნიკო 116, 154, 173, 174, 178, 180, 232, 238—240, 298, 340, 381, 416, 430  
მარტვი 169, 170, 176, 178, 292, 304, 307  
მაყაშვილი 217  
მაყაშვილი ლეარსაძე 43  
მაყაშვილი რევაზ 37  
მაჩაბელი დათუა 55  
მაჩაბელი ელიზბარ 55  
მაჩაბელი ლეარსაძე 55  
მაჩაბელი რევაზ 55  
მაჩაბელი ს. 214, 215  
მაჩაბელი ფარსადან 55, 56  
მეგრელიძე პაპია 104  
მელაძე ნატრია 95  
მელიქსეთ-ბეგი ლეონ 256  
მელიქშაძი 137  
მელქიზედეკ კათალიკოზი 119, 120  
მელქოა (დავითან მძა) 58  
მენაბდე ე. 346, 347, 349, 352—359, 361—364, 367—379, 386, 391, 406, 409, 413, 414, 426  
მეფარისული მახარა 104  
მეტეკციანული 96  
მეჩახორიანი 420  
მირზაშვილი (ჭვარციანი) 89  
მირზა მუჰამედ შირაზი 136  
მიქელ კატარაწი 159  
მიქელაშვილი 30  
მიქია 181, 182  
მიშეცი (დესპანი) 185, 399  
მოცილი ნიკოლოზ ორბელის ძე (ეპისკოპოსი) 30—34  
მურიანტი ლ. 180  
მუჩაძე იოს. 216  
ნადირ-შაჰი 123  
ნანიკელაშვილი ბერი 37  
ნანიკელაშვილი რამაზ 37  
ნარიშვილი გლახა 54  
ნარიშვილი ნინია 54  
ნაშჩოიანი ივ. (დესპანი) 145  
ნემსაძე დავით (კათალიკოზი) 97  
ნინამ-ულ-მელკი 135, 136

ნიკოლოზიშვილი ივანე 48  
ნიკოლოზ წილცნელი 88  
ნიკორთენე (ხელოსანი) 242, 276  
ნინა, ბატონის რძალი (ჭვარცი) 59  
ნინო (წმ.) 151, 299, 379  
ნიჟარაძე ივ. 233, 347, 392, 437  
ნოე (ბიბ.) 156  
ნოეიკოვი 144  
ნოპსი ფრ. 191, 192, 229, 273  
ნოთარ მინაში 55  
ონისმე (წმ.) 384  
ორბელიანი პაპუნა 441  
ორბელიანი რევაზ (სარდალი) 42  
ორბელიანი საბა 91, 152, 154, 158, 160, 169, 170, 172—176, 179—182, 195—198, 203, 204, 206—208, 210—213, 219—221, 225—229, 232—237, 264, 271, 276, 289—292, 295—306, 310, 338, 339, 342—346, 348, 352, 353, 355, 356, 358—360, 363—366, 372, 374, 376, 377, 381, 382, 385, 390—392, 395, 400, 406, 416, 420, 427  
ორბელიანი სტ. 25  
ორბელიანი ნიკოლოზ იბ. მოცილი ნიკოლოზ ორბელის ძე  
პაატა მღვიანვეი 37, 38  
პაველ (ათონის ლავრის მამასახლისი) 394  
პელიანი მეგლისელი 113  
პელაღესი 247, 248, 410  
პანტელაშვილი (1799 წელს ტფილისისა და მონღოლეთის აღწერა კომისია დაეკავებულ) 57  
პაპასული ბიძინა 51  
პაპასული იოსე 51  
პაპასული სერაფიმე (sic) 51  
პაპასული ჟილერა 51  
პარეიკი 257—259, 262  
პატარაძე გოგია 28  
პატარაძე სეზნია 28  
პეტრე დიდი (რუსეთის მეფე) 41  
პეტრე ხუცესი 117  
პინდარი 223, 283  
პლეჩევი ვ. (დესპანი) 145  
პლინიუს მტირე 244—248, 251, 273, 403, 410, 436  
პლინიუს სევენდეს 108  
პლონი ფრანკი 144  
პოლიექტოვი მიხეილ 146, 185, 399  
პოლუხანოვი ანდ. (დესპანი) 145  
პოლუხანოვი სტეფანე (დესპანი) 145  
პოსეიდონოზი 288  
პრელუკი 421  
პროკოპი კესარიელი (ბიზანტ. ისტორიკოსი) 166, 386—388

შამთაღმწერელი 24  
ვირდანი ა. 37, 80, 81, 100, 115, 119, 121,  
122, 385  
უეკოვსკი პ. 349, 360, 412  
რადლოვი 261, 262, 268  
რანეგვსი იაკობ, ერეკლე II-ის პირადი ექიმი  
143  
რამაზაშვილები 32  
რამაზ მეჩინიბუთუხუცესი 75  
რამეზიო 140  
რავი 121  
რავიშვილი დომენტი 86  
რავიშვილები (ქსოვარისისა) 90  
რავილ-ედ-დინი 136  
რეხვიასვილი გ. 346, 347, 350, 352, 385, 427  
რეხვიასვილი ნიკოლოზ 176, 218, 346, 350, 352,  
374, 385, 427  
რეკამე ოთარ (სახლთ-უხუცესი) 47, 49  
რეკამე აკ. 391  
რეინიშვილი ბერუა 29  
რილოვი ადოლფ 169—171, 173, 176, 179,  
180, 182—188, 207, 215, 225, 226, 235,  
237, 243—245, 247, 250, 252, 254, 259.  
264, 267, 268, 297—299, 307, 420  
რომანოზ III (ბერძენთა მეფე) 120  
რომანოზ წილენელი 86, 87, 89—91  
როტოვეევი შ. ივ. 134, 285  
რუსთაველი შოთა იბ. შოთა რუსთაველი  
რუსედან დედოფალი (ჩერქეზთ ბატონის ასუ-  
ლი) 39  
რეველიშვილი პაპუნა (მერიქიფე) 128  
ხაში 265  
ხაბა (მდივან-მწიგნობარი) 145  
ხაბა იბ. ორბელიანი ხაბა  
ხაგინაშვილი გივი 37  
ხაგინაშვილი გივის ყმა 37  
ხავეანელი ბეკია 55  
ხავეანელი გიორგი 55  
ხავეანელი გრიგოლ 55  
ხალაძე გოჩა 104  
ხალაძე როსტევეანა 95  
ხაშვირელი სახლთუხუცესი 37.  
ხერაპიონ ზარბული 153, 171, 231  
ხერაპიონ ცაგარელი 110  
ხვონ საკვირველთ-მოქმედი 172  
ხვონ ხერკელი 117  
ხონ ყენი 123  
ხოვინი კუზ. (დესპანი) 145  
ხოლომონ I, მეფე 28  
ხოლომონ ბატონიშვილი 82  
ხოლომონ ბრძენი 283  
ხოლომონი (თაყალი) 145  
ხოლომონი ირიდიონ 200, 201, 215, 216  
ხოლინი 177, 180, 397

სტეფანე ბიზანტიელი 284  
სტეფანე მტბეარა 171  
სტრაბონი 134, 166, 167, 198, 222, 223, 274,  
288, 318, 393 394, 398, 400, 401, 436  
სულხანი (ეშიკადასაში) 123  
სულხან მღვანე 55, 71, 72, 399  
სულხან სახლთუხუცესი 37  
სულხანის ყმა 37  
სუპატაშვილი ვალენტინა 347, 359—362, 364,  
375, 417  
სუქასშვილი გიორგი 43  
სუქასშვილი მათია 43  
სუქასშვილი სენხია 43  
სუქაშვილი ბერი 43  
სუქაშვილი იაკობ 43  
სუქაშვილი ხახუა 43  
თავერნე 140  
თარგიტა 284  
თატისშვილი პაპუა 29, 30  
თატისშვილი პაპუას ყმა 29  
თატიშვილი სენხია 30  
თატიშვილი სენხიას ყმა 30  
თატიშვილი ხოსია 30  
თატიშვილი მიხ. (დესპანი) 145  
თატუნაძე 104  
თაიციტესი 288  
ტიმოთა (მთავარეპისკოპოზი) 125  
ტიტინაძე ლევან 174  
ტიმოჩანოვი ნიკიფორე (დესპანი) 144, 146,  
147, 185  
ტურნეფორი პ. 141  
ტუსისშვილი გარსევან 37  
უზუნ ქასანი (სპარსეთის მეფე) 140  
ულუბეგი 136  
ურატაძე ლევანია 104  
ურატაძე მიქცა 104  
უსლარი 253, 254, 418  
შაქლენიშვილი გლახა 52  
შალავენიშვილი 32  
შალავენიშვილი გოგია (უზბაში) 55  
შალავენიშვილი ერეკლე 55  
შალავენიშვილი ზაალ 55, 56  
შალავენიშვილი ზურაბ 55  
შალავენიშვილი ქაიხოსრო 55  
შარსადან მეთარო 37  
შარსადან მეთარის ყმა 37  
შარსმან თმოგველი 117  
შლაბიოსი იოსიფოს 424  
შერკეტაძე დ. 25, 57, 76, 86, 87  
ქასილაძე (მოძღვარი) 93  
ქენქაძე აბრამა ხაღლასშვილი 48

ქენქაძე გიორგი ფოცხვერძის შვილი 48  
ქენქაძე გიორგი ბერის შვილი 48  
ქენქაძე გოგია ბერის შვილი 48  
ქენქაძე მახარებელი ბერის შვილი 48  
ქვარაჩიანი 29  
ქიტიაშვილი გიორგი 48  
ქიტუნაშვილი სოზია 28  
ქიტუნაშვილი ქ. 28  
ქოჩორაძე პაპუნა 29  
ქსენოფონტე 358, 363, 387—388, 393, 395,  
402, 430  
ქსნის ერისთავი დავით 285

ღვასშვილი იოანე 172  
ღამბაშიძე დ. 147  
ღანდურაძენი 103  
ღანდურაძე ვარსიმე 103  
ღანდურაძე ზაქარია 103  
ღანდურაძე ივანე 103  
ღანდურაძე მამისბედა 103  
ღანდურაძე მამისთვალა 103  
ღანდურაძე შამუკა 103  
ღანდურაძე შახიტა 103  
ღანდურაძე ნასხიდა (sic) 103  
ღანდურაძე ნინია 103  
ღანდურაძე სიხარულა 103  
ღარიბა შკალაი 103  
ღიას-ედ-ღინი (რამილ ედ-ღინის ძე) 136  
ღუღუშაური ატა ატასვილი 50  
ღუღუშაური ბეჟან ცულეტასვილი 50  
ღუღუშაური ბერი ზაქარისვილი 50  
ღუღუშაური ბიძია პაპასვილი 51  
ღუღუშაური გელია ატასვილი 50  
ღუღუშაური ზალია ცულეტასვილი 50  
ღუღუშაური თემურა ჭარისსვილი 51  
ღუღუშაური იასე პაპასვილი 51  
ღუღუშაური ლომია გივისვილი 50  
ღუღუშაური პაპუა გელისსვილი 50  
ღუღუშაური შიო გელისსვილი 50  
ღუღუშაური ჭარია თემურასსვილი 51  
ღუღუშაური ქულერა პაპასვილი 51

შაზან ყაენი 136, 137  
ყანჩაველი ზ. 295, 308, 338, 342, 343, 377,  
392, 394  
ყაფლან (თავადი) 145  
ყიფშიძე იოს. 179, 220, 292, 340, 347, 380,  
384, 392  
ყორჩიბაშვილი გიორგი 37  
ყორჩიბაშის შვილი დემეტრე 37  
ყორჩიბაშვილის ყმა 37

შადინანთ ისაია 58  
შადინანთ შიკირტუმა 58  
შავარდნაძე დ. 281

შავთელი იხ. იოანე შავთელი  
შალაბერიძე აბრამა 95  
შამანდუხ იხ. ჭავჭავაძე-გამრეკელის ასული  
შამანდუხ  
შანიძე აკ. 346, 348, 416  
შარდენი 140, 141, 252  
შანაბაზი 146  
შა-თამაზი 123  
შანაყვაზი 83, 84, 87, 128, 132, 146  
შეტაისსვილი აბრამ 113  
შეტაისსვილი ძულა 113  
შეტაისსვილი წყლია 113  
შეფერ შარლ 135—137  
შიო 170  
შიო მღვიმელი 170, 176  
შიომ მღვანო 37  
შიომ მღვანის ყმა 37  
შითა რუსთაველი 384  
შრადერი 248, 382  
შეშანიცი (წმ.) 377

ჩახრუხაძე 298  
ჩიკვაძე 32  
ჩიკვაძის ყმა 32  
ჩიტაია გ. 176, 177, 179, 181, 189—192, 197—  
199, 201, 204, 206, 208—210, 215, 225, 227,  
240, 255, 257, 269—271, 283, 287  
ჩიტასსვილი თამაზ 49  
ჩიტასსვილი შერმაზან 49  
ჩოჩორაძე პაპუნა 29  
ჩუბინასსვილი დ. 119  
ჩუბტია შ. 86—88, 91

ძაგარელი ალ. 59, 303  
ცენკერი 420  
ციკინაძე მათე 104  
ციციშვილი დავით (სარდალ-მოურავე) 53, 54,  
61, 62  
ციციშვილი ზაქარია (სახლთუხუცესი) 53  
ციცუნაშვილი 104  
ციხისელი 99  
ციტნიასსვილი გოჩა 103  
ციტნიასსვილი მახარობელა 103  
ციტნიასსვილი ხოსია 103  
ციტნიასსვილი ზუტია 103  
ცულეტასსვილი ბეჟან 51  
ცქირი (ეპისკოპოზი) 345  
ცხეარასსვილი გლაზა 55  
ცხეარასსვილი ზურაბა 55

წიწკინაშვილი გოგია 28  
შავქვაძე პაპუა 37  
ქაშნავი 234  
ქყონა ალ. 140, 141  
ქყონა ილ. 183, 364

ხაღილასშვილი ვიორჯი 48  
 ხაქუბერიძე ზაქარია 104  
 ხაქუბერიძე შაშიზბედა (sic) 104  
 ხაქუბერიძე მამისთვალა 104  
 ხაქუბერიძე მამუკა 104  
 ხაქუბერიძე მახატა 104  
 ხაქუბერიძე ნინია 104  
 ხახანაშვილი ალ. 59, 85—88, 91  
 ხერხეულიძე ავთანდილ 55  
 ხურშიტა (დესპანი) 145

ჯავახიშვილ-გამრეკელის ასული შამანდუხ 130  
 ჯავახიშვილი ვახუშტი 53  
 ჯავახიშვილი თეიმურაზ 53  
 ჯავახიშვილი შვებუბუკ 53  
 ჯავახოსი 284  
 ჯალალედინი 122  
 ჯანაშვილი მოსე 116, 133, 139, 383, 396

ჯანაშია ს. 80, 82  
 ჯიქია ს. 265  
 ჭუანჭუჭყაძე 24, 167

ჭამალაშვილ ბენ აბუ ბეკრ ელ-მუსტაფი ელ-  
 ყაზვინი 134—137  
 ჭეზოიძე, ჭესიოიძე 222, 285  
 ჭეზუქიოსი 394  
 ჭეკატაძისი 284  
 ჭენი 382, 436  
 ჭერაკლიძე 288  
 ჭეროდოტე 240, 284, 285, 393—395  
 ჭეფესტოსი 283  
 ჭენე ე. 222, 249, 380, 383, 418  
 ჭიპოკრატე 162  
 ჭიუბშვანი 180, 238, 421  
 ჭიშიროსი 222, 276, 351, 402, 428

### ბ) გეოგრაფიულ სახელთა

ბბანო 29, 34 .  
 აბაშეთი 424  
 აბოცი (შემდგე ყაიყულად წოდებული) 323,  
 334, 394  
 აბუთ-ყარი 46  
 აბულმუგი 323, 332, 334  
 აბხაზეთი 279  
 ადერბეიჯანი, ადერბეიჯანი 413, 425  
 აფხაზეთი 75  
 აფანჯყი 75  
 აფენისი 50  
 აფლევი 32, 55  
 ავქალა 370  
 აზერბაიჯანი 136, 137  
 აზია 425  
 ათონი 348  
 ათონის მთა 230, 281  
 ათონის ქართულთა მონასტერი 171, 394  
 აილარბევის კეობა 40  
 აქურა 36  
 ალაგოზი 409  
 ალაზანი 166, 167, 319, 320, 341  
 ალაზნის ველი 166  
 ალაღჯი 322  
 ალაქანი 36  
 ალბანეთი (აზერბეიჯანი) 134, 167, 168.  
 222, 223, 274, 398, 400  
 ალგეთის შესართავი 312  
 ალგეთის ხეობა 332  
 ალევი 46, 316  
 ალევის მთა 324, 325  
 ალექსანდროპოლი იხ. გუმბრი  
 ალი 35

ალისმერე 94  
 ალისუბანი 94  
 ალიერი 424  
 ამბინა (კუნძული) 390  
 ამერეთი 334, 357, 359, 385, 388  
 ამერიკა 383  
 ამზასოდელი 75  
 ამოკეკასია 137, 142, 256, 258, 262, 263,  
 267, 268, 274, 279, 285, 336, 369, 396,  
 412, 425  
 ანანური 50, 89  
 ანთოქი 36  
 „ანანურს ზეით შთიულეთი“ 89  
 არაბეთი 230  
 არაღეთი 54, 60  
 არაგვი 324  
 არაგვის-პირი 50  
 არაგვის საერისთაო 26  
 არაგვის ხეობა 31, 42—44, 49—53, 61, 324,  
 339, 386, 390  
 არალი (სოფელი ახალციხის ყოფ. მაზრაში)  
 206, 208, 212  
 არანი 135—137  
 არანისი 50  
 არარატი 267  
 არგვეთი 330, 333  
 არათანა 36  
 ართიკი 257  
 არკნით 32  
 არმაზი 299  
 არმანი 75  
 არსიანის მთა 326  
 არსიანის ქედი 164



- არტანი 171, 326, 327, 334  
 არტანუჯი 328  
 არტანანი 164  
 არტოზანი 36  
 არზალი 35  
 არღუნი 50  
 ასურეთი 230, 425  
 ატენი 45, 46  
 ატოცი 55  
 ატრია 397  
 ასტრახანი 142  
 აფხაზეი 50  
 აფხაზეთი 100, 137, 162—164, 331, 333  
 აფრიამას სოფელი 75  
 ალაღანი (sic) 82  
 ჯალბულაღი 177, 179, 181, 189, 199  
 აღკალაღა იხ. ლიგურეთი  
 აღმ. აზია 389  
 აღმ. ამიერკავკასია 259  
 აღმ. კავკასია 369  
 აღმ. საქართველო 41, 44, 51, 56, 57, 60, 63—  
 65, 71, 80, 106, 113, 123, 124, 130, 135,  
 143, 161, 166, 167, 179, 185, 189, 191, 197,  
 198, 215, 220, 264, 309; 318, 340—342,  
 346, 350, 354, 357, 358, 362, 363, 368,  
 379—381, 383, 384, 388, 389, 399, 402,  
 417, 435, 436  
 აღუ 111  
 აღყუმრუსი 75  
 აღზიბეუქი 75  
 აში 50  
 აჩაბეთი 54, 60  
 აცლეთი 36  
 აწუკერი 36  
 აქარა 326, 327, 333, 341  
 ახალ-ბაგაზეთი 261  
 ახალგორი 46  
 ახალდაბა 45, 46, 60, 61  
 ახალკალო 36  
 ახალსოფელი 94  
 ახალმანი 89  
 ახალშენი 37  
 ახალციხე 306, 313, 421  
 ახატანი 36  
 ახაშანი 36  
 ახპათი 302  
 ახრისი 60  
 ახტალა 322  
 აჭაგვი 35  
 აჭამეთი 164  
 ხაღუჩაშვილები 75  
 ხაზალეთის თემი 324, 333  
 ხაზალი 50  
 ხათოში 329, 332  
 ხაიდარი 321  
 ხაიის უბანი 97, 98, 105  
 ხაქურიანი 362, 371, 377, 378  
 ხალახური 75  
 ხალიქის ხეობა 323, 332, 334  
 ხაშბაქის ხეობა 311, 334, 339  
 ხანბაქის ქვეი 321  
 ხანოქი, ხანოჯა 93, 94  
 ხარდაუი 167, 335  
 ხარი 105  
 ხასიანი 258, 267, 328, 334  
 ხაქო 259  
 ხაქოს გუბ. 260  
 ხაქსანის ხეობა 354, 357  
 ხაქტრია 394  
 ხაშ-გარნი 257  
 ხაში 94  
 ხაშქიჩეთი 350, 354, 370  
 ხახტრონი 36  
 ზელაქნის წყლები 319  
 ზენდერის შთა 322  
 ზენდერი 334  
 ზეჟან-ბალი 36  
 ზედრუქის ხეობა 339, 394  
 ზერეთი 94  
 ზურთელი 60  
 ზურთუბანი 35  
 ზერძენაული 33  
 ბიზანტია 73, 120, 163, 281, 380  
 ბიყრი 325, 333, 334  
 ბიქეინტა 97  
 ბობნაეი 313, 324, 332, 334  
 ბოდეი 35, 324  
 ბოდორნა 50  
 ბოლი (sic) 55  
 ბოლნისი 322  
 ბოლოლის შთა 316, 323  
 ბორბალი 52  
 ბორტაქები 36  
 ბორჩალო 321, 362, 367, 368, 370, 378, 441  
 ბორჩხის ხეობა 333  
 ბორჯომი 362, 371, 377, 378  
 ბოსლები 75  
 ბოცოეთი 75  
 ბოქორმა 320, 333  
 ბრეთა 54  
 ბრეთი 60  
 ბრეძი 55  
 ბრიტანია 248  
 ბროწლეთი 29, 60  
 ბუბათი 92  
 ბუბანი (თუ შუბანი?) 94  
 ბუეთი 98, 105, 106  
 ბუქოსბანი 94  
 ბუქიანთ-კარი 45

ბავაზი 45, 47  
გალღია, გაღია 382, 423, 425, 428  
გალიის ტუტია 244, 279  
განჯა 257, 258  
განჯის მახრა, განჯის გუბერნია 259, 262, 287, 369  
განჯის შთა ადგილები 267  
გარაქა 168, 319  
გარეჯის შთა 319, 335  
გარეჯის უდაბნო 168, 308  
გარეჯევიარი 42, 60  
გატეხილ-საყდარი 75  
გარე-კახეთი, გარეთ კახეთი 319, 332  
გუგუთი 94, 164  
გუზერეთი 46  
გელათი 97, 103, 105  
გელასოფელი 75  
გერგუტი 43, 44  
გერშანია 278, 282, 423  
გეტი 332  
გეტის ხევი 323  
გველეთი 324, 339  
გვერდის-ძირი 333  
გვეძინეთი 324, 332, 334  
გილანი 136  
გიშის წყლები 319  
გოგჩის მახრა 260, 264, 267, 409  
გოლგოთა 82  
გოლგოლეთი 46, 48, 114  
გომბორი 316  
გონია 329, 332  
გორანა 336  
გორი 57, 60, 333  
გორის ახალდაბა 42  
გოჭჩი 260, 267  
გოლთი 257  
გრაქალი 53  
გრდანი 320, 333  
გრემი 36  
გრემის ხევი 50, 311, 324, 333, 334  
გუდამაყრის წყალი 324  
გუდამაყრის ხეობა 334  
გუთეების სამეფო 432  
გულგულა 36  
გუმბრი (ალექსანდროპოლი) 213, 257, 259, 264, 267  
გურია 63, 326, 329, 332-334  
გუშთასფი 137  
გუჭარეთის ქეობა 326  
ღაბაკნეთი 46  
ღადიანეთი 46, 47  
ღამჩხერლო 313, 323, 332  
ღარალაგოიზი 257-259, 262, 267, 409  
ღარბაზი 75

ღარჩელი 99  
ღასავლეთ ევროპა 55, 138, 140, 141, 190, 229, 248, 252, 273, 278, 279, 423, 424  
ღას. საქართველო 63, 97, 98, 106, 107, 109, 110, 112, 113, 162, 163, 168, 185, 197, 198, 217, 222, 231, 234, 264, 329, 330, 332, 334, 342, 346, 350, 354, 357, 361, 363, 371, 374, 379-381, 383-385, 387-389, 391, 393, 398, 402, 417, 435-437, 442  
ღალეთი 177  
ღალესტანი 115, 413  
ღალესტნის შთები 319  
ღაწყველილი ალი 32-33  
ღბანისი იხ. ღმანისი  
ღბანისის ხეობა 323, 332, 333  
ღგერისი 60  
ღერჩი 152, 159, 322  
ღებედის ხეობა 321, 332  
ღვალეთი 311, 315, 325, 331, 334  
ღვანის ქეობა 325  
ღვანტუა 94  
ღიდგორი 279, 313, 321  
ღიდი-გარეჯეარი იხ. გარეჯეარი  
ღიდი ღალეთი 257  
ღიდი ლიახვი იხ. ლიახვი  
ღილაშაშენი 75  
ღრბი 60  
„ღისველის მინდორი“ 322  
ღილოში 52, 101, 215  
ღიცი 60  
ღმანისი 75, 255, 332, 333, 370, 378  
ღოესი 33  
ღოესის მინდორი 324, 332  
ღოლის ყანა 170  
ღორეულთ-კარი 45  
ღორიანთ-კარი 46  
ღონის აუზი 285  
ღუნაის აუზი 432  
ღურჩუკი 52  
ღურუჭი 287  
ღუშეთი, სსახლის ღუშეთი 187, 346, 385, 401  
ღუშეთის მახრა 171  
მბნისი 333, 334  
მეკობტე 217, 229, 393, 424, 425  
მეანი 238  
მეროპა 29, 362, 383, 394, 415, 425  
მთვალისი 50  
მუნროკის მინდორი 309  
მელისენი 319  
მენგური 354, 379  
მენგურის ხეობა 357, 392  
მენსელი 332  
მეორი 288  
მერაყი 136

ეოგე 329, 332  
ერგნეთი 54, 55, 60  
ერედვი 55, 60  
ერენის მარა 106, 107, 257, 259, 260, 262—  
264  
ერეკლეს ციხე 52  
ერტისი 52  
ერუშეთი 327, 334  
ერწო 36, 81, 320, 332, 358, 362, 371, 373,  
376, 378  
ერწო-თიანეთის მთები 332  
ესპანია 383, 423, 436  
ეტრურია 397  
იჩქური 82

შაგრანეთი 36  
ვაკე 45, 47, 330, 333  
ვანათა 313, 325, 332—334  
ვანანდი 267  
ვანთა 36  
ვანი 262  
ვარდისუბანი 36, 37, 75  
ვარანი 60  
ვარძაგარა 75  
ვაღავერი 75  
ვაშლოვანი 52, 341  
ვერეს ხეობა, სვერეთი 332, 333  
ვეძისქვეი 36

შანგეზურის მარა 258—260, 262, 264, 267,  
269, 408, 409  
ზებეყური 313, 333, 334  
ზებეყურის მთა 313, 316, 325  
ზეგანი 37  
ზემო-მლეთი იხ. მლეთი  
ზემო-ნიქოზი იხ. ნიქოზი  
ზემო-ქართლი იხ. ქართლი  
ზემო ძვიმლეთი იხ. ძვიმლეთი  
ზემო-ხეითი იხ. ხეითი  
ზემო წალკა იხ. წალკა  
ზენ-დუშეთი 50  
ზერტი 60  
ზიარი 36  
ზოდუხი 46  
ზოშხა 111  
ზეგლიდი 218  
ზურტაქერტის ხეობა 311, 323, 334

შავეთი 75  
თაეკეთილის მთა 324, 334  
თამარაშენი 32, 54, 55, 60  
თანგართ-ქარი 35  
თარგმანი 51  
თედო წმინდა 333  
თელეთი 52

თელოვანი 89, 341  
თერგის ხეობა 339  
თელავი 36, 37, 57  
თეძამის ხეობა 313, 323, 332, 334  
თეალათუბანი 53  
თვალევი 35, 36  
თიანეთი 36, 81, 213, 214, 311, 320, 332, 333,  
358, 362, 371, 373, 376, 378, 441  
თიანეთის მთა 311  
თიანეთის წყალი 320  
თილითი 98  
თინიკანთ-ქარი 45  
თირის მონასტერი 54  
თიღვი 55  
თორ-გუჯარეთის ხეობა 313, 326, 334  
თორომის ხეობა 313, 328, 333, 434  
თორმანელი 29, 34  
თორტიზი 60  
თოღლიაური 36  
თოხთა 46  
თრანი 36  
თრალეთი 26, 311, 313, 320, 323, 324, 327,  
328, 334, 362, 371 378, 394  
თუშეთი 320, 333, 349, 373  
თხილღვანი 341

იალყუზი 75  
იანგიჩახი 75  
იალღუჯი 312, 332  
იბერია 134, 166, 167, 223, 268, 398  
იღი 334  
ივრიის ლავრა 230  
იკოთი 46  
იკორთა 46  
ილირია 436  
ილერთ-ქარი 45, 47, 48  
იმერეთი 63, 76, 146, 147, 164, 185, 218, 219,  
235, 329, 353, 360, 373—374, 383  
იმერხევი 416  
იმერიკაქასია იხ. კაქასია  
იმერ საქართველო 349, 366  
იმფხრეული იხ. იფხრეული  
ინგური იხ. ენგური  
ინდოეთი 379, 380, 390  
იორი 50, 167, 319, 320, 332  
ირავის ხეობა 322, 332, 334  
ირქანის მთა (ყარალაქად წოდებული) 326, 334  
ისპირის ქეობა 328  
ისროლის ხევის ატენი 45  
ისროლის ხევის ჭაუბთა 45  
იტალია 230, 242, 243, 247, 273, 383, 387, 397,  
398, 425, 428, 440  
იულთა 36  
იფნობი 75  
იფხრეული 416

- იყალთო 36, 37  
 იქრისი 50
- ბაკანია 24, 136, 142, 143, 189, 190, 229, 230,  
 252, 255, 265, 273, 274, 280, 354, 385, 393,  
 431, 434, 436
- ბაკანაიონი 319, 367, 415  
 ბაკანაიონის ულულტეზილი 413, 425  
 ბაკანაიონის ქელი 413, 425  
 ბახრეთის ხეობა 323
- ბაკაბეთი 35, 36  
 ბალაური 36, 37  
 ბამანია 302
- ბარბო 54, 60  
 ბარის მთა 327  
 ბარპატები 432  
 ბაქრეთი 36
- ბახეთი 25, 34—38, 43, 59, 76—78, 145—147,  
 166, 167, 185, 312, 319, 320, 332, 333, 341,  
 389, 399, 436, 441, 442
- ბაქრაეთი 114  
 ბეჩეთის მთა 316  
 ბეხვი 54  
 ბეარხითი 60  
 ბეარითი 45  
 ბეერნაული 36  
 ბეერნაქი 312, 333  
 ბეერნაქის მთა 325  
 ბეპრუკი 75  
 ბისისბევი 36  
 ბისხევი (sic) 36
- ბლარჭეთი 164, 165, 293, 328, 333, 416  
 ბლდისი 333  
 ბლდისის ხეობა 333  
 ბლდის წყარო 29  
 ბოდა 52  
 ბოდის კარი 89  
 ბოდის წყარო 94  
 ბოლა 164, 166, 326, 327, 334  
 ბოლას მთები 284  
 ბოლხეთი 134, 163, 223, 285, 288, 393—395,  
 398
- ბონდოლი 36, 37  
 ბორაქსელი ქვეყანა 284
- Кора ჭეთი ხეობა 284**
- ბორთბა 94  
 ბორთბის წყალი 94  
 ბორბითა 45, 46  
 ბორტანეთი 46  
 ბორტაიქსის სანახები 238, 257  
 ბოშკი 37
- ბუდარო 330, 333, 334  
 ბუკია 52  
 ბუღბითი 29
- ბუშისი 52, 332  
 ბუშისის ველი 312  
 ბუშისის მინდორი 321, 332  
 ბურსები 103
- ბურსკი 231  
 ბურსატი 36  
 ბურსთის მთა 323  
 ბურსეთი (მემდევში საინგილოდ წოდებული)  
 166, 319, 320, 332
- ლაზია 387  
 ლამისყანა 28, 170  
 ლარგვისის მონასტერი 46  
 ლასყანა 362  
 ლახევა 111  
 ლეღვარი 322  
 ლეღვარის მთა 322  
 ლენჭორანი 260, 267  
 ლენჭუში 111, 316, 331, 333, 347, 359—364,  
 414, 417  
 ლიხვი 325, 333, 334  
 ლიხვის ხეობა 214, 325, 334, 349, 353, 354,  
 357, 363, 373  
 ლიხურას ხეობა 42  
 ლიგანი 332  
 ლიგანის ხეობა 327, 328, 332  
 ლიგურეთი (ეზლანდელი აღკალაფა) 181, 199,  
 200, 201, 203
- ლიგურია 229  
 ლიკანი 333  
 ლიკანის ხეობა 326  
 ლილი 315  
 ლიშო 35  
 ლიხთ-ამერეთი 280, 332  
 ლიხთ-იბერეთი 106, 110, 163, 166, 198, 208,  
 231, 318, 329—331, 333, 335, 389, 435
- ლიხი 326  
 ლიხის მთა 354, 383, 389  
 ლომისის მთა 316  
 ლორე 270  
 ლორეს მდლობი 334  
 ლორის ციხე 321  
 ლოქი 75, 322, 323  
 ლოქის მთა 322  
 ლოქინი 319
- მახანდარანი 136  
 მათხოქი 98, 105  
 მანაყერი 75  
 მანაევი 36, 37, 332  
 მანგლონი 151, 350, 354, 362, 370, 378  
 მანდიყარი 105  
 მანთხოქი იხ. მათხოქი  
 მარაბდა 52  
 მარიამყერი 36

- მარილისი 36  
 მარნეული 52  
 მარტუო (sic) 36  
 მარტოფი 320, 332  
 მატანი 36  
 მალაკი 94, 103  
 მალნარი 36  
 მალრანი 37  
 მაშავერი 322, 323, 332  
 მახვილო 326  
 მახიარეთი 46  
 მახლობელი აღმოსავლეთი 129, 212 .  
 მღვკარი 54  
 მეოტიის ზღვა 436  
 მერე 36  
 მესხეთი 94, 103, 105, 164, 166, 181, 201, 204,  
 206, 207, 229, 316, 326, 327, 329, 333, 334,  
 337, 341, 389, 442  
 მესოპოტამია 210  
 მეტეხარა 134  
 მეტეხი 312  
 მელერეკისი 34, 35  
 მეჭერისხევი 26, 40  
 მეჭელა 305  
 მეჭუდის ხეობა 305, 313, 314  
 მთაწმიდა 63  
 მთიული 36  
 მთიულეთი 311, 316, 348  
 მთულთ-კარი 50  
 მიღელანთ-კარი 45, 47, 114  
 მირჩაბატი 75  
 მისხანის ხეობა 309  
 მიჯა 75  
 მლაშის ღელე 93  
 მლეთი 44  
 მონასტერი 46  
 მოსკოვი 144  
 მოკალიათი 45  
 მოკალიეთი 45  
 მოხისი 305, 333, 360, 363  
 მტკვარი 166, 167, 333, 335, 362  
 მტკვრის ქეობა 326  
 მეგუთი 74, 75  
 მეკუზანი 37  
 მესაფარიანი 75  
 მელანი 136, 137  
 მეშელი 74, 75  
 მეში 258, 263, 267  
 მეხათი 52  
 მეხრანი 26, 75, 378  
 მეხრანის ველი 324, 333  
 მეზური 98  
 მეჭირეთები 94  
 მეჭირეთუბანი 94  
 მცირე აზია 136, 412, 425  
 მცხეთა 299, 370  
 მცხინვალი 54  
 მწუნეთი 52  
 მკადიჭვარი 89  
 ნაბოსლევითი 103—105  
 ნაგუაზაუ 98  
 ნადარბაზევი 75  
 ნავენახევი 105  
 ნაზარქანთი 52  
 ნაკურალეში 111  
 ნაპანკისევი 36  
 ნაქანელი 97, 98, 105  
 ნარლონის ხეობა 354, 357  
 ნარეკვაის ხეობა 324, 333, 334  
 ნარიშანი იხ. ნარეშაი  
 ნარეშაი, ნარშანი 328, 333, 334  
 ნასომხარი 36  
 ნაქარმაგევი 167  
 ნახილი 46  
 ნახიდური 75, 322, 333  
 ნაყბადინი 321, 332  
 ნეინის-წყალი 341  
 ნემსაძისეული ხომტიბულა 105  
 ნეძვი 26, 164  
 ნიალის-ყურის მთა 327  
 ნიგალის ხევი 328  
 ნიკორწმინდა 121, 154, 172, 222  
 ნიქეგორი 231  
 ნიქოზი 54, 60  
 ნიჭაიონო 98  
 ნორია 36  
 ნოსორი 167  
 ნული 29  
 ნუნიას ხეობა 310, 333  
 ნუნის ხევი 310, 333  
 ნუნისი 329  
 ნუხის მახრა 262  
 ოღრი 193, 330, 332, 381, 383  
 ოკრიბა 330, 333, 436  
 ოლთისის ხეობა 328, 333, 334  
 ონი 361  
 ოპიზა 292  
 ორიშიში 92—94  
 ოროზმანი 75  
 ოსეთი 279, 311, 315, 320, 325, 331 .  
 ოსევეანა 75  
 ოსმალეთი 141, 262, 265, 266, 268, 280, 326,  
 432  
 ოფსკუქი 94  
 ოფრეთი 370, 378  
 ოფჩა 105  
 ოქუმი 392  
 ოყურეში 111

ოცხანა 98, 104  
ოძისი 46  
ობოშირა 103, 105

პაელუთ-კარი 45, 114  
პაელუერი 50  
პაელინთ-კარი 45, 113, 114  
პალესტინა 343, 397, 425  
პანკისი 36, 332, 333  
პანკისის ხევი 320  
პანკისის ხეობა 315, 320, 332  
პარიზი 140  
პატარა ლიახვი იხ. ლიახვი  
პატარძელი 35  
პეტერბურგი (აწ. ლენინგრადი) 72, 281  
პიტინის კევი 94  
პოლონეთი 280

შპერი 334  
ფინეანი 50  
ქლურული 94

რანი 137  
რაქა 99, 106, 109, 176, 187, 218, 219, 228, 233,  
330, 331, 333, 334, 340, 342, 346, 347,  
349—354, 357, 359—361, 363, 364, 368,  
371, 373, 374, 376, 379, 382, 385, 386, 391,  
414, 417

რაქის შთები 330  
რიონი 105, 162, 163, 330, 335, 354, 379  
რიონის ხეობა 334, 357  
რკონი 323, 332, 334  
რკონის მონასტერი 172  
როკითი 94  
რომი 73, 141, 190, 224, 229, 227, 273, 274,  
278, 380, 382, 394, 398, 411, 437, 440  
რუეთი 151  
რუისი 29, 31, 53, 60  
რუსეთი 40, 59, 64, 86, 140, 144, 165, 394  
რუსთავი 54

ხაამილახერო 26  
ხაბარათაშვილი 38  
ხაბარათიანო 26, 441  
ხაბარისი 398  
ხაბერძნეთი 190, 224, 229, 242, 273, 274, 283,  
382, 387, 394, 395, 411, 424, 425, 428, 437,  
440

ხაბერძნეთის გზა 380, 381  
ხაბუეე 36  
ხაგურამო 320, 332, 354, 378  
ხადგერი 26, 326, 333  
ხადგერის ხეობა 334  
ხათაეე 333  
ხათისკალა 319

საინგილო იხ. კუხეთი  
სალიპარტიანო 330, 333  
სალმასტი 262  
სალომინაო 329, 333, იხ. აგრ. ფერსათის თემი  
სალორთქიფანძო 436  
სამგორის ველი 335  
სამება 35, 37  
სამეგრელო 63, 141, 145, 163, 183, 185, 193,  
200, 217—220, 231, 237, 340, 364, 381, 383,  
388, 402  
სამთავისი 55, 80  
სამიქელაო იხ. ვაქე  
სამიქელაო 436  
სამოქალაქო 98, 333  
სამურზაყანო 392  
სამუხრანბატონო 26  
სამშვილდე 321, 322, 333  
სამცხე 164, 206, 257, 333  
სამცხის შთები 326, 334  
სამცხე-ჯავახეთი 207  
სამხრეთ ამიერ-კავკასია 259  
სამხრეთ იტალია 398  
სამხრეთ საქართველო 336, 341  
საორბელო 441  
სარახველა 75  
სართიკალა, სართისკალა 35, 319  
სარკინეთი 75  
სასახლის დუშეთი იხ. დუშეთი  
სასირეთი 53, 325, 333  
სასირეთის მიწოდარი 332  
სატიეე 28, 29, 31, 323  
საფარის მონასტერი 172  
საფრანგეთი 141  
საფურცლო 111  
საქართველო 24, 26, 32, 33, 38, 42, 43, 56,  
57, 59, 63—65, 67, 69—72, 76, 78, 85, 86,  
119, 120, 122, 125, 129—138, 140—148,  
151, 156, 162—169, 171, 178, 181, 184,  
185, 188—190, 193, 194, 196, 197, 204, 206,  
208, 211, 212, 215, 216, 221—225, 227, 230,  
231, 235, 238, 240, 241, 252, 255, 263,  
265, 266, 273—280, 283, 285—287, 289,  
306, 307, 309—312, 314, 315, 317—323,  
329, 331, 332, 335—338, 340, 343—351,  
354—359, 361, 363, 365, 366, 370—373,  
376—380, 382—386, 388—391, 393—401,  
403, 404, 407, 410—414, 416—419, 422,  
423, 425—428, 432—435, 437, 440—442  
საქორეთი 45, 47  
საქუჩულორიო 98.  
სალოლაშენი 54  
საშაბერო 50  
საჩანეთი 279  
საჩინო 329, 333  
საჩიჯავაძო იხ. საჩინო

საჩხეიძეო 329, 333, იხ. აგრ. ფერსათის თემი  
საჩხეური 97, 98, 105  
საცხაოტლო 36  
საცხენისი 35, 36, 37, 319  
საძეგური 46  
საწირეთი 105  
საჰილაო 333, იხ. აგრ. ვაკე  
სახასო 35  
საჯავახიანოს შოა 171  
საჯავახო 333  
საჯავახოს ხეობა 329  
სეილი 60  
სეიანის სანახები 409  
სენაკი 218  
სენეთი 331, 334, 349, 353—355, 357, 368,  
373, 414, 441  
სეენეთი 60  
სეერა, სეერი 54, 325, 333, 334  
სეირეთის ხეობა 332  
სკანდე 387  
სკანდინავია 423, 432  
სკვირეთი: იხ. კერე  
სკვირეთის ანუ ვერეს ხეობა 251, 321, 332  
სკრის ხეობა 324, 332  
სნო 44, 50, 51  
სოგდიანა 394  
სომხეთი 134—137, 141, 272—274, 309, 321,  
386, 387, 409, 413, 425, 430  
სომხითი 26, 38, 39, 322, 332  
სონღული 32  
სორმონი 85  
სოფიაჰ-წმიდა 98  
სპარსეთი 41, 123, 136, 140, 141, 147, 252,  
262, 349, 412, 413  
სპარსეთის აღერბეჯანი 258  
სტამბოლი 268  
სუგუჩანი 75  
სურამი 60, 333  
სურამის ქელი 426  
სურამის ხეობა 325  
სურნისი 29  
  
ტაბახმელა 52  
ტაბისყური 324, 334  
ტამალა 75  
ტამის ხეობა 313, 324, 332, 334  
ტანძიარი 75  
ტაო 164, 328, 430  
ტაოს დაბლობი 333  
ტაშირი 26, 40, 75, 311, 322—324, 334, 394  
ტაშისკარი 26, 323, 326  
ტინის შოა 324  
ტინისხიდი 325, 333  
ტყოცა 29  
ტოლის ხეობა 329

ტონჩა 50  
ტორნი 334  
ტორნის წყალი 322  
ტროას ნაქალაქევი 425  
ტურისუბანი 75  
ტუშური 35  
ტფილისი 42—44, 51—54, 57—60, 79, 122, 123,  
141, 146, 167, 309, 312, 315, 323, 332, 335,  
347, 352, 353, 370, 378, 441  
ტყვიავი 216  
ტყისუბანი 55  
  
უკანაშხარი 46  
უკან-უბანი 46  
უკარიანა 252  
უნაგირა 330, 333  
უნღილანთ-კარი 50  
უეანი 324, 333, 334  
ურიათუბანი 37  
ურასტაი (?) 347  
ურშია 180  
ურშისკელი 33  
უტო 36  
უფუკეთი 46  
უშგული 357  
უწერა 353  
უქარაბა 35, 37, 320, 333  
  
შაზისი 162  
შალტუხლუ 75  
შამბაკის ხეობა 409  
შანთი 333  
შანაური 93  
შარი 349  
შარსმანაყანევი 103  
შარტმანაყანევი 94, 98  
შარტხანაყანევი 105  
შახჩუხლუ 75  
შერათის თემი 329  
შერსათი 94, 333  
შინეზაურის ხეობა 323, 334  
შიტარელთა 75  
შიჩხოვანი 36  
შლუევი 32  
შორჩის ხეობა 327  
შოსო 334  
შოსოს წყარო 327  
შოცხვერიანი 75, 332  
შოცხვერიალის ხეობა 322  
შრინევი 32  
შრიცი 60  
შრცა 32  
შშაველი 36  
შშაევი 320, 333, 358, 362, 371, 373, 376, 378,  
441

ფეი 29  
ფეხენისი 54, 60

ჭადაგონი 82  
ჭაიატავი 75  
ჭარელი 53

ჭართლი, შიდა ჭართლი, ზემო ჭართლი 25—27, 29, 30, 34, 38, 43, 54—56, 59, 72, 76, 125, 145, 164, 166, 167, 171, 174, 175, 181, 182, 185, 197, 198, 207, 214, 215, 218, 219, 223, 237, 312, 320, 323, 324, 326, 329, 332—334, 337, 354, 357, 360, 362, 368, 370, 371, 377, 383, 389, 412, 436, 441, 442

ჭარჩოხი 45, 48, 325, 334

ჭარისხევი 50

ჭაშო 35

ჭემერტი 54, 60

ჭენჭათ-კარი, ჭენჭათ-კარი, ჭენჭაანთ-კარი 45—48, 114

ჭეაბევენი 75

ჭეაბლიანის წყალი 341

ჭეაბლიანის ხეობა 341

ჭეაბლოვანი 341

ჭეაყრილი 326

ჭეემო-მესხეთი იხ. მესხეთი

ჭეემო-მოჭა იხ. მოჭა

ჭეემო-ნიქოზი იხ. ნიქოზი

ჭეემო-რაჭა იხ. რაჭა

ჭეემო-ფშავი იხ. ფშავი

ჭეემო-ჭართლი იხ. ჭართლი

ჭეემო-ძვიმღეთი იხ. ძვიმღეთი

ჭეემო-ხეთი იხ. ხეთი

ჭეემო-ხორხი იხ. ხორხი

ჭეემის ხევი 323

ჭეემის ხეობა 332

ჭეიშხეთი 311, 326, 333, 350

ჭიზიყი 76, 77, 320, 332

ჭინძათი 29

ჭისიყი იხ. ჭიზიყი

ჭისტაურები 36

ჭნოლო 325

ჭობლიანის ხეობა იხ. ჭეაბლიანის ხეობა

ჭობულეთი 341

ჭორდი 36

ჭორეთი 36

ჭოცნა 105

ჭოცნათი 98

ჭსნის საერისთაო 26

ჭსნის ხეობა 31, 44, 45, 47, 50—52, 61, 85, 170, 313, 325, 333, 334

ჭსოვრეთი 179, 181, 199, 203, 204

ჭსოვრისი 89, 90

ჭუთაისი 92—95, 97, 105—107, 163

ჭუთაისის სოფია-წმინდა 105

ჭურთა 46

ჭურთი 54, 60

ჭურტი 94

ჭია 321, 322

ჭიის ხეობა 332, 333

ჭიის ხრამი 322

ჭიხილა 75

ჭიხილვანი 60

ღალო 326

ღალოს მთები 334

ღევრეთი 34

ღევრეთი 29

შაზანი 268

ყაზახი 213, 257—259, 264, 268, 442

ყაიყული 26, 323, 334, იხ. აგრ. აბოცი

ყალნუ-შთა 326, 327

ყამიში 75

ყანობი 171

ყანობირი 171

ყანჩაეთი 83

ყარაბალი 257, 261, 262, 270

ყარაბულახი 75

ყარაია 346, 366, 370, 378

ყარაღაჯი 53, 319, 326, იხ. აგრ. ირჩანი

ყარაღაჯის მთა 334, იხ. აგრეთვე ირჩანის მთა

ყარსის მთა 327

ყაჩილუხი 75

ყაქქეველი 55

ყევეილი 50

ყვარელი 287

ყველდაბა 46

ყვირილს ხეობა 349, 353, 354, 357

ყლოში 94

ყუბის მარზა 259, 260, 264, 267

ყუში 136

შაეშეთი 164, 165, 293, 327, 333, 352, 416

შალაური 36

შემახის მარზა და სანახები 260, 267

შემბიანის მთა 316, 323

შაორის მთა 324, 334

შარვანი იხ. შარვანი

შაროი იხ. შარური

შარური (გუმბრის მარზისა) 213, 257—259, 262, 264, 267

შატაკთ-კარი, შეტაკთ-კარი 45, 113, 114

შატბერდი 164

შატილი 346

შემახია იხ. შამახია

შემოქმედი 107

შერთული 55

შესაყარი 75

შეტაკთ-კარი იხ. შატაკთ-კარი

შევიტარია 423, 425



შვეტია 229  
შიბლიანი 36, 37  
შიგნით-კახეთი იხ. კახეთი  
შიდა-ქართლი იხ. ქართლი  
შილა 37  
შინდისი 52  
შინდლარა 75  
შიომღვიმე 151  
შირაკი, შირაქი 238, 267, 270  
შირუანი 136, 137  
შიშთეფა 75  
შორაპანი 387  
შუამდინარეთი 230, იხ. მესოპოტამია  
შუამთა 306  
შუბანი 94  
შუშა 267  
შქმერი 172, 334

ჩადივარი 335  
ჩაილერი 36  
ჩარგამაშენი 75  
ჩარდახლუ 75  
ჩახმახლუ 75  
ჩეკური 36  
ჩილერტი 50  
ჩინჩხური 75  
ჩიტანთ-კარი 46  
ჩოჩხათი 98  
ჩრდილის ხევი 319, 329  
ჩრდილის ხეობა 333  
ჩრდილო-ამერიკა იხ. ამერიკა  
ჩრდილო-კავკასია იხ. კავკასია  
ჩუნგში 105  
ჩხარი 105  
ჩხერიმელას ქევი 310, 329  
ჩხერიმელას ხეობა 333  
ჩხიკთა 197, 198, 209, 220  
ჩხუტი 111

ძაიში 98—100, 107, 108  
ციე-გომბორის მთა 319, 332, 333  
ცივი 316  
ციხე 313, 328  
ციხეობადევი 324  
ციხის-ძირი, ციხისძირი 50, 82  
ცხაოტი 46  
ცხენისი 36  
ცხენის წყალი 330  
ცხინვალი 54  
ცხირეთი 130  
ცხრაზმა 45  
ცხრაზმის ხევი 82, 83, 325, 334  
ცხრა-შუხა 55

ძაბილაშვილები 75  
ძაგნაჯორა 36

ძამის ხეობა 324, 332, 334  
ძაჩნეში 54  
ძალინა 55  
ძეგლევი 46  
ძეგნათ-კარი 46  
ძევერი 55, 60  
ძველი გომარეთი 322, 333—334  
ძველი დმანისი 75  
ძვირღვთი 29, 30  
ძვრძვეთი 324

წაბლოვანი 28, 29, 34  
წაყვისი 52  
წაყველცი 75  
წალასყერი 52  
წალკა 362, 371, 377, 378  
წესი 218  
წვერი 54  
წიაბეთი 36  
წითელი-ეკლესია 75  
წიკიანი 87, 89  
წინანდალი 36  
წინ-დღეშეთი 49, 50  
წინაუბანი 36, 46  
წირეთი 55  
წირქვალი 333, 334  
წირქოლი 46  
წიქარაული 55  
წრაურთი 73, 75  
წულრულაშენი 75  
წყალთაშუა 75, 94  
წყაროსთავი 327  
წყლამი 75  
წყნეთი 75

ჰალა 55, 98, 99  
ჰანგა 98, 105  
ჰანეთი 94, 312, 340, 364, 381, 430  
ჰანეთის მთა 328  
ჰართლის მთა 324  
ჰელია-ღელე 371  
ჰილროთა 330, 333, 334  
ჰივქავას ხეობა 322, 332, 334  
ჰილაურთა 324, 333, 334  
ჰოლვეი 94, 103, 105  
ჰომა 94  
ჰოროხი 335  
ჰოროხის ხეობა 327  
ჰორქოხი 45  
ჰოტორი 85  
ჰოქანის ხეობა 322  
ჰუკა 75  
ჰურთა 45, 46, 325  
ჰურთის ხევი 45  
ჰუონდილი 330  
ჰუუში 94

ბავთი 327  
 ბაზი 389  
 ბანდაგი 53  
 ბანდოს ციხე 325  
 ბანძა 158, 159  
 ხარაი 369  
 ხარბალი 45  
 ხატის თელთი 52  
 ხაუველი 98  
 ხაში 35  
 ხაშური 360, 363  
 ხახული 313, 328, 333, 334  
 ხეი 324, 334, 348  
 ხეესურეთი 176, 213, 263; 320, 333, 346, 362, 441  
 ხელთუბანი 42, 60  
 ხეფინის ხეი 326, 389  
 ხეფინის ხეობა 383  
 ხეახტელი (sic) 53  
 ხედურეთის ხეობა 324, 332  
 ხეითი 54, 60  
 ხიბლა 98, 101  
 ხინოს ხეობა 329, 333  
 ხობი 325  
 ხოლაშენი 36  
 ხოლე 53, 324, 332  
 ხოხოეთი 45, 47, 114  
 ხოიბი 98  
 ხოლასკური 94  
 ხონი 94, 97, 98, 101, 102, 105—108.  
 ხონა 258, 262, 267  
 ხოეორნიის ქეობა 322  
 ხორანთა 319  
 ხოფე 438  
 ხოჩი 110  
 ხული 75  
 ხუნანი 322, 312

ხურვალეთი 312, 305  
 ხუცისოფელი 75  
 ქეი 35  
 ქეელრა 334  
 კორხელი 36  
 ქეფინის-ქეი 329  
 ჭავახეთი 83, 164, 166, 206, 207, 256, 257, 260, 265, 276, 311, 313, 327, 328, 334, 404, 441  
 ქავახთა 46  
 ქამბალჩა 75  
 ქანაზიანი 75  
 ქარიაშენი 325, 333  
 ქგალი 99  
 ქებრაილის მახრა 369  
 ქერკელანი 25  
 ქეჭორი 330  
 ქეჭორის ხეობა 334  
 ქეარა 75  
 ქეარის მონასტერი 320, 333  
 ქიგრაშენი 89  
 ქიმაშთარო 94, 97, 98, 105  
 ქიმიშთაროს წყარო 94  
 ქიქტუბანი 97, 98, 105  
 ქიშნი 36  
 ქიქეთი 391  
 ქიქეთი 35  
 ქორიელი 99  
 ქუარი 94  
 ქუმათი 108, 109  
 ქუმათის მთა 329  
 ქუმათის ხეობა 333  
 ჰერეთი 165, 319  
 ჰერეთის მთა 316

### ბ) ეთნიკურ სახელთა

აბაზ-ჩერქეზთა ტომები 408  
 ალაძონელები 436  
 ალბანელები 222, 274, 398  
 ანგლოსაქსები 248  
 არაბები 24  
 არაუეროპელი ერი 282  
 ბერძნები 24, 162, 177, 240, 283, 387, 395, 401, 423—425, 428, 430  
 ბიზანტიელები 24  
 ბერძნელები (პოლონეთში მცხოვრები) 280  
 გერმანელი ტომები 249

გუთები 240, 408, 432  
 ღვალნი 38  
 მბრაელები 24, 156, 289, 343, 394, 395, 400, 401, 423  
 ეგვიპტელები 382, 394, 424, 425  
 ევროპის ერები 425  
 ელი (უბინადრო მოსახლეობა, რომელიც შესაქონლეობას მისდევდა და თურქთა ტომებთან საგან შედგებოდა) 27  
 ერეენის მახრელნი 259  
 ერტუსეები 229, 230, 242, 423

„მთარები“ 252, 260, 265, 267, 369  
„თათრები“ (ბორჩალოელი) 369  
„თათრები“ (განჯის მახრის ბარში მცხოვრებნი) 259  
„თათრები“ (გუმბრის მახრისა) 259  
„თათრები“ (დარალავიოზისა) 259  
„თათრები“ (ერევნის მახრისაში მობინადრე) 259  
„თათრები“ (ზანგეზურის მახრისა) 258  
„თათრები“ (მეგრისა) 259  
„თათრები“ (ნუხელი) 259  
„თათრები“ (ყაზახის მახრისა) 259  
„თათრები“ (ყაზისა) 259  
„თათრებად“ წოდებული თურქები (აღმ. და სამხრეთ ამიერკავკასიაში მცხოვრებნი) 259  
თურქები 27, 261, 266, 276  
თურქები (ადერბაიჯანელი) 370  
თურქები (ამიერკავკასიაში მცხოვრები) 258, 260—262, 264—269, 274  
თურქები (ზანგეზურისა) 266  
თურქები (ოსმალეთის აღმოსავლეთის თემებისა) 267  
თურქები (სომეხთა მეზობლად მოსახლე) 263  
თურქები ანუ ოსმალები (სტამბოლელი) 258, 264  
თურქები (ციმბირის ტობოლსკისა) 258  
თურქ-თათრები 369, 419  
თურქ-თათრები (ადერბაიჯანელი) 280  
თურქთა ტომები 256, 267, 268, 274  
იბერნი 398  
იბერნი (ესპანიის) 288, 423, 436  
ილირიელები 436  
ისრაელნი 24  
აპოლოები (კელტ-ილირიელთა ნარევი ტომი) 436  
ძვეკასიელები 240  
კავკასიის შკვიდრნი 254  
კასკ-კოლხების ტომები 336  
კახთა ტომი 284  
კელტები 436  
კოლელნი 285  
კოლელთა ტომი 285  
კოლხები 285, 287  
კოლხთა ტომი 284  
კორაქსები 284  
კუმუხელნი 258, 259  
ლაზები 387  
ლაზები (ჩიონისპირელი) 386  
ლაკონელები 387  
ლანგობარდები 249  
ლექები 143  
ლექების ტომები 431

მეგარის მცხოვრებნი 258  
მეორელები 436  
მთიელები 191, 208, 215, 240  
მონღოლები 24, 122, 136—138  
მოსნიკები, მოსინიკები, მოსსენეები 358, 393, 430  
მოლხთა ტომები 336  
ნოლაელები, ნოლაელნი 258, 259, 268, 280  
მესნი 38, იხ. აგრ. ოსები  
ორჩის-ხეველნი 258  
ოსები 181, 187, 214, 254, 418  
ოსები (პიტაუთელი) 283, 284  
ოსები (საქართველოში მობინადრე) 255  
ოსები (ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები) 255  
ოსმალები 38, 41, 123, 125, 259, 268, 280  
ოსმალები ანუ თურქები (სტამბოლელი) 258, იხ. თურქები (სტამბოლელი)  
რომაელები 177, 279, 382, 387, 397, 402, 408, 423—425, 428  
რუსები 40, 144, 148  
ხარმატები 436, 437  
საქართველოს ჩრდილოეთის ზოლში მცხოვრები ტომები 434  
სელჩუკიანნი 167  
სემიანი ტომები, სემიანთა მოღმის ერები 382, 425  
სეანები 418  
სეითები, სკოლტები, სკუთები 240, 284, 285  
სკუთები იხ. სეითები  
სკოლტები იხ. სეითები  
სპარსელები 41, 125, 252  
სომხები 177, 186, 256—267, 269, 271, 276  
სომხები (ამიერკავკასიაში მცხოვრები) 256, 262  
სომხები (არჩის-ხევისა) 261  
სომხები (ახალ-ზაიხუთისა) 270  
სომხები (ახენელი) 269  
სომხები (დიდ-დაღეთელი, „ყარაბალითგან არიან გაღმოსახლებულები“) 257, 269—271  
სომხები (ზანგეზურელი) 369  
სომხები (ლორესი) 270  
სომხები (ლორე-ფაშაბაისა) 408  
სომხები (ნუხელი) 258  
სომხები (ოსმალეთში მცხოვრებნი) 256, 265, 266  
სომხები (სპარსეთისა და ოსმალეთის ზოგიერთი თემის მცხოვრები) 262  
სომხები (ყარაბალისა) 257, 270  
სომხები (ყაზახეთში მობინადრე, „XIX ს. ოქტომბერი-ნოემბერი“ წლებში ოსმალეთიდან გაღმოსულნი და დასახლებულნი“) 256, 257, 260, 265—267, 269, 270

ტუბალების ტომები 336  
სკრაინელები 252  
ფინიკიელები 294, 393

ძართველები 151, 177, 178, 240, 241, 255, 260,  
261, 264, 266, 269, 271, 272, 277, 279, 282,  
283, 288, 310, 336, 370, 372, 395, 418,  
425—429, 431, 433, 439

ქართველთა მონათესავე ტომები 285, 286, 336,  
337, 431, 433, 434, 439

ქურთები 258

ლენძები 431

შაბარდოელები 253

ყარანოღაელები 267

ყივჩაყნი 25

ყიზილბაშები (ჩრდ. სპარსეთის აღდრბაიჯანის  
თურქები) 258, 259

შავი ზღვის სანაპიროზე მოზინადრე ერები  
395, 436, 437

ჩაჩნების ტომები 431

ჩერკეზები 252

ჩერკეზების ტომები 431

ჩრდილოეთ კავკასიაში მოზინადრე ტომები 252,  
274

ხალიბები 285, 393

ხევსურები 108, 240

შანები 425

კანების ტომები 358, 393

კანეთის მოსინიკთა ტომები 430

ჯაეახთა ტომები 284

პუნები 432

## დ) ტ ა რ მ ი ნ თ ა

ბბანოს იარალი 127

აგაფა 181, 200, 217—219

ადგილი პოხიერი 160

ადგილნი ზამთრისანი 168

ადგილნი კეთილნი 153

ადგილნი ღონიერნი 153

ადრეული 434, 440

ადრიანი იხ. ადრეული

აზადი 95

აზატი იხ. აზადი

აიაწყ 270

აკაყის ხე 379

აკენ გუთან იხ. გუთან

ალათ 258—263

ალაქ-თახაასი 269

ანდრეული იხ. ადრეული

ანდრიანი იხ. ადრეული

ანგელი 400

აიშა 276

არაურ 237

არატრუმ 249

არე ბრიწყ-ბაშბოლ 332, 335

არე ვენახ-ხილიანი 332, 335

არე ზამთრის სამოყებლის 335

არე თურინჯ-ნარინჯის 332, 335

არე უყენახ-ბოლო 334, 335

არე უტუელი ბალახან-უყენილიანი 334, 335

არზან 383

არზინ იხ. არზან

არომა 179, 181, 195, 201, 206, 221, 237, 257,

260, 266, 273, 282

არონე 213, 214, 237, 256, 257, 260, 261, 263,  
271, 272, 274, 280

აროტროპეს 178, 240

არუნა 201, 206, 237

არქი 232, 233, 240

ასაყრაი 270

ასაშწარლო 27

ასლი 345, 357, 358, 362, 363, 368, 414, 419,  
425, 428

აქოქ 236

ალაპები 115, 119

ალაპის წიგნი 115

ალ-ბულდა იხ. ბულდა

ალდაქი 160, 161

ალერება 298

ალმორჩება 297

ალმოთხრა 297

ალმოცენება 290, 297

ალმოჭეჭლება 297

ალრაცხვა 24

ალრიცხვა იხ. აღრაცხვა

ალსამჭერლო 26

ალუევეება 299

ალ-ყულჯუ იხ. ყულჯუ

ალწერა 44

ალწერა ქვეყნის 46

ამლანი 408

ამნანი იხ. ამლანი

ამურკან 403

ამურაბ 418

ამატი 179, 181, 195, 199, 201, 203, 204, 213—

215, 218, 221, 223, 236, 237

აჩეჩა იხ. აჩაჩი  
აჩოყება 298  
აუახუ 253  
ახალთესლი 348, 372—374, 407, 426—428  
ახალთესლი დიკა იხ. დიკა  
ახალთესლი ქერი იხ. ქერი  
„ახალი“ 428  
ახალი თესლი 373  
ახალი პერი იხ. პერი  
ახალეხი 127  
ახო 173, 174  
ახოდ განკაფული 174  
აქეჩილება 297  
აყილა 204

ბაბა 344, 396, 424  
ბარგი 233, 240  
ბარგუა 232, 233  
ბარდა 343  
ბართა ხელი იხ. ხელი  
ბარი 151, 152, 233, 234  
ბარქელი 233  
ბეგარა 30, 31  
ბეგარა მთაენი 94  
ბერგ 232—234  
ბერგ ლაღენის 233  
ბერქელანი 240  
ბერჯი 232  
ბეჭდები 127  
„ბირინჯ“ 379  
ბიჩალი 274  
ბიცი 160, 161  
ბოგანი 28, 33  
ბულა, ანუ ბლუქა თეთრი ღომი იხ. ღომი  
ბორგამ 234  
ბრინძ 279  
ბრინჯი 338, 344, 345, 379, 380, 424  
ბურეს 254  
ბურეუ 254  
ბურეს იხ. ბურეუ  
ბურეუ იხ. ბურეუ  
ბუტკო 303  
ბულდა 419  
ბულდა, აღ-ბულდა 367, 419  
ბულდა, სარი-ბულდა 369, 409  
ბულდა, ყარა-ბულდა 369, 419  
ბულდა, ყრმუხ-ბულდა 367, 369, 419  
ბულუქა 345, 390  
ბულუქა წითელი ღომი იხ. ღომი

მაბრუნებელი სახენელი იხ. სახენელი  
გავაინი 259  
გათერძვა 276  
გალატური იხ. ქერი  
„გალგალოს“ 409

გამელი 128  
გამლის შოახლე 128  
გამობუტკვა 303, 304  
გამოსავალი 69  
გამოსავალი საბატონო 76  
გამოსავალი სამოურაო 76  
გამოსავალი სამოხლეო 69  
გამოსავალი სახემწიფო 69  
გამოსავალი ქისეისა 76  
გამოღება 304  
გამოღება, ნაყოფის გამოღებელი 303  
გამოღება, ხეხილის გამოღებები 304  
გამოცემა 304  
გამოქმა 304  
განღუპ 339  
განსუენება ქუეყანისა 410  
გაოშვა 276  
გარეშე წიგნები 126  
გარი 407, 421, 422, 438  
„გარეგება კახეთის ბაყეხისა“ 76  
„გარიგება ხელმწიფის კარისა“ 70  
გარიგების წიგნები 69  
გარიგების წიგნი მეწინავე სადროშოს ძღენისა და სამასპინძლოსი 72, 73, 75  
გარიგების წიგნი ერწო-თიანეთის სარგოსი 80  
გარიგების წიგნი კახეთ-ქიზიყის XVIII საუკუნეა წლების გამოსაღებისა 76—78, 79  
გარიგების წიგნი სამთავნელის სარგოს ღრამისა და შესაელისა 81—85  
გარიგების წიგნი ქალაქის მოურავის სარგოსი 78, 79  
გარიგების სიგელი წილენლის სამწყსოს ღრამისა და საწირავისა 85  
გარნანი იხ. გარნანი  
გარნანი 369, 408  
გარჯენანი 408  
გახარვა 277  
გერა ქათანი იხ. ქათანი  
გეაწა 419, 432  
გეაწა-ზანდური იხ. ზანდური  
გიარობა 438  
გინონ 255  
გმარი 340, 421, 422, 438  
გმარობა 439  
გოგორა კელის 182, 228  
გოგორა კვალის 182  
გოგორა მეთი 182, 208  
გოთან 253  
გოთან გერჯერამ 253  
გორწენ 258, 260, 261  
გორწოყარ 261  
გოტენ 255  
გომ 418  
გვრგანა 369  
გუენ 418

გუზლუე 369  
გუთან 253, 258  
გუთან, აენე გუთან 258, 260, 266, 267  
გუთან, კრე გუთან 258, 260, 266, 267  
გუთანი 178, 179, 188, 195, 208, 210, 211, 221,  
224, 228, 240, 252, 253, 267—269, 279, 280  
გუთანი ამერული 187  
გუთანი ნიზბის 187  
გუთანი რაინული 280  
გუთანი ფშური 191  
გუთანი ღალის 289  
გუთანი ხეცურული 191  
გუთნული 289  
გუთნის დედა 285—288  
გუთონ 255  
გუნიც 418  
გულისპირის ჩამოსაელები 127  
გურიტი 420  
გუტონ იხ. გუთონ  
გუტონი იხ. გუთონ  
გუქარნი საგანძურისანი 24

#### ღავთარი 25, 30

ღავთარი გორის მცხოვრებთა აღწერისა 57  
ღავთარი დიდი საკათალიკოზო 97—110  
ღავთარი ზაქათლის XVIII ს. დამდგენია 34  
ღავთარი კახეთის ხალხის აღწერისა 34—38  
ღავთარი ლიახურას ხეობისა 42  
ღავთარი ნაქანულისა 104, 105  
ღავთარი სამაროელისი 30—34  
ღავთარი საქ-ხო გამოსაელის მოსაქრებლობისა  
101  
ღავთარი საცაგერლოს გამოსაელისა 111—113  
ღავთარი საცაიშლო საეპისკოპოსო სამწყისოს  
გამოსაელისა 99  
ღავთარი ტფილისის ხალხის აღწერისა 58, 63  
ღავთარი ქალაქის მოქალაქეთა 69  
ღავთარი ქსნის ხეობის გამოსაელისა 113, 114  
ღავთარი ქუთაისის საყდრის გამოსაეალი ბეგრ-  
ისა 91—94, 96, 97  
ღავთარი შემოსაელისა 69, 70, 75, 76  
ღავთარი ზონის საყდრისა 101, 102, 106, 107  
ღავთარი ზონის წმ. გიორგის გამოსაელისა 99  
ღავთარი ჭვალის ციხის გამოსაელისა 99  
ღავთარი 1774, 1781 წწ. აღწერისა 42  
ღავთარი 1721 წ. ხალხის აღწერისა 38—41  
ღავთარი XVIII ს. მეორე ნახევრის ხალხის  
აღწერისა 41

#### ღალგუე 134

ღანანარქის ანგარიში ბერბუკის გაღავნისა და  
რუების კეთებისა 124  
ღანანარქის წიგნი 1751 წ. 125  
ღანერგვა 295  
ღასვენებული მიწა 397  
ღასტურღამალი 69, 72, 78

#### ღატევებული 154, 155

ღაცხრომა 297  
ღაწერილი მელქისედეკ კ-ზისა 119—121  
ღაწერილი ნიკორწმინდელის XI ს. 121  
ღგომა 80, 81, 85  
ღეღო 218  
ღეკა 416  
ღელნაზარდა 419  
ღიარ 437, 438  
ღიარათა 437, 439  
ღიარობა 439  
ღიღნი შემომწირველნი 116, 117  
ღიკა 345, 348—350, 374, 407—409, 412, 415,  
416, 425, 427—431, 434  
ღიკა პური 413  
ღიკა ახალთესლი 431  
ღიკა თეთრი 349, 350, 405, 406  
ღიკა შავთათაეა 349  
ღიკა შავთაეელა 405, 406  
ღიკა შავთაეელი 349  
ღიკა შავფხა 349, 405, 406, 413  
ღიკა წითელი 349, 350, 405, 406  
ღირჩაე ქაოთან იხ. ქაოთან  
ღისტიკუმ 408, 440  
ღობორგამ 234  
ღოვორგამ 234  
ღოლ 416  
ღოლა 416  
ღოლგონოს 409  
ღოლი 345, 352, 416, 417  
ღოლის პური 352—355, 357, 358, 414, 417, 419,  
425, 428  
ღოლის ყანა 352, 416, 417  
ღოლი თეთრი 353, 354, 357, 405, 406, 417  
ღოლის პური თეთრი 406  
ღოლის პური უფხო 356, 357  
ღოლის პური შინდური 357, 405, 406  
ღოლი წითელი 354, 357, 405, 406  
ღოლის პური წითელი 357  
ღორგუათა 234  
ღრამა 30—33, 85  
ღღან 254  
გე მაკ 269  
გეროს 284  
გეალი 403  
გელი 27  
გელმოს 387, 388  
გეგარ 239  
გეკ 276  
გეკქენა 238  
გეკქანი 176—179, 195, 196, 208, 210, 211,  
218, 221, 223, 224, 227, 238—240, 263  
გეტარი 302  
გექსმწკრივა ქერი იხ. ქერი  
გექსუნჯი 392, 395, 396

შაბბე 253  
ჯაე 152  
ველური 152  
ველი 152, 157  
ველის გოგორა იხ. გოგორა  
ველობი 152  
ვენახი 157  
ვენაქი იხ. ეენახი  
ვერნახი იხ. ეენახი  
ვერქვანი 179, 240, 263  
ვესკი 257, 259—263  
ვესქი იხ. ვესკი  
ვესკი იხ. ვესკი  
ვესოუ 263  
ვეცხლი დრამაჲ 80, 81  
ვეენ 253  
ვიწკაეორ 263  
ვიწკი 262  
ვიმერ 179  
ვიორგამ 234  
ვისკი 262  
ვისენ 255

ზანდური 345, 359—365  
ზანდური გკაწა 359, 362, 417  
ზანდური თეთრ-თაეთაჲ 362  
ზარდა 369, 409, 419  
ზარდა თეთრ-ფხა 369  
ზითეს წიგნები 126—132  
ზიურ 422  
ზოლი ეენახოვან ხილიანი 313  
ზოლი ზღვის კიდური 328  
ზოლი თურინგ-ნარინგ-ზეთის ხილიანი 313  
ზოლი მთის კერძონი 328  
ზოლი მთიერი 313  
ზორათ 383  
ზრო 298, 299

თაეელი 342  
თაეთაეი 342  
თაეთები 365—367, 370, 424  
თაეთები თეთრი 367, 370, 405, 406  
თაეთები ნამდელი 367, 406  
თაეთები ქონდარა 367  
თაეთები შეთაეულა 367, 368, 370  
თაეთები შეთვალა 405  
თაეთები შაეი 370  
თაეთები შაეფხა 367—370, 405  
თაეთები ჩაევერა 367  
თაეთები წითელი 368, 405  
თაეი ბეგარა 94  
თაეი ხეილისაჲ 301  
თაე-მიწა 172  
თათუე იხ. თათუხი  
თათუხ იხ. თათუხი

თათუხი 345, 360, 365, 366, 368, 419, 420  
თარა 162, 235  
თარხანი 32, 33  
თაე 270  
თეთრთაეთაჲ ზანდური იხ. ზანდური  
თეთრი დიკა იხ. დიკა  
თეთრი დოლი იხ. დოლი  
თეთრი ზარდა იხ. ზარდა  
თეთრი თაეთუხი იხ. თაეთუხი  
თერძ 276  
თერძელი 276  
თესვა 296  
თესლი 296, 302  
თესლაშრეტით გახმობა 302  
თესლი კეთილი 297  
თესლობა 300  
თესული ყანა 171  
თივა 290, 291  
თიფი 291  
თიფი ხომბულა 291  
თიფი ხომულა 291  
თმ-ს სატანები 127  
თობი 231, 232  
თობან 232  
თობ-სახენელი იხ. სახენელი  
თობნაირი სახენელი იხ. სახენელი  
თობნა 232

იალქანი 127  
იეფობა ნაყოფთა 161  
იოქ 347  
იელამა 276  
იშერული გუთანნი იხ. გუთანნი  
იმფხრეული 416  
ინდაერი ფეტვი იხ. ფეტვი  
იონკა 343  
ირქი 347  
იფქლი 339, 345—347, 353, 407, 408, 414—417, 419, 425, 427—429, 432—434  
იფხლი იხ. იფქლი

იაბა 127  
კაბადეკური ყრდელი იხ. ყრდელი 321  
კაბიწი 84, 85  
კაეი 194, 198, 199, 219  
კაკაბი 187, 210, 219, 270  
(ქე) კალაჲ 298  
კანაფი 344, 394, 395, 424  
კანთერული 440  
კანნაბის 395  
კაპი 237  
კარაეკუგჩღლ იხ. უგლჩუ  
კარაული 165  
კარწრ ცორენ იხ. ცორენ  
კარწუმელი 385

კაპუქა 219  
კახეთის ბაეების გარიგება 76  
კბილა 199, 201, 220  
კბილა-ქესლი 199  
კბილა ჩუთიანი სახენელი იხ. სახენელი  
კბილი 187  
კეკო 235, 237  
კეკუა 235, 236  
კენტხელა მახა იხ. მახა  
კენჭროს 384  
კევერა 375  
კევერი ქერი იხ. ქერი  
კევერი ქრილი იხ. ქრილი  
კერა 257, 258, 260, 261, 272  
კერძო აგარაკისა 168  
კეტ 301  
კეტონეტ 424  
კვალის გოგორა იხ. გოგორა  
კვამლი, კაი კვამლი 73, 74  
კვამლი, ამისგან დაბალი 73, 74  
კვამლი, ამათგან უმცროსი 73, 74  
კვერცხი 94  
კვეცენ 354, 356  
კვირითა 420  
კვირითი 420  
კვირტი 420  
კიი 300  
კიკილი 300  
კილა 300  
კილერა 300  
კილი 300, 301  
კილო 300, 301  
კილუა 300  
კინახონა 218, 220  
კიტონეტ 424  
კიფი 396  
კლემს 301  
კლეტა 301  
კლიტე 301  
კობერი ქერი იხ. ქერი  
კოლი 82, 83  
კოთენ 253  
კოთენ შაქა 253  
კოკობი 300  
კოკოშა 213, 214  
კოლა 300  
კომლ-პირისპირ-მარცვლიანი ოსპი იხ. ოსპი  
კომჩატკა 409  
კორდგატხილი ნახნავი 397  
კორდთა გაუტეხელი 153  
კორდი 173  
კორკოტო 364, 365  
კორძ შაქ 269  
კოტან 255, 258  
კრე გუთან იხ. გუთან

კრი 421, 422  
კრიოთა 430, ჰე კრიოთე 407  
კტავ 424  
კტეკლი ქერი იხ. ქერი  
კვრტი 420  
კვცენ 354  
კული 198  
კუცენ 354, 355, 414, 417—419, 424, 432, 437  
კუეცენ ლგუფხა 355  
კუეცენ შათენ 355  
კუეცენ შაწრან 355  
კუეცენ ხელუგუ 355  
კუთენ 254  
კუთენდი შალ 254  
კუნუბუ 394  
კუეუეი 198  
კური 258  
კელ 300  
კელერი 300  
კელი 300  
კელუა 300  
ლაზუტი 384  
ლაზუტი ჯარი 340  
ლატი 384  
ლატი 384  
ლერწამი 298  
ლობიო 342—344  
ლოდოვანობა 174  
ლუბია იხ. ლობიო  
ლღუხა კუეცენ იხ. კუეცენ  
მაბარგალი 232  
მათენ კუეცენ იხ. კუეცენ  
მამული 74, 75  
მამული მთელი 74, 75  
მამული მთელი თარხნის 74, 75  
მამული ნახეკარი 74, 75  
მანშ 355  
მანშაუ 418  
მანჭა 187  
მანჭო 227, 228, 269  
მანჭუა 177, 187, 209, 227, 228, 269  
მანჭუა დიდი 210, 227  
მანჭუა პატარა 210, 227  
მანჭუალი 228  
მანჭუაჲ 201  
მანჭუას თავი 201  
მარგელა 233  
მარგი 233  
მარტივი სახენელი იხ. სახენელი  
მარტივი ქერი იხ. ქერი  
მარცვლი 295, 301, 338  
მასენ 258  
მატიანე 30



მალ 254  
მაშა 344  
მაშენებელი 117, 118  
მაწუნის დედა 286  
მაწუნობა 302  
მაწრან კუეეენ იხ. კუეეენ  
მაქ 269  
მაქო 228  
მაქუა 228  
მახა 345, 358, 359, 361—365, 414  
მახა კენტხელა 359  
მახა ფართე 359  
მახა ფიცარა 359  
მახა ჩელთა 359  
მახა წერილი 359  
მახაჩქალი 231, 234  
მელეოა 290, 292, 293  
მე:ომლე 42  
მემკვიდრე 44  
მემკვიდრე მეკომერი 33  
მე:ელეფე და მეხევე 28  
მეშარბათე 129  
მეხეატენე 235  
მთა 151, 152  
მთესეარი 296  
მთესეელი 296  
მითეეებაჲ ქეეეენისაჲ 400  
მკერვალი 129  
მობეგრე 32, 33  
მოღგამ 270  
მოღგამი 271  
მოღარე 129  
მოოკრებაჲ 154  
მორჩთა აღმოფოფინება 297  
მოსახსენებელი 31  
მოსელი 303  
მოქმედება 153  
მოყალნე კაიი 28  
მოყალნე მსახლობელი 28  
მოწრფელეებაჲ პირისაჲ 173  
მოქნეაჲ 169  
მრედე-ხიანი სახენელი იხ. სახენელი  
მსახერი და გლეხი 28  
მსეუეეა 303  
მტოლი 166  
მუახლე მელოშაქე 128  
მუახლე მოღარე 128  
მუახლე პირისფარეში 128  
მუახლე სარაქილოსანი 128  
მუქურ 254  
მუხედო იხ. მუხედო  
მუხელი იხ. მუხედო  
მუხედო 342—344  
მუხედო წაბლისფერა მარცელიანი 46  
მუოფელი 304

მეენარე 290, 294, 295  
მეენარე ველური 294  
მეენარე ეკლიანევეილიანი რიგი 338  
მეენარე შინაური 294  
მეენარე ხობლელი 338  
მეირე გოგორა იხ. გოგორა  
მეხედლი 302  
მწიფეა 302  
მწენილი 290—293  
მწენილი ველისა 291  
მწენილი თოვისა 290, 291  
მწენილიოვანი 292  
მქალი 387  
მქალის ფეტვი 387; წითელი-ქალი 365  
მქლე მიწა 398  
მქლეა 160  
მხალი 293  
მხალი ველისა 293  
მხალი მწენილისა 294  
მქენელი 169

ნამდვილი თაეთები იხ. თაეთები  
ნაეღელი თეთრი ღოში იხ. ღოში  
ნარბილი 174  
ნაყოფი 304, 305, 307  
ნაყოფიერი 160  
ნაყოფიერი ხენი 305  
ნაყოფი ნედლი ღერილი 302  
ნაყოფსავესე 304  
ნაყოფი ქერქმაგარნი 306  
ნაყოფი ქერქბორნი 306  
ნახაქა 234  
ნდოლი 292  
ნებსით აღმოსრული 169  
ნერგი 234, 290, 294, 295  
ნერჩა 234  
ნიხის გუთანი იხ. გუთანი

მაზლეჲ 369  
მარონაჲ 257

მზერგე 232, 233  
ოგაჲ იხ. ოგაფა  
ოგაფა 181, 200, 215, 217—219, 236, 237  
ოღიარაფალი 438  
ოღიარე 438  
ოღოში 365  
ოვიჩე 422  
ოკონე 232, 233  
ოკელარი 380  
ონა 171  
ონღიარე 438  
ორგუაჲ 234  
ორზა იხ. ორიზა  
ორთობი 231

ორიზა 380  
ორინდა 380  
ორმწკრივია ქერი იხ. ქერი  
ორნადი 218, 219  
ორნატი 169, 170  
ორტვიო იხ. ორტვიინი  
ორტვილი იხ. ორტვიინი  
ორტვიინი 158  
ორვზა იხ. ორიზა  
ორვძა იხ. ორიზა  
ორხელი 213  
ორგზა იხ. ორიზა  
ოსპი 342—345  
ოსპრია 430  
ოსულე 392  
ოქოქა 179, 181, 195, 200, 213—216, 218, 221,  
230, 236, 237  
ოჩაპურე 364  
ოჩოჩა 200, 208, 219, 236  
ოცხანის ბეგრის წუსხა 104  
ოხერი 153—155  
ოხრებაჲ 154

პაშბაქ 396  
პარკი 342  
პარკოსანი 343  
პარკ-კოტოსანნი 342, 343  
პარსკაქან ცორენ იხ. ცორენ  
პარტახტი 154  
პერანგი და მისი ამხანაგი 127  
პერანგი და მისი ტოლი 127  
პეშტ 424  
პირის მარგალიტი 127  
პიტნა 270, 271, 305  
პიშტუკ 424  
პლაუმარტი 208, 244  
პლოვიუმ 249  
პლოუმ 248, 249, 279  
პლუგ 252, 280  
პოშოლა 354—357  
პოხიერი 160.  
პოხილი 403  
პრტყელი ქერი იხ. ქერი  
პრტყელი ქრთილი იხ. ქრთილი  
პვროჲ 351, 430  
პვროს 407, 408, 429, 430, 439  
პურასკია იხ. პრასა  
პურეული 339, 340  
პერი 346, 351, 417, 437  
პერი ახალი 352  
პერის ახალი ქიმი 427  
პერი უფხო 347, 354—357, 406  
პერი ყვირელი 369  
პერი შავი 369  
პერი შინდური 354

პერის ძველი სახე-ქიმი 427  
პერი წითელი 369  
პერის კვამი 94, 437, 439  
პერის კვამი და სამსახური 95  
პერობა 437—439  
პურეუ 254  
პურტილ მაქ 254  
პხააშა 253  
პყაასე 253  
პჭლეგ 248

შამი პერისაჲ 437

რამნული გუთანნი იხ. გუთანნი  
რბილი ხორბალი იხ. ხორბალი  
რგვა 234  
რგუაჲ 234  
რეზცუ 254  
რეილაჲ 201  
რეილა-ხელნა-ქესლ-კბილიანი სახენელი იხ. სა-  
ხენელი  
რეილი 187, 190—192, 210  
რინობა 156, 157  
როკიკი 165  
რტომრავალი 299  
რტოჲ 299  
რცხალი 174

საბაზიარო 73, 74  
საბან 253, 258, 259, 268, 280  
საბან აღაჯი 268  
საბან ბურენ 268  
საბან დემირი 268  
საბან უჩქესი 268  
საბეჭდაეები 127  
საგულე 127  
სადარო 438  
სადიასახლისო 128  
სადროშო ბატონისა 26  
სადროშო ზემოქართლისა 26  
სადროშო მეწინაე 26  
სადროშო მუხრან-ბატონისა 26  
საერო წიგნები 126  
საზინდროს იარალი 128  
სათვენო თეთრი 128  
სათამაშოები 127  
სათესავი ყანაჲ 158  
სათესველი 158  
სათობელი ქუეყანაჲ 159  
სათობი 159  
სათხროლი 232  
სათხროლიანი სახენელი იხ. სახენელი  
საყვეთელი 181, 182, 187, 199, 203, 204, 225,  
226, 274  
საყვეთი 182, 187

საკვეთლიანი სახენელი იხ. სახენელი  
საკლავი 94  
საკომლო შთელი 73  
საკომლო ნახევარი 73  
საკომლო ამოვან უმცროსი 73  
საკუთელი იხ. საკუთელი  
სალაშე 104  
სამეხრეო 128  
სამზარეულოს იარაღი 128  
სამ-ნდალი 360, 365, 384  
სამინდო 360, 365, 384  
სამკაულნი 127  
სამოახლოს ცხენები 128  
სამსახური 94  
სამსკვავი 228  
სამტილე 158  
სამყურა 343  
სამხრონი 300  
სანერჩე 234  
საოხრად ყოფნა 154  
საპირფარეშო იარაღი 127  
სარგო 26, 68  
სარგოს გარეგების წიგნები 70  
სარეაზ 258, 260, 261  
სარი-ბულდა იხ. ბულდა  
სარკაე 270  
სარტყლები 127  
სარწყაეი 161  
სასაძოვრე 159  
სასეფონი ყანანი 172  
სასეიანი 73—75  
სატარე 219  
საუნჯენი 127  
საფან 268  
საფან-დემირი 259  
საფარეშოს იარაღი 128  
საქმე 153  
საქმე ქუეყანისა 156  
საქუნელ 355  
სალმთო წიგნები 126  
საყანური 158  
საყურე 127  
საყაიშლოს დაეთარი 102, 106—108  
საყეეთი 220, 264  
საცხენოს იარაღი 128  
საძოვარი 158, 159  
საწოლის იარაღი 127  
საწოლის მოფენილობა 127  
სახაბაზოს იარაღი 128  
სახელური 201  
სახენელი 175—179, 219, 265  
სახენელი გაბრუნებული 190  
სახენელი თონაირი 229  
სახენელი, თოხ-სახენელი 191  
სახენელი კბილა ჩუთიანი 190

სახენელი მარტივი 247  
სახენელი შრედუხიანი 191  
სახენელი რეილა-ხელნა-ქუსლ კბილიანი 37  
სახენელი სათხროლიანი 190  
სახენელი საკვეთლიანი 248  
სახენელი სახნისიანი 229  
სახენელი სახნის-საკვეთლიანი 229  
სახენელი სახნის-საკვეთ-ფრთიანი 229  
სახენელი სწორე რეილიანი 191  
სახენელი ღერძ-გოგრიანი 248  
სახენელი ყურებიანი 248  
სახენელი წერაქუნაირი 229  
სახენელი ყოხიანი 229  
სახიზე 73—75  
სახნაეი 219  
სახნავის უღელი 219  
სახნისი 181, 182, 187, 197, 222, 225, 232  
სახნისი ძელის 221, 223, 225  
სახნისიანი სახენელი იხ. სახენელი  
სახნის-საკვეთლიანი სახენელი იხ. სახენელი  
სახნის-საკვეთ-ფრთიანი სახენელი იხ. სახენელი  
საკვენელი იხ. სახენელი  
საქმარი 153  
საქნეი 157, 158  
საქნისი იხ. სახნისი  
საქსენებლები 115  
საქსონიქ იხ. სონიქი  
სელი 344, 392, 423, 424, 428  
სეფე-ყანა 172  
სელი 338, 381, 423, 424  
სეიორდეა 173  
სოლივი 423  
სომინდა იხ. სომინდი  
სომინდი 344, 382—384, 435  
სომინდრე იხ. სომინდი  
სომქლეა 160  
სოინიქი იხ. სონიქი  
სოხოხე 160  
სოღრმე შიწისა 297  
სიტოს 407, 408, 429, 430  
სოლინიქი იხ. სონიქი  
სონიქ იხ. სონიქი  
სონიქი 345  
სორგო 391  
სპარსული ხორბალი იხ. ხორბალი  
სპარსული ხორბალი ვაეილოვი იხ. ხორბალი  
სპარსული ხორბლეული იხ. ხორბლეული  
სუ 392  
სედრის იარაღი 126  
სედერი 392  
სელთა შატანე 115  
სერიწან იხ. სერიწა  
სეფრის იარაღი 128  
სელა 258  
სქუთან 240

სწორე რელიჯიანი სახენელი იხ. სახენელი  
სკლ 392

ბანისამოსი 127

ბოლაშა 127

ბოტები 198

ბუკრე 254

ბუკრეზი მად 254

ბუკრე 254

ბუფი 233

ბუყვი 127

ბუყვი-კაბა 127

ბუგუხელი 344

ბუიენ 418

ბუღუა 27

ბუიუფოდ დაბერება 302

ბუიუყვი 161

ბუიუფო 154

ბუიუხელო წითელი ღომი იხ. ღომი

ბუიუხო 352, 357

ბუიუხო ღოლის პერი იხ. ღოლი

ბუიუხო პერი იხ. პერი

ბუიუხო ხორბლეული იხ. ხორბლეული

ბუიუფი 153

ბუიუ იხ. ბუიუ

ბუიუნი 153, 154

ბუიუნი 153

ბუიუნი 153

ბუიუნი 157

ბუიუთაჯი 182, 186, 188, 207, 279

ბუიუბა 396

ბუიუბაბტი 154, 155

ბუიუბი 129, 209, 210

ბუიუბე მახა იხ. მახა

ბუიუბე ცორენი იხ. ცორენი

ბუიუბო 270

ბუიუბო 270

ბუიუბი 296

ბუიუბი 296

ბუიუბაგანი 342

ბუიუბი 339, 342, 344, 345, 384, 428, 436, 437

ბუიუბი ინდაური 391

ბუიუბარი 341, 342, 484

ბუიუბი იხ. ბუიუბი

ბუიუბაგელები 127

ბუიუბი იხ. ბუიუბი

ბუიუბა 380

ბუიუბა მახა იხ. მახა

ბუიუბი 182, 187, 199, 209, 210, 226, 227

ბუიუბე დაუცვებლობა 299

ბუიუბე 299

ბუიუბეანობა 299

ბუიუბი გუთანი იხ. გუთანი

ბუბა 300

ბუბაშა 253

ბუბაში 94

ბუბაში 127

ბუბაშის ბოუბაის სარგოს გარიგების წიგნი  
78, 79

ბუბაბონის თითები იხ. ხათუნ-ბარშალი

ბუბაბონის თითები იხ. ხათუნ-ბარშალი

ბუბა 237

ბუბაბეტი 290

ბუბაბის იარალი 128

ბუბანი 237

ბუბანი 237

ბუბანი 424

ბუბანი 392, 393

ბუბა-ლიკა 377, 378

ბუბი 339, 345, 371—373, 375, 407, 421, 422,  
427, 428, 438

ბუბი ახალთესლი 431

ბუბი გალატური 440

ბუბი ექს-მწკრეა 373

ბუბი კეფერი 374—376

ბუბი კობერი 373, 376, 377, 379

ბუბი კბევი 374

ბუბი მარტივი 373, 378

ბუბი ორმწკრეა 373, 428

ბუბი პრევი 374, 376, 379

ბუბი ჩარალი 373, 376, 377

ბუბი ჩეულებრივი 374

ბუბი ძველთესლი 372, 373

ბუბი-იჭლა 377, 416

ბუბიჭევი 374, 377

ბუბა იხ. ბუბე

ბუბე 235, 236

ბუბალი 341

ბუბანი იხ. ბუბანი

ბუბანი იხ. ბუბანი

ბუბანი ჰალი იხ. ჰალი

ბუბანი იხ. ბუბანი

ბუბანი ჰალი იხ. ჰალი

ბუბანი 259, 260, 266

ბუბანი გერა 258—260, 266, 267

ბუბანი ღირჩე 258—260, 266, 267

ბუბალი იხ. ბუბალი

ბუბალი იხ. ბუბალი

ბუბალი 340, 341, 437, 438

ბუბალი იხ. ბუბალი

ბუბალი ჭარი 340

ბუბანი იხ. ბუბანი

ბუბანი თავთუხი იხ. თავთუხი

ბუბანი 341, 371, 378

ბუბანი 339, 341, 344, 345, 371—373, 375,

407, 420—422, 427—429

ბუბანი ბუბა 373, 376, 405

ქრთილი კევერი 407  
ქრთილი პტყელი 407  
ქრთილნი 339, 341, 371  
ქრიმა იხ. ქერიმა  
ქუბა იხ. ქუბი  
ქუბი 340, 392  
ქუდი 127  
ქუეყანა 156, 160, 169  
ქუეყანა კეთილი 297, 397  
ქუეყანა ურწყელი 161  
ქუეყნის მოქმედება 156, 168  
ქუეყნის მოქმედი 156  
ქუეყნის მოქმნა 173, 174  
ქუეშაგები 127  
ქუთან 254  
ქუშე 392  
ქური 118—220  
ქური-მა 342, 345, 384—386, 436, 437  
ქურიძი იხ. ქერიძა  
ქესლი 199, 226  
ქესლ-კბილა 220  
ქუქუნი 237  
ქუჩუბო 342

ღალის გუთანი 289  
ღელეა 152  
ღერო 297  
ღერძგოგრიანი სახენელი იხ. სახენელი  
ლილი 127  
ღილიკილო 301  
ღირღატი 182, 228  
ღომი 338, 342, 344, 345, 386, 388, 424, 435  
ღომი ბოჯა თეთრი 390  
ღომი ბოჯა ანე ბლუჯა თეთრი 391  
ღომი ბლუჯა წითელი 391  
ღომი ნაელელი თეთრი 390, 391  
ღომი უსახელი წითელი 390, 391  
ღომი ჩაქურა 390, 391  
ღომი ხიტირი თეთრი 390, 391  
ღუარძლი 333  
ღუარძლის გამორჩევა 297  
ღუწა 153

ჟანა 157, 158, 170—172  
ყანული 400  
ყანის მარცვალი 339  
ყანობრი 171, 172  
ყანობირ-ქმნილი 174  
ყარა ბულდა იხ. ბულდა  
ყარა-კლჩხ იხ. ყლჩყ  
ყაშიყა 262  
ყელის ჭაჭვი 127  
ყელსაბამი 127  
ყეთელი პერი იხ. პერი  
ყოველწლიე ხნული იხ. ხნული

ყონა 171  
ყოფა 304  
ყრმგზ ბულდა იხ. ბულდა  
ყუაილი 294, 300  
ყუაილის აღყეება 300  
ყუაილის დასრულება 300  
ყუაილის დაყენა 300  
ყუთნი 396  
ყურები 278  
ყურებიანი სახენელი იხ. სახენელი  
ყური 201  
ყული 274  
ყულჩყ, აღ-ყულჩყ 369  
ყულჩყ, კარა-ყულჩყ 409  
ყულჩყ, ყარა-ყულჩყ 369  
ყულჩყ, ყერშიზი-ყულჩყ 369  
ყუმყა 262  
ყერშიზი-ყულჩყ იხ. ყულჩყ  
  
შავთაველა დიკა იხ. დიკა  
შავთაველა თაეთუხი იხ. თაეთუხი  
შავთაველა იხ. დიკა  
შავთაველა დიკა იხ. დიკა  
შავთაველა თაეთუხი იხ. თაეთუხი  
შავი თაეთუხი იხ. თაეთუხი  
შავი პერი იხ. პერი  
შავი-ქალი იხ. ქალი  
შაფუხა 367—369, 374  
შაფუხა დიკა იხ. დიკა  
შაფუხა თაეთუხი იხ. თაეთუხი  
შაფუხიანი დიკა იხ. დიკა  
შედგომა 80, 85  
შეიღმი 127  
შემომწირველნი 117  
შემოსავლის დაეთუბი 69, 70  
შემოსული 303  
შემძლებელნი 67  
შენი 153, 154  
შედძლებელნი 67  
შეშობა 297  
შეშობილი 403  
შერია 338, 339, 344, 362, 381, 382, 422, 424  
შერევა იხ. შერია  
შინდერი დოლის პერი იხ. დოლი  
შინდერი პერი იხ. პერი  
შინ ჩადგომა 94  
შნაკვი 365  
შოლტა 207, 208, 216, 270  
შოლტე იხ. შოლტა  
შოლტყა 255  
შრომა ქუეყანისა 156  
შრვა იხ. შერია  
შრვა იხ. შერია  
შტო 299

ჩაგვერა თავუხი იხ. თავუხი

ჩალტიე 380

ჩამერი 364

ჩამერი წყლის 364

ჩარადი ქერი იხ. ქერი

ჩაფულა 218—220, 264

ჩაჭერა ღომი იხ. ღომი

ჩელტა შახა იხ. შახა

ჩეჩა 237

ჩეულეზბრეი ქერი იხ. ქერი

ჩინჩლი 296

ჩუთ 260, 264

ჩუთი 220

ჩუთ 258—260, 264

ჩუთი 197—199, 201, 220, 257

ჩუთ-კაიი 223

ჩუსტი 220

ჩუბ 259, 264

შაალხ 255

ეერეცო 345

ეეროცე იხ. ეერეცო

ეერეცულა 343

ეერეცეთაგანნი 338, 343

ეერეცეი 322—325

ეერეცენაირნი 342, 343

ეორეან 407, 408

ეორენ 409

ეორენ კარწარ 409, 419

ეორენ კარსკაკან 409

ეორენ ფაფუკ 409

ეოროცე იხ. ეერეცო

ეოსხა 392

ეოსნა 232

ეხენის იარალი 128

ეგრლაგ 255

ქეაა 430

ქველთესლი ქერი იხ. ქერი

ქველ-თესლი 374, 407, 426—428

ქველთესლი შვეფხა იხ. ქრთილი

ქველი 428

ქველი პერი იხ. პერი

ძიბი 213—215

ძირაკი 345

ძირი 295, 296

ძირთა დაბმა 295

ძირნი 296

ძირლა 255

ძირლა 255

ძუბურ 255

ძღვენი სააღდგომო 74

ძღვენი სამარხო 74

ძღვენი საყველიაო 74

ძღვენი საშობაო 74

ძებგრ 255

ძვეკრეა ინაგ 255

წაბლისფერა მარცელიანი მუხუდო იხ. მუხუდო

წელიწადი განსვენებისა 400

წელსაილი 127

წელსარტყაში 127

წერაქენაირი სახენელი იხ. სახენელი

წითელი დიკა იხ. დიკა

წითელი დოლი იხ. დოლი

წითელი თავუხი იხ. თავუხი

წითელი მდელი იხ. მდელი

წითელი პერი იხ. პერი

წითელი-ფხა 369

წითელი-ქალი იხ. ქალი

წითელმარცელიანა 406

წმინდა-თეთრა იხ. თეთრა

წული 298

წულუკიძის-თეთრა იხ. თეთრა

წულის ჩამერი იხ. ჩამერი

შადი ქერიმა 385

ქალი ქერინოფა 385, 386

ქალი შაკი 385

ქალი წითელი 385

ქევი 338, 352, 381, 423, 424

ქეში 437

ქოტი 342

ქოტოსანი 343

ქულა 228

მეშინ 355

ხაბაზი 129

ხამსა 258

ხაშარი 234

ხაშიმაყ 262

ხაჩ-კეტი 234, 235

ხაჩქ 234, 235

ხაჩქელ 234, 235

ხახნი 237

ხეკსურული გუთანი იხ. გუთანი

ხელა 119

ხელ-კეი 187

ხელკედ 187

ხელკული 198

ხელნა 187, 198

ხელმწიფის კარის გარიგება 70

ხელსახოცი 127

ხენი მალნარისანი 305

ხენი ნაყოფიერი 305

ხეი ბრინჯისა 379

ხეკბი 306

ხეარბალნი იხ. ხორბალნი

ხეტუა 235

ხეცტა 235

- ხეყა 235  
 ხეწი 235  
 ხეჭა 235  
 ხიზანი 44  
 ხილი 305—307  
 ხილი ბართა 305  
 ხილნი ბართანი 305  
 ხილნი მთისანი 305  
 ხილნი ტყისანი 305, 306  
 ხილნი წალკოტთა 305, 306  
 ხიტირი თეთრი ღომი იხ. ღომი  
 ხიჩატელი 306  
 ხლარჩი 360, 365  
 ხმალა 201, 203, 225, 226  
 ხმალი 187, 199  
 ხმელი თივა იხ. თივა  
 ხმილი 306, 307  
 ხნდური 345  
 ხნეა 169, 232  
 ხნული 169  
 ხნული ყოველწლივ 397  
 ხოდაბენი 172  
 ხოხან 356  
 ხომბელა თიფი იხ. თიფი  
 ხომელა თიფი იხ. თიფი  
 ხონეა 232  
 ხორ 422  
 ხორბალი 339, 340  
 ხორბალი რბილი 409  
 ხორბალი სპარსული 409  
 ხორბალი სპარსული ეგილოვის 412  
 ხორბალნი 339, 341, 344  
 ხორბლეული 339, 344, 345  
 ხორბლეული სპარსული 413  
 ხორბლეული უფხო 407  
 ხორბლეულობა 344  
 ხორშა 234  
 ხორხი-მიწა იხ. მიწა  
 ხოტორუ 235  
 ხოშეა 234  
 ხოჩკა 234  
 ხოჟა 235  
 ხოჟი 234, 235  
 ხოჟორუ 235  
 ხოხეა 237  
 ხუარბალთავანი 338  
 ხუარბალი იხ. ხორბალი  
 ხუარბალნი იხ. ხორბალნი
- ხედაბენი იხ. ხოდაბენი  
 ხუეზა 356  
 ხეზალა 347, 354—356  
 ხუეილი 300, 301, 307, 342  
 ხული 306, 307  
 ხულეგა იხ. ხულეგო  
 ხულეგო 345, 347, 352, 353, 355—357, 406  
 ხულეგე იხ. ხულეგო  
 ხულეგო კუეცენ იხ. კუეცენ  
 ხულენგო იხ. ხულეგო  
 ხეშეყ 262
- ჯავ 423  
 ჯადარ 423  
 ჯაუ 423  
 ჯარი 340, 438  
 ჯეჩილი 297  
 ჯილა 179—181, 185, 191, 195, 196, 203, 204,  
 206—208, 221, 224, 225, 227, 238, 255, 257,  
 259, 260, 265  
 ჯილარ 265  
 ჯილი იხ. ჯილა  
 ჯიქერა 342, 345, 391, 424  
 ჯილა 127  
 ჯიხერა 391  
 ჯლა იხ. ჯილა  
 ჯოხიანი სახენელი იხ. სახენელი  
 ჯვრ 257, 259, 260, 264  
 ჯვრტ იხ. ჯვრ  
 ჯეშალი 99  
 ჯერ იხ. ჯვრ  
 ჯეფთი 264  
 ჯლა იხ. ჯილა
- ჰერი კეთილი 161  
 ჰეკარ 409  
 ჰელოს 387  
 ჰერე 238, 239  
 ჰერეკელ 238, 239  
 ჰეჟსასტიხონ 408  
 ჰეიტეას 418  
 ჰორდემ 422  
 ჰოჰ 236  
 ჰეთან 240
- გენა 171  
 გონა 171

Аг-кччик об. кылчык

Гоми 390  
(божга тетри) гоми 390  
(нажгвли тетри) гоми 390  
Гюргяны 369

Джилги 257

Кара-кччик об. кылчык  
Кери 373  
Кобери кери об. кери  
(кобери) кери 373  
Конопля 395  
Копаница 231  
Копырялка 231  
Крмзы-кччик об. кылчык  
Кылчык 369  
(аг-)кччик 369  
(кара-)кччик 369  
(крмзы-) кччик 369

Лен 423

Нажгвли тетри об. гоми

Пенька 395  
Персидская пшеница об. пшеница  
Плуг 248  
Просо русское 385  
Пшеница  
(персидская) пшеница 409  
Пшено 385

Сари-бугда 369

Хлеба 347

Чакура 390



- Achaltessi 348  
adaequo 173  
ager 152, 169-171  
agricultura 156  
Andropogon sorghum Brot. effusum var. technicum Körn. 391  
annus requietionis terrae 400  
arans 169  
aratra aurata 247  
aratra simplicia 247  
aratrum 175, 177, 242, 249  
arbors 294  
arjan 237  
Avena 338, 422  
avoine 422
- Binae aures 248, 278  
Botrys cypri 403  
bura 242  
buris 242
- Campester 152  
cannabis 394  
cantherinum 440  
carduus 236  
Caunaboideae 394  
Chaerophyllum bulbosum L. 246  
chanvre 395  
Chrywa 422  
Chuluga 353  
clavis 301  
colligo 297  
culter 244-246, 273, 274
- Dens 242  
dentale 242, 248  
dentalia 248  
derelicta terra 154  
descriptio 24  
desertus 154  
dicoccum 359, 361, 368  
Diër 437  
Dika 348  
Dinkel 358
- Effloresco 299, 300  
ekilmek 276  
ekmek 276

Facere 304  
faciens 304  
far 358  
farina 379  
ferus 152  
festuca 298  
fimbriae palliorum 296  
flachs 423  
flos 400  
fluxus 237  
folium 299  
forceps 271  
forfex 271  
frumentum 339, 345, 348, 407, 408  
frumentum colchicum R.Reg. 374  
frumentum Sylburgii 387  
Furche 238

Gemma 297  
Geraniales 392  
gernen 305  
germino 234  
Gerste 421  
Gerste Sechszeilige 373  
Gerste Zweizeilige 374  
gherso 421  
Glumiflorae 338  
Gods 418  
Godz 418  
Gräbstockpflug ob. Pflug  
Graminae 338  
granum 310  
grex tubalicum Dekapr. 389  
gwenn 418  
gwiniz 418

Habaro 422  
Haber 382  
Hachenpfluge ob. Pflug  
Hafer 422  
hanaf 395; der Hanf 395  
Haver 382  
Heracleum spondyleum L. 416  
herba 290  
herba virens 291  
Hirse 384  
Hirsensbrod 436  
Holcum Sorgum 391  
homo agricola 156

- Hordeum 338, 372, 376, 406, 421, 422  
Hordeum distichum 374, 376, 377  
Hardeum distichum L. 373  
Hardeum distichum L. v. nulans Schübl. 374  
Hardeum distichum v. nutans Schübl. 373  
Hardeum Galaticum 440  
Hardeum hexastichon 373, 374, 440  
Hardeum sativum polystichum Döll. 373  
Hardeum sativum polystichum Döll. var pallidum aestivum  
Reg. 373, 377  
Herdeum sativum polystichum v. pollidum aestivum Reg.  
376  
Hordeum tetrastichon 374  
Hordeum tetrastichum L. v. nigrum Wild. 373, 376  
Hordeum tetrastichum L. var. pallidum Ser. 373  
Hordeum vulg. tetrast. pallidum Ser. 376  
Hord eum vulg. pallidum Ser. 373, 377  
Hordeum vulg. panigrum Willd. 376  
horrere 421  
hvaiteis 418
- Kedschiri Keri 374  
Khor 421  
Kolbenhirse 387  
Koten-madsa 253  
Krimma 385  
Ktekli-Keri 374  
kwietys kwiesziai 418
- Lavoine 382  
Leguminosae 342, 343  
Lein 423  
lignum pomiferum 304  
lin 423  
Linaceae 392  
line 423  
Linse 428  
linum 392, 423
- Mannau 418  
Medicago 343  
millet 384  
miliun 384, 428, 436, 437  
Morgen 377
- Nigrum Wild 373, 376  
numero 24  
numerus 24

Olus 293  
Orysa 380  
Oryza sativa 338

Panicum 387, 436, 437  
Panicum aegypticum Harr, 385  
Panicum germanicum 386  
Panicum italicum 338  
Panicum italicum L, 387  
Panicum italicum var. breviseta insignis Körn. 390  
Panicum italicum var. clavata Dekapr. et Kaspar 390  
Panicum italicum var. iberica Dekapr. et Kaspar, 390  
Panicum italicum var. longiseta Döll. f. elongata 390  
Panicum italicum var. monstrosa Dekapr. et Kaspar. 390  
Panicum milaceum 338  
Panicum milaceum L, 387, 428  
Panicum das kleine 385  
Panigo 388  
pascua 159 ,  
pascuum 159  
panis 351  
persischer Weizen ob. Weizen  
Pflug 240  
Pflug, Grabstockpflug 190  
Pflug, Hackenpflug 191  
Pflug, Schaufelpflug 187  
Pflug, Sohlbalkenpflug 190  
Pflug, Stabpflüge 191  
Pflug, Stabpflugtypus 191  
Pflug, Wenderpflug 190  
Pflüge mit geradem Grindel 191  
Pflüge mit Grindel, Hinterbaum, Sohle und Griessäule 191  
Pflüge mit Krümel 191  
Pflug-schar 187  
peinka 395  
pinguis, pinguidis terrae 160  
planum 152  
plaumorati 208  
ploum 229, 248, 249  
plovum 249  
pomum 305  
porca 238  
pratium 292

Quori 258

Ramus 299  
remissio terrae 400  
requieto terrae 400

- Rododendron caucasicum Poll. 416  
 rhych 238  
 Rispenhirse 428  
 rivus 170  
 Rosales 343
- Saccharum officinarum 338  
 Salsugo 160  
 sapan-demiri 259  
 sarrio 173  
 sata 171  
 sator 296  
 Schaufelpflug ობ. Pflug  
 Schophuliaciae 377  
 Schröwa 382  
 Secale cerele 338  
 Sechszellige Gerste ობ. Gerste  
 semen 296  
 semens 296  
 semino 296  
 sero 296  
 serotinus 302  
 Setaria italica mocharium Al. 386, 387  
 siccitas 160  
 siligo 423  
 le soc 187  
 Sohlbalkenpflug ობ. pflug  
 Sommerweizen 374  
 Sorghum Capellarum 391  
 Sorghum effusum 392  
 sougha 258  
 Spelt 358  
 spica 300, 301  
 spica virens 302  
 sponte in agro nascentia 169  
 Stabpfluge ობ. Pflug  
 sterilis 160  
 stiva 177, 242  
 suburbana 158  
 suffoco 297  
 summitatus 298
- Taluk 420  
 tchift 258  
 Tchkomi 437  
 terra restibilis 397  
 terra rudis 397  
 terra sine aqua 161

- terra verfactum 397
- Trifolium 343
- Triticum 338, 345, 348, 407, 408
- Triticum aestivum 408
- Triticum aestivum aristatum 348, 374
- Triticum compactum Host. v. erinaceum Desf 367
- Triticum dicoccum 359, 361-363, 414
- Triticum dicoccum dicoccoides Körn. 360
- Triticum dicoccum georgicum Dekapr. et Movable 361
- Triticum dicoccum Schrank, 358, 361, 370
- Triticum dicoccum Schrank, v. palaeoimeriticum 359
- Triticum dicoccum Schrank, var. sucmajus Körn, 360
- Triticum dicoccum v. agridum (forma nova) Supataschvili 360
- Triticum dicoccum v. farrum Bayle 359
- Triticum dicoccum v. rufum Schübl. 359
- Triticum dicoccum v. Timopheevi-Zhuk. 360, 361
- Triticum durum 367, 368, 409, 415, 419
- Triticum durum Desf. 367
- Triticum durum Desf. v. coelurescens Desf. 367, 368
- Triticum durum Desf. v. coerulescens Desf. Bayle 368, 369
- Triticum durum Desf. v. leucurum Al. v. 367
- Triticum durum Desf. v. apulicum Körn 367-371
- Triticum durum var. coelurescens Bayle 367, 370, 371
- Triticum durum v. hordeiforme Al. 371
- Triticum durum v. hordeiforme Host. 368
- Triticum durum v. leucurum 367
- Triticum durum v. leucurum Al. 367, 370, 371
- Triticum durum v. libycum Körn. 367-371
- Triticum hybernum 408
- Triticum hybernum muticum 353
- Triticum monococcum 359-363, 368
- Triticum monococcum L. 362
- Triticum monococcum v. Hornemanni Clem. 362
- Triticum monococcum v. laetissimum Körn. 362
- Triticum persicum 409, 413, 415
- Triticum persicum fuliginosum Zhuk. 349
- Triticum persicum v. fuliginosum 349, 413
- Triticum persicum v. rubiginosum 406
- Triticum persicum v. rubiginosum Zhuk. 349, 350
- Triticum persicum Vav. 349, 377, 412, 413, 415, 426
- Triticum persicum Vav. v. stramineum Zhuk. 349, 350
- Triticum Timopheevi 414
- Triticum Timopheevi v. viticulosum Zhuk. 362
- Triticum Timopheevi Zhuk. 361, 415

*Triticum vulgare* 415, 425  
*Triticum vulgare erythrospermum* Körn. 354  
*Triticum vulgare* var. *erythrospermum* 347, 417  
*Triticum vulgare* v. *erythrospermum* Körn, 355, 406  
*Triticum vulgare* v. *ferrugineum* 347, 354, 416  
*Triticum vulgare* v. *ferrugineum* Al. 354, 414  
*Triticum vulgare* v. *fuliginosum* 406  
*Triticum vulgare* v. *leucurum* 406  
*Triticum vulgare* v. *lutescens* 347, 357  
*Triticum vulgare* v. *lutescens* Al. 353, 354, 406  
*Triticum vulgare* v. *milturum* 347, 357  
*Triticum vulgare* v. *lutescens* 347  
*Triticum vulgare* v. *nigroaristatum* 354, 355, 406  
*Triticum vulgare* Vill. 352, 353, 356, 409, 428  
*Triticum vulgare* Vill. v. *erythrospermum* Körn. 347, 354  
*Triticum vulgare* vill. var. *erythrospermum* Körn. 414  
*Triticum vulgare* Vill. v. *Lutescens* 356  
*Triticum vulgare* Vill. v. *lutescens* Al. 353-356, 414  
*Triticum vulgare* Vill. v. *milturum* 353, 355  
*Triticum vulgare* Vill. v. *milturum* Al. 354, 355, 414  
 Tschut 258

Urtica 394  
 urticaeae 394  
 Urticales 394

Vepres 291  
 Verbascum nigrum 377  
 Verfactum ob. terra  
 Vicia 343  
 Virgultum agri 291  
 Vomer 177, 182, 242, 244, 245

Weizen 418  
 (Persischer) Weizen 412  
 Weizenbrod 436  
 Wenderpflug ob. Pflug

Zea Mais L. 383  
 Zeur 422  
 Ziour 422  
 Zirgha 255  
 Zweizeilige Gerste ob. Gerste

ἄγκυλη ἡ 301  
 ἄγρικός 152  
 ἄγρος ὁ 152, 170, 171  
 ἄδμας, ἀγτος 283  
 αἰδοῖα τὰ 237  
 ἄλευροι 379  
 ἄλιμος 160  
 ἄλινος 160  
 ἄλυμη 160  
 ἡ ἀνάπαυσι τῆς γῆς 400  
 ἀναπνιγῶ 297  
 ἀνθέω 299, 300  
 ἄνθος τὸ 300  
 ἄνθρωπος ἐργαζόμενος τὴν γῆν 156  
 ἀοικητος 154  
 ἀριθμός 24  
 ἀροτριῶ 169  
 ἀροτρίω 169  
 ἀροτρον ὁ 175, 177, 182, 282  
 ἀροτρον πηκτρον 222  
 ἀροτρόπους ὁ 177  
 ἀροτροπους τὸ 182, 254  
 ἀροῦν 237  
 ἀρώ 237  
 ἄρτος ὁ 351  
 αὐλαξ ἡ 170  
 αὐτόγουν ἀροτρον 241, 283  
 αὐτόματα ἀναβαίνοντα 169  
 αὐτόξυλον ἄρτρον 222  
 ἄφεις ἐπὶ τῆς γῆς 400  
 ἄχουχ 236

Βλαστός ὁ 297  
 βοσκήμα τὸ 158, 159  
 βοτάνη ἡ 292  
 βρομος 422

Γέννημα τὸ 305, 339  
 γεωργία 156  
 γῆ ἄνυδρος 161  
 γίης 241

Δένδρον τὸ 305



Ἐκκριζώ 297  
ἐλάτη ἡ 294  
ἔλος 387  
ἔλυμα 241  
ἔλυμος 387  
ἔνδρυν 241  
ἐνιαυτός ἀναπαύσεως 400  
ἔρημος 154  
ἐχέτη 241

Ζειά ἡ 347  
ζυγόδεσμον 241

Ἴστροβοεύς 241

Καλάμη ἡ 298  
κάνναβις 394  
καρπός ὁ 305  
καρποφόρος 160, 305  
κάρφος τὸ 298  
κεγχρός ὁ 384, 428, 436  
κλείς ἡ 301  
κληματίς ἡ 299  
κόκκος ὁ 301  
Κοραξική χώρα 284  
Κόραξοι 284  
κράσπεδα τὰ 296  
κοιθή ἡ (κρῖ) 372, 407, 421  
κριθίνος 351  
Κωλικά ὄρη 284

Λάχανα τὰ 293  
λίνον τὸ 392, 393, 423  
λιπαρός 303

Μελίνη 428,  
μερίς τοῦ ἀγροῦ 169  
μέσαβον τὸ 241  
μέσονον 241

Νέα πεφρυγμένα χίδρα 302  
νέωμα τὸ 400  
νομή 159

Ξύλον κάρπιμον 305  
Ξύλον καρπόβρωτον 304  
Ξύλον καρποφόρον 304

ὄλυρα ἡ 357  
ὄμαλίζω 153  
ὄρξινῆ ἡ 152, 167  
ὄρινδα 380  
ὄρυζα 380  
ὄψιμος 302

Παρειμένη 160  
πεδία τὰ 152  
πεδινή ἡ 152  
πεδίον τὸ 152, 166, 167  
περισπόρια τὰ 158  
πηκτόν ἄροτρον 241  
πιότης ἡ 160  
πίων 160  
πλησμονή ἡ 303  
ποεῖν 304  
ποιὰ ἡ 293  
ποίη ἡ 292  
ποιῶν 304  
πυροὶ οἱ 351  
πυρός ὁ 345, 348, 351, 429

Ρίζα ἡ 296

Σῆτος ὁ 345 348, 429  
σπείρω 296  
σπείρων ὁ 296  
σπέρμα τὸ 297  
σπόριμα τὰ 171  
σπόρος ὁ 296  
στάχυς ὁ 300, 301  
στιβαρός 283

Τομίς 271

•  
 ὕνις 241  
 ὕννις 241

Φύλλον τὸ 299  
 φυτεύω 234

χεθόν 424  
 χειρολαβίς 241  
 χέρσος, ἡ 173  
 χλόη ἡ 293  
 χλῶρον 292  
 χλῶρον ἄγροῦ 291  
 χορτός ο 290, 291

Ψαλίς 271

ὄριμος 154, 302  
 ὠχρός 292

- ალაფ 258  
 ალა-ბაქაშაძე 269  
 ალი 379  
 ალის ღვიძლის ობ. გვიძას  
 ალი 170  
 ავთოვტოლი 160  
 ამ ღანგასლანს 400  
 აჯან 270  
 ავი ზეგაგობ 155  
 ალი 170  
 ახეგასთას 152, 158  
 ათეს 154  
 ავირეგას 408  
 აჯანს 408  
 ათეს 304  
 ავირე 237, 256, 260  
 ავირე 339  
 ავირე 296  
 ავირე 305  
 ავირე 158  
 ავირე 171  
 ავირე 256  
 ავირე 154  
 ავირე 292, 293  
 ავირე (თოთი) 251  
 ავირე ქარე 291  
 ავირე 379  
 ავირე 408  
 ავირე 372, 407, 421, 438  
 ავირე 408  
 ავირე 379  
 ავირე 258, 261  
 ავირე 261  
 გვირე 179, 258, 269  
 გვირე (ალეს) 258, 267  
 გვირე (ლიეს) 258  
 გვირე 152  
 გვირე 152  
 გვირე ობ. მან  
 გვირე 294  
 გვირე 161  
 მან 270  
 გვირე (ლიეს) 400  
 გვირე 169  
 გვირე 292  
 გვირე 376  
 გვირე 173  
 გვირე 290, 291  
 გვირე 182  
 გვირე 300  
 გვირე 299, 300  
 გვირე 270  
 გვირე 173  
 გვირე ობ. გვირე  
 გვირე 261  
 გვირე 384  
 გვირე ობ. გვირე  
 გვირე 392, 424  
 გვირე 358  
 გვირე 300  
 გვირე 301  
 გვირე 351  
 გვირე 238, 400  
 გვირე 238  
 გვირე 169  
 გვირე 297  
 გვირე 271  
 გვირე 271, 274  
 გვირე არმანი 272  
 გვირე 159  
 გვირე 177, 228, 269, 271  
 გვირე (ლი) 269  
 გვირე (მან) 269  
 გვირე (ორ) 269  
 გვირე (ვირე) 269  
 გვირე ობ. მან  
 გვირე 270  
 გვირე ობ. გვირე  
 გვირე 298  
 გვირე 270  
 გვირე სიესი 303  
 გვირე 299  
 გვირე 269  
 გვირე 160  
 გვირე 160  
 გვირე 160, 391  
 გვირე 257  
 გვირე 265  
 გვირე 257  
 გვირე 265  
 გვირე 270  
 გვირე 258  
 გვირე 296  
 გვირე 296  
 გვირე 301  
 გვირე 154  
 გვირე 152  
 გვირე 262  
 გვირე 262  
 გვირე 263  
 გვირე 263  
 გვირე 263  
 გვირე 262  
 გვირე 169  
 გვირე 262  
 გვირე 299  
 გვირე 160  
 გვირე 298  
 გვირე 345, 348, 407, 408  
 გვირე 409, 419  
 გვირე 409  
 გვირე 409  
 გვირე 304  
 გვირე 270  
 გვირე 297  
 გვირე 296

268	კოტან	259	ალთ
258	კოდუ	263	ალთ
262	კიშეც	276	აკამკ
267	კრო კრი	276	აკამკ
266	კოტან	380	პრენც
369	კოზლოკ	470	ტატოკ
259, 258	კირე კოტან	265	ჯღად
369	კრადლოკ	258, 264	ჯფტ
259	ალთ	264	ჯდტ - დომკ
383	არზნ	380	ჯლთიკ
172	ბნ	269	ჯჰჰ
154	პრდახტე		ჯიში
264	ჯფტ	277	დოდ
172	ჯდა	267	დოდკ
172	ჯდაოდ	258, 267, 359	დოდკ კოტან
276	დოდ	268	საპან
276	დოდუ	268	სებან აგაჯი
		268	სებან აოთი
		268	სებან აოკჰესი
		268	სებან ბოდონი
		268	სებან ბიჭაგი
		268	სებან ტიხოვი
		259	სებან დმირი
		269	სებან ტლიჯი
		258	სოგა
		262	ტაშეც

## შ ი ნ ა ა რ ს ი

რედაქციისაგან . . . . .	5
მეორე გამოცემის წინასიტყვაობა . . . . .	15
ქარაგმიანი და შემოკლებული სათაურების განმარტება . . . . .	18
კ ა რ ი პ ი რ ვ ე ლ ი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის წყაროება	
საქართველოს ეკონომიური ისტორიის წყაროები . . . . .	23

### I. დემოგრაფიული ძეგლები

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი. ხალხის აღწერა . . . . .	24
§ 1. ხალხის აღწერის პირობების შესახებ საქართველოში . . . . .	24
§ 2. ხალხის აღწერის შესახები დებულება და წესები საქართველოში . . . . .	26
თ ა ვ ი მ ე ო რ ე. ხალხის აღწერის დაეთრები მე-XVII ს. — მე-XVIII ს. ოცდაათან წლებამდის . . . . .	27
§ 1. ზემო-ქართლის სადროშოს მე-XVII ს. მეორე ნახევრის ხალხის აღწერის დაეთარი . . . . .	27
§ 2. სამროვლის 1715 წ. დაეთარი . . . . .	30
§ 3. მე-XVIII ს. დამღვის ზემო-ქართლის დაეთარი . . . . .	34
§ 4. კახეთის ხალხის აღწერის დაეთარი . . . . .	34
§ 5. 1721 წ. ხალხის აღწერის დაეთრები . . . . .	38
თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე. ხალხის აღწერის დაეთრები მე-XVIII ს. ნახევრიტგან მოყოლებული მე-XVIII ს. დამღევამღე . . . . .	41
§ 1. ლიახურას ბეობის მე-XVIII ს. შუა წლების დაეთრის ნაწყეტი . . . . .	42
§ 2. 1774 და 1781 წწ. აღწერის დაეთრები . . . . .	42
§ 3. ხალხის აღწერა მე-XVIII ს. უკანასკნელ ათეულებში . . . . .	56
თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე. ქალაქის აღწერის დაეთრები . . . . .	57
თ ა ვ ი მ ე ხ ე თ ე. სტატისტიკური ამონაყრებები აღწერის დაეთრებიტგან . . . . .	59
თ ა ვ ი მ ე ე ქ ე ს ე. ქართული დემოგრაფიელი ძეგლების ზოგადი შეფასება . . . . .	63
§ 1. აღწერის დაეთრების მნიშვნელობა . . . . .	63
§ 2. აღწერის დაეთრების დაყირეების ასპარეზი . . . . .	66
§ 3. ხალხის აღწერის დაეთრების ცნობათა სანდოობის საყიოხი . . . . .	67

### II. საფინანსო უწყებისა და თვისების ძეგლები

სახელმწიფო ფინანსების შესახებ ძეგლთა კლასიფიკაციისათვის . . . . .	69
თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი. გარიგების წიგნები . . . . .	70
§ 1. გარიგება კელმწიფის კარისა . . . . .	70

§ 2. ეხტანგ მე-VI-ის დასტურდამალი	71
§ 3. მეწინავე სადროშოს ძღვენისა და სამასპინძლოს გარიგების წიგნის ნაწყვეტი	72
§ 4. კახეთ-ქიზიყის მე-XVIII ს. შუა წლების გამოსაღების გარიგების წიგნი	76
§ 5. ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების წიგნი	78
თავი მეორე. საეკლესიო სარგოს გარიგების წიგნები	80
§ 1. ერწო-თიანეთის სარგოს გარიგების წიგნი	80
§ 2. სამთავნელის სამწყსოს რამისა და შესაულის გარიგების წიგნი	81
§ 3. წილქნელის სამწყსოს რამისა და სანწრაჟის გარიგების 1669 წ. სიგელი	85
თავი მესამე. შემოსავლის დაეთრები	91
§ 1. „დაეთარი ქეთათისის საყდრის გამოსაული ბეგრისა“ 1578 წ.	91
§ 2. ე. წ. „ღადი საკათალიკოზო დაეთარი“	97
§ 3. ამ ძეგლის მცდარი სათური და ნამდვილი თვისებები	101
§ 4. ამ ძეგლის შედგენილობა და წყაროები	101
§ 5. ე. წ. საკათალიკოზო დაეთარის რაობა	105
თავი მეოთხე. ე. წ. „საკაგერლოს გამოსაულის დაეთარი“ და მისი რაობა	110
თავი მესხეთე. ქსნის ხეობის გამოსაულის დაეთარი	113

**III. საკოპოპრაციო და კერძო მეურნეობის შემოსავალ-გასავლის ხაზუთები**

თავი პირველი. აღაპები	115
თავი მეორე. ნალეაწისა და დანახარჯის ანგარიშები	119
§ 1. მელქიზედექ კათალიკოზის დაწერალი	119
§ 2. ნიკორწმინდის XI ს. სიგელი	121
§ 3. ათანასე ტფილელის ნალეაწის ანგარიში	122
§ 4. ბერბურის გაღაენისა და რუების ეტების დანახარჯის 1749 წ. ანგარიში	124
§ 5. 1751 წ. დანახარჯის წიგნი	125
თავი მესამე. ზითვის წიგნები	126

**IV. აღწერილობითი წყაროები**

თავი პირველი. გეოგრაფიული ნაშრომები	133
თავი მეორე. მოგზაურთა და ელჩების აღწერილობანი	138
§ 1. უსბოქვეენელ დამეკირებულთა ცნობების მნ-შენელობა და ღირსება-ნაყრი	138
§ 2. დასაუხუთ-თეროქელი მოგზაუ-ღესპანების ცნობები	140
§ 3. რუს ელჩთა აღწერილობანი	144

**კ ა რ ი მ ე ო რ ე . სასოფლო მეურნეობა**

თავი პირველი. მიწა-წყლის ზოგად-დანაწილების პრინციპები და ტერმინოლოგია	151
1. მიწისმოქმედება	
თავი პირველი. მიწისმოქმედების დარგები	156
თავი მეორე. მიწის ამა თუ იმ სამეურნეო ჯარგისათვის განკუთვნილობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია	157
თავი მესამე. მიწისა და ნიადაგის სამეურნეო თვალსაზრისით შეფასება	159
თავი მეოთხე. საქართველოს ბუნებისა და მიწა-წყლის თვისებათა ზოგად-აღსასაოთება უძველესი წყაროების მიხედვით	161

## დარგი პირველი. საველე მეურნეობა, მემინდვრეობა

თავი პირველი. ხენა და ხნელი	169
თავი მეორე. სახნავი იარაღები	175
§ 1. ძველებში დატული ცნობები სახნავი იარაღის სახელების შესახებ	175
§ 2. ძველ ნათარგმნ ძველებში სახნავი იარაღის ნაწილების დატული ტერმინები	181
§ 3. სახნავი იარაღის დატული აღწერილობა. ძველი სურათები და ეთნოგრაფიული წყაროები	183
§ 4. სახენელთა აქ არსებული კლასიფიკაცია	189
§ 5. სახნავი იარაღების კლასიფიკაციისათვის საჭირო წინასწარი მუშაობისა და გარემოებათა შესახებ	192
§ 6. სახნავი იარაღის ქართული სახელების რეალური მნიშვნელობა და ნიშანდობლივი თვისებები	195
§ 7. ხალხში დატული სახნავი იარაღები და მათი თანამედროვე სახელები	197
I. ჩუთკაცი	197
II. აჩაჩი	199
III. არონა ანუ არენა	201
IV. ჭილა	203
V. ერქენი და გუთანი	208
VI. ერქენისა და გუთნის განმასხვავებელი ნაწილი	211
VII. ოქოქა, ოგაფე და ჩუთი	213
§ 8. სახნავი იარაღის სხვადასხვა სახეობის შემოღება-გაბატონების ქრონოლოგიური განსაზღვრა	221
§ 9. სახნავი იარაღის ნაწილების დანიშნულება, არსებითობა-მეორეხარისხოვნობის საკითხი და კლასიფიკაციის პრობლემა	225
თავი მესამე. მიწის დასამუშავებელი სხვა იარაღები	230
თავი მეოთხე. სახენელს სხვადასხვა სახეობათა ტერმინების ეტიმოლოგია	236
თავი მეხუთე. ქართულ სახენელთა უცხო ქვეყნების სახენელებთან შედარებით შესწავლა	241
§ 1. ბერძნული სახენელი	241
§ 2. რომაული სახენელები	242
§ 3. სახენელს გაემკობესების საფეხურები დასავლეთ ევროპაში მე-V—XVI სს. განმავლობაში	248
§ 4. ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ტომთა სახენელები	252
§ 5. ამიერ-კავკასიაში და ოსმალეთში მცხოვრებ სომეხთა სახენელები	256
§ 6. ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ თურქთა შორის გაერკელებული სახენელები	258
§ 7. სომეხთა და „თათართა“ სახენელთა ტერმინების ანალიზი	260
თავი მეექვსე. სახენელს ზოგიერთ არსებით გაემკობესებათა სადაურობის პრობლემა	272
§ 1. საკვეთლის სადაურობის პრობლემა	273
§ 2. სახნის-საკვეთლიანი სახენელს გაჩენის მიზეზი და შესაძლებელი საფუძველთაგან	275
§ 3. ფართიანი სახენელის სადაურობა	278
§ 4. ფაქტულადიანი სახენელის სადაურობა	279



§ 5. მეზობელთა თქმულებები სახენელის საღაურობის შესახებ . . . . . 282

თ ა ე ი მ ე შ ე ი დ ე. ხენა-თესვის მესვეერი უძველეს ხანაში და შემდეგში . . . . . 285

თ ა ე ი მ ე რ ე ე. ერქვან-გუთანზე გასაწვევი შრომის ოღენობა . . . . . 289

თ ა ე ი მ ე ც ხ რ ე. მცენარეთამცოდნეობა საქართველოში . . . . . 289

§ 1. სასოფლო-სამეურნეო მცენარეობის გვარობათა შესახებ ტერმინოლოგია . . . . . 290

§ 2. მცენარეთა უძველესი კლასიფიკაცია . . . . . 294

§ 3. მცენარეთა ორგანიზმისა და მათი მომშენებლობის ტერმინოლოგია . . . . . 295

§ 4. ხეებისა და ნაყოფ-ხილის კლასიფიკაცია . . . . . 305

თ ა ე ი მ ე ა თ ე. მცენარეთამცოდნეობის ზოგადი მოძღვრება ძველ საქართველოში . . . . . 307

§ 1. მოძღვრება მცენარეთა აღმოცენების ფიზიოლოგიური პროცესის შესახებ . . . . . 307

§ 2. ეახეშის მოძღვრება ბოტანიკურ-გეოგრაფიულ პირობების შესახებ საქართველოში 310

თ ა ე ი მ ე თ რ თ მ ე ტ ე. სასოფლო-სამეურნეო არეები და ზოღადობა ძველ საქართველოში . . . . . 318

§ 1. კახეთ-ქვემო-ქვესთის ბოტანიკურ-აგრონომიული არეები . . . . . 319

§ 2. ქართლის ბოტანიკურ-აგრონომიული არეები . . . . . 320

§ 3. დასავლეთ საქართველოს ბოტანიკური არეები . . . . . 329

თ ა ე ი მ ე თ ო რ მ ე ტ ე. საქართველოს შეფასება აგრონომიული და სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის თვალსაზრისით . . . . . 331

§ 1. სასოფლო-სამეურნეო არეების ზოგადი მონახილვა საქართველოში . . . . . 331

§ 2. აგრონომიული ზოღადობისა და ეკონომიკური ფაქტორის მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფოებრივობისათვის . . . . . 335

**მემინდვრეობის კულტურა, მისი შემადგენლობა, რაობა და სივრცე**

თ ა ე ი მ ი რ ვ ე ლ ი. საყევი მცენარეები და მარცვლეულობა . . . . . 328

§ 1. საყევი მცენარეობის კლასიფიკაცია . . . . . 339

§ 2. ხორბლეული . . . . . 339

§ 3. ქართილეული . . . . . 341

§ 4. ფეტენაირნი . . . . . 341

§ 5. ცერცენაირნი, ანუ პარკ-პორტლანნი . . . . . 342

თ ა ე ი მ ე ო რ ე. ხორბლეულის კულტურის შესახებ წყაროები . . . . . 343

თ ა ე ი მ ე ს ა მ ე. ხორბლეულის მანძილური სხვადასხვა ქრმ-სახეობა და მათი სახელები 345

§ 1. იფქლი . . . . . 345

§ 2. იფქლის ბოტანიკური რაობა . . . . . 347

§ 3. დიკა . . . . . 348

§ 4. დიკის ბოტანიკური რაობა . . . . . 348

§ 5. დიკის გავრცელების არეები საქართველოში . . . . . 350

§ 6. „პური“: ამ ტერმინის მნიშვნელობა სხვადასხვა დროს . . . . . 351

§ 7. „დოლის პური“ . . . . . 352

§ 8. დოლის პურის ბოტანიკური რაობა . . . . . 352

§ 9. დოლის პურის გავრცელების არე . . . . . 357

§ 10. აქლი და მისი ბოტანიკური რაობა . . . . . 357

§ 11. აქლის სხვადასხვა სახეობა . . . . . 358

§ 12. ასლის გავრცელების არე . . . . . 362

§ 13. ასლის თავისებურება და მისი გამოყენებადობა . . . . . 363

§ 14. თავთუხი და ჩვენში მისი გაჩენის ხანა . . . . . 365

§ 15. თავთუხის ბოტანიკური რაობა და სხვადასხვა სახეობა . . . . . 366

§ 16. თავთუხის გავრცელების არე . . . . . 370

თ ა ე რ მ ე ო თ ხ ე . ქ რ თ ი ლ ე უ ლ ი . . . . . 371

§ 1. ქრთილელის შედგენილობა და მისი შესახები ზოგადი ცნობები საქართველოში 371

§ 2. ქრთილელის სხვადასხვა სახეობა საქართველოში და ბოტანიკური რაობა . . . 372

§ 3. ქრთილელის გავრცელების არე . . . . . 373

თ ა ე რ მ ე ზ უ თ ე . ბ რ ი ნ ჭ ი ს კ ე ლ ტ უ რ ა . . . . . 379

თ ა ე მ ე ე ქ ე ს ე . შ უ რ ი ა , ს ე ი ლ ი და კ ვ ა ე ო . . . . . 381

ე ა ე რ მ ე რ ე ე . ფ ე ტ ე ნ ა რ ი . . . . . 384

§ 1. ფეტვი და ქერიშა . . . . . 384

§ 2. ღომი: ცნობები მის შესახებ . . . . . 386

§ 3. ღომის სახეები . . . . . 389

§ 4. ჭკქრა . . . . . 391

თ ა ე ო მ ე ე ხ რ ე . ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო დ ნ ი შ ნ ე ლ ე ბ ო ს მ ც ე ნ ა რ ე ბ ი . . . . . 392

§ 1. სელი . . . . . 392

§ 2. კანაფა . . . . . 394

§ 3. ბამბა . . . . . 396

თ ა ე ო მ ე ა თ ე . მ ი წ ი ს ნ ა ე ო ფ ი ე რ ე ბ ა და მოსავლიანობაზე ზრუნვა ძველ საქართველოში 397

§ 1. მიწის ნაყოფიერება . . . . . 397

§ 2. მიწის მოსავლიანობაზე მზრუნველობა: ხილდაგის დასველების წესები . . . 399

§ 3. მემინდვრობის სისტემა სხვაგან და საქართველოში . . . . . 401

§ 4. მიწის გაპოხიერება . . . . . 402

§ 5. თესლ-ნათესის გასუფთავება . . . . . 403

მემინდვრობის კულტურის ზოგადი პრობლემები

თ ა ე ო ზ ი რ ე ე ლ ი . მ ე მ ი ნ დ ვ რ ო ბ ი ს კ ე ლ ტ უ რ ი ს დ ო ნ ე ძ ე ლ საქართველოში . . . 404

§ 1. საყვები მცენარეების ძველი ქართული კლასიფიკაციის პრინციპები . . . . . 405

§ 2. მემინდვრობის კულტურის ინტენსივობა და განვითარების დონე ძველ საქართველოში . . . . . 407

თ ა ე ო მ ე ო რ ე . მ ე მ ი ნ დ ვ რ ო ბ ი ს კ ე ლ ტ უ რ ი ს სა და უ რ ო ბ ო ს სა კ ი თ ო ს საქართველოში 410

§ 1. ქართული პურეულის სადაურობის შესახებ არსებული მოსაზრებანი . . . . . 412

§ 2. კულტურულ მცენარეთა სახელების ანალიზი მცენარეთა სადაურობის პრობლემასთან დაკავშირებით . . . . . 415

    A პურეულის სახელები . . . . . 415

    B ქრთილელისა, დანარჩენ საყვებ მცენარეთა და სელის სახელების სადაურობა 420

§ 3. კულტურულ მცენარეთა სახელების ანალიზით მოპოვებული ზოგადი შედეგი . . . . . 424

თ ა ე ო მ ე ს ა მ ე . საქართველოში გავრცელებული ხორბლულისა და ქრთილელის ჯიშების გაჩენის დაახლოებითი ქრონოლოგიური განსაზღვრა . . . . . 426

§ 1. ტერმინების „ახალთესლი“-სა და „ძველთესლის“-ს მნიშვნელობა . . . . . 426

§ 2. ხორბლეულისა და ქრთილეულის ტერმინოლოგიის „ახალისა“ და „ძველის“ ქრონოლოგიური განსაზღვრა . . . . .	178
§ 3. „იფქლის“, „ლიკისა“ და გაზაფხულის ხორბლეულისა და ქრთილეულის ჭიშების გაჩენის ხანა . . . . .	429
ი ა ვ ი მ ე ო თ ხ ე. კულტურულ მცენარეთა შედარებითი სამეურნეო მნიშვნელობა . . . . .	432
§ 1. კულტურულ მცენარეთა შედარებითი მნიშვნელობა საქართველოს მეურნეობაში	432
§ 2. უმნიშვნელოვანეს საკვებ მცენარეთა შემადგენლობის ცვალებადობა დროთა განმავლობაში . . . . .	435
ი ა ვ რ მ ე ხ ე თ ე. საკვებ მცენარეთა არეების არსებობის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკისა და სახელმწიფოებრიობისათვის . . . . .	439
§ 1. ხორბლეულის ნაკლებობა საქართველოს ზოგიერთ თემში და ამასთან დაკავ- შირებული ეკონომიური პოლიტიკა . . . . .	439
§ 2. ხორბლეულისა და ქრთილეულის კულტურის არეების მნიშვნელობა საქარ- თველის სახელმწიფოებრიობისათვის . . . . .	441
დ ა მ ა ტ ე ბ ა	
ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ერთარება საქართველოში XVII-- XVIII სს. . . . .	443
I. ქალაქები და სტატისტური ცნობები მათ შესახებ . . . . .	443
II. საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ერთარება . . . . .	448
საძიებლები	
ა) პირთა . . . . .	459
ბ) გეოგრაფიულ სახელთა . . . . .	466
ბ) ეთნიკურ სახელთა . . . . .	476
დ) ტერმინთა . . . . .	473